ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როლანდ თოფჩიშვილი
ქეთევან ხუციშვილი
როზეტა გუჯეჯიანი

თეორიული ეთნოლოგია

სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის
სტუდენტებისათვის

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თეორიული ეთნოლოგიის სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმეტესობა მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოლოგიასთან. ამიტომ თეორიული ეთნოლოგიის ცოდნა სხვადასხვა ჰუმანიტარული დარგების განვითარების ერთ-ერთი პირობაა. ეთნოლოგიის ცოდნა იმიტომაც სჭირდებათ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, რომ საქართველო პოლიეთნიკური ქვეყანაა და სხვადასხვა ეთნოსების მშვიდობიან თანაარსებობას დიდად განსაზღვრავს მეცნიერების ამ სფეროს ცოდნა – რადგან ეთნოლოგიის კვლევის ძირითადი სფეროა ეთნოსები (ხალხები) და მათ მიერ შექმნილი ეთნიკური კულტურები. სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს აგრეთვე ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ენათმეცნიერებს, პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტებს, კულტუროლოგებს და მეცნიერების ყველა იმ დარგის წარმომადგენლებს, რომლებსაც ეთნოლოგიასთან მჭიდრო კავშირი აქვთ.

სამეცნიერო რედაქტორები: ნინო მინდაძე,
ინგა ღუტიძე

რეცენზენტები: თამაზ ფუტკარაძე,
ნოდარ შოშიტაშვილი

© რ. თოფჩიშვილი, ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, 2010

ISBN 978-9941-13-115-8

სარჩევი

შესავალი 7

თემა I

ეთნოლოგიის საგანი და ფუნქციები 11

თემა II

ეთნოლოგიური მეცნიერების წარმოქმნა და თავისებურებები 17

თემა III

ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები 19

თემა IV

ძირითადი ეთნოლოგიური ცნებები 37

თემა V

ეთნოლოგიური თეორიები, სკოლები და მიმართულებები 43

თემა VI

ეთნოლოგიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან 57

თემა VII

ეთნოლოგიისა და სხვა მეცნიერებების მიჯნაზე წარმოქმნილი მეცნიერული მიმართულებები 63

თემა VIII

ეთნოსი და ეთნიკურობა 74

თემა IX

ეთნოგენეზი და ხალხთა ეთნიკური ისტორია 92

თემა X

ეთნიკური ერთობები და ეთნიკურ ერთობათა იერარქია 108

თემა XI

მსოფლიოს ეთნიკური სურათი 124

თემა XII

მსოფლიოს მოსახლეობის კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები .. 145

თემა XIII

ეთნიკური ფსიქოლოგია: ეთნიკური თვითშეგნების, იდენტობის პრობლემა 167

თემა XIV

ეთნიკური განწყობა 177

თემა XV
ეთნოსი და ბუნება 189
თემა XVI
ეთნოსი და ენა 199
თემა XVII
ეთნოსოციალური ორგანიზმები. სოციალური ერთობები და სოციალური ურთიერთობები 212
თემა XVIII
ეთნოსი და ეთნონიმი 235
თემა XIX
ეთნოსი და ეთნიკური კულტურა..... 245
თემა XXI
ერის შესახებ. ერი და სახელმწიფოებრიობა 263
თემა XXI
ეთნიკური პროცესები თანამედროვე მსოფლიოში 279
თემა XXII
ეთნიკური კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები..... 290
თემა XXIII
ტრადიციული კულტურა და თანამედროვეობა..... 306
თემა XXIV
ზოგადსაკაცობრიო მატერიალური კულტურა: ნარმოებისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის საკაცობრიო კულტურული მიღნევები 333
თემა XXV
სულიერი კულტურა 366
თემა XVI
სოციონორმატიული კულტურა 389
თემა XXVII
საკუთარ სახელთა სისტემები 401
ბოლოთქმა..... 411
ეთნოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი 412
სარეკომენდაციო ლიტერატურა..... 449
დანართი 1 451
დანართი 2 452
დანართი 3 463
დანართი 4 464

შესავალი

საქართველოში ეთნოლოგიურ მეცნიერებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მართალია, მეცნიერულ ეთნოლოგიას XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც სამეცნიერო მოღვაწეობა შემდგომში უკვე აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ დაიწყო, მაგრამ ეთნოლოგიური მონაცემები ჯერ კიდევ ჩვენამდე მოღწეულ პირველ ლიტერატურულ ძეგლში – „შუშანიკის წამებაშია" დაცული. ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის არაერთი ელემენტი თითქმის მუდმივად ყველა ნერილობით ძეგლში დასტურდება. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც არა მარტო თავისი დროის შესანიშნავი ისტორიკოსი და გეოგრაფი, არამედ ეთნოლოგიც იყო. მას ეთნოლოგიის არც ერთი სფერო არ დარჩა ყურადღების მიღმა. აღნიშნული მცირე ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ქართულ ეთნოლოგიას ყოველთვის მონინავე პოზიციები ეჭირა, ის საერთაშორისო მეცნიერების დონეზე იდგა; ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შესახებ, ანუ ქართული ეთნიკური კულტურის შესახებ სათანადო მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომები იბეჭდებოდა, რომლებიც, რა თქმა უნდა, თეორიული ეთნოლოგიის სათანადო ცოდნას ეფუძნებოდა. თუმცა თეორიული ეთნოლოგიის შესახებ ჩვენში ნაშრომები იშვიათად ინერებოდა. ამ მხრივ, გამონაკლისი იყო მიხეილ გეგეშიძის მონოგრაფიული გამოკვლევა ეთნოსისა და ეთნიკური კულტურის შესახებ, რომელშიც საარგუმენტაციო მასალას ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ელემენტები წარმოადგენდა.

თეორიული ეთნოლოგიის კურსი არც საუნივერსიტეტო კურსებს შორის ფიგურირებდა. მართალია, ზოგადი ეთნოლოგიისა თუ ეთნოლოგიის საფუძვლები უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკითხებოდათ, მაგრამ ისინი სრულიადაც ვერ ცვლიდნენ თეორიულ ეთნოლოგიას. წინამდებარე წიგნი თეორიული ეთნოლოგიის პრობლემებს ეძღვნება. ესაა პირველი ცდა, რომლის დაწერა ავტორებმა თავს იდეს. ისინი შეეცადნენ ეთნოლოგიური მეცნიერების ყველა თეორიულ საკითხს შეხებოდნენ, თუმცა სრულიადაც არ მიიჩნევენ, რომ ყველა საკითხი ამომწურავად, სრულყოფილად წარმოადგინეს, რადგანაც ესაა პირველი ცდა ასეთი სახელმძღვანელოს შექმნისა (არა მხოლოდ საქართველოში), გარდა ამისა, სრულყოფილი, უშეცდომო ნაშრომი არ არსებობს.

სახელმძღვანელოში ეთნოლოგიის მნიშვნელობა ხაზგასმულია, რადგან მას არა მხოლოდ თეორიულ-შემეცნებითი, არამედ პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს. უფრო მეტიც, თანამედროვე ეთნოლოგიას აღმზრდელობითი და პროგნოზული მნიშვნელობაც გააჩნია. ამრიგად, მეცნიერების ეს დარგი დროის სამ პერიოდს მოიცავს: ნარსულს, თანამედროვეობასა და მომავალს. ბევრ ქვეყანაში ეთნოლოგიის (სოციოკულტურული ანთროპოლოგიის) კურსი არა მხოლოდ სპეციალისტებისა და ჰუმანიტარებისათვისაა სავალდებულო, უფრო მეტიც, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით მეცნიერული კომუნიზმის კურსებს ეთნოლოგიის კურსები ჩაანაც-

ვლეს, რადგანაც ამ ქვეყანაში კარგად ესმით ეთნოლოგიური მეცნიერების მნიშვნელობა. ეთნოლოგია ხომ თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს პოლიეთნიკურ საქართველოსაც ეხება (ეთნოსთაშორისი კომუნიკაციები; კონფლიქტები; ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციის პრობლემა; ეთნიკური ინტეგრაციისა და დეინტეგრაციის საკითხები და სხვა მრავალი). თეორიული ეთნოლოგია იმიტომაც უნდა ისწავლებოდეს სხვადასხვა ფაკულტეტებზე, რომ ძალიან ხშირად ბევრი განათლებული ადამიანიც კი მიუტეეველ შეცდომებს უშვებს ეთნიკური და ეთნოლოგიური ტერმინების გამოყენების დროს. ამ თვალსაზრისით, ჩვენში დაშვებულ შეცდომებს კი არც თუ ისე იშვიათად ქართველთა არაკეთილმოსურნენი იყენებენ.

საერთოდ, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს შესწავლაში ეთნოლოგიური მეცნიერების როლი უმნიშვნელოვანესია. XXI საუკუნეში ეთნოლოგიურ მეცნიერებას განვითარების ძალიან დიდი პერსპექტივები გააჩნია – ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თანამედროვე ეთნოსთაშორისი და კონფესიათაშორისი კრიზისებისა და კონფლიქტების მოგვარება წარმოუდგენელია იმ მეცნიერების გარეშე, რომელიც ხალხებს სწავლობს. ეთნოლოგიური მეცნიერების წარმატებები თანამედროვე კაცობრიობისათვის დამახასიათებელი გლობალური პრობლემების მოგვარებას ბევრად შეუწყობს ხელს. დასავლეთში ბევრს მსჯელობენ თანამდროვე ეთნოლოგიის განვითარების გზებზე. მეცნიერების ამ დარგის საფუძვლის ჩამყრელები ვერც იფიქრებდნენ, თუ ასე შეიცვლებოდა და გაფართოვდებოდა ეთნოლოგიური მეცნიერების კვლევის სფერო და არეალი. მეცნიერება ხალხების შესწავლის შესახებ ხომ თავდაპირველად განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხების შემსწავლელი მეცნიერება იყო. შემდეგ ის ყველა ხალხის ეთნიკური კულტურისა და ეთნიკური ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებად იქცა. დღეს კი მისი კვლევის სფეროში ეთნოსთა შორის ურთიერთობები და ეთნიკური კონფლიქტებიც შედის. მიიჩნევენ, რომ მომავალში მას კვლევის ახალი ასპექტებიც გამოუჩნდება, რომ უფრო პრიორიტეტი სოციალური ანთროპოლოგიის კვლევებს მიენიჭება. ცალკეული კულტურების გავლენისა და დაახლოების თანამედროვე პროცესები მას თანდათან ერთიან გლობალურ სისტემად აქცევს. ამასთან დაკავშირებით ეთნოლოგიაში ყველაზე პერსპექტიულია ის მიმართულება, რომელიც სხვა კულტურებს არ აღიქვამს უბრალოდ როგორც კვლევის ობიექტებს, არამედ აღიარებს მას კულტურულ-ისტორიული პროცესის სრულუფლებიან მონაწილედ. კულტურის ერთიანი თეორიის ადგილს ეთნოლოგიაში სხვადასხვა თეორიული მიმართულებების პლურალიზმი იკავებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ადამიანის, საზოგადოებისა და კულტურების შემეცნების პარადიგმების ცვლა მიმდინარეობს. თანამედროვე სამეცნიერო მსოფლმხედველობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია უნივერსალურ ანთროპოლოგიურ თეორიებზე უარის თქმა, რომლის საშუალებითაც ადამიანური გამოვლინებების მრავალფეროვნება შეიძლება აიხსნას. თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევები სოციალურად მარკირებული პრობლემების ირგვლივ

კონცენტრირდება, მათ გადასანყვეტად კი გამოიყენება უკვე არსებული თეორიები და თუ აუცილებელია, ახალი კონცეპტუალური მოდელებიც მუშავდება. ამიტომაც თანამედროვე ეთნოლოგიური კვლევები მსოფლიოში არსებული სხვადასხვა ეთნოკულტურული რეალობიდან გამომდინარეობს. ეთნოლოგია, როგორც ხალხებისა და ხალხთა ურთიერთობების შემსწავლელი მეცნიერება, თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი გლობალური და მოდერნისტული პროცესების შესწავლისას განზე ვერ გადგება, პირიქით, ამ მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია პროცესების სათანადოდ განჭვრეტა და ყველასათვის სასურველ ჩარჩოებში მოქცევა. გლობალიზაციისა და სხვა თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი პროცესების გააქტიურებას საქართველოს დამოუკიდებლობაც დაემთხვა. ამ ორი პროცესის თანხვედრამ კი ერთობ გაართულა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციის პროცესი. ისევე როგორც ყველა ამ პროცესში ჩართული ხალხისთვის, ქართველთათვისაც მნიშვნელოვანია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული თავისთავადობის, ეთნიკური კულტურის ელემენტების შენარჩუნება, ახლის მიღება შედარებით უმტკივნეულოდ (ჭრილობები ისედაც უკვე საკმარისზე მეტი მივიღეთ). ამ შემთხვევაში სწორედ ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ უნდა თქვას თანამედროვე სიტყვა და ის მიმართული უნდა იყოს როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების შესასწავლად, ისე გლობალურ და მოდერნისტულ პროცესებში ჩასართავად. შეიძლება ვთქვათ, რომ ეთნოლოგიის სამომავლო ამოცანებში შიდაეთნიკური და ეთნოსთაშორისი პროცესების შესწავლა შედის, რომლებიც ეთნოკულტურული ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოსტულატი ის გახლავთ, რომ ეთნოლოგიას, როგორც მეცნიერებას არა მხოლოდ შემეცნებითი და თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. ის თანდათან ხალხების ინტერესების სამსახურში დგება და, ბუნებრივია, ქართველი ხალხის ინტერესების სამსახურშიც უნდა იქნეს ჩაყენებული და ეს მნიშვნელობა ყველა ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს გასიგრძეგანებული. ისიც უნდა ითქვას, რომ მეცნიერების ამ დარგის განვითარების აუცილებლობა მთელ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შეგნებული და ამ დარგის შესახებ ცოდნა უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ მათ, ვინც ამ სფეროში მუშაობს, არამედ მთელ საზოგადოებას. ეს იმ მხრივაცაა საჭირო, რომ აქა-იქ არსებული არასაკაცობრიო იდეები, არაპლურალისტული შეხედულებები რაც შეიძლება სწრაფად განიდევნოს ხალხებისა თუ ცალკეული ადამიანების ცნობიერებიდან.

ეთნოლოგიას სხვა ხიბლიც ახლავს – ამ დარგის მკვლევარს მუშაობა უხდება არა ჩაკეტილ კაბინეტსა და ერთ გარემოში, არამედ მას უშუალო კავშირი აქვს ადამიანებთან, რომელთაგანაც ის საკვლევ მასალას მოიპოვებს. ამრიგად, ეთნოლოგი არა მხოლოდ თავის ხალხის შესანიშნავი მცოდნეა, არამედ თავისი ქვეყნისაც, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისით.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წინამდებარე წიგნი თეორიული ეთნოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა: ავტორებს ალბათ რომელიმე პრობლემაც გამორჩათ, ან ესა თუ ის თემა შესაძლოა უფრო სხვაგვარ დამუშავებას საჭიროებდა; ეს გასაკვირი არც უნდა იყოს:

პირველი ხნულის გაკეთება ერთობ ძნელია. მათ იმედი აქვთ, რომ ეთნოლოგი კოლეგები და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვა წარმომადგენლები სათანადო რჩევებსა და შენიშვნებს არ დაიშურებენ. და, რაც მთავარია, მიაჩნიათ, რომ თეორიული ეთნოლოგიის სახელმძღვანელოთი არა მარტო სტუდენტები, არამედ განათლებულ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილიც დაინტერესდება. სახელმძღვანელომ ხელნაწერის სახით გარკვეული აპრობაცია გაიარა სტუდენტთა შორის. დაბეჭდვამდე სტუდენტები მისი ხელნაწერი, კომპიუტერული ვარიანტით სარგელობდნენ. ავტორებმა მათი ზოგიერთი სურვილი და წინადადებაც გაითვალისწინეს; გაითვალისწინეს რედაქტორებისა და რეცენზენტების ზოგიერთი შენიშვნა და სურვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ნინო მინდაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის ორი წევრი (ფილოსოფოსი აკაკი ყულიჯანაშვილი და არაბისტი აპოლონ სილაგაძე) მიიჩნევდა, რომ სახელმძღვანელოს სახელწოდება უნდა ყოფილიყო უბრალოდ „ეთნოლოგია" და არა „თეორიული ეთნოლოგია", რომ თვით ცნება „ეთნოლოგია" თავისთავად გულისხმობს თეორიას. ავტორებს მიაჩნიათ, რომ სახელწოდება „თეორიული ეთნოლოგია" აღნიშნული წიგნის რეალური სახელწოდებაა, რადგან ის მოიცავს ყველა იმ პრობლემას, რომელზედაც ეთნოლოგები მუშაობდნენ და მუშაობენ. ასეთი ტიპის სახელმძღვანელო, ფაქტობრივად, ახალია; ის მართლაც ეთნოლოგიის თითქმის ყველა თეორიულ საკითხს მოიცავს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არსებული სახელმძღვანელოებისაგან, რომლებსაც „ეთნოლოგია" ეწოდებოდათ, წინამდებარე წიგნი არსებითად განსხვავდება როგორც შინაარსით, ისე აგებულებით. არსებულ სახელმძღვანელოებში ძირითადად მსოფლიოს ხალხები არიან დახასიათებული. ამდენად, ამ თვალსაზრისითაც არ იყო მიზანშეწონილი მისთვის „ეთნოლოგია" გვეწოდებინა.

სახელმძღვანელოში ზოგიერთი რამ მეორდება, განსაკუთრებით ეს შეიძლება ტერმინების შესახებ ითქვას – გარკვეული ადგილები ამას მოითხოვდა. თუმცა შემცირება შეიძლებოდა მხოლოდ რამდენიმე გვერდის ხარჯზე. მივიჩნიეთ, რომ ეს გამეორებანი საქმეს არ ვნებდა, პირიქით, სახელმძღვანელოში გამეორება სრულიადაც არაა ზედმეტი, გამეორება ხომ ცოდნის დედაა.

თეორიული ეთნოლოგიის სახელმძღვანელო 27 თემისაგან (თავისაგან) შედგება, ხოლო უმეტეს შემთხვევაში თემები ქვეთავებს (პარაგრაფებს) შეიცავს. შესავალი, ბოლოთქმა, I, VI-VII, IX-XIV, XVI, XVIII-XXIV, XXVI-XXVII თემები დაწერილია როლანდ თოფჩიშვილის მიერ, ქეთევან ხუციშვილს ეკუთვნის III, V, VIII,XXV თემები, როზეტა გუჯეჯიანს – II, IV, XV და XVII თემები. დანართები და ეთნოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი შესრულებულია სამივე ავტორის მიერ. სახელმძღვანელოში ჩართული სქემები კომპიუტერულად დაამუშავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებმა *ირაკლი ფიფიამ* და *დიმიტრი ჯაჭელიანმა* [სქემების წყაროა ა. ლობჟანიძის, ს. გორობოვის, დ. ზაიცის წიგნი „რელიგიის ეთნოგეოგრაფია და გეოგრაფია"]. წიგნის პირველი კორექტურა ეკუთვნის აღნიშნული ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტს *გიორგი ჭეიშვილს.*

თემა I

ეთნოლოგიის საგანი და ფუნქციები

§1. ეთნოლოგიის საგანი. მეცნიერების სახელწოდება „ეთნოლოგია“ ორი ძველი ბერძნული სიტყვის შეერთების შედეგადაა მიღებული. პირველი მათგანი – „ეთნოს“ ხალხს აღნიშნავს, ხოლო მეორე – „ლოგოს“ კი – მოძღვრებას. ამდენად, ყველაზე მარტივი გაგებით „ეთნოლოგია“ ესაა მეცნიერება ხალხებისა და მათი ეთნიკური მახასიათებლების შესახებ. მაგრამ ეს ძალიან მარტივი განსაზღვრებაა. ცნობილია, რომ ყველა მეცნიერებას თავისი კვლევის საგანი გააჩნია. ბუნებრივია, ეთნოლოგიურ მეცნიერებასაც თავისი კვლევის საგანი აქვს. ამავე დროს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოლოგიის საგანი და კვლევის არე მუდმივად ფართოვდებოდა. ამით ის მეცნიერების სხვა დარგებისაგან ერთგვარად განსხვავდება. ეთნოლოგია სხვა მეცნიერებებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მას შეხების წერტილები აქვს სხვა მეცნიერებებთან. ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების გადაჯაჭვით, შერწყმით არაერთი მიმართულება გაჩნდა ეთნოლოგიაში. მიუხედავად ამისა, ეთნოლოგიის წარმოქმნიდან დღემდე მისი კვლევის უპირველეს თემას ეთნოსი, ეთნიკური კულტურა და ეთნოსთაშორის ურთიერთობები წარმოადგენს. ამიტომაა, რომ ეთნოლოგიის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არც კი არსებობს. ეთნოლოგიის სხვადასხვა განმარტება სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომებითაცაა განპირობებული. ეთნოლოგიას, როგორც მეცნიერებას, კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. გარდა ეთნოლოგიისა, ის სხვადასხვა სახელწოდებებით არის ცნობილი. სულ ცოტა ხნის წინ ის საქართველოში **ეთნოგრაფიის** სახლწოდებას ატარებდა. დასავლეთში მას **კულტურულ ანთროპოლოგიას, სოციალურ ანთროპოლოგიას** უწოდებენ. ამავე დროს ის სხვადასხვა მიმართულებითაც განვითარდა. ზოგან აქცენტი მის საისტორიო მიმართულებაზე გამახვილდა, ზოგან – სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და კულტუროლოგიურ მიმართულებებზე. ერთ შემთხვევაში თუ წინ ეთნოსების (ხალხების) კვლევამ ნამოინია, მეორე შემთხვევაში მისთვის ამოსავალი ადამიანი და ადამიანთა ერთობა (სოციუმი) იყო. ამდენად, ეთნოლოგიის კვლევის საგანი რთული და არაერთგვაროვანია.

ეთნოლოგია ჩაისახა როგორც „პრიმიტიული“ ხალხების (ეთნოსების) შემსწავლელი მეცნიერება. თავდაპირველად ეთნოლოგიას მხოლოდ ის ხალხები და იმ ხალხების კულტურა აინტერესებდა, რომლებიც ევროპელებთან შედარებით განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. დროთა განმავლობაში ეს მიდგომა შეიცვალა და ეთნოლოგიის კვლევის სფეროში განვითარების თვალსაზრისით დანინაურებული

ხალხებიც მოექცნენ. ამრიგად, ეთნოლოგთა ინტერესის სფეროში ყველა ხალხი (ეთნოსი) შედის. მას ხალხები აინტერესებს, როგორც კულტურების შემქნელი ერთობები, რომელთა კულტურაც თაობიდან თაობას ტრადიციით გადაეცემოდა და რომელსაც სხვადასხვა თაობები შემოქმედებითად ამდიდრებდნენ და ავითარებდნენ. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ძირითადი ეთნოლოგიური ცნებები თითქმის უცვლელი იყო: **ეთნოსი, ტომი, ერი (ნაცია), ტრადიცია, ნეს-ჩვეულება, კულტურა (მატერიალური კულტურა, სულიერი კულტურა), ასიმილაცია, ეთნიკური ერთობა, ეთნიკური პროცესები, ეთნიკური ისტორია, ეთნოგენეზი, საზოგადოება, გვარი (კლანი, ლინიჯი), თემი და სხვ.**

XX საუკუნის დასაწყისიდან ეთნოლოგიის კვლევის საგანი გახდა ეთნოსთა შორის ურთიერთობები. ეს ურთიერთობები ეთნოსთა წარმოქმნის დღიდან მუდმივად არსებობდა და ამდენად, ეთნოლოგიას სხვადასხვა ხალხების ურთიერთქმედება, ურთიერთობა (მშვიდობიანი თუ მტრული), ამ ხალხების კულტურათა ურთიერთშეღწევა აინტერესებს როგორც ისტორიის სიღრმეში, ისე თანამედროვეობაში. ეთნოლოგიის კვლევის სფეროში ეთნოსთა ისტორიულად არსებული ფორმებიც შედის. თანამედროვე გაგებით ეთნოლოგია სწავლობს არა მხოლოდ ეთნოსების წარმოშობას, მათ ძირითად თავისებურებებსა და მახასიათებლებს, ეთნიკური პროცესებით განპირობებულ ეთნოსთა ურთიერთობებსა და მათ ცვლილებებს, არამედ ეთნოსოციალურ (ნაციონალურ), ეთნოპოლიტიკურ, ეთნოფსიქოლოგიურ, ეთნოლინგვისტურ და საზოგადოებრივი სფეროს ეთნონაციონალურ ურთიერთობებსა და სხვა პროცესებს. თავდაპირველად კი ეთნოლოგიის კვლევის სფერო მხოლოდ ხალხური კულტურის შესწავლა, ამა თუ იმ ხალხის სოციალურ ურთიერთობათა კვლევა იყო.

დღეისათვის ეთნოლოგიური მეცნიერება ცოდნის საკმაოდ რთულ და განტოტებულ სისტემას წარმოადგენს, რომელთა შორისაც შეიძლება დაეასახელოთ: **ეთნიკური ანთროპოლოგია** (სწავლობს ეთნოგენეზისა და სხვადასხვა ხალხების ანთროპოფიზიკურ განვითარებას); **ეთნიკური სოციოლოგია** (სწავლობს ეთნიკური ჯგუფების განვითარებისა და ფუნქციონირების სოციალურ ასპექტებს, თვითორგანიზაციის ფორმებს, ეთნიკური ჯგუფების ურთიერთქმედების ტიპებს); **ეთნიკური ფსიქოლოგია** (განიხილავს ეთნიკური სტერეოტიპების ფორმირებას, ეთნიკურ თვითშეგნებას და იდენტიფიკაციას); **ეკონომიკური ეთნოლოგია** (აანალიზებს ეთნოსების სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის პრობლემებს); **ეთნოდემოგრაფია** (მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესებისა და ხალხთა რიცხოვნობის დინამიკის კვლევა); **ეთნიკური გეოგრაფია** (სწავლობს ხალხთა გეოგრაფიული განსახლების საკითხებს, მათი ადგილზე განვითარების თავისებურებებს, ეთნიკურ ტერიტორიებს და ეთნიკურ საზღვრებს); **ეთნოპედაგოგიკა** (სხვადასხვა ეთნოსების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესების თავისებურებების შესწავლა).

ეთნოლოგიური მეცნიერების დიფერენციაციის ეს პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული და როგორც ფიქრობენ, უახლოეს მომავალში ახალი მიმართულებების წარმოქმნაც არ იქნება მოულოდნელი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სწორედ ეს გარემოება და სხვადასხვა

მეთოდოლოგიური მიდგომები აბრკოლებს და ხელს უშლის ეთნოლოგიის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრების ფორმულირებას.

ამრიგად, **ეთნოლოგიის ობიექტს წარმოადგენენ ეთნოსები – ხალხები და ეთნოლოგია შეისწავლის:**

– ეთნოსების წარმოქმნას (ეთნოგენეზს);

– ეთნოსების ისტორიულ ევოლუციას (ეთნიკურ ისტორიას);

– ეთნოსების თანამედროვე ცხოვრებას;

– მომავალში ეთნოსთა განვითარების შესაძლო გზებს;

თანამედროვე ეთნოლოგიის კონკრეტული კვლევითი გამოცდილებისა და სამეცნიერო მიმართულებებიდან გამომდინარე ეთნოლოგიის საგანს მიეკუთვნება შემდეგი პრობლემები:

– ხალხთა მატერიალური კულტურა;

– ხალხების ტრადიციული სამეურნეო ყოფა, მეურნეობისა და ეკონომიკის ზემოქმედება ეთნოსების განვითარებაზე;

– სხვადასხვა ხალხების სულიერი კულტურა, რიტუალები, რწმენა-წარმოდგენები;

– ტრადიციული საზოგადოებრივი სისტემები, ხალხების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები;

– სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი აღზრდისა და ქცევის სისტემები;

– ხალხების უზრუნველყოფის სისტემები;

– ეთნოსთა ფასეულობითი სისტემების შედარება;

– კულტურათშორისი კონტაქტების თავისებურებები;

– ხალხთა განსახლებები;

– ეთნოსებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები;

– ეთნიკური ცნობიერება და თვითშეგნება;

– ხალხების სახელწოდებები და თვითსახელწოდებები (ეთნონიმიკა) და ხალხთა ტერიტორიული დანაყოფების, ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები;

– ენობრივი ქცევა და მისი ეთნოსებზე გავლენა;

– ეთნიკურ ინტერესებთან, ეთნოსთა შორის კავშირებთან და კონფლიქტურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები;

– ეთნიკური სისტემების დინამიკა.

ამრიგად, ეთნოლოგიური მეცნიერება შეისწავლის ეთნოსთა ცხოვრების სხვადასხვაგვარ, მრავალფეროვან ასპექტებს, ტრადიციულ (ეთნიკურ) კულტურას, მათ შორის ადამიანთა მიერ ეთნიკური თვითშეგნებისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის შეცვლას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ეთნოლოგიის განსაზღვრება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: **ეთნოლოგია – ესაა მეცნიერება, რომელიც სწავლობს სხვადასხვა ეთნიკური სისტემების (ჯგუფების) წარმოქმნის, ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების კანონზომიერებებს (პროცესებს), მათ იდენტობას, კულტურული თვითორგანიზაციის ფორმებს, კოლექტიური ქცევისა და ურთიერთქმედების თავისებურებებს, პიროვნებისა და სოციალური გარემოს ურთიერთკავშირს, მსოფლიოს ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებებს, ეთნიკურ და ეთნოსთა შორის არსე-**

ბულ პროცესებს. სხვათაშორის, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ეთნოლოგიის (მაშინ – ეთნოგრაფიის) ის განმარტება, რომელიც 1970-იან წლებში არსებობდა: „ხალხის ყოფისა და კულტურის, წარმოშობის, განსახლებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირის შემსწავლელი მეცნიერება. ეთნოლოგია იკვლევს ეთნიკურ კულტურათა საერთო და განსხვავებულ ფორმებს, მათი განვითარების კანონზომიერებებს, იმას, თუ რა წვლილი შეუტანია კაცობრიობის კულტურის საგანძურში ამა თუ იმ ხალხს. ეთნოლოგია იმასაც სწავლობს, თუ რა განაპირობებს და ასაზრდოებს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ყოფაქცევის ნორმებს". ა. ლობჟანიძის, ს. გოროხოვის და დ. ზაიაცის განმარტება ასეთია: ეთნოლოგია სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს მსოფლიოს ხალხთა მსგავსებას და განსხვავებას, აგრეთვე ეთნიკურ პროცესებს, ეთნოსთა ცხოველქმედების სხვადასხვაგვარ ასპექტებს, კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე უძველესი დროიდან დღემდე მასში მიმდინარე ცვლილებებს. ს. ლურიეს მარტივი განმარტება კი ასეთია: „ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას". ს. არუთინოვი და ს. რიჟაკოვა შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: ეთნოლოგია ანალიტიკური მეცნიერებაა, რომელიც ეთნოგრაფიული, ისტორიული და სხვა მონაცემების საფუძველზე იკვლევს ეთნოსებს როგორც მთლიან ჯგუფებს, ისე მათ შორის ურთიერთობას.

თანამედროვე ეთნოლოგიის საგნობრივი ველი (არე) საკმაოდ ფართოა და მისი სხვადასხვა მიმართულებები გადაეკვეთება მონათესავე, ახლოს მდგომ მეცნიერებებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ მეცნიერებებზე, როგორებიცაა ისტორია, ეთნოგრაფია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტოლოგია. ყველაზე ახლოს ის ეთნოგრაფიასთანაა. სწორედ ამიტომაა, რომ ხშირად ეთნოლოგია და ეთნოგრაფია სინონიმურ სახელწოდებებადაც იხმარება. მიუხედავად ამისა, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მეცნიერების ეს ორი სფერო (დარგი) მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. **ეთნოგრაფია აღწერილობითი მეცნიერებაა, ეთნოლოგია კი – თეორიული ხალხთმცოდნეობა.**

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ეთნოლოგიური კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო უაღრესად ფართოა. მისი ინტერესების სფეროში შედის როგორც წარსული (პირველყოფილი საზოგადოების ისტორია), ისე თანამედროვეობა. ვრცელი ქრონოლოგიური ჩარჩოსა და იმის გამო, რომ ეთნოლოგიას უშუალო კავშირი აქვს თანამედროვე პროცესებთან (სწავლობს ეთნოსთაშორის ურთიერთობებს, ეთნიკურ კონფლიქტებს, ნაციონალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, გამოიმუშავებს ნაციონალური პოლიტიკის კონცეფციებს), მეცნიერების ამ დარგს შემეცნებით და თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობაც გააჩნია.

§2. ეთნოლოგიის ფუნქციები. ეთნოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: თეორიულ-შემეცნებითი, პრაქტიკულ-გამოყენებითი, კულტურულ-აღმზრდელობითი, პროგნოსტიკული.

თეორიულ-შემეცნებითი ფუნქცია შიდაეთნიკური და ეთნოსთაშორის კავშირების, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების გამოვლინებაა. თეორიულ-შემეცნებით ფუნქციებს მიეკუთვნება სამეცნიერო ჰიპოთეზებისა და თეორიების ფორმირებაც. მონაცემთა ბაზაზე ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე ან ადრე მიღებულ სპეციალურ თეორიებსა და ჰიპოთეზებს განამტკიცებენ, ან კიდევ ახალს ქმნიან.

შემდეგი ფუნქცია **პრაქტიკულ-გამოყენებითია.** ეთნოლოგიის ბევრ პრობლემას თეორიულ-შემეცნებითთან ერთად ეს ფუნქცია ნამდვილად გააჩნია. მიღებული კვლევის შედეგებს ძალიან ხშირად მმართველობით, მარეგულირებელ საქმიანობაში გამოიყენებენ. თეორიული კვლევა-ძიება მხოლოდ მაშინ იძენს პრაქტიკულ მნიშვნელობას, როდესაც ის გამოყენებული იქნება ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებისას, მმართველობითი საქმიანობის კორექტირებისას. ამასთან ერთად პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს საქმიანობის, მოქმედების პერსპექტიულ მიმართულებებს, ანდა შეიძლება მისი დანიშნულება მომავალი პერსპექტივის კონკრეტული ცვლილებისათვის იყოს განკუთვნილი. ეთნოლოგიის პრაქტიკულ-გამოყენებითი ფუნქცია იმაშიც მდგომარეობს, რომ ეთნოლოგია, როგორც ცნობილია, ადამიანთა მოღვაწეობის მრავალ სფეროს შეისწავლის. ამ სფეროში კი ადამიანს და ადამიანთა დიდსა თუ პატარა ჯგუფს არაერთი პოზიტიური ცოდნა დაუგროვდა, ეთნოსებმა და ეთნიკურმა ჯგუფებმა თანამედროეობისათვის მისაღები ეთნიკური ტრადიციები შექმნეს, რომელთა გაცოცხლებას და აღორძინებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ბევრი ეთნოლოგიური რეალიის გაცოცხლება შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთანაც იყოს დაკავშირებული.

ეთნოლოგიის მნიშვნელოვან ფუნქციად ითვლება მისი **კულტურულ-აღმზრდელობითი** ფუნქცია. ეს ფუნქცია ადამიანებს ეხმარება გაერკვნენ ეთნიკურობის რთულ მოვლენებში, ეთნიკური თავისებურებებისა და მსოფლიოს საზოგადოების მრავალგვაროვნობის რთულ მოვლენებში. ეთნოლოგია ფაქტობრივად გასაღებს წარმოადგენს ადამიანის ეთნიკური ქცევის სწორად გასაგებად, საერთოდ, მთლიანად ეთნოსისა და საზოგადოების ცხოველქმედების აღნიშვნა. ამ თვალსაზრისით ეთნოსთა შორის ურთიერთობის კულტურის ფორმირებაში ეთნოლოგიის როლი შეუფასებელია.

ეთნოლოგიას თანამედროეობის სამსახურში აყენებს მისი კიდევ ერთი ფუნქცია. ესაა **პროგნოსტიკული** ფუნქცია. ეთნოლოგიური გამოკვლევების ღირებულება არ განისაზღვრება მხოლოდ იმით, რამდენად ადეკვატურად ასახავს ამა თუ იმ ტენდენციასა და პროცესს, არამედ მხოლოდ იმით, გვაძლევს თუ არა მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთნოსთა შორის ურთიერთობებში, კონფლიქტებში დღეს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების წინასწარი განსაზღვრა. საერთოდ, პროგნოსტიკული ფუნქცია მიმართულია ახლო და შორეულ მომავალში კონკრეტული ქვეყნის ეთნიკური და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების პერსპექტივების განსასაზღვრად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის, რომ პოლიეთნიკური საქართველოს ბოლოდროინდელი ბევრი პრობლემა, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტების სახელით ცნობილი დაპირისპირებები, არის ეთნოლოგიური ცოდნის დაბალი დონის შედეგი. ცხოვრებამ დიდი ხანია დაადასტურა, რომ თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ეთნონაციონალური პროცესების მართვა ხელის შეხებით, რომელიც თეორიული ცოდნის გარეშე მხოლოდ ემპირიულ მონაცემებს ეყრდნობა. ამავე დროს არ განისაზღვრება ეთნოკულტურული კონტაქტებისა და ეთნოსთა შორის კომუნიკაციები. სხვადასხვა ტიპის ცოდნა შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ თანამედროვე ეთნიკური პროცესების მექანიზმები. ნათელია, რომ ეთნოლოგია სერიოზულ და სისტემატურ მოპყრობასა და შესწავლას მოითხოვს. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ავხსნათ ეთნიკური ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიოს ბევრი „საიდუმლო“.

თემა II

ეთნოლოგიური მეცნიერების წარმოქმნა და თავისებურებები

ეთნოლოგიური მეცნიერება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი: **ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, სოციალური ანთროპოლოგია, ფოლსკუნდე, ფოლკერკუნდე.**

ეთნოლოგიურ მეცნიერებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. უშუალოდ ტერმინი „ეთნოლოგია" წარმოქმნილია ძველი ბერძნული სიტყვებისგან – **ეთნოს** (ხალხი) და **ლოგოს** (მოძღვრება, მეცნიერება). ცალკე სამეცნიერო დისციპლინად ეთნოლოგია ყალიბდება XIX საუკუნეში. ეს ტერმინი ახალი მეცნიერების აღსანიშნავად პირველად გამოიყენა ჟან-ჟაკ ამპერმა, რომელმაც 1830 წელს შეიმუშავა ანთროპოლოგიური (ჰუმანიტარული) მეცნიერების საერთო კლასიფიკაცია და მათ შორის ცალკე დარგად გამოყო ეთნოლოგია. ეს ტერმინი სწრაფად გავრცელდა ევროპის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

ეთნოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ოფიციალურად ჩამოყალიბების თარიღად 1839 წელია მიჩნეული, როდესაც შეიქმნა პარიზის ეთნოლოგიური საზოგადოება.

XIX საუკუნის შუა წლებიდან ეთნოლოგიური მეცნიერების სწრაფი განვითარების მიზეზი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებია, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპული სახელმწიფოების სწრაფვა ტერიტორიული ექსპანსიებისაკენ. ამ პროცესში ევროპელებს ურთიერთობა უწევდათ ისეთ ხალხებთან და კულტურებთან, რომელთა ყოფა და ცხოვრება მათთვის სრულიად უცნობი და ახალი იყო. კოლონიალური პოლიტიკისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა ამ ხალხების ყოფისა და თავისურებების ცოდნა და გათვალისწინება, რის გამოც თავიდან ეთნოლოგიის ძირითადი სფერო ე.წ. პრიმიტიული საზოგადოებების (აფრიკა, ავსტრალია, ამერიკა. . .) ყოფის შესწავლით შემოიფარგლებოდა.

დარგის დაფუძნებისთანავე ჩნდება ეთნოლოგიის საგნის, სახელწოდების, მიზნების და ადგილის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა. იკვეთება რამდენიმე მიმართულება და სკოლა. ტერმინ „ეთნოლოგიის" პარალელურად გამოიყენება „ანთროპოლოგიაც". „ანთროპოლოგია" ბერძნული სიტყვაა და „ადამიანთმცოდნეობას" აღნიშნავს. ამ ტერმინს ძირითადად ინგლისურენოვან ქვეყნებში იყენებენ და მეცნიერებას ხალხების შესახებ ანთროპოლიგიის ერთ-ერთ დარგად განიხილავენ.

ეთნოლოგიის ინგლისურენოვან ვარიანტად ჩამოყალიბდა ტერმინი **„სოციალური ანთროპოლოგია"**, რომელიც ჯეიმს ფრეზერმა შე-

მოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში 1906 წელს. ინგლისში ამჟამად ეთნოლოგია აღინიშნება „სოციალური ანთროპოლოგიის" სახელით და მისი კვლევის საგანი სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მქონე ეთნიკური ჯგუფების შესწავლაა. ინგლისისაგან განსხვავებით, ეთნოლოგიას ამერიკის შეერთებულ შტატებში **„კულტურული ანთროპოლოგია"** ეწოდა. XX საუკუნის შუა ნლებიდან ეთნოლოგიის ეს მიმართულება სწავლობს ხალხთა კულტურულ თავისებურებებს, სხვადასხვა ეთნოკულტურულ პროცესებს.

გერმანიაში ეთნოლოგიურ მეცნიერებას დიდი ტრადიციები აქვს: ჯერ კიდევ 1789 წელს ჩამოყალიბდა სამეცნიერო მიმართულება „ფოლკერკუნდე"-ს (VölLkerkundc) სახელით და იგი სწავლობდა არაევროპელ ხალხებსა და კულტურებს. XIX საუკუნის 30-იანი ნლებიდან გამოიყენებოდა ტერმინი „ეთნოლოგიაც", ხოლო მოგვიანებით გერმანულ ეთნოლოგიაში გამოიკვეთა კიდევ ერთი მიმართულება „ფოლკსკუნდე" (VölLkskundc) – „ხალხთმცოდნეობა", რომლის კვლევის ძირითადი ობიექტები გერმანულენოვანი ხალხები და კულტურებია. გერმანულენოვან მეცნიერთა შორის სამივე ტერმინი და მიმართულება ამჟამადაც მოქმედია.

საფრანგეთისთვის, რომელიც XIX საუკუნეში აქტიურ კოლონიალურ პოლიტიკას ატარებდა, უაღრესად აქტუალური იყო დაპყრობილი ხალხების ყოფისა და კულტურის ცოდნა. საფრანგეთში მეცნიერების ეს დარგი თავიდანვე „ეთნოგრაფიად" („ხალხის აღნერად") იწოდებოდა. XIX საუკუნის ბოლოდან კი ნარმოჩნდა, რომ სამეცნიერო დისციპლინას – „ეთნოგრაფიას" ბევრი ნაკლი გააჩნდა. იგი მოკლებული იყო ისტორიზმის პრინციპებსა და თეორიულ განზოგადებულ ანალიზს. დაემატა რა ეთნოგრაფიული აღნერილობის პრინციპს საისტორიო ნყაროები და თეორიული მასალა, უკვე XX საუკუნიდან „ეთნოგრაფია" ტრანსფორმირდა „ეთნოლოგიურ" მეცნიერებად. საფრანგეთში მას დღესაც ასე უწოდებენ.

ეთნოგრაფია ვითარდებოდა რუსეთშიც. რუსული ეთნოგრაფიის დასაბამად მიჩნეულია 1846 ნელი, როდესაც დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება. რუსი ეთნოგრაფების ნაშრომები და კვლევის შედეგები ძირითადად იმპერიის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

საქართველოში ეთნოლოგიის ძლიერი სკოლა არსებობს. დარგის ჩამოყალიბების გარიჟაჟზე, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნანილი იყო და აქ თავიდანვე პარალელურად გამოიყენებოდა ორივე ტერმინი – „ეთნოგრაფია" და „ეთნოლოგია". ქართული სამეცნიერო ეთნოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გიორგი ჩიტაია უპირატესობას „ეთნოლოგიას" ანიჭებდა, როგორც უფრო ფართო და ყოვლისმომცველ ტერმინს, მაგრამ ვინაიდან საბჭოთა რეჟიმი მხოლოდ ტერმინ „ეთნოგრაფიას" ცნობდა, ქართველი მეცნიერებიც იძულებულნი გახდნენ ტერმინი „ეთნოლოგია" „ეთნოგრაფიით" შეეცვალათ. საქართველოს ხელახალი გათავისუფლების შემდეგ (1991 ნ) კი სამეცნიერო დისციპლინის აღსანიშნავად კვლავ „ეთნოლოგია" დამკვიდრდა.

თავი III

ეთნოლოგიური კვლევის მეთოდები

ეთნოლოგია ხალხთა კულტურისა და ყოფის შემსწავლელ დისციპლინას წარმოადგენს. ეთნოლოგიური კვლევები მთელ რიგ სიძნელეებთან არის დაკავშირებული (კერძოდ, ტერმინოლოგიური პრობლემები; დისციპლინის კვლევის საგნისა და ობიექტისადმი დამოკიდებულება; კვლევის პრაქტიკული განხორციელება და სხვ.). თანამედროვე პირობებში აქტუალურია ინტერეთნიკური დიალოგის წარმართვა, რაც მხოლოდ ეთნოკულტურული სამყაროს ღრმა ცოდნის პირობებშია შესაძლებელი. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოლოგიური კვლევის მეთოდიკასა და მეთოდოლოგიას. მეთოდი ბერძნული სიტყვაა და კვლევას, შემეცნების გზას ნიშნავს. მეთოდი წესების, კანონებისა და სათანადო ოპერაციების სისტემაა, აგრეთვე თეორია, მოძღვრებაა. ფართო გაგებით მეთოდი ბუნებრივი მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნების ხერხია, ცოდნის დაგროვებისა და დასაბუთების მიზნით. ვინრო მნიშვნელობით იგი მარეგულირებელი ნორმა, წესი, გარკვეული გზა ან ხერხია თეორიული, პრაქტიკული, შემეცნებითი, მმართველობითი თუ საყოფაცხოვრებო ხასიათის ამოცანების გადასაწყვეტად. მეთოდის თავისებურებაა თეორიული და პრაქტიკული წესების მიხედვით მოქმედება, ხოლო ფუნქცია ადამიანისთვის ამ წესებით დასახული მიზნისკენ გზის გაკვალვაა. სამეცნიერო მეთოდი ჰიპოთეზის დასმისა და კვლევის გარკვეული ტექნიკის გამოყენებით თეორიის ჩამოყალიბებას გულისხმობს. სამეცნიერო მეთოდი ცოდნის დაგროვების, ახალი ინფორმაციის ძველთან ინტეგრირებისა და გაანალიზებისათვის გამოიყენება, მისი ფუნქცია ასევე შეიძლება იყოს ძველი თეორიების გადასინჯვა და შეცდომების გასწორება. ყველა დისციპლინას საკუთარი მეთოდები გააჩნია, თუმცა ზოგადად სამეცნიერო მეთოდი ყველა დარგისათვის მოითხოვს ობიექტურ დაკვირვებასა და შეფასებას, მონაცემთა და მეთოდოლოგიის სრულ დოკუმენტაციას. სამეცნიერო კვლევის პარამეტრებია: სამეცნიერო მიზნებითა და ამოცანებით განპირობებული მიზანმიმართულობა, ობიექტურობა, ტერმინოლოგიისა და ტექნოლოგიების გამოყენება. ობიექტურობა კი პირველ რიგში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით კონტროლის საშუალებით მიიღწევა. კვლევის მეთოდი კვლევის სისტემური წარმართვის სტრატეგიას წარმოადგენს და ზოგადად უკეთესი ან უარესი მეთოდები არ არსებობს, რადგან კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტული შემთხვევების შესატყვისად ხდება მეთოდის ან მეთოდთა ჯგუფის შერჩევა. იმისათვის რომ სწორად განისაზღვროს კვლევისათვის საჭირო მეთოდები, საჭიროა საკვლევი საკითხის გარკვევა, საკითხის ირგვლივ არსებული ინფორმაციის შესწავლა, რაც საშუალებას იძლევა შედგეს კითხვარი და დადგინდეს კვლევისთვის სა-

ჭირო აღჭურვილობა. ამავე დროს ხდება კვლევის სტრატეგიის, ანუ მეთოდების განსაზღვრა ეთიკური საკითხების გათვალისწინებით. კვლევის შემდგომ ეტაპებს კი შერჩეული მეთოდების გამოყენებით მასალის შეკრება, მისი ინტერპრეტაცია, დასკვნების გამოტანა და შედეგების გამოქვეყნება წარმოადგენს.

ეთნოლოგიური კვლევის წარმოების ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის ემპირიული და თეორიული, ინტერდისციპლინარული და ვინრო დარგობრივი მეთოდები. დროთა ვითარებაში იცვლებოდა მათდამი დამოკიდებულება, მუდმივად განიხილება ამ მეთოდებით ოპერირების მიზანშეწონილობა და მათთან დაკავშირებული ეთიკური საკითხებიც.

ძირითადი მეთოდი, რომელიც ეთნოლოგიას (სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიას) გამოარჩევს კულტურის კვლევით დაკავებული სხვა სამეცნიერო დარგებისაგან არის საველე მუშაობის მეთოდი (რასაც ხშირად საველე ეთნოგრაფიას, ან უბრალოდ ეთნოგრაფიას უწოდებენ). საველე მუშაობის შემადგენელი ნაწილებია: დაკვირვება და ინტერვიუ. გარდა ამისა, ეთნოლოგიური კვლევისას ფართოდ გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ბიოგრაფიული, ზეპირი გადმოცემების კვლევის, ისტორიული ანალიზის, შედარებით-ისტორიული., კარტოგრაფირების, ტიპოლოგიზაციის, მათემატიკური მოდელირების, სტატისტიკური, სტრუქტურული, კომპლექსური კვლევისა და ვიზუალური ანთროპოლოგიის მეთოდები. კვლევის თემატიკის შესაბამისად ეთნოლოგები იყენებენ აგრეთვე ინტერდისციპლინურ მეთოდებს, კერძოდ სოციოლოგიურ მეთოდებს, ხშირად ეყრდნობიან აგრეთვე არქეოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მასალებს.

მეთოდები, რომლებსაც ეთნოლოგები იყენებენ, ჯგუფდება როგორც ისტორიულ და სოციოლოგიურ, რაოდენობრივ და ხარისხობრივ, ასევე ობიექტურ და სუბიექტურ მეთოდებად. კულტურის შემსწავლელ დისციპლინათა უმეტესობა მიზნის მისაღწევად ხარისხობრივ მეთოდებს იყენებს. თუმცა დღეს სულ უფრო მეტს საუბრობენ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს შორის არსებული დისტანციის დაძლევაზე და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის მეთოდების უფრო მოქნილად გამოყენებაზე.

ძირითად ეთნოლოგიურ მეთოდად მიიჩნევა საველე კვლევის მეთოდი, რასაც ხშირად **საველე ეთნოგრაფიის** სახელით მოიხსენიებენ. საველე ეთნოგრაფია, ველზე, ე.ი. ბუნებრივ პირობებში, პირველადი ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების მიზნით ტრადიციული-ყოფითი კულტურის კვლევას გულისხმობს. ველზე მუშაობისას გამოიყენება კვლევის ფორმალიზებული მეთოდები, რაოდენობრივი და სტრუქტურული ანალიზი. საველე კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები სამეცნიერო ლიტერატურისა და საარქივო მასალის დამუშავებას, დეტალური გეგმის შემუშავებასა და ტექნიკურ აღჭურვას მოიცავს. არანაკლებ მნიშვნელოვანია შეკრებილი მასალის შენახვის უზრუნველყოფა და მისი ხელმისაწვდომობა სხვა მკვლევარებისათვის. საველე კვლევა გულისხმობს საკვლევ რეგიონში ერთი წელი (ინგლისში), ან მინიმუმ სამი თვე (ავსტრია, გერმანია) ცხოვრებას. მიიჩნევა, რომ ამ ხნის მანძილზე შესაძლებელია გადაილახოს კულტურული ბარიერი (ანუ მოიხსნას

უცხო კულტურასთან შეხებით მიღებული „კულტურული შოკი"), მოპოვებულ იქნას ინფორმანტთა ნდობა და მინიმუმამდე შემცირდეს მკვლევარის არაცნობიერი გავლენა მონაცემთა ფილტრაციისას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვლევი რეგიონის ენას. ითვლება, რომ აუცილებელია იმ ჯგუფის ენის ფლობა, სადაც მუშაობს ეთნოლოგი, ამ მიზნით ხდება ეთნოლოგთა წინასწარი მომზადება.

საველე კვლევისას ეთნოლოგები იყენებენ როგორც ობიექტურ (რაოდენობრივ), ასევე სუბიექტურ (ხარისხობრივ, ინტერპრეტიულ, შეფასებით) მეთოდებს. ერთი მხრივ, მკვლევარი მუშაობს დოკუმენტურ მონაცემებზე, ადგენს ცხრილებს, იყენებს სტატისტიკურ და მათემატიკურ მეთოდებს, მეორე მხრივ, შესაძლებელია, მუშაობა მოუხდეს მცირერიცხოვან ჯგუფთან და ვერ მოახერხოს მრავალრიცხოვან და დამოუკიდებელ წყაროებზე დაყრდნობით მასალის გადამოწმება. ასეთ შემთხვევაში ერთი და იგივე ფაქტი შესაძლებელია სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვნაირად იქნეს ინტერპრეტირებული, ეს დამოკიდებულია ინფორმანტის მხრიდან „სუბიექტური" დანაშრევების არსებობაზე (მიკერძოებული განსჯა, გამორჩევითი მახსოვრობა, და სხვ.) და თავად მკვლევარზე. თუმცა ეთნოლოგებისათვის სწორედ „სუბიექტური" მეთოდებია (მონანილე დამკვირვებლობა, ბიოგრაფიული მეთოდი და სხვ.) ღირებულების მქონე.

განსაკუთრებით ნაყოფიერი მეთოდი ადამიანთა ქცევის კვლევისას არის **დაკვირვების** მეთოდი. ეს არის უნივერსალური მეთოდი, რომელსაც ყველა მეცნიერება იყენებს. დაკვირვება იმ მოვლენებისა და ფაქტების რეგისტრაციას გულისხმობს, რისი უშუალო თვითმხილველიც არის მკელევარი. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. სტატისტიკასა და დემოგრაფიაში დაკვირვებას უწოდებენ ყოველგვარ საველე პროცედურას (გამოკითხვა, ვიზუალური დაკვირვება, სახლებში შემოვლით წერილობითი მასალის შეკრება). აქ დაკვირვება სამეცნიერო ლიტერატურიდან მოპოვებული ცოდნის საპირისპიროდ არის წარმოდგენილი. ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში დაკვირვება ჰქვია პირადად, მხოლოდ მკვლევარის მიერ ვიზუალური პროცედურით მასალის მოპოვებასა და ფიქსაციას. ეთნოლოგები აკვირდებიან ცხოვრების წესს, სოციალურ ურთიერთობებს, ნეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს და ა.შ.

ეთნოგრაფიის ცალკე სამეცნიერო დისციპლინად განვითარება სწორედ სტაციონარული დაკვირვების (როცა მკვლევარი დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობს საკვლევ ჯგუფთან ერთად) მეთოდს უკავშირდება. ეთნოლოგიასვე ეკუთვნის დაკვირვების სახეების კლასიფიკაცია. როგორც აღინიშნა, დაკვირვება არის მკვლევარის მიერ პირველადი ინფორმაციის შეგროვების მეთოდი ადგილზე პირდაპირი და უშუალო რეგისტრაციის საშუალებით. დაკვირვება არსებითად ნიშნავს მოვლენების გულდასმით თვალყურის დევნებას, მათ სწორ აღქმასა და ფიქსაციას წინასწარი გეგმის მიხედვით. დაკვირვება შემეცნების უძველესი და ყველაზე ხელმისაწვდომი მეთოდია. მისი უპირატესობა მის ბუნებრიობასა და უშუალობაში მდგომარეობს. დამკვირვებელი უფრო ბუნებრივ მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე ის, მაგალითად, ვინც ტესტს ატარებს. უპირატესობაა ასევე უშუალოდ ფაქტის წარმოქმნის

დროს მისი ფიქსირების შესაძლებლობა. უშუალობა კი ემპირიული კვლევის სანდოობის ინდიკატორია. დაკვირვების მეთოდის უპირატესობებიდან შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ ყურადღებიანი დამკვირვებლისათვის არ არის აუცილებელი სპეციალური განათლების ქონა, ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურისაგან გადაუტვირთავი ხედვა უფრო საინტერესო მოვლენებს ამჩნევს; ამასთან, დაკვირვების ნარმოებისათვის არ არის აუცილებელი ოფიციალური თანხმობის ქონა, არ არის საჭირო სპეციალური აპარატურა.

სამეცნიერო დაკვირვება მოითხოვს მიზნის გამოკვეთასა და გეგმის არსებობას; წინასწარ უნდა განისაზღვროს უშუალოდ რა პროცესები და მოვლენები აინტერესებს დამკვირვებელს, რა ნიშნებით შეიძლება მათი გამოყოფა, რა პირობებში მოხდება დაკვირვება და როგორ მოხდება მასალის ფიქსაცია. ეთნოლოგიური კვლევისას დაკვირვება, გარეგნული ნიშნების ფიქსირების გარდა, მათ ახსნასაც საჭიროებს. დაკვირვების შედეგად მკვლევარი იქმნის პირველად წარმოდგენას, ამ დროს ყალიბდება ჰიპოთეზები. სამეცნიერო დაკვირვება ჩვეულებრივი დაკვირვებისაგან რამდენიმე მაჩვენებლით განსხვავდება: იგი ემორჩილება მკვეთრად გამოკვეთილ სამეცნიერო მიზანს და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ამოცანას, მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული პროცედურით, ყველა მონაცემი ფიქსირდება ანგარიშებსა ან დღიურებში გარკვეული სისტემით, დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია მონმდება. დაკვირვების მეთოდი მხოლოდ მაშინ არის მეცნიერული, თუ მკაფიოდაა გამოკვეთილი ამოცანა და ჰიპოთეზები, განსაზღვრულია დაკვირვების ობიექტი და საგანი, ასევე დაკვირვების კატეგორიები, პირობები, ერთეულები, მომზადებულია ინსტრუმენტები (დღიური, ანგარიშის ფორმა, აუდიო-ვიზუალური ტექნიკა და სხვ.). დაკვირვების ანგარიშში აუცილებელია სამი შეფასებითი მაჩვენებლის აღინიშნა: 1. დამკვირვებელთა თანხმობის კოეფიციენტი (ერთდროულად რამდენიმე დამკვირვებლის მიერ მიღებული მონაცემების თანხვედრა), 2. დაკვირვების სიმყარის კოეფიციენტი (ერთი და იგივე დამკვირვებლის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული დაკვირვების შეჯერება), 3. დაკვირვების სანდოობის კოეფიციენტი (სხვადასხვა დროს სხვადასხვა დამკვირვებლების მიერ მოგროვილი მასალის შედარება), შედეგის მისაღებად საჭიროა სისტემატური ხასიათის დაკვირვება, რაც ხანგრძლივ დროს საჭიროებს.

დაკვირვების სახეებს აჯგუფებენ ორგანიზაციის ფორმის, მკვლევარის ჩართულობის, ურთიერთობის ფორმის, სიხშირისა და ხანგრძლივობის მიხედვით. ორგანიზაციის ფორმის მიხედვით ასხვავებენ ფორმალიზებულ (ანუ სტრუქტურირებულ, სტანდარტიზებულ, კონტროლირებულ) დაკვირვებას, რომელიც მიმდინარეობს მკაცრი გეგმის მიხედვით და აქვს დეტალურად მომზადებული ინსტრუმენტული მხარე – ბარათები, ანგარიში და სხვ. და არაფორმალიზებულ (ანუ უსტრუქტურო, უბრალო, არაკონტროლირებულ) დაკვირვებას, რომელსაც წინასწარგანსაზღვრული მხოლოდ ზოგადი პრინციპული გეგმა აქვს. შესაძლებელია არაფორმალიზებული დაკვირვება მოსამზადებელი ეტაპი იყოს ფორმალიზებული დაკვირვებისათვის. გარდა ამისა, შესაძლებელია მკვლევარმა ამ ორ სტრატეგიას შორის საშუალო ფორმა მონახოს.

მკვლევარის ჩართულობის მიხედვით არჩევენ უბრალო და მონანილე დაკვირვებას. უბრალოა დაკვირვება, როდესაც ხდება ფაქტების პასიური დაფიქსირება მოვლენათა მსვლელობისას დამკვირვებლის ჩარევის გარეშე. ამ დროს დამკვირვებელმა მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას კითხვებითაც არ უნდა შეუშალოს ხელი და „გარედან" დააკვირდეს. მონანილე დაკვირვება კი გულისხმობს დამკვირვებლის მხრიდან მოვლენებში აქტიურად ჩართვას და მათ „შიგნიდან" დანახვას. ეს ფორმა ინფორმაციის მიღების ინტენსიური ფორმაა და ყველაზე ხშირად გამოიყენება ეთნოლოგთა მიერ.

ურთიერთობის ფორმის მიხედვით არსებობს ფარული და ღია დაკვირვება. ფარულია, როცა დაკვირვების ობიექტმა არ იცის რომ აკვირდებიან, ასეთ დროს მინიმალიზებულია დამკვირვებლის მხრიდან მაკორექტირებელი ზემოქმედება, თუმცა დგება ეთიკური საკითხები. ღიაა დაკვირვება, როდესაც მკვლევარის ინტერესები ცნობილია იმ გარემოსათვის, სადაც წარმოებს დაკვირვება. ორივე სახეს, ჩართულობის მიხედვით, მონანილე დამკვირვებლობის ფორმად განიხილავენ.

ეთნოლოგიაში მხოლოდ საველე, ანუ ბუნებრივ პირობებში მიმდინარე დაკვირვება გამოიყენება, რომელიც სიხშირის მიხედვით შეიძლება იყოს სისტემური (წინასწარი გეგმით, დროის გარკვეულ მონაკვეთში წარმოებული დაკვირვება) ან არასისტემური (გეგმის გარეშე წარმოებული). შეიძლება ასევე გამოვყოთ სისტემური, ეპიზოდური და შემთხვევითი დაკვირვებები.

ხანგრძლივობის მიხედვით არჩევენ მოკლევადიან და გრძელვადიან დაკვირვებას. მოკლევადიანი დაკვირვება ტარდება კვლევის პირველ ეტაპზე, ჰიპოთეზათა ფორმულირების ან მონაცემთა კონტროლისა და შევსების მიზნით. გრძელვადიანი დაკვირვება კი თვეების ან წლების, ე.ი. საველე სამუშაობის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე მიმდინარეობს.

დაკვირვების უპირატესობას ისიც განაპირობებს, რომ ამ დროს შეიძლება იმის ფიქსირება, რაც ვერ მოხერხდებოდა სხვა შემთხვევაში (მაგ. ჟესტები და სხვ.), უპირატესობაა ასევე შუამავლების გარეშე, პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ეს მეთოდი კარგად უთავსდება სხვა მეთოდებს. ხოლო ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ემოციური დატვირთულობა, მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობაში მკვლევარის ჩარევის, ზედმეტი მიმტევებლობის ან „შუალედამდე" დაყვანის საშიშროება.

დაკვირვების მეთოდთან ერთად ეთნოლოგიაში პირველადი ინფორმაციის შეკრების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია **გამოკითხვის მეთოდი.** ამ გზით ხდება მნიშვნელობათა დადგენა. გამოკითხვა მკვლევარისა და გამოკითხულის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობას ეყრდნობა. ვერბალური ინფორმაციის მიღება ხორციელდება უშუალოდ ინტერვიუს პროცესში ან ირიბად ანკეტირების გზით. ეთნოგრაფიულ გამოკითხვას ინფორმანტთან ინდივიდუალური საუბრის სახე აქვს, რაც ხორციელდება წინასწარ შედგენილი პროგრამით ან შესაძლებელია მის გარეშეც. XX საუკუნის შუა ხანებიდან ფართოდ გავრცელდა მასობრივი ხასიათის, სტატისტიკურ-რეპრეზენტე-

ტიული გამოკითხვები, რაც ინფორმაციის გადამუშავებისათვის მათემატიკურ მოდელირებას საჭიროებს.

ეთნოლოგიაში გამოკითხვის სახეებიდან უპირატესად გავრცელებულია **ინტერვიურების** მეთოდი. ინტერვიუ მეცნიერებაში ცოცხალი დიალოგის პირობებში ინფორმაციის მოპოვების მეთოდია. ინტერვიუს მიმართავენ ზონდირებისას კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე, საცდელი გამოკვლევისას და საველე კვლევის მთელ მანძილზე. ინტერვიურების პროცედურა გულისხმობს ინფორმანტის არჩევას, ადგილისა და დროის განსაზღვრას, პასუხების დაფიქსირებას და მასალის საბოლოო გაფორმებას. ინტერვიუს ტიპებია ფორმალიზებული (დეტალური პროგრამით აღჭურვილი), ნახევრად ფორმალიზებული (რომელიც მოიცავს, როგორც აუცილებელ კითხვებს, ასევე ტოვებს სივრცეს თავისუფალი ინტერვიუსათვის) და არაფორმალიზებული, ანუ ღია (ზოგადი გეგმის მქონე), ფოკუსირებული (ერთი თემის ირგვლივ კონცენტრირებული) და არაფოკუსირებული (რამდენიმე თემის ან კონკრეტული თემის არმქონე); ინდივიდუალური და ჯგუფური. ინტერვიუს სახეებია ასევე თავისუფალი ინტერვიუ, საუბარი და ნარატიული ინტერვიუ. ეთნოლოგები უფრო ხშირად იყენებენ ნახევრადფორმალიზებულ და ღია ინტერვიუს. ინტერვიურება საჭიროებს კითხვარს (განასხვავებენ ღია და დახურულ კითხვარს). ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის ხარისხი მეტწილად დამოკიდებულია როგორც გამოკითხვის პროგრამაზე, ასევე მკვლევარისა და ინფორმანტის ურთიერთობაზე.

გამოკითხვის სახეა **ანკეტირება**, რომელიც ეთნოლოგიაში რაოდენობრივი ანალიზის მეთოდის სახელითაა ცნობილი. რიგ შემთხვევებში ეთნოლოგები ანკეტურ გამოკითხვას მიმართავენ. ანკეტირების დროს პირველადი, ვერბალური ინფორმაციის შეკრება ანკეტის მეშვეობით ხდება, რაც შესაძლებელია ინფორმანტთან მკვლევარის უშუალო კავშირის გარეშეც განხორციელდეს. ანკეტირების სახეებიდან ეთნოგრაფიაში თითქმის არ გამოიყენება საფოსტო და საგაზეთო ანკეტირება. ბოლო დროს ეთნოფსიქოლოგიური, ტერმინოლოგიური და სხვა საკითხების კვლევისას იყენებენ ტესტებს.

ეთნოლოგები ფართოდ იყენებენ **ბიოგრაფიულ მეთოდს** სიცოცხლის გზის ტიპური სტრუქტურის ან თაობათა კოლექტიური ბიოგრაფიის საკვლევად. ბიოგრაფიული მეთოდი სათავეს ჩიკაგოს სოციოლოგიური სკოლიდან იღებს (XXსაუკუნის დასაწყისი). იგი გულისხმობს სოციალურ-ისტორიულ მონაცემთა ანალიზის, ცალკეული პირების სიცოცხლის გზის რეკონსტრუქციას. ნყაროებს წარმოადგენს ნარატიული ტექსტები, მიმონერა, მოგონებები, დღიურები, ავტობიოგრაფიები, სოციალური ბიოგრაფიები. ბიოგრაფიული მონაცემები მუშავდება კონტენტ-ანალიზის, სტატისტიკისა და ტიპოლოგიის მეშვეობით. ბიოგრაფიული მეთოდის სახეებია: 1. ზეპირი ისტორია, 2. „სიცოცხლის ისტორია" (life history) და 3. ოჯახის ისტორია. სიცოცხლის ისტორია იყოფა: სრულ, თემატურ და რედაქტირებულ ისტორიად. ბიოგრაფიულ მეთოდს ბევრი რამ აქვს საერთო მონაწილე დაკვირვებასთან. მისი გამოყენებით კვლევის პრინციპებია: ადამიანების ბუნებრივ გარემოში შესწავლა, უშუალო კონტაქტის შესაძლებლობა და სოციალური სამყაროს გაგებით თეორიული დასკვნების გამოტანა. ბიოგრაფიული მეთო-

დი ხარისხობრივ მეთოდთა რიგს განეკუთვნება და ემყარება იდეას, რომ სოციალური რეალობა ავთენტურად, მართებულად და სრულად შეიძლება რეკონსტრუირდეს არა მხოლოდ ობიექტურ ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ ადამიანთა მონათხრობზე დაყრდნობითაც. თუმცა ამ მეთოდის გამოყენებისას დგება საკითხი სანდოობის ხარისხის შესახებ, ამავე დროს უდამნერლობო ხალხის შესწავლისას იგი შეუცველელი მეთოდია.

საველე მუშაობის შემადგენელი ნაწილია კულტურის ცალკეული ელემენტების **კარტოგრაფირება** მათი ტიპების, რაოდენობრივი მახასიათებლების და ა.შ. მიხედვით. უშუალოდ ველზეკე იქმნება სტრუქტურულ-არეალური რუკები. ეთნოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კარტოგრაფირებაა. იგი გულისხმობს რუკების მეშვეობით დადგინდეს სხვადასხვა ისტორიული პერიოდის დამახასიათებელი ნიშნებისა და ტრადიციული კულტურის ელემენტების სივრცობრივი გავრცელების არეალები. პირველი ასეთი რუკები XIX საუკუნის ევროპაში გაჩნდა. XX საუკუნის დასაწყისიდან კი გეგმაზომიერად დაიწყო ისტორიულ-ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) რუკების შედგენა. მეცნიერები ცდილობდნენ დაედგინათ ტრადიციული კულტურის სხვადასხვა ელემენტების გავრცელების არეალი. კულტურის ელემენტების კარტოგრაფირებისათვის შერჩევისას სამ პრინციპს ექცევა ყურადღება, ესენია – გავრცელების უნივერსალურობა, შედარებითობა და შესწავლადობა. ამის საფუძველზე კარტოგრაფირებისას ტრადიციულად შემდეგ თემებს გამოყოფენ: 1. მინათმოქმედება, მესაქონლეობა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, 2. დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობები, 3. საკვები, 4. ტრადიციული ტანსაცმელი და მისი დამუშავების ტექნიკა, 5. ხალხური სატრანსპორტო საშუალებები, 6. სოციალური ურთიერთობები, 7. ოჯახი და ქორწინება, 8. სასიცოცხლო ციკლის ხალხური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები, 9. კალენდარული წეს-ჩვეულებები, 10. ხალხური რწმენა-წარმოდგენები. ამ საკითხების მიხედვით დგება თემატური ატლასები, ამასთან, ატლასთა უმეტესობა რამდენიმე თემას მოიცავს. კარტოგრაფირების მიზნით შერჩეული საკვლევი ტერიტორიის ეთნოგრაფიული შესწავლა ხდება ექსპედიციის ან კორესპონდენტთა ფართო ქსელთან მუშაობის საშუალებით და გამოიყენება სპეციალური პროგრამა (კითხვარი). კითხვარის შედგენას წინ უძღვის სამუზეუმო მასალისა და საარქივო მონაცემების შესწავლა-დამუშავება და ამ საფუძველზე საკვლევი ობიექტის (მოვლენის) კლასიფიკაცია და ტიპების გამოყოფა. კარტოგრაფირებისას ტრადიციული კულტურის ელემენტების ფიქსაციისა და მათი გავრცელების არეალის დადგენის გარდა, აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორების გავლენით მათი ცვლილებების ჩვენებაც, ანუ წარმოდგენილი უნდა იყოს დინამიკა. ამისათვის დგინდება ქრონოლოგიური ჩარჩოები. კულტურის ელემენტების განვითარების დინამიკა რუკებზე, ჩვეულებრივ, რაოდენობრივი მახასიათებლებით არის წარმოდგენილი. ამასთანავე, მიმართავენ სამ-საფეხურიან დაყოფას: „ძირითადი" (რეგისტრირებული შემთხვევების მინიმუმ 65%), „ჩვეული" (10-დან–65%-მდე) და „იშვიათი" ან „ერთეული" (10%-ს ქვევით). ასე დაჯგუფებული ელემენტები რუკაზე სპეციალური ნიშნებით

(ზომით განსხვავებული ან სხვ.) აღინიშნება. თითოეული ელემენტის კვლევა დიაქრონიულ (სტადიალურ) და სინქრონიულ-რაოდენობრივ ჭრილში მიმდინარეობს. ასეთი კომპლექსური მიდგომა საკითხის ყოველი მხრივ შესწავლის გარდა, საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კულტურულ-ყოფითი ცვლილებების მიზეზები. კარტოგრაფირებისათვის ტერიტორიული ერთეულის შერჩევა პირველ რიგში დამოკიდებულია რეგიონსა და ქვეყანაზე, კვლევის მასშტაბსა და მასალის ხასიათზე. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ მასალის რუკაზე დატანის, არეალის, ფერისა და ფონის განსაზღვრაზეც. მიღებული არეალები ამა თუ იმ ისტორიულ-კულტურული პროცესის განვითარების სიღრმეზე მსჯელობის საშუალებას იძლევა. საინტერესო კანონზომიერებები ვლინდება არეალების ერთმანეთზე დაშრევებით. კარტოგრაფირების შედეგად მასალის ეთნოგრაფიული კლასიფიკაცია სუბიექტურ განზოგადებებზე არ არის დამოკიდებული, არამედ იგი ეფუძნება მკაცრ სამეცნიერო ანალიზსა და კულტურის ელემენტების მრავალრიცხოვანი არეალების, ტიპებისა და კომპლექსების ინტერპრეტაციას. გავრცელებულია ეთნიკური კარტოგრაფირება, ანუ ეთნიკური ჯგუფების რუკაზე ასახვა, ეთნოლინგვისტური მაჩვენებლებით არეალების გამოსახვა. ეთნიკური პროცესების კარტოგრაფირებისას მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური გარკვეულობა. ეთნოლოგიურ ატლასებს, ჩვეულებრივ, თან ერთვის ტექსტები და ტიპოლოგიური ცხრილები, რომლებიც ხსნის რუკებს. თემატური, ქვეყნის, რეგიონის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) რუკების გარდა გვხვდება აგრეთვე ეთნიკური, ლინგვისტური, რელიგიური შემადგენლობის ამსახველი რუკები, ბოლო დროს კი გაიზარდა მოთხოვნილება შერეული ეთნიკური დასახლებებისა და კონფლიქტური ზონების მიმართ, ასევე გავრცელებულია კომპლექსური კარტოგრაფირება, როდესაც რუკებზე ერთდროულად არის ასახული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები და მათი ურთიერთობა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართველი ეთნოლოგის – გიორგი ჩიტაიას მიერ შემუშავებული **<u>კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის</u>** მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ქართულმა ეთნოგრაფიულმა სკოლამ. გ. ჩიტაიასავე განმარტებით, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენება გულისხმობს ეთნოლოგიური მოვლენების შესწავლას ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიზმის პრინციპის დაცვით. ამ მეთოდის თვალსაზრისით, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. უმჯობესია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით დაფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. მეთოდი ითვალისწინებს ცალკეული პატარა თუ დიდი სოციალური ერთეულების (ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, თემი და სხვ) ღრმად შესწავლას. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი ხალხის (ეთნოსის) ეთნოგრაფიული სინამდვილე რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსია, რომელშიც მიმდინარეობს ბრძოლა ძველისა ახალთან. ამასთან, მოვლენების ფიქსაციის დროს, ნაცვლად მათი სუბიექტურ-რაოდე-

ნობრივი აღწერილობისა, აუცილებელია ობიექტურ-ხარიხსობრივი აღწერილობა.

შედარებით-ისტორიული მეთოდს დასავლურ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, შედარებით, ინტერკულტურულ, კომპარატივისტულ მეთოდს უწოდებენ. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შედარების საფუძველზე გამოვლინდეს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების განვითარების პროცესებში არსებული საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები და დადგინდეს ამ მსგავსების ან განსხვავების მიზეზები. თითოეულ შედარებით-ისტორიულ კვლევას კონკრეტული მიზნები აქვს, განსაზღვრული აქვს ნყაროთა ნრე და შედარების ხერხების თავისებურებები. ძირითადად გამოიყენება სამი სახის ისტორიული შედარება: 1. ისტორიულ-ტიპოლოგიური (რომელიც კონკრეტული მოვლენების მსგავსებას იკვლევს და სხვადასხვა წარმოშობის მოვლენების მსგავსებას გენეზისისა და განვითარების მსგავსი პირობებით ხსნის), 2. ისტორიულ-გენეტიკური (სნავლობს მოვლენების გენეტიკურ კავშირებს მათ განვითარებაში ე.ი. დიაქრონიულად) და 3. ისტორიულ-დიფუზიური (სნავლობს ნასესხობის გზით გავრცელებულ მოვლენებს). შედარებით-ისტორიული მეთოდი მსოფლიო ხალხების კულტურისა და ყოფის სხვადასხვა ელემენტებს სრულიად განსხვავებულ ხალხებში აღმოჩენილ მსგავს ფაქტებზე დაყრდნობით იკვლევს. ამ მეთოდით სნავლობენ ერთი ხალხის კულტურულ გავლენას მეორეზე, ცდილობენ დაადგინონ მათი ნათესაობა და გამოავლინონ ისტორიული პროცესების საერთო კანონები. ეს მეთოდი შედარების გზით ისტორიული მოვლენების, საფეხურებისა და განვითარების ტენდენციების გამოვლენის საშუალებას იძლევა. ისტორიული შედარების პირველი მცდელობები ჯერ კიდევ ჰეროდოტესთან გვხვდება. ამ მეთოდისადმი ინტერესი XVI საუკუნის გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად გაიზარდა. XIX საუკუნეში კი შედარებით-ისტორიული მეთოდი ძირითად მეთოდად იქცა ევოლუციონისტებისთვის. დღეს შედარებითი (ინტერკულტურული, კომპარატივისული) მეთოდი ფართოდ გამოიყენება ეთნოლოგიაში, რადგან ეთნოლოგია თავისი არსით შედარებითი (შედარებითი, როგორც დიაქრონულ, ისე სინქრონულ ჭრილში) მეცნიერებაა. ამ მეთოდის გამოყენება ისტორიულ ეთნოგრაფიაში კულტურულ-გენეტიკური კვლევებისთვის მიზნად ისახავს ეთნიკური კულტურის, ასევე მის შიგნით თუ უფრო ფართო არეალში ამა თუ იმ კულტურული მოვლენის წარმომავლობისა და ფორმირების შესნავლას. ამასთან ერთად, ჯერ ტარდება კულტურის სხვადასხვა ელემენტების შედარებით-ტიპოლოგიური კვლევა, ასევე სხვა კულტურებთან ტიპოლოგიურად მსგავსი კომპონენტების კარტოგრაფირება და გავრცელების არეალის დადგენა (როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეებზე). შემდეგი ეტაპია ტიპოლოგიურად განსხვავებული, მაგრამ გენეტიკურად დაკავშირებული კომპონენტების კვლევა უძველეს ფორმებამდე (არქეტიპებამდე). ასეთი კვლევებისათვის ნყაროებია როგორც რეალურად ფუნქციონირებადი ობიექტები, ასევე მონათხრობის საფუძველზე რეკონსტრუირებული, ნერილობით ნყაროებში დაფიქსირებული ან არქეოლოგიური ობიექტები, მათი შედარებითი კვლევით დგინდება ამა თუ იმ მოვლენის ისტორიული განვითარების გზა. დღეს შედარებით-ისტორიული მეთოდი

გამოიყენება როგორც კულტურული ტიპოლოგიის მეთოდი, რომელიც უარყოფს ისტორიული განვითარების ერთიანი კანონზომიერების არსებობას და ყურადღება მახვილდება მსოფლიო ხალხთა კულტურების არა საერთო, არამედ განმასხვავებელ მახასიათებლებზე.

ისტორიული მეთოდებიდან ეთნოლოგებისთვის ერთ-ერთი მეთოდი **არქეოლოგიური მასალის** კვლევაა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხს. რაც საშუალებას იძლევა მაღალი სიზუსტით იქნას რეკონსტრუირებული ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური და კულტურული ისტორია, განისაზღვროს ისტორიული მოვლენების ზუსტი დრო და არტეფაქტების ასაკი.

ტიპოლოგიური მეთოდი თანამედროვე ეთნოგრაფიაში ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. იგი აანალიზებს ეთნიკური მოვლენების ემპირიული მრავალფეროვნების თავისებურებებსა და საერთო მახასიათებლებს.ამ მეთოდის ცენტრალური ცნებაა ტიპი, როგორც იდეალური მოდელი, რომელიც მოვლენათა გარკვეული სიმრავლის ზოგიერთ მახასიათებელს ასახავს, მაგრამ წინასწარვე უარყოფს სხვა მახასიათებლებს, როგორც არაარსებითს. ამ თვალსაზრისით, ტიპოლოგიის საფუძველში, რომელიც სინქრონიულ ჭრილს ეხება, იგივე პრინციპებია, რომლებიც ასევე აუცილებელია პერიოდიზაციისთვის (ანუ დიაქრონიული ასპექტისთვის). ტიპოლოგია პერიოდიზაციასაც ჰგავს, რადგან ორივე ერთასპექტიანია, საგანი მკვეთრადაა განსაზღვრული და სავალდებულოა დაყოფის ლოგიკური პრინციპის დაცვა. მაგრამ კლასიფიკაციისაგან ტიპოლოგიზაცია განსხვავდება დამოუკიდებელი კვლევითი პროცედურით. „კლასი" ნიშნავს რეალური ობიექტების ერთობლიობას, მაშინ როცა ტიპი წარმოადგენს გარკვეულ იდეალურ ობიექტს, რომელიც კონსტრუირებულია მკვლევარის მიერ მთელი რიგი თვისებების ერთობლიობის მიხედვით. ტიპოლოგიური მეთოდი საშუალებას იძლევა არა მხოლოდ უკვე ფიქსირებული მოვლენების ანალიზისას, არამედ ისეთი კონკრეტული ობიექტების არსებობის წარმოსახვისას, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია მეცნიერებისათვის. ტიპოლოგიური მეთოდი საშუალებას იძლევა ერთგვარი მოვლენების მთელი ერთობა განხილულ იქნას, როგორც ერთიანი, დახურული სისტემა. ტიპოლოგიური მეთოდის პროცედურა საკვლევი ობიექტების გარკვეული რაოდენობის თვისებების („დიფერენციული ცვლადების") გამოვლინებასა და ფორმულირებაში მდგომარეობს. ამასთან ერთად, რაც უფრო დიდია ობიექტების რიცხვი, მით უფრო დაბალია ტიპოლოგიის დონე და მით უფრო კერძო ხასიათს ატარებს მკვლევარის მიერ კონსტრუირებული ტიპი; ანუ ტიპოლოგიას ყოველთვის იერარქიული ხასიათი აქვს. ამასთან დაკავშირებით ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებისას ყველაზე დიდი პრობლემა დიფერენციული ცვლადების შეფარდებითი მნიშვნელობის განსაზღვრა და მათ იერარქიაში წამყვანი დონის გამოვლენაა, იმისა, რომლის შესატყვისიც იქნება ძირითადი მოდელი („ტიპი" ვიწრო მნიშვნელობით იხმარება, უფრო მაღალი დონის მოდელი აღინიშნება ტერმინით „ტიპთა ჯგუფი", უფრო დაბალი დონისა კი – „ქვეტიპი" და ა.შ.). პროცედურით ტიპოლოგიური მეთოდი შედარებით ისტორიულ მეთოდთანაა მჭიდროდ დაკავშირებული.

შედარებით-ისტორიულ მეთოდთანაა დაკავშირებული ასევე **გადმონაშთების მეთოდი.** ეს არის ედუარდ ტეილორის მიერ შემუშავებული კვლევის ხერხი. მისი არსი ის გახლავთ რომ, ყველა ხალხის კულტურაში შემორჩენილია წარსულის გადმონაშთები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნები განვითარების უფრო ადრეული საფეხურების შესახებ. გადმონაშთი არის კულტურული რელიქტი, ნარჩენი მოვლენა კულტურაში, რომელიც ჩვევის ძალით არის გადმოტანილი განვითარების იმ სტადიიდან, რომლისთვისაც ის იყო დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით, გადმონაშთები მიიჩნევა წარსულის ძეგლად ან ცოცხალ მოწმედ. ტერმინიც ტეილორის მიერ არის დამკვიდრებული XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მეთოდის პროცედურა შემდეგში მდგომარეობს: გადმონაშთების მიხედვით საკვლევი მოვლენის რეკონსტრუქცია და ჰიპოთეტურად მთელი კულტურული ეპოქების ან სოციო-კულტურული სტადიების აღდგენაა შესაძლებელი. მეთოდი ძალიან პოპულარული იყო ევოლუციონისტთა შორის. ტეილორის მიხედვით გადმონაშთებს შეიძლება ჰქონოდათ შემდეგი მნიშვნელობები: 1. ისინი წარსულის უცვლელი ნაშთებია, 2. შეიძლება დროთა ვითარებაში, ახალ პირობებთან შეგუებისას შეცვლილი შეხედულებები და წეს-ჩვეულებები და 3. აგრეთვე ეს შეიძლება იყოს აღორძინებული ძველი წეს-ჩვეულებები და წარმოდგენები. დღეს ეთნოლოგთა ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს ამ მეთოდის სამეცნიერო მნიშვნელობას. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ გადმონაშთად აღიარებული მოვლენის წინასწარი, ზედმიწევნითი ისტორიული ანალიზის დროს ეს მეთოდი გამართლებულია, თუმცა აღიარებენ, რომ ყოველთვის არაა შესაძლებელი ასეთი ისტორიული კვლევის ჩატარება. (ამ აზრს ძირითადად რუსული ეთნოლოგიური სკოლის წარმომადგენლები იზიარებენ). არსებობს ასევე თვალსაზრისი, რომელიც თვით გადმონაშთების არსებობას უარყოფს, რადგან კულტურის ყველა კომპონენტს აქვს აზრი მხოლოდ მის თანამედროვე კონტექსტში, შესაბამისად, იგი არ შეიძლება აღქმულ იქნას უფუნქციო რელიქტად (ასეთია ფუნქციონალისტების მიდგომა). აზრთა სხვადასხვაობის გამო დღემდე საკამათოა გადმონაშთების მეთოდის გამოყენება.

სტრუქტურულ-ფუნქციური მეთოდი არის სისტემის ანალიზის ხერხი. ამოსავალი იდეა იმისი აღიარებაა, რომ დაკვირვების ობიექტის ელემენტარული სტრუქტურები გარკვეულ ფუნქციას ასრულებს სისტემის შიგნით ან უფრო დიდი სტრუქტურებისთვის (რედკლიფ-ბრაუნი, მალინოვსკი და სხვ). ამ მეთოდის მიხედვით, საზოგადოება განიხილება როგორც ფუნქციონალური სისტემა, რომელიც ხასიათდება ნებისმიერი სისტემის ისეთი ფუნქციით, როგორიცაა სიმყარე. ამ სიმყარის საფუძველი კვლავწარმოება და სისტემის ელემენტების ნონასწორობაა. სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომა საშუალებას იძლევა დადგინდეს სისტემის ფუნქციონირების საერთო, უნივერსალური კანონზომიერებები. სისტემად განიხილება ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტი და ორგანიზაცია. სტრუქტურულ-ფუნქციური მიდგომის ყურადღების ცენტრში სოციალური სტრუქტურის ფუნქციონირებისა და კვლავწარმოების პრობლემებია მოქცეული. სტრუქტურა აღქმულია როგორც ყოველმხრივ ინტეგრირებული და ჰარმონიზებული სის-

ტემა. სოციალური ინსტიტუტის ფუნქციები განისაზღვრება სოციალური სტრუქტურის ინტეგრაციასა და წონასწორობასთან მიმართების მიხედვით. სოციალური სტრუქტურის დინამიკა სოციალური წონასწორობის შენარჩუნების, ანუ „კონსენსუსის პრინციპით" იხსნება. ამ მეთოდს იყენებდნენ არა მხოლოდ საზოგადოებრივი სისტემის შიგნით ჰარმონიული წონასწორობის ანალიზის, არამედ კონფლიქტის გაჩენისა და გადაჭრის მექანიზმების ასახსნელადაც. თუმცა ყურადღების ცენტრში ყოველთვის სტაბილური საზოგადოებრივი სისტემა იყო მოქცეული, განყენებულად, დიაქრონიული კავშირების გათვალისწინების გარეშე. მოგვიანებით მეთოდში ისტორიზმის პრინციპების დანერგვის მცდელობამ არ გაამართლა, რამაც თანამედროვე ეთნოლოგების წინაშე დასვა საკითხი თვით მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. სტრუქტურულ-ფუნქციურ მეთოდს დაუპირისპირდა სისტემური მიდგომა, რომლის მიხედვითაც სისტემაში სხვადასხვა ცვლადების არსებობის აღიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ გარკვეული სტრუქტურის ფუნქცია შეიძლება ამ ცვლადების ზემოქმედებით შეიცვალოს.

<u>კომპონენტური ანალიზი</u> არის მოვლენის ერთიანი არსის დახასიათების მეთოდი მისი შემადგენელი სტრუქტურული კომპონენტების გამოვლენის საშუალებით. ეს მეთოდი ფართოდ დამკვიდრდა ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების შესწავლისას. კომპონენტური ანალიზის პროცედურა დეტალურად იქნა შემუშავებული XXსაუკუნის 50-იან წლებში. კომპონენტური ანალიზის მიზანია თითოეული ტერმინი წარმოადგინოს ნიშნების თანაწყობის სპეციფიკურ სახედ (დიფერენციალურ ცვლადად), რომელიც აგებულია ოპოზიციების პრინციპით.

<u>მჭიდრო აღწერილობის მეთოდი</u> კლიფორდ გირცის სახელს უკავშირდება. თვით ტერმინი მან დაამკვიდრა ინტერპრეტატიულ ანთროპოლოგიაში. მჭიდრო აღწერილობა საველე სამუშაოს ფორმაა. ეს არის არა უბრალო აღწერილობა, არამედ აღწერილობისა და ინტერპრეტაციის კომბინაცია. მჭიდრო აღწერილობის მეთოდი ძლიერ ტიპიზირებულია და თეორიული იდეების, ტერმინებისა და ტერმინთა სისტემების დახმარებითაა წარმოდგენილი. იგი მიკროსკოპულია და დიდი მოვლენებიდან მცირესკენაა მიმართული. იგი ემყარება მონაცემთა ინტერპრეტაციას, რომლებიც „მეორე ხარისხის კონსტრუქციებადაა" აღქმული. ამდენად, მჭიდრო აღწერილობის მონაცემები წარმოსახვითია, კონსტრუირებულია და სუბიექტურ აღქმაზეა დამოკიდებული. აუცილებელი მოთხოვნა მჭიდრო აღწერილობის მეთოდისადმი არის ვერიფიცირებადობა და, შეძლებისდაგვარად, ესთეტიკისგან თავისუფლება. ასეთი აღწერილობა სოციალურ ჯგუფებს ახასიათებს და არა ინდივიდებს, თუმცა მოქმედ პირზეა ორიენტირებული, ესე იგი, მჭიდრო აღწერილობა გულისხმობს ეთნოლოგთა თვალით დანახულ მოქმედ პირთა გამოცდილების მჭიდრო აღწერილობას.

ეთნოლოგიაში მნიშვნელოვანია **<u>დოკუმენტების ანალიზი.</u>** დოკუმენტების ანალიზი დოკუმენტური წყაროებიდან ინფორმაციის ამოღების, სოციალური მოვლენებისა და პროცესების კვლევისას გარკვეული კვლევითი ამოცანების გადაჭრის მიზნით გასატარებელი მეთოდური ხერხებისა და პროცედურების ერთიანობაა. დოკუმენტებად წერილო-

ბითი წყაროების გარდა მიიჩნევა ასევე იკონოგრაფიული დოკუმენტები, ვიზუალურად, ფონეტიკურად აღქმადი დოკუმენტები (მათ შორის ყოფის ელემენტები) და ზეპირი გადმოცემები. როცა დოკუმენტები არ შეიცავს ტექსტს, ყურადღება ვიზუალურ, სივრცობრივ და სტილის ელემენტებზე მახვილდება. დოკუმენტები სანდო მოწმობად მიიჩნევა. ეს ეხება როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დოკუმენტებს თუმცა კვლევისას მათდამი კრიტიკული დამოკიდებულებაა საჭირო პრაქტიკულად ყოველი კვლევა იწყება საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული დოკუმენტების ანალიზით. რეკომენდირებულია როგორც საპილოტაჟე, ისე ძირითადი საველე კვლევის წინ დამუშავებულ იქნას საკვლევი რეგიონისა თუ საკვლევი თემის ირგვლივ არსებული დოკუმენტები (მაგ. თუნდაც სტატისტიკური მონაცემები და სხვ.). დოკუმენტებად მიიჩნევა ასევე ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფებთან შეერებილი მასალა, სადაც მონაწილეთა ყოველი სიტყვა ფიქსირდება. დოკუმენტები მის შემქმნელზე დიდხანს არსებობს და ხელმისაწვდომია სხვა კულტურებისა და სუბკულტურების წარმომადგენელთათვის, ამიტომ დოკუმენტების ანალიზის მეთოდი გამოიყენება როგორც ისტორიული კვლევებისათვის, ასევე ისეთი საზოგადოებების კვლევებისთვისაც, რომლებიც რაიმე მიზეზით ხელმიუწვდომელია მკვლევარისათვის. დოკუმენტების ტრადიციული ანალიზი წარმოადგენს ლოგიკური მსჯელობების ერთიანობას, რომელიც მიმართულია საკვლევი მასალის ძირითადი შინაარსის გახსნისაკენ. უმეტეს შემთხვევაში მკვლევარისათვის საინტერესო ინფორმაცია დოკუმენტებში ღია ფორმით არ არის გაცხადებული, არამედ ისეთი ფორმითაა წარმოდგენილი, რომ პასუხობს დოკუმენტის შექმნის მიზნებს, რაც იშვიათად ემთხვევა მკვლევარის ინტერესს. ტრადიციული ანალიზი საშუალებას იძლევა ინფორმაციის პირველადი ფორმა გარდაიქმნას იმ ფორმად, რაც მკვლევარს აინტერესებს. ამისათვის საჭიროა დადგინდეს დოკუმენტის ავტორი, დოკუმენტის შექმნის მიზნები და სოციალური კონტექსტი, ფაქტების შესაბამისობა რეალობასთან, ავტორის სტატუსის, მდგომარეობის, შეხედულებების გავლენა დოკუმენტზე. ამ კითხვებზე პასუხის ძიებისას მკვლევარი დოკუმენტის შინაარსის სიღრმეს წვდება. დოკუმენტების ანალიზი დამოუკიდებელი შემოქმედებითი პროცესია, რომელიც დამოკიდებულია: თვით დოკუმენტის შინაარსზე, კვლევის პირობებზე, მიზნებსა და ამოცანებზე, მკვლევარის კვალიფიკაციაზე, გამოცდილებასა და ინტუიციაზე. მკვლევარის პიროვნება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დოკუმენტების ანალიზზე, ამდენად, არსებობს სუბიექტური შეფასების გარკვეული საშიშროება. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად შემუშავდა დოკუმენტების ანალიზის ფორმალური სახე – კონტენტ-ანალიზი.

<u>კონტენტ-ანალიზი</u> – იგივე დოკუმენტების (ტექსტების) შინაარსის ანალიზი კვლევის სტანდარტულ, უკვე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს. იგი ეფუძნება ტექსტის (ინფორმაციის) რაოდენობრივ-სტატისტიკური მახასიათებლების ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენება კომპიუტერული ტექნოლოგიების განვთარებასთანაა დაკავშირებული. მისი უპირატესობა ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ფაქტოგრაფიული მონაცემების ოპერატიულ მიღებაში მდგომა-

რეობს. კონტენტ-ანალიზი ორი ტიპისაა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი. მისი მეშვეობით შეიძლება ისეთი განსხვავებული სახის ტექსტების ანალიზი, როგორიცაა მასობრივი მედიის ინფორმაციები, პოლიტიკურ მოღვაწეთა განცხადებები, სამართლებრივი აქტები, ლიტერატურული ტექსტები, ისტორიული დოკუმენტები და სხვ. კონტენტ-ანალიზის გამოყენების პირობა ინფორმაციის მატარებლის არსებობა ან აღდგენის შესაძლებლობაა. რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის ჩატარება შემდეგ პროცედურას მოიცავს: დგინდება წყაროები, შეირჩევა ცნობათა ჯგუფი, დგინდება ანალიზის ერთეული, გამოიყოფა თვლის ერთეული, ტარდება გამოთვლები და ბოლოს ხდება მიღებული შედეგის ინტერპრეტაცია. ხარისხობრივი კონტენტ-ანალიზი ინფორმაციის მინაარსზე ყურადღების გამახვილებით სიტყვების, თემებისა და ცნობების კვლევას წარმოადგენს: დგება ლექსიკონი, სადაც დაკვირვებები შემდგომი ინტერპრეტაციის მიზნით კლასებად ლაგდება.

ცალკე უნდა აღინიშნოს **ვიზუალური ანთროპოლოგიის მეთოდები.** ვიზუალური ანთროპოლოგია ინტერდისციპლინარული დარგია, რომელიც დოკუმენტური კინემატოგრაფიისა და ჰუმანიტარული დარგების გასაყარზე დგას. ვიზუალური ანთროპოლოგიის საგანია ეთნოგრაფიული ფოტოების, ჩანახატებისა და ეთნოგრაფიული ფილმების შექმნა და ანალიზი, რასაც დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ვიზუალური ანთროპოლოგია ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის ნიაღში გაჩნდა და დღეს კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დღეისათვის ამ სფეროში დიდძალი მეთოდოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და თეორიული მასალაა დაგროვილი. ვიზუალური ანთროპოლოგიის ქვედარგად ჩამოყალიბება ჰ. ბეიტსონისა და მ. მიდის ნამუშევრებს უკავშირდება. მოგვიანებით გაჩნდა ეთნოგრაფიული კინოს სკოლები: ჰარვარდის სკოლა (ჯ. მარშალი, რ. არდნერი, ტ. ეში), ფრანგული სკოლა (ჟ. რუში), კალიფორნიული სკოლა, კანადური პროექტი, ავსტრალიური სკოლა და სხვ. ვიზუალური ანთროპოლოგიის საველე მეთოდები იგივე ეთნოგრაფიული საველე მეთოდებია: აუცილებელია საკვლევ რეგიონში ხანგრძლივად ყოფნა, ადგილობრივ კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია, მისი სიმბოლური სამყაროს განცდა, მკვლევარმა არ უნდა შეცვალოს მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობა, სასურველია ადგილობრივი ენის ცოდნაც ინფორმაციის პირდაპირ, დაუმახინჯებლად მისაღებად. მასალის ფიქსირებისას არ უნდა იქნას რაიმე გამოტოვებული, მნიშვნელოვანია ყურადღების ყოველდღიურ ყოფაზე გამახვილება და არა ეგზოტიკურზე და მკვლევარისთვის განსაცვიფრებელ მოვლენებზე. ძირითადი განსხვავება ვიზუალურ ანთროპოლოგიასა და „ნარატიულ" ეთნოლოგიას შორის ის არის, რომ ვიზუალური ანთროპოლოგია კვლევის შედეგს ვიზუალურად წარმოადგენს. ამისათვის კი შეკრებილი მასალა მნიშვნელოვან დამუშავებას საჭიროებს და მკვლევარისათვის „ველი" ფაქტობრივად საველე სამუშაოებიდან დაბრუნების შემდეგაც გრძელდება. ზოგადად ეთნოლოგიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი ეთიკური საკითხია, რომელიც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას მასალის ვიზუალურად წარმოდგენისას იძენს. არსებითი საკითხია, თუ ვისთვის არის განკუთვნილი საბოლოო

პროდუქტი. არსებობს წმინდა სამეცნიერო მიზნების მქონე ნამუშევრები, მაგრამ დღეს ინფორმაციული ტექნოლოგიების მაღალი განვითარებისა და საინფორმაციო სივრცის ერთიანობის გამო ისინიც ხელმისაწვდომია ფართო აუდიტორიისათვის. ამდენად, მკვლევარს ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მაყურებლის, ასევე ვიზუალურად წარმოდგენილი კულტურის წინაშე; რის გამოც ეთნოლოგთა ნაწილი მიუხედავად იმისა, რომ ვიზუალურ ინფორმაციას ფლობს, არ ჩქარობს მის გამოქვეყნებას. გადმოცემის ხერხის მიხედვით ვიზუალურ მასალას პირობითად თარგმანს, ინტერპრეტაციასა და ასახვას უწოდებენ. „თარგმანად" მიიჩნევენ ავტორის კულტურული კონტექსტიდან გადმოცემულ ინფორმაციას, სადაც ჩვეული ან ეგზოტიკური მახასიათებლები მათი არსის გადმოცემის გარეშეა მოწოდებული. „ინტერპრეტაცია" ან რეკონსტრუქციაა, როცა მთლიანი კულტურა მისი ცალკეული ელემენტების გადმოცემითაა რეკონსტრუირებული. ხოლო „ასახვა" ან რეპორტაჟი უცხო კულტურაში მისდამი კეთილგანწყობილი ჩაღრმავების მცდელობაა, როდესაც იგი „შიგნიდან", ანუ ემიკური ხედვითაა წარმოდგენილი. ამ დროს ავტორს შეუძლია ორიდან ერთ-ერთი მიდგომა აირჩიოს: მისი არსებობა ან საერთოდ არ უნდა იგრძნობოდეს და მოვლენას გადმოსცემდეს ნათლად, ან მისი პოზიცია დაფიქსირებული უნდა იყოს და თავადვე იყოს „გზამკვლევი" მაყურებლისთვის. საჭიროა რიგ შემთხვევებში ვიზუალური მასალისთვის ტექსტის დართვაც.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ შორის ეთნოლოგიაშიც, <u>მათემატიკური მოდელირების მეთოდი ფართოდ დანერგა.</u> ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი მათემატიკურ-სტატისტიკური, კულტურათაშორისი კვლევებისადმი მსოფლიო ხალხთა კულტურის ამა თუ იმ მახასიათებლის ვარიაბელურობის ან კორელაციის შესწავლის მიზნით, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ნიშანთა ჯგუფები და მოხდეს მათი პროეცირება ნარსულში, პირველყოფილ საზოგადოებამდეც კი. მათემატიკურ მოდელირებას ხშირად მიმართავენ ეთნოსოციოლოგიური საკითხების კვლევისას. იგი სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ჰუმანიტარულ სფეროში. მას, როგორც დამაკავშირებელ რგოლს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეთოდებს შორის „მესამე მეთოდსაც" უწოდებენ. მათემატიკური მოდელირება მნირი საშუალებებით დიდი ამოცანების გადაჭრის საშუალებას იძლევა. ერთი მხრივ, აშკარაა ინფორმაციის გადამუშავების, გადაცემისა და შენახვის შთამბეჭდავი პროგრესი, რომ „ინფორმაციული" რესურსების გარეშე შეუძლებელია სამეცნიერო პრობლემების გადაჭრა, მაგრამ ინფორმაცია, როგორც ასეთი, ზოგჯერ ცოტას იძლევა ანალიზისა და პროგნოზისთვის. საჭიროა ინფორმაციული „ნედლეულის" „პროდუქტად" გადამუშავების საიმედო ხერხები, რასაც გვთავაზობს ინფორმაციული ტექნოლოგიების ბირთვი – მათემატიკური მოდელირება. მათემატიკური მოდელი მათემატიკური ცნებების მეშვეობით რეალობის გამარტივებულ აღწერილობას ნიშნავს. მათემატიკური მოდელირება კი არის რეალური პროცესების და მოვლენების, მათემატიკური მოდელების შექმნისა და კვლევის პროცესი. ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

მათემატიკური აპარატის გამოყენებისას ფაქტობრივად მათემატიკური მოდელირებით არის დაკავებული. მათემატიკური მოდელი უნივერსალურობით ხასიათდება, რადგან პრინციპულად განსხვავებული რეალური მოვლენები შეიძლება ერთი და იმავე მოდელით იქნეს აღწერილი. გამოყოფენ მათემატიკური მოდელირების ორ სახეს – იმიტაციურსა და ევრისტიკულს.

იმიტაციური მოდელირება ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტია სოციალური სისტემების შესასწავლად. ეს არის კონკრეტული ობიექტის ფუნქციონირების აღწერის მოდელი. იგი კონკრეტული სოციალური ჯგუფის შესწავლის საშუალებას იძლევა. მისი აგება ორნაირად შეიძლება. პირველ შემთხვევაში იგება ობიექტის ისეთი მოდელი, რომელიც აღწერს მის შიდა მახასიათებლებს და მათზე მოქმედ გარე ფაქტორებს, ჩვეულებრივ, დგება ერთჯერადი სქემა და კეთდება ანალიზი. მეორე მიდგომა დაკავშირებულია ობიექტების ქცევის იმიტაციასთან, მოდელში მათი ლოგიკური სტრუქტურის შენარჩუნებით. იმიტაციური მოდელირება ნიშნავს მოდელირების პროცესის ცვლილებას ორი მიმართულებით, პირველი – ობიექტის აღწერილობითი მოდელების შექმნის სპეციალური ტექნიკის შემუშავებაა. ამასთანავე, მოდელი რეალობის ადეკვატური უნდა იყოს; მეორე – მოდელების გამოყენების მიზანი ჰიპოთეზების შეფასება, გადამონმება და სისტემის ფუნქციონირების მექანიზმის შესწავლაა. ამდენად, იმიტაციური მოდელირება ერთ-ერთი მეთოდია რთული სისტემების შესასწავლად. მისი ეტაპებია: მიზნის დასახვა, საბაზო მოდელის შექმნა (მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დიაგრამის აგება, დინებების დიაგრამის აგება და იმიტაციის პროგრამის დაწერა), მოდელის ვერიფიკაცია, მოდელით ექსპერიმენტის ჩატარება და შედეგების დამუშავება.

მათემატიკური მოდელირების მეორე ფორმა ევრისტიკული მოდელირებაა: ქულებით შეფასების მეთოდი, როცა სხვადასხვა მახასიათებლებს ენიჭება ქულები, იგება მატრიცა და შემდეგ ევრისტიკული ხერხებით ხდება მისი შეფასება, ამ მიდგომის საფუძველი ლოგიკა და მათემატიკური გამოთვლებია და საზოგადოებრივი მოვლენების კვლევისას ხშირად იგი არ იძლევა ოპტიმალურ შედეგს.

ეთნოკონფლიქტების კვლევისას მათემატიკური მეთოდებიდან უფრო მათემატიკურ-სტატისტიკურ ანალიზს მიმართავენ, რაც რიგ შემთხვევებში აიოლებს კითხვებზე პასუხის მოძიებასა და კანონზომიერებების დადგენას.

თუმცა მათემატიკური მეთოდის ადეკვატურობა ეთნოლოგების მხრიდან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ხოლმე იმის გამო, რომ ფორმალური მოდელი სრულად არ აღწერს რეალურ მოვლენებს. ამიტომ ფორმალურ მიდგომებს ეთნოლოგები უფრო მეტად ეთნო-სოციოლოგიური კვლევებისას მიმართავენ და ფორმალურ ტექნიკას ძირითადად ეთნოგრაფიულ მონაცემთა ფიქსაციისა და ცოდნის წარმოდგენისათვის იყენებენ. რეპრეზენტაციის სქემები საკმაოდ განვითარებულია და ხარისხობრივ მოდელირებად განიხილება.

ეთნოლოგები იყენებენ **სტატისტიკურ მეთოდებს**. ეს არის შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებისა და მისი სამეცნიერო ანალიზის გზით საზოგადოებრივი კანონზომიერებების გამოვლენის მეთოდები.

სტატისტიკურ მეცნიერებაში სამეცნიერო კვლევის თანამიმდევრული ეტაპების მყარი სისტემაა შემუშავებული. ყოველ ეტაპზე მეთოდებისა და მაჩვენებლების გარკვეული უნიფიცირებული სისტემა გამოიყენება. რაც აუცილებელია სხვადასხვა ინფორმაციული მონაცემების დაჯგუფების, განზოგადებისა და ანალიზისათვის. მოსამზადებელ ეტაპზე განისაზღვრება კვლევის ობიექტი, საგანი და ძირითადი ამოცანები, რათა შეირჩეს მაჩვენებელთა სისტემის მოსაწესრიგებლად ეფექტური საშუალებები. შემდეგი ეტაპია ინფორმაციის შეკრება, რაც სტატისტიკური დაკვირვების სახელითაა ცნობილი. ინფორმაციის მიღების მიზნით გამოიყენება აღწერები, ორგანიზაციათა ანგარიშები და სხვა მასალები. ოფიციალური სტატისტიკის გვერდით იყენებენ აგრეთვე შერჩევით გამოკვლევებს, სოციოლოგიურ გამოკითხვებს, საექსპერტო შეფასებებსა და დაკვირვების სხვა ხერხებს. ამასთან, აუცილებელია სანდოობის უზრუნველყოფა (ამ მიზნით სტატისტიკაში შემუშავებულია შესაძლო ცდომილებების თეორია და სტატისტიკური შედეგების სიზუსტის მიღწევის ხერხები). მასალის შეკრების შემდეგ იწყება ინფორმაციის დამუშავება. ამ გზაზე პირველ ეტაპს ინფორმაციის სისტემატიზაცია წარმოადგენს, რაც ერთგვაროვანი მაჩვენებლების დაჯგუფების, საშუალო სიდიდის (სტატისტიკური საშუალოს) გამოთვლისა და სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთგავლენის განსაზღვრით ხერხდება. ინფორმაციის ანალიზი კი ბალანსირების მეთოდის გამოყენებით განზოგადებული მაჩვენებლების მიხედვით ხდება.

ეთნოლოგები ხშირად მიმართავენ შედარებითი ენათმეცნიერების, ტოპონიმიური კვლევების, ზეპირი გადმოცემების, ფოლკლორული მასალის დამუშავების მეთოდებს. რიგ შემთხვევებში იყენებენ ასევე **მეორეული ანალიზის მეთოდს.** მეორეული ანალიზი სხვა მკვლევარის მიერ შეკრებილი მასალის ხელახალ ანალიზს ნიშნავს. ამ მიზნით ყველაზე ხშირად სტატისტიკურ მასალას იყენებენ. ეთნოლოგიური დისციპლინის, როგორც შედარებითი მეცნიერების არსიდან გამომდინარე ხშირია საკვლევი საკითხის ირგვლივ სხვისი ან თავად მკვლევარის მიერ წარსულში შეკრებილი მასალის ახალთან შედარება და მისი ხელახალი უტილიზირება.

ჩამოთვლილი მეთოდებიდან მხოლოდ რომელიმე ერთზე დაყრდნობით ეთნოლოგიური კვლევა პრაქტიკულად არ ხორციელდება. უმეტესწილად საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე მკვლევარი მეთოდთა ჯგუფს ირჩევს ხოლმე და სისტემურად მიმართავს როგორც მასალის შეკრების, ისე მისი შემდგომი დამუშავების გზას. კულტურისა და ყოფის შესწავლა მხოლოდ ფაქტების სიმრავლეზე დაყრდნობით შეუძლებელია, რადგანაც რთულ და მრავალისმომცველ მოცემულობასთან გვაქვს საქმე. მათი გააზრებისათვის აუცილებელია ლოგიკური ასპექტის გამოყენება. **შემოქმედებითი მეთოდი,** რომელიც სინამდვილის შემეცნებისადმი მკვლევარის შემოქმედებით დამოკიდებულებას გულისხმობს, საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნას მოვლენათა ურთიერთკავშირები, მოხდეს კვლევის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა, გაანალიზდეს საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ახალი ტენდენციები. მარტო საერთო ფაქტებისა და მოსაზრებების განხილვა ნათელს არ ჰფენს მოვლენებისა და ურთიერთობების არსს, ეს

მხოლოდ ისტორიული და ლოგიკური მიდგომების ერთიანობის საშუალებითაა შესაძლებელი.

ემპირიული მეთოდების შემდეგ თეორიული მეთოდების ჯერი დგება. პირველ რიგში ტარდება შეკრებილი მონაცემების სინთეზი. **სინთეზი** საკვლევი ობიექტის შემეცნებას მისი ნაწილებისა და მათი ურთიერთკავშირის გარკვევით გულისხმობს. შესასწავლი სისტემის შემადგენელი ნაწილების, ელემენტების დადგენა ხდება ასევე მოვლენებისა და პროცესების სამეცნიერო ანალიზისას. **ანალიზის** დროს ხდება ერთიანი საგნის წარმოდგენა მის შემადგენელ ნაწილებად მათი შემდგომი კლვევისათვის. ანალიზი კავშირშია სინთეზთან. იგი, როგორც მეთოდი, საკვლევი პრობლემის თავისებურებებიდან გამომდინარე გამოიყენება და კვლევის საგნის შიდა კანონზომიერების მიხედვით მსჯელობას გულისხმობს.. იგი პროგნოზირების, დაგეგმარების, ობიექტებისა და მათში მიმდინარე პროცესების მართვის საფუძველს წარმოადგენს.

საერთო სამეცნიერო მეთოდად ითვლება **ინდუქციურ-დედუქციური მეთოდი.** ინდუქცია სპეციფიკური კვლევიდან განმაზოგადებელი თეორიისაკენ სვლას გულისხმობს. დედუქცია კი თეორიიდან ფაქტებისკენ სვლაა. თუ პირველ შემთხვევაში ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვებისა და საკვლევი ჰიპოთეზის დადასტურების შემდეგ ხდება თეორიის ჩამოყალიბება, მეორე შემთხვევაში ჯერ განმაზოგადებელი იდეა ჩნდება, შემდეგ ხდება მისი საკვლევ ჰიპოთეზად ჩამოყალიბება, მეთოდის შერჩევა და კვლევის ჩატარება და თუ საკვლევი ჰიპოთეზა დადასტურდა, თეორიას მართებულად აღიარებენ. თეორიის ჩამოსაყალიბებლად ასევე გამოიყენება შედარებითი, მიზეზობრივი, სტრუქტურულ-ფუნქციური, გენეტიკური, იდეოგრაფიული, ნომოთეტიკური და სხვა მეთოდები.

თემა IV

ძირითადი ეთნოლოგიური ცნებები

§1. ეთნოსი. ტერმინი **ეთნოსი** სამეცნიერო ლიტერატურაში მეცხრამეტე საუკუნიდან არსებობს. ეთნოსის რამდენიმე განმარტება:

ეთნოსი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ლაპარაკობს ერთ ენაზე, აღიარებს ერთიან წარმომავლობას, ხასიათდება ერთიანი ცხოვრების წესითა და ჩვეულებებით, რითაც გამოირჩევა სხვა ეთნოსებისაგან (ს. შიროკოგოროვი).

ეთნოსი ბიოლოგიური ერთეულია – პოპულაციაა, ბიოფიზიკური რეალობაა, რომელიც მოქცეულია სოციალურ გარსში (ლ. გუმილიევი).

ეთნოსი სოციალური მოვლენაა. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული განსაზღვრულ ბიოლოგიურ პოპულაციასთან, მაგრამ ცხოვრობს სოციალური, საზოგადოებრივი კანონებით. ეთნოსი სოციალურ-კულტურული მოვლენაა. ეს არის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელსაც აქვს თავისი ენა, კულტურა, ფსიქიკა, ერთიანი თვითშეგნება და სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებულობის შეგრძნება (ი. ბრომლეი).

ეთნოსის პარალელურად გამოიყენება ტერმინი **ეთნიკურობა.** იგი აღნიშნავს ეთნიკური ჯგუფის კულტურულ ნიშან-თვისებებსა და მახასიათებლებს, ანუ ეთნიკურობა არის კულტურული განსხვავებულობისა და თავისებურებების აღმნიშვნელი სოციალური ორგანიზაციის ფორმა.

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს ეთნოსისა და ეთნიკურობის კვლევის რამდენიმე მიმართულება: 1. ბუნებრივი მიმართულება – ამ დროს ეთნოსს განიხილავენ, როგორც პირველად წარმონაქმნს, მომდინარეს საერთო წინაპრებისგან. ამას სხვაგვარად სოციობიოლოგიურ მიმართულებასაც უწოდებენ.

2. ევოლუციურ-ისტორიული მიმართულება – ეთნოსი უფრო მეტად სოციალური ხასიათის წარმონაქმნია, ვიდრე ბიოლოგიური. ამ მიმართულების თანახმად, ეთნოსი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ჯგუფი, რომელიც შეკავშირებულია საერთო ტერიტორიით, ენითა და კულტურით. სოციალური ჯგუფის – ეთნოსის წარმოქმნა და განვითარება განიხილება ისტორიულ ჭრილში.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დასავლურ ეთნოლოგიაში გამოიკვეთა ეთნოსისა და ეთნიკურობის კვლევა ინსტრუმენტალიზმის თეორიით. ამ მიდგომით ეთნოსი და ეთნიკურობა მიჩნეულია ისეთ საკვლევ პრობლემად, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებენ როგორც ინსტრუმენტს თავიანთი პრაგმატული მიზნების მისაღწევად. ინსტრუმენტალისტთა აზრით, ეთნიკურობა განიხილება პოლიტიკური ელიტის მიერ მასების მობილიზაციისათვის შექმნილ იდეოლოგიად,

რასაც ისინი იყენებენ ხელისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ინსტრუმენტალიზმის პარალელურად არსებობს ეთნოსისა და ეთნიკურობის საკვლევი პრობლემის სხვაგვარი გააზრებაც. კვლევის ამ მიმართულებას კონსტრუქტიულს უწოდებენ. კონსტრუქტიული მიმართულების თანახმად, ეთნიკურობის ჩამომყალიბებელ მთავარ კრიტერიუმად ითვლება არა პოლიტიკური ელიტა, არამედ ეთნიკური საზღვარი. ეთნიკურ საზღვარს თავად იქმნის ყოველი ეთნოსი და ეთნიკური საზღვარი არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებით წარმართავს ეთნოსის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

ეთნოსის განვითარებისათვის აუცილებელ პირობად ითვლება ეთნიკური ტერიტორია – ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი თანდათანობით ყალიბდება ეთნოსად და აქ ხდება მისი ეთნიკური თვითშეგნებისა და იდენტურობის შეგრძნების ფორმირება. ასევე დიდი მნიშვნელობა ეთნიკური კულტურის მდგრადობისათვის ენიჭება ეთნიკურ ენას. ენა ეთნიკური მიკუთვნებულობის მთავარი ნიშანია. ეთნოსის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სპეციფიკური მატერიალური და კულტურული მახასიათებლები, რომელთათვისაც განსაკუთრებით ნიშნეულია ტრადიციულობა და მდგრადობა. ასეთი მახასიათებლებია: რელიგია, რიტუალები, ქცევის ნორმები, მატერიალური კულტურის ძეგლები (საცხოვრებელი, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობები; ტანსაცმელი; საკვები...)და სხვა.

§2. ტრადიცია. ტრადიცია მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური ტერმინია. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა მდგრადი ნორმებისა და პრინციპების სახით. ტრადიცია სარგებლობს საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით და არეგულირებს ინდივიდის ურთიერთობას სოციუმთან.

ტრადიცია შეიძლება იყოს უნივერსალური, ახასიათებდეს მსოფლიოს ბევრ ხალხს ან გააჩნდეს გავრცელების უფრო შეზღუდული არეალი. ასეთია ეთნიკური ტრადიცია. ხშირად ტერმინებს – ტრადიციასა და ჩვეულებას – იდენტურ ცნებებად განიხილავენ, მაგრამ ტრადიცია უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინია და ჩვეულება მისი შემადგენელი ნაწილია.

ეთნიკურ ტრადიციებს აყალიბებს ეთნოსის ცხოვრების ისტორიული პირობები, მისი სოციალური, სულიერი, ეკონომიკური ყოფის თავისებურებები.

ყოველ ტრადიციულ სოციუმში დროთა განმავლობაში ჩნდება ინოვაციები, რომელთა ნაწილი თანდათანობით გადაიქცევა ტრადიციად, ნაწილი კი ქრება. ნებისმიერი ტრადიცია ოდესღაც ინოვაცია იყო და ნებისმიერი ინოვაცია მომავალი, პოტენციური ტრადიციაა. თუკი ჯერ კიდევ ცოცხალია თაობა, რომელსაც ახსოვს ინოვაციური ელემენტის შემოსვლა და დანერგვა, მაშინ ის ჯერ კიდევ ახალია, ორმოცდაათ-სამოც წელს მოითვლის, ხოლო როდესაც ეთნოსის კოლექტიური მეხსიერებიდან ინოვაციის შემოჭრის დრო ამოვარდნილია, მაგრამ, წინაპრების გადმოცემით, ამის შესახებ ჯერ კიდევ ლაპარაკობენ, ამ დროს იგი დაახლოებით ას წელს მოითვლის. ამ ეტაპზე „შვილები" უკვე ტრადიციად აღიქვამენ იმას, რაც მათ მამებს ჯერ კიდევ ინოვაციად მიაჩნიათ (ს. არუთინოვი). ეთნოსის მიერ სხვათაგან ნასესხები კულ-

ტურის ესა თუ ის ელემენტი საწყის სტადიაზე ინოვაციაა, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ ტრადიციად იქცევა. უფრო ხშირად კულტურის ელემენტებს ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები ეთნოსები სესხულობდნენ. მსესხებელი მეზობლის ტრადიციასა და თავისთვის ინოვაციას ტრადიციად აქცევდა. ამიტომაა, რომ ხშირად ერთმანეთის მეზობლად მკვიდრ არამონათესავე ეთნოსებს ამ თვალსაზრისით უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე თავის, ენობრივად მონათესავე ეთნოსთან. მეცნიერებს შენიშნული აქვთ, რომ შვედებს კულტურული თვალსაზრისით უფრო მეტი საერთო აქვთ ფინელებთან, ვიდრე ენობრივად მონათესავე გერმანელებთან. მეორე ფაქტიც შეიძლება გავიხსენოთ: უზბეკებსა და ტაჯიკებს უფრო მეტი საერთო აქვთ, ვიდრე უზბეკებსა და ყირგიზებს.

თავის დროზე ინოვაცია დიდი მონოთეისტური რელიგიების გავრცელების თანმდევი იყო; უფრო მეტიც ისინი, სხვადასხვა კულტურების მოდერნიზაციის საშუალებასაც წარმოადგენდა. მაგალითად ისლამის და ისლამური კულტურისა და ტრადიციების გავცელება შეიძლება დავასახელოთ, რამაც არაბული კულტურისა და ტრადიციების სნრაფი გავრცელება გამოიწვია სხვადასხვა ხალხებში, რომელთათვისაც არაბული ტრადიციები და მთელი რიგი კულტურული მოვლენები თავდაპირველად უცნობი, ინოვაცია იყო. ისინი შემდეგ მათი ტრადიციული კულტურის ელემენტებად იქცა. უფრო მეტიც, ისლამისა და არაბული კულტურის, ტრადიციების მიღებამ არაერთი სხვადასხვა ეთნოსის ეთნიკური თავისთავადობის დაკარგვა, გაარაბება გამოიწვია.

ტრადიცია დაუწერელი კანონის სახით, საზოგადოებრივი აზრის ძალით მოქმედებს. ტრადიციის დარღვევა იწვევს კონფლიქტს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

ტრადიციების ყველაზე უნივერსალურ ნაწილს ე.წ. რეგიონალურ-ეპოქალურ კატეგორიას მიაკუთვნებენ, ნაწილს – ეთნიკურს, ხოლო განსაკუთრებით სნრაფად ცვალებად ტრადიციებს ე.წ. ჯგუფურ ტრადიციებს უწოდებენ.

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გადაცემაში უმნიშვნელოვანესია ტრადიციის როლი. ტრადიციის მეშვეობით მყარდება კავშირი თაობებს შორის, რაც მემკვიდრეობითობის გარანტიას ქმნის.

ეთნიკური ტრადიცია გულისხმობს იმ ტრადიციებს, რომლებიც მხოლოდ ამ ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი, მისი კულტურის შემადგენელი ნაწილია, თვითმყოფადობის, თვითშეგნების მასაზრდოებელი წყაროა და ოპოზიციის – „ჩვენ“ – „ისინი“ განმსაზღვრელი ნიშანია.

ტრადიცია მჭიდრო კავშირშია ეთნიკურ კულტურასთან, ეთნიკურ ცნობიერებასა და იდენტობასთან. იგი ყოველი ეთნოსის მენტალობის შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, ტრადიციულია ქართული ტრადიციული მენტალობის ისეთი ნიშნები, როგორიცაა უფროსისადმი პატივისცემა, ქალისადმი პატივისცემა, სტუმარ-მასპინძლობის წესები, ურთიერთდახმარების ტრადიცია და სხვა. ტრადიცია დიდწილად აპირობებს პიროვნების ჩამოყალიბებას ადრეული სოციალიზაციის საფეხურზევე. ცხადია, ტრადიციულობა უფრო ზოგადი, კოლექტიური ცნობიერების შედეგია, მაგრამ იგი მკაფიოდ არის აღბეჭდილი ინდივიდის ფსიქიკასა და ქცევის წესებში და მისი გამორჩეულობის, სხვა ეთნიკური ჯგუფე-

ბისაგან განსხვავებულობის, ხოლო საკუთარ ეთნიკურ სამყაროსთან იდენტობის ჩამომყალიბებელი მექანიზმია. შესაბამისად, ყოველ ეთნოსს გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ტრადიციები, რომლებიც ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია.

§3. კულტურა. კულტურა უაღრესად ფართო მნიშვნელობის მქონე ყოვლისმომცველი ტერმინია. იგი აღნიშნავს ადამიანის მიერ შექმნილ ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ მონაპოვარს. კულტურის ცნებას ერთგვარად უპირისპირებენ ბუნებასა და ბუნებრივს, როგორც თავისთავად არსებულს, ადამიანთა მოდგმის მიერ შექმნილი კულტურისაგან განსასხვავებლად.

კულტურა რამდენიმე ნაწილად იყოფა: 1. ადამიანთა საზოგადო თვითშეგნებასთან დაკავშირებული კულტურა. 2. ადამიანთა ქცევასა და მოქმედებაში გამოხატული კულტურა. 3. ადამიანთა ხელით შექმნილი კულტურული მონაპოვარი.

კულტურის ცნების ქვეშ ერთიანდება მთელი ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარი: რელიგიები, ენები, დამწერლობები, მეცნიერება, ხელოვნება, მეურნეობის დარგები, საცხოვრებელი, თავდაცვითი, სამეურნეო ნაგებობები, ტანსაცმელი, საკვები და სხვა. ე. ი. კულტურა რთული შედგენილობის ცნებაა და აერთიანებს, როგორც სულიერსა და მატერიალურ, ასევე სოციალურ ყოფას.

არსებობს ეთნიკური კულტურა. ეთნიკური კულტურა, დამახასიათებელი ეთნოსისათვის, არის ერთობლიობა იმ ელემენტებისა (სულიერი, მატერიალური და სოციალური), რომლებიც განასხვავებენ ერთ ეთნოსს მეორისაგან. ეთნიკური კულტურა შეიცავს ისეთ ნიშნებს, რომლებიც ზოგადსაკაცობრიოა, აგრეთვე, ისეთ მარკერებსაც, რომლებიც მხოლოდ ამ ეთნოსის კუთვნილებაა, მათი მონაპოვარია, შექმნილია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

ეთნიკური კულტურა, ფართო მნიშვნელობით, არის ერთობლიობა ეთნოსისათვის მახასიათებელი ყველა ნიშნისა და საშუალებისა, რომელიც აუცილებელია ეთნოსის არსებობისა და განვითარებისათვის. უფრო ვიწრო მნიშვნელობით კი ეთნიკური კულტურის ცნება მოიცავს მატერიალური, სულიერი და სოციალური კულტურის იმ ელემენტებს, რომლებიც ეთნოსის მთავარ მახასიათებლებად გვევლინება.

ეთნიკურ კულტურაზე უძველესი დროიდანვე შეიძლება საუბარი. ეთნიკურ კულტურას ორი თვისება აქვს: სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იგი შეიცავს მხოლოდ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომელთა დიდი ნაწილიც იმ დროის მრავალი ხალხის კულტურის ნაწილია და აგრეთვე ლოკალურ-ეთნიკურ მახასიათებლებსაც.

ეთნიკურ კულტურას ყოფენ სამ ნაწილად: მატერიალურ, სულიერ და სოციალურ კულტურად.

მატერიალური კულტურა გულისხმობს ყველა იმ ელემენტს, რომელიც რეალურად, მატერიალურად, ხელშესახებად არსებობს ამა თუ იმ ეპოქაში (საცხოვრებელი ნაგებობები, შრომის იარაღები, ტრანსპორტი, საკვები...). სულიერი კულტურა მოიცავს იმ ცოდნას, რომელიც გონების მეშვეობით გადაეცემა თაობიდან თაობას. მას ახასიათებს ტრადიციულობა და მდგრადობა (რელიგია, წეს-ჩვეულებები, ფოლ-

კლორი...). სოციალური კულტურა არეგულირებს ეთნოსის სოციალურ ურთიერთობებს, სამართალს, ქცევის ნორმებს და სხვა.

§4. ეთნიკური ცნობიერება. ეთნიკური ცნობიერება ყალიბდება ეთნიკური კულტურითა და ტრადიციებით. ყოველ ეთნოსს მისთვის მახასიათებელი კულტურა, ტრადიცია და თვითშეგნება გააჩნია, რასაც თან ერთვის ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარიც და ამ კრებითი სახით ყალიბდება ეთნოსის თვითშეგნება, მისი ეთნიკური ცნობიერება.

პიროვნების სოციალიზაციისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ტრადიციულ გარემოს, რომელშიც ადამიანი პიროვნებად ყალიბდება. ტრადიციების სტრუქტურა და მოქმედების მექანიზმი ადამიანს უყალიბებს თავის ტრადიციულ კულტურასთან იდენტობის შეგრძნებას, ბიძგს აძლევს ეთნიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას. ტრადიციულ-კულტურული მემკვიდრეობითობა, როგორც საერთოდ ისტორიული პროცესების დამახასიათებელი თვისება, ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყაროა. ეთნიკური კულტურისა და ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი ნიშანი ეთნოსის საკუთარი სახელი – ეთნონიმიცაა. ეთნონიმი ეთნოსის ეთნიკური თვითშეგნების, ეთნიკური ცნობიერების, სხვებისაგან განსხვავებულობის გამოხატულებაა.

§5. ეთნიკური პროცესები. ეთნიკური პროცესები ეთნოსის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებია. ეთნიკური პროცესების დროს იცვლება ეთნოსის სულიერი, მატერიალური თუ სოციალური ყოფის ესა თუ ის ელემენტი; მაგალითად, ყოფითი კულტურის ზოგიერთი მახასიათებელი: ენა, სოციალური სტრუქტურა, რელიგია და ა. შ.

ეთნიკური კულტურის (ფართო მნიშვნელობით) ცვლილებებს იწვევს საერთო, ზოგადსაკაცობრიო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, აგრეთვე, თვით ეთნიკური ყოფის თავისებურებები და ამ ორი პროცესის ურთიერთგავლენა.

ეთნიკური პროცესები სხვადასხვა ხასიათისა და მნიშვნელობისაა. ეთნიკურ პროცესთა შორის განსაკუთრებით გამოკვეთენ ორი სახის პროცესს: საზოგადოებრივ-ისტორიული ფორმაციის ცვლილებასა და სოციალურ-კულტურული ყოფის ცვლილებას.

პროცესები, რომლებიც ცვლის ეთნიკური კულტურის კონკრეტულ ელემენტებს, მაგრამ არ იწვევს ეთნოსის შეცვლა-დანგრევას, ეთნოევოლუციურ ან ეთნოკულტურულ, ევოლუციურ პროცესებად იწოდება. ამ პროცესების საპირისპიროდ არსებობს ე.წ. ეთნოტრანსფორმაციული პროცესები. ეთნოტრანსფორმაციულ პროცესებს ცალკეული ეთნოსები ეთნიკური მიკუთვნებულობის ცვლილებამდე მიჰყავთ. ეთნოტრანსფორმაციული პროცესის მთავარი შედეგი ეთნოსის ძირითადი ნიშნის – ეთნიკური თვითშეგნებისა და ეთნიკური ცნობიერების შეცვლაა. შესაბამისად, ეთნიკური პროცესები იყოფა ორ ძირითად ტიპოლოგიურ ჯგუფად: პირველს უწოდებენ ეთნიკურ გაერთიანება-კონსოლიდაციას, ხოლო მეორეს კი – ეთნიკურ დაყოფას.

ეთნიკური შეერთება (გაერთიანება) რამდენიმე სახისაა: ეთნიკური ასიმილაცია, ეთნოსთაშორისი კონსოლიდაცია, შიდაეთნიკური კონსოლიდაცია, ეთნოგენეტიკური მიქსაცია და ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია.

ეთნიკური ასიმილაცია ჰქვია ისეთ ეთნიკურ პროცესს, რომლის დროსაც ამა თუ იმ სახის ცალკეული ჯგუფები თანდათანობით ერწყმიან სხვა ეთნოსს, იცვლიან ენას, თვითშეგნებას, კულტურას. ეთნიკური ასიმილაციის ორი ფორმა არსებობს: იძულებითი და ბუნებრივი.

ეთნოსთაშორისი კონსოლიდაცია აღნიშნავს ისეთ ეთნიკურ პროცესს, რომლის დროსაც ერთმანეთს ერწყმის რამდენიმე ენითა და კულტურით მონათესავე ეთნიკური ერთეული და თანდათანობით იქმნება უფრო მსხვილი ეთნიკური ერთობა. ასეთ ეთნიკურ პროცესს ეთნოგენეტიკურ კონსოლიდაციასაც უწოდებენ.

შიდაეთნიკური კონსოლიდაცია გულისხმობს ერთ ეთნოსს შორის არსებული მცირედი განსხვავების (სუბეთნიკური და ეთნოგრაფიული ჯგუფების) თანდათანობით გაქრობისა და ეთნოსის მჭიდროდ შეკავშირების პროცესს.

ეთნოგენეტიკური მიქსაცია (შერევა) არამონათესავე ეთნიკურ ჯგუფთა გაერთიანებისა და ახალი ეთნოსის წარმოქმნის პროცესია.

ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია ასახავს სხვადასხვა ეთნოსთა დაახლოების პროცესს, როდესაც ისინი ერთ ეთნოსად არ გარდაიქმნება. ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია დამახასიათებელია ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს ან მსხვილი რეგიონებისათვის.

არსებობს ეთნიკური დაყოფის ამსახველი პროცესებიც, რომელშიც გამოყოფენ ორ ფორმას: ეთნიკურ პარციაციასა და ეთნიკურ სეპარაციას.

ეთნიკური პარციაციის დროს ერთი ეთნოსი იშლება რამდენიმე მეტ-ნაკლებად ტოლ ნაწილად, ახალ ეთნოსად.

ეთნიკური სეპარაცია ნიშნავს ერთი ეთნოსისაგან რომელიმე ნაწილის გამოყოფას. ეს ნაწილი დროთა განმავლობაში გარდაიქმნება ახალ ეთნიკურ წარმონაქმნად.

ეთნიკურ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის მიგრაციები. ეთნომიგრაციული პროცესი შეიძლება იყოს შიდა და გარე.

შიდამიგრაცია აღნიშნავს ისეთ პროცესს, როდესაც ეთნოსის ესა თუ ის ნაწილი ამავე ეთნოსის ეთნიკურ საზღვრებში გადაადგილდება და ახალ ადგილზე განსახლდება. გარემიგრაცია ნიშნავს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ანუ სხვა ეთნიკურ ტერიტორიაზე გადასახლებას.

მსოფლიოს ეთნიკური სურათი მრავალჯერ შეიცვალა. ცვლილებებს იწვევდა გეოგრაფიული გარემოს შეცვლა, ომები, ეპიდემიები, ხალხთა დიდი გადასახლებები. სწორედ ე.ნ. ხალხთა დიდმა გადასახლებებმა ძირეულად შეცვალეს დედამიწის ეთნიკური რუკა.

თემა V

ეთნოლოგიური თეორიები, სკოლები და მიმართულებები

§1. ევოლუციონიზმი. პირველი ეთნოლოგიური თეორია იყო ევოლუციონიზმი, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა. სოციოსტრუქტურული ევოლუციონიზმი არის საერთო ტერმინი, რომლითაც აღინიშნება კულტურული და სოციალური ევოლუციის თეორიები, რომლებმაც აღნერეს, თუ როგორ ვითარდება კულტურები და საზოგადოებები დროში. ესაა თეორიები, რომლებიც გვთავაზობს ტექნოლოგიების, სოციალური სტრუქტურებისა და ღირებულებების ურთიერთმიმართების მოდელებს დროთა ვითარებაში მათი ცვლილების მიზეზების გასარკვევად. XIX-XX საუკუნეებში გავრცელებული ზოგიერთი თვალსაზრისი მიზნად ისახავდა კაცობრიობის ევოლუციის ერთიანი მოდელის ფორმირებას, იმის მტკიცებით, რომ სხვადასხვა საზოგადოებები სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება. XX საუკუნიდან თეორიულ მიდგომათა უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია ინდივიდუალური საზოგადოებების სპეციფიკური ცვლილებების კვლევაზე და უარყოფილია სოციალური პროგრესის, როგორც დირექტიული ცვლილების იდეა. თანამედროვე არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა უმეტესობა დღეს სოციოკულტურული ევოლუციის თანამედროვე თეორიების ჩარჩოებში მუშაობს. ეს თეორიებია: ნეოევოლუციონიზმი, სოციობიოლოგია, მოდერნიზმის თეორია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია. ანთროპოლოგებისა და სოციოლოგების აზრით ადამიანებს ბუნებრივი სოციალური ტენდენციები ახასიათებთ და კერძო სოციალურ ქცევას არა აქვს გენეტიკური მიზეზები, ე.ი. იგი სოციალურ გარემოშია შეთვისებული სოციალური ინტერაქციის გზით. საზოგადოებები არსებობს კომპლექსურ სოციალურ (ურთიერთობა სხვა საზოგადოებებთან) და ბიოტიკურ (ურთიერთობა ბუნებრივ რესურსებთან) გარემოში და ეგუებიან მას. ამიტომაც ყველა საზოგადოება ცვალებადია.

ადრეული სოციოკულტურული ევოლუციური თეორიები (ოგიუსტ კონტის, ჰერბერტ სპენსერის და ლუის ჰენრი მორგანის თეორიები) ჩ. დარვინის შრომებისაგან დამოუკიდებლად და მის თანადროულად განვითარდა. ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობს XIX საუკუნის ბოლო ხანებიდან I მსოფლიო ომის ბოლომდე. ეს უნილინეალური (ერთხაზოვანი) ევოლუციონისტური თეორიები ემყარებოდა იდეას, რომ საზოგადოებები პრიმიტიულიდან ცივილიზებულისკენ ვითარდება და დროთა განმავლობაში ყველა მათგანი ეზიარება დასავლური ცივილიზაციის კულტურასა და ტექნოლოგიებს. სოციოკულტურული ევოლუ-

ციის ადრეულმა თეორიებმა სათავე დაუდო მოგვიანებით მკაცრად გაკრიტიკებულ თეორიებს – სოციალურ დარვინიზმსა და სამეცნიერო რასიზმს, რომლის მეშვეობითაც კოლონიალიზმსა და მონობას ამართლებდნენ.

XIX საუკუნის ბევრი და XX საუკუნის ზოგი თეორია მიზნად ერთიანი ევოლუციონისტური ხაზის წარმოდგენას ისახავდა. XX საუკუნეში შექმნილ თეორიათა უმეტესი ნაწილი კი მულტილინეალური ევოლუციის იდეას იზიარებს, ყურადღების ინდივიდუალური საზოგადოებების ცვლილებაზე გამახვილებით. სხვა თანამედროვე მიდგომებია: ნეოევოლუციონიზმი, სოციობიოლოგია, დუალური მემკვიდრეობის თეორია, მოდერნიზაციის თეორია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია.

უნილინეალური ევოლუციონიზმის იდეას ემხრობოდნენ: ოგიუსტ კონტი, ედუარდ ტეილორი, ლუის მორგანი, ჰერბერტ სპენსერი და სხვ. ტერმინი „კლასიკური სოციალური ევოლუცია" დაკავშირებულია ოგიუსტ კონტის, ჰერბერტ სპენსერისა და უილიამ გრაჰამ სამნერის სახელებთან. სპენსერის თეორიას „კოსმიური ევოლუციის შესახებ" უფრო მეტი აქვს საერთო ლამარკის შრომებთან ვიდრე დარვინის შრომებთან. სპენსერის იდეის მიხედვით, საზოგადოებები დროთა ვითარებაში პროგრესს განიცდის და ეს პროგრესი ხორციელდება შეჯიბრის გზით. იგი ხაზს უსვამდა, რომ ანალიზის ერთეული ინდივიდუალური (უფრო მეტად ვიდრე კოლექტიური) უნდა იყოს, რადგან სწორედ იგი განიცდის ევოლუციას. დარვინის შრომების გამოქვეყნებამ ბიძგი მისცა სოციალური ქცევის ახსნისას ბიოლოგიური ევოლუციის იდეების გადმოტანას და საზოგადოების, ბიოლოგიური ანალოგიის მსგავსად, განვითარებად ორგანიზმად აღქმას. კონტიც და სპენსერიც საზოგადოებას ორგანიზმად აღიქვამდნენ, რომელიც, როგორც ყველა ბიოლოგიური ორგანიზმი, იზრდება და გადის განვითარების გარკვეულ ეტაპებს, აქვს სანყისი და, შესაბამისად, დასასრული, ზრდა კი ფაქტობრივად სოციალური პროგრესია მარტივიდან რთულისაკენ. პროგრესივიზმი იქცა ევოლუციონიზმის ძირითად იდეად. სპენსერს სწამდა, რომ საზოგადოება ევოლუციას განიცდის ინდივიდთა თავისუფლების ზრდის საშუალებით. იგი ასხვავებდა მილიტარულ და ინდუსტრიულ საზოგადოებებს. მისი აზრით, ადრეული, უფრო პრიმიტიული მილიტარული საზოგადოების მიზანი დაპყრობა და თავდაცვაა, ასეთი საზოგადოება ცენტრალიზებულია, ეკონომიკურად თვითუზრუნველყოფაზეა აგებული, კოლექტივისტურია, ჯგუფის ინტერესი ინდივიდის ინტერესზე მაღლა დგას და რეპრესიულია. ინდუსტრიული საზოგადოება კი მიზნად წარმოებასა და ვაჭრობას ისახავს. იგი დეცენტრალიზებულია, სხვა საზოგადოებებთან ეკონომიკური კავშირებითაა დაკავშირებული, ნებაყოფლობით კოოპერაციას ეყრდნობა, ინდივიდის ინტერესები უმაღლესი ღირებულებაა, სოციალურ ყოფას ნებაყოფლობით ურთიერთობებზე აგებს, ახალისებს ინიციატივას, დამოუკიდებლობასა და ინოვაციას.

მოგვიანებით ამ იდეების გავლენით განავითარეს თავიანთი თეორიები სამნერმა, ლ. მორგანმა და სხვებმა. ლუის მორგანი გამოყოფდა ველურობის, ბარბაროსობისა და ცივილიზაციის ეტაპებს, რომლებიც ტექნოლოგიური მიღწევების მიხედვით იყოფოდა (ცეცხლი, მეთუნეობა, მიწათმოქმედება და სხვ.). ლ. მორგანმა ამით ხაზი გაუსვა სოცია-

ლურსა და ტექნოლოგიურ პროგრესს შორის კავშირის არსებობას. მიიჩნია, რომ ტექნოლოგიური ცვლილება ინვევს სოციალურ ცვლილებას. მორგანის იდეებს პოპულარიზება ფ. ენგელსმა გაუნია. მისთვის და მარქსისტებისთვის მორგანის თეორია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მათ იდეას ეხმიანებოდა, რომლის მიხედვითაც, კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მატერიალური (ეკონომიკური და ტექნოლოგიური) ფაქტორია. ე. ტეილორი ინგლისში და ლ. მორგანი აშშ-ში ინდიგენურ ხალხებში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალაზე მუშაობდნენ და მათ ევოლუციური განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომებად მიიჩნევდნენ. ტეილორმა და მორგანმა განავითარეს ერთხაზოვანი ევოლუციის იდეა. კროსკულტურული მასალის მათეული ანალიზი ემყარებოდა სამ ძირითად მოსაზრებას: 1. თანამედროვე საზოგადოებები შეიძლება დაჯგუფდეს როგორც უფრო „პრიმიტიული" ან უფრო „ცივილიზებული", 2. პრიმიტიულსა და ცივილიზებულს შორის გარკვეული რაოდენობის საფეხურებია (მაგ. ჯგუფი, ტომი, ბელადი, სახელმწიფო) და 3. ყველა საზოგადოების პროგრესი ამ საფეხურების გავლით ხდება, მაგრამ ამისათვის სხვადასხვა დროა საჭირო. ევოლუციონისტი თეორეტიკოსები პროგრესს სოციალური კომპლექსურობით აფასებდნენ. XIX საუკუნის ეთნოლოგები ამ პრინციპებით ცდილობდნენ აეხსნათ სხვადასხვა საზოგადოებებში არსებული განსხვავებები რელიგიურ რწმენა-ნარმოდგენებსა და ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში.

ე. ტეილორის მიხედვით, კულტურა ყოველი საზოგადოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ამიტომ იგი ევოლუციის პროცესის საგანია. მისი აზრით, საზოგადოებები კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგას და ანთროპოლოგიის ამოცანა კულტურის ევოლუციის რეკონსტრუირებაა პრიმიტიული საზოგადოებიდან თანამედროვე სახელმწიფომდე.

დღეს ბევრი ანთროპოლოგი ერთხაზოვანი განვითარების იდეას დასავლურ მითად მიიჩნევს, რომელსაც არ ჰქონდა ემპირიული საფუძველი და კოლონიალურ მიზნებს ემსახურებოდა. თანამედროვე სიციოკულტურულმა ევოლუციონისტებმა უარი თქვეს კლასიკურ ევოლუციონიზმზე, იმის გამო რომ მისი დამახასიათებელი იყო: 1. ეთნოცენტრიზმი, 2. იდეა, რომ ყველა კულტურა ერთ გზას გადის და ერთი მიზანი აქვს, 3. ცივილიზაციის მნიშვნელობის მატერიალური კულტურის ადეკვატურად აღქმა, 4. ევოლუციის პროგრესის მნიშვნელობით გაგება და 5. საზოგადოებების პრიმიტიულ და ცივილიზებულ ნაწილებად დაყოფა, მაშინ როდესაც ბევრი „პრიმიტიული საზოგადოება" უფრო მშვიდობიანი, დემოკრატიული და ეკოლოგიურია, ვიდრე თანამედროვე საზოგადოებები. ასეთი მეთოდოლოგიური ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდა ნეოევოლუციონისტური მიდგომები.

§2. ნეოევოლუციონიზმი. თანამედროვე თეორეტიკოსები თავს არიდებენ ეთნოცენტრულ სპეკულაციებსა და ღირებულებათა შეფასებებს, ცდილობენ ინდივიდუალური საზოგადოებები მათივე ისტორიული კონტექსტის მიხედვით შეაფასონ. ასეთმა მიდგომებმა განაპირობა კულტურული რელატივიზმისა და მულტილინეალური ევოლუციის იდეების განვითარება. ბევრი თეორია ევოლუციონიზმის ანტითეზად

ჩამოყალიბდა. ერთხაზოვანი ევოლუციის კონცეფციამ, როგორც ემპირიულად დაუდასტურებელმა, არსებობა 60-იანი წლებიდან შეწყვიტა. ამას ევოლუციონიზმის ახალი ტალღა – ნეოევოლუციონიზმი მოპყვა. დღეს იგი საკმაოდ გავრცელებული მიმდინარეობაა. ამასთანავე, იგი არაა ერთგვაროვანი პროგრესის გაგებასთან მიმართებით. გარკვეული უპირატესობა ენიჭება მეტაფიზიკურ, ტელეოლოგიურ ევოლუციონიზმს, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებს აღიარებს. ასევე პოპულარულია მულტილინეალური ევოლუციონიზმი. ნეოევოლუციონისტები არ ეძებენ საყოველთაო პარალელებსა და კანონზომიერებებს. ისინი დასაშვებად მიიჩნევენ ახალი მახასიათებლების გაჩენას რელატიურად, მხოლოდ კონკრეტული განვითარების ხაზის სისტემის შიგნით.

ნეოევოლუციონისტებად მიიჩნევიან: რ. რედფილდი, ლ. უაიტი, ჯ. სტიუარდი. რ. რედფილდს ეკუთვნის საზოგადოებების ხალხურ და ურბანულ საზოგადოებებად დაყოფა. ლ. უაიტი ამტკიცებდა, რომ საზოგადოებები განირჩევა იმ ენერგიის მიხედვით, რომელსაც ისინი ფლობენ, ხოლო ენერგიის ზრდა ინვევს დიდ სოციალურ სხვაობებს. ჯ. სტიუარდი უარყოფდა ტერმინს **პროგრესი** და მას უნაცვლებდა დარვინისეულ ტერმინს – **ადაპტაცია** და განვითარების მულტილინეალობას ხსნიდა, როგორც განსხვავებულ ეკოლოგიურ სისტემებთან ადამიანის შეგუების შედეგს. მ. სალინსი უაიტისა და სტიუარდის თეორიების სინთეზირებას ცდილობდა. კულტურული ეკოლოგიისა და ეკოლოგიური ანთროპოლოგიის თეორიები განავითარეს სხვებმა (ჯ. ვაიდა და რ. რაპაპორტი). ე. ვოლფი და ს. მინცი კულტურული ეკოლოგიიდან მარქსიზმისკენ, მსოფლიო სისტემის თეორიისა და კულტურული მატერიალიზმისკენ გადაიხარნენ. დღეს ანთროპოლოგთა უმეტესობა უარყოფს პროგრესისა და ერთხაზოვანი განვითარების თეორიებს.

§3. კულტურული მატერიალიზმი. კულტურული მატერიალიზმის, როგორც ნეოევოლუციონიზმის განშტოების, ნარმოქმნა მ. ჰარისის სახელს უკავშირდება აშშ-ში, იგი ეფუძნებოდა საზოგადოების განვითარების „ტექნოეკონომიკურ დეტერმინიზმს". განვითარების მხოლოდ ტექნიკური კომპონენტებით შემოფარგვლის შედეგად ყურადღების მიღმა დარჩა სანარმოო ძალების განვითარების სხვა არსებითი მხარეები (მაგ. შრომის ორგანიზაციის გამოცდილება და სხვ.). კულტურული მატერიალიზმის მეთოდოლოგიური მიდგომა ისტორიის ვულგარულ-მატერიალისტურ ახსნაში მდგომარეობდა და სოციალური რევოლუციების ნინააღმდეგ იყო მიმართული. ამ თეორიის მიხედვით ადამიანებს არ შეუძლიათ გააცნობიერონ ისტორიული კანონზომიერებები, გაითვალისწინონ ისინი და მოიქცნენ ობიექტური აუცილებლობის შესაბამისად.

§4. მითოლოგიური სკოლა. მითოლოგიური სკოლა XIX საუკუნის გერმანიაში ჩამოყალიბდა, შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერებისა და გერმანული რომანტიზმის გავლენით. გამოყოფენ მითოლოგიური სკოლის ორ თაობას: მითოლოგიური სკოლის ფუძემდებლებისა (ძმები გრიმები გერმანიაში, ფ. ბუსლაევი რუსეთში და სხვ.) და ახალ თაობას (მ. მიულერი, გ. კოქსი – ინგლისში, ა. პიკტე, მ. ბრეალი საფრანგეთში, ა. იკუნი, ბ. შვარცი ბ. მანგარდტი – გერმანიაში, და სხვ.).

მითოლოგიური სკოლის საფუძველი იყო წარმოდგენა მითზე და სულიერი კულტურის სხვა ფორმებზე, როგორც ხალხური ცნობიერების გამოხატულებაზე, ე.წ. ხალხის „სულზე". ისინი ცდილობდნენ მითების არსებობის მიწიერი საფუძვლები (ბუნებრივი მოვლენების, ციური სხეულების გასულიერება და სხვ.) მოეძებნათ. ასეთი მიდგომა XIX საუკუნისათვის პროგრესულად მიიჩნევა. ორივე თაობის მითოლოგებისათვის საერთო იყო იდეა იმის თაობაზე, რომ ინდოევროპელი ხალხების მითოლოგიას საერთო ძირი უნდა ჰქონოდა და ხალხთა გაყოფის შედეგად უნდა დაშლილიყო. ამ იდეიდანვე მომდინარეობს წარმოდგენა კულტურის რეგრესზე და ხალხის შემოქმედებითი უნარის არარსებობაზე. დღეისათვის მითოლოგიური სკოლის მეთოდოლოგიური მიდგომები მოძველებულად მიიჩნევა, თუმცა მათ მიერ მოძიებული მასალა ხშირად უნიკალურია და დღემდე გამოიყენება მეორეული ანალიზისათვის.

§5. დიფუზიონიზმი. დიფუზიონიზმი არის მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი განვითარების პროცესების საფუძველი კულტურის ერთი ცენტრიდან მეორეში გავრცელება და ნასესხობაა. დიფუზიონიზმი ჩამოყალიბდა, როგორც რეაქცია ევოლუციონიზმზე. დიფუზიონისტთა ყურადღების არეში მოექცა კულტურის გავრცელების ისეთი სახეები, როგორიცაა დაპყრობები, ვაჭრობა, კოლონიზაცია და შიდასისტემური ფაქტორები. დიფუზიონიზმი ყველაზე მეტად გავრცელდა გერმანიასა და ავსტრიაში. დიფუზიონიზმის ძირითადი იდეებია: 1. კულტურული ელემენტების წარმოქმნის დაკავშირება გეოგრაფიულ გარემოსთან. იდეა, რომ ყოველი მათგანი კონკრეტულ რეგიონში გაჩნდა და შემდეგ იქიდან გავრცელდა სხვა ტერიტორიებზე; 2. კულტურის განვითარების ძირითად ფაქტორად ნასესხობის, კულტურის ელემენტების (არამარტო მატერიალური კულტურის, არამედ იდეების, იდეოლოგიების და ა.შ.) გადატანის, მათი შერევის აღიარება.

დიფუზიონისტური თეორიები უდევს საფუძვლად ანთროპოგეოგრაფიულ სკოლას, კულტურის მორფოლოგიის სკოლასა და პანეგვიპტიზმს.

§7. ანთროპოგეოგრაფიული სკოლა. დიფუზიონიზმის ჩასახვას უკავშირებენ გერმანელი მკვლევარის, გეოგრაფისა და ეთნოლოგის ფრიდრიჰ რატცელის სახელს, რომელმაც შექმნა ანთროპოგეოგრაფიული სკოლა. ფ. რატცელის მიხედვით, ამა თუ იმ კულტურის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი იმ გეოგრაფიულ გარემოს ეკისრება, რომელთანაც ადაპტირებულია საზოგადოება. განვითარების ფაქტორად მას ხალხთა გადასახლებები მიაჩნდა. ფ. რატცელის მიერ დაარსებული სკოლა მიზნად ისახავდა შეესწავლა ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთდამოკიდებულება. ფ. რატცელის მიხედვით, ერთნაირ ნიადაგზე მსგავსი მოვლენები ყალიბდება, რომელთა კლასიფიცირებაც გეოგრაფიულადაა შესაძლებელი. ამ ძირითადი თეზისის წყალობით გეოგრაფიული ფაქტორი უმნიშვნელოვანეს მომენტად იქცა სამეცნიერო კვლევებსა და ინტერპრეტაციაში. ისტორია დაყვანილ იქნა ხალხთა გადაადგილებამდე, რომელშიც ანთროპოგეოგრაფიული სკოლა ხედავდა ხალხების ცხოვრების არსებით მახასიათებელსა და კაცობრიობის ისტორიის საყრდენ ფაქტს. ანთროპოგეოგრაფიული სკოლა იყო გარკვეული გარდამავალი საფეხური ევოლუციონიზმიდან

კულტურული წრეების თეორიისაკენ. ფორმის იდეა, წრეების ფორმების შესახებ წარმოდგენა და კონტინუიტეტის (განგრძობითობის) პრინციპი ფ. რატცელმა ჯერ კიდევ ევოლუციონისტურ იდეებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა. შემდეგ ეს მოსაზრება დაედო საფუძვლად კულტურული წრეებისა და მიგრაციების თეორიას. ის აღიარებდა კულტურული ელემენტების გადაადგილებისა და ნასესხობის იდეას. მან დააკავშირა ერთმანეთს ეთნოგრაფია და გეოგრაფია. გეოგრაფიის დაკავშირებამ სოციალურ დარვინიზმთან საფუძველი დაუდო გეოპოლიტიკას, რომლის მიხედვითაც არსებობისათვის ბრძოლა სივრცისათვის ბრძოლას გაუთანაბრდა.

§8. კულტურის მორფოლოგია. ეს ტერმინი გერმანელი ეთნოლოგის ლ. ფრობენიუსის მიერაა შექმნილი. ამ ტერმინით იგი ახასიათებდა სამეცნიერო მიმდინარეობას, რომელიც იკვლევდა კულტურული მოვლენების გარეგნულ სურათს და ადგენდა კულტურათა ისტორიულ ურთიერთკავშირს საბუნებისმეტყველო დარგების მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციის პრინციპებზე დაყრდნობით. ლეო ფრობენიუსის აზრით, მთავარი იყო თავად კულტურა, ადამიანი კი, როგორც კულტურის მატარებელი, მეორეხარისხოვანი იყო. მის ვარიანტში კულტურული წრეები კულტურულ პროვინციებად მოიხსენიება და არსით მატერიალური კულტურის საგნების გავრცელების არეალს წარმოადგენს. ლ. ფრობენიუსს კულტურა მისტიკურად ესმოდა. იგი მას თითქმის ორგანულ არსებად განიხილავდა, რომელიც იბადება, საჭიროებს საკვებს, აქვს „სული", მისი გადანერგვა შეიძლება და სხვ. ფრობენიუსს ეკუთვნის კონცეფცია კულტურის ორი ტიპის – მატრიარქალური და პატრიარქალური – კულტურების არსებობის შესახებ. მოგვიანებით იგი იყენებდა ტერმინებს ქამიტური და ეთიოპიური კულტურები, საბოლოოდ კი აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურებზე შეჩერდა. მისი აზრით, კულტურის პირველი ფორმა (მატრიარქალური, აღმოსავლური) „გამოქვაბულის" განცდისაა, უმოძრაოა და ფატალური ბედისწერის იდეას ატარებს. მეორე (პატრიარქალური, დასავლეთის) „სიშორის" განცდით, დინამიურობითა და პირადი თავისუფლების იდეით ხასიათდება. ლ. ფრობენიუსის მიერ დაარსებული კულტურის მორფოლოგიის შემსწავლელი ინსტიტუტი დღესაც არსებობს.

§9. კულტურული წრეების თეორია. დიფუზიონიზმის იდეის ჩარჩოში ჩამოყალიბდა ფრიც გრებნერის კულტურული წრეების თეორია. ფ. გრებნერის იდეა საგნების ფორმის უცვლელობასა და მათ გეოგრაფიულ გავრცელებაში მდგომარეობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ კულტურის ყოველ ელემენტს ერთხელ ერთ ადგილას გამოიგონებდნენ და იქიდან ხდებოდა ამ ელემენტის გავრცელება დედამინის სხვადასხვა ნაწილში. სამუზეუმო კოლექციებზე დაყრდნობით ფ. გრებნერი ექვს კულტურულ წრეს გამოყოფდა, რომლებიც გამოირჩეოდა საგნების, მატერიალური კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების დამახასიათებელი ერთიანობით, თუმცა რეალურ ყოფაში ასეთი წრის ნახვა შეუძლებელი იყო.

§10. ვენის სკოლა. კულტურული წრეების თეორიასთან იყო დაკავშირებული ვენის კულტურულ-ისტორიული სკოლა. მისი დამაარსებელი იყო კათოლიკე მღვდელი ვილჰელმ შმიდტი. ამ სკოლას თეოლო-

გიური ხასიათი ჰქონდა. მან ფ. გრებნერის იდეა პოლიტიკურ კათოლიციზმს დაუკავშირა. თეორიულ საფუძვლად ისევ კულტურული წრეების იდეა დარჩა (თუმცა გრებნერისეულ ექვს წრეს დამატება მეშვიდე), უცვლელი დარჩა ისტორიულ-ფილოსოფიური საფუძველიც. კულტურის ელემენტების ერთი ცენტრიდან გავრცელების იდეა საშუალებას აძლევდა მათ კულტურის განვითარების ისტორია ბიბლიურ გადმოცემასთან დაეკავშირებინათ. უძველესი კულტურული წრის მახასიათებლებად ისინი მონოთეიზმს, კერძო საკუთრებას, მონოგამიასა და სახელმწიფოს არსებობას მიიჩნევდნენ. კულტურულ-ისტორიულ სკოლას პოლემიკა ჰქონდა მარქსიზმთან.

§11. პანეგვიპტიზმი. აშშ-ში დიფუზიონიზმი ტენდენციის სახით არსებობდა, მაგრამ არ ჰქონია დომინირებული მნიშვნელობა. მისი წამომადგენელია ედუარდ სეპირი.. ინგლისში დიფუზიონოზმს დასრულებული სახე გრეფტონ ელიოტ-სმიტმა მისცა. მან ის ჩამოაყალიბა როგორც „პანეგვიპტიზმი". ძველი ეგვიპტის კვლევით და სხვა კულტურებთან შედარებით გ. ელიოტ-სმიტი მივიდა დასკვნამდე, რომ ეგვიპტეში ჩასახული კულტურული მოვლენები გავრცელდა მსოფლიოში.

§12. ნეოდიფუზიონიზმი. XX საუკუნეში ტურ ჰეიერდალის გამოკვლევებმა დიფუზიონიზმს ახალი სული შთაბერა. მან ნამოაყენა მოსაზრება, რომ შესაძლებელი იყო კულტურის ელემენტები წყნარ ოკეანეში, ამერიკელი ხალხების ტრანსოკეანური მოგზაურობების შედეგად გავრცელებულიყო.

§13. ფრანგული სოციოლოგიური სკოლა. ფრანგული სოციოლოგიური სკოლა ემილ დიურქჰეიმის სახელს უკავშირდება. მისი აზრით სოციოლოგიის მეთოდი სოციალური ფაქტების კვლევას გულისხმობს. სოციალური ფაქტი, ე.ი. სოციალური მოვლენა კი შესნავლილ უნდა იქნას, როგორც „საგანი", რომელიც არ არის დამოკიდებული ცალკეული ინდივიდების სუბიექტურ განწყობაზე. ე. დიურქჰეიმი საზოგადოებას დახურულ სტატიკურ სისტემად მიიჩნევდა, რომლის სტაბილურობაც ფუნქციონალურ ინტეგრაციაზეა დამოკიდებული. ემილ დიურქჰეიმმა განავითარა შეხედულება სოციალური პროგრესის დიქოტომიურობის შესახებ. მისი ამოსავალი იდეა სოციალური სოლიდარობის იდეა იყო. ე. დიურქჰეიმის მიხედვით, სოციალური ევოლუცია მექანიკური სოლიდარობიდან ორგანული სოლიდარობისაკენ სვლაა. მექანიკური სოლიდარობისას ადამიანები თავიანთ თავს უზრუნველყოფენ, ინტეგრაციის ხარისხი მცირეა და ამიტომ საზოგადოების შეკავშირებისათვის ძალის გამოვლენა და რეპრესიებია საჭირო. ორგანული სოლიდარობისას კი ადამიანები უფრო ინტეგრირებულნი არიან და სახეზეა ერთმანეთზე დამოკიდებულება, სპეციალიზაცია და კოოპერაცია. მექანიკურიდან ორგანულ სოლიდარობაზე გადასვლას, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის რაოდენობისა და სოციალური ინტერაქციის ზრდა განაპირობებს. ე. დიურქჰეიმის მიხედვით, სოციალური პროგრესის მნიშვნელოვანი ფაქტორი შრომის დანაწილებაა.

ე. დიურქჰეიმის მეორე მნიშვნელოვანი კონცეპტი „კოლექტიური წარმოდგენებია". მისი აზრით, ადამიანის ცნობიერება ერთგვაროვანი არაა, რადგან იგი არსებობს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტი-

ური ფორმით. ეს უკანასკნელი „კოლექტიური წარმოდგენებით“ გამოიხატება, რომლებიც სოციალურ ყოფაშია ფესვგადგმული.

დიურქჰეიმის მიმდევრები იყვნენ მ. მოსი, ლ. ლევი-ბრული და სხვ. ფრანგულმა სოციოლოგიურმა სკოლამ არსებობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეწყვიტა, თუმცა მან დიდი გავლენა მოახდინა ეთნოლოგიის განვითარებაზე. ე. დიურქჰეიმის შრომები დღემდე ძირითადი იდეური წყაროა თანამედროვე ანთროპოლოგთათვის, მ. მოსის შრომებმა კი ხელი შეუწყვეს ფრანგული სტრუქტურალიზმისა და ეკონომიკური ანთროპოლოგიის განვითარებას.

§14. სტრუქტურალიზმი. სტრუქტურალიზმი განსაკუთრებული მიმდინარეობაა ჰუმანიტარულ სფეროში. მისი წარმომადგენლები არიან კლოდ ლევი-სტროსი (1908), მიშელ ფუკო (1926), ჟაკ დერიდა (1930), ჟაკ ლაკანი (19001-1981) და სხვები.

კლოდ ლევი-სტროსმა, გამოჩენილმა ფრანგმა ეთნოგრაფმა და სოციოლოგმა, შექმნა თეორია პირველყოფილი აზროვნების შესახებ, რომელიც მრავალმხრივ ეწინააღმდეგება ლ. ლევი-ბრულის თეორიას. მისი შეხედულებით, კულტურის ევოლუცია წარმოადგენს მოძრაობას გრძნობადი და რაციონალური საწყისების ერთიანობისკენ, რაც დაკარგა თანამედროვე ცივილიზაციამ. ამ საწყისთა ჰარმონიაა დამახასიათებელი პირველყოფილი აზროვნებისთვის. ეთნოლოგიური კვლევა მიისწრაფვის აღმოაჩინოს წესრიგი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში სტრუქტურული ანთროპოლოგიის მეთოდით, რომელიც ეფუძნება სამი პრინციპის ერთიანობას: 1. კულტურის მოვლენების საზოგადოების სინქრონიულ ჭრილში განხილვას; 2. მათ, როგორც მრავალნახნაგოვანი, ერთიანი წარმონაქმნის აღქმას; 3. კულტურის ანალიზს მისი ვარიანტულობის გათვალისწინებით. საბოლოო ჯამში კვლევა სტრუქტურის მოდელირებაა, რომელიც განსაზღვრავს ფარულ ლოგიკას, რომელიც ახასიათებს როგორც მოვლენის ცალკეულ ვარიანტებს, ასევე ვირტუალურ გადასვლას ერთი ვარიანტიდან მეორეზე. სტრუქტურის გამოვლენისათვის სამი ოპერაცია ტარდება: ბინარული ოპოზიციების შეთავსება, ბინარულობის გადატანა და შესაბამისობის განსაზღვრა უფრო ზოგად და უფრო კონკრეტულ ოპოზიციათა შორის.

კ. ლევი-სტროსის შრომები მიიჩნეოდა ცალმხრივობის, ისტორიული მატერიალიზმისა და იდეალიზმის დაძლევის მაგალითად. მისი კონცეფციის საფუძველია შეხედულება, რომ სტრუქტურული ლინგვისტიკის მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია სიმბოლოთა სისტემის აღდგენა, რომლებიც ასახავენ კულტურის ამა თუ იმ სფეროს სტრუქტურას. სტრუქტურალისტები მიიჩნევდნენ, რომ არსებობდა გარკვეული მუდმივი არაისტორიული სტრუქტურა, რომელსაც არა აქვს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ადამიანის ცნობიერების ნაყოფია. კ. ლევი-სტროსი მიიჩნევდა, რომ შეიმუშავა ე.ნ. სტრუქტურული მეთოდი. იგი მოვლენათა ურთიერთობას უპირატესობის მიხედვით განიხილავდა და იკვლევდა იმ სისტემებს, რომლებშიც ეს ურთიერთობები არსებობდა და არა თვით მოვლენის ბუნებას.

შემეცნების სტრუქტურული მეთოდი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დისციპლინების მიერ. სტრუქტურალიზმმა წამოაყენა იდეა, რომლის მიხედვითაც სოციოკულტურის ნიშანთა სხვადასხვა სისტემე-

ბის კვლევისას ვლინდება კანონზომიერებები, რომელთაც არაცნობიერად მისდევს ადამიანი. ეს კანონზომიერებები შეესატყვისება ცნებებს ეპისტემა (ფუკო), გზავნილი (დერიდა), მენტალიტეტი (ლევი-სტროსი) და სხვა.

სტრუქტურალისტური თეორიის მიხედვით, ანთროპოლოგიაში მნიშვნელობა პროდუცირდება და რეპროდუცირდება კულტურის შიგნით სხვადასხვა პრაქტიკის, ფენომენებისა და ქმედებების საშუალებით, რომლებიც წარმოდგენილია როგორც მნიშვნელობათა სისტემები. ლევი-სტროსი იყენებს დე სოსიურის განსხვავებას ლინგვასა და პაროლეს შორის ფუნდამენტური მენტალური სტრუქტურების საკვლევად, მისი აზრით, ის რაც აყალიბებს საზოგადოების სიღრმისეულ გრამატიკას სათავეს იღებს გონებაში და ადამიანებში არაცნობიერად ოპერირებს. ლევი-სტროსზე გავლენა მოახდინა ინფორმაციულმა თეორიამ და მათემატიკამ. ბინარული ოპოზიციების კონცეპტი მან პრაღის სკოლიდან ისესხა. და განაცხადა, რომ გონება ბინარული ოპოზიციებით მოქმედებს. მ. მოსის გავლენით ლევი-სტროსმა ალიანსის თეორია ჩამოაყალიბა. ლევი-სტროსის პოპულარობის ზრდამ 1960-70-იან წწ. ტერმინი სტრუქტურალიზმი დაამკვიდრა. სტრუქტურალიზმის წარმომადგენლები არიან ინგლისში რ. ნიდამი და ე. ლიჩი. მორის გოდელიემ კი მოახდინა მარქსიზმისა და სტრუქტურული ანთროპოლოგიის სინთეზი საფრანგეთში. აშშ-ში მ. სალინსმა საკუთარი თეორიები შექმნა სტრუქტურალიზმის საფუძველზე. 1980-იანი წლებიდან სტრუქტურალიზმმა პოზიციები დათმო.

ზოგი თეორეტიკოსი მართალია ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმს არ ემხრობა, მაგრამ კულტურის ფუნდამენტური სტრუქტურული ბაზისის არსებობას არ უარყოფს. არსებობს ბიოგენეტიკური სტრუქტურალიზმის ჯგუფი. მათი აზრით, ადამიანის გონების სტრუქტურა ერთია, ამიტომ არსებობს კულტურის გარკვეული სტრუქტურული საფუძველი და გვთავაზობენ ნეკროანთროპოლოგიის ჩამოყალიბებას, რაც მეცნიერულ საფუძველს დაუდებს კულტურული მსგავსება-განსხვავების ახსნას. სტრუქტურალიზმმა უარყო ადამიანის თავისუფალი არჩევანი და ყურადღება ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ სხვადასხვა სტრუქტურაზე გადაიტანა.

დღეს სტრუქტურალიზმი აღარაა პოპულარული. თუ თავის დროზე სტრუქტურალიზმი ისტორიულად მნიშვნელოვან სკოლად მიიჩნეოდა დღეს მან ადგილი დაუთმო პოსტსტრუქტურალიზმსა და დეკონსტრუქციის იდეებს. პოსტსტრუქტურალიზმი ინტელექტუალური განვითარების აღმნიშვნელი ფართო მნიშვნელობის ტერმინია. მისი წარმომადგენლები (ჟ. დერიდა, მ. ფუკო, ი. კრისტევა) სტრუქტურალიზმს აკრიტიკებდნენ და კულტურას ინტრეგრალური მნიშვნელობით განიხილავდნენ.

§15. ისტორიული სკოლა. ისტორიული სკოლის იდეები XIX საუკუნეში გაჩნდა. ევოლუციონიზმისგან განსხვავებით ისტორიული სკოლის წამომადგენლები უარყოფდნენ ისტორიული კანონზომიერების არსებობას და ამიტომ ისტორიული დარგების ამოცანად ფაქტების აღწერას მიიჩნევდნენ; ეთნოლოგიაში კი მიზნად ისახავდნენ ხალხთა და კულტურათა წარმოშობის საფუძვლების ძიებას. ისტორიული სკო-

ლის ერთ-ერთი განშტოება იყო გერმანული ისტორიულ-საარქივო მიმართულება, რომელიც ამოცანად კულტურის ისტორიული განვითარების კვლევას მიიჩნევდა წერილობით წყაროებზე დაყრდნობით. ეს მიმდინარეობაც ისტორიული სკოლის სხვა მიმართულებებთან ერთად ნათელს არ ჰფენდა ისტორიული განვითარების მამოძრავებელ ფაქტორებს და, მიუხედავად „ზეინდივიდუალურ იმპულსებზე" მსჯელობისა, არ საუბრობდნენ ისტორიული კანონზომიერებების არსებობაზე.

აშშ-ში ისტორიული სკოლა თავიდანვე ორი მიმართულებით ჩამოყალიბდა. ეს იყო კულტურული არეალების კონცეფცია (კულტურული არეალების კონცეფცია დიფუზიონიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც მატერიალისტურ ასპექტს შეიცავდა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვან კომპონენტად გეოგრაფიული გარემოს სტრუქტურა მიიჩნეოდა). მეორე კი იყო საკუთრივ ისტორიული სკოლა ფ. ბოასის ხელმძღვანელობით. ნეოევოლუციონიზმის განვითარებასთან ერთად ისტორიულმა სკოლამ მნიშვნელობა დაკარგა.

§16. ამერიკული ისტორიული სკოლა. ამერიკული ისტორიული სკოლა პირობითი სახელწოდებაა ფ. ბოასისა და მისი მიმდევრების აღსანიშნავად, რომელთაც XX საუკუნის ადრეული პერიოდიდან დაიწყეს ერთხაზოვანი (უნილინეალური) ევოლუციონიზმის კრიტიკა. ფ. ბოასი, რ. ბენედიქტი და მ. მიდი ემპირიული მეთოდების გამოყენებით ამტკიცებდნენ, რომ სპენსერის, ტეილორისა და მორგანის თეორიები სპეკულაციური იყო და არ ემყარებოდა ფაქტობრივ, ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ევოლუციის ეტაპების არსებობას ილუზია უწოდეს. მათ ასევე უარყვეს საზოგადოებების დაყოფა პრიმიტიულ და ცივილიზებულ (თანამედროვე) საზოგადოებებად. ასეთი მიდგომები მათ ეთნოცენტრულად მიიჩნიეს, რადგან უმაღლეს საფეხურად, ცივილიზებულ საზოგადოებად, ევროპული საზოგადოება იყო მიჩეული. ფ. ბოასმა ჩამოაყალიბა კულტურისადმი ისტორიული მიდგომა, რომელიც საველე სამუშაოზე იყო კონცენტრირებული, რათა არსებული კულტურული და ისტორიული პროცესების იდენტიფიცირება მოეხდინათ და არ ემსჯელათ განვითარების ნარმოსახვით ეტაპებზე. ფ. ბოასის მიხედვით, ყოველი ცალკეული ხალხის, მათი კულტურისა და ენის შესნავლა კონკრეტულ მასალაზე უნდა ყოფილიყო აგებული და არა აბსტრაქტულ სქემებზე. „კულტურის ისტორიული" გაგება დომინანტური იყო XX საუკუნის პირველ ნახევრაში აშშ-ში და დარგის განვითარებაზე მოახდინა გავლენა. მისი დამსახურებაა, რომ გაიშვიათდა მაღალი ხარისხის გენერალიზაცია და „სისტემების ჩამოყალიბება".

§17. ფროიდიზმი. ფროიდიზმის შეჭრა სოციალურ მეცნიერებებში 1920-იანი წლებიდან დაიწყო. 20 წლის მერე კი ყველაზე პოპულარულ მიმდინარეობად იქცა ამერიკულ ეთნოგრაფიაში. ფსიქოლოგიური სკოლის ნარმომადგენლებმა პირველ რიგში ისესხეს ფროიდის მსჯელობანი კულტურაზე, მის ნარმოშობასა და კულტურულ პროცესზე. ზ. ფროიდის მიხედვით, კულტურა არის აკრძალვებისა და ნორმების სისტემა, სადაც არსებობს ფსიქოლოგიური კონფლიქტი – არაცნობიერი ძალები ცდილობენ დაარღვიონ ნორმები, ცნობიერი ძალები კი ცდილობენ დაიცვან ისინი. ეთნოლოგებს იზიდავდა ზ. ფროიდის მიერ ადამიანის პრიმიტიულ-რაციონალისტური მოდელის უარყოფა, კულტუ-

რის სიმბოლური სამყაროსადმი ინტერესი და აკრძალული „სექსუალურ სახეების" და კვლვის ახალი წყაროების (მაგ. სიზმრები) ეთნოგრაფიული კვლევის სფეროში ჩართვა. ასევე კვლევის ახალი მეთოდები – ფსიქოანალიზი, პროექტიული ტესტები. თუმცა ასეთი მიდგომა ცალმხრივ შედეგებს იძლეოდა და საერთოდ არ იყო სოციალური განვითარების მატერიალური მხარე გათვალისწინებული. რის შედეგადაც ზ. ფროიდის ბევრმა მიმდევარმა დამოუკიდებელი თეორიები ჩამოაყალიბა (კ. იუნგის არქეტიპების თეორია და სხვ.). 1930-იანი წლებიდან აშშ-ში ჩამოყალიბდა ნეოფროიდისტული მიმდინარეობა, ფრანგული ფსიქოლოგიური სკოლა კი სტრუქტურალიზმს დაუახლოვდა.

§18. ნეოფროიდიზმი. ნეოფროიდიზმი დღეს იდეური მიმდინარეობაა, რომელიც ზ. ფროიდის ბიოლოგიზმის საპირისპიროდ სოციალურ დეტერმინიზმს ანიჭებს უპირატესობას. ნეოფროიდისტთა მიხედვით, შიდა პიროვნული კონფლიქტები დამოკიდებულია პიროვნებათა შორის ურთიერთობებზე და „არაცნობიერიც" კი სოციალური მნიშვნელობისა ხდება. ამასთანავე, ფსიქიკის „სოციოლოგიზაცია" სოციალური მოვლენების „ფსიქოლოგიზაციას" ემყარება. ამერიკულ ეთნოლოგიაში ნოეფროიდიზმი ბიჰევიორისტულმა თეორიებმა ჩაანაცვლეს.

§19. ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლა. აშშ-ში პრაგმატიზმის ფილოსოფიის „ისტორიული სკოლისა" და ფროიდიზმის გავლენით 30-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ფსიქოლოგიური სკოლა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, პირველ წლებში, ფსიქორასიზმამდე მივიდა. ამერიკული ეთნოფსიქოლოგიური სკოლა ეთნიკურ განსხვავებებსა და კულტურის დინამიკას „პიროვნების ბაზისური სტრუქტურის" ნეოფროიდისტული თეორიის საფუძველზე ხსნიდა. დიდი იყო ინტერესი ადრეული ბავშვობის ასაკისადმი, განსაკუთრებით ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარებისადმი. სათანადო ყურადღების მიღმა რჩებოდა საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. დღეისათვის, ეს მიმდინარეობა აღარ არსებობს დამოუკიდებელი იდეური მიმართულების სახით, მისი თემატიკა ფსიქოლოგიურმა ანთროპოლოგიამ მოიცვა.

§20. ფუნქციონალიზმი. ფუნქციონალისტურმა იდეებმა ფართო გავრცელება ჰპოვა ეთნოლოგიაში, განსაკუთრებით ნათლად იგი ინგლისურ ეთნოლოგიაში გამოვლინდა. მისი ფუძემდებელი ბ. მალინოვსკი იყო, ფუნქციონალისტური სკოლის მნიშვნელოვან წარმომადგენლად კი ა. რედკლიფ-ბრაუნი მიიჩნევა. საზოგადოებრივი მოვლენების ფუნქციონალურ დამოკიდებულებას ჯერ კიდევ ე. დიურკჰეიმმა მიაქცია ყურადღება, მაგრამ ბრონისლავ მალინოვსკის შრომები ფუნქციონალიზმის ეთნოგრაფიულ თეორიად ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ფუნქციონალიზმის საერთო კონცეფცია ეფუძნება „ჰოლიზმის" იდეას, რომლის მიხედვითაც კულტურა ერთიანი, ჰარმონიულად ფუნქციონირებადი მთელია, რომლის თითოეული ნაწილი გარკვეული ფუნქციის მატარებელია და სასიცოცხლოდ აუცილებელია მთელისათვის. ყოველ ჩვეულებას აქვს მნიშვნელობა და ამ თვალსაზრისით არ არსებობს გადმონაშთები. ყოველი ხალხის ყოფა და კულტურა ურთიერთდაკავშირებული მთელია. ფუნქცია გაგებულია როგორც „მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გარკვეული ქმედებებით, რომლის

დროსაც ხალხის გაერთიანება" ან „ორგანული იმპულსის შესაბამისი აქტით დაკმაყოფილება" ხდება. ბ. მალინოვსკიმ სოციალურ ყოფაში ბიოლოგიური მომენტი შემოიტანა, მისი აზრით, საზოგადოება ფუნქციონალისტების, ინდივიდების კრებულია, რომელთაც ბიოლოგიური მოთხოვნილებები აქვთ. კულტურათა სხვაობა კი დაყვანილია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების განსხვავებულ ხერხებზე. ჰოლიზმმა ფუნქციონალიზმს გარკვეულად დასრულებული ხასიათი შესძინა სტრუქტურათა მთლიანობის დახასიათების კუთხით. ამ თვალსაზრისით ეთნოლოგიაში მნიშვნელოვნი გახდა არა თავად მოვლენისა თუ ინსტიტუტების, არამედ მათი ფუნქციების დახასიათება. ბ. მალინოვსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გამოყენებით ეთნოგრაფიას და აღნიშნავდა, რომ მისი ამოცანაა დაადგინოს არა ამა თუ იმ ინსტიტუტის წარმოშობა, არამედ მათი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის, რათა ეს ცოდნა სათანადოდ, სწორი პოლიტიკის შემუშავებისთვის იქნას გამოყენებული. ფუნქციონალისტურმა სკოლამ არსებობა XX საუკუნის მეორე ნახევარში შეწყვიტა, თუმცა მისი იდეები სხვადასხვა თეორეტიკოსების შრომებში დღემდე გვხვდება.

§21. კულტურული რელატივიზმი. კულტურული რელატივიზმი მსოფლმხედველობრივ ტენდენციებს აღნიშნავს, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გაჩნდა. იგი აღიარებს ღირებულებათა შემოსაზღვრულობას, უარყოფს კაცობრიობის განვითარების საერთო პრინციპებისა და კანონზომიერებების არსებობას, ერთხაზოვან ევოლუციონიზმსა და ეთნოცენტრიზმს. კულტურული რელატივიზმის მიხედვით ყოველ კულტურას აქვს „დომინირებული" მახასიათებელი, რომლის გარშემოც ყალიბდება სხვა ელემენტები და ყოველი კულტურა მხოლოდ თავისივე კატეგორიებით, თავისსავე კონტექსტში უნდა იქნას გაგებული. იგი ყველა კულტურის აბსოლუტურ თვითმყოფადობას აღიარებს.

§22. რუსული (საბჭოთა) ეთნოგრაფიული სკოლა. რუსული ეთნოგრაფია სათავეს ნ. ანუჩინის შრომებიდან იღებს. იგი ისტორიულ-კულტურული პრობლემების კვლევისას არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურსა და ანთროპოლოგიურ მონაცემებს ეყრდნობოდა. განსაკუთრებული წვლილი დარგის განვითარებაში შეიტანეს ვ. ბოგორაზმა, ლ. შტერნბერგმა, ბ. პილსუდსკიმ და სხვ. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ცენტრების გვერდით სამეცნიერო უჯრედად ჩამოყალიბდა პეტრე დიდის სახ. ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, სადაც XX საუკუნის დასაწყისიდან ვ. რადლოვის ხელმძღვანელობით საუკეთესო ეთნოგრაფიული კადრები მუშაობდნენ. ისინი თანამშრომლობდნენ ადგილებზე მომუშავე ეთნოგრაფმოყვარულებთან, მოსკოვის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების ეთნოგრაფებთან და მოსკოვის, პეტერბურგისა და ყაზანის უნივერსიტეტების ეთნოგრაფებთან. 1917 წლის რევოლუციამ და მარქსისტულმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ეთნოგრაფიული დარგის განვითარებაზე. საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში თეორიული ნაშრომების საფუძველს ძირითადად ევოლუციონისტური, რიგ შემთხვევებში კი ფ. ბოასის იდეები ნარმოადგენდა. სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან ძირითად სა-

კითხად ეროვნული საკითხის გადაწყვეტა იქცა, რაც სსრკ-ში მცხოვრები ხალხების ყოფისა და კულტურის ცოდნას საჭიროებდა. სწორედ ეს ამოცანა დადგა საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე. ფართოდ გაიშალა ეთნოგრაფიული მუშაობა რეგიონებში. ეთნოგრაფები საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მხარდამჭერებად იქცნენ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით.

1933 წელს ხლისუფლების გადაწყვეტილებით მუზეუმის ბაზაზე დაფუძნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომლის მიზანიც 1930-იანი წლებიდან ჩამოყალიბებული ეთნოგრაფთა დიდი რაზმის მუშაობის კოორდინაცია იყო. 1935 წელს ინსტიტუტს სახელი გადაერქვა და გახდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. მის ბაზაზე მიმდინარეობდა თეორიული და პრაქტიკული ეთნოგრაფიული საკითხების დამუშავება.

1956 წლიდან მოყოლებული საბჭოთა ეთნოგრაფები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სიმპოზიუმებში და პროპაგანდას უწევდნენ მარქსიზმს.

საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლა ისტორიული მეცნიერების ქვედარგად იყო წარმოდგენილი. მისი კვლევის საგანს ხალხების კულტურისა და ყოფის შესწავლა წარმოადგენდა. საბჭოთა ეთნოგრაფია სწავლობდა კულტურას „ეროვნული ან ეთნიკური სპეციფიკის" გათვალისწინებით და ცდილობდა გამოეყო „მასში დაფენილი განსხვავებული ისტორიული შრეები". აგრეთვე იკვლევდნენ თანამედროვე ყოფასა და კულტურას. ყურადღება ეროვნულ თავისებურებებზე იყო კონცენტრირებული. დასავლური ეთნოლოგიური სკოლებისგან განსხვავებით საბჭოთა სკოლა კვლევის ობიექტად ეთნიკურ ერთობას მიიჩნევდა, რომელიც ხშირად „ხალხთან" ასოცირდებოდა. ეთნოგრაფიის ამოცანები ჩამოყალიბებული იყო ი. ბრომლეის ნაშრომებში „ეთნოსი და ეთნოგრაფია" და „ეთნოგრაფიის თანამედროვე პრობლემები". ი. ბრომლეი ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიის ინსტიტუტს 1967-1989 წლებში. საბჭოთა ეთნოგრაფებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის კვლევის საქმეში, ტრადიციულ კულტურებში მიმდინარე ცვლილებების შესწავლაში, თანამედროვე ეთნიკური და ეთნოკულტურული პროცესების კვლევაში. ჩვეულ მოვლენად იქცა ეთნოსოციოლოგიური გამოკვლევები, ეთნოფსიქოლოგიური შრომები, განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა პირველყოფილი ისტორიის თეორიული ასპექტების კვლევის მხრივ. საბჭოთა ეთნოგრაფიისთვის ამოსავალი ეთნოგრაფიის ეთნოსების შესახებ მეცნიერებად აღქმა იყო. ეთნოსები, თავის მხრივ, გააზრებული იყო როგორც ერთიანი სისტემა თავისი საწარმოო, სოციალური, სოჯახო, კულტურული და სხვ. კავშირებით, რომელთა კვლევაც ამ კუთხით უნდა წარმოებულიყო. კვლევა არ უნდა შემოფარგლულიყო ერთი ეთნოსით, აუცილებელი იყო მისი სხვა ეთნოსთან შედარება სპეციფიკური და საერთო მახასიათებლების გამოსავლენად. ეთნოგრაფია სწავლობდა ეთნოსებს ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე და აქედან გამომდინარე საბჭოთა ეთნოგრაფთა აზრით, ეს დარგს პასუხისმგებლობას აკისრებდა შეემუშავებინა მსოფლიოს ხალხების საერთო

ეთნოგრაფიული დახასიათებები, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მდგომარეობის ჩათვლით.

დიდი იყო ეთნოგენეტიკური კვლევების წილი საბჭოთა ეთნოგრაფების შრომებში. ეთნოგრაფია განიხილებოდა ისტორიულ-საზოგადოებათმცოდნეობით დარგად, რომელსაც შესწევდა უნარი შეესწავლა ყველა ეთნოსი უძველესი დროიდან დღემდე და, შესაბამისად, მის ამოცანას საზოგადოებრივი განვითარების წარმართვის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავება შეადგენდა. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომის მიუხედავად, საბჭოთა წლებში მასალის მოძიება-ფიქსაციის თვალსაზრისით უნიკალური ეთნოგრაფიული სამუშაოები შესრულდა.

1960-იანი წლებიდან აშკარა გახდა სირთულეები დარგთან მიმართებით, ერთი მხრივ, აღნიშნავდნენ (მაგ. მარვინ ჰარისი), რომ ემპირიულ მასალაზე დაფუძნებული სამეცნიერო ნაშრომები გამოდევნა შამანიზმზე, ჯადოქრობასა და პარანორმალურ ფენომენებზე მსჯელობამ, მეორე მხრივ კი, მიუთითებდნენ (ერიკ ვოლფი) რომ ქვედარგებად დაყოფამ დარგს დააკარგვინა საერთო დისკურსი, საერთო პარადიგმა, გაზიარებული ტერმინები და საერთო ენაც კი. აშკარაა ლიმინალობის კლასიკური ნიშნები: კატეგორიების შეუსაბამობა და ანტისტრუქტურა. ასეთი უნესრიგობა კარგი საფუძველია ახალი წესრიგისთვის. მითუმეტეს, რომ არსებობს თეორიული ორიენტაციის ძირითადი საყრდენი და ეს – პრაქტიკაა, რომელიც ცალკე თეორიად ან მეთოდად კი არ განიხილება, არამედ სიმბოლოდ, რომლის სახელითაც სხვადასხვა თეორიებისა და მეთოდების გაერთიანება და განვითარებაა შესაძლებელი.

თემა VI

ეთნოლოგიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ეთნოლოგიის კვლევის ძირითად ობიექტს ეთნოსები წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთი ცხოველქმედების რეალიზებას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ახდენენ. ცნობილია, რომ ადამიანთა ცხოველქმედების ეს მხარეები სხვა მეცნიერებების მიერაც შეისწავლება, ამიტომაც ეთნოლოგიას უშუალო კავშირი აქვს ამ მეცნიერებებთანაც. მასთან ყველაზე ახლოსაა ეთნოგრაფია, ისტორია, ანთროპოლოგია, კულტუროლოგია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, გეოგრაფია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იმასაც აღნიშნავენ, რომ დროთა განმავლობაში კლასიკურმა ეთნოლოგიამ თავისი კვლევის საგანი შეიძლება დაკარგოს, მაგრამ მისი მოსაზღვრე მიმართულებების – ეთნოსოციოლოგიის, ეთნოფსოქოლოგიის, ეთნოპოლიტოლოგიის და კულტურული ანთროპოლოგიის განვითარებას გარკვეული პერსპექტივები აქვს.

§1. ეთნოლოგია და ეთნოგრაფია. ეთნოლოგიურ მეცნიერებასთან ყველაზე ახლოს ეთნოგრაფიაა. ისინი ერთმანეთის მონათესავე და ურთიერთშემავსებელი მეცნიერებებია. როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, ეთნოგრაფია საუკუნენახევრის წინ წარმოიქმნა. თავდაპირველად მისი მოქმედების სფერო სხვადასხვა ხალხთა სოციოკულტურული მონაცემების შეკრება და სისტემატიზაცია იყო. ეთნოგრაფიის საგანი სხვადასხვა ხალხების მსგავსებათა და განსხვავებათა, მათი ეთნიკური იერსახის, სპეციფიკურობის შესწავლა იყო. თავდაპირველადვე ეთნოგრაფიული მასალების მოპოვების ძირითად წყაროს შესასწავლი ხალხების ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვება წარმოადგენდა. ტერმინი „ეთნოგრაფია" სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. მისი მიზანი, უპირველეს ყოვლისა, კვლევის აღწერილობითი ფუნქციით შემოფარგვლაა, ეთნოლოგია კი განიხილება როგორც თეორიული, განმაზოგადებელი მეცნიერება ეთნოსების შესახებ. ეს დაყოფა ფაქტობრივად დასავლეთის სამეცნიერო ტრადიციებს ემყარება, რომლებიც ამ მეცნიერებაში გამოყოფენ აღწერილობით (საკუთრივ ეთნოგრაფია) და თეორიულ (ეთნოლოგია) შემადგენელ ნაწილებს. თანამედროვე ეთნოლოგია, უპირველეს ყოვლისა, სისტემატიზაციის ხერხებს შეიმუშავებს, ახდენს ეთნოგრაფიული მონაცემების განზოგადებას, ანალიზს, განმარტებებს. ამდენად, ეთნოლოგია ეთნოგრაფიას აძლევს კონცეპტუალურ აპარატს. ეთნოგრაფია უპირატესად აღწერილობითი მეცნიერებაა, ეთნოლოგია კი მის თეორიას წარმოადგენს. ყოფილ საბჭოთა კავშირში „ეთნოგრაფია" მოი-

ცავდა როგორც საკუთრივ ეთნოგრაფიას (აღწერილობით ნაწილს), ასევე ეთნოლოგიას (განზოგადებულ, თეორიულ ნაწილს). XX საუკუნის 20-ანი წლების ბოლოს საბჭოთა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა ეთნოლოგიის მიმართ. 1929 წლის ეთნოგრაფთა თათბირზე ეთნოლოგია საზოგადოებათმცოდნეობის ბურჟუაზიულ სუროგატად გამოცხადდა. ფართოდაა გავრცელებული თვალსაზრისი, რომ ეთნოგრაფია და ეთნოლოგია (ანთროპოლოგია) პრაქტიკულად სინონიმური ცნებებია. მართლაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ საბჭოთა კავშირში ეთნოგრაფიად იწოდებოდა ის, რასაც დასავლეთში კულტურული ანთროპოლოგია ეწოდებოდა. თუმცა ტერმინი „ეთნოგრაფია" არც დასავლეთისათვის იყო უცნობი. კულტურული ანთროპოლოგია ჩასახვის მომენტიდან უფრო ფართო დისციპლინას წარმოადგენდა და მის საგანს პირველ რიგში ხალხთა კულტურების სტრუქტურისა და ყოფიერების ახსნის კონცეფციები წარმოადგენდა, ხოლო აღწერილობითი, „საველე" მასალები (როგორი მდიდარი და მრავალფეროვანიც არ უნდა ყოფილიყო ისინი) კონცეფციების გადამოწმების საშუალებას წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მასალები ინტერპრეტაციის საშუალება იყო. უკანასკნელ ხანებში ეთნოლოგიის შესახებ ეს შეხედულება უფრო გავრცელებულია. ბოლოს გამოცემულ ეთნოლოგიურ ლექსიკონებში აღნიშნულია, რომ ვიწრო მნიშვნელობით ეთნოლოგია თეორიული ხალხთმცოდნეობაა, განსხვავებით აღწერილობითი ეთნოგრაფიისაგან.

§2. ეთნოლოგია და ანთროპოლოგია. ეთნოლოგია ძალიან ახლოსაა ანთროპოლოგიასთან. ყოფილ საბჭოთა კავშირში ანთროპოლოგიად მხოლოდ ფიზიკური ანთროპოლოგია იწოდებოდა, რომელიც სწავლობს რასებს, მათ წარმოშობას, კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით გადანაწილებას, კულტურულ-ისტორიული პროცესების შედეგად მომხდარ ადამიანთა ფიზიკური იერსახის ცვლილებებს, ეთნოსების ანთროპოლოგიურ შემადგენლობას. დასავლეთში ანთროპოლოგიის ორი მიმართულება არსებობდა და არსებობს: სოციალური ანთროპოლოგია და კულტურული ანთროპოლოგია. როგორც სოციალურ ისე კულტურულ ანთროპოლოგიას მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ეთნოლოგიის სინონიმებად მიიჩნევს. ერთი და იგივე მეცნიერები ხან ეთნოლოგებად და ხან ანთროპოლოგებად იწოდებიან. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ეს მეცნიერებები//დისციპლინები ერთი და იგივე არ არის და სრულიადაც არ ფარავს ერთმანეთს. თითოეულ მათგანს შენარჩუნებული აქვს თვითმყოფადობა: საკუთარი მეთოდოლოგიური მიდგომა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდების ერთობლიობა და კვლევის ასპექტები. თავისი საგნობრივი ველით (არით) ეთნოლოგია უფრო ფართო და ვრცელია, ვიდრე ანთროპოლოგიის ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებები. ანთროპოლოგის საკვლევ სფეროში არასოდეს არ ხვდება ეთნოგენეზის, ეთნიკურობის პრობლემები, ეთნიკური ჯგუფები, ხალხთა განსახლებანი, ეთნოდემოგრაფიული პროცესები. აქ ჩამოთვლილი პრობლემების შემსწავლელ მეცნიერებს, როგორც ნესი, ანთროპოლოგებს არ უნოდებენ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეთნოლოგი ეთნოგენეზის საკითხების კვლევისას ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცე-

მებს გვერდს ვერ აუვლის. ამრიგად, ანთროპოლოგია შეიძლება პირობითად ეთნოლოგიის ნაწილადაც კი იქნას მიჩნეული. ფიზიკური ანთროპოლოგია იყო და რჩება მეცნიერებად ადამიანის ბიოლოგიური, ფიზიკური ბუნების შესახებ, ე. ი. რასების შესახებ. მაგრამ ეთნოსები ფორმირდებიან არა მხოლოდ ბუნებრივი პროცესების შედეგად, არამედ სოციოკულტურული პროცესების მიმდინარეობის დროსაც. ამიტომაც ეთნოლოგია ორიენტირებულია ეთნოსების ცხოველქმედების სოციოკულტურული მხარეების კვლევაზე. თუმცა მეცნიერთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ურთიერთკავშირში გარკვეული გაურკვევლობაც არსებობს. ისინი სოციალურ ანთროპოლოგიას და კულტურულ ანთროპოლოგიას ერთი მედლის ორ მხარედ, ერთი მეცნიერების ორ მიმართულებად განიხილავენ, რომლებიც ერთსა და იმავე ობიექტს სხვადასხვა ასპექტით სწავლობენ. სოციალური ანთროპოლოგია ყურადღებას ძირითადად ადამიანთა ჯგუფურ ურთიერთობებსა და სოციალური პროცესების შესწავლაზე ამახვილებს, საგანი კი – ადამიანის ცხოვრების სოციალური ორგანიზაცია და ტრადიციულ და თანამედროვე საზოგადოებებში ფუნქციონირებაა. სოციალური ანთროპოლოგიის კონკრეტული ობიექტი ცხოვრების მსგავსი პირობებით გაერთიანებული ადამიანთა საზოგადოებაა: საერთო საცხოვრებელი ადგილი, საერთო პოლიტიკური ორგანიზაცია ერთიანი ენითა და კულტურით. კულტურული ანთროპოლოგიის საგნობრივი არე ადამიანებისა და კულტურების ურთიერთქმედებით შემოიფარგლება. ის სოციალური ორგანიზაციის ჩარჩოებში კულტურულ-ისტორიული საკითხების, კულტურების წარმოშობის (გენეზისი), აღნაგობის, წყობის (მორფოლოგიის), განვითარების (დინამიკის) და მრავალფეროვნების საკითხების კვლევაზეა ორიენტირებული. ამიტომაც სოციუმს ადამიანებისა და კულტურების არსებობის გარემოდ განიხილავენ, რომელსაც აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური ბუნება. ამავე დროს, მეცნიერებაში მაინც არსებობს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ეთნოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია და სოციალური ანთროპოლოგია მხოლოდ ერთი და იგივე მეცნიერების სხვადასხვა სახელწოდებებია. ჩასახვის დღიდან კულტურული ანთროპოლოგია კაცობრიობის კულტურის ფორმირების შემსწავლელ მეცნიერებად გვევლინება. ის თავისი კონცეფციების დასასაბუთებლად და შესამოწმებლად ეთნოგრაფიულ, აღწერილობით მასალას იყენებს. თავის მხრივ, ეთნოლოგია კულტურული ანთროპოლოგიის მონაცემებს თეორიული განზოგადებებისას იყენებს. სოციალურ ანთრონლოგიასთან ეთნოლოგიის ურთიერთობა ერთგვარად სხვაგვარი ხასიათისაა. სოციალურ ანთროპოლოგიას ყოველთვის მსოფლიოს ხალხების სოციალური ორგანიზაციის თავისებურებების შესწავლისაკენ ჰქონდა გეზი აღებული. ტერმინი „სოციალური ანთროპოლოგია“ სამეცნიერო მიმოქცევაში ინგლისური ეთნოლოგიის ფუძემდებელმა ჯორჯ ფრეზერმა შემოიტანა, რომელმაც ადამიანის კვლევის ეს მიმართულება ფიზიკურ ანთროპოლოგიას დაუპირისპირა. სოციალური ანთროპოლოგია უფრო ახლოს სოციოლოგიასთანაა, ვიდრე ეთნოლოგიასთან, რადგან ის თავისი კვლევის სფეროდ ეთნიკურ ერთობებს არ განიხილავს.

§3. ეთნოლოგია და ისტორია. ეთნოლოგიის კავშირი საისტორიო მეცნიერებასთან საყოველთაოდ აღიარებულია. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ეთნოლოგია საისტორიო მეცნიერების დარგად ჩამოყალიბდა. უფრო მეტიც, კარგა ხნის განმავლობაში ის, არქეოლოგიასთან ერთად, ისტორიის დამხმარე დისციპლინადაც კი განიხილებოდა. სინამდვილეში ის ამ ფუნქციას მართლაც ასრულებდა. თუმცა შემდეგ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ეთნოლოგია მეცნიერების სხვა, დამოუკიდებელი დარგია და ისტორიულ მეცნიერებასთან მრავალმხრივაა დაკავშირებული. ეთნოგრაფიული მასალები და ამ მასალების ეთნოლოგიური გააზრება ისტორიკოსებს მთელი რიგი სოციალურ-კულტურული პროცესების ახსნაში ეხმარება. ეთნოგრაფიული მონაცემები შესაძლებლობას იძლევა ისტორიაში მიმდინარე მთელი რიგი სოციალურ-კულტურული პროცესების ახსნისა და სხვანაირად დანახვისა. მაგალითად, პირველყოფილი საზოგადოების ისტორია შეიძლება მოვიყვანოთ, რომლის შესასწავლად ისტორიკოსებს წერილობითი წყაროები არ გააჩნიათ. მას კი ძირითადად ორი მეცნიერების – არქეოლოგიისა და ეთნოგრაფია-ეთნოლოგიის – საშუალებით შეისწავლიან. არქეოლოგია მინის ნიაღში მოპოვებულ მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზს აკეთებს, მეორე მათგანის ანალიზის სფერო კი განვითარების კლასობრიობამდელი საზოგადოების ხალხების შესწავლაა. ეთნოლოგიისა და ისტორიის საშუალებით ხდება ხალხების წარმოშობისა (ეთნოგენეზის) და განვითარების პროცესების (ეთნიკური ისტორიის) შესწავლა. თუმცა ეთნოგენეზის შესწავლაში, ისტორიასა და ეთნოლოგიასთან ერთად, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებსაც (არქეოლოგია, ფიზიკური ანთროპოლოგია, ენათმეცნიერება). ხშირ შემთხვევაში ეთნოლოგია წყაროდ საისტორიო წერილობით ძეგლებსაც იყენებს, თუ მათში ხალხთა წარმომავლობის, ყოფის, ტრადიციებისა და კუტურის შესახებ სათანადო მონაცემებია დაცული. თავის მხრივ, არც ისტორიკოსები გაურბიან საისტორიო წყაროებში დაცული სათანადო ეთნოლოგიური მონაცემების ანალიზს. ამ თვალსაზრისით ფრანგული ანალების სკოლის წარმომადგენელთა დასახელებაც საკმარისია. უფრო მეტიც: ისტორიისა და ეთნოლოგიის სიახლოვემ, საერთო ინტერესებმა ეთნოლოგიის სპეციალური მიმართულებაც კი ჩამოაყალიბა, რომელსაც ისტორიულ ეთნოლოგიას ვუწოდებთ.

§4. ეთნოლოგია და სოციოლოგია. ეთნოსები, რომლებიც ეთნოლოგიის შესწავლის ობიექტები არიან, არა მხოლოდ ბუნებრივი განვითარების, არამედ სოციოკულტურული პროცესების შედეგადაც ჩამოყალიბდნენ. რადგანაც ეთნოსები სოციალურ და კულტურულ ერთობებს წარმოადგენენ, ამიტომ ეთნოლოგია თავის კვლევებში სოციალურ და კულტუროლოგიურ კონცეფციებსაც იყენებს. ეთნოლოგიური მეცნიერება ეთნიკური პროცესების კვლევისას სოციოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტების კვლევითაცაა დაინტერესებული და ამიტომ ის სოციოლოგიასა და კულტუროლოგიასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიასა და ეთნოლოგიას საერთო ფესვები და ისტორია აქვთ. მათი შეხებისა

და ურთიერთკავშირის შედეგად წარმოიქმნა დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა – „ეთნოსოციოლოგია“, რომელიც ეთნიკურ ერთობათა განვითარებისა და ფუნქციონირების სოციალურ ასპექტებს, ინდივიდებისა და სოციალური გარემოს ურთიერთკავშირების ხასიათსა და ტიპებს სწავლობს. ეთნოლოგიას პრობლემების ის ერთობლიობა აინტერესებს, რომელიც სოციოლოგიის ინტერესის სფეროში შედის (სოციალური ჯგუფები და ფენები, სოციალური ინსტიტუტები), მაგრამ მეცნიერების ეს ორი დარგი ერთი და იმავე საკითხების კვლევას სხვადასხვა საშუალებებით ახორციელებს. სოციოლოგია თუ ძირითადად მთლიანი საზოგადოების სისტემებსა და სოციოკულტურულ კავშირებს სწავლობს, ეთნოლოგიისათვის უპირველეს ყოვლისა საინტერესოა ეთნიკურ ერთობათა სოციალური სტრუქტურები, ეთნიკურ კულტურათა სოციალური დინამიკა, ეთნოსების სოციალური დიფერენციაცია, ეთნიკური თვითშეგნება, სხვადასხვა ხალხების ფსიქიკის ეთნიკური თავისებურებანი და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეთნოლოგია სწავლობს სოციალურ პროცესებსა და მოვლენებს სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში, ეთნიკურ პროცესებს სოციალურ ჯგუფებში.

სოციოლოგიასა და ეთნოლოგიას კვლევის განსხვავებული მეთოდებიც აქვთ, თუმცა საერთო მეთოდებიც გააჩნიათ: დაკვირვება, კითხვარების საშუალებით მასალების შეკრება, გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი და ა. შ. მაგრამ ამ მეთოდებთან მიმართებით ორივე დასახელებულ მეცნიერებას თავისებურებები გააჩნია. სოციოლოგია უპირატესად წერილობით წყაროებსა და დოკუმენტებზე მუშაობს, ეთნოლოგია კი – ზეპირ და არავერბალურ წყაროებზე. ამრიგად, ორი დამოუკიდებელი მეცნიერება – სოციოლოგია და ეთნოლოგია თანდათან ერთმანეთს უახლოვდება, რამაც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ახალი სამეცნიერი მიმართულების –ეთნოსოციოლოგიის ჩამოყალიბება განაპირობა.

§5. ეთნოლოგია და კულტუროლოგია. ეთნოლოგიისა და კულტუროლოგიის თანაფარდობა მათი საგნობრივი ველიდან მომდინარეობს. კულტუროლოგია სწავლობს კულტურის ისტორიასა და თეორიას, კულტუროლოგიური მოძღვრების ისტორიას, კულტურის ფილოსოფიას, კულტურის სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას. ეთნოლოგია ეთნოსების კულტურული სპეციფიკის საკითხებს იკვლევს, რითაც ეთნოსები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მეცნიერები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეთნოლოგია და კულტუროლოგია ერთმანეთის შემავსებელი მეცნიერებებია. ზოგიერთი მათგანი მათ ერთ მეცნიერებაში – „ეთნოკულტუროლოგიაში“ აერთიანებს.

§6. ეთნოლოგია და ფსიქოლოგია. ეთნოლოგიური კვლევებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთკავშირს. ეთნოლოგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართების სფეროში რამდენიმე კვლევითი მიმართულება ჩამოყალიბდა, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს სოციალიზაციისა და ინკულტურაციის თეორია, ბავშვობის ეთნოლოგია, აკულტურაციის თეორია, ეთნიკური ხასიათის კონცეფცია და სხვა. ეთნოლოგიისა და

ფსიქოლოგიის ურთიერთკავშირის შედეგად ჩამოყალიბდა სამეცნიერო მიმართულება – ეთნოფსიქოლოგია. ეთნიკური ფსიქოლოგია მნიშვნელოვნად აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ხალხების სულიერ სამყაროსა და მენტალობაზე.

§7. ეთნოლოგია და პოლიტოლოგია. ეთნოსებისა და პოლიტიკის ურთიეთქმედების საკითხებს სწავლობს სამეცნიერო მიმართულება – ეთნოპოლიტოლოგია. ეთნოლოგიურ მეცნიერებას მნიშვნელოვანი და საყურადღებო მონაცემების მიწოდება შეუძლია პოლიტოლოგებისათვის, განსაკუთრებით ეთნოსთაშორისი ურთიერთობისა და კონფლიქტების კვლევისას.

თემა VII

ეთნოლოგიისა და სხვა მეცნიერებების მიჯნაზე წარმოქმნილი მეცნიერული მიმართულებები

§1. ისტორიული ეთნოლოგია. ისტორიული ეთნოლოგია ეთნოლოგიური მეცნიერების ნაწილია. ის სწავლობს ცალკეული ეთნოსების წარმოშობასა და ფორმირებას (ეთნოგენეზს), ეთნიკურ ისტორიას, სხვადასხვა ეთნოსების ხალხური ყოფისა და კულტურის გენეზისსა და ტრადიციულ ფორმებს, კლასობრიობამდელი საზოგადოების კულტურას, ამ ცნების ფართო გაგებით, გამქრალი ხალხების ეთნოლოგიას (პალეოეთნოლოგია), სამეურნეო-კულტურულ ტიპებს და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების ჩამოყალიბებასა და ევოლუციას. ისტორიულ ეთნოლოგიაში მნიშვნელოვანია კულტურულ-გენეტიკური მიმართულება, რომელიც ძირითადად ხალხური კულტურის ცალკეული კომპონენტების გენეზისსა და ევოლუციას სწავლობს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მატერიალური, სულიერი, სოციონორმატიული კომპონენტების ეთნიკურ თავისებურებებს.

ისტორიული ეთნოლოგიის სამეცნიერო კვლევა-ძიება ეფუძნება როგორც საკუთრივ ეთნოგრაფიულ მასალებს (რომელთა შორის განსაკუთრებით ფასეულია გადმონაშთის სახით შემორჩენილი მოვლენები, რომლებიც შედარებით-ისტორიული მეთოდებით შეისწავლება და დიდი ხნის წინანდელი, წარსულში დაფიქსირებული და ახლა გამქრალი ეთნოგრაფიული ფაქტები), ისე ისტორიულ, არქეოლოგიურ, ლინგვისტურ, ანთროპოლოგიურ, ონომასტიკურ და სხვა წყაროებს, რომელთა გააზრებაც კომპლექსურად ხდება.

ისტორიული ეთნოლოგია, როგორც ეთნოლოგიური მეცნიერების ნაწილი, შედარებით გვიან – XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა, თუმცა ეთნოლოგია საქართველოში, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძირითადად ისტორიული მიმართულების მეცნიერება იყო. ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევები ფართოდ განვითარდა XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან და მისი ფორმირება ევოლუციონიზმის წარმოქმნასთან იყო დაკავშირებული. საერთოდ, ხალხური კულტურის ეთნოლოგიური თვალსანიერით შესწავლა ისტორიზმის გარეშე შეუძლებელია. ბოლო ხანებში როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეთნოლოგთა შორის ისტორიული ეთნოლოგიის მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა, განსაკუთრებით ეს ითქმის კულტურულ-გენეტიკური კვლევების შესახებ. XX საუკუნის ბოლოს რუსეთში ი. ჩესნოვისა და ს. ლურიეს ორი შესანიშნავი სახელმძღვანელოც გამოვიდა.

ისტორიული ეთნოლოგიის შემადგენელი ნაწილია პალეოეთნოლოგია, რომელიც ძირითადად ძველი და შუა საუკუნეების გამქრალ ეთნოსებს (მაგალითად, ხეთებს, მიდიელებს, სკვითებს, ჰუნებს, ხაზარებს, ინკებს და სხვებს) სწავლობს. პალეოეთნოლოგიას შედარებით გვიან გამქრალი ხალხებიც აინტერესებს (ტასმანიელები, უბიხები). პალეოეთნოლოგიური კვლევა-ძიებისას მნიშვნელოვანი და აუცილებელია არქეოლოგიური მასალის, წერილობითი ძეგლების, ეთნიკური ანთროპოლოგიის, ეთნოლინგვისტიკის, ეთნიკური ონომასტიკის, ფოლკლორისტიკის და სხვა სამეცნიერო მიმართულებებისა და დისციპლინების მონაცემთა გათვალისწინება, რომლებიც კომპლექსურად შეისწავლება. დასავლეთის მეცნიერებაში პალეოეთნოლოგიურ კვლევებს ხშირად ეთნოისტორიას მიაკუთვნებენ.

§2. ეთნოგეოგრაფია. ეთნოგეოგრაფია სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც ეთნოლოგიისა და გეოგრაფიის მიჯნაზე ნარმოიქმნა. ტერმინი „ეთნოგეოგრაფია" პირველად 1920-იან წლებში ვ. ბოგოროზმა შემოიტანა, თუმცა მას იგი არ განუმარტავს. თანამედროვე მნიშვნელობით ეთნოგეოგრაფია სწავლობს ხალხთა გეოგრაფიულ გავრცელებას, მათ რაოდენობას, განსახლების თავისებურებებს, სხვა ხალხებთან ტერიტორიულ ურთიერთქმედებას. ეს ურთიერთობები კი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ბუნებრივი ფაქტორებიდან გამომდინარე შეისნავლება. უფრო კონკრეტულად ის ბინადარი და მომთაბარე განსახლების, დასახლების ფორმებსა და ტიპებს, ტერიტორიის ათვისების, სასოფლო ადგილებსა და ქალაქებში ტერიტორიული შერევის საკითხებს მოიცავს. ეთნოგეოგრაფიის განსაკუთრებული მიმართულებაა ეთნიკური კარტოგრაფია და ეთნიკური დემოგრაფია. ეთნოგეოგრაფიას მჭიდრო კავშირი აქვს აგრეთვე ფიზიკური ანთროპოლოგიის იმ მონაკვეთთან, რომელიც სწავლობს ადამიანთა რასების გავრცელებას (რასების წარმოქმნის ფაქტორების კვლევა, რასობრივი ტიპების კლასიფიკაცია, დედამიწის მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა) და ლინგვოგეოგრაფიასთან, რომელიც მსოფლიოს ხალხების ენების გავრცელებას სწავლობს. ეთნოგეოგრაფია იკვლევს ეთნიკურ ერთობებსა და გეოგრაფიულ გარემოს შორის ურთიერთქმედებებს ისტორიულ ჭრილში, ყურადღებას აქცევს ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების და სოციალ-ეკონომიკური პირობების გავლენას.

ეთნოგეოგრაფიული ცოდნის ჩანასახები ჯერ კიდევ ანტიკურ ავტორთა ნაშრომებში მოიპოვება, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ჰეროდოტე, ჰეკატე მილეთელი, ერასტოფენე, სტრაბონი. ამ დროს ხალხების აღწერა ბუნებრივი გარემოს დახასიათების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ბუნებრივი გარემოს დახასიათება თვითმიზანი არ ყოფილა და აღნიშნულ მწერალთა ინტერესს იწვევდა იმ თვალსაზრისით, რომ ის დაკავშირებული იყო ხალხთა ცხოვრების თავისებურებების აღწერასთან. ჩვენამდე მოღწეული ძველი რუკები ერთდროულად როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოლოგიურია, რადგან გეოგრაფიული შინაარსის ელემენტებთან ერთად ისინი ეთნოლოგიურ ელემენტებსაც შეიცავენ. ქვეყნებისა და ხალხების კომპლექსური შესწავლა თითქმის ყველა ანტიკური ავტორის თხზულებისათვის იყო დამა-

ხასიათებელი. ასეთ ტრდიციას შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ბევრი მეცნიერი ინარჩუნებდა. ეთნოგეოგრაფიის შესანიშნავი ნარმომადგენელი იყო XVIII საუკუნის დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი. მან საქართველოს ისტორიის თხრობას საფუძვლად საქართველოსა და მახლობელი ქვეყნების (განსაკუთრებით კავკასიის) ეთნოგრაფიული აღწერილობა დაუდო.

მსოფლიოს ხალხების კულტურასა და ყოფაში, საზოგადოებრივ და ფსიქიკურ ნყობაში განსხვავებებს მეცნიერები უშუალოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს გავლენას მიანერენ (კლიმატი, ნიადაგის ნაყოფიერება და სხვ.); რის შედეგადაც მეცნიერებაში „გეოგრაფიული დეტერმინიზმის" თეორია წარმოიქმნა, რომელიც ყველაზე მკაფიოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში შ. მონტესკიეს ნაშრომებში ჩამოყალიბდა. კაცობრიობის ისტორიაზე გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედების შესახებ მოსაზრებები XX საუკუნის თითქმის ყველა დიდ ეთნოლოგსა და გეოგრაფთან დომინირებს. საბჭოთა კავშირის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტში ეთნიკური დემოგრაფიისა და კარტოგრაფიის განყოფილებაც არსებობდა. ამ სამეცნიერო უჯრედის მოღვაწეობის შედეგი იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა სასნავლო რუკისა (1951 ნ.) და მსოფლიოს ხალხთა ატლასის გამოცემა (1964 ნ.). ეთნოგეოგრაფიული კვლევის ჩარჩოებში ექცევა ხალხთა მიგრაციის შესწავლა და ამ პროცესების მნიშვნელობის კვლევა ეთნიკურ და ასიმილაციურ მოვლენებზე. ეთნიკური კარტოგრაფიის სფეროში შედის ცალკეული ეთნოსებისათვის დამახასიათებელი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, მეურნეობის ფორმების (ტრადიციული საცხოვრებელი, საკვები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სხვადასხვა წეს-ჩვეულებები და სხვ.), ისტორიული ჭრილის თვალსაზრისით რუკაზე ასახვა. ეთნოგეოგრაფების, ეთნოლოგების, გეოგრაფ-კარტოგრაფების ერთობლივი შემოქმედებითი მოღვაწეობით არის შესაძლებელი ისტორიულ-ეთნოლოგიური//ეთნოგრაფიული ატლასების შექმნა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (გერმანია, შვეიცარია, ფინეთი, შვედეთი) ერთდროულად დაიწყო ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასების შექმნა. დღეისათვის ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასები ევროპის თითქმის ყველა ქვეყაში იქმნება. ფართო მოძრაობა გაიშალა ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასის შესაქმნელად საქართველოშიც, თუმცა მთელი რიგი ხელისშემშლელი ფაქტორების გამო, საქართველოში ეს საქმე ბოლომდე ვერ მივიდა, მაგრამ გამოიცა „საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური ატლასის" მასალების რამდენიმე წიგნი.

§3. ეთნიკური დემოგრაფია. ეთნიკური დემოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირება, ეთნოლოგიისა და დემოგრაფიის შესაყარზე მოხდა. ეთნიკური დემოგრაფიის ძირითად ობიექტს ეთნოსები წარმოადგენენ, მისი ცენტრალური ამოცანა კი დემოგრაფიული მეცნიერების მეთოდებით ეთნოსთა კვლავწარმოების თავისებურებების შესწავლაა. ეთნოლოგიასთან ეთნიკურ დემოგრაფიას, უპირველეს ყოვლისა, ეთნოსთა ეთნოგრაფიული, რასობრივი და რელიგიური ჯგუფების რიცხოვნების დინამიკის შესწავლა აკავშირებს, რითაც ეთნიკური დემოგრაფია ნანილობრივ ისტორიულ დე-

მოგრაფიასთან არის დაკავშირებული. ეთნიკური დემოგრაფიის ინტერესის სფეროში შედის მოსახლეობის კვლავწარმოების ეთნიკური ასპექტების ანალიზი; ამ პროცესებზე ცალკეული ეთნიკური ფაქტორების გაელენა (მაგალითად, შობადობის შესწავლისას ითვალისწინებენ საქორწინო ტრადიციებს, ოჯახში ქალის მდგომარეობას, სქესობრივ ტაბუს, დაუქორწინებლობის, უშვილობისა და მრავალშვილიანობის ტრადიციულ ურთიერთობებს, სიკვდილიანობას, სიცოცხლის უზრუნველყოფის ტრადიციულ სისტემებსა და ა. შ. ეთნიკური დემოგრაფია მეცნიერულ კვლევაში ძირითადად სტატისტიკურ, განსაკუთრებით მოსახლეობის აღნერის მასალებს ეყრდნობა. მეცნიერების აღნიშნული მიმართულება კვლევა-ძიებისას იყენებს აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მონაცემებსაც, მათ შორის, სოციოლოგიის (უპირატესად ეთნოსოციოლოგიის), გეოგრაფიის, ეთნიკური ეკოლოგიის, ეთნოფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიის, მედიცინისა და სხვა დარგების მონაცემებსა და სამეცნიერო გამოკვლევებს. ეთნიკურ დემოგრაფიაში ხშირად მოსახლეობის მიგრაციის ეთნიკურ ასპექტებსაც ათავსებენ.

§4. ეთნოსოციოლოგია. ეთნოსოციოლოგია ჩამოყალიბდა სოციოლოგიისა და ეთნოლოგიის ზღვარზე. ეთნოსოციოლოგიის მიზანია სოციალური პროცესების ეთნიკური მრავალგვარობის ახსნა. ტერმინი – „ეთნოსოციოლოგია" 1930-იან წლებში რ. ტურნვალდმა დაამკვიდრა. ეთნოსოციოლოგიის ქვეშ ის ინდუსტრიული საზოგადოების სოციალურ მოვლენებს სწავლობდა. საბჭოთა კავშირში ეთნოსოციოლოგია XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოიქმნა. მისი მთავარი ამოცანაა ეთნიკური და სოციალური მოვლენების ერთმანეთისაგან მოუწყვეტლივ, ურთიერთკავშირში შესწავლა. ეთნოსოციოლოგიის საგნობრივ სფეროს ეთნიკურ ერთობათა სოციალური სტრუქტურის, მათ კულტურებში სოციალურად მარკირებული მოვლენების შესწავლა წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ენაში, ხალხთა ფსიქიკაში, ეროვნულ თვითშეგნებასა და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ურთიერთობებში. ეთნოსოციოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქალაქებსა და სოფლებში არსებულ სოციალურ და ეთნიკურ პროცესებს (მაგალითად, ასეთი გამოკვლევებით საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოფისა და კულტურის ნაციონალური თავისებურებები სოფლებში უფრო უკეთაა შემონახული, ვიდრე ქალაქებში). პოლიეთნიკურ ქვეყნებში სოციალური მოვლენების და პროცესების ეროვნულ-ეთნიკური მრავალფეროვნების შესწავლას არა მხოლოდ სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ეთნოსოციოლოგია მთელ რიგ პრობლემებს ამუშავებს, რომელთაგანაც შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ძირითადი საკითხი დავასახელოთ. ესენია: ერის (ნაციის) სოციალური სტრუქტურა (ცვლილებები მის სოციალურ შემადგენლობაში); სოციალური მობილობა (ეთნიკური ფაქტორების გაელენა მოსახლეობის სოციალურ მოძრაობასა და მიგრაციაზე); ერის სოცილურ-კულტურული განვითარება (კულტურული ორიენტაციები და ინტერესები); ხალხთა ენობრივი ცხოვრების სოციალური ასპექტების კვლევა (რა გავლენას ახდენს ენა ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე; ორენოვნების საკითხი); ნაციონალური

თვითშეგნების წარმოქმნისა და განვითარების ფაქტორების განსაზღვრა და სხვა.

§5. ეთნოლინგვისტიკა. ეთნოლინგვისტიკა ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის მიჯნაზე წარმოქმნილი მეცნიერებაა. მისი კვლევის სფეროში შედის ეთნოსთა და ენათა მრავალმხრივი ურთიერთქმედება. ეთნოლინგვისტიკას შეხების წერტილები აქვს ჰუმანიტარული ცოდნის ისეთ დარგებთან, როგორიცაა: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, პარალინგვისტიკა, ეტიმოლოგია, ურთიერთობის ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა, მითოლოგია, პოეტიკა. ეთნოლინგვისტიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ენისა და ეთნიკური კულტურის, როგორც ნიშნადი სისტემების სემიოტიკური იზომორფიზმი, ეთნიკურ ურთიერთობებთან მსოფლიოს ენების თანაფარდობა, ენით განპირობებული ეთნოინტეგრაციული და ეთნომადიფერენცირებელი პროცესები. ეთნოლინგვისტიკის ობიექტს წარმოადგენს ენა და მისი ეთნიკური ასპექტები და ეთნოსის ენობრივი დახასიათება. ეთნოლინგვისტიკის საგანი საკმაოდ ფართოა და ისეთ სფეროებსაც კი მოიცავს, როგორებიცაა ეთნოგენეზი და ეთნიკური ისტორია. აღსანიშნავია აგრეთვე ქვეყნის შიგნით არსებული ეთნოენობრივი პროცესების კვლევა; ენის როლი ეთნოსთა შორის კონტაქტებში; ენის ადგილი ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში; ენისა და ტრადიციული კულტურების ურთიერთმიმართება; აზროვნების ენა და ეთნიკური სპეციფიკა; მსოფლიოს ენების ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია და ა. შ. ეთნოლინგვისტიკას დიდი გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს (ენობრივი პოლიტიკა, ენობრივი „აღმშენებლობა", განათლების ენობრივ-ეთნიკური პრობლემები). ეთნოლინგვისტიკის საგნობრივი სფეროს სიფართოვე თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების სიმრავლითაა განპირობებული. დღეისათვის ეთნოლინგვისტიკა, როგორც მეცნიერება, საბოლოოდ ჩამოყალიბებული არაა, რადგან აზრთა სხვადასხვაობაა მისი საზღვრების, ობიექტისა და საგნის შესახებ.

ენისა და ხალხის (ეთნოსის) იგივეობის შესახებ იდეა და სამეცნიერო თეორია პირველად ვ. ჰუმბოლდტმა (1757-1835) ჩამოაყალიბა. ეთნოლინგვისტური იდეის განვითარებას შემდგომი იმპულსი XX საუკუნის დასაწყისში ენათმეცნიერების სტრუქტურულმა თეორიამ მისცა, რომელიც ფ. სოსიურმა(1857-1918) შექმნა და რომელმაც ჩამოაყალიბა პრინციპი: „ნაციის წეს-ჩვეულებები მის ენაში აისახება, მეორე მხრივ კი მნიშვნელოვანწილად სწორედ ენა აყალიბებს ნაციას". ლინგვისტურმა სტრუქტურალიზმმა ეთნოლოგიასა და, მათ შორის, ეთნოლინგვისტურ მიმართულებაში გავლენა მოახდინა სტრუქტურალიზმის ჩამოყალიბებაზე. ტერმინი „ეთნოლინგვისტიკა" თანამედროვე გაგებით პირველად 1940-იან წლებში აშშ-ში გაჩნდა, თუმცა ის სხვა ორმა სამეცნიერო ტერმინმა „ანთროპოლოგიურმა ლინგვისტიკამ" და „სოციოლინგვისტიკამ" გადაფარა, რომლებიც შეაბამისად ენასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას იკვლევენ. დღეისათვის „ეთნოლინგვისტიკა" იმ ქვეყნებში გამოიყენება, რომლებშიც ეთნოსებისა და მათი კულტურების შემსწავლელ მეცნიერებას ეთნოლოგია ჰქვია. ეთნოლინგვისტიკის თეორიაში ცენტრალური პრობლემა კულტურაში ენის

ადგილის განსაზღვრა, ენის ეთნოსთან და ეთნიკურ კულტურასთან ურთიერთქმედებაა. ენა ეთნიკურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ახალი ისტორიიდან ენა ეთნოსის ერთადერთ და აუცილებელ ნიშანს აღარ წარმოადგენს. არსებობენ ეთნოსები, რომელთა სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ (ირლანდიელები, შოტლანდიელები, ებრაელები, მორდველები, ჩინელები და სხვ.). თუმცა ენას დღესაც მდგრადი მადიფერენცირებელი და მაინტეგრირებელი ფუნქცია გააჩნია. ამიტომ ენის როგორც ეთნიკური გამმიჯვნელის როლი ერთნაირი არაა საერთოისტორიული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე.

ეთნოლინგვისტიკასთან ახლოს დგას ეთნიკური ონომასტიკა, რომელიც საკუთარი სახელების ეთნიკურ სპეციფიკას არკვევს. მისი მონაცემები გამოიყენება აგრეთვე როგორც წყარო ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგენეზის შესასწავლად. ეთნოლინგვისტიკის ჩარჩოებში თავსდება გამოყენებითი ლინგვისტიკაც. ის გამოავლენს გაქრობის წინაშე მდგარ ენებს. ამის კვალობაზე კი ხდება გარკვეული ენობრივი პოლიტიკის შემუშავება. სემიოტიკური ეთნოლინგვისტიკა ახდენს ისტორიის რეკონსტრუქციას, წარმოგვიდგენს ტრადიციული კულტურის ევოლუციის ერთგვარ სურათს ენობრივი მონაცემებისა და ტექსტების ანალიზის საფუძველზე.

§6. ეთნოარქეოლოგია. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში ეთნოარქეოლოგიის სინონიმებად შეიძლება შეგვხვდეს ტერმინი – არქეოლოგიური ეთნოლოგია, არქეოლოგია მოქმედებაში, ცოცხალი არქეოლოგია. კვლევის ეს მიმართულება არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ზღვარზე გაჩნდა XX საუკუნის 60-იან წლებში. ეთნოარქეოლოგიის ობიექტი თანამედროვე ხალხების მიერ შექმნილი მატერიალური კულტურაა, საგანს კი ამ მატერიალურ კულტურაში ასახული ადამიანთა თავისებურებებისა და მათი სოციალური უეთიერთობის სპეციფიკა წარმოადგენს. ეთნოარქეოლოგები განათხარი სადგომების, დასახლებების დაკვირვების შემდეგ მას ინფორმატორების მიერ მიღებულ მონაცემებს ადარებენ. ხშირ შემთხვევაში სწორედ მატერიალური კულტურის განათხარი და ცოცხალი ეთნოლოგიური მონაცემების ურთიერთშედარებით ხერხდება საყურადღებო სამეცნიერო დასკვნების მიღება, ძველსა და ახალ ყოფას შორის მემკვიდრეობითობის დადგენა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ არქეოლოგიური მასალებისა და ეთნოლოგიური მონაცემების ერთდროულად, კომპლექსურად შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის რეკონსტრუქცია. არქეოლოგიური მასალებით ხდება ეთნოსების საუკუნეების ნინანდელი ყოფისა და კულტურის შესწავლა, რომლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ელემენტებმა ჩვენს დრომდე ფაქტობრივად ვეღარც მოაღწიეს. ეთნოარქეოლოგია არა მხოლოდ უშუალოდ მატერიალურ კულტურას შეისწავლის, არამედ ახერხებს მატერიალური კულტურის სოციალური, სიმბოლური ფუნქციების განსაზღვრასაც.

§7. ეთნოფსიქოლოგია. ეთნოფსიქოლოგიის აღსანიშნავად პარალელურად იყენებენ ტერმინს – ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია. ის არის დისციპლინათაშორისი დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანთა

ფსიქიკის ეთნიკურ თავისებურებებს, ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესებს, ეთნიკურ სტერეოტიპებსა და ა. შ. განსაკუთრებული დისციპლინის – „ხალხთა ფსიქოლოგიის" შექმნის შესახებ 1860 წელს მ. ლაცარიუსმა და ჰ. შტენტალმა განაცხადეს, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ „ხალხის სული" შესწავლილ უნდა იქნას ენის, მითოლოგიის, მორალისა და კულტურის შედარებით. ამ იდეების ერთგვარ რეალიზაციას წარმოადგენდა XX საუკუნის დასაწყისში ვ. ვუნდტის ათტომიანი „ხალხთა ფსიქოლოგიის" გამოცემა. თანამედროვე ეთნოფსიქოლგია როგორც თემატიკით, ისე მეთოდებით სხვადასხვა მიმართულებებისაგან შედგება. ეთნიკური ფსიქოლოგიის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიეთნიკური ქვეყნებისათვის. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ხშირად შეგნებულად იქმნება ეთნიკური სტერეოტიპები, რომლებიც ეთნიკური ცრურწმენისა და ნინასწარ ცუდი აზრების ფორმირების ფსიქოლოგიური ფაქტორების შექმნის მიზეზი ხდება და იწვევს ეთნოსთა შორის მტრობასა და შუღლს. ამიტომ ეთნოფსიქოლოგური ცოდნა საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებული ნაციონალური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, ეთნოსთა შორის სასურველი ურთიერთობისა და ხელშემწყობი ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად.

§8. ეთნოპედაგოგიკა. ეთნოპედაგოგიკა ეთნოლოგიის, სოციოლოგიისა და პედაგოგიკის მიჯნაზე ჩამოყალიბებული დარგთაშორისი მეცნიერებაა. ის სწავლობს ტრადიციულ ხალხურ პედაგოგიკას, ბავშვის აღზრდის წესებსა და ხერხებს და თვით ბავშვის სამყაროს, რომელშიც შედის ბავშვთა თამაშებიც, ფოლკლორიც. ეთნოპედაგოგიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოფსიქოლოგიასთან. მეცნიერების ამ მიმართულებას თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს.

§9. ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა. ეთნოლოგიური რელიგათმცოდნეობა ეთნოლოგიური მეცნიერების დარგია, რომელიც სწავლობს რელიგიის ადრეულ ფორმებს, პირველყოფილ რელიგიებს, კლასობრიობამდელი და აგრეთვე კლასობრივი საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებას; კლასობრივი საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებას შეისწავლის როგორც ხალხური კულტურის ნანილს. მას აინტერესებს ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების ადრეული ეტაპებიდან მომდინარეობს. ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობის ძირითადი წყარო, ისევე როგორც საერთოდ ეთნოლოგიისა, შესასნავლ მოვლენებზე უშუალო დაკვირვებაა. ის მხოლოდ თანამედროვე მოვლენების ფიქსაციით არ შემოიფარგლება და საკვლევ პრობლემას დინამიკაში, ისტორიულ ჭრილში სნავლობს. ერთი სიტყვით, ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობის საგანი რწმენა-წარმოდგენებისა და კულტების როგორც წარმოშობა, ისე განვითარებაში განხილვაა. ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიის ისტორიასთან. მათი საგნობრივი არეალები ნაწილობრივ ერთმანეთს თანხვდება. ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალებს ეყრდნობა, სხვა წყაროებს (წერილობითი, არქეოლოგიური) კი როგორც დამხმარე მასალას ისე იყენებს. ცნობილია, რომ ქართველმა ხალხმა ქრისტიანუ-

ლი რელიგია ძალიან ადრე მიიღო. მიუხედავად ამისა, მის ზოგიერთ მხარეში, განსაკუთრებით მთიელებში, ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები ბოლო დრომდე შემორჩა. ამ გარემოებამ კი მეცნიერებს საშუალება მისცა ნაწილობრივ აღედგინათ ის რელიგიური სისტემა, რომელიც ქართველებს თავდაპირველად ჰქონდათ. თუმცა ხალხური რელიგიის შესწავლაში საისტორიო წყაროები და არქეოლოგიური მონაცემებიც იქნა გამოყენებული. მეცნიერებს იმ მოვლენების დადასტურებაც მოუხდათ, რომ ზოგიერთი ქრისტიანული ელემენტი ერთგვარად გახალხურდა.

ეთნოლოგიურ რელიგიათმცოდნეობას პირველყოფილი საზოგადოების რელიგია სხვა მხრივაც აინტერესებს, კერძოდ, ის რელიგიას კომპლექსურად იკვლევს – ხელოვნებასა და პირველყოფილ ეთიკასთან ერთად, რადგან პირველყოფილი იდეოლოგია სინკრეტული ხასიათის იყო, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები ერთმანეთში იყო შეჭრილი.

მართალია, რელიგიის წარმოშობის პრობლემა საერთოფილოსოფიური ასპექტით კვლევას მოითხოვს, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი სრულყოფილი შესწავლა მას შემდეგ გახდა შეაძლებელი, რაც ის უფრო მეტად დაეყრდნო ეთნოლოგიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მიღწევებს. ამრიგად, რელიგიის წარმოშობის საკითხი ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაცაა.

ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა შეისწავლის სექტანტურ მოძრაობებსაც, რომლებიც „მსოფლიო" რელიგიების საფუძველზე წარმოიქმნა. მეცნიერების ამ მიმართულების ერთ-ერთი არსებითი პრობლემა გაბატონებული რელიგიის ეთნიკურ კულტურასთან გადაჯაჭვულობაცაა. იმის გამო, რომ ეთნოლოგიური რელიგიათმცოდნეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, ის ამ კავშირების ხასიათითა და ინტენსიურობის ახსნითაც არის დაკავებული. ეთნოლოგიურ რელიგიათმცოდნეობას მჭიდრო კავშირები აქვს რელიგიის სოციოლოგიასთანაც.

§10. ეთნომუსიკათმცოდნეობა. ესაა მეცნიერების დარგი ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის ზღვარზე. ფართო მნიშვნელობით შეისწავლის ცალკეული ეთნოსების მხატვრული კულტურის ეთნიკურ სპეციფიკას, ხალხურ ტრდიციულ ხელოვნებას, მის გენეზისს, განვითარების კანონზომიერებებს, პირველყოფილ ხელოვნებას, პროფესიული და ხალხური ხელოვნების კავშირსა და ურთიერთმიმართებას, აგრეთვე ხელოვნების ცალკეულ დარგებს, მათ ბედსა და მომავალს თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, გადარჩენის ხერხებსა და მეთოდებს, ხალხური ხელოვნების ეთნოგრაფიულ მუზეუმებში ექსპონირებას. ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური ხელოვნება მნიშვნელოვანი წყაროა ეთნოგენეზის შესასწავლად. მეცნიერების ამ სფეროში გამოიყოფა ცალკე მიმართულება, რომელიც ხალხურ ცეკვებს, სიმღერებსა და თეატრს სწავლობს. ამ დარგს ეთნომუსიკოლოგიას ანდა მუსიკალურ ფოლკლორს უწოდებენ.

§11. ეთნოლოგიური მუზეუმთმცოდნეობა. ეს დამხმარე ეთნოგრაფიული დისციპლინაა, რომელიც სწავლობს სამუზეუმო საქმიანობის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ პრობლემებს. მისი ერთი ნა-

ნილი მჭიდროდაა დაკავშირებული ეთნოლოგიურ//ეთნოგრაფიულ მეცნიერებასთან, მეორეს კი მხოლოდ სპეციფიკური სამუზეუმო ხასიათი აქვს. ეთნოლოგიური მუზეუმთმცოდნეობა დაკავებულია ეთნოგრაფიული კოლექციების შეკრებისა და დაკომპლექტების პრინციპების დამუშავებით. ამ მიმართულების მკვლევარები გამოსცემენ სამუზეუმო ექსპონატების კატალოგებს, ამუშავებენ სამუზეუმო საქმიანობის თეორიას. ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობის სპეციალისტები ამუშავებენ ისეთ პრაქტიკულ საკითხებს, როგორებიცაა ექსპონატების დაცვის მექანიზმები, კონსერვაცია და რესტავრაცია, ექსპოზიციების პროექტირება და სხვა.

§12. ნორმატიული ეთნოლოგია. ეს დისციპლინა სწავლობს ისტორიულ განვითარებაში სოციალური ნორმების ეთნოკულტურულ თავისებურებებს. ნორმატიული ეთნოლოგიის განსაკუთრებულ დისციპლინად გამოყოფა რამდენადმე პირობითია. მისი დანაყოფები – იურიდიული ეთნოლოგია (სამართლის ეთნოლოგია) და ეთიკური ეთნოლოგია (მორალის ეთნოლოგია) ხშირად დამოუკიდებელ დისციპლინებადაც კი განიხილება. როგორც სახელწოდებებიდანაც ჩანს, პირველი მათგანი ხალხურ სამართლებრივ და მეორე – ეთიკურ ყოფით კულტურებს იკვლევენ. ნორმატიული ეთნოლოგია სოციალური რეგულაციის საკითხებს იკვლევს როგორც კლასობრიობამდელ, ისე კლასობრივ საზოგადოებაში. ნორმატიული ეთნოლოგიის მნიშვნელოვან ამოცანათა ნრეში შედის სოციალური ნორმების გენეზისის კვლევა. კავკასიაში დამკვიდრებისთანავე რუსეთის იმპერიამ დაინყო ადგილობრივი მკვიდრი ეთნოსების ადათობრივი სამართლისა და ეთიკურ ნორმათა ერთობლიობის კვლევა-ძიება, რასაც ის მხოლოდ პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდა. ამით იმპერია ცდილობდა გაეადვილებინა კავკასიაში თავის დამკვიდრების პროცესი და ის კულტურულ-ყოფითი მშენებლობა, რომელსაც ენოოდა.

§13. იურიდიული ანთროპოლოგია. იურიდიული ანთროპოლოგია სამეცნიერო გამოკვლევათა მიმართულებაა, რომელიც სწავლობს სამართლის ადრეული ფორმების წარმოქმნასა და განვითარებას. იურიდიული ანთროპოლოგია ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თითქმის ერთდროულად, XIX საუკუნის 60-იან წლებში, ჩამოყალიბდა როგორც სამართლის ისტორიის შემადგენელი ნაწილი. იურიდიული ანთროპოლოგიის დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება საბოლოოდ XX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც ბ. მალინოვსკის სამეცნიერო ნაშრომები გამოვიდა. მეცნიერების ეს მიმართულება საკმაოდ ადრე განვითარდა რუსეთში, რაც დაკავშირებულია ე. იაკუშინისა და მ.კოვალევსკის მოღვაწეობასთან. საბჭოთა ეთნოგრაფების ნაშრომებში იურიდიული ანთროპოლოგია „ნორმატიული ეთნოლოგიის" შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. იურიუდიული ანთროპოლოგიის ძირითადი პრობლემა სამართლის წარმოშობის საკითხია. იმის გამო, რომ მეცნიერების ეს სფერო თავდაპირველად ევოლუციონიზმის გავლენით ვითარდებოდა, მან მისგან ისესხა ფუნდამენტური წარმოდგენები იმის შესახებ, რომ განვითარება ყველგან და ყოველთვის ხდება რაოდენობრივი ცვლილებების საშუალებით. იურიდიული ანთროპოლოგიის მკვლევართა უმეტესი ნაწილი იმ წანამძღვრებიდან გამოდიო-

და, რომ არც ერთ ხალხს არ შეეძლო არსებობა სამართლის გარეშე. თუმცა გამონაკლისები აქაც იყო – ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ბახოფენი) მიიჩნევდა, რომ სამართალი წარმოიქმნა მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოების განვითარების გვიან საფეხურზე, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლისას. სხვები მიიჩნევდნენ, რომ სამართლის საფუძველი საბოლოოდ მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან იყო დაკავშირებული. ამ მოსაზრებას მარქსისტებიც იზიარებდნენ. ისინი თვისობრივად ასხვავებდნენ სამართალს ნორმებისაგან, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებაში მოქმედებდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი კი სამართალსა და ჩვეულებას ფაქტობრივად ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა.

§14. აგრარული ეთნოლოგია. ეთნოლოგიური მეცნიერების ის დარგი, რომელიც სნავლობს ხალხური სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და გამოცდილების ეთნოგრაფიულ ასპექტებს, ტრადიციულ მინათმოქმედებასა და მეცხოველეობას, აგრარულ ეთნოლოგიად იწოდება. აგრარული ეთნოლოგია სნავლობს ხალხური მატერიალური კულტურის საგნებს (სასოფლო-სამეურნეო იარაღები, აგროდაგეგმარება, სასოფლო დასახლებების სამეურნეო ნაგებობები და ა. შ.), აგრეთვე ისტორიულად ჩამოყალიბებულ შრომის ნესებს, რომლებიც სხვადასხვა ხალხების მინათმოქმედებასა და მეცხოველეობაში არსებობს, აგრარულ კალენდარს, ნეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ტრადიციებთან არიან დაკავშირებული. აღნიშნული მეცნიერული მიმართულება არკვევს იმ ლოკალურ თავისებურებებს, რაც ამა თუ იმ ეთნოსის ტერიტორიული ერთეულებისათვის არის დამახასიათებელი. ამავე დროს ვლინდება რომ კულტურის ბევრი ელემენტი არა მარტო ერთი ხალხისათვის, არამედ მეზობელ ხალხთა მთელი ჯგუფისთვისაც იყო დამახასიათებელი. ისიც გარკვეულია, რომ ერთ შემთხვევაში ეთნიკური მახასიათებლები სამინათმოქმედო და მეცხოველეობის ტრადიციებში თუ ნათლად გამოვლინდება, მეორე შემთხვევაში – სუსტად. იმის გამო, რომ აგრარული ეთნოლოგია სნავლობს ხალხთა ისტორიულ გამოცდილებას, ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტი ითვალისწინებს მინათმოქმედების ისტორიის, ეთნობოტანიკის, აგრონომიის, არქეოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს. ქართულ ეთნოლოგიაში აგრარული ეთნოლოგიის კვლევის საკითხები თავიდანვე მოექცა ყურადღების არეში. არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან ნათლად ჩანს ქართველი ხალხის მაღალი და დანინაურებული კულტურა სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის სფეროში. დადასტურდა, რომ ქართველებს საუკუნეების წინ ჰქონდათ შექმნილი განვითარებული სარწყავი მინათმოქმედება, მრავალფეროვანი შრომის იარაღები, რომლებიც შექმნილი იყო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და ნიადაგის თავისებურებებიდან გამომდინარე.

§15. ეთნობოტანიკა. ეს არის მეცნიერების დარგი, რომელიც ეთნოლოგიისა და ბოტანიკის მიჯნაზეა ჩამოყალიბებული. მის საგანს წარმოადგენს ისეთი საკითხების კვლევა, როგორებიცაა: საწარმოო კოლექტივის ურთიერთობა ეკოსისტემების მცენარეულ ნაწილთან; კოლექტივების მიერ ეკოლოგიური ნონასწორობის დაცვის საკითხები. ეთნობოტანიკა მეცნიერების შედარებით ახალი დარგია. მისი წარმოქ-

მნა ძირითადად იმან განაპირობა, რომ თანამედროვე ადამიანები ბუნების შენარჩუნებას ცდილობენ, საუკუნეების წინ კი ამ სფეროში ადამიანებს მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ დაგროვილი და ამ გამოცდილებას ეთნობოტანიკოსები გამოავლენენ. ეთნობოტანიკოსი კვლევისას ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა აუცილებლად უნდა იყენებდეს ისეთი მეცნიერებების მონაცემებს, როგორებიცაა – ეკოლოგია, ბოტანიკა, არქეოლოგია, ისტორია, გეოგრაფია. ეთნობოტანიკის მონაცემებს, ლინგვისტურ და საისტორიო მონაცემებთან ერთად, მოსახლეობის მიგრაციისა და კულტურული მცენარეების ნარმოშობის საკითხების საკელევადაც იყენებენ. ეთნობოტანიკის სფეროში შედის ხალხთა მიერ მცენარეთა ჯიშების გამოყვანა. ეს სამეცნიერო მიმართულება დღეისათვის ყველაზე მეტად საფრანგეთშია განვითარებული, სადაც შექმნილია სპეციალური ლაბორატორიები და შესაბამისი კურსები იკითხება უნივერსიტეტებში.

§16. ეთნოზოოლოგია. ეთნოლოგიისა და ზოოლოგიის ზღვარზე შექმნილ სამეცნიერო მიმართულებას, რომელიც ცალკეული ეთნიკური სამყაროს ცხოველთა სამყაროსთან ურთიერთობებს სნავლობს, ეთნოზოოლოგია ეწოდება. ამ ურთიერთობებს კვლევის ორი ასპექტი გააჩნია: როგორ ყალიბდებოდნენ ისინი და როგორ აისახება ისინი ადამიანთა სულიერ სამყაროზე. პირველი მათგანი, უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო სისტემების სპეციფიკასთანაა დაკავშირებული (ნადირობა, მეთევზეობა, მესაქონლეობა), აგრეთვე ნლიურ სამეურნეო ციკლთან. სამეურნეო სისტემის სპეციფიკა, თავის მხრივ, რამდენადმე განპირობებული იყო სოციალური ურთიერთობების თავისებურებებით, ცერემონიებითა და რიტუალებით, აგრეთვე ცხოველური პროდუქტებით. ეთნოზოოლოგია სნავლობს აგრეთვე ფაუნის ცვლილებებს ადამიანთა ზემოქმედების შედეგად, მის გეოგრაფიულ გავრცელებულობას. ეთნოზოოლოგიის მეორე მიმართულებაში შედის ნარმოდგენები ცხოველთა სამყაროს შესახებ. ეთნობოტანიკასთან ერთად ეთნოზოოლოგია უფრო ფართო დისციპლინის – ეთნიკური ეკოლოგიის ნაწილს ნარმოადგენს. ეთნოზოოლოგიური კვლევების შედეგად ქართველმა ეთნოლოგებმა დაადგინეს, რომ ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ შინაურ ცხოველთა მაღალპროდუქტიული ჯიშები ჰყავდათ გამოყვანილი. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ ქართველმა მეცხვარემ მოახერხა, რომ ცხვარში დოლი ერთდროულად – გაზაფხულის დადგომისთანავე დანყებულიყო.

§17. ეთნიკური ეკოლოგია. ეს არის ეთნოლოგიისა და ეკოლოგიის გადაკვეთაზე ნარმოქმნილი სამეცნიერო მიმართულება. ეთნიკური ეკოლოგიის უპირველეს ამოცანას ნარმოადგენს ეთნიკურ ერთობათა სიცოცხლით უზრუნველყოფის ტრადიციული თავისებურებების შესნავლა მათი ბინადრობის ბუნებრივსა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში.

თემა VIII

ეთნოსი და ეთნიკურობა

§1. ეთნოსი. თანამედროვე მსოფლიოში რამდენიმე ათასი ეთნოსია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ენით, კულტურისა და ტრადიციის თავისებურებებით, საზოგადოებრივი განვითარების ხასიათითა და დონით, არამედ რაოდენობით, განსახლების ტიპით, პოლიეთნიკურ საზოგადოებაში სტატუსით, რომელსაც ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ მიეკუთვნებიან. დედამიწაზე მცხოვრები ეთნოსები XXI საუკუნის დასაწყისში 200-ზე მეტ სახელმწიფოში კომპაქტურად ან გაფანტულად ცხოვრობენ. ამრიგად, თანამედროვე მსოფლიო და მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების ძირითადი ნაწილი პოლიეთნიკურია. ეს პოლიეთნიკურობა კი ხშირად ამა თუ იმ პრობლემის, რთული კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის მიზეზიც ხდება. XX საუკუნეში ურიცხვი კონფლიქტებისა და ომების წარმოქმნაში ეთნიკურობამ და ეთნოსებმა, როგორც რეალიებმა, კოლოსალური როლი ითამაშეს.

ისე როგორც არასდროს, დღეს მეცნიერების წინაშე, უფრო ზუსტად ისეთი სამეცნიერო დისციპლინების წინაშე, როგორებიც არის ეთნოლოგია, ეთნოგრაფია, ენათმეცნიერება, ისტორია, კულტურის ისტორია, რელიგიათმცოდნეობა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია და სხვა. გადაუდებელი და დიდი ამოცანები დგას. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული და ცხოვრებისეული მნიშვნელობის ამოცანები: ეთნოსების თანამედროვე განვითარებისა და ეთნოსთა შორის ურთიერთობების სტრატეგიული და მიმდინარე პრობლემების გადასაწყვეტად მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციების შემუშავება. ეს კონცეფციები კი საფუძვლად უნდა დაედოს ყველა დონის ეთნიკური დაპირისპირების ოპტიმალურ გადაწყვეტას.

ნებისმიერი სამეცნიერო კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცნებით-ტერმინოლოგიური ინსტრუმენტარიის დამუშავებას. ეთნოლოგიის უმთავრესი ცნება და ტერმინია „ეთნოსი“ და „ეთნიკურობაა“, მით უმეტეს, როდესაც ეს ტერმინები აგრეთვე სახელმწიფო და სახელმწიფოთა შორის ოფიციალურ დოკუმენტებსა და საკანონმდებლო აქტებში გამოიყენება. ცნება „ეთნოსის“ განსაზღვრებასთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი კითხვა ისმის: რა არის ეთნოსი როგორც რეალია ადამიანთა ცხოვრებაში? ეს რეალია თავისი არსებით ბიოანთროპოლოგიური, ბიოსოციალური, სოციოკულტურული თუ კულტურულ-ცივილურია? ეთნოსთათვის დამახასიათებელი ეს თვისებები თვით ადამიანის (ადამიანთა გარკვეული სიმრავლის) თვისებებია, თუ მისი რომელიმე ჯგუფის? ამ სახით ეთნოსი „ჰომო საპიენსის“ არსებობის მთელ მანძილზე არსებობდა თუ ის კაცობრიობის განვითარების რომელიღაც ეტაპზე წარმოიქმნა? ისტორიული განვითარების მსვლელობაში ეთნოსები ცვლილე-

ბებს განიცდიდნენ თუ ეთნოსების ისტორიული ტიპები უცვლელ რეალიებს წარმოადგენდნენ? როგორი იყო ეთნოსების როლი წარსულში და როგორია მათი ფუნქციები ახლა? რით არის განპირობებული ათასწლეულთა განმავლობაში ეთნოსების მდგრადობა?

მიუხედავად იმისა რა პასუხები გაეცემოდა ამ კითხვებს, დროთა განმავლობაში შეიქმნა სამეცნიერო ინფორმაციის ერთგვარი ნაკრები, რომლითაც გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ „ეთნოსის" ცნების შინაარსზე. თანამედროვე მეცნიერებაში „ეთნოსის" ცნების მრავალი განმარტება არსებობს, რომლებშიც წინა პლანზე მისი სხვადასხვა ნიშნები, თვისებებია წამოწეული. ამოსავალი კონცეფციებიდან გამომდინარე ყველა ეს განმარტება ორ კატეგორიად იყოფა:

. ა) პირველი განმარტებით ეთნოსი განიხილება როგორც ადამიანთა სიმრავლე, რომელთაც აერთიანებთ წარმომავლობა, ბედი, ენა, კულტურა, ტრადიციები, მენტალობა, საერთო ეთნიკური თვითშეგნება და ეთნონიმი, აგრეთვე ტერიტორია და სამეურნეო ცხოვრების საერთო წესი. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ განმარტებით ეთნოსი არის როგორც ანთროპო-ბიოგენეტიკური, ისე სოციოკულტურული და ტერიტორიულ-ეკონომიკური რეალია.

ბ) მეორე განმარტებით, ეთნოსები განიხილება როგორც ადამიანთა დიდი და პატარა ჯგუფების ერთგვარი სიმრავლე, რომელთათვისაც, იმისაგან დამოუკიდებლად რომელ ტერიტორიაზე მკვიდრობენ, ცხოვრობენ კომპაქტურად თუ დისპერსიულად, დამახასიათებელია სოციოკულტურული ნათესაობა (საერთო ენა, კულტურა, ტრადიციები, თვითშეგნება, ეთნონიმი). ამ განმარტებაში ტერიტორია და სამეურნეო ცხოვრება არ შედის, თუმცა ადამიანთა ცხოვრებისათვის მათ მნიშვნელობას არ გამორიცხავენ. ასეთი განმარტების ავტორები მიიჩნევენ, რომ ტერიტორია და ეკონომიკა ადამიანთა ცხოვრების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მაგრამ ეთნოსთა „არსებით ნიშანთა" შორის ისინი არ უნდა განვიხილოთ. ამ კონცეფციის ავტორებს მოჰყავთ ფაქტები, რომ ინდივიდები და ინდივიდთა ჯგუფები, რომლებიც ამა თუ იმ ეთნოსს მიეკუთვნებიან, შესაძლებელია სხვადასხვა ტერიტორიაზე გაფანტულად ცხოვრობდნენ და ერთ ტერიტორიაზე განსახლებულნი ძალიან განსხვავებული სამეურნეო საქმიანობის მიხედვით იყვნენ დაჯგუფებულნი, რომლებიც არ კარგავენ თავიანთ ეთნიკურ ერთობას. მოყვანილი ფაქტები უაღრესად ყურადსაღებია. თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ტერიტორიის ერთობასა და საერთო სამეურნეო ცხოვრებას ეთნოსების წარმოქმნისა და განვითარების საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ტერიტორიულმა ერთობამ, ერთ ტერიტორიულ არეალში ცხოვრებამ არაერთი ეთნოსი იხსნა გადაგვარებისაგან. თანამედროვე პირობებში გაფანტულად მცხოვრები ეთნოსების ეთნიკური მახასიათებლების შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავარესი ფაქტორი კი კომუნიკაციების მაღალი დონეც არის. ამას გარდა, არცთუ ისე იშვიათად გვხვდება ეთნოსის ცნების ისეთი განმარტებები, რომლის თანახმადაც, ეთნოსები ადამიანთა რეალურ სიმრავლეთა ერთობლიობანია, რომლებიც ისტორიულად წარმოიქმნენ ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში და რომლებიც ეპოქიდან ეპოქამდე სახეს იცვლიან. არსებობს ისეთი განმარტებებიც, რომელთა მიხედვითაც, ეთნოსები ისტორიულად

ჩამოყალიბებულ რეალიებად არ ითვლებიან. ასეთი კონცეფციების ავტორები არც ეთნოსთა ეთნიკურ მახასიათებლებზე მიუთითებენ. რა თქმა უნდა, ეთნოსების ნებისმიერად, თვითნებურად, სურვილისდა მიხედვით „შექმნის" „მეცნიერულ" თეორიებს ვერ გავიზიარებთ, რადგან ისინი რეალურ მონაცემებს არ ეყრდნობიან და არ სურთ დაინახონ ის რეალური ვითარება, რაც კაცობრიობისათვის არის დამახასიათებელი.

ზოგადად ეთნოსის განმარტება კი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ეთნოსი ესაა კომპაქტურად ან დისპერსიულად განსახლებული და ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანების სიმრავლე (ჯგუფი), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ეთნოსები ადამიანთა საზოგადოებების სახით არსებობენ, რომლებისათვისაც დამახასიათებელია საერთო ბუნებრივი ენა, კულტურის ესა თუ ის კომპლექსი, ქცევის გარკვეული ტრადიციები და ცხოვრების წესი, რომლებიც ნარსულშია ფორმირებული. მოკლედ რომ ვთქვათ, ეთნოსები კაცობრიობის ცხოვრების გარკვეული რეალიებია, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნიშანდობლივი ერთობლიობები (ეთნიკური მახასიათებლები), რითაც განსხვავდება ადამიანთა სხვა ანალოგიური ჯგუფებისაგან.

რაოდენობრივი თვალსაზრისით ეთნოსის შემადგენლობაში შედის ყველა ინდივიდი, რომლებსაც, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, საერთო ეთნიკური მახასიათებლები აქვთ და თავს მოცემული ეთნოსის წევრებად გაიაზრებენ. ადამიანთა რომელიმე ჯგუფის ერთი ერთობიდან (სიმრავლიდან) დამოუკიდებელ ეთნოსად გამოცალკევება ხდება მაშინ, როდესაც ის ისტორიული განვითარების პროცესში, რეალური მიზეზების შედეგად, განსხვავებულ ეთნიკურ მახასიათებლებს შეიძენს.

ცნება „ეთნოსი" ადამიანური გონების რაიმე თვითნებური კონსტრუქტი კი არა, არამედ არსებული ერთობლიობის შესახებ რეალური ინფორმაციის შემცველია. ყველა ეს რეალია ხელმისანვდომია ემპირიული კვლევისათვის. ასეთ რეალიებს წარმოადგენენ:

– ეთნოსის დემოგრაფიული კორპუსი, ე. ი. ადამიანთა ინდივიდების რეალური ერთობლიობა, რომელიც თავს რომელიმე ეთნოსს მიაკუთვნებს და ფლობს მოცემული ეთნოსის ეთნიკურ მახასიათებლებს (ენა, კულტურის ეთნიკური კომპლექსები, ეთნიკური ტრადიციები და ცხოვრების ეთნიკური ხატების, განნყობილების ელემენტები, ეთნიკური თვითშეგნება, ეთნონიმი);

– ეთნოსის დემოგრაფიული კორპუსის სტრუქტურები: ასაკობრივი (ასაკობრივ-თაობრივი), სოციალური, რურალურ-ურბანული, მოქმედებით-საქმიანობითი, საგანმანათლებლო, კონფესიური, საერთოკულტურული;

– ეთნოსის ენა – ეთნოსის წევრთათვის საერთოა (მათ რიცხვში სალიტერატურო, დიალექტები, თქმები);

– ეთნიკური კულტურის სისტემები პირველყოფილ მონოეთნიკურ კოლექტივებში და ეთნიკური კულტურული კომპლექსები, რომლებიც ნებისმიერ კონკრეტულ ეთნოსს ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ემსახურება, როდესაც ეთნოსი პოლიეთნიკურ საზოგადოებაშია ინკორპირებული;

– ეთნიკური ცნობიერება და თვითშეგნება, მათი შინაარსი და სტრუქტურა ეთნოსის არსებობისა და განვითარების სხვადასხვა პერიოდში;

– სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში განსხვავებული მონოეთნიკური საზოგადოებები;

– ამა თუ იმ ეთნოსის არსებობისა და განვითარების სხვადასხვა პერიოდში არსებული შიდა ეთნიკური და ეთნოსთაშორისი კავშირები და ურთიერთობები (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული);

– ეთნიკური სიტუაცია და ეთნოსთაშორისი ურთიერთობები პოლიეთნიკურ სახელმწიფოში როგორც წარსულში, ისე დღეს;

ამრიგად, ეთნიკური ინდივიდები თავისი რიცხოვნობით შეადგენენ ეთნოსის რეალურ დემოგრაფიულ კორპუსს, მის ცოცხალ მატერიალურ „სხეულს". ეს მატერიალური „სხეული" ყოველთვის არსებული რეალია იყო „ჰომო საპიენსის" წარმოქმნის შემდეგ. „ჰომო საპიენსის" სახის პოპულაცია ყველა დროში იყო დანაწილებული ადამიანთა მრავალ კოლექტივად, ე. ი. ჯგუფ-ეთნოსებად. ამ ჯგუფებში ინდივიდების რაოდენობა, ისევე როგორც თვით ჯგუფ-ეთნოსების რაოდენობა, ისტორიული განვითარების მსვლელობისას თანაბარი არ იყო.

„ეთნოსის დემოგრაფიული კორპუსის" ცნება, უპირველეს ყოვლისა, სტატისტიკური (მათემატიკური) ცნებაა, რომელიც იმ ინფორმაციის შემცველია, რომ შედის ეთნოსის შემადგენლობაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავიანთ თავს ასეთად თვლიან. ნებისმიერი ეთნოსის დემოგრაფიული კორპუსი თავისი არსებობისა და განვითარების პროცესში რაოდენობრივად ცვალებადია. ეთნოსის დემოგრაფიული კორპუსი, ისევე როგორც სხვადასხვაგვარი სტატისტიკური მონაცემები, დროში ცვალებადია.

თავდაპირველად, როგორც ეს მრავალრიცხოვანი გამოკვლევებითაა დადგენილი, ადამიანები გარკვეულ ჯგუფებად ცხოვრობდნენ; ისინი თავიანთ ცხოვრებას კოლექტიურად უზრუნველყოფდნენ და მნარმოებლურ შთამომავლობას ზრდიდნენ. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა კოლექტივებს შორის კავშირები ნათესაობას ემყარებოდა. ისინი ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებებს ერთდროულად მოიპოვებდნენ (აწარმოებდნენ). თავდაპირველად ეს მონათესავე კოლექტივები იგივე ეთნიკური ერთობები იყო. ამავე დროს ეს მონათესავე (ეთნიკური) ინდივიდები გარკვეულ სოციალურ სისტემადაც ფორმირდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ეთნოსის დემოგრაფიული კორპუსი სრულიად თანხვდებოდა ეთნიკურ ერთობას (ინდივიდთა გაერთიანებას).

როგორც აღინიშნა, ეთნოსი ინდივიდების ერთობლიობაა, რომლებსაც ერთი და იგივე ეთნიკური მახასიათებლები გააჩნიათ. ყველა პირველყოფილი ეთნოსი მონოეთნიზმის ჩარჩოებში იყო მოქცეული. მონოეთნიზმს კოლექტივში შემავალ ინდივიდთა მტკიცე ერთობა, შერწყმა იძლეოდა. ზემოთქმული ყველა პირველყოფილ ეთნიკურ ერთობას ეხება – მათაც, რომლებიც დიდი ხანია გაქრნენ და მათაც, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით თავი გვიანდელ ეპოქებამდე შემოინახეს. ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს პირველყოფილი საზოგადოებების მიმართ ცნება „ეთნოსი" არ გამოიყენოს; ისინი უფრო მიზანშეწონილად ტერმინ – „საზოგადოების" გამოყენებას („პირველყოფილი საზოგადოება", „პირველყოფილი სოციალური ორგანიზმი") მიიჩნევენ. ეთნოსები კაცობრიობის ისტორიული განვითარების გვიანდელ ეპოქაში

წარმოქმნილად მიაჩნიათ. მეცნიერთა ეს ჯგუფი ცდება. პირველყოფილი საზოგადოების ადამიანთა კოლექტივებს ეთნოსის ყველა მახასიათებელი რეალია ჰქონდათ: საერთო ენა, ერთობის აღიარება, კულტურის საერთო კომპლექსები, ქცევის საერთო ტრადიციები და ცხოვრების საერთო წესი. პირველყოფილი ეპოქის მონოეთნიკური კოლექტივები სტიქიურად („ბუნებრივი გზით") იყო ჩამოყალიბებული. ისტორიული განვითარების მსვლელობაში მონოეთნიზმმა თანდათან, რიგი მიზეზების შედეგად, დიდი ცვლილებები განიცადა. ისინი გარდაიქმნა პროტოსახელმწიფოებრივ, შემდეგ კი სახელმწიფოებრივ ერთობებად, რომელთათვისაც უკვე სხვა სოციალური სტრუქტურა, აგრეთვე მართვის სხვა სისტემა და არაერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობა იყო დამახასიათებელი. ამის შესაბამისად ეთნოსის სახელის (**ეთნონიმის**) პარალელურად ჩნდება სხვა ტერმინი – სახელმწიფოებრივი ერთობის აღმნიშვნელი: **ეტატონიმი.** ამის შემდეგ ინდივიდებისა და ერთობების იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია უფრო ხშირად ეტატონიმით ხდებოდა. ეთნონიმები და ეტატონიმები შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს.

მეცნიერებაში ეთნოსის შესახებ ბევრია დაწერილი, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები ჯერ-ჯერობით არასათანადოდაა შესწავლილი (მაგალითად: რეალურად როგორ ფუნქციებს ასრულებს ეთნოსი საერთოდ ადამიანთა ცხოვრებაში; გადაუწყვეტელია საკითხი კონკრეტულ ადამიანთა ინდივიდების განვითარებაში ეთნოსის ფუნქციის საკითხის შესახებ; დაუმუშავებელია ამ ფუნქციების ისტორიული ტიპოლოგიის კომპლექსებიც, როგორც მთლიანად კაცობრიობის, ისე ადამიანთა ცალკეული საზოგადოებების მიმართ სხვადასხვა ეპოქებში). მეცნიერებაში საფუძვლიანად არ არის დამუშავებული თანამედროვე ეთნოსებისა და ეთნიკური ერთობების ტიპოლოგიის თეორიული პრობლემები, რაც არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული პრობლემის გადასაჭრელადაც არის აუცილებელი.

ამრიგად, თავდაპირველად ეთნოსები ერთიან საზოგადოებას (მონოეთნიკურ სოციალურ სისტემას) წარმოადგენდნენ, რომლებსაც შემდეგი კომპლექსური ფუნქციები გააჩნდათ: ა) ეთნოსის ინტეგრაციული ფუნქცია (ნათესაობის პრინციპით გაერთიანება); ბ) კომუნიკაციური ფუნქცია (სტიქიურად ფორმირებული „მშობლიური" ენა); გ) საორგანიზაციო-მარეგულირებელი ფუნქცია (ეთნიკური კოლექტივების ორგანიზება ნათესაური კავშირების მიხედვით); დ) კულტურულ-შემოქმედებითი და კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია; ე) დაცვითი ფუნქცია (ნებისმიერი საშიშროების დროს ეთნოსის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც ნათესავების, ისე მთლიანად კოლექტივის); ვ) ბიოპროდუქტიული ფუნქცია, ანუ გვარისა და საერთოდ სახეობის შენარჩუნების ფუნქცია; ზ) საიდენტიფიკაციო ფუნქცია („თვისი" – „სხვისი", „მშობლიური" – „უცხო").

ადამიანთა კოლექტიურ ცხოვრებაში ეთნოსის ფუნქცია ისტორიულად იცვლებოდა. ეპოქიდან ეპოქაში ეთნოსის ფუნქციის ცვლილება მიმდინარეობდა ადამიანთა ერთობების სხვა სახეების გაჩენასთან ერთად, რომლებმაც თავის თავზე აიღეს ეთნოს-ერთობის (საზოგადოების) (ეთნოსი – „სოციალური ორგანიზმი" ან ეთნოსი – „სოციალური სისტემები") ზოგიერთი პირველყოფილი ფუნქცია. ეს ეთნოდემოგრა-

ფიულ პროცესებთან კავშირშიც მიმდინარეობდა. თვით ეთნოსებიც, როგორც გარკვეული რეალიები, უამრავი მიზეზით იცვლებოდნენ თავისი ძირითადი პარამეტრებით (დემოგრაფიული კორპუსის სოციალური და სხვა სტრუქტურები, ენა, კულტურა, ტრადიციები, ცხოვრების წესი, ხასიათი), რასაც მივყავდით ეთნოსის ისტორიული ტიპის, მათი ფუნქციების ისტორიული ტიპის შეცვლამდე. მთელი რიგი მიზეზების გამო ეს ცვლილებები სხვადასხვა რეგიონებში ერთნაირად და ერთსა და იმავე დროს არ მიმდინარეობდა. ამის შედეგად ერთსა და იმავე ეპოქაში დედამიწაზე თანაარსებობდნენ (ისევე როგორც დღესაც) ისტორიული ტიპის მიხედვით სხვადასხვა ეთნოსები. ეთნოსისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი დამცავი და საორგანიზაციო-მარეგულირებელი ფუნქციები ძირითადად სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ფუნქციები გახდა. საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი ფუნქციები, ისევე როგორც სხვა კულტურული ფუნქციები რელიგიურმა საზოგადოებებმა იკისრეს, შემდეგ კი სახელმწიფომ. მიუხედავად ამისა, ეპოქიდან ეპოქაში სახეცვლილმა ეთნოსმა არსებობა გააგრძელა და მან შეცვლილი სახით შეინარჩუნა ინტეგრაციული, კომუნიკაციური, საიდენტიფიკაციო, აგრეთვე კულტურულ-შემოქმედებითი, აღმზრდელობითი ფუნქციები, რითაც აიხსნება ეთნოსის ისტორიული მდგრადობა, სიმტკიცე.

მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის თანამედროვე მსოფლიო პროცესებში ეთნოსთა ფუნქციონირება ახალ ასპექტებს იძენს. ამ პრობლემის გადაჭრის ძიებისას ორი ყველაზე გავლენიანი მიმართულება შეიმჩნევა. ერთი მათგანი დამახასიათებელია ზოგიერთი ეთნოსეპარატისტული მოძრაობისათვის, რომელთაც შემუშავებული აქვთ „ნაციონალური აღორძინების" გეგმები. მათი ლოზუნგია „ეთნიკური ძირებისაკენ დაბრუნება" და მიაჩნიათ, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა არის ცხოვრების იმ წესისაკენ დაბრუნება, რომელიც შორეული წინაპრებისათვის იყო დამახასიათებელი. მეორე მიმართულება კი სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისაა. ის ეფუძნება მთელი კაცობრიობის, ყველა ეთნოსის აბსოლუტური მოდერნიზაციის იდეას და „ტრადიციულ კულტურებზე" მთლიანად უარის თქმას, რომელსაც განიხილავენ როგორც სრულიად შეუთავსებელს „ინდუსტრიულ ცივილიზაციასთან". ამ ორი უკიდურესი და ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულების გარდა, არსებობს აგრეთვე შუალედური („კომპრომისული") მიმართულებაც, რომელიც ორიენტირებულია ამა თუ იმ ეთნოსის ნაწილობრივ მოდერნიზაციაზე. ის მოდერნიზაციის პირობებში ეთნიურობისა და „ტრადიციული კულტურების" შენარჩუნებას ითვალისწინებს (დაწვრილებით იხ. თემა 23. – „ტრადიციული კულტურა და თანამედროვეობა").

§2. ეთნიკურობა: ეთნიკური ცნობიერება, ეთნიკური იდენტიფიკაცია და თვითიდენტიფიკაცია. „ეთნიკურობა" ესაა ადამიანთა ინდივიდებისა და მათი ჯგუფების გარკვეული მახასიათებლების ერთობლიობა, მათი გაერთიანება, რაც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ „ვინ ვინ არის", უფრო სწორად რეალურად არსებული მაჩვენებლებით გავარკვიოთ ინდივიდების, მათი ჯგუფებისა და ერთობების (საზოგადოებების) ამა თუ იმ ეთნოსისადმი მიკუთვნებულობა, აგრეთვე ინდივიდებისა და ადამიანთა ნებისმიერი სიმრავლის „ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის" შესაძლებლობა.

ინდივიდებისა და ჯგუფების ეთნიკურობა შემდეგი მაჩვენებლებით განისაზღვრება:

– მათ მიერ ეთნოსის ენის ფლობით და ამ ენის „მშობლიურ ენად" აღიარებით, ურთიერთობაში მისი გამოყენების უნარით;

– მათ მიერ იმ ეთნოსის კულტურული კომპლექსების შეთვისებით, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან, და ამ კომპლექსების ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოყენების უნარით;

– მათ მიერ იმ ეთნოსის ტრადიციული ქცევებისა და ცხოვრების წესის გამოყენებით (და შენარჩუნებით), რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან;

– მათი გარკვეული ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის თვითშეგნებით, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული ეთნონიმი. „ეთნიკურობის ყველა ამ ელემენტს" (ელემენტების ერთობლიობა: ენა, კულტურის კომპლექსები, ქცევის ტრადიციები და ცხოვრების წესი, თვითშეგნება, ეთნონიმი) აქვს საზოგადოებრივ-ისტორიული და კულტურულ-ისტორიული, ე. ი. სოციოკულტურული და არა ბიოგენეტიკური მახასიათებელი. ყველა ეს ელემენტი ისტორიულად იცვლება, მაგრამ „ეთნიკურობის ელემენტთა" საერთო სქემა მაინც ყოველთვის რჩება.

ეთნოსის როგორც რეალიის არსებობის პირობას წარმოადგენს ადამიანთა გარკვეული სიმრავლე, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოების ხანგრძლივი კოლექტიური ცხოვრების პროცესში (მსვლელობაში) შეიძენს სოციოკულტურული მახასიათებლების კონკრეტულ ერთობლიობას (საერთო ენა, კულტურის გარკვეული სპეციფიკური კომპლექსები, ქცევის ტრადიცია და ცხოვრების ხასიათი), რომლებიც თავისი ერთობლიობით ქმნის ეთნიკურობას. და პირიქით: ეთნიკურობის წარმოქმნის საფუძველს და თვით ეთნოსებისაც წარმოადგენს ადამიანთა ხანგრძლივი, თაობების განმავლობაში ერთობლივი ცხოვრება, მათი კოლექტიური ცხოველქმედება. სწორედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთობლივი ცხოვრება აყალიბებს ეთნიკურობას. ფორმირებული ეთნიკურობა გადაეცემა თაობიდან თაობას საუკუნეების განმავლობაში, თუმცა საზოგადოება, რომელშიც ის წარმოიქმნა, იცვლებოდა და გარდაიქმნებოდა. გარკვეული ეთნიკურობის მატარებელი ადამიანები ისტორიული მსვლელობის პროცესში სხვადასხვა მიზეზებით ხშირად რამდენიმე ეთნიკურად მონათესავე ერთობად იყოფოდნენ, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ახალ ეთნოსებადაც ყალიბდებოდნენ.

პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებიდან პროტოსახელმწიფოებრივ და სახელმწიფოებრივ საზოგადოებებში გადასვლამ მიგვიყვანა არა მხოლოდ იქამდე, რომ პირველყოფილი ეთნოსების რიგი ფუნქციები ადამიანთა ახალი ისტორიული ტიპის მთლიან ან ნაწილობრივ ფუნქციად გადაიქცა, არამედ უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოსა და მისი ორგანოების ფუნქციად. ახალ პირობებში თვით ეთნოსების შიგნით მიმდინარეობს დიდი ცვლილებები. ისინი სოციალურად დიფერენცირდება: მათში ყალიბდება გაბატონებული („ელიტარული") და დაქვემდებარებული ჯგუფები, რომელთაც ხელისუფლების ორგანოებში (სახელმწიფოს მართვის სისტემაში) განსხვავებული როლი ეკისრებათ, განსხვავებულია კოლექტიურ (საზოგადოებრივ) ცხოვრებაში მათი სტატუსი და ქონებრივი მდგომარეობა. ამ დიფერენციაციამდე თუ ინდივიდის სტატუსი კოლექტივში განისაზღვრებოდა მისი პერსონალუ-

რი თვისებებით (გონება, ფიზიკური ძალა, სიმამაცე), ახალ პირობებში ინდივიდის სტატუსის განმსაზღვრელი გახდა „ელიტისადმი“ მიკუთვნებულობა და მიუკუთვნებლობა, ხელისუფლების სისტემაში თანამდებობის მნიშვნელობა, კერძო საკუთრების სიდიდე. ეთნიკური ზედაფენა („ელიტა“), რომელმაც თავისი ეთნოსის ფარგლებში შეძლო ხელისუფლების უზურპირება, შემდგომში ის გავლენას სხვა ეთნოსებზეც, ყველა იმ ეთნიკურ ჯგუფზე ავრცელებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით მათი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. სახელმწიფო მოსახლეობის შემადგენლობის მიხედვით პოლიეთნიკური ხდებოდა, ხელისუფლება კი, როგორც წესი, ერთი ეთნოსის „ელიტის“ ხელში ექცეოდა, რომელთა ეთნონიმითაც, ჩვეულებრივ, ინოდებოდა სახელმწიფო (ე.ი. განისაზღვრებოდა ეტატონიმი). კაცობრიობის ისტორიაში ფართოდ გავრცელდა ტრადიცია, როდესაც პოლიეთნიკურ სახელმწიფოს მონოეთნიკური სახელი ეწოდებოდა. ახლაც ბევრ შემთხვევაში ეს წესი შენარჩუნებულია. ამასთან დაკავშირებით ცალკეული ეთნოსების ისტორიაში გვხვდება საოცარი, ზოგჯერ პარადოქსული ფაქტებიც. ვოლგის ნაპირებზე ოდესღაც არსებობდა ვოლგელ ბულგართა თურქული ეთნოსის თავისებური სახელმწიფოებრივი საზოგადოება (ერთობა). თავის დროზე ის დაიპყრეს მონღოლ-თათრებმა, რომლებმაც ვოლგისპირეთში შექმნეს „თავიანთი“ თათრეთის სახელმწიფო, რომელშიც მოსახლეობის უმრავლესობას დაპყრობილი ბულგარები შეადგენდნენ. მმართველი თათრული ზედაფენა, რომელმაც ახალ პოლიეთნიკურ ვოლგისპირა სახელმწიფოს თავისი ეთნოსის ეთნონიმით სახელწოდება მისცა, ასიმილირდა, გაითქვიფა ბულგარულ ეთნოსში ისევე, როგორც თათრული ეთნოსის ის ნაწილი, რომლებიც ბულგარელთა დაპყრობასა და დამორჩილებაში მონაწილეობდა და დასახლდა დაპყრობილ ტერიტორიაზე. ვოლგისპირა სახელმწიფოს სახელწოდება (ეტატონიმი) დამპყრობელი „თათრების“ მმართველი ზედაფენის ეთნონიმით აღინიშნა. ეს ეთნონიმი მოსახლეობის ძირითადი მასის ეთნონიმადაც იქცა, რომლებიც ეთნიკური მახასიათებლებით უწინდელნი დარჩნენ, ე. ი. თურქი-ბულგარები. სახელწოდებით ვოლგისპირელი ბულგარები ვოლგისპირელ თათრებად იქცნენ. უფრო ადრე ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა ბალკანეთში, სადაც ვოლგისპირელი ბულგარების სხვა ნაწილი დასახლდა, რომლებმაც ვოლგისპირეთი ხაზართა ზენოლის შედეგად დატოვეს. მათ თავიანთ ხელისუფლებას დაუქვემდებარეს ბალკანელი სლავები და ბალკანეთში ჩამოაყალიბეს პოლიეთნიკური სახელმწიფო – ბულგარეთის სამეფო, რომლის ხელისუფლებაც ბულგართა ეთნიკური ზედაფენის ხელში იყო. შემდგომში ბულგარები გასლავდნენ. ამ სახელმწიფოს მკვიდრი მოსახლეობა კი, რომლებიც დამხვდურთა და მოსულთა შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა, ეთნონიმი – „ბულგარელები“ ეწოდა. ბალკანეთში ბულგარები როგორც თურქული ეთნოსი გაქრა, ეთნონიმი და ეტატონიმი კი დარჩა. ეს ადამიანთა საზოგადოებების ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა არ არის.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ეთნიკურობის ხარისხი“ და „ეთნიკურობის დონე“. შემჩნეულია, რომ ერთი ინდივიდი მეორეზე უფრო „ეთნიურია“, რომ ადამიანთა ერთი საზოგადოება და სახელმწიფო უფრო „ეთნიურია“, ვიდრე მეორე. ეს პრობლემებიც ეთნოლოგიის კვლევის სფეროში შემოდის.

ეთნიკურობის შესწავლისას მნიშვნელოვანია თვითიდენტიფიკაციის საკითხი, რომელთანაც უშუალოდაა დაკავშირებული ეთნიკური შეგნება. ეთნიკური შეგნება მოიცავს მთელი რიგ კომპონენტებს, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია: 1) საკუთარი ნათესაობის გაგება და შეცნობა ადამიანთა გარკვეულ სიმრავლესთან რიგი პარამეტრების მიხედვით – საერთო ენით, ცხოვრების წესით, კულტურის ამა თუ იმ სპეციფიკური კომპლექსების ერთობით (ფოლკლორი, მითოლოგია, რელიგია, ქცევის ნორმები), ყოფასა და ოჯახში თავისებური ტრადიციებით, „ისტორიული ფესვებითა" და ისტორიული მეხსიერებით; 2) ერთობის მდგომარეობისა და ბედის გაგებითა და შეცნობით ადამიანთა რომელიმე მონათესავე სიმრავლესთან ერთად სხვა უცხოეთნიკურ ჯგუფებს შორის, რომლებიც საკუთარ ინტერესებსა და ბედთან არიან დაკავშირებულნი; 3) ეთნიკურად მონათესავე ადამიანებთან სოლიდარობის შეცნობითა და გრძნობით. ეთნიკური შეგნების ასეთი სტრუქტურა ჩაისახა და განვითარდა პირველყოფილ გვაროვნულ-თემურ კოლექტივებში, რომლებიც ადამიანთა სისხლ-ნათესაობითი კოლექტივები იყვნენ. შემდეგ ისინი აღარ წარმოადგენდნენ ადამიანთა დიდი გაერთიანების საფუძველს. მაგრამ ადამიანთა ცხოვრებაში ეთნიკური ნათესაობა, როგორც ფენომენი, შემორჩენილია და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, რაც, უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ენასა და ნათესაობის ტრადიციულ-კულტურულ ელემენტებში.

ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის გარდა, როდესაც ინდივიდები ან ეთნოსები თავის თავს განსაზღვრავენ (ვინ ვართ ჩვენ ეთნიკურობის თვალსაზრისით და რითი განვსხვავდებით სხვებისაგან?), არსებობს სხვა მათი ეთნიკური იდენტიფიკაციაც ინდივიდთა და ადამიანთა ჯგუფების მხრიდან „ეთნიკურობის" სხვა რეალიებით.

ეთნოსი და ეთნიკურობა ეს არა მხოლოდ შემეცნების (თვითშემეცნების) სფერო, არამედ სრულიად გარკვეული, ემპირიულად შესასწავლი და შეცნობადი რეალიაა ადამიანთა რეალური სამყაროსი. თავისი თავის შეცნობა კი შესაძლებელია „სხვებთან" მიმართებით, რით განსხვავდებიან და რით ჰგვანან „სხვებს".

§3. ეთნოლოგიის (სოციალური ანთროპოლოგიის) სხვადასხვა მიმდინარეობის დამოკიდებულება ეთნიკურობისადმი. ტერმინი ეთნიკურობა – ethnicity 1960-იანი წლებიდან ჩნდება ამერიკულ ანთროპოლოგიაში, რაც დარგის განვითარების შედეგი იყო. საერთოდ, სოციალური ანთროპოლოგია, რომელიც ეთნოგრაფიისა და ეთნოლოგიის მემკვიდრეს წარმოადგენს, კულტურულ სხვაობებს სწავლობს. სწორედ ანთროპოლოგებმა (ეთნოლოგებმა) წარმოადგინეს სამყარო გარკვეული კულტურული განსხვავებულობის მოზაიკად. მის ძირითად საგანს (ისტორიულად ამერიკული და ევროპული განსაზღვრებით) კულტურული „სხვა" წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მისი მიზანია საველე მონაცემების საფუძველზე სოციოკულტურული განსხვავებულობის რელატივისტური შესწავლა. ანთროპოლოგიის კვლევის თემატიკა დროთა ვითარებაში იცვლებოდა, ფართოვდებოდა კულტურულ-გეოგრაფიული არეალი და იზრდებოდა თემების ინტერდისციპლინარულობა. რისი შედეგიც გახდა საბაზისო ცნებების კონცეპტუალიზაცია და მეცნიერულ

მიმოქცევაში ახალი ტერმინებისა და კატეგორიების დამკვიდრება. ასე გაჩნდა რელატიური ტერმინი – „ეთნიკურობაც" (ვოლფი).

იგი თავდაპირველად ტომის, ეთნიკური ჯგუფის, მოგვიანებით კი ერის, რასის და ნაციონალიზმის ცნებებს დაუკავშირდა. საკითხის ირგვლივ მუშაობდნენ ბარტი, გირცი,კოენი, ჯენკინსი, უილიამსი, ერიკსენი, ბენკსი, ვან დენ ბერგე, ბენტლი, ჰანდრელი, ვერდერი, ბურდიე, გელნერი, გრინფილდი, ჰობსბაუმი, როედერი, გლუკმანი და სხვ.

1980-იან წლებში ეთნიკურობის პრობლემა სოციალური ანთროპოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საკითხად იქცა. განსხვავებული დეფინიციების (მაგ.: ფ. ბარტის, კ. გირცის და სხვ.) არსებობა დღემდე აძნელებს საკითხის განხილვას. ტერმინოლოგიური პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური, ალბათ, პოსტსაბჭოთა სივრცის მეცნიერთათვისაა; რადგან რიგი მიზეზების გამო დარგის სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა და, შესაბამისად, ტერმინოლოგიაც განსხვავებული ჩამოყალიბდა, რაც ხშირად გაუგებრობების მიზეზი ხდება.

რაც შეეხება ტერმინ **ეთნიკურობას,** მისი დეფინიციისას განარჩევენ კონსტრუქტივისტულ, პრიმორდიალისტურსა და ინსტრუმენტალურ მიდგომებს.

<u>კონსტრუქტივისტული მიდგომის</u> შესაბამისად ეთნიკურობა მიიჩნევა თანამედროვე ფენომენად, რომელიც ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ცნობიერად არის არჩეული, რათა დაიკმაყოფილოს განსაზღვრული ინტერესები და მიაღწიოს განსაზღვრულ მიზნებს. ამ თვალსაზრისით, ეთნიკურობა იდენტურობის გარკვევის პროცესში ყალიბდება და ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს კულტურული ელიტა ასრულებს. კონსტრუქტივისტული მიდგომისათვის მნიშვნელოვანია ენა და მენტალობა, როგორც ის ძირითადი სიმბოლოები, რომლის გარშემოც ხდება ეთნიკურობის კრისტალიზაცია.

ეთნიკურობა ზოგადად განისაზღვრება, როგორც „კულტურული განსხვავებულობის სოციალური ორგანიზაცია" (ბარტი 1969, ეთნიკური ჯგუფები და საზღვრები). ბარტის შეხედულება ეთნიკურობაზე რამდენიმე ელემენტს მოიცავს. აღსანიშნავია მოსაზრება, რომ ეთნიკურობა არ არის კულტურული ჩვევების უცვლელი კრებული, რაც, თავის მხრივ, საკმარისია პიროვნული იდენტიფიკაციისა და ინდივიდუალურსა (პიროვნულ) და ჯგუფურ იდენტურობას შორის ზღვარის გასავლებად. ეს არის ეთნიკურობის ყველაზე გავრცელებული დეფინიცია, იგი მარტო კულტურულ განსხვავებულობას კი არ გულისხმობს, არამედ კონტაქტსაც კოლექტივებს შორის, რომლებიც გაყოფილნი არიან „ჩვენ" – „ისინი" ოპოზიციურ წყვილებად (ტ. ერიკსენი).

მ. ბანტონის მიხედვითაც, ეთნიკურობა კულტურული ჯგუფის „ჩვენ"-ის იდენტიფიკაციაა (ფიზიკური და ფენოტიპური მახასიათებლებით რასობრივი „ისინი"-საგან განსხვავებით).

ჯ. ჯენკინსის მიხედვით, ეთნიკურობა სოციუმის ძირითად და საბაზისო პრინციპებზე საუბრის საშუალებაა, ეს არის კოლექტიური იდენტიფიკაცია, გრძნობა „ჩვენ" – „ისინი" ოპოზიციისა, რომელიც სოციალურად კონსტრუირებულია კულტურის მიერ. აქედან გამომდინარე კომუნალური, ლოკალური, ნაციონალური და რასობრივი შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ისტორიულად და კონტექსტუალურად

სპეციფიკური სოციალური კონსტრუქცია ეთნიკურ საფუძველზე, ეთნიკური იდენტურობის ალოტროპია (ალოტროპია – ქიმიური შემცველობის ცვლილების გარეშე ფიზიკური თვისებების ცვლილება).

პრიმორდიალისტური (ტერმინი პრიმორდიალური – თავდაპირველი, პირველყოფილი, შილს ეკუთვნის (სტატია Primordial, Personal, Sacred and Civil Ties; British Journal of Sociology 1957), შემდეგ იგი განავრცო გირცმა) მიდგომით, ეთნიკურობა განიხილება როგორც ობიექტური „მოცემულობა", კაცობრიობის პრიმორდიალური მახასიათებელი, რომელსაც აპირობებს ტერიტორია, ენა, გაცნობიერებული წევრობა და საერთო მენტალობა. ასეთ გაგებას იზიარებენ კ. გირცი, ვან დენ ბერგე და სხვ. პრიმორდიალისტურია აგრეთვე ეთნიკურობის გაგება რუსულ სოციალურ მეცნიერებაში, რისი ტრადიციაც სათავეს XIX საუკუნის ეთნოგრაფიიდან იღებს, კერძოდ, განსაზღვრებიდან ხალხი (ნაროდ) (შიროკოროგოვი). ვ. ტიშკოვი ნერს, რომ ძნელია სწრაფი გადასვლა ახალ თეორიულ ბაზისსა და ტერმინოლოგიაზე, მითუმეტეს, რომ არსებობს იდეოლოგიურ-პოლიტიკური წნეხი და ამიტომაც რექვიემის ნერა ეთნოსზე ჯერ ადრეა. მისი აზრით, ეთნიკურობა კონსტრუირებული და რეკონსტრუირებულია სპეციფიკური ვერბალური და პოლიტიკური აქციებით, რომლებიც ასახავენ თანამედროვე პირობებს, სოციალურ ჯგუფებში ძალაუფლების მომენტისა და იმ მნიშვნელობათა ჩათვლით, რაც ადამიანები აძლევენ ამ პირობებს. ამრიგად, ეთნიკურობა არ შეიძლება იყოს კაცობრიობისათვის დამახასიათებელი ექსტრატერმინალური და პრიმორდიალური თვისება.

კლიფორდ გერცის მიხედვით, ეთნიკურობა არის: „კოლექტიურად და სოციალურად რატიფიცირებული და საჯაროდ გამოხატული პიროვნული იდენტურობის სამყარო". იგი ეთნიკურობის პრიმორდიალობაზე საუბრობს და ამოდის ნათესაობის სისტემიდან, ლოკალურობიდან და კულტურიდან. მის მიერ სისხლისმიერი, ენობრივი და კულტურული კავშირები ინდივიდების მიერ სავალდებულო კავშირებად განიხილება. კულტურაც პრიმორდიალური მოცემულობაა, რომლის ძალა და ტიპები იცვლება პიროვნებიდან პიროვნებამდე, საზოგადოებიდან საზოგადოებამდე, უამიდან უამამდე.

ვან დენ ბერგეს მიხედვით, ეთნიკურობა გავრცობილი ნათესაობაა (ე.ი. მას გენეტიკური საფუძველი აქვს). ამ განსაზღვრების მიხედვით, რასა ხდება ეთნიკურობის განსაკუთრებული მარკერი. დგება საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ეთნიკური იდენტურობა ადამიანის არსებისა და თვითშეგნების ფუნდამენტალური, პრიმორდიალური და შესაბამისად უცვლელი ასპექტი, რითაც მყარდება კავშირი ჯგუფსა და ინდივიდს შორის; თუ ის სიტუაციურად, სტრატეგიულად ან ტაქტიკურად მანიპულირებადია და ცვლილებებისაკენაა მიდრეკილი ინდივიდუალურსა და კოლექტიურ დონეებზე (პრიმორდიალიზმის კრიტიკა ეკუთვნით ელერს და კოგლანს, მოგვიანებით ჯენკინსს. მათი აზრით, პრიმორდიალურობა საერთოდ უნდა იქნას ამოღებული სოციალური მეცნიერების ლექსიკონიდან).

ბოლო წლებში მეცნიერები ეთნიკურობას განიხილავენ, როგორც კოლექტივის ინსტრუმენტს, საშუალებას მოიპოვოს მატერიალური და პოლიტიკური წარმატება სოციალურ არენაზე. ასეთი **ინსტრუმენტალისტური მიდგომა** აკადემიური და პოლიტიკური ელიტის მხრიდან

მანიპულირებას, პროპაგანდასა და მითების შექმნას გულისხმობს. ზოგი მკვლევარის აზრით, ეთნიკურობა როგორც კულტურული და სოციალური რესურსი, ძირითადად ახასიათებს უმცირესობას და არის სოლიდარობისა და მობილიზაციის საშუალება.

მარკუს ბენკსის (1996) მიხედვით, ეთნიკურობა მუდმივად პროდუცირების პროცესში მყოფი ახსნაა იმ მიზეზისა თუ რატომ კლავს მავანი მავანს და რატომ არის მავანი „ჭუჭყიანი" ან „მიუღებელი".

მიდგომების განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა ანთროპოლოგიური დეფინიციისთვის საერთოა შემდეგი: 1. ეთნიკურობა ეხება კულტურულ განსხვავებულობას; 2. იგი განპირობებულია და არსებობს სოციალურ ინტერაქციაში; 3. კულტურის მსგავსად, რომლის კომპონენტიცაა ეთნიკურობა, იგი არ არის ფიქსირებული და უცვლელი; 4. ეთნიკურობა არის სოციალური იდენტურობა, რომელიც კოლექტიურიცაა და ინდივიდუალურიც. ექსტერნალიზირებულია სოციალურ ინტერაქციაში და ინტერნალიზირებულია პიროვნულ თვითშეგნებაში.

ამდენად, მაინც შესაძლებელია ზოგადი განმარტების ფორმულირება, რომ სოციალურ ანთროპოლოგიაში ეთნიკურობა სოციალური ინტერაქციის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კულტურულ განსხვავებულობას გულისხმობს და იგი ეთნიკურ იდენტურობას, ზოგადად კი სოციალურ იდენტურობას უკავშირდება; ესე იგი ეთნიკურობა გაზიარებული კულტურული მემკვიდრეობაა, რისი საფუძველიცაა საერთო წარმომავლობა, ენა (და უმეტეს შემთხვევაში რელიგიაც), რომლებიც ერთად აყალიბებენ გარკვეულ სოციალურ იდენტურობას. პირველი სოციალიზაციის დროს ეთნიკურობის მარკერებია – ენა, რელიგია, არავერბალური ქცევა და ა.შ. (ბენტლი), შემდეგ ჩნდება სხვა მარკერები: სოციალური იდენტურობის შეგრძნება, გენდერი, და ა.შ.

ეთნიკურობა განიხილება, როგორც კულტურის ცვალებადი, არაფიქსირებული და, შესაბამისად, ვარიაბელური კომპონენტი. რომელიც სოციალური ინტერაქციის საფუძველზე ყალიბდება და კულტურულ განსხვავებულობას გამოხატავს. ეთნიკურობის ანთროპოლოგიური მოდელი საკმაოდ ფართოა და აერთიანებს მთელ რიგ ფენომენებს, ამასთან ერთად ემყარება ემპირიულ კვლევას. მეცნიერები ხაზს უსვამენ (ბენკსი) იმას, რომ ტერმინი მეტად დატვირთულია მორალური მნიშვნელობით, ამდენად უფრო მეტს ფარავს, ვიდრე ააშკარავებს და კვლავ პრობლემატურია, გარკვეულწილად საშიშროების შემცველიც კი.

ეთნიკურობის კვლევისას განარჩევენ განსხვავებას მის ნომინალურსა და ვირტუალურ განზომილებებს შორის. ეთნიკურობა სტატიკური ფორმისაგან განსხვავებული პრაქტიკული წარმონაქმნია და ამიტომ მისი შესწავლისას აუცილებელია ჯგუფში მიმდინარე ინტერნალური და ექსტერნალური სოციალური პროცესების – ჯგუფური იდენტიფიკაციის, კატეგორიზაციის, ძალაუფლების, ავტორიტეტის და სხვა რიგი არსებითი საკითხების განხილვა.

ფ. ბარტის შემდეგ ანთროპოლოგიაში ეთნიკურობასა და კომუნალურ იდენტურობაზე (ვალმანი, კოენი, ერიკსენი) საუბრისას ინტერნალურ-ექსტერნალური დიალექტიკიდან აქცენტმა ჯგუფურ იდენტიფიკაციაზე გადაინაცვლა, სოციალური კატეგორიზაციისაგან განსხვავებით. მიზეზები კი შემდეგია:

1. ანთროპოლოგია ეთნიკურობას სოციალურ რესურსად მიიჩნევს;
2. ეთნიკურობა, როგორც პროცესი, გულისხმობს სოციალურ ურთიერთობებს – ურთიერთქმედებას, გაცვლასა და შეთანხმებას;
3. ანთროპოლოგიის საფუძველი მეთოდოლოგიურად მონანილე დამკვირვებლობაა და, ამდენად, მკვლევარისათვის უფრო იოლია კოლექტიური ინტერნალური დეფინიციებით ოპერირება, ვიდრე ექსტერნალურით. თუმცა სოციალურ ანთროპოლოგიაში ინდივიდუალურზე, ანუ საკუთარ ინტერნალურ ცოდნაზე მნიშვნელოვანი სოციალური ანუ ექსტერნალური ცოდნაა (კოენი).

ეთნიკურობა არ არის ბუნებრივი კატეგორია. მისი საზღვრები არაა ფიქსირებული და ნეკრობა დადგენილი. ეთნიკური, რასობრივი და ეროვნული ჯგუფები ნარმოსახვითი საზოგადოებები, იდეოლოგიური გაერთიანებებია, რომლებიც ბრძოლაში იქმნება და იცვლება. კოენის მიხედვით, ეთნიკურობა პლასტიკურია და შეიძლება ხალხმა (ხალხებმა) შეცვალოს თავისი ეთნიკური მიკუთვნებულობა გარემოებებიდან გამომდინარე.

ეთნიკურობას ლოკალური სპეციფიკა ახასიათებს, რასაც, თავის მხრივ, ადგილი და დრო განსაზღვრავს. ეთნიკურობა ლოკალური გარემოებების პირობებში შეიძლება დახასიათდეს, როგორც იდენტურობის პირველადი, პრიმორდიალური, როგორც პირველადი სოციალური ასპექტი. სოციალური იდენტურობა, თავის მხრივ, ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტურობით კონსტრუირდება. ამასთან პიროვნული იდენტურობა სოციალური ცნობიერებისა და სოციალური სიტუაციის პროდუქტია და არ არის ნარმოსახვითი. კოლექტიური ცნობიერება კი ინდივიდთა ცნობიერებაში არსებობს. ეთნიკური იდენტურობა ზოგადად სოციალური იდენტურობის მაგალითია და მასზე, როგორც სოციალური იდენტურობის პროექციასა და რეპროდუქციაზე, უდიდეს გავლენას ახდენს სოციალური კატეგორიზაციის ექსტერნალური პროცესი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯგუფური იდენტიფიკაციის ინტერნალური პროცესები. ჯ. ჯენკინსის მიხედვით, შესაძლებელია ეთნიკური კატეგორიზაცია ორი ჯგუფის მიხედვით: <u>არაფორმალური</u> და <u>ფორმალური.</u>

ეთნიკურობა, კულტურის მსგავსად, არაა ის რაც გვაქვს, რასაც ვფლობთ მატერიალურად, ეს არის გამოცდილება, ის, რასაც ვიყენებთ, ვსწავლობთ და „ვაკეთებთ" ყოველდღიურად, რის საფუძველზეც ვიაზრებთ თავს და ვიყალიბებთ თვითშეგნებას. ამასთან თვითიდენტიფიკაცია არ არის ეთნიკური იდენტურობის ერთადერთი მახასიათებელი. ეთნიკურობის მანიფესტაციებია მიკუთვნებულობის ერთიანობის აღნიშვნა, უკიდურესი გამოვლინება კი – ეთნიკური წმენდა, ეთნიკურად მოტივირებული გენოციდი. ეთნიკურობა შეიძლება აგრეთვე გამოვლინდეს, როგორც საკუთარ თავზე შეხედულებების ინდივიდუალურად ხორცშესხმული ინტეგრალური ნანილი. მ. ბენკსი განასხვავებს ეთნიკურობას გულში და ეთნიკურობას თავში.

ეთნიკურ იდენტიფიკაციას აქვს ორგანიზებისა და მიმართულების განსაზღვრის ეფექტი. ეთნიკურ თვითგამორკვევაში ეთნიკური იდენტურობა პრაქტიკულად მიმდინარე და ისტორიულად შედარებით სტაბილური „ტრადიციის დინებების" შიგნით ყალიბდება. ტრადიციას, ზოგადად კი ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეთნიკურობა

და. იდენტურობა ყოველდღიური პრაქტიკა და ისტორიული პროცესია. ამასთანავე, ეთნიკური იდენტურობა იმანენტურად, თუმცა არა სავალდებულოდ ვარიაბელურია. მას აყალიბებს ინდივიდუალურ, ინტერაქციონალურ და კოლექტიურ დონეებზე მოქმედი ექსტერნალური და ინტერნალური პროცესები. ეთნიკურობის ანალიზისას ინტერნალური დეფინიცია და ჯგუფური იდენტიფიკაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ექსტერნალური დეფინიცია და კატეგორიზაცია; მაგრამ იდენტურობა ექსტერნალური და ინტერნალური დეფინიციების ინტერაქციის მიმდინარე პროცესის პრაქტიკული პროდუქტია და ორივე მათგანის განხილვაა სავალდებულო სრული სურათის მისაღებად.

ეთნიკურობა, როგორც სოციალური ფორმა ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ჯგუფის კონსტიტუციაა. იგი შედგება სახელისა (ნომინალური ელემენტი) და გამოცდილებისაგან (ვირტუალური ელემენტი), გამოცდილება იგივე მნიშვნელობაა.

ეთნიკური ურთიერთობები არაა სავალდებულოდ იერარქიული, ექსპლუატატორული და კონფლიქტური. ეთნიკური ჯგუფის ნევრობა ნებაყოფლობითია. ეთნიკურობა „ჩვენ"-ის გაგებაა. აქედან გამომდინარე, დგება ლოკალურის, ნაციონალურისა და გლობალურის მიმართების პრობლემა (ლოკალური=თემი); კერძოდ, დაისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაირჩეს ეთნიკური კომუნალურისა და ლოკალურისაგან?

ლოკალიზაცია და ეთნიკურობა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და გლობალიზაციის მიმართ (სოციალური ყოფის გლობალურ კონტექსტზე) თავდაცვის რეაქციას წარმოადგენს.

ეთნიკურობის სნავლების პრობლემა. თანამედროვე ეტაპზე ტერმინის გარკვევასა და ეთნიკურობის არსის კვლევის პარალელურად უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური ანგაჟირებისა და იდეოლოგიის გავლენის პრობლემა. კერძოდ, თეორიული მუშაობა მიმართულია იმის გასარკვევად, თუ რამდენად რეალურია ეთნიკურობის ის სურათი, რომელსაც წარმოადგენენ ანთროპოლოგები თავიანთ შრომებში საკუთარი თუ სხვა ჯგუფის კვლევისას და რამდენად არიან ისინი, როგორც მეცნიერები, თავისუფალნი საკუთარი ეთნიკურობის ან ეთნიკური იდეოლოგიისაგან.

§4. ეთნოსების განვითარება და კაცობრიობის ეთნიკური განვითარება. უცილობელი ფაქტია, რომ ადამიანთა საზოგადოება მრავალი ათასნლეულის განმავლობაში არსებითად იცვლებოდა, მაგრამ ეს ცვლილებები ერთი მიმართულებითა და ტემპებით არ მიმდინარეობდა. ადამიანებმა და ადამიანთა საზოგადოებებმა კოლოსალური ევოლუცია განიცადეს. პირველყოფილი ადამიანები და ეთნოსები არსებითად განსხვავდებოდნენ თანამედროვე ინდუსტრიული ეპოქის ადამიანებისა და ეთნოსებისაგან.

კონკრეტული ეთნოსები ნარმოიქმნებოდნენ, ფორმირდებოდნენ, ხშირად არსებობდნენ ასწლეულების განმავლობაში, შემდეგ კი ქრებოდნენ, ან სხვა ეთნოსებში ტრანსფორმირდებოდნენ, ან ამონყდებოდნენ რომელიღაც კატასტროფის, ან სხვა ეთნოსთაგან განადგურების შედეგად. იცვლებოდნენ არა მხოლოდ ეთნოსები – გარკვეული ეთნიურობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ჯგუფები, არამედ იცვლებოდა თვით ეთნიკურობაც როგორც რეალია, ე. ი. ადამიანთა ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ის სპეციფიკური მახასიათებ-

ლები, რომლებიც ეთნოსს შეადგენდნენ: ენა, კულტურის სპეციფიკური კომპლექსები, ქცევის ტრადიციები და ცხოვრების წესი. ეთნოსების ცვლილება, – უპირველეს ყოვლისა, ესაა თვით ადამიანთა, ინდივიდების ცვლილების არსი, მათი სოციოკულტურული მახასიათებლების, დემოგრაფიული პარამეტრების, სოციალური ორგანიზაციისა და სტრატიფიკაციის, ცხოვრების წესის ცვლილება. ყველაფერი, რაც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს რეალურ ეთნოსებთან, სინამდვილეში ესაა კაცობრიობის ნამდვილი ეთნიკური ისტორია.

საისტორიო მეცნიერებაში ჩამოყალიბებულია მყარი ტრადიცია, კაცობრიობის ისტორია განიხილონ როგორც კონკრეტული საზოგადოებების ისტორია (საზოგადოებრივი სისტემები, „სოციალური ორგანიზმები", სახელმწიფოებრივი ნარმონაქმნები). ამ ტრადიციის შესაბამისად „ისტორიის პირველად სუბიექტებად" მიიჩნევიან არა ადამიანები, ინდივიდები, არამედ კონკრეტული საზოგადოებები. მაგრამ ისტორიას ქმნიან ადამიანები, ინდივიდები, რომლებიც ამა თუ იმ ერთობებში არიან გაერთიანებული. სნორედ ისინი, – ასე თუ ისე დაჯგუფებული ინდივიდები, – წარმოადგენენ, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად ისტორიის ნამდვილ სუბიექტებს ნებისმიერ „კონკრეტულ საზოგადოებაშიც" და მთლიანად კაცობრიობაშიც. ისტორია თავისთავად არ ვითარდება. მას ქმნიან კონკრეტული ადამიანები, ინდივიდები თავიანთი უნარითა და რეალური ობიექტური შესაძლებლობებით.

ადამიანები ვითარდებოდნენ არა მხოლოდ როგორც ბუნების ბიომატერიალური ობიექტები, არამედ როგორც სოციოკულტურული არსებანი, როგორც ადამიანთა კოლექტივის ნევრები.

ადამიანთა ცხოვრებისა და ერთობებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ბინადრობის გეოგრაფიულ გარემოს, კლიმატურ პირობებსა და ცხოვრების უზრუნველყოფის ბუნებრივ რესურსებს. ადამიანთა და ინდივიდების, ადამიანთა ერთობების საერთო ეთნიკური მახასიათებლები საუკუნეების განმავლობაში ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გავლენით ყალიბდებოდნენ. ამ გარემოს ცვლილება ეთნიკური მახასიათებლების ცვლილებებსაც იწვევდა. ეთნოსები იცვლებოდნენ რაოდენობით, სტრუქტურით, ეთნიურობა კი – მისი ეთნოკულტურული პარამეტრების მოცულობითა და შინაარსით. სხვადასხვა ეპოქაში მრავალი ეთნიკური ერთობა და კონკრეტული ეთნოსები გაქრნენ და მათ ადგილას სხვები ჩამოყალიბდნენ; მაგრამ ეთნიკურობა როგორც რეალია, როგორც დიდი ან მცირე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ჯგუფების ზოგიერთი სპეციფიკური მახასიათებლების კომპლექსი, დღესაც განაგრძობს არსებობას. ეთნოსები, როგორც ადამიანთა ჯგუფები, გარკვეული ეთნიკური მახასიათებლებით ათასნლეულები არსებობდნენ, არსებობენ დღესაც და იარსებებენ კიდეც თვალმისანვდომ მომავალში. ამას კი თავისი რეალური მიზეზები აქვს, რომლებიც დასაბამიდანვე ჩადებულია ადამიანთა ცხოვრების კოლექტიურსა და ინდივიდუალურ ბუნებაში.

თანამედროვე მეცნიერებაში არაერთი მცდელობა იყო შეემუშავებინათ ეთნოსის განვითარების ნინსვლითი, სხვადასხვა სტადიისათვის დამახასიათებელი საერთო სქემები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებს გაივლიდნენ. იყო ცდები აგრეთვე გამოეკვლინათ კონკრეტული ეთნოსების განვითარების კანონზომიერებანი ამა თუ იმ სტადიაზე,

რომლებმაც ასეული და ათასეული წლები იარსებეს და არცთუ უმნიშვნელო ცვლილება განიცადეს, მაგრამ არ დაკარგეს სპეციფიკურობა, ეთნიკურობა. საკამათოა და ჯერ კიდევ გადაუნყვეტელია საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა ეთნოსის ცვლილებას ყოველი ადამიანისა და კონკრეტული ეთნოსის ცხოვრებაში ყველასათვის რაიმე საერთო და სავალდებულო, უცილობელი ობიექტური ეთნოისტორიული მიმართულება და თუ აქვს, როგორია ეს მიმართულება და რა არის მისი მიზეზები. შემჩნეულია, რომ კონკრეტული ეთნოსების წარმოქმნა, განვითარება და გაქრობა ყოველთვის მიმდინარეობდა ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარკვეულ სიტუაციებში. ეს სიტუაციები კი იყო როგორც ლოკალური, ისე რეგიონალური და გლობალური. მეცნიერები ცხოვრებისეული სიტუაციების დიდი მრავალფროვნების მიუხედავად, კაცობრიობის ისტორიაში ხანგრძლივობის მიხედვით სამ გლობალურ-ისტორიული ეპოქას გამოყოფენ. ესენია: 1) პირველყოფილობის ეპოქა; 2) ინდუსტრიამდელი (აგრარული) ეპოქა და 3) ინდუსტრიული ეპოქა. მიიჩნევენ, რომ ყოველმა გლობალურ-ისტორიულმა ეპოქამ ადამიანებისათვის განსაკუთრებული ცხოვრებისეული სიტუაცია წარმოქმნა, რომელიც განსაზღვრავდა ეთნოსების განსაკუთრებული ისტორიული ტიპების წარმოქმნასა და განვითარებას, რომლებიც ყველაზე უფრო მოცემული ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი; მაგრამ, ბევრი და განსხვავებული ფაქტორის გავლენით, ეთნოსების ისტორიული ტიპების ცვლა ძალიან არათანაბრად და არასინქრონიულად მიმდინარეობდა. ამიტომ კაცობრიობის განვითარების ყოველ ისტორიულ ეპოქაში, ყოველ ისტორიულ პერიოდში დედამიწაზე ერთდროულად არსებობდა როგორც მოცემულ ეპოქაში წარმოქმნილი ეთნოსი, ისე ეთნოსის ისტორიული ტიპები, რომლებიც წინა ეპოქებსა და პერიოდებში იყვნენ ფორმირებულნი.

§5. ტერმინი „ეთნიკური ტერიტორია“ და მისი მნიშვნელობა. ყველა ეთნოსი გარკვეულ ტერიტორიაზე წარმოიქმნა და განვითარდა, ყველა ეთნოსს განსახლების თავისი არეალი აქვს. ეთნოსი და ტერიტორია განუყოფელი ცნებებია. ამიტომაც ძალიან ხშირად ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ამ ორ ტერმინს ურთიერთმიმართებაში იყენებენ. ხშირად გამოიყენება ტერმინი „ეთნიკური ტერიტორია“. ეთნოლოგიურ და საისტორიო მეცნიერებებს გარდა, ცნება „ეთნიკური ტერიტორია“ ხშირად გვხვდება პუბლიცისტიკაში, პოლიტიკურსა და იურიდიულ დოკუმენტებში. ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ისევე როგორც ეთნოსთან დაკავშირებული ბევრი სხვა ტერმინი, ეს ტერმინიც ასევე არაერთმნიშვნელოვნად გამოიყენება. მას ორი არსებითად განსხვავებული მნიშვნელობით იყენებენ: ა) როგორც ეთნოსის ბინადრობის ტერიტორიას და ბ) როგორც ეთნოსის საკუთარ, „ეთნიკურ“ ტერიტორიას. ცხადია, რომ „ბინადრობის ტერიტორია“ და „ტერიტორია-საკუთრება“ შესატყვისი, იგივეობრივი ცნებები არ არის. დაუშვებელია ისინი გავაიგივოთ და გავაერთიანოთ „ეთნიკური ტერიტორიის“ ცნებასთან. მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრებები, რომ ესა თუ ის ტერიტორია არ შეიძლება იყოს რომელიმე ეთნოსის საკუთრება. ბუნებრივია, ამ მოსაზრების ავტორები მხოლოდ ეთნოსის ამა თუ იმ ტერიტორიაზე ბინადრობის შესახებ საუბრობენ. რუსულ მეცნიერებაში, მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ტერიტორია, როგორც საკუთრება. შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს

ეკუთვნოდეს და არა ეთნოსს. ამ მოსაზრების ავტორები წერენ, რომ საერთაშორისო სამართალი მხოლოდ სახელმწიფოთა ტერიტორიებსა და მათ საზღვრებს აღიარებს. მაგრამ მანამ, სანამ ესა თუ ის სახელმწიფო წარმოიქმნებოდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ხომ რომელიღაც ეთნოსი მკვიდრობდა და ეთნოსით დასახლებული ტერიტორია ხომ მისი საკუთრება იყო. თუმცა ტერიტორიების სახელმწიფოთა საკუთრების ამღიარებელი მეცნიერები წერენ, რომ გვიან, როდესაც გარკვეულ ტერიტორიაზე სახელმწიფოები ჩამოყალიბდა, მათი უმეტესობა მოსახლეობით პოლიეთნიკური იყო, თუმცა მასში დომინირებდა რომელიღაც ეთნოსი და მისი სახელისუფლო ელიტა. ტერიტორია ფაქტობრივად ეკუთვნოდა არა ეთნოსს, არამედ პოლიეთნიკურ სახელმწიფოს, რომელსაც მმართველი სოციალური და ეთნოკრატიული ზედაფენა განაგებდა. ერთი სიტყვით, ამტკიცებენ, რომ როგორც ადრე, ისე ახლაც არსებობდა და არსებობს არა „ეთნიკური", არამედ სახელმწიფო ტერიტორიები. სახელმწიფოთა წარმოქმნის შემდეგ, როგორც ამ მოსაზრების ავტორები აცხადებენ, ტერიტორია, რომელზედაც სახელმწიფო წარმოიქმნა არის, არა ეთნიკური ტერიტორია, არამედ ის ეკუთვნის სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული შეხედულების ავტორები გამოდიან ისეთი ტერმინების წინააღმდეგ, როგორებიცაა „ეთნიკური ტერიტორია", „ძველთაძველი (ძირძველი) ეთნიკური ტერიტორია". სხვათაშორის, ამ შეხედულების ავტორები არ ცნობენ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში გაზიარებულ შეხედულებას, რომ ეთნოსის ერთ-ერთი ნიშანი, ატრიბუტი, სხვა კომპონენტებთან ერთად, არის ტერიტორიაც.

თუ დავაკვირდებით, აღნიშნული შეხედულება იმით არის განპირობებული, რომ პლანეტაზე ეთნოსებით დასახლებულ ტერიტორიებზე არ მოხდეს ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის უმართავი პროცესები. ისინი გამოდიან ლოზუნგის წინააღმდეგ: „ყოველ ეთნოსს თავისი სახელმწიფო, ყველა ეთნიკურ სახელმწიფოს – მონოეთნიკური ტერიტორია".

დავსძენთ, რომ ტერიტორიები მართლაც სახელმწიფოთა საკუთრებაა, მაგრამ თუ ეს სახელმწიფო იმპერიაა და ამ იმპერიამ ტერიტორიები სხვა ეთნოსებსა თუ სახელმწიფოებს წაართვა, ყოფილ სახელმწიფოებსა თუ ეთნოსებს, რომლებიც ამ ყოფილი სახელმწიფოების მკვიდრი და ძირითადი ეთნოსები იყო არ უნდა ჰქონდეს ამ ტერიტორიის დაბრუნებისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფლება? რუსეთის სახელმწიფო სხვათა ტერიტორიების დაპყრობის შედეგად ჩამოყალიბდა. ის იპყრობდა როგორც სახელმწიფოებს, ისე ამა თუ იმ ტერიტორიაზე სახელმწიფოს არმქონე ეთნოსებსაც. ამ ეთნოსებს, რომლებსაც სახელმწიფო არასოდეს არ ჰქონდათ (მაგალითად, ჩაჩნებს) სახელმწიფოებრიობის უფლება არ უნდა ჰქონდეთ და ის ტერიტორია, რომელზედაც ჩაჩნები საუკუნეებია ცხოვრობენ და რომელთა განსახლების არეალშიც ჩაჩნური ეთნოსი წარმოიქმნა, ჩაჩნების საკუთრება, მათი ეთნიკური ტერიტორია არ არის? იმიტომ ხომ არ იყო, რომ რუსეთის იმპერია იმპერიის ტერიტორიაზე მკვიდრ ეთნოსებს როგორც მოესურვებოდა, ისე ასახლებდა საკუთარი განსახლების არეალებიდან? ბუნებრივია, ძალიან ხშირ შემთხვევაში გარკვეული ტერიტორია სახელმწიფოს საკუთრებაცაა და იმ ძირითადი, ანუ ტიტულოვანი ეთნოსისაც, რომელიც აქ მკვიდრობს და რომლის სახელსაც სახელმწიფო ატარებს, როდესაც ეტატონიმი და

ეთნონიმი ერთმანეთს ფარავს, ემთხვევა. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაა მთელი ის ტერიტორია, რომელზედაც ის არსებობს; მაგრამ ამავე დროს, ის ქართველი ხალხის ტერიტორიაცაა, რადგან ამ არეალში ჩამოყალიბდა ქართული ეთნოსი, აქ შექმნა მან სახელმწიფოებრიობა და ეთნიკური კულტურა. აქედან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე დღეს განსახლებული სხვადასხვა ეთნოსები ვერ იქნებიან იმ მინის მესაკუთრენი, რომელზედაც ისინი ბინადრობენ. მხედველობაში გვაქვს საქართველოში მცხოვრები ისეთი ეთნოსები როგორებიც არიან სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ოსები, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ დასახლდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და თანაც უმეტესი მათგანი მაშინ, როდესაც საქართველოს იმპერიისაგან სახელმწიფოებრიობა ძალადობით ჰქონდა წართმეული. ჩვენ შეიძლება მხოლოდ აღნიშნული ეთნოსების საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეთნიკური ბინადრობის უფლებაზე ვისაუბროთ და არა ამ ეთნოსების კუთვნილ ეთნიკურ ტერიტორიაზე. საერთოდ, ეს საკითხი, ვფიქრობთ, უფრო დანვრილებით შესწავლას მოითხოვს და ყოველთვის კონკრეტული ფაქტებიდან უნდა გამოვიდეთ და ამ საკითხის განზოგადება ყოველთვის მიზანშენონილი არ არის.

თემა IX

ეთნოგენეზი და ხალხთა ეთნიკური ისტორია

ეთნოგენეზი და ხალხთა ეთნიკური ისტორია – ეთნოსების წარმოქმნა და განვითარება – თეორიული ეთნოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთია, რაც გამონვეულია იმით, რომ სხვადასხვა ხალხების ეთნიკური ისტორია ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, ისტორიული, სამეურნეო, კულტურული, დემოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების წინააღმდეგობრივი ურთიერთქმედებით არის განპირობებული.

ტერმინი – **ეთნოგენეზი** პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საუბარია ეთნოსების, ანუ ხალხების წარმოშობაზე. მსოფლიოს ეთნოლოგიურ, კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიაში ეთნოგენეზი ესმით როგორც ეთნიკური ჯგუფების წარმოქმნის პროცესი. არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მეცნიერებების მონაცემებით კი უფრო ადრე მიმდინარეობდა ანთროპოგენეზის პროცესი, Homo sapiens-ის განვითარება, ადამიანთა საზოგადოების ადრეული ფორმების სოციოგენეზი, შრომის ძირითადი ფორმების ჩასახვა, ენის, რელიგიის, ხელოვნების წარმოქმნა. პირველად წარმოქმნილი ეთნოსებიდან დღემდე არც ერთს არ მოუღწევია. უფრო მეტიც, 5 ათასი წლის წინანდელი კაცობრიობის ეთნიკური მორფოლოგიაც კი არ შემორჩა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ძველი ეთნოსების გაქრობის პარალელურად მუდმივად წარმოიქმნებოდა ახალი ეთნოსები. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. ამის დასადასტურებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

§1. ეთნოგენეზის ძირითადი ფაქტორები. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში მიღებულია, რომ ეთნოგენეზი თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბების თანადროული მოვლენაა და ორივე ეს პროცესი დაახლოებით 40 ათასი წლის წინ დაიწყო. მაგრამ შედარებით სარწმუნო მონაცემები მხოლოდ ნეოლითის ეპოქიდან გვაქვს. ახალი ქვის ხანაში მოხდა ტომობრივი ურთიერთობების საბოლოო ფორმირება.

კაცობრიობის წარმოშობის ერთიანი ცენტრის კონცეფციის მიხედვით, კაცობრიობა თავისი ისტორიის დასაწყისში ერთგვაროვანი უნდა ყოფილიყო როგორც რასობრივი, ისე ეთნიკური, სოციალური და და სხვა ასპექტების მიხედვით. ადამინების რაოდენობის ზრდა ინვევდა ახალი ტერიტორიების ათვისებას, სხვადასხვა მიმართულებით განსახლებას (თავდაპირველად ტროპიკებსა და სუბტროპიკებში, შემდეგ ცხოვრებისათვის ნაკლებად ხელსაყრელ ზომიერ ზოლში). ეს პროცესი ათასწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა. აქედან გამომდინა-

რე, ბუნებრივია, ადამიანებს უხდებოდათ ახალ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან შეგუება, რაც ინვევდა როგორც თავდაპირველი ანთროპოლოგიური ტიპის, ისე ცალკეული ეთნიკური ნიშნების ცვლილებას. რაც უფრო შორს მიდიოდნენ ადამიანები საწყისი წერტილიდან, თავდაპირველი განსახლების არეალიდან, ეს ნიშნები მით უფრო სხვადასხვაგვარი ხდებოდა.

ანალოგიური ცვლილებები შეეხო ენასაც. ფორმირების თავდაპირველი ცენტრებიდან უფრო შორს განსახლებული ადამიანების ენა უფრო მეტად შორდებოდა ამოსავალ ენას. ძირეული ენიდან ჯერ დიალექტები ყალიბდებოდა; შემდეგ კი ისინი თვითმყოფად ენებად გარდაიქმნებოდა. აღნიშნულის არაპირდაპირი მტკიცებულების მაგალითად მოაქვთ ავსტრალია და ოკეანეა. ავსტრალიაში რამდენიმე ასეული ენა არსებობდა, რომელთა შორის მკაფიო საზღვრების გავლება ძნელი იყო. ახალი გვინეის პაპუასებში თითქმის ყოველ სოფელს თავისი ენა ჰქონდა. მეზობელი სოფლების მცხოვრებთა ენებს შორის განსხვავება ძალიან დიდი არ იყო, მაგრამ ერთმანეთისაგან დაშორებული ენები უკვე ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამრიგად, ფუძე-ენაში თანდათან წარმოიქმნებოდა დიალექტები, რომლებიც შემდგომში დროისა და ტერიტორიის ფაქტორებიდან გამომდინარე დამოუკიდებელ ენებად გარდაიქმნებოდა.

მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად ძლიერდებოდა ეთნოსთა შორის კონტაქტები, რომელთა შორის ეკონომიკური, სოციალური და სხვა ხასიათის ურთიერთობები მათ ტერიტორიულ გაერთიანებას, უფრო დიდ ეთნიკურ ერთობებად ჩამოყალიბებას ინვევდა.

ეთნოგენეზის პროცესებზე დიდ გავლენას ახდენდა ადამიანთა დიდი და მცირე ჯგუფების გადასახლებები, რაც ძირითადად ერთი ეთნიკური ერთეულის მიერ მეორის დაპყრობას მოსდევდა. მასობრივი მიგრაციები მნიშვნელოვნად აჩქარებდა პირველყოფილი ეთნიკური ერთეულების – ტომების უფრო მსხვილ ეთნიკურ ერთეულებად – ხალხებად გარდაქმნის პროცესს. მიგრაციების ეთნიკური შედეგი განსხვავებული იყო: ერთ შემთხვევაში ასიმილირებული ადგილობრივი მოსახლეობა ხდებოდა, მეორე შემთხვევაში – მიგრირებული. ზოგჯერ კი სრულიად ახალი ეთნიკური ერთობები ყალიბდებოდა.

ადგილობრივი და მოსული დამპყრობელი მოსახლეობის ურთიერთქმედების შედეგად განხორციელებულ ეთნოგენეზის პროცესში, ჩვეულებრივ, მიმდინარეობდა სუბსტრატისა (ადგილობრივი მოსახლეობის) და სუპერსტრატის (მოსული მოსახლეობის) სინთეზი. სინთეზის შედეგად ახალი ეთნოსი წარმოიქმნებოდა. ძალიან ხშირად ეს სინთეზი სხვადასხვა ფორმისა იყო, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ერთმანეთთან შეხება განსხვავებულ ეთნიკურ ერთობებს ჰქონდათ. ეთნოგენეზის ტემპებიდან და მიმართულებებიდან გამომდინარე ენის, საბაზო კულტურის, ფიზიკური ტიპის, ეთნიკური თვითშეგნებისა და ცნობიერების შეცვლა სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ჩამოთვლილ კომპონენტთაგან უმთავარესი მაინც ენობრივი ტრანსფორმაცია იყო. ხალხთა გადასახლების მთავარი შედეგი ენების შერევა, ურთიერთქმედება და შესაბამისად, ახალი ენის ნარმოქმნა იყო. ამ ურთიერთქმედე-

ბებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამწერლობას. ურთიერთჭიდილში გამარჯვებული უფრო მეტად დამწერლობის მქონე ეთნოსი გამოდიოდა. უდამწერლობო ენები შედარებით ადვილად თმობდნენ თავიანთ პოზიციებს. მაგრამ ისტორიაში ვიცით ძალიან ბევრი შემთხვევა, როდესაც ახალი ეთნოსის ჩამოყალიბებაში (ეთნოგენეზში) ორი და მეტი უდამწერლობო ხალხი მონაწილეობდა. ასეთ ისტორიულ სიტუაციაში გადამწყვეტი რელიგიური ან სამეურნეო ფაქტორი გვევლინებოდა. ახალი სარწმუნოების გავრცელებას ხშირად თან სდევდა საღვთისმეტყველო ენის გავრცელება და, შესაბამისად, ორენოვნება. მაგალითად კათოლიციზმის თანმდევი ლათინური ენა შეიძლება დავასახელოთ. მონოფიზიტობის გავრცელებამ კავკასიის ალბანეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში ამ უკანასკნელთა სომხურ ენაზე გადასვლა და, შესაბამისად, არმენიზაცია გამოიწვია. საყოველთაოდ ცნობილია ისლამის როლი არაბული ენის გავრცელებასა და სხვადასხვა ხალხების არაბიზაციაში. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასეთი როლი ითამაშა ისლამმა ეგვიპტეში არაბული ენის გავრცელებაში. ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი იყო მოსული მოსახლეობის პოლიტიკური ბატონობის როლიც. მაგრამ ეთნოგენეზის პროცესებს ქრონოლოგიურად წინ ანთროპოგენეზი უძღოდა.

§2. ანთროპოგენეზი და მისი ეტაპები. ადამიანი ერთდროულად ორი სამყაროს – ბუნების სამყაროსა და კულტურის სამყაროს ნაწილია. ამდენად, ის ცოცხალი არსებაა და მისი ცხოვრება და ბედი მრავალმხრივ ჰგავს ცხოველებისა და მცენარეების ბედს. ადამიანთა ერთობა ცხოველთა ერთობაც არის და რიგი მექანიზმებით ის მისი იდენტურია. მაგრამ ევოლუცია, რომელიც ადამიანმა გაიარა, არც ერთი ცხოველისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ცხოველთა ქცევაში თუ ყოველთვის ინსტინქტი დომინირებს, რომელიც ზოგჯერ სწავლებითაც შეიძლება შეივსოს, ადამიანთა საზოგადოებაში ეს ორი ნაწილი თანაბრად არსებობს; უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევასა და გარკვეულ გარემოებებში სწავლება ინსტინქტებზე მაღლა დგას. შეძლება ითქვას, რომ ბავშვი ადამიანად თანდათან, რამდენიმე წლის აღზრდისა და სწავლების შემდეგ იქცევა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ადამიანის ფორმირება შრომამ განაპირობა. ხელების აღნაგობამ მას საგნებთან მანიპულაციის ფართო საშუალება მისცა, რამაც საბოლოოდ ადამიანების ცხოველებზე ფიზიკური უპირატესობაც განაპირობა. ფიქრობენ, რომ სწორედ ერთობლივი შრომის პროცესში წარმოიქმნა მეტყველება.

ადამიანის წარმოშობის ორი თეორია არსებობს: მონოცენტრული და პოლიცენტრული. პირველი თეორიის თანახმად, მუტაციის კომპლექსი, რამელმაც მაიმუნის მსგავსი წინაპრის ადრეულ ადამიანად გადაქცევის შედეგამდე მიგვიყვანა, ერთ განსაზღვრულ არეალში მოხდა. მეორე თეორიის თანახმად კი ასეთი ცენტრი შეიძლება რამდენიმე ყოფილიყო. მეცნიერთა უმრავლესობა პირველ თეორიას უჭერს მხარს. ადამიანის წარმოშობა მოხდა ცენტრალური აფრიკის დიდი ტბების რაიონში დაახლოებით 1,5 – 2 მილიონი წლის წინ. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ადამიანები. გარეგნულად ნაკლებად განსხვავდებოდნენ უმაღლესი მაიმუნებისაგან, მაგრამ იყვნენ გამართულად მოსიარულე-

ნი. ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება ცეცხლის დაუფლება და კვების უნივერსალიზმი – შემგროვებლობისა და მონადირეობის პარალელური განვითარება.

გენეტიკური მუტაციის შედეგად თანამედროვე ტიპის ადამიანის წარმოშობას 200-150 ათასი წლის წინ ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე ვარაუდობენ. არც იმას გამორიცხავენ, რომ ადამიანის მოდგმა ერთი ქალიდან მომდინარეობს. მას ხშირად „პალეოლითური ევას" სახელითაც მოიხსენიებენ. შემდგომი საპიენტაცია, ანუ თანამედროვე ადამიანებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების განმტკიცება, განვითარება და დამატება შესაძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორ კერაში მომხდარიყო – ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთსა (საიდანაც გვიან ყველა მონგოლოიდური და ავსტრალოიდური ფორმები განვითარდა) და ნინა და მცირე აზიაში (საიდანაც ევროპეიდული და ნეგროიდული ტიპები განვითარდნენ).

ანთროპოგენეზში ახალი ეტაპი პალეოლითის, მეზოლითისა და ნეოლითის ეპოქებში დადგა. ამ დროის ადამიანი მეცნიერებაში ნეანთროპის სახელითაა ცნობილი. შედარებით გვიან, დაახლოებით 12 ათასი წლის ნინ საპიენტაციის არეალებში მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა დაინყო, რასაც აღნიშნულ რეგიონებში დემოგრაფიული აფეთქება მოჰყვა.

თანამედროვე ადამიანის ტიპს პირველად 30-40 ათასი წლის წინ ადასტურებენ. ის მეცნიერებაში კრომანიონელის სახელით არის ცნობილი. მისი წინაპრები კი ჯერ პითეკანთროპის (200-600 ათასი წლის წინ) და შემდეგ ნეანდერტალელის (40-200 ათასი წლის წინ – შუა პალეოლითი) სახელებით არიან ცნობილი. კრომანიონელი სრულყოფილად ფლობდა ქვის დამუშავებისა და იარაღის დამზადების ტექნიკას. კრომანიონელისათვის დამახასიათებელი იყო სქესისა და ასაკის მიხედვით შრომის დანაწილება. გვიანი პალეოლითის ამ ისტორიული პერიოდისათვის დამახასიათებელია პირველყოფილი ხელოვნების გაჩენა – კლდეზე ფერნერა, ქალის სტატუეტები.

გამყინვარების ეპოქა (პლეისტოცენი), რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი პლანეტის კლიმატი, ჩვენს ერამდე 10 ათასი წლის წინ დამთავრდა. გაქრა ზოგიერთი მსხვილი ძუძუმწოვარა და მცენარე, რომლებიც ძველი ადამიანების კვებითი რაციონის არსებით ნაწილს შეადგენდა. პირობების შეცვლამ პირველი ადამიანების ცხოვრებაში დიდი ცვლილებები გამოიწვია. მათ ნანილობრივ ისწავლეს კვების პროდუქტების წარმოება.

ამრიგად, ანთროპოგენეზი არის პირველყოფილი ადამიანის გაჩენა და ევოლუცია. მას შემდეგ ეტაპებად ჰყოფენ: 1. ადამიანისა და მაიმუნის ჰიპოთეტური საერთო წინაპარი; 2. პრიმატის ტიპი (ტვინის მოცულობა 400-500 კუბური სანტიმეტრი, ზეზე მოსიარულე, ცხოვრობდა ოჯახური ჯგუფების სახით აღმოსავლეთ აფრიკაში); 3. Austraiopithecus africanus – „აფრიკანუსის" ტიპი (ტვინის მოცულობა 400-500 კუბური სანტიმეტრი, ცხოვრობდა საზოგადოებრივ ჯგუფებად); 4. Australopithecus robitus – „რობიტუსის" ტიპი (ტვინის მიცულობა 530 კუბური სანტიმეტრი); 5. Homo habilis – მოხერხებული, მარჯვე ადამიანი (იყენებდა

შრომის იარაღებს, ტვინის მოცულობა 600-800 კუბური სანტიმეტრი); 6. Homo erectus – გამართულად, ზეზე მავალი ადამიანი (ფართოდ იყო გავრცელებული პლანეტაზე, ტვინის მოცულობა 750-1250 კუბური სანტიმეტრი); 7. Homo sapiens – მოაზროვნე ადანიანი (ტვინის მოცულობა 1200-1700 კუბური სანტიმეტრი). ის ანთროპოლოგიაში „კრომანიონელის" სახელით არის ცნობილი. ცოდნის დაგროვებამ, შრომის ეფექტურმა იარაღებმა და სამეურნეო საქმიანობის ახალმა საშუალებებმა კრომანიონელს მისცა იმის საშუალება, რომ პრაქტიკულად დედამიწის თითქმის ყველა კლიმატური ზონის კოლონიზაცია მოეხდინა. ბოლო 10 ათასწლეულის განმავლობაში დაუსახლებელი მხოლოდ პოლარული ზონა და ზოგიერთი შორეული კუნძული დარჩა.

§3. კრეაციონისტული თეორია. ზემოთ თქმულის გარდა არსებობს აგრეთვე ისტორიული მეცნიერების კრეაციონისტული თვალთახედვა. თუკი ცივილიზებულ მსოფლიოში სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილი იყო მრავალფეროვანი ხედვა და მასალა სამყაროს შექმნის შესახებ, საბჭოთა სივრცეში ერთადერთ აღიარებულ თეორიად მხოლოდ დარვინიზმი მიიჩნეოდა. ცხადია, დღეს თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში უნდა არსებობდეს არჩევანის უფლება. ევოლუციონიზმის თეორიის პარალელურად არსებობს ანთროპოგენეზის სხვა ხედვაც – კრეაციონისტული. Creation ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და შექმნას ნიშნავს. კრეაციული (რელიგიური) ხედვის მეცნიერები უარყოფენ სამყაროს წარმოშობის შემთხვევითობას და მისი განვითარების ევოლუციურ გზასაც. კრეაციული მეცნიერება ადასტურებს საღვთისმეტყველო მეცნიერების – თეოლოგიის დასკვნებს სამყაროსა და სიცოცხლის შექმნის შესახებ. ამ მიზნით იყენებს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიღწევებს (ფიზიკას, ასტრონომიას, ინფორმატიკას, ენათმეცნიერებას, ბიოლოგიას, გენეტიკას, ემბრიოლოგიას, გეოლოგიას, არქეოლოგიას, პალეონტოლოგიას, ფიზიოლოგიას და სხვა სფეროებს).

კრეაციომისტთა დასკვნით, ადამიანი, სამყარო, სიცოცხლე სრულყოფილი ფორმით შექმნა ყოვლისშემძლე შემოქმედმა – ღმერთმა, მათი აზრით, მცდარია ევოლუციონისტთა მოსაზრება სამყაროს მრავალმილიარდწლიანი ასაკის შესახებ, ასევე, მცდარია ჰიპოთეზა ევოლუციის შესაძლებლობის შესახებ; მცდარია შეხედულება სიცოცხლის თვითნებურად წარმოქმნისა და შემდგომი თვითგანვითარების შესახებ.

კრიაციონისტები იზიარებენ სამყაროს შექმის ბიბლიურ სურათს, უარყოფენ სამყაროს წარმოშობისა და განვითარების ოპტიმალურ თეორიად მიჩნეულ „დიდი აფეთქების თეორიის ინფლაციურ-სუპერგრავიტაციულ მოდელს". კრეაციული მიდგომით სამყაროს უნიკალურობა იხსნება მიზანდასახულობით, რომელიც საფუძვლად დაედო სამყაროს შექმნას შემოქმედის მიერ, რადგანაც ღმერთმა შექმნა „ადამიანი თავის ხატად და მსგავსად", ამიტომ უზენაესმა სამყარო შექმნა ისეთი ნინასწარი გეგმით და უნიკალური თვისებით, რომ მასში ადამიანის არსებობა შეძლებოდა. სამყაროს შექმნის ასაკთან დაკავშირებით კრეაციონისტები უარყოფენ დედამინის ასაკის მრავალმილიონიანი წლით და-

თარიღებას და ადასტურებენ კრეაციულ თვალთახედვას დედამიწის ისტორიის ბიბლიური ვერსიის ჭეშმარიტების შესახებ (7608 ნელი). ამ მიზნით იყენებენ პალეონტოლოგიის მონაცემებს. კატეგორიულად უარყოფენ ადამიანის წარმოშობის დარვინისტულ ჰიპოთეზას (ადამიანის მაიმუნიდან წარმოშობის შესახებ), რასაც ასაბუთებენ გენეტიკური გამოკვლევებით: გენეტიკური გამოკვლევების თანახმად, ყოველი ცოცხალი არსების არსს, მის ფორმასა და ბუნებას, მისი ორგანიზმის სტრუქტურასა და წყობას, მის ქცევას, წარსულს, აწმყოსა და მომავალს ძირითადად განაპირობებს გენები და არა გარემოს ცვლილებები, გადარჩევის კანონი და სხვა.

§4. რასოგენეზი. ანთროპოგენეზის თეორიით მხოლოდ თანამედროვე ტიპის ადამიანის ფორმირების პროცესს წარმოვიდგენთ, მაგრამ ის ადამიანის პოპულაციის სახეობათა მრავალგვარობისა და რასათა წარმოქმნის პროცესის შესახებ ვერავითარ წარმოდგენას ვერ გვიქმნის.

რასების წარმოშობის მიზეზებისა და დროის საკითხი მეცნიერებაში დღემდე საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. მიაჩნდათ, რომ თანამედროვე ფიზიკური ტიპის ადამიანები 35-40 ათასი წლის წინ წარმოიქმნენ და ადამიანის ახალი ფიზიკური ტიპის გაჩენისთანავე, იმავდროულად კულტურაც წარმოიქმნა. 1980-იან წლებში ამერიკელი, იაპონელი, ინგლისელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ 360-180 ათასი წლების ინტერვალში მოხდა პლანეტის მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება, შემდეგ კი დემოგრაფიული აფეთქება, რის შედეგადაც სხვადასხვა ეთნოსების საფუძველჩამყრელი პოპულაციები წარმოიქმნენ. ამასთანავე ისიც დადასტურდა, რომ ადამიანის ყველა არააფრიკული პოპულაცია განვითარდა აფრიკიდან მიგრირებულთა შედეგად. ამ პოპულაციებიდან ევროპეიდებისა და მონგოლოიდების გამოცალკევება მოხდა დაახლოებით 80-150 ათასი წლის წინ. ევროპეიდულ რასას კი ყველაზე ახალგაზრდა რასად – 50 ათასი წლისად მიიჩნევენ.

რასოგენეზის ძირითად ფაქტორებს შორის, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული გარემოს ფაქტორს ასახელებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ რასობრივი განსხვავებები წარმოიქმნა მუტაციის შედეგად, რომელიც პირველყოფილი ადამიანების გვარ-ტომობრივ ჯგუფებში მათი დედამიწის სფეროზე განსახლებისას და ახალ გეოგრაფიულ გარემოსთან ადაპტაციის შედეგად გაჩნდა. მაგალითად, ნეგროიდების მუქს კანს აპირობებს კანქვეშა ფენაში განსაკუთრებული პიგმენტი – მელანინი, რომელიც ადამიანს იცავს მზის მომაკვდინებელი გამოსხივებისაგან. ნეგროიდების დაგრძელებული, მაღალი თავის ქალა და უხეში ხუჭუჭი თმა თავს გადახურებისაგან იცავს. უდაბნოსა და ჩრდილოეთის ხალხების (განსაკუთრებით ესკიმოსების) ვიწრო ცხვირი ხელს უშლის ჰაერის თავისუფალ ცირკულაციას და შესაბამისად ადამიანის ორგანიზმს გადახურებისა და გაცივებისაგან იცავს. მონგოლოიდების ცხიმოვანი კანი მოყინვას აფერხებს. მონგოლოიდთა თვალის ვიწრო ნაპრალი და დაბერილი მასიური თვალის ქუთუთოები თვალს იცავს მტვრის, ქვიშისა და მზის კაშკაშა სინათლისაგან. მეცნიერთა მიერ დადგენილია სხეულის პროპორციების კავშირი კლიმატთან. ამრიგად ცხადია, რომ

რასების წარმოქმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადაპტაციის ფაქტორმა.

ასევე ადამიანთა სისხლის ჯგუფსაც აქვს შემგუებლობითი მნიშვნელობა, რადგანაც მათი მატარებელნი არაერთგვაროვნად ითვისებენ სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებს.

რასოგენეზის წარმომქმნელ ფაქტორებში ხშირად ასახელებენ სოციალურ იზოლაციას (ეთნოსის ან ჯგუფის შიგნით ქორწინებისას მიმდინარეობს ჩონჩხის მასიურობის შემცირება ან ზრდა), მიგრაციებს, სამეურნეო განვითარების პროცესში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდას.

§5. გუმილიოვის ეთნოგენეზის თეორია. ცნობილმა მეცნიერმა ლევ გუმილიოვმა XX საუკუნის ბოლო ათეულ ნლებში ეთნოგენეზის და, საერთოდ, ეთნოსის შესახებ სრულიად ახალი და განსხვავებული სამეცნიერო კონცეფცია, თეორია შემოგვთავაზა. ის პასიონარიის თეორიის სახელით არის ცნობილი. მეცნიერების სხვადასხვა წარმომადგენლებმა ის არაერთგვაროვნად შეაფასეს. ლ. გუმილიოვის თეორიას კეთილგანწყობით შეხვდნენ გეოგრაფები, გეოლოგები, ზოოლოგები, ბოტანიკოსები, ფილოსოფოსები, მაგრამ ისტორიკოსების, ეთნოლოგების, ფილოლოგების, აღმოსავლეთმცოდნეების ინტერესი მას ფაქტობრივად არ გამოუნვევია. დღეს ეთნოლოგების გარკვეული ნანილი გუმილიოვის თეორიას იზიარებს.

ლ. გუმილიოვის თეორიის მიხედვით, არც ერთი ეთნოსი მუდმივი არაა. ძველმა შუმერებმა, ხეთებმა, ფილისტიმელებმა, დარდანებმა, ეტრუსკებმა და ვენეტებმა თავიანთი ადგილი დაუთმეს პართელებს, ელინებს, ლათინებს და რომაელებს, რომლებიც გამოეყვნენ ლათინებსა და სხვა იტალიკებს, მაგრამ ესენიც შეცვალეს იტალიელებმა, ესპანელებმა, ფრანგებმა, ბერძნებმა, თურქებმა, ტაჯიკებმა, უზბეკებმა და ყაზახებმა.

კაცობრიობის ისტორია გვიდასტურებს, რომ 5 ათასი ნლის წინ კულტურული თვალსაზრისით დანინაურებული ხალხებიდან არც ერთი აღარ დარჩა. 2 ათასი ნლის წინ სახელგანთქმული ხალხებიდან კი მხოლოდ თითო-ოროლა შემორჩა. X საუკუნეში არსებულთაგან, მართალია, დიდი ნანილი დღესაც არსებობს, მაგრამ მათ ძალიან იცვალეს სახე. როგორც ჩანს, შემდგომშიც ეთნოსები წარმოიქმნებიან და გაქრებიან. როგორ და რატომ ხდება ეს – ეთნოგენეზის ცენტრალური პრობლემაა.

თავის ეთნოგენეზის თეორიაში ლ. გუმილიოვმა გეობიოქიმია და სისტემატოლოგია ისტორიულ გეოგრაფიასთან შეაერთა; მისი თეორიით ეთნოსი, როგორც ბიოსოციალური ერთობა, არის ნაყოფი და ნანილი ბიოსფეროსი და იმავდროულად სოციალური ევოლუციის პროდუქტი. ეთნოსები (ბიოსოციალური ერთობები) წარმოიქმნებიან, ცხოვრობენ და კვდებიან არა იმდენად სოციალური, რამდენადაც ბუნების კანონებით. ყოველ ეთნიკურ სისტემას სქემაში ჩამჯდარი ისტორია აქვს: ბიძგი – აღმავლობა – გადახურება – დაქვეითება – ჩაქრობა (ცალკეული ზიგზაგებით ამა თუ იმ ეტაპზე).

საისტორიო მასალების საფუძველზე ლ. გუმილიოვმა აჩვენა, რომ ეთნოგენეზის ყველა პროცესი მიმდინარეობს ერთგვაროვნად; სხვა-

დასხვა ეპოქაში ეთნოგენეზის ფაზის ცვლა ექვემდებარება მკაფიო შინაგან კანონზომიერებებს, ხოლო თითოეული ამ პროცესის ხანგრძლივობა შეადგენს 1200-1500 წელს. ამ ფენომენის ასახსნელად ლ. გუმილიოვმა შემოგვთავაზა პასიონარობის კონცეფცია, რომელიც ეთნოგენეზის ფაზების შეცვლას პასიონარული სისტემის დაძაბულობის დონის ცვლილებებთან აკავშირებს. პასიონარობა წარმოადგენს ბიოსფეროს ცოცხალი ნივთიერების ენერგიის ეფექტს, რაც ეთნიკური კოლექტივის აქტიურობის ამაღლებაში ვლინდება. მაშასადამე, აღნიშნული კონცეფციის თანახმად, მართლზომიერია ვილაპარაკოთ ეთნოგენეზზე, რომლის მამოძრავებელ ძალებს ბუნებრივი ბიოსფერული ფაქტორები წარმოადგენს. იგივე ფაქტორები განაპირობებს ცხოვრების სოციალურ ფორმებს, რომლებიც ეთნოსის წევრების მიერ იქმნება. ამრიგად, ეს ფორმები დაკავშირებულია ეთნოგენეზის ფაზებთან და მათში გაბატონებული ქცევის იმპერატივებთან.

შეიძლება გამოვყოთ ეთნოგენეზის სამი ძირითადი ისტორიული ტიპი. პალეოეთნოგენეზი – ეთნოსების ფორმირება სხვადასხვა მეტა-ეთნიკური ერთობებისაგან, ე. ი. ეთნოსთა ჯგუფისაგან, რომლებიც მათი ხანგრძლივი კულტურული ურთიერთქმედებისა და პოლიტიკური კავშირების შედეგად ჩამოყალიბდა. გამოიყოფა პალეოეთნოგენეზის ეთნოენობრივი (გერმანელები, სლავები, არაბები), ეთნორასობრივი (ლათინურ ამერიკაში), ეთნოკულტურული (კავკასიის, ვოლგისპირეთის, ციმბირის ხალხები), ეთნოპოლიტიკური (ბრიტანელები, შვეიცარიელები) ფორმები. მეზოეთნოგენეზი – ხალხის ტიპის ეთნოსების წარმოქმნა, ე. ი. რომლებიც ტომებსა და ნაციების სტადიებს შორის იმყოფებიან. მეზოეთნოგენეზი ემთხვევა ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, შემდგომში სწორედ ხალხის ტიპის ეთნოსების ბაზაზე მოხდა განვითარებული სახელმწიფოების თანამედროვე ნაციების უმეტესობის ფორმირება. ნეოგენეზი – ახალი და უახლოესი დროის ეთნოგენეზი, რომელიც მიმდინარეობდა აფრიკის, ამერიკის, ოკეანიის, აზიის ტერიტორიებზე და რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც ადრე წარმოქმნილი ეთნოსები (ძირითადად ევროპიდან გადმოსახლებულები), ისე ეთნოგენეზის სხვადასხვა სტადიაზე მყოფი ადგილობრივ ეთნიკური ჯგუფები.

§6. ეთნიკური (ეთნოგენეტიკური) პროცესების ტიპები. ერთი შეხედვით, ეთნიკური ერთობები მდგრადობით გამოირჩევა, მაგრამ მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ ისტორიას თუ თვალს გავადევნებთ, ვნახავთ, რომ ისინი უცვლელნი არ არიან. ისტორიული განვითარების პროცესში მომხდარ ეთნოსის სხვადასხვა კომპონენტის (სულიერი და მატერიალური კულტურის ცალკეული ელემენტები, ენა, სოციალური სტრუქტურა, თვითშეგნება და სხვა) ცვლილებებს ეთნიკურ პროცესებს უწოდებენ.

ეთნიკურ ერთობებში მიმდინარე ცვლილებები, ანუ ეთნიკური პროცესები განპირობებულია კაცობრიობის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საერთო მსვლელობით, აგრეთვე ეთნოსთა ურთიერთქმედების თავისებურებებით. ეთნოსებში მიმდინარე პროცესები ყოველთვის სხვადასხვაგვარი იყო. უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა სოციალ-ეკონომიკური პროცესები, რაც ეთნიკური ერთო-

ბების ტიპების გამიჯვნის ერთ-ერთი საფუძველია. უნდა დავასახელოთ ცვლილებები კულტურის ტრადიციულ ელემენტებში, ენაში და სხვა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეთნოსების წარმოქმნა მიმდინარეობდა როგორც ცალკეული ეთნიკური ჯგუფების წევრთა კონსოლიდაციის გზით, ისე ერთი ჯგუფის მეორე ჯგუფისაგან გამოცალკევებით (გამოყოფით). ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ეთნოსის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს ეთნიკურ პროცესებს უნოდებენ. ეთნიკური პროცესები საკმაოდ მრავალგვარია და, შესაბამისად, ისინი სისტემატიზებულნი და კლასიფიცირებულნიც არიან. მიღებული კლასიფიკაციის თანახმად, ყველა ეთნიკური პროცესი ორ დიდ ტიპად იყოფა: ეთნოევოლუციურად და ეთნოტრანსფორმაციულად.

ეთნოევოლუციური პროცესების შედეგად შესაძლებელია ეთნოსის ნებისმიერი ნიშან-თვისება, მათ შორის ძირითადიც, შეიცვალოს, მაგრამ ეთნიკური თვითშეგნება უცვლელი რჩება. ეთნოევოლუციური პროცესები, უპირველეს ყოვლისა, ენასა და კულტურას ეხება. ამ დროს ეთნოენობრივი პროცესები ძირითადად ენის ლექსიკური ფონდისა და ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების ცვლილებებში ვლინდება. ეთნოევოლუციური პროცესების დროს მიმდინარე ეთნოკულტურული ცვლილებები იყოფა შიდაეთნიკურად, ეთნოსთაშორისად და ზეეთნიკურად. შიდაეთნიკურს მიეკუთვნება ისეთი პროცესები, რომლებიც ეთნოსის კულტურულ-ყოფითი ერთგვაროვნების შესუსტებას, ანდა პირიქით, ამ ერთგვაროვნების განმტკიცებას იწვევს. ეთნოსთაშორის ეთნოკულტურულ პროცესებს მიეკუთვნება მეზობელი ეთნიკური ჯგუფისაგან მატერიალური კულტურის ამა თუ იმ ელემენტის სესხების გზით გამოწვეული ცვლილება (აკულტურაცია). ზეეთნიკურ პროცესებს მიეკუთვნება მატერიალური კულტურის სფეროში უნიფიცირებული სამრეწველო ნაკეთობებით ხალხური, ტრადიციული საგნების შევიწროება, ანდა ხალხური სულიერი კულტურის პროფესიული ხელოვნებით ჩანაცვლება.

ეთნოტრანსფორმაციული პროცესები ეწოდება ისეთ პროცესებს, რომლებიც ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის ეთნიკური მიკუთვნებულობის შეცვლას იწვევს, ანდა უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ერთი ეთნოსის გაქრობასა და მეორის წარმოქმნას. ეთნოტრანსფორმაციული პროცესები, ჩვეულებრივ, შედარებით ნელა მიმდინარეობს, მაგრამ მათი შედეგები ძალიან ნიშანდობლივია. მაგალითად, ევროპის თანამედროვე ეთნიკური რუკა შინაარსობრივად ძალიან განსხვავდება ჩვენი ერის დასაწყისის და ან კიდევ ახალი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისის ეთნიკური რუკისაგან.

ცენტრიდანული და ცენტრისკენული ტენდეციებიდან გამომდინარე ეთნიკური პროცესები იყოფა ორ ძირითად ტიპოლოგიურ ჯგუფად: ეთნიკურ დაყოფად (განცალკევება) და ეთნიკურ გაერთიანებად. ამ ორი ტიპოლოგიური ჯგუფის პროცესები შეიძლება იყოს ეთნოევოლუციური, ეთნოტრანსფორმაციული და ევოლუციურ-ტრანსფორმაციული.

საზოგადოების ისტორიის ყველა პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო როგორც ეთნიკური დაყოფა, ისე ეთნიკური გაერთიანება. ეთნიკური დაყოფა განსაკუთრებით პირველყოფილი საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ტომების დანაწევრებასა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებას იწვევდა. ეს პროცესი არც გვიანდელი პერიოდისათვის იყო უცხო. ამ თვალსაზრისით, ევროპელთა ამერიკაში, ავსტრალიასა და ნაწილობრივ აფრიკაში გადასახლება შეიძლება გავიხსენოთ, რასაც ახალი ეთნოსების ფორმირება მოჰყვა. ეთნოგანმაცალკევებელი პროცესები ძირითადად ორი ფორმით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. ესენია – ეთნიკური პარციაცია და ეთნიკური სეპარაცია.

ეთნიკური პარციაციის დროს ხდება ადრინდელი ერთიანი ეთნოსის მეტ-ნაკლებად რამდენიმე თანაბარ ნაწილად დაყოფა. ასეთ შემთხვევაში პარციაციის შედეგად წარმოქმნილი არც ერთი ეთნოსი თავს არ აიგივებს ძველ ეთნოსთან. აღნიშნულის ტიპური მაგალითია ძველრუსული ეთნოსის ნამსხვრევებიდან რუსული, უკრაინული და ბელორუსული ეთნოსების გამოყოფა. პირველყოფილ საზოგადოებაში ეთნიკური პარციაციის ძირითადი მიზეზი თუ ტომთა რაოდენობრივი ზრდა იყო, გვიან პერიოდში პარციაციის უპირველეს მიზეზად ერთიანი ეთნოსის სახელმწიფოებრივი საზღვრებით დაყოფა გვევლინება. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების ნორვეგიელთა მაგალითი, უფრო ზუსტად მათი იმ შთამომავლობისა, რომლებმაც ოდესღაც სამუდამოდ დატოვეს თავიანთი სამშობლო. ნორვეგიელი ვიკინგები ვრცელ ტერიტორიებზე გადაადგილდებოდნენ – ინგლისში, ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, ისლანდიაში, რუსეთსა და ბიზანტიაში. ვიკინგები ამ მიწებზე არაიშვიათად სახლდებოდნენ და ზოგჯერ სამეფოებს, სათავროებსა და საპერცოგოებს ქმნიდნენ. სადაც კი ნორმანები დასახლდნენ, ისლანდიის გამოკლებით, ისინი ადგილობრივ ხალხებს შეერივნენ. ისლანდიის კუნძული დაუსახლებელი იყო და აქ ისინი არავის არ შერევიან, თუმცა ნორვეგიელებისაგან განსხვავებული ეთნიკური თვითშეგნება ჩამოუყალიბდათ. პოლიტიკური დაყოფის (განცალკევებულობის) შედეგად მოხდა სხვადასხვა არაბული ხალხების ჩამოყალიბება. დღეისათვის სამხრეთ აზიის რეგიონში მიმდინარეობს ადრე არსებული ერთი ეთნოსის – ბენგალიელების ორ ერად (ნაციად) ფორმირება: აღმოსავლეთ ბენგალიელების (ბანგლადეშელების) და დასავლეთ ბენგალიელების ჩამოყალიბება. პოლიტიკური ფაქტორებით მოხდა ევროპაში გერმანულენოვანი ეთნოსების – გერმანელების, ავსტრიელებისა და ლუქსემბურგელების ფორმირება. იგივე შეიძლება ითქვას ლათინური ამერიკის ესპანურენოვანი ხალხების (არგენტინელების, ურუგვაელების, ჩილელების, ეკვადორელების) შეახებ.

ეთნიკური სეპარაცია რომელიმე ეთნოსიდან მისი ნაწილის (ჩვეულებრივ, შედარებით მცირე ერთეულის) გამოყოფას ნიშნავს. ეს ნაწილი დროთა განმავლობაში ახალ ეთნოსად გარდაიქმნება. ეთნიკური სეპარაცია ეთნოტრანსფორმაციულია ამოსავალი ეთნოსის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც ცალკე ხალხად გამოეყოფა. ეთნოსის ძირითადი ნაწილისათვის ეს პროცესი ეთნიკური თვითშეგნების შეც-

ვლას არ იწვევს, ე. ი. ის ეთნოევოლუციურია. ეთნიკური სეპარაცია შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იყოს განპირობებული; ეს მიზეზებია: ამოსავალი ეთნოსის რომელიმე ჯგუფის სხვაგან გადასახლება, ეთნიკური ტერიტორიის სახელმწიფო საზღვრებით გაყოფა, ეთნოსის ნაწილზე სხვა ეთნოსის გავლენა, ეთნიკური ჯგუფის რელიგიური განცალკევებულობა და სხვა. ეთნოსის გარკვეული ჯგუფის საზღვარგარეთ გადასახლებისას ახალი ბინადრობის ადგილზე კომპაქტურად დაუსახლებლობის შემთხვევაში გარდაუვალია ეთნიკური სეპარაცია. ისტორიაში მსგავსი მიგრაციის დროს დადასტურებულია ეთნიკური სეპარაციის არაერთი შემთხვევა. პოლინეზიელი ხალხები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეთნიკური სეპარაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ, რაც განაპირობა მცირე პოლინეზიური ჯგუფების ერთი არქიპელაგიდან მეორეზე გადასახლებამ. ეთნიკური სეპარაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნორვეგიელთა ჯგუფების დაუსახლებელ ისლანდიის კუნძულზე გადასახლება IX-X საუკუნეებში. ნორვეგიული ეთნიკური ერთობიდან ხანგრძლივმა მოწყვეტამ ცალკე ისლანდიური ეთნოსის წარმოქმნა გამოიწვია, თუმცა კუნძულზე მიგრანტებს არავინ დახვედრიათ. ეთნიკური სეპარაციის შედეგადაა ფორმირებული ფრანკო-კანადელების ეთნიკური ერთობა, რომლებიც თანამედროვე კანადის ზოგიერთ რეგიონში XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დასახლდნენ. იმავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ვალონიელების ფრანგებისაგან, ელზასელების გერმანელებისაგან, კორსიკელების იტალიელებისაგან გამოყოფა. ეთნიკური სეპარაციის ეს უკანასკნელი მაგალითები პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული. რელიგიურ-კონფესიური მიზეზებით იყო განპირობებული ეთიოპიაში ხარარების (მუსლიმები) გამოყოფა ამხარებისაგან (ქრისტიანები). ასევე არიან ბირმაში გაყოფილი ბირმელი-მუსლიმები და ბირმელი-ბუდისტები.

ეთნოგამაერთიანებელ პროცესებში საბოლოო შედეგიდან გამომდინარე ასხვავებენ ეთნოსთაშორის კონსოლიდაციას, შიდაეთნიკურ კონსოლიდაციას, ეთნიკურ ასიმილაციას, ეთნოსთაშორის ინტეგრაციასა და ეთნოგენეტიკურ მიქსაციას. **ეთნოსთაშორის კონსოლიდაციაში** ენითა და კულტურით მონათესავე რამდენიმე ეთნიკური ერთეულის ერთ, ახალ და უფრო დიდ ეთნიკურ ერთეულად შერწყმას გულისხმობენ. ასეთი სახის პროცესებს ეთნოგენეტიკურ კონსოლიდაციასაც უწოდებენ. ეთნოსთაშორის კონსოლიდაციის შედეგად ახლო მონათესავე ტომები ანდა შედარებით სხვა მცირე ეთნიკური ერთეულები ხალხად ყალიბდება, ხოლო ენითა და კულტურით ახლოს მდგომმა ხალხებმა არაერთი ერი (ნაცია) წარმოქმნეს (ზოგიერთი ერის ფორმირება კი მხოლოდ რომელიმე ხალხის ტრანსფორმაციის გზით მოხდა). ასეთი სახის კონსოლიდაციის ნიმუშად მიიჩნევენ აღმოსავლეთ სლავური ტომების ძველრუსულ ეთნოსში გაერთიანებას, ალტაის თურქული მოდგმის ტომების ალტაურ ეთნოსად ჩამოყალიბებას. ისტორიული, სოციალ-ეკონომიკური, ეთნიკური და ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, როგორც წესი, ეთნოსთაშორის კონსოლიდაცია ერთგვაროვანი არ იყო. ეთნოსთაშორის კონსოლიდაციის შედეგად ეთნოსების რაოდენობა მსოფლიოში, რეგიონსა თუ ქვეყანაში მცირდება.

ამის დამადასტურებელ მაგალითად ხშირად მოაქვთ საბჭოთა კავშირის 1926 წლისა და შემდეგდროინდელი აღწერები, რადგან შემდეგ აღწერებში ეთნოსთა რაოდენობა დაახლოებით მეოთხედით შემცირდა. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში ხელოვნურად მოხდა ბევრი ეთნოსის შეერთება-კონსოლიდაცია. თათრებთან ხელოვნურად კონსოლიდირებულმა მიშარებმა, კრიაშენებმა და ნაგაბაიკებმა რუსეთის ბოლო აღწერებში დამოუკიდებელ ეთნოსებად დაიფიქსირეს თავი. რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ეთნოსთაშორის კონსოლიდაციის მაგალითად მეგრელებისა და ლაზების ქართველებთან შერწყმასაც ასახელებენ. მაგრამ ვინც ამას წერს, მას ქართველებისადმი მხოლოდ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება აქვს, ქართველი ერის ეთნიკური ისტორიაზე წარმოდგენა მხოლოდ სტალინის „კონცეფციით" აქვს და არა ქართველი ერის ნამდვილი ეთნიკური ისტორიით. სვანები და მეგრელები, მიუხედავად მათი განსხვავებული მეტყველებისა, ერთიან ქართველ ერში ყოველთვის კონსოლიდირებულ-ინტეგრირებულნი იყვნენ, როგორც სამეურნეო-ეკონომიკური, ისე კულტურული და სოციალური თვალსაზრისით. ყველა ქართულ-ქართველურმა ჯგუფმა ერთდროულად და ერთად შექმნა ერთიანი ქართველი ერი (ნაცია) ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებში და მათი ქართველი ერისადმი მიკუთვნებულობას საერთო დამწერლობა, სალიტერატურო, სამეცნიერო და საღვთისმეტყველო ენა წარმოადგენდა. ისტორიულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით მეგრული და სვანური მეტყველებანი სხვა არაფერია თუ არა ქართული ენის დიალექტები.

თანამედროვე პერიოდში ეთნოსთაშორის კონსოლიდაცია უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, იმ ქვეყნებისათვის, სადაც ერების ფორმირება ახლა ხდება და რომლებსაც პოტესტარულ-პოლიტიკური ორგანიზაციაც ახალი შექმნილი აქვთ. მაგალითად, ნიგერიაში შედარებით დიდი ეთნოსები (ხაუსა, იორუბა, იბო, იბიბო და სხვა) მონათესავე ტომების შერევით ყალიბდება. ანალოგიური ეთნიკური პროცესები მიმდინარეობს ზაირში, კენიასა და სხვაგან. ეთნოსთაშორის კონსოლიდაცია მთელი რიგი აზიური ქვეყნებისთვისაც არის დამახასიათებელი (მაგალითად, მონღოლეთი შეიძლება დავასახელოთ). ეთნოსთაშორის კონსოლიდაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა ენობრივი ერთობის დადგენა. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ ენობრივი განსხვავებულობის შენარჩუნების პირობებშიც კი სწრაფად წარმოიქმნება გარკვეული ეთნოსოციალური ერთობა საერთო თვითშეგნების მყარი ჩანასახებით.

ეთნოსთაშორის კონსოლიდაცია შეიძლება იყოს როგორც საკმაოდ ფართო ხასიათის, ისე შედარებით ვიწრო. ეთნოსთაშორის კონსოლიდაცია მჭიდროდ დაკავშირებულია შიდა ეთნიკურ კონსოლიდაციასთან და შეიძლება დროთა განმავლობაში პირველიდან მეორეში გადავიდეს. ეთნოსთაშორის კონსოლიდაციისას ეთნიკური თვითშეგნება იცვლება, ე. ი. ის ეთნოტრანსფორმაციულ ხასიათს ატარებს. შიდა ეთნიკური კონსოლიდაცია კი თვითშეგნების შეცვლას არ იწვევს, რადგან თავისი არსებით ის ეთნოევოლუციურია.

ეთნოსთაშორის კონსოლიდაცია ხდებოდა და ხდება როგორც ძალდაუტანებლად, ისე ძალადობით, იძულებით. ეს კი პოლიტიკური რეჟიმის ხასიათზეა დამოკიდებული, რომელიც ქვეყანაშია დამყარებული.

შიდაეთნიკურ კონსოლიდაციაში გულიხმობენ ეთნოსის შიგნით არსებული ლოკალური, ანუ ეთნოგრაფიული ჯგუფების შეკავშირებას, მათ შორის არსებული განსხვავებულობის გაქრობას. შიდაეთნიკური კონსოლიდაციის დროს მიმდინარეობს კულტურულ-ყოფითი თავისებურებებისა და დიალექტების ნიველირება. მას თან სდევს საერთო ეთნიკური თვითშეგნების განმტკიცება. შიდაეთნიკურ კონსოლიდაციას ძირითადად განაპირობებს თანამედროვე პირობებში საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება, საყოველთაო განათლება ლიტერატურულ ენაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარება, პროფესიული კულტურის ამაღლება და ა. შ. დღევანდელი მსოფლიოსათვის შიდაეთნიკური კონსოლიდაცია საყოველთაო მოვლენაა, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ევროპული ეთნოსების შესახებ. საფრანგეთში სწრაფად ნიველირდებიან ფრანგი ხალხის (ნაციის) ისეთი ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული ჯგუფები, როგორებიც არიან ბურგუნდიელები, სავოიელები, გასკონელები. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კონტექსტში პროვანსალელებსაც ასახელებენ, მაგრამ პროვანსალელების ამ თვალსაზრისით მოხსენიება გაუმართლებელია. მართალია, პროვანსალელები კონსოლიდირდებიან ერთიან ფრანგულ ეთნოსში, მაგრამ ისინი სინამდვილეში ფრანგთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს არასდროს არ წარმოადგენდნენ. პროვანსალელები ორიგინალური დამწერლობითა და კულტურით სამხრეთ საფრანგეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური ერთეულის წარმომადგენლები იყვნენ. ფრანგები რამდენიმე საუკუნეა პროვანსალელების (ოქსიტანელების) ასიმილაციას ახდენენ. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. შიდაეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი მიმდინარეობს იტალიაშიც – პიემონტელები, ლომბარდიელები, ტოსკანიელები, სიცილიელები და სხვები ერთმანეთს უახლოვდებიან. შიდაეთნიკურ კონსოლიდაციას მიაკუთვნებენ უკრაინელ ერში მისი ეთნოგრაფიული ჯგუფების – გუცულების, ლემკების, ბოიკების შეკავშირებას. შიდაეთნიკური კონსოლიდაცია არსებითად ეთნოევოლუციურია და ის ბუნებრივად და თანდათან მიმდინარეობს. ეთნოსთა კონსოლიდაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერთ სახელმწიფოში ან ავტონომიის ფარგლებში ცხოვრება.

ეთნოგენეტიკური მიქსაცია გამაერთიანებელი ეთნიკური პროცესების ერთ-ერთი სახეა, რომელიც გულისხმობს რამდენიმე არამონათესავე ეთნოსის ანდა ეთნოსის ნაწილების შერევას, რის შედეგადაც ახალი ეთნოსი წარმოიქმნება. ახალ ჩამოყალიბებულ ეთნიკურ ერთობაში თავს იყრის მასში შესული ეთნოსების კულტურული ელემენტები. ბუნებრივია, ამ ელემენტებს შორის ერთი მათგანი უპირატესობის მქონეა, სხვები კი სუბსტრატის სახითაა წარმოდგენილი. ეთნოგენეტიკური მიქსაცია ზოგჯერ ძნელი განსასხვავებელია ეთნოგამაერთიანებელი პროცესების სხვა ტიპებისაგან. ეთნოგენეტიკური მიქსაცია განსაკუთრებით ახლოსაა ასიმილაციურ პროცესებთან. ხშირად ეთნოგენეტიკური მიქსაციის მაგალითად ასახელებენ აღმოსავლურსლავური

ტომების, უგრულ-ფინური ტომებისა და ბალტიური მოდგმის ხალხების ძველრუსულ ეთნოსად ჩამოყალიბებას. აღნიშნული სახის გამაერთიანებელი პროცესები ძირითადად ერთ ტერიტორიულ ერთეულზე ეთნოსთაშორისი ქორწინებების შედეგადაც ხდება. დღეისათვის ეთნოგენეტიკური მიქსაცია ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. აქ არა მარტო სხვადასხვა ეთნოსების, არამედ სხვადასხვა რასების შერევის შედეგად მიმდინარეობს ეთნოგენეტიკური მიქსაცია.

ეთნოსთაშორის ინტეგრაცია ყოველგვარი შერევის გარეშე სხვადასხვა ეთნოსების დაახლოებას გულისხმობს. ეთნოსთაშორის ინტეგრაცია, ჩვეულებრივ, ერთი სახელმწიფოს ანდა რომელიმე დიდი რეგიონის შიგნით ხორციელდება. ესაა ენითა და კულტურით განსხვავებული ეთნოსების დაახლოება. მათი ურთიერთქმედება კი საერთო ნიშნების წარმოქმნას იწვევს. ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია თითქმის ყველა პოლიეთნიკური სახელმწიფოსათვისაა დამახასიათებელი. ამა თუ იმ ფორმით ის დამახასიათებელი იყო რომის, ოსმალეთის, რუსეთის იმპერიებისათვის. ეთნოსთაშორის ინტეგრაცია განსაკუთრებით უახლესი პერიოდის ისტორიისათვის არის დამახასიათებელი (ნაციების ურთიერთ დაახლოება, ეროვნული ტიხრების მოხსნა). ეთნოსთაშორის ინტეგრაცია ინტენსიურად მიმდინარეობს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, კანადა, შვეიცარია, ესპანეთი და სხვა. სსრკ-ში ეთნოსთაშორის ინტეგრაციას ხელოვნურად აჩქარებდნენ. საბჭოთა იმპერიაში ეთნოსთაშორის ერთობის ფორმირებაც კი გამოაცხადეს და შესაბამისი ცნება – „საბჭოთა ხალხიც" კი შემოიტანეს. როგორც განმარტავდნენ, მისთვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკისა და იდეოლოგიის ერთობა, ეროვნულ ურთიერთობებში რუსული ენის საყოველთაო გავრცელება და საერთო საბჭოთა თვითშეგნების არსებობა, რომლის ხელოვნურობაც საბჭოთა კავშირის დაშლამ დაადასტურა. ეთნოსთაშორის ინტეგრაცია ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი, სადაც მოსახლეობის რთული ეთნიკური სტრუქტურები მოქმედებს. დასასრულს კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ეთნოსთაშორისი ინტეგრაცია ეთნიკური ასიმილაციისა და ეთნიკური კონსოლიდაციისაგან.

§7. ეთნიკური ისტორია. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ტერმინი „ეთნიკური ისტორია" პირველად 1930-იან წლებში გაჩნდა. რეალურად ეთნიკური ისტორიის ინტენსიური კვლევები 1950-იან წლებში დაიწყო. მიუხედავად ამისა, ერთგვარად პარადოქსული სიტუაციაც იყო შექმნილი, რადგან „ეთნიკური ისტორიის" ზუსტი დეფინიცია დიდხანს არ არსებობდა. ამ პრობლემაზე მომუშავე ყველა ავტორს ტერმინის შინაარსზე საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა. უფრო მეტად გავრცელებული დეფინიცია კი ასეთი იყო: „ყველა ხალხის ეთნიკური ისტორია წარმოშობისა და განვითარების საკითხების ფართო წრეს მოიცავს გვაროვნულ-ტომობრივი ჯგუფებიდან თანამედროვე ეთნიკურ მდგომარეობამდე. ეთნიკური ტერიტორიის ფორმირებას, მეზობელ ხალხებთან საუკუნეების განმავლობაში ეთნიკურ ურთიერთქმედებას". ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი ეთნიკურ ისტორიას ორ ძირითად პრობლემას – ეთნოგენეზსა და ეთნიკურ პროცესებს მიაკუთვნებდა. ეთნოსის თეო-

რიის ავტორი ი. ბრომლეი ეთნიკური ისტორიის პრობლემების ძირითად ამოცანად ყველა სახის ეთნიკური პროცესის, მათ შორის, ეთნოსოციალური საკითხების კვლევასაც მიიჩნევდა. ერთი რამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ეთნიკურ ისტორიას ეთნოსების, ეთნიკურ ერთობათა ძირითადი ეტაპების კვლევა აინტერესებდა. მკვლევარები ერთ რამეში იყვნენ შეთანხმებულნი – ეთნიკური ისტორია ეს იყო ადრეული მდგომარეობიდან თანამედროვე მდგომარეობამდე ეთნოსის დინამიკაში შესნავლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეთნიკური ისტორია ეთნიკურ პროცესებს სნავლობს დიაქრონიაში, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულ ეთნოსში მიმდინარეობს. ის თვალყურს მიადევნებს ეთნოსის ძირითადი მახასიათებლების ცვლილებებს.

ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეთნიკური ისტორიისა და ეთნოგენეზის ურთიერთმიმართება. ზოგიერთი ავტორი ეთნიკურ ისტორიას ძალიან ფართოდ განიხილავდა და მასში ეთნიკურ ერთეულთა ფორმირების პროცესსაც (ეთნოგენეზი) აქცევდა. ზოგიერთი შეხედულებით ეთნიკური ისტორია ეთნოგენეზის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ ავტორთა უმეტესობა ეთნიკურ ისტორიას ეთნოგენეზის პერიოდის შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევდა, ე. ი. მისი სანყისი ეტაპი მხოლოდ ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესის დამთავრებისთანაეე დგებოდა. ჩვენ ეს მიდგომა ყველაზე უფრო გამართლებულად მიგვაჩნია. როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხალხის ეთნიკურ ისტორიაზე ვისაუბროთ, როდესაც ეს ხალხი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, როდესაც ჯერ ეთნოსი არ არსებობს და ის გამოკვეთილი ეთნიკური ერთობა არაა და მისი ეთნიკური ინდივიდუალობა მხოლოდ ყალიბდება? ეთნოგენეზი ხომ რთული პროცესია, რომლის მსვლელობაშიც განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში და გარკვეულ ეკოლოგიურ პირობებში ადამიანთა ორი ან რამდენიმე მოცემული ერთობიდან ყალიბდება ერთობა, რომელსაც აქვს შედარებით სტაბილური საერთო ნიშნები: კულტურისა და ენის თავისებურება, გარკვეული ფსიქიკური ერთობა, სხვა მსგავსი ერთობებისაგან თავიანთი ერთობის განსხვავებულობის შეგნება – „ჩვენ – „ისინი", „თვისი" – „სხვისი". ამიტომ შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მხოლოდ ეთნოგენეზის დასრულების შემდეგ იწყება ხალხთა ეთნიკური ისტორია და ის მანამდე გრძელდება, სანამ არსებობს ეთნოსი. ამრიგად, ეთნიკური ისტორია ესაა ეთნოსის განვითარების ისტორია ეთნოგენეზის დასასრულიდან ეთნოსის სიცოცხლის (არსებობის) ბოლომდე ზიგზაგების ჩვენებით.

ეთნიკური ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა როგორც ზოგადი, ისე კერძო პერიოდიზაცია. ყველა ხალხის ეთნიკური ისტორია ინდივიდუალურია, ისევე როგორც ინდივიდუალურია ენა, კულტურა, ფსიქიკური ნიშნები. ეთნიკური ისტორია რთული და არაპირდაპირი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ხშირად იცვლებოდა და იცვლება, აქვს აღმავლობის, დაცემისა და ერთ ადგილზე გაჩერების პერიოდები, რეგრესიც კი. ასეთ დროს იცვლება ეთნოსის ეთნიკური მახასიათებლები. როგორც ეთნოგენეზის საკითხების შესნავლისას, ისე ეთნიკური ისტორიის კვლევისას მკვლევარმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს ეთნოლოგიური, საისტორიო, არქეო-

ლოგიური, ლინგვისტური, ფოლკლორული და ანთროპოლოგიური მონაცემები. მაგრამ პრაქტიკულად ეს მოთხოვნა – საკითხის კომპლექსური შესწავლა ყოველთვის არ ხერხდება იმის გამო, რომ ბევრი ეთნოსის შესახებ ყველა მონაცემი, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ეთნიკური ისტორიის შემსწავლელი მეცნიერი აუცილებლად უნდა შეეხოს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა ეთნონიმები (როგორც ენდოეთნონიმი, ისე ეგზოეთნონიმი), ეთნიკური ტერიტორია, ეთნოსის რაოდენობა, ეთნოსის განსახლების თავისებურებანი, ეთნოკულტურული კონტაქტები, ეთნიკური პროცესები (კონსოლიდაცია, ასიმილაცია, ინტეგრაცია), ეთნიკური თვითშეგნება, ეთნოსის ენა, სახელმნიფოებრიობა, ეთნოგრაფიული ჯგუფები, შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, საქორწინო ურთიერთობები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის, რელიგიისა და კონფესიების როლი ეთნოსების განვითარებაში და სხვა. ყველა ეს პრობლემა – ერთად აღებული ეთნოსის სახეს აყალიბებს.

ეთნიკური ისტორია უმაღლეს სასწავლებლებში ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის აუცილებელი მოსასმენი კურსი უნდა იყოს. დღემდე ქართველ მეცნიერთა ინტერესს მხოლოდ პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური ისტორიის პრობლემები წარმოადგენდა. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ნაშრომს, ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორია, ფაქტობრივად, შესწავლილი არ არის. ქართველი ერის ისტორიას აქვს კიდევ ერთი – ეთნიკური განვითარების ასპექტი. ქართველთა ისტორიის შესწავლა კიდევ ერთი კუთხით დაგვანახებს ეთნიკური განვითარების გრძელ გზას, რომელსაც ჰქონდა, როგორც ბევრ სხვა ეთნოსს, აღმავლობის, დაცემის, შეფერხების, გადარჩენის პერიოდები. ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარება წარმოქმნის დღიდან დღემდე გრძელდება.

ეთნიკური ერთობები და ეთნიკურ ერთობათა იერარქია

კაცობრიობა ხალხებისაგან (ეთნოსებისაგან) შედგება. ყველა ეთნოსს თავისი ისტორია აქვს. ეთნოსები ერთმანეთისაგან განსხვავდება თვისობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით, კონსოლიდაციის ხარისხით, ეთნიკური თვითშეგნების გამოხატვით, განსახლების ხასიათით და სხვ. ეთნოლოგიაში ცნობილია ეთნოსები, რომლებიც უძველეს დროს წარმოიქმნენ (სპარსელები, ასირიელები, ბერძნები, ქართველები, სომხები) და ეთნოსები, რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ – XIX და XX საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ (დოლგანები, ტაიმირის ნახევარკუნძულზე და ალტაელები – მთიან ალტაიში). ხალხებს შორის განსხვავება არსებობს აგრეთვე საზოგადოებრივი წყობის, სოციალური სტრუქტურის, ენობრივი სიტუაციისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ამრიგად, მსოფლიოს ხალხები ტიპოლოგიურად არაერთგვაროვანნი არიან. ჩვეულებრივ, ისტორიულ და ეთნოლოგიურ მეცნიერებაში კლასობრიობამდელი საზოგადოების ეთნოსები ტომებად ინოდება, ხოლო სახელმწიფოს წარმომქმნელი ეთნოსები – ერებად (ნაციებად). მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ცდილობდა ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის ეთნოსის შესაბამისი ტიპი შეესატყვისებინა, თუმცა – წარუმატებლად. მიუხედავად ამისა, საბჭოთა და შემდეგ რუსულ მეცნიერებაში მაინც ეთნოსის სამ ისტორიულ ტიპს გამოყოფდნენ და გამოყოფენ. ესენია: ტომი, „ნაროდნოსტი", ერი (ნაცია). ეთნიკურ ერთობათა ეს დაყოფა დასავლურ მეცნიერებაში არასდროს გაუზიარებიათ. „ნაროდნოსტი", რომელსაც ქართულად ხან ეროვნებად და ხან ხალხად თარგმნიდნენ, საბჭოთა კავშირისა და ზოგიერთი იმდროინდელი სოციალისტური ქვეყნის გარდა არსად გაზიარებული არ იყო. მეცნიერ-კომუნისტებს მიაჩნდათ, რომ ერი(ნაცია) მხოლოდ კაპიტალისტური ეპოქის ნაყოფი იყო და ამიტომ პირველყოფილ საზოგადოებასა და კაპიტალისტურ საზოგადოებას შორის მცხოვრებ ეთნოსებს „ნაროდნოსტი" – წმინდა რუსული ტერმინი უნოდეს. მიაჩნდათ, რომ „ნაროდნოსტები" მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებების პროდუქტები იყო. ჩვენი აზრით ნაციები (ერები) არა კაპიტალისტური საზოგადოების, არამედ სახელმწიფოებრიობის პროდუქტებია. სრულიად სამართლიანად იმის გამო, რომ ტომები ფეოდალურ, ანუ აგრარულ საზოგადოებაში აღარ არსებობს, ამ პერიოდში მცხოვრები ეთნოსები რომლებსაც სახელმწიფოებრიობა არა აქვთ, უბრალოდ ხალხებად შეიძლება მოვიხსენიოთ. კიდევ ერთი გარემოების შესახებ: ეთნოსებს შიდა იერარქიული დაყოფაც ახასიათებთ. მხედველობაში გვაქვს ე. წ. ეთნოგრაფიული (ლოკალური) ჯგუფები. ამიტომ ნინამდებარე თავში ეთნოგრაფიული ჯგუფების, აგრეთვე

ტერმინების „სუბეთნოსის“, „ეთნიკური ჯგუფების“, „ნაციონალური უმ-ცირესობის“, „მეტაეთნიკური ერთობის“ და „სუპერეთნიკური ერთობის“ შესახებაც იქნება საუბარი.

§1. ტომი. ადამიანების პირველი ეთნიკური გაერთიანება მეცნიე-რებაში, ჩვეულებრივ, ტომის სახელით მოიხსენიება. თუმცა ლიტერა-ტურაში ზოგჯერ ის შეხედულებაც შეიძლება შეგვხვდეს, რომლის თა-ნახმადაც, ეთნოსის ყველაზე ადრეული ფორმა გვარია. მაგრამ ეს შე-ხედულება სამართლიანად უგულებელყოფილია. საისტორიო წყაროე-ბის მოწმობით, გვარს ტომის გარეშე არსებობა არ შეეძლო. ამიტომ გვარი დამოუკიდებლად არ შეიძლება ეთნიკურ ერთობად ჩაითვალოს. ტომების საფუძველს გვაროვნული ურთიერთობები წარმოადგენდა. მიაჩნიათ, რომ მისი ნარმოქმნა ეგზოგამიის, ანუ გარკვეული ერთობის ფარგლებში ქორწინების აკრძალვით და გვაროვნული წყობილების გა-ჩენით იყო განპირობებული. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ტო-მები და გვარები ნარმოიქმნენ არა ერთდროულად, არამედ გვარების წარმოშობა ნინ უსწრებდა ტომების ფორმირებას. არქეოლოგიურად გვაროვნული საზოგადოებისა და, შესაბამისად, ტომების ფორმირების პერიოდად ზემო პალეოლითზე გადასულაა მიჩნეული. გვარების ტომე-ბად გაერთიანება სისხლით ნათესაობის და საერთო ტერიტორიის სა-ფუძველზე ხდებოდა. (ამიტომ ტომი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც ერთდროულად სისხლით ნა-თესავთა გაერთიანებაც იყო, რადგან მას აყალიბებდნენ სისხლით მონა-თესავე გვარები, რომლებიც განსახლებულნი იყვნენ ერთ ტერიტორია-ზე ანდა მეზობლად მდებარე ტერიტორიებზე, ე. ი. ისინი ტერიტორიულ გაერთიანებებსაც წარმოადგენდნენ. სამეურნეო მოთხოვნილებები და თავდაცვის საჭიროება აიძულებდა სისხლმონათესავე და ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ გვარებს ტომებად გაერთიანებულიყვნენ.)

ეთნოსის პირველი ტიპის – ტომისათვის ყველაზე ნიშანდობლივი იყო ის, რომ მისი შიდა (გვაროვნული) სტრუქტურა ეყრდნობოდა სის-ხლით ნათესაობის პრინციპს, რომლის დროსაც გვაროვნული ეგზოგა-მია შეხამებული იყო ტომობრივ ენდოგამიასთან (ქორწინება განსაზღ-ვრული ერთობის ფარგლებში). ჩვეულებრივ, ტომები მცირერიცხოვან-ნი იყვნენ, რის მიზეზადაც ის მიაჩნიათ, რომ საწარმოო ძალები იმ პე-რიოდში სუსტად იყო განვითარებული. ტომობრივი თვითშეგნება ძი-რითადად საერთო წარმომავლობის შეგნებაზე, ხშირად მითური წინაპ-რისაგან წარმომავლობის შეგნებაზე იყო დაფუძნებული. ერთ ენაზე ხშირად რამდენიმე ტომი მეტყველებდა, თუმცა მათ მეტყველებას დი-ალექტური განსხვავებანი აუცილებლად ახასიათებდათ. საერთო ტე-რიტორიაც ტომთა ხშირი მიგრაციების დროს იცვლებოდა.

განვითარების ადრეულ სტადიაზე ტომები გვარების ერთობლიო-ბას წარმოადგენდნენ და აქედან გამომდინარე მათ კულტურის საერ-თო ნიშნები და საერთო წარმომავლობის შეგნება ჰქონდათ. განვითა-რებულ პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში ტომებისათვის არაპო-ლიტიკური ხასიათის ხელისუფლების ორგანოები (უმაღლესი ბელა-დის, სახალხო კრების, უხუცესთა საბჭოს არსებობა და ა. შ.), რელიგი-ური რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების, საკუთარი სახე-ლების ერთობა იყო დამახასიათებელი.

მეცნიერები შენიშნავენ ტომობრივი ერთობების ნევრთა საკმაოდ თავისებური შეგნების შესახებაც. ყველა მათგანი თავის ჯგუფს, გარშემომყოფ ერთობებთან შედარებით, ერთგვარად ზემო საფეხურზე მიიჩნევდა. მეგობრული და საქორწინო ურთიერთობების შემთხვევაშიც კი ისინი ამაყობდნენ თავიანთი განსაკუთრებულობით და სხვებს მიაწერდნენ არაეთიკურ საქციელს. ამიტომაც იყო, რომ ტომებს უკვე ახასიათებდათ ეთნოსებისათვის ნიშანდობლივი ანტითეზა „ჩვენ – ისინი" და ყველა ტომი „ნამდვილ ადამიანებად" მხოლოდ თავის ერთობას მიიჩნევდა და ენდოეთნონიმების დიდ ნაწილსაც ასეთი ეტიმოლოგია აქვს.

უკანასკნელ დროს გამოითქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ტომი არ იყო პირველყოფილი საზოგადოების ძირითადი ეთნიკურ ერთეული. ასეთად მხოლოდ ტომთაშორისი გაერთიანება მიაჩნიათ. ამ შეხედულებას ჩვენ არ ვიზიარებთ, რადგან მონათესავე ტომთა გაერთიანებამ ეთნოსის ფორმა მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოების გვიან ეტაპზე მიიღო, თავდაპირველად კი ტომი იყო ძირითადი ეთნიკური უჯრედი. ბუნებრივია, თავდაპირველად ნარმოქმნილი და გვიანდელი ტომები თავისი განვითარების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ადრეულ ეტაპზე ტომებს არ ჰქონდათ ხელისუფლების ჩანასახი აპარატი – სატომო საბჭო, ბელადები. ამ ფუნქციებს ტომები უფრო მეტად პირველყოფილი საზოგადოების ბოლო ეტაპზე იძენენ. კლასობრივი საზოგადოების ნინაპირობების გაჩენისთანავე ტომების დაშლის პროცესი ძლიერდება და ხდება მათი ტრანსფორმაცია ადრეულ პოლიტიკურ ორგანიზაციად. ამის მაგალითად ხშირად ძველი გერმანული ტომების, ე. წ. „ბარბაროსულ სამეფოებად" კონსოლიდაცია მოჰყავთ. უფრო მეტი სოციალურ-პოლიტიკური სიმტკიცით გამოირჩეოდნენ ევრაზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მომთაბარე ტომები. ტომის ფორმა მათ საკმაოდ დიდხანს, განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაშიც კი შეინარჩუნეს. ბინადარ ხალხებში ტომი, როგორც ნესი, თავის არსებობას კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისთანავე წყვეტს.

XX საუკუნის 60-იან ნლებში ამერიკელმა და ბრიტანელმა ანთროპოლოგებმა (მ. ფრიდმა და სხვებმა) გამოთქვეს მოსაზრება ტომის მეორადი ხასიათის შესახებ. ასეთი შეხედულების მომხრეები მიიჩნევენ, რომ ტომი ნარმოიქმნება მხოლოდ კლასობრიობამდელი და უსახელმწიფო საზოგადოებების უფრო განვითარებულ მეზობლებთან, უმთავრესად კლასობრივ საზოგადოებებთან (ნანილობრივ კოლონიზაციისას) კონტაქტის შედეგად, როგორც საგარეო ზენოლის მოგერიების იძულებითი ფორმა. ტომის ეთნიკური ფუნქცია ამ შემთხვევაში გამოირიცხება. ამტკიცებენ, რომ ტომის „მეორეული" ნარმოქმნა საკმაოდ გავრცელებულია. ასეთებად ასახელებენ ყველა მომთაბარე ტომს, რომლებიც აგრძელებდნენ არსებობას კლასობრივ საზოგადოებაში კაპიტალისტურ ეპოქამდე (ბელუჯები, არაბი-ბედუინები, ტუარეგები, ლურები, პუშტუნები და სხვ.). ამასთანავე ასეთი მეორეული ტომები ხშირად თავიანთ ჯგუფში უცხო ადამიანებს იღებდნენ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არსებული ეთნოგრაფიული მასალები საკმარის მტკიცებულებას არ იძლევა ტომის შესახებ არსებული მოსაზრების გადასასინჯად, როგორც პირველყოფილი საზოგადოების დამახასიათებელი ეთნიკური და სოციალური ერთობისა.

დღეისათვის კლასიკური სახის ტომები იშვიათად გვხვდება. ამას გარდა, ზოგირთი უცხოელი მკვლევარი ტერმინით „ტომი" სხვა სახის ეთნიკურ წარმონაქმნებსაც აღნიშნავს. ასეთი „ტომები" ზოგჯერ ათეულ ან ასეულ და რამდენიმე მილიონ ადამიანსაც კი მოითვლის. მეცნიერთა დასკვნით, ყველა ცნობილი ტომისათვის ერთი საერთო ნიშანი იყო დამახასიათებელი, რომლითაც ისინი შემდეგდროინდელი ეთნიკური ერთობებისაგან – ხალხებისაგან განსხვავდებოდნენ: ყველა ტომი ნათესავებისაგან – ახლო, შორეული და ძალიან შორეული ნათესავებისაგან შედგებოდა. ჩვენი აზრით, გვიანდელი ტომებისათვის ნათესაობა აღარ იყო ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. ტერიტორიული და რაოდენობრივი თვალსაზრისით მრავალრიცხოვანი ტომებისათვის შეუძლებელი იყო ნათესაობის შენარჩუნება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი ტომებისათვის დამახასიათებელი იყო ხელოვნური დანათესავებაც. ნათესაობა მხოლოდ ტერიტორიული თემების უმთავრეს ნიშანს წარმოადგენდა, რომლებიც ამა თუ იმ ტომში იყვნენ გაერთიანებულნი. აქაც ეს ნათესაობა ხშირად ფორმალური ხასიათის იყო.

ამრიგად, მეცნიერთა აზრით ტომი ერთგვარი ზეოჯახია. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც, თუ ტომების შემადგენლობაში ათეულ ათასობით ადამიანი შედის. ამიტომ ადამიანთა ერთობა შეიძლება ჩაითვალოს ერთ ტომად მანამ, სანამ მის წევრებს ახსოვთ თავიანთი ნათესაობის შესახებ, ყოველ შემთხვევაში იციან ამ ნათესაობის ხარისხიც; მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნათესაობის, ერთიანი წარმოშობის შეგნება უფრო მაღალი ხარისხის ეთნიკურ ერთობებსაც ჰქონდათ. მხედველობაში გვაქვს ეთნოსები, რომლებმაც ტომობრიობას გადააბიჯეს, ხალხები და სახელმწიფოებრიობის შემქმნელი ეთნოსები – ერები (ნაციები).

მთელ რიგ სახელმწიფოებში დღეისათვის შემორჩენილი ტომები (ცალკეული გამონაკლისების გარდა), რა თქმა უნდა, არსებითად განსხვავდება პირველყოფილი საზოგადოების „კლასიკური" ტომებისაგან. დღეისათვის მხოლოდ ყველაზე ჩამორჩენილ და მცირერიცხოვან ეთნიკურ ერთობებს ახასიათებთ ნამდვილი ტომებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. თანამედროვე პირობებში გვარტომობრივი ორგანიზაციის ნიშნები, უპირველეს ყოვლისა, მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ხალხებისათვის არის დამახასიათებელი.

უძველესი სახელმწიფოები, ტომებისა და ტომობრივი კავშირების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა – გვარტომობრივი კავშირები კი კაცობრიობის ადრეულ, დამნერლობამდელ პერიოდში. მრავალი საუკუნის განმავლობაში აფრიკელებისათვის ტომი ერთადერთი ეთნოსოციალური ერთეული იყო, რომელიც დღესაც კი განსაზღვრავს მათ მსოფლმხედველობასა და მოქმედებას, მათ ურთიერთობას როგორც თავიანთ თანატომელებთან, ისე გარემომცველ სამყაროსთან. ტომები გარკვეული სოციალური ერთეულებისაგან შედგებოდა. ასეთ სოციალურ ერთეულებს უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში კლანებს, ლინიჯებს, ლოკალურ ჯგუფებს უწოდებენ, ხოლო ჩვენთან – გვარებს. ამ ტერმინებს შორის პრინციპული განსხვავება არ არის. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტომი პირველყოფილი საზოგადოების მაკროსტრუქტურული ერთეული იყო. მასზე მაღლა თითქმის არაფერი არ იდგა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიან ჩამოყალიბებულ ზედნაშე-

ნურ სტრუქტურას – ტომთა კონფედერაციას ან კავშირს. მასში შედიოდა ბევრი გვარი, რომლებიც ტომში გაერთიანებული იყვნენ ნათესაური და სამეურნეო კავშირებით, საერთო ტერიტორიით, თაყვანცემით ფუნქციებითა და საერთო კულტურით (წინაპართა კულტი, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები) და, ბოლოს, მმართველობით-ადმინისტრაციული სტრუქტურით (საერთო ტომობრივი საბჭო).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოების შესახებ, რომელიც ქართულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით ენათმეცნიერთა ნაშრომებში, ხშირად სხვადასხვა ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ტომებად მოიხსენიებენ. მრავალგზისი შენიშვნის მიუხედავად, ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება, რითაც, ბუნებრივია, ისინი ქართველი ხალხის არაკეთილმოსურნეთა წისქვილზე ასხამენ წყალს, რომ ქართველი ერი, არა მტკიცე ეთნიკური ერთეული, არამედ ზედაპირული, ეფემერული გაერთიანებაა. ვერსად, ვერც ერთ ნაშრომში ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ გერმანელმა მეცნიერმა საქსონიელი და ბავარიელი ტერმინ „ტომით" აღნიშნოს, ესპანელმა – ანდალუზიელი და არაგონელი, იტალიელმა კი – კალაბრიელი და ტოსკანელი, უნგრელმა – ხეტეშები და გეჩები და ა. შ. ჩვენ რაღა გვრჯის? ქართველმა ხალხმა ტომობრიობის ეტაპი საუკუნეების ნინ განვლო, იმ დროს, როდესაც სხვადასხვა ქართული ერთეულები ერთ მთლიან ორგანიზმად გაერთიანდნენ და ერთიანი ქართველი ერი (ნაცია) წარმოქმნეს. უფრო მეტიც, ქართველ ენათმეცნიერთა ნაშრომებში ქართული გვარების დანაყოფები ხშირად ტერმინით „ფრატრია" აღინიშნება. ზოგად ეთნოლოგიურ ლიტერატურაში კი ფრატრია ორი ან რამდენიმე გვარის გაერთიანებად არის ცნობილი, რომლებიც თავის მხრივ ტომებში შედიოდნენ

§2. ხალხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოთა და რუსულ მეცნიერებაში ტომებსა და ერებს (ნაციებს) შორის მდგარ ეთნოსებს ტერმინ „ნაროდნოსტით" აღნიშნავენ. „ნაროდნოსტს", რომელსაც ქართულად ხან ხალხად და ხან ეროვნებად თარგმნიდნენ, როგორც მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოებების ეთნოსების აღმნიშვნელ ტერმინებს, არსად, არც ერთი ქვეყნის მეცნიერები არ აღიარებდნენ. ახალი ტერმინის გაჩენა საბჭოთა მეცნიერებაში იმან განაპირობა, რომ კლასობრივი მიდგომის გამო ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას აუცილებლად მისთვის დამახასიათებელი ეთნოსის ფორმა უნდა შესატყვისებოდა. მარქსისტული მეცნიერების თანახმად, ერები (ნაციები) კაპიტალისტურ საზოგადოებაში იყო წარმოქმნილი. მაგრამ როგორც სამართლიანადაა მიჩნეული, ნაციები ყალიბდება სახელმწიფოების გაჩენისთანავე. ეტაპისტური თეორია სნორედ იმაზე მიანიშნებს, რომ ნაციები სახელმწიფოებრიობის ნაყოფია. თვით მარქსიზმის ფუძემდებლებიც კი საუბრობდნენ სახელმწიფოებრიობის შემქნელ ძველ ეთნოსებზე, როგორც ნაციებზე(ეს ბუნებრივია, ეთნოსი, რომელიც ქმნის სახელმწიფოს, რომელსაც აქვს დამნერლობა, მიმდევარია მონოთეისტური რელიგიისა, აქვს სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა, ის ერად (ნაციად) არის ჩამოყალიბებული.)მაგრამ ტომობრიობის შემდეგ ყველა ეთნოსი ხომ არ ქმნის სახელმწიფოს(ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ის ეთნოსები, რომლებიც აღარც ტომებია და არც ნაციებად არის ჩამოყალიბებული, მოვიხსენიოთ

როგორც **ხალხი.** მაგრამ ეთნიკური შინაარსის გარდა, სიტყვა „ხალხს" ქართულ ენაში სხვა შინაარსი და დატვირთვაც აქვს.

§3. ეთნოგრაფიული ჯგუფი. ეთნოგრაფიული ჯგუფები ეთნოსის ტერიტორიული ნაწილებია, რომლებიც სალაპარაკო ენის, კულტურისა და ყოფის ლოკალური სპეციფიკურობით გამოირჩევა (განსაკუთრებული მეტყველება და კილო, სულიერი და მატერიალური კულტურის თავისებურებები და ა. შ.). ეთნოგრაფიულ ჯგუფებს სახელწოდებაც გააჩნიათ. რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ზოგჯერ სუბეთნოსებსაც უწოდებენ. ამდენად, ფაქტობრივად, ერთი და იმავე ერთეულის, ეთნოსის ტერიტორიულ-ლოკალური დანაყოფის აღსანიშნავად ორი სხადასხვა ტერმინია შემოთავაზებული. თუ ტერმინ „სუბეთნოსს" დავაკვირდებით, მისი შინაარსი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ეთნოგრაფიული ჯგუფებია, რომელთა წევრები ნარმოშობით სხვა ეთნოსის ნარმომადგენლები იყვნენ და დეეთნიზაციის შედეგად გარკვეული ფორმით თავისთავადობა შეინარჩუნეს. ეთნოსის შიდა დანაყოფები ზოგჯერ ადრინდელი ტომების მემკვიდრეებიც არიან. ზოგიერთი მათგანი ეთნოსის სოციალ-რელიგიური დიფერენციაციის შედეგადაა წარმოქმნილი, აგრეთვე ეთნიკური ტერიტორიის მნიშვნელოვანი გაფართოების შედეგად, როდესაც ეთნოსის მიგრირებული ნაწილები სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში ხვდებიან და ურთიერთბა აქვთ სხვადასხვა ეთნოსებთან. ზოგიერთი მეცნიერის აღნიშვნით, ეთნოგრაფიულ ჯგუფებსა და სუბეთნოსებს შორის განსხვავება პირობითია.

ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი ნარმოიქმნა დიდი ხალხებისა და ნაციების მიერ სხვა ეთნიკური ჯგუფების ასიმილაციის შედეგად. ასეთ ფაქტებად ასახელებენ შუა ოკაზე განსახლებულ მეშერას ჯგუფს, რომლებიც ადგილობრივი ფინური მოსახლეობის სლავების მიერ ასიმილაციის შედეგად ფორმირდნენ. რელიგიური ფაქტორებით იყო განპირობებული კრიაშენების ეთნოგრაფიული ჯგუფის გაჩენა თათართა შორის.

ეთნოგრაფიული ჯგუფები თითქმის ყველა დიდი ეთნოსის შემადგენლობაში გამოიყოფა. სამეცნიერო ლიტერატურაში გერმანელი ხალხის ძირითად ტერიტორიულ დანაყოფებად მიჩნეულია ქვემო გერმანელები და ზემო გერმანელები, რომლებსაც ერთმანეთის მეტყველება ფაქტობრივად არ ესმით. უფრო მცირე ეთნოგრაფიულ ჯგუფებად მიიჩნევენ ზემო და ქვემო საქსონიელებს, ბავარიელებს, ვესტფალიელებს, შვაბებს და სხვ. უკრაინელებში გამოყოფენ გუცულებს და ლემკებს, იტალიელებში — ლომბარდიელებს, სიცილიელებს, ტოსკანელებს, ვენეციელებს, ლიგურიელებს, კალაბრიელებს, პიემონტელებს, სარდინიელებს და სხვ., ესპანელებში — ანდალუზიელებს, კასტილიელებს, ასტურიელებს, ესტრემადურელებს, არაგონელებს, ვალენსიელებს და სხვ. ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენადაც უფრო მრავალფეროვანია ეთნოსით განსახლებული ტერიტორია, მით უფრო მეტი ეთნოგრაფიული ჯგუფისაგან შედგება იგი. ამის მაგალითად საქართველო შეიძლება დავასახელოთ. ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფებია: ქართლელები, კახელები, ხევსურები, ფშაველები, მთიულები, გუდამაყრელები, მოხევეები, ერწო-თიანელები, თუშები, იმერლები, მეგრელები, სვანები, რაჭველები, ლეჩხუმელები, გურულები, აჭარლები, მესხები, ჯავახები. არაერთი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი დეეთნიზებული

იქნა: დვალები, შავშელები, კლარჯელები, ერუშნელები, კოლაელები, არტაანელები, ტაოელები და სხვები. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფს, განსაკუთრებით სვანებსა და მეგრელებს, რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში სუბეთნოსებს უწოდებენ, რაც იმ ტენდეციის გამოხატულებაა, რომ ისინი ნარმოშობით არაქართველებად მიიჩნიონ. საერთოდ, მიგვაჩნია, რომ ტერმინის – **ეთნოგრაფიული ჯგუფი** პარალელური ტერმინის – სუბეთნოსის ხმარება მიუღებელია. რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ცნება **„სუბეთნოსი"** მიზანმიმართულად შემოიტანეს, რათა საბჭოთა იმპერიაში მცხოვრები რომელიმე ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის ეთქვათ, რომ შენ ოდესღაც სხვა, განცალკევებული ეთნოსი იყავი, შენი ასიმილაცია მოახდინეს და, ამდენად, შესაძლებელია სანყის მდგომარეობაზე დაბრუნება. ამ ტერმინის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ სუბეთნოსები ჩამოყალიბდნენ ეთნოსის ან არასრული კონსოლიდაციის, ან სეპარაციის შედეგად. ზოგიერთი მათ ეთნოსის მიერ რომელიმე უცხო ჯგუფის დაუმთავრებელ ასიმილაციური პროცესების შედეგებად ნარმოქმნილად მიიჩნევს, რომლებსაც განსაკუთრებული სოციალური სტატუსი, ანდა კონფესიური და რასობრივი თავისებურებები ახასიათებთ. სვანებიცა და მეგრელებიც თავიდანვე ეთნიკური ქართველები იყვნენ და ქართველებს მათი ასიმილაცია არ მოუხდენიათ. უბრალოდ, დროთა განმავლობაში საერთო ქართულ (ქართველურ) სალიტერატურო ენას მათი მეტყველება (დიალექტი) უფრო დაშორდა, ვიდრე სხვა დიალექტები. უფრო მეტიც – საბჭოთა ეთნოლოგიურ მეცნიერებაში, რომელიც ზოგჯერ კონცეფციებს იმპერიული ინტერესებიდან გამომდინარე ქმნიდა, ხშირად იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს გაორებული თვითშეგნება აქვთ. აი, რა წერია 1982 წელს ბრომლეისა და მარკოვის რედაქციით გამოსულ ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოში, რომლის ქართული თარგმანი 1991 წელს დაისტამბა: „ეთნიკურ ერთობათა იერარქიაში ეთნიკოსეგბისა და ეთნოსოციალური ორგანიზმების გვერდით არჩევენ აგრეთვე ეთნოგრაფიულ ჯგუფებსა (სუბეთნიკური გაერთიანებანი) და ერთაშორის ერთობებს (სუპერეთნიკური გაერთიანებანი). ეთნოგრაფიული ჯგუფის ქვეშ იგულისხმება ეთნოსის გარკვეული ნანილი, რომელიც გამოირჩევა სალაპარაკო ენის, კულტურისა და ყოფის ლოკალური სპეციფიკით, ზოგჯერ **აქვს თვითსახელი და როგორღაც გაორებული თვითშეგნება.** მისი აღმოცენებისა და ჩამოყალიბების ძირითადი გზებია გენეტიკურად მონათესავე ტომების ეთნოსად შერწყმა, აგრეთვე ეთნოსის გარკვეული ნანილის ხანგრძლივი მონყვეტა ძირითადი ეთნიკური მასისაგან (მიგრაცია, სახელმწიფო საზღვრების შეცვლა და სხვა), რომელმაც ამის გამო, ლოკალური ნიშნები გამოიმუშავა". ქართულ თარგმანში იქვე ჩამოთვლილია ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები, რომელთა შესახებაც აღნიშნულია, რომ „ძველი ტომობრივი დანანევრების რელიქტები" არიან. ბუნებრივია, გაორებული თვითშეგნებისა და ცნობიერების მქონე ჩამოთვლილი ეთნოგრაფიულ ჯგუფებს შორის ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფები იგულისხმება. ქართველთა სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს გაორებული ეთნიკური ცნობიერება რომ არ გააჩნიათ, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნული იყო, სადაც ხაზგასმულია, რომ **გაორებული ეთნიკური ცნობიერება შეიძ-**

ლება ასიმილაციის გზაზე შემდგარ რომელიმე სხვა ეთნოსის წარმომადგენელს ჰქონდეს, რომელიც წინაპართა ეთნიკურ სამყაროს შორდება და სხვათა ეთნიკური კულტურის გამზიარებელი ხდება (ტ. ფუტკარაძე). ასეთი გაორებული თვითშეგნებისა და ცნობიერების ადამიანები ჩვენ არაერთხელ შეგვხვედრია არა გურიის, კახეთის, რაჭის მკვიდრი ქართველი, არამედ საქრთველოში მცოვრები ოსი, სომეხი, რუსი და ა. შ. სხვათა შორის, შეგვხვედრია საქართველოში მცხოვრები ქართველები, რომელთაც ოსურ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაორებული ეთნიკური ცნობიერება ჰქონდათ, მამისაგან განსხვავებით, მეჯუდის ხეობის სათავეში მცხოვრები გენგიურების გვარის ხუთი და-ძმა იმაზე ბჭობდა, ქართველებს მიეკუთვნებოდნენ, თუ ოსებს. ისინი სასნორს ოსურ მხარისკენ ხრიდნენ. ესაა გაორებული ეთნიკური ცნობიერების ტიპური მაგალითი და არა ეთნოგრაფიული ჯგუფის ამა თუ იმ წარმომადგენლის ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულისადმი თავის მიკუთვნება. როგორ შეიძლება ერთი ეთნოსის წარმომადგენელ ლოკალურ, ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებსაც ბუნებრივი და გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე ყოფაში გარკვეული ეთნოგრაფიული თავისებურებები ჩამოუყალიბდა, ორმაგი ეთნიკური თვითშეგნება, ან კიდევ როგორც წერენ გაორებული თვითშეგნება ჰქონდეთ? უბრალოდ ეს იყო რუსული იმპერიული პოლიტიკით ნაკარნახევი სამეცნიერო „დებულება", რომელიც შესაძლო შემთხვევაში ერთიანი ეთნოსების (ჩვენ შემთხვევაში – ერთიანი ქართული ეთნოსის, ქართველი ერის) შესაძლო დასაქუცმაცებლად იყო შექმნილი. ეს იყო შეფარულად რუსეთის იმპერიის დროინდელი პოსტულატი, როდესაც საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებთ სხვადასხვა, უფრო სწორად, არაქართულ ეთნოსებად აცხადებდნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოში ასეთი ეთნოგრაფიული ჯგუფების „თვითსახელების" შესახებაც არის საუბარი, ე. ი. ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულს გააჩნია ეთნონიმი, ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ენდოეთნონიმი. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სახელნოდებანი ეთნონიმები არ არის. **ჩვენს, ქართულ, შემთხვევაში ქართველთა აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი (თვითსახელნოდება) მხოლოდ ქართველია, დანარჩენი სხვები – ქართლელი, კახელი, მესხი, ჯავახი, მეგრელი, გურული, აჭარელი, სვანი, ხევსური და სხვები ეთნონიმები არ არის, ისინი ერთიანი ეთნოსის ადგილობრივი, ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულების, ეთნოგრაფიული ჯგუფების აღმნიშვნელი ტერმინებია.**

ჩვენ არა გვაქვს არანაირი საისტორიო საბუთი იმის დასადასტურებელად, რომ რომელიმე ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი ოდესმე არაქართული წარმოშობისა ყოფილიყო. ზოგიერთი მათგანი რომელიღაც ქართული ტომის მემკვიდრეცაა, მაგრამ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების უმეტესობა იმ დროსაა წარმოქმნილი, როდესაც ტომობრიობის ეტაპი დიდი ხნის განვლილი ჰქონდათ (ტომები მხოლოდ პირველყოფილ საზოგადოებაში არსებობდნენ). თუმცა შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ქართულ ეთნოსს თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში სხვა არავინ არ შემოუერთებია. ქართველებს თავიანთ ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიაში აქვთ დიდი რაოდენობის სუბსტრატული, სუპერსტრატული და ადსტრატული ელემენტები. იგივე შეიძლე-

ბა ითქვას სხვა ხალხებზეც, რომელთა ეთნოგენეზსა და ეთნიკურ ისტორიაში ერთმანეთთან შერნყმულია როგორც ავტოქტონური, ისე უცხოთა მიგრაციის შედეგად მოტანილი ნიშნები. სხვათაშორის, ზოგიერთი ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფი მართლაც სხვა ეთნოსთა ნაწილის ასიმილაციის შედეგადაა წარმოქმნილი. ამჯერად მხოლოდ ერთი მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით: უნგრულ ეთნოსში რამდენიმე ტერიტორიული ერთეული ანუ ეთნოგრაფიული ჯგუფი გამოიყოფა. მათ შორის არიან კუმანებისა და იასების ეთნოგრაფიული ჯგუფები, რომელთა წინაპრები უნგრული ეთნოსის წარმოქმნის შემდეგ მოვიდნენ აქ აღმოსავლეთიდან და უნგრულ ეთნიკურ გარემოში დეეთნიზაცია განიცადეს, უნგრელებად იქცნენ. კუმანთა ეთნოგრაფიული ჯგუფი თურქულენოვანი ყივჩაღების შთამომავალნი არიან, ხოლო იასები – ალან-ოსებისა.

§4. ეთნიკური ჯგუფი. ეთნიკური ჯგუფი ეწოდება ეთნოსის (ხალხის, ნაციის) ნაწილს, რომელიც რიგი მიზეზების გამო გამოყოფილია ეთნოსის ბირთვისაგან და ფუნქციონირებს მის გარეთ, უცხოეთნიკურ გარემოში. როგორც წესი, მიაჩნიათ, რომ ეთნიკური ჯგუფები მცირერიცხოვანი ჯგუფებია, რომელთა ერთობის საფუძველს მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური ნიშნები – ენა, საერთო წარმომავლობისა და ისტორიის შეგნება, კულტურა, ყოფა, შემორჩენილი ტრადიციები და ნეს-ჩვეულებები წარმოადგენს. კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური ჯგუფები ყოველთვის მაინც და მაინც მცირერიცხოვნებით არ ხასიათდება. ამ თვალსაზრისით საქართველოში მცხოვრები სომეხთა და აზერბაიჯანელთა ეთნიკური ჯგუფები შეიძლება დავასახელოთ.

ეთნიკური ჯგუფები კომპაქტური და დისპერსიული ფორმით არსებობს. პირველს ეთნოარეალურ, მეორეს კი – ეთნოდისპერსიულ ჯგუფებს უწოდებენ. ეთნიკური ჯგუფები მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც მათ დატოვეს ეთნოისტორიული სამშობლო და სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ეთნოკულტურული არეალები ჩამოაყალიბეს. აგრეთვე თავისი ეთნოსისაგან განცალკევებული ადამიანთა ეს ერთობები მიგრაციების, დეპორტაციების, საზღვრების შეცვლის შედეგად გაჩნდა. რუსების ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. რუსეთში ეთნიკურ ჯგუფებად ითვლება აქ მცხოვრები ბულგარელები, ბერძნები, პოლონელები, უნგრელები, ფინელები და სხვ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში განსახლებული სომხები ასევე ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში დამკვიდრებული სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, ქურთები შესაბამისი ეთნოსების ეთნიკური ჯგუფებია, რადგან ისინი აქ თავიანთი სამშობლოდან არიან გადმოსახლებულნი.

როგორც წესი, ეთნიკური ჯგუფები ტიტულოვან ეთნოსს შორის უმცირესობას წარმოადგენს. ძალიან ხშირად ეთნიკური ჯგუფების თავიანთ ეთნოსთან კავშირი სუსტი, იშვიათი და შემთხვევითი ხასიათისაა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეთნიკური ჯგუფები თაობიდან თაობამდე ასიმილაციას განიცდის იმ ეთნოსებისაგან, რომელთა შორისაც ცხოვრობენ. ამას ვერ ვიტყვით ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებზე – უფრო ხშირად მათი გარუსება ხდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში მკვიდრი აზერბაიჯანელებისა და სომ-

ხების შესახებ. ისინი საქართველოს სახელმწიფოს ისეთ ტერიტორიებზე მკვიდრობენ, რომლებიც თავიანთი ეთნოსების განსახლების არეალებს ემეზობლებიან. ზოგად ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ისიც არის აღნიშნული, რომ ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, ეთნიკურ ჯგუფებს პრაქტიკულად არაფერი აქვთ საერთო იმ ეთნოსებთან, რომლებსაც მონწყდნენ. ამ მხრივაც ყველა ეთნიკური ჯგუფი სხვადასხვა მდგომარეობაშია და თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ.

§5. ეთნიკური (ეროვნული) უმცირესობა. ეთნიკური (ნაციონალური, ეროვნული) უმცირესობა ეწოდება ხალხის ნაწილს, რომელიც ცხოვრობს ძირითადი ნაწილისაგან მონყვეტით. ეთნიკურ უმცირესობას სრულიად ნათლად აქვს გათვითცნობიერებული ნათესაური კავშირი თავის ძირითად ნაწილთან. ამავე დროს დედაეთნოსისაგან მონწყვეტილი ნაწილი ინარჩუნებს თვითსახელწოდებას, ენას, კულტურასა და ეთნიკური (ნაციონალური) კულტურის ზოგიერთ სხვა ნიშანს. ზოგიერთ შემთხვევაში ნაციონალურ უმცირესობებს, ამა თუ იმ სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობის გარდა, ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებენ. ეროვნული უმცირესობები წარმოიქმნება საზღვრების შეცვლის, მოცემული მთელი მოსახლეობის, ზოგჯერ მისი ნანილის ემიგრაციის ან დეპორტაციის შედეგად. როგორც ნესი, ნაციონალურ უმცირესობას არა აქვს საკუთარი სახელმწიფოებრიობა.

სხვადასხვა ქვეყანაში ტერმინი „ნაციონალური უმცირესობა" სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ჩინეთსა და ვიეტნამში ნაციონალურ უმცირესობად ოფიციალურად ინოდება ყველა ხალხი, გარდა ტიტულოვანი ეთნოსებისა, ე. ი. ჩინელებისა და ვიეტნამელებისა. ინდონეზიაში ნაციონალურ უმცირესობებს მხოლოდ იმიგრანტულ ჯგუფებს მიაკუთვნებენ. რიგ მუსლიმურ ქვეყნებში (მაგალითად, ირანში) ეროვნულ (ნაციონალურ) უმცირესობებს გამოყოფენ არა ეთნიკური, არამედ რელიგიური ნიშნით – მას მიეკუთვნება ყველა, ვინც არ აღიარებს სახელმწიფო რელიგიას. დასავლეთ ევროპაში ეროვნულ (ნაციონალურ) უმცირესობებად, ჩვეულებრივ, მხოლოდ ისეთი ეთნიკური (ნაციონალური) ჯგუფები მიიჩნევა, რომლებსაც ტიტულოვან ან დომინირებულ ნაციებთან შედარებით თანაბარი სტატუსი არა აქვთ და რომლებიც მის მისაღწევად ანდა ზოგჯერ ავტონომიისა და სახელმწიფოებრიობისათვის იბრძვიან. საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ათწლეულში ტერმინი „ნაციონალური უმცირესობა" აღარ იხმარებოდა. აღარ იყენებენ მას თანამედროვე რუსეთშიც. მას ტერმინები „მცირერიცხოვანი ხალხები" და „ეთნიკური ჯგუფები" ჩაანაცვლეს. მიგვაჩნია, რომ **ტერმინი „ეროვნული (ნაციონალური) უმცირესობა" ნამდვილად მიუღებელია, რადგან სახელმწიფოში ეროვნება (ნაცია) მხოლოდ ტიტულოვანი ეთნოსია, ხოლო ყველა დანარჩენი – არა. ამიტომ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს მხოლოდ „ეთნიკური უმცირესობები" შეიძლება ეწოდოთ.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ქვეყანაში მოსახლე ხალხებს, რომლებიც თავიანთი ეთნოსის განსახლების ძირითად არეალს არიან მონყვეტილნი, „ეთნიკურ ჯგუფებს" უწოდებენ. ეს სახელწოდება უფრო იმ ეთნიკურ ერთეულებს უნდა მიესადაგებოდეს, რომლებსაც სადღაც სახელმწიფო ანდა სახელ-

მწიფოებრივი წარმონაქმნები გააჩნიათ. საქართველოში ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ოსები და სხვა. „ეთნიკურ უმცირესობებად" კი შეიძლება ის ეთნოსები ჩავთვალოთ, რომლებსაც არსად პოლიტიკური წარმონაქმნი არ გააჩნიათ. საქართველოში ასეთი ტერმინი ქურთებს მიესადაგება.

ცნება „ეთნიკური (ეროვნული, ნაციონალური) უმცირესობა" ზოგჯერ ძალიან პირობითია. მაგალითად ავიღოთ საბჭოთა კავშირის დროინდელი ყაზახეთი, სადაც მიგრირებული რუსები ბევრად სჭარბობდნენ ადგილობრივ, ტიტულოვან ეთნოსს – ყაზახებს. შეიძლება ასეთ შემთხვევაში რუსები ეთნიკურ (ნაციონალურ, ეროვნულ) უმცირესობად მივიჩნიოთ? ერთგვარ შეუსაბამობას ჰქონდა ადგილი ზოგიერთ საბჭოთა ავტონომიურ წარმონაქმნში. რუსეთის ფედერაციაში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. ასეთივე მდგომარეობა გვქონდა აფხაზეთშიც, სადაც აფხაზი ხალხი მოსახლეობის მხოლოდ 17%-ს შეადგენდა და დომინირებდა ყველა სხვა ხალხზე, განსაკუთრებით ქართველებზე. ამ საბჭოთა ანომალიის შედეგი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქნილი ეთნიკური კონფლიქტები.

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ეთნიკური (ნაციონალური, ეროვნული) უმცირესობები არცთუ იშვიათად განიცდიან სხვადასხვა ხასიათის (ეთნიკურ, ენობრივ, რელიგიურ) შევიწროებას. ასეთი ჯგუფების დასაცავად საერთაშორისო ორგანიზაციებს მიღებული აქვთ მთელი რიგი დოკუმენტები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ტერმინ „ეროვნული (ნაციონალური) უმცირესობის" ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „ეთნიკური უმცირესობა".**

§6. მეტაეთნიკური ერთობა. ეთნიკურ ერთობებთან ერთად არსებობენ წარმონაქმნები, რომლებიც რამდენიმე ეთნოსს მოიცავენ, თუმცა ასეთი ერთობებისათვის ეთნიკური თვისებები შედარებით ნაკლები ინტენსივობითაა დამახასიათებელი. ეთნოსთა ჯგუფებს, რომლებიც ეთნოგენეტიკური სიახლოვის ანდა ხანგრძლივი კულტურული ურთიერთქმედებისა და პოლიტიკური კავშირების შედეგად წარმოიქმნა, მეტაეთნიკური ერთობები ეწოდება.

მეტაეთნიკური ერთობები ორ ჯგუფად იყოფა – საკუთრივ ეთნიკურ და ეთნოსოციალურ ჯგუფებად. ეთნოსოციალური ერთობები, ფაქტობრივად, მეტაეთნოპოლიტიკური ერთობებია, ხოლო ეთნიკური – მეტაკულტურული. შესაბამისად, გამოიყოფა ეთნოენობრივი, ეთნოკულტურული, ეთნოკონფესიური, ეთნორასობრივი, ეთნოპოლიტიკური მეტაეთნიკური ერთობები. ყველაზე მკაფიოდ გამოიყოფა ეთნოენობრივი მეტაეთნიკური ერთობები; მაგალითად, სლავური, რომანული, გერმანული, თურქული, არაბული, მონღოლური და ა. შ. ისინი ახლოს არიან ერთმანეთთან არა მარტო ენით, არამედ გარკვეული თვალსაზრისით, კულტურითა და ყოფით. მართალია, რუსი რუსია, მაგრამ ერთდროულად ის სლავიცაა. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერი სხვა სლავური ეთნოსის შესახებაც, თუმცა მათ შორის ხშირად დიდი დაპირისპირება და ანტაგონიზმია, მაგალითად, რუსებსა და პოლონელებს შორის, სერბებსა და ხორვატებს შორის,– მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ეთნოსი ერთ ენაზე ლაპარაკობს). კონფესიური მეტაეთნიკური ერთობები ძირითადად ფეოდალიზმის ეპოქაში წარმოიქმნა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „საერთო რე-

ლიგია“ გავლენას ახდენს წეს-ჩვეულებებზე, ქცევის სტერეოტიპებზე, დღესასწაულებზე. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მუსლიმი, მართლმადიდებელი, კათოლიკე ხალხები. გარკვეულ ერთობას ქმნიან ინდუისტი ხალხები. ინდუიზმი დღესაც განუსაზღვრელ გავლენას ახდენს სამხრეთ აზიის სხვადასხვა ხალხების მთელ საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაზე. დიდი ფილიპინელი ხალხების ეთნიკური შეკავშირება, რომლებიც ზღვის სანაპიროსა და მდინარეთა ხეობებში ცხოვრობენ, დაკავშირებულია გაქრისტიანებასთან. ხოლო ფილიპინების სამხრეთში ისლამის გავრცელებამ ხალხთა დამოუკიდებელი ჯგუფის, ე. წ. მოროს გამოყოფამდე მიგვიყვანა. ასე რომ, შეიძლება ზოგჯერ რელიგიებითა და კონფესიებით შეკავშირებული ხალხების მეტაეთნიკური ერთობა უფრო გამოკვეთილი და მტკიცე იყოს, ვიდრე ეთნიკური; მუსლიმობა ტაჯიკებსა და პუშტუნებისათვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე მათი ტაჯიკობა და პუშტუნობა. კონფესიური მეტაეთნიკური ერთობების შედეგად გაჩნდა ისეთი იდეოლოგიური სისტემები, როგორებიცაა პანისლამიზმი, პანთურქიზმი, თუმცა ამ უკანასკნელში ერთმანეთთან გადაჯაჭვულია სარნმუნოებრივი და ეთნიკურ-ნარმომავლობითი იდეოლოგიური მომენტები. მრავალეთნიკური სახელმწიფოების ფარგლებში ჩამოყალიბდა და ყალიბდება პოლიტიკური მეტაეთნიკური ერთობები. ასეთი ერთობების ფორმირებისას შეიმჩნევა თანდათანობითი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, და კულტურული შეკავშირება შესაბამისი ქვეყნის თითქმის ყველა ხალხისა; ენობრივი შეკავშირება კი მათში შედარებით სუსტად იყო გამოხატული. ეთნორასობრივი მეტაეთნიკური ერთობები ძირითადად ლათინურ ამერიკაშია ჩამოყალიბებული (მაგალითად, ლადინო ლათინურ ამერიკაში). ეთნოკულტურული მეტაეთნიკური ერთობებია კავკასიის, ვოლგისპირეთის, ციმბირის ხალხები. ცნობილია, რომ კავკასიის ხალხები გეოგრაფიული კლასიფიკაციის დროსაც გამოიყოფა. მართალია, კავკასიის მთის ხალხები ენობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით სხვადასხვა ნარმოშობისანი არიან, მაგრამ მათ ბევრი რამ აერთიანებს – მსგავსი სამეურნეო-კულტურული ტიპი, კავკასიური ანთროპოლოგიური ტიპი, მსგავსი მენტალიტეტი და სხვა.

ეთნოლოგიაში, მეტაეთნიკური ერთობების გარდა, ხშირად გამოიყენება ტერმინები: „სუპერეთნიკური“, „ეთნოსთაშორისი“ და „ზეეთნიკური“ ერთობები. ეთნოსთა გაერთიანების შესახებ პირველი იდეა ეკუთვნის ლევ გუმილიოვს. ის მათ „სუპერეთნოსებს“ უნოდებდა.

§7. სუპერეთნიკური ერთობა. მიაჩნიათ, რომ სუპერეთნიკური ერთობები პოლიეთნიკური სახელმწიფოს ფარგლებსა და კულტურულ-ისტორიული ერთობის ბაზაზე ჩამოყალიბებული ერთობებია. ტერმინ „სუპერეთნიკური ერთობის“ წარმოქმნამდე ასეთი სახის ერთობები იწოდებოდა „ცივილიზაციებად“, „კულტურებად“, „სამყაროებად“ (მაგალითად, „ისლამის სამყარო“, „ბიზანტიური კულტურა“, „ევროპული ცივილიზაცია“). სუპერეთნიკური ერთობის ერთიანობა ვლინდება საერთო მენტალიტეტში, სრულიად სხვადასხვა ნარმომავლობის ეთნოსების კონსოლიდაციაში. სუპერეთნიკურ შიდა ურთიერთობებში, კულტურული, იდეურ-ზნეობრივი ერთობების გარდა, მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ურთიერთობები. სუპერეთნიკური ერთობების მაგალითებად მიაჩ-

ნდათ „ამერიკელი ხალხი“, „ინდოელი ხალხები“, „საბჭოთა ხალხი“ და ა. შ. თუმცა „საბჭოთა ხალხი“, როგორც სუპერეთნიკური ერთობა, ხელოვნურად შექმნილი და ეფემერული გაერთიანება რომ იყო, ეს ცხოვრებამაც დაადასტურა. მაგრამ დღეს რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში მაინც იმას აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა ხალხი“ არ იყო ხალხთა მექანიკური, ხელოვნურად შექნილი სისტემა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში უკვე ახალი სუპერეთნიკური ერთობის აღმნიშვნელი ტერმინი – „რუსეთელი ხალხი“ დამკვიდრდა.

ლევ გუმილოვი განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს ტერმინ „სუპერეთნოსის“ დამკვიდრებას. საერთოდ, ეს ტერმინი მეცნიერებაში ლ. გუმილიოვის შემოტანილი იყო. ის სუპერეთნოსებად მიიჩნევდა არა მხოლოდ პოლიეთნიკურ სახელმწიფოში კულტურულ-ისტორიული ერთობის საფუძველზე წარმოქმნილ ერთობებს (მაგალითად, საბჭოთა ხალხს), არამედ სლავებსაც სუპერეთნიკურ ერთობას უწოდებდა. ამ ტერმინის შექმნაც პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული და მასში ეთნოსთაშორის ერთობებს, ანუ მონათესავე ერთობებს გულისხმობდნენ; მაგალითად, რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში სლავურ სუპერეთნიკურ ერთობას ასახელებენ. არავითარი სუპერეთნიკური ერთობები არ არსებობს. საერთო სლავური ან თურქული ნარმომავლობა ასეთი ტერმინის შექმნის საფუძველი არ არის. საინტერესოა, პოლონელები ანდა ხორვატები ერთიანი სლავური სუპერეთნიკური გაერთიანებების ნევრებად მიიჩნევენ კი თავს? იგივე შეიძლება ითქვას ბალკანელი სლავების – სერბების, ხორვატების, ბოსნიელების შესახებ. სამივე ეს ხალხი საერთო ნარმოშობისაა, ერთ ენაზეც ლაპარაკობენ, მაგრამ სხვადასხვა ეთნოსებად მიაჩნიათ თავი; სუპერეთნოსზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

§8. ერი (ნაცია). ერი (ნაცია) ეთნოსის განვითარების უმაღლესი ფორმაა. თავდაპირველად ქართულში ერი ხალხის, ხალხთა ჯგუფის, ჯარის აღმნიშვნელი იყო. ხოლო დღევანდელი ტერმინის – ერის (ნაციის) შესაფყვისი ტერმინი ქართულში „ნათესავი“ იყო, თუმცა თავდაპირველად ის არა მხოლოდ ერთი სახელმნიფოს მკვიდრ მოსახლეობას (მოქალაქეებს) შეესატყვისებოდა, არამედ საერთო ნარმომავლობის, გენეტიკური ერთობის მქონე ხალხის აღმნიშვნელი იყო. შუა საუკუნეების საქართველოში ქართველი ერის ნარმომადგენლად, ანუ „ნათესავით ქართველად“ ითვლებოდა ყველა, ვინც საქართველოში ცხოვრობდა და და ვინც ქართულ სახელმნიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა. ამრიგად, თუ შუა საუკუნეებში საქართველოში ჯერ ერის (ნაციის) ეთნიკური გაგება არსებობდა, ის მალევე, ფაქტობრივად, ნაცია-სახელმნიფოს გაგებით შეიცვალა.

დასავლეთის სოციოლოგიურ და ისტორიოგრაფიულ მეცნიერებაში ერის (ნაციის) ნარმოქმნა განიხილება, როგორც გვარტომობრივი კავშირების უშუალო გაგრძელება და განვითარება, ისიც აღსანიშნავია, რომ ეტატისტური თეორია ერის (ნაციის) ნარმოქმნას უშუალოდ სახელმნიფოს უკავშირებს. დღეს დასავლეთის მეცნიერებაში ერებად (ნაციებად) მიინევა ის ეთნოსები, რომლებსაც საკუთარი სახელმნიფოებრიობა გააჩნიათ. ამასთანავე ეთნოსი ერად (ნაციად) რჩება სახელმნიფოებრიობის დაკარგვის შემთხვევაშიც. ერთხელ ჩამოყალიბებული ერი (ნაცია) უფრო დაბალი საფეხურის ეთნიკურ ერთობას – ტომობრიობას აღარ უბრუნდება. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც,

რომ ისტორიის თვალთახედვით, აშკარა განსხვავებაა ძველსა და ახალ ერებს (ნაციებს) შორის, რომელთა გამმიჯვნელად შეიძლება რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური მომენტები მოგვევლინოს. ამ თვალსაზრისით, აშკარად განსხვავება გვაქვს ქრისტიანობამდელ და ქრისტიანობის შემდგომ ქართველ ერს შორის – ქრისტიანობამ ზღვარი გაავლო ძველი და ახალი ტიპის (ფორმაციის) ქართველ ერს შორის. [იმის გამო, რომ „თეორიული ეთნოლოგიის" სახელმძღვანელოში ცალკე თავი აქვს დათმობილი ერის პრობლემას, ერისა (ნაციისა) და სახელმწიფოებრიობის პრობლემას, ამ საკითხის შესახებ სათანადო მსჯელობაც აღნიშნულ მონაკვეთში არის მოცემული].

შენიშვნა. სამწუხაროდ, ელემენტარული ეთნოლოგიური ცოდნის დეფიციტის შედეგს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ქართულ საზოგადოებაში. ზემოთ ტერმინის – ტომის უადგილო გამოყენების შესახებ აღვნიშნეთ. იგივე ვითარება გვაქვს სხვა ეთნიკურ-ეთნოლოგიური ტერმინების გამოყენებისას. მხედველობაში გვაქვს ის, რომ ქართველთა ტერიტორიულ-ლოკალურ დანაყოფებს ხშირად მოიხსენიებენ ეთნოსებად, ეთნიკურ ერთობებად, ეთნიკურ ჯგუფებად, ხალხებად (მაგალითად, აჭარელი ხალხი, სვანი ხალხი, ხევსური ხალხი. შეიძლება ასეთი ფრაზაც კი მოისმინოთ ზოგიერთი განათლებული ადამიანისაგან: „მე კახელი კაცი ვარ", „მე სვანი კაცი ვარ", „ის თუში ქალია" და ა. შ). რაზე შეიძლება ილაპარაკოს ადამიანმა, როდესაც უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, რომელიც წარმოშობით ხევსურეთიდან ანდა იმერეთიდანაა, დაწერს იმას, რომ ეთნიკურ ნიადაგზე იდევნებოდა. რაღა უნდა ვილაპარაკოთ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას ხუთტომეულის საძიებელში მისი შემდგენელ-გამომცემელი ფშაველებს, კახელებს, იმერლებს, მეგრელებს და ჯავახებს ეთნიკურ ტერმინთა საძიებელში შეიტანს? ქართული დიალექტოლოგიის შესახებ დაწერილ ნიგნებში (ავტორი ბ. ჯორბენაძე) ქართლელები, კახელები, ხევსურები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები და სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები ეთნოსებად არიან სახელდებულნი. უფრო მეტიც, ისინი **„ტომობრივ ეთნოსებადაც"** მოიხსენიებიან. კიდევ უფრო მეტი – ქართული ენის დიალექტები თურმე **„ეთნიკური დიალექტები", „ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებია"** და ეს ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები ეთნიკურ ნიშანსაც ემთხვევა. რამდენიმე ამონაწერი უნდა მოვიყვანოთ: „თუკი ზემოიმერული და ქვემოიმერული ერთ დიალექტად ერთიანდება, ამას უპირატესად **ეთნიკური ფაქტორი განაპირობებს**, ვინემ საკუთრივ ენობრივი მოვლენები". „საქართველოს **ეთნიკური კუთხეები"**; „ქართველთა **ყველა ეთნიკური გაერთიანება** ერთიან სახელმწიფოშია მოქცეული"; „ეთნოსის საცხოვრისის ტერიტორიაზე გავრცელებულ მეტყველებას, ჩვეულებრივ, ტერიტორიულ დიალექტს უწოდებენ. **საქართველოს ეთნიკურ კუთხეებში** (ხევსურეთში, ხევში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიაში...) გავრცელებული მეტყველება (ხევსურული, მოხეური, ქართლური, კახური, იმერული, გურული...) ამ გაგებით ტერიტორიული დიალექტებია, თუმცა **არსებითად აქ ეთნიკურ დიალექტებთან გვაქვს საქმე, კერძოდ ტომობრივ მეტყველებასთან"**. „ნებისმიერი ქალაქისათვის ნიშანდობლივია: ა) **ერთი ერის სხვადასხვა ეთნოსის** წარმომადგენელთა თავმოყრა". მოყვანილ ციტატებში იმდენი გაუგებრობაა, ეთნიკური და ეთნოლოგიური

ტერმინების ისეთ აღრევასთან გვაქვს საქმე, დაწვრილებით მათზე ლაპარაკიც კი არ ღირს. ერთი რამ მაინც საინტერესოა, სად ამოიკითხა ზოგიერთმა ენათმეცნიერმა ასეთი ტერმინები? აქ უბრალოდ თვითშემოქმედებასთან გვაქვს საქმე. ისე, სხვათაშორის, რაღას ვერჩით ზოგიერთ უცხოელ მკვლევარს, როდესაც მათ ნაწერებში მსგავს შეცდომას აღმოვაჩენთ ხოლმე. ისინი, როგორც ჩანს, ეთნოლოგიის სფეროში მავანთაგან გაუკულმართებულ, უადგილოდ ხმარებულ მკვლევართა ნაშრომებს ეყრდნობიან. სამწუხაროდ, 2007 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ენისა და დიალექტის პრობლემისადმი მიძღვნილ კრებულში კვლავ აფიქსირებენ ტერმინს „ეთნიკური დიალექტი". ყოველივე ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ფილოლოგები ეთნოლოგიის საფუძვლებს არ სწავლობდნენ (და ისტორიკოსები, ეთნოლოგები – ენათმეცნიერების საფუძვლებს). ამავე დროს კვალიფიცირებული მეცნიერებიც კი მომიჯნავე მეცნიერთა სათანადო ნაშრომებს არ კითხულობენ. ეს იმ დროს, როდესაც წიგნები, რომელთაგანაც ციტატები მოვიხმეთ ბევრად გვიანაა გამოსული პროფესორ მ. გეგეშიძის მონოგრაფიაზე (1978 წელი). ამ თვალსაზრისით სერიოზულ და საყურადღებო მონოგრაფიაში მ. გეგეშიძემ სათანადო მეცნიერულ დონეზე დაასაბუთა აღნიშნული ტერმინების უადგილოდ ხმარების არა მხოლოდ არამეცნიერული, არამედ ანტიქართული და მავნებლური ხასიათი. **ტერმინი ეთნოსი მხოლოდ ხალხის, როგორც ეთნიკური ერთობის, აღმნიშვნელია. „ეთნოსი", იხმარება მხოლოდ „ქართველი ხალხის", „ფრანგი ხალხის", „სომეხი ხალხის" და სხვათა აღსანიშნავად. საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მცხოვრები ქართველები, ე. ი. ერთიანი ქართული ეთნოსის წარმომადგენლები რანაირად არიან ან ეთნოსები, ან ხალხები, ან ეთნიკური ჯგუფები, ან ეთნიკური ერთობები? ეს ხომ ფაქტობრივი გაგრძელებაა იმ შეგნებული პოლიტიკისა, რასაც რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ერთიანი ქართველი ერის, ერთიანი ქართული ეთნოსის, ერთიანი ქართველი ხალხის მიმართ ატარებდა, როდესაც მის ტერიტორიულ-ლოკალურ დანაყოფებს არაქართველებად, ე. ი. სხვა ეთნოსების (ხალხების) წარმომადგენლებად აცხადებდა.** საქართველოს ნებისმიერი მხარის მაცხოვრებელი, სვანი იყო თუ მთიული, პირველ რიგში ხომ ერთიანი საქართველოს შესახებ ლოცვას აღავლენდა და შემდეგ – თავისი მხარისა (XIII-XIV საუკუნეებში სვანი ჯერ „ერთობილ საქართველოზე" ლოცულობდა, მთიული კი ძველადაც და ახლაც ასე ლოცულობდა და ლოცულობს: „ღმერთო უშველე ქვეყნიერებასაო, ქვეყნიერებაში – საქართველოსაო, საქართველოში – მთიულეთისაო და მთიულეთში – მლეთესაო"). **ამრიგად, ქართველი ხალხი არის ერთი ეთნოსი ერთიანი და მტკიცე ეთნიკური კულტურით და საქართველოს ამა თუ იმ ხეობასა თუ მხარეში, ანუ ისტორიულ-ეთნოლოგიურ მხარეში მცხოვრებნი არც ცალკე ხალხი შეიძლება იყოს, არც ცალკე ეთნოსი და არც ცალკე ეთნიკური ერთეული (ეთნიკური ერთეული უდრის ეთნოსს ვიწრო მნიშვნელობით). ქართველი ხალხი არის ერთი ეთნიკური მთლიანობა, ერთი ეთნოსი და აღნიშნული ტერმინების ხმარება საქართველოს ნებისმიერ მხარეში მცხოვრებთა აღსანიშნავად გაუმართლებელი და დიდი უხერხულობის შემქმნელია. ასევე მიუღებელია საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მცხოვრებთა აღსანიშნავად ისეთი ტერმი-**

ნის გამოყენება როგორიცაა „სუბეთნოსი", რადგან ის გაქართველებულ ეთნიკურ ერთეულს გულისხმობს. ჩვენთან კი არც ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი ადრე სხვა ეთნოსს (ხალხს) არასდროს არ მიეკუთვნებოდა. უფრო მეტიც, მიხეილ გეგეშიძე ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის" გამოყენების ნინააღმდეგაც კი გამოდიოდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ივანე ჯავახიშვილი მის ნაცვლად ძველი ქართული წყაროების ტერმინს – „თემს" გამოიყენებდა [სხვათაშორის, ზემოხსენებული ავტორის (ბ. ჯორბენაძე) მიხედვით, „ეთნოსის საწყისი სახეა თემი". ესეც აბსურდია. არც გვაროვნული, არც ტერიტორიული, არც სასოფლო, არც სამეზობლო თემი ეთნოსის საწყის სახედ გამოლოგებს არსად არა აქვთ დადასტურებული. თემი მხოლოდ სოციალური ერთეული (სოციუმი) იყო. ფშავში თერთმეტი ტერიტორიული თემი არსებობდა. რა, ისინი ეთნოსები, ეთნიკური ერთეულები იყვნენ? არ გვეყოფოდა ფშაველთა ცალკე ეთნოსად, ეთნიკურ ერთეულად და ზოგჯერ ტომად გამოცხადებაც კი და ახლა ერთი ან რამდენიმე სოფლის ერთობლიობა ეთნიკურ ერთეულად გამოვაცხადეთ. რუსეთი სასოფლო თემებით იყო მოფენილი. გამოდის, რომ ეს სოფლები, საწყის ეტაპზე ეთნოსები, სხვადასხვა ხალხები ყოფილან]. უპრიანი იქნებოდა „ეთნოგრაფიული ჯგუფის" მაგივრად „ეთნოლოგიურ-დიალექტური დანაყოფი" გვეხმარა. თუმცა ეს საკითხი მხოლოდ მეცნიერთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ეთნიკური ნომენკლატურის ხმარება-გამოყენების ნებისმიერობის აღკვეთა მხოლოდ ეთნოლოგიური ცოდნის გავრცელებით არის შესაძლებელი.

ბოლო დროს უცხოურ გამოცემებში ხშირად ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებს ხალხებად//ეთნიკურ ჯგუფებად მოიხსენიებენ. ბუნებრივია, ასეთი რამის დამწერი ქართველების მიმართ ანტიპატიურად და ზოგჯერ სიძულვილითაც არის განწყობილი. ამ მხრივ თავი გამოიჩინა „კავკასიის ეთნოპოლიტიკური ისტორიის ატლასის (1774-2004)" ავტორმა არტურ ცუციევმა. ატლასში სვანეთის, სამეგრელოს, აჭარის მკვიდრი ქართველები არაქართველებად, სხვადასხვა ხალხებად, ეთნიკურ ჯგუფებად არიან გამოცხადებულნი. იგივე შეიძლება ითქვას ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფზე წოვა-თუშებზე, რომლებიც ბაცბების სახით, ასევე თურმე ცალკე ეთნოსი ყოფილა. აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთოდ ვერსად შეხვდებით ქართველების აღმნიშვნელ ფერს, სადაც თურმე აფხაზებთან ერთად მეგრელთა ეთნიკურ ჯგუფს უცხოვრია. ამავე დროს თურმე სამურზაყანოში მეგრელები და აფხაზები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი. ა. ცუციევის მიხედვით, მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქრთველო, ლაზეთთან ერთად, თურმე დასავლეთი სომხეთი ყოფილა.

თემა XI

მსოფლიოს ეთნიკური სურათი

§1. პლანეტის ეთნიკური ისტორია. კაცობრიობის ისტორიაში პლანეტის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა რთული და წინააღმდეგობრივი იყო. „დემოგრაფიულ აფეთქებებს" ხშირად თან სდევდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის შემცირება. ერთიც და მეორეც განპირობებული იყო ბიოლოგიური და ისტორიული მიზეზებით. თვალს თუ გავადევნებთ ამ პროცესს ისტორიის სილრმიდან თანამედროვეობამდე, აღმოვაჩენთ, რომ ახალ და უახლეს პერიოდებში ეს მატება თანდათან ინტენსიური ხდებოდა, ხოლო XX საუკუნე ამ თვალსაზრისით მოსახლეობის არნახული მატების საუკუნე იყო, უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში დედამინის მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა.

მრავალი ათასწლეულის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა ძალიან ნელა იმატებდა, რასაც, ჩვეულებრივ, იმით ხსნიან, რომ ისტორიის ადრეულ ეტაპებზე ადამიანი ბუნებაზე უფრო მეტად იყო დამოკიდებული. ძველად და შუა საუკუნეებშიც შობადობა ძალიან მაღალი იყო, მაგრამ ასევე ძალიან მაღალი იყო სიკვდილიანობაც, რაც განპირობებული იყო პერიოდული ეპიდემიებით, ქრონიკული შიმშილით, ხშირი ომებითა და, საერთოდ, სიცოცხლის ხანგრძლივობის სიმცირით. შობადობის დონე საბოლოო ჯამში სიკვდილიანობის დონეს ოდნავ აღემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პლანეტის ცალკეულ რეგიონებში სიკვდილიანობის ბევრი ხელისშემშლელი პირობა არსებობდა, მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი მაინც ძალიან დაბალი იყო..

პალეოლითის ბოლოს, დაახლოებით 15 ათასი წლის წინ, დედამინის მოსახლეობის რაოდენობას დაახლოებით 3 მილიონამდე ანგარიშობენ. ისტორიის ამ ეტაპზე ადამიანებს თანამედროვე ოიკუმენის მხოლოდ მესამედი (დაახლოებით 40 მილიონი კვადრატული კილომეტრი) ჰქონდათ ათვისებული. 100 კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 8-10 ადამიანს არ აღემატებოდა. პლანეტის დანარჩენ ნანილში ადამიანები საკმაოდ იშვიათად გვხვდებოდნენ.

ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლამ, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებამ და გავრცელებამ, რაც მახლობელ აღმოსავლეთში დაახლოებით 10 ათასი წლის წინ დაიწყო, ადამიანის ბუნებაზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეამცირა. ამან კი მოსახლეობის მატებას გარკვეული სტიმული მისცა. ამის შედეგი იყო, რომ 5 ათასი წლის წინ დედამინაზე დაახლოებით 25 მილიონი კაცი მკვიდრობდა, ხოლო 3 ათასი წლის წინ – 50 მილიონი. აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის ძირითადი ნანილი თავმოყრილი იყო ძველ ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ინდოეთში, მდინარე ხუანხესა და იანცზის აუზებში, შუა აზიაში.

კაცობრიობის მთელი მომდევნო ისტორია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის განვითარებასა და სრულყოფასთან იყო დაკავშირებული (აგროტექნიკის გაუმჯობესება, შრომის ახალი იარაღების შექმნა, ცხოველთა ახალი სახეობების მოშინაურება). ამ ფაქტორებმა მოსახლეობის მატება მნიშვნელოვნად დააჩქარა. ახალი ერის დასაწყისში, 2 ათასი წლის წინ, დედამიწაზე მოსახლეობის საერთო რაოდენობა 150 მილიონ კაცს აჭარბებდა. მაშინაც დედამიწის ბევრი რეგიონი კვლავ დაუსახლებელი ან სუსტად დასახლებული იყო. არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მონაცემებით, მოსახლეობის დაახლოებით 70% აზიაში იყო თავმოყრილი – ადამიანთა ყველაზე დიდი პოპულაციები ცხოვრობდნენ ჩინეთში (50 მილიონი კაცი), სამხრეთ აზიის ქვეყნებში (35 მილონი კაცი) და რომის იმპერიაში (48 მილიონი კაცი) აღნიშნულ სამ რეგიონში პლანეტის მოსახლეობის 4/5 ცხოვრობდა. ყველა, დანარჩენ ტერიტორიაზე კი მოსახლეობის 6% ცხოვრობდა.

ქრისტეს შობის შემდეგ 19 საუკუნის განმავლობაში მოსახლეობის საერთო რაოდენობა ათჯერ გაიზარდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში დემოგრაფიული პროცესები არათანაბრად ვითარდებოდა. იყო პერიოდები, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა არ იზრდებოდა და კლებულობდა მრავალრიცხოვანი ომების, თარეშების, ეპიდემიების შედეგად. მაგალითად, მხოლოდ XIV საუკუნეში ჟამის (შავი ჭირის) ეპიდემიის შედეგად ევროპის მთელი მოსახლეობის მეოთხედი დაიღუპა. ამიტომ ახალი ერის პირველ ათას წელს მოსახლეობა მხოლოდ 1,5-ჯერ გაიზარდა. პირველი და მეორე ათასწლეულების მიჯნაზე მოსახლეობის დიდი ნაწილი სამხრეთ აზიასა და ჩინეთში იყო თავმოყრილი – 79 მილიონი და 66 მილიონი. ეს პლანეტის მოსახლეობის 55% -ს შეადგენდა.

მეორე ათასწლეულის შუა ხანებისათვის დედამიწის მოსახლეობა 1,6-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფად ეს პროცესი ევროპაში ვითარდებოდა. ევროპაში ყველაზე დასახლებული ქვეყნები საფრანგეთი (15 მილიონი), იტალია (10 მილიონი) და გერმანია (9 მილიონი) იყო. ჩინეთში ამ დროს მოსახლეობა უკვე 110 მილიონს აჭარბებდა. პლანეტის მოსახლეობის დაჩქარებული მატება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, რაც დიდი „დემოგრაფიული აფეთქებით" იყო გამოწვეული – 1750 წლიდან 1900 წლამდე მოსახლეობა 300 მილიონიდან 910 მილიონამდე გაიზარდა. განსაკუთრებით მკვეთრი მატება XIX საუკუნის მეორე ნახევარში იყო. ეს კი სიკვდილიანობის შემცირებამ განაპირობა. გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც.

1500 წლიდან 1900 წლამდე შეიცვალა მოსახლეობის გეოგრაფიაც. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად გაიზარდა მოსახლეობის მიგრაციული ნაკადების რაოდენობა. ძირითადად ის ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებისაკენ იყო მიმართული, რომელთა მოსახლეობაც შესაბამისად 10,4-ჯერ და 19-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში ევროპის მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე აზიისა და აფრიკისა (ევროპაში – 4,1-ჯერ, აზიაში – 3,4-ჯერ, აფრიკაში – 3,4-ჯერ). XX საუკუნის დასაწყისში ყველაზე დასახლებული ქვეყნები იყო: ჩინეთი – 475 მილიონი, სამხრეთ აზიის ქვეყნები – 290 მილიონი, რუსეთი – 130 მილიონი, აშშ – 76 მილიონი, იაპონია – 45 მილიონი, გერმანია

– 43 მილიონი, საფრანგეთი – 41 მილიონი, ინდონეზია – 38 მილიონი, დიდი ბრიტანეთი –37 მილიონი.

§2. ეთნოდემოგრაფიული პროცესები XX საუკუნეში. მოსახლეობა XX საუკუნის განმავლობაში ინტენსიურად იზრდებოდა. ამ პერიოდში დედამიწის მოსახლეობა 3 მილიარდი კაცით გაიზარდა, ე. ი. 3-ჯერ. 1900 წელს პლანეტაზე 1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა, 1927 წელს (107 წლის შემდეგ) – 2 მილიარდი, 1959 წელს (32 წლის შემდეგ) – 3 მილიარდი, 1974 წელს (14 წლის შემდეგ) – 4 მილიარდი, 1987 წელს (13 წლის შემდეგ) – 5 მილიარდი, 1999 წელს (12 წლის შემდეგ) – 6 მილიარდი. XX საუკუნის ბოლოს ერთ მილიარდზე მეტი ორ ქვეყანაში – ჩინეთსა (1,2 მილიარდი) და ინდოეთში (1 მილიარდი) – მკვიდრობდა. ას მილიონზე მეტი კი შვიდ ქვეყანაში იყო, ეს ქვეყნებია: აშშ, ინდონეზია, რუსეთი, ბრაზილია, იაპონია, ნიგერია, პაკისტანი).

თანამედროვე მსოფლიოში 226 სუვერენული სახელმწიფოა. თუმცა მოსახლეობა ამ სახელმწიფოებში არათანაბრადაა განაწილებული. მსოფლიოს ყველაზე დასახლებულ ქვეყნებში მთელი მოსახლეობის 60% ცხოვრობს. ამავე დროს 62 დიდსა და საშუალო სახელმწიფოში (თითოეულში 10 მილიონზე მეტი ადამიანით) თავმოყრილია დედამიწის თითქმის მთელი მოსახლეობის 95%. ამავე დროს მსოფლიოში 39 ჯუჯა სახელმწიფოა (თითოეულში 100 ათასზე ნაკლები ადამიანით) – ამ ქვეყნებში მოსახლეობის საერთო რაოდენობა დაახლოებით 1 მილიონი კაცია.

XX საუკუნის ეთნოდემოგრაფიული და ეთნიკური პროცესები რიტმულობითა და მდგრადობით არ გამოირჩეოდა. მასზე დიდი გავლენა მოახდინა 1930-იან წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და წამყვანი სახელმწიფოების პოლიტიკურმა ურთიერთობებმა. 1930-იან წლებში მთლიანად მსოფლიოში საშუალო წლიური მატება 1%-მდე შემცირდა, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში კი აშკარა იყო დეპოპულაციის ნიშნები. მაგალითად, საფრანგეთში 1935 წელს სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბა. მკვეთრად შემცირდა მოსახლეობა აშშ-იც. აზიის ქვეყნებში შობადობა 30%-ით შემცირდა. მხოლოდ ლათინურ ამერიკას არ შეეხო ეს პროცესი – 1930-იან წლებში აქ საშუალო წლიურმა მატებამ 1,8% შეადგინა.

XX საუკუნის ეთნოდემოგრაფიულ პროცესებზე, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, უარყოფითი გავლენა მეორე მსოფლიო ომმაც მოახდინა. ამ დროს ადამიანთა დანაკარგმა 54 მილიონი შეადგინა. არაპირდაპირი დანაკარგი კი გაცილებით დიდი იყო. საერთო დანაკარგი, ფაქტობრივად, 2,5-ჯერ მეტი იყო (კაცობრიობის დანაკარგს 175 მილიონამდე ითვლიან). ძალზე უარყოფითი შედეგი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომს საქართველოსთვისაც – ომში განვეული მამაკაცებიდან 300 ათასი უკან აღარ დაბრუნებულა. მათი უმეტესობა ფერტილური ასაკისა იყო, რომელთაც ოჯახები უნდა შეექმნათ და შთამომავლობა, მომავალი თაობაც დაეტოვებინათ. ომამდელ დონეს ევროპის ქვეყნებმა 1947 წელს მიაღწიეს, საბჭოთა კავშირმა კი – 1955 წელს. 1950-იანი წლებიდან კვლავ მოხდა დემოგრაფიული აფეთქება, რაც რაოდენობრივად და თვისობრივად ყველა წინამორბედი აფეთქებისაგან განსხვავდებოდა. ეს თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხა-

ტებოდა, რომ მთელ მსოფლიოში მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა. თითქმის ყველა ქვეყანაში 1960-იანი წლებისათვის საშუალო წლიურმა მატებამ 2%-ს მიაღწია, ხოლო სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და აზიის ბევრ ქვეყანაში ამ მაჩვენებელმა 3%-ს გადააჭარბა. ამის შედეგად 1950-იანი წლებიდან 1983 წლამდე ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდა. 1950-1960-იანი წლების დემოგრაფიულ აფეთქებას ევროპის ქვეყნებში შობადობის მკვეთრი შემცირება და ბუნებრივი მატების ტემპების დაცემა მოჰყვა. 1980-იან წლებში დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში მხოლოდ მოსახლეობის უბრალო კვლავწარმოება ხდებოდა. ეს ტენდენცია ევროპის ქვეყნებისათვის კვლავ განმსაზღვრელია.

§3. ხალხთა ეთნიკური განსახლება. ეთნიკური ისტორია ადმიანების მცირე და დიდი ჯგუფების დიდ რეგიონებსა და კონტინენტებზე განსახლებასაც სწავლობს. მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ ისტორიაში ეს პროცესი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ განსახლების შედეგად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ეთნოსების ინტენსიური ურთიერთქმედება, მათი დიფერენციაცია და ასიმილაცია, ახალი ეთნოსების წარმოქმნა და გარკვეული ეთნოსების გაქრობა.

მრავალრიცხოვანი პალეონტოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედამიწის სფეროზე კაცობრიობის განსახლება ყველაზე ხელსაყრელი რეგიონებიდან და ტერიტორიებიდან მიმდინარეობდა, იქიდან, სადაც ცივილიზაციის კერები წარმოიქმნა. ადამიანთა პირველი ასეთი კერები წარმოიქმნა მდინარეების – ტიგრის, ევფრატის, ნილოსის, ინდის, განგის და ხუანხეს აუზებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. ეს დიდი ერთობები სხვადასხვა ეთნიკური ერთობებს მოიცავდნენ, რომელთა შორის რაოდენობითა და განვითარების დონით გამოირჩეოდნენ შუმერები, სემიტი აქადები, ძველი ეგვიპტელები, მცირე აზიელი ინდოევროპული მოდგმის ხეთები, ძველი ჩინელები. განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ეთნოსები თავიანთი თავდასხმებით მუდმივად შიშს ჰგვრიდნენ მეზობელ სახელმწიფოებს, ღრმად იჭრებოდნენ მათ ტერიტორიებზე, რაც ეთნიკურ შერევებსაც იწვევდა და ახალი ეთნოსების წარმოქმნის მიზეზიც ხდებოდა. ასე, მაგალითად, ახალი ერის პირველ საუკუნეებში ჩინელთა მიერ თავიანთი სახელმწიფოს საზღვრებიდან გამოდევნილმა ჰუნებმა დასავლეთის მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა, თან წაიყვანეს სხვადასხვა თურქული ტომები და მოახდინეს ევრაზიის სტეპების ირანულენოვანი ხალხების ასიმილაცია.

აფრიკისა და აზიის ტროპიკულ რაიონებში, აგრეთვე ავსტრალიაში, ოკეანეაში და ამერიკაში ეთნიკური პროცესები შედარებით გვიან განვითარდა. დასახელებულ კონტინენტებზე ინტენსიური ეთნიკური პროცესები ევროპელთა კოლონიზაციის შემდეგ დაიწყო. მაგრამ ჩრდილოეთ აფრიკაში ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულში რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა: კართაგენი, რომელიც ფინიკიიდან გადმოსახლებულთა მიერ იყო დაარსებული და ლიბიელების მიერ შექმნილი მავრიტანია და ნუმიდია. ახ. წ. მეორე ათასწლეულში ძლიერი სახელმწიფოები შეიქმნა დასავლეთ სუდანში (განა, მალი, სონგანი, ბორნაუ), გვიან ჩამოყალიბდა ძლიერი სახელმწიფოები გვი-

ნეის ნახევარკუნძულზე (დაგომეა, კონგო და სხვ.), ჩადის ტბის დასავლეთითა და აფრიკის მატერიკის ბევრ რაიონში. ამ სახელმწიფოების შემქმნელნი სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელნი სხვადასხვა ხალხები იყვნენ. ამ დიდი შერევების შედეგად მოხდა თანამედროვე და მრავალრიცხოვანი აფრიკული ეთნოსების ფორმირება.

ინდოეთში ძვ. წ. I ათასწლეულში დრავიდების, მუნდისა და ინდოარიელების ინტენსიური შერევა მიმდინარეობდა. ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მიგრაციისას, როგორც ვარაუდობენ, ისინი უფრო ძველ აბორიგენ მოსახლეობას შეერივნენ. ინდოეთის ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთიდან თითქმის მუდმივად იჭრებოდნენ სხვადასხვა ეთნოსები. ამის შედეგია თანამედროვე ინდოეთის ტერიტორიაზე მრავალი ეთნიკური ჯგუფის არსებობა.

ინდოჩინეთსა და ინდონეზიაში ეთნიკური პროცესები აქტიურად მიმდინარეობდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში შესამჩნევი როლი ინდოეთიდან და ნაწილობრივ სამხრეთ ჩინეთიდან გადმოსახლებულებმა შეასრულეს. ეს რეგიონი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ეთნიკურად თითქმის ყველაზე ჭრელი იყო.

ამერიკელთა ინდიელი წინაპრების კონტინენტზე დასახლებას 12-15 ათასი წლით ათარიღებენ, რომლებიც აქ დასახლების შემდეგ უამრავ ეთნიკურ ჯგუფებად დაიყვნენ, თუმცა ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ამერიკის კონტინენტზე აზიიდან მხოლოდ რამდენიმე ეთნოსის წარმომადგენლები მოვიდნენ. ამერიკელ ინდიელებს შორის ეთნოსების ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი იყო, რასაც იმით ხსნიან, რომ ინდიელთა წინაპრები თავდაპირველად მცირერიცხოვანნი იყვნენ და მეორე – მათ დიდი დრო დახარჯეს სამყაროს ამ ნაწილის ასათვისებლად. ამერიკის კონტინენტის მკვიდრებშა რამდენიმე სახელმწიფოც შექმნეს.

ამრიგად, კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ადამიანებმა თანდათან დაიკავეს დედამიწის სფერო – ისინი სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს ითვისებდნენ. დღეისათვის ადამიანთა მიერ პლანეტის მთელი ვარგისი სივრცე ათვისებულია. ადამიანთა მიერ ტერიტორიებისა და რეგიონების ათვისება პირდაპირ კავშირშია ბუნებრივ გარემოსთან. ამიტომაც არის, რომ დედამიწის სფეროზე მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული. მცირედ დასახლებულ რეგიონებს, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 1 კაცზე მეტია, სრულიად ასათვისებელი ოლქებიც ესაზღვრება. ასათვისებელი ფართობი ხმელეთის 15%-ს შეადგენს (დაუსახლებელია პოლარისპირეთი, უკიდურესი მაღალმთიანეთი, გიგანტური უდაბნოები). ამავე დროს მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასხლებულ რაიონებში, რომელიც ხმელეთის დაახლოებით 7%-ს შეადგენს კაცობრიობის 70%-ზე მეტია თავმოყრილი. განსახლების არათანაბრობა სასოფლო-სამეურნეო ნარმოებისათვის ვარგისი ტერიტორიების მიხედვით არის გადანყვეტილი. საინტერესოა, რომ პლანეტის მთელი მოსახლეობის D3/4-ზე მეტი დაბლობებში მკვიდრობს. მხოლოდ L1/4 ბინადრობს ზღვის დონიდან 100 მეტრზე ზემოთ.

საგულისყურია კიდევ ერთი მაჩვენებელი – ყველა კონტინენტზე აშკარად შეიმჩნევა მოსახლეობის ზღვისაკენ სწრაფვა. ამ გარემოებას შემდეგი ფაქტორებით ხსნიან: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მრავალფეროვნება და ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო გარემო. XX საუკუნის შუა ხანებში პლანეტის მოსახლეობის ნახევარი ზღვის სანაპიროდან 200 კილომეტრში ცხოვრობდა. დღეისათვის 30% ზღვის სანაპიროდან 50 კილომეტრში მკვიდრობს.

მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასთან ერთად პროპორციულად მატულობს დედამიწის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მაჩვენებელი. მაგალითად, 1920 წელს ერთ კვადრატულ კილომეტრზე საშუალო სიმჭიდროვე 13 კაცს შეადგენდა, 1950 წელს – 18 კაცს, 1983 წელს – 34 კაცს, 1990 წელს – 41 კაცს. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ოლქებია სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის მდინარეთა ხეობები, აფრიკაში – ნილოსის ველი, ევროპისა და ამერიკის სამრენველო რაიონები. ევროპა მსოფლიოს ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რეიგიონია. აქ მოსახლეობის სიმჭიდროვით ნიდერლანდები გამოირჩევიან – 1 კვადრატიულ კილომეტრზე დაახლოებით 400 კაცი, ბელგიაში ეს მაჩვენებელი 370-ს უდრის, გერმანიაში – 285-ს, დიდ ბრიტანეთში – 246-ს. მჭიდროდაა დასახლებული აგრეთვე ხმელთაშუაზღვისპირეთი.

§4. მოსახლეობის მიგრაციები და ეთნოსები. მოსახლეობის მიგრაციებს სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს: ისტორია, გეოგრაფია, დემოგრაფია, სოციოლოგია და ეთნოლოგია. ეთნოლოგიას მოსახლეობისა და სხვადასხვა ხალხთა გადასახლებანი აინტერესებს იმდენად, თუ რა გავლენას ახდენს ის ეთნიკურ ერთობათა ჩამოყალიბებაზე, ეთნიკურ პროცესებზე, ხალხთა ურთიერთობებზე, ტრადიციული კულტურის განვითარებაზე, მიგრირებულთა ახალ გარემოში ეთნიკური კულტურის შენარჩუნებაზე. მსოფლიოს ისტორიის ხანგრძლივ მონაკვეთში ადამიანები მუდმივად ცლილობდნენ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რასაც ხან მიგრაცია ახლდა, ხან კი საგარეო ფაქტორის გამო იძულებით ტოვებდნენ მას და უცხო გარემოს მკვიდრნი ხდებოდნენ. ეს თემა დღესაც ფრიად აქტუალურია. განსაკუთრებულ ინტერესს ინვევს იმიტომაც, რომ ბოლო წლებში მიგრაციისადმი დიდი მისწრაფება გამოამჟღავნა ქართველმა ხალხმაც. ეთნოგრაფებს მოსახლეობის მიგრაციები აინტერესებთ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. საერთაშორისო ტერმინი „მიგრაცია" ქართული სიტყვის „გადასახლების" ადეკვატურია. მაგრამ „მიგრაციიდან" ნაწარმოებია ტერმინები „ემიგრაცია" და „იმიგრაცია", რომელთა გამოყენება მხოლოდ ქვეყნის გარეთა მიგრაციების დროს არის მართებული. ემიგრაცია რომელიმე ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში მუდმივად ან დროებით გადასახლებას გულისხმობს. სხვა ქვეყნიდან გადმოსახლება კი იმიგრაციით აღინიშნება. ტერმინი „მიგრაცია" მოიცავს სოციალ-ისტორიული მოვლენების ფართო სპექტრს, დაწყებულს ადამიანების დედამიწის სფეროზე განსახლებით ან მთელი ეთნოსების გადასახლებით (მაგალითად, ადრე შუა საუკუნეებში ევროპაში „ხალხთა დიდი გადასახლებით") და დამთავრებულს – მოსახლეობის თანამედროვე ნაკადების ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში და სოფლებიდან ქალაქებში ად-

გილგადანაცვლებით. ეთნოლოგიური მეცნიერებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია, მაგალითად, რუსების კოლონიური მოძრაობა სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით, ევროპიდან ახალ სამყაროში – ოკეანის იქით ემიგრაცია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გერმანელების გადასახლება, ინდოეთის კოლონიის გაყოფისას მუსლიმებისა და ინდუისტების „გაცვლითი" გადასახლება, საბჭოთა ახალმშენებლობებზე და ყამირი მინების ათვისებისას დასახლება, ქართველ მთიელთა თითქმის მუდმივი ადგილგადანაცვლება მთისნინეთსა და ბარში. ყველა ამ მიგრაციის მამოძრავებელი ძალა, მოტივი და საორგანიზაციო ფორმები სხვადასხვაა და მათი შესწავლით არა მხოლოდ ეთნოლოგია, არამედ ისტორია, გეოგრაფია და დემოგრაფიაცაა დაინტერესებული. სოციოლოგები კი ძირითადად სავარაუდო მიგრაციული მიმართულებების გამოვლენით არიან დაკავებულნი.

ხშირად მოსახლეობის მიგრაციად მიაჩნიათ ადამიანთა ნებისმიერი ადგილგადანაცვლება, რომლებიც მათი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან არ არის დაკავშირებული (საქმიანი მოგზაურობა, დასვენება, მომლოცველობა, ქანქარისებური მიგრაცია – სოფლიდან ქალაქში შრომითი და კულტურულ-ყოფითი დანიშნულებით და, პირიქით, აგრეთვე მომთაბარეობა). თუმცა როგორც სამართლიანად აღნიშნავენ მოსახლეობის ისეთი გადაადგილება, რომელიც საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან არ არის დაკავშირებული, მიგრაციად არ უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, მომთაბარეობა არსებითად მომთაბარე ხალხის სამომთაბარეო ტერიტორიაზე ბინადრობას ნიშნავს. ასე თუ ისე, მიგრაციები იყოფა მუდმივად (როდესაც საბოლოოდ ხდება საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა) და დროებითად (როდესაც ის გარკვეული ხნით ხდება). გეოგრაფიული თვალსაზრისით, მიგრაციებს ჰყოფენ საკონტინენტთაშორისოდ, სახელმწიფოთაშორისო და შიდასახელმწიფო მიგრაციებად. ეთნოლოგიურ მეცნიერებას მიგრაციის ყველა აღნიშნული სახე აინტერესებს.

მიგრაციების კლასიფიკაციის მესამე არსებითი ნიშანია მოტივაცია. გადასახლებათა ყველაზე გავრცელებული მოტივი ეკონომიკური მოტივია. ბოლო საუკუნის განმავლობაში მიგრაციები ეკონომიკაში კრიზისულმა მოვლენებმა გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, რასობრივ უმუშევრობას ინვევდა. ასეთი მიგრაციების ტიპური მაგალითებია ახალ სამყაროში XVIII-XIX საუკუნეებში ევროპელთა მასობრივი გადასახლებები, რომლებმაც მთელი რიგი ახალი ერები შექმნა. XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულსა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველო დღემდე მისთვის უცნობმა, მიგრაციის ამ ტიპმა მოიცვა. მისი ამ ფორმით გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყანა დეპოპულაციის საშიშროების წინაშე დადგეს.

დროებითი მიგრაციების ერთ-ერთი გავრცელებული სახეა საშოვარზე სიარული. მის თანამედროვე ფორმას წარმოადგენს დასავლეთ აფრიკის მცხოვრებთა გვინეის ყურის სანაპიროზე პლანტაციებში სამუშაოდ სიარული. საქართველოსათვის მიგრაციის ეს სახე მთელი ისტორიის განმავლობაში იყო დამახასიათებელი. განსაკუთრებით მთიელთათვის იყო დამახასიათებელი გარე სამუშაოზე სიარული, ამ თვალსაზრისით სვანეთის მოსახლეობის ბართან ურთიერთობა შეიძ-

ლება დავასახელოთ. დღევანდელი მსოფლიო მოიცვა განვითარებულ დასავლეთის ქვეყნებში ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან სამუშაოდ წასვლის მოტივით გადასახლებულთა დიდმა რაოდენობამ. ძალიან ძნელია იაფი მუშახელის მიგრაციის ფორმის განსაზღვრა. ბევრი მათგანი, ფაქტობრივად, ახალ ადგილზე მუდმივად დასახლებას ახერხებს. ასეთი მიგრაციების ტიპური მაგალითებია გერმანიაში თურქების, სამხრეთ სლავების და ბერძნების სამუშაოდ წასვლა, საფრანგეთში – დასავლეთ აფრიკელებისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში – მექსიკელებისა და პუერტო-რიკოელებისა. არცთუ ისე დიდი ხნის ნინ მსოფლიო მოიცვა კვალიფიცირებული სპეციალისტების განვითარებულ ქვეყნებში მიგრაციამ, რაც „ტვინების გადინების" სახელნოდებით არის ცნობილი. მიგრაციის ეს სახე არც დღევანდელი საქართველოსთვისაა უცხო.

მსოფლიო ისტორიამ არაეკონომიკური მიზეზებით განპირობებული მიგრაციებიც ბევრი იცის. სხვადასხვა მოტივებს შორის უფრო ხშირია ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური მიზნით გამონვეული გადასახლებები. პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული ებრაელთა პალესტინა-ისრაელში გადასახლებები, რამაც ინტენსიური ხასიათი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო, ინდოეთისა და პაკისტანის სახელმნიფოების ჩამოყალიბების შემდეგ მუსლიმებისა და ინდუისტების ადგილგადანაცვლება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში ახალი საზღვრების დაწესების შემდეგ ეთნიკურ ერთეულთა გაცვლა, აღმოსავლეთ ევროპიდან ებრაელთა და იაპონელთა ჩინეთიდან და კორეიდან გაყრა. ამავე კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს გვიან დეკოლონიზაციის შედეგად ყოფილი კოლონიებიდან რეემიგრაცია (ალჟირიდან – ფრანგების, ინდონეზიიდან – ჰოლანდიელების). საბჭოთა კავშირში ჩრდილოეთ კავკასიიდან მთელი რიგი ეთნოსების შუა აზიასა და ყაზახეთში ძალადობრივი გადასახლება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გვიან უკან დააბრუნეს. პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, შესაბამისად, აზერბაიჯანელებისა და სომხების მასობრივი გაყრა. ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური მოტივების ერთობლიობამ განაპირობა XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან ათი ათასობით ადამიანის ძალადობრივად ირანში გადასახლება და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიიდან და აფხაზეთიდან სხვადასხვა ეთნოსების თურქეთში მიგრაცია (ე. წ. მუჰაჯირობა).

მიგრაციები, განსაკუთრებით ჯგუფური ხასიათისა, ხშირად იწვევდა და იწვევს მოსახლეობის ტერიტორიულ გადანაწილებასა და ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებში ეთნიკური სტრუქტურის შეცელას. ისინი აძლიერებენ სხვადასხვა ეთნოსების კონტაქტებს და ააქტიურებენ ეთნიკურ პროცესებს. ერთი ეთნიკური არეალის ფარგლებში ისინი განაპირობებენ ეთნოსების კონსოლიდაციას. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი ქართული ეროვნული ორგანიზმის ჩამოყალიბებაში საქართველოს მოსახლეობის შიდა მიგრაციულ პროცესებს, სხვადასხვა ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლების ერთმანეთში შერევას. საერთოდ, მიაჩნიათ, რომ მოსახლეობის მიგრაციებმა სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით პროგრესუ-

ლი როლი შეასრულეს და განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ეთნიკური განვითარების თვალსაზრისით – თანამედროვე ეთნოსები სწორედ სხვადასხვა ხალხების მიგრაციებისა და ურთიერთშერევის შედეგად არიან ჩამოყალიბებული.

თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური რუკა განსხვავდება ძველი მსოფლიოს ეთნიკური რუკისაგან. ხალხები (ეთნოსები) მთელი ისტორიის მანძილზე იცვლებოდნენ, რაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დაპყრობები, მიგრაციები... ეთნოსები ერთმანეთს ერწყმოდნენ, დიდი ეთნოსები პატარა ეთნოსების ასიმილირებას ახდენდნენ. დროდადრო ასე იცვლებოდა მსოფლიოს ეთნიკური რუკა. არ შეევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორი იყო მსოფლიოს ეთნიკური შემადგენლობა ძველად, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ძველ ხალხთა (ეთნოსთა) მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე.

ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. ხალხთა დიდ გადასახლებებს, რომლებიც IV-IX საუკუნეებში მიმდინარეობდა. ხალხთა დიდ გადასახლებებს, რომლებიც განპირობებული იყო პირველყოფილი საზოგადოების დაშლით, მოსახლეობის მატებით, ექსტენსიური მეურნეობით, წინ უსწრებდა ევროპის ჩრდილო-დასავლეთიდან გუთების შავიზღვისპირეთში გადასახლება (II საუკუნის დასასრული – III საუკუნის დასაწყისი) და სხვა მიგრაციები. ძველი იმპერიების ნანგრევებზე, ქვეყნების უმეტესობაში ჩამოყალიბდა ფეოდალური სახელმწიფოები და მასთან ერთად დაიწყო ახალ ეთნოსთა ჩამოყალიბების პროცესი, რომელთაგან ბევრი დღესაც არსებობს. სწორედ ამ დროს მოხდა სლავების განსახლება აღმოსავლეთ ევროპაში და თითქმის მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ათვისება მათ მიერ, გერმანელების დასახლება ცენტრალურსა და ჩრდილოეთ ევროპაში და მათი შეღწევა ბრიტანეთის კუნძულზე, სადაც ადრე კელტები ცხოვრობდნენ. ამავე დროს მოხდა რომის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში ლათინიზირებული მოსახლეობის შერევა ბარბაროს ტომებთან და რომანული ენებისა და, შესაბამისად, ეთნოსების ჩამოყალიბება.

IV საუკუნეში ჰუნებმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადანაცვლებით მიაღწიეს ევროპას, სადაც მათ დუნაის აუზში ეთნიკურად ძალზე შერეული საკმაოდ დიდი, მაგრამ არამტკიცე სახელმწიფო დააფუძნეს. **ჰუნების ნაკვალევზე მოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში სხვა თურქული ტომები – ხაზარები, ავარები, ბულგარელები, პაჭანიგები, ყივჩაღები და სხვ.** ბულგარელთა ერთმა ჯგუფმა ვოლგის აუზში გადაინაცვლა. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თათრებისა და ჩუვაშების ეთნოგენეზში. ბულგარელების მეორე ჯგუფი 679 წელს დუნაიზე გადავიდა, სამხრეთით მცხოვრებ სლავებში გაითქვიფა და თავისი სახელწოდება გადასცა დღევანდელ ბულგარელ ხალხს. VIII-IX საუკუნეებში სამხრეთ ურალიდან შუა დუნაიზე გადასახლდნენ უნგრელები (მადიარები), რომლებიც ენობრივად მონათესავენი იყვნენ დასავლეთ ციმბირელი უგრებისა – ხანტებისა და მანსებისა. თურქული მოდგმის ხალხების მასობრივი გადასახლება მოხდა სამხრეთ ციმბირში, ცენტრალურსა და შუა აზიაში, სადაც ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ერთმანეთის შემცვლელი სატომო გაერთიანე-

ბები და სახელმწიფოები, რომლებშიც სხვადასხვა ეთნიკური ერთობები შევიდნენ.

VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში დაიწყო არაბთა დაპყრობები, რასაც თან ახლდა არაბთა განსახლებანი წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და მათ მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციის პროცესი. ყველა დიდსა თუ მცირე მიგრაციას თავისი მიზეზები ჰქონდა. მიზეზთა კომპლექსებმა განაპირობა არაბთა გადასახლებანი. ისლამის ნარმოქმნა და თავდაპირველი გავრცელება რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. მუჰამედის ქადაგების მომენტისათვის არაბული საზოგადოება ღრმა კრიზისს განიცდიდა. რამდენიმე სამთავროს ნარმოქმნამ და სამხრეთ არაბეთის ეთიოპიელთა და შემდეგ სპარსელთა მიერ ოკუპაციამ ბედუინების ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით მიგრაცია განაპირობა. ანტიკურ ეპოქაში აყვავებულმა „კეთილსურნელოვანმა გზამ" თავისი მნიშვნელობა მნიშვნელოვნად დაკარგა. ამასთანავე 591 წლიდან 640 წლამდე არაბეთში ძლიერმა გვალვებმა შეცვალა ეკოლოგიური მდგომარეობა, რამაც ბუნებრივ რესურსებს, საქონლის სულადობასა და მომთაბარე მოსახლეობის რაოდენობას შორის ბალანსის დარღვევა გამოიწვია. აღნიშნულის შედეგად როგორც კონკრეტულ-ისტორიული პირობების, ისე ბუნებრივ-ეკოლოგიური მოვლენების გამოისობით არაბეთში ნარმოიქმნა მოსახლეობის, პირველ რიგში კი, მომთაბარე მოსახლეობის ნამატი. სამხრეთარაბული ცივილიზაციის განადგურება განაპირობა იმავე კონკრეტულ-ისტორიულმა მიზეზებმა – გარემოს ცვლილების გაღრმავებამ გამოიწვია ცნობილი მაარიბის კაშხლის დანგრევა, რაც ეკოლოგიაში ანთროპოგენური ფაქტორის შედეგი იყო. ამას კი საბოლოოდ მოჰყვა არა მხოლოდ მომთაბარეების სედენტარიზაცია, არამედ მან ბინადარი მოსახლების ნომადიზაციაც განაპირობა. აღნიშნულმა ფაქტორმა გამოიწვია გადამეტსახლება და თავდაპირველად არაბ მომთაბარეებს შორის გააძლიერა თარეშები და ომები. არაბეთი VI საუკუნის მეორე ნახევარსა და VII საუკუნის დასაწყისში პირთამდე ავსებულ გახურებულ ორთქლის ქვაბს მოგვაგონებდა. ორთქლის გამოსაშვებად აუცილებელი იყო არაბების ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანება. მისი ჩამოყალიბების სოციალური წინაპირობები უკვე მომნიფებული იყო როგორც ბედუინთა, ისე არაბეთის ბინადარ საზოგადოებებში. მასში იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავრცელების შემთხვევებმა იდეოლოგიური ინოვაციისათვის ისლამის სახით ნიადაგი მოამზადა. ირანისა და ბიზანტიის სისუსტის სწრაფი გამოვლინება იმავე კონკრეტული ისტორიული გარემოებების შედეგი იყო, რამაც ხელი შეუწყო შიდა სიძნელეების წარმატებით გადაწყვეტას საგარეო ექსპანსიის ხარჯზე. თუმცა მ. უატის სამართლიანი მოსაზრებით, ისლამი ნარმოიქმნა არა უდაბნოში, არამედ მექის ფინანსურ-კომერციულ გარემოში და ბედუინები ხალიფა ომარის ცინიკური გამოთქმით, ისლამისათვის მხოლოდ და მხოლოდ ნედლეულს ნარმოადგენდნენ, რომლებიც მასობრივად გადასახლდებოდნენ დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიებზე და თან მიჰქონდათ ახალი მსოფლიო რელიგიის მწვანე დროშა.

წყაროებით გადასახლებებში მონაწილე ხალხების ზუსტი რაოდენობის დადგენა გაძნელებულია. ზოგიერთი მონაცემებით, ვესტგოთები, რომლებმაც რომის პროვინცია – მეზია დაიკავეს, 376 წელს 15 ათას კაცს ითვლიდნენ. ვანდალები, რომლებიც 406 წ. იტალიისაკენ მიემართებოდნენ, 200 ათასიდან 400 ათასამდე იყვნენ. ბალკანეთში გადასახლებული სლავები 100 ათას კაცამდე იყვნენ.

ხალხთა დიდი მიგრაციები ფრანგულ ისტორიოგრაფიაში „გერმანელთა თარეშებადაა" სახელდებული. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ **ამ მიგრაციებმა თუ თარეშებმა ევრაზიის ვეებერთელა სივრცე მოიცვა და რადიკალურად შეცვალა სამყაროს ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური იერსახე.** ხალხთა დიდი გადასახლებები გარდამავალი ეპოქის უნიკალური ისტორიული ფენომენი იყო. ეს იყო ფაქტობრივად ძველი ცივილიზებული სამყაროს – რომისა და ბარბაროსული გერმანული, თურქული, სლავური, ირანული ეთნოსების ჭიდილი. შვიდსაუკუნოვან მიგრაციებს, თარეშებს დიდი სისხლისღვრა და ახალი ცივილიზაციების წარმოქმნა მოჰყვა. წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები, ახალი ხალხები, ახალი სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, მორალი, ფასეულობები, სულიერი სამყარო.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ხალხთა დიდ მიგრაციებს ანტიკურობასა და შუასაუკუნეებს შორის დროებით „ღრიჭოს" უწოდებენ** და მას სამ ეტაპად ყოფენ: პირველი (II-IV საუკუნეები) – „გერმანული", მეორე (IV-V საუკუნეები) – „**ჰუნური**", მესამე (VI-VII საუკუნეები) – „**სლავური**", მაგრამ ამ სამ ეტაპს აუცილებლად მეოთხე (VIII-IX საუკუნეები) – „თურქულ-მადიარული" უნდა დაემატოს, რადგან ის თურქთა და მადიართა მიგრაციებს არ ასახავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII–IX საუკუნეებში ევროპაში აღმოსავლეთის ხალთა მიგრაცია-თარეშები მადიარებმა (უნგრელებმა) დააგვირგვინეს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ხალხთა დიდი გადასახლებები? ხალხთა დიდი გადასახლებების წინ გერმანულ და სლავურ ტომთა ცხოვრებაში თვისობრივი ცვლილებები მოხდა (საზოგადოებრივი ქონებისა და ნაყოფიერ შრომაში დაუსაქმებელი ადამიანების რაოდენობის ზრდა). სატომო ელიტა ქონების დაგროვებისკენ მიისწრაფოდა. ქონების მოპოვებისა და დაგროვების საშუალებას კი იმპერიის ტერიტორიაზე ლაშქრობები წარმოადგენდა. ეს ლაშქრობები, თავის მხრივ, რომის სახელმწიფოს ფარგლებში გადასახლებებისათვის ნიადაგს ამზადებდა. ამასთანავე რომის იმპერიაც ხშირად ბარბაროსების მიგრაციას ხელს უწყობდა. ჰუნების ცენტრალურ ევროპაში გამოჩენამ მიგრაციული პროცესები მკვეთრად დააჩქარა, რომელთა შემოჭრამ ადგილობრივი ეთნოსები აამოძრავა. ჰუნების გადასახლების მიზეზი კი ბინადარ ხალხთაგან განსხვავებით რამდენადმე სხვა ფაქტორებით იყო განპირობებული. ბუნებრივი ფაქტორების როლი ნომადთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უფრო დიდ გავლენას ახდენდა, ვიდრე მინათმოქმედებაზე. „მომთაბარულმა ფაქტორმა" და გერმანულსა და სლავურ საზოგადოებებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა და რომის იმპერიის კრიზისმა ევრაზიის სივრცეში ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან IX საუკუნემდე შეუჩერებელი მიგრაციული პროცესები გამოიწვია.

ახ.წ.-ის II ათასწლეულის პირველ ნახევარში აზიისა და ევროპის ეთნიკურ ისტორიაზე დიდი გავლენა მოახდინა მონღოლთა დაპყრობებმა. მათ სხვა, უპირატესად თურქული მოდგმის ხალხები დაიპყრეს, რომლებიც XIII საუკუნეში ჩინგის-ხანისა და მის მემკვიდრეთა ფართო, თუმცა ეფემერული იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. ვრცელ ტერიტორიაზე მონღოლთა დაპყრობებს თან ახლდა მთელ რიგ ეთნიკურ ერთობათა გადაადგილებანი, რასაც შედეგად მოჰყვა სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ხალხების ერთმანეთთან შერევა და შეიქმნა წინაპირობები ცენტრალური, შუა და წინა აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ახალი ეთნოსების ფორმირებისა. ამ ეთნიკური პროცესების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თათრების სხვადასხვა ჯგუფების გამოჩენა ციმბირში, ვოლგა-კამასა და ყირიმში. მონღოლ-თათართა კვალდაკვალ კავკასიასა და მცირე აზიაში, ოდნავ მოგვიანებით კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შეიჭრა თურქული მოდგმის ხალხების ახალი ჯგუფი – ოღუზები, რომლებიც თანამედროვე შუაზიელი თურქმანების მონათესავენი იყვნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და არსებითი როლი ითამაშეს ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში, მათ შორის აზერბაიჯანელებისა და თურქ-ოსმალებისა, რომლებმაც XV საუკუნეში გაანადგურეს ბიზანტია და რამდენიმე საუკუნით დაიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ბევრი ხალხი. XV საუკუნეში აზიაში, ევროპასა და აფრიკაში ჩამოყალიბდა თითქმის ყველა ეთნოსი, რომლებიც დღევანდლამდე არსებობს.

მთელი მსოფლიოს ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვასა და განვითარებას, რასთანაც დაკავშირებულია XVI-XIX საუკუნეებში ევროპელთა დიდი ჯგუფების ამერიკაში, ავსტრალიაში, ოკეანიასა და სამხრეთ აფრიკაში გადასახლება. ამ გრანდიოზულ მიგრაციებში მთავარი და წამყვანი როლი თავდაპირველად ესპანელებმა და პორტუგალიელებმა ითამაშეს. ამერიკის კონტინენტზე მიგრირებულმა, მშობლიურ ეთნოსებს მოწყვეტილმა ევროპელებმა უცხო საბინადრო ადგილებში ახალ ეთნიკურ ერთობებს მისცეს დასაბამი. ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში პირველ შემთხვევაში მთავარი როლი ითამაშა კოლონიური ქვეყნების ადგილობრივმა აბორიგენმა მოსახლეობამ, მეორე შემთხვევაში კი – ევროპიდან გადასახლებულთა შთამომავლებმა, რომელთაც ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ხელოვნურად იზოლაციაში მოაქციეს და თავიანთი ეთნიკური ტერიტორიიდან გააძევეს. პირველი გზით მოხდა მექსიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ბევრი ხალხის ფორმირება. ეთნიკური განვითარების მეორე გზა დამახასიათებელი იყო კანადელებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, არგენტინისათვის, ურუგვაისათვის, ავსტრალიისათვის, ოკეანიის ბევრი კუნძულისათვის (ახალი ზელანდია, ჰავაი და სხვ.). ანალოგიური გზით სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიიდან გადასახლებულთა შთამომავლებისაგან (ე.წ. ბურები) ჩამოყალიბდა ახალი ეთნოსი – აფრიკანერები, რომლებიც ლაპარაკობენ „აფრიკანსის" განსაკუთრებულ ენაზე (6 მილიონზე მეტი). ის ახლოსაა ჰოლანდიურთან და ამავე დროს მისგან ბევრი

თავისებურებით განსხვავდება. ზოგიერთ ამერიკულ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე, ვენესუელის, ბრაზილიისა და გაიანის ეთნიკურ ისტორიაში ევროპელების გვერდით დიდი როლი ითამაშეს ინდიელებმა და აფრიკული წარმოშობის მონათა შთამომავლებმა.

უფრო ადრე ამა თუ იმ ეთნოსში სხვა ხალხთა (ეთნოსთა) წარმომადგენლების შეღწევა მოხდა ანტიკური სამყაროს მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობების დროს. ამ საზოგადოების მოსახლეობის უმეტესობა, როგორც ნესი, თავისუფალი მეთემეებისაგან შედგებოდა, რომლებიც უპირატესად მინათმოქმედნი იყვნენ. ძირითადი ექსპლუატირებული კლასი, მონები, მონათმფლობელებისა და თავისუფალი მეთემეებისაგან ეთნიკური მიკუთვნებულობით განსხვავდებოდა. მონები უცხო ეთნოსთა წარმომადგენლები იყვნენ და, ბუნებრივია, თავდაპირველად არ შედიოდნენ არც ბერძნულ და არც რომაულ ეთნოსში. რომის იმპერიაში მონათა უმეტესობა სხვადასხვა ხალხის (ეთნოსის) წევრი იყო, რომლებთანაც რომაელები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. მონებად ჰყავდათ ათასობით სამხედრო ტყვე: თრაკიელები, ილირიელები, გალები (კელტები), გერმანელები, სლავები და ბევრნი სხვანი, რომელთა მინები ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში რომაელთა ჯარების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ იყო დაპყრობილი. მონათა ყველაზე დიდი აჯანყების ბელადი სპარტაკი (ძვ.წ. I ს.) წარმოშობით თრაკიელი იყო. ახალი ერის პირველ საუკუნეებში, როდესაც რომის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება თანდათანობით დასუსტდა, ბევრმა შორსმჭვრეტელმა რომაელმა მონათმფლობელმა თავისი მონების მიწაზე დასმა დაიწყო. ამასთანავე მათ ნებას რთავდნენ დაქორწინებულიყვნენ და შეექმნათ ოჯახები. თავისთავად ცხადია, ამ მონათა შთამომავალნი შედიოდნენ იმ ხალხის (ეთნოსის) შემადგენლობაში, რომელთა გარემოცვაშიც ცხოვრობდნენ.

ამრიგად, მსოფლიოს ეთნიკური სურათი მუდმივად იცვლებოდა და დღესაც იცვლება. ისტორიული ეთნოლოგია შესანიშნავ საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ დედამიწის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლა ათასწლეულების განმავლობაში. ეთნიკურ ცვლილებებს კი ძირითადად მიგრაციები, ერთი ეთნოსის განსახლების არეალის შეცვლა იწვევდა. ჯერ კიდევ ცამეტი საუკუნის წინ ჩრდილოეთ აფრიკა სხვადასხვა ბერბერული ეთნოსებით იყო დასახლებული, აგრეთვე ძველი ეგვიპტის შთამომავალი კოპტებით. დღეისათვის მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში არაბები დომინირებენ. ხუთი საუკუნის წინ ამერიკის მოსახლეობას სხვადასხვა ეთნიკური შემადგენლობის ადგილობრივი მკვიდრნი – ინდიელები შეადგენდნენ. ახლა მოსახლეობის ძირითად ნაწილს ესპანურ, ინგლისურ, პორტუგალიურსა და ფრანგულ ენებზე მოლაპარაკე ახალგაზრდა ეთნოსები წარმოადგენს. სულ რაღაც ორასი წლის წინ ავსტრალიის კონტინენტზე მხოლოდ ადგილობრივი ტომები ცხოვრობდნენ, ახლა კი მთელი მოსახლეობის 97%-ს ახლადწარმოქმნილი ანგლო-ავსტრალიური ეთნოსი წარმოადგენს. მიგრაციის მაგალითები ზემოთ ბევრი მოვიყვანეთ, რომლებმაც თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური სურათის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანეს.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ეპოქაში მიგრაციების მიმართულება იცვლებოდა. მაგალითად, XX საუკუნის შუა ხანებამდე თუ მიგრაციები ძირითადად ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან ახალი სამყაროს ეკონომიკურად სუსტად განვითარებულსა და აუთვისებელ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა (XX საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკის კონტინენტზე, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში 11 მილიონზე მეტი ადამიანი გადავიდა), ასნლეულის მეორე ნახევარში საკონტინენტთაშორისო მიგრაციის მიმართულება შეიცვალა და მისი მასშტაბები ბევრად დიდი აღმოჩნდა. ამ პერიოდში აზიისა და აფრიკის ქვეყნების განვითარებადი ქვეყნების „დემოგრაფიული აფეთქების" შედეგად წარმოქმნილი მოსახლეობის დიდი ნამატი ევროპისა და ამერიკის სამრეწველო ქვეყნებში შეიჭრა. სხვადასხვა მიზეზით გადასახლებულთა რიცხვმა 60 მოლიონს გადააჭარბა. ამის შედეგი იყო ის, რომ XX საუკუნის ბოლოს გერმანიაში ცხოვრობდა 10 მილიონი ემიგრანტი, საფრანგეთში დაახლოებით – 7 მილიონი, შვეიცარიაში – 3 მილიონი.

§5. მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორია და ეთნიკური კულტურა.

ა. ავსტრალიისა და ოკეანიის ხალხები. სამყაროს ყველაზე პატარა ნაწილი ავსტრალიასა და ოკეანეას უკავია – აქ მოსახლეობის საერთო რაოდენობა 30 მილიონი კაცია. დედამიწის ამ ნაწილში კულტურის, ყოფისა და მეურნეობის არქაული ფორმებია შემორჩენილი. ამ რეგიონს ოთხ ეთნოგრაფიულ მხარედ ყოფენ: პოლინეზია, მიკრონეზია, მელანეზია და ავსტრალია. სხვა ტერიტორიებთან შედარებით, ავსტრალია და ახალი გვინეა ადამიანთა მიერ შედარებით ადრე იქნა დასახლებული. აქ მცხოვრები ადამიანების ძირითადი საქმიანობა ნადირობა და შემგროვებლობა იყო. ისინი სარგებლობდნენ ქვის იარაღებით. ავსტრალოიდური რასის წარმომადგენელთა გადმოსახლება ახალ გვინეაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მოხდა. ისინი ლიტერატურაში პაპუასების სახელით არიან ცნობილი. მელანეზიის მოსახლეობა სხვადასხვა ხალხებისაგან შედგება. ამ რეგიონში თავის დროზე რასათა შერევა მოხდა. მელანეზიელები ენობრივად, ანთროპოლოგიურად და ეთნიკური კულტურის თვალსაზრისით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასევე მრავალფეროვანია პოლინეზიელთა ეთნიკური ერთობები და ეთნიკური კულტურა. ახალ გვინეაში ევროპელებმა (პორტუგალიელებმა) შეაღწიეს. მაგელანმა მარინის კუნძულებს მიაღწია. ავსტრალია ევროპელებმა XVII საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს. ევროპელთა კოლონიზაციამ ადგილობრივი ხალხების ცხოვრებაში მძიმე შედეგები მოიტანა – აბორიგენების კულტურა მოისპო, მრავალი ეთნიკური ჯგუფი საერთოდ ამოწყდა, ან მათი რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. მიუხედავად ამისა, ამ რეგიონის იმ ხალხთა კულტურა, რომელთაც ევროპელებთან შეზღუდული კონტაქტები ჰქონდათ, ნაწილობრივ მაინც შემორჩა. ავსტრალიის მოსახლეობის მხოლოდ 2%-ია აბორიგენი და მეტისი. ანთროპოლოგიურად აბორიგენები ავსტრალოიდური რასის წარმომადგენლები არიან. ისინი 200-ზე მეტ ენაზე ლაპარაკობენ. მამაკაცების ძირითადი საქმიანობა მონადირეობა იყო, ხოლო ქალებისათვის კი – საკვებად ვარგისი ფლორისა და ფაუნის შეგროვება. აბორიგენები ბუმერანგითა და შუბებით ნადირობდნენ.

თევზს იჭერდნენ კალათებით, ჭვილთითა და ხელით. მოშინაურებული ჰყავდათ ნახევრად ველური ძაღლი დინგო. ყოფითი საჭიროებისათვის იარაღს ქვის, ხის, ძვლისა და ნიუარებისაგან აკეთებდნენ. მათ მუდმივი საცხოვრებელი სახლები არ ჰქონდათ. ცხოვრობდნენ მომთაბარეთა სადგომებში (ქოხებში). აბორიგენები არ იცმევდნენ ტანსაცმელს (ზოგიერთი ხალხი თეძოზე შემოსარტყმელს ატარებდა). შეეძლოთ ცეცხლის დაკვესება და ცეცხლზე საჭმლის მომზადება. ეთნიკური ერთობები ტომების სახით იყო წარმოდგენილი. არ ჰყავდათ ბელადები. თითოეული ტომი თემებისაგან შედგებოდა. თემის მეთაური იყო ყველაზე ხანში შესული მამაკაცი, რომელიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. ჩვეულებრივ, ტომები ერთმანეთს შორის მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მათი რელიგია ტოტემიზმი და მაგიური რწმენა-წარმოდგენები იყო. აბორიგენთა ცეკვები ვოკალური მუსიკის თანხლებით სრულდებოდა. XX საუკუნის დასაწყისში ავსტრალიაში ანგლო-ავსტრალიელთა ერი (ნაცია) ჩამოყალიბდა, რომლებიც ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. რაც შეეხება ახალი გვინეის ხალხებს, ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში პაპუასების სახელით არიან ცნობილი (ენგა, ჩიმბუ, მედლპა, ხული, კამანო, ანგალი, დანი...). ახალ გვინეაში მელანეზიელებიც ცხოვრობენ, რომლებიც ნატურალურ მეურნეობას მისდევდნენ, იყენებდნენ თოხს, ქვის ცულს, ვიწრო ნიჩაბს. ახალგვინეელების ცხოვრების თავისებურება ის იყო, რომ მამაკაცები განსაკუთრებულ მამაკაცთა სახლებში ცხოვრობდნენ. საცხოვრებელი ხიმინჯებიანი ქოხი იყო. ქალის ტანსაცმელი ბალახების ბოჭკოსაგან გამოყვანილი ქვედატანი იყო, კაცებისა – თეძოზე შემოსარტყმელი სარტყელი. მამაკაცებში ძალიან იყო გავრცელებული ტატუირება. ძირითადად იკვებებოდნენ ხილითა და ბოსტნეულით, იშვიათად – ხორცით. პაპუასების თითოეული ტომი ცალკე ეთნიკურ ერთობას წარმოადგენდა. შემორჩენილი იყო მამისეული გვარი. ყველაზე დიდი სოციალური ორგანიზაცია კი გვარების კავშირი იყო. პაპუასების რელიგია იყო ტოტემიზმი, მაგია, წინაპართა კულტი. ჰქონდათ დამრიგებლური ხასიათის, მორალის შემცველი ზღაპრები. პოლინეზიის ხალხები ტრადიციული კულტურით ერთმანეთთან ახლოს დგანან. რასობრივი თვალსაზრისით მათ ავსტრალოიდებსა და მონღოლოიდებს შორის გარდამავალი საფეხური უჭირავთ. პოლინეზიელებში კარგად იყო განვითარებული მეთევზეობა და ხელოსნობა. არ ცნობდნენ ლითონებს. ცხოვრობდნენ სოფლებში. საცხოვრებელი სახლები ბოძებზე ჰქონდათ შემოდგმული, კედლები კი ბალახებისა და ფოთლებისაგან ჰქონდათ მოწნული. ტანსაცმელი თეძოზე ჰქონდათ შემორტყმული. პოლინეზიელებში არავითარი სოციალური დიფერენციაცია არ არსებობდა. დღეისათვის ისინი პროტესტანტი ქრისტიანები არიან. პოლინეზიელები მღერიდნენ სასულე და დასარტყმელი ინსტრუმენტების თანხლებით. ახალი ზელანდია მაორებით იყო დასახლებული, რომლებიც ხის სახლებში ცხოვრობდნენ. ტანსაცმელს იკერავდნენ ახალზელანდიური სელისაგან. მოჰყავდათ ბატატი. ახლა მოსახლეობა ძირითადად ევროპელთა შთამომავალია. თანამედროვე ახალ ზელანდიაში მაორების რაოდენობა დაახლოებით 325 ათასი კაცია. კუნძულებზე

ცხოვრობს ლაუს ხალხი, რომელთათვისაც ძვირფასეულობა ნიჟარები იყო. ნიჟარებით ისინი საცოლეს ყიდულობდნენ.

ბ. დასავლეთ აზიის ხალხები. დასავლეთი, ანუ წინა აზია მოიცავს არაბეთის ნახევარკუნძულს, სომხეთისა და ირანის მთიანეთს, მესოპოტამიას, მცირე აზიას, პალესტინას (ირანი, ერაყი, კუვეიტი, თურქეთი, საუდის არაბეთი, სირია, იემენი, ისრაელი, ლიბანი, იორდანია, კვიპროსი, კატარი, ბახრეინი და გაერთიანებული არაბეთის საამიროები). ამ რეგიონის ხალხებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მსოფლიოს კულტურის ფორმირებაში. ამ გეოგრაფიულ არეალში განსახლებული უძველესი ხალხების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ მეცნიერებს საკმარისი წერილობითი წყაროები გააჩნიათ. მნიშვნელოვანი ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა ძე. ნ. I ათასწლეულში – ამ დროს წარმოიქმნა ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა ირანი, ბაქტრია, მიდია, პართია. აქ მიმდინარეობდა დასავლურ-ირანულ ენებზე მოლაპარაკე ეთნოსების ფორმირება: სპარსელების, ტაჯიკების, ქურთების, პუშტუნების, ბელუჯებისა. VII-VIII საუკუნეებში არაბთა დაპყრობებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც რეგიონის ეთნიკურ შემადგენლობაზე, ისე ეთნიკურ კულტურაზე. ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა თურქთა და მონღოლთა დაპყრობებს. მოხდა ახალი ეთნიკური ერთობების წარმოქმნა. რეგიონის მოსახლეობის უმეტესობა დიდი ევროპეიდული რასის სხვადასხვა რასობრივ ტიპს მიეკუთვნება. ყველა ერი (ნაცია), თურქების გარდა, არაბული დამწერლობით სარგებლობს. ამ ქვეყნების სამეურნეო-კულტურული ტიპები განსხვავებულია. ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაში არიან დასაქმებულნი. განსაკუთრებით განთქმულია ხალიჩების წარმოება. ორნამენტში ერთმანეთში შერწყმულია ეგვიპტური, ანტიკური და სპარსულ-ბიზანტიური ელემენტები. ხალიჩები გარდა საცხოვრებელი სახლებისა ფართოდაა გამოყენებული მეჩეთებში. სახლები შენდებოდა თიხის, ქვისა და აგურისაგან. მუსლიმური სახლები ორი ნაწილისაგან შედგება – საქალებო და სამამაკაცო. მომთაბარეთა საცხოვრებელი იყო კარავი, ალაჩოყი და კიბიტი – დახურული, ჩარდახიანი ურემი. ხალხების უმეტესობის მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სახეს ჩადრით იფარავენ ანდა მოსახვევით ნიკაპსა და პირს იკრავდნენ. ამ რეგიონში მცხოვრები ხალხების სოჯახო ურთიერთობები ემყარება როგორც ჩვეულებით სამართალს, ისე შარიათს. პოლიგამია მხოლოდ საზოგადოების შეძლებულ ფენებშია გავრცელებული. შუა საუკუნეებში შეიქმნა მდიდარი მხატვრული ლიტერატურა. მთელ მსოფლიოშია ცნობილი აღმოსავლეთის ხალხების ზღაპრები და ლეგენდები. არაბული არქიტექტურა კი სახელგანთქმულია თავისი მინარეთებითა და სასახლეებით. ძირითადი რელიგია ისლამია. მცირე რაოდენობით არიან ქრისტიანები, ისრაელში – იუდეველები.

გ. სამხრეთ აზიის ხალხები. სამხრეთ აზიის ტერიტორიაზე განლაგებულია სახელმწიფოები: ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ნეპალი, შრი-ლანკა, ბუტანი, მალდივის რესპუბლიკა. აღნიშნულ ტერიტორიაზე დაახლოებით 200 ენაზე მოლაპარაკე ეთნოსები არიან განსახლებულნი. ბევრი მათგანი ერად (ნაციად) არის კონსოლიდირებული.

გვხვდება ბევრი ტომთა ჯგუფიც. ინდოეთში შტატები ლინგვისტური პრინციპით არის დაკომპლექტებული. მალდივის რესპუბლიკაში მკვიდრობენ დრავიდები, არაბები, სინგალები. ამ ხალხების ეთნიკური ისტორია ძალიან ძველია. ირანულენოვანი ხალხები პუშტუნებისა და ბელუჯების სახით არიან წარმოდგენილნი. შრი-ლანკის ნახევარკუნძულზე ცხოვრობენ ვედები, სინგალები და დრავიდულენოვანი თამილები. სამეურნეო და სოციალ-ეკონომიკური განვითარებით ეს რეგიონი ჭრელია. მიწათმოქმედ-მესაქონლეთა მეურნეობა ძვ. წ. IV ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ხელოსნობა დამოუკიდებელი დარგი იყო, რომლის ცენტრები ქალაქები იყო. ჯუნგლებში მცხოვრებმა მოსახლეობამ მეურნეობის მიმთვისებლური ფორმები შემოინახა. საატრანსპორტო საშუალებები იყო სახედარი და აქლემი. ტვირთების გადასატანად ტროპიკებში განვრთნილ სპილოებსაც იყენებდნენ. გვალვიან რაიონებში მონყობილი აქვთ სარწყავი სისტემები. გამწევ ძალას კი კამეჩი ნარმოადგენდა. ძირითადი საექსპორტო საქონელია ქსოვილები, ხალიჩები და ქაშმირის შალი. ბელუჯები და პუშტუნები ექსტენსიურ სასაძოვრე მესაქონლეობას მისდევდნენ. ჰყავთ აქლემები, ცხენები, წვრილფეხა საქონელი. სოფლის მცხოვრებნი ხშირად დადიან ფეხშიშველა, ქალაქის მცხოვრებნი კი – ქსოვილის ფეხსაცმელს იცვამენ. ეთნიკურობას არკვევენ ტანსაცმლის ფერით, მისი ტარების წესითა და ნახჭით (სახე, მოხატულობა). ინდოელ ქალებს სახეზე გამოსახული აქვთ კასტის ნიშანი. სამხრეთ აზიის მოსახლეობის ძირითადად რძეულის პროდუქტებისა და მცენარეული საკვებით იკვებება. საოჯახო ყოფა რელიგიითა და ტრადიციებით იყო განპირობებული. მუსლიმებსა და ინდუისტებში ბევრი იყო დიდი პატრიარქალური ოჯახი. ძალიან გავრცელებული იყო ადრეული ქორწინებები. დღეს ის აკრძალულია. ზოგიერთ ხალხში (ნაირი) ქონების მემკვიდრეობითი გადაცემა და ბავშვის სახელდება დედისეული ხაზით ხდება. სამხრეთ აზიის ჩამორჩენილ ხალხებში ოჯახი საზოგადოების უჯრედს არ ნარმოადგენს, ის არამდგრადია. შემორჩენილია ინიციაციის წესიც. გაყრის შემთხვევაშიც კი ქალს ხელახლა გათხოვება არ შეუძლია. ზოგიერთ ეთნოსში დაშვებულია პოლიგამია, განსაკუთრებით ცოლის უშვილობისა და ვაჟის არყოლის შემთხვევაში. მამაკაცის სიკვდილის შემთხვევაში მოქმედებს ლევირატის წეს-ჩვეულება. ძველი ხელოვნების ჩვენამდე მოღწეული ყველა ნიმუში რელიგიური ხასიათისაა. განვითარებული იყო მეტალების ქანდაკებების შექმნა, გრავიურება, საიუველირო საქმე. მუსიკა და ცეკვა, სიტყვა და ჟესტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ცეკვაში ყველა მოძრაობას თავისი შინაარსი აქვს. რეგიონში გავრცელებულია სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები – ბუდიზმი, ინდუიზმი, ჯანაიზმი, ქრისტიანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა. ტომობრიობის საფეხურზე მდგომი მოსახლეობა პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენების მიმდევარია.

დ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხები. ეს რეგიონი მოიცავს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულს, ინდონეზიის არქიპელაგს კუნძულებით იავა, სუმატრა, კალიმანტანა, ფილიპინების არქიპელაგს. აქ ათასწლეულების განმავლობაში რთული ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა. თანამედროვე ბირმელების წინაპრები მდინარე ირავადის ხეო-

ბაში ძვ. წ.-ის I ათასწლეულში დასახლდნენ, მიანმის ტერიტორიაზე კი – ტაიელი ხალხები. ლაოსში პირველი სახელმწიფო XII საუკუნეში წარმოიქმნა, ხოლო ლაოს ეთნიკური ჯგუფის კონსოლიდაციას XIII საუკუნის ბოლოთი ათარიღებენ. ვიეტნამის ხალხების ეთნიკური ისტორია შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ცნობილია, რომ ვიეტების წინაპრები ამ ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის I ათასწლეულში გამოჩნდნენ. ძვ. წ. I ათასწლეულში ჩამოყალიბდა მალაელების ეთნიკური ჯგუფიც. ინდონეზიის ბევრმა მკვიდრმა პირველყოფილი რწმენა-წარმოდგენები შეინარჩუნა. რეგიონში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ხალხთაგან შეიძლება დავასახელოთ: მიანმა, კარენები, კაია, ნაგა, კაჩინები, სიანები, მონები, პალანგი, კხონტაი, ლოა, ფუან, ქხმერები, ქხმუ, ჩინელები, ლისუ, მიაო-იაო, ტაი, ცუტენგი, ვიეტები, მიონგი, თხო, ბახნარი, სედანგი, კოხო, ხრე, ნუნგი, ხანი, ჩამი, ზირაი, ედე და სხვ. კამბოჯაში ცხოვრებენ მონ-ქხმერის ჯგუფის ეთნოსები, მალაიზიაში – მალაელები, იავანელები, ბანჯარები, ჯაკუნები, ჩინელები და სხვ., ბრუნეის სასულთნოში – მალაელები, სინგაპურში მოსახლეობის უმეტესობა ჩინელია. ძალიან რთულია კუნძულების მოსახლეობის ენობრივი და ეთნიკური შემადგენლობა. ფილიპინების მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით ოთხ ჯგუფად იყოფა. სხვადასხვაგვარია სამეურნეო-კულტურული ტიპი. ფართოდაა გავრცელებული მიწათმოქმედება, გადარეკვითი მესაქონლეობა, გაყვანილი აქვთ საირიგაციო სისტემებიც. ეთნოსთა უმეტესობისათვის მთავარი კულტურა ბრინჯია. საცხოვრებელი სახლები სხვადასხვა ტიპისა აქვთ (ხიმინჯებსა და მიწის პირას აშენებული). კუნძულებზე სახლების სახურავები ხშირად პალმის ფოთლებით აქვთ გადახურული.სამშენებლო მასალად ფართოდ იყენებენ ბამბუკსა და ხეს. სახლები უბრალოდ აქვთ მოწყობილი. ჭილოფებზე სხედან, სძინავთ და ჭამენ. ტრადიციული ნაციონალური ტანსაცმელი მრავალფეროვანია. კონუსისებური შლიაპა ბრინჯის ნამჯისაგან ჰქონდათ გაკეთებული. ამ რეგიონის ხალხთა ძირითადი საკვებია ხილი და ბოსტნეული. ოჯახები მონოგამიური აქვთ. ფილიპინებში ქრისტიანები ცხოვრობენ, ინდოჩინეთში – ბუდისტები, ინდონეზიასა და მალაიზიაში – მუსლიმები.

ე. აღმოსავლეთ აზიის ხალხები. აღმოსავლეთ აზიის ხალხებს მიეკუთვნებიან ჩინეთის, იაპონიის, კორეისა და მონღოლეთის ხალხები. ჩინეთის ისტორია 4 ათასზე მეტ წელს ითვლის. ჩინეთის ტერიტორიაზე მცხოვრები შიდა მონღოლეთის ხალხები (დუნსიანი, ტუ) ალთაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან. ჩინური ენა თავისი დიალექტებით სინო-ტიბეტურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის ხალხები ტიბეტურ-ბირმულ ენებზე მეტყველებენ. ავსტროზიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება მონ-ქხმერის ჯგუფის ენები. მოსახლეობის უმეტესობა მონღოლოიდურ რასას მიეკუთვნება. სამეურნეო-კულტურული ტიპები მრავალფეროვნებით ხასიათდება. მომთაბარე მესაქონლეები დასაშლელ-გადასატან საცხოვრებლებს იყენებდნენ. მიწათმოქმედი ხალხები ძირითადად ხიმინჯებიან საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ. სამშენებლო მასალად ბამბუკიც იყო გამოყენებული. აზიის მომთაბარე ხალხებმა გამოიგონეს შარვალი და ტყავის ჩექმები. მომთაბარე ხალხების საკვები რაციონი ძირითადად ხორცეულისა და რძის პროდუქტებისაგან შედგებოდა. მიწათმოქმედები იკვებებოდნენ

ბრინჯით, ბოსტნეულით, თევზითა და ხორცით. იაპონიელები საკვებად უმ თევზსაც იყენებენ. აღმოსავლეთ აზიის ხალხები ჭამდნენ ორიგინალური ხელსაწყოთი – ჩხირებით. ორიგინალურია რეგიონის სულიერი და მატერიალური კულტურა. ევროპულისაგან ის მსოფლგაგებით განსხვავდება. აქვთ მდიდარი მითოლოგია, რომლებიც სამყაროს შექმნასა და ადამიანის გაჩენაზე მოგვითხრობენ. თავისებურია აღმოსავლეთ აზიის ხალხების დამწერლობითი ტრადიცია. ჩინური იეროგლიფები ძვ. წ.-ის II ათასწლეულის დასაწყისში შეიქმნა. ის მეზობელმა ხალხებმაც ისესხეს, ფერელთაგან შემდეგ ზოგიერთი მათგანი ნერის საკუთარ სისტემაზე გადავიდა. ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში ბუდიზმი ახ. წ.-ის I საუკუნეში გავრცელდა, ტიბეტში ის ლამაიზმის ფორმით შევიდა. ჩინელთა სულიერ ცხოვრებაში ერთმანეთშია გადაჯაჭვული ბუდიზმის, კონფუციანობის და დაოსიზმის ელემენტები.

3. აფრიკის კონტინენტზე მცხოვრები ხალხები. აფრიკა უნიკალური კონტინენტია. აქ მკვიდრობს სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობის მოსახლეობა. აფრიკა მოსახლეობის მატების ტემპებითაც გამოირჩევა. მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ აფრიკაში დაიწყო ანთროპოგენეზის პროცესი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცენტრალური აზიის ხალხები კულტურულსა და ეკონომიკურ იზოლაციაში იმყოფებოდნენ. სანაპირო რაიონები საერთოდ დიდ გავლენას ახდენდა დანარჩენ მხარეებზე. შუა საუკუნეებში არაბებმა ჩრდილოეთ აფრიკის ხალხები დაიპყრეს. მოხდა არაბული და აფრიკული კულტურის სინთეზი, დაიწყო ისლამისა და ისლამური კულტურის გავრცელება. აფრიკა დიდი ხნის განმავლობაში მონათვაჭრობის წყარო იყო. აფრიკის კოლონიური დაპყრობა ძირითადად XIX საუკუნეში მიმდინარეობდა. პოლიტიკური საზღვრების გავლების შემდეგ ერთი ეთნოსის წარმომადგენლები სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. აფრიკის ეთნიკურ რუკაზე მეცნიერი ეთნოლოგები 500-ზე მეტ ხალხს გამოყოფენ. საერთოდ, აფრიკის ეთნიკური კლასიფიკაციის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ცენტრალური აფრიკის ხალხებმა არ იცოდნენ სამეთუნეო ჩარხი (მორგვი), ბორბალი და გუთანი. საკულტო საგანი იყო დოლი, რომელიც საბრძოლო, რიტუალურსა და შორ მანძილზე ინფორმაციის გადაცემის საშუალებასაც წარმოადგენდა. ჩრდილოეთ აფრიკაში ცალკე გამოიყოფა მაღრიბის მოსახლეობა. მაღრიბს მიეკუთვნება ალჟირის, ტუნისის, მაროკოს, ლივიის, მავრიტანიის, ეგვიპტის, საუდის მოსახლეობა. აქ მცხოვრები ხალხები ძირითადად არაბულ ენაზე ლაპარაკობენ. ამ რეგიონის სახელმწიფო საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. სანაპირო ზოლის მოსახლეობა მისდევს მეთევზეობას, მინათმოქმედებას, მოჰყავთ ადრეული ბოსტნეული, ყურძენი, თამბაქო, ციტრუსები, თესავენ ხორბალსა და სიმინდს. მთის მცხოვრებნი მისდევენ როგორც მინათმოქმედებას, ისე მესაქონლეობასაც. მავრები და ტუარეგები მომთაბარე ხალხებია (ამ უკანასკნელთ აქვთ ძველი ორიგინალური დამწერლობა). მათ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს აქლემის ჯოგები. მომთაბარე ხალხებში დანინაურებულია საქარავნო ვაჭრობა. ხელოსნობა განვითარებული იყო არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლებშიც (ფეიქრობა, მეხალიჩეობა, მჭედლობა, მეთუნეობა, გრავიურა, საიუველირო ნაწარმი). სასმელ

წყალს ძირითადად ჭებიდან მოიპოვებდნენ. ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებთა სასმელი იყო პალმის ღვინოც. აღმოსავლეთ აფრიკის ხალხები ცხოვრობენ შემდეგ ქვეყნებში: ზიმბაბვე, მავრიკია, კენია, მადაგასკარი, ჯიბუტი, ზამბია, მოზამბიკი, რუანდა, სეიშელის კუნძულები, სომალი, ტანზანია, უგანდა, ეთიოპია, კომორის კუნძულები. აქ მცხოვრები ეთნოსები ლაპარაკობენ სემიტურ-ქამიტურ, ნილო-საქარულ, ნიგერიულ-კორდაფენული ოჯახების ენებზე. ბევრი ხალხი ლაპარაკობს სუაჰილურ ენებზეც. აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრები ეთნოსების ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მისდევენ მომთაბარე მესაქონლეობასაც. განვითარებულია აგრეთვე ხელოსნობა (ფეიქრობა, მეთუნეობა, მჭედლობა, წვნა). მოსახლეობა სასოფლო (ტერიტორიულ) თემებში ცხოვრობდა. ძროხებთან, ცხვართან და თხასთან ერთად ჰყავთ ერთკუზიანი აქლემიც. მას საქარავნო ვაჭრობაში ტვირთების გადასატანად იყენებენ. რეგიონში ყველაზე გავრცელებული რელიგიაა ისლამი, თუმცა ქრისტიანობის მიმდევრებიც დიდი რაოდენობით არიან. ქალები ატარებენ არა მხოლოდ საყურეებს, არამედ ცხვირში გარჭობილ სამკაულსაც. დასავლეთ აფრიკას მიეკუთვნება შემდეგი ქვეყნები: ბურკინა ფასო, გამბია, ბენინი, განა, ნიგერია, გვინეა, გვინეა-ბისაუ, კოტ-დივუარი, ლიბერია, სენეგალი, სიერა-ლიონე, ტოგო. დასავლეთ აფრიკა ეთნოლინგვისტურად ძალიან ჭრელია. ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. დასვლეთ აფრიკის სიმბოლოა დოლი, რომელსაც ინფორმაციის გადასაცემადაც გამოიყენებდნენ. განვითარებულია როგორც მიწათმოქმედება, ისე მესაქონლეობა. ძირითადი საკვებია: მარცვლეული, ფინიკი, რძე. მომთაბარეებს ჰქონდათ გადასატანი საცხოვრებელი. ხალხების უმეტესობა დიდ, გაუყოფელ ოჯახებად ცხოვრობდა. ძალიან გავრცელებულია წინაპრების კულტი, პოლითეიზმი.

ზ. ევროპელთა მიერ ამერიკის დაპყრობის ეთნიკური ისტორია. ევროპელთა მიერ ამერიკის კოლონიზაციამ ეთნიკური ხასიათის ცვლილებები გამოიწვია. კონტინენტის დაპყრობაში მონაწილეობა მიიღეს ესპანელებმა, პორტუგალიელებმა, ინგლისელებმა, ჰოლანდიელებმა, ფრანგებმა. აბორიგენები იძულებით გაყარეს თავიანთი მიწებიდან ანდა უბრალოდ სამხედრო შეტაკებების დროს გაანადგურეს. მასობრივი სიკვდილიანობა გამოიწვია ეპიდემიებმაც. ევროპული ცივილიზაციის ამერიკულ ცივილიზაციასთან შეტაკებამ ამ უკანასკნელის განადგურება გამოიწვია. მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები გამოიწვია აფრიკიდან ტყვე მონების შემოყვანამ. ყველა ადგილობრივ მკვიდრს ევროპელებმა ინდიელი უწოდეს. შერეული ქორწინების შედეგად გაჩნდნენ მეტისებისა და მულატების დიდი ჯგუფები. მოსახლეობის დიდი მასების მიგრაციამ ახალი ეთნორასობრივი ჯგუფების წარმოქმნა განაპირობა. ამერიკაში მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების შერევა დღესაც მიმდინარეობს. ამერიკის კოლონიზაციამ მნიშვნელოვანი ენობრივი ცვლილებებიც გამოიწვია.

თ. ევროპის ხალხების ეთნიკური ისტორია. ევროპა ძველი ცივილიზაციების ერთ-ერთი აკვანია. ევროპის ხალხების კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ. თანამედროვე ევროპის ეთნიკური რუკა ადრე შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ევროპის

ტერიტორიაზე დაახლოებით 70 ეთნოსი მკვიდრობს, რომლებიც ძირითადად ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენებზე ლაპარაკობენ. დღეს ევროპის ბევრი მცხოვრები ორენოვანია. ევროპელთათვის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მინათმოქმედება, ხოლო მესაქონლეობა დაქვემდებარებული ხასიათისა იყო. ზღვების სანაპიროებზე მცხოვრებნი მეთევზეობასაც მისდევდნენ. დასავლეთ ევროპაში შემორჩენილია ძველი ნაგებობები – ციხე-სიმაგრეები. ბევრი ევროპული ქალაქი ახალ წელთაღრიცხვამდეა დაარსებული. დასავლეთ ევროპელთა ძირითადი საკვები იყო პური, ხორცეული (ღორის, საქონლის). ალკოჰოლური სასმელებიდან პოპულარული იყო ღვინო და ქერის ლუდი. გერმანელთა ნაციონალურ სასმელად ითვლება შნაპსი, შოტლანდიელებისა – ვისკი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებული იყო მაიორატის პრინციპი – ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს მხოლოდ უფროსი ან უმცროსი შვილი წარმოადგენდა. დასავლეთ ევროპელი ხალხების ყველაზე საყვარელი დღესასწაულია შობა. გაზაფხულობით აღნიშნავდნენ ყველიერსა და აღდგომას, ზაფხულში წმინდა იოანეს დღესასწაულს. ანთებდნენ ჭიაკოკონას, ასრულებდნენ გუნდურ სიმღერებს. ზოგიერთი ხალხი აღნიშნავს თავისი ნაციონალური წმინდანის დღეს, ირლანდიელებისათვის ესაა წმინდა პატრიკის დღე, ბელგიელთათვის – წმინდა მარტინის დღე, ჰოლანდიელებისათვის – წმინდა ნიკოლოზის დღე, შვედებისათვის – წმინდა ლუსიიას დღე, ესპანელთათვის – წმინდა იოსების დღე. სლავური ენობრივი ჯგუფის ხალხები ცხოვრობენ ცენტრალურ ევროპაში. მათი ეთნიკური ისტორია მხოლოდ ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქიდან იწყება. სლავების განსახლების თავდაპირველი არეალი იყო ვისლის აუზი, საიდანაც მოხდა მათი განსახლება აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით V-VII საუკუნეებში. ადრე შუა საუკუნეებში სლავები მნიშვნელოვანი რაოდენობით შევიდნენ სხვა ეთნოსების შემადგენლობაში. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხები ოსმალეთის მიერ იყვნენ დაპყრობილნი, ხოლო ჩეხები, ხორვატები და სლოვაკები ჰაბსბურგების სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. სლავების მნიშვნელოვანი რაოდენობა გაგერმანელდა. სლავები ბინადარ მინათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. ისინი თავდაპირველად გვარების მიხედვით იყვნენ დასახლებულნი. გლეხური თემი ევროპის ბევრ ხალხში იყო შემორჩენილი. ევროპის ხალხები ძირითადად ქრისტიანები არიან. ოსმალთა ბატონობის დროს ზოგიერთმა ხალხმა ისლამი მიიღო – პომაკები, ბოსნიელები, ტორბეშები. სერბებსა და ხორვატებში აღნიშნავდნენ საოჯახო წმინდანის დღეს – „კრასნი იმია". ესპანეთში ერთი წმინდანის თაყვანისმცემელი ოჯახები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. უნიკალურია სლავი ხალხების ზეპირი ხალხური შემოქმედება (საგმირო ბილინები, სიმღერები სახალხო გმირებზე...). პოლონეთმა მსოფლიოს მისცა ისეთი ცეკვები როგორებიცაა: პოლონეზი, კრაკოვიაკი, მაზურკა.

თემა XII

მსოფლიოს მოსახლეობის კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები

მსოფლიოს ეთნიკური შემადგენლობა უაღრესად დიდი სიჭრელითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დღეს პლანეტაზე რამდენიმე ათასი ხალხი ცხოვრობს, რომელთა ერთობლიობაც კაცობრიობას ქმნის. ისინი საზოგადოებრივი განვითარების დონით, კულტურით, ენით, რასობრივი იერსახით, რაოდენობით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს მრავალსახოვნება ხალხთა მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებელი განვითარების, მათი განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, სამეურნეო და სოციალურ პირობებში ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბდა. ამავე დროს ეთნიკური საზღვრები არასდროს არ იყო უცვლელი, „შეუღწევადი". თავიანთი ისტორიის განმავლობაში ხალხებს მუდმივად ჰქონდათ ერთმანეთთან კონტაქტი, ცვლიდნენ ერთმანეთის კულტურულ მიღწევებს, შეერეოდნენ ერთმანეთს. ეს ყველაფერი, ერთად აღებული, ამა თუ იმ ერთიან ბიოლოგიურ მიკუთვნებულობასთან ერთად განაპირობებდა დედამიწის მთელ მოსახლეობაში ბევრი საერთო ნიშან-თვისების ჩამოყალიბებას. იმისათვის რომ უკეთესად გავერკვეთ მსოფლიოში მიმდინარე მრავალმხრივ ეთნიკურ პროცესებში და გავიგოთ რით არიან ხალხები ერთმანეთთან დაკავშირებული, საჭიროა მათი კლასიფიცირება, უფრო სწორად გამოვიყენოთ მსოფლიოს ხალხების ის სამეცნიერო კლასიფიკაცია, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა სფეროში არსებობს, მაგრამ მსოფლიოს ეთნიკური სურათის სირთულემ, ვარიანტულობამ, ისტორიულმა ცვალებადობამ კლსიფიკაციის სხვადასხვა სახეების წარმოქმნა განაპირობა, რომლებიც ცალკე აღებულნი ცალკეული ხალხების ამომწურავ ეთნოლოგიურ დახასიათებას არ იძლევა. ერთობლიობაში განხილული კლასიფიკაციის სხვადასხვა ხერხები ეთნოსების ფართო ნიშნებით სისტემატიზირების შესაძლებლობას იძლევა. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე ეთნოსი, სრულიად ბუნებრივად, კლასიფიკაციის სხვადასხვა სქემაში თავსდება. თანამედროვე ეთნოლოგიაში ეთნოსთა სამეცნიერო კლასიფიკაციის პრინციპები სხვადასხვაგვარობით გამოირჩევა; ისინი ჩამოყალიბებულია როგორც საკუთრივ ეთნოლოგიურ მეთოდებზე, ისე მომიჯნავე მეცნიერების საფუძვლებზე. ამდენად, ერთი ეთნოსის ან ეთნიკური ჯგუფის სხვებისაგან განმასხვავებელი მრავალი კრიტერიუმი არსებობს. კლასიფიკაციის ერთი კრიტერიუმი პირველ რიგში ხალხების ეთნიკური პრინციპით მიკუთვნებულობას, მათ ნარმომავლობასა და ფორმირების გზებს ეფუძნება, რისთვისაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის მონაცემებს, მატერიალური და სული-

ერი კულტურის სისტემატიზირებას. სხვა კრიტერიუმები ეყრდნობა სხვადასხვა ხალხებს შორის კულტურული კონტაქტების არსებობასა და არარსებობას. ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად, ესენია, უპირველეს ყოვლისა, ძირითადად ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, ეკოლოგიით და, შედარებით ნაკლებად, ეთნიკური და კულტურული ტრადიციებით განპირობებული სამეურნეო საქმიანობის ნიშნები. ეს ეხება სოციალური განვითარების დონითა და რელიგიური ნიშნით ხალხთა დაჯგუფებას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიოს ხალხებს ყოფენ შემდეგი საფუძვლების მიხედვით: **გეოგრაფიული, ანთროპოლოგიური, ენობრივი, სამეურნეო-კულტურული, რელიგიურ-კულტურული.**

§1. გეოგრაფიული კლაციფიკაცია. გეოგრაფიული, ანუ არეალური კლასიფიკაცია ხალხების გეოგრაფიულ მეზობლობის პრინციპს ეყრდნობა. ის ეფუძნება ხალხთა ჯგუფის რომელიმე განსაზღვრულ, უფრო ხშირად ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრებას. გეოგრაფიული კლასიფიკაციისას ხალხები მსხვილი რეგიონების მიხედვით არიან დაჯგუფებულნი. ამ რეგიონებს ხშირად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ან ისტორიულ-კულტურულ ოლქებსაც უწოდებენ, რომელთა ფარგლებშიც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში გარკვეული კულტურული ერთობები ჩამოყალიბდა. ეს ერთობა ძირითადად მატერიალური კულტურის, აგრეთვე სულიერი კულტურის ცალკეული ელემენტებით გამოიხატება. გეოგრაფიულ კლასიფიკაციას ერთგვარ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დარაიონებადაც განიხილავენ.

გეოგრაფიული კლასიფიკაცია სხვადასხვა ხალხებით დასახლებული პირობითი გეოგრაფიული რეგიონების არსებობას ითვალისწინებს. ამის საფუძველზე არსებობს „კავკასიის ხალხების", „ჩრდილოეთის ხალხების", „აღმოსავლეთ ევროპის ხალხების", „ოკეანიის ხალხების" ცნებები. კლასიფიკაციის ეს პრინციპი ფართოდ გამოიყენება, რამდენადაც ის შეეფარდება ვრცელ ზონებს, რომლის ფარგლებშიც შეინიშნება მისი შედარებითი თანხვდომა ეთნიკურ პრინციპებთან; მაგრამ კლასიფიკაციის გეოგრაფიული პრინციპები ხალხების ამომწურავი ეთნოლოგიური დახასიათების საშუალებას არ იძლევა. გეოგრაფიული დახასიათება არ პასუხობს იმ კითხვებს, რომლებიც ეხება ხალხების წარმოშობას, მათი ფორმირების პროცესებს, სამეურნეო და კულტურულ იერ-სახეს, სოციალ-ეკონომიკურ განვითარების დონეს, მაგრამ წარმოდგენას გვიქმნის ეთნოსების რეგიონების მიხედვით განანილებასა და განფენილობაზე. ამიტომ გეოგრაფიული კლასიფიკაცია მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს ხალხების ეთნოლოგიური დახასიათებისას.

ხალხთა გეოგრაფიული კლასიფიკაცია ჯერჯერობით სათანადოდ დამუშავებული არ არის. საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არც არსებობს. იგივე შეიძლება ითქვას ამ რეგიონების საზღვრების შესახებ. ყველაზე მარტივ დანაყოფებად შეიძლება დავასახელოთ: ავსტრალიისა და ოკეანიის ხალხები (მელანეზია, პოლინეზია, მიკრონეზია), დასავლეთ აზიის ხალხები, შუა აზიისა და ყაზახეთის ხალხები, სამხრეთ აზიის ხალხები, ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის ხალხები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხები, ჩრდილოეთ ამერიკის ხალ-

ხები, სამხრეთ ამერიკის ხალხები, დასავლეთევროპის ხალხები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხალხები, კავკასიის ხალხები, აფრიკის ხალხები (ჩრდილოეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთ ტროპიკული, დასავლეთ ტროპიკული, სამხრეთი), ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხები.

§2. ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია. ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები არა მხოლოდ ენით, კულტურითა და რელიგიით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ფიზიკურადაც. ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებით ვხედავთ, რომ ეთნიკური სხვაობის გარდა ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკურადაც (სხეულებრივად). საერთოდ, ფიზიკურად (სხეულებრივად) ორი ერთმანეთის სავსებით მსგავსი ადამიანი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ფიზიკურ ტიპს, მის ცვლილებებს ან როგორც მათ უწოდებენ – ფიზიკური ტიპის ვარიაციებს, ცნობილია „ანთროპოლოგიის" (ბერძნ. „ანთროპოს" – „ადამიანი) სახელწოდებით. ადამიანთა განსხვავებულ ფიზიკურ ტიპებს რასები ეწოდება.

ადამიანთა რასები ხალხთა იტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფებია, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან წარმომავლობით, რაც გამოიხატება მემკვიდრეობითი და ფიზიოლოგიური ნიშნებით. ყველა ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ადამიანთა რასებს შორის მსგავსება დიდია, განსხვავება კი – შედარებით მცირე. ნებისმიერი რასის ქორწინების შედეგად იბადება სრულიად სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი შთამომავლობა. ანთროპოლოგიის, პრიმატოლოგიისა და პალეონტოლოგიის მონაცემები ადასტურებენ, რომ ადამიანთა ყველა რასა მომდინარეობს ერთი ან რამდენიმე ახლოს მდგომი ნამარხი ჰომინიდიდან.

Homo Sapiens-ს შორის პირველ რიგში გამოიყოფა უფრო მსხვილი დანაყოფები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დიდ რასებს უწოდებენ. ესენია **ევროპეიდული (ევრაზიული), მონგოლოიდური (აზიურ-ამერიკული) და ნეგრო-ავსტრალოიდური (ეკვადორიალური).** ბევრი მკვლევარი ერთიანი ეკვადორიალური რასის ნაცვლად გამოყოფს ორ დამოუკიდებელ რასას – **ნეგროიდულსა (აფრიკულს)** და **ავსტრალოიდურს (ოკეანურს).** მეცნიერებაში უფრო გაზიარებულია თვალსაზრისი ოთხი დიდი რასის არსებობის შესახებ. ყველა დიდი რასა ქვერასებად, ანუ მცირე რასებად იყოფა. ევროპეიდებში გამოყოფენ ხუთ ქვერასას: ა) ჩრდილოევროპულს (სკანდინავიელები); ბ) შუაევროპულს (გერმანელები); გ) სამხრეთევროპულს, ხმელთაშუაზღვისპირულს (იტალიელები, ესპანელები, ბერძნები); დ) წინააზიურსა (თურქები, სპარსელები, არაბები) და ე) კავკასიურს. მონგოლოიდების ამერიკულ შტოს მიაკუთვნებენ: ა) ჩრდილოამერიკულ ტიპს; ბ) ცენტრალურ-ამერიკულ ტიპს; გ) სახრეთამერიკულ ტიპს. მონგოლოიდების აზიური შტოდან შეიძლება დავასახელოთ: დ) კონტინენტური ტიპი (მონღოლეთი, ჩინეთი); ე) წყნაროკეანური ტიპი (იაპონია) ვ) ჩრდილოაზიური ტიპი. ავსტრალოიდებში სამი ქვერასა გამოიყოფა: ა) აბორიგენები; ბ) მალონეზიელები, პაპუასები; გ) ნეგრიტოსები (სუმატრა და სხვა). სამი

ქვერასა გამოიყოფა ნეგროიდებში: ა) ნეგრული; ბ) ნეგრილური; გ) სამხრეთ-აფრიკული.

დიდი რასების საკონტაქტო ზონებში არსებობს გარდამავალი და შერეული რასობრივი ტიპები. შერეული და გარდამავალი რასობრივი ტიპები ჩამოყალიბდა არამარტო ძველად, შუასაუკუნეებში, არამედ ყალიბდება დღესაც მეტისაციის გზით. მაგალითად, აფრიკის აღმოსავლეთში გარდამავალ რასად მიიჩნევა ეთიოპური რასა. ის ნეგროიდებსა და ევროპეიდებს შორის გარდამავალი რასაა. ცხვირის ფორმითა და თავის ქალით ეთიოპიელები თითქმის არ განსხვავდებიან ევროპეიდებისაგან. მაგრამ კანი მათ ისეთივე მუქი აქვთ, როგორც ზანგებს. შერეული ტიპის ტიპური წარმომადგენლები არიან ამერიკის მეტისები და მულატები. დიდი რასების შიგნით გამოყოფენ უფრო დანანილებულ რასობრივ ერთეულებს.

ნეგროიდებისათვის დამახასიათებელია ხუჭუჭი შავი თმა, თაფლისფერი თვალები, სუსტად ან საშუალოდ განვითარებული მესამეული თმის საფარი, ზომიერად გამონეული ღანვის ძვალი. ნეგროიდებს აქვთ ძალიან მუქი (შოკოლადისფერ-ყავისფერი) კანი. სახე, როგორც ნესი, აქვთ ვინრო და დაბალი. ნეგროიდული ტიპი გამოირჩევა იმდენად განიერი ცხვირით, რომ ზოგჯერ სიგანე სიმაღლის ტოლია. ისევე როგორც ევროპელებს, პორიზონტალურად განლაგებული ფართო თვალის ჭრილი აქვთ. ნეგროიდებს ახასიათებთ სქელი (მსხვილი) ტუჩები. ზედა ქუთუთოს ნაკეცი (ნაოჭი) უმეტეს შემთხვევაში დიდი არა აქვთ. რაც შეეხება სახის ყბის ნანილს, ის უმეტეს შემთხვევაში ნინ წამონეულია (პროგნატიზმი – პრო-ნინ). ნეგროიდებისათვის დამახასიათებელია სქელი (მსხვილი) ტუჩები. ზედა ქუთუთოს ნაკეცი (ნაოჭი) უმეტეს შემთხვევაში დიდი არა აქვთ. რაც შეეხება სახის ყბის ნანილს, ის ძირითადად ნინ წამონეულია (პროგნატიზმი – პრო-ნინ). ნეგროიდები დღეს ცხოვრობენ არა მხოლოდ აფრიკაში, არამედ წყნარი ოკეანის ბევრ კუნძულზე, ამერიკაში.

ევროპეიდები გამოირჩევიან სხვადასხვა შეფერილობის ტალღოვანი და სწორი რბილი თმებით, ღია ან შავგვრემანი კანით, თვალის გარსის ნაირფერი შეფერილობით (თაფლისფერი, ღია ნაცრისფერი, ცისფერი). ევროპეიდებს მესამეული თმის საფარი ძლიერ აქვთ განვითარებული, კერძოდ, მამაკაცებში – ნვერი. მათთვის დამახასიათებელია ღანვის ძვლის სუსტად ან საშუალოდ ნინ წამოწევა, ყბაც უმნიშვნელოდაა ნინ წამონეული (ორტოგნატიზმი). ევროპეიდებს ახასიათებთ თხელი და ოდნავ წამონეული ცხვირი, თხელი ან საშუალო სისქის ტუჩები. ევროპეიდების ფორმირების კერაა სამხრეთ-დასავლეთი აზია, ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ ევროპა. ევროპეიდთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: სამხრეთის (შავგვრემანი კანით, უმეტესად მუქი თვალებითა და თმით), ჩრდილოეთისა (ღია ფერის კანით, ცისფერი თვალებით, ქერა თმებით) და გარდამავალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საშუალო ინტენსივობის პიგმენტაცია. სამხრეთ ევროპელებს, მათი განსახლების არეალიდან გამომდინარე, ინდოხმელთაშუაზღვისპირულ რასას უნოდებენ.

ევროპეიდებს თავიანთი არეალის აღმოსავლეთ საზღვრებზე, უძველესი დროიდან, მონგოლოიდებთან ჰქონდათ ურთიერთობა. ადრეულ ხანაში მათი შერევის შედეგად, რომელიც ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში დაიწყო, ციმბირის ჩრდილო-დასავლეთსა და ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ურალური რასა (ხანტი, მანსი და სხვ.), რომლისათვისაც დამახასიათებელია მონგოლოიდურ-ევროპეიდული თავისებურებების შუალედური შეთანაწყობა. ურალურთან ბევრი ნიშნითაა ახლოს ლაპონოიდური რასა ძალიან დაბალი სახით (საამები). ზოგიერთი ანთროპოლოგი ამ ორ რასას ერთ – ურალო-ლაპონოიდურ რასაში აერთიანებს, რომლის თავისებურებანი უფრო იშვიათი ფორმებით გამოხატულია უდმურტებში, კომი-პერმელებში, მარიელებში, მორდოველთა ზოგიერთ ჯგუფში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ურალური რასის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო ძველი მონგოლოიდური რასის დეპიგმენტირებულმა (დეპიგმენტაცია – კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა) პოპულაციამ. გვიან (ახ.წ. I საუკუნიდან) ურალსა და ენისეის შორის არსებულ სტეპურ ზოლში მონგოლოიდებისა და ევროპეიდების შერევის პროცესში ჩამოყალიბდა სამხრეთ ციმბირული რასა, ძალიან ფართო სახითა და მოკლე თავით. შუა საუკუნეებში შუა და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შერეული ევროპეიდულ-მონგოლოიდური ახალი პოპულაციები (უზბეკების ნაწილი, უიღურები, სალარები).

მონგოლოიდებისათვის დამახასიათებელია სწორი, ხშირად უხეში მუქი თმა და მესამეული თმის საფარის სუსტად განვითარება, კანის მოყვითალო შეფერილობა, თაფლისფერი თვალები, შემჭიდროვებული სახე, წინ ძლიერ გამონეული ღაწვის ძვლები, დაბალი და საშუალო სიგანის ცხვირი. მონგოლოიდ მამაკაცებს წვერ-ულვაში გვიან აჩნდებათ და იშვიათად აღწევს დიდ სიხშირეს. მათ აქვთ ფართო, მაღალი სახე, ვიწრო თვალები და ძლიერ განვითარებული ზემო ქუთუთო. ამ ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ეპიკანტუსი – განსაკუთრებული კანის ნაკეცი, რომელიც ნანილობრივ ან მთლიანად ფარავს საცრემლე ბორცვს თვალის შიდა კუთხეში. სახის ყბის ნაწილი გამონეული აქვთ სუსტად ან საშუალოდ. მონგოლოიდების (მონღოლების) შესანიშნავ დახასიათებას გვანვდის ქართველი ისტორიკოსი უამთააღმწერელი: „ხოლო იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერჴითა, შუენიერ და სპეტაკ ჴორცითა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო, თავით დიდ, თმითა შავ და ჴშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხჳრითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლს იყვნიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევითარი აქუნდა უმსგავსო სახე“.

ბევრი ნიშან-თვისებით მონგოლოიდებთან ახლოს დგანან ამერიკელი ინდიელები. აზიელი მონგოლოიდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან – კონტინენტურად და წყნაროკეანურად. კონტინენტური მონგოლოიდები წყნაროკეანელებისაგან გამოირჩევიან ნაკლებად ინტენსიური პიგმენტაციით, უფრო მასიური ჩონჩხით, უფრო ფართო სახითა და თხელი ტუჩებით.

რასობრივი განსხვავებანი, ჩვეულებრივ, კარგად შეიმჩნევა ერთმანეთისაგან შორს მდგომ ჯგუფებს შორის. **რასების შერევა გრძელდება მრავალი ათასწლეულის განმავლობაში და ის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს,** რომელიც უფრო და უფრო ჩქარდება (დედამინის მთელი მოსახლეობის 30% შერეულ და გარდამავალ რასობრივ-ჰეტეროგენულ ჯგუფებს მიეკუთვნება). მსოფლიოში ყველაზე მეტნი ევროპეიდები არიან(42%), შემდეგ მოდიან მონგოლოიდები (20%), ნეგროიდები(7%) და ავსტრალოიდები(1%). ამერიკაში რასათა პროცენტული შეფარდება შემდეგია: ევროპეიდები – 51%, მეტისები – 23%, მულატები – 18%, ნეგროიდები – 7%, მონგოლოიდ-ინდიელები – 5,5%. ავსტრალიასა და ოკეანიაში ევროპეიდები მთელი მოახლეობის 77%-ს შეადგენენ, მელანეზიელები და პაპუასები – 16,5%, მიკრონეზიელები – 4,2%. აფრიკის კონტინენტზე ორი ძირითადი რასაა წარმოდგენილი: ნეგროიდები – 54%, ევროპეიდები – 27% და შერეული ტიპები – 19%. ევროპის მოსახლეობის 98%-ს ევროპეიდები წარმოადგენენ და მხოლოდ 2%-ს მოიცავს შერეული ტიპი. აზიაში ევროპეიდები 29%-ის ფარგლებში არიან, დანარჩენ ნაწილს კი მონგოლოიდები წარმოადგენენ.

დიდი ხალხები შეიძლება ერთგვაროვანნი ჩანან დიდი რასების დონეზე, მაგრამ თითქმის ყოველთვის ჰეტეროგენულები არიან ამ რასების დანაყოფების თვალსაზრისით. მაგალითად, ევროპის ხალხები მიეკუთვნებიან დიდ ევროპეიდულ რასას, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი ამ დიდი რასის ორ ან სამ შტოს წარმოადგენს. დიდი ევროპეიდული რასის დანანევრებულ რასობრივ ტიპთა საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. ასევე არ ემთხვევა რასობრივი და ენობრივ დანაყოფთა საზღვრები. მაგალითად, თურქული ჯგუფის ენები გავრცელებულია მონგოლოიდური რასის წარმომადგენლებსა (იაკუტები, ტუვები) და ევროპეიდებს შორის (აზერბაიჯანელები, თურქები). ბევრი თურქულენოვანი ხალხი რასობრივი თვალსაზრისით შერეული ტიპისაა. სხვადასხვა დიდ რასებს მიეკუთვნებიან ხალხები, რომლებიც ურალურ ენებზე ლაპარაკობენ.

ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში რასების ინტენსიური შერევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამერიკის ქვეყნების უმეტესობა. ძველი სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც მეტისაციის პროცესი მიმდინარეობდა ძველ და შუა საუკუნეებში, აქ ის განხორციელდა უკანასკნელი 3-4 საუკუნის განმავლობაში და ინტენსიურად გრძელდება დღესაც. ამერიკის თანამედროვე ხალხების უმეტესობა ჩამოყალიბდა ორი ან სამი რასობრივი კომპონენტის შერევის შედეგად. მაგალითად, კუბასა და ბრაზილიაში წამყვანი ეთნიკური კომპონენტის როლში მოგვევლინნენ ნეგროიდები, რომლებიც ირგვლივ მყოფ სხვადასხვა ეთნიკურ და რასობრივ ერთეულებს შეერივნენ.

ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში (IV-VII სს.) ცენტრალური აზიის მონგოლოიდური მოსახლეობის მასები შეიჭრნენ დასავლეთ ციმბირის სტეპების ზოლში, ყაზახეთში, შუა აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში, რომელთა მოსახლეობა ძირითადად ევროპეიდულ ტიპს მიეკუთვნებოდა. აქ ჩამოყალიბდა შერეული რასობრივი ტიპები: სამხრეთციმბირული, რომელიც ძირითადად გავრცელებულია თანამედროვე ყაზახებსა და ყირგიზებში (მათში მონგოლოიდუ-

რი ნიშნები აშკარად ჭარბობს) და შუაზიური, რომელიც დამახასიათებელია თურქმენებისათვის, ნაწილობრივ უზბეკებისა და ტაჯიკებისათვის (აქ ავტოქტონური მოსახლეობა უფრო ხშირი იყო და მონგოლოიდური მინარევი უფრო ნაკლებ შესამჩნევია).

ევროპის მოსახლეობა, საამების გამოკლებით, მთლიანად მიეკუთვნება ევროპეიდულ რასას. ევროპის უკიდურესი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მცხოვრებნი საკმაოდ განსხვავდებიან რასობრივი ტიპით. მსგავსების მხრივ ცოტა საერთო ნიშანი შეიძლება ვიპოვოთ მაღალ, ქერა და ცისფერთვალება ნორვეგიელებსა (ჩრდილო ევროპელები) და დაბალ, მუქთმიან და მუქთვალება სამხრეთ იტალიელებს შორის (სამხრეთ ევროპელები). ევროპის მოსახლეობის 17% მიეკუთვნება ჩრდილო ევროპეიდულს, 32% - სამხრეთულს და ნახევარზე ოდნავ მეტი – გარდამავალ და შუაევროპულ ფორმებს. ევროპეიდები დღეს ცხოვრობენ არა მარტო ევროპაში, არამედ განსახლებულნი არიან ჩრდილოეთ აფრიკაში, დასავლეთ აზიაში, კავკასიაში, შუაზიის ნაწილში, ერაყში, ავღანეთში, ინდოეთში. ბოლო ოთხი საუკუნის განმავლობაში ევროპეიდები ძირითად მოსახლეობად და სამხრეთ ამერიკის უმეტესი ქვეყნების მკვიდრებად იქცნენ.

ჩრდილოეთ ევროპაში საამები მიეკუთვნებიან შერეულ ლაპონოიდურ რასას, რომლის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ევროპული, ისე ურალური ერთობის წარმომადგენლებმა. სუსტად გამოხატული მონგოლოიდური ნიშნები შეიმჩნევა უნგრელებში, აგრეთვე გერმანიისა და ფინეთის მოსახლეობის მცირე ნაწილში. ევროპის უკიდურეს სამხრეთში აქა-იქ შეიმჩნევა მცირე ნეგროიდული მინარევი.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ძალზე რთულია აზია. აქ ოთხივე დიდი რასის წარმომადგენელი გვხვდება. ევროპეიდები აზიის მოსახლეობის 29%-ს შეადგენენ (სამხრეთი შტოს სხვადასხვა რასები: ხმელთაშუაზღვისპირული, წინაზიური, ინდოავღანური, პამირულ-ფერგანული). აზიელი მონგოლოიდები შეადგენენ 31%-ს. აქვეა მონგოლოიდურ და ავსტრალოიდურ რასებს შორის შერეული და გარდამავალი ფორმები. აზიაში ავსტრალოიდური რასის წარმომადგენლები ბევრნი არ არიან (დაახლ. 9 მილ. კაცი), მაგრამ განსახლებულნი არიან ფართოდ.

აფრიკის მოსახლეობის 54% მიეკუთვნება დიდ ნეგროიდულ რასას. მოსახლეობენ საჰარის უდაბნოს სამხრეთით. სხვადასხვა რეგიონების ზანგები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რასობრივი ნიშნებით. მაგალითად, კანის ფერი მერყეობს ძალიან შავიდან ღია ყავისფრამდე. განსხვავებაა ტუჩების სისქეში, ცხვირის სიგანეში, აგრეთვე ტანის (სხეულის) სიგრძეში (მსოფლიოში ყველაზე მაღლებიდან ყველაზე დაბლებამდე); თუმცა ყველას აქვს ხუჭუჭი თმა.

სამხრეთ ევროპეიდები (ხმელთაშუაზღვისპირული) აფრიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტს შეადგენენ და განსახლებულნი არიან კონტინენტის ჩრდილოეთში საჰარის უდაბნომდე. მას მიეკუთვნება არაბთა დიდი ნაწილი და ბერბერები. აფრიკის სამხრეთში მკვიდრობს ხუთი მილიონი ევროპეიდი, რომლებიც ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფრიკაში ევროპეიდებსა და ნეგროიდებს შორის გარდამავალ, შუალედურ ფორმას მიე-

კუთვნებიან ეთიოპიელები. შერეული ფორმის ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება სუდანის მოსახლეობაც, რაც ნეგროიდებში არაბულენოვანი სამხრეთ ევროპეიდების შეჭრამ განაპირობა.

ამერიკის მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა დიდი სიჭრელით გამოირჩევა. სამყაროს ამ ნაწილის მოსახლეობის ფორმირებაში მონაწილეობდა სამი დიდი რასა. აბორიგენი მოსახლეობა (ინდიელები, ესკიმოსები და ალეუტები) კომპაქტურად მხოლოდ ცალკეულ ოლქებში მოსახლეობს, უპირატესად მექსიკის მთიანეთში, ანდებში, სამხრეთ ამერიკის შიდა მხარეებში. ადგილობრივი, ამერიკელ ინდიელთა, მოსახლეობა მონგოლოიდური რასის სხვადასხვა ქვერასებს მიეკუთვნება. ყველა დანარჩენ ადგილას რასობრივი თვალსაზრისით ან შერეული მოსახლეობა, ან შედარებით გვიან მოსული ევროპელები და ნეგროიდები ჭარბობენ. დღეისათვის ამერიკაში დიდი რასებიდან ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ევროპეიდული რასა (აშშ-სა და კანადის მოსახლეობის 9/10, ლათინური ამერიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტი). ლათინურ ამერიკაში ევროპეიდებს შორის ჭარბობენ სამხრეთის ჯგუფის წარმომადგენლები: ესპანელები, პორტუგალიელები, იტალიელები.

ამერიკაში, რაოდენობის მხრივ, მეორე ადგილი უკავიათ მეტისთა რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც ინდიელთა და ევროპელთა ქორწინებისა და ქორწინების გარეშე კავშირების შთამომავალნი არიან. ლათინურ ამერიკაში ისინი ჭარბობენ მექსიკაში, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში: ვენესუელაში, ჩილეში, პარაგვაიში და სხვ. შედარებით მცირერიცხოვანნი არიან მულატები (ევროპეიდებისა და აფრიკული მოსახლეობის ნარევი). მულატების მნიშვნელოვანი ჯგუფები ცხოვრობენ აშშ-ში, ბრაზილიაში, კუბაში, ვენესუელაში. ზოგიერთ შემთხვევაში ძნელდება მეტისებისა და მულატების ერთმანეთისაგან გარჩევა, რადგან სამი რასის შერევის შედეგად მიღებული მოსახლეობაც გვაქვს. რაც შეეხება ინდიელთა და ნეგროიდთა ნარევს, ისინი სამბოს სახელით არიან ცნობილები. ინდიელ-ნეგროიდ-ევროპეიდთა შერევის შედეგად მიღებული რასობრივი ერთეულის რიცხვი განუსაზღვრელად იზრდება. მთლიანად **ამერიკის კონტინენტზე ევროპეიდები მთელი მოსახლეობის 51%-ს შეადგენენ, მეტისები – 23%-ს, მულატები – 13%-ს, ნეგროიდები – 7%-ს, მონგოლოიდ-ინდიელები – 5,5%-ს.**

ავსტრალიასა და ოკეანიაში ევროპელები მოსახლეობის 77%-ს შეადგენენ, მელანეზიელები და პაპუასები – 16,5%-ს, პოლინეზიელები და მიკრონეზიელები – 4,2%-ს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რასობრივი ნიშანია სხეულისა (ტანის) და მისი ცალკეული ნაწილების ზომა. ტანის (სხეულის) საშუალო სიგრძე (სიმაღლე) მამაკაცებისათვის 165 სმ-ია, ქალებისათვის – 154 სმ. სხვადასხვა ხალხებში ქალთა და მამაკაცთა შორის სიმაღლეში სხვაობა 8-12 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე დაბალი პიგმეები – საშუალო სიმაღლე ზრდასრული მამაკაცებისთვის 141 სმ და ყველაზე მაღალი, – ჩადის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებნი არიან. საშუალო სიმაღლე ზრდასრული მამაკაცებისა 182 სმ. ადამიანები აღრიცხულნი არიან ნეგროიდებში. ევროპაში სიმაღლით გამოირჩევიან ჩერნოგორიელები, შოტლანდიელები, შვედები, ნორვეგიელები.

მსოფლიო მასშტაბით მამაკაცების საშუალო წონა 64 კგ.-ის ფარგლებშია, ქალებისა – 56 კგ.-ის. მეცნიერები გამოყოფენ ტანის (სხეულის) სამ ძირითად ტიპს: 1) **ბრახიმორფულს** (ბერძნ. „ბრახოს" – მოკლე და „მორფა" – ფორმა), რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით მოკლე კიდურები, გრძელი ტანი, ფართო მხრები და მენჯი; 2) **დოლიხომორფულს** („დოლიხოს" – გრძელი), რომელიც გამოირჩევა შედარებით გრძელი ხელებითა და ფეხებით, მოკლე ტანით, ვიწრო მხრებითა და მენჯით; 3) **მეზომორფულს** („მეზოს" – საშუალო), რომელსაც პირველ და მეორე ტიპებს შორის საშუალო მდგომარეობა უჭირავს.

საერთოდ, ქალები მამაკაცებთან შედარებით ბრახიმორფულები არიან. როგორც წესი, ქალებს შედარებით ვიწრო მხრები და განიერი მენჯი აქვთ. რასების გამოყოფისას დიდი მნიშვნელობა აქვს თავის მონაცემებს: სიგანეს, სიმაღლეს; მნიშვნელოვანი რასობრივი ნიშნების მატარებელია ცხვირი და მისი მიდამოები, აგრეთვე პირი და პირველ რიგში ტუჩების სისქე.

§3. ენობრივი კლასიფიკაცია. მსოფლიოს ხალხები (ეთნოსები) ერთმანეთისაგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდებიან. პირველ რიგში ერთ-ერთ ასეთ მთავარ ნიშნად ენას ასახელებენ. როდესაც ერთი ხალხის ორი უცნობი წარმომად-გენელი თავისი ქვეყნის გარეთ ხვდება, ისინი, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს ენით „ამოიცნობენ". ასე რომ, ენა ხალხთა (ეთნოსთა) უმნიშვნელოვანესი ნიშანთაგანია. ერთი ეთნოსის წარმომადგენელი ყველა ადამიანი, როგორც წესი, ერთ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც მათთვის მშობლიურია, ე.ი. რომელიც ბავშვობაში შეითვისეს მშობლებისა და სხვა პირებისაგან. ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ დედამიწაზე იმდენივე ენაა, რამდენიც ხალხია. გასათვალისწინებელია ის, რომ ზოგჯერ დედამიწაზე განსახლებული დამოუკიდებელი ეთნოსები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რაც კაცობრიობის ისტორიაში, განსაკუთრებით ახალ პერიოდში, მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების (მაგალითად ევროპიდან ახალ სამყაროში ხალხთა დიდი გადასახლებების) შედეგია. ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ არა მხოლოდ ინგლისელები, არამედ სხვა ხალხებიც: ამერიკელები, ანგლო-კანადელები, შოტლანდიელები, ოსტერელები, ანგლო-ავსტრალიელები, ანგლო-ახალზელანდიელები... **ევროპაში, სადაც ინგლისური ენა წარმოიქმნა, ამ ენაზე მოლაპარაკეთა მხოლოდ 17% ცხოვრობს.** ესპანური ენა დედაენაა არა მხოლოდ ესპანელებისათვის, არამედ ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის უმეტესი ხალხებისათვისაც (კუბელები, მექსიკელები, კოლუმბიელები, არგენტინელები, ვენესუელელები, ჩილელები, პერუელები, ურუგვაელები...). **ევროპაში, სადაც ესპანური ენა წარმოიქმნა, ესპანურ** ენაზე მოლაპარაკეთა დაახლოებით 12% მკვიდრობს. გერმანულ ენაზე გერმანელების გარდა ლაპარაკობენ აგრეთვე ავსტრიელები, გერმანო-შვეიცარიელები, ელზასელები (საფრანგეთში), ლუქსემბურგელები. პორტუგალიური, პორტუგალიელების გარდა, დედაენაა ბრაზილიელებისათვის. ამავე ენაზე ლაპარაკობენ ესპანეთის ჩრდილოეთში მცხოვრები გალისიელებიც. ფრანგულ ენაზე ფრანგების გარდა ლაპარაკობენ: ფრანკო-კანა-

დელები, ფრანკო-შვეიცარიელები, ბელგიელი ვალონები. იტალიურად საუბრობენ იტალო-შვეიცარიელები და კორსიკელები.

აზიის სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი ხანია გავრცელებულია არაბული ენა. მასზე ლაპარაკობენ არაბულენოვანი ხალხები, რომელთაგანაც ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან: ეგვიპტელი არაბები (ეგვიპტელები), ალჟირის არაბები (ალჟირელები), მაროკოელი არაბები (მაროკოელები), ერაყის არაბები (ერაყელები), სუდანის არაბები (სუდანელები), სირიის არაბები (სირიელები), ტუნისის არაბები (ტუნისელები), საუდის არაბეთის არაბები...

ამრიგად, ნათელია, რომ დედამინაზე არის ენები, რომლებიც მშობლიურია არა მხოლოდ ერთი ხალხისათვის, არამედ ეთნოსთა მთელი ჯგუფისათვის. ცალკეულ ხალხთა განსახლების საზღვრები და ენათა გავრცელების არეალები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ენა ეთნიკურობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია, მაგრამ ის ეთნოსისათვის მახასიათებელ ერთადერთ ნიშნად არ შეიძლება ჩავთვალოთ. საერთოდ, თუ ზემოთქმულს დავაკვირდებით და გავიხსენებთ თითოეული ხალხის (ეთნოსის) ისტორიას, ვნახავთ, რომ სხვა ხალხის მიერ ამა თუ იმ ევროპული ენის დედაენად აღიარება შედარებით ახალი მოვლენაა. თავდაპირველად, განსაკუთრებით კი ხალხთა (ეთნოსთა) წარმოქმნის სანყის სტადიაზე, ენა მართლაც იყო ეთნოსის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი და ყველა ეთნოსი კონკრეტულ ენაზე ლაპარაკობდა.

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხალხები, რომელთა ცალკეული ჯგუფები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ცნობილია, რომ დღეს შოტლანდიელთა დიდი უმრავლესობა სალაპარაკო ენად იყენებს ინგლისურს, მაგრამ შოტლანდიის მთებში მკვიდრობს მოსახლეობის პატარა ჯგუფი, რომელთა წარმომადგენლები თავს შოტლანდიელებად მიიჩნეევენ და ყოფაში ინგლისურთან ერთად კელტური ჯგუფის განსაკუთრებულ ენაზე (ე.წ. გელურ ენაზე) ლაპარაკობენ, რომელიც წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ქვეყანაში. დღეისათვის მთიელ შოტლანდიელებს, ანუ გელებს დაახლოებით 100 000-მდე ითვლიან. დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს კელტური ენობრივი ჯგუფის სხვა ხალხიც – ვალიელები ანუ უელსელები, რომლებიც ორენოვანნი არიან, ე.ი. ლაპარაკობენ როგორც ინგლისურ, ისე საკუთრივ ვალიურ ენებზე. იგივე შეიძლება ითქვას ირლანდიელთა შესახებაც.

ლინგვისტები დღეს ენათა ოცამდე ოჯახს გამოყოფენ, რომელთაგანაც ყველაზე კარგადაა შესწავლილი ინდოევროპულ ენათა ოჯახი და რომელზედაც ევროპისა და ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა მეტყველებს. **ინდოევროპულ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს.** ამ ოჯახში შემავალი ენები ევროპისა და ამერიკის გარდა, გავრცელებულია აგრეთვე აზიის მნიშვნელოვან ნაწილში. მხედველობაში გვაქვს ინდური (ჰინდი, ურდუ, ბენგალი, მარატხი...) და ირანული ჯგუფის ენები.

აფროაზიური, ანუ სემიტურ-ქამიტური ენების ოჯახი გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთსა და აზიის სამხრეთ-დასავლეთში. ის შედგება ხუთი ჯგუფისაგან – სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური. ეგვიპტურ ენათა ჯგუფი

XVII ს.-ში გადაშენდა. ეგვიპტური ენის გვიანდელი ფორმა – კოპტური გამოიყენება ეგვიპტელი ქრისტიანების მიერ ღვთისმსახურებისას.

ევროპაში ინდოევროპული ენების გარდა გავრცელებულია ურალურ ენათა ოჯახის ენები (უნგრეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, სკანდინავიის ჩრდილოეთი).

ხალხთა ეთნიკური ისტორიის შესასწავლად ენობრივი, ანუ ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა, რადგან თავდაპირველად ენა და ეთნოსი ერთმანეთს ემთხვეოდა, ისინი იდენტურნი იყვნენ. ენა კონკრეტულ წარმოდგენას იძლევა ხალხების ეთნიკური ნათესაობის შესახებ. თანამედროვე მსოფლიოს ენობრივი პანორამა მრავალფეროვანია. როგორც აღვნიშნეთ, ლინგვისტები დაახლოებით 6000 ენას ითვლიან. მხოლოდ ერთ ენაზე ძალზე მცირე რაოდენობის ქვეყნებში საუბრობენ. ამ რიგის ქვეყნებს ძირითადად ევროპის ქვეყნები მიეკუთვნება. ზოგიერთ ქვეყანაში ათეულობით ენაზე მეტყველებენ. მაგალითად, ნიგერიასა და რუსეთში ასზე მეტი ენაა გავრცელებული. ზოგი „დიდი" ენაა, ზოგიც – „პატარა". **ყველაზე „დიდი", ანუ გავრცელებული ენებია: ჩინური, ინგლისური, ჰინდი და მასთან ახლოს მდგომი ურდუ, ესპანური, რუსული, ბენგალური, ინდონეზიური, არაბული, პორტუგალიური, იაპონური, გერმანული და ფრანგული.** ჩამოთვლილ ენებზე კაცობრიობის ორი მესამედი ლაპარაკობს. ენათა ერთი ნანილი სახელმწიფო, ოფიციალური ენაა, ენათა მნიშვნელოვანი ნანილი კი მხოლოდ საოჯახო სამეტყველო ენას წარმოადგენს. მსოფლიოში არის ისეთი ენებიც, რომლებზედაც არამარტო რამდენიმე ასეული, არამედ მხოლოდ ერთი ასეული კაცი მეტყველებს. მაგალითად, **ლატვიაში დაახლოებით 130 კაცი ლაპარაკობს ლივურ ენაზე, რუსეთში კი მხოლოდ ასი კაცია კერკთა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.** დღეს საერთაშორისო ურთიერთობის ენის ფუნქცია ინგლისურ ენას აქვს მოპოვებული, რაც უდავოდ მსოფლიოში აშშ-ის პოლიტიკური და ეკონომიკური დანინაურების შედეგია. XVIII ს.-ში ასეთი ენის ფუნქცია ფრანგულს ეკისრებოდა. **მსოფლიოს 6000 ენიდან მხოლოდ ას ენას აქვს დამნერლობა.**

ენათა კლასიფიკაცია ენათა ისტორიულ ნათესაურ ურთიერთობას ემყარება. ისტორიული ნათესაური ურთიერთობების თვალსაზრისით, მსოფლიოში არსებული ენები ოჯახებადაა დაჯგუფებული. ენათა ოჯახებში მეტ-ნაკლებად ურთიერთმონათესავე ენები შედის. ენათა ოჯახი კი საკმაოდ ბევრია. მხოლოდ ამერიკის კონტინენტზე ინდიელთა შორის ასამდე ენათა ოჯახს გამოყოფენ. მეცნიერ-ლინგვისტთა გამოთვლით კი მხოლოდ თორმეტ ენათა ოჯახში შემავალ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 96% მეტყველებს. თითქმის ყველა ენობრივი ოჯახი იყოფა შტოებად, ანუ ჯგუფებად. ჯგუფებში კი ხშირად ქვეჯგუფებს გამოყოფენ.

მსოფლიოში გავრცელებულ ენათა ოჯახების გეოგრაფიული საზღვრები ხშირად იცვლებოდა. უკანასკნელი თორმეტი-ცამეტი საუკუნის მანძილზე ძალიან გაიფართოვეს არეალი არაბულმა, თურქულმა, ინგლისურმა, ესპანურმა ენებმა. VII საუკუნემდე არაბული ენით მხოლოდ არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური და სამხრეთი ნანილის მოსახლეობა სარგებლობდა. შემდეგ ის სამხრეთ-დასავლეთ

აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკის დიდ ნაწილში გავრცელდა. მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი არეალი თურქულ ენათა ჯგუფმა, რომელიც დღეისათვის გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთამდე. ინგლისური ენა XVI საუკუნემდე მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულებზე იყო გაბატონებული. მოგვიანებით კი ის თითქმის ყველა კონტინენტზე შეიჭრა.

მანამ, სანამ მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციას შევეხებით, უნდა აღინიშნოს, რომ **რამდენიმე ენა გენეალოგიური კლასიფიკაციის გარეშე რჩება, რადგან მათი ნათესაობა რომელიმე სხვა ენასთან დამტკიცებული არაა. ესენია: ბასკური** (ესპანეთსა და საფრანგეთში), **კეტური** (ენისეის აუზში), **ნივხური** (რუსეთის შორეულ აღმოსავლეთი), **აინური** (იაპონიაში), **კორეული, იაპონური, იუკაგირული** (აღმოსავლეთ ციმბირი), **ბურუშული** (ინდოეთის ქაშმირის პროვინცია), **ნახალი** (ინდოეთში), **კუსუნდა** (ნეპალში), ახალი გვინეის რვა ენა (**ბორუმესო, ვარენბორი, პაუვი, მასეპი, იური, ნაგატმანი, ბუსა, პორომე**)... **რაც მთავარია ენობრივად მონათესავე ეთნოსი არც ქართველებს გვყავს.**

ყველაზე კარგად შესწავლილია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ამ ოჯახის ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს. ევროპის გარდა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენები გავრცელებულია აზიაში (ირანი, ავღანეთი, ტაჯიკეთი, ინდოეთის სუბკონტინენტის ჩრდილოეთი), ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ინდოევროპული ენები ახლოს მდგომი დიალექტებისაგან მომდინარეობს, რომელთა მატარებელნი ძვ.წ. III ათასწლეულში სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან, შავი და კასპიის ზღვების მიმდებარე ტერიტორიებიდან სხვადასხვა მიმართულებით განსახლდნენ. ინდოევროპულ ენათა დამწერლობის უძველესი ძეგლი ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება. ესაა მცირე აზიაში ნაპოვნი ხეთური ლურსმული დანერილობანი. ამავე დროს აღნიშნულ ენათა ოჯახის ბევრი ენა დღეს მკვდარია. მათზე აღარავინ ლაპარაკობს. ინდოევროპულ ენათა ოჯახი 10 ჯგუფად იყოფა: სლავური, ბალტიური, გერმანული, კელტური, რომანული, ბერძნული, ალბანური, ირანული, ინდოარიული და სომხური.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **რომანულ ენათა ჯგუფში** შედის: **იტალიური, ფრანგული, პროვანსალური, სარდინიული, ესპანური, პორტუგალიური, კატალანური, რეტორომანული, რუმინულ-მოლდოვური** ენები. პორტუგალიურთან ძალიან ახლოს დგას **გალისიური** ენა. ამ ჯგუფის მკვდარი ენებია: ლათინური, ოსკური, უმბრიული ენები. ლათინური ენა საფუძვლად დაედო ყველა რომანულ ენას. ამ ენის უძველესი წერილობითი ძეგლები ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება. ლათინური ენა კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ენაა.

გერმანულ (გერმანიკულ) ენათა ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა. პირველი ქვეჯგუფი (ჩრდილოგერმანული, ანუ სკანდინავიური) აერთიანებს **დანიურ, შვედურ, ნორვეგიულ, ისლანდიურ და ფარერულ** ენებს. დასავლურგერმანულ ქვეჯგუფში შედის **ინგლისური, გერმანული, ჰოლანდიური, ფრიზული** ენები. ამავე ქვეჯგუფში შედის **აფრიკანსი და იდიში.** აღმოსავლურგერმანულ ქვეჯგუფში ორი მკვდარი ენა შეაქვთ. ესენია ვესტგუთური (ე.ი. დასავლურგუთური ენა) და ოს-

ტგოთური (აღმოსავლურგოთური ენა). ვესტგუთური ენა ყველაზე ძველი გერმანული დამწერლობის მქონე ენაა. IV საუკუნეში გუთური ანბანით დამწერლობა შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ. მანვე თარგმნა სახარება. ოსტგუთურმა ენამ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპი-როსა და ყირიმში XVI-XVII საუკუნეებამდე იარსება.

სლავურ ენათა ჯგუფიც სამი ქვეჯგუფისაგან შედგება. აღმოსავ-ლურ სლავურ ენებს მიეკუთვნება **რუსული, უკრაინული და ბელო-რუსული.** სლავური ენების დასავლურ ქვეჯგუფში შედის: **ჩეხური, სლოვაკური, პოლონური** და მასთან ახლოს მდგომი **ქაშუბური, ლუ-ჟიური** ენები. სამხრეთული ქვეჯგუფი წარმოდგენილია **ბულგარულ-მაკედონიური, სლოვენიური და სერბულ-ხორვატული** ენებით. სლა-ვურ ენათა ჯგუფის მკვდარი ენებია ძველი სლავური (ანუ ძველი საეკ-ლესიო სლავური) ენა, პოლაბური ენა, სლოვინური ენა, პომორული ენა.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **კელტურ ჯგუფში** ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ: **გელურსა (ირლანდიური ენა, შოტლანდიური ანუ გე-ლური ენა, მენური ენა) და ბრიტულს (ბრეტონული ენა და უელსუ-რი, ანუ ვალიური ენა).** გადაშენებული კელტური ენაა გალური, რო-მელზედაც საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებნი მეტყველებ-დნენ.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **ბალტიურ ჯგუფში** მხოლოდ ორი ცოცხალი ენა – **ლიტვური და ლატვიური** შედის. ამ ჯგუფის მკვდარი ენაა **პრუსიული.** პრუსიული ენის წერილობითი ძეგლები XIV-XVII სს.-ით თარიღდება. ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის **ინდურ ენათა ჯგუფი.** ძველინდურ ენათა პირველი ძეგლები ძვ.წ. I ათასწლეულით თარიღდება. ამ ენათა ოჯახში შედის: **ჰინდი და მასთან ახლოს მდგო-მი ურდუ, ბენგალური, მარათჰი, ფანჯაბური, რაჯასტანი, გუჯარა-თი, ორიია, ნეპალი, ლაჰნდა, სინდიჰი, ასამი, ქაშმირი** და სხვა ენები. ინდურ ენათა ჯგუფში შედის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს მოდე-	ული **ბოშათა, ანუ აწინკანთა** ენა. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინ-დურ ენათა ჯგუფის გადაშენებულ ენებს მიეკუთვნება ვედების ენა და სანსკრიტი, პალი და პრაკრიტები.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **ირანულ ენათა ჯგუფში** შედის **სპარსული (ფარსი), ტაჯიკური, ავღანური, ანუ პუშტუ, ბელუჯური, ქურთული, ოსური, თათური, თალიშური, იაღნობური და პამირული ენები.** მკვდარი ენებია: ძველი სპარსული, ფალაური, მიდიური, პართი-ული, სოგდიური, სკვითური, ხორეზმული და საკური, ანუ ხატაური.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფებს ქმნის ახალი **ბერ-ძნული, ალბანური და სომხური ენები.** არსებობდა ძველბერძნული და საშუალო ბერძნული, ანუ ბიზანტიური ენები (ფუნქციონირებდა როგორც ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო, სალიტერატურო და საღ-ვთისმეტყველო ენა VI-XIV სს-ში).

აფროაზიური ანუ სემიტურ-ქამიტური ენათა ოჯახი (მსოფლიოს მოსახლეობის 5%) გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთსა და აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, არაბეთის ნახევარკუნძულზე და მისგან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში: სირიაში, ლიბანში, იორდანიაში, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ერაყში. აფროაზიურ, ანუ სე-მიტურ-ქამიტურ ენათა ოჯახი ხუთი ჯგუფისაგან შედგება: **სემიტუ-**

რი, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური. სემიტურ ენათაგან დღეს ყველაზე გავცელებულია არაბული ენა (20-მდე სახელმწიფოში). ის მუსლიმთა საერთაშორისო, კულტის ენაა. არაბული დამწერლობის უძველესი ძეგლი ახ. წ. IV ს-ით თარიღდება. ბერბერული, ყუშიტური და ჩადური ენები აფრიკის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთს მოიცავს. ბერბერული ენა შემონახულია მხოლოდ მაღრიბის მთიან ოლქსა და საქარის ოაზისში. ბერბერულ ენაზე მოლაპარაკენი არაბულადაც ლაპარაკობენ. ცოცხალი სემიტური ენებია: ამჰარული, თიგრე, თიგრინია (სამივე ენა ეთიოპიაშია გავრცელებული), აისორული ენები (ეს უკანასკნელი არამეული ენის შთამომავალია).

მკვდარი სემიტური ენებია: აქადური (ასურულ-ბაბილონური). ამ ენაზე შესრულებულია ლურსმული წარწერები ძვ.წ. 2800-650 წლებში, უგარიტული, ძველებრაული ენები. დღეს ეს უკანასკნელი გარკვეული ცვლილებებით აღდგენილ იქნა და ისრაელის სახელმწიფო ენაა ივრითის სახელწოდებით. არამეული ენა (წინა აზიაში გავცელებული იყო ძვ.წ. III –ახ.წ. IV სს.-ში. ის ბიბლიის გვიანდელი წიგნების ენაა). ფინიკიური ენა (ფინიკიური თანხმოვანი ანბანით; დამწერლობის უძველესი ძეგლი ძვ.წ. XIII საუკუნით თარიღდება), რომელიც, ფაქტობრივად, ბიბლიის ებრაულთან ერთად ერთი, ქანაანური, ენის დიალექტს წარმოადგენდა.

ურალურ ენათა ოჯახი (მსოფლიოს მოსახლეობის 0,5%) განფენილია ერთმანეთისაგან დაშორებულ გეოგრაფიულ არეალში. ის ორი ჯგუფისაგან შედგება: ფინურ-უგრული, ანუ უგრო-ფინური და სამოიდური. ფინურ-უგრული ჯგუფი მოიცავს შემდეგ ქვეჯგუფებს: ა) ბალტიისპირული (ფინური, კარელიური და ესტონური ენები); ბ) პერმიაკული (კომი-ზირიანული, კომი-პერმული და უდმურტული ენები); გ) ვოლგისპირული (მარი ენა, მორდოვული ენა) და დ) უნგრული (უნგრული, ანუ მადიარული, მანსი და ხანტი ენები). აღნიშნულ ენათა ოჯახის სამოიდური ჯგუფის ენებიდან შეიძლება დავასახელოთ: ნენცური, ევენკური, იგანასანური და სელკუპური.

ალთაურ ენათა ოჯახი ევრაზიაში ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან იაპონიის კუნძულებამდე და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან ცენტრალური აზიის უდაბნოებამდე ერთმანეთისაგან მონყვეტილ რამდენიმე არეალშია გავრცელებული. მასზე მსოფლიოს მოსახლეობის 6% ლაპარაკობს. ალთაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება: თურქული, მონღოლური და ტუნგუსურ-მანჯურიული ჯგუფის ენები. თურქულ ენათა ჯგუფში შედის: **ჩუვაშური, თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული, სალარიული, გაგაუზური, თათრული, ბაშკირული, ყაზახური, ყირგიზული, ყარაყალფაქური, ყარაჩაულ-ბალყარული, ყუმუხური, ნოღაური, კარაიმული, უზბეკური, უიღურული, იაკუტური, დოლგანური, ალთაური, ხაკასური, თუვიური** და სხვ. ენები. მკვდარი თურქული ენებია: ორხონული, პაჭანიკური, ყიჩაღური, ძველი უიღურული, ჩალატაური, ვოლგისპირა ბულგარული, ხაზარული.

თანამედროვე **მონღოლურ ენებს** მიეკუთვნება: საკუთრივ **მონღოლური, ბურიატული, ყალმუხური, ოირატული.** ტუნგუსურ-მანჯურიულ ენებში შედის მანჯურიული (ჩინეთში, რომელიც სულ უფრო იშვიათად იხმარება), ევენკური, ევენური და სხვ.

ადრე ენათა ერთ ოჯახად იყო წარმოდგენილი **იბერიულ-კავკასიური ენები.** ცნობარებსა და ენციკლოპედიებში დღეს ცალ-ცალკეა შეტანილი ქართველურ (მსოფლიოს მოსახლეობის 0,1%) და ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახები. ეს უკანასკნელი შემდეგი ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი: აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური (მსოფლიოს მოსახლეობის 0,1%).

სამხრეთ ინდოეთში გაბატონებული **დრავიდული ჯგუფის ენები** (მსოფლიოს მოსახლეების 4%) ზოგიერთი კლასიფიკაციით შვიდი ჯგუფისაგან შედგება; სხვა კლასიფიკაციით – ოთხი ჯგუფისაგან. დრავიდულ ენებზე ლაპარაკობენ ძირითადად სამხრეთ ინდოეთსა და შრი-ლანკაში.

ძალიან მცირერიცხოვანი ესკიმოსურ-ალეუტური ოჯახის ენებზე მოსაუბრე ხალხები ბინადრობენ გრენლანდიაში, ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთ პერიფერიებსა და რუსეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში.

საჰარის სამხრეთით აფრიკის მოსახლეობა ძირითადად სამი ოჯახის ენებზე ლაპარაკობს. ნიგერო-კორდოფანულ ენათა ოჯახზე მსოფლიოს მოსახლეობის 6% ლაპარაკობს. გავრცელებულია დასავლეთ, ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში. ოჯახში გაერთიანებულია სამი ჯგუფი – მანდე, ნიგრ-კონგო, კორდოფანული. ნიგერო-კორდოფანული ენათა ოჯახის ჩრდილოეთით ნილო-საჰარულ ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ხალხები მკვიდრობენ. ის ცხრა ჯგუფს აერთიანებს და მასზე მსოფლიოს მოსახლეობის 0,6% მეტყველებს. ძალიან მცირერიცხოვანი კოისანურ ენათა ოჯახი ძირითადად სამხრეთ აფრიკაშია თავმოყრილი და ის სამი ჯგუფისაგან შედგება.

ინდოევროპული ენათა ოჯახის შემდეგ რაოდენობრივად მეორე ადგილზეა სინო-ტიბეტური ოჯახი. მასზე მსოფლიოს მოსახლეობის 23% ლაპარაკობს. გავრცელებულია აზიის აღმოსავლეთ, ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებსა და სამხრეთ აზიის უკიდურეს ჩრდილოეთში. ერთი კლასიფიკაციით სინო-ტიბეტურ ოჯახში 13 ჯგუფი შედის: ჩინური, ტიბეტო-ბირმანული, კაჩინური, ბოდო-გარო, მიჯუ, დიგარო, მირი, ჯიმალი, ლეფჩა, აღმოსავლეთჰიმალაური, ნევარი, გურუნტი, დასავლეთჰიმალაური.

ავსტროაზიური ოჯახის ხალხები (მსოფლიოს მოსახლეობის 1,6%) აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სამხრეთში მკვიდრობენ. ერთ-ერთი კლასიფიკაციით ამ ოჯახში ხუთი ჯგუფი შედის: მონ-ქხმერული, ალისური, ნიკობარული, ქხასი, მუნდა.

მიაო-იაოს ენათა ოჯახის (მსოფლიოს მოსახლეობის 0,2%) გავრცელების არეალი საკმაოდ ვიწროა: აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. იყოფა ორ ჯგუფად – მიაო და იაო. აზიაში პარატაულ ენათა ოჯახზე მსოფლიოს მოსახლეობის 1,4% მეტყველებს. ამ ოჯახში ექვსი ჯგუფი შედის.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ოკეანიასა და ტაივანში განსახლებული არიან ავსტრონეზიური ოჯახის ხალხები (მსოფლიოს მოსახლეობის 5%). თანამედროვე კლასიფიკაციით ეს ოჯახი 6 ჯგუფად იყოფა.

გაქრობის პირას მდგომი ანდამანური ოჯახი ანდამანის კუნძულებზე რამდენიმე მცირერიცხოვანი ხალხითაა წარმოდგენილი.

ავსტრალიურ ენათა ოჯახი სხვადასხვა მცირერიცხოვან ხალხებს აერთიანებს, რომლებიც კვლავაც შემორჩენილია კონტინენტზე. ის იყოფა 22 ჯგუფად, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი – პამა-ნიუნგაა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი. უფრო მცირერიცხოვანია რუსეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში ლოკალიზებული ჩუკოტკო-კამჩატკურ ენათა ოჯახი.

ამერიკის კონტინენტზე ასეულობით ენა იყო გავრცელებული. დღეს ბევრი მათგანი გადაშენებულია. ამერიკელ ინდიელთა შორის დღეს ყველაზე გავრცელებული ენებია: **კეჩუა** (პერუ, ეკვადორ, ბოლივია, ჩილე, კოლუმბია, არგენტინა), **გუარანი** (პარაგვაი, ბრაზილია, ბოლივია, არგენტინა) და **აიმარა** (ბოლივია, პერუ). ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის ენები სუსტადაა შესწავლილი და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია არგუმენტირებული არაა.

§4. რელიგიურ-კულტურული კლასიფიკაცია. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე თითქმის ყველა ხალხის ცხოვრებაში რელიგია არსებით როლს ასრულებდა. რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არამარტო მატერიალურ კულტურაზე, საზოგადოებრივსა და საოჯახო ყოფაზე, არამედ ეთნიკურ განვითარებაზეც. პირველყოფილ საზოგადოებაში ყველა ტომს მისთვის დამახასიათებელი რწმენა-ნარმოდგენები ჰქონდა. იმ დროისათვის ეს იყო **მაგია, ტოტემიზმი, ანიმიზმი, შამანიზმი, წინაპართა კულტი, ბუნების კულტი, ფეტიშიზმი, სატომო ბელადების კულტი, სხვადასხვაგვარი სამინათმოქმედო და მეცხოველეობასთან დაკავშირებული კულტები და მრავალი სხვა.**

ყველაზე ძველი რელიგია ინდუიზმია – ის დაახლოებით 5 ათას წელს ითვლის. ინდუიზმს არ ჰყავს დამაარსებელი, არა აქვს სასულიერო იერარქია და ერთიანი კანონები. ინდუიზმი უფრო ცხოვრების წესი და კულტურაა, ვიდრე მონესრიგებული რელიგიური ტრადიცია. ინდუიზმი სხვადასხვა მიმართულებების, მიმდინარეობების, რელიგიური სკოლებისა და სექტების კონგლომერატია. ინდუიზმი მრავალღმერთიანობის რელიგიაა. ბოლო საუკუნეში ინდუიზმის ადეპტთა რაოდენობა გაიზარდა. გაფართოვდა მისი გეოგრაფიაც. XXI საუკუნის დასაწყისში 900 მილიონი ინდუისტი ითვლებოდა, რომელთაგანაც ინდოეთში 850 მილიონი (ქვეყნის მოსახლეობის – 80%) ცხოვრობდა. სიქხიზმი ინდოეთში გავლენიანი ნაციონალურ-რელიგიური ერთობაა. ის ნარმოიშვა XV საუკუნეში, როგორც ინდუიზმის რეაქცია ქვეყანაში ისლამის შეჭრაზე. მისი საფუძველი მკაცრი ერთღმერთიანობა და კასტური სისტემის საკრალური (და არა რეალური) უარყოფა გახდა. სიქხიზმისათვის დამახასიათებელია ანტიასკეტიზმი. გავრცელებულია ძირითადად პენჯაბში. სიქხიზმი დიდ ნინააღმდეგობას უწევდა ისლამს, რაც ხშირად სისხლისმღვრელ ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე. სიქხები არ იჭრიან თმებს, თან დაატვთ სავარცხელი, ხანჯალი, ლითონის სამაჯური; სიქხები საერთოდ არ სვამენ ღვინოს, არ ეწევიან თამბაქოს და არ იყენებენ ნარკოტიკებს. ინდოეთის მოსახლეობის 2% სიქხია. სიქხების ნანილი მოითხოვს პენჯაბში დამოუკიდებელი სიქხური სახელმნიფოს – ხალისტანის შექმნას.

ძველი მსოფლიოს ცალკეული რელიგიები პოლითეისტურ და მონოთეისტურ რელიგიებად იქცა. ასეთი რელიგიებიდან აღსანიშნავია ძვ.წ. II ათასწლეულში ებრაელებში წარმოქმნილი და ჩვენამდე მოღწე-

ული **იუდაიზმი.** ის მახლობელ აღმოსავლეთში ძვ. ნ. II ათასწლეულში ებრაელთა შორის წარმოქმნილი კაცობრიობის ისტორიაში პირველი მონოთეისტური რელიგია იყო. დღეისათვის 14 მლნ. ებრაელი ანუ იუდაიზმის მიმდევარი ცხოვრობს მსოფლიოში.

სხვა ძველი რელიგიის – **ზოროასტრიზმის** საფუძველი, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ძველ ირანელთა შორის წარმოიშვა და ტრანსფორმირებული სახით დღეს შენარჩუნებულია ფარსებში, გებრებსა და იეზიდების ეთნოკონფესიურ ჯგუფებში, იყო დუალიზმი, ე.ი. წარმოდგენა კეთილი და ბოროტი სანყისის ურთიერთბრძოლის შესახებ. ზოროასტრიზმის კულტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცეცხლისადმი თაყვანისცემა, რომელსაც მიეწერება განმწმენდი ძალა. VI-VII საუკუნეები ზოროასტრიზმის აყვავების პერიოდი იყო. მაშინ მისი მიმდევრები მილიონებს ითვლიდნენ, ის ირანის სახელმნიფო რელიგია იყო. ისლამმა მაზდეანობა დევნილ რელიგიად აქცია. დღეისათვის ცეცხლთაყვანისმცემლები 300 ათასზე მეტნი არიან. აზიაში არაერთი სხვა პოლითეისტური რელიგია წარმოიქმნა, მაგრამ ისინი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიებად ვერ იქცნენ.

მსოფლიო მნიშვნელობის მონოთეისტური რელიგიებია: **ბუდიზმი, ქრისტიანობა** და **ისლამი.** ბუდიზმის შესახებ მხოლოდ მოკლედ აღენიშნავთ, რომ ის ძვ.წ. VI-V სს.-ში წარმოიქმნა სამხრეთ აზიაში და ორი ძირითადი მიმართულებისაგან შედგება. გენეტიკურად დაკავშირებულია ინდუიზმთან. ის წარმოიშვა როგორც პროტესტი კასტური სისტემის, ბრაჰმანული რიტუალებისა და ქურუმთა ძალმომრეობის წინააღმდეგ. ბუდიზმის საფუძვლის ჩამყრელი იყო რეალური ისტორიული პიროვნება – პრინცი სიდხარტა გაუტამა, რომლის ზესახელწოდება იყო „ბუდა" („განმანათლებელი"). ახალი ერის დასაწყისში ბუდიზმში ორი ძირითადი მიმართულება გაჩნდა, რომლებიც დღემდე არსებობს. ესენია ხანაინა („ვიწრო გზა") და მახაიანა („ფართო გზა"). ხანაინას წარმომადგენლები სკრუპულოზურად მისდევენ ადრეული ბუდიზმის პრინციპებს. ხანაინას წეს-ჩვეულებები საკმაოდ მარტივია. დღეისათვის ბუდიზმის ამ ფორმას მსოფლიოს ბუდისტთა მხოლოდ მესამედი მისდევს. ისინი შეადგენენ შრი-ლანკას, მიანმის, ტაილანდის, ლაოსისა და კამბოჯის მოსახლეობის უმეტესობას. მახაიანა კულტის განვითარებით, რთული წეს-ჩვეულებებით, ბუდას გალმერთებით გამოირჩევა. მახაიანას ნაირსახეობაა ტიბეტში წარმოქმნილი ლამაიზმი. ლამაიზმში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება წეს-ჩვეულებებს, შავსა და თეთრ მაგიას. ლამაიზმისათვის დამახასიათებელია მკაცრი საეკლესიო იერარქია, რომლის სათავეშიც დგას დალაი-ლამა. მახაიანისტები მსოფლიოს ბუდისტების დაახლოებით 2/3 შეადგენენ (350 მლნ.). ისინი ცხოვრობენ ჩინეთში, იაპონიაში, კორეასა და ვიეტნამში. მონღოლეთში, ტიბეტში, ბურიატიასა და ყალმუხეთში ლამაიზმის მიმდევრები არიან.

ჯანაიზმი ბუდიზმის თანადროულია. მისი წარმოქმნა იყო კიდევ ერთი მცდელობა ინდუიზმის რეფორმირებისა. მისი შემქმნელი ძვ. ნ. VI-V საუკუნეებში ცხოვრობდა. ჯანაიზმი უარყოფს კასტურ სისტემას, სქესობრივ დისკრიმინაციას, არ ცნობს ვედის ავტორიტეტს, გამოდის ღმერთების თაყვანისცემის წინააღმდეგ. ამ რელიგიის მიმდევართა რაოდენობა 4 მლნ. მეტია. მათი 95% ინდოეთში ცხოვრობს.

ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ჩინეთში წარმოიქმნა ორი ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრება: კონფუციანობა და დაოსიზმი, რომლებიც დროთა განმავლობაში რელიგიებად გარდაიქმნა. კონფუციანობის, დაოსიზმის ადეპტთა რაოდენობა 200-300 მლნ. კაცია. 5 მილიონი კონფუციანელი კორეაშიც ცხოვრობს.

ახ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში წარმოიქმნა ქრისტიანობა (ახალი წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან აითვლება). XI საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანობა ორ მიმართულებად – მართლმადიდებლობად და კათოლიკობად გაიყო. XVI საუკუნეში, რეფორმაციის შედეგად, კათოლიციზმს გამოეყო პროტესტანტიზმი. პროტესტანტიზმი რამდენიმე თვითმოყოფად მიმდინარეობას მოიცავს, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია **ანგლიკანიზმი** (ყველაზე ახლოს დგას კათოლიციზმთან), **ლუთერანიზმი** და **კალვინიზმი.** კალვინიზმი სამ ძირითად განშტოებად იყოფა: **რეფორმატიზმი, პრესვიტერიანიზმი, კონგრეგაციონიზმი.** ანგლიკანიზმის წიაღიდან არის გამოსული **მეთოდიზმი.** მეთოდიზმთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული სექტა **„ხსნის არმია“**, რომელიც სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი. კალვინიზმთან გენეტიკურადაა დაკავშირებული **ბაპტიზმი.** ბაპტისტთა რიგებს გამოეყო **50-იანელთა სექტა.** ბაპტიზმს გამოეყო აგრეთვე **ადვენტიზმი,** ადვენტიზმს კი – **იეღოვას მონმეების სექტა.**

ქრისტიანობის სამ ძირითად მიმდინარეობასთან ერთად (მართლმადიდებლობა, **კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი)** არსებობს აგრეთვე ორი ნაკლებად გავრცელებული მიმართულება, რომლებიც ახ.წ. V საუკუნეში წარმოიქმნა: **მონოფიზიტობა (მას მიეკუთვნებიან სომეხი გრიგორიანელები, ეთიოპიელები, კოპტები) და ნესტორიანობა (ნესტორიანელები არიან ასირიელები. ლიტურგია სრულდება ძველ ასირიულ ენაზე.** ნესტორიანულ ტაძრებში არაა ხატები და ქანდაკებანი. საქართველოში ცხოვრობს 6 ათასი ნესტორიანელი). რელიგიური ნეს-ჩვეულებებით ნესტორიანობა და განსაკუთრებით მონოფიზიტობა ძალზე ახლოს დგას მართლმადიდებლობასთან.

ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო რელიგიაა **ისლამი.** ის წარმოიშვა ახ.წ. VII საუკუნეში არაბებში. წარმოქმნისთანავე ისლამი დაიყო სამ მიმართულებად: **სუნიზმი, შიიზმი და ხარიჯიზმი.** ფართოდ გავრცელდა მხოლოდ პირველი ორი. სუნიზმიდან და შიიზმიდან წარმოიქმნა მთელი რიგი სექტები. სუნიზმიდანაა წარმოქმნილი **ვაჰაბიზმი.** ძირითადი შიიტური სექტაა **ზეიდიზმი.**

სხვადასხვა რელიგიის, მათი მიმართულებების, მიმდინარეობებისა და სექტების გავლენა ერთნაირი არაა. ზოგიერთი მათგანი ითვლის ასეულ მილიონობით მიმდევარს, სხვები კი აერთიანებენ მხოლოდ რამდენიმე ათას ან ასეულ კაცს.

1996 წლის მონაცემებით მსოფლიოში აღირიცხებოდა 1 მილიარდ 955 მილიონი ქრისტიანი (მსოფლიოს მოსახლეობის 36%), მუსლიმები – 1 მილიარდ 126 მილიონი (მსოფლიოს მოსახლეობის 19%), ინდუისტები – 793 მილიონი, რაც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 14%-ს შეადგენს. ბუდისტები – სხვადასხვა მონაცემებით 500 მილიონი და 325 მილიონი (მსოფლიოს მოსახლეობის 6%), კონფუციანელები და დაოისტები – 203 მილიონი, იუდაისტები – 14 მილიონი, სიქხები – 19

მილიონი. ქრისტიანებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან კათოლიკეები – 900 მილიონი, პროტესტანტები – 600 მილიონი, მართლმადიდებლები – 182 მილიონი. პროტესტანტებიდან ლუთერანები არიან 100 მილიონი, 50-იანელები – 51 მილიონი, ანგლიკანები – 51 მილიონი, ბაპტისტები – 75 მილიონი, რეფორმისტები (პრესვიტერელებთან ერთად) – 46 მილიონი, იეღოვას მოწმეები – 5 მილიონი, ადვენტისტები – 5 მილიონი, „ხსნის არმიის" მიმდევარია 4 მილიონი. მუსლიმებს შორის ჭარბობენ სუნიტები.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი რელიგია ქრისტიანობაა. ქრისტიანთა უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ამერიკასა და ევროპაში. ქრისტიანთა მცირე ჯგუფები ცხოვრობენ აფრიკასა და აზიაში. ევროპის მხოლოდ სამ ქვეყანასა (ალბანეთი, ბოსნია და თურქეთის ევროპული ნაწილი) და ამერიკის ერთ ქვეყანაში (სურინამი) ქრისტიანები არ შეადგენენ უმრავლესობას. ავსტრალიასა და ოკეანიაში ყველა ქვეყანა უმეტესად ქრისტიანულია, გარდა ფიჯისა, სადაც ქრისტიანობას მხოლოდ მოსახლეობის ნახევარი მისდევს. აზიაში ქრისტიანები მცირე რაოდენობით მოსახლეობენ. ისინი ჭარბობენ მხოლოდ კვიპროსსა და ფილიპინებში (კათოლიკეები), ლიბანში კი მოსახლეობის დაახლოებით 2/5-ს შეადგენენ.

ლათინური ამერიკის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკეა. კათოლიკეა აგრეთვე კანადის მოსახლეობის 46%, ამერიკის მოსახლეობის 27%. კათოლიციზმის მიმდევრები ცხოვრობენ იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიაში, ირლანდიაში (მოსახლეობის უმეტესობა). კათოლიკეები არიან აგრეთვე პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, უნგრელები, ხორვატები. გერმანიის, ნიდერლანდების, შვეიცარიის მოსახლეობის ნახევარი კათოლიკეა.

მართლმადიდებლები არიან: ბერძნები, ქართველები, რუსები, რუმინელები, მოლდოველები, ბულგარელები, სერბები, მაკედონიელები, ჩერნოგორიელები, ესტონელების ნაწილი, უკრაინელების ნაწილი, ბელორუსების ნაწილი.

პროტესტანტიზმის ბურჯია ჩრდილოეთი და ცენტრალური ევროპა. სკანდინავიის ქვეყნებსა და ფინეთში ის გაბატონებულია ლუთერანიზმის ფორმით, დიდ ბრიტანეთში – ანგლიკანიზმის ფორმით. პროტესტანტიზმს მისდევს გერმანიის მოსახლეობის ნახევარი (ლუთერანები), ნიდერლანდელები და შვეიცარიელები. აშშ-ში მოსახლეობის 64% პროტესტანტია.

მონოფიზიტები არიან სომხები და ეთიოპიელები. მონიფიზიტებს მიეკუთვნებიან ეგვიპტელი კოპტები, სირიელი იაკობიტები. ნესტორიანელობა გავრცელებულია ასირიელებს შორის ძირითადად ირანში (13 ათასი), ერაყში (82 ათასი), სირიაში (40 ათასი), ინდოეთში (15 ათასი).

ისლამის მიმდევრები ძირითადად აზიაში ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი არაბულ ქვეყნებში. ბევრი მუსლიმი ცხოვრობს აფრიკაში. ევროპაში ისლამის მიმდევრები არიან თურქები, ალბანელები, ბოსნიელები და ბულგარელთა უმნიშვნელო ნაწილი. ქვეყანათა უმეტესეობაში ისლამი გავრცელებულია სუნიზმის ფორმით. საუდის არაბეთში გაბატონებულია სუნიზმის მიმდინარეობა ვაჰაბიზმი. შიიზმი მკვეთრად

ჭარბობს ირანელებში. ერაყში, ბაჰრეინსა და იემენის არაბთა რესპუბლიკაში შიიტები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ.

იუდაიზმის მიმდევრები ყველა კონტინენტზე ცხოვრობენ. ამ რელიგიის მიმდევრები მხოლოდ ებრაელები არიან. ისტორიაში ერთადერთი სხვა ეთნოსი, რომელიც იუდაიზმს აღიარებდა თურქულენოვანი ხაზარები იყვნენ.

დღეს მსოფლიოში ბევრი ადამიანი არც ერთი რელიგიის მიმდევარი არაა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში ურწმუნოთა რაოდენობა 240%-ით გაიზარდა. ეს პლანეტის მოსახლეობის 20%-ია. ურწმუნოები ძირითადად აზიაში არიან თავმოყრილი, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთში, სადაც ისინი მთელი ქვეყნის მოსახლეობის 75%-ზე მეტს შეადგენენ, იაპონიასა და სამხრეთ კორეაში – დაახლოებით 45%-ს. მეორე ადგილზე ევროპაა. აქ სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის 20-დან 40%-მდე ურწმუნოა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ურწმუნოთა რაოდენობა შესაბამისად 9% და 12%-ია.

§5. სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაცია. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ სოციალ-ეკონომიური განვითარების მეტ-ნაკლებად ერთ დონეზე მყოფი ხალხები კულტურული თვალსაზრისით როგორც ემსგავსებიან, ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამასთანავე ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ბევრი ხალხი კულტურული თვალსაზრისით ერთმანეთს ჰგვანან და, პირიქით, მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ხალხები განსხვავებული კულტურის მატარებელნი არიან. კულტურის მსგავსება განსაკუთრებით ახასიათებთ იმ ხალხებს, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ. ამ გარემოებამ განაპირობა მსოფლიოს ხალხთა კლასიფიკაციის კიდევ ერთი სახის ნარმოქმნა, რომელმაც სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაციის სახელწოდება მიიღო. ის მეურნეობისა და კულტურის კვლევის ეთნოლოგიურ მეთოდებს ემყარება და გამოიყენება ხალხთა ეთნოგენეზის, მათი ეთნიკური ისტორიის, მეურნეობის ფორმების, მატერიალური და სულიერი კულტურის პრობლემების შესნავლისას, რომელიც ხალხთა შორის კულტურული და ისტორიული ურთიერთობის ეთნიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული. ასეთი ტიპოლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძველს ნარმოადგენს სამეურნეო-კულტურული ტიპების გამოყოფა.

სამეურნეო-კულტურული ტიპის ქვეშ მოიაზრებენ მეურნეობისა და კულტურების თავისებურებების გარკვეულ კომპლექსებს, რომლებიც სოციალ-ეკონომიკური განვითარებით ახლოს მდგომ და მსგავს ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში მობინადრე სხვადასხვა ხალხებში ისტორიულად ყალიბდება. სამეურნეო-კულტურულ ტიპებს შორის სხვაობა, პირველ რიგში, ეხება მოსახლეობის დიდი ნაწილის ძირითად საქმიანობას – რეწვას, სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას, აგრეთვე შრომის იარაღებს, საკვებს, საცხოვრებელს, გადაადგილების საშუალებებს, დგამ-ავეჯსა და ჭურჭელს, ტანსაცმელსა და მატერიალური კულტურის სხვა ელემენტებს. სულიერი კულტურის სფეროში სამეურნეო-კულტურულ ტიპებს შორის განსხვავება ძირითადად გამოვლინდება ნეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებში, გამოყენებითი ხელოვნების,

რნმენა-ნარმოდგენების, კულტებისა და ფოლკლორის იმ თავისებურებებში, რომლებიც უფრო ნათლად ასახავენ შრომისა და ყოფის ფორმებს ამა თუ იმ ლანდშაფტურ-კლიმატურ პირობებში.

სამეურნეო-კულტურული ტიპების რიცხვი განსაზღვრულია და შეიძლება დაკავშირებული იყოს საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ეტაპებთან. ეთნოსების სამეურნეო-კულტურული ტიპების მიხედვით კლასიფიკაცია მხოლოდ ტრადიციულ კულტურას ეხება და შუა საუკუნეების ფარგლებს არ სცილდება. კაპიტალიზმის ეპოქამდე წარმოქმნილი ყველა სამეურნეო-კულტურული ტიპი შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ, რომლებიც ერთმანეთისაგან შრომის უფრო მეტად მაღალი ნაყოფიერებით გამორჩევა. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, ის სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომლის ეკონომიკაშიც ჭარბობს მონადირეობის, შემგროვებლობისა და ნაწილობრივ მეთევზეობის ეკონომიკური როლი; მეორე ჯგუფში შედის თოხითი (ხელის) მინათმოქმედება და მეცხოველეობა; მესამე ჯგუფში შედის გუთნური (სახვნელი) მინათმოქმედება გამწევ ძალად შინაური ცხოველების გამოყენებით. ეს უკანასკნელი ძვ. წ. III-I ათასწლეულებში აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის დიდი მდინარეების ძველ სამინათმოქმედო კერებში წარმოიქმნა. ეს დიდი ნახტომი იყო კაცობრიობის ისტორიაში. მინათმოქმედებისა და მოძრავი მესაქონლეობის განვითარებით ადამიანთა საზოგადოებაში გაჩნდა მნიშვნელოვანი ქონებრივი უთანასწორობა, რამაც საბოლოოდ სოციალური დიფერენციაცია და სახელმწიფოების წარმოქმნა განაპირობა. ამ დროს გამოეყო მინათმოქმედებას ხელოსნობა. სამეურნეო-კულტურული ტიპის მესამე სახეობა დიდი მრავალგვარობით გამოირჩევა. ამას კლიმატი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა – ერთ შემთხვევაში ნამყვანნი თუ სარნყავი მინათმოქმედება იყო, მეორე შემთხვევაში – მომთაბარე მესაქონლეობა. მაგალითად, კავკასიის მთიელებში მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობა იყო და მინათმოქმედება დამხმარე როლს ასრულებდა, ხოლო კავკასიის ბარში (აქ ძირითადად სამხრეთ კავკასია გვაქვს მხედველობის არეში) – სარნყავი მინათმოქმედება იყო წარმმართველი მესაქონლეობის შეთანანყობით.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ თანამედროვე ხალხებში შეიძლება სამეურნეო-კულტურული ტიპის სამივე ჯგუფი შეგვხვდეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში ეს ტიპები თუ კვლავ ნამყვანნი არიან, მეორე შემთხვევაში მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობს.

ეთნიკური საზღვრები, როგორც წესი, არ ემთხვევა სამეურნეო-კულტურული ტიპის საზღვრებს; ზოგჯერ ასეთი საზღვრები დიდ ეთნოსებს ნაწილებად ჰყოფს, პატარებს კი აერთიანებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ სლავებისა და ინდოევროპული მოდგმის ხალხების ტრადიციული კულტურა უპირატესად დაკავშირებულია მინათმოქმედებასთან, ხოლო თურქული წარმომავლობის ეთნოსთა უმეტესობისა და მონღოლურენოვანი ხალხებისა – მესაქონლეობასთან. ძალიან ხშირად სამეურნეო-კულტურული ტიპის საზღვრები ბუნებრივ-ლანდშაფტურ ოლქებს ემთხვევა. მაგალითად, ტუნდრის ზონის თითქმის ყველა ხალხისათვის არსებითად დამახასია-

თებელია ტრადიციული მეირმეობა, ხოლო დიდი მდინარეების ტაიგის ზონაში – მეთევზეობა.

სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაციის გვერდით არსებობს ხალხთა კლასიფიკაცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების მიხედვით. მას ისტორიულ-კულტურულ კლასიფიკაციასაც უწოდებენ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქებში გაერთიანებულია ხალხები, რომელთაც სოციალ-ეკონომიკური განვითარების ერთობა, ხანგრძლივი კავშირები და ურთიერთგავლენა ახასიათებთ. ეს ერთობა ყველაზე ნათლად მატერიალურ კულტურაში ვლინდება,. მაგრამ ის მეურნეობასა და ყოფასთან დაკავშირებულ სულიერ კულტურაშიც მჟღავნდება. მეცნიერები სხვადასხვა დონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქებს გამოყოფენ, ე. ი. ყოველ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში რამდენიმე ოლქი შედის. ამასთანავე საზღვრები ისტორიულ-ეთნოლოგიურ ოლქებს შორის გარდამავალი ზონების გამო ხშირად პირობითია. ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით, მსოფლიოში 16 ისტორიულ-კულტურული პროვინციაა გამოყოფილი: დასავლეთ-ცენტრალურევროპული, აღმოსავლეთევროპული, კავკასიური (იყოფა ორ ქვეოლქად – ჩრდილო და სამხრეთკავკასიურად), შუაააზიურ-ყაზახური, ციმბირული, ცენტრალურაზიური, აღმოსავლეთაზიური, სამხრეთ-აღმოსავლურაზიური, სამხრეთაზიური, სამხრეთ-დასავლურაზიური (წინააზიური), ჩრდილოაფრიკული (შედგება სამი ქვეოლქისაგან – ეგვიპტური, მაღრიბული, სუდანური), ტროპიკულაფრიკული, ჩრდილოამერიკული, ლათინურამერიკული, ავსტრალიური, ოკეანური. ჩვეულებრივ, ხალხთა ჯგუფების აღწერისას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების სტრუქტურას გამოიყენებენ: „ვოლგისპირეთის ხალხები", „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები", „ჩრდილოეთის ხალხები", „ციმბირის ხალხები". ამ უკანასკნელში შედარებით პატარა ოლქებიც გამოიყოფა: იამაილო-ტაიმირული, დასავლეთ-ციმბირული, აღმოსავლეთ-ციმბირული, კამჩატკურ-ჩუკოტკური, ამურულ-სახალინური.

თემა XIII

ეთნიკური ფსიქოლოგია: ეთნიკური თვითშეგნების, იდენტობის პრობლემა

ეთნიკური თვითშეგნებისა და ცნობიერების პორობლემას ეთნიკური ფსიქოლოგია შეისწავლის. ეთნიკურ ფსიქოლოგიას აინტერესებს ადამიანთა ფსიქიკის ეთნიკური თავისებურებები, ეთნიკური თვითშეგნების ფორმირებისა და ფუნქციის კანონზომიერებები, ეთნიკური განწყობილებები და სტერეოტიპები. ეთნოფსიქოლოგიური გამოკვლევების მიზანია, ერთი მხრივ, განსაზღვრულ ბუნებრივ პირობებში ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობასა და სულიერ კულტურას შორის ურთიერთკავშირის დადგენა და, მეორე მხრივ, საკვლევი საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიური თავისებურებების გამოვლენა. ასეთი გამოკვლევები ძირითადად ემპირიულ შედარებით-აღწერილობით ხასიათს ატარებს.

ეთნიკური ფსიქოლოგია სწავლობს ურთიერთობის ეთნიკურ თავისებურებებსა და ადამიანთა შორის კავშირს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ეთნოფსიქოლოგიურ თავისებურებებს უწოდებენ. ეთნიკური ფსიქოლოგიის სტრუქტურა ეთნიკურ თვითშეგნებას, ეთნიკურ გრძნობას, ხასიათს, განწყობილებას, ეთნიკურ ორიენტაციას, განწყობას და სხვ. გამოხატავს, ხოლო ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებები – ეთნოფსიქოლოგიის დინამიკურ მხარეებს.

ეთნოლოგიას, თეორიულ-შემეცნებითი ასპექტების გარდა, პრაქტიკულ-გამოყენებითი დანიშნულებაც რომ აქვს, ამას მისი ერთი-ერთი მნიშვნელოვანი სფერო – ეთნიკური ფსიქოლოგიაც ადასტურებს. ეთნიკური ფსიქოლოგიის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიეთნიკური სახელმწიფოებისათვის აქვს, რომლებშიც შეიძლება სხვადასხვა მენტალობის, ცნობიერების ეთნოსები მკვიდრობდნენ. ამ ასპექტების კვლევა ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. თუმცა თავდაპირველად, XIX საუკუნის შუა ხანებში ეთნიკური ფსიქოლოგიის (ეთნიკური ცნობიერების, ნაციონალური ხასიათის) შესწავლის სანყის ეტაპზე ეს არ ყოფილა დასახული. ბოლო დროს არა მხოლოდ ეთნოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც ხშირად გვხვდება ისეთი ტერმინები როგორებიცაა „ეთნოფსიქოლოგია", „ეროვნული (ნაციონალური) ხასიათი", „მენტალობა", „მენტალიტეტი", „ეთნიკური სტერეოტიპები", „თვითშეგნება". ყველა ეს ტერმინი უშუალოდ ეთნოსთანაა დაკავშირებული.

საკამათო აღარაა, რომ ყველა ეთნოსმა განვითარების გრძელ გზაზე შექმნა კულტურული ფასეულობები, შეიმუშავა ეთნიკური ქცევის გარკვეული მოდელი, ესთეტიკური ფასეულობების საკუთარი, მხოლოდ თავისთვის დამახასიათებელი სისტემა.

ეთნიკურ-ფიქოლოგიის რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა: ეთნოსის მენტალობა, ცნობიერება, ხასიათი დიდად არის დამოკიდებული ბუნებრივსა და ეკოლოგიურ ფაქტორებზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე საზოგადოებრივი განვითარების, სოციალურ ურთიერთობათა დონე, საგარეო ფაქტორი, ეთნიკური გარემოცვა, საერთოდ, ისტორიული განვითარება თავისი ზიგზაგებით. არ შეიძლება რელიგიური ფაქტორის გამორიცხვაც. პირიქით, რელიგიას ეთნიკური სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მონინავე პოზიცია უკავია.

§1. ეთნოფსიქოლოგიის არსი (რაობა) და სტრუქტურა. ეთნიკური ფსიქოლოგია ამა თუ იმ ხალხის გრძნობების, განწყობილებების, ხასიათის, წარმოდგენების, ჩვეულებების, ტრადიციების, წესების ერთობლიობაა, რომლებიც მდგრადობითა და სიმტკიცით გამოირჩევა. ეთნიკური ფსიქოლოგია ვლინდება ეთნიკური ერთობის წარმომადგენელთა საერთო მსოფლაღქმაში, ქცევის მდგრად ფორმებში, რეაქციაში, მეტყველებაში, სხვა ადამიანებთან და ბუნებასთან ურთიერთობაში.

კონკრეტულ ეთნიკურ ერთობებს ჩამოყალიბებული აქვთ სპეციფიკური ეთნოსტერეოტიპები, ნაციონალური ხასიათი, ცნობიერება, გრძნობები, განწყობილებები, ინტერესები, ორიენტაცია არა მხოლოდ საკუთარი ეთნოსის, არამედ სხვა ეთნოსების მიმართაც. ეთნოსში ჩამოყალიბებული წარმოდგენები, გრძნობები და მითით შექმნილი მდგრადი ნეს-ჩვეულებები, ტრადიციები, მორალური აკრძალვები, შეხედულებები სიკეთესა და ბოროტებაზე და სხვა ელემენტები ერთობლივი სახითაა მოცემული. ეთნიკური ფსიქოლოგია მტკიცედ ჩამოყალიბებული მსოფლხედვა არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ადამიანთა ქცევასა და აზროვნებას მან ღრმა კვალი დაამჩნია.

ეთნიკური ფსიქოლოგია ინივიდუალურ ფსიქოლოგიათა ერთობლიობა არ არის; მას გააჩნია ყოფის ამსახველი თავისებურებებისა და სტრუქტურული დონეების სისტემა. ეთნიკური ფსიქოლოგია რაციონალური შეხედულებების, ტრადიციული წარმოდგენების, მითოლოგიისა და იდეოლოგიის შეთავსება-შეხამებაა, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ამავე დროს მას ემატება თანამედროვეთა განწყობილებები და ფასეულობები და იდეოლოგიისაგან განსხვავებული ფასეულობითი ორიენტაციები, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო იცვლება. ეთნიკური ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელია მდგრადობა და ინერტიულობა, რადგან ის ხალხთა ფსიქიკის სილრმისეული მხარეების მომცველია.

ეთნიკური ფსიქოლოგიის ზოგიერთი შტრიხი არა მხოლოდ ამა თუ იმ ხალხის განსაკუთრებული თვისებების გამომხატველია, არამედ ბევრი ეს თვისება საზოგადოებრივ სხვადასხვა ხალხებისათვის. ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ფოლკლორში, შემოქმედების სხვა სფეროებში არა მხოლოდ ეთნიკური (ნაციონალური) ხასიათი, მენტალობის სპეციფიკურობა ჩანს, არამედ სხვა ეთნოსებისთვისაც დამახასიათებელი ნიშანდობლივი მოვლენები, ე.ი. საკაცობრიო შინაარსი.

ეთნიკური ფსიქოლოგიის შინაარსისა და ფორმების ცოდნა მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ხალხებზე, მათ სულიერ სამყაროსა და მენტალობაზე. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ შეგნებულად იქმნება ეთნიკური სტერეოტიპები, რომლებიც ეთნიკური ცრურწმენებისა და წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრების ფორმირების

ფსიქოლოგიურ ფაქტორებად იქცევიან, რაც შეიძლება ეთნოსთა შორის შუღლის, უთანხმოებისა და მტრობის მიზეზადაც კი იქცეს. ამიტომაც ეთნიკური ფსიქოლოგიის, კონკრეტულ შემთხვევაში კი სტერეოტიპების შესწავლას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ეთნიკური ფსიქოლოგიის შესწავლას ნაციონალური პოლიტიკის შესამუშავებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, განსაკუთრებით პოლიეთნიკურ სახელმწიფოებში სასურველი ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად.

§2. ეთნიკური თვითშეგნება. ეთნიკური თვითშეგნება გარკვეული ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის, სხვა ეთნოსისაგან განსხვავებულობის შეგნებაა (შეცნობაა), რაც ეთნიკური ერთობების მნიშვნელოვანი ნიშანია და ამ ერთობის ყოფიერების ობიექტურ ასახვას წარმოადგენს.

ეთნიკური თვითშეგნება გარეგნულად თვითსახელწოდებაში (ენდოეთნონიმში) ვლინდება. სხვა ქვეყანაში მცხოვრები ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფიც თავის თავს იმ ჯგუფთან, ერთობლიობასთან აიგივებს, რომელიც მისი ეთნონიმის მატარებელია. ყველა სხვა მსგავსი ეთნიკური ერთობებისაგან ისინი თავს მხოლოდ სახელწოდებით განასხვავებენ, ამ დროს განსაკუთრებულ როლს თამაშობს ანტითეზა „ჩვენ – ისინი".

ეთნიკურ თვითშეგნებაში ცენტრალური ადგილი უკავია წარმოდგენებს საერთო წარმომავლობისა და საერთო ისტორიული ბედის შესახებ, რაც განპირობებულია გენეალოგიური გადმოცემებით, თქმულებებით, ისტორიულ მოვლენებში ერთობლივი მონაწილეობით, საერთო მშობლური ენითა და განსახლების არეალთან (ტერიტორიასთან) მჭიდრო კავშირებით. ეთნიკური მიკუთვნებულობის შეგნება, გარკვეულ, კონკრეტულ ჯგუფთან იდენტიფიკაცია, ყველა დანარჩენისაგან განსხვავებულობა ეთნოსის წევრებში გრძნობების მთელ გამას ქმნის: ეთნიკური ერთობის სვე-ბედთან თანაზიარობა, ეთნიკური სამშობლოსა და ხალხის სიყვარული; ეთნიკური თავისებურებები, კულტურის სიამაყის გრძნობა, საკუთარი ხალხის უბედობით წუხილი, მსხვერპლად შენირვისთვის მზადყოფნა და ა. შ. ეთნიკური თვითშეგნების, ცნობიერების ამაღლების კატალიზატორს, მასტიმულირებელსა და დამაჩქარებელ ფაქტორებს წარმოადგენს ისეთი მოვლენები, როგორებიცაა: საგარეო აგრესია, დაპყრობა, ასიმილაციის საშიშროება, კულტურული და სრული ფიზიკური განადგურების შემცველი კოლონიზაცია. ეს ფსიქოლოგიური ფენომენი არსებით როლს თამაშობს ეთნოსის მობილიზაციასა და კონსოლიდაციაში. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხალხის მიერ წარმატების მისაღწევად. ეთნოსის ქცევაში გრძნობები და განცდები შესაბამისი შეფერილობის ემოციებსა და მიზანმიმართულ ქმედებებს წარმოქმნის (ხალხის ბედნიერებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა).

თეორიული თვალსაზრისით ეთნიკური თვითშეგნების ორ დონეს გამოყოფენ: სოციალურ-ფსიქოლოგიურსა და იდეოლოგიურს. პირველის შემადგენელი ელემენტებია: კოგნიტური წარმოდგენები, სტერეოტიპები, განწყობილებები, მათ შორის სოლიდარობა, ეთნიკური უსაფრთხოების მოთხოვნილება, ფრუსტრაცია, აგრესია და ა.შ. მეორეს, იდეოლოგიურ დონეს, შემოქმედებითი ინტელიგენცია ქმნის და მისთვის დამახასიათებელია იდეოლოგემები. ზოგჯერ დეკლარირებული იდეა თავის მიმზიდველობას კარგავს, რადგან, ჩვეულებრივ, ყოველ-

დღიურ ცხოვრებაში ადამიანები მათთვის უფრო აქტუალური იდეებითა და ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

ეთნიკური თვითშეგნება ეთნიკურობის, ეროვნულობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია, მოსახლეობის აღწერებსა და სტატისტიკური აღწერის სხვა მასობრივ ფორმებში. ამიტომ ადამიანის ეთნიკურობა და სალაპარაკო ენა შეიძლება არც დაემთხვეს ერთმანეთს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ პიროვნებამ სხვა ეთნოსის ენა შეითვისა და სხვა ეთნოსის კულტურა გაითავისა, მაგრამ ეთნიკური თვითშეგნება, ცნობიერება იგივე დარჩა. ასეთ შემთხვევაში ეთნიკური თვითშეგნება დროთა განმავლობაში მოულოდნელად შეიძლება შეიცვალოს, რაც განპირობებული იქნება ასაკით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, განათლების დონით, სხვადახვა ცხოვრებისეული სიტუაციის გავლენით, რომელშიც ადამიანი აღმოჩნდება.

მეცნიერებს დაფიქსირებული აქვთ ორმაგი ეთნიკური თვითშეგნებაც. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ნაციების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ერთობებისაგან შედგება. მხედველობაში გვაქვს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის „ახალი" ნაციები, რომელთა უმეტესობაც ეთნიკური კონგლომერატებისაგან შედგება. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა გარკვეული სიჭრელით, მოზაიკურობით გამოირჩევა. სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულთა საერთო ამერიკულ ქვაბში ხარშვას ამუხრუჭებს კომპაქტურად განსახლებულ იმიგრანტთა ეთნიკური ტრადიციები, რელიგიური, ენობრივი და ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორები და ა. შ. დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მეხუთედს ორმაგი ეთნიკური თვითშეგნება, ცნობიერება გააჩნია, ისინი თავს მიაკუთვნებენ ამერიკელებსაც და „დედისეულ" ეთნოსსაც, საიდანაც მოიტანეს ბევრი კულტურულ-ყოფითი და ენობრივი მოვლენა. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდაა გავრცელებული ისეთი ცნებები, როგორებიცაა „ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი", „იტალიური წარმოშობის ამერიკელი" და ა.შ. ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში შემორჩენილნი არიან ინდიელი ხალხები, რომლებიც ორ, – მშობლიურსა და ესპანურ, – ენაზე ლაპარაკობენ. მაგალითად, პერუში, ეკვადორსა და ბოლივიაში კეჩუას ეთნოსი კეჩუანელადაც მიიჩნევს თავს, და შესაბამისად, პერულადაც, ეკვადორელადაც და ბოლივიელადაც. ამ შემთხვევაში ორმაგ ეთნიკურ თვითშეგნებას, ჩვეულებრივ, ორენოვნებაც შეეფარდება.

ეთნიკური თვითშეგნებისაგან ზოგჯერ განასხვავებენ ეროვნულ (ნაციონალურ) თვითშეგნებას, ცნობიერებას. უფრო მეტიც, ეროვნული (ნაციონალური) თვითშეგნება და ეროვნული (ნაციონალური) ცნობიერება სხვადახვა მოვლენებადაც კი წარმოუდგენიათ. თუმცა ისინი ერთი რიგის მოვლენებია. სხვაობა მხოლოდ ნიუანსებში შეიძლება იყოს. ეროვნული (ნაციონალური) ცნობიერება ასახავს ნაციონალურ ყოფიერებას (ყოფას), ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ და სხვა შეხედულებებს, რომლებიც ერის (ნაციის) სულიერი განვითარების თავისებურებებს წარმოადგენს. ეროვნული (ნაციონალური) ცნობიერება განპირობებულია ერის (ნაციის) როგორც ისტორიით, ისე თანამედროვე განვითარებით. ამასთანავე ეროვნული (ნაციონალური) ცნობიერება ერის ფასეულობით მთელი სპექტრის ამსახველია. ნაციონა-

ლური ცნობიერების სტრუქტურაში სამ დომინანტურ კომპონენტს გამოყოფენ, რომლებიც ერის (ნაციის) ყოფიერებას სივრცობრივ და დროის განზომილებებში ახასიათებენ. რამდენადაც ერის (ნაციის) ყოფირება მოიცავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, დომინანტებად გვევლინება ნაციონალური მეხსიერება, ნაციონალური იდეა და ნაციონალური იდეოლოგია. მაგრამ ნაციონალურ ცნობიერებაში უფრო ნაციონალური სურვილები, მიზნები, იდეალები, სიმბოლოები ჭარბობს, რომლებიც ეროვნულ ცხოვრებაში განსაზღვრავს ადამიანური მოქმედებების, მოღვაწეობის ინდივიდუალურსა და კოლექტიურ ნორმებს.

§3. ეთნიკური იდენტობა. ეთნიკური იდენტობა იგივე ეთნიკური ცნობიერებაა. განასხვავებენ იდენტობის ორ დონეს. პირველი დონე პირადულ-ფსიქოლოგიურია, რომლის დროსაც ადამიანი თავს შეიცნობს კითხვით „ვინ ვარ მე?" მეორე დონე კი – სოციალ-ფსიქოლოგიურია, როდესაც საკუთარ თავზე ადამიანის ნარმოდგენა განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფში ყალიბდება. ამ უკანასკნელის ნაირსახეობადაა მიჩნეული ეთნიკური იდენტობის, ანუ მარტივად რომ ვთქვად, პიროვნების მიერ თავისი თავის გარკვეული ეთნოსის ნაწილად შეცნობა. ეთნიკური იდენტობის შეძენა ხდება არა თვითნებურად, არა ნებისმიერად, არამედ დაბადებით ან გარკვეულ ეთნიკურ გარემოში აღზრდით. ბავშვის მშობლები თუ ერთსა და იმავე ეთნოსს მიეკუთვნებიან და ბავშვი მათთან იზრდება, ბუნებრია, ეს ბავშვი მშობლების ეთნიკურობის გამგრძელებელია, რადგან ეთნიკური სტერეოტიპებისა და განაწესების ფორმირების მექანიზმს მიბაძვა ნარმოადგენს – ის ითვისებს ენას, კულტურას, ტრადიციებს, მშობლიური ეთნიკური გარემოს სოციალურსა და ეთიკურ ნორმებს.

ეთნიკური იდენტობის სოციალ-ფსიქოლოგიური ფასეულობები ეთნიკური მობილიზაციის ფსიქოლოგიური საფუძველიცაა, რაც შეიძლება განვიხილოთ როგორც ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ინტერესების ჯგუფური მოქმედებებისათვის მზადყოფნად.

ეთნიკური იდენტიფიკაცია ადამიანის ეთნიკური თვითგამორკვევის ცნობიერი (შეგნებული) აქტია, რომელიც თავის თავს მიაკუთვნებს განსაზღვრულ ეთნიკურ ერთობას. ეთნიკური თვითგამორკვევა იდენტობის შეცნობის მეორე ეტაპს წარმოადგენს, როდესაც სხვა ეთნოსებთან შედარების, სხვა ეთნოსებისაგან განსხვავების შედეგად ყალიბდება ცნობილი ფსიქოიდენტიფიკაციური ფორმულა, ანტითეზა „ჩვენ-ისინი". ეთნიკური იდენტიფიკაცია ძირითადად სამი საწყისით, ფაქტით არის განპირობებული – მშობლებით, ენითა და ეთნიკური თვითშეგნებით. მაგრამ განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად იზრდება იდენტიფიკატორების რაოდენობაც.

როგორც აღინიშნა, ადამიანი თავს იმ ხალხს მიაკუთვნებს, რომლის ნარმომადგენლებიც მშობლები არიან. ბუნებრივია, საქართველოში ქართულ ოჯახსა და ქართულ კულტურულ-ყოფით გარემოში აღზრდილი ადამიანი თავს ქართველად გაიცნობიერებს. იდენტიფიკაცია ზოგჯერ პრობლემური ხდება იმ დროს, როდესაც მშობლები სხვადასხვა ეთნოსის ნარმომადგენლები არიან. ბავშვის არჩევანი – დედის თუ მამის ეროვნება კონკრეტული გარემოებებზე დამოკიდებულებით წყდება, რომელშიც ოჯახი ცხოვრობს: რომელი ენა უფრო ხშირად გამოიყენება, რომელი ეთნოსის საოჯახო, კულტურულ-ყოფით ტრადიციებს აქვს უპირატესობა მოპოვებუ-

ლი, და, ბოლოს, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ამ დროს გარემომცველი ეთნიკური გარემოა (სად ცხოვრობს შერეული ოჯახი? მაგალითად, ქართულ-რუსული ოჯახი – საქართველოში თუ რუსეთში). ქართული ტრადიციიდან გამომდინარე უფრო ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც პიროვნება იდენტიფიკაციას მამის ხაზით ახდენდა, რადგან გვარსახელსაც უპირატესად მამის ხაზით ილებდა. მაგრამ სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე ევროპაში მიგრირებული და იქ დაქორწინებული ქართველი მამაკაცის შემთხვევაში. თავისი პირველი მემკვიდრეების თუ არა, მეორე და მესამე თაობის მემკვიდრეთა იდენტურობის გარკვევა პრობლემური აღარ იქნება. ისინი გარემომცველი ეთნიკური გარემოს მიხედვით განსაზღვრავენ თავიანთ იდენტობას, თუმცა ისიც ბუნებრივია, რომ წინაპრის ეთნიკურობის შესახებ წარმოდგენა და ხსოვნა დიდხანს ექნებათ.

ამდენად, ეთნიკური იდენტობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ გარემოებას, როგორიცაა იმ ხალხების რაოდენობა, რომელთაც დედა და მამა მიეკუთვნებიან. გასათვალისწინებელია მათი სამეურნეო და კულტურული განვითარების დონეც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა. ეთნიკური იდენტობის შეცვლა განსაკუთრებით ქალაქებში ხდება. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ უცხო ეთნიკურ გარემოში დასახლებული ოჯახი მარტოდმარტოა ტიტულოვანი ეთნოსის გარემოცვაში თუ ეს ოჯახი თავისი ეთნოსის გარკვეულ ჯგუფთან ერთად ცხოვრობს. მაგალითად, კომპაქტურად ცხოვრების გამო ინარჩუნებენ იდენტობას სხვადასხვა ქვეყნებში განსახლებული სომხები. სარწმუნოებასთან ერთად კომპაქტურობა, ანუ გეტოებში ცხოვრება იყო შუა საუკუნეების ევროპაში ებრაელთა იდენტურობის შენარჩუნების მიზეზი.

ყოფილ საბჭოთა იმპერიაში მოქმედებდა კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანების ეროვნება განისაზღვრებოდა მშობლების ეთნიკურობის მიხედვით, რაც ოფიციალურად პასპორტებში ფიქსირდებოდა. სხვადასხვა ეროვნების მშობლების ყოლის შემთხვევაში, პიროვნება სრულწლოვანების ასაკში დამოუკიდებლად წყვეტდა თავის ეთნიკურ იდენტობას ერთ-ერთი მშობლის ეროვნების მიხედვით. საბჭოთა კავშირის მემკვიდრის რუსეთის ფედერაციაში კი დღეს მოქმედი კონსტიტუცია აღნიშნულ პრობლემას სხვაგვარად უდგება. საკუთარი ეთნიკურობის მითითება ესაა ადამიანის არა მოვალეობა, არამედ უფლება. ამიტომ ნაციონალური მიკუთვნებულობის განსაზღვრა ხდება სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, ე. ი. ადამიანი საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით ახდენს თვითიდენტიფიკაციას, თვითგამორკვევას, რაც სათანადოდ, პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში ფიქსირდება. საქართველომ კი ამ მხრივ დასავლური გზა აირჩია – პიროვნების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტში მხოლოდ მოქალაქეობა ფიქსირდება, ეთნიკურობა არ აღინიშნება. ეთნიკურობას საქართველოში პიროვნებები მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში აფიქსირებენ.

ეთნიკური იდენტობის ფორმირების პროცესში, სხვადასხვა მიზეზებისა და პირობების გამო, რამდენიმე ტიპი ყალიბდება. ეს ტიპებია:

1. ადეკვატური იდენტობა. პიროვნება თავისი ხალხის სახეს დადებითად აღიქვამს, რაც მეღავნდება, შესაბამისად, ისტორიასთან, კულტურასთან, მენტალობასთან დამოკიდებულებით. ასეთი დადებითი (პოზიტიური) ეთნიკური იდენტობა სხვა ხალხების მიმართ არ არის მიმართული;

2. ეთნოცენტრისტული იდენტობა. ასეთი იდენტობის დროს პიროვნება ხაზს უსვამს საკუთარ ეთნიკურობას, მას უკრიტიკოდ ანიჭებს უპირატესობას. ეთნოცენტრისტული იდენტობის დროს სხვა ხალხების კულტურას, ტრადიციებს, ფასეულობებს თავისი ეთნოსის პრიზმაში აღიქვამენ;

3. ეთნოდომინირებული იდენტობა. იდენტობის ამ ტიპში, სხვა იდენტობებთან შედარებით (სამოქალაქო, პოლიტიკური, პროფესიული და სხვ.), ეთნიკურ იდენტობას ენიჭება უპირატესობა. ამ ტიპის ეთნიკური მიკუთვნებულობა უპირობო დომინირებულ ფასეულობად აღიქმება. გაბატონებულია შეხედულება საკუთარი ეთნოსის უპირატესობაზე სხვა ეთნოსების მიმართ. ასეთი იდენტობის ხალხებს მისწრაფება აქვთ სხვა ეთნიკური ჯგუფების დისკრიმინაციისაკენ, ამართლებენ ეთნიკურ წმენდას, მოუწოდებენ არ შეერიონ, არ შეუღლდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან;

4. ეთნიკური ფანატიზმი. ასეთი ტიპის იდენტობისას პიროვნება მზადაა ნავიდეს ნებისმიერ მსხვერპლზე და ქმედებაზე თავისი ეთნიკური ინტერესებისა და იდეების გამო. ეს ტიპი აგრესიული იდენტობის უკიდურესი ფორმაა;

5. ეთნიკური ინდიფერენტულობა. ამ ტიპის მატარებელნი პრაქტიკულად გულგრილნი არიან საკუთარ ეთნიურობასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ. მათთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს არა მხოლოდ თავისი, არამედ სხვისი ფასეულობები;

6. ეთნონიჰილიზმი. ეთნონიჰილიზმი მოვლინდება კოსმოპოლიტიზმის ფორმით და უარყოფს ეთნიურობას, ეთნიკურ და ეთნოკულტურულ ფასეულობებს. ასეთი ადამიანები თავს „პროგრესულ" ადამიანებად მიიჩნევენ და თავს მიაკუთვნებენ არა რომელიმე კონკრეტულ ეთნოსს, არამედ კაცობრიობას. აქედან გამომდინარე, უარყოფენ ყოველგვარ ეთნიურობას და ეთნიკურ იდენტობას არქაულ და არასაჭირო მოვლენად მიიჩნევენ;

7. ამბივალენტური ეთნიკურობა. ესაა სუსტად გამოხატული ეთნიკური იდენტობა, ანუ „ორმაგი" იდენტურობა. ეთნიკური იდენტობის ეს ტიპი ძირითადად შერეულ ოჯახებსა და იმიგრანტა შორისაა გავრცელებული.

ეთნიკური იდენტობის ზემოთ ჩამოთვლილი ტიპები ერთგვარად პირობითია. რეალურ ცხოვრებაში ძალიან ძნელია იდენტობის ერთი სახის მეორისაგან განსხვავება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში ადამიანი შესაძლებელია ერთი ეთნიკური იდენტობისადმი იყოს ერთგული, შემდეგ კი – მეორისადმი.

§4. ეროვნული (ნაციონალური) ხასიათი. ეროვნული (ნაციონალური) ხასიათი ეწოდება სპეციფიკური ფსიქოლოგიური ნიშნების ერთობლიობას, სამყაროს აღქმის თავისებურებებსა და მასზე რეაქციის ფორმებს, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ამა თუ იმ სოციალურ-ეთნიკური ერთობისათვის. ნაციონალური ხასიათი ემოციურ-მგრძნობელობითი გამოვლინებების გარკვეულ ერობლიობას წარმოადგენს, რაც პირველ ყოვლისა, ემოციებში, გრძნობებსა და განნყობილებებში, მიმდინარე მოვლენებზე რეაქციის სიჩქარესა და ინტენსიურობაში მჟღავნდება. როგორც ყველა სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენა, ნაციონალური ხასიათი ვლინდება ადამიანთა დიდი ჯგუფების, და, შედარებით ნაკლებად, ცალკეული ინდივიდების ქცევის წესებში, აზროვნების ფორმაში, ნეს-ჩვეულებებში, ტრადიციებში, გემოვნებაში და ა.შ. ყველაზე თვალნათლივ ეროვნული

(ნაციონალური) ხასიათი თავს იჩენს ტემპერამენტში. ხშირად მეზობლად, ერთ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები ხალხები ერთნაირი ტემპერამენტის მატარებელნი არიან და განსხვავებულ გარემოში მცხოვრებნი კი დიამეტრალურად გამოირჩევიან ერთმანეთისაგან (მაგალითად, რუსეთის ჩრდილოეთის ხალხები და კავკასიელები სრულიად განსხვავებული ტემპერამენტისანი არიან). ეროვნული (ნაციონალური) ხასიათი ყალიბდება ეთნოსის მთელი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობით. ზემოთ დასახელებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ, კლიმატურ მოვლენებთან ერთად, მის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობდა ეთნოსისავე შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურა, სოციალური გარემო, ისტორიული განვითარების მთელი სპექტრი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ეროვნული (ნაციონალური) ხასიათი არაა უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ. შენიშნულია, რომ მატერიალური და საზოგადოებრივი პროცესების განვითარების კვალობაზე მისი ცალკეული მახასიათებლები იცვლება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოში, ისტორიულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველები. ბუნებრივია, მათმა ხასიათმა უცხო ეთნიკურ გარემოში გარკვეული ცვლილებები განიცადა. იმერხევში ორი წლის განმავლობაში საექსპედიციო მუშაობის შემდეგ ჩვენ ეს მხოლოდ ნაწილობრივ, უმნიშვნელოდ ვიგრძენით. მაგრამ ჩვენთან დამეგობრებულმა ადგილობრივმა თურქმა ინტელიგენტმა, რომელმაც ორჯერვე ექსპედიცია სახლში სტუმრად მიიწვია, გულახდილად აღნიშნა: „არ გენყინოთ, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ, თქვენ სტუმართმოყვარენი, ლაღები, პირდაპირები ხართ, მაგრამ აქაური ქართველები ამ თვალსაზრისით თქვენ არ გგვანან. ისინი სტუმართმოყვარენი არ არიან და თან მატყუარებიც არიან, გეტყვიან ერთს, გააკეთებენ მეორეს". რესპოდენტი გულახდილი იყო. რა კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს მის ნათქვამს? ძალიან მარტივად შეიძლება ითქვას, რომ ტაო-კლარჯეთის ქართველობის, რომელთა სტუმართმოყვარეობის შესახებ XVII საუკუნეში ფრანგი ჟან შარდენი აღნიშნავდა, ეს საამაყო წესი, ტრადიცია, უცხოთა ეთნიკურ გარემოში შეიცვლა. ამ შემთხვევაში ქართველი ვერ იქნებოდა დამპყრობლის მიმართ სტუმართმოყვარე და ორპირიც გახდებოდა, თურქს ერთს ეტყოდა და მეორეს გააკეთებდა. ეს ხასიათი მათ მიმართ მკაცრად ჩამოუყალიბდათ. ორი ექსპედიციის განმავლობაში თურქეთის ეთნიკურ ქართველებთან ჩვენი ურთიერთობის შედეგად ვერც არასტუმართმოყვარეობა ვიგრძენით და ვერც ორპირობა.

ეროვნული ხასიათის ესა თუ ის კომპონენტი მხოლოდ ამა თუ იმ ერისათვის (ნაციისათვის) ნიშანდობლივი მოვლენა არ არის. ეროვნული ხასიათი საერთო საკაცობრიო ნიშნების მომცველია. ერთი ნაციის ნიშან-თვისება სხვა ერისათვისაც (ნაციისთვისაც) შეიძლება იყოს დამახასიათებელი. ვერ ვიპოვით ხასიათის რომელიმე ისეთ ნიშანს, რომელიც მხოლოდ ერთი ერისათვის (ნაციისათვის) იქნება დამახასიათებელი.

ყველა ხალხს მიაჩნია, რომ მათ დადებითი თვისებები ახასიათებთ, სხვებს კი უარყოფითი, რაც ეთნოცენტრიზმის, ნაციონალიზმის გამოვლინება და გვიან შეძენილი ნიშნებია. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ხალხთა ეს თვისება გვიან შეძენილი კი არა (თუმცა ესეც გამოსარიცხი არაა), არამედ თანდაყოლილი მოვლენაა. ამ თვალსაზრისით აქ შეიძლება ენ-

დოეთნონიმები გავიხსენოთ – არაერთი ენდოეთნონიმი ხომ ხალხად, ნამდვილ ადამიანებად ითარგმნება. ამრიგად, ისინი მხოლოდ საკუთარ ეთნიკურ ერთობას მიიჩნევდნენ დადებითი თვისებების, ხასიათების მატარებლად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეთნოსის ერთი ნიშანი თუ ზოგიერთ ხალხში დადებითად აღიქმება, სხვა ხალხში შეიძლება მას უარყოფითი შეფერილობა ჰქონდეს. საერთოდ, ეროვნული (ნაციონალური) ხასიათის მიხედვით ერებს იერარქიულად არ ყოფენ, აგრეთვე არ ყოფენ ერებს „უმაღლეს" და „უმდაბლეს" ნაციებად.

„ნაციონალური ხასიათის" ცნება არა თეორიულ-ანალიტიკური, არამედ აღწერილობითია. სხვადასხვა ხალხების ეროვნული (ნაციონალური) ხასიათების შესახებ ცნობები ძველ წერილობით წყაროებშია დაცული. ამ თვალსაზრისით არც ქართული წერილობითი ძეგლებია გამონაკლისი, რომლის გვირგვინსაც ვახუშტი ბატონიშვილისეული ეროვნული (ნაციონალური) ხასიათის აღწერილობა წარმოადგენს.

ეროვნული (ნაციონალური) ხასიათი დიდი ხანია მეცნიერ-მკვლევართა ინტერესს იწვევს. პირველი სერიოზული ნაბიჯები ამ მხრივ XIX საუკუნის შუა ხანებში გერმანიაში გადაიდგა (ვ. ვუნდტი, მ. ლაცარიუსი, ჰ. შტენტალი და სხვ.). ამ სკოლის მიხედვით ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ხალხი, ანუ „მთლიანი სული", რაც გამოხატულია ხელოვნებაში, რელიგიაში, ენაში, მითებში, ნეს-ჩვეულებაში და ა.შ., მთლიანად ხალხის, ანუ ეროვნულ (ნაციონალური) ხასიათში.

დღეისათვის ეროვნულ (ნაციონალურ) ხასიათს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა კონცეპტუალურ-თეორიული პოზიციებიდან იკვლევენ. ბევრი ავტორის აზრით, ეროვნული (ნაციონალური) ხასიათით ეთნოსები სხვადასხვა ჯგუფებად იყოფა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ეთნიკურ-ნაციონალურ ჯგუფებს ქმნის. არსებობს მიმდინარეობა, რომელიც „ნაციონალურ ხასიათს" ფიქტიურად, არარსებულად მიიჩნევს, ის შეუმჩნევლად და უჩინრად მიაჩნიათ. თუმცა მსოფლიოს ხალხების მენტალობაზე უფრო მეტი და მეტი ნაშრომები იწერება. მაგალითად შეიძლება ამერიკაში მოღვაწე გეორგ გაჩევის წიგნები დავასახელოთ, რომელიც ქართულ ხასიათსა და მენტალობაზეც (დადებით კონტექსტში) ბევრს წერს.

§5. ისტორიულად ჩამოყალიბებული მენტალიტეტის სახეები. მენტალიტეტი ადამიანის ცხოვრებისეული სამყაროს შესახებ წარმოდგენებს გვიხსნის; ის მოიცავს ბუნებრივსა და კულტურულს, ემოციურსა და გონებრივს, ირაციონალურსა და რაციონალურს, ცნობიერსა და კოლექტიურ არაცნობიერს. დღეს მენტალიტეტის პრობლემის მიმართ ინტერესი იზრდება, რაც განპირობებულია ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაციონალური, კულტურული, გეოგრაფიული და სოციალ-პოლიტიკური თავისებურებებით. გამოყოფენ მენტალიტეტის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ოთხ სახეს:

ა. ბარბაროსული მენტალიტეტი. მისი წარმოქმნა დაკავშირებულია გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობების ეპოქის დაშლასთან. „ბარბაროსის" ფსიქიკისათვის დამახასიათებელია დიდი გამძლეობა (კარგი ჯანმრთელობა, სისხლში ჰორმონების მაღალი დონე, გაზრდილი სექსუალური აქტიურობა, ცხოვრების მაღალი ტონუსი, ამტანობა); ბარბაროსებს ჰქონდათ უნარი მუდმივად გაეოცებინათ გარშემო მყოფნი.

გამოირჩეოდნენ რეაქციის გასოცარი უნარით; მიისწრაფოდნენ ახალი შთაბეჭდილებების, შეგრძნებების, განცდისა და რისკისაკენ.

ბ. იტალური მენტალიტეტი. ჩამოყალიბდა აღორძინების ეპოქაში. აქ პიროვნების სიცოცხლისმედეგობა უკვე დაბალია. მისი თავისებურებებია: დემონსტრაციულობის სრული არარსებობა, კომფორტის უგულებელყოფა, აბსტრაგირების უნარი და მისკენ სწრაფვა, მაღალი შრომისუნარიანობა, პატიოსნება, პირადულზე სოციალური ურთიერთობების პრიორიტეტულობა, გარეშე გაურკვეველ ძალებზე (ღმერთი, ბუნება, მეცნიერება) დამოკიდებულების გრძნობა, სიკვდილისა და ფიზიკური ტკივილის შიში, სხეულისა და სულის დაბალი ამტანობა.

გ. არისტოკრატიული მენტალიტეტი. არისტოკრატის ფსიქიკისათვის დამახასიათებელია: პირადი და სულიერი დამოუკიდებლობისაკენ მაქსიმალური სწრაფვა, სიამყე, სიზუსტე, მისწრაფება გარშემომყოფებზე მოახდინოს შთაბეჭდილება და ჰქონდეს ყველაზე საუკეთესო რამ. უნარი, წინაალმდეგობა გაუწიოს შიშს, მათ შორის, სიკვდილის შიშს, პატიოსნება, ღირსება. სოციალურად არისტოკრატი ყოველთვის განმარტოებულია: მაქსიმალური ჯგუფი, რომელთანაც ის თავს აიგივებს, ესაა ოჯახი, არისტოკრატის დამახასიათებელი თვისებაა ერთგულება.

დ. ბურჟუაზიული მენტალიტეტი. ჩამოყალიბდა XVI-XVII საუკუნეებში რეფორმაციისა და პროტესტანტიზმის გავრცელების დროს. თავისებურებები: ეკონომიურობა, შრომისუნარიანობა, ასკეტიზმი, არაგულწრფელობა, პირმოთნეობა, რაციონალიზმი, ფუნქციონალურობისა და დამგროველობლობისაკენ მისწრაფება, ტრადიციული ფასეულობების ხშირი უგულებელყოფა, დაბალი გამძლეობა; პირადულ ურთიერთობებთან შედარებით ეკონომიკური ურთიერთობების პრიორიტეტულობა.

§6. ეთნიკური ტემპერამენტი. ეთნიკური ტემპერამენტი ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთი კომპონენტის – სტატისტიკურის (არსებობს დინამიკური კომპონენტიც) შემადგენელი ნაწილია. ეთნიკური ტემპერამენტი კონკრეტულ სიტუაციაში რეაგირების გარკვეული, მდგრადი განმეორებადი ხერხია, რომელიც ეთნიკური ერთობის დიდი ნაწილისათვისაა დამახასიათებელი (მაგალითად, უბედურების შემთხვევაში ქართველები, იტალიელები ტირიან, თმებს იგლეჯენ, იაპონელები კი იღიმებიან, რათა არ დაანაღვლიანონ სხვები. სულ ცოტა ხნის წინათ ქართველი, დედის გინებას არავის არ შეარჩენდა, ის მყისვე რეაგირებდა: შემგინებელს ფიზიკურად გაუწორდებოდა, რუსისთვის დედის გინება ჩვეულებრივი ამბავია, ის მას შეურაცხყოფად არ იღებს). ეთნიკური ტემპერამენტი ეთნიკური ხასიათის გარეგანი გამოხატულებაა, ის მჟღავნდება მეტყველების ტემპში, მოძრაობისა და ჟესტების რაოდენობასა და ენერგიულობაში, სოციალური დისტანციის სიდიდეში, გრძნობების გამოვლინებაში. ეთნიკური ტემპერამენტი დამოკიდებული არაა ნერვული სისტემების ტიპზე. ის მდგრადი ფენომენია, რომელიც ვლინდება ისტორიის განმავლობაში ერთი ეთნოსის სხვადასხვა წარმომადგენელთა შორის, როგორც ეთნიკური ქცევის სტაბილური ფორმა. ეთნიკური ტემპერამენტი განპირობებულია კონკრეტული ხალხის კულტურაში ჩაკირული რეაგირების სტერეოტიპებით.

თემა XIV

ეთნიკური განწყობა

ადამიანთა ჯგუფებს, საზოგადოებებსა და ეთნოსებს შორის ურთიერთობა, როგორც ეს მეცნიერებმა დაადგინეს, განისაზღვრება არა სინამდვილით, არმედ სინამდვილის აღქმით. ეთნიკური იდენტობის სტრუქტურის დონეზე მნიშვნელოვანია ეთნიკური ხატები, რომელიც თავს იჩენს ეთნოსთა სახოვანების ფორმაში. ეთნოსთა შორის ნარმმართველი ხატები (სტერეოტიპები, წინასწარშექმნილი ცუდი აზრები, ცრუწარმოდგენები) ეთნიკური იდენტობის სოციალურ-პერცეფციული (აღქმითი) ფენომენებია. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი ისინი ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებებს შეიცავენ და ეთნოსთაშორის ურთიერთობებში ქცევითი რეაქციისადმი მზადყოფნის დონით ხასიათდებიან. ამავე დროს, ეთნოსთაშორის ურთიერთობების ინტერპრეტაციისას ეთნიკური ხატებანი, შეიძლება ითქვას, წამყვან როლს ასრულებენ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისინი გაურკვეველ და კონფლიქტურ სიტუაციებში იძენენ. ეთნიკური ხატებიდან გამომდინარე მხარეები ისწრაფვიან თავისებური ახსნა მოუძებნონ მეორე მხარის ქმედებებსა და მოტივებს, რაც, რა თქმა უნდა, ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე აისახება; ისინი ხშირად გარკვეულ წინაღობადაც იქცევა ეთნოსთაშორის ურთიერთობებსა და კონფლქტების მოგვარების გზაზე.

§1. ეთნიკური განწყობილების არსი. ეთნოსთაშორის განწყობილების ქვეშ იგულისხმება პიროვნების მზადყოფნა ეთნონაციონალური ცხოვრებისა და ეთნოსთაშორის ურთიერთობის ამა თუ იმ მოვლენის აღსაქმელად და კონკრეტულ სიტუაციაში ამ აღქმის შესაბამისად მოქმედება. ეთნიკური განწყობილება პიროვნებების ყურადღების ცენტრში აქცევს გარკვეულ მრწამსს, შეხედულებებს, აზრებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია როგორც თავისი ეთნოსის, ისე სხვა ეთნოსებსა და ამ ეთნოსთა ნარმომადგენლებთან. ეთნიკური განწყობილებანი ფოკუსირდება მოვლენებთან (მაგალითად, ტრადიციები), ობიექტებთან (ენა, ფოლკლორი), ანდა ურთიერთობებთან (საქმიანი, საოჯახო, მეგობრული, მეზობლური) მიმართებით.

ეთნიკური განწყობილებანი ძირითადად ენთოკულტურული კონტაქტების სასაზღვრო ზონაში ყალიბდება; ისინი განამტკიცებენ როგორც საკუთარ ეთნიკურ ჯგუფთან, ისე სხვა ეთნიკურ ჯგუფთან ემოციურ-შეფასებით ურთიერთობებს. ამიტომაც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეთნიკური განწყობილებანი „ნეიტრალური" თითქმის არასდროს არაა და ისინი დიფერენცირდება „ემოციური" ნაჯვარობით, დატვირთულობით „პოზიტიურ" და „ნეგატიურ" განწყობილებებად. ეთნიკური განწყობილებების კიდეე ერთ საფუძველს მათი შინაარსიც ნარმოადგენს. გამოკვლევებში იმასაც აქვს ხაზი გასმული, რომ მთლიანად ეთნიკური ურთიერთობების ძირითად დასაყრდენს პოზიტიურ კონტექსტში წარმოადგენს ტრადიციული ეთნიკური კულტურა.

ეთნიკური განწყობილებანი და ურთიერთობები სხვადასხვაგვარად ყალიბდება. ურთიერთობების რაღაც ნანილი ერთგვარად სპონტანურად წარმოიქმნება. ძირითადი ნანილი წინასწარ. პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ფორმირდება, რომელსაც განწყობილების სახე აქვს. მისი ფორმირება ხდება ოჯახსა და სოციალური ჯგუფის უფრო ფართო ნრეში. შესაბამისად, პიროვნული ურთიერთობებიც ჯგუფობრივი განწყობილებებითაა განპირობებული. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმების გამოვლენა, რომლებიც ეთნოსთაშორის ურთიერთობების ჰარმონიასა და ეთნიკური განწყობილებების ოპტიმიზაციას უზრუნველყოფენ.

ეთნიკურ განწყობილებებს არაკრიტიკულობა, შეზღუდულობა და შემეცნებითი თვალსაზრისით ზოგჯერ დამახინჯებული წარმოდგენების ქონა ახასიათებთ. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ ეთნიკურ განწყობილებებს შორის ძირითადი ადგილი ისეთ ეთნიკურ სტერეოტიპებს უკავიათ, რომლებიც „მცდარია" და არასწორი, „წინასწარაკვიატებული" და „საეჭვო ცოდნის" საფუძველზეა წარმოქმნილი. ამავე დროს ეთნიკური სტერეოტიპები ისეთ ეთნიკურ განწყობილებებთან ურთიერთობებში განიხილება, როგორებიცაა წინასწარ ჩამოყალიბებული ცუდი აზრები და ცრუწარმოდგენები. ეთნიკურ წარმოდგენებს, როგორც ყველაზე ემოციურს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ გაურკვეველსა და კონფლიქტურ სიტუაციებში.

§2. ეთნიკური სტერეოტიპები. ეთნოსთაშორის განწყობილებებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთნიკურ სტერეოტიპებს უკავია. ეთნიკური სტერეოტიპები ესაა შედარებით მყარი წარმოდგენები მორალური, გონებრივი, ფიზიკური თვისებების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური ერთობების წარმომადგენლებისთვისაა დამახასიათებელი. ეთნიკური სტერეოტიპების შინაარსში, როგორც ნესი, აღნიშნული მახასიათებლები იგულისხმება. ის მყღაენდება სხვა ეთნოსის ნარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

ეთნიკური სტერეოტიპების სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნება განსაკუთრებული ცნებით – **სოციალური სტერეოტიპით** განისაზღვრება, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში 1922 ნელს შემოიტანა ამერიკელმა სოციოლოგმა და ჟურნალისტმა უ. ლიპმანმა. ის დასახელებული ტერმინით აღნიშნავდა საზოგადოებაში გავრცელებულ წინასწარშექმნილ წარმოდგენებს ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური და პროფესიული ჯგუფების ნევრთა შესახებ. განსაკუთრებით ისეთი ეთნიკური სტერეოტიპებია გავრცელებული, როდესაც შეზღუდული ინფორმაციის საფუძველზე ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ნარმომადგენლებს წინასწარაკვიატებული დასკვნები გამოაქვთ მთელი ჯგუფის შესახებ.

ეთნიკური სტერეოტიპები, პირველ რიგში, კულტურული ნარმონაქმნია, რომლებიც, ბუნებრივი და გარდაუვალია, მანამ, სანამ იარსებებენ ხალხები და ეთნიკური ჯგუფები. ეთნიკური სტერეოტიპები სამყაროს შესახებ ფსიქოლოგიური ცოდნის სისტემების იმ ნანილს შეადგენს, რომლებიც ხალხთა შორის განსხვავებას ასახავს. ეთნიკური სტერეოტიპების შინაარსში გამოარჩევენ შედარებით მტკიცე ბირთვს, რომელშიც გულიხმობენ მოცემული ხალხის წარმოდგენებს გარეგანი

იერსახის, მისი ისტორიული წარსულის შესახებ, ცხოვრების წესის თავისებურებებსა და შრომით ჩვევებზე და მთელ რიგ ცვალებად აზრებს კომუნიკაციური და მორალური თვისებების შესახებ. ამ თვისებების ცვალებადობის შეფასება მჭიროდაა დაკავშირებული ეთნოსთაშორის და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ცვალებად სიტუაციებთან.

წარსულში ეთნიკური სტერეოტიპები ხშირად პირველ მოგზაურთა მონათხრობების გავლენით ყალიბდებოდა, რომლებიც, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შემხვედრი ხალხის გარეგნობისა და ქცევის რაღაც „უცნაურ" ნიშნებს. ამიტომაც სინამდვილეში ამ ხალხების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ხშირად არასრული და მცდარი წარმოდგენებისაგან შედგებოდა. ყველაზე უარყოფითი სტერეოტიპებით დახასიათებული არიან ბოშები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათთან კონტაქტში შესული ეთნოსები, რომლებიც ბოშებისაგან განსხვავებით, მომთაბარეები, მანანწალები არ იყვნენ, ამ ხალხში ხედავდნენ ისეთ უარყოფით თვისებებს, როგორებიცაა: ფუქსავატობა, მხიარულება, პატიოსანი შრომის სიძულვილი, სიცრუისადმი მიდრეკილება, თაღლითობა, სიმულაცია, მათხოვრობა და ა. შ. თუმცა ბოშების შესახებ ზოგიერთი დადებითი სტერეოტიპიც არსებობდა (მაგალითად: გარეგნული სილამაზე და მუსიკალურობა). ანალოგიური სტერეოტიპები ძირითადად ბავშვობაში ყალიბდება ისეთი ავტორიტეტული პიროვნებებისაგან, როგორებიც არიან მშობლები, ნაცნობები, მასწავლებლები და ა. შ. უფრო მოგვიანებით სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლები და სხვა. ეთნიკურ ჯგუფს მიკუთვნებული ყველა სტერეოტიპი ყოველთვის აღნიშნული ჯგუფის თითოეულ ნევრზე ვრცელდება. აშკარაა, რომ ეთნიკური სტერეოტიპები ასახავენ არა მარტო წარსულის, არამედ აწმყოს პოზიტიურსა და ნეგატიურ გამოცდილებას.

ეთნიკური სტერეოტიპების შინაარსის ადეკვატურობა სინამდვილეში ფრიად პრობლემატურია. სავარაუდოდ ეთნიკური სტერეოტიპები ხალხების ურთიერთობის პოზიტიურსა და ნეგატიურ გამოცდილებას უფრო ისეთ სფეროებში ასახავენ, რომლებშიც მოცემულ ხალხებს უფრო აქტიური კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში და ა. შ.

ცნობილია, რომ რაღაც უცნობსა და უცხოსთან ადამიანების კონტაქტისას წარმოიქმნება ცნობისმოყვარეობისა და მასთან ერთად დაძაბულობის გრძნობა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ეთნოსთაშორის კონტაქტებზეც. ბუნებრივია, გაცნობის პირველ ეტაპზე ეთნოსებს ერთმანეთის მიმართ წინასწარ აკვიატებული ნეგატიური აზრები არა აქვთ. დამახინჯებული წარმოდგენები ურთიერთშეფასებისას წარმოიქმნება. ყველა ეთნოსი მიისწრაფვის თავი განასხვაოს სხვა, ანალოგიური ერთობებისაგან და სხვა ეთნოსების შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენები ყალიბდება ისეთი მახასიათებლებისაგან, როგორებიცაა: პატიოსნება, ღირსება, ზნეობა, სილამაზე და სხვა. ძალიან ხშირად, რასაც ეთნოსი საკუთარ სიმტკიცედ განიხილავს, სხვათა მიმართებით სიჯიუტედ ინოდება. მაგრამ „თავისი" ყოველთვის საუკეთესოდ არ მიიჩნევა. არსებობს საწინააღმდეგო ან ნეიტრალური შეფასება. მაგალითად, ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში არაერთ ეთნოსთან ჰქონია ურთიერთობა,

მაგრამ გამოკვეთილი უარყოფითი სტერეოტიპები მას არ ჩამოუყალიბებია. ქართველი მტერშიც კი კარგსა და დადებით თვისებებს ხედავდა. ქართველ ადამიანს უთქვამს: „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არის // ჩვენსა და სომხებს შუა განყოფილება რა არის". თუმცა უნდა ითქვას, რომ სომხების მიმართ ერთგვარი ნეგატიური დამოკიდებულება მაინც არსებობდა, მაგრამ ის ამ ურთიერთობებს რაიმე ჩრდილს არ აყენებდა. აღნიშნულის მიზეზი კი ქართველებსა და სომხებს შორის კონფესიური სხვაობა და აგრეთვე სომეხი ვაჭრებისადმი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ დაღესტნელი მოთარეშეები მთელი ორი საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს აოხრებდნენ და ძარცვავდნენ, ქართველებმა მათი ეს ქმედება მალე დავიწყებას მისცეს. ზოგიერთი ჩრდილო კავკასიელისადმი უარყოფითი სტერეოტიპი ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომშიც გვხვდება, თუმცა ეს მას ხელს არ უშლიდა მათ შესახებ მთელი რიგი პოზიტიური სტერეოტიპებიც ნარმოეედგინა. მაგალითად, ერთ-ერთი ჩრდილოკავკასიური ეთნოსის შესახებ ის აღნიშნავს, რომ არიან ავაზაკები, მეკობრენი, უწყალონი, ბრიყვნი, უზნეონი. ვახუშტისეული ეს დახასიათება, ვფიქრობთ, საერთოქართული სტერეოტიპის გამოვლინება უნდა იყოს, თუმცა ამ სტერეოტიპებს არაფრით შეუშლია ხელი, რომ ქართველებს დასახელებულ ხალხთან განსაკუთრებული ახლო ურთიერთობა ჰქონოდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეთნიკური სტერეოტიპების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნოსთაშორის დაძაბულობის მოსახსნელად და ნორმალიზაციისათვის. აქ აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები შეიძლება გავიხსენოთ. ბუნებრივია, რუსეთის მიერ პროვოცირებულმა ეთნიკურმა კონფლიქტმა ეთნიკურ სტერეოტიპებზეც იმოქმედა. ქართველებს არც აფხაზებსა და არც ოსებზე ნეგატიური სტერეოტიპები არ ჰქონდათ, ოსებსა და აფხაზებს კი ქართველების მიმართ უარყოფითი სტერეოტიპები ახლა არ გასჩენიათ, ის კარგა ხნის წინ წარმოიქმნა და, ბუნებრივია, კონფლიქტის დროს ის უფრო გაღრმავდა. კონფლიქტის მოსაგვარებლად ერთ-ერთი აუცილებელი პირობა აფხაზებსა და ოსებში ქართველების მიმართ უარყოფითი სტერეოტიპების ნარმოქმნის მიზეზების გარკვევა და მათი აღმოფხვრაა.

მეცნიერები ეთნიკურ სტერეოტიპებს ყოფენ ავტოსტერეოტიპებად და ჰეტეროსტერეოტიპებად. ეთნიკური ავტოსტერეოტიპები ძირითადად დადებითი შეფასების კომპლექსებს შეიცავს. ჰეტეროსტერეოტიპები ესაა შეფასებითი აზრის ერთობლიობა სხვა ხალხების მიმართ. ისინი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რაც ხალხების ურთიერთქმედების ისტორიული გამოცდილებით არის გაპირობებული. შემჩნეულია, რომ რაოდენობრივად უფრო მრავალრიცხოვან ეთნოსებს საკუთარი „იმიჯის" შეფასებისას კრიტიკა უფრო ახასიათებს, ვიდრე მცირერიცხოვან ხალხებს.

§3. წინასწარშექმნილი ცუდი აზრები და ცრუწარმოდგენები.

მეცნიერები ერთმანეთისაგან განასხვავებენ ეთნიკურ სტერეოტიპებს, წინასწარშექმნილ ცუდ აზრებსა და აგრეთვე ცრუწარმოდგენებს. ეთნიკურ სტერეოტიპებთან შედარებით, რომელიც უფრო „კულტურულ" განწყობილებად ითვლება, წინასწარ შექმნილი ცუდი აზრები და ცრუწარმოდგენენი უფრო მეტად „სოციალური" განწყობილებებია. წი-

ნასწარშექმნილი ცუდი აზრები ის განწყობილებებია, რომლებიც ხელს უშლის „არა თავისი" ეთნიკური ერთობების წარმომადგენლებისა და მათი მოქმედებების ადეკვატურ აღქმას. როგორც წესი, ადამიანი ვერ აცნობიერებს ან არ სურს გააცნობიეროს, რომ წინასწარ ცუდი აზრებითაა შეპყრობილი და თავის ურთიერთობას შესაბამისი ობიექტის მიმართ განიხილავს, როგორც გარკვეული ფაქტების ობიექტური და დამოუკიდებელი შეფასების შედეგს. წინასწარშექმნილი ცუდი აზრები შეიძლება იყოს შედეგი ნაჩქარევი და უსაფუძვლო დასკვნებისა, რომლებიც დამყარებულია პირად გამოცდილებაზე, აგრეთვე რომელმე გარკვეულ სოციალურ-ეთნიკურ ჯგუფში მიღებული სტანდარტიზებული აზრების უკრიტიკო შეთვისების შედეგზე. წინასწარშექმნილი ცუდი აზრები ადამიანების მიერ ხშირად გამოიყენება სხვა ეთნიკურ ერთობათა მიმართ ურთიერთობისას საძრახისი საქციელის გასამართლებლად.

მეცნიერები წინასწარშექმნილ ცუდ აზრებს ეთნოსთაშორის ანტიპათიის სანყისი ფორმის სოციალ-ფსიქოლოგიურ ინდიკატორად მიიჩნევენ. მისი საფუძველია მტრობის გამოვლენა. წინასწარშექმნილი ცუდი აზრები ხშირად გამოვლინდება ვერბალურად, ქცევის ნეგატიური ფორმით – ხმის გავრცელება, სანყენი ხუმრობა, შეურაცხყოფა და ა. შ. წინასწარშექმნილ ცუდ აზრებს განასხვავებენ ეთნიკური დისკრიმინაციისაგან. ეთნოსთაშორის წინასწარჩამოყალიბებული ცუდი აზრები ეთნოსთაშორის კონფლიქტების წარმოქმნაში ხშირად მაპროვოცირებელ როლს თამაშობს. წინასწარშექმნილ ცუდ ეთნიკურ აზრებს შეუძლიათ გაახანგრძლივონ და გააააქტიურონ ეთნოსთაშორისი კონფლიქტები. წინასწარშექმნილი ცუდი აზრების გადალახვა ძალიან ძნელია; ამისათვის დრო და მიზანმიმართული მოქმედებაა საჭირო.

ეთნიკურ შეგნებაში წინასწარშექმნილი ცუდი აზრების არსებობა – ეს წინაპირობა და ფსიქოლოგიური საფუძველია ეთნიკური ცრუწარმოდგენების ფორმირებისთვის. როგორც სხვა ეთნოსის შესახებ წინასწარჩამოყალიბებული ცუდი აზრები, ისე ეთნიკური ცრუწარმოდგენები საკუთარი ეთნიკური ჯგუფის „სხვებზე" უპირატესობას გულისხმობს. ეთნიკური ცრუწარმოდგენები ეს არის სხვა ხალხების ცხოვრების წესის, ხასიათის, ქცევის შესახებ გაუკულმართებული წარმოდგენა, რაც განპირობებულია ეთნოცენტრიზმით, აღზრდის დროს თავს მოხვეული შესაბამისი ჩვეულებითა და სტეროტიპებით, პროპაგანდით ან კიდევ საერთო დაბალი კულტურის მაჩვენებელია. ეთნიკური ცრუწარმოდგენები უპირატესად სხვა ეთნოსების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებით გამოიხატება. ეთნიკური ცრუწარმოდგენების საფუძველი საკუთარი ეთნოსის მიღნევებისა და ღირსებების გადაჭარბებული ქება და ხოტბის შესხმა, სხვა ეთნოსებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება და მტრობაა. ეთნიკური ცრუწარმოდგენების დამახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენს მათი მდგრადობა-გამძლეობა, სიცოცხლისუნარიანობა, აკვიატებულობა, რაშიც თავის როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ფაქტორები – „უცხოს" მიუღებლობა, აზროვნების კონფორმიზმი, ქსენოფობია. შემჩნეულია, რომ გაბუნდოვანებული ეთნიკური უპირატესობა გადაიზრდება ღია მტრობაში (სიძულვილი, შეუწყნარებლობა სხვა ეთნოსისადმი).

§4. ეთნოცენტრიზმი. შეხედულებების სისტემას, რომლის მიხედვითაც სხვა ხალხების ცხოვრება და კულტურა საკუთარი ეთნოსის ტრა-

დიციული განწყობილებებისა და ღირებულებების პრიზმაში განიხილება და რომელიც „თავის“ ეთნოსს სხვებზე უკეთესად მიიჩნევს, ეთნოცენტრიზმი ეწოდება. ადამიანთა ყოველგვარი ერთობის თვითშეგნების უნივერსალური ფსიქოლოგიური ფორმაა „ჩვენ“, რაც ასევე ყოველთვის გულისხმობს დაპირისპირებას ხან გარკვეულ და ხანაც გაურკვეველ „სხვებთან“. ასეთ შემთხვევაში აშკარად განირჩევა ცნებები – „ჩვენ“ და „ისინი“. „ჩვენ“ ჯგუფისათვის დამახასიათებელი განწყობილებანი, ნესჩვეულებები და ქცევები „სხვის“ ეთნიკურ მახასიათებლებთან შედარებით უკრიტიკოდ განიხილება. ისინი უმაღლეს ეთნიკურ მახასიათებლებად მიიჩნევა.

ტერმინი „ეთნოცენტრიზმი“ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ამერიკელმა მეცნიერმა უ. სამნერმა შემოიტანა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ადამიანთა ცნობიერებაში არის ტენდენცია თავისი ჯგუფის სტანდარტები გამოიყენონ სხვა ჯგუფების შესაფასებლად; ისინი საკუთარ ჯგუფს იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ათავსებენ, სხვა ჯგუფებს კი ქვემდგომარედ განიხილავენ. ეთნოცენტრიზმი თავისი ჯგუფის სხვა ჯგუფებთან – „ჩვენ-ისინი“ – დაპირისპირებასთან არის დაკავშირებული. დაპირისპირება „ჩვენ-ისინი“, „თავისი-სხვისი“ ეთნიკური თვითშეგნების საფუძველია. ეთნიკური თვითშეგნება ფსიქიკის თავისებურებამდე დადის. ის ყველა უცნობ მოვლენაზე დაძაბულად რეაგირებს (ქსენოფობია), რაც უმეტესწილად განპირობებულია ეთნოკულტურულ გარემოში პიროვნების სოციალიზაციის თავისებურებებით, სპეციფიკურობით. ეთნოცენტრიზმის ფორმირებაზე არანაკლებ გავლენას ახდენს ოჯახში მიღებული განწყობილებანი და წარმოდგენები, ეთნიკურად შეფერილი სასკოლო განათლება, ასევე ეთნიკურად შეფერილი ლიტერატურა და ხელოვნება, ეთნიკურად ორიენტირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და სხვა.

ეთნოცენტრიზმი მრავალსახოვანია. ის როგორც შოვინიზმის, ისე პატრიოტიზმის სიღრმისეულ სუბსტრატს წარმოადგენს. ეთნოცენტრიზმი ადამიანის ცნობიერების აუცილებელ, განუყრელ თვისებას წარმოადგენს და ის გარკვეულ კონტექსტში მორალურად გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ შეეთავსება სხვა ხალხების ცხოვრების ყაიდასა და კულტურას, ადამიანის, პიროვნების პატივისცემას. ადამიანის ცნობიერებაში თუ თავისი ხალხის ერთგულება კაცობრიობის პატივისცემასთან არის შეხამებული, მაშინ ეთნოცენტრიზმი პატრიოტულ გრძნობად გადაიქცევა. ეთნოცენტრიზმი თავისი ძველი სახით იქ გამომჟღავნდება, სადაც ადამიანებს აღარ სწამთ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ნესრიგისა, სადაც საზოგადოება კარგავს სულიერ ორიენტირებს. ასეთ სახელმწიფოში უკვე ძნელია დამანგრეველი ეთნიკური ვნებების შეჩერება. დიდი სივრცის მომცველი ჯგუფური ეგოიზმი რაც უფრო ნინ წამოსწევს ეთნიკურ პრიორიტეტებს, მით უფრო მეტად განიმტკიცებს თავს ეთნოცენტრიზმი. შემჩნეულია, რომ ეთნოცენტრიზმის მოქმედებით ეთნიკურ ორიენტაციებში ნეგატიური ელფერი ძალიან ხშირად გამომჟღავნდება არახელსაყრელ სოციალურსა და კულტურულ გარემოებებში.

§5. ნაციონალიზმი. ცნება – ნაციონალიზმი თავდაპირველად აღნიშნავდა ადამიანთა ერთგულებას თავიანთი ეთნოსის ღირებულებებისადმი, ეთნოსის ნაციონალური ინტერესების პრიმატზე დაფუძ-

ნებულ იდეოლოგიასა და ჯგუფურ ქცევას. ნაციონალიზმს დღეს ნაირგვარად განსაზღვრავენ და, შესაბამისად, ინტერპრეტაციაც მრავალგვარია, რომელთაგანაც ნანილი პოზიტიური და ნანილი უაღრესად ნეგატიურია. პირველი გულისხმობს ადამიანთა ერთგულებასა და თავდადებას თავიანთი ეთნოსის (ნაციის) ინტერესებისადმი, კულტურული ღირებულებებისადმი, ხოლო მეორე, ნაციონალიზმის ნეგატიური გაგება – ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის დაქვემდებარების მსოფლმხედველობასა და პოლიტიკას და, აქედან გამომდინარე, იდეოლოგიას, ფსიქოლოგიას, სოციალურ პრაქტიკას, ნაციონალური განსაკუთრებულობისა და უპირატესობის ქადაგებას, ნაციონალური მტრობის, უნდობლობის და კონფლიქტების გაჩაღებას. პირველი განსაზღვრების მიხედვით, რომელშიც ხაზგასმულია ნაციონალიზმის „დადებითი" და „ბუნებრივი" თვისებები, შეესაბამება წარმოდგენებს, რომლებიც გავრცელებულია უცხოურ სამეცნიერო ეთნოლოგიაში, მეორე კი შეეფერება ნაციონალიზმის იმ ნარმოდგენებს, რომლებიც გავრცელებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და დღეს გავრცელებულია რუსეთსა და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

ტერმინი „ნაციონალიზმი" წარმოიქმნა დიდი ფრანგული რევოლუციის ეპოქაში როგორც თავისი ნაციის მიკუთვნებულობისადმი აღმნიშვნელი (მეფისადმი ადრინდელი მიკუთვნებულობისაგან განსასხვავებლად). ნაციონალური მოძრაობის განვითარება ემთხვევა ნაცია-სახელმწიფოს განვითარებას ევროპაში. XIX საუკუნის ევროპაში ნაციონალიზმის აღმავლობას წინ უსწრებდა ისეთი სახელმწიფოების წარმოქმნა, როგორებიცაა იტალია და გერმანია. მათი გაერთიანება არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო მანამ, სანამ ამ ქვეყნების ხალხები ურიგდებოდნენ იმას, რომ მათ განიხილავდნენ როგორც ამა თუ იმ ხელმწიფის, მონარქის ქვეშევრდომებს და არა როგორც იტალიელებსა და გერმანელებს.

მაგრამ უკვე XIX საუკუნის ბოლოს ბევრი თეორეტიკოსი აღნიშნავდა ნაციონალიზმის ტენდენციის შესუსტებისა და მისი ინტერნაციონალიზმითა და კოსმოპოლიტიზმით შეცვლის შესახებ. ეს ვარაუდები პირველ მსოფლიო ომში გაიფანტა, რომელიც ნაციონალისტური პრინციპებით მიმდინარეობდა. შემდგომში ნაციონალიზმის ეგიდით მიმდინარეობდა თვითგამორკვევა მესამე სამყაროს ქვეყნებში.

საერთოდ ნაციონალიზმი აღმოცენდება სახელმწიფოებრიობის არმქონე ხალხებში ან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში, ან კიდევ გარეშე მტერთან ბრძოლის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის საკუთარ სახელმწიფოებრიობას. ამასთანავე ნაციონალურ იდეები და გრძნობები პოზიტიურ როლს თამაშობენ, რადგან ისინი ხშირად პატრიოტიზმის ფორმით გვევლინება და შესწევს უნარი საზოგადოების მობილიზაციისა, მის წინაშე მდგარი ამოცანების, სიძნელეების გადაწყვეტისა. ნაციონალიზმის იდეოლოგია პრაქტიკულად ზოგჯერ თავს იჩენს ერონულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თუმცა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ დროს შესაძლებელია გაჩნდეს ნაციონალური განსაკუთრებულობის ცრუ იდეაც.

საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე რუსეთში ნაციონალიზმის მეორე, ნეგატიური გაგება არსებობდა და არსებობს. ის, ფაქტობრივად, შოვინიზმის ერთგვარი ნაირსახეობა იყო. რამდენადაც ნაციონალიზმის

გაუკულმართებული გაგება საყოველთაო არ იყო, ამდენად, მასზე ვრცლად შეჩერება არც ღირს. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა ქვეყანაში ნაციონალიზმი ნაირგვარობით ხასიათდებოდა;, რადგან, როგორც აღნიშნავდნენ, მისი პოლიტიკური მიმართულება და სოციალური საფუძველი შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო. ამ კონცეფციის მიხედვით, ნაციონალიზმის ფსიქოლოგია ყოველთვის უკავშირდებოდა ნაციონალურ ნიშნადობას, საკუთარი ნაციის გადაჭარბებულ შეფასებას, წარმატებებისა და მიღწევების ზომაგადასულ იდეალიზაციას.

ნაციის შესახებ ორი – სამოქალაქო და ეთნიკური შეხედულებიდან გამომდინარე გამოყოფენ ნაციონალიზმის ორ ძირითად სახესხვაობას: სამოქალაქოსა (სახელმწიფო) და ეთნოკულტურულს (ეთნიკური). პირველი ეყრდნობა ნაციის პოლიტიკური ერთობის, ანუ თანამოქალაქეობრიობის გაგებას; მეორე, ნაციას განიხილავს როგორც ეთნოკულტურულ კატეგორიას, როგორც ერთობას, რომელსაც აქვს ღრმა ისტორიული ფესვები, სოციალურ-ფსიქოლოგიური ან გენეტიკური ბუნებაც კი. პირველი, უპირველეს ყოვლისა, გაიგივებულია პატრიოტიზმთან, მაგრამ თავისი უკიდურესი პოლიტიკური ფორმებით შეიძლება შეიძინოს სახელმწიფოებრივი აგრესიულობის, შოვინიზმის ან იზოლაციის ფორმები.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ნაციონალიზმი ამა თუ იმ სახით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოვლინდა. ერთ შემთხვევაში, მაგალითად, დასავლეთ ევროპაში, ის წარმოადგენდა რეაქციას ინტეგრაციულ პროცესებზე, სახელმწიფოთაშორისი საზღვრების მოშლაზე, რამაც წარმოშვა საუკუნოვანი ტრადიციების, კულტურის, ხალხების ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნების საშიშროება. საბჭოთა იმპერიაში ნაციონალიზმის წარმოქმნა განაპირობა ხელისუფლების არასწორმა სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ, სხვადასხვა ეთნოსების კულტურასა და ყოფაზე მხოლოდ ფორმალურმა ზრუნვამ, რუსულმა შოვინისტურმა იდეოლოგიამ, სხვადასხვა ხალხების თვითმყოფადობის გაქრობის საშიშროებამ, ე. წ. „საბჭოთა ხალხის" ცნების შემოტანამ და სხვ.

ბუნებრივია, საქართველოში ნაციონალიზმის ისეთივე გაგება არსებობდა, როგორც საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი საბჭოთა სტერეოტიპი საქართველოში შეიცვალა, მათ შორის, ნაციონალიზმის ცნების გაგებისა. საქართველოში ამ ცნების დასავლური გაგება დამკვიდრდა. ამდენად, ახლა ჩვენთან ნაციონალიზმი სალანძღავი სიტყვა აღარ არის და ის პატრიოტიზმის სინონიმური ცნება უფროა. ნაციონალიზმი თუ მხოლოდ საკუთარი ეთნოსის პატივისცემას, სიყვარულს, ერთგულებას გამოხატავს სხვათა შურაცხყოფის გარეშე, მაშინ აქ დასაგმობი არაფერია. რუსეთში დღესაც მიაჩნიათ, რომ ნაციონალიზმმა დაანგრია საბჭოთა იმპერია და რომ ის ცუდი მოვლენა იყო. ქართველი ხალხი თავისი ნაციონალიზმის გამოვლენით დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენას ცდილობდა და რომ არა ნაციონალიზმის გამოვლენა და ნაციონალური შეკავშირება, სხვათაგან წართმეული დამოუკიდებლობის დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად, ნაციონალიზმს ქართველი ხალხისათვის მხოლოდ პოზიტიური მხარე ჰქონდა. ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი ქართველი ერისათვის ყოველთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. სხვა ფაქტორებთან ერთად ნაციონალიზმმა და პატრიოტიზმმა ქართველი ერის გადარჩენა განაპირობა. თუმცა რუსებისათვის ქარ-

თველთა ნაციონალიზმი სეპარატიზმის გამოვლენა იყო. თანამედროვე რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რუსებისა და რუსულენოვანი მოსახლეობის მიმართ აშკარა ეთნონაციონალურ მოვლენებს აქვს ადგილი, რაც, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს მიმართ ცილისწამებაა. არც ახლა და არც არასოდეს საქართველოს არ გამოუვლენია რუსებისა და სხვა ეთნოსების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება. ეთნონაციონალიზმის გამოვლენად და შედეგად მიაჩნიათ ის, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რუსებისა და რუსულენოვანი მოსახლეობის მიგრაცია მოხდა. საქართველოდან რუსების მიგრაცია მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული. საქართველოდან უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ხომ აუარებელი ქართველიც წავიდა ემიგრაციაში.

§6. ნაციონალური ნიჰილიზმი. ტერმინ „ნიჰილიზმს" საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა „ნიჰილ", რაც ნიშნავს „არაფერს". ნიჰილიზმი კი ყველაფრის ხელაღებით უარყოფას, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიუღებლობას ნიშნავს. ნაციონალური ნიჰილიზმი ნაციონალური ურთიერთობების აღქმისა და შეფასების უარყოფითი ფორმაა. ის ხალხთა ეროვნული და ეთნიკური თავისებურებების იგნორირებასა და შეუფასებლობაში გამოიხატება. ნაციონალური ნიჰილიზმი ნაციონალური ცნობიერებისა და თვითშეგნების ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომლის დროსაც ხალხში არ არსებობს თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარებისადმი მისწრაფება, ენის, კულტურის, ტრადიციების შენარჩუნების სურვილი. ასეთი ხალხი გულგრილად ეპყრობა თავის ისტორიას, არ მიისწრაფვის შეინარჩუნოს ის, შეასწავლოს მოზარდ თაობას, გულცივი დამოკიდებულება აქვს საკუთარი ისტორიული ძეგლების, აგრეთვე მომავლის მიმართ.

ნაციონალური ნიჰილიზმი ახასიათებს ცალკეული ეთნოსის ზოგიერთ წარმომადგენელსაც. ისინი უარყოფენ საკუთარი ხალხის კულტურულ მიღწევებს, ადარებენ სხვა ეთნოსების კულტურებს და ავრცელებენ მოსაზრებებს, რომ მათ ხალხს საუკუნეების განმავლობაში სრულფასოვანი არაფერი შეუქმნია, რომ უნდა ეთაყვანონ სხვათა მიერ შექმნილ კულტურას, რომ უნდა მიბაძონ სხვებს, თუ დედაენაც დაივიწყეს, ეს ტრაგედია არ უნდა იყოს, რომ ყველა უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქე. ფაქტობრივად, ასეთ ნაციონალურ ნიჰილიზმს ნერგავდა საბჭოთა იდეოლოგია. ნაციონალური ნიჰილიზმის დანერგვით უფრო ადვილი იყო იმპერიაში მოსახლე სხვადასხვა ეთნოსების ასიმილაცია. ნაციონალური ნიჰილიზმი არც საქართველოს ზოგიერთი მოქალაქისათვის არის უცხო. პირველ რიგში, ნაციონალური ნიჰილიზმის გაჩენას ცალკეულ მოქალაქეებში ის ინვევს, რომ ისინი კარგად არ იცნობენ საკუთარი ხალხის ეთნიკურ კულტურას. ამავე დროს ასეთი გრძნობების გაჩენას ხელს უწყობს ზოგიერთი გადამეტებული შეფასება საკუთარი ხალხის კულტურისა, შოვინიზმის გამოვლინებები. ნაციონალური ნიჰილიზმით შეპყრობილი ადამიანები მზად არიან ებრძოლონ საკუთარ კულტურულ მიღწევებს და დაუპირისპირდნენ კიდევაც თავისი ეთნოსის დიდ უმრავლესობას.

§7. შოვინიზმი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნაციონალიზმი თავისი უკიდურესი, აგრესიული ფორმით შოვინიზმში ვლინდება. შოვინიზმი არის შეხედულებებისა და მოქმედების პოლიტი-

კური და იდეოლოგიური სისტემა, რომელიც ემყარება ამა თუ იმ ნაციის განსაკუთრებულობას, ერთი ნაციის მიერ მეორე ნაციის ინტერესებთან დაპირისპირებას, ნაციონალურ ამპარტავნებას, ნაციონალურ მტრობასა და სიძულვილს, ნაციონალურ ექსტრემიზმს. ინგლისურენოვან ქვეყნებში შოვინიზმის სინონიმია ტერმინი „ჯინგოიზმი“.

ტერმინი „შოვინიზმი“ გაჩნდა საფრანგეთში 1831 წელს მას შემდეგ, რაც ძმები კონიარების კომედია „სამფეროვანი კოკარდა“ დაიდგა, რომლის ერთ-ერთი გმირი იყო მეომარი ახალწვეული ნიკოლა შოვენი, რომელიც დიდი საფრანგეთის იდეისათვის იყო თავდადებული. ნაპოლეონის არმიის კაპრალი ნ. შოვენი ნაპოლეონის დამპყრობლური პოლიტიკის მხურვალე თაყვანისმცემელი იყო. გვიან ტერმინ „შოვინიზმის“ გამოყენება დაიწყეს რომელიმე სახელმწიფოს ან ნაციის სამხედრო უპირატესობის მომხრეთა აღსანიშნავად. შოვინიზმმა შეიძლება მიიღოს უფრო დაზუსტებული ფორმები, რომლებიც ნაკურთხია ეკონომიკური ექსპანსიით, პოლიტიკური ზემოქმედებით, კულტურული დომინირებით, რომელიც გამოვლინდება შიდასახელმწიფო ურთიერთობებში.

შოვინიზმი იგივე მებრძოლი ნაციონალიზმია. უკანასკნელი შოვინიზმად ტრანსფორმირდება მაშინ, როდესაც ნაციონალურ იდეაში ჩნდება ნაციის პრეტენზია მისი მესიანური „დანიშნულებისა“, სხვა ერებზე ბატონობისა და სხვა ეთნოსების მართვისა. მულტიეთნიკურ შოვინისტურ ქვეყანაში, როგორც წესი, უფრო მრავალრიცხოვანი ხალხი ცდილობს სხვათა მიმართ არსებული პრივილეგიები სამუდამოდ შეინარჩუნოს.

შოვინიზმის ერთგვარი ნაირსახეობაა დიდმპყრობელური შოვინიზმი. ესაა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში გაბატონებული ეთნიკური ჯგუფის იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება პატარა ხალხების მიმართ აგდებულ, უპატივცემლო და დამამცირებელ დამოკიდებულებაში. დიდმპყრობელური შოვინიზმი თავის ნაციას აცხადებს „უმაღლეს“ ნაციად და ამცირებს სხვა ეთნოსებს, ეთნიკურ ერთობებს, ეთნიკურ უმცირესობებს. ასეთი შოვინიზმი, უპირველეს ყოვლისა, „არატიტულოვანი“ ეთნოსების დისკრიმინაციის ლია ფორმებში მჟღავნდება, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურსა და კულტურულ სფეროებში.

დიდმპყრობელური შოვინიზმი კლასიკური ფორმით არსებობდა რუსეთის იმპერიაში; მან არსებობა საბჭოთა იმპერიაშიც გააგრძელა, ოღონდ შეფარული ფორმით. თანამედროვე რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ თურმე დიდმპყრობელური შოვინიზმი ყოფილი საბჭოთა იმპერიის მოკავშირე რესპუბლიკების ტიტულოვანი ერებისთვისაც იყო დამახასიათებელი და ამის დამადასტურებელ მაგალითად ქართველებს საქართველო მოაქვთ, როგორც აღნიშნავენ, შოვინისტური განწყობილებები ჰქონიათ აფხაზებისა და ოსების მიმართ, თუმცა დამადასტურებელი მასალების მოხმობით თავს არ იწუხებენ. ასევე საუბრობენ აზერბაიჯანულ შოვინიზმზე სომხების მიმართ მთიან ყარაბაღში. იმასაც აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შოვინისტურ დამოკიდებულებას ჰქონდა ადგილი რუსების მიმართ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში. რა უნდა ითქვას ამის შესახებ? აღნიშნული კომენტარის ღირსიც არ არის, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს არის რუსული შოვინიზმის ერთგვარი გამოვლენა, როდესაც სხვას აბრალებენ იმას, რასაც თვითონ ჩადიან. აფხაზეთსა და

ე.ნ. სამხრეთ ოსეთში კი ყველაფერი პირიქით იყო – ქართველები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ჰყავდა. აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 17% აფხაზები გაბატონებული იყვნენ ქართველებზე, თანამდებობებზე ძირითადად აფხაზები ინიშნებოდნენ, აფხაზებს ჰქონდათ ქართველებისადმი ანტიპატიური დამოკიდებულება, ხშირად ზიზღიც კი. არა მარტო მაშინ, არამედ ახლაც აფხაზეთში ქართველთა ეთნოციდისა და გამოძევების შემდეგ ქართველებს არავითარი სიძულვილის გრძნობა არ გასჩენიათ აფხაზების მიმართ.

§8. პატრიოტიზმი. ტერმინ „პატრიოტიზმს" საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა „პატრის", რაც სამშობლოს, მამულს ნიშნავს. პატრიოტიზმი არის სამშობლოსა და მამულის სიყვარული, მზადყოფნა ემსახურო მის ინტერესებს, სურვილს მიაღწიო უკეთეს მომავალს, დაიცვა საგარეო და შინაგანი ხელყოფისაგან. ეს არის ადამიანის ბუნებრივი ერთგულება და სიყვარული მშობლიური ადგილებისადმი, მშობლიური ენისადმი, ნაციონალური ტრადიციებისადმი, ინტერესი ქვეყნის ბედის შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია მისი ცხოვრება. პატრიოტიზმი არსებობს გრძნობებისა და ცნობიერების დონეზე და წარმოადგენს სოციალურ-ისტორიულ მოვლენას, რომელსაც აქვს ბუნებრივი სათავეები და საზოგადოების განვითარების პროცესში შევსებული სოციალური შინაარსი. პატრიოტიზმის ელემენტები მშობლიური მინის, ენის, კულტურის, ნეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების სიყვარულის სახით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ უძველეს დროს და განვითარებისთანავე იქცა ძლიერ სოციალურ გრძნობად, რომელიც ზნეობრივი და პოლიტიკური ცნობიერების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. პატრიოტიზმის გრძნობის ფორმირება და განვითარება რიგ ეტაპებს მოიცავს, რომელიც ჯერ აღმოცენდება საკუთარი სახლის, სოფლის, ქალაქის სიყვარულის სახით და რომელიც თანდათანობით მწიფდება როგორც ნაციონალური პატრიოტიზმი. პატრიოტიზმი შეიძლება რამდენიმე ტიპად დავყოთ: პიროვნულ, ადგილობრივ, ნაციონალურ, სახელმწიფოებრივ პატრიოტიზმად. პიროვნული პატრიოტიზმი წარმოადგენს შეუცნობელ გრძნობას იმ მინისადმი, რომელზედაც ადამიანი დაიბადა და გაიზარდა, მამისეული სახლისადმი. ადგილობრივი პატრიოტიზმი ესაა ადამიანის სიყვარული და ერთგულება მშობლიური სოფლისადმი, ქალაქისადმი, მხარისადმი, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა. ნაციონალური პატრიოტიზმი ნიშნავს თავისი ერის ერთგულებას, ეროვნული კულტურის სიყვარულს. სახელმწიფო პატრიოტიზმი გამოვლინდება თავისი ქვეყნისადმი პატივისცემასა და ერთგულებაში, მისი სოციალური და პოლიტიკური საფუძვლებისადმი, სახელმწიფო სიმბოლოებისადმი მოკრძალებულ და მოწინებით დამოკიდებულებაში.

§9. რასიზმი. რასიზმი იდეოლოგიის, ფსიქოლოგიისა და პოლიტიკის სახეა, რომელიც ემყარება სხვადასხვა რასებისადმი მიკუთვნებული ადამიანების ბუნებრივი უთანასწორობის წარმოდგენებს. რასიზმის მომხრეები მიიჩნევენ, რომ რასათა გარეგანი ფიზიკური განსხვავებულობა აისახება მათ მენტალურ, სოციალურ, კულტურულსა და სხვა თვისებებზე. აქედან გამოჰქონდათ დასკვნა, რომ ადამიანთა რასები ერთმანეთის თანასწორნი არ არიან: ერთნი მიეკუთვნებიან „უმაღლეს" კატეგორიას, მეორენი – „უმდაბლეს" რასას, რომელთაგანაც პირველები გამოცხადებულნი არიან ცივილიზაციების ერთადერთ შემქმნელებად და რომლებიც მონოდებულ-

ნი არიან იბატონონ, მეორენი კი უუნარონი არიან შექმნან მაღალი კულტურა და ამიტომაც განნირულნი არიან საექსპლუატაციოდ.

რასიზმი ცნობილია უძველესი დროიდან, მაგრამ რასიზმმა თავისი ვითომ მეცნიერული სახე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში და ევროპელთა მიერ აფრიკის, აზიისა და ამერიკის კოლონიური დაპყრობების დროს შეიძინა, რომელთა მცხოვრებნიც არსებითად განსხვავდებოდნენ მათგან რასობრივი თვალსაზრისით. რასიზმის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი სოციოლოგი ჟ. ა. გობინო, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში ადამიანთა რასების შესახებ ამტკიცებდა, რომ ადამიანთა რასები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ „სილამაზითა" და სხვადასხვა ფიზიკური ნიშნით, არამედ ფსიქიკური ნიშნებითაც, რომლებიც გამოვლინდება სხვა ხალხების კულტურის ათვისების უნარსა და განვითარებაში. რასობრივი უთანასწორობა და რასებს შორის ბრძოლა ჟოზეფ არტურ დე გობინოს ხალხთა განვითარების მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა. იგი ფიქრობდა, რომ კულტურული განვითარების ყველაზე დიდი უნარი აქვს თეთრ რასას, განსაკუთრებით კი მის გერმანულ შტოს. ადამიანთა ბიოლოგიური უთანასწორობა უდევს საფუძვლად მეორე ფრანგის გ. ლებონის ნიგნს „ხალხებისა და მასების ფსიქოლოგია". მისი მტკიცების თანახმად, არა მარტო ცალკეული ადამიანები, არამედ მთელი რასები და ხალხები შეუძლებელია თანასწორად მივიჩნიოთ, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას. გ. ლებონი ფიქრობდა, რომ ადამიანების, ხალხებისა და რასების უთანასწორობა წარმოადგენს მათი არსებობის ბუნებრივ საშუალებას. სხვადასხვა რასობრივ თეორიებში მიღებულია, რომ გენეტიკურად და სოციალურად თეთრი რასა სჯობს სხვა რასებს „გონებრივი უნარით", „დამოუკიდებლობით", „ინტელექტით", „ლოგიკური აზროვნების" უნარით. ყვითელი რასა ამ მაჩვენებლებით თეთრ რასას ერთი წყებით ჩამორჩება, ყავისფერი – ორი წყებით, შავი კი – სამი წყებით. ეყრდნობოდა რა ეთნოცენტრიზმისა და ევროპოცენტრიზმის რასისტულ კონცეფციებს ევროპეიდული რასის უპირატესობის შესახებ ნეგროიდულ და მონგოლოიდურ რასებზე, მათ უუნარობას ამართლებენ პროგრესისა და ევროპული კულტურის მიღების უნარში, ისინი ამართლებდნენ კოლონიალურ პოლიტიკას. XX საუკუნეში რასისტული კონცეფციების განვითარება გამოიხატა მათ შერწყმაში სოციალური დარვინიზმის იდებთან და ევროპეიდული რასის შიგნით უთანაბრო ბუნებრივი განვითარების უნართან (უმაღლესად ითვლებოდა „არიული", „ნორდიული" რასა), რაც იდეოლოგად გამოიყენეს ნაციონალიზმ-სოციალიზმის იდეოლოგებმა. თანამედროვე პირობებში რასობრივი სპეკულაციის ობიექტად აქცევენ ნაციონალურ ხასიათს, რაც გამოიხატება ამა თუ იმ ეთნოსის ფსიქიკური არათანასწორუფლებიანობის დოქტრინაში, ცალკეული ხალხების დამოუკიდებლად განვითარების ფსიქოლოგიურად მოუმზადებლობაში.

თემა XV

ეთნოსი და ბუნება

§1. ეთნოსისა და ბუნების ურთიერთკავშირი. გეოგრაფიული (ბუნებრივი) გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოველი ეთნოსის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. დროთა განმავლობაში ეთნოსი ეგუება (ადაპტირდება) გარემომცველ ბუნებას და გარემო პირობების შეცვლა, შესაბამისად, ეთნიკურ პროცესებზეც აისახება.

გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ამა თუ იმ ეთნოსის ეთნიკური კულტურის, მისი სამეურნეო-ყოფითი თავისებურებებისა და თვით ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ყოველი ეთნოსი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებასთან სამეურნეო საქმიანობით. ამ კუთხით ეთნოლოგები გამოკვეთენ (ასხვავებენ) ადამიანისა და გარემოს ურთიერთმიმართების ორ ფორმას უძველესი დროიდან: საზოგადოებათა და ეთნოსთა ერთი ნაწილი ძირითადად მისადაგებულია გარემომცველ გარემოსთან და არ ცდილობს მის შეცვლას ან გარდაქმნას. ეთნოსთა მეორე ნაწილი კი, რომელიც მისდევს ინტენსიურ მინათმოქმედებას (ეგვიპტელები, შუმერები, ჩინელები, ქართველები...), ცდილობს ლანდშაფტის მისადაგებას საკუთარ სამეურნეო-ყოფით თავისებურებებთან.

ბუნებრივი გარემო უშუალო პირობაა ეთნოსის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. მისი შეცვლა გავლენას ახდენს ამ გარემოში მცხოვრებ ეთნოსთა ყოფასა და კულტურაზე, ბიძგს აძლევს მიგრაციულ პროცესებს. კლიმატი, ფლორა, ფაუნა, ნიადაგები, მთები, მდინარეები, ტბები, ზღვები, ოკეანეები და ა. შ. დიდწილად განაპირობებს ეთნოსის ყოფისა და კულტურის თავისებური მახასიათებლების ჩამოყალიბებას, რაც აისახება ამ ეთნოსების შრომით საქმიანობაზე, მეურნეობის ტიპებზე, საცხოვრებლებზე, ტანსაცმელზე, საკვებზე და სხვა. ცხადია, გეოგრაფიული გარემო უმნიშვნელოვანესია ყოველი ეთნოსის მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურის თავისებურებების ჩამომყალიბებელ ფაქტორთა შორის. კლიმატი და ლანდშაფტი განაპირობებს დასახლების ტიპს, საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობის ინვარიანტებს; გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, რწმენა-წარმოდგენებზე. შესაბამისად, ყოველ ეთნოსში ყალიბდება ეკოლოგიის ხალხური ტრადიციები, გროვდება ეკოლოგიური ცოდნის ლოკალური მარაგი და ასევე ზოგადი ინფორმაცია.

სტაბილური, მდგრადი კლიმატური პირობები და ლანდშაფტი განაპირობებდა ამ გარემოში მცხოვრები ეთნოსის შემდგომ განვითარებას, ხოლო გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნება და ლანდშაფტის არაერთგვაროვნება ბიძგს აძლევდა ახალ-ახალი ეთნოსების წარმოქმნას, განვითარებასა და დიდ მიგრაციებს, ანუ ბუნებრივი

პირობები მოქმედებდა ეთნიკურ პროცესებზე და მიჩნეულია, რომ ეთნოგენეზის ერთ-ერთი პირობა გეოგრაფიული გარემოცაა. ეთნოგენეზის პროცესში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა გეოგრაფიულ გარემოს იმ დროს ენიჭება, როდესაც ეთნოსი ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესშია და იგი თანდათანობით ადაპტირდება ამ გარემოში.

ამავე დროს გეოგრაფიული გარემო განაპირობებს კულტურის ლოკალური მახასიათებლების წარმოქმნასა და განვითარებას. ფლორისა და ფაუნის თავისებურებები ასახულია ამ გარემოში ჩამოყალიბებულ და მცხოვრებ ეთნოსთა ყოველდღიურ ყოფასა და საერთო კულტურაში, რაც მოგვიანებით მკაფიოდ გამოავლენს ამა თუ იმ ეთნოსის კულტურულ-სამეურნეო ყოფის თავისებურებებს. ამავე დროს გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ეთნიკური კულტურისა და ხასიათის, ფსიქოლოგიური და მენტალური თავისებურებების ჩამოყალიბებაზეც. გეოგრაფიული გარემო თავის კვალს ამჩნევს ეთნოსთა ეთნიკურ თვითშეგნებას, ისტორიული, მშობლიური გარემო, მშობლიური მინა ეთნოსთა ეროვნული (ეთნიკური) იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია.

§2. გეოგრაფიული გარემო და ეთნიკური პროცესები; ბუნებრივი პირობების გავლენა ეთნიკურ პროცესებზე. ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეთნიკურ პროცესებზე, რაც განსაკუთრებით აშკარაა ეთნოსის ჩამოყალიბების საწყის პერიოდში, მისი ფორმირებისა და გარემოსთან ადაპტირების პროცესში. მაგალითად, მიჩნეულია, რომ არაბთა დაპყრობითი ლაშქრობებისა და დიდ ტერიტორიებზე განფენის ერთ-ერთი სტიმულატორი, ისლამის მიღებასთან ერთად არაბეთის ნახევარკუნძულის კლიმატისა და გარემო პირობების შეცვლაც იყო (სტიქიური უბედურებები, გაუდაბნოების პროცესი, მიწის გაუნყლოება, სახნავ-სათესი მიწისა და სათიბების გაუდაბურება და ა. შ.). ასევე ცნობილია, რომ დიდი ბერძნული ცივილიზაციის წარმოქმნა და განვითარება სხვა მიზეზებთან ერთად, ამ ქვეყნის გეოგრაფიულმა მრავალფეროვნებამ და თავისებურებებმაც განაპირობა. საბერძნეთი უძველესი დროიდანვე მისდევდა ზღვაოსნობას, მის სხვადასხვა მხარეს მნიშვნელოვანი ლოკალური კულტურულ-სამეურნეო თავისებურებანი (გამონვეული გეოგრაფიული თავისებურებებითაც) ახასიათებდა, რაც სტიმულს აძლევდა ამ მხარეთა შორის აქტიური სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას. ამავე დროს საბერძნეთის ზოგიერთი მხარე ზღვით იყო დაცული გარეშე მტრის შემოჭრისაგან, ზოგიც – მაღალი მთებითა და ბუნებრივი ზღვებით. ეს კი ქვეყნის სტაბილურ განვითარებას უწყობდა ხელს. თანაც საბერძნეთში ადრიდანვე ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული თვითშეგნება.

გეოგრაფიული პირობების დიდ მნიშვნელობასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტორის გაზვიადება არასწორია. ხშირად ანალოგიურ პირობებში მცხოვრები ხალხები განსხვავებულად ვითარდებიან, განსხვავებულ შედეგებს აღწევენ და მათ მიერ შექმნილი სამეურნეო-კულტურული ტიპიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამის მიზეზს ეთნოლოგები ეთნიკური კულტურის განსხვავებულ ტრადიციებში ეძებენ. რა თქმა უნდა, არ შეიძლება გეოგრაფიული ფაქტორის

მნიშვნელობის ხელოვნური იგნორირება, რადგან ბუნებრივი გარემო ის მოცემული რეალობაა, რომელიც ყველა შემთხვევაში ახდენს გავლენას ეთნოსის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ყოველი ეთნოსის ისტორიაში მოიძებნება გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელოვანი როლის მაჩვენებელი კონკრეტული მაგალითები. ამ მხრივ აღსანიშნავია მთებით შემოსაზღვრული ტაჯიკეთის ისტორია. მაშინ, როდესაც შუა აზიის სხვა ხალხები, მცხოვრებნი სტეპებში და ნაკლებად დაცულნი გეოგრაფიული ზღუდეებით – მთებით, დიდი ხნის წინ გახდნენ თურქულენოვანნი, ტაჯიკები კი კვლავაც ენათა ირანულ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ხშირად ერთმანეთისაგან მკვეთრად დაშორებულ ნაწილებში, თუკი იქ მსგავსი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებია, ყალიბდება ანალოგიური კულტურულ-სამეურნეო ტიპები: თანაბარი დონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მეურნეობის დარგები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები და ა. შ. თუმცა მსგავს გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრები ყველა ხალხი ვერ აღწევს განვითარების ერთიან მაღალ დონეს. მაგალითად, ისეთივე ლანდშაფტის პირობებში მყოფმა მრავალმა სხვა ხალხმა, როგორშიც ჩამოყალიბდა ქართული ეთნოსი, ვერ ჩაუყარა საფუძველი ინტენსიურ მინათმოქმედებას და ვერ დააგროვა ისეთი მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ცოდნა, როგორც ეს უძველეს დროშივე შეძლეს მინათმოქმედმა ქართულმა ტომებმა.

ბუნებრივი პროცესები დიდ გავლენას ახდენს ეთნიკურ პროცესებზე ეთნიკური კონსოლიდაციის თვალსაზრისითაც. განვიხილოთ ეს საქართველოს მაგალითზე: ქართულ ეთნოგრაფიულ მხარეებში, მათთვის დამახასიათებელი გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, განვითარებული იყო მეურნეობის ესა თუ ის დარგი, რომლის პროდუქტი, ბუნებრივია, სჭირდებოდა სხვა რომელიმე მხარესაც, სადაც მეურნეობის განსხვავებული დარგი იყო უფრო მეტად განვითარებული. შესაბამისად, ქართულ მხარეებს შორის არსებობდა მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები და სავაჭრო ურთიერთობები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოსა და ტაო-კლარჯეთს, ბუნებრივ-გეოგრაფიული და ლანდშაფტური თავისებურებებიდან გამომდინარე, არ შეეძლოთ დამოუკიდებლად განვითარება და ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი აფხაზეთის სამეფოსა და ტაო-კლარჯეთის სამეფოების მთელი საქართველოს გაერთიანებისკენ სწრაფვისა. ტაოელებს და კლარჯებს სახნავ-სათიბი მიწების სიმცირის გამო ფართომასშტაბიანი ინტენსიური მინათმოქმედების განვითარების საშუალება არ ჰქონდათ, მათთვის აუცილებელი იყო სახნავ-სათესი სავარგულებით მდიდარ დანარჩენ ქართულ მხარეებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების არსებობა, თუმცა მათ ადგილზეც მიწის უნიკალური გამოყენების ტექნიკა შეიმუშავეს. აქაური ტერასული მინათმოქმედება ვარგისი მიწის მცირე ნაწილსაც კი არ ტოვებდა გამოუყენებელს. ხელოვნური ტერასების შექმნით ქართველებმა სრულიად უნიკალური ტერასული მინათმოქმედება განავითარეს. საერთოდ, ცნობილია, რომ ტერასული მინათმოქმედება ყალიბდება იმ პირობებში, სადაც მცირემინიანობაა. იგი მიწის პატარ-პატარა ნაკვეთებისა და მთის ფერდობების რაციონა-

ლურად გამოყენების საუკეთესო საშუალებაა. ამასთანავე მინის ეროზიის სანინააღმდეგო მეთოდიცაა და ტერასული მეურნეობა მთიანი ლანდშაფტის სასურველი მიმართულებით შეცვლის საუკეთესო ნიმუშია. საერთოდ კი, ქართველებს ძველთაგანვე გააჩნდათ დიდი აგროტექნიკური ცოდნა, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უშუალო პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე. საქართველოს მთაშიც კი არსებობდა მაღალგანვითარებული მთური მინათმოქმედება. საქართველოს პოლიტიკური საზღვრების ცვლილების შემდგომაც, ხანგრძლივი დროის მანძილზე, თურქეთის შემადგენლობაში მოქცეულ ისტორიულ ქართულ მხარეებს არ გაუწყვეტიათ სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები საქართველოსთან. ვრცელი სახნავ-სათესი სავარგულების მქონე კახეთი და ქართლი ხორბლეულითა და ღვინით ამარაგებდა ქვეყნის სხვა მხარეებს, მთიელები – მესაქონლეობის პროდუქტებით და ა. შ., ანუ გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნება განაპირობებდა ქვეყნის ამა თუ იმ ნანილის მჭიდრო კავშირს დანარჩენ მხარეებთან, რაც ეთნიკურ კონსოლიდაციის მიზანს ემსახურებოდა. ლ. გუმილიოვის დაკვირვებით, სახელმწიფოს შეკავშირებისა და აღორძინებისათვის სნორედ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნება სჭირდება, რაც ინვევს მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას ქვეყნის სხვადასხვა ნანილში და ხელს უწყობს ამ მხარეებს შორის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება ხელოვნურად შექმნილ ლანდშაფტს, ცნობილია, რომ ზოგიერთი ეთნოსი დაძაბული შრომის შედეგად, თანდათანობით ცვლის გარემომცველ გარემოს და ლანდშაფტს უსადაგებს თავის სამეურნეო-კულტურულ საჭიროებებს. ეს ხელოვნური ლანდშაფტი წყვეტს განვითარებას, თუკი მისი შემქმნელი ეთნოსი გადაშენდება ან მიგრირდება სხვა ტერიტორიაზე. ამის ნათელი მაგალითია თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ნასოფლარები, სადაც ქართული ეთნოსის ამონყვეტის ან სხვაგან იძულებით გადასახლების შემდეგ ჩამოსახლებულმა უცხო ეთნოსებმა ვერ აითვისეს და ვერ განავითარეს ტერასული მინათმოქმედების მონაპოვარი. ხოლო ირანში საუკუნეების წინ იძულებით გადასახლებულმა ქართველებმა ფერეიდნის ლანდშაფტი მეურნეობის ქართულ ტიპს მიუსადაგეს, რომლის მრავალ ელემენტი დღემდე შემოინახეს. საინტერესოა ამიერკავკასიაში შემოჭრილი და დასახლებული თურქულენოვანი მომთაბარე ტომების ტრანსფორმაციის მაგალითიც. ეს ტომები ამიერკავკასიაში მათთვის უცხო სამეურნეო-კულტურულსა და გეოგრაფიულ არეალში მოხვდნენ. შუა აზიის ველის მომთაბარეობისაგან განსხვავებით, ამიერკავკასიაში მესაქონლეობის სხვაგვარი ტიპი იყო განვითარებული. გარკვეული დროის შემდეგ თურქულენოვანმა ტომებმა ველის ნომადური ყოფისათვის დამახასიათებელი ფორმები ვერტიკალურ-ზონალური მომთაბარეობით შეცვალეს. უკვე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ადგილობრივი ბუნებრივი და ისტორიული გარემოს ზემოქმედების შედეგად ნახევრად მომთაბარულ სამეურნეო ყოფაზე გადავიდნენ; მოგვიანებით კი, მათი დიდი ნანილი ბინადრულ ყოფასაც მიესადაგა.

დროთა განმავლობაში მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილში წარმატებით ვითარდება არატრადიციული მეურნეობის დარგებიც, თუკი ამას გეოგრაფიული ფაქტორი უწყობს ხელს. მაგალითად, საქართველოში გაშენდა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები და ქართველებმა ჩაის ახალი, მათ შორის, ყინვაგამძლე, ჯიშებიც გამოიყვანეს; მუშაობენ ციტრუსების სელექციაზეც.

გეოგრაფიული გარემო დიდ გავლენას ახდენს ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის შრომით საქმიანობასა და სპეციალიზაციაზე – მაგალითად, ზღვისპირას მცხოვრები ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფები (ლაზები, მეგრელები) ძველთაგანვე ცნობილი ზღვაოსნები, მეთევზეები, ასევე საზღვაო და სამდინარო გემებისა და ნავების მშენებლები იყვნენ.

მიგრაციული პროცესებისას გასათვალისწინებელია გეოგრაფიული ფაქტორის ზეგავლენა. საქართველოს ისტორია იცნობს გასული საუკუნის ტრაგიკულ მოვლენას – ხევსურების იძულებით ჩასახლებას გარდაბნის რაიონში. მკვეთრად განსხვავებულმა ლანდშაფტმა, კლიმატმა და ყოფამ მრავალი მთიელის სიცოცხლე შეინირა და ადაპტაციის პროცესი უკიდურესად გაართულა. ცხადია, უფრო ხელსაყრელია მიგრაცია ისეთ მხარეში, სადაც მშობლიური გარემოს მსგავსი პირობებია და, შესაბამისად, იქ შესაძლებელი ხდება მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარება.

ეთნოლოგთა აზრით, საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული სამი რეგიონი იკვეთება, რომელთა ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი გეოგრაფიულ ფაქტორს ენიჭება: ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, დასავლეთ საქართველოს დაბლობი და საქართველოს მთიანეთი. ეს სამი რეგიონი ერთმანეთისაგან განსხვავდება დასახლების ტიპით, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების თვალსაზრისით, მეურნეობის ძირითადი დარგებით. ცხადია, ამ განსხვავების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებია. დასახლების ტიპიც, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიც და მეურნეობის ძირითადი დარგებიც მისადაგებულია ადგილობრივ ლანდშაფტსა და კლიმატურ პირობებს. გეოგრაფიული გარემო განაპირობებს ყოფისა და კულტურის ამა თუ იმ ელემენტის მდგრადობასა და აქტუალურობას, რაც გამომდინარეობს ამ ელემენტის პრაქტიკული საჭიროებიდან. მაგალითად, გარკვეულ კლიმატურ პირობებში მუდმივად საჭიროა ადგილობრივ ბუნებრივ გარემოს მისადაგებული საცხოვრებელი ნაგებობა, ასევე მუდმივად გამოყენებადია გარკვეული ტიპის ტანსაცმელი, ხალხური ტრანსპორტის ესა თუ ის სახეობა, თითქმის უცვლელია სამშენებლო მასალა, გადახურვის ტიპი და სხვა. გეოგრაფიული გარემო გავლენას ახდენს ტრადიციული ხალხური კვების კულტურის ჩამოყალიბებაზე. მთიან ზოლში კვების რაციონს, მისი სამეურნეო პროფილიდან გამომდინარე (მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური ფორმა), ძირითად ნაწილს მინათმოქმედებისა და მესაქონლეობის პროდუქტები წარმოადგენს. დროდადრო მას ავსებს მეფუტკრეობის, მეხილეობის, მევენახეობის პროდუქტები, მხალეული, კენკროვანები; ზღვისპირა მხარეებში კი ძირი-

თადი საკვები პროდუქტი თევზეულია. ადგილობრივი ეკოლოგიური გარემოსა და სამეურნეო პროფილის გათვალისწინებით, ყოველ ეთნოსს აქვს რამდენიმე, მხოლოდ მისთვის მახასიათებელი ტრადიციული კერძი, რაც ხშირად ეთნიკური თავმოწონების სიმბოლოდ ყალიბდება. ცხადია, ასეთი ტრადიციული კერძის შექმნა ხანგრძლივი გამოცდილების შედეგია.

§3. გეოგრაფიული გარემო და ეროვნული (ნაციონალური) ხასიათი. ტრადიციული ცხოვრების წესი, როგორც ცნობილია, ახასიათებს ყოველ ეთნოსს. იგი გამოხატავს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ღირებულებებს, ჩვეულებებს და ა.შ. ცხადია, გეოგრაფიულ გარემოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ეთნოსის ეთნიკური კულტურის ფორმირების საქმეში. გეოგრაფიული გარემო ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ეროვნული მენტალობისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

მსოფლიოს ხალხთა შორის განსხვავებანი უძველეს დროშივე გამოიკვეთა, მაგალითად, ძველთაგანვე აღნიშნავდნენ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ხალხების განსხვავებულ ხასიათს. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა გარკვეული სტერეოტიპები, რომლებითაც ახასიათებდნენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხალხებს, კერძოდ, მიიჩნევდნენ, რომ ჩრდილოეთის ხალხები ნაკლებ კომუნიკაბელურნი არიან, ვიდრე სამხრეთელები, საყოველთაოდ ცნობილია სამხრეთული სტუმართმოყვარეობა, მიჩნეულია, რომ მთის ხალხები ბარის ხალხებთან შედარებით მეტად კარჩაკეტილები არიან და ნაკლებს ლაპარაკობენ, ზოგიერთი ხალხი უფრო ფიცხია, მაგალითად, კავკასიელი მთიელები, ზოგიც უფრო მშვიდი და თავდაჭერილი და ა.შ. თანდათანობით გამოიკვეთა ეროვნული ხასიათებიც. ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ცხოვრება ერთსა და იმავე ბუნებრივ გარემოში, ცხადია, აისახება ამ ეთნოსის არა მხოლოდ მატერიალურ ყოფაზე (სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების ტიპი), არამედ მის სულიერ კულტურაზე და ამ კულტურის შემადგენელ ნაწილზე – ეროვნულ ხასიათზე. ტრადიციული ცხოვრების წესი გულისხმობს ეროვნული ხასიათის თავისებურებებსაც და მოიცავს საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის მრავალ ასპექტს. გარკვეული ლოკალური თავისებურებანი შეინიშნება თვით ეთნოსის შიგნითაც, მის ეთნოგრაფიულ ჯგუფთა ხასიათებს შორის, რაც, მეტწილად, გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებითაა განპირობებული. დღეს ბევრს საუბრობენ ტრადიციულ მენტალობაზე, რაც ტრადიციული ეროვნული ხასიათის იდენტური ცნებაა. ყოველ ეთნიკურ ჯგუფს გამოარჩევს ხასიათის, მსოფლმხედველობრივი ელემენტების, ზნეობრივი ფასეულობებისა და ა.შ თავისებურებები, რომლებიც სხვა ეთნიკურ ჯგუფში განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. საუკუნეების განმავლობაში ეთნიკური თვითშეგნებისა და ხასიათის ჩამოყალიბების მხრივ, მნიშვნელოვანია ამ ჯგუფის თვალსანიერში მოქცეული ლანდშაფტი (მთიანი ლანდშაფტი ზღვისა თუ ოკეანის სანაპირო და სხვა). ხშირად გარკვეული მცენარეც კი, რომელიც ხარობს ამ გარემო-

ში, იძენს მნიშვნელოვან დატვირთვას ეროვნულ კულტურასა და ხასიათში და ამ მცენარეს სიმბოლოს ფუნქცია აქვს. ამ სიმბოლოში თავს იყრის ეროვნული მნიშვნელობის ფასეულობები და იგი ეროვნული თვითშეგნების გამოხატულებად გადაიქცევა. ქართველები, მაგალითად, მუხას საქართველოს სიმბოლოდ აღიქვამენ, – მას ერის ისტორიულ ბედ-იღბალთან აიგივებენ, რაც ფოლკლორსა და ლიტერატურაშიც არის ასახული. მასთან ასოცირდება საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის იმედები. მეორე მცენარე, რომელსაც ასევე ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველებისათვის, არის ვაზი. ვაზი თვითმყოფადი ქართული კულტურის მნიშვნელოვან მონაპოვრადაა მიჩნეული. სხვა ხალხებისთვის, მაგალითად, იაპონელებისთვის ყველაზე ძვირფასი მცენარე ალუბლის ხეა და იგი იაპონიის სიმბოლოდაც კი მიიჩნევა.

კულტურის ესა თუ ის ელემენტი, მისი მოცემული ტიპი ხშირად ვრცელდება რამდენიმე ეთნოსის ყოფაში. ასეთ შემთხვევაში ეროვნული და პოლიტიკური საზღვრები ბარიერს ვერ ქმნის, მაგალითად, ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაცილებულ პროვანსელებსა (საფრანგეთი) და ქართველებს ხშირად ადარებენ ერთმანეთს და მათ ეროვნულ ხასიათებს შორის ბევრ საერთოს პოულობენ. მიზეზი უთუოდ მსგავს ბუნებრივსა და კულტურულ პირობებშია საძიებელი.

§4. ხალხური ეკოლოგია. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან იზრდება ეკოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, მნიშვნელობა. ამ დროისათვის უკვე იმდენად დაირღვა ტრადიციული ეკოსისტემები, რომ დღის წესრიგში დადგა შემდგომი ეკოლოგიური კვლევების დაგეგმვა და გაფართოება. ცხადი გახდა, ადამიანსა და გარემომცველ ბუნებას შორის არსებული დაძაბულობის პროგრესირების შენელების აუცილებლობა.

კაცობრიობა მიხვდა, რომ ბუნებათსარგებლობის მოწესრიგება გადაუდებელი ამოცანაა. ტრადიციული ეკოლოგიური ბალანსისა და სტრუქტურების აღდგენისა და შენარჩუნების თვალსაზრისით კი ცოდნის დიდ მარაგს ფლობს ეთნოლოგიური მეცნიერება; ვინაიდან ბუნებათსარგებლობის ტრადიციულ, ხალხურ კულტურას მეცნიერების სწორედ ეს დარგი შეისნავლის.

დღეს კაცობრიობის წინაშე მრავალი პრობლემა დგას, მათ შორის, უმნვავესი ეკოლოგიური პრობლემებია.

ეკოლოგიური წონასწორობა და სტრუქტურები დარღვეულია ყველა სახელმწიფოში. მიუხედავად განსხვავებული გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე ეკოლოგიური პრობლემების ნაირსახეობებისა, ერთია ბუნების დაცვისა და შენარჩუნების ბევრი პრობლემა. ამ პრობლემების მოგვარება მეტ-ნაკლებად შესაძლებელი გახდება, თუკი შეჯერდება ეკოლოგიის, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაპოვრები. გონივრული ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა განუყოფელი ცნებებია. ამიტომ მეცნიერების წინაშე დასმულია რაციონალური ბუნებათსარგებლობის ორგანიზების საკითხები, რაც შედარებით უკეთ იყო მოწესრიგებული ტრადიციულ ყოფაში

და ამ ხალხური გამოცდილების გაუთვალისწინებლობას ხშირად ამჟამადაც სავალალო შედეგებამდე მიჰყავს კაცობრიობა.

სადღეისოდ მთელ მსოფლიოში გამოვლენილია ეკოლოგიური წონასწორობის რღვევის კატასტროფული ნიშნები. გარემომცველი ბუნების მდგომარეობის გლობალური ხასიათის დარღვევები აღინიშნება როგორც კონტინუალურ არეში (ატმოსფერო და მსოფლიო ოკეანე), ისე დისკრეტიულშიც (ლანდშაფტის სტატიკური ელემენტები). აქედან გამომდინარე შეცვლილია ატმოსფეროს გაზური შემადგენლობა, გაჭუჭყიანებულია ატმოსფერო, ოკეანეები, ტბები, მდინარეები; დარღვეულია ზღვის, მდინარეებისა და ტბების ფლორისა და ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის რაოდენობრივი თანაფარდობა; შემცირებულია ნაყოფიერი მინების საერთო ფართობი, გაჩეხილია ტყეები; შემცირებულია გარეული ცხოველების სულადობრივი და სახეობრივი შემადგენლობა; ხშირია ნიადაგების ეროზიის შემთხვევები; მრენველობის, საყოფაცხოვრებო და ქიმიური ნარჩენების უკონტროლო ჩადინების შედეგად დაბინძურებულია ტბები, მდინარეები და წყალსატევები; სახიფათო და დამღუპველია რკინიგზებისა და სააეტომობილო მაგისტრალების მშენებლობის, ნავთობისა და გაზსადენების და ა. შ. გაყვანის შედეგად წარმოქმნილი ეკოლოგიური პრობლემები; უკიდურესად გაუარესებულია სასმელი წყლის ხარისხი, მკვეთრად გაზრდილია ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვი (მეწყერები, ზვავები, სანაპირო ზოლის დატბორვები...) (გ. გიგინეიშვილი).

ხალხური ეკოლოგიური ცოდნა საუკუნეებს მოითვლის. იგი ადამიანის გარემომცველ ბუნებაზე უშუალო დაკვირვების შედეგია. ცოდნა ვლინდება დასახლების ტრადიციულ ტიპებში, საცხოვრებელი ადგილის შერჩევასა და დაგეგმვაში, სამშენებლო მასალისა და საცხოვრებლის ტიპში.

ხალხურ ეკოლოგიურ გამოცდილებას ეყრდნობა მეურნეობის რეგიონალური სისტემები, ტრადიციული კვების კულტურა, ტანსაცმელი...

ეკოლოგიური ასპექტი განსაკუთრებით არსებითია განსახლების ტიპოლოგიაში. ეთნოგრაფიული მასალა ავლენს, რომ ტრადიციულ გარემოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეკოლოგიურ ცოდნას. ტრადიციულ ყოფაში საცხოვრებლის დაგეგმვისას ითვალისწინებდნენ ნიადგის სახეობას, მიკროკლიმატს, ეროზიულ პროცესებს, ბუნებრივ სტიქიებს, მზის ფაქტორს, წყლის სიშორე-სიახლოვეს და ა. შ.

ტრადიციულ ყოფაში აკონტროლებდნენ ტყეებში გამოხშირვით ჭრას. აკრძალული იყო ტყეების მასიურად გაჩეხა. ეწინააღმდეგებოდნენ მდინარეებისა და ტბების დაბინძურებას. არსებობდა ნადირობისა და თევზჭერის ისეთი ტრადიციული წესები, რომლებიც ეკოლოგიური წონასწორობის დაცვას უწყობდა ხელს. მაგალითად, საქართველოს სოფლებში, თუნდაც სვანეთის სოფლებში, ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ არეგულირებს მდინარეებში თევზჭერის ზომიერების ბალანსს. კალმახის რაოდენობის შემცირებისთანავე სოფელი იკრიბება ეკლესიასთან და იღებს გადაწყვეტილებას თევზაობის გარკვეული

დროით შენყვეტის შესახებ, თევზის ხელახალი გამრავლების შემდეგ კი კვლავ იკრიბებიან და აკრძალვას აუქმებენ.

ეთნოლოგთა დაკვირვებით, გეოგრაფიულად რაც უფრო მრავალფეროვანია ეთნოსის განსახლების არეალი, მისი ეთნიკური ტერიტორია, მით უფრო დიდი ეკოლოგიური ცოდნა და გამოცდილებაა ამ ეთნოსში დაგროვილი (მ. გეგეშიძე, 1981; 32); ანუ ყოველი ხალხის ეკოლოგიური ცოდნა დაკავშირებულია ამ ქვეყნის გეოგრაფიული გარემოს კონკრეტულ ხასიათთან. შესაბამისად კი, ეს ცოდნა და გამოცდილება გაზიარებული და გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე ყოფაშიც, რაც თავიდან აგვაცილებს თუნდაც ზვავსაშიშ, მეწყერსაშიშ და ნყალდიდობასაშიშ ზონებში დასახლებას. ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ ასეთი საფრთხე ნაკლებად ემუქრებოდა ძველ, ტრადიციულ განსახლებებს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო მოსაზრება თავის დროზე გამოთქვა ეთნოლოგმა მიხეილ გეგეშიძემ. მისი აზრით, სვანურ კოშკებს, თავდაცვით ფუნქციასთან ერთად, ზვავსაშიშ მოვლენასთან გამკლავების მნიშვნელობაც ჰქონდა. მან ყურადღება გააამახვილა კოშკების ასაშენებელ მასალაზე, ნაგებობების სიმტკიცეზე, კოშკების სეისმომედეგობაზე. მიუთითა, რომ სვანეთის იმ ადგილებში, სადაც მთისძირა, ჭალისპირული დასახლებებია, ადამიანები ადრიდანვე მთის კალთის შეყოლებაზე უშუალოდ სოფლისა და სამეურნეო ნაკვეთების გასწვრივ სხვადასხვა სახის წინაღობებს აწყობდნენ ზვავისა თუ მეწყრის სიდიდისა და დარტყმის ძალის გასანეიტრალებლად. ამავე კონტექსტში განიხილავს მ. გეგეშიძე კოშკების სიმრავლის მიზეზს ბალსზემო სვანეთში. კოშკები, მისი აზრით, დიდთოვლიანობის, ზვავების, მეწყერებისა და ღვარცოფებისაგან მოსახლეობის დაცვის პროფილაქტიკით ნაკარნახევი უძველესი ტრადიციების, ეკოლოგიური ცოდნის გამოხატულებადაა მიჩნეული (მ. გეგეშიძე, 1981; 70-95). ეთნოლოგის ამ მოსაზრების მართებულობა, რომელსაც თანამედროვენი ერთგვარი სკეპტიციზმით შეხვდნენ, რამდენიმე ნლის შემდეგ დატრიალებულმა სტიქიურმა უბედურებამ დაადასტურა: 1987 ნელს ზვავმა ნალეკა მულახის თემის ერთი სოფელი, გადარჩა მხოლოდ კოშკი. ამ ტრაგიკულმა მოვლენამ გამოავლინა ეთნოლოგიის კიდევ ერთი შესაძლებლობა, მეცნიერების ეს დარგი, ფლობს რა ხალხური ეკოლოგიური ცოდნის დიდ მარაგს, შეძლებს საპროგნოზო, პროფილაქტიკური დახმარება გაუწიოს თანამედროვე სოფელდაგეგმარებას, მშენებლობასა და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ხალხურ-ეკოლოგიურ, კულტურულ-ისტორიულ გამოცდილებას აქვს შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა და, ბუნებრივია, ეს ინფორმაცია საყურადღებოა ეკოლოგებისთვისაც.

ხალხური ეკოლოგიური ცოდნა იკითხება ტოპონიმებშიც, მაგალითად, ქართულ ტოპონიმიაში ხშირად მეორდება ორი ტოპონიმი მზვარე და ჩრდილი, სხვადასხვა დიალექტური ვარიაციებით. ცხადია, ერთი მზიან, ნათელ ადგილს აღნიშნავს, მეორე კი – ჩრდილიანს. ხალხური გამოცდილებით, მეურნეობაში გამოსაყენებლად საუკეთესოდ მიიჩნევენ მზიან ადგილას გაზრდილ ბალახს (მ. გეგეშიძე, 1981; 63)

ემპირიული ეკოლოგიური ცოდნის შედეგია ნიადაგების არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა რთულ სამეურნეო-ტექნიკურ სისტემათა კომპლექსები – მელიორაცია (ნიადაგების მორწყვა, ხანგრძლივი წვიმებისას წყლის ხელოვნურად დაშრობა, ნიადაგების გაპატივება...); ანუ ამ მიმართულებითაც, როგორიცაა ტრადიციული მიწათმოქმედების კულტურაში შემონახული ეკოლოგიური თავისებურებების ცოდნა, ვლინდება ეთნოლოგიის პრაქტიკული საჭიროება.

ამ ბოლო დროს ეთნოლოგიურ მეცნიერებაში გამოიკვეთა კვლევის ახალი მიმართულება, რომელსაც ადამიანის ეკოლოგიას უწოდებენ. იგი გულისხმობს ადამიანისა და გარემოს ურთიერთობას ტრადიციულ ყოფაში და ამ კვლევის შედეგები უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს ეკოლოგებს უკვე არსებული ხალხური ცოდნის შეთვისებისა და გაანალიზების საქმეში.

თემა XVI

ეთნოსი და ენა

ენა ადამიანთა ურთიერთობის საშუალება და კულტურის ნაწილია, ამავე დროს, ეთნოსის ყველაზე ძირითადი და არსებითი ნიშანი. მაგრამ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანებმა ნაირფეროვანი კულტურა შექმნეს და რადგანაც ენა კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ენაც ათასობით შეიქმნა. ისევე როგორც კულტურის არაერთი ელემენტი, ენებიც ცვლილებებს განიცდიდნენ. მეცნიერებს დათვლილი არც აქვთ რამდენი ენა გაქრა – ისინი დაახლოებით 4 ათასზე მეტ გამქრალ ენაზე საუბრობენ. დღესაც კი არაა გარკვეული რამდენი ენაა მსოფლიოში. ენციკლოპედიებსა და ცნობარებში ხან 5 ათას, ხან 6 ათას და ხანაც 10 ათას ენაზეა საუბარი. ეს გაურკვევლობა იმითაა გამონვეული, რომ ლინგვისტიკაში არ არსებობს მკვეთრი კრიტერიუმი, რითაც ენა, დიალექტი და კილო-კავი ერთმანეთისაგან გაიმიჯნება. ძალიან ხშირად ენებისა და დიალექტების გამიჯვნის საკითხში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მომენტი დომინირებს. რაც შეეხება ეთნოსების (ხალხების) რაოდენობას, მას დაახლოებით 3 ათასს ანგარიშობენ. ეს კი იმის პირდაპირი დადასტურებაა, რომ ენა ეთნიკურობის ერთადერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი არაა და რომ შეიძლება სხვადასხვა ეთნოსები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ და პირიქით, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკენი ერთ ეთნოსს ქმნიდნენ.

ენა ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის სპეციფიკური სოციალური საშუალებაა, აგრეთვე – ადამიანთა ქცევის მართვისა. ენის საშუალებით ხორციელდება სოციალური გამოცდილების, კულტურული ნორმებისა და ტრადიციების გადაცემა; ენის საშუალებით ხდება სხვადასხვა თაობებსა და ისტორიულ ეპოქებს შორის მემკვიდრეობითობის გადაცემა. ყოველი ენის ისტორია მისი მატარებლების სოციალურ ერთობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ენა უმნიშვნელოვანეს ეთნოსოციალურ ფუნქციას ასრულებს. ენის ერთობა ეთნიკური ერთობის ფორმირების პირობას ანდა ეთნოგენეზის შედეგს წარმოადგენს. უკანასკნელი განსაკუთრებით შესამჩნევია სხვადასხვა ენოვანი ჯგუფების მოსახლეობის ეთნოსებად ფორმირების შემთხვევაში. ასეთი მჭიდრო კავშირების გამო, ენა ჩვეულებრივ გვევლინება, როგორც ეთნოსის ერთ-ერთი ობიექტური და უმნიშვნელოვანესი თვისება და როგორც ეთნიკური მიკუთვნებულობის სიმბოლო. ამიტომ, ენისა და ეთნოსის კავშირი ისტორიულია ეთნოსების განვითარების ადრეულ ეტაპზე და შემთხვევითი არ არის, რომ ეთნოსის თვითსახელწოდება (ენდოეთნონიმი) ხშირად თანხვდება შესაბამისი ენის სახელწოდებას. ენას აქვს ეთნოსოციალური ფუნქცია, იგი არის მშობლიური (და, თავისთავად ცხადია, არამშობლიური), ეროვნუ-

ლი (ნაციონალური), ენა შეძლება იყოს სახელმწიფო და ეთნოსთაშორის ურთიერთობის; დამწერლობის მქონე ენების მნიშვნელოვანი რაოდენობა საღვთისმეტყველო ენაა.

§1. ენის ეთნოსოციალური ფუნქცია. ზემოთ აღინიშნა, რომ ენის საშუალებით ხდება სოციალური გამოცდილების, კულტურული ნორმებისა და ტრადიციების გადაცემა. ყოველი ენის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული იმ სოციალური ერთობის (ენობრივი კოლექტივის) ისტორიასთან, რომელიც მის მატარებელს წარმოადგენს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ენების მრავალფეროვნება განპირობებულია ადამიანთა ძველი კოლექტივების სუსტი კავშირებით; ერთმანეთისაგან იზოლირებულმა კოლექტივებმა, ჯგუფებმა შრომითი პრაქტიკის დროს თავიანთი ენები გამოიმუშავეს.

თავის პირდაპირ სააზროვნო-კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად, ენა ასრულებს უმნიშვნელოვანეს ეთნოსოციალურ ფუნქციასაც-ის ეთნიკური მიკუთვნებულობის სიმბოლოა და როდესაც ვლაპარაკობთ ენის სოციალური ფუნქციის შესახებ, უნდა გამოვყოთ ენის ეთნიკური ნიშნის ფუნქცია, ე. ი. ენის ეთნომადიფერენცირებელი და ეთნომაინტეგრირებელი თვისებები.

ენის ეთნოსოციალური ფუნქცია განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდება ეთნოსის ფორმირებასა და ცხოველქმედებაში. სნორედ ენაშია ასახული ხალხის მთელი შემეცნებითი გამოცდილება, მისი მორალურ-ეთიკური, მხატვრული და აღმზრდელობითი იდეალები. რა თქმა უნდა, ენა თავისთავად, იზოლირებული არაა სხვა ფაქტორებისაგან და მოვლენებისაგან – მჭიდროდ გადაჯაჭვულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტერიტორიულ, ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან და ადამიანებს შორის აყალიბებს ნაციონალურ კავშირებს. თუ ლინგვისტურ ასპექტს მივიღებთ მხედველობაში, თავის ფორმირებას ნაცია აგვირგვინებს ლიტერატურული ენის შექმნით, რომელიც შემდეგაც ის საერთონაციონალური ხდება, საყოველთაოდ ვრცელდება და ცხოვრების ძირითადი სფეროდან თანდათან ავიწროვებს და ხშირ შემთხვევაში განდევნის ტერიტორიულ, ლოკალურ მეტყველებებს (დიალექტებს, კილო-კაევებს, თქმებს).

ენისა და ეთნოსის ურთიერთკავშირი და ურთიეთგანპირობებულობა იმაში გამომჟღავნდება, რომ ეთნოსის ყოველი ახალი მდგომარეობა თხოულობს შესატყვის ენობრივ ფორმებს. ხალხს არ შეუძლია იარსებოს, როგორც ეთნიკური ერთობის გარკვეულ ისტორიულ ტიპს, თუ ის ენის ტომობრივ ფორმასა და დიალექტზე უარს არ იტყვის. ენების განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სისხლით ნათესაური კოლექტიური გაერთიანებების, ტომების დიდ სატომთაშორისო გაერთიანებებად, ხალხებად ჩამოყალიბება. დიდი ეთნოსოციალური გაერთიანებები, ხალხები ბუნებრივად მოითხოვდნენ საერთო ენების არსებობას. თუმცა ამ საერთო-სახალხო სალაპარაკო ენებს ჰქონდათ ლოკალური ენობრივი ვარიანტები ანუ დიალექტები, რომლებზედაც ადგილობრივი მოსახლეობა მეტყველებდა. ენების განვითარებაში შემდეგი ეტაპი იყო სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად ნაციების (ერების) წარმოქმნა. ერებისათვის (ნაციებისათვის) კი შესატყვისი

ენობრივი ფორმები იყო საჭირო. ეს ენობრივი ფორმა ენის დამწერლობითი ფორმა, ანუ ლიტერატურული ენა გახლდათ.

როგორც წესი, ყოველი ხალხი ლაპარაკობს ერთ ენაზე. მაგრამ ისტორიაში არა ერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ეს პრინციპი დარღვეულია – ხშირად იმდენად დიდია ეთნოსის და თუ გინდ ნაციად ჩამოყალიბებული ეთნოსის ენაში დიალექტური დაყოფა, რომ ამ დიალექტებზე მოლაპარაკეებს საერთოსალიტერატურო ენის გარეშე ერთმანეთისათვის გაგებინება უჭირთ. თანამედროვე მსოფლიოში, ნინა ეპოქებისაგან განსხვავებით, ფართოდ არის გავრცელებული ორენოვნება (ბილინგვიზმი), როდესაც ხალხის რომელიმე ნაწილი ანდა მთლიანად ხალხი ყოველდღიურად ორი ენით სარგებლობს. ორენოვნება ხშირი მოვლენაა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში. ასეთ ქვეყნებში ეთნიკური უმცირესობანი, გარდა მშობლიური ენისა, ჩვეულებრივ, ყველაზე გავრცელებული ანდა დომინირებული ენით სარგებლობენ.

მსოფლიოში იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობს. ინგლისურ ენაზე გარდა ინგლისელებისა მეტყველებენ ანგლო-ავსტრალიელები, ანგლო-ახალზელანდიელები, ანგლო-კანადელები, ამერიკელები, კარიბის ზღვის აუზის ხალხი. ასევე რამდენიმე ეთნოსი ლაპარაკობს ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, სერბულ-ხორვატულ ენებზე.

განასხვავებენ ენის ზეპირ (სალაპარაკო) და დამწერლობით ფორმებს. დამწერლობითი ანუ ლიტერატურული ენა ერებისათვის (ნაციებისათვის) არის დამახასიათებელი. ბევრი ეთნოსის სალაპარაკო ენა მეტ-ნაკლებად განსხვავებული დიალექტებისაგან შედგება. ზოგიერთი ენის დიალექტი იმდენად დამორებულია ერთმანეთისაგან, რომ მათზე მოლაპარაკენი ძნელად უგებენ ერთმანეთს. მაგალითად, ზემოგერმანული და ქვემოგერმანული დიალექტები და ჩინური ენის ძირითადი დიალექტები შეიძლება დავასახელოთ. ჩინური ნაციის ერთიანობა იეროგლიფური დამწერლობით არის განპირობებული. ჩინურ დიალექტებზე მოლაპარაკეებს ერთმანეთის მეტყველება არ ესმით, მიუხედავად ამისა ისინი დიალექტებადაა გამოცხადებული და არა ენებად. იეროგლიფებს კი ყველა ჩინელი ერთნაირად ადვილად კითხულობს. ჩინელები იეროგლიფების ნაცვლად ანბანურ დამწერლობაზე რომ გადავიდნენ, ათამდე ენობრივ ერთობას ერთმანეთთან ფაქტობრივად საერთო აღარაფერი ექნებათ. სხვადასხვა არაბული ქვეყნის მოსახლეობა ფაქტობრივად ერთმანეთთან კონტაქტს ვერ ამყარებს, რადგან მათ ერთმანეთის მეტყველება არ ესმით. მიუხედავად ამისა, ისინი არაბული ენის დიალექტებად არის გამოცხადებული, და არა ენებად. ასე რომ, ხშირად ლინგვისტებს უძნელდებათ ენასა და დიალექტს შორის ზღვარის დადგენა. აქედან გამომდინარე, ეთნოლოგებისათვის ეთნიკურობის განმსაზღვრელი არის არა ენა, არამედ ეთნოსის თვითშეგნება და თვითსახელწოდება. ნათელია, რომ ენასა და ეთნოსს შორის რთული ურთიერთმიმართებაა და მათი თანხვედრა აუცილებელი არ არის.

ამრიგად, ენაში აღბეჭდილია ხალხის მთელი შემეცნებითი გამოცდილება, მისი მორალურ-ეთიკური, სოციალურ-ესთეტიკური და სხვა იდეალები. ენა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ადამიანებს შორის აყა-

ლიბებს ეროვნულ კავშირებს. ნაცია თავის ფორმირებას ლიტერატურული ენის შექმნით ამთავრებს. როგორც წესი, ყოველი ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობს, მაგრამ ასევე ფართოდ არის გავრცელებული ორენოვნება.

ფუნქციონალური და სამართლებრივი თვალსაზრისით ენათა როლი და სტატუსი განსხვავებულია. ამიტომ, ენები იყოფა იმ კატეგორიებადაც, როგორებიცაა მშობლიური ენა, ნაციონალური ენა, სახელმწიფო ენა.

§2. მშობლიური ენა. მშობლიური ენა ადამიანების მიერ თავდაპირველად, ცხოვრების დასაწყისში ათვისებული ენაა. მას სხვანაირად „აკვნის" ენას, დედის ენას უწოდებენ. 1886 წლის კავკასიის საოჯახო სიებში ენის გრაფას „საოჯახო" (სახლის) ენა ეწოდება. ქართველებისათვის ის „დედაენაა". მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება სამეტყველო ურთიერთქმედების თავდაპირველი ჩვევები. მშობლიური ენის დახმარებით ხდება პიროვნების თავდაპირველი სოციალიზაცია და კულტურიზაცია თავისი ეთნოსის ნორმების, ფასეულობების, ტრადიციების გაცნობა.

მშობლიური ენა წარმოადგენს ეთნიკური (ნაციონალური) თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ნაციონალობა თანხვდება მშობლიურ ენას. ზოგიერთ შემთხვევაში, რიგი მიზეზების გამო, მშობლიური ენა არ თანხვდება ეთნიკურ ენას, რაც ჩვეულებრივ, ლინგვოკულტურული ასიმილაციის პროცესებით არის განპირობებული. დროთა განმავლობაში ადამიანმა შეიძლება მშობლიური ენა შეიცვალოს. ასეთი შემთხვევები ძირითადად ახალგაზრდობის წლებში ხდება, როდესაც ადამიანი უცხო ეთნიკურ გარემოში აღმოჩნდება და ითვისებს იმ ხალხის ენას, რომელთა შორისაც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს. უცხოენოვან გარემოში საზოგადოებრივ პრაქტიკაში, ყოფაში, ოჯახში სხვა ენის გამოყენება თანდათანობით თავდაპირველი ანუ მშობლიური ენის დაკარგვას ინვევს. შერეული ქორწინებების შედეგად გაჩენილი ბავშვების მშობლიური ენა და ეროვნული მიკუთვნებულობაც (თვითშეგნება) არ ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა ძალიან დიდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ.

ეთნოლოგიასა და ეთნიკურ სტატისტიკაში მიღებულია ენების დაყოფა მშობლიურ და სალაპარაკო ენებად. მშობლიური ენა ყველაზე უფრო დაკავშირებულია ეთნიკურ წარმომავლობასთან და ეთნიკურ სტატისტიკაში ის ეთნოსის ობიექტურ ნიშნად გამოიყენება. ზოგიერთი ქვეყნის აღნერაში მშობლიური ენის დაფიქსირება ეთნიკურობის დაფიქსირებასაც ნიშნავს. სალაპარაკო ენა ოჯახსა და საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი ყოფითი ენაა. ეთნიკურად ერთგვაროვან კოლექტივებში სალაპარაკო ენა მშობლიურ ენას თანხვდება. პოლიეთნიკურ გარემოში, ჩვეულებრივ, ერთ-ერთი კომპონენტის ენას აქვს უპირატესობა – უფრო მრავალრიცხოვანის ანდა ეთნიკური და კულტურული თვალსაზრისით უფრო მეტად განვითარებულის. მაგალითად, რუსეთის სახელმწიფოს ხალხებისათვის ასეთ ენად რუსული ენა იქცა. საბჭოთა კავშირში 1989 წლის აღნერით მოსახლეობის 7,3%-ის მშობლიური ენა და ეთნიკურობა არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

მშობლიური ენის შეცვლა შედარებით სწრაფად ქალაქებში მიმდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, ისეთ ეთნიკურ ჯგუფებში, რომლებიც სხვა ეთნოსთა გარემოში მკვიდრობენ. მცირე ეთნიკურ ერთეულებში მშობლიური ენის შეცვლას ხშირად ის გარემოებაც აჩქარებს, რომ მათ ენებს არა აქვთ თავისი საკუთარი ლიტერატურა, მეცნიერება, უმაღლესი სასწავლებელი. ამიტომ, მათი ლექსიკური მარაგი და რესურსები შედარებით ღარიბია და თავისი ენით არა აქვთ საშუალება ეზიარნონ მსოფლიოს მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებს.

ამრიგად, მშობლიური ენა ხალხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ელემენტია. მცირე ეთნოსთა ენების წარმომადგენლები ობიექტურად იძულებული არიან ისარგებლონ დიდი და დამწერლობის მქონე ენებით. სხვა შემთხვევაში ისინი ვერ იქნებიან ამა თუ იმ დიდი სახელმნიფოს სრულფასოვანი მოქალაქეები.

§3. ეროვნული (ნაციონალური) ენები. ნაციონალურ ენად ითვლება ენა, რომელიც ნაციონალური ერთობების დამწერლობითი და ზეპირი ურთიერთობების საშუალებას წარმოადგენს. ნაციონალური ენა ქმნის შიდანაციონალური ერთობის საფუძველს, ემსახურება მთლიანად ნაციის კომუნიკაციას, ნაციის ყველა წევრს შორის კომუნიკაციის პროცესში უზრუნველჰყოფს სოციალურ ურთიერთქმედებასა და სოციალ-კულტურულ ურთიერთობებს.

ნაციონალური ენა ყალიბდება ხალხების ნაციებად (ერებად) ჩამოყალიბების პერიოდში. ის საერთო-საყოველთაო ენაა, ე. ი. მას აყალიბებს ადამიანთა ურთიერთობის ყველა სამეტყველო საშუალება – ადგილობრივი დიალექტები, სასაუბრო მეტყველება, ლიტერატურული ენა. ნაციონალური ენა მოცემული ენის ნაირსახეობების ერთობლიობაა; ის ერთობად აერთიანებს ძირითად ლექსიკას, აგრეთვე გრამატიკულ და ფონეტიკურ სისტემებს. ნაციის ფორმირების პროცესში ვითარდება ენობრივი ერთობის განმტკიცების პროცესები, ხდება ნიველირება ადგილობრივი დიალექტური თავისებურებებისა, მიმდინარეობს ენის ყველა მატარებლისათვის ერთიანი ნორმების ჩამოყალიბება. ახალი ლიტერატურული ენის განვითარებას თან ახლავს დამწერლობითი ენის ფუნქციების გაძლიერება, მეტყველების სხვადასხვა ზეპირი ფორმების განვითარება.

ნაციონალური ენა სხვადასხვა გზით ყალიბდება, მაგრამ უცილობლად მის საფუძველს ეთნოსის ნარმომქნელი ენა წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში საერთო ნაციონალური ენა წარმოიქმნება კონსოლიდირებული ან ასიმილირებული ეთნოსების საფუძველზე. მაგალითად, საერთო ნაციონალური მორდოვული ენა ერზისა და მოკშის ენების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ნაციონალური ენების ნარმოქმნის სხვა გზად ითვლება ეთნიკური სეპარაცია, ე. ი. ერთი ეთნოსის რამდენიმედ დაყოფა. ამ შემთხვევის ტიპურ მაგალითად ხშირად ასახელებენ ერთიანი აღმოსავლეთსლავური ეთნოსის რუსულ, უკრაინულ და ბელორუსულ ეთნოსებად დაყოფას, რის შედეგადაც რუსული, უკრაინული და ბელორუსული ნაციონალური ენები განვითარდა.

ნაციონალურ ენას აქვს თვითგანვითარების ტენდენცია, მაგრამ მისი ლექსიკური შემადგენლობა შეიძლება უცხო სიტყვებითა და ტერმინებით გამდიდრდეს. ლინგვისტური მეცნიერების მონაცემებით, ამა

თუ იმ ნაციონალური ენის სრულყოფილება განისაზღვრება იმით თუ რამდენად სრულყოფილად შეუძლია მას გადმოსცეს კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა. ნაციონალური ენის რეალური საზოგადოებრივი ფუნქციები კავშირშია ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა მისი გავრცელებულობა არა მხოლოდ შიგნით, არამედ მოცემული ნაციონალური ერთობის გარეთ.

ყოველი ნაციის დიდი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ენა. როგორც წესი, ყოველი ნაცია ლაპარაკობს ერთ ენაზე. მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ენის შიგნით დიალექტური დაყოფა იმდენად დიდია, რომ მოსახლეობის ცალკეულ ტერიტორიულ ჯგუფებს შორის ურთიერთობა საყოველთაოდ აღიარებული ლიტერატურული ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთ გერმანელებს და სამხრეთ გერმანელებს ძალიან ცუდად ესმით ერთმანეთის. დიდია აგრეთვე განსხვავება ჩინური ენის დიალექტებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას ქართველი ერის მიმართ. მის ორ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – სვანეთსა და სამეგრელოში მცხოვრებთა მეტყველება საერთოქართულ სალიტერატურო ენას საკმაოდ დაშორებულია და ენობრივი თვალსაზრისით ერთიან ქართულ ეროვნულ ორგანიზმთან მათ სალიტერატურო ენა აერთიანებთ. იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ერი (ნაცია) ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს, მაგალითად ინგლისურ ენასა და მის ადგილობრივ ვარიანტებზე. რუსეთის ფედერაციაში ერთი სალაპარაკო და სალიტერატურო ენა აქვთ ყარაჩაელებსა და ბალყარელებს, ყაბარდოელებსა და ჩერქეზებს, ბალკანეთში ფაქტობრივად ერთი ენა აქვთ ბულგარელებსა და მაკედონიელებს. ერთ ენაზე ლაპარაკობენ აგრეთვე სერბები, ხორვატები, ბოსნიელები და ჩერნოგორიელები.

ნაციონალური (ეროვნული) ენა ადამიანებს მუდმივად თავიანთ ეროვნებას ახსენებს. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ეროვნული (ნაციონალური) ენა და ეროვნება ერთმანეთს თანხვდება და ამ თვალსაზრისით ენა ეთნიკურობის ერთ-ერთი ყველაზე უეჭველი განმსაზღვრელია. სტატისტიკურ პრაქტიკაში ეს მოვლენა იმდენად თვალნათლივია, რომ მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობის აღნერის პროგრამებში შეტანილია მხოლოდ კითხვა ენისა და არა ნაციონალობის შესახებ. ამასთანავე, ადამიანის მიერ სხვა ნაციონალობის ენაზე გადასვლა არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ამ ცვლილებით ის შეიცვლის თავის ეროვნებას. ეს გაცილებით უფრო რთული პროცესია.

ნაციონალური ენა ერთიანობის გამომხატველია; მას აქვს ტერიტორიული და სოციალური დიალექტებისა და ჟარგონების ნიველირების ტენდენცია, რაც ლიტერატურული ენის ნორმების გავრცელებითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეტყველების კულტურით მიიღნევა. ეროვნული (ნაციონალური) ენა, ნაციონალურ კულტურასთან ერთად, წარმოადგენს ნაციის თვითგამოხატვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ამიტომ, რომელიმე ეთნოსის მიერ ენის ნაწილობრივი დაკარგვა ინვევს ეთნოკულტურული იდენტობის გადარეცხვას.

ნაციის ყველა კულტურული მახასიათებლიდან ენა ყველაზე უფრო ეთნომაფორმირებელსა და ეთნოშემნახველ მოვლენას წარმოად-

გენს. ასე რომ, ნაციონალური ენა განაპირობებს ნაციის კონსოლიდაციას, ნაციონალური მასშტაბით ერთი და იგივე კულტურული ფასეულობების გავრცელებას. მისი საშუალებით ხდება ნაციონალური რლვეეის, ნაციის დიფერენციაციის თავიდან აცილება.

§4. სახელმწიფო ენა. სახელმწიფო ენად ითვლება შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მქონე ენა, რომელიც მოცემულ ქვეყანაში გამოიყენება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახელმწიფო დანესებულებების, ორგანიზაციებისა და სანარმოების საქმიანობაში, აგრეთვე კანონებისა და სხვა სამართლებრივი ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისას. როგორც წესი, სახელმწიფო ენას ხელისუფლებისაგან აქვს სპეციალური მხარდაჭერა – ცდილობს მის გავრცელებასა და მხარდაჭერას. არც თუ იშვიათად, სახელმწიფო ენის შესნავლის, განვითარებისა და გამოყენების საკითხები რეგლამენტირდება განსაკუთრებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით. ანალოგიური სტატუსისა და საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ენები ხშირად ოფიციალურ ენებადაც იწოდება.

ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ორი და მეტი ენა, რაც ძირითადად სახელმწიფოს პოლიეთნიკურობით არის განპირობებული. ასე, მაგალითად, ფინეთში ორი სახელმწიფო ენაა – ფინური და შვედური, ინდოეთში – ჰინდი და ინგლისური, მალტაში – მალტური და ინგლისური, შვეიცარიაში კი ოთხი სახელმწიფო ენაა – გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული. იმის გამო, რომ კანადაში ანგლოკანადელებსა და ფრანკოკანადელებს შორის ურთიერთობა არ გამწვავებულიყი, ინგლისურთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი ფრანგულ ენასაც მიანიჭეს. ასე რომ, ამ ქვეყანაშიც ორი ოფიციალური ენაა – ინგლისური და ფრანგული. ორი სახელმწიფო ენაა ბელორუსიაშიც – ბელორუსული და რუსული. რუსული ენა ყაზახეთსა და ყირგიზეთში სახელმწიფო ენებთან ერთად ოფიციალურ ენად არის ცნობილი. საქართველოშიც კონსტიტუციით აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური და ქართული ენები თანაბარუფლებიან ენებად არიან გამოცხადებული. მსოფლიოში არაერთი შემთხვევაა, როდესაც ენობრივ ნიადაგზე ეთნიკური კონფლიქტები წარმოიქმნა. შორს რომ არ წავიდეთ, ამ თვალსაზრისით, საქართველოს მაგალითის დასახელებაც კმარა – ე. წ. ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი ოსებისა და აფხაზების მხრივ სახელმწიფო ქართული ენის უგულებელყოფა და უცოდინრობა იყო.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ სახელმწიფო ენის პრობლემას აქვს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სოციალური, კულტურულ-სულიერი და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. ეთნოენობრივი პოლიტიკის დაუკმაყოფილებლობა შეიძლება ეთნოსთაშორის დაძაბულობისა და სეპარატისტული მისწრაფებების ერთ-ერთი მიზეზი გახდეს.

პოლიტიკურ-იურიდიული თვალსაზრისით სახელმწიფო ენასთან ახლოსაა ოფიციალური ენის სტატუსი, რომელიც მისგან გამოირჩევა მხოლოდ ნაკლებად მკაცრი სტატუსითა და რეგლამენტაციით. ამიტომ ხშირად ეს ორი სახელნოდება – სახელმწიფო და ოფიციალური –

ტოლმნიშვნელოვნად გამოიყენება. ჩვეულებრივ, ოფიციალური ენა ცხადდება იმ ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან პოლიეთნიკურობით და სადაც არსებობს ეთნოენობრივი პრობლემები. ოფიციალური ენის შემოღება დამახასიათებელია აზიის, აფრიკისა და ამერიკის ბევრი ქვეყნისათვის. ყოფილ კოლონიებში ასეთ ენებად გამოცხადდა ყოფილი მეტროპოლიის ენები. აფრიკის 55 ქვეყნიდან 21 ქვეყანაში ოფიციალური ენაა ფრანგული (მათ შორის, 8 შემთხვევაში – ინგლისურ ანდა რომელიმე ადგილობრივ ენასთან ერთად), 19 ქვეყანაში – ინგლისური (9 შემთხვევაში რომელიმე ადგილობრივ ენასთან ერთად), 5 ქვეყანაში – პორტუგალიური.

ოფიციალური ენის სტატუსი ენიჭება ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის ენას. ექვსი ენა – ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური, არაბული და ჩინური – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური და სამუშაო ენებია.

§5. ეროვნებათშორის ურთიერთობის ენა. ეროვნებათშორის ურთიერთობის ენებს მიეკუთვნება ენები, რომლებიც უფრო ფართო ფუნქციებს ასრულებენ, ვიდრე ნაციონალური ენები და პოლიეთნიკურ სახელმწიფოში გამოიყენებიან ენა-შუამავალის სახით. ამ როლში შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაციის ენა ანდა მეტროპოლიის ენა ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში. რუსეთისა და საბჭოთა იმპერიაში ეთნოსთა შორის ურთიერთობის ენა რუსული იყო. ზოგიერთ შემთხვევაში ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენა ოფიციალურ ენას თანხვდება. ასე, მაგალითად, ინდოეთში ოფიციალური ინგლისური ენა ერთდროულად ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენის როლსაც ასრულებს. ანგოლაში პორტუგალიურ ენას ოფიციალური ენის სტატუსი აქვს და ერთდროულად ის ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენაცაა.

ჩვეულებრივ, ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენის ფუნქციას ერთ-ერთი ნაციონალური ენა ასრულებს. ენის ეს ფუნქცია ხშირად ისტორიულად გარკვეული ობიექტური ფაქტორების გამო ყალიბდება. ზოგიერთ ქვეყანაში ეთნოსთაშორის ურთიერთობაში ენის ფაქტობრივი როლი იურიდიულად არის განმტკიცებული. მაგალითად, ყაზახეთსა და თურქმენეთში რუსული ენა კანონმდებლობით ცნობილია ეთნოსთაშორის ურთიერთობის ენად. თანამედროვე ეტაპზე იზრდება ორენოვნების ტენდენცია, უფრო მეტმა ადამიანმა იცის ორი და მეტი ენა. ორი ან მეტი ენის ფლობას ბილინგვიზმი, ანდა პოლილინგვიზმი ეწოდება. ბილინგვიზმი პოლიეთნიკურ სახელმწიფოებში ხშირი მოვლენაა, სადაც ეთნიკური უმცირესობანი, გარდა მშობლიური ენისა, ჩვეულებრივ, იყენებენ აგრეთვე ყველაზე მრავალრიცხოვანი და გაბატონებული ერის ენას. ბილინგვიზმი ხშირად გავრცელებულია ეთნიკური საზღვრების არეალში. ის დამახასიათებელია აგრეთვე იმიგრანტებით დასახლებული ქვეყნებისათვის. ბოლო ხანებში ბილინგვიზმი ინტენსიურად ვრცელდება, რაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ურბანიზაცია ახდენს, აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების გაძლიერებული კონტაქტები და განათლებისა და კულტურის დონის საერთო აღმავლობა. ამ პირობებში ხალხის რომელიმე ნაწილი ანდა მთლიანად ხალხი თანდათან ორ ენას გამოიყენებს. მაგალითად, ორენოვანნი არი-

ან საფრანგეთის სახელმწიფოში მცხოვრები ელზასელები – ისინი თანაბრად ლაპარაკობენ გერმანულსა და ფრანგულ ენებზე. ფაქტობრივად ორენოვანნი არიან პარაგვაელები, რომლებიც ესპანურთან ერთად გუარანის ენაზეც მეტყველებენ. ორენოვნება და სამენოვნებაც კი საკმაოდ გავრცელებულია ისეთ პოლიეთნიკურ ქვეყნებში, როგორებიცაა ბელგია და შვეიცარია.

§6. დამწერლობითი ენები//სალიტერატურო ენები. მსოფლიოში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ეთნოსების კულტურები კიდევ ერთი კომპონენტით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ესაა დამწერლობისა და ლიტერატურის მქონე ენები. ყოველი ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გრაფიკაა – წერითი მეტყველების ყველა საშუალების ერთობლიობა. დამწერლობის ისტორიაში ხუთ ძირითად საფეხურს გამოყოფენ: 1. ხატოვანს ანუ პიქტოგრაფიულს, 2. იდეოგრაფიულს, 3. სიტყვიერ-მარცვლოვანს (ლოგოგრაფიულ-სილაბურს), 4. მარცვლოვანს ანუ სილაბურს, 5. ანბანურს. შორეულ-აღმოსავლური დამწერლობითი კულტურა იეროგლიფებს ეფუძნება. ინდოელთა ცივილიზაციის ანბანია დევანაგარი, რომელიც ემყარება რამდენიმე გრაფიკულ ვარიანტსა და ხელწერას. მუსლიმები წერენ არაბული გრაფიკით. მასზე უარის თქმის შემთხვევაში, ეს მათი ისლამური ცივილიზაციისაგან ნაწილობრივ გამოყოფას მოასწავებს. თურქები 1920-იან წლებში ლათინურ დამწერლობაზე გადავიდნენ, რაც არაისლამური, ევროპული ორიენტაციის გამარჯვების მანიშნებელი იყო. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ასევე სხვა ანბანზე – რუსულზე გადავიდნენ ახლად შექმნილი სახელმწიფოს – აზერბაიჯანის მკვიდრნი, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათაც თურქებს მიბაძეს და ლათინური გრაფიკა არჩიეს.

XX საუკუნის დასაწყისამდე ჩინეთი, იაპონია, კორეა და ჩრდილოეთ ვიეტნამი ერთიან შორეულაღმოსავლურ ცივილიზაციას წარმოადგენდნენ, რომელიც ბაზირებული იყო ძველჩინურ მეტაენაზე (არა სალაპარაკო, არამედ დამწერლობითზე) – ვენიანზე. ეს იყო იეროგლიფების ერთიანი სისტემა და კონფუციანობისა და პრეკონფუციანობის პროტოტექსტების კოდექსი. ეს ერთობა დაირღვა თავდაპირველად ვიეტნამური დამწერლობის ლათინურზე გადასვლით, შემდეგ კორეულის – ონმუნის ანბანზე გადასვლით. ჩინეთშიც იეროგლიფების წარუმატებელი რეფორმა განახორციელეს და მხოლოდ იაპონიაში დარჩა შეუცვლელი. ყოველივე ამის შემდეგ ეს ერთობა დაიშალა და დღეისათვის ეს ოთხი კულტურა მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი სუბცივილიზაციები.

დასავლეთ ევროპა წერს ლათინური ანბანით, აღმოსავლეთ ევროპა – კირილიცით. ამას გარდა, მსოფლიოში არსებობს კიდევ რამდენიმე დამწერლობა, მათ შორის, ბერძნული, ქართული, სომხური, ეთიოპური, ებრაული და ზოგიერთი სხვა უძველესი ანბანები.

დამწერლობის მქონე ხალხებმა ლიტერატურული ენაც შექმნეს. ლიტერატურული ენა ენის არსებობის უმნიშვნელოვანესი ფორმაა; ის გარკვეული თვალსაზრისით დამუშავებული და სტანდარტიზირებულია. თავისი სოციალური სტატუსით ლიტერატურული ენა ერთგვა-

რად დაპირისპირებულია ტერიტორიულ დიალექტებსა და ხალხურ მეტყველებასთან.

ლიტერატურული ენის ფუნქციური დატვირთვა ერთნაირი არ იყო სხვადასხვა ხალხებსა და ერთი და იგივე ხალხის ცხოვრების სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. ამ თვალსაზრისით ბევრი რამ დამოკიდებულია კონკრეტულ ეთნოლინგვისტურ სიტუაციაზე. ვთქვათ, იმ შემთხვევებში, როდესაც ზეპირი ურთიერთობის სფეროში გაბატონებულია დიალექტური მეტყველება ანდა სასაუბრო მეტყველება, ლიტერატურული ენის გამოყენების სფერო საკმაოდ ვიწროა და შემოიფარგლება დამწერლობის სფეროთი და ოფიციალური საქმიანობით. ეს ძირითადად წარსულში ხდებოდა, როდესაც კლასიკური არაბული ენა ანდა ლათინური არაერთი ხალხის მიერ გამოიყენებოდა მეცნიერებისა და ოფიციალური საქმიანობის სფეროში. ეს ჩვენს ეპოქაშიც არის შესაძლებელი, **დავუშვათ, ახალდამწერლობის მქონე ხალხებში, რომელთა შორის** ლიტერატურული ენა გამოიყენება ოფიციალურ საქმიანობაში, ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ლაპარაკობენ თავიანთ მშობლიურ დიალექტებზე.

ლიტერატურული ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ზედიალექტური დონე და დამუშავებულობა. ლიტერატურული ენის დამახასიათებელი თვისებაა აგრეთვე დამწერლობის არსებობა.

დამწერლობისა და სალიტერატურო ენის არსებობა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მისი მფლობელი ეთნოსი განვითარების თვალსაზრისით დანინაურებულია და ის ნაციად არის ჩამოყალიბებული. მსოფლიოს ისტორიის მთელ მანძილზე დამწერლობისა და ლიტერატურული ენის შექმნის პატივი მხოლოდ ხალხების უმნიშვნელო რაოდენობას ხვდა. გვიან არაერთმა ხალხმა შექმნა როგორც დამწერლობა, ისე ლიტერატურული ენა. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მცირერიცხოვან ხალხებზე. დამწერლობის მქონე ეთნოსების ნანილმა საისტორიო ლიტერატურაც შექმნა და ამ ხალხების ისტორიის, კულტურისა და ცივილიზაციის კვლევა შედარებით ადვილია და ისტორიკოსები გაბმული ისტორიის თხრობას ახერხებენ. უდამწერლობო ხალხების ისტორიის წერა კი ერთგვარად გაძნელებულია. ასეთ შემთხვევებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სხვა მეცნიერებების, მათ შორის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მონაცემებს.

§7. საღვთისმეტყველო (საეკლესიო) ენა. შუა საუკუნეებში რელიგია ხშირად ეთნიკურობის ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტი იყო. მსოფლიო პოლიტიკური რუკის განმსაზღვრელადაც უფრო კულტურულ-რელიგიური სამყარო გვევლინებოდა, ვიდრე ეთნიკური. სხვადასხვა ეთნოსებს ხშირად აერთიანებდათ საერთო სარწმუნოებრივი მოძღვრება და საერთო დამწერლობითი და წიგნიერი კულტურა. შემთხვევითი არაა, რომ ომების უმეტესობას მაშინ, მათ შორის, სამოქალაქო და დინასტიურ ომებსაც, რელიგიური შეფერილობა ჰქონდა. საკმარისია გავიხსენოთ ჯვაროსანთა ლაშქრობები, ომი კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის, ჰუზავათი. ზოგიერთი რელიგიის გეოგრაფია სარწმუნოებრივი ტექსტების ენების გავრცელებას ემთხვეოდა.

შუა საუკუნეებში ენობრივი სიტუაცია მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ზეეთნიკური რელიგიების არსებობით, მათი განსაკუთრე-

ბული ენებით, რომლებიც უპირატეს შემთხვევაში არ შეესატყვისებოდა ადგილობრივი ენების გავრცელების არეალებს. გარკვეულწილად ზეეთნიკურ რელიგიათა ენები საერთაშორისო ფუნქციის მქონე ენები იყო, რომლებიც თავისი კულტურულ-რელიგიური სამყაროს ფარგლებში ხელს უშლიდნენ ადგილობრივი ეთნოსების ენების განვითარებას. ასე რომ, ერთ შემთხვევაში თუ ზოგიერთი ენის (ზეეთნიკური ენის) განვითარება და ამ ენების გარშემო ეთნიკური და კულტურული კონსოლიდაცია ხდებოდა, მეორე შემთხვევაში ადგილობრივი ენების განვითარების შეფერხებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მკვლევარს გარკვეულწილად დიფერენცირებული მიდგომა მართებს. შეიძლება დავასახელოთ კათოლიკური და მუსლიმური სამყარო, სადაც პრიორიტეტი შესაბამისად მხოლოდ მკვდარ ლათინურ ენასა და არაბულს ჰქონდა. ამას ნაკლებად ვიტყვით მართლმადიდებლურ სამყაროზე, ყოველ შემთხვევაში, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რომელიც ფაქტობრივად ხელს უწყობდა არ მხოლოდ სალიტერატურო ენის განვითარება-განმტკიცებას, არამედ ერთიანი ქართული ეთნოსის, ქართველი ერის (ნაციის) კონსოლიდაციას.

თავდაპირველად ქრისტიანი მისიონერები ინტენსიურად და ენერგიულად თარგმნიდნენ „ახალი აღთქმის" ნიგნებს, მათ შორის, იმ ენებზე, რომლებსაც ადრე დამწერლობა არ ჰქონდათ. II საუკუნიდან VII საუკუნემდე ის ითარგმნა სირიულ, კოპტურ, ეთიოპურ, გუთურ, ქართულ, სომხურ, ნუბიურ ენებზე. ამ ენებისათვის საეკლესიო ნიგნების თარგმნა დიდი მოვლენა იყო. ეს თარგმანები ფაქტობრივად მატერიალურ-ენობრივ ბაზებად იქცნენ ზედიალექტური, საერთო ნაციონალური ლიტერატურული ენის და შესაბამისი ეთნოსის ყოველმხრივი განვითარებისათვის. საუკუნეთა განმავლობაში საღვთისმეტყველო (საეკლესიო) ენები არა მხოლოდ შესაბამისი რელიგიურ-კონფესიური სფეროების ენები იყვნენ, არამედ საერთოდ კულტურის, განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის და სამართლის, საერთო ჯამში ყველა იმ სფეროსი, რომელიც ერის (ნაციის) არსებობას განსაზღვრავდა. ცოტა მოგვიანებით, ამ თვალსაზრისით, სიტუაცია ერთგვარად შეიცვალა. ქრისტიანი საეკლესიო მამები წმინდა წერილის სხვადასხვა ენებზე თარგმნას აღარ მიესალმებოდნენ. მიზეზი ის იყო, რომ თარგმანები ხშირად ადეკვატური არ იყო, რაც სხვადასხვა ერესების წარმოქმნას უწყობდა ხელს. ამ თვალსაზრისით ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული კონსერვატიულობით კათოლიკური ეკლესია გამოირჩეოდა. კათოლიკურმა ეკლესიამ მხოლოდ IX საუკუნიდან დართო ნება ტაძრებში ადგილობრივ ანუ როგორც მას უწოდებდნენ ხალხურ ენებზე ქადაგებისა, ხოლო საღვთო წერილის თარგმანის გავრცელების ნება – მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებიდან. ღვთისმსახურება კვლავ დიდხანს ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. მხოლოდ 1962-1965 წლების ვატიკანის II კრებამ აღიარა „აჯორამენტო" (გათანამედროვება) – ღვთისმსახურების ჩატარება ეროვნულ ენებზე.

ამდენად, როგორც აღინიშნა, ეთნოსების (ნაციების) განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრათ საღვთისმეტყველო (საეკლესიო) ენებს. დიდი, მონოთეისტური რელიგიები ხომ სამწერლობო ენების გარეშე წარმოუდგენელი იყო. ქრისტიანული მოძღვრების არსის გაგება

პირდაპირ დამოკიდებულია ძველი და ახალი აღთქმის შესწავლაზე. შუა საუკუნეებში მრევლს თუ არა, სასულიერო პირებს ხომ აუცილებლად უნდა სცოდნოდათ წერა-კითხვა, დასწავლილი ჰქონოდათ ბიბლია, რათა ის აეხსნათ და ესწავლებინათ თავიანთი სამწყსოსათვის. თავდაპირველად საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენა და ხალხის მეტყველება ფაქტობრივად ერთმანეთს თანხვდებოდა. დროთა განმავლობაში ხალხის სამეტყველო ენა ვითარდებოდა, გარკვეულად იცვლებოდა, საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენა კი იგივე რჩებოდა, რაც ასევე, ბუნებრივია, რადგან ერთხელ ადეკვატურად ნათარგმნ საეკლესიო ნიგნებს ვეღარავინ შეცვლიდა.

ეთნოსის (ერის) განვითარებაში საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენის მნიშვნელობა რომ განუზომლად დიდია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ფაქტობრივად პირველი ლიტერატურული, მხატვრული ნაწარმოებები სწორედ სასულიერო ენაზე იქმნებოდა. ამის მაგალითად ძველი ქართული ლიტერატურის დასახელებაც საკმარისია. საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენაზე შექმნილი ნაწარმოებები ხელს უწყობდა ქართული ეთნოსის, ქართველი ერის შეკავშირებას. ერთ-ერთი პირველი ასეთი ლიტერატურული ძეგლი ხომ პირდაპირ მიუთითებს, რომ ეთნიკურად ქართველია ყველა ის, ვინც ქრისტიანია და ვისი საღვთისმეტყველო ენაც ქართულია. ეს დედააზრი ერის (ნაციის) მაშინდელ გაგებას უშუალოდ უკავშირდებოდა და საუკუნეების განმავლობაში დარჩა კიდეც ეთნიკური ცნობიერების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად. უფრო მეტიც, ქართული სასულიერო ლიტერატურიდან მომდინარეობს ის პრინციპიც, რომლის მიხედვითაც ქართველი ერის (ნაციის) წევრი შეიძლებოდა გამხდარიყო სხვა ეთნოსის წარმომადგენელიც, თუ ის ქრისტიანობას აღიარებდა შესაბამისი საღვთისმეტყველო ენით. ასეთი ცნობიერების შედეგი იყო, რომ გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში ქართველად აღარ ითვლებოდა ის, ვინც ქართულად აღარ ლოცულობდა, ე. ი. ვინც მართლმადიდებელი არ იყო და ვინც ქართული საეკლესიო ენისაგან გაუცხოვებული იყო. უფრო მეტიც – ქართველი მწერალი მოუნოდებდა ყველა ქრისტიანს ქართული ენის შესწავლისაკენ, ფაქტობრივად ქართველ ერში კონსოლიდაცია-გაერთიანებისაკენ, რადგან ქრისტეს მეორედ მოსვლისას მას სწორედ ამ, ქართულ ენაზე უნდა ექადაგა. აშკარაა საეკლესიო, სასულიერო, საღვთისემტყველო ენის დიდი მაკონსოლიდერებელი როლი. როდის დაიწყო ქართველ ერში დეეთნიზაციის პროცესები? მაშინ, როდესაც საგარეო ფაქტორის გამო, მისი ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი ქრისტიანობას განუდგა და, ბუნებრივია, საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენასაც.

საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენებმა ფაქტობრივად რომ ხელი შეუწყვეს მთელი რიგი ეთნოსების ცნობიერების შენარჩუნებას, ეს კარგად ჩანს ძველი ეგვიპტელების – კოპტების მაგალითზეც. მართალია, ისინი ენობრივად გაარაბდნენ, მაგრამ, იმის გამო, რომ შეინარჩუნეს ქრისტიანობა და ღვთისმსახურებაში კოპტური ენა, გაარაბებული თანამემამულეების მსგავსად არაბებად არ გაიაზრეს თავი. ებრაელებმა სწორედ სასულიერო, საღვთისმეტყველო ენის საშუალებით შეინარჩუნეს ძველი ებრაული ენა – ივრითი, რომელმაც მოგვიანო ეტაპზე განსაკუთრებული მაკონსოლიდირებელი როლიც შეასრულა. რაც შეე-

ხება კათოლიკურ სამყაროს, როგორც აღინიშნა კიდევაც, აქ ის ეროვნული ენების განვითარების შემაფეხებლადაც მოგვეელინა. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მთელ რიგ ევროპელ ერებს წმინდა წერილიც კი არ ჰქონდა ნათარგმნი, ღვთისმახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გერმანელებმა, კერძოდ, მარტინ ლუთერმა ბიბლია მხოლოდ 1522-1534 წლებში თარგმნა. ამის შემდეგ ის კიდევ 12 წელი მოუნდა ტექსტის რედაქტირებას. ლუთერის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ახალი აღთქმა მხოლოდ 1558 წლამდე 72-ჯერ გამოიცა. ლუთერის მიერ ბიბლიის თარგმნამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთოგერმანული სალიტერატურო ენის შექმნაში, რომელიც ყველა გერმანელის მაკონსოლიდირებელ ძალად იქცა. საკითხავია, რომ არ ელიარებინათ ქვემო გერმანელებს ლუთერის მიერ თარგმნილი ბიბლია საკუთარ ნიგნადაც, გახდებოდა ზემოგერმანულ დიალექტზე (ენაზე) თარგმნილი ბიბლიის ენა მათ სამწერლობო ენად, საბოლოო ჯამში ჩათელიდნენ თუ არა თავს ერთიანი გერმანელი ერის წევრებად? ევროპაში, იმის გამო, რომ მთელ რიგ ევროპულ ეთნოსებს ეროვნულ ენებზე არ ჰქონდათ ღვთისმსახურება, მნიშვნელოვნად შეფერხდა მათი არა მხოლოდ ლიტერატურის განვითარება, არამედ ეთნიკური შეკავშირებაც.

მსგავსი მაგალითები მუსლიმური, არაბული სამყაროდანაც შეიძლება მოვიყვანოთ. არაბული ენა ყურანის ენაა და მათ მიერ ისლამის გავრცელებას მთელი რიგი ხალხების ეთნიკურობისა და ენის შეცვლა მოჰყვა. იმდენად იყო სომხურ მონოფიზიტობასთან სომხური საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენა დაკავშირებული, რომ სომხური ეკლესიის მიერ სხვებს შორის მონოფიზიტობის გავრცელებას სომხური საეკლესიო ენით ასეთი ხალხების ენობრივი და ეთნიკური გასომხება მოსდევდა (ამის საილუსტრაციოდ ალბანელების დეეთნიზაციის დასახელებაც საკმარისია).

დაბოლოს, შუა საუკუნეებში საეკლესიო, საღვთისმეტყველო ენის მაკონსოლიდირებელი როლი იმაშიც აშკარად ჩანს, რომ ისტორიის ეს მონაკვეთი დიალექტების სიმრავლით გამოირჩეოდა. ზოგიერთი დიალექტი კი საკმაოდ იყო დაშორებულ ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში ერთი ეთნიკური წარმომავლობის სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ჯგუფების შეკავშირებაში, ნაციად ჩამოყალიბებაში სნორედ საეკლესიო, საღვთისმეტყველო ენას ჰქონდა განუზომლად დიდი მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში ეს აშკარაა ქართული საეკლესიო, საღვთისმეტყველო ისტორიის ხანგრძლივი მაგალითით. ამ საეკლესიო, იგივე სალიტერატურო და სახელმნიფო ენის გამდიდრებაში საქართველოში ყველა დიალექტზე მოლაპარაკე მონაწილეობდა. ამ ფონზე დღეს სრულიად მიუღებელია ბიბლიის მეგრულ და სვანურ მეტყველება თარგმნის გარედან თავს მოხვეული მცდელობა. ამით საქართველოს ამ ძირძველი ეთნოლოგიური კუთხეების ნარმომადგენლებს საკუთარ ისტორიას ართმევენ. საბოლოო მიზანი კი ისაა, რომ ისინი მონყვიტონ ერთიან, ქართულ, ეროვნულ (ნაციონალურ) სამყაროს, რომლის შექმნაში ერთიანი ქართული სახელმნიფო, სალიტერატურო და საეკლესიო (საღვთისმეტყველო) ენის ეგიდით აქტიურად მონაწილეობდა.

თემა XVII

ეთნოსოციალური ორგანიზმები. სოციალური ერთობები და სოციალური ურთიერთობები

ყოველი ეთნოსოციალური ორგანიზმი შეიცავს დიდ და პატარა სოციალურ ერთეულებს: ეს არის საზოგადოება, თემი, სოფელი, გვარი, ოჯახი.

§.1 თემი. ტერმინ თემს რამდენიმეგვარად განმარტავენ. იგი ფართო მნიშვნელობის ტერმინია. სპეციალურ ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ლიტერატურაში მის წარმოშობას პირველყოფილ საზოგადოებას უკავშირებენ და განმარტავენ, როგორც კოლექტივს, ერთგვარ კომუნას, რომელიც თვით წარმართავს თავის სამეურნეო და სოციალურ ყოფით ცხოვრებას. თემის პირვანდელი ფორმა გვაროვნულ სისხლით ნათესაობის საწყისებზე წარმოქმნილ სოციალურ ორგანიზაციად არის მიჩნეული. თვლიან, რომ იგი ამა თუ იმ სახით არსებობდა ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების საწყის ეტაპზე, რადგანაც კაცობრიობის განვითარების დასაწყისში ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი იყო მათი გაერთიანება თავდაცვისა და არსებობისათვის. უფრო ფართო გაგებით კი, თემს უწოდებენ ადამიანთა ყოველგვარ გაერთიანებას, რომელთაც აკავშირებთ საერთო ინტერესები. როგორიცაა სასოფლო თემი, საქალაქო თემი, სამინათმოქმედო თემი, ეთნიკური თემი, კონფესიური თემი და ა.შ.

პირველყოფილი თემი იყო სოციალური ორგანიზმი. მას ყოფენ მონადირეთა თემად, მეთევზეთა თემად, შემგროვებელთა თემად; უფრო გვიან კი, მინათმოქმედთა და მესაქონლეთა თემებად. დროთა განმავლობაში მეთემეთა რაოდენობა იზრდება. ამგვარ თემს გვაროვნულ საზოგადოებასაც უწოდებენ. შემდეგ ჩნდება სამეზობლო ანუ ტერიტორიული თემი. სამეზობლო თემი განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მქონე სოციალური ორგანიზმია და იგი ჩართულია სახელმწიფო სტრუქტურაში. ასეთ შემთხვევაშიც თემი ინარჩუნებს თვითმმართველობასა და ჩვეულებით სამართალს. აგრეთვე, სპეციფიურ კულტურულ-ყოფით თავისებურებებს. საგვარეულო თემი თანდათანობით სასოფლო თემად იქცა და საბოლოოდ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ დამატებად ჩამოყალიბდა, როგორც ტერიტორიული გაერთიანება. თემი სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში სხვადასხვა საფუძველზე ჩამოყალიბდა. მაგალითად, ინდოეთსა და ეგვიპტეში თემობრივი ურთიერთობა მინათმფლობელობისა და ირიგაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა. აქ იგი კასტური, კარჩაკეტილი და ნატურალური მეურნეობის მწარმოებელი იყო, ხოლო ძველი ევროპული, მაგალითად გერმანული, კელტური, სლავური თემები („მარკა", „კლანი", „ობშჩინა"...) შედარებით უფ-

რო გახსნილ თემურ საზოგადოებებს წარმოადგენდა. ეს თემები ადრეფეოდალური ხანიდან ჩამოყალიბდნენ სასოფლო, სამეზობლო, ტერიტორიულ თემებად, რომლებიც განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ ქვეყნის მეურნეობის განვითარებას.

გვაროვნულ თემთან შედარებით, სამეზობლო თემი მრავალრიცხოვანი წევრებისაგან შედგება. მარქსისტული ლიტერატურისაგან განსხვავებით, დასავლელი ეთნოლოგები ტერმინ თემს თითქმის ყოველთვის მხოლოდ სამეზობლო ან სამინათმოქმედო თემის ტიპის აღსანიშნავად იყენებენ. საერთოდ, საბჭოთა ეთნოლოგიაში ყველა იმ სოციალურ ინსტიტუტს, რომლის დაფიქსირებაც შეიძლებოდა ტრადიციულ ყოფაში, ტენდენციურად უკავშირებდნენ პირველყოფილ საზოგადოებას. ამიტომ ქართული ტერიტორიული თემიც დიდი ხნის მანძილზე ამ კუთხით განიხილებოდა.

თემი ბოლო დრომდე არსებობდა ევროპის ყველა ქვეყანაში და მას შემორჩა სასოფლო, სამეზობლო ან საქალაქო ყოფის მოწესრიგების ფუნქციები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ ევროპაში შუასაუკუნეობრივი ყოფის მთავარი ელემენტი სასოფლო თემი იყო. სასოფლო თემს სამეურნეო, ადმინისტრაციული და სოციალურ-კულტურული ფუნქციები ჰქონდა. თემი განაგებდა გაუყოფელ (საზოგადო) მინებს – ალემანდს. თემს, როგორც ერთ მთლიან ორგანიზმს, შეეძლო გაეყიდა ან გაეჩუქებინა ეს საერთო მიწები. ამავე დროს, თემი აძლევდა თავის წევრებს ალმენდათი სარგებლობის ნებას. თემის ადმინისტრაციულ უფლებებს დასავლეთ ევროპაში სასამართლო და ფისკალური ფუნქციები შეადგენდნენ. ეს უფლებები სხვადასხვაგვარად გამოიხატებოდა: ხმელთაშუაზღვისპირა ზოგიერთ რაიონში სოფელი თვითმმართველი კომუნის სახეს ღებულობდა, რომლის პრივილეგიებიც ქარტიებით იყო ფიქსირებული; სხვაგან კი სოფელი სენიორის ნება-სურვილს ემორჩილებოდა და სოფლის თავკაცობას (მამასახლისსა და მსაჯულებს) ან თვითონ სენიორი ნიშნავდა, ან თავისი მეთვალყურეობის ქვეშ არჩევინებდა ხოლმე. შესაბამისად, თემი ურთიერთვალდებულებების განხორციელებას კისრულებდა – თემის წევრებისაგან ფეოდალური ვალდებულებების კეთილსინდისიერად აღსრულებას მოითხოვდა, ადათის დამრღვევებს აჯარიმებდა. სასოფლო თემი დასავლეთ ევროპაში იცავდა აგრარულ ტრადიციებს, ინარჩუნებდა ჩვეულებითი სამართლის სხვადასხვა ნორმას, ჰქონდა თავისი ხალხური დღეობა-დღესასწაულები. ტრადიციული საზოგადოებისათვის თემებად ცხოვრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თემის წევრები ერთმანეთის მიმართ სოლიდარულნი იყვნენ. შუა საუკუნეების ევროპაშიც ადამიანებს ინდივიდუალურად ცხოვრება ვერც კი წარმოედგინათ. ტექნიკის დაბალი განვითარების პირობებში აუცილებელი იყო კოლექტიური, ჯგუფური მოქმედება. ჯგუფურობისაკენ ადამიანებს არაერთი ფაქტორი უბიძგებდა (ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ბუნებრივი უბედურებანი, ერთი საზოგადოების მიმართ მეორე საზოგადოების აგრესია და სხვა მრავალი), მაგრამ თემისათვის აუცილებელი იყო ავტორიტეტების არსებობა. ავტორიტეტებს კი, ჩვეულებრივ, გამოცდილი, ხნიერი ადამიანები წარმოადგენდნენ. მათ ავტორიტეტად ყოფნას გამოცდილება და ტრადიციების ცოდნა განაპირობებდა, რად-

გან თემები ისევე ამჯობინებდნენ ცხოვრებას, როგორც მათი წინაპრები. ტრადიციულ საზოგადოებაში ძალიან დიდი იყო სიტყვის, ინფორმაციის ზეპირი გადაცემის მნიშვნელობა. ამდენად, შუა საუკუნეების ტრადიციულ საზოგადოებებში თემები არა პირველყოფილი საზოგადოებიდან გადმონაშთის სახით შენარჩუნებული მოვლენები იყვნენ, არამედ ისინი იმ საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენდნენ.

ტერიტორიულ და სამეზობლო კავშირებს გვიანობამდე ჰქონდა თავისი ფუნქცია; ბევრგან ის დღესაც შენარჩუნებულია. ტერიტორიულმა და მეზობლურმა კავშირებმა გვაროვნული კავშირები შეცვალა და ამდენად, ის სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. ამ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-ყოფითი ურთიერთობებისათვის ტერიტორიული და მეზობლური კავშირები უფრო მოქნილი ფორმა იყო, ვიდრე ნათესაობა და გვაროვნული კავშირები. თუმცა, როგორც თავდაპირველ ეტაპზე, ასევე გვიანაც გვაროვნული და ნათესაური კავშირები დიდი ხნის მანძილზე შემონახული იყო და ტერიტორიული, სამეზობლო თუ სასოფლო თემები გარეგნულად გვაროვნულ-ნათესაური გაერთიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ისევე როგორც გვაროვნული ორგანიზაციის დროს, ტერიტორიული და სამეზობლო ურთიერთობის დროსაც კვლავ მოქმედებდა შრომითი კოოპერაცია და სამეურნეო-ყოფითი თანამრშრომლობის სხვა სახეები (მაგალითად, ურთიერთდახმარება). საერთოდ, მიიჩნევენ, რომ შერეული ტიპის ურთიერთობები, სადაც ტერიტორიული და ნათესაური კავშირები შეთანანყობილი იყო საკმაოდ დიდხანს მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. მაგალითად, ტერიტორიული თემები ხშირად გვარის ანდა ნათესაური გაერთიანების სხვა რომელიმე სახელით აღინიშნებოდნენ, მოცემული ტერიტორიის მკვიდრ მოსახლეობას თავი წარმოედგინა ერთი საერთო წინაპრის შთამომავლად, როდესაც სინამდვილეში ასეთს უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენდნენ (მაგალითად, ის დარღვეული იყო ხელოვნური ნათესაობით; გვაროვნული ეკზოგამია ამ წარმოდგენების გამო გავრცელებული იყო ტერიტორიულ და მეზობლურ ურთიერთობებზე). ასე რომ, ასეთი ურთიერთობები, მეცნიერებაში ტერიტორიული ნათესაობის სახელითაცაა ცნობილი. ევროპის ქვეყნებში ტერიტორიული და მეზობლური კავშირები, განსაკუთრებით სამეურნეო და სოციალურ-ყოფითი, დიდხანს, კაპიტალისტურ ურთიერთობათა პერიოდშიც კი არსებობდა. აღარაფერს ვიტყვით ტრადიციული ზადოგადოებების პერიფერიებზე.

საქართველოში, ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი თემი მეთერთმეტე საუკუნიდან გვხვდება. მას გვარის, მხარის, ერის, ქვეყნის ცნებების მატარებელი ფუნქცია აქვს. საქართველოში თემი არსებობდა მის ყველა ეთნოგრაფიულ მხარეში – როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და მთიან საქართველოში. ქართული თემი ტერიტორიული თემია. საქართველოს მთაში ტერიტორიულ თემს საერთო სარგებლობაში ჰქონდა ტყის, საძოვრების, ზოგან კი, სახვნელი მიწის ნაწილიც. საქართველოს სხვადასხვა მხარის სამეზობლო-ტერიტორიული თემი მცირედით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სვანური თემი ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ცნებაა. გვიანფეოდალურ ხანაში სათემო მიწები შემორჩა სვანეთის ბალსზემო ნაწილს, ბალსქვემო და ქვემო სვანეთში კი, სათემო საკუთრებად მხოლოდ ე. წ. საბეგრო (საეკლესიო) მიწები ითვლებოდა. ამ მიწებს მთელი თემი ერთობლივად განკარგავდა და მოწეულ მოსავალს ეკლესიის საჭიროებას ახმარდა. ფშავში თერთმეტი ტერიტორიული თემი არსებობდა. ყველა ფშაური თემის სათემო სოფელი, სადაც სათემო სალოცავი მდებარეობდა, მხოლოდ უკანა ფშავში იყო. ფშავის ტერიტორიული თემები, ერთის გამოკლებით, ამა თუ იმ გვარის სახელს ატარებდნენ, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ტერიტორიული თემების ჩამოყალიბება გვაროვნული თემების გარშემო მოხდა და ამ ტერიტორიულმა თემებმა შეინარჩუნეს თავდაპირველი სახელწოდება გვაროვნული თემისა. განსხვავებული იყო ხევსურული თემის სტრუქტურა. აქ თითოეული სოფელი ცალკე აღებული თემი იყო, მაგრამ თავის მხრივ, სასოფლო თემები უფრო დიდ ტერიტორიულ თემებში იყვნენ გაერთიანებულნი. თუშეთში ძველად რვა ტერიტორიული თემი არსებულა. მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის კი, იქ ოთხი ტერიტორიული თემი ფიქსირდება. სამეზობლო-ტერიტორიული თემი არსებობდა ბარის საქართველოშიც ისევე, როგორც ეს იყო ევროპის სახელმნიფოებში. გვიანფეოდალური ხანის იმერეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების ძირეული რგოლი სნორედ სასოფლო-სამეზობლო თემი იყო. ყოველი ეს თემი ორგანიზაციულად ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. თემის წევრები თემის ხატის დღეობაზე იყრიდნენ თავს და ამ დღეს „თემობა“ ენოდებოდა. თემის მთავარ ვალდებულებას თემის კოლექტიური ვალდებულება-პასუხისმგებლობა წარმოადგენდა გარკვეული სამეფო თუ საეკლესიო ვალდებულებების შესრულების საქმეში (თ. ბერაძე). ასეთივე სურათი იყო გურიაში, სამხრეთ საქართველოში და ა. შ.

§2. ნათესაური ურთიერთობები. ნათესაობა ეს არის ერთმანეთთან სისხლით ან ხელოვნური ნათესაობის გზით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფი, მათი ურთიერთობა. სანათესაო ჯგუფები ნარმოიქმნება ერთი საერთო წინაპრიდან მომდინარეობით. იქნება ეს მამისეული თუ დედისეული ხაზი. ეთნოლოგიურ სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ ნათესაურ ჯგუფს ახასიათებს მკაცრი ეგზოგამიურობა, მაგრამ ეს დაკვირვება რეალურია მხოლოდ ზოგიერთი ეთნოსის წარმომადგენელთა (ქართველები და სხვა მართლმადიდებელი ერები) მიმართ. უმრავლეს შემთხვევაში კი, სანათესაო ჯგუფსა და გვარში ეგზოგამიურობა ძირითადად დარღვეულია. მაგალითად, ხუნძების ტრადიციულ-სოციალურ ორგანიზაციას სასოფლო თემს ახასიათებდა არა ეგზოგამიურობა, არამედ ენდოგამიურობა. ხუნძთა სასოფლო თემი შედგებოდა სისხლით ნათესაური გაერთიანებების – თუხუმებისაგან, რომლებშიც უპირატესობა სნორედ შიდა ქორწინებას ენიჭებოდა. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ეგზოგამია არის საქორწინო ურთიერთობის აკრძალვა ნათესაურ ჯგუფს შორის. მიჩნეულია, რომ ეგზოგამია კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ნარმოიშვა. ეგზოგამია განსაკუთრებით დამახასიათებელია გვარისათვის. ეგზოგამიის წარმოშობას რამდენიმე მიზეზით ხსნიან: 1. შთამომავლობაზე სისხლით ნათესავთა

შორის ქორწინება მაგნე ბიოლოგიურ გავლენას ახდენს. 2. ადამიანებს აქვთ სურვილი სოციალური კონტაქტებისა და კავშირების დამყარებისა სხვა კოლექტივებთან. 3. სქესობრივი ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული კონფლიქტების, ჯგუფს გარეთ გატანით სოციალური მშვიდობის დამყარება. ენდოგამია არის ჩვეულება, რომლის თანახმადაც ქორწინება ხდება სანათესაოს ჯგუფს შიგნით. ითვლება, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში გვარი იყო ეგზოგამიური, ტომი კი – ენდოგამიური. ზოგ ხალხში პატრონიმიები გახდა ენდოგამიური, რაც გამოწვეული იყო ქონების, მინის ახლო ნათესავებში შენარჩუნების სურვილით.

ნათესაური სისტემის შიგნით შემავალ ჯგუფებს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი ტერმინებით აღნიშნავენ: ლინიჯი, ფრატრია, პატრონიმია, კასტა, კლანი და ა.შ. ლინიჯს იყენებენ ნათესაობის ისეთი ტიპის აღსანიშნავად, სადაც ნათესაობის ათვლა ხდება არა მითიური, არამედ რეალური ნინაპრიდან. ის ჯგუფები, რომლებიც ნათესაობას აითვლიან დედისეული ხაზით, აღინიშნება ტერმინით მატრილინიჯი. მამისეული ხაზი – ტერმინით პატრილინიჯით. ფრატრია აღნიშნავს რამდენიმე გვარის გაერთიანებას (ნათესაურ ჯგუფებს), რომლებიც ერთი და იმავე ტომის წევრები არიან. ნათესაურ სისტემაში გამოიყენებენ ტერმინ პატრონიმიას. მას ორგვარი დეფინიცია აქვს: 1. ონომასტიკაში ამ ტერმინით აღინიშნება ის ნათესაური და ტერიტორიული გაერთიანებები, რომელთა სახელწოდებებში ასახულია ერთი საერთო ნინაპრისაგან (მამაკაცი) მომდინარეობა. 2. საბჭოთა ეთნოგრაფიაში (მ. კოსვენი) იგი გამოიყენება საოჯახო ნათესაური ჯგუფის პარალელურად და აღნიშნავს ა) ახლონათესაურ (მამისეული ხაზით) ჯგუფს, რომელთათვისაც ცნობილია მათი რეალური ნინაპარი – ეპონიმი: ბ) ლოკალურ ახლონათესაურ ჯგუფს და მათ ოჯახებს. გარდა ამისა, საქართველოში ცნობილია ე.წ. დიდი ოჯახის ცნება. ამ მხრივაც, ხანგრძლივი დროის მანძილზე საბჭოთა ეთნოგრაფია ტრადიციულ ქართულ ყოფაში ფიქსირებულ დიდ ოჯახს გვაროვნული ნყობილების გადმონაშთად მიიჩნევდა, თუმცა დიდი ოჯახები არსებობდა გვიან შუა საუკუნეებშიც და იგი გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პირობების შედეგი იყო (ივანე ჯავახიშვილი). დიდი ოჯახი აუცილებელი იყო მეურნეობის გასაძღოლად, ქონების დასაგროვებლად და მას გარკვეულწილად, თავდაცვის ფუნქცია გააჩნდა. დიდ ქართულ ოჯახს სათავეში უფროსი, ასაკოვანი, გამოცდილი მეურნე მამაკაცი ედგა. ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა ყველა ძმა და მათი შთამომავალი. დიდი ოჯახი არსებობდა მთელ საქართველოში. გამონაკლისია ხევსურეთი. დიდი ოჯახი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სამეურნეო დარგების მიხედვითაა კლასიფიცირებული: 1. მეურნეობის სამინათმოქმედო ფორმის უპირატესობა. 2. მესაქონლეობის სამეურნეო ფორმის უპირატესობა და 3. სიმბიოზური მეურნეობა. ოჯახის ყველა წევრს გარკვეული მოვალეობა ეკისრებოდა. გათვალისწინებული იყო სამეურნეო ყოფის ყველა ნიუანსი და ოჯახის წევრთა შესაძლებლობები. ოჯახში მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია ეკისრა ასაკოვან ქალს, დიდი ოჯახის მთავარ დიასახლისს. საერთოდ, ოჯახი და ნათესაური სისტემა ისეთი სოციალური ინსტიტუტია, რომელშიც ურთი-

ერთდამოკიდებულებებისა და ურთიერთვალდებულებების მთელი სპექტრი იკვეთება. კაცობრიობის ისტორიის განვითარების შესაბამისად, ოჯახს, ოჯახის ყველა წევრს და მთელ სანათესაო ჯგუფს თავისი სოციალური როლი გააჩნია. ოჯახი და ნათესაური სისტემები ძველთაგანვე გადაიქცა კვლევის საგნად. სოციოლოგებმა ოჯახის სამი ძირითადი ტიპი გამოკვეთეს: 1. პატრიარქალური ოჯახი, რომელსაც დღეს გაერთიანებულ ოჯახს უწოდებენ. ასეთ ოჯახში დაქორწინებული ვაჟები მამის ჭერქვეშ ცხოვრობენ. 2. ნუკლეარული ანუ არასტაბილური ოჯახი, რომელშიც ყველა დაქორწინებული შვილი დამოუკიდებელ ცხოვრებას ინყებს. 3. საგვარეულო ოჯახი, სადაც მშობლებთან მხოლოდ ერთი დაქორწინებული შვილი ცხოვრობს (პ. ბერკი). ისტორიკოსები ევროპული ოჯახის განვითარების ისტორიას წარმოაჩენენ, როგორც საქორწინო ხელშეკრულების ეტაპობრივ ცვალებადობას, დაწყებულს ადრეული ხანის ე. წ. კლანებიდან (სისხლით ნათესავთა დიდი ჯგუფები), შუა საუკუნეებსა და ახალი დროის დასაწყისში გადასულს საგვარეულო ეტაპში და ბოლოს, ჩვენს, ინდუსტრიულ ეპოქაში წარმოდგენილს ნუკლეარული ფორმით. ტერმინებს – კლანი და კასტა – ხშირად იყენებენ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. კლანი აღნიშნავს მამისეული (პატრიარქალური) ხაზის ნათესაურ ჯგუფს. მას ხშირად „გვარის", პატრონიმიის და ლინიჯის სინონიმადაც მიიჩნევენ. ტერმინი მომდინარეობს შოტლანდიიდან და ირლანდიიდან. თანდათანობით ტერმინი ფართოდ გავრცელდა. მისი მნიშვნელობა კი, გაფართოვდა. მაგალითად, დღეს ამ ტერმინით აღინიშნება ამა თუ იმ ცნობილ ოჯახთა გაერთიანება: დიუპონების კლანი, როკფელერების კლანი და სხვა. ან სულაც, ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა კუკლუქს-კლანი. კასტას უწოდებენ ჩაკეტილ ჯგუფს, რომელსაც გამოკვეთილი სოციალური ნორმები გააჩნია. აქედან გამომდინარე, კასტა შეიძლება იყოს სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, ტერიტორიული და ა.შ. ჩვეულებრივ, კასტა ეგზოგამიურია. იგი ნათესაური ჯგუფებისაგან შედგება. კასტური სისტემა უნივერსალური არ არის, მაგრამ მაინც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. კასტათა უძველეს ფორმებს აფიქსირებენ ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში, აფრიკაში, პოლინეზიაში და ა.შ. ნათესაური სისტემებისა და ოჯახის ტიპების აღსანიშნავად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება ტერმინები პატრიარქატი და მატრიარქატი. პირველი აღნიშნავს მამისეული ხაზით წარმართულ ნათესაობას – სისტემას, როდესაც სოციუმსა და ოჯახში მთავარი როლი მამაკაცს ეკუთვნის. მატრიარქატი კი, დედისეული ხაზის აღმნიშვნელი სისტემაა, რომელშიც ქალია წარმმართველი ძალა მეურნეობის გაძღოლისა და სოციუმის მართვის საქმეში. ორივე ფორმა პირველყოფილი საზოგადოების წიაღშია წარმოქმნილი. ამავე დროს, მეცნიერთა სხვა ნაწილი ოჯახის განვითარების კვლევისას ეყრდნობა საოჯახო მეურნეობის ტიპის ანალიზს. საოჯახო მეურნეობის ტიპის თანახმად, განასხვავებენ ე.წ. მარტივ, გაფართოებულ, მრავლობით, საოჯახო მეურნეობაზე დამყარებულ ოჯახებს.

ნათესაურ სისტემათა შორის გამოყოფენ ახლო და შორ ნათესაობას. ამ მხრივ, სხვადასხვა ხალხის ნათესაური სისტემები თავისებურე-

ბებით ხასიათდება. გარდა სისხლით ნათესაობისა, ქართული ყოფა იცნობს სულიერ და ხელოვნურ ნათესაობას. სულიერი ნათესაობა – ნათელ-მირონი მოიცავდა აღმავალი და დაღმავალი (პირდაპირი) შტოს შვილ-თორმეტ თაობამდე მჭიდრო ნათესაურ ურთიერთობას. ხელოვნური ნათესაობის რამდენიმე ფორმა არსებობდა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. ამანათობის ინსტიტუტი და ხარქვაბით შეყრის წესი. ასევე, ძმადნაფიცობის ინსტიტუტი, გაძიძავების ტრადიცია და ა.შ.

ნათესაურ ურთიერთობებსა და ოჯახში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა მემკვიდრეობის, სტატუსისა და ქონების გადაცემის ორი წესი: ეს არის მაიორატი და მინორატი. მაიორატის დროს სოციალური სტატუსი, წოდება და ქონება მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟიშვილზე ან ქალიშვილზე. მინორატის ჩვეულება კი, ნიშნავს სტატუსის, წოდებისა და ქონების მემკვიდრეობით გადაცემას უმცროსი ვაჟიშვილისათვის. ამ დროს უმცროსი ვაჟიშვილი რჩება მშობლიურ სახლში და ზრუნავს მშობლებზე. მიიჩნევენ, რომ მინორატის წესი და საერთოდ, უმცროსი ვაჟიშვილის ერთგვარი იდეალიზაცია (რაც ასახულია ფოლკლორშიც) ჩამოყალიბდა მაიორატის წესის უსამართლობის სანინააღმდეგოდ.

§3. გვარი. გვარსახელი სოციალური ორგანიზმის მნიშვნელოვანი სოციალური ერთეულია. მსოფლიოს ზოგიერთ ხალხს გვარსახელი უძველესი დროიდან გააჩნია. ზოგან იგი ახალი შექმნილია. არის ხალხი, რომელსაც გვარსახელი დღესაც არა აქვს. საერთოდ, გვარსახელი (ანთროპონიმი) დიდი სოციალური ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინია. ზოგიერთი გვარი მცირერიცხოვანია, ზოგიც რამდენიმე ასეულ წევრს მოითვლის. ქვეყნებში, სადაც გვარი შედარებით ახალი წარმოქმნილია, იქ იგი ოჯახის – საზოგადოების პირველადი უჯრედის მემკვიდრეობითი სახელია. გვარის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქვეყნებში კი, იგი მრავალი ოჯახის გამაერთიანებელი სახელწოდებაა. ოჯახები, რომლებიც ერთ გვარს მიეკუთვნებიან, ხშირად თავს ერთმანეთის ნათესავებად თვლიან – მაგალითად, ქართველები. ასეთ საგვარეულოებში მიაჩნიათ, რომ ისინი ერთი საერთო წინაპრისაგან მომდინარეობენ ანუ საერთო სისხლი აქვთ და ცხადია, ნათესაობასაც იცავენ. მათ გააჩნიათ ერთიანი თვითშეგნება სისხლით ნათესაობის შესახებ. ასეთი გვარები ეგზოგამიურია.

ქართული ეროვნული სოციალური ორგანიზმი ათასწლეულების მიღმა ჩამოყალიბდა. ცხადია, ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართულ გვარსახელებსაც. პირველი წერილობითი წყარო, რომელიც ქართულ გვარსახელს აფიქსირებს, მეცხრე საუკუნისაა. ქართული გვარსახელი ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა. ამ გაგებით, გვარსახელის განმარტება თითქოს უახლოვდება პირველყოფილი გვარის განმარტებას, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, გვარსახელი პირველყოფილი გვარისაგან ბევრი ნიშნით განსხვავდება. გვაროვნული გვარისა და გვარსახელის ერთი საერთო ნიშანი, რომელიც ორივე სოციალური უჯრედისთვისაა დამახასიათებელი, ეგზოგამიაა. გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვა იმის დამადასტურებელია, რომ საქართველოში მოხდა ტრადიციული გადასვლა

გვაროენული გვარისა გვიანდელ გვარში და გვიანდელი გვარისა გვარ-სახელში.

გვარსახელები წარმოიქმნება სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შედეგად. გვარი შეიძლება გაქრეს, ან დროთა განმავლობაში მისგან ახალი გვარსახელები წარმოიქმნას. ქართული გვარსახელები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: ეპონიმიური – გვარები, რომელთაც სახელი უდევთ საფუძვლად; ეთნონიმიური – ეთნონიმიური ფუძით, რაც შესაძლოა ეპონიმიური წარმოშობისაც იყოს; გეოგრაფიული ანუ ტოპონიმიზებული, მათ საფუძვლად ოიკონიმი უდევთ. გარდა ამისა, არსებობს გვარები, რომლებსაც წოდების, ხელობის, თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები უდევს საფუძვლად.

ქართული გვარები სუფიქსების მიხედვით, შემდეგი სახისაა: ჩვეულებრივ, თან ერთვით -შვილი, -ძე, -ურ(-ულ), -ელ, -ან, -ია, -უა, -ვა, -თ სუფიქსები. არსებობს უსუფიქსაციო გვარებიც.

ქართულ გვარსახელს არა მხოლოდ სოციალური, არამედ სულიერი დატვირთვაც აქვს. ტრადიციული ქართველის მენტალობაში გვარი გაიგივებულია ერთობასთან. იგი ერთი წინაპრიდან მომდინარეობის და ნათესაობის გამომხატველია. იგი გადაჯაჭვულია ურთიერთდახმარების ფორმებთან, წინაპრის კულტთან და ერთგვარი სიამაყისა და გამორჩეულობის მანიშნებელიცაა. ამგვარი დამოკიდებულება გვარისადმი დღეს ერთგვარ გამოცოცხლებას განიცდის. ბოლო წლების განმავლობაში ჩატარდა ასეულობით საგვარეულო შეკრება. სხვადასხვა ქალაქსა და მხარეში გაფანტული მოგვარეები ანყობენ ყრილობებს, რათა უფრო ახლოს გაიცნონ ერთმანეთი და აღადგინონ შედარებით მინაველული ნათესაური ურთიერთობები.

ეთნოლოგთაგან შენიშნულია, რომ მსგავსი მოელენა მსოფლიოს ბევრ ხალხში ფიქსირდება. ი. ბრომლეის მაგალითად მოჰყავს ეინერთა გვარის ისტორია. ესტონეთში მცხოვრებმა ეინერებმა მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყეს თავიანთი ფესვებისა და მოგვარეების ძიება. აღმოჩნდა, რომ ეროვნებით ეინერები ყოფილან ლატვიელებიც, რუსებიც, გერმანელებიც და ა.შ. მიუხედავად ეროვნული განსხვავებულობისა, ეინერებმა ტრადიციად აქციეს ყოველნლიური შეკრებები.

ქართულ გვარებს შიდა დანაყოფები გააჩნიათ: მამანი, ბაბუიშვილობა, მამიშვილობა, სამხუბი (სახუბი, ლამხუბი) და ა. შ. ხშირად შორსნასული დანაყოფები ახალ გვარ-სახელს უყრიან საფუძველს, რაც უფრო მეტად აღმოსაელეთ საქართველოს მთისთვისაა დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოს მთაში კი, მაგალითად სვანეთში გვარსახელი უცვლელად გადადის თაობიდან თაობაში და მისი სხვადასხვა შტო მხოლოდ და მხოლოდ სამხუბ (სახუბ, ლახუბ)-ის სტატუსით არსებობს.

გვარსახელს ბევრი სოციალური ფუნქცია გააჩნია, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგებაა. საქართველოში გვარი მკაცრად ეგზოგამიურია – მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავს, ქართველები ძირითადად, მკაცრად იცავენ ეგზოგამიურობას, თუმცა არის ისეთი გვარები (მაგალითად, ბერიძე, ხუ-

ციშვილი...), რომლებიც სხვადასხვა მხარეში წარმოიქმნენ, შესაბამისად, მათ არ ჰყავთ ერთი საერთო წინაპარი და ცხადია არც ერთმანეთის ნათესავები არიან. გარდა ამისა, არსებობს ისეთი გვარებიც, რომლებიც ხელოვნურად არიან გაერთიანებულნი და არც საერთო წინაპრის შთამომავლები არიან (ასათიანი, ჯაფარიძე, ფარჯიანი...). ასეთ შემთხვევაში, ეს გვარები მკაცრად ეგზოგამიურნი არ არიან.

§4. კლანი. ლინიჯი. პატრონიმია. ტერმინი „კლანი" გელურ ენაში გვარის აღმნიშვნელი იყო. წარსულში შოტლანდიასა და ირლანდიაში კლანი პატრილინეურ სანათესაო წრეს აღნიშნავდა, რომელმაც ეთნოლოგიაში ტერმინოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა, თუმცა ის ამ თვალსაზრისით ძალიან გაურკვეველია. უპირველეს ყოვლისა, ეს ტერმინი გამოიყენება როგორც გვარის სინონიმი. მაგრამ ზოგიერთი ეთნოლოგი ერთმანეთისაგან განასხვავებს მატრილინეურ კლანსა და პატრილინეურ გენსს. ტერმინ „კლანს" განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ჯონ მერდოკმა, რომლითაც ის აღნიშნავდა გვარის ლოკალურ ბირთვს. საბჭოთა ეთნოლოგი მ. კრიუკოვი კლანს პატრონიმიასთან აიგივებდა. კლანი არა მხოლოდ პირველყოფილი კოლექტივიზმისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ სოციალურად დიფერენცირებული საზოგადოებისთვისაც. მეცნიერებაში ტერმინს „კლანი" ხშირად სხვადასხვა განმსაზღვრელ სიტყვებთან ერთად გამოიყენებენ. მაგალითად, პ. კირჰოფმა **ეგალიტარულ კლანთან** ერთად **კონუსური კლანის** ცნებაც შემოიტანა, რომელშიც კლანის წევრების სოციალური სტატუსი გვარის წევრების მიმართ გენიალოგიური სიახლოვით განისაზღვრება. ამავე მიზეზით ლიტერატურაში **ელიტარული კლანის** ცნებას **სტრატიფიცირებული კლანის** ცნებას (მ. ფრიდი) და **არისტოკრატიული კლანის** ცნებას უპირისპირებენ. საერთოდ კი ტერმინის „კლანი" ფართო მნიშვნელობისა და არაერთმნიშვნელობის გამო, სხვადასხვა ავტორები სხვადასხვაგვარად გამიჯნავენ ისეთი ცნებებისაგან, როგორებიცაა **გვარი, პატრონიმია, ლინიჯი.** სიტყვა „კლანი" ფართოდ შევიდა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა მნიშვნელობით, მაგალითად, ხშირად ამ ცნებას მონათესავე ჯგუფების შემჭიდროებულობის ანდა თანამოაზრეების აღსანიშნავადაც გამოიყენებენ.

ლინიჯით ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხაზოვან ნათესაურ ჯგუფს აღნიშნავენ. დედის ხაზით ნათესავების ჯგუფს **მატრილინიჯს** უწოდებენ, მამის ხაზით ნათესაურ ჯგუფს – **პატრილინიჯს**. გვარისაგან ლინიჯს იმით განასხვავებენ, რომ მასში წარმომავლობას იწყებენ არა მითიური, არამედ რეალურად არსებული წინაპრისაგან. რეალური წინაპარი მართლაც არსებობდა. გვაროვნული ორგანიზაციის პირობებში ყოველი გვარი მრავალრიცხოვან ლინიჯებად იყოფა. ლინიჯის წევრები ერთმანეთთან საქორწინო ურთიერთობაში არ შედიოდნენ. პატრილინიჯში დაქორწინებული მამაკაცები, როგორც წესი, ერთ ადგილზე იყვნენ ლოკალიზებულნი და ისინი შეადგენდნენ ერთ საოჯახო-ნათესაურ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ არა მხოლოდ ამ ლინიჯის წარმომადგენელი მამაკაცები, არამედ ამ ლინიჯში გამოთხოვილი სხვა ლინიჯის წარმომადგენელი ქალებიც. ასეთი ჯგუფები სამეურნეო ერთობებსაც წარმოადგენდნენ. ლინიჯის კლასიკურ მა-

გალითად ხშირად სამხრეთსლავურ პატრილინიჯ – **ზადრუგას** ასახელებენ. აფრიკის ცალკეულ ხალხებში ცნებით „ლინიჯი“ არა მხოლოდ რეალური წინაპრის შთამომავლები, არამედ მითიური წინაპრის, ფიქტიური წინაპრის შთამომავალნიც იგულისხმებიან. აქ ლინიჯები უფრო დიდი ერთობები იყო, რომლებსაც სხვადასხვა დონის ლინიჯები ჰქონდათ შექმნილი, რომლებიც ეთნოლოგიურ ლიტერატურაში **მინიმალურ, პატარა, დიდ და მაქსიმალურ ლინიჯებად** ინოდებიან. ამ სისტემის მიხედვით ზოგიერთ შემთხვევაში ლინიჯი მოიცავს მთელ ტომსაც კი. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ პირველყოფილი საზოგადოების დაშლასთან ერთად გვაროვნული ორგანიზაცია თანდათან ქრება ანდა სუსტდება, მაგრამ ლინიჯის ინსტიტუტი სოციალურად დიფერენცირებულ საზგადოებაში დიდხანს ინარჩუნებდა თავის ფუნქციას. აღნიშნავენ, რომ ის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო მოსახლეობის ზედა ფენების წარმომადგენლებისათვის. შუა საუკუნეების აზნაურული გვარები და თანამედროვე მონარქიული დინასტიებიც თავისებურ ლინიჯებად მიაჩნიათ.

ცნება „პატრონიმია" ძირითადად საბჭოთა და რუსულ ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენებოდა და გამოიყენება. ბუნებრივია, ეს ტერმინი ფართოდ იხმარებოდა ქართულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაშიც. ტერმინის პირველი ნაწილი – „პატერ“ მამას აღნიშნავს, ხოლო „ნომენ“ – სახელს. ონომასტიკაში პატრონიმია ნათესაური და ტერიტორიული ერთობების აღმნიშვნელია, რომლებიც საერთო წინაპარი მამაკაცისაგან წარმომავლობაზე მიუთითებენ. საბჭოთა ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინი პირველად მ. კოსეენმა 1930-იან წლებში დანერგა და ის ტერმინ „საოჯახო-ნათესაურ ჯგუფთან“ ერთად გამოიყენებოდა მამისეული ხაზის შედარებით ახლო მონათესავე ჯგუფების აღსანიშნავად. პატრონიმიის საფუძველჩამყრელი რეალურად არსებული წინაპარი – ეპონიმი იყო. განასხვავებენ პატრონიმიის გენეალოგიურსა და სათემო ასპექტებს. პირველ შემთხვევაში პატრონიმიაში იგულისხმება ყველა ნათესავი, მათ შორის გათხოვილი ქალებიც, მეორე შემთხვევაში – ლოკალიზებული ნათესავები ცოლების ჩათვლით. მიაჩნიათ, რომ პატრონიმია წარმოიქმნა პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პროცესში დიდი ოჯახის სეგმენტაციის შედეგად და ბევრ ხალხში ის ინდუსტრიულ ანუ კაპიტალისტურ საზოგადოებამდე იყო შემორჩენილი. პატრონიმიის წევრები ცხოვრობდნენ კომპაქტურად, ჰქონდათ კოლექტიური საკუთრებაც კი (მაგალითად, ხელსაფქვავი, ნისქვილი). ვალდებული იყვნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს, დაეცვათ ერთმანეთი, არ დაქორწინებულიყვნენ ერთმანეთზე (ეგზოგამია). დროთა განმავლობაში პატრონიმია იკვირტებოდა, რის შედეგადაც პატრონიმიის თავისებური იერარქია ყალიბდებოდა – ქვედა, საშუალო და ზედა დონის ანდა პირველი მეორე და მესამე რიგის პატრონიმიები. რაც უფრო ქვედა საფეხურისაა პატრონიმია, მით უფრო მტკიცეა მისი წევრების ერთობა. გვარისა და პატრონიმიის თანაფარდობა საკამათოდ რჩება. ერთი შეხედულებით, პატრონიმია სხვა არაფერია თუ არა გვიანდელი გვარი. სხვა შეხედულებით, ის ყოველთვის წარმოიქმნება გვარის დაშლის შემდეგ და წარმოადგენს გვარის მსგავს წარმონაქმნს, რომელიც დამახასიათებელია წინაკლასობრივი

და ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის. პატრონიმიის ნევრებს ყოველთვის ჰქონდათ ნათესაური ურთიერთდახმარებისა და ურთიერთდაცვის განცდა (ამ მოსაზრების ერთ-ერთი ავტორი იყო ალექსი რობაქიძე). მაგრამ მეორე მოსაზრების თანახმად, პატრონიმია, როგორც ახალწარმონაქმნი, დადასტურებულია არა მხოლოდ კლასობრიობამდელ და ადრეული სოციალური დიფერენციაციის საფეხურზე, არამედ განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაშიც. პატრონიმიის ბუნების შესახებ შეხედულებების განსხვავებულობა, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და მიმართულებების მიერ შემოთავაზებული ტერმინები გაუგებრობისა და მეცნიერული შეუთანხმებლობის მიზეზია. პატრონიმიის ყველაზე ახლოსმდგომი ტერმინია ლინიჯი, რომელითაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ გენიალოგიურ, ზოგჯერ კი სათემო ასპექტებს.

ზემოთ აღინიშნა, რომ ცნებას „პატრონიმია" ფართოდ იყენებდა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერებაც. საერთოდ, ტერმინის გამოყენება მეცნიერულ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ქართულ პატრონიმიას არაფერი აქვს საერთო პირველყოფილი გვარების დანაყოფებთან, რადგან ქართული გვარი სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაშია წარმოქმნილი. ჩვეულებრივ, ქართულ სინამდვილეში პატრონიმიით ეთნოლოგები აღნიშნავდნენ გვარის დანაყოფებს, რაც ყველა დიდი გვარის დამახასიათებელი იყო. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ისინი აღინიშნებოდნენ სიტყვებით: **მამანი, მამიშვილობა, ბუდობა, კომობა, ბაბუიშვილობა, ბუნე, სახიჯარი, თოხუმი, ქექილი, ნარყი, მეტსახელი, გვარზემეტი, განაყრობა, საგინებელი (საგნებელი) გვარი, სამხუბი, ლამხუბი, თური, დინო** და სხვა. ქართული გვარის ამ დანაყოფებს არაფერი აქვთ საერთო პირველყოფილ გვარებთან. საქართველოში გვარი მემკვიდრეობითი სახელი და თუგინდ გარკვეული სოციალური ერთეულიც იყო და არის, და ამ გვარების დანაყოფთა წარმოქმნა თითქმის მუდმივად საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში ხდებოდა, გვიან ფეოდალურ პერიოდშიც და XIX საუკუნეშიც კი. უბრალოდ სოციალური ერთეულის – გვარის გაზრდის შემდეგ საზოგადოებას უჩნდებოდა სურვილი უფრო ახლო სანათესაო წრის გამოყოფა-გამოცალკევებისა, რომლებიც, ბუნებრივია, ერთმანეთთან გარკვეული ვალდებულებებითაც იყვნენ დაკავშირებულნი და ამ ვალდებულებებს ერთ ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულში – უბანში მკვიდრობაც განაპირობებდა. ქართული გვარის დანაყოფების ერთ-ერთ ფუნქციას მისი ქვემოიმერული დიალექტური ფორმაც – „საგინებელი ანუ საგნებელი გვარიც" კარგად მიანიშნებს. ის დიდი გვარების პირობებში ადამიანთა მიგნების, იდენტიფიკაციის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. ქართულ სინადვილეში გვარის დანაყოფი, რომელსაც პატრონიმიას უწოდებდნენ ფაქტობრივად მეორე მემკვიდრეობით სახელს წარმოადგენდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ **ქართული გვარების დანაყოფების აღსანიშნავად ზოგჯერ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით ლინგვისტთა ნაშრომებში, სრულიად უადგილოდ გამოიყენება ტერმინი „ფრატრია"**. ეს ტერმინი მეცნიერებაში პირველად ლ. მორგანმა შემოიტანა და **ის ტომის ორი ან რამდენიმე გაერ-**

თიანებული გვარის აღმნიშვნელი ცნებაა. ფრატრიაში გაერთიანებული გვარები ერთმანეთის მონათესავედ ითვლებიდნენ. ფრატრია შეიძლება ერთი გვარის ორ დამოუკიდებელ გვარად გაყოფის შემდეგ ნარმოქმნილიყო და აგრეთვე – არამონათესავე გვარების ხელოვნურად გაერთიანების შედეგად. როგორც წესი, ფრატრიას ჰქონდა საკუთარი სახელწოდება და გარკვეული საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ფუნქციები. როგორც ვნახეთ, **ფრატრია ტომობრივი ორგანიზაციებისათვის, გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური ინსტიტუტი იყო და, აქედან გამომდინარე, მას არაფერი აქვს საერთო ქართული გვარების დანაყოფებთან.**

§5. გვაროვნული ორგანიზაცია. გვროვნული ორგანიზაციის შესახებ ბევრი იწერებოდა საბჭოთა ეთნოლოგიურ მეცნიერებაში. ეს ბუნებრივი იყო, იმიტომაც, რომ ამ პრობლემის შესახებ თავის დროზე მარქსიზმის ფუძემდებლებს, განსაკუთრებით ფრიდრიხ ენგელსს, ბევრი ჰქონდათ დაწერილი. **გვაროვნული ორგანიზაცია პირველყოფილი საზოგადოების ორგანიზაცია იყო.** ის ასე იმიტომ ინოდებოდა, რომ მის სტრუქტურაწარმომქმნელ უჯრედს ნარმოადგენდა გვარი, ე. ი. კოლექტივი, რომელსაც საერთო ნინაპარი ჰყავდა და რომლის შიგნითაც ეკზოგამიის ნორმებიდან გამომდინარე აკრძალული იყო საქორწინო ურთიერთობები. თანამედროვე მეცნიერებაში გვარის ნარმოქმნისა და მისი ბუნების შესახებ ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ყველაზე გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც, გვაროვნული ორგანიზაცია უნივერსალურად გავრცელებული სოციალური ორგანიზაციის პირველი მტკიცე ფორმა იყო. მან შეცვალა ამორფული პირველყოფილი ადამიანთა ჯოგი. არქეოლოგიურად ამ პერიოდს ადრინდელი და გვიანდელი პალეოლითის მიჯნას უკავშირებენ. გვაროვნულმა ორგანიზაციამ თავისი ეკზოგამიით მოაწესრიგა საწარმოო ცხოვრება და სქესობრივი ურთიერთობები კოლექტივის გარეთ გაიტანა. ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ის დედისეული ფორმით ნარმოიქმნა, თუმცა ძალიან მალე მამისეული ფორმა მიიღო. გვარი მთლიანად თანემთხვეოდა თემს და პირველყოფილი საზოგადოების ძირითად უჯრედს ნარმოადგენდა. სხვა შეხედულებით, გვაროვნული ორგანიზაცია უპირატესად განვითარებულ მობინადრეებთან ნარმოიქმნა ნეოლითში პირველყოფილი თემების გამსხვილების პირობებში. ის შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც დედისეული, ისე მამისეული, რაც განისაზღვრებოდა გარემო ბუნებრივი პირობებით და მასთან დაკავშირებული სამეურნეო მიმართულებით. მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად გვარს მხოლოდ საქორწინო-მარეგულირებელი ფუნქცია ჰქონდა.

გვაროვნული ორგანიზაციის განვითარებისას ცალკეული გვარები ჩვეულებრივ ლინიჯებად იყოფოდა, და საქორწინო ურთიერთობით დაკავშირებული გვარები ეთნიკური ენობრივ-კულტურული ერობებიდან გარდაიქმნენ კონსოლიდირებულ სოციალ-პოტესტარულ ორგანიზმებად – ტომებად. ეთნოსოციალურ ერთობებში – ტომებში შემავალ გვარებს მინაზე ჰქონდათ კოლექტიური საკუთრება, მატერიალური ურთიერთდახმარებისა და ფიზიკური ურთიერთდაცვის (მაგალითად, სისხლის აღება) ორგანიზაცია. გვარებს შეიძლება ჰყოლოდათ თავიანთი ნინამძღოლი. თავიანთი შემადგენ-

ლობის ადაპტირებას ახდენდნენ ახალი წევრებით; ჰქონდათ განვითარებული გვაროვნული კულტი. გვიანდელი გვარის პირობებში გაიზარდა მამაკაცის შრომის როლი და გვაროვნული საკუთრებისაგან პირადულის გამოყოფა, რის შემდეგადაც მამაკაცი ცდილობდა ის თავისი შთამომავლებისათვის გადაეცა. გვარები დიდხანს შემორჩა გვაროვნული თემის მიერ ეკონომიკური ფუნქციების დაკარგვის შემდეგ (მაგალითად, ძველ რომაელებში). ასეთ შემთხვევებში გვარი მხოლოდ არეგულირებდა საქორწინო ურთიერთობებს, უზრუნველყოფდა გვარის წევრების ურთიერთდახმარებას და ინარჩუნებდა საერთო კულტს.

§6. კასტა. კასტა ადამიანთა სოციალ-ეკონომიკური და ზოგჯერ ეთნიკური, შესაბამისად კი ტერიტორიულად მემკვიდრეობითი ჩაკეტილი ერთობაა, რომლის წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან გარკვეული სოციალური ნორმებით, მათ შორის შიდაკასტობრივი ენდოგამიით, ურთიერთდახმარებით, ტანსაცმლისა და საკვების თავისებურებებით, ტრაპეზის ერთობლივი გამართვით და ა. შ. ჩვეულებრივ კასტა ეკზოგამიური მონათესავე ჯგუფებისაგან შედგება, რომლის წევრებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორუფლებიანნი არიან.

კასტურ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს რამდენიმე სხვადასხვა კასტა, რომელთაგანაც ყოველ მათგანს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კასტურ სისტემაში განსაზღვრული ადგილი უკავია. სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, ეთნიკური და ტერიტორიული მიკუთვნებულობით საზოგადოებრივი შრომის დანაწილებისას კასტური სისტემა ყოველთვის იერარქიზებულია, რაც აისახება შესაბამის ტრადიციებში, ნორმებსა და იდეოლოგიურ შეფასებებში.

მეცნიერები თვლიან, რომ ისტორიულად კასტური სისტემა სოციალური დიფერენციაციის პერიოდში ჩამოყალიბდა. მსოფლიო-ისტორიული თვალსაზრისით კასტობრივი სისტემა უნივერსალური არაა, თუმცა ის საკმაოდ გავცელებულია. ის შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ეთნიკურად ერთგვაროვან საზოგადოებაში, მაგრამ უფრო ხშირად წარმოიქმნებოდა იქ, სადაც ერთმანეთს ემეზობლებოდნენ ტომები, რომლებსაც მეურნეობის სხვადასხვა ფორმა ჰქონდათ და არაერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით ერთმანეთისაგან გამოირჩეოდნენ. ეს ტომები ხასიათდებოდნენ ენდოგამიურობით. საზოგადოებრივი შრომის დანაწილების პირობებში ისინი ერთიანი საზოგადოებრივი სისტემის ნაწილებად იქცნენ. თავდაპირველად კასტების რაოდენობა ბევრი არ იყო. დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა გაიზარდა, კასტების სისტემა გაფართოვდა, მოხდა დიფერენცირებაც. ეს პროცესი მიმდინარეობდა კასტურ სისტემაში ახალი სამეურნეო და ხშირად ეთნიკური ერთობების ჩართვით, ანდა კასტების სეგმენტაციის გზით, რომლებიც ჩამოყალიბებულ იერარქიაში რაიმე პრინციპულ ცვლილებებს არ ინვევდნენ.

კასტები ნაწილობრივ ფლობდნენ საკუთარი წარმოების საშუალებებს და თავიანთ ნილს საზოგადოებრივ პროდუქტში, რაც კასტური სისტემის ფარგლებში მათი არსებობის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეთნოკულტურული

ერთობა, ენდოგამია და პატრიალქალური ოჯახი, რომლებიც კასტის შიდა ორგანიზაციის პრინციპებს წარმოადგენდნენ.

კასტური წარმონაქმნის უძველესი ისტორიული ფორმა ცნობილია ძველ ეგვიპტეში (ძვ. წ. III-II ათასწლეული), როდესაც ქურუმობა თავისი სტატუსისა და უფლებების შენარჩუნების მიზნით აყალიბებდა ჩაკეტილ საზოგადოებრივ ჯგუფებს. კასტური წყობის ფორმები, რომლებიც ეყრდნობოდნენ განსხვავებული სოციალ-ეკონომიკური განვითარების ეთნიკური ერთობების თანადაქვემდებარებას, ცნობილია პოლინეზიაში, დასავლეთ აფრიკასა და სამხრეთ არაბეთში. მაგრამ კასტური სისტემა ყველაზე ნათლად, გამოკვეთილად ინდოეთში ჩამოყალიბდა და საზოგადოების სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტად იქცა.

კასტური სისტემა ინდუიზმის საზოგადოებრივ-რელიგიური სისტემის სოციალ-ეკონომიკურ საფუძვლს წარმოადგენს. მასთან შესაბამისობაში საზოგადოება იყოფოდა ოთხ ვარნად (სანსკრ. „ვარნა" – ფერი), რაც თავდაპირველად ხაზს უსვამდა ღია ფერის დამპყრობლების განსხვავებულობას ადგილობრივი მუქკანიანი მოსახლეობისაგან. ყოველი ვარნა შედგებოდა ბევრი მრავალრიცხოვანი კასტისაგან. კასტა თავის წარმოშობას საერთო, ხშირად მითიურ, წინაპარს უკავშირებდა. ის გამოირჩეოდა გარკვეული პროფესიული სპეციალიზაციით, ენდოგამიით. ხოლო მასში შემავალი კლანები ეკზოგამიურნი იყვნენ. კასტას ახასიათებდა გარკვეული რელიგიური განაწესი, მორალური ნორმები. ის, ვინც ამ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებდა და ვერ იცავდა ამ ნორმებს, კასტის გარეთ აღმოჩნდებოდა, მას უბრალოდ აძევებდნენ. გაძევებული კი ხელშეუხებელთა (პარიების) რიგებს ავსებდა. თანამედროვე ინდოეთის საზოგადოებაში ასეთი ჯგუფებისათვის მიღებულია მაჰათმა განდის მიერ შემოღებული ტერმინი „ხარიჯანი" (ღვთის ადამიანები).

ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და ეკონომისტებისათვის კასტური წყობილება არაერთგვაროვნადაა გაგებული. ზოგიერთი მას თვლის მხოლოდ კაპიტალიზმამდელი კლასობრივი სტრუქტურის გამოხატულებად, სხვები კი განიხილავენ მას როგორც საზოგადოებრივ ფენომენს, რომელმაც მონათმფლობელობიდან და ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმამდე მოაღწია.

§7. ოჯახი და ქორწინება. ოჯახი ქორწინებისა და ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფია, რომლის წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერით და მორალური პასუხისმგებლობით. ოჯახის სოციალურ აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოების ფიზიკური და სულიერი განახლების მოთხოვნილება. ამ სოციალური ერთეულის ბიოლოგიურ საწყისს ქორწინება და შობადობა წარმოადგენს. ოჯახის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი მრავალფეროვანი ფუნქციებიდან, რომლებიც მთელი საზოგადოებისა და პიროვნების მოთხოვნილებების განვითარების კვალდაკვალ იცვლება. ერთი რიგის ფუნქციები თითქმის მუდმივად ინარჩუნებენ ძირითადობას (შთამომავლობის შექმნის, აღზრდის და სხვ.), მეორენი, სხვადასხვა `კულტურულ-ისტორიული და სოციალ-ეკონომიკური

წყობის პირობებში, სხვადასხვა ძალით მოქმედებენ, სუსტდებიან ან ქრებიან.

ოჯახის ჩამოყალიბების პერიოდის შესახებ მეცნიერებაში ერთიანი შეხედულება არც არსებობს. იმასაც კი აღნიშნავენ, რომ ოჯახის შექმნამდე ადამიანებს შორის ჯგუფური სქესობრივი ურთიერთობები არსებობდა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს შეხედულება სრულიად მიუღებელია და ის გასაზიარებელი არ არის. დაბალი საზოგადოებრივი განვითარების არც ერთ კოლექტივში ჯგუფობრივი სქესობრივი ურთიერთობები დადასტურებული არ ყოფილა. საბჭოთა მეცნიერები თვლიდნენ, რომ თანამედროვე ტიპის მონოგამიური ოჯახის ჩამოყალიბება კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობასთან ერთად მოხდა. მაგრამ ეს შეხედულება გასაზიარებელი არ არის, რადგან კერძო საკუთრების წარმოშობა ავტომატურად კლასების წარმოშობას არ იწვევდა და ეთნოლოგიური მონაცემებით მრავალ საზოგადოებაში კლასები საერთოდ არ არსებობდა, მაგრამ მათში მტკიცე მონოგამიური ოჯახები იყო გაბატონებული.

ისტორიკოსების, ეთნოლოგების (ანთროპოლოგების), სოციოლოგების მიერ კარგად არის შესწავლილი შუა საუკუნეების ევროპული ოჯახები, რადგან ამის საშუალებას იმდროინდელი ნერილობითი მონაცემები იძლევა. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ არ არსებობს ოჯახის მსგავსი სხვა ყოვლისმომცველი სოციალური სტრუქტურა. ოჯახში სწავლობს ახლად მოვლენილი ადამიანი ჭამას, სიარულს, ლაპარაკს, გაითვითცნობიერებს თავის იდენტობას; აქვე იძენს ქცევის ჩვევებს. ზემოთაც აღინიშნა და კვლავ უნდა ითქვას, რომ არა მარტო თანამედროვე, არამედ წარსულის ნებისმიერი საზოგადოება (კულტურა) წარმოუდგენელია ამ ინსტიტუტის გარეშე. დღევანდელი ოჯახი ადამიანთა ისტორიის, მისი ევოლუციისა და რევულუციის პროდუქტს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ყოველთვის მეცნიერები ცდილობენ მოგვცენ ამა თუ იმ მოვლენის მეცნიერული განსაზღვრება. საამისო ცდები ეთნოლოგებისა (ანთროპოლოგებისა) და ისტორიკოსთა მხრივ ოჯახის შესახებაც არაერთი არსებობს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სრულიად დამაკმაყოფილებელი და საყოველთაოდ მისაღები განმარტება, რომელშიც ოჯახის ყველა მრავალფეროვნება იქნებოდა გათვალისწინებული, არ არსებობს.

ცნობილია, რომ ქართულ ენაში ტერმინი ოჯახი შედარებით ახალი წარმოქმნილია – ის თურქული წარმოშობის სიტყვაა. თავდაპირველად მის ნაცვლად იხმარებოდა ტერმინები „სახლი" და „კომლი", რომლებიც ერთდროულად იმ შენობა-ნაგებობებსაც აღნიშნავდნენ, რომლებშიც ესა თუ ის ოჯახი ცხოვრობდა. როგორც ირკვევა, ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე ევროპულ ენებში. XVIII საუკუნემდე არც ერთ ევროპულ ენაში არ არსებობდა იმ ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც შედგებოდა მამის, დედისა და შვილებისაგან. ლათინური სიტყვა „ფამილია" აღნიშნავდა ერთ სახლში მცხოვრებ არა მხოლოდ ცოლქმრულ წყვილსა და მათ შვილებს, არამედ შინამოსამსახურეებსა და მონებსაც. ამ სიტყვის ასეთი გაგება რომაული ეპოქიდან მოკიდებული მთელი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის პერიოდამდე არ-

სებობდა. ჩვეულებრივ, „ფამილია“ იყო დიდი და ზოგჯერ მისი წევრების დიდი ნაწილი ერთმანეთთან ბიოლოგიური ნათესაობითაც არ იყო დაკავშირებული. წარსულში, საზოგადოებაში სისხლით ნათესაობა უფრო მნიშნელოვან როლს თამაშობდა, ვიდრე ახლა, მაგრამ მაშინ ცოლქმრული უჯრედი იზოლირებულად არ არსებობდა. ამიტომაც ის განსაკუთრებულ სახელწოდებას არც საჭიროებდა.

ყველა სოციალურ ერთეულს თავისი ფუნქცია გააჩნდა, მათ შორის, ოჯახსაც. მისი ძირითადი ფუნქცია ბავშვის „სოციალიზაციაა“. მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია ემოციური და სექსუალური მოთხოვნილებებისათვის სასურველი კალაპოტის, მიმართულების მიცემაა. მაგრამ წარსულში ოჯახს სხვა განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ფუნქციებიც ჰქონდა, რომელთაგან შეიძლება ნარმოებითი და დაცვითი ფუნქციები დასახელდეს. საუკუნეების განმავლობაში ოჯახის ზოგიერთი ფუნქცია საზოგადოების სხვა ინსტიტუტების (მაგალითად: სახელმწიფო, ეკლესია, წარმოება) ხელში გადადიოდა.

ოჯახი ნათესაური სისტემების გამომხატველია. თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში დიდ ნათესაურ ჯგუფებს (მემკვიდრეობით ლინიჯებს) ფაქტობრივად არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. შუა საუკუნეებში კი, ისევე, როგორც წარსულის ყველა საზოგადოებაში, ისინი ფუძემდებლურ როლს თამაშობდნენ. ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები ჯერ კიდევ მთლად შეთანხმებული არ არის, თუმცა ნათესავთა დიდ ჯგუფებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მომდინარეობენ ერთი წინაპრისაგან, ჩვეულებრივ, კლანებს უნოდებენ. ხოლო უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ერთი რეალური წინაპრისაგან მომდინარეობენ, ლინიჯებად იწოდებიან. რაც შეეხება გვარს, ის ინდივიდთა ნათესაური ქსელის გამომხატველ ცნებადაა მიჩნეული. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ კლანი მისი წევრებისაგან დამოუკიდებლად არსებობდა; მას შეიძლება ჰქონოდა მინა და პოლიტიკური ხელისუფლებაც კი. ამის საწინააღმდეგოდ, გვარი, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა არ არსებობს, ის მხოლოდ კონკრეტულ ინდივიდთთან მიმართებაში არსებობს. როგორც გვარი, ისე კლანი და ლინიჯი შუა საუკუნეების ბევრ საზოგადოებაში რეალურად არსებობდნენ. ძირითადად დადასტურებულია მამისეული ხაზის (პატრილინეური) გვარები. ეთნოლოგებს დედისეული ხაზის ანუ მატრილინეური გვარებიც აქვთ დადასტურებული.

ეთნოლოგ-ანთროპოლოგები და ისტორიკოსები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ოჯახის ზომასა და სტრუქტურას; ისინი ცდილობდნენ ამ თვალსაზრისით მოეხდინათ ოჯახის ძირითადი ტიპების კლასიფიკაცია. გარკვეული ხნის განმავლობაში მეცნიერები თვლიდნენ, რომ შუა საუკუნეებიდან დღემდე ოჯახი „პროგრესულ ნუკლეარიზაციას“ განიცდიდა – პირდაპირხაზოვან ევოლუციას კლანიდან გაფართოებულ ოჯახამდე და გაფართოებული ოჯახიდან – ნუკლეარულ ოჯახამდე. უკანასკნელ გამოკვლევებში ეს შეხედულება ფაქტობრივად გაზიარებული არაა. 1977 წელს ლ. სტოუნმა წამოაყენა კონცეფცია ოჯახის სამი ისტორიული ტიპის შესახებ. ესენია: დიდი „ღია ლინიჯური ოჯახი", რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ყველაზე

ძალიან გავრცელებული იყო. მეორე ტიპის ოჯახად მას მიაჩნია „შეზღუდული პატრიალქალური ნუკლიარული ოჯახი“, რომელმაც უპირატესობა მოიპოვა XVI-XVII საუკუნეებში და თანამედროვე „დახურული ნუკლიარული ოჯახი“. პ. ლასლეტმა ადრეული ახალი დროის საოჯახო მეურნეობა სამ კატეგორიად დაყო: **უბრალო (ნუკლეარული ანუ ცოლქმრული) ოჯახი; გაფართოებული ოჯახი (ცოლქმრულ წყვილს პლიუს დაქვრივებული მშობელი, ძმები, დები, ბიძაშვილები, გარებიძაშვლები); შედგენილი ოჯახი (ორი და მეტი ცოლქმრული წყვილი, რომლებიც ერთმანეთის ნათესავები არიან).** XV საუკუნეში ყველაზე გავრცელებულ ფორმად პ. ლასლეტს ნუკლეარული ოჯახი მიაჩნდა. ადამიანთა ძირითადი ნანილის სოციალიზაცია სწრედ ნუკლეარულ ოჯახში მიმდინარეობდა. ოჯახის ცნობილმა ისტორიკოსმა რობერტ უიტონმა პ. ლასლეტის კლასიფიკაცია მიუღებლად მიიჩნია და უპირატესობა მიანიჭა ასი ნლის წინანდელ კლასიფიკაციას, რომლის ავტორიც ფრანგი ფ. ლე პლე გახლდათ. მისი მიხედვით, ერთმანეთის პარალელურად არსებობდა ნუკლეარული სისტემა, რომლის დროსაც დაქორნინებული შვილები სახლს ტოვებდნენ. გვაროვნული სისტემის დროს ერთ-ერთი დაქორნინებული შვილი სახლში რჩებოდა; შედგენილი სისტემის დროს სახლში რამდენიმე შვილი რჩებოდა და ისინი ერთად ცხოვრებას განაგრძობდნენ. საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენა ამერიკელმა სოციოლოგმა მერიონ ლევმა, რომელიც ჩვენც გასაზიარებლად მიგვაჩნია. მისი აზრით ცოლქმრული ოჯახის დომინირება (ცოლქმრული წყვილი, ე. ი. მშობლები და შვილები) „მსოფლიოს ისტორიის ყველა ცნობილ საზოგადოებაში“ შედეგია არა სოციალური ფსიქოლოგიისა, არამედ ბუნებრივი ფაქტორებისა. **ინდუსტრიამდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სიკვდილიანობის მაღალი დონე უპირატესად მარტივი, ნუკლეარული ოჯახების არსებობას განაპირობებდა; ის გამორიცხავდა შედარებით უფრო დიდი ზომის ოჯახების ფართოდ არსებობას. მიგვაჩნია, რომ ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ხშირი თავდასხმები, რომლებიც დემოგრაფიულ სიტუაციას საკმაოდ ამნვავებდა.** გარდამავალ პერიოდში სანიტარული პირობების რამდენადმე გაუმჯობესების გამო, მედიცინისა და საერთოდ ტექნოლოგიების პროგრესის შედეგად ოჯახის სტრუქტურა შეიძლება იდეალურს მიახლოებოდა, მაგრამ თავი იჩინა ეკონომიკურმა და ფსიქოლოგიურმა სტრესებმა, რომლებმაც სანინააღმდეგო ეფექტი მოგვცეს. დაბოლოს, თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილმა საზოგადოებამ, რომელიც იდეალური დიდი ოჯახის შექმნას განაპირობებდა, პარადოქსულად უარი თქვა მასზე ნუკლეარული ოჯახის სასარგებლოდ. ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას ქართული ოჯახის შესახებაც. ქართულმა ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ ოჯახის შესნავლის პრობლემებს არაერთი სამეცნიერო გამოკვეევა მიუძღვნა. მეცნიერთა შეხედულება სრულიად საპირისპირო იყო. პირველთა მოსაზრებით საქართველოში არსებული დიდი ოჯახები ძველი საოჯახო თემის გადმონაშთი იყო. ამ შეხედულებამ გააჩინა მეორე ასევე რადიკალური შეხედულება, რომლის თანახმადაც დიდი ოჯახი საქართველოში არა გადმონაშთი (სოციალური ინსტიტუტი თუ

ფუნქციონირებდა, მისი გადმონაშთად მიჩნევაც ნონსენსი იყო), არამედ სრულიად ახალი მოვლენა, სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების შედეგი იყო. ზემოთ მიმოხილული თეორიები ოჯახის შესახებ, ვფიქრობთ, არც ერთ ამ შეხედულებას მხარს არ უჭერენ. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, დიდი და პატარა ოჯახები ტრადიციულად თანაარსებობდნენ – გაფართოებული საოჯახო მეურნეობა დოვლათის დაგროვების მეტ წინაპირობას ქმნიდა, მაგრამ ასეთი ოჯახების საყოველთაობას ბუნებრივი მოვლენები და საგარეო ფაქტორი ხელს არ უწყობდა.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდამდე ოჯახი სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის ძირითადი საწარმოო უჯრედი იყო. ანტიკურობის აყვავების პერიოდში, შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში მინის მფლობელი არისტოკრატიული ოჯახები, ფაქტობრივად, ადმინისტრაციულ (მენეჯერულ) ფუნქციებს ასრულებდნენ. გლეხური ოჯახები შრომას სქესისა და ასაკის მიხედვით ანაწილებდნენ და ზედაფენის მსგავსად თავიანთ ქონებას დადგენილი წესით აკონტროლებდნენ და მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ოჯახები კოლექტიურად ახდენდნენ აგრეთვე ხელოსნობის ნაწარმთა დამუშავებას. ასეთ შემთხვევაში ცოლი და ქმარი ჩვეულებრივ პარტნიორების როლში გამოდიოდნენ.

ეთნოლოგები ისეთ პრობლემასაც სწავლობდნენ, როგორიცაა ურთიერთობები ოჯახის შიგნით. ესენია: ხელისუფალი ოჯახში, ასაკობრივი ურთიერთობები, გრძნობები, სიყვარული, ერთგულება, სექსი. დღეევანდელი ოჯახი ეგალიტარულია. მასში ცოლსა და ქმარს ხელისუფლება გაყოფილი აქვთ და დემოკრატიული წესრიგი შვილებზეც ვრცელდება. წარსულში კი უფროსი მამაკაცი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. შემჩნეულია, რომ შეძლებული ოჯახები უფრო ავტორიტარულნი იყვნენ, ვიდრე ღარიბები. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქმარსა და ცოლს შორის არსებული ასაკობრივი განსხვავება: ასაკით უფროს ქმრებს ჩვეულებრივ დიდი უფლებები ჰქონდათ ოჯახის წევრებზე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შუა საუკუნეების საზოგადოებებში ბავშვობა არ არსებობდა. ამ მოსაზრების ერთ-ერთი ავტორი ფ. არიესი აკონკრეტებდა: „ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვებს უგულებელყოფდნენ, აბუჩად იგდებდნენ, იშორებდნენ ანდა ამცირებდნენ". ე. შორტერის მიხედვით, „ტრადიციული საზოგადოებისათვის პატარების მიმართ დედობრივი გულგრილობა ტიპური იყო". მისი მტკიცებით, „დედის ბავშვისადმი მზრუნველი დამოკიდებულება მოდერნიზაციის ეპოქის მიგნებაა". ლ. დემოსის მოსაზრებით კი ტრადიციულ საზოგადოებებში ბავშვი შეიძლება მოეკლათ, მოეწამლათ, ეცემათ. ვფიქრობთ, რომ დასახელებულ ავტორთა ასეთი მოსაზრებები საერთოდ განპირობებულია ტრადიციული საზოგადოებებისადმი სუპერკრიტიკული დამოკიდებულებით. მათი ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები ფრიად გადაჭარბებულია. თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ, რა თქმა უნდა, შუა საუკუნეებში მშობლების შვილებისადმი დამოკიდებულება ისეთივე ემოციური ხასიათის სრულიადაც არ იყო როგორც ახლა, რადგან ოჯახი მაშინ უფრო მრავალფუნქციური იყო, ვიდ-

რე დღეს, სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ვერც დედა და ვერც მამა შვილის საალერსოდ ვერ იცლიდნენ, ბავშვების დიდობის ასაკიც შედარებით ადრე დგებოდა, რადგან ისინი თავიდანვე შრომაში იყვნენ ჩართულნი.

ყველა დროის საოჯახო ყოფის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო სექსი, აგრეთვე საქორწინო ასაკი, კონტრაცეპციის საშუალებანი, მასტურბაციისადმი დამოკიდებულება, პროსტიტუცია, არასაქორწინო ასაკი. XIX საუკუნის ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ ზ. ფრეიდი და ფ. ენგელსი, ფიქრობდნენ, რომ შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობისაკენ სექსუალობის უფრო მეტად ეფექტური დათრგუნვა ხდებოდა. სხვებმა კი (ე. შორტერი), პირიქით, XVIII საუკუნიდან სექსუალური რევოლუციის კონცეფცია წამოაყენეს. ჟან-ლუი ფლანდრენმა უფრო რთულ ევოლუციას გაადევნა თვალი: XVI საუკუნის ევროპაში გვიანდელი ქორწინებები ახალგაზრდა ადამიანებში დაძაბულობას იწვევდა, რაც ქალაქის ცხოვრებაში გამოსავალს პროსტიტუციასა და ძალადობაში ჰპოვებდა, სოფლებში – ფორმალიზებულ სექსუალურ თამაშობებში.

ირკვევა, რომ შუა საუკუნეების ტრადიციულ საზოგადოებებში ოჯახის ზომაზე კონტროლიც იცოდნენ. ახალ დროში კი ის საყოველთაოდ აღიარებული იმპერატივია. წარსულში ოჯახის ზომაზე კონტროლი ძირითადად ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობის გამო ხდებოდა. რეპროდუქტიული პერიოდის შემცირება ნაგვიანევი ქორწინებებითაც ხდებოდა (ამ თვალაზრისით ხევსურეთში შემორჩენილი გვიანდელი ქორწინებების გახსენებაც საკმარისია). იცოდნენ კოტრაცეფციის სხადასხვა საშუალებების გამოყენება. აღნიშნულით იყო განპირობებული ზოგიერთ ევროპულ საზოგადოებაში ბავშვების, განსაკუთრებით გოგონების, კვლა, რაც სრულიად კანონიერ მოვლენად ითვლებოდა. ბავშვების კვლის ტრადიცია შუა საუკუნეების გერმანიაში კვლავ იყო შემორჩენილი. ბუნებრივია ეკლესია გმობდა როგორც აბორტს, ისე ბავშვების კვლას.

ოჯახები **ქორწინების** გზით იქმნებოდა. ქორწინება, ესაა კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც ანესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას. ქორწინების წარმოშობა-განვითარების შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს. ჩამოთვლიან მის სხვადასხვა სახეებს (ჯგუფური ქორწინება, წყვილადი ქორწინება). მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ საქორწინო ურთიერთობის ამ საფეხურზე ცოლი და ქმარი საცხოვრებლად რჩებოდნენ თავ-თავიანთ გვარში (დისლოკალური ქორწინება). უფრო მოგვიანებით ქმარი დასახლდა ცოლის გვარში, ხოლო შემდეგ ცოლი გადავიდა ქმრის გვარში. ქორწინების მყარ ფორმად მონოგამიური ქორწინებაა მიჩნეული.

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში ქორწინების პროცესში მხოლოდ ორივე მხარის – საცოლისა და საქმროს – დაინტერესებული მხარეები არიან ჩართულნი. მშობლების თანხმობა სასურველია, მაგრამ აუცილებელი არაა. ეკლესია შეიძლება მონაწილეობდეს ქორწინებაში და შეიძლება არც მონაწილეობდეს. ქორწინების ნებას სახელმწიფო იძლევა და ქონებისა და მემკვიდრეობის ფლობის პი-

რობებსაც განსაზღვრავს. წარსულში სიტუაცია თანამედროვე სიტუაციისაგან თითქმის რადიკალურად განსხვავდებოდა. საქორწინო პროცედურაში საქორწინო წყვილი ჩვეულებრივ ნაკლებად იყო ჩაბმული. წამყვანი როლი მშობლებსა და ნათესავებს, აგრეთვე ეკლესიას, თემს (ადგილობრივი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მიხედვით) ეკუთვნოდა.

წარსულში ევროპულ საზოგადოებებში ქორწინება თითქმის ყოველთვის ეკზოგამიური იყო, ე. ი. ქორწინდებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის ნათესავები არ იყვნენ. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნათესაობის აღქმა ყველა ხალხში ერთნაირი არ იყო. ზოგჯერ ეკზოგამიას ინცესტის ტაბუირებასთან ურევენ. მაგრამ ისინი სრულიად სხვადასხვა, თუმცა ურთიერთგადამკვეთი ცნებებია. ეკზოგამია ქორწინებასთან არის დაკავშირებული, ინცესტი – სექსუალურ ურთიერთობებთან. ეკზოგამია ესაა სანათესაო ჯგუფის შიგნით ქორწინების აკრძალვა, ენდოგამია კი პირიქით, ქორწინებას კრძალავს სანათესაო ჯგუფის გარეთ და ქორწინებას ნათესავების წრეში უშვებს. ლიტერატურაში აღწერილია პირინეის ერთ-ერთი მთისწინა სოფლის, მონტანოს საქორწინო წეს-ჩვეულებები და სექსუალური მორალი. მასში საოჯახო მეურნეობა ძირითადად ცოლ-ქმრული იყო, თუმცა გაფართოებული ოჯახებიც არსებობდა. ოჯახში ხელისუფლება მამაკაცის ხელში იყო კონცენტრირებული. ინკვიზიციის დოკუმენტებში არაერთგზის იხსენიება ქმრის მიერ ნაცემი ცოლები და ის, რომ ცოლებს ძალიან ეშინოდათ ქმრების. მონტანოში ქორწინება ძირითადად სოფლის შიგნით ხდებოდა. მაგრამ ამ სოფელში გარე ბიძაშვილებს (მესამე თაობის ბიძაშვილებს) შორის ქორწინება დაშვებული იყო. ერთ-ერთი გლეხი თვლიდა, რომ საკუთარ დედასთან, ღვიძლ დასთან ანდა ალალ ბიძაშვილთან დანოლა ცოდვა არ არის, მაგრამ ასე თუ ისე მაინც სათაკილოა. მონტანოს სექსუალური მორალი თავისუფალი იყო. საბუთებში საუბარია ათობით სასიყვარულო კავშირზე, ერთ შემთხვევაში მამაკაცის საყვარელი იყო მისი ძმის ცოლი. სოფელში უკანონო ბავშვებიც ბევრი იყვნენ. ისინი ჩვეულებრივ მოსამსახურეების ფენას ავსებდნენ.

ქართული ტრადიციით სანათესაო წრე ძალიან ფართო იყო. ნათესავებად ითვლებოდნენ ერთი კაცის მემკვიდრეები ანუ ერთი გვარის ხალხი და ისინი ერთმანეთზე თითქმის არასდროს არ ქორწინდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მართმადიდებელი ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა. არ ქორწინდებოდნენ ქართველები თემის წევრსა და თანასოფლელზეც კი. ზოგიერთ საზოგადოებაში უკანონო ანუ ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვები ოჯახის წევრებად არ ითვლებოდნენ, ზოგიერთში კი უკანონოდ არ მიიჩნეოდნენ. ზოგიერთ კულტურაში შვილად აყვანა სამართლებრივი გზით ხდებოდა, ხდებოდა ხელოვნური დანათესავება. ხელოვნური და არასისხლმიერი ნათესაობის სხვა სახეები (სულიერი, რიტუალური) სისხლით ნათესაობას უთანაბრდებოდა და მათზე ტაბუ ისევე ვრცელდებოდა, როგორც სისხლით ნათესავებზე.

ისტორიის მთელ მანძილზე ქორწინება გულისხმობდა ფულის ერთი ოჯახიდან მეორეში, ერთი პიროვნებიდან მეორეში გადანაცვლე-

ბას. ამ თვალსაზრისით პატარძლის მამისათვის ფულადი გადასახადი (ე. წ. ურვადი) და მზითვი შეიძლება დავასახელოთ. მზითევი ფაქტობრივად მემკვიდრეობიდან მიღებული წილი იყო. ქონების აღნიშნული გადაადგილების პირობები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა განქორწინების წესიც. გაყრა შეიძლება მხოლოდ ქმრის ინიციატივით შემდგარიყო. ზოგიერთ საზოგადოებაში ორმხრივი თანხმობა იყო საჭირო. ეს პროცესი ეკლესიის ჩარევის გარეშე არ ხდებოდა. მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, კათოლიკობა გაყრას კრძალავდა.

ახალი დროის თანამედროვე ოჯახები ევროპული შუა საუკუნეების განვითარების შედეგად წარმოქმნილად ითვლება, მაგრამ მას ფესვები ძველ დროში აქვს გადგმული. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, რომაულ ოჯახს ასახელებენ, აგრეთვე სხვა ცივილიზაციების ანალოგიებს, რომელიც იყო საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური, ძირითადი სოციალური, ძირითადი სამართლებრივი, ძირითადი საგანმანათლებლო და ძირითადი რელიგიური ერთეული.

შუა საუკუნეების ყველა ტრადიციულ საზოგადოებაში (კულტურაში) სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებს შორის ქორწინება იკრძალებოდა.

ეთნოლოგები თავიანთ კვლევებში დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ შერეულ ანუ ეთნოსთაშორის ქორწინებებს. შერეული ქორწინებები ასიმილაციური პროცესების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორთაგანი იყო. მაგალითად, ძალიან ხშირი იყო შერეული ქორწინებები რომაელებსა და გალებს შორის, შემდეგ – გალორომაელებსა და გერმანელებს შორის, ბრიტანეთში კი ასეთი ქორწინებები პრაქტიკულად არ ხდებოდა.

ოჯახისა და ქორწინების პრობლემებთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ევროპაში მაიორატისა და მინორატის წეს-ჩვეულებები. მაიორატის პირობებში საზოგადოებრივი სტატუსი, ტიტული, ქონება მემკვიდრეობით უფროს შვილზე გადადიოდა. მინორატის დროს, პირიქით, ქონების მემკვიდრე უმცროსი შვილი იყო. მაიორატი თუ ძირითადად მოსახლეობის ზედა ფენებისათვის იყო დამახასიათებელი, მინორატი – მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. ტრადიციულ იაპონურ საზოგადოებაში მინა მემკვიდრეობით მხოლოდ უფროს შვილზე გადადიოდა. ხოლო თუ ოჯახს ვაჟი არ ჰყავდა, მაშინ ოჯახი ქალიშვილისათვის ეძებდა ღარიბ შრომისმოყვარე ახალგაზრდას, რომელიც სიძე გახდებოდა იმ შემთხვევაში თუ გვარს შეიცვლიდა. ოჯახში მისი მდგომარეობა სახარბიელო არც იყო.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას პატრიარქატის შესახებაც. ტერმინს საფუძვლად უდევს ორი ბერძნული სიტყვის ნაერთი: „პატერ“ მამას აღნიშნავს, არქე – ხელისუფლებას. პატრიარქატი გამოიყენება მამაკაცის დომინირებული მდგომარეობის აღსანიშნავად ოჯახსა და საზოგადოებაში. მარქსისტულ სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პატრიარქატი წარმოიქმნა პირველყოფილი საზოგადოების დაშლის ეპოქაში. მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრება არგუმენტირებული არ იყო. თუმცა ეთნოლოგიისათვის ამას მაინცდამაინც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ თითქმის ყველა ტრადიციულ საზოგადოებაში პატ-

რიარქატი ფუნქციონირებდა ინდუსტრიულ საზოგადოებამდე. თუმცა პატრიარქატის გამოძახილი მეტ-ნაკლებად დღევანდელი მოდერნიზებული საზოგადოებების საოჯახო ყოფაშიც ჩანს.

როგორც ცნობილია, ქორწინება შეიძლება იყოს მონოგამიური და პოლიგამიური. პოლიგამია თავის მხრივ პოლგინიად (მრავალცოლიანობა) და პოლიანდრიად (მრავალქმრიანობა) იყოფა. დასავლური სოციალური ნორმებისაგან განსხვავებულ საზოგადოებებში ფართოდაა გავრცელებული სინქრონული პოლიგამია. აქ არსებობს ჰარემული ოჯახები. როგორაა ჰარემები ორგანიზებული? ასი, ორასი და უფრო მეტი ცოლი და ხასა მხოლოდ ჩინეთის იმპერატორსა და თურქეთის სულთანს ჰყავდათ. ეს ჰარემები საკუთრივ ოჯახებად არც შეიძლება ჩაითვალოს: ისინი სახელმწიფოებრივი პრესტიჟის გამო არსებობდნენ და ძირითადად ნომინალური ხასითისანი იყვნენ. ოჯახის ჰარემული სტრუქტურა ბევრი მუსლიმური კულტურისთვისაა დამახასიათებელი. თავდაპირველად მუსლიმ მამაკაცს ერთი ცოლი ჰყავდა. ცოლქმრული ცხოვრების მეშვიდე წელს ის ახალ ცოლს ირთავდა, მესამე ცოლს კი – მონიფულობის ასაკში.

ქორწინების პოლიანდრიული ფორმა, მეცნიერთა ვარაუდით, ბევრად იშვიათადაა გავრცელებული. ისინი ცნობილია ტიბეტში, ნეპალში, ინდოეთის ზოგიერთ ტომში. ამ ქორწინებებში ნამყვანი ფიგურაა ქალი. უმცროსი ქმარი უფროსს ექვემდებარება. პოლიანდრიული კულტურების შესახებ დანიელმა ანთროპოლოგმა პეტერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პოლიანდრიის წყაროებს ნარმოადგენს ძნელ და საშიშ პირობებში თავის გადარჩენისაკენ სნრაფვა. ასეთ პირობებში აუცილებელი იყო ისეთი შეკრული კოლექტივის შექმნა, რომელშიც რამდენიმე მამაკაცი იქნებოდა. პოლიანდრიის სხვა ფაქტორთა შორის დასახელებული ავტორი დასამუშავებელი მინის სიმცირესაც ასახელებს, რის დროსაც თითქმის შეუძლებელი იყო ოჯახების გაყოფა. მაგრამ პოლიანდრიის კვლევისას აუცილებელია ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებაც. პოლიანდრიულ კულტურებში ქალი თითქმის ყოველთვის დიდი სექსუალური თავისუფლებით გამოირჩეოდა. ქორწინებამდე მისი ქალიშვილობის შენარჩუნება რაღაც ფასეული და აუცილებელი სრულიადაც არ იყო. პირიქით: ტიბეტში ქალის სექსუალურობის ასაკის მიღწევის მომენტისათვის სხვადასხვა რაოდენობის მამაკაცებთან ხშირი ურთიერთობა მას ნარმატებით დაქორწინების შანსს აძლევდა. [განსაკუთრებით საყურადღებოა სხვადასხვა საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი სექსუალური ქცევები, რომლებიც ნორმატიულ ღირებულებად არის აღიარებული. ყველგან არსებობს როგორც ყოველდღიური, ჩვეულებრივი ქცევა, ისე განსაკუთრებული, ექსტრემალური სიტუაციები. მაგალითად, მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებაში ცნობილია გაუპატიურება, სექსუალური თავდასხმა, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური. დღემდე გაურკვეველია საკითხი: ტრადიციულ და თანამედროვე კულტურებში მამაკაცის ქალზე ძალადობა – ერთი რიგის მოვლენაა, ერთნაირი მიზეზებით ნარმოშობილი? ერთგვარი პასუხი დღემდე მოძებნილი არ არის. გვხვდება ქალების სექსუალური ძალადობა მამაკაცებზე. ბ. მალინოვსკის მონაცემებით, ტრობრიანის კუნძულებზე მცხოვრებ მელანეზიელებს შორის არსებობდა საოცარი წეს-ჩვეულება (იაუსა) – მამაკაცებზე ქალების კოლექტიური სექსუალური თავდასხმა. ასეთ თავდასხმებს განიცდიდნენ

მამაკაცები, რომლებიც აღმოჩნდებოდნენ იმ მინდვრების სიახლოვეს, სადაც სხვა სოფლის ქალები მარგლიდნენ. აფრიკელი კიკუის ხალხისათვის მამაკაცებზე ძალადობა მათი ინიციაციის ფორმას წარმოადგენდა).

საინტერესოა, რომ არსებობს კულტურები, სადაც ოჯახი ჩვენი გაგებით არც არსებობს. მაგალითად, მელანეზიელების ნანილში ოჯახის უფროსი შეიძლება იყოს ქალის ძმა. ასეთ საზოგადოებებში ბავშვების დაცვის ფუნქციას თავის თავზე დედის ძმა იღებს. ის ზრდის მის შვილებს, რომლებიც ერთი ან რამდენიმე ქმრისაგან ჰყავთ გაჩენილი. არაჩვეულებრივი იყო ინდოელი კერალების ოჯახი. აქ გოგონას ვისზეც შეეძლო იმაზე გათხოვდებოდა, მათ შორის ყველაზე ახლოს არსებულ ქოქოსის პალმაზე. ძალიან ხშირად ასეთი შეიძლება მაღალი სტატუსის რომელიმე საპატიო პიროვნებაც ყოფილიყო. მას შეეძლო ერთდროულად ნომინალურად სოფლის რამდენიმე გოგონაზე დაქორნინებულიყო. ამის შემდეგ შეიძლებოდა გოგონას რამდენიმე რეალური სექსუალური პარტნიორი გამოსჩენოდა, მაგრამ ისინი მის სახლში არ ცხოვრობდნენ და არც ქალი არ მიდიოდა მასთან საცხორებლად. უფრო ხშირად ქმარი თავის ცოლთან მხოლოდ ღამღამობით მიდიოდა. მამები შვილების გაზრდაში არც მატერიალური და არც მორალური თვალსაზრისით არ მონაწილეობდნენ.

არსებობდა ე. წ. საცდელი ქორნინებაც. ინდოჩინეთის ზოგიერთ ხალხში ის შეიძლება შვიდ წლამდე მაინც გაგრძელებულიყო, რომლის დროსაც „ქმრობის კანდიდატი" შრომით ბეგარას პატარძლის მშობლების მეურნეობაში იხდიდა და ვადის ამონურვის შემდეგ ის შეიძლება გაეგდოთ კიდევაც.

ქორნინების დამაგვირგვინებელი რიტუალი იყო ქორნილი. თანამედროვე საზოგადოებებში ქორნინების იურიდიულ აღიარებას სახელმნიფო ახდენს. შუა საუკუნეებში იურიდიულ აღიარებას ეკლესიაში ჯვრისწერა წარმოადგენდა, ხოლო ხალხისათვის უფრო ადრე პერიოდებში და შემდეგაც საქორნინო ურთიერთობის გაფორმებას ქორნილი წარმოადგენდა. ყველა ხალხს თავისთვის დამახასიათებელი ორიგინალური საქორნინო ცერემონიალი და რიტუალი გააჩნდა. საქორნილო რიტუალის უმთავარეს მომენტს შეადგენს პატარძლის გადაყვანა ქმრის ოჯახში. ლხინს თან ახლდა საჩუქრების გადაცემა. ზოგიერთ ხალხში (მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხალხებში) ქორნილი ნეფის გარეშე სრულდებოდა. ქრისტიანულ ქვეყნებში ქორნილს აუცილებლად წინ უსწრებდა ჯვრისწერა. ქართველ ხალხში ქორნილის აუცილებელი ელემენტი იყო კერიის ირგვლივ ნეფე-დედოფლისა და მაყრიონის სამჯერ შემოტარება. ეს ტრადიცია ქართულ საქორნინო რიტუალში ქრისტიანობამდელი მოვლენაა.

თემა XVIII

ეთნოსი და ეთნონიმი

დედამიწაზე ისტორიულად არსებულ ყველა ხალხს (ეთნოსს) საკუთარი სახელი ჰქონდა. ხალხთა (ეთნოსთა) სახელებს მეცნიერები ეთნონიმებს (ბერძნ. ethnos – ხალხი და onyma – სახელი) უწოდებენ. ეთნონიმი ხალხის ეთნიკური თვითშეგნების, ცნობიერების, იდენტობის გამოხატულებაა. რადგან ეთნონიმის წარმოქმნა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ისტორიასთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეთნიკურ ისტორიასთან, ამიტომ ხალხთა საკუთარი სახელების შესწავლა გვეხმარება გავარკვიოთ მათი წარმოშობის საიდუმლოებანი და სხვადასხვაგვარი ეთნიკური კავშირები. ეთნონიმების ისტორიული სემანტიკის გარკვევა მხოლოდ ლინგვისტური ანალიზითაა შესაძლებელი. მაგრამ ეთნონიმიკურ კვლევაში საუკეთესო შედეგის მიღება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ეთნონიმების ლინგვისტურ ანალიზთან ერთად მკვლევარები იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ ისტორიულ მონაცემსაც (ეთნონიმების ერთი ნაწილი ისტორიულ წყაროებში ძალიან ბევრჯერაა მოხსენიებული, ზოგიერთი მხოლოდ ერთხელაა დაფიქსირებული. უამრავი ეთნონიმი კი მხოლოდ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ტექსტებში შეიძლება მოვიძიოთ). თავდაპირველად ეთნონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული ხალხის სახელის აღმნიშვნელი არც იყო. ისინი საზოგადო სახელები იყო. ყველას აინტერესებს, როგორ წარმოიშვა ამა თუ იმ ხალხის სახელწოდება//სახელწოდებანი, როგორი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ წარმოქმნის მომენტში. ეს პრობლემატიკა ისტორიული სემანტიკის საგანს წარმოადგენს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბევრი ეთნონიმის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ადამიანები", „ხალხი". ამგვარი მნიშვნელობა ჰქონია თავდაპირველად გერმანელთა თვითსახელწოდებას „ეუტსცჰე-ს, აგრეთვე „ნოხჩოის", „ნენცს", „ნივხს", „აინუს" და ა.შ.

ეთნოსის სახელწოდება (ეთნონიმი) შეიძლება მომდინარეობდეს ტერიტორიის სახელიდან (ტოპონიმიდან), რომელზეც ის ცხოვრობს. მაგალითად, კავკასიელი ჩაჩნებისა და ინგუშების სახელწოდებანი დასახლებული პუნქტების „ჩაჩანაულის" და „ანგუშტის" (თანამედროვე კაზაკთა სოფელი „ტარსკაია" ოსეთში) სახელწოდებებიდან მომდინარეობენ (ორივე ეს ეთნონიმი ხალხთა გარე სახელწოდება ანუ ეგზოეთნონომია. პირველნი თავიანთ თავს „ნოხჩოის" უწოდებენ, მეორენი – „ღალღაის", შესაბამისად ქართული წყაროების „ძურ-ძუკები" და „ღლიღვები". მათიეე აღმნიშვნელი ქართული ეთნონიმია „ქისტიც"). უკრაინელთა სახელი ყოფილი რუსეთის იმპერიის ისტორიული ტერიტორიის სახელიდან მომდინარეობს (Окраина – განაპირა მხარე). ეს სახელი უკრაინელებს რუსებმა შეარქვეს. თვით უკრაინელები თავიანთ

თავს ჯერ კიდევ XVIIს-ში „რუსებს“ უწოდებდნენ და ძველ რუსთა ნამდვილ შთამომავლებად მიიჩნევდნენ. მაშინ „უკრაინელს“ ეთნიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა და ის უბრალოდ მხოლოდ განაპირა მხარის მკვიდრთ აღნიშნავდა. ტოპონიმი უდევს საფუძვლად რუსთა უკრაინულ და პოლონურ სახელწოდებას „მასკალ“ (ე.ი. მოსკოველი). „პოლონელი“ მინდორში მოსახლეს აღნიშნავს. სამხრეთ რუსეთის სტეპებში მკვიდრობდა თურქულენოვანი ხალხი, რომლებიც ისტორიაში რამდენიმე სახელწოდებით არიან ცნობილნი: ყივჩაღები, კუმანები პოლოვგულები//პოლოვცები. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს უკანასკნელი სახელწოდებაც „პოლეს“ (მინდორს) უკავშირდება, ნაგრამ, როგორც მეცნიერებმა გაარკვიეს, ის მომდინარეობს ძველრუსული სიტყვიდან „პოლოვი“, რაც ყვითელს აღნიშნავს. სხვათაშორის, მათი თურქული სახელი „სოროჩინელებიც“ თურქული სიტყვიდან – „სარი“ მომდინარეობს, რაც ასევე ყვითელის აღმნიშვნელია. ეთნონიმი „აზერბაიჯანელი“ კი ძველი ირანის პროვინციის ატროპატენის სახელწოდების სახეცვლილი ფორმიდანაა მიღებული. ისტორიაში დადასტურებულია პირიქითი ფაქტებიც: გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყნის სახელი) მიღებულია ეთნონიმებისაგან. შორს რომ არ წავიდეთ ამ რიგის მაგალითად „საქართველო“ შეიძლება დავასახელოთ: „ქართვ-ელი“ → „საქართვ-ელო“, თუმცა „ქართველი“ როგორც ეთნონიმი ქვეყნის სახელიდან (გეოგრაფიული სახელწოდებიდან) – „ქართლი“ იყო წარმოქმნილი. ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ამა თუ იმ ეთნოსმა სახელწოდება ცნობილი მმართველების საკუთარი სახელებიდან მიიღო. ფეოდალთა ანდა დინასტიათა სახელების ხალხებზე გადატანა ფეოდალიზმის პერიოდში მანიფესტაციური ეთნონიმების გავრცელებული ფორმა იყო. მაგალითად, შეიძლება ეთნონიმები „უზბეკი“ და „ნოღაელი“ დავასახელოთ. ისინი მომთაბარე ტომობრივი ჯგუფების ხანთა საკუთარი სახელებიდან მომდინარეობენ. როგორც მეცნიერებაში აღიარებულია ნოღაელები ერთ დროს ძლიერი თურქულენოვანი ხალხის „გუზების“ შთამომავალნი არიან, რომლებიც ჯერ კიდევ X-XI სს-ში კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, მდინარეების ვოლგასა და ურალს შორის ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ. თურქთა ერთ-ერთი ეთნონიმი – ოსმალები სელჯუკიდების სახელმწიფოში (XII საუკუნის შუა ხანები – XIV საუკუნის შუა ხანები) არსებული მმართველის სახელიდან არის მიღებული. იმ პერიოდში სიტყვა „თურქი“ მხოლოდ გლეხობას მიესადაგებოდა და არისტოკრატიაში „ტეტიის“, „ბნელი ხალხის“ აღმნიშვნელი იყო. როგორც ვხედავთ, ხალხთა დიდი გადასახლების დროიდან პრესტიჟული მანიფესტაციური სახელები ხშირად ენდოეთნონიმებად (თვითსახელწოდებებად) იქცეოდნენ, რომლებიც შეგნებულად ირჩეოდა ანდა პოლიტუკური ბატონობის შედეგად ვრცელდებოდა. პოლიტიკური მოფლიოს ძალიან ბევრ ხალხს რამდენიმე სახელი აქვს. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ ეთნონიმია საკუთარ სახელებს შორის (ტოპონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, კოსმონიმები) ერთადერთია, რაც აუცილებელი პარალელიზმით ხასიათდება. ეთნონიმთა შორის ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთი მათგანი აუცილებლად თვითსახელწოდებაა (ენდოეთნონიმია), მე-

ორე კი გარესახელწოდებაა (ეგზოეთნონიმია). მაგალითად, ქართველებს ჩვენ თავს მხოლოდ ქართველები ვუწოდებთ. ამ სახელით საქართველოს ტერიტორიის გარეთ არავინ არ გვიცნობს. სომხებისათვის „ვრაც"-ები ვართ (ძველსომხურად „ვირკ"), რუსებისათვის – „გრუზინ"-ები, ირანელებისა და თურქებისათვის (აგრეთვე მაჰმადიანი ჩრდილოკავ-კასიელებისათვის) – „გურჯ"-ები, ფრანგებისათვის – „ჟეორჟიენ", ესპანელებისათვის – „ხეორხიანოს", ინგლისელებისათვის – „ჯორჯიან". ყაბარდოელებისათვის ქართველი „სონე"-ა, ბალყარელისათვის – „ებზე". გერმანელთა თვით სახელწოდებაა (ენდოეთნონიმია) „დოიჩ", რუსები მათ „ნემეცკ"-ს უწოდებენ, ინგლისელები – „ჯიომენ"-ს, ფრანგები „ალემან"-ს, იტალიელები – „ტედესკო"-ს, ფინელები – „საქსალაინენ"-ს, სერბები – „შვაბ"-ს. რაც შეეხება ეთნონიმს „გერმანელი", ის სხვადასხვა ხალხში კელტებიდან გავრცელდა. ამრიგად, ეთნონიმებიდან, აშკარად ჩანს, რომ ამა თუ იმ ეთნიკური სახელის მატარებლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის ერთიანობა და რომ სხვა ეთნოსებს ისინი სახელით (ეთნონიმით) უპირისპირდებიან (ფორმულა „ჩვენ" – „ისინი"). ყველა ეთნოსი სახელით გამოარჩევს თავის თავს სხვა ეთნიკური ერთობებისაგან. გერმანელთა აღმნიშვნელი რუსული ეთნონიმია „ნემეცი". ფიქრობდნენ, რომ მას გამჭვირვალე ახსნა ჰქონდა – ხალხი, რომელიც ჩვენებურად არ ლაპარაკობს, ე. ი. მუნჯი. მაგრამ უფრო მეტი საფუძველი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ეთნონიმი „ნემეცი" მომდინარებს ძველგერმანული ტომიდან, რომელსაც რომაელი ავტორები Nemetes უწოდებდნენ. ზოგიერთი ინდოევროპული ენით კი ეს სიტყვა იხსნება როგორც „მოხეტიალე", „მომთაბარე".ამრიგად, ლინგვისტური ანალიზი გვეხმარება ეთნონიმთა ისტორიული სემანტიკის, მათი თავდაპირველი მნიშვნელობის გარკვევაში.

საისტორიო ტრადიციით ეთნონიმთა ნაწილი წინაპრის სახელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, სომეხთა თვითსახელწოდებაა „ჰაი". სხვები სომხებს ძირითადად „არმენ"-ების სახელით იცნობენ (თურქულენოვანი ხალხებისათვის ისინი „ერმენელი"-ს წარმოადგენენ). სომხური საისტორიო ტრადიციითაც სომხები ორი ძმის „ჰაიკის" და „არმენიკის" შთამომავალნი არიან. გადმოცემით ყაბარდოელების მამამთავარს სახელად ერქვა „ყაბარდა", რომელმაც თავისი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მიიყვანა. ეთნონიმიც აქედან მომდინარეობს. ქართული საისტორიო ტრადიციითაც ეთნონიმი „ქართველი" ეთნარქიდან – ქართლოსისაგან მომდინარეობს, თუმცა ეს მხოლოდ ლეგენდაა და ამდენად დამაჯერებლობას მოკლებულია.

ეთნონიმთა უმეტესობა დროთა განმავლობაში გავრცელების არეს იცვლიდა. თავდაპირველად ესა თუ ის ეთნონიმი მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილის, ჰატარა ჯგუფის აღმნიშვნელი იყო. შორს რომ არ ნავიდეთ, ისევ ეთნონიმის – „ქართველი" შესახებ შეიძლება ვთქვათ. „ქართველი" თავდაპირველად საქართველოს ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ქართლის მკვიდრებს აღნიშნავდა. შემდეგ ეს ეთნონიმი საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებზე გავრცელდა, – ის მიეკუთვნა იმერელსაც, მეგრელსაც, სამცხელსაც, ტაოელსაც, აფხაზსაც, დვალსაც, სვანსაც, კახელსაც, ჰერსაც, ფხოველსაც..., რადგან ქართუ-

ლი ტომების არა მარტო ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში (სახელმწიფოში), არამედ ერთ კულტურულ-ისტორიულ არეალში გაერთიანება ქართლისა და ქართლელთა გარშემო მოხდა. ასე გაიფართოვა გავრცელების არეალი ეთნონიმმა „ფრანგი". თუმცა უფრო ადრე ამ ეთნონიმით ერთ-ერთი გერმანული ტომი აღინიშნებოდა, რომელთა სახელწოდება ახლად შექმნილ ეთნოსს გადაეცა. თავდაპირველად ის დღევანდელი საფრანგეთის ერთი პროვინციის, მეფის დომენის, ილ-დე-ფრანსის მაცხოვრებლებს მიეკუთვნებოდა. შემდეგ, აღნიშნული ეთნონიმი სხვა პროვინციიების, ნავარას, ბეარნის, ბურგუნდიის, აკვიტანიის, ელზასის, ლოტარინგიის, პროვანსის მკვიდრებზედაც გავრცელდა. IX სმდე „ჩეხები" დასავლეთ სლავების ერთ პატარა ტომს ეწოდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ მრავალი სლავური ტომი გააერთიანეს, ახალმა ეთნიკურმა ერთობამ გამაერთიანებელი ჩეხების სახელწოდება მიიღო, გაერთიანებული ტომების სახელწოდებანი კი გაქრა. სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, უნდა დავასკვნათ, რომ ხშირად ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება მთელ ხალხებს გადაეცემა. იგივე შეიძლება ითქვას ეგზოეთნონიმებზეც. მაგალითად, ფრანგებისათვის გერმანელები „ალემანები" არიან, ლატვიელებისათვის რუსები – „კრივიჩები". ალემანები გერმანელთა ერთ-ერთი ტომობრივი გაერთიანება იყო, რომლებთანაც ფრანგებს ხშირი კონტაქტი ჰქონდათ. კრივიჩები კი ლატვიელებთან ახლოს განსახლებული ერთ-ერთი აღმოსავლეთ-სლავური ტომი გახლდათ.

რადგან ეთნოგრაფიული ჯგუფები ვახსენეთ, ორიოდე სიტყვით მათი სახელწოდების შესახებაც უნდა აღვნიშნოთ. ხალხთა (ეთნოსთა) უმეტესობა ეთნოგრაფიულ ჯგუფებად იყოფა, რომელთა წარმოქმნა განპირობებულია ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული ცხოვრებით, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ერთი სიტყვით, ეთნოსთა ეს დანაყოფები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების სპეციფიურობით ხასიათდებიან. ამავე დროს ყველა ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის დამახასიათებელია შესაბამისი დიალექტი, კილო-კავი ანდა ენობრივი განსხვავებულობაც კი. **ესპანელების ეთნოგრაფიული ჯგუფები არიან კასტილიელები, ასტურიელები, ლეონელები, ესტრემადურიელები, არაგონელები, ანდალუზიელები, ვალენსიელები... იტალიელებისა – ვენეციელები, ლიგურიელები, კალაბრიელები, ლომბარდიელები, პიემონტელები, ტოსკანელები, სიციელიელები.** დასახელებული **ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებანი ეთნონიმები არაა (ზოგჯერ არასწორად მათ ეთნონიმებად მოიხსენიებენ).** ეთნონიმებია მხოლოდ ზემოთ დასახელებული ჯგუფების გამაერთიანებელი სახელწოდებანი – ესპანელები, იტალიელები. იგივე შეიძლება ითქვას ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებებზეც (ქართლელი, კახელი, იმერელი, აჭარელი, გურული, მეგრელი, სვანი, მესხი, ჯავახი და სხვა).

მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ **ხშირად ეთნონიმი არა მხოლოდ ფონეტიკურად იცვლებოდა, არამედ ობიექტსაც იცვლიდა.** დადასტურებულია არაერთი შემთხვევა ეთნიკური კონტაქტების შედეგად ეთნონიმის ერთიდან მეორე ხალხზე გადაცემისა. ასეთ შემთხვევაში ხშირად ეთნონიმების ბულგარე-

ლის, ფრანგის, რომაელის და სხვათა მაგალითები მოჰყავთ. დღეს ბულგარელები სლავები არიან. თავდაპირველად კი ეთნონიმი ბულგარელი თურქულენოვანი ხალხის სახელწოდება იყო, რომლებიც ვოლგისპირეთისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარეობდნენ. თრაკიაში სლავი ტომები თურქმა ბულგარელებმა დაიპყრეს. მათ აქ სახელმწიფოც შექმნეს და ზედა ფენასაც ისინი წარმოადგენდნენ – ქვეყანა ბულგარეთად, ხოლო ქვეყნის მკვიდრნი ბულგარელებად იწოდნენ (მოსული ბულგარელები სლავებში გაითქვიფნენ). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბულგარელთა ეთნონიმმა განვითარება ჰპოვა აგრეთვე სხვა თურქულენოვან ხალხში – ბალყარელებში, რომლებიც დღეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის მკვიდრნი არიან. გერმანულენოვანმა ფრანკებმა რომანიზებული გალია დაიპყრეს. რომანიზებული გალების თვითსახელწოდება (და ეგზოეთნონიმიც) „ფრანსე" („ფრანგი") გახდა. მაკედონიელები დღეს სლავები არიან. მაგრამ ოდესღაც დღევანდელი მაკედონიის ტერიტორიაზე სხვა ხალხი – მაკედონიელები ცხოვრობდნენ (ალექსანდრე მაკედონელი ამ ეთნოსის წარმომადგენელი იყო), რომლებსაც არავითარი საერთო არც ეთნიკური კულტურის, არც ენობრივი თვალსაზრისით არ ჰქონდათ დღევანდელ მაკედონელებთან. მაკედონიის ტერიტორიაზე VI ს-ში მოსულმა სლავებმა აქ ანტიკურ პერიოდში მცხოვრები ხალხის ეთნონიმი საკუთარ ეთნონიმად აქციეს. ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბალტიელი ხალხი – პრუსები (ლიტველებისა და ლატვიელების მონათესავენი) მკვიდრობდნენ. XII-XIII სს-ში მათი ტერიტორია გერმანელებმა დაიკავეს. პრუსების ნანილი გერმანელებმა გაანადგურეს, ნანილი კი ასიმილირებულ იქნა. პრუსიის მიწაზე შექმნილი გერმანული სახელმწიფო პრუსიად იწოდა და აქ მცხოვრები გერმანელები – პრუსიელებად. დადგენილია, რომ ეთნონიმი „რუსი-როსი" არასლავურია. სხვადასხვა ჰიპოთეზებს შორის დღეს რუსულ მეცნიერებაში უმეტესად გაზიარებულია თეორია, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ეთნონიმი თავდაპირველად ირანული ტომების საკუთრება იყო და ადგილობრივი ირანულენოვანი მოსახლეობის სლავიზაციის შედეგად მათი ეთნიკური სახელნოდება სლავების მიერ იქნა შეთვისებული (ვ. სედოვი). როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ეთნონიმის შინაარსის კარდინალური შეცვლა ძველი ისტორიის პერიოდშიც ხდებოდა. მაგალითად, მცირე აზიაში თავდაპირველად **ხათები** მკვიდრობდნენ. მათი ეთნიკური რაობის და ენის შესახებ არაფერია ცნობილი. ძვ.წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის დასაწყისში ისინი ინდოევროპელებმა დაამარცხეს. გამარჯვებულებმა დამარცხებულთა ეთნონიმი „ხეთ"-ის ფორმით მიიღეს.

ამრიგად, აშკარაა, რომ ეთნონიმები საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ, მაგრამ ისტორიის ერთ ეტაპზე ესა თუ ის სახელწოდება თუ ერთ რომელიმე ხალხს აღნიშნავდა, მეორე იტაპზე – მეორეს და შესაძლებელია მესამე ეტაპზე მესამე, სრულიად სხვა ხალხი აღნიშნოს. აქედან გამომდინარე, მკვლევარებს დიდი სიფრთხილე მართებთ, როდესაც საისტორიო წყაროებში ამა თუ იმ ეთნონიმს ამოიკითხავენ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურა, რომელშიც ეთნონიმი „აფხაზი" გვხვდება არა დღევანდელ

აფხაზთა აღსანიშნავად, რომელთა თვითსახელწოდება „აფსუაა", არამედ ის სინონიმია ეთნონიმისა „გურჯი", ე.ი. ქართველის.

ეთნონიმის შინაარსი მისი ობიექტის შეცვლისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება შეიცვალოს. ხშირად ერთი ხალხის ეთნონიმი მეორე ხალხზე გადაპქონდათ. შავიზღვისპირეთში XIX ს-ში მოლდოველებს ზოგჯერ ბერძნებისა და ციგნების სახელებით მოიხსენიებდნენ. XX ს-ის 20-იან წლებამდე რუსეთში ეთნონიმი „**ყირგიზი**" აღნიშნავდა არა ყირგიზებს (მათ ყარაყირგიზებს უწოდებდნენ), არამედ ყაზახებს. VIII ს-ის შუა აზიაში ტერმინი „**ტაჯიკი**" არაბს (ე.ი. ხალიფას მეომარს) აღნიშნავდა, შემდეგ კი იგი აქაური სპარსულენოვანი ხალხის ეთნონიმად იქცა. უეჭველია, რომ ეთნონიმების ერთი ხალხიდან მეორეზე გადატანა უფრო ხშირი იყო დამწერლობის შექმნამდე, უდამწერლობო ხალხებში და ის ძირითადად მეზობელი თუ შორეული ხალხების ისტორიის არასაკმარისი ცოდნით იყო განპირობებული. რაღა შორს ნავიდეთ, XVIII ს-ში რუსეთში „**ნემეცი**" აღნიშნავდა არა მხოლოდ გერმანელს, არამედ სხვა გერმანიკული მოდგმის ხალხსაც. მაგ., ჰოლანდიელსაც, დანიელსაც და ა.შ. „**ლიტვანი**" ბელორუსსაც მიესადაგებოდა, პუშკინის მიხედვით, პოლონელსაც. ფრანგი ბევრ ხალხში (და მათ შორის, ქართველებშიც) ევროპელთა, უფრო სწორად, ევროპაში მოსახლე სხვადასხვა კათოლიკე ხალხთა სინონიმიც იყო. ძველი ისტორიკოსები ხშირად სხვადასხვა ხალხთა ნაკრებს ერთი ეთნონიმით, ყველაზე ძლიერი და დიდი ხალხის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ. ამის მაგალითად „**ხაზარები**" და „**სკვითები**" შეიძლება დავასახელოთ. ელინიზმის ეპოქაში ეთნონიმს „სკვითი" შავიზღვისპირეთიდან თითქმის შუა აზიამდე განსახლებულ მომთაბარე ტომებსაც მიუსადაგებდნენ. მეცნიერი ხშირად შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს ძველწყაროთა ჩვენებებმა. გვიანდელი ისტორიკოსები ზოგჯერ როდესაც აღწერენ დაახლ. ათასი წლის წინანდელ მოვლენებს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე და აქ თუ ეთნოსი შეცვლილია, ძველი ეთნოსის სახელწოდების აღსანიშნავად მის დროს მცხოვრები ხალხის ეთნონიმს გამოიყენებენ. მაგალითად, როდესაც „ქართლის ცხოვრება" აღწერს ჩრდილოეთ კავკასიურ მოვლენებს V საუკუნისათვის ხშირად ახსენებს ოსებს. სინამდვილეში კი ჰუნები იგულისხმებიან.

ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში შეიცვალა, გაფართოვდა, სხვა ხალხებს მიეკუთვნა ეთნონიმები: „თურქი", „**თათარი**", „**რომაელი**". თავდაპირველად რომაელი („რომეი") თუ აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ლათინურენოვან ეთნოსს მიესადაგებოდა, შემდეგ ეს ეთნონიმი ბიზანტიურმა ეთნოსმა მიისაკუთრა და „რომეი" მათ თვითსახელწოდებად იქცა („ურუმს" უწოდებდნენ თავიანთ თავს თურქეთიდან 1830-იან წლებში საქართველოში, თრიალეთში გადმოსახლებული თურქულენოვანი ბერძნები). თუმცა, სინამდვილეში ისინი რომისა და რომაელთა მესაფლავენი იყვნენ და მომდინარეობდნენ მცირე აზიის, სირიის, ეგვიპტის პოლიეთნიკური ქრისტიანული თემებიდან. შემდეგ სახელწოდება „რომაელი" რუმინელებზეც გავრცელდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთ ხალხში ეთნონიმი „ფრანგი" ევროპის მკვიდრ სხვადასხვა კათოლიკე ხალხთა სინონიმი იყო. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ეთნონიმის „თათარი" შესახებაც. ამ ეთნონიმმა განვითარე-

ბის რთული გზა გაიარა. თავდაპირველად აღნიშნულ ტერმინს ჩინელი მემატიანეები ჩინეთის ჩრდილოეთით მცხოვრებ ყველა „სტეპნიაკს" მიუსადაგებდნენ. უხეშად რომ შევადაროთ, მას თითქმის ისეთივე შინაარსი ჰქონდა, როგორც ევროპელს, რომელშიც იტალიელსაც ეგულისხმობთ და დანიელსაც, პოლონელსაც და უნგრელსაც. სინამდვილეში ეთნონომი თათარი მრავალრიცხოვანი სტეპური ტომებიდან ერთ-ერთის სახელწოდება იყო. თათრები მონღოლებთან მტრულ დამოკიდებულებაში იყვნენ, მაგრამ მალე ისინი საერთო მონღოლურ სახელმწიფოში შევიდნენ. მონღოლებმა როგორც სხვა ტომების, ისე თათრების ასიმილირება ადვილად მოახდინეს. მას შემდეგ მონღოლებმა მეორე სახელწოდება „თათარი" მიიღეს. გვიან ეს ეთნონიმი მაჰმადიანური სარწმუნოების რამდენიმე თურქულენოვანმა ხალხმა მიიღო (ყირიმის თათრები, ყაზანელი თათრები, ასტრახანელი თათრები). ქართველთათვის (საერთოდ ქრისტიანთათვის) „თათარი" იყო ყველა მუსლიმური სარწმუნოების ხალხი, მათ შორის, მაჰმადიანი ქართველიც ამ ეპითეტის მატარებელი ხდებოდა (ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები ოცამდე სხვადასხვა მართლმადიდებელი სარწმუნოების ეთნოსი ბიზანტიელად, ე.ი. ბერძენად (თვითსახელწოდება „რომეი") იქცა. ამ მხრივაც ხდებოდა ხალხების (ეთნოსების) მიერ სახელების შეცვლა. მაგალითად, ხაზართა შთამომავლების გარკვეული ნანილი ოქროს ურდოს ეთნიკურ კონგლომერატში გაითქვიფა და მუსლიმური სარწმუნოების გამო ისინი მექანიკურად თათრებად იქცნენ. ასევე თათრებად ინოდნენ დონისპირეთის ყივჩაღები, რომლებიც ადრე თათარ-მონღოლთა დაუძინებელი მტრები იყვნენ.

ეთნონომებთან მიმართებაში მეცნიერებს შემჩნეული აქვთ შემდეგი გარემოებაც. ესაა რამდენიმე ხალხის მიერ ერთი სახელწოდების ტარება, რაც ძირითადად გარესახელწოდებაზე (ეგზოეთნონიმებზე) ვრცელდება. მაგალითად, ანტიკური წყაროები იბერიელებს უწოდებენ აღმოსავლეთ ქართველებს და პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ მოსახლეობას – ესპანეთის ძველ მკვიდრებს. ალბანელები ეწოდებოდათ ქართველთა მეზობელ, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მკვიდრ ეთნოსს და ალბანელებს უწოდებენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხს, რომელთა თვითსახელწოდებაა „შიპტარ". „ავარები" ერქვა ერთ-ერთ თურქულენოვან ხალხს, რომლებიც VI ს-ის შუახანებში დუნაისპირეთში შეიჭრნენ და პანონიაში დასახლდნენ. მემატიანეებს მათ თავი იმით დაამახსოვრეს, რომ ისინი თარეშობდნენ გერმანიის, იტალიის და ევროპის სხვა ქვეყნების სიღრმეებში. მხოლოდ VIII ს-ის ბოლოს შეძლეს კარლოს დიდის მხედართმთავრებმა ავარების განადგურება და მას შემდეგ, როგორც ეთნოსი, ისინი გაქრნენ. რა თქმა უნდა, თურქულენოვან ავარებთან არავითარი საერთო არა აქვს დაღესტნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეთნოსს „ავარიელებს" (ქართულად „ხუნძებს". ავარიელთა ქართული სახელწოდება „ხუნძები" ტოპონიმიდან, სოფლის სახელიდან – „ხუნძახი" მომდინარეობს), რომელთა თვითსახელწოდებაა „მაარულალ", რაც მათ ენაზე მთიელს ნიშნავს. ეს საერთო ეთნონიმი მხოლოდ შემთხვევითია, როდესაც, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ავარები თურქები იყვნენ, კავკასი-

ელი ავარიელები (ხუნძები) კი კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთ ენაზე ლაპარაკობენ.

ეთნონიმებთან დაკავშირებით მოკლედ უნდა აღინიშნოს ერთი მოვლენის შესახებ, რომელიც ბოლო დროს გავრცელდა. ესაა ადრინდელი სახელწოდების (მკვდარი ეთნონიმის) თანამედროვე ეთნოსებისათვის მიკუთვნება. ამის ნათელი მაგალითია ოსების მიერ თავიანთი საცხოვრებელი ტერიტორიისათვის (ოსეთისათვის) მეორე სახელის – ალანეთის და შესაბამისად ეთნონიმის – ალანების მისაკუთრება. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ ადრინდელი სახელების თანამედროვე თაობებისათვის თავს მოხვევას „აზრი არა აქვს არა მარტო როგორც უბრალოდ ანაქრონიზმის აღორძინების, არამედ რიგ (და უმეტეს) შემთხვევაში ეს ეთნიკურადაც გაუმართლებელია, რამდენადაც პრაქტიკულადაც ვნებს ხალხთა შორის ურთიერთობას". ეთნონიმი „ალანი" ოსებისათვის უცნობი იყო. ის მათი არც ენდოეთნონიმი და არც ეგზოეთნონიმია. იმ თვალსაზრისითაცაა მიუღებელი ოსების თვითსახელწოდებად „ალანების" გამოყენება, რომ ისინი, როგორც ეთნოსი კავკასიაში ადგილობრივი კავკასიური ტომების და მოსული ირანულენოვანი ეთნიკური ერთეულის შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ამასთანავე, ცნობილია, რომ სახელწოდება „ალანი" I-IV სს-ში ევრაზიის სტეპებში მცხოვრებ ყველა ნომადზეც ვრცელდებოდა თუ ისინი ნეს-ჩვეულებებით, ცხოვრების ველური წესითა და შეიარაღებითაც მათ ჰგავდნენ. სხვათა შორის, მეგრულ მეტყველებაში ალანები ენოდებოდა ჩრდილოეთკავკასიელ თურქულენოვან ხალხს, ყარაჩაელებს. ასევე გაუმართლებელი იქნებოდა ქართველებს საქართველოსათვის იბერია და ქართველებისათვის იბერიელები გვეწოდებინა, რადგან ამ სახელწოდებებმა ისტორიას, დროს ვერ გაუძლო და დღევანდელი ეგზოეთნონიმები კი ტრადიციულადაა ჩამოყალიბებული. ნარუმატბელი აღმოჩნდა XVIII ს-ში საქართველოსა და ქართველების აღსანიშნავად მკვდარი სახელწოდების „იბერიის" და „იბერიელების" („ვერიისა" და „ივერიელების" ფორმით) აღორძინება.

მსოფლიოში დღეს 6.000-მდე ეთნოსს ითვლიან, მაგრამ ეთნონიმთა რაოდენობა ბევრად დიდია, რადგან ხალხთა უმეტესობას ენდოეთნონიმთან ერთად რამდენიმე ეგზოეთნონიმიც აქვს. კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი ეთნონიმი გაქრა, ეთნიკურ სახელთა შედარებით მცირე რაოდენობამ კი დროს გაუძლო და დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს. ბევრმა ეთნონიმმა ჩვენამდე საერთოდ ვერ მოაღწია. ზოგიერთი აწ არარსებული ხალხის ეთნონიმი კი შეიძლება სადმე რომელიმე ხალხის მეტყველებაში ახლაც აღმოვაჩინოთ. მაგალითად ანტიკურ წყაროებს ევრაზიის სივრცეში, დაახლოებით კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე ფიქსირებული ჰყავთ **სავირები** (ფიქრობენ რომ ისინი ჰუნთა ერთ-ერთი ტომი იყო. სხვა მოსაზრებით მადიარებს ანდა თურქებს ენათესავებოდნენ). დასავლეთ საქართველოს მთიელთა – სვანთა მეტყველებაში დღეს სავირებს ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან ბალყარელებს უწოდებენ (ზოგჯერ ოსებსაც). ეს მასალა კი უდავოდ გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიაზე ოდესღაც სავირებსაც უცხოვრიათ, რომელთა სახელი ჯერ აქ მოსულ ირანულე-

ნოვან ხალხზე, ოსებზე გადავიდა, შემდეგ კი თურქულენოვან ბალყარელებზე. მეგრულ მეტყველებაში თურქულენოვანი ყარაჩაელების აღმნიშვნელი ეთნონიმი, როგორც აღვნიშნეთ, არის ალანები, რაც ასევე იძლევა საშუალებას დანამდვილებით დავასკვნათ, რომ ყარაჩაელების მინა-წყალზე მათ მოსვლამდე ოსთა ახლო მონათესავე ალანები მკვიდრობდნენ (რომლებიც კავკასიის ველებში ჰუნთა შემოსევების შემდეგ გამოჩნდნენ) და ადრინდელი მოსახლეობის სახელი შემდეგ მოსულებს მიეკუთვნა.

მეცნიერები ხშირად სვამენ კითხვას: როდის წარმოიქმნა ეთნონიმები? პასუხი მარტივია: როდესაც ეთნოსები (ხალხები) ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც გამოკვეთილი ეთნიკური თვითშეგნება ჰქონდათ. ეს კლასობრიობამდელ საზოგადოებაში მოხდა. თუმცა ეთნონიმთა წარმოქმნა, ახლის შექმნა, დავიწროება თუ გაფართოვება მუდმივი მოვლენა იყო, რადგან ეთნოსები (ხალხები) ისტორიის ყველა ეტაპზე ფორმირდებოდნენ. ერთი რამ კი აშკარაა, შეიძლება ერთი ენობრივი ერთეული ჩამოყალიბებული ყოფილიყო, მაგრამ ერთი ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონდათ და არც ერთი ეთნონიმის მატარებელნი ყოფილიყვნენ. ამის დამადასტურებელი მაგალითები დაღესტნიდან შეიძლება მოვიყვანოთ. ა. დირი აღნიშნავდა, რომ დაღესტნის ხალხებს ოქტომბრის რევოლუციამდეც კი არ ჰქონდათ ეთნიკური სახელი. ნიშანდობლივია, რომ დაღესტნურ ენებში ეთნონიმი და ტოპონიმი ერთიდაიგივე სიტყვით გამოიხატება. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ლაკებში ყოველი სოფლის სახელნოდება აღნიშნავს როგორც აულს, ისე მასში მცხოვრები ხალხის ერთობლიობას. ლაკური აულის სახელწოდება ერთდროულად ეთნონიმურიცაა და გეოგრაფიულიც. საერთო სახელწოდება არ ჰქონდათ ოსებსაც, თუმცა მეზობელი ხალხები მათ ერთიან ხალხად აღიქვამდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დადასტურებული აღნიშნული მოვლენა, როგორც ჩანს, ამ ხალხების იზოლაციური ცხოვრების შედეგი იყო. ამავე დროს აშკარაა, რომ საერთო ენის ჩამოყალიბების პროცესი წინ უსწრებდა ერთიანი ეთნიკური თვითშეგნების, იდენტობის გამოხატულებას და შესაბამისად საერთო ეთნონიმის წარმოქმნასაც, რისთვისაც საჭირო იყო საერთო ისტორიული ბედი და პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. ამასთანავე, ერთიან ენობრივ კოლექტივს საერთო ეთნონიმისათვის (ენდოეთნონიმისათვის) აუცილებლად სჭირდებოდა სხვა ეთნოლინგვისტურ ჯგუფთან დაპირისპირება.

ზემოთ აღინიშნა, რომ ბევრ ხალხს მრავალი ეთნონიმი აქვს და ეს ეთნონიმები ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინ კლასობრიობამდელ და ადრეკლასობრივ ეპოქაში წარმოიქმნა. როგორც ირკვევა, ენობრივი განსხვავებულობა მაშინ გადამწყვეტ როლს არ თამაშობდა, განსაკუთრებით უნდა ითქვას ეგზოეთნონიმების შესახებ. საისტორიო წყაროებით არ ჩანს, რომ მესოპოტამიის ძველი ხალხები ენების მიხედვით იყოფოდნენ. სამაგიეროდ ეთნოსების განვითარების პირველ ეტაპებზე ადამიანები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სამეურნეო და კულტურულგანმანაწილებელ თავისებურებებს. „ჩვენ“ და „ისინი“, „თვისი“ და „სხვის“ მიხედვით ფსიქოლოგიური განსხვავება გამოიხატებოდა სამეურნეო-კულტურული ტიპების გამომხატველ ცნებებში. ჩრდილოეთით

მცხოვრებ, ზღვის ცხოველების რეწვით დაკავებულ ადამიანებს, მეზობლები „ზღვის ადამიანებს", „მინურების ანდა თოვლის ქოხების ბინადრებს" უწოდებდნენ. ასეთი ეთნონიმები აქვთ მაგალითად ესკიმოსებს. ეთნონიმი „ბედუინი" კი მომდინარეობს არაბული სიტყვიდან „ბედუ", რაც სტეპს ნიშნავს. ბინადარი ევენკები თავის თავს უწოდებენ „მენელ" („ერთ ადგილას მცხოვრებნი"), მეზობლად მცხოვრებ ირმებით მომთაბარეებს – „ოროჩელ" („მეირმეები"). ამრიგად, სამეურნეო-კულტურული ტიპის მიხედვით წარმოქმნილი ეთნონიმები ან აღნიშნავენ მოცემული ხალხის მეურნეობის წამყვან დარგს, ან მასთან დაკავშირებულ ცხოვრების წესს. ასეთ სახელწოდებებს ჩვეულებრივ მეზობლები აკუთვნებდნენ. სამეურნეო-კულტურული ტიპის მიხედვით წარმოქმნილ ეთნონიმებში, ჩვეულებრივ, სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ნიშანია არჩეული. მაგალითად, ბიზანტიელი ავტორი პროკოფი კესარიელი სკანდინავიის ჩრდილოეთით მობინადრე საამებს (ლოპარებს) „სხრიტიფიონთა" სახელით მოიხსენიებს. პროკოფისავე სიტყვით ეს ეთნონიმი ნორვეგიული ენით იხსნება და თხილამურებზე მოსიარულეებს ნიშნავს. სხვა ავტორები კი მათ „ფენიებს" უწოდებდნენ.

ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ ეთნონიმებად ხშირად საზოგადო სახელები იქცეოდნენ. შენიშნულია პირიქითი მოვლენაც, როდესაც განვითარების რაღაც ეტაპზე ეთნონიმები პროფესიის, კასტის და ა. შ. აღმნიშვნელნი ხდებოდნენ. მაგალითად, ესტონურ ენაში თავდაპირველად სიტყვა saks- გერმანელი იწოდებოდა. მაგრამ შემდეგ ის „ბატონს" აღნიშნავდა. გერმანული სიტყვა der Hune (ბუმბერაზი, გოლიათი) ჰუნების სახელწოდებიდან მომდინარეობს, იმავე მნიშვნელობის ჩეხური სიტყვის (obr) საფუძველი კი „ობრებიდან" (ავარებიდან) არის მიღებული. ქართულ სიტყვას გმირს კი კიმირიელ ხალხს უკავშირებენ.

ამრიგად, ასეთია მხოლოდ ზოგიერთი მონაცემი ეთნონიმების შესახებ. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ეთნონიმები ისტორიის შესანიშნავი მოწმეები არიან, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც გაუშიფრავია. ისტორიკოსისათვის, ეთნოლოგისათვის, ლინგვისტისათვის ეთნონიმი ძვირფასი საისტორიო დოკუმენტია.

თემა XIX

ეთნოსი და ეთნიკური კულტურა

ეთნოლოგიის (სოციოკულტურული ანთროპოლოგიის) ძირითადი ცნებები ეთნოსი და კულტურაა, უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, ეთნიკური კულტურა. ეთნოსთან, ეთნიკურ კულტურასთან ერთად ის საზოგადოებსაც და მათ კულტურასაც სწავლობს. ეთნიკური კულტურა, საზოგადოების კულტურა ის ცნებებია, რითაც ეთნიკური ერთობები, სხვადასხვა საზოგადოებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ე.ი. ყოველ ეთნოსს, ყოველ საზოგადოებას თავისი სპეციფიკური კულტურა ახასიათებს, კულტურა მხოლოდ გარკვეულ საზოგადოებაში და გარკვეულ ეთნოსში გამომჟღავნდება. ეთნოლოგებს, სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლებს უხდებათ როგორც დიდი ეთნოსების (საზოგადოებების), ისე პატარა ეთნოსების (საზოგადოებების) შესწავლა. მაგალითად მრავალრიცხოვანნი არიან ჩინელები, ამერიკელები, რუსები. მცირერიცხოვნებით გამოირჩევიან ლივები (დაახლოებით 130 კაცი), ტასოდაი (დაახლოებით 30 კაცი. იზოლირებულად ცხოვრობენ ფილიპინების მთებში). აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთნოლოგიას კულტურა აინტერესებს ეთნოსებთან მიმართებაში, ე. ი. მისი ინტერესის სფეროში შედის ეთნიკური კულტურა, თუმცა ეთნიკური კულტურის დახასიათებამდე უპრიანია ზოგადად კულტურის შესახებ შევიქმნათ წარმოდგენა.

§1. კულტურის ცნება. კულტურის შესწავლით მეცნიერების რამდენიმე დარგია დაინტერესებული. კულტურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ეთნოლოგია (სოციოკულტურული ანთროპოლოგია) იჩენს. ბუნებრივია, ეთნოლოგიას კულტურა ეთნოსებთან მიმართებაში აინტერესებს. აქედან გამომდინარე, ეთნოლოგიური მეცნიერება უმთავარესად ეთნიკური კულტურის შესწავლით არის დაინტერესებული. ეთნიკური კულტურის არსის გაგებამდე აუცილებლად უნდა შევეხოთ ცნებას „კულტურა". ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში დიდი ცოდნის დაგროვებისა და ხანგრძლივი დებატების მიუხედავად, კულტურის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებები ერთი მეთოდოლოგიური მიდგომით არ ხელმძღვანელობენ. „კულტურა" ფართო და ყოველისმომცველი ცნებაა; ის მრავალი ფენომენის მომცველია და მრავალი მნიშვნელობითაც გამოიყენება. კულტურის ცნების განმარტება არაერთმა მეცნიერმა მოგვცა. ამ ცნების (ტერმინის) თანამედროვე მნიშვნელობით გამოყენება ევროპაში ისეთმა მოაზროვნეებმა დაიწყეს, როგორებიც იყვნენ ჯ. ვიკო, ი. გერდერი, შ. მონტესკიე. ამ პერიოდში ხდება ევროპელთა ექსპანსიის ტალღების სხვადასხვა მი-

მართულებით გაძლიერება. ბუნებრივია, ევროპელებმა დაიწყეს საკუთარი კულტურული ფასეულობების, სტერეოტიპების, ცხოვრების წესის შედარება აქამდე უფრო ნაკლებად ცნობილ, ანდა საერთოდ უცნობ ხალხებთან. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც საერთოდ აღნიშნულია სახელმძღვანელოებში, ცნებამ „კულტურა" სამეცნიერო სტატუსი შეიძინა. XIX საუკუნის დასაწყისში კი სიტყვა „კულტურა" ან სიტყვა „ცივილიზაციის" სინონიმი იყო, ანდა მისი ანტონიმი. ეთნოლოგიის ყველა მიმართულებას ცნების „კულტურის" მიმართ თავისი დამოკიდებულება ჰქონდა. „კულტურის", როგორც სამეცნიერო ტერმინის ხმარება პირველად ევოლუციონისტებმა დაიწყეს, რომელთათვისაც ის იყო ამა თუ იმ საზოგადოებისათვის, ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი ობიექტებისა და ურთიერთობების რაღაც სისტემა. „კულტურის" საკითხს არაერთი ცნობილი ეთნოლოგი შეეხო, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ: ე. ტაილორი, ბ. მალინოვსკი, ა. რედკლიფ-ბრაუნი, ტ. პარსონსი, ფ. ბოასი, რ. ბენედიქტი, ა. კრებერი, ლ. უაიტი. ამ უკანასკნელის აზრით, კულტურას აქვს ფუნქციონირებისა და განვითარების თავისი საკუთარი კანონზომიერებანი, რაც ისტორიული ეთნოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. ჩ. ორისი კულტურის ცნებაში, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ცხოვრების სოციალურ შინაარს ხედავდა. ის აღნიშნავდა, რომ ერთსა და იმავე „ბუნებრივ" პროცესს (მაგალითად, სქესთა ურთიერთობას, საჭმლის გადაყლაპვას) სხვადასხვა საზოგადოებაში სოციალურად სანქციონირებული სხვადასხვა გარეგნული ფორმები აქვს და რომ კულტურის რეალური არსებობა მხოლოდ ურთიერთქმედებასა და ადამიანებს შორის შინაარსობრივ ინფორმაციულ გაცვლაში გამოვლინდება.

საერთოდ, კულტურის 200-ზე მეტი განმარტება არსებობს, მაგრამ მეცნიერთა დიდი ნაწილის აღნიშვნით, ყველაზე უნივერსალური და ფართო დეფინიცია ისაა, რომელიც კულტურის ქვეშ გულისხმობს ყველაფერს, რაც კაცობრიობის მოღვაწეობის შედეგად შექმნილა.

სიტყვა „კულტურა" ლათინურ ენაში თავდაპირველად „დამუშავებას" აღნიშნავდა. მართლაც, ყველაზე ფართო გაგებით, კულტურაში მოიაზრება ყველაფერი, რაც ადამიანების ფიზიკური და გონებრივი შრომის (მოღვაწეობის, მოქმედების) შედეგადაა შექმნილი მათი სხვადასხვაგვარი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ თვალსაზრისით კულტურა ბუნების საპირისპირო მოვლენაა, რომელიც სამყაროში ადამიანებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ასე რომ, ადამიანების გარემომცველი სამყარო იყოფა ადამიანის გაჩენამდე ადრე არსებულ ბუნებად და ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობის შექმნილ ხელოვნურ (კულტურულ) მოვლენად.

კულტურას სამ ნაწილად ყოფენ. პირველი მათგანი დაკავშირებულია ადამიანების საზოგადოებრივ ცნობიერებასთან, მეორე გამოვლინდება მათ ქცევასა და მოქმედებაში და მესამე – მათი საქმიანობის მატერიალურ შედეგში. ინსტიქტური ფიზიოლოგიური ქმედებების გარდა, ყველაფერი (ლაპარაკი, ქმედება...) ენა, საჭმელი, რელიგია, საოჯახო მეურნეობა, სპორტის სახეობანი და ბევრი სხვა რამ შეთვისებულ ქცევას მიეკუთვნება და ისინი კულტურის კომპონენტებს წარმო-

ადგენენ. საერთოდ, არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია კულტურის გარეშე არსებობა. კულტურის გარეშე ადამიანი „ადამიანი" არ იქნებოდა. საზოგადოების, ჯგუფის მიერ აღიარებული ფასეულობები, ნორმები კულტურის შემადგენელი ნაწილია. ფასეულობები თუ აბსტრაქტული იდეალებია, ნორმები ესაა გარკვეული პრინციპები და წესები, რომლებსაც ადამიანები იცავენ. ეს უკანასკნელი სოციალურ ურთიერთობათა სფეროში თავსდება და ის ორი მთავარი ურთიერთდაპირისპირებული ცნების – „შეიძლება" და „არ შეიძლება" – ერთობლიობას წარმოადგენს. ასე, მაგალითად, დასავლეთის (ანუ ქრისტიანული სამყაროს) თითქმის ყველა საზოგადოებისათვის საყოველთაოდ მიღებული ფასეულობაა მონოგამია. ხოლო სხვა კულტურულ სამყაროში (მაგალითად, ისლამური კულტურის ხალხებში) დაშვებულია პოლიგამია. არის საზოგადოებები, სადაც პოლიანდრიაა (მრავლქმრიანობა) დაშვებული.

ადამიანები ყოველდღიურ ურთიერთობებში როდესაც ტერმინს „კულტურა" იყენებენ, ძალიან ხშირად მხოლოდ „გონების მაღალ ქმნილებებს" – ხელოვნებას, ლიტერატურას, მუსიკას, ფერწერას გულისხმობენ, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კულტურის ცნება არა მხოლოდ შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ სახეებს გულისხმობს, არამედ – ბევრ სხვასაც. კულტურა საზოგადოების ნევრთა ცხოვრების ყველა სფეროს მიესადაგება. ის მოიცავს ჩაცმის მანერას, ოჯახსა და საზოგადოებაში დგომის, ჯდომის, საკვების მიღების წესებს, საქორწინო რიტუალებს, საოჯახო ცხოვრებას, ტუალეტით სარგებლობის წესებს, შრომით საქმიანობას, რელიგიურ ცერემონიალებს, თავისუფალი დროის გატარებას, ადამიანებს შორის მოყვრულ და მტრულ დამოკიდებულებას, დაკრძალვის წესებს... კულტურაში შედის აგრეთვე ადამიანის მიერ შექმნილი საგნები: მშვილდი, ისარი, სახვნელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ფაბრიკები, მანქანები, კომპიუტერი, წიგნი, საცხოვრებელი და ა. შ. კულტურის სფეროს განეკუთვნება ადმიანის მიერ კულტურული მცენარეების გამოყვანა და ცხოველთა მოშინაურება, შესაბამისად – მეურნეობის ფორმები, ბინადარი და მომთაბარე ცხოვრება.

ამრიგად, კულტურა რთული ცნებაა. ის მოიცავს როგორც მატერიალურ (საკვები, ტანსაცმელი), ისე სოციალურ (საზოგადოების ორგანიზაცია, სრტუქტურა) და სულიერ (რელიგია, მეცნიერება) მოვლენებს. კულტურა ამავე დროს გამოვლინდება ადამიანების როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზებულ-კოლექტიურ საქმიანობაში. ერთი სიტყვით, კულტურა – ესაა ყველაფერი, რაც კაცობრიობის მიერაა შექმნილი ქვის იარაღებით დანყებული, თანამედროვე რთული ტექნიკური მიღნევებით დამთავრებული. კულტუროლოგიურ ლიტერატურაში კულტურულ სისტემებს განიხილავენ, ერთი მხრივ, როგორც ადამიანთა მოქმედების შედეგს და, მეორე მხრივ, მას აქვს რეგულატორის ფუნქციაც.

§2. ეთნიკური კულტურა. ეთნოლოგიაში (სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში) საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ყველა დიდი თუ პატარა ეთნოსისათვის (ეთნიკური ერთობისათვის), საზოგადოებისათვის, ჯგუფისათვის დამახასიათებელია სპეციფიური და უნიკალური კომპლექსები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემიან და ამავე

დროს, ისინი მეტ-ნაკლებად ცვლილებებსაც განიცდიან. მეცნიერებაში ეთნიკურ კულტურას ზოგჯერ ტრადიციული კულტურის, იშვიათად ყოფითი კულტურის სახელითაც მოიხსენიებენ.

ეთნიკური კულტურა ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა – ის კაცობრიობის თანმდევი მოვლენაა. უკულტურო ხალხები არასდროს არ არსებობდნენ. ასევე მარჯვე არაა გამოთქმა „მცირეკულტურული ხალხები". აღნიშნავენ, რომ სოციალ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ ერთობებსაც კი – ტასმანიელები, ბუშმენები, ავსტრალიელი აბორიგენები და სხვ. შექმნილი ჰქონდათ რთული და თვითმყოფადი კულტურები, რომლებიც ოპტიმალურად შეგუებული იყვნენ ბუნებრივ პირობებთან. საერთოდ, კულტურის (და ეთნიკური კულტურის) „შეფასებითი" აზრით განსაზღვრას, როდესაც ამ ტერმინის ქვეშ მხოლოდ ადამიანთა მოქმედების დადებითი შედეგების ერთობლიობა იგულისხმებოდა, დღეს ფაქტობრივად მიმდევრები აღარ ჰყავს. ასეთი შეფასებითი განმარტებები სათავეს უძველესი დროიდან იღებს, როდესაც „თავის", „კულტურულ" ერთობას კულტურის არმქონე უცხოებს უპირისპირებდნენ. ძველ საბერძნეთში ბარბაროსები არა მხოლოდ უბრალოდ ველურებად და უკულტურობად ითვლებოდნენ, არამედ მათ ხანდახან ცხოველებსაც კი ამსგავსებდნენ. „ისინი ელინებზე ჭკუა-გონებით სუსტები არიან" – მათი მისამართით ამბობდა ტრაგიკოსი ევრიპიდე. არისტოტელეს აზრით კი, ბარბაროსებში საერთოდ ცხოველური საწყისი ჭარბობდა. ანალოგიური შეხედულება არსებობდა სხვა ცივილიზაციებშიც, მაგალითად, ახ. წ. I საუკუნის ჩინელი ისტორიკოსი ბან გი მეზობლებზე წერდა: „...მათ სახე ადამინებისა აქვთ, გული კი გარეული მხეცების... ამიტომ ბრძენი მმართველი ბარბაროსებს მოექცევა როგორც გარეულ ცხოველებს". ტერმინის „კულტურა" ასეთი „შეფასებითი" გამოყენება დღესაც კი შემორჩენილია სამეტყველო ენაში, პუბლიცისტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი. ეთნოლოგიასა და სხვა მეცნიერებებშიც, რომლებიც ხალხებს (საზოგადოებებს) სწავლობენ, სხვა ტრადიციაა გაბატონებული, რომელიც ცნებას „კულტურა" უფრო „ფართო", არაშეფასებითი მნიშვნელობით (აზრით) განმარტავს; კულტურაში იგულისხმება ყველაფერი, რაც შექმნილია ადამიანების მიერ გონებრივი და ფიზიკური შრომის პროცესში მათი სხვადასხვაგვარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამრიგად, ეთნიკური კულტურა ეს არის ეთნოსის წევრების კოლექტიური ძალისხმევით შექმნილი ხელოვნური გარემო. მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ადამიანებმა შექმნეს და ინარჩუნებენ იმასაც, რაც მხოლოდ სასარგებლო არაა მათთვის. კულტურის ნაწილი დამლუპველი და დამანგრეველი საშუალებაცაა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ნარკოტიკული და მომნამვლელი ნივთიერებები, რასისტული თეორიები და ქცევის ანტისაზოგადოებრივი ფორმები. ამ პრიზმაში უნდა განვიხილოთ ინიციაციის ზოგიერთი წესი – პაპუასების ერთ-ერთ ტომში უნდა ჩამოკიდებულიყვნენ ზურგის კანში ჩარჭობილი რკინის კაუჭით, ანდა რამდენიმე საათით უნდა დამჯდარიყვნენ ჭიანჭველებით სავსე ორმოში. თანამედროვე ადამიანის მორალში ვერ ჯდება იმავე პაპუასების კულტურაში ასევე ინიციაცი-

ასთან დაკავშირებული მოზარდების მიერ შესრულებული ორალური სექსი. ის რომ ტომის სრულფასოვანი წევრი გამხდარიყო, მას აუცილებლად უფროსი მამაკაცების სპერმა უნდა ეყლაპა. თვლიდნენ, რომ ამ გზით მოზარდში გადადიოდა ტომის მამაკაცური სული და ამავე დროს გადაეცემოდათ მამაკაცური თვისებები. ეს მაგალითები განსჯისათვის მოვიხმეთ. საერთოდ კი ხაზი უნდა გაესვას, რომ მსოფლიოს კულტურებში სექსუალური ურთიერთობების მონესრიგებისა და განწყობის მრავალი ფორმა და ვარიანტი არსებობს. იმას, რასაც ჩვენ ვთვლით პათოლოგიად, საზიზღარ და ანტიესთეტიკურ გაუკუღმართებად, გარყვნილობად და სისხლის სამართლით დასჯად ქმედებად, სხვა კულტურებში წარმოადგენს ნორმას, და უფრო მეტიც – უმაღლეს, წმინდა აქტს, რაც ადამიანს სულების სამყაროსთან, წინაპრებთან, ღმერთებთან აკავშირებს. ზემოთ მოყვანილი მაგალითები შეიძლება განვაგრძოთ, რაც იმ დასკვნის საშუალებას მოგვცემს, რომ ეთნიკურ კულტურებში არსებობს გარკვეული უარყოფითი პოტენციალიც, რასაც შესაბამის პირობებში თვით მისი დაშლა, დარღვევაც კი შეუძლია გამოიწვიოს. ისტორიაში ცნობილია არაერთი მაგალითი, როდესაც მეურნეობის, სოციალური კავშირების მოშლამ, წინაპართა წესჩვეულებების დავიწყებამ გამოიწვია არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მისი შემქმნელი ეთნოსის დაღუპვაც. უკვე პირველყოფილ საზოგადოებაში გვარის, ტომის, ეთნოტომობრივი ერთობების კულტურული სამყარო იყო საერთო კოსმიური წესრიგის ნაწილი. სამყაროს შექმნის პროცესში, როდესაც კულტურული გმირების, წინაპრების, ღმერთების ძალისხმევით იქმნებოდა ეს წესრიგი, ხდებოდა არა მხოლოდ ღამისაგან დღის განცალკევება, მიწისაგან – ცისა, ზღვისაგან – ხმელეთისა, არამედ მაშინ წარმოიქმნა პირველი წეს-ჩვეულებაც, ხელოსნობაც და ორგანიზაციის ფორმებიც – ყველაფერი რასაც შეიძლება კულტურული გარემო ვუწოდოთ.

ეთნიკური კულტურა ეთნოსის შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. ვიწრო გაგებით, ეთნიკური კულტურა გულისხმობს ეთნოსის მატერიალური და სულიერი კულტურების ერთობლიობას; ამავე დროს ისინი ეთნოსის ძირითადი მადიფერენცირებელი ნიშნებიც არიან.

როგორც აღინიშნა, ეთნიკური კულტურა ისეთივე ძველია, როგორიც თვით კაცობრიობა. სამართლიანადაა შენიშნული, რომ ეთნიკური კულტურის ესა თუ ის მოვლენა სრულიად შესაძლებელია ერთი ეთნოსით არ იყოს შემოსაზღვრული. ერთი კულტურული ფაქტი, მოვლენა ზოგჯერ და ხშირადაც რამდენიმე ეთნოსისათვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთი კულტურული თავისებურება კი მოცემულ ისტორიულ ეპოქაში მრავალი ხალხის ანდა მთელი კაცობრიობისათვისაა ნიშანდობლივი. მაგალითად, პურის ვერტიკალური საცხობი – თორნე, არა მარტო ქართველი ხალხის კულტურულ საკუთრებას წარმოადგენს, არამედ ის ფართოდ გავრცელებულია ავღანეთში, ირანში, სომხეთსა და ბალკანეთის ქვეყნებში. ისეთი ხალხური სატრანსპორტო საშუალება, როგორიცაა ორბორბლიანი ურემი საქართველოს გარდა გავრცელებული იყო საერთოდ კავკასიაში და თურქეთშიც. ეთნიკური კულტურის ესა თუ ის მოვლენა რომ აუცილებელი არაა მხოლოდ ერთი ეთნო-

სით შემოიფარგლებოდეს, ამის დამადასტურებელ მაგალითად შეიძ-ლება პირამიდალური გადახურვის, ანუ ერდოიან-გვირგვინიანი საცხ-ოვრებელი სახლი დავასახელოთ, რომელიც სამი სამხრეთ კავკასიური ეთნოსის – ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ეთნიკურ-ი კულტურის ელემენტია. ქართველები მას „დარბაზს" უწოდებენ, სომხები – „გლახატუნს", აზერბაიჯანელები – „ყარდამს". ამასთანავე, აღნიშნული ტიპის საცხოვრებელი (კულტურის ელემენტი) არც ერთი ეთნოსის განსახლების არეალს სრულად არ მოიცავდა. საქართველოში ის ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და თრიალეთის პროვინციებს მოიცავდა. აზერბაიჯანში ის ძირითადად აზერბაიჯანის მცირე კავკასიონ-ისათვის, ანუ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი პროვინციების კულ-ტურული ელემენტი იყო, სომხეთში კი ერდოიან-გვირგვინიანი სახლი მხოლოდ მისი ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ მთაგორიანი რაიონე-ბისათვის იყო დამახასიათებელი. აღნიშნულმა ეთნოლოგიურმა ფაქ-ტმა მეცნიერებს სამართლიანად აფიქრებინა, რომ სამ სხვადასხვა ეთ-ნოსში ერთი ტიპის საცხოვრებელი სახლის გავრცელება კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შედეგი იყო. ყველა დასახელებული ეთ-ნოსი მას აღიქვამდა თავის ძირძველ სპეციკფიკურ ეთნიკურ ნიშნად. ბუნებრივია, ეთნიკური კულტურის აღნიშნული ელემენტი თავდაპირ-ველად ერთ ხალხში (ეთნოსში) წარმოიქმნა და შემდეგ კონტაქტების შედეგად ის სხვათა საკუთრებადაც იქცა, რასაც ხელი მსგავსმა ბუნებ-რივ-გეოგრაფიულმა გარემომაც შეუნყო. შეიძლება მკვლევარმა იფიქ-როს, რომ ერდოიან-გვირგვინიანი სახლი თავდაპირველად აწ გამქრა-ლი სამხრეთ კავკასიური ეთნოსის – ალბანელების ეთნიკური კუთვნი-ლება უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოში მისი გავრცელების არეალი (ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთი) და სომხეთშიც (ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) ამ მოსაზრებას მხარს ვერ დაუჭერს, რადგან ისინი ძველი ალბანეთის მოსაზღვრე ტერიტორიები არაა.

თეორიულ ეთნოლოგიაში ხშირად ახდენენ ეთნიკური კულტურის ელემენტების კლასიფიკაციას. კლაციფიკაცია ნიშნავს ამა თუ იმ ობ-ექტის განაწილებას მათი საერთო, ურთიერთდაკავშირებული ნიშნე-ბის მიხედვით. არსებობს სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, რომლებ-საც საფუძვლად სხვადასხვა კრიტერიუმი უდევს. ყველა მათგანი შე-დარებითი და სუბიექტურია, რადგანაც ყურადღება კულტურის სხვა-დასხვა თვისებასა და ნიშანზეა აქცენტირებული.

ამავე დროს, კონკრეტული მიზნებით გამოიყენებიან და წარმოად-გენენ ამა თუ იმ მეცნიერების საკვლევაძიებო ინსტრუმენტებს. შეიძ-ლება დავასახელოთ რამდენიმე მათგანი: 1. სოფლისა და ქალაქის სუბ-კულტურები, რომელთა საფუძველსაც წარმოადგენს სოფლისა და ქა-ლაქის დასახლებები, ცხოვრების სხვადასხვა პირობები, რომელშიც სხვადასხვა კულტურული მოდელები ფორმირდება; 2. გეოგრაფიული პრინციპით კლაციფიკაცია – ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღე-ბი სხვადასხვაგვარი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, აგრეთვე ეთნოკულტურული კონტაქტები და გავლენები; 3. სოციალური პირო-ბებით განპირობებული კლასიფიკაცია – ეთნოსები სოციუმებად იყო-ფა და ისინი თავისებური სოციალური კარკასებისაგან შედგება; 4. რე-ლიგიურ-კონფესიური კლასიფიკაცია – ზოგჯერ ერთი ეთნოსი, მისი

სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა რელიგიისა და კონფესიის მატარებელნი არიან, რაც, ბუნებრივია, განსხვავებულ და ლოკალურ ეთნიკური კულტურის ელემენტებს ნარმოქმნის; 5. სქეს-ასაკობრივი კლასიფიკაცია – ეთნიკურ კულტურებში გამოყოფენ ბავშვების, მამაკაცებისა და ქალების სუბკულტურებს. ასეთ მიდგომას გენდერულს უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში კულტურაში განსაკუთრებულ ყურადღებას ქალის მდგომარეობა იწვევს; 6. ქრონოლოგიური კლასიფიკაცია – შეიძლება ეთნიკური კულტურის შესნავლა სხვადასხვა ეპოქის მიხედვით მოხდეს, მაგალითად: „საქართველოს ყოფითი კულტურა XIX-XX საუკუნეებში"; 7. ეთნოლოგები ეთნიკურ კულტურას, უფრო ხშირად, ყოფენ მატერიალურ და სულიერ კულტურებად. ეს არა მხოლოდ ყველაზე გავრცელებული, არამედ ყველაზე ადრინდელი კლასიფიკაციაა. იგი ევროპულ მეცნიერებაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა.

მატერიალური კულტურა, ესაა საგნებისა და ნივთების ერთობლიობა (აგრეთვე მათთან დაკავშირებული ჩვეულები), რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში სივრცეში მატერიალურად არსებობენ და მიმართულნი არიან ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მატერიალურ კულტურას მიეკუთვნება: შრომის იარაღები, ცეცხლის გამომწვევი საგნები, საბრძოლო იარაღები, გადაადგილების საშუალებები, სიმძიმეების გადასატანი მონყობილობანი, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, საჭმელი, სასმელი, ჭურჭელი, დგამ-ავეჯი, სამკაული და ა. შ. ამავე კატეგორიაში ათავსებენ კულტურულ მცენარეებს, შინაურ ცხოველებს, სხეულის მოვლის საშუალებებს, ტატუირებას... ცნება „მატერიალური კულტურა" მოიცავს არა მარტო წარმოების სფეროსა და მოხმარებასთან დაკავშირებულ საგნებსა და ნივთებს, არამედ მათთან დაკავშირებულ ადამიანთა მოღვაწეობის ფორმებსაც. ეთნოლოგები საგნებს არა მხოლოდ უბრალოდ აღნერენ, არამედ ისინი კვლევას ძირითადად მიმართავენ დამზადების გარემოებებისა და ფუნქციების (მათ შორის, რიტუალურის) ანალიზისადმი. აგრეთვე, ეთნოლოგი ახასიათებს მათ ეთნიკურ სპეციფიკას, სოციალურ ურთიერთობებს. მაგალითად, ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია ტანსაცმელი (კოსტიუმი), კომპლექსში მოიცავს აგრეთვე ფეხსაცმელს, თავსაბურავს, ვარცხნილობას, სხეულის მოვლის საშუალებებს და ა. შ. მეცნიერებს აინტერესებთ არა მხოლოდ ტანსაცმლის მასალა, ფერი, შეკერილობა, არამედ, პირველ რიგში, მასზე ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს გავლენა, რელიგიური და ესთეტიკური ნარმოდგენები. ასევე ყურადღებას იქცევს ეთნოსთაშორისი ურთიერთობები, ნასესხობის შესაძლებლობა.

დაბოლოს, ტანსაცმელი გვევლინება როგორც ნიშანი. ტანსაცმლის ტარების წესი, ფერი, ორნამენტი, ფერთა შეხამება, არა მარტო გვაძლევს საშუალებას „თვისის" და „სხვისის" განსხვავებისა, არამედ ატარებს ინფორმაციას ოჯახური მდგომარეობს, პროფესიის, სოციალური სტატუსის, გვარტომობრივი მიკუთვნებულობის შესახებ, ეთნოლოგიაში ცნობილი გამოთქმაც კი არსებობს: „ეთნოლოგს საგნები აინტერესებს არა თავისთავად, არამედ მათი ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში".

სულიერ კულტურაში შედის ფოლკლორის სხვადასხვა ფორმები, რიტუალური ქმედებები (წეს-ჩვეულებები), ეთიკური ნორმები, ესთე-

ტიკური წარმოდგენები, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და კულტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სულიერი კულტურა არის ის ინფორმაცია, რომელიც კოლექტიურ მეხსიერებაში არსებობს და თაობიდან თაობას გადაეცემა მონათხრობის სახით ანდა გამოვლინდება ქცევის გარკვეულ ფორმებში. ის გამოვლინდება მატერიალურად და ხელშესახებად. მაგალითად, სიმღერები (ზღაპარი, ანდაზა...) უნდა შესრულდეს, მოსმენილი და ჩაწერილი იყოს.მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება ინფორმაცია შემონახული და თაობიდან თაობაზე გადაცემული. სულიერი კულტურის რეალიების ადამიანების ქცევაზე გავლენა კარგად ჩანს სანესჩვეულებო პრაქტიკაში. თანამედროვე პირობებშიც კი რიტუალები ადამიანთა ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპისა და მოვლენის (ქორწინება, ბავშვის დაბადება, ნათლობა, შრომითი საქმიანობის დაწყება, სიკვდილი და ა.შ.) თანმდევი მოვლენაა. წეს-ჩვეულებები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ტრადიციულ და პირველყოფილ საზოგადოებებში. მითები, რელიგია, წინაპართა და აგრეთვე კოლექტივის (ჯგუფის) ხელმძღვანელის ნაკურთხი დაუწერელი წესები ადამიანთა ურთიერთობებსა და საქციელს საუკუნეების განმავლობაში აწესრიგებდა.

ეთნიკური კულტურის მატერიალურ და სულიერ კულტურებად დაყოფა ერთგვარად პირობითიცაა, რადგან რიტუალები მატერიალურ კომპონენტებსაც მოიცავს (საწესჩვეულებო საკვები და ტანსაცმელი, საკულტო საგნები). ასეთი დაყოფა იმ თვალსაზრისითაცაა არაკორექტული, როდესაც საუბარია ხელოვნების ნაწარმოებებზე (მაგალითად, ფერწერული ტილო, სკულპტურა, სანოტო ჩანაწერები, მუსიკალური ინსტრუმენტები). მხედველობაშია მისაღები მოხმარების ბევრი საგნის სილამაზე, სიკოხტავე, სილაზათე (მაგალითად, ნათელი სადღესასწაულო ტანსაცმელი, ორნამენტირებული კერამიკა, შემკობილი და გამშვენიერებული სართავი ჯარები, ზანდუკები, მქალოზები), რომლებსაც ხშირად განიხილავენ როგორც ხელოვნების ნაწარმოებებს, რადგან პირველ პლანზე წამოიწევა ხოლმე მათი ესთეტიკური და არა უტილიტარული ფუნქციები. და ბოლოს, მატერიალური კულტურის ბევრ საგანსა და ნივთს ხშირად რიტუალებში გამოიყენებენ. ასე რომ, ბევრ საგანს ერთდროულად აქვს როგორც მატერიალური, ისე სულიერი ფუნქცია.

ეთნოსს ახასიათებს მუდმივი სოციოკულტურული ანტითეზა – **„ჩვენ"-"ისინი", „თვისი" – „სხვისი"**. ამიტომ, ეთნოსი ეს არის ის კულტურული ერთობა, რომელიც თავს გაიცნობიერებს როგორც ასეთს, რომელიც განსხვავდება სხვა ანალოგიური ერთობებისაგან. ეთნიკური კულტურის დეტერმინანტულ ფაქტორებად მიიჩნევა ბუნებრივი პირობები, ფსიქოლოგიური, რასობრივი, რელიგიური, კონტინენტალური თავისებურებები.

გეოგრაფიული (ბუნებრივი) გარემო როგორც ეთნოსის, ისე ეთნიკური კულტურის წარმოქმნის აუცილებელი პირობაა, რადგან ყოველი ეთნოსის კულტურა ვითარდება არა მხოლოდ დროში, არამედ სივრცეშიც. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთია განპირობებული ერთ ეთნიკურ კულტურაში ლოკალური ვარიანტების ჩამოყალიბება, რაც თანაბრად ეხება, როგორც მატერიალურ კულტურას, ისე სულიერ კულ-

ტურას. ასე, მაგალითად, ტანსაცმლისა და საცხოვრებლის თავისებურებები კლიმატითაა განპირობებული. იმის გამო, რომ საქართველოში ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს, კლიმატის ნაირგვარობა გვქონდა, ტანსაცმელი და საცხოვრებელი ნაგებობებიც მრავალფეროვანი არსებობდა. საქართველოში თავისი ლოკალური ვარიანტები გააჩნდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (მაგალითად, სახვნელს) და ხალხურ სატრანსპორტო საშუალებებს. ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში თუ ხის საცხოვრებელს ენიჭებოდა უპირატესობა, მეორეში – ქვისას. სტეპებში მობინადრე ეთნოსებში მომთაბარე მესაქონლეობა განვითარდა, ხოლო სხვაგან, მაგალითად, ზომიერი კლიმატის სარტყელში ბინადარ ცხოვრებასთან დაკავშირებული მეურნეობის ფორმები ჩამოყალიბდა (მიწათმოქმედება და მასთან დაკავშირებული მეცხოველეობა). ცნობილია, რომ მეზოამერიკის ინდიელთა ცივილიზაცია ნაკლებ დინამიურად განვითარდა, ვიდრე ევროპული. სრულიად სამართლიანად ამის მიზეზად ამერიკაში ისეთი ცხოველების არ არსებობაა მიჩნეული, რომლებსაც მოშინაურების შემდეგ მუშა საქონლად გამოიყენებდნენ.

გეოგრაფიული გარემოს თავისებურებები (კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი, ფლორა, ფაუნა და ა. შ.) გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე ეთნოსის სულიერ კულტურასა და მის ფსიქიკურ ნყობაზე, რაც ქცევის სტერეოტიპებში, ჩვეულებებში, ნესებში, ტრადიციებში გამოიხატება. მაგალითად, ტროპიკული სარტყლის ეთნოსებისათვის უცნობია ბეერი ნეს-ჩვეულება, რომლებიც ზომიერ სარტყელში მცხოვრებ ეთნოსებს ახასიათებს და რომლებიც სამინათმოქმედო სამუშაოების სეზონურ ციკლთანაა დაკავშირებული.

ყოველი ეთნიკური კულტურის ფორმირებაში, როგორც აღნიშნული იყო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ჯგუფური იდენტობის გრძნობების ნარმოქმნას განაპირობებს. საერთო ენა ეთნიკური ჯგუფების შემჭიდროვების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ერთ ენობრივ ჯგუფში თითქმის ავტომატურად მყარდება ურთიერთგაგება და თანაგრძნობა. ენაში აისახება ადამიანთა ცოდნა ტრადიციებზე; ენითვე გადაიცემა საისტორიო მახსოვრობა.

საყოველთაოდ ცნობილია რელიგიის როლი ეთნიკური კულტურის ფორმირებაში. მაგალითად, ბელგია ორი ეთიკური ერთობით არის დასახლებული, რომელთა შორის კავშირსაც ბევრად განაპირობებს საერთო რელიგია – კათოლიციზმი. ისტორიაში კარგადაა ცნობილი სანინააღმდეგო მაგალითებიც, როდესაც ერთ ენაზე მოლაპარაკენი სხვადასხვა რელიგიების გამო სხვადასხვა ეთნოსებად, ე. ი. ეთნიკური კულტურების მატარებლებად ჩამოყალიბდნენ.

ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია აგრეთვე ეთნოსის სახელწოდება (ეთნონიმი), რომელიც ხშირად ენდოეთნონიმის (თვითსახელწოდება) და ეგზოეთნონიმის (გარესახელწოდება) სახით გეხვდება.

ამრიგად, ეთნიკური კულტურის სპეციფიკა და მრავალფეროვნება სხვადასხვა ფაქტორებით არის განპირობებული. ამასთან ერთად, ეთნიკური კულტურა საერთო ხასიათისაა და ეთნოსის საერთო კულტურით სრულად ნარმოჩინდება იგი. ისტორიულ პროცესში ეთნიკური კულტურის ძირითადი დანიშნულებაა ადამიანისა და ბუნების ორგანუ-

ლი ერთიანობა. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეთნიკური კულტურა ეთნიკური თვითშეგნების გაღრმავების ერთ-ერთი საფუძველია.

ზოგიერთ სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო გამოკვლევაში ტრადიციული ანუ ეთნიკური კულტურის ერთგვარად სხვა კლასიფიკაციაა შემოთავაზებული. მაგალითად, ერთ-ერთი კლასიფიკაცია ოთხი ქვესისტემის არსებობას ითვალისწინებს: 1. წარმოებითი კულტურა (პროდუქტების შექმნის პროცესი და მისთვის აუცილებელი სამეურნეო ძალა); 2. სიცოცხლისუზრუნველყოფის კულტურა (პროდუქტების მოხმარება – საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი...); 3. სოციონორმატიული კულტურა (სამართალი – რა შეიძლება და რა – არა, ეთიკა – რა შეიძლება გააკეთო და რა არა; ესთეტიკა – წარმოდგენა ლამაზსა და ულამაზოზე, მშვენიერსა და არამშვენიერზე. სოციონორმატიული კულტურა განსაზღვრავს ადამიანთა ქცევებს); 4. ჰუმანიტარული კულტურა (ყველაფერი, რაც ადამიანთა მოქმედების მოტივსა და სტიმულს ქმნის, ესენია სამყაროს შეცნობის რაციონალური და ირაციონალური საშუალებანი – მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია). ყველა ზემოაღნიშნული ქვესისტემა არსებობს არა განცალკევებულად, არამედ ისინი ერთმანეთს კვეთენ და ურთიერთქმედებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმანიტარული და სოციონორმატიული სფეროები ცხოვრების უფრო სულიერ მხარეებთან არის დაკავშირებული, წარმოებითი და სიცოცხლისუზრუნველყოფის სფეროები კი – მატერიალურ მხარესთან.

არსებობს კულტურის სამ ნაწილად დაყოფაც. მ. მიდის მიხედვით, ესენია: პოსტფიგურატიული, კოფიგურატიული და პრეფიგურატიული. პირველ მთგანში ცვლილებები ნელა და შეუმჩნევლად მიმდინარეობს, მეორეში – თაობებს შორის კავშირი გაწყვეტილი არ არის და მესამეში – ახალგაზრდა თაობა უფროსების გამოცდილებას არ ეყრდნობა.

ყველა სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო გამოკვლევაში ხაზგასმითაა აღნიშნული აგრეთვე ეთნიკური კულტურების არაერთგვაროვნება. შიდა ეთნიკური მოზაიკურობა ახასიათებს როგორც დიდად ურბანიზებულ ეთნოსებს, ისე სრულიად ტრადიციულებს.

ორიოდე სიტყვა კულტურული მარკერების შესახებ. ყველა ეთნიკურ კულტურაში განსაკუთრებით გამოიყოფა კულტურის ისეთი ელემენტები, რომელთა გახსენება ამ თუ იმ ეთნოსის ასოციაციას იწვევს. მაგალითად სომხებისათვის ასეთი მარკერებია: არარატის მთა, სომხური ანბანი, მესროპ მაშტოცისა და კომიტასის პიროვნებები, ლავაში, ხაჩკარი (ქვის ჯვარი), 1915 წლის თურქულ-სომხური დაპირისპირება (სომხების გამოდევნა ისტორიული განსახლების ადგილებიდან და ფიზიკური განადგურება). იაპონელთა ეთნიკური მარკერებია – ფუძიამას მთა, იმპერატორის პიროვნება, ხიროსიმას ხსოვნა, აყვავებული ალუბალი და ქრიზანთემა, ძიუდო, სუმო. ქართველთა მარკერებად მიიჩნევა წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ხატება, „ვეფხისტყაოსნის" გმირები, საეკლესიო არქიტექტურა, ვაზი, ღვინო, ანბანი, „ქართლის ცხოვრება", ხალხური სიმღერები და ცეკვები, კოშკური კულტურა. კულტურული მარკერები არა მხოლოდ

მთლიანად ეთნოსისათვის, არამედ მისი ლოკალური ჯგუფებისთვისაცაა დამახასიათებელი. მაგალითად, ქართველთა ხევსურული ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის ასეთი კულტურული მარკერებია – საგმირო პოეზია და ტალავარი, სვანებისათვის – სვანური ქუდი, სვანური კოშკი და სამგლოვიარო სიმღერა-გოდება (ზარი), თუშებისათვის – ნახევრად მომთაბარული მეცხვარეობა, თუშური გუდის ყველი და თექა, მეგრელებისათვის – სულში ჩამწვდომი და მელოდიური ხალხური სიმღერა, ფაცხა და სულგუნი, აჭარელებისათვის – ორიგინალური ხალხური კოსტიუმი და ცეკვა „ხორუმი“.

§3. ეთნიკური კულტურა და ეთნოსის კულტურა. თანამედროვე ეთნოკულტურული პროცესების შესწავლისას მეცნიერმა ეთნოლოგებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ყველა ეთნოსის ეთნიკური თავისებურებების სფერო განუხრელად მცირდება – ცხოვრების ერთ სფეროში თუ სწრაფად, მეორეში ნელ-ნელა ადგილს უთმობს ინტერნაციონალურ სტანდარტულ მოდელებს. ასეთი სახის კულტურული ცვლილებების გააზრების შემდეგ ეთნოლოგები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ მეთოდოლოგიურად აუცილებელია ერთმანეთისაგან ცნებების – „ეთნიკური კულტურა“ და „ეთნოსის კულტურა“ – გამიჯვნა.

ცნებების, „ეთნიკური კულტურა“ და „ეთნოსის კულტურა“, გამიჯვნა იმითაა გამოწვეული, რომ დღეს მსოფლიოს ხალხების უმრავლესობის კვლავნარმოებისა და ნორმალური არსებობისათვის შეუძლებელია მხოლოდ ცხოველმყოფელობის საშუალებებით თავის გატანა და რომ ყველა ხალხის კულტურაში ერთმანეთში გადახლართულია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და სხვა ეთნოსებისათვის ნიშანდობლივი ნიშნები ანუ საერთო-საკაცობრიო კულტურული მოვლენები.

ეთნოსის იერსახეს ქმნის არა ცალ-ცალკე აღებული ენა, ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება, მყარი საერთო ეკონომიკური კავშირები, არამედ ერთი კულტურა. შესაძლებელია არსებობდეს ორი ან მეტი ხალხი ერთი ენით, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს ორი ეთნოსი ერთი კულტურით. ხალხი თუ თავის კულტურულ სპეციფიკას ჰკარგავს, ის, როგორც დამოუკიდებელი ეთნოსი არსებობასაც ნყვეტს. ეთნოსის კულტურა უზრუნველყოფს მის სტაბილურობას და თვითმყოფადობას, ყოველი ხალხის კულტურის ელემენტები ეთნომადიფერენცირებელ ფუნქციებსაც ასრულებენ – ის არის „თვისის“ და „სხვისის“ განმასხვავებელი.

თავისი არსებით ეთნოსის კულტურა მატერიალური, სულიერი, ეთნიკური, მორალური და ესთეტიკური ფასეულობების ისტორიულ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც მოცემული ეთნოსის წარმომადგენლების მიერ სოციოკულტურული განვითარების პროცესშია შექმნილი. ეთნოსის კულტურით იხსნება ეთნოსის შემოქმედებითი სპეციფიკა, მისი მსოფლშეცნობისა და მსოფლმხედველობის თავისებურებები და სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-ისტორიულ პროცესებთან დამოკიდებულება.

ეთნოსის კულტურა ეთნიკური კულტურის არქაულ ელემენტებამდე არ დაიყვანება. სხვადასხვა ხალხების ეთნოსის კულტურაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში ეთნიკური კულტურის ხვედრითი წილი ერთნაირი არაა. ხალხთა კულტურული სპეციფიკა არ შეიძლება მხოლოდ

ვინრო ეთნიკური მნიშვნელობით გავიგოთ, როგორც წარსულში წარმოქმნილი ტრადიციულ-ყოფითი თავისებურებების მატერიალურ და სულიერ კულტურათა ერთობლიობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეთნოსის კულტურაში ასახულია ხალხის ისტორიაც მთელი თავისი წინააღმდეგობებით, რაც გარკვეული თვალსაზრისით ამ კულტურას თვითმყოფადსაც კი ხდის.

ეთნოსის კულტურა თვითმყოფადი, უნიკალური და განუმეორებელია. ამავე დროს, ცალკეული კულტურები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობენ. მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტებით დადგენილია, რომ კარჩაკეტილობა და შეზღუდულობა ნებისმიერი ხალხის კულტურის გაღარიბებას იწვევს. ყველა ხალხის კულტურა სხვა ხალხების (განსაკუთრებით მეზობელი ხალხების) კულტურული ფასეულობებით იკვებება, მაგრამ მიმღები ეთნოსები მას აუცილებლად შემოქმედებითად ამუშავებენ. ასე, მაგალითად, ორი მეზობელი ხალხი – სომხები და ქართველები – საუკუნეების განმავლობაში შემოქმედებითად ითვისებდნენ და კულტურულად ამუშავებდნენ ჯერ სპარსელების, შემდეგ თურქების კულტურულ მიღწევებს. ბევრი ვერ წარმოიდგენს, რომ ისეთი საჭმელები როგორებიცაა ტოლმა და ყაურმა ამ ეთნოსებს თურქთაგან აქვთ შეთვისებული. სპარსელთაგან შეთვისებული კულტურის ელემენტები კი უფრო დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით საკუთარი სახელების დასახელებაც საკმარისია. ნებისმიერი ეთნოსის კულტურას ორი ტენდეცია აქვს. პირველი ისაა, რომ ის ღია და გახსნილია სხვა ხალხების კულტურებისათვის, და მეორე – სხვადასხვა ეთნოსების კულტურები ერთმანეთის მიმართ როგორც არ უნდა იყვნენ გახსნილნი და როგორც არ უნდა კვეთდნენ ერთმანეთს, ისინი მაინც ერთმანეთში არ ითქვიფებიან და არ კარგავენ თავიანთ უნიკალობას.

ამრიგად, ყველა ეთნოსის კულტურა კულტურული ფასეულობების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც თვით მოცემული ეთნოსის მიერაა შექმნილი (ეთნიკური კულტურა) და რომელიც შეთვისებულია სხვა ეთნოსებისაგან ურთიერთობის, ურთიერთქმედების პროცესში. ამა თუ იმ ხალხის უმაღლესი კულტურული მონაპოვარი აუცილებლად სხვა ხალხების კულტურების საკუთრებადაც იქცევა. მაგრამ, როგორც ისტორიული გამოცდილებით დასტურდება, ეთნოსები სხვათა ეთნიკური კულტურებიდან ყველაფერს როდი ითვისებენ. აქედან გამომდინარე მეცნიერები კულტურული განზომილების ორ ჯგუფს გამოყოფენ: **ინტოლერანტულს** და **ტოლერანტულს**. ურთიერთობის ინტოლერანტული ტიპი სხვა ხალხების კულტურული თავისებურებების მიუღებლობასა და შეუწყნარებლობას ემყარება. ამ ტიპში განმსაზღვრელია იმის რწმენა, რომ საკუთარი კულტურული გარემო, შეხედულებების სისტემა, ცხოვრების ნესი საუკეთესო და სხვაზე მაღლა მდგომია. ურთიერთობის ინტოლერანტული სახე სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება, ჩვეულებრივი ურთიერთობიდან დაწყებული და ეთნიკური წმენდითა და გენოციდით დამთავრებული, აგრეთვე – სხვისი კულტურის შეგნებული განადგურებით. ინტოლერანტობის სახეებად ითვლება „ეთნოცენტრიზმი", „ქსენოფობია", „კულტურული გენოციდი". მაგალითად, ქსენოფობია დღეისათვის ძალიან გავცელებულია

რუსეთში, რომელიც სხვადასხვა ვარიანტებით გამოვლინდება: ანტისემიტიზმი (ებრაელებისადმი მტრობა), კავკასიოფობია (კავკასიის ხალხებისადმი მტრობა), სინოფობია (ჩინელებისადმი მტრობა), ციგანოფობია, აზიაფობია და სხვ. ინტოლერანტობის სანინააღმდეგოა ტოლერანტული ტიპი, რაც ყველა ეთნოსისა და ეთნიკური კულტურისადმი პატივისცემასა და თანაბრობის აღიარებას ნიშნავს, ერთი ეთნოსის მიერ მეორეზე დომინირებაზე უარის თქმას. ტოლერანტობა გულისხმობს მზადყოფნას სხვა ხალხები ისეთებად მიიღონ როგორებიც არიან და ურთიერთიმოქმედონ მათთან თანხმობის საფუძველზე.

§4. წეს-ჩვეულებები. ზნე-ჩვეულებები. ყველა ხალხის ყოფა და და კულტურა მრავალფუნქციურია, რის სანიმუშო მაგალითებად წესებს, ზნეს, ჩვეულებებს, ადათებს ასახელებენ. მკვლევართა აღიარებით, წეს-ჩვეულება ესაა ქცევის (მოქმედების) მემკვიდრეობით მიღებული წესი, რომელიც გარკვეულ საზოგადოებაში ანდა სოციალურ ჯგუფში მეორდება და მისი ნევრებისათვის ჩვეულს წარმოადგენს.

წეს-ჩვეულება, როგორც ქცევის სტერეოტიპული საშუალება, გადაეცემა და ტრადიციების შენარჩუნებისა და გადაცემის ერთ-ერთ კულტურულ ფორმას წარმოადგენს. ცნებას „ტრადიცია" ხშირად ცნების „წეს-ჩვეულების" სინონიმადაც იყენებენ. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „ტრადიცია" მოვლენების უფრო დიდ ნრეს მოიცავს, ვიდრე წეს-ჩვეულება. ის სოციალური მემკვიდრეობის ობიექტებს (მატერიალური და სულიერი ფასეულობები), სოციალური მემკვიდრეობითობის პროცესს და მის საშუალებებს მოიცავს. ასე რომ, ტრადიციები ყველა კულტურის სოციალური ცხოვრების ყველა ფორმისთვისაა დამახასიათებელი, წეს-ჩვეულებების სფერო კი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული მხარეებით შემოიფარგლება. წესი (რიტუალი, ცერემონია, ცერემონიალი) სტერეოტიპული მოქმედებაა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სიმბოლური ხასიათისაა. ყველა წესი, წეს-ჩვეულება რამდენიმე რიგის სიმბოლოებისაგან შედგება. სიმბოლო კი ნიშნის ნაირსახეობაა. ის რეალური საგნების, პროცესებისა და მოვლენების ერთგვარი შემცველიცაა. მაგრამ, ყველა დანარჩენი ნიშნისაგან განსხვავებით, სიმბოლო გამომსახავ ობიექტთან გარკვეულ მსგავსებასაც ამჟღავნებს; ამა თუ იმ სიმბოლოს არჩევა შემთხვევით არ ხდება. სიმბოლოს აღქმა ბევრად არის დამოკიდებული კონკრეტულ გარემოებებზე, კონკრეტულ საზოგადოებასა და ეთნოსზე. მაგალითად, ქრისტიანთათვის ჯვარი ქრისტიანობის სიმბოლოა, ექიმებისათვის – სასწრაფო საექიმო დახმარების სიმბოლო. ქართველებისა და მსოფლიოს სხვა ბევრი ხალხისათვის თავის გაქნევა უარყოფის ნიშანია, ბულგარელებისათვის კი იგივე ქმედება თანხმობის ნიშანია.

წესის (წეს-ჩვეულების) განმასხვავებელი ნიშანი მისი მოქმედების მკაცრი სტერეოტიპის, დადგენილი წესრიგის განუხრელად დაცვაა. ასე რომ, წესი (წეს-ჩვეულება) მკაცრად რეგლამენტირებული და კონსერვატიულია. წეს-ჩვეულებები აშკარად ეთნიკური შეფერილობისაა. ყოველი ეთნიკური ერთობისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია სპეციფიკური, სხვა ერთობებისაგან განსხვავებული რიტუალები. რიტუალის ტიპურ მაგალითად შეიძლება სერბების ომში გაცილების წესი მოვიყვანოთ: მოსალოდნელი ომის გაგებისთანავე შუაღამისას ერთად

იკრიბებოდა ცხრა დედაბერი და ისინი გათენებამდე სრულ დუმილში ქსოვდნენ ტილოს. შემდეგ მისგან ერთ პერანგს კერავდნენ, რომელიც მორიგეობით უნდა ჩაეცვა ომში ყველა წამსვლელს. სნამდათ, რომ ის მათ სიკვდილისაგან დაიცავდა. პერანგის ნაკუნები ომში ნასულთათვის ამულეტები იყო.

რიტუალური განსხვავებების არაერთი ფაქტი ერთი ეთნოსის შიგნითაც ბევრია დადასტურებული.

ნესის, წეს-ჩვეულების, ადათ-ნესების მრავალრიცხოვან ფუნქციებს შორის მკვლევარები შემდეგ ძირითად ფუნქციებს გამოყოფენ: 1. კულტურის ერთი საზოგადოების ფარგლებში ანდა საზოგადოებიდან საზოგადოებაზე გადაცემა (ტრანსლაცია); 2. სოციალური კონტროლის საშუალება (ინდივიდის ქცევა მკაცრად რეგულირდება სოციალური ჯგუფის მიერ, რომელსაც ის მიეკუთვნება – „ჩვენი წინაპრები ყოველთვის ასე იქცეოდნენ"); 3. სოციალიზაციის ფუნქცია; 4. სოციალური ინტეგრაცია; 5. საკრალიზაცია (კურთხევა).

§5. ეთნიკური კულტურის დინამიკა. ხშირად ეთნიკური (ტრადიციული) კულტურა ერთგვარად გაქვავებულ მოვლენად მიაჩნიათ. მაგრამ სინამდვილეში ის საკმაოდ დინამიური და ცვალებადი სისტემაა. მასზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორად შეიძლება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება დავასახელოთ. სნორედ გარემო ბევრად გნაპირობებს ტანსაცმლის, საცხოვრებლის და სხვ. თავისებურებებს. ლანდშაფტი და ნიადაგი გავლენას ახდენს ადამიანის შრომით საქმიანობაზე, დასახლების ტიპსა და დაგეგმარებაზე, ბუნებრივი ზღუდეები კი (დიდი მდინარეები, მთები) ეთნიკურ საზღვრებს წარმოადგენენ და გარკვეულად ზღუდავენ განსახლებასა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის ეთნიკურ კონტაქტებს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ერთმანეთისაგან განცალკევებით მცხოვრებ ხალხებში კულტურათა თანხვდომას „კულტურული დიფუზიის" გზით ხსნიდნენ, რაც ძირითადი კულტურული მიღნევების ერთი ან რამდენიმე ცენტრიდან გავრცელებას გულიხმობდა. ასე ხსნიდნენ სხვადასხვა რეგიონებში მშვილდისა და ისრის, ბორბლის, მოშინაურებული ცხოველების გავრცელებას. მაგრამ, როგორც შემდეგ სამეცნიერო გამოკვლევებით გაირკვა, ესა თუ ის კულტურული კომპლექსი ერთნაირ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც წარმოიქმნას, ე. ი. კულტურული კონტაქტების გარეშე შეიძლება საერთო კულტურული ნიშნები ჩამოყალიბდეს. ამდენად, ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო-კულტურული ტიპების ფორმირებაში. საერთოდ, ეთნიკური კულტურისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედებას ორმხრივი ხასიათი აქვს.

ეთნიკური კულტურის დინამიკაზე გავლენას ახდენს ეთნოპოლიტიკური (ეთნოსოციალური) ფაქტორებიც. ეთნოსი მეზობლების გარემოცვაში, მათთან კონტაქტში ვითარდება. ხშირად ეს კონტაქტებიც ორმხრივი ხასიათისაა. მოპყავთ იმის დამადასტურებელი მაგალითებიც, რომ არა მხოლოდ ცივილიზებული ევროპელები ახდენდნენ გავლენას ადგილობრივ, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებზე, არამედ, პირიქითაც, ავსტრალიური ზოგიერთი კულტურული

ელემენტი „თეთრი" ავსტრალიელების ყოფაშიც იჭრებოდა (მაგალითად, ბუმერანგი, როგორც სპორტული თავშესაქცევი საშუალება). კულტურების ამ ურთიერთშეღწევას აკულტურაციას უწოდებენ. ამ დროს ეთნიკურ კულტურაში ცვლილებები მიმდინარეობს.

ერთ ტერიტორიასა და ერთ ეკოლოგიურ გარემოში მცხოვრებ ეთნოსებს ხანგრძლივი ურთიერთქმედებისას, მათი განსხვავებული წარმომავლობის მიუხედავად, მსგავსი კულტურული ნიშნები ჩამოუყალიბდათ. მაგალითად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები შეიძლება დავასახელოთ. ისინი ხომ წარმომავლობით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. რა თქმა უნდა, კავკასიის ხალხებმა დროთა განმავლობაში ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვანი დინამიკა განიცადეს – კავკასიაში დასახლებულ ოსთა, ყარაჩაელთა და ბალყარელთა წინაპრებს კავკასიის მთებში დასახლებამდე, ბუნებრივია, განსხვავებული კულტურა ჰქონდათ. ცნობილია, რომ როგორც ირანულენოვანი ოსების, ისე თურქულენოვანი ყარაჩაელებისა და ბალყარელების წინაპრები კავკასიაში დასახლებამდე მომთაბარული ცხოვრების მიმდევრები იყვნენ და მათ ძირითად სამეურნეო საქმიანობას მომთაბარული მეცხოველეობა წარმოადგენდა. კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ კი ისინი მინათმოქმედნიც გახდნენ. ბუნებრივია, შეიცვალა მათი მატერიალური კულტურის არაერთი სხვა ელემენტიც, მაგალითად, საცხოვრებლის ტიპი.

დაბოლოს, ეთნიკური კულტურის დინამიკა დამოკიდებულია ეთნოსის მიერ დაგროვილ ისტორიულ გამოცდილებაზე. ესაა ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში შემონახული ინფორმაცია, რომელიც ადამიანების ქცევის სტერეოტიპებსა და წეს-ჩვეულებებში ვლინდება. მის შემონახულობაში დიდ როლს თამაშობს წეს-ჩვეულება, ფოლკლორი, სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროები, უფრო გვიან პერიოდში კი ორგანიზებული სწავლება (მაგალითად, სკოლა) და ეთნოგრაფიული ნივთების სპეციალური საცავები (მუზეუმები, არქივები, ბიბლიოთეკები).

ტრადიციებისაგან ხშირად განასხვავებენ ინოვაციებს. ამ ტერმინით ახალ ელემენტებს აღნიშნავენ, რომლებიც გარედან, სხვა ეთნოსებისაგან ითვისებენ, ან თვით ეთნიკური კულტურის წიაღში ნარმოიქმნებიან. ინოვაცია ტრადიციაში ახალი ელემენტის შეტანას ანუ დინამიკას გულისხმობს. ზოგჯერ კი ინოვაციას შეიძლება დამლუპველი ხასიათიც ჰქონდეს. საერთოდ, ეთნიკური კულტურის განვითარება ძველის – ტრადიციულის და ახლის – ინოვაციის მუდმივი ურთიერთქმედებაა.

§6. ცივილიზაციები და ისტორიულ-კულტურული ოლქები. ადამიანები არა მარტო კულტურების, არამედ ცივილიზაციების შემქმნელნიც არიან. კულტურის შემქმნელი დედამიწაზე არსებული ყველა ეთნოსი იყო. რაც შეეხება ცივილიზაციას ის ყველას არ შეუქმნია. ჩვენთვის ცნობილი უძველესი ცივილიზაციები ძველი სამყაროს დიდი მდინარეების – ნილოსის, ტიგროსის, ევფრატის, ინდის, განგის, ხუანხეს – აუზებში წარმოიქმნა. ისტორიაში ცნობილია ძველი დროის რამდენიმე პირველადი, ადრეული ცივილიზაცია, რომლებიც ნარმოიქმნა იქ, სადაც ადრე მისი ანალოგიური რამ არ არსებობდა. ესენი იყო ძველი ნელთაღრიცხვის IV ათასწლეულის დასაწყისში წარმოქმნილი ძველეგვიპტური ცივილიზაცია, ამავე ათასწლეულის შუა ხანებში – მესო-

პოტამიური (შუმერი, აკადი) ცივილიზაცია, III ათასწლეულის დასაწყისში – ინდის ცივილიზაცია, II ათასწლეულის შუა ხანებში – ხუანხეს ცივილიზაცია, I ათასწლეულის შუა ხანებში – ანდის (ინკების) და მეზოამერიკის (მაიას, აცტეკების და სხვა ხალხების) ცივილიზაციები. ყველა მათგანი სარწყავ მინებზე დასახლებული სატომო გაერთიანებების შედეგად წარმოიქმნა.

სიტყვა „ცივილიზაცია" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან „ცივილის", რაც აღნიშნავდა „სამოქალაქოს", „საქალაქოს". მართლაც, ქალაქი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ცივილიზაცია კულტურისა და საზოგადოების ისეთი ფორმაა, რომელსაც ახასიათებს ქალაქები, საზოგადოების წოდებრივი და კლასობრივი დაყოფა (სოციალურად სტრატიფიცირებული საზოგადოება), და მმართველობის გაფორმებული წესი (ხელისუფლება, საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა).

ცივილიზაცია ყველა ისტორიულ-კულტურულ ოლქში არ წარმოქმნილა. გარდა ამისა, ცივილიზაციები სამარადისო მოვლენები არაა. მათი განადგურება ელიტარული კულტურების განადგურებას უკავშირდება. ისტორიის მიმდინარეობისას ყველა ძველი ცივილიზაცია მოისპო. ეგვიპტე დაეცა სპარსელების, შემდეგ ბერძნებისა და საბოლოოდ მუსლიმი ხალხების შეტევების შედეგად. შუამდინარეთის კულტურის ნაშთები შემორჩენილი იყო ბაბილონის კულტურაში, შემდეგ კი მასთან ერთად გაქრა, ის სპარსელებმა და არაბებმა შთანთქეს. ინდისა და ხუანხეს ცივილიზაციის ელემენტები ძველინდურ და ძველჩინურ კულტურებში გადავიდა. ძველეგვიპტური ცივილიზაცია და შუამდინარეთის ცივილიზაცია გვიანდელი იუდაურ-ქრისტიანული (რომელიც გვიან ებრაულ, დასავლურქრისტიანულ და აღმოსავლურქრისტიანულ ცივილიზაციებად დაიყო) და დასავლეთევროპული კულტურების საფუძლად იქცა. ლათინური, ებრაული და არაბული ანბანები ძველფინიკიური დამწერლობიდან მომდინარეობენ, რომელიც თავის მხრივ ეგვიპტურ იეროგლიფებთანაა დაკავშირებული.

გარკვეული ხნის განმავლობაში დამოუკიდებლად არსებობდა ისლამური, ინდური, შორეულაღმოსავლური ცივილიზაციები. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში მათ თავიანთი თვითმყოფადობა დაკარგეს, რომელთა საფუძველზე ფაქტობრივად დასავეთევროპული ცივილიზაციების მსგავსი ცივილიზაციები წარმოიქმნა. მეცნიერთა დიდი ნაწილი დღეს თვლის, რომ რაც კი კაცობრიობას შეუქმნია, ყველაზე უკეთესი დასავლეთევროპული, ლიბერალურ-დემოკრატიული ცივილიზაციაა, რომელზედაც ორიენტირებულია მთელი დანარჩენი მსოფლიო. თუმცა დასავლეთევროპული ცივილიზაციის ზოგიერთი პოსტულატი, როგორებიცაა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, პიროვნების უფლებების პრიმატი, აზრის, სინდისისა და სიტყვის თავისუფლება და რიგი სხვა მაქსიმები ზოგიერთი სხვა ცივილიზაციისათვის მიუღებელია. მათთვის დასავლური ცივილიზაციის, მენტალობის ძალით თავს მოხვევა კი კონფლიქტის წარმოქმნის ერთგვარი წინაპირობაა. სხვათა შორის, დასავლური ცივილიზაციის პოსტულატების სწრაფმა გავრცელებამ ირანში გარკვეული ხნის შემდეგ უკუშედეგი, უკურეაქცია მოგვცა, რისი საბოლოო შედეგიც შუასაუკუნეებისაკენ დაბრუნება, ფუნდამენ-

ტალური ისლამური სახელმწიფოს შექმნა გახლავთ. არაევროპული ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელია რელიგიური კულტი, ნესჩვეულებებისა და რიტუალებისადმი ერთგულება, თვითდისციპლინა, ქცევის შეზღუდულობა. ამ ცივილიზაციების წარმომადგენლები ხშირად ლაპარაკობენ დასავლეთევროპული ცივილიზაციების უპერსპექტივობასა და არასულიერებაზე, ისლამური, „ევრაზიური", „ნეგრო-აფრიკული" ცივილიზაციების უპირატესობაზე.

წარმოშობის მომენტისათვის ცივილიზაციის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია ქალაქი. ქალაქს კი ქალაქად აქცევდა სამი კომპონენტი: სასახლე, ტაძარი და ხელოსანთა კვარტალი. ინდუსტრიულ საზოგადოებამდე ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ხშირად 80-90% შეიძლება მიწათმოქმედნი (გლეხები) ყოფილიყვნენ. ქალაქში რეზიდენცია უნდა ჰქონოდა მეფეს ანდა ფეოდალს (ზედაფენის წარმომადგენელს), აქ უნდა ეცხოვრათ კარის მოსამსახურეებს, ქურუმებს, ხელოსნებს, რომლებიც წანარმს გასაყიდად აკეთებდნენ. განვითარებულ ცივილიზაციას აუცილებლად ახასიათებდა დამწერლობა, როგორც ნმინდა ტექსტების ჩასანერად, ისე საქმიანი მიმოწერისათვის, ქრონიკების ჩასანერად და ა. შ.

ყოველი ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი იყო გავრცელებისადმი მისწრაფება, საზღვრების გაფართოება. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა ძველეგვიპტური ცივილიზაცია: მიუხედავად იმისა, რომ ფარაონები მინებს იპყრობდნენ აღმოსავლეთითაც და სამხრეთითაც, ისინი დაპყრობილი მიწების კოლონიზირებას არ ახდენდნენ, არ აგებდნენ ტაძრებს, არ ცდილობდნენ დამორჩილებულთა ასიმილაციას; მხოლოდ ხარკის შეკრებით კმაყოფილდებოდნენ. ცივილიზაციების უმეტესობა კულტურული ექსპანსიისაკენ მიისწრაფოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ყველა სახელმწიფომ ვერ შეძლო ცივილიზაციის ფორმირება. მაგალითად, თანამედროვე უგანდის ტერიტორიაზე არსებობდა ბუგანდის სახელმწიფო, რომელსაც ჰყავდა მეფე, კარის მოსამსახურენი. საზოგადოება სხვადასხვა ნოდებრივი ფენებისაგან შედგებოდა, მაგრამ ქვეყანაში არ არსებობდა ქალაქები, დამწერლობა, სასახლეები, ტაძრები. ზოგჯერ ლაპარაკობენ აფრიკული, არქტიკული, პოლინეზიური, ავსტრალიური ცივილიზაციების შესახებ, თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთი ცივილიზაციები არ არსებობდა. ჩვენი აზრით, იგივე უნდა ითქვას „კავკასიური ცივილიზაციის" შესახებ. როგორც ცნობილია, კავკასია ორი გეოგრაფიული ერთეულისაგან – სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიისაგან შედგება. სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე შეიქმნა ცივილიზაციები ყველა თავისი ნიშნით. მაგრამ, რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, აქ ასეთი რამ ისტორიისათვის ცნობილი არ არის. ამასთანავე არ შეიძლება არ ითქვას ზოგიერთი საერთო კავკასიური კულტურის ელემენტების შესახებ (მსგავსი მატერიალური კულტურა, სოციონორმატიული კულტურის ერთობა და სხვა). საერთო კავკასიური კულტურისა თუ ცივილიზაციის არსებობა იმიტომაც გამოირიცხება, რომ კავკასიის ხალხები სხვადასხვა რელიგიების მიმდევარნი იყვნენ და, ბუნებრივია, აქედან გამომდინარე ისინი სხვადასხვა მენტალობის მატარებელნი იყვნენ.

ჩვენ გასაზიარებლად მიგვაჩნია აღნიშნული და მსგავსი კულტურების მატარებელი საზოგადოებებისათვის, რომლებიც ერთ გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობენ, ისტორიულ-კულტურული ოლქების აღნიშვნა. ისტორიულ-კულტურული ოლქი განისაზღვრება ტრადიციული კულტურების ნიშნების ერთობლიობით. კავკასიისათვის ასეთ საერთო კულტურულ ელემენტებად შეიძლება დავასახელოთ მის დიდ ნაწილში მატერიალური კულტურის მსაგავსი ელემენტები (სიცოცხლის უზრუნველყოფის საშუალებანი, ერთნაირი სოციონორმატიული კულტურა). ხშირ შემთხვევაში ერთიან ისტორიულ-კულტურულ ოლქში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსები ერთმანეთთან დაპირისპირებულნი არიან. მაგალითად, ბალკანეთის ერთიან ისტორიულ-კულტურულ ოლქში შედიან ერთენოვანი და ძირითადად ერთი კულტურის მატარებელი სერბები, ხორვატები, ბოსნიელები და ჩერნოგორიელები. უფრო მეტიც ისინი სხვადასხვა ცივილიზაციების – დასავლეთევროპულის, აღმოსავლეთევროპულისა და ისლამურის – ფარგლებში შედიან.

თემა XX

ერის შესახებ.
ერი და სახელმწიფოებრიობა

§1. ტერმინ „ერის“ („ნაციის“) განმარტება. ერის (ნაციის) ცნებით რამდენიმე მეცნიერებაა დაინტერესებული: ისტორია, ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ეთნოლოგია. ეთნოლოგიას ის აინტერესებს, როგორც ეთნოსის ერთ-ერთი ფორმა. ცნობილია და საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერი (ნაცია) ეთნოსის უმაღლესი საფეხურია. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ერის (ნაციის) შესახებ თანამედროვე მეცნიერებასა და პოლიტიკაში ერთი, საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრება არ არსებობს.

ჩვეულებრივ, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ეთნოლოგიასა და ფილოსოფიაში ერების (ნაციების) წარმოქმნას კაპიტალისტური წყობილების (ურთიერთობების) წარმოქმნას უკავშირებდნენ. ამ მიმართულებით ძირითადი სახელმძღვანელო ი. სტალინის წიგნი და ამ წიგნში ჩამოყალიბებული დებულებები და განსაზღვრებები იყო. არადა, ერების (ნაციების) შესახებ მსოფლიოს მეცნიერებაში თითქმის იმდენივე შეხედულება არსებობდა, რამდენიც ავტორი იყო. ეს ბუნებრივიცაა, საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებები ხომ ზუსტი მეცნიერებები არ არის და ამა თუ იმ ავტორს შეეძლო მოვლენების, ცნებების შესახებ საკუთარი მოსაზრება, შეხედულება ჰქონოდა. საბჭოთა იმპერიაში მიღებული დებულებით ერი (ნაცია) ენის ერთობის, ტერიტორიის ერთობის, ეკონომიკური ერთობის, ფსიქიკური წყობის ერთობისაგან (რომელიც კულტურის ერთობაში იჩენდა თავს) შედგებოდა. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ერის ცნების განმარტებას მთელი ერთი ათეული წლის განმავლობაში უტრიალებდნენ სხვადასხვა მიმართულების მეცნიერები, მაგრამ მასში, ფაქტობრივად, ცვლილება ვერ შეიტანეს, მხოლოდ ფორმალურად სახეცვლილი და შინაარსობრივად იგივე დებულებები იყო წარმოდგენილი. უფრო მეტიც, ეს მოსაზრება საბჭოთა კავშირის მემკვიდრის – რუსეთის ფედერაციაში – დღესაც თითქმის ასევეა გაზიარებული. უფრო მეტიც, ამ ქვეყნის მეცნიერთა დიდ ნაწილს კვლავ მიაჩნია, რომ ერების (ნაციების) წარმოქმნა მოხდა ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ, რადგან თურმე მხოლოდ ამ დროიდან ხდება ერთი ქვეყნის ეთნოსის შიგნით შინაგანი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების დამყარება. აღნიშნული მოსაზრებით, კაპიტალიზმამდელი ნინა ეპოქა – ფეოდალიზმი, ანუ როგორც დასავლეთში უწოდებენ, აგრარულ ურთიერთობათა ეპოქა, მხოლოდ ერების (ნაციების) ნარმოქმნის მატერიალური და სულიერი მომზადების ნინაპირობის პერიოდი იყო. კაპიტალიზმამდელ, ანუ ინდუსტრიულ პერიოდამდეც იყო

ეთნოსებისათვის დამახასიათებელი ის ნიშნები, რომლებიც მარქსისტულ განსაზღვრებაში იყო მოცემული. აღნიშნული მოძღვრების ადეპტები აქცენტს იმაზე ამახვილებდნენ, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური კავშირები მჭიდრო არ იყო და რომ კავშირებს ფეოდალური ტიხრები უშლიდა ხელს. ბუნებრივია, ინდუსტრიულ ეპოქაში ეკონომიკურმა კავშირებმა უფრო დიდი მასშტაბები მიიღო, ვიდრე ის აგრარულ ეპოქაში არსებობდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ბევრი პატარა ფეოდალური ერთეული გაჩნდა, სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ამ ფეოდალურ ერთეულებს შორის მაინც არსებობდა, არსებობდა მოსახლეობის ინტენსიური ურთიერთშეღწევა და შერევა, მიგრაციული პროცესები. ისმის კითხვა: ფეოდალები, მონარქები, იმპერიები ხელს უშლიდნენ თავიანთი ეპოქისათვის დამახასიათებელ შესაბამის ეკონომიკურ ურთიერთობებს?

ამ ლოგიკით თანამედროვეობა – გლობალიზაციის პერიოდი – ნაციების გაქრობის პერიოდად უნდა მივიჩნიოთ. ეკონომიკური ურთიერთობები ხომ, ფაქტობრივად, დიდი ხანია ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა. ამას დავამატოთ უაღრესად გახშირებული მიგრაციები სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში.

კიდევ ერთი გარემოება – ავტორები, რომლებიც ერების (ნაციების) წარმოქმნას კაპიტალისტურ (ინდუსტრიულ) ეპოქას უკავშირებდნენ, შეცდომაში შეიყვანა იმან, რომ ისინი ძირითადად ევროპის მონაცემებით ხელმძღვანელობდნენ. ევროპაში არაერთი ერის (ნაციის) წარმოქმნა მართლაც დაემთხვა კაპიტალიზმის (ინდუსტრიული) ეპოქის ჩასახვას, უფრო სწორად, ფეოდალური (აგრარული) ურთიერთობის რღვევას, და კაპიტალისტური (ინდუსტრიული) ურთიერთობების წარმოქმნას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ყველა სოციალური მოვლენა, ერებიც (ნაციებიც) მუდმივ განვითარებას განიცდიან, თვისობრივად ვითარდებიან. ერების (ნაციების) თვისობრივი განვითარება ხდებოდა ყველა ეპოქაში და ხდება დღესაც. იმის გამო, რომ ამა თუ იმ ეთნოსის ერთი რომელიმე ნაწილი ჩართული არ იყო საერთო სახელმწიფოებრივსა და კულტურულ სტრუქტურაში, შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ეთნოსი ერად (ნაციად) არ იყო ჩამოყალიბებული? მაგალითად შეიძლება ქართველი მთიელები – ფხოველები დავასახელოთ. ამის გამო ქართული ეთნოსი ერად (ნაციად) არ იყო ჩამოყალიბებული? ეთნოსის ერთი ნაწილი (ქართულ შემთხვევაში – ფხოველები) შეიძლება შედარებით გვიან ჩართულიყო (ანდა არც ჩართულიყო) ერის (ნაციის) შემადგენლობაში.

მარქსისტულ-ლენინური შეხედულება ერების (ნაციების) კაპიტალისტურ ეპოქაში წარმოქმნის შესახებ და ქართველი ერის (ნაციის) XIX საუკუნის II ნახევარში ფორმირების შესახებ ალოგიკური იყო. მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში საზოგადოებრივ-ეკონომოკური ურთიერთობები კაპიტალისტურ-ინდუსტრიულ ყაიდაზე გარდაიქმნა, მაგრამ მაშინ ქართველ ხალხს ნაერთვა ერისათვის (ნაციისათვის) დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორებიცაა ტერიტორია, სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ენა და, რაც მთავარია, მიზანმიმართულად აჭრელდა ქართველთა განსახლების არეალი (ტერიტორია). პირიქით, რუსეთის იმპერია ხელს უწყობდა ქართული ეროვნული ორგანიზმის დაშლას და სხვა დეზინტეგრაციულ მოვლენებს. ყველაზე მთა-

ვარი კი ის იყო, რომ რუსეთის იმპერია ქართველი ერის ეთნოგრაფიული ჯგუფების ნარმომადგენლებს არაქართულ, სხვადასხვა ეთნოსებად აცხადებდა. ამავე დროს XIX საუკუნეში ქართველი ერისათვის (ნაციისათვის) დიდი დარტყმა იყო მისი სულიერი გათიშვის მცდელობა. ეს იყო ქართველთა სხვადასხვა კონფესიურ-რელიგიური ჯგუფების არაქართველებად გამოცხადება, ქართული მართმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ნართმევა, სკოლებიდან, ოფიციალური დანესებულებებიდან ქართული ენის განდევნა.

უფრო მეტიც, საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება (და პოლიტიკა) ცდილობდა მათ მიერ აღიარებული ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობისათვის (ფორმაციისათვის) ეთნოსის შესაბამისი ფორმა შეესაბამებინა. მაგალითად, პირველყოფილ თემურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ტომობრირობა შეესატყვისებოდა, მონათმფლობელურსა და ფეოდალურ საზოგადოებებს – „ნაროდნოსტი" (თარგმნიდნენ ეროვნებად, ხალხად), კაპიტალისტურსა და სოციალისტურ საზოგადოებებს კი – ერები (ნაციები). არსად, უცხოურ მეცნიერებაში, ეთნოსის ერთ-ერთ ფორმად „ნაროდნოსტის" შესატყვისი ტერმინი არ ფიგურირებდა. ამიტომ იყო, რომ რუსი საბჭოთა მეცნიერები „ნაროდნოსტს" უცხო ენებზე ვერ თარგმნიდნენ და ინგლისურენოვან რეზიუმეებში ის რუსული ფორმით გადაჰქონდათ. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით ერის (ნაციის) ორი ტიპი – კაპიტალისტური და სოციალისტური – არსებობდა. სოციალისტური სისტემის რღვევამ ეს დებულება გააქარნყლა.

სამართლიანადაა შემჩნეული, რომ ეროვნული (ნაციონალური) ინტეგრაციის პროცესები, ჩვეულებრივ, ეთნიკურად და, შესაბამისად, ენობრივად ჰომოგენურ (ერთგვაროვან) ეთნოსებში ან მონათესავე ხალხებში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. მაგრამ ისტორიაში არაერთი ფაქტიცაა დადასტურებული როდესაც ჰომოგენური (ერთგვაროვანი) ნარმოშობის ეთნიკური ერთეულები სხვადასხვა ერებად (ნაციებად) ჩამოყალიბდნენ (მაგალითად, გერმანელები და ავსტრიელები; სერბები, ხორვატები, ბოსნიელები და ჩერნოგორიელები). ამდენად, ეთნიკური პროცესებისათვის ჰომოგენურობა სრულიადაც არ არის აუცილებელი პირობა. არაერთი ერი (ნაცია) სხვადასხვა ეთნოსების (ხალხების) სინთეზის შედეგადაა ნარმოქმნილი. საამისოდ ფრანგების, თურქების, რუსების დასახელებაც საკმარისია. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი და წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა არა საერთო ნარმომავლობასა და საერთო ენას, არამედ პოლიტიკას, ერთ სახელმნიფოში ცხოვრებას, ანუ სახელმნიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას და ძალინ ხშირ შემთხვევაში საერთო რელიგიას. ამ თვალსაზრისით ახალ ეპოქაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ერების (ნაციების) ნარმოქმნის გახსენებაც საკმარისია.

ერების (ნაციების) ფორმირებაში გადამწყვეტი როლი, როგორც ისტორია გვიჩვენებს, სახელმნიფოებმა შეასრულეს. დასავლეთის სოციოლოგიურსა და ისტორიოგრაფიულ მეცნიერებებში ერის (ნაციის) ნარმოქმნა განიხილება როგორც გვარტომობრივი კავშირების უშუალო გაგრძელება და განვითარება. ისიც აღსანიშნავია, რომ ეტატისტური თეორია ერის (ნაციის) ნარმოქმნას სახელმნიფოს უკავშირებს. თანამედროვე დასავლეთის მეცნიერებაში ერებად (ნაციებად) მიიჩნევა ის ეთნოსები, რომლებსაც საკუთარი სახელმნიფოებრირობა გააჩნი-

ათ. ამასთანავე ეთნოსი (ხალხი) ერად (ნაციად) რჩება სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემთხვევაშიც. ერთხელ ჩამოყალიბებული ერი (ნაცია) უფრო დაბალი საფეხურის ეთნიკურ ერთობას — ტომობრიობას აღარ უბრუნდება. ეს ტენდენცია მკვეთრად იყო გამოხატული XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაში: „ეროვნება ისახება და ჩნდება სწორედ იმ ხანაში, როდესაც საგვარეულო წესს თავს აღწევს და როდესაც მყარდება და მკვიდრდება სახელმწიფო" (ა. ჯორჯაძე). მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფ. ენგელსიც წერდა: „Из племени развились нации и государства". ამავე დროს, ისტორიის თვალთახედვით აშკარა განსხვავებაა ძველსა და ახალ ერებს (ნაციებს) შორის, რომელთა გამმიჯვნელად შეიძლება რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური მომენტები მოგვეელინოს. აგრეთვე ერის ჩამოყალიბების მიმანიშნებელია ეთნოსის სახელმწიფოებრიობის შექნისაკენ სწრაფვა.

ყველა ერს (ნაციას) განვითარების საკუთარი გზა აქვს განვლილი. ზოგიერთ შემთხვევაში ერის (ნაციის) წარმოსაქმნელად ერთიანი სახელმწიფო არც იყო საჭირო. ასეთ შემთხვევაში ნინ ხსვა კომპონენტები ნამოინევდა ხოლმე.

მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში იმასაც ხშირად აღნიშნავდნენ, რომ იტალიელი და გერმანელი ხალხები ერებად (ნაციებად) XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდნენ, მას შემდეგ, რაც მათ სახელმწიფოები შექმნეს.

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების იტალიელი და გერმანელი ხალხები ერთიან სახელმწიფოებში არ ცხოვრობდნენ, ისინი მაინც ერთიან ერებად (ნაციებად) იყვნენ წარმოქმნილნი. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ მათ ყოველთვის ჰქონდათ სწრაფვა საერთო სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ. ამავე დროს ისინი იყვნენ შემქმნელნი მდიდარი იტალიური და გერმანული კულტურებისა. გერმანელი ერი (ნაცია) ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც გერმანული ოლქები (მინები) აღმოსავლეთ ფრანკულ სამეფოში გაერთიანდა. გერმანელი ერი (ნაცია) აქედან მოყოლებული იმდენად მტკიცე ერთეული იყო, რომ მათ შეგნებაში ერთიანობა, ერთიანი ეთნიკური თვითშეგნება ვერც წვრილ-წვრილმა სახელმწიფოებრივმა ერთეულებმა და XVI საუკუნიდან ვერც კონფესიურმა გათიშულობამ მოშალა.

ევროპის ერების (ნაციების) უმეტესობა ძლიერ, ცენტრალურ სახელმწიფოებად შეკავშირების შედეგად წარმოიქმნა. ამის მაგალითებად ფრანგი, ინგლისელი, რუსი ერები შეიძლება დავასახელოთ. ფრანგი ერის (ნაციის) საფუძველი ერთიანი სახელმწიფო იყო, რომელიც თავდაპირველად ჩრდილოეთ საფრანგეთის ცენტრში წარმოიქმნა და რომელმაც თანდათან პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოები და სხვადასხვა ხალხები დაიქვემდებარა. ასე შევიდნენ ფრანგი ერის (ნაციის) შემადგენლობაში პროვანსალელები (ოქსიტანელები), რომლებმაც XI-XII საუკუნეებში მაღალგანვითარებული პოეზია შექმნეს, ბრეტონელები, ელზასელები, ლოტარინგიელები, კორსიკელები. ცალკე ერად (ნაციად) ვერ განვიხილავთ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოში მცხოვრებ უელსელებს. ისინი, ფაქტობრივად, ინგლისელი ერის (ნაციის) განუყოფელი ნაწილი არიან. ამ შემთხვევაში აქა-იქ უელსური ენისა და ზო-

გიერთი ეთნიკური ელემენტის შემონახულობა საქმეს ვერ შველის. სხვა კომპონენტებით კელტური მოდგმის ეს ხალხი ინგლისელები არიან.

როგორც აღინიშნა, არაერთი ერის (ნაციის) ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და თამაშობს პოლიტიკური მომენტი, პირველ რიგში, სახელმწიფოებრივი ერთიანობა, ან სახელმწიფოებრივი განცალკევებულობა. მაგალითად, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – გერმანიისა და ავსტრიის ჩამოყალიბებამ ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი თავისთავადი ერის (გერმანელებისა და ავსტრიელების) ფორმირებამდე მიგვიყვანა. მართალია, თავისი ეთნიკური წარმოშობით ჰოლანდიელები გერმანელები არიან, მაგრამ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მომენტის გამო ისინი არ შევიდნენ გერმანელი ერის შემადგენლობაში და ცალკე, დამოუკიდებელ ერად (ნაციად) ჩამოყალიბდნენ, ეს იმ დროს, როდესაც გერმანიის სახელმწიფოში მცხოვრები ქვემო გერმანელები და ჰოლანდიელები თავიანთი სამეტყველო ენით, ფაქტობრივად, ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

ამრიგად, სახელმწიფოს ფარგლებში კონსოლიდაციის პროცესები ძლიერდება, რაც ხშირად საერთო ისტორიული ბედის მქონე მახლობელი ხალხების გაერთიანებას იწვევს. ისევე როგორც ხალხები (ეთნოსები), ერებიც (ნაციებიც) ტერიტორიული და არა ნათესაური კავშირებით არიან შენივთებულ-შეკავშირებულნი. ყველა ერს (ნაციას) ისეთივე ნიშნები ახასიათებს, როგორც ეთნოსებს (ხალხებს), რომელთაც ნაციების დონემდე არ მიუღწევიათ. მაშ, რითი განსხვავდება ჩვეულებრივი ეთნოსები (ხალხები) ერებისაგან (ნაციებისაგან)? იმით, რომ ერების (ნაციების) აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია სახელმწიფოებრიობა, ოფიციალური სახელმწიფო ენის ქონა. მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული სალიტერატურო ენას, საერთო რელიგიას. საერთო მონოთეისტური რელიგიები (კონფესიები) ერების (ნაციების) განმტკიცებასა და შეკავშირებას იწვევენ. მონოთეისტური რელიგიები დამწერლობის მქონე რელიგიებია და, ბუნებრივია, საერთო საღვთისმეტყველო ენა, საეკლესიო წიგნები, სალიტერატურო ენის წარმოქმნა-ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორად მოგვევლინა.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღესაც კი ყველა ერის წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებს ასახელებენ. მაგალითად, მიიჩნევენ, რომ ინგლისელი ერის (ნაციის) ფორმირება XVI საუკუნეში მოხდა, გერმანული და იტალიური ნაციებისა – XIX საუკუნეში. ქართველებისა და სომხების ერად (ნაციად) ჩამოყალიბების თარიღად XIX საუკუნის მეორე ნახევარს მიუთითებენ. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ერებისადმი (ნაციებისადმი) ეს მარქსისტული მიდგომა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

§2. თეორიები ერის (ნაციის) შესახებ. ერის (ნაციის) შესახებ მრავალი თეორია არსებობს. ისინი რამდენიმე მიმართულებად ჯგუფდება, მაგრამ ძირითადად ორ ჯგუფად ყოფენ. საბჭოთა მეცნიერებაში მათ იდეალისტურ და ისტორიულ-მატერიალისტურ თეორიებად ყოფდნენ, დასავლეთში კი „სუბიექტურსა“ და „ობიექტურ“ ფაქტორებზე არსებულ განმარტებებად მიიჩნევენ. სხვაგვრად რომ ვთქვათ, მსოფლიოს ერთ ნანილში ჩამოყალიბდა სახელმწიფო-ნაციის (ანუ სახელმწიფოებრივი ნაციის) და მეორე ნანილში – კულტურული ნაციის, ანუ ეთნიკური ნაციის განმარტებები. სახელმწიფო-ნაციის, ანუ სახელმწიფოებრივი

ნაციის განმარტებას საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში და ის ძირითადად დასავლეთის ქვეყნებში გავრცელდა, ხოლო კულტურული ნაციის, ანუ ეთნიკური ნაციის ცნებას – გერმანელებში. სიმართლე რომ ვთქვათ, ორივე განმარტება პოლიტიკით იყო განპირობებული. ფრანგებმა, რომლებსაც შექმნილი ჰქონდათ სახელმწიფო და რომლებიც სახელმწიფოში სხვებზე დომინირებდნენ, თავიანთი სახელმწიფოს ყველა მცხოვრები, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, ანუ საფრანგეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქე ფრანგად გამოაცხადეს. გერმანელები რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოში მკვიდრობდნენ. მართალია, მათი დიდი ნაწილი კარგა ხნის განმავლობაში საერთო სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ ეს მისწრაფება მათთვის დიდხანს მიუწვდომელი იყო. ამიტომაც იყო, რომ ისინი ყველა ეთნიკურ გერმანელს ერთი ერის (ნაციის) წარმომადგენლად მიიჩნევდნენ. აქედან ჩაეყარა საფუძველი ერის (ნაციის) კულტურულ (ეთნიკურ) განმარტებას. პირველისათვის თუ მთავარი და ძირითადი ერთ სახელმწიფოში ცხოვრება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობა იყო, მეორისათვის – ენობრივი და კულტურული ნიშანი. ამრიგად, თანამედროვე მეცნიერებასა და პოლიტიკაში ტერმინ – „ნაციის" შესახებ ერთი მოსაზრება არ არსებობს.

სამეცნიერო და პოლიტიკურ ლექსიკონებში განსაკუთრებით ინტენსიურად ტერმინი „ნაცია" საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ შევიდა. თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფო თავს ნაციონალურ სახელმწიფოდ მიიჩნევს და აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ერი (ნაცია) სახელმწიფოებრიობის სოციალურ საფუძველს წარმოადგენს და გვეელინება პოლიტიკური სუვერენიტეტის მატარებლად. მაგრამ ასეთი ვითარება საერთო მდგომარეობას სრულიად მაინც არ ასახავს, რადგან როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მსოფლიოში იყო და არის საკუთარი სახელმწიფოებრიობის არმქონე ერები (ნაციები) და არის სახელმწიფოები, რომლებშიც რამდენიმე ერი (ნაცია) ცხოვრობს (ბუნებრივია, ეს შეხედულება ნაცია-სახელმწიფოს მიმდევრებისათვის მიუღებელია). აქედან გამომდინარე, ნაციებს განსაზღვრავენ როგორც ერთობებს, რომლებსაც საერთო ისტორიული ფესვები და საერთო პოლიტიკური ინტერესები აქვთ. ისინი განიხილება, როგორც სოლიდარული ერთობები. ნაცია ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ ტერიტორიასთან. სხვა მსგავსი დიდი სოციალური ერთობების დარად, ნაციები თავიდანვე არარსებულ ბუნებრივ მოცემულობას წარმოადგენდა, ისინი ჩნდება, როგორც კულტურული და ისტორიული განვითარების პროდუქტები. ერები, (ნაციები) როგორც პოლიტიკური გაერთიანებები, შუა საუკუნეებშიც არსებობდა. თავდაპირველად ტერმინი nacio ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილს აღნიშნავდა, რომელიც მას პოლიტიკურად წარმოადგენდა, შემდეგ კი ეს ცნება სახელმწიფოს ყველა მოქალაქეზე გაავრცელეს. ევროპის ძველ ქვეყნებში ნაციის, როგორც პოლიტიკური წარმონაქმნის, ჩამოყალიბების ორ ეტაპს გამოყოფენ, შესაბამისად, ერის (ნაციის) ორ ძირითად ფორმას: **ნოდებრივ ნაციასა** და **სამოქალაქო ნაციას.** ძველი და ახალი ერები (ნაციები) შეიძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ. პირველი ტიპის (ფორმაციის) ერებად გააზრებული უნდა იქნას ის ერები, რომელთა წარმოქმნა ერთი სახელმწიფო (ეროვნული) ენის გარშემო კონსოლიდაციამ განაპირობა. ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე მეტყველნი თავს აღიქვამდნენ

ერთი ენობრივი სამყაროს წევრებად და უპირისპირდებოდნენ დანარჩენ სამყაროს როგორც „ჩვენ“ და „ისინი“. ამ ენობრივი ერთობის განცდას ქმნიდა ზედიალექტური კოინე, რომელიც ტომთაშორისი ურთიერთობის პროცესში ყალიბდებოდა და არ ემთხვეოდა არც ერთ დიალექტს ან დიალექტთა ჯგუფს. ასეთი კოინე მაშინაც კი ასრულებდა თავის ფუნქციას, როდესაც ყველა ამ ერთეულს თავისი ქალაქ-სახელმწიფოები ან „ქვეყნები“ ჰქონდა და არა ერთიანი სახელმწიფო (ასეთები იყვნენ, მაგალითად, ბერძნები). დღეს მსოფლიოში არსებული ერების (ნაციების) უმეტესობა მეორე ტიპის (ფორმაციის) ერებია.

წოდებრივი ნაცია პოლიტიკური ნაციის ყველაზე ადრინდელ ფორმადაა მიჩნეული. ისტორიას თუ ღრმად ჩავუკვირდებით, შუა საუკუნეებში, ფეოდალურ (აგრარულ) საზოგადოებაში ერის (ნაციის) სახეს მართლაც ზედაფენა ქმნიდა. ისინი მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მართვასა და მოწყობაში, ისინი შეადგენდნენ მოაზროვნე, ინტელექტუალურ ნაწილს, მათ ხელში იყო დამწერლობა, ძირითადად ისინი შეადგენდნენ სასულიერო წოდებებს, რომლებიც დიდ მაკონსოლიდირებელ როლს თამაშობდნენ. დაბალი ფენა (გლეხობა) სახელმწიფო, სადამწერლობო, საღვთისმეტყველო ენის ძირითადი მატარებელნი იყვნენ, ახორციელებდნენ ქვეყნის შიგნით სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებს და, რაც მთავარია, ქმნიდნენ ტრადიციულ (ეთნიკურ) კულტურას, რომლის გარეშეც არც ერთი ერი (ნაცია) არ წარმოიდგინება.

თანამედროვე მსოფლიოში უპირატესობა ენიჭება სამოქალაქო ნაციის ცნებას – ერთი სახელმწიფოს მოქალაქეები ერთ ერს (ნაციას) შეადგენენ.

ნაციონალური იდენტურობის სპეციფიკურ ნიშნებად კი მიიჩნევენ ენის, კულტურის ან რელიგიის ერთობას, საერთო ტერიტორიაზე ბინადრობასა (სამშობლო) და საერთო ისტორიას. ამიტომაც ისტორიოგრაფიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერის (ნაციის) ცხოვრებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომლებიც ერებს (ნაციებს) შეეხება, ხაზგასმულია ინტელიგენციის როლი, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში სწორედ მას ენიჭება გადამწყვეტი როლი (ხელოვნება, მეცნიერება და განსაკუთრებით ისტორიოგრაფია. სხვათა შორის, ერის ხასიათისა და ცნობიერების ჩამოყალიბებაში ენას, ლიტერატურასა და ისტორიას განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა გოტფრიდ გერდერი). მაგალითად, XII საუკუნის ზოგიერთი გერმანელი პოეტის შემოქმედებაში უკვე გამოკვეთილი იყო საერთოგერმანული თვითშეგნება. დიდი მინეიზერთაგანი (სიყვარულის მომღერალი) ვალტერ ფონ დერ ფოგელვეიდე აღფრთოვანებით აქებდა თავის ქვეყანას და გერმანელ ქალებს ყველაზე საუკეთესოებად მიიჩნევდა მსოფლიოში. ადრე შუა საუკუნეებში, ამ თვალსაზრისით, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ქართველი მწერლები იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე და გიორგი მერჩულე. ისინი ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდნენ. ლეონტი მროველი თავისი ისტორიოგრაფიული შემოქმედებით არა მხოლოდ წარსულს აღწერდა, არამედ თავისი ერის (ნაციის) მომავალზედაც ზრუნავდა.

ერის (ნაციის) თეორიის განვითარებაში, ზემოთ დასახელებულ გ. გერდერთან ერთად, განსაკუთრებული ნვლილი ფრანგმა ჟ. რენანმა

შეიტანა. გ. გერდერი ნაციის თეორიის მნიშვნელოვან წყაროდ განიხილავდა „ხალხის სულს“. სხვადასხვა იდეალისტური თეორიებით „ხალხის სული“, „ნაციონალური ხასიათი“ უკავშირდებოდა საერთო წარმომავლობას, საერთო სისხლს, საერთო რასას. მაგრამ სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევებით დასტურდება, რომ ნაცია ესაა ტერიტორიული და არა სისხლით ნათესავთა ერთობა.

ზემოთ დასახელებული ფრანგი მეცნიერი ჟ. რენანი ერის (ნაციის) ახსნას სუბიექტური, კერძოდ, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით ცდილობდა. ის ნაციის წარმოქმნასა და განვითარებაში განმსაზღვრელ ძალად ნებას მიიჩნევდა. ჟ. ს. მილი კი ერის (ნაციის) ცხოვრებაში ნინა პლანზე გრძნობებს წამოსწევდა. ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლები ერს (ნაციას) ადამიანების კულტურულ-ფსიქოლოგიურ ერთობად მიიჩნევდნენ, რომლებიც ერთმანეთთან ერთი ბედით არიან გაერთიანებულ-შეკავშირებულნი. მაგალითად, ო. ბაუერი თვლიდა, რომ ერი (ნაცია) ბედის ერთობის ნიადაგზე შეკავშირებულ ადამიანთა ერთობაა. რ. შპრინგერი ნაციას ერთნაირად მოაზროვნე და მოლაპარაკე პიროვნებების კავშირად მიიჩნევდა. დააახლოებით ასეთივე პოზიცია ეკავა ნ. ა. ბერდიაევს, რომელიც ნაციას განიხილავდა როგორც ისტორიული ბედის ერთობლიობას.

ნაციის ე.წ. ობიექტურ თეორიებს შორის განსაკუთრებით გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც, ნაცია, უპირველეს ყოვლისა, კულტურულ ერთობას წარმოადგენს. ა. ფირკარდტი წერდა: „ერთობის საფუძველს წარმოადგენს არა სისხლი (ყურადღება უნდა მიექცეს მრავალრიცხოვან შერევებს), არამედ კულტურა“. მარქსიზმის ცნობილი თეორეტიკოსი ნაციონალურ საკითხში იყო ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი კ. კაუცკი. ის გადამწყვეტ მნიშვნელობას ეკონომიკურ ფაქტორებს ანიჭებდა. ერის (ნაციის) განსაკუთრებულ ნიშნებად ის ენასა და ტერიტორიასაც მიიჩნევდა. კ. კაუცკის სახელთან არის დაკავშირებული ერის (ნაციის) ისეთი მარქსისტული პარადიგმები, როგორებიცაა „ისტორიულ-ეკონომიკური“, „მატერიალისტური“. იოსებ სტალინის ცნობილი განმარტება, რომ „ნაცია არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური ნყობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“, ფაქტობრივად, კ. კაუცკის შეხედულებების კვინტენსეცია იყო. რუსი მარქსისტები, კერძოდ ი. სტალინი, ერების (ნაციების) თეორიის საკითხებში უფრო შორს წავიდნენ. ი. სტალინის სახელთან არის დაკავშირებული კონცეფცია ისტორიულ პერსპექტივაში ერების (ნაციების) შერწყმის, ნაციონალური ტიხრების გაქრობის შესახებ. მარქსიზმის ეს ვერსია, ანუ ნაციონალური ნიჰილიზმი თითქმის ყველა სკოლისა და მიმართულების მიერ იქნა უარყოფილი. ი. სტალინის კონცეფცია, ფაქტობრივად, რუსული იმპერიული აზროვნებით იყო განპირობებული, რომლის მიზანიც იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის ასიმილაცია იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ ი. სტალინმა ნაციონალურ საკითხში თავი ერთადერთ და უმაღლეს თეორეტიკოსად გამოაცხადა და მის მიერ შექმნილმა ვულგარულმა მარქსიზმის ვერსიამ ერის შესახებ საბჭოთა იმპერიის სივრცეში სამეცნიერო კვლევა-ძიება ჩაკლა და ყველა სხვა მოსაზრებას არსებობის უფლება წაართვა.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთში ერისა (ნაციისა) და ნაციონალიზმის შესახებ არაერთი სხვადასხვა თეორია და მიმართულებაა. შეუძლებელია ყველა მათგანის ჩამოთვლაც კი. მანამ, სანამ ზოგიერთს დავასახელებთ,რამდენიმე ამონანერი უნდა მოვიყვანოთ ერნესტ რენანის ნაშრომიდან „რა არის ერი". ის ევროპული ერების (ნაციების) ისტორიას საკმაოდ ადრე – IX საუკუნის შუა ხანებიდან იწყებდა: „რომის იმპერიის აღსასრულის ან, უფრო ზუსტად, კაროლინგების იმპერიის დაშლის შემდეგ დასავლეთ ევროპა ერებად დაყოფილი წარმოგვიდგება". „ერის არსი ისაა, რომ ყველა ინდივიდს ბევრი რაიმე აქვს, და კიდევ ის, რომ მათ ბევრი რამ აქვთ დავიწყებული. არც ერთმა ფრანგმა მოქალაქემ არ იცის, ბურგუნდიელია, ალანი, ტაიფელი თუ ვისიგუთი". „ყველაზე სახელოვანი ქვეყნები – ინგლისი, საფრანგეთი, იტალია ის ქვეყნებია, სადაც სისხლი ყველაზე უფრო არეულია. ხომ არ არის გერმანია გამონაკლისი ამ მიმართულებით? ხომ არ არის გერმანია წმინდა ქვეყანა? რა ილუზიაა! მთელი სამხრეთი გალურია. მთელი აღმოსავლეთი, ელბიდან მოყოლებული, სლავურია". „ერი არის გონითი პრინციპი, მიღებული ისტორიის დახლართული ხდომილების შედეგად, გონითი ოჯახი და არა მზის კონფიგურაციით განსაზღვრული ჯგუფი". „ერი არის სული, გონითი პრინციპი. ამ სულს, ამ გონით პრინციპს შეადგენს ორი რამ, რაც, მართალი რომ ვთქვათ, სინამდვილეში ერთი და იგივეა. ერთი წარსულშია, მეორე – აწმყოში. ერთი არის მოგონებათა მდიდარი მემკვიდრეობის საერთო ფლობა; მეორეა აქტუალური თანხმობა, ერთად ცხოვრების სურვილი, მიღებული მემკვიდრეობის განუყოფელი შენარჩუნების ნება". „ერი არის დიდი სოლიდარობა, შექმნილი უკვე გაღებული მომავალში აუცილებელი მსხვერპლის განცდით". ე. რენანი, მსგავსად შიროკოგოროვისა, ლ. გუმილიოვისა, ადამიანთა ეთნიკურ ერთობებს (ერებს, ნაციებს) ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ, მუდმივ კატეგორიებად არ მიიჩნევდა: „რა არის უცვლელი ამ ქვეყნად? ერები ასეთი მარადიული წარმონაქმნები არაა. მათ აქვთ დასაწყისი და დასასრული. შესაძლოა ისინი ევროპულმა კონფედერაციამ შეცვალოს".

XX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ნაციის შესახებ განსაკუთრებით პოპულარულია სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის პრინციპებსა და მიდგომებს ეყრდნობა. განსაკუთრებით პოპულარულია „კონსტრუქტივისტული" და „ინსტრუმენტალისტური" და სხვადასხვა „რეალიტივისტური" თეორიები და კონცეფციები. შეიძლება დავასახელოთ ბენედიქტ ანდერსონის, ჯონ ბროის, ერნესტ გელნერის, ენტონი სმიტის ნაშრომები. ისინი ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ერი (ნაცია) ისტორიული მოვლენაა, რომელსაც ეთნიკური და კულტურული საფუძვლები გააჩნია.

ე. გელნერის მიხედვით, ერები (ნაციები) პოლიტიკური მოქმედების შედეგად არის წარმოქმნილი; ეთნოსები ნაციებად გადაიქცევა არა უბრალოდ თვითგანვითარების, არამედ პოლიტიკური ქმედების შედეგად, ე.ი. ერები (ნაციები) სახელმწიფოს მოქმედების შედეგს წარმოადგენდა. ე. გელნერის თანახმად, ერს (ნაციას) არა აქვს არც ეკონომიკური, არც ენობრივი და არც ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ის მხოლოდ პოლიტიკურ-სამართლებრივი ნიშნების მატარებელია. ე. გელნერისავე თვალსაზრისით, არსებობს რეალური ნაციები და პოტენციური

ნაციები, რომელთაგანაც მხოლოდ პირველთ აქვთ სახელმწიფოებრიობა. ერის (ნაციის) წარმოქმნას, ისევე როგორც ვულგარული მარქსიზმის წარმომადგენლები, ე. გელნერიც ინდუსტრიალიზაციას უკავშირებდა: „ნაცია არის ინდუსტრიალიზმის, წარმოების წესის შედეგი, რომელიც წარმოიქმნა და გავრცელდა სწორედ ამ პერიოდში".

ერს (ნაციას) „სუბიექტური" პოზიციებიდან განმარტავდა ბენედიქტ ანდერსონი: „ნაცია არის წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება, წარმოსახვითი ერთდროულად თვისობრივი შემოსაზღვრულობისა და სუვერენულობის თვალსაზრისით".

ბოლო ხანებში გაჩნდა თვალსაზრისი, რომელიც ცდილობს რაღაც კონსესუსის მიღწევას ერის (ნაციის) „სუბიექტურსა" და ობიექტურ მიდგომებს შორის. თუმცა კონსესუსის მიღწევა, როგორც ჩანს, შეუძლებელი იქნება.ბევრი მკვლევარი იმაზეც კი შეთანხმდა, რომ ერი (ნაცია) არც სახელმწიფოა და არც ეთნიკური ერთობა. ე. სმიტისათვის, რომელიც ისტორიულ-ეთნოცენტრისტული თეორიის მიმდევარია, ერები (ნაციები) მხოლოდ თანამედროვეობის ფენომენები არ არის, მოდერნიზაციის შედეგად წარმოქმნილი. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ნაცია არც ეთნიკური ერთობაა, რადგან, მიუხედავად ამ ფენომენთა მსგავსებისა (ორივე კულტურული, კოლექტიური იდენტობებია), ეთნიკურ ერთობას არ ახასიათებს პოლიტიკური მიმართულება და ბევრ შემთხვევაში მას არა აქვს საჯარო კულტურა და ტერიტორიული განზომილებაც კი არ გააჩნია, რადგანაც ეთნიკური ერთობისათვის არ არის აუცილებელი თავისი, ისტორიული ტერიტორიის ფიზიკურად ფლობა, მაშინ, როდესაც ნაციას უნდა ეკავოს საკუთარი ტერიტორია იმდენ ხანს მაინც, რომ ნაციად ჩამოყალიბება, ნაციად ყოფნა მოასწროს და აღიარება მოიპოვოს. გარდა ამისა, მას სჭირდება თვითგამორკვევა და საჯარო კულტურის განვითარება გარკვეულ დონემდე". ე. სმიტისათვის მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს მფლობელი ეთნოსები არ წარმოადგენს ერებს (ნაციებს). მას ნაციის აუცილებელ პირობად საკუთარი სახელმწიფოს შექმნის ან ავტონომიურობისაკენ სწრაფვაც საკმარისად მიაჩნია.

ე. სმიტის განსაზღვრით, ერი (ნაცია) არის „ადამიანთა თვითსახელწოდების მქონე ერთობა, რომელსაც უკავია სამშობლო მიწა, რომელსაც აქვს საერთო მითები და საზიარო ისტორია, საერთო საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი".

ერის (ნაციის) შესახებ 1910 წელს გამოკვლევა გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა მიხაკო წერეთელმა. მის ნააზრევს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და შეიძლება ითქვას, რომ ის თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებს პასუხობს. მიხაკო წერეთლის ფუნდამენტური გამოკვლევა ნაციისა და ნაციონალიზმის პრობლემებზე დასავლეთში მოღვაწე მკვლევართათვის უცნობია იმის გამო, რომ ის ავტორმა მშობლიურ, ქართულ ენაზე დაწერა. მხოლოდ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ მ. წერეთელი ერს (ნაციას) ახალი დროის – კაპიტალიზმის (ინდუსტრიალიზაციის) პროდუქტად არ განიხილავდა. მისთვის ძველი ბერძნებიცა და ძველი რომაელებიც (ლათინები) ერები იყვნენ. ის აღნიშნავდა: „ბერძნებმა შექმნეს უღრმესი და უმნიშვნელოვანესი ნაციონალური სული, რომლის გამოხატულება იყო მათი ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება და ფილოსოფია, – რომელიც ბერ-

ძნული იყო, ეროვნული, წმინდა ელინური და დიდად განირჩეოდა ყველა სხვა ლიტერატურისაგან, ხელოვნებისაგან და ფილოსოფიისაგან. დიან, ბერძნები წარმოადგენდნენ ერს, და უდიდეს ერსაც მთელს ისტორიაში, მიუხედავად მათი მცირერიცხოვანობისა". მ. ნერეთელი, სხვა ავტორთა მსგავსად, ერის (ნაციის) უპირველეს ნიშნად ენასა და სახელმწიფოებრიობას ასახელებდა. ხაზს უსვამდა, რომ „ერი (ნაცია) არ არის რაღაც პირველყოფილი სოციალური არსი, რომელიც მუდამ არსებობდა, არსებობს და იარსებებს აგრეთვე იმ ფორმით, რომლითაც იგი აწმყოშია: მას ჰქონდა თავისი დასაბამი, მან განვლო თავისი განვითარების პროცესი თანამედროვე ხანამდე, იგი რასაკვირველია მომავალში ფორმას იცვლის". არ შეიძლება არ დაეთანხმო მ. ნერეთელს, როდესაც ის ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველების შესახებ საუბრობს. მართალია, ისინი ეთნიკური ქართველები იყვნენ, მაგრამ „ქართველი ერის ნაწილს აღარ შეადგენდნენ, ვინაიდან აღარავითარ მონაწილეობას აღარ იღებდნენ საქართველოს ეროვნულ-სოციალურ ფუნქციათა აღსრულებაში". ჩვენი მხრივ დავამატებთ იმას, რომ ასეთ ეთნიკურ ქართველებს კვლავ შეუძლიათ ქართველი ერის შემადგენელ ნაწილად იქცნენ ისტორიული და პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად და მათი გარკვეული ნაწილის ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში გადანაცვლებისას. ქართველი ავტორი იძლევა ერის (ნაციის) განმარტებას, რომელიც არსებულ მრავალ განმარტებათაგან უფრო შინაარსიანი და მისაღები უნდა იყოს ქართული საზოგადოებისათვის: „ერი არის ერთი სოციალური სუპერორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მონესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, – საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა". აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ნერეთელი მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ქართველობას ერად მიიჩნევდა, რომელსაც ორიგინალურ ტრადიციებთან, განვითარებულ მწერლობასთან, ხელოვნებასთან, მეცნიერებასთან ერთად შექმნილი ჰქონდა „ერთი კონკრეტული სოციალური ორგანიზმი. ყველა ეროვნული ორგანოებით".

ამრიგად, ერი (ნაცია) არის ის ეთნოსი (ხალხი), რომელსაც შექმნილი აქვს ან შექმნილი ჰქონდა სახელმწიფო. სახელმწიფო ინსტიტუტები ეთნოსებს (ეთნიკურ ერთობებს) ერებად (ნაციებად) აქცევს. ეთნოსები (ხალხები) ერებად (ნაციებად) მხოლოდ კაპიტალისტურ (ინდუსტრიულ) საზოგადოებაში არ ჩამოყალიბებულა. ინდუსტრიულ საზოგადოებამდეც არსებობდა ერები (ნაციები). ეკონომიკური და სამეურნეო ურთიერთობები ქვეყნების სხვადასხვა პროვინციებს შორის კაპიტალისტურ საზოგადოებამდეც არსებობდა. თუმცა ეს ურთიერთობები აგრარული და ინდუსტრიული საზოგადოებებისა, ბუნებრივია, ერთნაირი დონის არ იყო და ისიც ბუნებრივია, რომ აგრარული (ფეოდალური) ეპოქის ერები (ნაციები) განსხვავდებოდა ინდუსტრიული (კაპიტალისტური) ეპოქის ერებისაგან (ნაციებისაგან). აგრარული (ფეოდალური) ეპოქის ის ეთნოსები, ეთნიკური ერ-

თობები შეიძლება ჩაითვალოს ერებად (ნაციებად), რომელთაც სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ. ამ ეპოქის არაერთმა ეთნოსმა დიდი კულტურა და ცივილიზაცია შექმნა. აბა, რად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფოს შემქმნელი ხალხი, რომელსაც განვითარებული საქალაქო ურთიერთობები აქვს, რომელსაც შექმნილი აქვს სრულყოფილი დამწერლობა, მწერლობა (სალიტერატურო ენა), სახელმწიფო (კანცელარიის) ენა, ეთნიკურ (ტრადიციულ) კულტურასთან ერთად პროფესიული კულტურა? ამავე დროს შუა საუკუნეების ერების (ნაციების) წარმოქმნაში განუსაზღვრელი როლი შეასრულეს მონოთეისტურმა რელიგიებმა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართველი ერი (ნაცია), რომელსაც სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. მართალია, ქართველმა ერმა დროთა განმავლობაში სახელმწიფო, ეთნიკური ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, ხშირად სხვა იმპერიათა დაქვემდებარებაშიც ყოფილა, მაგრამ 1810 წლამდეც სახელმწიფო ინსტიტუტების, საჯარო კულტურის მფლობელი იყო და ქართული ეთნოსი კვლავ ერს (ნაციას) წარმოადგენდა. ამას მთელი XIX საუკუნის ქართველი ერის (ნაციის) ისტორიაც ადასტურებს, როდესაც ქართველები თითქმის მუდმივად იბრძოდნენ სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ. ე. სმიტის მიხედვით კი, სახელმწიფოებრიობისაკენ მისწრაფება (და თუნდაც ავტონომიის სტატუსი, რაც, ფაქტობრივად, საბჭოთა იმპერიაში ქართველებს ჰქონდათ) ჩამოქვეითებას არ ნიშნავდა. დაბოლოს, შემთხვევითი არ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილმა თავის მრავალტომეულ გამოკვლევას „ქართველი ერის ისტორია" უწოდა. უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოების შესახებაც – მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ერი (ნაცია) მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც წარმოიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო მეფე ფარნავაზის (ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნა) მეთაურობით, მაშინდელ ქართველ ერში (ნაციაში) ყველა ქართულ-ქართველურ ჯგუფს ვერ მოვიაზრებთ. ცნობილია, რომ ეთნოსები და, მათ შორის, ერებიც მუდმივ ვითარებას განიცდის. ნაცია ის ფენომენია, რომელიც მუდმივად, განუწყვეტლივ ვითარდება. ამ დროიდან მოყოლებული მუდმივად ვითარდებოდა, თანაც ალმავალი ხაზით, ქართული ეთნოსიც (ქართველი ერი). ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ჩამოყალიბებული ქართველი ერი თავის განვითარების გზაზე მუდმივად იკრებდა, საკუთარ ეთნიკურ (ეროვნულ) ქვაბში ხარშავდა იმ ქართულ ტომებს, რომლებიც ჯერ არ იყვნენ შესულნი ქართველი ერის შემადგენლობაში.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება საქართველოს მთის ეთნოგრაფიული მხარეები დავასახელოთ. ქრისტიანობის მიღებით ერთგვარი ზღვარი გაივლო ძველი და ახალი ტიპის (ფორმაციის) ქართველ ერს (ნაციას) შორის. თავდაპირველად, ადრე შუა საუკუნეების მანძილზე, ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად, ქრისტიანობის მატარებელი საქართველოს სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, ქართველად მიიჩნეოდა. თუმცა მალევე ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს (მონარქიის) პირობებში ქართველად მიიჩნეოდა არა მხოლოდ წარმოშობით ქართველი, არა მხოლოდ ქრისტიანი, არამედ ნათესავით არაქართველი და არაქრისტიანიც. ეროვნებით (ნაციით) ქართველად იყო საქართველოს სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, თუ ის ამ სახელმწიფოს სამსახურში იდგა. ერის (ნაციის) ის გაგება არსებობდა XII საუკუნის საქართველოში, რომელიც დღეს დასავლეთის სამყაროში არსებობს.

საქართველომ რუსეთის იმპერიას პოლიტიკურად თავი დააღნია, ის თანდათან დასავლური სტრუქტურების ნევრი ხდება, ამიტომ, ვფიქრობთ, ქართველი მეცნიერები და პოლიტიკოსები უნდა გათავისუფლდნენ „ნაციის" იმ გაგებისაგან, განმარტება-განსაზღვრებისაგან, რომელიც სულ ათიოდე წლის წინ თითქმის ყველასათვის მისაღებ განმარტებას წარმოადგენდა და რაც ზემოდან მოცემული და თავსმოხვეული იყო. ერის (ნაციის) შესახებ არავის არ შეეძლო განსხვავებული შეხედულებების გამოთქმა. ახლა ამის დრო და საშუალება არის. ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ დასვლეთის სამეცნიერო პოლიტიკურ ლიტერატურაში „ნაცია" სხვა მნიშვნელობით გამოიყენება. აქ გაბატონებულია შეხედულება ნაციაზე როგორც ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობაზე, თანამოქალაქეობაზე, ე. ი. ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთობაზე. ამ გაგებით ერთ ნაციას ნარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს ყველა მოქალაქე მათი ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად. მაგალითად, საფრანგეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქე – ეთნიკური ფრანგი, პროვანსელი, ბასკი, ბრეტონელი, ელზასლოტარინგიელი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მოსულთა შთამომავლები, აგრეთვე აფრიკული და აზიური ქვეყნებიდან მოსულები შეადგენენ ფრანგ ერს (ნაციას). გერმანიის კონსტიტუციის თანახმადაც, გერმანელია ყველა, ვინც გერმანიის მოქალაქეა. ამ მაგალითებიდან ცხადია, რომ დასავლეთის ქვეყნებში ტერმინი „ერი" („ნაცია") აღნიშნავს არა ეთნიკურ, არამედ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთობას.

ტერმინი „ნაცია" გამოიყენება პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით და ემთხვევა სახელმწიფოს ცნებას: „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია", „ნაციონალური შემოსავალი", „ნაციონალური უსაფრთხოება", „ნაციონალური საბჭო" – ამ სიტყვათა შეთანხმებაში სიტყვა „ნაცია", „ნაციონალური" ტერმინების – „სახელმწიფოსა" და „სახელმწიფოებრივის" სინონიმებად გამოიყენება. ფრანგულ და ინგლისურ ენებში nation ერთი სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობას აღნიშნავს. რუსეთში კვლავ ძველი თეორიის მიმდევრები არიან – აქ მიიჩნევენ, რომ რუსეთი მრავალეროვანი (მრავალნაციონალური) სახელმწიფოა და აქ არა მხოლოდ რუსი ერი (ნაცია), არამედ სხვა ერებიც (ნაციებიც) მკვიდრობენ. მიუხედავად ამისა, ტერმინი „ნაციონალური", როგორც „სახელმწიფოებრივის" სინონიმი, რუსეთშიც ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, „ნაციონალური ინტერესები", „ნაციონალური უსაფრთხოება". ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ „სახელმწიფოებრივი ინტერესები", „სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება" და ა. შ.

აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში. რაც ყველაზე მთავარია – პიროვნების დამადასტურებელი ოფიციალური იურიდიული დოკუმენტებიდან ამოიღეს ეროვნების რეკვიზიტი. ეროვნების გრაფა საბჭოთა კავშირის დროს, ფაქტობრივად, ეთნიკურობის განმსაზღვრელი იყო. ეს გადაწყვეტილება საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისაკენ იყო მიმართული, რათა საქართველოს მოქალაქე არაქართველები ქართველთაგან გაუცხოებულნი არ ყოფილიყვნენ. დოკუმენტში ეთნიკურობის ჩანერა-არჩანერით არ განისაზღვრება ადამიანთა ეთნიკურობა. წინათ, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს

მოქალაქეებს არასოდეს პქონიათ დაბადების მონმობა, პასპორტი და შიგ დაფიქსირებული ეროვნება, ანუ ეთნიკურობა. აღნიშნული ნაბიჯი ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური არაქართველების ქართულ გარემოში ინტეგრაციას, დასავლური ტიპის ნაციად („ნაცია-სახელმწიფოდ", სამოქალაქო ნაციად) ჩამოყალიბებას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ საუბრობდნენ საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე, ეროვნულ უმცირესობებზე. დღეს საქართველოში მხოლოდ ქართველი ერის მკვიდრობაზე შეიძლება ლაპარაკი, დანარჩენი ეთნიკური ერთობები კი ერები (ნაციები) არ არის. აქედან გამომდინარე, აღარ უნდა ვისაუბროთ საქართველოზე, როგორც მრავალეროვან ქვეყანაზე, ის მხოლოდ პოლიეთნიკური ქვეყანაა. ამდენად, საქართველოში არც ეროვნული უმცირესობა არ ცხოვრობს. საუბარი შეიძლება მხოლოდ საქართველოში მკვიდრ ეთნიკურ ერთობებზე, რომელთაც აქვთ თავიანთი თავდაპირველი სამშობლო, ტერიტორია, საიდანაც ისინი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში აქ მოვიდნენ და დასახლდნენ. ასეთი ეთნოსების აღსანიშნავად კი მეცნიერებაში გამოიყენება ცნება „ეთნიკური ჯგუფი". ამდენად, საქართველოს სახელმწიფოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, სომხები, ოსები, ბერძნები, რუსები ეთნიკური ჯგუფებია და არა ერები (ნაციები). ერებს (ნაციებს) ისინი თავიანთ ეთნიკურ ტერიტორიაზე, ისტორიულ სამშობლოში წარმოადგენენ.

ყველა ერი (ნაცია) მიისწრაფვის ნაციონალური სახელმწიფოს შენარჩუნებისაკენ და თუ ის დაკარგული აქვს, იბრძვის მის აღსადგენად, რადგან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერის (ნაციის) მთლიანობისა და მისი ეთნიკური კულტურის, თავისთავადობის შენარჩუნება და განვითარება მხოლოდ ეროვნულ (ნაციონალურ) სახელმწიფოში, ერთ სახელმწიფოშია შესაძლებელი. ამიტომ ყველა ნაციონალური მოძრაობის საბოლოო მიზანი საკუთარი სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის, სახელმწიფოს შექმნაა, ოღონდ საკუთარი ეთნიკური ტერიტორიის და არა სხვა ეთნოსის (ნაციის) ტერიტორიის მითვისების ხარჯზე.

ერის (ნაციის) ფორმირება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა, თითქმის ერთდროულად მიმდინარეობს. თავდაპირველად სახელმწიფოთა უმრავლესობის საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს ემთხვეოდა. ამ პრინციპით წარმოიქმნა სახელმწიფოები (და, შესაბამისად, ერები, ანუ ნაციები) დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ნაციების ფორმირების თანამდევი მოვლენა იყო ცენტრალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომლებიც ძირითადად ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე წარმოიქმნა. ამ პრინციპით მოხდა ერთიანი კაროლინგების იმპერიის ორ სახელმწიფოდ გაყოფა. ფრანგული რევოლუციის დროს და შემდეგ კი დაიწყო პროპაგანდა პრინციპისა „ერთი ნაცია – ერთი სახელმწიფო". ამ დროიდან შეიძინა ტერმინმა „ნაციამ" პოლიტიკური აზრი – ადამიანების ერთი, „ნაციონალური" სახელმწიფოსადმი მიკუთვნებულობა. ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა შეხედულება, რომ ნაციონალური სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზაციის ოპტიმალურ მოდელს, სადაც ეროვნული (ნაციონალური) სახელმწიფოები წარმოიქმნა მონარქიის, საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკების ფორმით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის ინიციატივით პრინციპი „ერთი ნაცია – ერთი სახელმწიფო“ გავრცელდა ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ახალი სახელმწიფოების საზღვრებს ნაციონალური პრინციპით ადგენდნენ. ამ პრინციპს შეეძლო ბევრი ადრინდელი ნინააღმდეგობის მოხსნა, მაგრამ მან ბევრი ახალი ნინააღმდეგობაც წარმოქმნა, რადგან ობიექტური გაყოფის შემთხვევაშიც კი თანამიმდევრულობის დაცვა არ ხერხდებოდა, არ არსებობდა და არ არსებობს ეთნიკურად ჰომოგენური მასივები, კაცობრიობის როგორც ძველ, ისე ახალ პერიოდში ხშირი იყო ეთნოსთა ადგილმონაცვლეობა, სხვა ეთნოსების კუთვნილ ტერიტორიებზე დასახლება.

ნაციონალური სახელმწიფო აუცილებელი პირობაა ხალხის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროგრესისათვის, ნაციონალური ენის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შენარჩუნებისათვის. ამიტომაა, რომ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა თითქმის ყველა ეთნოსის სასურველი მიზანს წარმოადგენს. მაგრამ ამ მიზნის ხორცშესხმა ყველა ეთნოსს არ შეუძლია. ამისათვის ძირითადად ორი პირობაა აუცილებელი. ესენია: კომპაქტურობა და არამცირერიცხოვნობა. ჩვენი აზრით კი, მას მესამე უნდა დაემატოს – საკუთარ ისტორიულ ტერიტორიაზე მკვიდრობა. სხვათა ნაციონალურ ტერიტორიაზე მიგრირებულ ეთნიკურ ჯგუფებს არც ერთი ნაციონალური სახელმწიფო ამის ნებას არ მისცემს.

რუსეთში დღესაც მიიჩნევენ, რომ სრულიადაც არაა აუცილებელი ნაციონალური სახელმწიფოს არსებობა, რომ შესაძლებელია ერთ სახელმწიფოში რამდენიმე ერი (ნაცია) თანაბარ საწყისებზე ცხოვრობდეს (რა თქმა უნდა, „ერს“ ისინი ეთნიკური გაგებით ხმარობენ). მოჰყავთ ისტორიიდან მაგალითები – ავსტრია-უნგრეთში, ოსმალეთში, რუსეთში სხვადასხვა ერები (ნაციები) ცხოვრობდნენ, რომელთაც სახელმწიფოებრიობა არ აქონდათო. იმასაც აღნიშნავენ, რომ პოლონელ ერს (ნაციას) დიდი ხნის განმავლობაში თავისი სახელმწიფოებრიობა წართმეული ჰქონდა, მაგრამ ისინი ერად (ნაციად) დარჩნენო. ამ შემთხვევაში მრავალი კითხვა ისმის. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებში (იმპერიებში) სხვადასხვა ეთნოსები (ნაციები) იძულებით იყო შეყვანილი და, ბუნებრივია, მათი სათანადო განვითარებაც გამორიცხული იყო, პირიქით, ყველა ენობრივ-კულტურული განვითარება ხანგრძლივად იყო შეფერხებული. ამავე დროს აღნიშნულ იმპერიებში პრიორიტეტი იმპერიების შემქმნელ ეთნოსებს ჰქონდათ და არა მათ, ვინც დაქვემდებარებულნი იყვნენ. აღნიშნული თეზისით, რუსული სამეცნიერო და პოლიტიკური ელიტა იმპერიის მკვიდრ ეთნოსებს („ერებს“) ეუბნება: აი, თქვენ ნაციები ხართ და საერთო სახელმწიფოში ისეთივე განვითარების საშუალება გაქვთ, როგორც ცალკე სახელმწიფოებრიობის შემთხვევაში გექნებოდათო. ერთი სიტყვით, ძალიან ხშირად მეცნიერებაში (განსაკუთრებით საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში) ბევრი რამ პოლიტიკით განისაზღვრება.

თანამედროვე პირობებში ცნება „ნაციონალური სახელმწიფო“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება – პირველი, იმ სახელმწიფოების აღსანიშნავად, რომელთა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ერთგვაროვანია. ასეთ ნაციონალურ სახელმწიფოებს მიეკუთვნება: იაპონია, იტალია, გერმანია, საფრანგეთი, სომხეთი, არაბული ქვეყნები, ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა; სადაც ტიტულოვა-

ნი ერის (ნაციის) წარმომადგენლები შეადგენენ ამ სახელმწიფოს მოსახლეობის 90 და მეტ პროცენტს. მეორე – „ნაციონალური სახელმწიფოს" ცნება გამოიყენება იმ სახელმწიფოების მიმართ, სადაც, ტიტულოვანი ერის (ნაციის) გარდა, სხვა ეთნიკური ჯგუფების მნიშვნელოვანი რაოდენობაც ცხოვრობს. ასეთ სახელმწიფოთა შორის შეიძლება დავასახელოთ რუმინეთი, შვედეთი, ფინეთი, სირია, ერაყი, ბულგარეთი, მაკედონია და სხვ. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთაშორისი მიგრაციები პოლიეთნიკური სახელმწიფოების რაოდენობის გაზრდის წინაპირობას ქმნის.

შინაგანი წინააღმდეგობების დაძლევის მიზნით არაერთმა ქვეყანამ სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაკუთრებული ფორმები გამონახა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია სახელმწიფოს მოწყობის ფედერალური ფორმა. დღეისათვის ფედერალური სახელმწიფოების უმეტესობა პოლიეთნიკურია. არც ერთი ფედერაციული სახელმწიფოს სუბიექტს კონსტიტუციურად ტერიტორიული ერთიანობის დარღვევის უფლება არა აქვს. აქამდე არსებული არც ერთი მოქმედი ფედერალური კონსტიტუცია არ ცნობს ფედერაციის სუბიექტების სეცესიას, ე. ი. ფედერაციიდან გამოსვლის უფლებას. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეთნიკური პრინციპით მოწყობილი ფედერაციები ნაკლებ მტკიცენი არიან, ვიდრე ტერიტორიული პრინციპით შექმნილი ფედერაციები. ამდენად, ფედერალიზმი გარკვეული საფრთხის მქონეა ნაციონალური სახელმწიფოს მოწყობისათვის, რასაც ბოლო პერიოდის სხვადასხვა სახელმწიფოთა ისტორიაც ადასტურებს.

სახელმწიფოებში ეთნოსთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის გამოძებნილია ისეთი ფორმებიც, როგორებიცაა ნაციონალურ-ტერიტორიული (არსებობს ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის ორი ფორმა – პოლიტიკური და ადმინისტრაციული) და ნაციონალურ-კულტურული ავტონომია. პირველ შემთხვევაში თუ ის უზრუნველყოფს ხალხისთვის ხელსაყრელ სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, მეორე შემთხვევაში ხელს უწყობს ენობრივი და კულტურული მოთხოვნილებების განვითარებას, რათა ეთნიკურმა ჯგუფებმა შეინარჩუნონ თავიანთი თვითმყოფადობა. ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიისაგან განსხვავებით ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას აქვს ექსტერიტორიალური ხასიათი და ის აერთიანებს მოცემული ეთნიკური ჯგუფების ადამიანებს თავიანთი კულტურისადმი ერთგულების საფუძველზე, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. ეროვნულ-კულტურული ავტონომია ნაციონალური ენისა და კულტურის, თავისთავადობის, მენტალობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა და ამავე დროს არც ხელისშემშლელი ფაქტორია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ტიტულოვან ეთნოსში (ერში, ნაციაში) ინტეგრაციისთვის.

ერისა (ნაციის) და სახელმწიფოს ურთიერთობას სახელმძღვანელოში იმიტომ მიექცა სათანადო ყურადღება, რომ თანამედროვე ეთნოლოგიის, როგორც მეცნიერების ფარგლები ფრიად გაფართოებულია და ის ტრადიციულ თემებთან, პრობლემებთან ერთად ხალხთა (ეთნოსთა) ურთიერთობებსაც სწავლობს. ეს პრობლემა კი საქართველოსა და ქართული ეთნოლოგიისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს.

თემა XXI

ეთნიკური პროცესები თანამედროვე მსოფლიოში

§1. ეთნიკური კონტაქტები. ისევე როგორც, ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს სხვა ადამიანების გარეშე, ასევე არც ერთ ეთნიკურ ერთობას არ შეუძლია აბსოლუტური იზოლირება სხვა ხალხებისაგან. პრაქტიკულად ყველა ეთნოსი ამყარებს კონტაქტებს სხვა ეთნოსებთან და ამავე დროს მზადაა, თავისი კულტურული მიღწევები და ფასეულობები გაუნაწილოს სხვებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეთნოსთაშორისი კონტაქტები ყველა მათგანისათვის დადებითი შედეგების მომტანი არ არის. ეთნოკულტურული ურთიერთობების ისტორიაში ბევრი ისეთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ცალკეული ეთნიკური ერთობები ერთმანეთისათვის მიუღებელნი არიან. ისევე როგორც ცალკეულ ადამიანებს, ეთნოსებსაც შეუძლიათ კარგად გაუგონ ერთმანეთს, მაგრამ შეიძლება საერთო ენა ვერ გამონახონ. ამიტომაც დღეს ეთნოლოგთა ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ცალკეული ხალხების თავისებურებანი, არამედ სხვადასხვა ხალხებისა და მათი კულტურების ურთიერთობისა და ურთიერთქმედების პრობლემები.

მრავალრიცხოვანი ეთნოკულტურული გამოკვლევებით დასტურდება, რომ ეთნიკურ ცვლილებებს ხალხებს შორის მრავალმხრივი, რთული და წინააღმდეგობრივი კულტურული კონტაქტები იწვევს. ეთნოსთა შორის ურთიერთობის თავისებურებებს ბევრად განაპირობებს ამ პროცესში მონაწილე მხარეების სურვილი – გაუგონ ერთმანეთს და მიაღწიონ ერთგვარ შეთანხმებას, რაც დიდადაა დამოკიდებული იმ ეთნოსთა ფსიქოლოგიასა და ეთნიკურ კულტურაზე, რომელთაც ერთმანეთთან კონტაქტი აქვთ. ეთნოლოგიაში ეთნოსების ასეთი ურთიერთობა „ეთნოსთაშორისი კომუნიკაციების" სახელითაა ცნობილი. „ეთნოსთაშორის კომუნიკაციებში", უპირველეს ყოვლისა, გულისხმობენ ორ და მეტ ეთნოსს შორის მატერიალური და სულიერი კულტურის პროდუქტების გაცვლას; გაცვლის ფორმები კი, ჩვეულებრივ, სხვადასხვაგვარია. ეთნოსთაშორის ურთიერთობები, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ხალხთა ისეთი ურთიერობაა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს მოიცავს. ეს სფეროებია: პოლიტიკა, ხელოვნება, მეცნიერება და ა. შ. ვინრო მნიშვნელობით კი საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებში სხადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა პირადი ურთიერთობები იგულისხმება. ეთნოსთაშორის ურთიერთობებიდან ეთნოლოგებს, უპირველეს ყოვლისა, კულტურათაშორისი ურთიერთობები აინტერესებთ.

ეთნოლოგიაში „ეთნოსთაშორისი კომუნიკაციების, ანუ კულტურათა ურთიერთობების პრობლემების კვლევა დაინყო და ის დამოუკიდებელ მეცნიერულ მიმართულებად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ XIX საუკუ-

ნეში. ამ მიმართულებით კვლევები განსაკუთრებით XX საუკუნის 60-70-იან წლებში გააქტიურდა.

მეცნიერებაში ეთნოკომუნიკაციური პროცესების ორ სახეს გამოყოფენ: **ეთნოტრანსფორმაციულსა და ეთნოევოლუციურს**. პირველ შემთხვევაში ცვლილებები ეთნიკურ ცნობიერებაში ხდება, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ ეთნოსის ცალკეული მახასიათებლები იცვლება, რომლის დროსაც, ბუნებრივია, ეთნიკური ცნობიერების შეცვლა არ ხდება.

ეთნოსთაშორისი კომუნიკაციური პროცესების ერთ-ერთი საინტერესო ჰიპოთეზის ავტორია ლ. გუმილიოვი. მისი კონცეფციით ეთნოსების ჩამოყალიბება ფიზიკური და ბუნებრივი კანონების მიხედვით მიმდინარეობს; ეთნოგენეზი მას ენერგეტიკულ პროცესად მიაჩნდა და მას გარედან მიღებულ ენერგიას უკავშირებდა. ასე ჩამოყალიბებული ეთნოსების თითოეული ნევრი გამსჭვალულია საერთო ინტერესებით, მათ ქცევის საერთო სტერეოტიპები აქვთ ჩამოყალიბებული.

აშკარაა, რომ ყოველი ეთნოსის ეთნიკური ველი სხვა ეთნოსებთან კონტაქტების, შეხვედრების დროსაც მოქმედებს. ეთნიკურ ველთა ცვალებადობის თანხვედრის შემთხვევაში ეს ურთიერთობები ჰარმონიულია და მათ კეთილგანწყობა ახასიათებს, რასაც ლ. გუმილიოვი კომპლიმენტარობას – კეთილგანწყობის გაუთვითცნობიერებელ გრძნობებს უწოდებდა. სხვა შემთხვევაში ეთნოსებს შორის კონტაქტი გაძნელებული იყო და ადამიანებისათვის „უცხოს" განცდა უფრო იყო გაძლიერებული.

ეთნოსთაშორის კომუნიკაციის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერ-ეთნოლოგები ერთი აზრის არიან იმის შესახებ, რომ აღნიშნული პროცესები ურთიერთმოქმედი ფაქტორების შემდეგი ჯგუფებით არის განპირობებული – ისტორიული, სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური, სიტუაციური და პოლიტიკური ფაქტორები.

ისტორიულად ეთნოსთაშორისი კონტაქტები ძირითადად დაძაბული ხასიათისა იყო. ამ შემთხვევაში დაპყრობების, ხალხების კოლონიურ მდგომარეობაში ჩაყენების მაგალითების მოხმობაც საკმარისია. ასეთი ეთნოსთაშორისი კონტაქტები კი, ჩვეულებრივ, ხალხების ისტორიულ მეხსიერებაში ღრმად იბეჭდებოდა და ისინი ეთნოსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემამჭიდროვებელ ფაქტორადაც კი იქცეოდა. აშკარაა მათი სიმბოლური დატვირთვაც – იქმნება იდეოლოგემები. ამავე დროს ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა ეთნოსები სხვადასხვაგვარად აფასებენ.

ეთნოსთაშორის ურთიერთობებში, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანია სოციალური ფაქტორების როლიც. მიიჩნევენ, რომ კომუნიკაციებში ყველაზე იდეალურია სიტუაცია, როდესაც ეთნოსები, რომელთაც ერთმანეთთან კონტაქტი აქვთ, სოციალურად ერთსა და იმავე დონეზე არიან, ერთი და იმავე სტატუსის მფლობელნი არიან. შენიშნულია, რომ ასეთი ურთიერთობები ძალიან იშვიათი იყო და ეთნიკურ კონტაქტებში ძირითადად დისკრიმინაციული ტიპი იყო გაბატონებული. სოციალურად თანაბარსტატუსიანი ეთნოსებიდან ერთ-ერთის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩენა სოციალური მდგომარე-

ობის შეცვლას იწვევს. დამორჩილებული ეთნოსი ცდილობს დაიბრუნოს ადრინდელი სტატუსი.

ეთნოსთაშორისი ურთიერთობების კულტურული ფაქტორებიდან ორ ჯგუფს გამოყოფენ. ესენია: 1. განათლება და ინფორმაციულობა; 2. ეთნიკური კულტურის ტრადიციული ნორმები. სამეცნიერო ნაშრომებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ განათლება არღვევს ეთნოსთაშორის არსებულ საზღვრებს, აქრობს წინასწარ შექმნილ ცუდ სტერეოტიპს, განწყობილებას. წინასწარი ნეგატიური წარმოდგენები კი საერთოდ ეთნოსების კულტურულ იზოლირებულობას, ჩაკეტილობას განაპირობებს. შემჩნეულია, რომ მაღალი განათლების ეთნიკური ერთობები ეთნიკური კონტაქტებისადმი უფრო კეთილგანწყობილნი არიან, განსაკუთრებით – საქმიან სფეროში.

ეთნოსთაშორის ურთიერთობებში ტრადიციული ნორმების გამომხატველია ენდოგამიის წეს-ჩვეულება. ტრადიციული ნორმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმიანსა და პროფესიულ ურთიერთობებზეც.

ეთნოსთაშორისი ურთიერთობების პოლიტიკური ფაქტორებიდან ასახელებენ სახელმწიფოს მონყობის პრინციპებსა და ფორმებს, პოლიტიკური წყობილების ხასიათს, სახელმწიფოებრივ ნაციონალურ პოლიტიკას. ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ამ ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკურ „უმცირესობათა" მიმართ გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა (ინტეგრალური პოლიტიკა და კულტურული პლურალიზმის პოლიტიკა).

ეთნოსთაშორისი კომუნიკაციები ორ ძირითად ტიპად იყოფა. ესენია: **ასიმილაცია** და **ინტეგრაცია**. ასიმილაციის შედეგად ეთნოსი კარგავს ძველისძველ ეთნიკურ თავისებურებებს, იცვლება ეთნიკური იდენტობა, ადამიანთა თვითშეგნება. ეთნიკური ასიმილაციის ორ ტიპს გამოყოფენ: სრულსა და ნაწილობრივს. ამასთანავე ეთნოლოგიაში განასხვავებენ ბუნებრივსა და ძალდატანებით ასიმილაციას. ეთნოსთაშორის ინტეგრაციის დროს სხვადასხვა ეთნოსები ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად ეთნიკურ ნიშნებს, ინდივიდუალობას, ეთნიკურ იდენტობასა და კულტურის თავისებურებებს.

ეთნოლოგიაში მიღებულია ყველა ეთნიკური ერთობის **ეთნიკურ უმცირესობებად, მკვიდრ ხალხებად და ტიტულოვან ხალხებად** დაყოფა. ეს ტიპოლოგია არცთუ ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა და გამოწვეული იყო ეთნიკური თვითშეგნების ზრდით, ნაციონალური მოძრაობებითა და მიგრაციული პროცესების გააქტიურებით. **ტიტულოვან ხალხებს უწოდებენ იმ ეთნოსებს, რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფოებრიობა.** ტიტულოვან ხალხებს ხშირად ადგილობრივ ხალხებსაც უწოდებენ, თუმცა მეცნიერთა ნაწილი მას არაზუსტად მიიჩნევს. საერთაშორისო პრაქტიკაში ადგილობრივ (მკვიდრ) ხალხებს აბორიგენ ხალხებს უწოდებენ, რომლებიც ტომობრიობის საფეხურზე დგანან. **ეთნიკური (და არა ეროვნული) უმცირესობები ამა თუ იმ სახელმწიფოში მცხოვრები მცირე ეთნიკური ერთობები არიან**, რომელთაც ეთნიკური თვითმყოფადობა, ტრადიციული კულტურის ელემენტები აქვთ შემონახული. ეთნიკურ უმცირესობას შეიძლება ტიტულოვანი

ეთნოსის ნაწილიც წარმოადგენდეს, რომელიც სხვა სახელმწიფოში ცხოვრობს. ასეთ ჯგუფებს ეთნიკურ დიასპორებსაც უწოდებენ.

ეთნოლოგიაში, ისევე როგორც პოლიტოლოგიაში, ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე მსჯელობისას გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორებიცაა **გენოციდი, აპარტეიდი, სეგრეგაცია, დისკრიმინაცია.** გენოციდი ესაა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების გაჟლეტა რასობრივი, ეროვნული და რელიგიური მოტივებით. აპარტეიდი კი რასობრივი დისკრიმინაციის ფორმაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია განცალკევება. სეგრეგაციაში ფერადკანიანთა თეთრკანიანებისაგან იძულებით გამოყოფას გულიხმობენ. დისკრიმინაცია ცალკეული პიროვნებებისთვის, ადამიანთა ჯგუფისთვის სახელმწიფოს მიერ უფლებების შეზღუდვა, თანასწორუფლებიანობის მოსპობაა.

ეთნიკური ჯგუფებისა და ერთობების დონეზე არსებული ეთნოკულტურული ურთიერობების გარდა, არსებობს აგრეთვე ინდივიდუალური დონის ეთნიკური კონტაქტები. ასეთ ეთნიკურ კონტაქტებს თავისებურებები ახასიათებს და ის სპეციფიკურად ვითარდება. უცხო კულტურულ გარემოში ინდივიდების მყარი კონტაქტების შედეგად წარმოიქმნება ცნობიერების განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც ეთნოლოგიაში **კულტურული შოკის** სახელწოდებით არის ცნობილი. კულტურული შოკის არსი მდგომარეობს ძველი და ჩვეული კულტურული ნორმების ახალსა და უჩვეულოსთან შეუსაბამობაში, ანუ კონფლიქტში. არსებითად კულტურული შოკი ეს არის ინდივიდის ფსიქიკის დამცავი რეაქცია ახალი ინფორმაციის მეტისმეტად დიდი მოცულობის მიმართ, რომლის მოზღვავება იმდენად დიდია, რომ ადამიანი გარკვეული დროის განმავლობაში თავს უძლურად გრძნობს მის დასაძლევად. ახალ კულტურასთან ურთიერთობა შოკურია იმდენად რამდენადაც, მან შეიძლება საკუთარი კულტურის ნეგატიურ შეფასებამდეც მიგვიყვანოს, აგრეთვე იმიტომაც, რომ ის მოულოდნელია. კულტურულ შოკს არაერთი ქართველი განიცდის უკანასკნელ წლებში, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით უცხო კულტურულ გარემოში აღმოჩნდნენ. კულტურულ შოკს განსაკუთრებით იმიგრანტთა ის ნაწილი განიცდის, რომლებიც მუდმივად საცხოვრებლად უცხოეთში მიემგზავრებიან. შეიძლება მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან, უკეთესად ცხოვრობენ, მაგრამ, მორალური თვალსაზრისით, აქვთ ნოსტალგიის ძლიერი განცდა, სამშობლოს მონატრება, თავს არასრულფასოვან ადამიანებად მიიჩნევენ. ამიტომ, როგორც სპეციალური გამოკვლევებით დადგინდა, მიგრანტებს შორის უფრო მეტი ფსიქიკურად დაავადებული გვხვდება, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობაში. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ავსტრალიაში ბრიტანელები იტანჯებიან ალკოჰოლიზმით, ხოლო ინდოელები ინგლისში – შიზოფრენიით. იმის გამო, რომ მიგრანტები სოციალური თვალსაზრისითაც ვერ ერგებიან ახალ გარემოს, მათ შორის ხშირია დანაშაულებრივი ქმედებები, რის მაგალითადაც ხშირად პოსტსაბჭოთა სივრციდან გადასახლებულებს ასახელებენ.

§2. ეთნოკულტურული ურთიერთქმედების თეორიები. ეთნიკური ურთიერთქმედების ყველა თანამედროვე თეორია გამომდინარეობს ტრადიციული და მოდერნიზებული საზოგადოებების გარდაუვალი

კონფლიქტიდან და ჩამოყალიბებულია ორ ძირითად მიმართულებად: ა) *კულტურულ* და ბ) *სტრუქტურულ* მიმართულებებად. პირველი მათგანი დაფუძნებულია ტრადიციული ეთნიკური ერთობების დაპირისპირებაზე, რომელიც მოდერნიზებულია სულიერი კულტურის სფეროში. მეორე კი ამ საზოგადოებების კონფლიქტს იკვლევს ეკონომიკისა და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში. კულტურულ მიმართულებაში **აკულტურაციისა** და **მობილიზაციის** კონცეფციები წარმოიშვა, სტრუქტურულში – **ინტერგრირებისა** და **შინაგანი კოლონიალიზმისა**.

აკულტურაციის კონცეფცია 1930-იან წლებში დაამუშაეეს რ. რედფილდმა, რ. ლინტონმა, მ. პერსკოვიცმა. თანამედროვე ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაში აკულტურაციულ კვლევებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეთნოლოგიაში აკულტურაციის ქვეშ ესმით პროცესი, რომლის დროსაც სხვა ეთნოსებთან ხანგრძლივსა და უშუალო კონტაქტში შესული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც მისგან განსხვავდება კულტურული თვალსაზრისით, იცვლის თავის კულტურულ მოდელს. ზოგჯერ აკულტურაცია ხორციელდება ორივე ურთიერთმოქმედი, ეთნიკური ჯგუფის კულტურის ელემენტების ურთიერთშერჩევითი ათვისების ფორმით. ხშირად აკულტურაციის პროცესს ოსმოსის ფიზიკურ პროცესებს ადარებენ – მემბრანაში სითხის ცალმხრივ შეღწევას. კონცეფციის ავტორები მიიჩნევენ, რომ აკულტურაციის შედეგი ეთნიკური ერთგვაროვნების მიღწევის მდგომარეობაა. ეთნიკურ ჯგუფებს შორის კულტურული განსხვავება ბოლოს და ბოლოს თანაბრდება ურთიერთმოქმედი ეთნიკური ჯგუფების შესატყვისი შეფარდებითი წონით. ამასთანავე აკულტურაციის პროცესი მიმდინარეობს ავტომატურად, გარდაუვალად და უცილობლად. კულტურების დიფუზია ხორციელდება შუაგულიდან პერიფერიებისაკენ, უფრო მეტად განვითარებული საზოგადოებიდან ნაკლებად განვითარებულისაკენ, ხშირად გაუცნობიერებლად სესხებისა და წაბაძვის გზით. ინდივიდის დონეზე კი პერიფერიული ეთნიკური ერთობები არჩევანს უკვე შეგნებულად, გაცნობიერებულად აკეთებენ: თუ მას არჩევანის საშუალებას მისცემენ ტრადიციასა და ინოვაციას შორის, უფრო მეტი ალბათობით ის ინოვაციას აირჩევს (ასე მიიჩნევენ აკულტურაციის კონცეფციის ავტორები). ამრიგად, პერიფერიასა და დომინირებულ ერთობებს შორის თუ უზრუნველყოფილი იქნება ურთიერთქმედების ფართო დიაპაზონი, თვით დრო იმუშავებს ამ ეთნიკური ჯგუფების თანდათანობითი ინტეგრაციისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში აკულტურაციის პროცესები ნამდვილად მიმდინარეობს, მაგრამ არ შეიძლება მარტივად დავასკვნათ, რომ ნებისმიერ ვითარებაში ისინი უცილობლად მიგვიყვანენ კულტურულ ინტეგრაციამდე. რეალურ ისტორიულ პირობებში აკულტურაციის შედეგები ბევრად განისაზღვრება კომუნიკაციაში მყოფი ხალხების სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით. იმის მიხედვით, თუ როგორია ურთიერთობის ფორმები და საშუალებები (დაპყრობა, ეკონომიკური ექსპლუატაცია, მშვიდობიანი და თანაბარუფლებიანი თანამშრომლობა), აკულტურაციის შედეგები ასევე სხვადასხვაგვარი იქნება.

მობილიზაციის კონცეფცია ეთნოსთაშორისი ურთიერთობის პრობლემებს პოლიეთნიკური სახელმწიფოს შიგნით განიხილავს, რომლის პოლიტიკის მიზანს მისი განმტკიცება წარმოადგენს. ამ კონცეფციით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური მთავრობის მოღვაწეობას, რათა მან დანერგოს და ცხოვრებაში გაატაროს კულტურის საერთონაციონალური პოლიტიკა, რომელიც ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესების უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მობილიზაციის კონცეფციის მომხრეები აღნიშნავენ, რომ ეთნიკურ ერთობებს შორის ნაციონალური ინტეგრაციის მისაღწევად მუდმივი კულტურული ურთიერთქმედება არასაკმარისია. ამიტომ მულტიეთნიკური სახელმწიფოს ხელისუფლება ცდილობს დაიყოლიოს და დაითანხმოს ინერტული, ტრადიციულად ჩაკეტილი ჯგუფები მიიღონ დომინირებული კულტურა. ყველაზე უკეთ ამის მიღწევა შეიძლება პოპულარული ნაციონალური სიმბოლოებისა და ფასეულობების მიღების წყალობით, განსაკუთრებით მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების დახმარებით. მობილიზაციის კონცეფციის ზოგიერთი ნაწილი ყურადღებას აქცევს ეთნოსთა ელიტის ერთობლივ მონაწილეობას პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სფეროებში. მიიჩნევენ, რომ ერთობლივი მართვა ეთნიკურ ელიტაში ხელს უწყობს ურთიერთშეგუებასა და ურთიერთგაგებას, რაც შემდეგ მასებშიც შეაღწევს. საერთოდ, სოციალური მობილიზაციის კონცეფციები მხოლოდ ეთნიკური პროცესების კონკრეტულ ვარიანტებს აღწერს და ისინი საერთო, განმაზოგადებელი ხასიათის არ არის.

ინტეგრირების კონცეფციები წარმოიქმნება იმიტომ, რომ მხოლოდ კულტურული ფაქტორებით შეუძლებელია ეთნიკური პროცესების მართვა, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში, სადაც, თითქოს, ყველა პირობა არსებობს მიზანმიმართული აკულტურაციისა, და კულტურული ადაპტაციისათვის, რომელიც ხორციელდება პროპაგანდისტულ-საინფორმაციო საშუალებებით. მიუხედავად ამისა, ეთნიკური ტრადიციონალიზმი განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში შენარჩუნდება და ეთნიკური სეპარატიზმიც უფრო იზრდება. ამიტომ მეცნიერები უფრო ხშირად ყურადღებას ეთნოსთაშორის საკომუნიკაციო პროცესების სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს აქცევს.

მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება, რომ ტრადიციების დამცველი ეთნიკური ერთობები ნაციონალურ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში, ჩვეულებრივ, სუსტად არის ინტეგრირებული, რაც ეთნოსთა შორის დაძაბულობის წარმომქმნელი ფაქტორია. მიიჩნევენ, რომ ეთნიკური ერთობები სახელმწიფოს კომერციული კავშირების სისტემაში უნდა იქნას ჩართული. წონასწორობის მიღწევის შემდეგ კი წარმოიქმნება კულტურული ინტეგრაციის პირობები.

თანამედროვე პირობებში ზოგჯერ ძნელია პერიფერიული რაიონების ერთიან ეკონომიკურ სისტემაში ჩართვა, რაც, ფაქტობრივად, ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ რაიონებს დისკრიმინაციულ რაიონებად გადააქცევს, რადგანაც ეთნიკური ჯგუფების დაახლოებასთან ერთად შესაძლებელია ეთნოსთა შორის ურთიერთობების გამწვავება.

სტრუქტურული ინტეგრირების კონცეფცია, რომელიც ზოგიერთ ეთნიკურ პროცესსა და სიტუაციასთან მისადაგებულია, უნიკალურად არ მიიჩნევა. ეთნოსი შეიძლება მთლიანად ინტეგრირებული იყოს სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონაწილეობდეს სეპარატისტულ მოძრაობაში. მაგალითად შეიძლება დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოში მცხოვრები შოტლანდიელები და საფრანგეთის მოქალაქე კორსიკელები და ბრეტონელები დავასახელოთ.

შიდა კოლონიალიზმის კონცეფცია თანამედროვე მსოფლიოს კიდევ ერთი ნახნაგის აღმნიშვნელია. ინტეგრირების კონცეფცია თუ უფრო განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებშია გამოსაყენებელი, განვითარებად ქვეყნებში ეთნოსთა შორის პროცესების მონესრიგებას შიდა კოლონიალიზმის კონცეფციით ამჯობინებენ. კულტურული კოლონიზაციის მექანიზმი საკმაოდ უბრალოა. მასზე შეიძლება ვილაპარაკოთ ყოველთვის, როდესაც სხვა კულტურების წარმომადგენლები სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე (მაგალითად, რაოდენობრივი, ტექნიკური და სამხედრო უპირატესობა) სხვათა ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან და აქტიურად ინყებენ თავიანთი საკუთარი კულტურული ფასეულობების, ნორმებისა და ქცევის მოდელების თავს მოხვევას. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ კონტექსტში თვით ტერმინს – „კოლონიზაცია" არა აქვს არც პოლიტიკური, არც შეფასებითი ელფერი, არამედ სხვადასხვა ეთნოკულტურული სისტემის ურთიერთობის გარკვეული ტიპის უბრალო აღწერას წარმოადგენს. კულტურული კოლონიზაციის შესახებ მსჯელობისას, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ის შეიძლება სხვადასხვა ფორმებით განხორციელდეს: პოლიტიკურით, ეკონომიკურით და სხვ. „კოლონიური სიტუაცია", ჩვეულებრივ, ვარაუდობს რასობრივად და კულტურულად გამორჩეული მმართველი ჯგუფების ბატონობას ადგილობრივ, მკვიდრ ხალხებზე, რომლებიც ეკონომიკური განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე დგანან. ბატონობას ამართლებენ რასობრივი, ეთნიკური ან კულტურული უპირატესობით, და პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მეტროპოლიის ხელისუფლება კანონდება არა მხოლოდ სამხედრო ძალით, არამედ აგრეთვე რასობრივი ან კულტურული სტერეოტიპების დანერგვით. ეს კონცეფცია კარგად ხსნის ბევრ ეთნიკურ პროცესს როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. ის უკეთესად ითვალისწინებს ისეთ ფარულ ფაქტორებს, როგორიცაა ისტორიული ტრადიციები, გეოგრაფიული გარემო, ეთნოფსიქოლოგიური განნყობილებები, მდგრადი სტერეოტიპები ეთნიკურ ერთობათა შორის ურთიერთობებში და ა. შ.

ზემოთ განხილული კონცეფციებით არ ამოიწურება ეთნიკური კონტაქტების დახასიათება. სრულიად ნათელია, რომ მხოლოდ კონკრეტული პრობლემის კომპლექსურ განხილვას, მისი ყველა ასპექტის ანალიზს შეუძლია დადებითი შედეგების მოცემა.

§3. ეთნიკური პროცესები თანამედროვე მსოფლიოში. ეთნიკური პროცესების ისტორიული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ კაცობრიობის ისტორიაში მიმდინარე ეთნიკური პროცესები ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ტენდენციით ხასიათდებოდა, რომელთაგან ერთი იყო ინტეგრაციული მიმართულების და მეორე – დიფერენციაციული. ერ-

თი ეთნოსის ან მისი ნაწილის დეზინტეგრაცია სხვა ეთნოსის ინტეგრაციასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე ეთნიკური ისტორიის ყოველ ეტაპზე ამ ტენდენციების შეფარდება და მათი გამოვლენის ფორმები იცვლებოდა სხვადასხვა ფაქტორების შესაბამისად.

მადიფერენცირებელი და მაინტეგრირებელი ტენდენციების მოქმედებას კაცობრიობის მთელი ეთნიკური ისტორიის მანძილზე ადევნებენ თვალს, მათ შორის თანამედროვე მსოფლიოშიც. მაგრამ ეს მოქმედება ბევრადაა დამოკიდებული ეთნიკური ერთობის სოციალურ-ეკონომიკურ ბაზაზე და ამიტომაც ის სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში ყოველთვის ერთნაირი არ არის. თანამედროვე პირობებში ეთნიკურ პროცესებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, პირველ რიგში მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პოლიტიკურ ფაქტორებს, აზროვნების ტრადიციულ ნესს და ეთნოსის სტრუქტურაში მიმდინარე დემოგრაფიულ ცვლილებებს.

თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური მდგომარეობის რეალური შეფასება და მისი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ეთნიკური პროცესების ზემოთ აღნიშნული ტენდეციები ჩვენი პლანეტის სხვადასხვა რეგიონში სპეციფიკური ხასიათისა იქნება. სრულიად კანონზომიერია, რომ ეთნიკური პროცესები ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს განვითარებად ქვეყნებში, სადაც ეთნოსების ფორმირების პროცესი ჯერაც კი არ არის დამთავრებული.

ა) ეთნიკური პროცესები ლათინურ ამერიკაში. ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაში გრძელდება ძირითადი ერების (ნაციების) ეთნიკური კონსოლიდაცია. მას თან ახლავს სხვადასხვა ანთროპოლოგიური ტიპების შერევა, რასობრივ მიკუთვნებულობასა და ეთნიკურ ნარმომავლობაში განსხვავებულობის სოციალური ნიშნადობის შემცირება. კარიბის რეგიონის ქვეყნებში აბორიგენი მოსახლეობა უახლოეს ათნლეულებში მნიშვნელოვნად დაკარგავს თავის ტრადიციულ კულტურას, ინდიელთა მრავალი ენა უკვე დღეს რელიქტებად იქცა. მაგრამ ინდიელთა ეთნიკურ ჯგუფებს ჯერ კიდევ მტკიცედ აქვთ შემორჩენილი თვითშეგნება, რასაც ხელს ინდიელთა რეზერვაციების არსებობაც უწყობს.

ცენტრალურ ამერიკაში გრძელდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ფიზიკური შერევა და სოციალურ-კულტურული დაახლოება. საერთო ტენდენციებისა და გაძლიერებული აკულტურაციული და ასიმილაციური პროცესების მიუხედავად, ინდიელი მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით მექსიკისა და გვატემალის უმსხვილესი ეთნიკური ერთობები თავიანთ ეთნოკულტურულ იერსახეს ინარჩუნებენ. რეგიონის სხვა ქვეყნებში ზანგებისა და ინდიელების ესპანურენოვან ეთნიკურ გარემოში გათქვეფა უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს.

ლათინური ამერიკის ქვეყნების უმეტესობაში დღესაც მიმდინარეობს ახალი მიგრაციული ნაკადების ფორმირება, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურათა ურთიერთშეღწევა, მათი დაახლოება, მათ შორის ჯერ კიდევ არსებული განსხვავებულობის შემცირება. ყველა ეთნიკური ჯგუფი ინტენსიურად ერთვება ამ გამაერთიანებელ პრო-

ცესში როგორც აკულტურაციის, ამავე დროს, ისე ასიმილაციის დონეზე. იგივე პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა განცალკევებულ იმიგრანტულ ჯგუფებში (იაპონელები, გერმანელები და სხვ.). ინდიელთა და იმიგრანტთა ეთნიკურ ჯგუფებში, საერთო ასიმილაციური პროცესების ტენდენციის პარალელურად, შეიმჩნევა ეთნოცენტრიზმის გაძლიერება, თავიანთი ენისა და განსაკუთრებული კულტურული ფასეულობების კულტივაციით.

მთლიანად ლათინური ამერიკის ეთნიკური პროცესებისათვის დამახასიათებელია ის, რომ უფრო მეტად მწვავდება ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა.

ბ) ეთნიკური პროცესები აფრიკაში. დღეისათვის აფრიკის კონტინენტზე ეთნიკური პროცესების მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს როგორც წინააღმდეგობრივი და რთული. ეს განპირობებულია ეთნიკური შემადგენლობის სირთულით, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის კონტრასტებით, ეთნოგამაერთიანებელი პროცესების ძალიან დაბალი დონით. უკანასკნელი ათწლეულის ეთნოლოგიური დაკვირვებებით აშკარაა, რომ ეთნიკური პროცესები აფრიკაში ხშირად წინააღმდეგობრივად და საწინააღმდეგო მიმართულებითაც ვითარდება: 1) მონათესავე ეთნიკური ჯგუფების უფრო დიდ ეთნიკურ ერთობებად კონსოლიდაციის მიმართულებით, 2) ცალკეული ქვეყნების ეთნოსთაშორისი ინტეგრაციის მიმართულებით, 3) სახელმწიფოებრივი საზღვრებით განცალკევებული ეთნიკური ტერიტორიების დიფერენციის მიმართულებით.

აფრიკაში დღეისათვის ეთნიკურ ერთობათა ყველა ტიპი არსებობს: მრავალმილიონიანი და დიდი ეთნოსებით დანყებული პატარა ტომებით დამთავრებული (რამდენიმე ასეული ანდა ათეული ადამიანი), რომელთა შორის მოხეტიალე შემგროვებელი და მონადირე ტომებიც არიან, მათ შემორჩენილი აქვთ სოციალურ ურთიერთობათა ყველაზე არქაული ფორმები. ბევრი ხალხი კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ეთნიკური ერთობების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ტროპიკულ აფრიკაში. უკანასკნელი ათწლეულების ეთნოსოციალურმა პროცესებმა აქ სტიმული მისცა ეთნიკური ცნობიერების ფორმირების მძაფრ პროცესებს. ამის შედეგია ეთნიკური პროცესების განვითარება და ენითა და კულტურით ახლოს მდგომი ხალხების დიდ ერთობებად ჩამოყალიბება, აგრეთვე ინტეგრაცია, ე. ი. ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ენითა და კულტურით განსხვავებული ხალხების შეკავშირება, მათი თვითშეგნების განმტკიცება.

აფრიკის რუკაზე გამაერთიანებელი და გამაცალკევებელი პროცესების შედეგად ყალიბდება და მტკიცდება ახალი ეთნიკური ერთობები. აფრიკაში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს ზოგჯერ ენათა შერევის შედეგად ახალი ენების წარმოქმნაც კი ახლავს თან. ამასთანავე თანამედროვე სოციალური და კულტურული პროცესები, მოსახლეობის მიგრაცია, ურბანიზაცია სწრაფად ცვლის ეთნიკური ერთობებისა და ჯგუფების იერსახეს, რომლებიც მხოლოდ ზოგიერთ გარეგან ნიშანს ინარჩუნებენ. ეთნოსთაშორისი ინტეგრაციის ცენტრებში მიმდინარეობს ეთნიკური შერევების აქტიური პროცესები, სადაც მოსახლეობის

შერევის რაიონებში გვხვდება განსხვავებული კულტურები და განსხვავებული ხალხები.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეთნიკური განვითარების პროცესები იზოლირებულად არ მიმდინარეობს. ისინი მჭიდროდაა გადახლართული ენობრივ, რასობრივ და რელიგიურ ურთიერთობებთან, მათ ართულებს აგრეთვე პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც ხშირად განპირობებულია ეთნიკური, ტომობრივი პრინციპით. აფრიკის კონტინენტზე ეთნიკურ პროცესებს ხშირად თან ახლავს ეთნოსთა შორის ურთიერთობების გამწვავება.

გ) ეთნიკური პროცესები აზიაში. აზიის პოლიეთნიკურ სახელმწიფოებში ეთნიკური პროცესები ნაკლები სირთულეებითა და წინააღმდეგობრიობით ხასიათდება. დღეს აქ ინტენსიურად მიმდინარეობს დომინირებული ეთნოსების კონსოლიდაციის პროცესები და მათთან პატარა ეთნიკური ჯგუფების ასიმილაცია. მაგრამ ამ რეგიონის ეთნიკური პროცესების განმასხვავებელი ნიშანია დიდი იმიგრანტული ერთობების სწრაფვა შეინარჩუნონ თავიანთი ეთნიკური მიკუთვნებულობა (ჩინელები, თამილები). ის ეთნიკური უმცირესობები კი, რომლებიც იმიგრანტებს არ წარმოადგენენ და შეგნებულად თავს არიდებენ ასიმილაციას, დღეს ერთიანდებიან და მათი რაოდენობის შესაბამისად მოიპოვებენ ეთნიკურ ავტონომიას. ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ ერთგვაროვანი ეთნიკური ერთობები (პაკისტანის ბელუჯები), არამედ სხვადასხვაგვარი და სხვადასხვაეწნოვანი ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო ეთნოსთაშორისი ცნობიერებით.

ამას გარდა, ცხადია, რომ დღეისათვის შეიმჩნევა ეთნიკური თვითშეგნების ფორმირების პროცესი იმ ეთნიკური ჯგუფებში, სადაც ის პრაქტიკულად არ არსებობდა (ინდოეთის ჰინდეენოვანი მოსახლეობა). ფილიპინის ენისა და ინგლისური ენის უფრო მეტად გავრცელებამ, ინტენსიურმა შიდა მიგრაციებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს ფილიპინების უმეტესი ეთნიკური ჯგუფების ერთ ეთნოსად კონსოლიდაციისათვის. მაგრამ სამხრეთ ფილიპინების მუსლიმი ხალხების ეთნიკური განცალკევებულობა მნიშვნელოვნად ძლიერდება. შეიძლება ორიოდე სიტყვა იაპონიის შესახებაც ითქვას, რომელიც, ფაქტობრივად, მონოეთნიკური ქვეყანაა (აქ 99% იაპონიელია) — ადგილობრივი აინები და იმიგრანტი კორეელები, მართალია, თითქმის მთლიანად გადავიდნენ იაპონურ ენაზე, მაგრამ ინარჩუნებენ თავიანთ ეთნიკურ მიკუთვნებულობას, და აძლიერებენ ეთნოდამცავ ქმედებებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აზიის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკისა და ინდუსტრიალიზაციის პირობებში არსებითად იცვლება ეთნიკური რუკა. ის უფრო ერთგვაროვანი ხდება იმ ოლქებში, სადაც მიმდინარეობს მოდერნიზაციის პროცესები.

დ) ეთნიკური პროცესები ამერიკის შეერთებულ შტატებში. თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებში ეთნიკური პროცესები, კონსოლიდაციისა და ასიმილაციის პროცესები დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს. ეს განპირობებულია მთელი ამერიკული საზოგადოების განუხრელი მობილობით, ახალი იმიგრანტების სოლიდური ქონებრივი და პროფესიული ბაზით, რაც უზრუნველყოფს მათ უფრო

სწრაფ ჩართვას ამერიკულ კულტურაში. დაკვირვებები და გამოკვლევები ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთო დემოგრაფიულ სტრუქტურაში ჩქარი ტემპებით იზრდება ესპანურენოვანი მოსახლეობისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან გამოსულთა და მათ შთამომავალთა ეთნოკულტურული როლი. ამ პროცესებში შეიძლება დავაკვირდეთ საპირისპირო ტენდენციებს: 1. იზრდება ყოველი ჯგუფის ეთნიკური ფასეულობების პრესტიჟი; 2. ნათლად შეინიშნება სოციალურად ასიმილირებული ჯგუფების (ჩინელები, იაპონელები, სომხები) კულტურული თავისებურებები; 3. ეთნოსთაშორისი ქორწინებების შედარებით დიდი რაოდენობისას, ენობრივი ასიმილაციისას სტაბილურია ეთნიკური თვითშეგნება. საერთოდ კი იმიგრანტებთან შეიმჩნევა სოციალური ადაპტაციის მაღალი დონე მათი ეთნიკური კულტურის ძირითადი ელემენტების მდგრადობის პირობებში. როგორც წესი, მათი ეთნიკური მიკუთვნებულობის შენარჩუნება მიმდინარეობს საერთოამერიკული ცნობიერების დაუკარგავად.

ე) ეთნიკური პროცესები დასავლეთ ევროპაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეთნიკურ პროცესებს უფრო დიდი სიმარტივე ახასიათებს, ვიდრე დედამინის სხვა ნაწილებში. ამ ქვეყნებში გრძელდება შიდა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესები, რაც ლოკალური დიალექტებისა და ეთნოგრაფიული ვარიანტების გაქრობით გამოიხატება. ინტენსიურად მიმდინარეობს ყველა ეთნიკური კულტურის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, ვრცელდება ინგლისური ენა, როგორც ხალხთაშორის ურთიერთობის საშუალება. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობები, ამ პროცესს ემატება ასეთი უმცირესობების ასიმილაციის პროცესები. ამასთანავე ყველა ქვეყანაში ეთნიკური ასიმილაცია თავისი გზით მიმდინარეობს, რომელიც ძირითადად ისტორიული გამოცდილებითა და ტრადიციებითაა განპირობებული.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებში იმიგრანტული ნაკადების გავლენა არაერთმნიშვნელოვანია. ევროპული ქვეყნებიდან მოსული იმიგრანტები, როგორც წესი, საკმაოდ აქტიურად ასიმილირდებიან ძირითად ეთნიკურ გარემოში მოქალაქეობის მიღებისა და შერეული ქორწინებების საშუალებით. არაევროპელი იმიგრანტები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისაგან გამოირჩევიან რასობრივი ნიშნებით, ენით, კულტურით, რელიგიით, შედარებით ძნელად ასიმილირდებიან. ამ სიძნელეების მიუხედავად, არაევროპული იმიგრანტული ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა საკმაოდ სწრაფი ტემპებით იზრდება და ამ მაჩვენებლებით აჭარბებს ტიტულოვან ეთნოსებს. ამავე დროს იმიგრანტული ეთნიკური ჯგუფები ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მდგრად ეთნიკურ უმცირესობებად ყალიბდება.

ამრიგად, მსოფლიოს ეთნიკური სურათი, მიუხედავად ეთნიკური ურთიერთობის ყველა სირთულისა, წინააღმდეგობრიობისა, ინარჩუნებს თავის მრავალფეროვნებას. ადამიანის მიერ თავისი ეთნიკური მიკუთვნებულობის შენარჩუნება ეხმარება მას უფრო ნათლად განსაზღვროს თავისი ადგილი გარემომცველ სამყაროში.

თემა XXII

ეთნიკური კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები

§1. ეთნიკური კონფლიქტები – თანამედროვეობის ერთ-ერთი გლობალური პრობლემა. თანამედროვე კაცობრიობა საკმაოდ რთული ეთნიკური სისტემებისაგან შედგება. ეთნიკური ერთობები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ რაოდენობით, არამედ განვითარების დონითაც. მსოფლიოს ხალხთა განვითარებაში სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესების უთანაბრობა თავისებურად აისახა მსოფლიოს ეთნიკურ რუკაზეც. პლანეტის მრავალფეროვანი ეთნიკური ერთობები 200-ზე მეტ სახელმწიფოში არიან თავმოყრილნი. ამიტომაც სახელმწიფოთა უმეტესობა პოლიეთნიკურია. განსაკუთრებული პოლიეთნიკურობით ხასიათდება ე. წ. განვითარებადი ქვეყნები. მაგალითად, მხოლოდ ინდოეთში რამდენიმე ასეული ეთნიკური ერთობა მკვიდრობს, ინდონეზიაში მათი რაოდენობა 150-ს აჭარბებს, ხოლო ნიგერიაში ოფიციალურად 200 ეთნოსი ცხოვრობს, კენიაში –70.

სახელმწიფოთა რთული ეთნიკური სტრუქტურა ხშირად ნარმოშობს სხვადასხვა სახის პრობლემებს, წინააღმდეგობებს, დაძაბულობებს, კონფლიქტებს. თანამედროვე მსოფლიოსათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ეთნიკური კონფლიქტების გამწვავება. ზოგიერთი მათგანი უკვე რამდენიმე ათეული წელინადია გრძელდება, ზოგიერთიც კი არცთუ ისე დიდი ხნის წინ წარმოიქმნა. გაჭიანურებულ ეთნიკურ კონფლიქტებს შორის შეიძლება ევროპაში მიმდინარე ირლანდიელთა და ოლსტერელთა, ფლამანდიელთა და ვალონელთა, კანადაში კი ანგლოკანადელთა და ფრანგოკანადელთა კონფლიქტები დავასახელოთ. ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ნარმოქმნილმა კონფლიქტებმა კი უკიდურესად დაძაბული და სისხლისმღვრელი სახე მიიღო. ძალიან ხშირია ეთნიკური კონფლიქტები აფრიკის კონტინენტზე. არც აზიისათვისაა ეთნიკური კონფლიქტები უცხო. ამ თვალსაზრისით თურქულ-ქურთული და ერაყულ-ქურთული კონფლიქტების დასახელებაც საკმარისია. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში პლანეტაზე არსებულ კონფლიქტთა 70%-ზე მეტი ეთნიკური კონფლიქტები იყო. ამიტომაცაა, რომ ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა ეთნიკური კონფლიქტების კვლევაა. ეს ასპექტი ეთნოლოგიურ კვლევებში ბოლო წლებში უფრო გაცხოველდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ეთნიკური კონფლიქტები ქართველებისთვისაც, რადგან საბჭოთა იმპერიის დაშლას ეთნიკური დაპირისპირება და კონფლიქტები, სამწუხაროდ, საქართვე-

ლოშიც მოჰყვა. ამ კონფლიტების მოწესრიგება მეცნიერული შესწავლის გარეშე ერთობ რთული იქნება. ასეთ შემთხვევაში კი განუზომლად იზრდება ეთნოლოგიური მეცნიერების როლი – ის სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. იმის გამო, რომ ეთნიკური კონფლიქტების შესწავლა და კვლევა ქართული ეთნოლოგიისათვის შედარებით ახალი საქმეა, საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა თეორიული პრობლემის გააზრება.

ნებისმიერი სოციალური კონფლიქტის ბუნება, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტისაც, ყოველთვის რთული და წინააღმდეგობრივია, რამდენადაც ის განპირობებულია მიზეზთა მთელი კომპლექსითა და კონფლიქტოგენური ფაქტორებით, მხარეთა აშკარა და ლატენტური (ფარული) ინტერესებით, განვითარების გარკვეული ეტაპებითა და წინააღმდეგობის ფორმებით. ყველანაირი ეთნიკური კონფლიქტი ეთნიკური დაძაბულობით, ეთნიკური ერთობის განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობით იწყება. ეთნიკური კონფლიქტი არახელსაყრელი გარეგანი პირობების პროცესში ფორმირდება, რომელიც შელახავს ეთნოსის ინტერესებს, მისი მდგომარეობის დესტაბილიზაციას ახდენს და აგრეთვე აძნელებს მის განვითარებას.

როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ეთნოსიც ბიოსოციოკულტურულ წარმონაქმნს წარმოაგენს, ეთნიკური ერთობა ან ეწინააღმდეგება დესტრუქციულ ქმედებას, ან ეძებს ადაპტაციის ფორმებს, რათა ის შეასუსტოს. ამიტომ ეთნოსთა შორის დაძაბულობა კონფლიქტის არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ფონია, არამედ ეთნოსის შინაგანი ფსიქოლოგიური მობილიზაციის ხერხიც.

ეთნიკური დაძაბულობის დონე დამოკიდებულია ეთნოსთაშორისი კომუნიკაციის სტრუქტურასა და შინაარსზე, ურთიერთმომქმედი საზოგადოებების ეთნიკური კულტურების თავისებურებებსა და მათ შორის ურთიერთობის ისტორიულ ხასიათზე. ეთნოსთა შორის დაძაბულობის ფორმირებაში ძალიან მნიშვნელოვანია მათი ურთიერთობების ისტორია. ისტორიული მახსოვრობა განსაკუთრებით კარგად აფიქსირებს ნაციონალურ წყენასა და მადლიერებას. ისტორიულ თემებზე მიტინგები განაპირობებს სოციალური დაძაბულობის ეთნოსთა შორის დაძაბულობის რანგში გადაყვანას. ყოველთვის ხელსაყრელია მიუთითო ისტორიულ მტერზე, ვიდრე გაერკვიო იმაში, ვინ ტყუის ხალხის დღევანდელ მდგომარეობაზე და, რაც მთავარია, რა უნდა გააკეთო, რათა თავი დააღწიო არსებულ მდგომარეობას. წარსული ამ შემთხვევაში აწმყოს პრიზმაში აღიქმება.

ეთნიკური დაძაბულობა, როგორც მასობრივი ფსიქიკური მდგომარეობა, ემყარება ემოციური სენის შეყრას, ფსიქიკურ შთაგონებასა და მიმბაძველობას. მიტინგებზე ძალზე ადვილად ხდება ემოციებიდან მოქმედებებზე გადასვლა. ამისთვის კი თავშეყრილ ხალხს სჭირდება ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი. აქ ძალიან დიდია ალბათობა ძალადობაზე გადასვლისა, რაც უფრო მეტად გააძლიერებს ეთნოსთაშორის დაძაბულობას. ეთნოსთაშორის დაძაბულობის დაჭირხნის პროცესს მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს შეძახილი.

აგრეთვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეთნოსთაშორისი, ისევე როგორც სოციალური, დაძაბულობა ხასიათდება ისეთი სასაზღვრო ფსი-

ქიკური მდგომარეობით, როგორიცაა მასობრივი ნევროტიზაცია, ამის საფუძველზე კი ვითარდება კულტურული ასიმილაციის შიში და ეთნიკური კონსოლიდაციის შეგრძნების აუცილებლობა. ეს მდგომარეობა გამოირჩევა მომატებული (ამაღლებული) ემოციური აღზნებულობით, რომელიც იწვევს სხვადასხვა ნეგატიურ განცდას. ასეთი მდგომარეობა იწვევს ფართო ნეგატიურ ემოციებს, იზრდება გაღიზიანებულთა წრე, ხდება უარყოფითი რეაქციის პროვოცირება. მაგალითად, ყველაზე ჩვეულებრივი, ნეიტრალური სიტყვა აღიქმება როგორც აგრესიული, ადამიანები ეჩვენებათ ნაკლებ სიმპატიურები და ა.შ. საკუთარი ეთნიკური ჯგუფი უფრო პოზიტიურად ფასდება, სხვისი კი – უფრო ნეგატიურად. მიიჩნევენ, რომ ყველა წარმატება შინაგანი დამსახურების შედეგია, ყველა წარუმატებლობა კი გამოწვეულია გარეგანი გარემოებებით, გარე მტრების მზაკვრობით, რომელშიც ავტომატურად იგულისხმება უცხოეთნიკური ჯგუფები.

კონფლიქტური სიტუაცია, დაძაბულობა, საინფორმაციო კავშირის გაძნელება და პარტნიორების რწმენა ურთიერთშეუთავსებლობაზე ქმნის პირობებს მათში აგრესიული მდგომარეობის ფორმირებისათვის. კარგადაა ცნობილი, რომ ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა ადამიანს აქცევს შეუვალს რაციონალური ქცევისადმი. ასეთ პირობებში ნებისმიერი მოქმედება იწვევს მეორე მხარის მკვეთრ საპასუხო რეაქციას და მთავრდება მონაწილეთა შორის საერთო წინააღმდეგობით. ამიტომ ეთნიკური კონფლიქტის ქვეშ გულისხმობენ სოციალურ სიტუაციას, რომელიც განპირობებულია ინტერესთა წინააღმდეგობით ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის, რომლის დროსაც ეთნიკური ჯგუფი მიისწრაფვის შეცვალოს თავისი ეთნიკური ჯგუფის მდგომარეობა სხვა ეთნიკურ ჯგუფსა და სახელმწიფოსთან მიმართებით. ეთნოსთაშორისი კონფლიქტი ესაა ჯგუფთა შორის არსებული კონფლიქტის ფორმა, რომელში მონაწილე სანინააღმდეგო ინტერესთა მქონე ჯგუფები განსხვავდება ეთნიკური ნიშნით. ეთნიკური კონფლიქტი ყოველთვის პოლიტიკური მოვლენაა იმიტომ, რომ კულტურულ-ენობრივი ან სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად და სხვა ნაციონალური მიზნების მისაღწევად, როგორც ნესი, აუცილებლად იყენებენ პოლიტიკურ გზებსა და მეთოდებს.

§2. ეთნიკური კონფლიქტების მიზეზები. ეთნოლოგიურსა და პოლიტოლოგიურ მეცნიერებაში ეთნიკური კონფლიქტების რამდენიმე განმარტება არსებობს. ერთ-ერთი განმარტებით (ვ. ტიშკოვი), ეთნოსთაშორისი კონფლიქტი სამოქალაქო, პოლიტიკური ან შეიარაღებული წინააღმდეგობის ფორმაა, რომელშიც მხარეები ან ერთ-ერთი მხარე მობილიზაციას ახდენს, მოქმედებს და იტანჯება (წვალობს) ეთნიკური განსხვავებულობის ნიშნით. ეთნოსთაშორის დაძაბულობასა და კონფლიქტებს განაპირობებს არა თვით ეთნოსების არსებობის ფაქტი, არამედ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული პირობები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ და ვითარდებიან. ეთნიკური კონფლიქტების საკითხების შესახებ ისტორიული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ტერიტორიული პრობლემა, ტერიტორიული დავაა. რამდენადაც ეთნოსები ადამიანთა ტერიტორიულად ორგანიზებული ერთობებია, იმდენად ეთნოსის ტე-

რიტორიის ნებისმიერი ხელყოფა აღიქმება როგორც თვით ეთნოსის ხელყოფა.

ა. ტერიტორიული მიზეზები. ტერიტორიული პრეტენზიების დასასაბუთებლად, როგორც წესი, გამოიყენება ისტორიული ფაქტები. წარსულში ამა თუ იმ ტერიტორიის გარკვეული ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის არგუმენტების დასადასტურებლად იყენებენ მტკიცებულებებს. ამავე დროს, ორივე მხარის აზრით, ისინი ფლობენ უდავო და უცილობელ დამადასტურებელ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც სადავო ტერიტორიებზე მათი მფლობელობის უფლების დამამტკიცებელია. ჩვეულებრივ, პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის მრავალრიცხოვანი მიგრაციის გამო, ეთნოსის განსახლებული ტერიტორია დაპყრობებისა და სხვა გეოპოლიტიკური პროცესების შედეგად წარსულში არაერთხელ იცვლებოდა, იცვლებოდა სახელმწიფოთა საზღვრებიც. სადავო ტერიტორიის ეთნიკურ მიკუთვნებულობას მხარეები თავისებურად განიხილავენ; არ ერიდებიან ისტორიის გაყალბებას, მითოლოგემების შექმნას. ისტორიაში ორმხრივი ჩაღრმავება სადავო საკითხს არათუ გადაწყვეტს, არამედ, პირიქით, ის არეულ-დარეულობისა და სუბიექტივიზმის მიზეზად უფრო იქცევა ხოლმე. თავისი სირთულის გამოისობით ტერიტორიული დავები პრაქტიკულად გადაუწყვეტია და პოლიტიკური მოძრაობებისა და ცალკეული ლიდერების პროგრამებში შესაბამისი პრობლემების ჩართვა, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური კონფლიქტის გადაუწყვეტელობის ნიშანს წარმოადგენს.

ბ. პოლიტიკური მიზეზები. ეთნოტერიტორიული პრობლემების მეორე ჯგუფი დაკავშირებულია დამოუკიდებელი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის საკითხთან. ეთნოსების ძირითად ნაწილს არა აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. საზოგადოების დემოკრატიზაციისა და ეთნოსის ფაქტობრივი სტატუსის აწევის მიზნით იმ ეთნოსებში, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, იწყება მოძრაობა, რომლის მიზანია დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა. მსგავსი მოძრაობა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გავლენიანი, თუ ეთნოსს თავისი ისტორიის რომელიმე ეტაპზე ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და შემდგომში დაკარგა ის. მსგავსი მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოებრივი სტატუსის შესაცველელად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია ეთნიკური კონფლიქტებისა. ასეთი რიგის კონფლიქტებად მიიჩნევა ქართულ-აფხაზური და ყარაბაღის სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტები.

გ. ეკონომიკური მიზეზები. ეთნიკური კონფლიქტების შემდეგ უმნიშვნელოვანეს მიზეზად ასახელებენ ეთნოსების ბრძოლას მატერიალური რესურსებისა და საკუთრებისათვის, რომელთა შორის ყველაზე ფასეულს წარმოადგენს მიწა და წიაღისეული. ანალოგიური დავის წარმოქმნის შემთხვევაში კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე მიისწრაფვის თავისი „ბუნებრივი" უფლება დაასაფუძვლოს მიწასა და ბუნებრივ რესურსებზე. ანალოგიური „რესურსული" კონფლიქტები „ჩიხური" ხასიათისაა, რამდენადაც საკუთრებისა და რესურსების გადანაწილების მცდელობას მივყავართ ადგილობრივი ეთნიკური ელიტისა და ცენტრის წინააღმდეგობამდე. დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფე-

ბას ნინააღმდეგობის ასეთი ფორმაც აქვს. სხვათა შორის, რუსულ ეთნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი კონფლიქტის მაგალითად ჩაჩნეთის ომი მიაჩნიათ. ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ჩაჩნურ-რუსული კონფლიქტის ნამდვილი მიზეზის გაუბრალოების აშკარა ცდაა. ჩაჩნურ-რუსულ კონფლიქტს უფრო ღრმა, კომპლექსური მიზეზები აქვს, რომელთაგანაც ძირითადი ტერიტორიული, პოლიტიკური და ეროვნული მიზეზებია. ჩაჩნეთის კონფლიქტის წარმოქმნაში ისტორიული მახსოვრობის როლიც დიდია (კავკასიის კოლონიზაციის დროს რუსეთის არმიის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ამონყვეტა, სოფლების გადაბუგვა, მეორე მსოფლიო ომის დროს ეთნოსის საკუთარი განსახლების არეალიდან აყრა და შუა აზიაში გადასახლება).

დ. სოციალური მიზეზები. ეთნიკური კონფლიქტების კიდევ ერთი მიზეზი სოციალურია. ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზოგადოების კრიზისული მდგომარეობის პერიოდში ყოველთვის ყალიბდება სხვადასხვაგვარი ნინაპირობები ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური ნინააღმდეგობებისა და კონფლიქტებისა, რომელიც ხელისუფლებისა და რესურსების გადანანილებისაკენ მიისწრაფვის. ამ ტიპის ეთნიკურ კონფლიქტებს საფუძელად უდევს ხალხთა მოდერნიზაციისა და ინტელექტუალიზაციის პროცესები. ეთნიკურ ერთობებში ინტელექტუალური ელიტების შექმნას მივყავართ იქითკენ, რომ მოქმედების პრესტიჟული ასპექტი ნარმოშობს კონკურენციას ტიტულოვან და ძირითად ეთნოსებს შორის. ტიტულოვანი ეთნოსის ნარმომადგენლები აცხადებენ პრეტენზიებს პრესტიჟულსა და პრივილეგირებულ ადგილებზე, მათ შორის ხელისუფლებაშიც. მიიჩნევენ, რომ ანალოგიური მიზეზები უდევს საფუძვლად ბელგიაში ვალონელთა და ფლამანდიელთა ეთნიკურ კონფლიქტს.

ე. ეთნო-პროფესიული მიზეზები. დაბოლოს, იმ მიზეზთა შორის, რომლებიც ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტებს ნარმოშობს, უნდა აღენიშნოთ პოლიეთნიკურ სახელმნიფოთა უმეტესობაში ჩამოყალიბებული შრომის განანილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით.

ეთნიკური კონფლიქტების წარმომშობ მნიშვნელოვან ფაქტორთა შორის შეიძლება დასახელდეს არანაკლები მნიშვნელობის მქონე **ხალხის ისტორიული მახსოვრობა,** რომელშიც შემონახულია ძალადობრივი მოქმედების ნაკვალევი (ნაციონალური საზღვრების თვითნებური შეცვლა; ეთნიკური ერთობის ხელოვნური დანანევრება; უმართებულო ნაციონალური მონყობა; „სამუშაო ძალის" იძულებითი გადასახლება; ხალხების დეპორტაცია და ა. შ.). სხვათა შორის, როდესაც ზემოთ ჩაჩნურ-რუსული კონფლიქტის მიზეზების გაუბრალოების შესახებ ითქვა, სამართლიანობა მოითხოს აღინიშნოს, რომ ჩაჩნების მიერ რუსეთისაგან გამოცალკევების მიზეზი კომპლექსური იყო და, მათ შორის, ისტორიული მახსოვრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო (XIX საუკუნეში კავკასიის ომის პერიოდში რუსების მიერ გამოჩენილი სისასტიკე მთელი სოფლების გადაწვა-განადგურება; მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ყველა ჩაჩანის სამშობლოდან აყრა და შუა აზიაში გადასახლება). ოსურ-ინგუშური ეთნიკური დაპირისპირებისა და კონფლიქტის მიზეზი ტერიტორიულ საკითხებთან ერთად ისტორიული მახსოვრობაცაა (რუსეთის ცენტრალური სახელმნიფოს ხელ-

შეწყობით ოსების მიერ ინგუშთა ისტორიული მიწა-წყლის მიტაცება). ეთნიკური კონფლიქტების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ადგილობრივი ეთნოსისათვის თავს მოხვეული სოციალურ-ეკონომიკური სისტემაც იქცეს. მაგალითად შეიძლება ბოლშევიკების მიერ კერძო საკუთრების მოსპობა დასახელდეს. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს ამ თვალსაზრისითაც არასასურველი მახსოვრობა აქვთ რუსების იმპერიული ხელისუფლების მიმართ.

თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტები მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მიზეზებით არ შემოიფარგლება. ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს; მაგრამ ეთნოსთა შორის კონფლიქტის კონკრეტული მიზეზები რომ გავიგოთ აუცილებელია გავითვალისწინოთ, ის სპეციფიკა, რომელიც კონკრეტული კონფლიქტისათვის არის დამახასიათებელი და რომლის ხასიათიც შეიძლება მისი მსვლელობის ესკალაციისას შეიცვალოს. არსად, არც ერთ სამეცნიერო ლიტერატურაში არ ასახელებენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცისათვის იყო და არის დამახასიათებელი. ესაა საბჭოთა (რუსეთის) ხელისუფლების მიერ ხელოვნურად ინიცირებული ეთნიკური დაპირისპირებები და კონფლიქტები, რათა შესაბამის ეთნიკურ რეგიონებში იმპერია დიდხანს დარჩენილიყო და ერთგვარად მომრიგებელი მოსამართლის როლშიც მოგვევლინებოდა. სამნუხაროდ, რუსეთის ამ ანკესს საბჭოთა იმპერიაში შემავალი არაერთი ხალხი წამოეგო. საამისო მიზანმიმართული ქმედებები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მიმდინარეობდა, როდესაც მიზანმიმართულად აუცხოებდნენ ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ეთნოსებს, ხელს უშლიდნენ მათ დაახლოებასა და ინტეგრაციულ პროცესებს. საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს დაახლოებისა და ინტეგრაციის საშუალება მხოლოდ რუსებთან ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით კომუნისტურ რუსეთში მხოლოდ მიზანმიმართული ასიმილაცია და რუსიფიკაცია მიმდინარეობდა.

ყოფილ საბჭოთა კავშირსა და თანამედროვე პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური კონფლიქტების მრავალ მიზეზს რამდენიმე ჯგუფად აერთიანებენ:

1. **სოციალურ-ეკონომიკური** – ცხოვრების დონის უთანაბრობა, სხვადასხვა პრესტიჟულ პროფესიებში, სოციალურ ფენებსა ან ხელისუფლების ორგანოებში სხვადასხვაგვარი წარმომადგენლობა; დაუნერელი კანონი იყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სახელისუფლო ორგანოებში რუსი ეროვნებისანი უნდა ყოფილიყვნენ, თანაც არა ადგილობრივი მკვიდრები, არამედ ცენტრიდან წარგზავნილნი.

2. **კულტურულ-ენობრივი** – ეთნიკური უმცირესობის თვალსაზრისით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ენის, კულტურის არასაკმარისი გამოყენება (საქართველოში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიტების ერთ-ერთი მიზეზი აფხაზებისა და ოსების მხრივ ქართულ ენის უცოდინრობაც იყო. საბჭოთა პერიოდში მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, შეგნებულად არ ასწავლიდნენ ქართულ ენას და ორიენტირებული იყვნენ მხოლოდ რუსული ენის შესწავლაზე); შეუძლებელი იყო სამთავრობო სტრუქტურაში ადამიანებს ემუშავათ, თუ მათ არ ეცოდინებოდათ რუსული ენა. უპირატესობა ეძლეოდათ

შერეული ოჯახების ნარმომადგენლებს, რომლებსაც განათლება ძირითადად რუსული ჰქონდათ მიღებული.

3. ეთნოდემოგრაფიული – კონტაქტში მყოფი ხალხების მიგრაციის გზით რაოდენობრივი შეფარდების სწრაფი შეცვლა (რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში ხელისუფლება თითქმის ყველა დაპყრობილ მხარეს მიზანმიმართულად დემოგრაფიულად აჭრელებდა, განსაკუთრებით რუსული ეთნოსის ნარმომადგენელთ ასახლებდა იქ. ასე ააჭრელა ეთნიკურად რუსეთის იმპერიამ საქართველოს ტერიტორია სომხებისა და ბერძნების თურქეთის ტერიტორიიდან ჯგუფური გადმოსახლებით. ტერიტორიულ ერთეულზე ეთნიკური უმცირესობისათვის ავტონომიური ერთეულის შექმნის მაგალითად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაც გამოდგება, სადაც აფხაზები იმ დროისათვის ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. კავკასიის ომის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების თურქეთში გადასახლება – ე. წ. მუჰაჯირობა).

4. ეკოლოგიური – სხვა ეთნოსით დასახლებული გარემოს მიზანმიმართული დაბინძურება.

5. ექსტერიტორიული – ხალხთა განსახლების საზღვრებთან სახელმნიფოებრივი ან ადმინისტრაციული საზღვრების არათანმხვევა (მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის იმ ტერიტორიების მიკუთვნება, რომლებიც ოსური ეთნოსის წარმომადგენლებით არც ისტორიულად და არც იმ დროისათვის დასახლებული არ იყო. საბჭოთა პერიოდში ინგუშთათვის ისტორიული ტერიტორიის წართმევა და ამ ტერიტორიის ოსებისათვის გადაცემა. კავკასიური ომის შემდეგ ადიღე-ჩერქეზების ისტორიული განსახლების არეალიდან სხვა ადგილებში გადასახლება).

6. ისტორიული – ხალხთა წარსული ურთიერთობა (ომები, წარსული ბატონობის ურთიერთობა – დაქვემდებარება და ა. შ. ამ კონტექსტში განიხილება სომხურ-აზერბაიჯანული ეთნიკური კონფლიქტი. თურქთა შემოსევების შედეგად სომხური სახელმნიფოებრიობის დაკარგვა; 1915 წელს თურქულ-სომხური დაპირისპირება, სომხების მასობრივი განყვეტა და დასავლეთ სომხეთის ისტორიული ტერიტორიებიდან გაყრა. ნარსულში სახელმნიფოებრიობა გააჩნდა თათრეთს, რაც გარკვეულ დაძაბულობას ნარმოშობს რუსებთან ურთიერთობაში. ანალოგიურია შოტლანდიის მაგალითი დიდი ბრიტანეთის ფარგლებში და ტიბეტისა – ჩინეთის შემადგენლობაში).

7. რელიგიურ-კონფესიური – სხვადასხვა რელიგიებისა და კონფესიებისადმი მიკუთვნებულობით (სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ერთენოვანი მოძმე სლავი ხალხების ბოსნიელებისა და სერბების, სერბებისა და ხორვატების, სერბებისა და კოსოვოელი ალბანელების ეთნიკური კონფლიქტები. ბალკანეთის კვანძის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მასზე ერთდროულად გადის სამი გეოპოლიტიკური გარდატეხის ადგილი: მართლმადიდებლურ-სლავურსა და ისლამურ ცივილიზაციებს შორის, მართლმადიდებლურ-სლავურსა და ევროპულ-კათოლიკურ ცივილიზაციებს შორის და ევროპულ-კათოლიკურსა და ისლამურ ცივილიზაციებს შორის. ამასთანავე სამივე კონფლიქ-

ტური კვანძი გარეშე ძალების ძლიერ გავლენას განიცდის). აღიარებულია, რომ რელიგიურ-კონფესიური მიზეზით წარმოქმნილი ეთნიკური კონფლიქტების შედეგები ბევრად უფრო ტრაგიკულია. ასეთი კონფლიქტების დროს ხშირად ხდება რელიგიური სიწმინდეების ხელყოფა, რაც ხალხთა მეხსიერებიდან იშვიათად ან ძალიან ნელა ქრება. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მხოლოდ 2004 წლის 17-20 მარტს კოსოვოელმა ალბანელმა ექსტრემისტებმა 35 მართლმადიდებლური ტაძარი და მონასტერი დაანგრიეს, ხოლო 1999 წლიდან აქ 112-ზე მეტი ეკლესია მოსპეს. რა თქმა უნდა, ეს იყო სერბთა ისტორიული კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტის – რელიგიური ძეგლების მიზანმიმართული განადგურება, რათა ეფექტურად განეხორციელებინათ სერბების ეთნიკური წმენდა და მოესპოთ აქ ისტორიულად მათი ცხოვრების ნაკვალევი.

8. კულტურული – ყოფითი ქცევის თავისებურებებით დანყებული და პოლიტიკური კულტურის სპეციფიკურობით დამთავრებული.

თანამედროვე ეთნიკურ კონფლიქტებს პოსტსაბჭოთა სივრცეში საფუძველი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩაეყარა. შეიძლება დავასახელოთ არასწორი პოლიტიკა სხვადასხვა ეთნოსთა მიმართ, ახალი ისტორიული ერთობის – „საბჭოთა ხალხის" ფორმირების გამოცხადება, ყალბი ლოზუნგები ხალხთა მეგობრობაზე, როდესაც ეს მეგობრობა რეალურად არ არსებობდა. არ შეიძლება არ გავიხსენოთ 1930-იან ნლებში „ბურჟუაზიული ნაციონალისტების" მიმართ მოწყობილი მასობრივი პროცესები, მოკავშირე რესპუბლიკებში მოსახლეობის განათლებული და მოაზროვნე ნაწილის განადგურება. ქადაგება იმის შესახებ, რომ მომავალში ეთნიკური განსხვავება უნდა გამქრალიყო და ეს რაც ადრე მოხდებოდა, მით უკეთესი იქნებოდა. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგი იყო მოკავშირე რესპუბლიკებში ეთნიკურ უმცირესობათა ტიტულოვან ეთნოსებთან გაუცხოება, რუსულ კულტურულ სამყაროსთან ინტეგრაცია და მარგინალური ადამიანების ჩამოყალიბება. მაგალითად შეიძლება აფხაზები დავასახელოთ. ცნობილია მათი განათლებული ნაწილის პოზიცია და დამოკიდებულება – თუ საერთოდ სხვებში უნდა გათქვეფილიყვნენ, სჯობდა რუსებში გათქვეფა, ვიდრე ქართველებთან ინტეგრაცია, რადგან ქართველების ბოლოც რუსიფიკაცია იყო. კომუნისტური საზოგადოების დიდი შეცდომა იყო ე. ნ. კულტურული მარგინალების ორი-სამი თაობის გაზრდა. კულტურული მარგინალები შეგნებულად აუცხოებდნენ, აშორებდნენ საზოგადოებას საკუთარი კულტურული ფესვებისაგან (ენა, ხელოვნება, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები) და ე. ნ. სოციალისტური კულტურისადმი, ფაქტობრივად, რუსული კულტურისადმი ზიარება. ამრიგად, საბჭოთა კავშირმა ათეული ნლების განმავლობაში თვითონ შექმნა ეთნოსთა შორის დაძაბულობის ყველა პირობა. არასწორი ეთნიკური პოლიტიკის საბოლოო შედეგი კი საბჭოთა კავშირის დაშლა იყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეთნოსთა შორის დაძაბულობისა და ეთნიკური კონფლიქტებისათვის სიტუაციის შექმნა საკმაოდ ადვილია, ხოლო მისგან თავის დაღნევა კი დიდი პრობლემაა, რასაც ხანგრძლივი სახელმნიფოებრივი ძალისხმევა სჭირდება.

§3. ეთნიკური კონფლიქტების დინამიკა და ტიპოლოგია. XX საუკუნის 80-90-იან წლებში კაცობრიობის ეთნიკურ ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ახალი ძალით იფეთქა ეთნონაციონალიზმმა, რომელიც ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში ერთგვარად დათრგუნული იყო. ტოტალიტარულ რეჟიმებს არ შეეძლოთ ეთნიკური პრობლემების გადაწყვეტა იმ მიზეზითაც, რომ ასეთი რეჟიმები მრავალფეროვნებას ვერ იტანს; ამიტომაც ასეთ პირობებში უნიფიკაცია მიიღწეოდა ხალხთა დეპორტაციითა და გენოციდისა და ეთნოციდის პოლიტიკით. ამ მიზეზით ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლას ძალიან ხშირად თან ახლავს ეთნოსთა შორის ურთიერთობების გამწვავება, ზოგიერთ ქვეყანაში კი ამას ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეთნიკურ კონფლიქტს თავისი სპეციფიკა გააჩნია, მეცნიერები მაინც გამოყოფენ ყველა ეთნიკური კონფლიქტისთვის დამახასიათებელ ფაზებს.

ნებისმიერ ეთნიკურ კონფლიქტს ახასიათებს განვითარების სტადიური დინამიკა. კონფლიქტის ჩასახვის პერიოდში პირველ რიგში წამოაყენებენ ადგილობრივი მოსახლეობის ენის როლის გაზრდის საკითხს. ნაციონალური მოძრაობა ყურადღებას ამახვილებს ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე, ხალხურ კულტურაზე, ეთნონაციონალურ სიმბოლიკაზე, რომლებსაც „სხვათა" კულტურას უპირისპირებენ. ამ სტადიას ღირებულებით-სიმბოლურს უწოდებენ.

კონფლიქტური სიტუაციის შემდგომი ეტაპი ხასიათდება მისნრაფებით ხელისუფლების უფლებამოსილების გადანაწილებისაკენ ერთი ეთნიკური ჯგუფის სასარგებლოდ, ეთნიკური იერარქიის შეცვლისაკენ, ეთნიკური სტატუსის ამაღლებისაკენ და ა. შ. კონფლიტის ამ სტადიაზე ეთნიკურობა თავის გამოხატულებას ჰპოვებს ეთნონაციონალური ინტერესების ფორმირებაში, რომელიც ადგილობრივი ელიტის მიერ ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეგავლენის ინსტრუმენტი ხდება, რათა რეორგანიზაციის მიზნით არსებითად შეცვალოს არსებული ეთნოპოლიტიკური სივრცე თავის სასარგებლოდ.

დაბოლოს, მომდევნო სტადიაში კონფლიქტი შეიძლება მივიდეს მოცემული სახელმწიფოს ფარგლებში ტერიტორიის, ან ახალი ეთნონაციონალური სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნამდე და არსებული პოლიტიკური სივრცის ტერიტორიული საზღვრების შეცვლამდე. ამ სტადიაზე ეთნიკურმა ჯგუფმა შეიძლება მიმართოს ძალისმიერ გზებს, რათა იარაღის ძალით განამტკიცოს თავისი მოთხოვნები. კონფლიქტის განვითარების ყველა აღნიშნული სტადიისათვის, თავის მხრივ, დამახასიათებელია ეთნოსთა შორის პრაქტიკული ურთიერთობების შესაბამისი მდგომარეობა, ტიპი და ფორმა. მაგალითად, პირველი სტადიისათვის დამახასიათებელია ეთნოსთა შორის გაუცხოების ფორმა. ეს გამოიხატება ეთნიკურად ერთგვაროვანი ქორწინებებისადმი მისწრაფებაში, მონოეთნიკურ კავშირებში, უცხოეთნიკურ გარემოსთან კონტაქტების მინიმიზაციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაპარაკია სოციოკულტურული დისტანციის გაზრდაზე. კონფლიქტური სიტუაციის განვითარებასთან ერთად გაუცხოების მდგომარეობა ეთნიკური მტრობის მდგომარეობაში გადაიზრდება. მტრობიდან ძალადობრივ ქმედებამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ასეთ შემთხვევაში კი ნებისმი-

ერ ეთნიკურ კონფლიქტს პოლიტიკური მიზნის მისაღწევად იყენებენ. ამავე დროს ნებისმიერი ეთნიკური კონფლიქტი წარმოადგენს სოციალური კონფლიქტის ერთ-ერთ ნაირსახეობას რელიგიური, რასობრივი, სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების გვერდით. საერთოდ, ეთნიკური კონფლიქტების ქვეშ ესმით დინამიურად ცვალებადი სიტუაცია და ეთნიკურ კონფლიქტზე შეიძლება რეალურად ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც ის ორგანიზაციულად ფორმდება და იძენს გარკვეული ნაციონალური მოძრაობის ან პარტიის სახეს და რომელიც საბოლოო მიზნად ისახავს არსებული კულტურულ-ენობრივი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სფეროების შეცვლას. ეთნიკური კონფლიქტი ყოველთვის პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ცვლილებათა ინიციატორები ისწრაფვიან მხოლოდ კულტურულ-ენობრივი სიტუაციის ანდა სოციალურ-ეკონომიკური სფეროს შეცვლისაკენ.

ეთნიკური კონფლიქტების კლასიფიკაცია. ეთნიკური კონფლიქტების რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს. გამოვლენის ფორმით მიღებულია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან **ლატენტური (ფარული)** და **აქტუალიზებული (ღია)** კონფლიქტები. ლატენტური კონფლიქტი შეიძლება ასებობდეს ათეული წლებისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაში და ღია კონფლიქტში შეიძლება გადაიზარდოს მხოლოდ გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში. როგორც წესი, ლატენტური კონფლიქტები ადამიანების ცხოველქმედებისათვის უშუალო საშიშროებას არ წარმოადგენს, ყველაზე საუკეთესოა კონფლიქტის ამ ფორმაში გადაწყვეტა.

ეთნოსთაშორისი კონფლიქტები შეიძლება ასევე კონფლიქტური მხარეების მოქმედების ხასიათის მიხედვით იქნას კლასიფიცირებული (ძალმომრეობითი და არაძალმომრეობითი). ბუნებრივია, ძალმომრეობითი კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებას, რეგიონალურ ომს გულისხმობს. არაშეიარაღებული დაპირისპირებიდან გამოყოფენ კონფლიქტის ინსტიტუციონალურ ფორმას, როდესაც წინააღმდეგობა კონსტიტუციის, კანონმდებლობის ნორმებში მიმდინარეობს. არაშეიარაღებული კონფლიქტის სხვა ფორმას წარმოადგენს მიტინგები, დემონსტრაციები, შიმშილობები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციები. ეონფლიქტის მანიფესტიზირებული ფორმისას სუბიექტებად უკვე გამოდიან ადამიანთა მნიშვნელოვანი მასები, ამიტომ კონფლიქტის მოცემული ფორმა ჯერ კიდევ ინოდება „მასობრივი მოქმედების" კონფლიქტად. არაძალადობრივი კონფლიქტის ყველა ფორმას თან ახლავს ეთნიკურ ჯგუფებში ფსიქოლოგიური დაძაბულობა, ფრუსტრაცია (გამოუვალი მდგომარეობის გრძნობა), მათი გადასახლება. ძალადობრივ კონფლიქტებს კი თან ახლავს მსხვერპლი, ლტოლვილთა ნაკადები, იძულებითი დეპორტაციები, იძულებითი გადასახლება. გამოყოფენ აგრეთვე სტატუსურ ეთნიკურ კონფლიქტებს; ამ სახის კონფლიქტისას ეთნიკური ერთობა მიისწრაფვის აიმაღლოს თავისი მდგომარეობა (სტატუსი). სტატუსური ეთნიკური კონფლიქტის ტიპურ მაგალითად თათრეთის მისწრაფებას ასახელებენ, აემაღლებინა თავისი სტატუსი მოკავშირე რესპუბლიკის დონემდე. იმავე ტიპს მიეკუთვნება ინგუშთა მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შე-

საქმნელად (ჩაჩნებთან ერთად ინგუშები ერთ ავტონომიას ქმნიდნენ). სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ ეთნიკური კონფლიქტების ეთნოტერიტორიულ ტიპს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეთნიკური ჯგუფების მოთხოვნა და კამათი ამა თუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრებისა და მისი მართვის უფლებისა.

აღნიშნულ ჯგუფში შედის კონფლიქტები, რომლის დროსაც ზოგიერთი ეთნოსი მიისწრაფვის შეუერთდეს მეზობელ „დედისეულ" ან „მონათესავე" სახელმწიფოს. ასეთი კონფლიქტის ტიპურ მაგალითად კოსოვოელ ალბანელთა სერბებთან კონფლიქტს ასახელებენ. ჩვეულებრივ, ასეთი კონფლიქტების გადაწყვეტა ძალიან ძნელია, რადგან კომპრომისი აქ შეუძლებელია, კონფლიქტი ან ძალის მოქმედებით, ან ემიგრაციით (დეპორტაციით) შეიძლება გადაწყდეს.

მეცნიერები გვთავაზობენ ეთნიკური კონფლიქტების სხვა ტიპოლოგიებსაც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეთნიკური კონფლიქტების ტიპოლოგიზაცია საკმაოდ პირობითი ხასიათისაა, რადგან ნებისმიერი ასეთი კონფლიქტი ერთდროულად აერთიანებს რამდენიმე მიზეზს, მიზანსა და ფორმას. მაგალითად, რუსი კონფლიქტოლოგები ეთნიკური კონფლიქტების სამ კატეგორიას გამოყოფენ: **1. სტერეოტიპების კონფლიქტი** (კონფლიქტის მხარეები ქმნიან „არამეგობარი მეზობლის" ნეგატიურ სახეს. ამით დაიწყო სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი); **2. იდეების კონფლიქტი** (ამ ტიპისათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ მოთხოვნის წამოყენება. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, ლიტერატურითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით ხდება „ისტორიული უფლებების" დასაბუთება) და **3. მოქმედებების კონფლიქტი** (მიტინგების, დემონსტრაციების, პიკეტების, ღია შეჯახებების მოწყობა). ცალკე გამოყოფენ აგრეთვე კონფლიქტს ეთნიკურ ჯგუფსა და სახელმწიფოს შორის და კონფლიქტებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის. პირველ მათგანში შეიძლება აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოთავსება, მეორეში – მესხეთელ თურქებზე, ანუ ქართველ მაჰმადიანებზე უზბეკების თავდასხმები და კონფლიქტი ოშის ოლქში უზბეკებსა და ყირგიზებს შორის.

ცნობილი ეთნოლოგის დ. ჰოროვიცის კლასიფიკაცია კი ასეთია: 1. ჩამორჩენილი ეთნიკური ჯგუფის სეპარატიზმი ქვეყნის ჩამორჩენილ რეგიონში; 2. ჩამორჩენილი ეთნიკური ჯგუფის სეპარატიზმი ქვეყნის განვითარებულ რეგიონში; 3. განვითარებული ეთნიკური ჯგუფის სეპარატიზმი ჩამორჩენილ რეგიონში; 4. განვითარებული ეთნიკური ჯგუფის სეპარატიზმი ქვეყნის განვითარებულ რეგიონში.

§4. ეთნოსთშორისი კონფლიქტების დარეგულირების ფორმები. ყველა ეთნოსთა შორისი კონფლიქტი თავისებურია. ამავე დროს მათი ბუნება ერთნაირია და ამიტომ არსებობს მათი დარეგულირების დამუშავებული მეთოდები და ხერხები. რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევაში აუცილებელია ამა თუ იმ ეთნიკური კონფლიქტის სპეციფიკისა და მიზეზების გათვალისწინება. საჭიროა კონფლიქტის მასშტაბების, იმ ფორმის გათვალისწინება, რომელშიც ის მიმდინარეობს, ტერიტორიის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, კონფლიქტში მონაწილე მხარეების უკან მდგომი, ჩართული გარეშე ძალების ფაქტორების კომპლექსში გათვალისწინება. აღნიშნულ გარემოებებზეა დამოკიდებული კონ-

ფლიქტის დარეგულირების შესაძლებლობა და ხერხები. მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულია გზები და საშუალებები, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ესა თუ ის კონფლიქტი, როგორ უნდა ჩაქრეს და დარეგულირდეს ის. დარეგულირებისას აუცილებელია კონფლიქტის მიზეზების გაანალიზება, მისი ბიოგრაფიის, კონფლიქტის მხარეთა, მხარეთა პოზიციებისა და ურთიერთობების, გათვალისწინება.

უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ უფრო ადვილია ეთნიკური კონფლიქტის დასაწყისში, ჩანასახში ჩაქრობა, როდესაც მას ჯერ კიდევ არა აქვს მიღებული ფართო მასშტაბები. პრობლემა ის არის, რომ ერთხელ აფეთქებული ეთნოსთაშორისი კონფლიქტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ კონფლიქტი ხანგრძლივ სტადიაში გადადის, ის იღებს გაჭიანურებულ ხასიათს, მაშინ მისი გადაწყვეტა ძნელი ხდება, ზოგჯერ კი შეუქცევადი შედეგებით მთავრდება.

კონფლიქტის შესუსტების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს კონფლიქტში მონაწილე მხარეთა ძალების დეზინტეგრაცია, რომელიც ითვალისწინებს ლონისძიებების სისტემას, მათ შორის, უფრო მეტად რადიკალური მხარის ელემენტებისა და ჯგუფების იზოლირებას და იმ ძალების მხარდაჭერას, რომელებიც უფრო კომპრომისებისა და მოლაპარაკების მომხრენი არიან.

კონფლიქტის დამუხრუჭების ეფექტურ საშუალებებს მიეკუთვნება სანქციების ფართო სპექტრის – ეკონომიკურის, პოლიტიკურის, დიპლომატიურის, სამხედრო და სხვების გამოყენება. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება იქ, სადაც კონფლიქტის მსვლელობისას, რომელსაც აქვს ძალადობრივი შეჯახების სახე, ადამიანის უფლებები მასობრივად ირღვევა.

შეიარაღებული ხასიათის ეთნოსთაშორის კონფლიქტში მნიშვნელოვანია საომარი მოქმედებების დროებითი შეჩერება, დაზავება. ეს იძლევა მონინააღმდეგე მხარეების გზნებარების ჩაცხრობისა და მოლაპარაკების პირობების შექმნის შესაძლებლობას. ამის შედეგად იცვლება და მცირდება კონფლიქტის ემოციური ფონი, რაც კონფლიქტის დარეგულირებაში პრაგმატული მიდგომის არეალს აფართოვებს. ეს მეთოდი, როგორც აღნიშნავენ, გამოყენებულ იქნა ოსურ-ინგუშური, ქართულ-აფხაზური, დნესტრისპირეთში რუსულ-მოლდოვური და სხვა კონფლიქტების დროს. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ ეს მეთოდი მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით იქნა გამოყენებული, დროის მოგებისა და ქართველთა მოტყუების მიზნით, რათა რუსულ-აფხაზურ-ჩრდილოეთკავკასიური სამხედრო შეიარაღებები გადამწყვეტ შეტევაზე გადასულიყვნენ ქართველების წინააღმდეგ და, აქედან გამომდინარე საბოლოოდ დაემარცხებინათ და გაედევნათ ქართველები.

მოლაპარაკებების პროცესში არსებობს ზოგიერთი პირობა და წესი. ჩვეულებრივ, მხარეები მოლაპარაკებაზე მიდიან პირველი რიგის და გადაუდებელი საკითხების შესახებ, ეს საკითხებია: დაღუპულების დაკრძალვა, ტყვეების გაცვლა, ლტოლვილების დაბრუნება. შემდეგ გადადიან აქტუალურ ყოფით, სოციალურ, ეკონომიკურ საკითხებზე. პოლიტიკური საკითხების, როგორც ყველაზე რთულის, განხილვა და გადაწყვეტა ბოლოს ხდება. თუ ცხადია, რომ მოცემულ მომენტში მათი

გადაწყვეტა შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება ეგრეთ წოდებული „გადადებული გადაწყვეტილების“ ტაქტიკა. ასეთი მიდგომა გამოყენებულ იქნა ქართულ-ოსური და რუსულ-მოლდოვური კონფლიქტების დროს, რომელიც დაინტერესებულ, ე. წ. ნეიტრალურ რუსულ, მხარეს საშუალებას აძლევს ხანგრძლივად შეინარჩუნოს არსებული სტატუს კვო და აკონტროლოს კონფლიქტის ზონა.

გამოცდილება აჩვენებს, რომ მოლაპარაკებებში შუამავლების გარეშე იშვიათად მიიღწევა თანხმობა. ისინი ასრულებენ არბიტრაჟის როლს, არიან ინტერესთა ბალანსის გამთანაბრებლები, მშვიდობისმყოფელები. მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ქართულ-აფხაზურსა და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში საერთაშორისო მომრიგებლის როლში რუსები ნეიტრალურები სრულიადაც არ არიან, პირიქით, ისინი, ფაქტობრივად, მონინააღმდეგე მხარეს წარმოადგენენ და მოქმედებენ ქართველთა ინტერესების საწინააღმდეგოდ. ე. წ. სამხრეთ ოსეთიცა და აფხაზეთიც რუსებს, ფაქტორივად, შეერთებული აქვთ. ამას ისიც ადასტურებს, რომ როგორც აფხაზთა, ისე ოსთა ხელისუფლებაში მრავალად არიან წარმოდგენილი რუსეთის მოქალაქეები და, რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფლებამ სეპარატისტ და აგრესორ აფხაზებსა და ოსებს რუსეთის მოქალაქეობა მისცა.

კონფლიქტის მოგვარება ყოველთვის ურთულესი პროცესია, რაც ძალიან დიდ ხელოვნებას ითხოვს. განსაკუთრებით რთულია ეთნოტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტა. ასეთ შემთხვევაში მზა რეცეპტები, ფაქტობრივად, არ არსებობს. კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთ გზად ძალის გამოყენება რჩება. თუმცა ასეთ შემთხვევაში გარკვეული დროის შემდეგ კვლავ მოსალოდნელია კონფლიქტის ხელახლა გაჩაღება. თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები ამის წინააღმდეგნი არიან და უფრო მხარს უჭერენ ეთნიკური კონფლიქტის ხანგრძლივი დროით ლატენტურ მდგომარეობაში გადაყვანას.

§5. თანამედროვე სეპარატიზმის კერების გეოგრაფია. ტერიტორიული და ეთნიკური კონფლიქტების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა სეპარატისტული კონფლიქტები. ტერმინი „სეპარატიზმი“ ლათინურად გამოყოფას ნიშნავს. სეპარატიზმს განიხილავენ როგორც პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც პოლიტიკურად არაერთგვაროვან სახელმწიფოებში წარმოიქმნება (ეს არაერთგვაროვნება შეიძლება იყოს ეთნიკური, კონფესიური, ეკონომიკური). ის მიმართულია ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობიდან ტერიტორიის ნაწილის გამოყოფისაკენ, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ან სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის მიზნით. დასახელებული პროცესებიდან პირველი მათგანი ცნობილია **სეცესიის** სახელწოდებით, მეორე კი ინოდება **ირიდენტიზმად**. სეპარატიზმი დეზინტეგრაციული პროცესების გამოვლენის უმაღლესი სტადიაა. სეპარატიზმი შეიძლება კონფლიქტს იმ შემთხვევაში ეწოდოს, როდესაც კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარე არსებული სახელმწიფოდან გამოყოფის საკითხს დააყენებს. დეზინტეგრაციული განვითარების უფრო ადრინდელსა და ნაკლებ გამოხატულ მხარეს რეგიონალიზმი და ავტონომიზმი ეწოდება.

დღეისათვის პლანეტაზე სეპარატიზმის ორმოცდაათზე მეტი დიდი კერა არსებობს. სეპარატიზმს დედამიწის ტერიტორიის მნიშვნე-

ლოვანი ფართობი უკავია (12,7 მილონი კვ. კმ.) და ამით დაკავებულია 220 მილიონი ადამიანი (მთელი მოსახლეობის 4%). მეცნიერები მსოფლიოში სეპარატიზმის ექვს რეგიონურ სახესხვაობას გამოყოფენ:

ა. დასავლეთევროპული ნაირსახეობა, რომელსაც მიეკუთვნება ჩრდილოეთ ირლანდიის, ბასკთა ქვეყნის, კატალონიის, ბელგიის, კორსიკისა და სხვა კონფლიქტური კერები, ხასიათდება ეთნოკონფესიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების წამყვანი როლით. აქ გაბატონებულია მოსახლეობის მაღალი საზოგადოებრივი მობილიზაცია, თუმცა ისინი ძირითადად არ გამოდიან ცივილიზებული პოლიტიკური ბრძოლის ჩარჩოებიდან (ჩრდილოეთ ირლანდიის, კორსიკისა და ბასკთა ქვეყნის გამოკლებით). როგორც წესი, დასავლეთევროპული ნაციონალური და რეგიონური მოძრაობების (მათ შორის, უელსში, გალისიაში, სიცილიაში) ძირითად მიზანს ნარმოადგენს არა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაუყოვნებლივ შექმნა, არამედ მაქსიმალური ნაციონალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ავტონომიის მიღნევა არსებული სახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში.

ბ. აღმოსავლეთევროპული ნაირსახეობა სეპარატიზმისა, მოიცავს ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონებს (მაგალითები: კოსოვო, ჩაჩნეთი, კვიპროსი, თათრეთი და სხვა.). დასავლეთევროპულისაგან ის განსხვავდება სეპარატიზმის უმეტესი კერების არცთუ ისე დიდი ხნის წინ გააქტიურებით. აქ არსებობს მთელი რიგი აუღიარებელი სახელმწიფოები: აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი, სამხრეთ ოსეთი, დნეპრისპირეთი, რესპუბლიკა სერბსკა ბოსნიასა და პერცოგოვინაში. ეს ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმონაქმნები, რომლებსაც ჰყავთ შეიარაღებული ფორმირებები, მტკიცედ აკონტროლებენ „თავიანთ“ ტერიტორიებს. მათთან მოქმედებს თვითგამოცხადებული კონსტიტუციები, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, აღნიშნული სეპარატისტული „სახელმწიფოები“ გარედან მხარდამჭერების ხარჯზე არსებობენ. პოსტსაბჭოთა სივრცეში ისინი ძირითადად რუსეთის მფარველობის ქვეშ არიან. შეიარაღებული ფორმირებებიც რუსეთის სამხედრო სტრუქტურებიდან აქვთ ნაბოძები და სამხედრო სწავლებასაც ისინი უზრუნველყოფენ. დასავლეთ ევროპელებისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ ევროპელი სეპარატისტები უპირატესობას პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს ანიჭებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ეთნიკური და კონფესიური ტოლერანტობის დონე უფრო დაბალია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ტოლერენტობისა და შემწყნარებლობის დაბალი დონე საქართველოში ნამდვილად არ არის და ის არც ისტორიულად ყოფილა დაბალი. საქართველოს ისტორიიმ არ იცის არც ერთი შემთხვევა სხადასხვა ეთნოსთა დევნისა; აქ არც არასდროს ყოფილა აგრეთვე რელიგიურ-კონფესიური შეუწყნარებლობა. საქართველოსა და მის დედაქალაქში ერთმანეთის გვერდით, მეზობლად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, მათ სალოცავებიც კი ერთმანეთის გვერდით ჰქონდათ.

გ. ისლამური ნაირსახეობა სეპარატიზმისა, გაბატონებულია მახლობელი აღმოსავლეთისა და შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრი-

კისა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში (მაგალითები: ქურთისტანი, ბელუჯისტანი, სამხრეთ იემენი და სხვა). ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ერთი რელიგიურ-კულტურული ფუნდამენტი – ისლამი, რომელიც მნიშვნელოვანი დანანევრების მიუხედავად, საკმაოდ მყარ სისტემას წარმოადგენს. ისლამური ცივილიზაციის ტერიტორიაზე გაბატონებულია მეტ-ნაკლებად მსგავსი ტრდიციულ-კულტურული შეხედულებანი, ძლიერია რელიგიისა და რელიგიური სამართლის – შარიათის როლი, აქ არ არის ეთნოსების ისეთი მრავალფეროვნება, როგორც ტროპიკულ აფრიკასა და ინდოსტანში. ამასთანავე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ უმცირესობათა თვითშეგნებას, რომლებიც ნაციონალურ სახელმწიფოებში იმავე რელიგიის აღმსარებელთაგან განიცდიან ჩაგვრას, ზენოლას. ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ისლამური ზონის ქვეყნებში შიდა და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები განპირობებულია არა მხოლოდ ეთნიკური, არამედ რელიგიური უთანხმოებითაც. ამის მაგალითებია კონფლიქტი შიიტებსა და სუნიტებს შორის ერაყში, პუშტუნებსა და ხაზარიელებს შორის ავღანეთში, მთიანი ბადახშანის ისმაილიტებსა და ბარის ტაჯიკებს შორის.

დ. აზიური ნაირსახეობა გავრცელებულია აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიის ქვეყნებში (მაგალითები: პენჯაბი, ქაშმირი, შრი-ლანკის ჩრდილოეთი, ტიბეტი). კონფლიქტებს საფუძველი აქვს კოლონიანდელ ისტორიულ პერიოდთან, მაგრამ განახლდა 1940-1950-იან წლებში ქვეყნების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. აზიური ტიპის კონფლიქტებში ძლიერია კონფესიური თვითშეგნების როლი. ეს ელემენტი ეთნიკურ თვითშეგნებასთან ერთად წამყვანია ინდოეთის შტატებში – ჯამასა და ქაშმირში, პენჯაბში, ნეპალენდში, შრი-ლანკის ჩრდილოეთ რაიონებში, ფილიპინების სამხრეთსა და ტიბეტში. ამ რეგიონში გარკვეულ როლს კონფესიურ, ეთნიკურ, ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ და სხვა ბარიერებთან ერთად ბუნებრივი საზღვრებიც თამაშობს. რეგიონის ქვეყნების უმეტესობის ნინაშე რთულად გადასაწყვეტი ეკონომიკური პრობლემებიც დგას.

ე. აფრიკული ნაირსახეობა (სამხრეთ სუდანი და ორომონლენდი ეთიოპიაში, ჩრდილოეთ სომალი, კაბინდა ანგოლაში, კომორის კუნძულები, კვაზილუ-ნატალი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში) ახლოსაა აზიურთან. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონის ქვეყნებმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შედარებით გვიან მიიღეს (ძირითადად 1960-იან წლებში) და კონფლიქტებიც შედარებით გვიან გაჩაღდა. აფრიკული ეთნოსების უმეტესობა დღემდე ტომობრივ სტადიაზე იმყოფება. აქედან გამომდინარე, დიდი ეთნიკური ჯგუფების არარსებობის პირობებში მათ უძნელდებათ გამოყოფის მოთხოვნის წამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ კოლონიალიზმის დროს სეპარატიზმი ფორმალურად ნულოვან დონეზე იყო, სნორედ მაშინ ჩამოყალიბდა ახლა არსებული აფრიკული სახელმწიფოების მთლიანობისათვის საშიში პირობები: ნიგერიასა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაახლოებით 200-200 ეთნოსს ითვლიან, ტანზანიაში – 120-ზე მეტს. აფრიკის კოლონიური რუკა თავის დროზე შეიქმნა ეთნიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთობების გათვალისწინების გარეშე

და შესაბამისად საზღვრები შემთხვევით ხასიათს ატარებს. მათი განფენილობის (სიგრძის) 42% გეომეტრიულ ხაზებზე მოდის.

3. ამერიკული ნაირსახეობიდან შეიძლება დასახელდეს ეთნოსთაშორისი კონფლიქტები კანადის კვებეკში, მექსიკურ ჩიაპასში, სენტ-კიტსის ფედერაციაში შემავალ ნევისის კუნძულზე, გრელანდიაში. ამერიკული სეპარატიზმი ნაკლებად ჰგავს ევროპულ, აზიურ და აფრიკულ სეპარატისტულ მოძრაობებს, რაც რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: პირველ რიგში აღსანიშნავია, ახალი სამყაროს სახელმწიფოთა გადასახლებითი ხასიათი. აქ, ფაქტობრივად, არ დარჩნენ ისეთი ეთნოსები, რომლებსაც შეუძლიათ წამოაყენონ მოთხოვნა თავიანთი ნაციონალურ-ისტორიული კერის აღდგენის შესახებ. ადგილობრივი ეთნოსები კი, ამ თვალსაზრისით, მცირერიცხოვანნი და მნიშვნელოვნად ასიმილირებულნი არიან, რაც გამარჯვების შანსებს საკმაოდ ამცირებს. ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებში, ფაქტობრივად, ახალი მონოეთნიკური ერთობები ჩამოყალიბდა, გამონაკლისი მხოლოდ კანადა იყო, სადაც კანადელთა ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ეთნიკური ერთობა ჩამოყალიბდა: ანგლო-კანადელები და ფრანგო-კანადელები. ამ უკანასკნელებით დასახლებული პროვინცია – კვებეკი თანამედროვე ახალი სამყაროს სეპარატიზმით გამორჩეული კერაა.

თემა XXIII

ტრადიციული კულტურა და თანამედროვეობა

ისტორიულ ეთნოლოგიას საფუძველი ხალხთა ეთნოგრაფიული აღწერით ჩაეყარა. ეს იყო უდამწერლობო, ანუ პრიმიტიული ეთნოსების მატერიალური კულტურის, ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღწერა. XIX საუკუნე ამ ხალხების შესახებ მონაცემებისა და ფაქტობრივი მასალების დაგროვების პერიოდი იყო. ტრადიციული კულტურების შესახებ მონაცემების დაგროვებას ხელს უწყობდა განვითარებული ქვეყნების კოლონიური პოლიტიკა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეთნოგრაფიულ მეცნიერებას თავიდანვე გამოყენებითი დანიშნულება ჰქონდა: ხალხების სამართავად საჭირო იყო მათი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ცოდნა. მეტროპოლიას სრული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ქვეშევრდომი ხალხების ტრადიციების, ეთნიკური კულტურის შესახებ; უხეში შეცდომის დაშვებას კი შეიძლებოდა საავალო შედეგი გამოეღო.

საკმაოდ დიდი ხნის საკმარისი ფაქტობრივი მასალის დაგროვების შემდეგ განზოგადებისა და სინთეზის ეტაპი დადგა. პირველი ეტაპი თუ ეთნოგრაფიის (ფაქტობრივი მასალის) ეტაპი იყო, მეორე – ეთნოლოგიისა იყო, ანუ მეცნიერებისა, რომელიც უარს არც უშუალო დაკვირვებაზე ამბობდა. თუმცა ეთნოლოგიის მიზანი მაინც უფრო განზოგადებისაკენ სწრაფვაა. ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების შემდეგ ეტაპზე მეცნიერები მიხვდნენ, რომ არა მხოლოდ მეზობელი ხალხის ცხოვრების აღწერა და ანალიზია საჭირო, არამედ საკუთარი ხალხისაც. თანდათან გამოიკვეთა ეთნოლოგიური მეცნიერების ახალი მიმართულებები.

თანამედროვე ეთნოლოგიის კვლევის არეალი უფრო ფართოა; მას აინტერესებს, როგორც მრავალრიცხოვანი ხალხი, ისე ყველაზე მცირერიცხოვანი ეთნოსები. ეთნოლოგიურ კვლევათა ახალი მიმართულება განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კოლონიური სისტემების მოშლის შემდეგ გათავისუფლებულ ხალხებს და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე წარმოქმნილ ახალ სახელმწიფოებს ცივილიზებულ სამყაროში თავიანთი კუთვნილი ადგილი სჭირდებოდათ, მთავარი იყო ისინი შეთვისებოდნენ თანამედროვე კულტურას, დაუფლებოდნენ თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახიათებელ აუცილებელ ღირებულებებსა და ნორმებს. ამიტომ ძალიან მწვავედ დადგა ტრადიციული საზოგადოებებისა და კულტურების მოდერნიზაციის პრობლემა, მათი ჩართვა თანამედროვე მსოფლიოში. ამ დროში შექმნილი მოდერნიზაციის თეორიები მოითხოვდა არა მხოლოდ პრაქტი-

კული, არამედ თეორიული საკითხების გადაჭრასაც. ნინა პლანზე წამოიწია ტრადიციული და თანამედროვე ადამიანის აღქმასა და აზროვნებაში განსხვავების მოშლისა და დაახლოვების, ტრადიციული საზოგადოებისა და მისი კულტურის მოდერნიზაციის გარდაქმნის პრობლემამ.

ეთნოლოგიურ მეცნიერებაში გაჩნდა ტრადიციული და მოდერნიზებული საზოგადოებების საერთო ნიშნებისა და თანამედროვე ხალხთა კულტურაში ტრადიციული ელემენტების როლის გამოვლენის შესაძლებლობა. ტრადიციული და არქაული კულტურების შესწავლა ასევე იძლევა შესაძლებლობას პასუხი გაეცეს ანთროპოლოგიური მეცნიერების ისეთ ურთულეს საკითხებს, როგორებიცაა პირველყოფილი ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა და აზროვნების თავისებურებები, მისი კულტურის სპეციფიკა.

თავდაპირველად აუცილებელია სიცხადე შევიტანოთ ტერმინებში „ტრადიციული კულტურა" და „არქაული კულტურა". ცნობილია, რომ ბუნების გარდაქმნის მეთოდების სრულყოფისას პირველყოფილი საზოგადოება და კულტურა სულ უფრო იცვლებოდა, ყველა კულტურული და სოციალური პროცესი ჩქარდებოდა, რაც უზრუნველყოფდა პირველყოფილი მდგომარეობიდან გამოსვლას. პარალელურად ხდებოდა პირველყოფილი საზოგადოებისა და კულტურის ერთგვაროვნების რღვევა, ყალიბდებოდა კულტურების სხვადასხვა ტიპი.

პირველყოფილობის შემდგომ საფეხურად აღიარებულია ძველი აღმოსავლეთი, შემდეგ ანტიკურობა. მიიჩნევენ, რომ კულტურათა ეს ტიპები არ არიან სწორხაზოვნად დაკავშირებულნი. ცივილიზაციის ამ ტიპებს ჰქონდათ საკუთარი სოციოკულტურული საფუძვლები. მაგალითად, ძველი აღმოსავლეთი სასოფლო-სამეურნეო ტიპის საფუძველზე ვითარდებოდა; აქ შეიქმნა სამინათმოქმედო ცივილიზაცია წარმოების აზიური წესით, რომელიც მისი ეკონომიკური საფუძველი და სახელმწიფოებრიობის აღმოსავლური დესპოტიის ფორმა იყო. ხოლო საკუთარი ცივილიზაციის შემქმნელი ანტიკური სამყარო ორიენტირებული იყო ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებაზე, რამაც მის ეკონომიკურ საფუძვლად მონათმფლობელობა და ქალაქი-სახელმწიფოები მოითხოვა. ამ გზით კი ის თანდათანობით მივიდა მმართველობის დემოკრატიულ ფორმამდე.

კაცობრიობის განვითარების ამ ორი საყოველთაოდ ცნობილი გზის გარდა, მრავალი ხალხი განაგრძობდა მომთაბარე წესით ცხოვრებას, მისდევდა მეჯოგეობას, ასევე ნადირობასა და შეგროვებას.

ამგვარად, კაცობრიობის პირველყოფილი მდგომარეობიდან სახელმწიფოებრიობაზე გადასვლისას პირველყოფილი აზროვნების, მითოლოგიის, ჩვეულებების, ზნეობის, ესთეტიკური და მხატვრული აზროვნების საწყისი ფორმები გარდაიქმნებოდა ამა თუ იმ სახით და კულტურათა სხვადასხვა ტიპი ნარმოიქმნებოდა; თითოეულ მათგანს თავისი ბედი ჰქონდა. მაგრამ მომთაბარე-მეჯოგეთა კულტურა (მითუმეტეს, დღემდე აქა-იქ შემორჩენილი მონადირეებისა და შემგროვებლებისა) კაცობრიობის ისტორიის საერთო განვითარებაში ერთგვარად შემაფერხებელი აღმოჩნდა; მან ჩიხში შეიყვანა არსებული საზოგადოებები. მათი ცხოვრების პრიმიტიულობისა და რიგი არქაული ნიშნების

გამო, მეცნიერები თითქმის საერთოდ არ განასხვავებდნენ კულტურის ამ ტიპს პირველყოფილისაგან. მაგრამ დღეს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული შეხედულება მცდარი იყო. სინამდვილეში ესენი ტრადიციული კულტურებია, რომლებიც, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა მიწათმოქმედი ხალხის კულტურისაგან. ტრადიციული კულტურებისათვის დამახასიათებელი მთავარი თვისება ზედმინევნითი მდგრადი ხასიათი, ნოვაციების თითქმის მიუღებლობაა; თუმცა ეს ცვლილებები დროთა განმავლობაში მაინც ხდებოდა. ტრადიციული იყო აგრეთვე ეგვიპტის, ბაბილონის, ინდოეთის, ჩინეთის სამიწათმოქმედო ცივილიზაციები. ეს საზოგადოებები ტრადიციულ ეთნიკურ კულტურებზე უარს არასდროს ამბობდნენ – მრავალი პარამეტრით ისინი დიდხანს ინახავდნენ არქაული კულტურებისთვის ბევრ ნიშანს. საზოგადოების, ტრადიციების მოდერნიზაცია კი გვიან პერიოდში, ახალი ისტორიის საწყის ეტაპზე ევროპაში მოხდა.

სწრაფ ცვლილებებზე ორიენტირებულ თანამედროვე, მოდერნიზებულ კულტურებს საფუძველი მხოლოდ ანტიკურმა ცივილიზაციამ ჩაუყარა. ის ძირითადად ქალაქ-სახელმწიფოებში იყო კონცენტრირებული. მისთვის დამახასიათებელი იყო პროგრესი და გარე სამყაროს შეუზღუდავი გარდაქმნა. მოდერნიზებული კულტურის რეალური განვითარება კი უკვე დაახლოებით XVI საუკუნიდან დაიწყო დასავლეთ ევროპაში.

დღეს მეცნიერები კულტურასა და საზოგადოებას ზოგადად სამ ნაწილად ყოფენ. ესენია: არქაული კულტურა და საზოგადოება, ტრადიციული კულტურები და საზოგადოებები და მოდერნიზებული კულტურები და საზოგადოებები. არქაულ კულტურასა და საზოგადოებაში გულისხმობენ მონადირეებისა და შემგროვებლების კულტურებსა და საზოგადოებებს, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი ჩვენი პლანეტის მიყრუებულ კუთხეებში. ტრადიციული კულტურები მეურნეობის განვითარების უფრო მაღალ დონესთან – მიწათმოქმედებასთან და მომთაბარე მესაქონლეობასთანაა დაკავშირებული; მათთ ახასიათებთ სტაბილურობა და მდგრადობა. ამავე დროს ზოგიერთი პარამეტრით მას არქაულს ამსგავსებენ. ამიტომაც აღნიშნულ ცნებებს ზოგჯერ ერთმანეთის პარალელურად, სინონიმებადაც იყენებენ, რაც ჩვენ გაუმართლებელ მეცნიერულ მცდელობად მიგვაჩნია. არქაულსა და ტრადიციულ საზოგადოებებსა და კულტურებს შორის დიდი ზღვარია. ტრადიციულ კულტურებში ტრადიციების მდგრადობა სრულიადაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მათ შორის პარალელი გავავლოთ და ისინი სინონიმებად გამოვიყენოთ. მოდერნიზებული კულტურა, რომელიც ევროპაში აღმოცენდა და ორიენტირებულია ნოვაციასა და პროგრესზე, დღეისათვის მსოფლიო კულტურის საფუძვლად გადაიქცა და მისი მატარებელი ხალხის რაოდენობაც სულ უფრო იზრდება.

ევროპელ მეცნიერ-ეთნოლოგებს ყოველთვის აღელვებდათ არქაულსა და ევროპელ ხალხებს შორის განსხვავების საკითხი, მათში აზროვნების განსაკუთრებული ტიპის არსებობის შესაძლებლობა, რომლის შესწავლასაც შეეძლო არა მხოლოდ გადაეჭრა ამ ხალხთან დამოკიდებულების პრაქტიკული საკითხები, არამედ პასუხი გაეცა პირველ-

ყოფილი აზროვნებისა და კულტურის სპეციფიკის საკითხებზე. ამიტომ ბევრი დიდი მკვლევარი ცდილობდა ამოცანის ამოხსნას.

§1. ტრადიციული (არქაული) კულტურის ნარმოსახვისა და აზროვნების სპეციფიკა. პირველად ტრადიციულ (არქაულ) კულტურებში წარმოსახვის, შემეცნებისა და აზროვნების თავისებურებებს ედუარდ ტაილორი შეეხო თავის საყოველთაოდ ცნობილ ნიგნში „პირველყოფილი კულტურა". მან ერთმანეთს შეადარა უდამწერლობო ხალხების ფანტაზია და ცივილიზებული საზოგადოებების ბავშვები. მას ბავშვის თოჯინა და პირველყოფილი ადამიანის კერპი ერთი და იმავე რიგის მოვლენებად მიაჩნდა. ე. ტაილორის აზრით, ისინი იმისთვისაა საჭირო, რომ ბუნდოვნად არსებული იდეები ზეარსებულში განივთდეს, რადგან ბავშვებისა და პირველყოფილი ხალხების აზროვნება ნივთიერია და მათ არ შეუძლიათ ამ იდეების არსებობის ახსნა თუ მატერიალური საგნების გამოყენების ხერხს არ მიმართეს. ეს იდეა პირველყოფილ ხალხთა აზროვნების შესწავლაში განმსაზღვრელი გახდა. ამას გარდა. ე. ტაილორის სახელთან არის დაკავშირებული პირველყოფილი საზოგადოებისა და კულტურის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძველების ფორმულირება. XIX საუკუნის შუა ხანები კლასიკური მეცნიერების ბატონობის დრო იყო. ამ დროს მეცნიერება ორიენტირებული იყო რაციონალიზმზე, რომლის არსიც სამყაროს სრული შეცნობის მიღნევის შესაძლებლობების აღიარებიდან გამომდინარეობდა. ამიტომაც იყო, რომ კულტურის საკვანძო პრობლემად გონის განვითარება და მის მიერ სამყაროს შემეცნების უნარი მიიჩნეოდა. პირველ რიგში სნორედ ამასთან იყო დაკავშირებული მეცნიერთა მთელი ჯგუფების მიერ სხვადასხვა ხალხის აზროვნების კვლევა.

სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევებს შორის პირველყოფილ აზროვნებაზე ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია ლ. ლევი-ბრიულის ნაშრომები. მისი ნიგნების საკვანძო ცნება გახლდათ „კოლექტიური წარმოდგენები". ის ამ ცნებას ე. დიურკჰეიმს დაესესხა და მასში რწმენის, ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობას გულისხმობდა, რომელსაც ადამიანი აღზრდის, წინა თაობიდან კულტურის გადმოცემის საშუალებით ღებულობდა. ამიტომ ამგვარი წარმოდგენები მხოლოდ კოლექტიურ სუბიექტს ითვალისწინებდა. მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები ცალკე ინდივიდისათვის ნიშანდობლივი არ ყოფილა. თითოეულ კულტურას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლექტიური წარმოდგენები და „კანონები" ჰქონდა შექმნილი, რომლებითაც არქაულ ხალხთა წარმოდგენები იმართებოდა. ისინი საერთოდ არ ჰგავდა ცივილიზებულ ხალხთათვის ჩვეულ ლოგიკის კანონებს. პირველყოფილი კულტურების კოლექტიურ ნარმოდგენებს განაპირობებდა ზებუნებრივი ძალებისა და ამ ძალებთან ურთიერთობის რწმენა. ამ კულტურებში ადამიანები აუხსნელი მოვლენების რაციონალურ ახსნას კი არ ეძებდნენ, არამედ სამყაროს აღიქვამდნენ წარმოდგენების, სახეებისა და სიმბოლოების სახით. მათ აზროვნებაში ლოგიკური კანონების ადგილი თანამონაწილეობის კანონს ეკავა, რომლის თანახმადაც საგანი (ადამიანი, ცხოველი) ერთდროულად თავის თავსაც შეიძლება განასახიერებდეს და რაღაც სხვასაც. პირველყოფილ კულტურა-

ში ადამიანი თავს გრძნობს მისტიკურ ერთეულად თავის ტოტემთან, თავის სახელთან და თავის ჩრდილთან მიმართებით. თმა არა მხოლოდ უბრალოდ სხეულის ნანილი იყო, არამედ მაგიური საგანიც, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა ზიანის მიყენება, ან ავადმყოფობისაგან განკურნება. ლ. ლევი-ბრიულმა პირველყოფილი ადამიანის აზროვნებას ლოგიკამდელი აზროვნება უწოდა. ნაშრომების გამოსვლისთანავე ლევი-ბრიულს მკვლევართა დიდი ნანილი არ ეთანხმებოდა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ, მართალია, სხვადასხვა კულტურების წარმომადგენელთა აზროვნებასა და შემეცნებაში განსხვავება მართლაც არსებობს, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენელთა აზროვნების თვისობრივად განსხვავებული ტიპების შესახებ ვისაუბროთ. ვ. ბარტლეტი ლევი-ბრიულის მთავარ შეცდომად პრიმიტიული საზოგადოებების წარმომადგენელთა აზროვნების მეცნიერული აზროვნების ეტალონებთან შედარებას მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ თანამედროვე ხალხთა ყოველდღიური ცხოვრებისათვისაც არ არის უცხო აზროვნების ლოგიკის დარღვევების შემთხვევები. უფრო მეტიც, რასაც ლ. ლევი-ბრიული ლოგიკამდელ და მითოლოგიურ აზროვნებას უწოდებდა, ისიც ზოგადად კულტურის განუყოფელი ნანილია. კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს ხაზგასმით: ლევი-ბრიულის მიერ პირველყოფილ აზროვნებად სახელდებული აზროვნების ტიპი საფუძველს წარმოადგენდა არა მხოლოდ დამწერლობამდელი ტრადიციული საზოგადოებებისა, არამედ ისეთი განვითარებული და დანინაურებული კულტურებისა, როგორებიცაა ინდოელთა და ჩინელთა კულტურები. ისინიც ლოგიკამდელი აზროვნების სტადიაზე იმყოფებოდნენ, რადგან მათში ფუნდამენტურ როლს თამაშობდა სახეები, მითები და არა ცნებები. აშკარაა, რომ აღმოსავლური აზროვნების ტიპი, აღმოსავლურ კულტურათა სისტემა, მენტალიტეტი განსხვავდებოდა როგორც ევროპული, ისე ტრადიციული არქაული ტიპისაგანაც.

შვეიცარიელი ჟ. პიაჟე თავის ნაშრომებში ე. ტაილორის იდეებს მიუბრუნდა და „ამტკიცებდა", რომ დამწერლობამდელი კულტურების ნარომადგენელთა ინტელექტუალური დონე თერთმეტი ნლის ევროპელი მოსნავლისას შეესაბამება. ჟ. პიაჟეს მიხედვით, ტრადიციული საზოგადოების ადამიანებს აბსტრაქტული აზროვნების უნარი არა აქვთ. ჟ. პიაჟეს მიმდევრებმა მისი შეცდომები ლოგიკურ შეცდომებამდე მიიყვანეს და „კულტურის" ცნება „ინტელექტის" ცნებით შეცვალეს.

ლ. ლევი-ბრიულსა და ჟ. პიაჟეს მეცნიერებაში არაერთი მონინააღმდეგე გამოუჩნდათ, რომელთა შორისაც გამორჩეულია მარგარეტ მიდის სამეცნიერო გამოკვლევები. მან დაამტკიცა, რომ აზროვნების ანიმისტური სახე: რწმენა სულების არსებობაზე, უსულოთა გასულიერება კულტურის მიერაა დეტერმინირებული და მას კავშირი არა აქვს გონებრივი განვითარების საფეხურებთან. პოლინეზიელ ბავშვებზე დაკვირვების შედეგად მ. მიდმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ტრადიციულ კულტურაში სამყაროს აღქმისა და მსჯელობის აგების თავისებურება განპირობებულია მასში სნავლების წესით, რომელიც ხორციელდება არა სიტყვების ახსნით, არამედ მოძრაობის სტერეოტიპების ერთობლიობის ჩვენებით. ამიტომაცაა, რომ ამგვარ საზოგადოებებში იშ-

ვიათად სვამენ კითხვას – „რატომ"? რადგან სწავლების ძირითადი ნანილი რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციაში მიმდინარეობს, რომელთა შინაარსიც შესასრულებელი მოქმედების ან სიტუაციის კონტექსტშია მოცემული. გასათვალისწინებელია მ. მიდის მიგნება, რომ ტრადიციული კულტურის ნარმომადგენლებს ურთულეს სიტუაციაში მოქმედების მყისეულად შეცვლისა და მოძრაობის ახალი სტერეოტიპების დაუფლების უნიკალური უნარი გააჩნიათ. მ. კოულისა და ს. სკრიბნერის დასკვნით, რაღაც განსაკუთრებული პირველყოფილი ლოგიკა არ არსებობს; მხოლოდ სხვადასხვა ეთნიკურ ერთობათა მიერ სამყაროს აღქმასა და შეცნობას შორის განსხვავება არსებობს. თუმცა ეს იმ დასკვნის საშუალებას არ იძლევა, რომ რომელიმე ეთნოსი ჩვენს პლანეტაზე არასრულფასოვანია. აზროვნებაში, შემეცნებასა და აღქმაში მრავალფეროვნება მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა გეოგრაფიული, კლიმატური პირობებითა და კულტურული სისტემების სირთულის სხვადასხვა დონით აიხსნება. მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს სხვადასხვა საზოგადოებებში, კულტურებში ამა თუ იმ ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულის არსებობა-არარსებობას (მაგალითად, ყაზახები ერთი სიტყვით აღნიშნავდნენ ცისფერსა და მწვანეს). დადგინდა, რომ რომელიმე ფერისათვის ტერმინის არსებობა-არარსებობა დაკავშირებულია ამ კულტურებში არა ამ ხალხთა მხედველობის ფიზიოლოგიურ თავისებურებებთან, არამედ მათი ყოფის რეალიებთან, მთლიანობაში ცხოველქმედებასთან, მათ გარემოში შესაბამისი ფერის საგნების ქონა-არქონით. გარდა ამისა, ინფორმაცია კონკრეტულ ფერთა აღნიშვნაზე ეთნოლოგებს აძლევს მონაცემებს შესაბამისი კულტურების შესწავლისათვის. ისინი ტერმინებით გარკვეულ დასკვნებს აკეთებენ სამეურნეო ყოფაზე, კვების სტრუქტურაზე და სხვ. ფერთა აღქმა ერთობ მნიშვნელოვანი უკვე შემგროვებლობის სტადიაში გახდა; ის საშუალებას იძლეოდა სხვა დანარჩენ ნიშანთა შორის ბუნებაში გამოეყოთ საკვებად ვარგისი და სასარგებლო მცენარეები, ხოლო უფრო ღია ფერთა გამით განესაზღვრათ ნაყოფის, ხილის მნიფობისა და ლპობის ფაზები. პირველყოფილ მონადირეებს ფერთა რთულ ნიუანსებში გარკვევას ბუნება აიძულებდა – ეს აუცილებელი იყო ჯუნგლებში, სტეპებსა თუ თოვლში დამცავი შეფერილობის მქონე სარენაო ცხოველის აღმოსაჩენად. ადამიანის სამეურნეო ცოდნის გაფართოებას თან ახლდა ფერთა გამის უფრო მეტი რაოდენობის გარჩევა. ამითაა განპირობებული კონკრეტული ფერების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების კულტურული და მცენარეული სახელწოდებებისაგან, კვების პროდუქტებისაგან, შინაური ცხოველების ფერისა და ჯიშისაგან, ბუნებრივი ნივთიერებებისა და მცენარეთა სახელებისაგან, ლითონების სახელებისაგან და სხვ. წარმომავლობა.

მსგავსი გამოკვლევები ტარდებოდა ტრადიციული და თანამედროვე კულტურების ადამიანებში ფორმის აღქმის შესწავლის თვალსაზრისითაც; მაგალითად, ადამიანებს უნდა განესაზღვრათ მონაკვეთისა და გეომეტრიული ფიგურების თანაფარდობა. ჩვეულებრივ, არქაული და ტრადიციული კულტურების ნარმომადგენლები მეტ შეცდომას უშვებდნენ. დადგინდა, რომ ეს შეცდომები განპირობებულია იმ ბუნებრივი და კულტურული სიტუაციით, რომელშიც ეს ადამიანები

იზრდებიან. ევროპული ცივილიზაციის წარმომადგენლები ცხოვრობენ „სნორკუთხა სამყაროში"; აქ ბევრი ხელოვნური ნაგებობაა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, გეომეტრიული ფორმები აქვს, ჩვენი მზერა მუდმივად ეჯახება სწორ ხაზებს, მონაკვეთებს, ამიტომაც მათთვის უფრო ადვილია გაზომვა და შედარება. ტრადიციული კულტურების წარმომადგენლები კი სადაც უნდა ცხოვრობდნენ, (გაუვალ ჯუნგლებში, უდაბნოში, ტუნდრაში), ისინი მაინც ბუნებრივი ლანდშაფტების გარემოცვაში იმყოფებიან, სადაც სწორი ხაზები, ფაქტობრივად, არ არის. ცნობილია, რომ ჯუნგლებში მცხოვრებ ადამიანებს ჰორიზონტის დანახვის საშუალებაც არა აქვთ. ამიტომაც გასაკვირი არაა, როდესაც ადამიანები შეცდომას უშვებენ ტესტებში, მათ ხომ ის ამოცანები უნდა ამოეხსნათ, რომელთა ანალოგი ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ჰქონდათ.

ანალოგიური სახის კვლევები ჩატარდა სხვადასხვა კულტურებში მოძრაობის კოორდინაციის საკითხებზე. გაირკვა, რომ ყველა ხალხს თავისთვის ჩვეული მოძრაობები ახასიათებს, რომლებიც განპირობებულია სამეურნეო საქმიანობითა და ცხოვრების წესით. ჩუკოტკელი მეირმის მოძრაობა განსხვავდება რუსი გლეხის მოძრაობისაგან, რაც მათი ტრადიციული მეურნეობის ფორმებითაა განპირობებული. პირველებს, მეირმეობის გამო, სწრაფი სირბილი უხდებოდათ, მეორენი კი ტრადიციულად მიწათმოქმედნი იყვნენ, გუთანს მიჰყვებოდნენ და ბალახს ცელავდნენ. განსხვავებული მოძრაობები ჰქონდათ მომთაბარეებს, რომლებიც მთელ დღეს ძირითადად უნაგირზე ატარებდნენ. ცხოვრების წესი კუნთების შესაბამისი ჯგუფების განვითარებას ინვევდა. ერთი და იგივე მოძრაობები სხვადასხვა ხალხის მიერ სხვადასხვა სიმსუბუქით სრულდება (მაგალითად, შენიშნულია, რომ იაპონელისათვის ქუსლებზე ჯდომა ჩვეულებრივი ამბავია, მაშინ, როდესაც ევროპული ეთნოსებისათვის ეს ფაქტობრივად, შეუძლებელია). ტრადიციული კულტურების წარმომადგენლები, თანამედროვეთაგან განსხვავებით, მოძრაობებში ფენომენალურ უნარს ამჟღავნებენ. მოძრაობების რთული ილეთების შესრულება მათ ბუნებრივ გარემოში გადარჩენისათვის მუდმივმა ბრძოლამ გამოუმუშავათ.

ამრიგად, სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლებს აზროვნების, სამყაროს აღქმის მათთვის დამახასიათებელი ფორმები ახასიათებთ. ამის გამო, მეცნიერებმა „სენსოტიპის" ცნება შემოიტანეს. აფრიკული არქაული და ტრადიციული კულტურებისათვის დამახასიათებელ სენსოტიპში, ინკულტურაციის განმსაზღვრელი როლი ცეკვებსა და რიტუალებს ეკუთვნის, ამიტომაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სხეულის შეგრძნებათა ფლობის ვარჯიშებს, მოძრაობითი სტერეოტიპების გამომუშავების უნარს. ევროპული, ანუ თანამედროვე კულტურის სამყაროში კი მნიშვნელოვანია ვიზუალური აღქმის, წერილობითი და ზეპირი ენობრივი ფორმების დაუფლება; აქ ნინა პლანზე ცნებების, იდეების, იდეალურ ხატებათა სამყაროში ორიენტირების აუცილებლობაა. ამიტომაცაა, რომ დასავლურ სენსოტიპს უწოდებენ სიმბოლურ-ვიზუალურ-კომუნიკაციურს, აფრიკულს კი მუსიკალურ- გრაფიკულის სახელით მოიხსენიებენ. ამ სენსოტიპების დაუფლება ძირითადად ინკულტურაციისას ხდება.

ამრიგად, თანამედროვე კელევებით დადასტურდა, რომ ტრადიციული კულტურების ხალხთა აზროვნების სტილი არაფრით არ არის თანამედროვე ევროპულზე უარესი. მას მთლიანად განსაზღვრული ადამიანისა და საზოგადოების წინაშე მდგარი ცხოვრებისეული და სოციოკულტურული სიტუაციები განსაზღვრავს.

ტრადიციული საზოგადოებების ადამიანთა აზროვნება განსაკუთრებით ღრმად შეისწავლა ფრანგმა ეთნოლოგმა კლოდ ლევი-სტროსმა. მან ტრადიციული აზროვნების ლოგიკური რაციონალურობის დემონსტრირება მოახდინა. კ. ლევი-სტროსმა დაასკვნა, რომ არქაული და ტრადიციული კულტურების წარმომადგენლებს შეუძლიათ შეასრულონ ყველა ის ძირითადი ოპერაცია, რომლებსაც ცივილიზებული ადამიანები ასრულებენ. მაგრამ ამას ისინი განსაკუთრებული ფორმით გამოავლენენ. პირველყოფილი ადამიანის აზროვნების საფუძველს წესრიგის მოთხოვნილება წარმოადგენს. ამიტომ წარმოსახვითაც კი ყველა საგანი თავის ადგილზე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროში არსებული წესრიგი დაირღვევა. ამითაა განპირობებული არქაული და ტრადიციული კულტურების მქონე ადამიანების მიერ ყველა წესისა და რიტუალის სრულყოფილად, უნაკლოდ შესრულება. სხვა შემთხვევაში სამყაროში არსებული წესრიგის შენარჩუნება შეუძლებელია. თანამედროვე და პირველყოფილი ადამიანების აზროვნების შედარებისას, კ. ლევი-სტროსმა პირველს მეცნიერული, პრაქტიკულ-შემეცნებითი უწოდა, ხოლო მეორეს – მაგიური. ის ასკვნიდა, რომ, ზოგადად მიღებული წარმოდგენების სანინააღმდეგოდ, მეცნიერებასა და მაგიას შორის სხვაობა არცთუ ისე დიდია. მათ ერთი მიზანი აქვთ – სამყაროს ახსნა და მასში ადამიანის ნორმალური ცხოველქმედების უზრუნველყოფა. ისინი მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის საშუალებით განსხვავდება. კ. ლევი-სტროსი მაგიასა და მეცნიერებას ერთმანეთს არ უპირისპირებდა; მათ ერთმანეთის პარალელურად განალაგებდა. პირველყოფილ ადამიანთა აზროვნებისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანთაგან კ. ლევი-სტროსმა განსაკუთრებით სიმბოლოები გამოყო, რომლებიც ერთგვარი შუალედური ერთეულებია კონკრეტულ-გრძნობად სახეებსა და აბსტრაქტულ ცნებებს შორის. არქაულ და ტრადიციულ საზოგადოებათა ადამიანების აზროვნება თავისუფალია პროექტირების პროცესისაგან, მიზნისათვის საშუალების მკაცრი დაქვემდებარებისაგან. მათ აქვთ უნარი შედეგს მიაღწიონ სრულიად მოულოდნელი მოძრაობებით, დამთხვევისკენ ორიენტირებით. აზროვნების ამ თვისებას კ. ლევი-სტროსმა ბრიკოლაჟი უწოდა. პირველყოფილი ადამიანის აზროვნებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ნიშანი და სიმბოლო თამაშობდა. მეცნიერი ცნებების საშუალებით მოქმედებს, ბრიკოლერი კი – ნიშნებისა და სიმბოლოების მეშვეობით. პირველყოფილი ადამიანის აზროვნების მნიშვნელოვანი თვისება უსულოს გასულიერება ანუ ანიმიზმია. უსულოსათვის სულის შთაბერვის მისწრაფება ადამიანის დასაბამისეული თვისებაა. ამით დაიწყო კაცობრიობის კულტურა, შეიქმნა სამყაროს ხატება, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის ცხოვრება.

§2. ტრადიციული კულტურის ძირითადი ნიშნები. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე და დღევანდელ ეპოქაშიც, კულტურა

მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და გამოირჩევა. თითოეული კულტურა მისი შემოქმედის – ეთნოსის, ეთნიკური ერთობის ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგადაა შექმნილი. კულტურის განვითარება და ფუნქციონირება ეთნოსის ცხოველქმედების განსაკუთრებულ საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ თითოეული კულტურა მისი შემქმნელის, შემოქმედის ცხოვრების წესის, ქცევის სპეციფიკის გამომხატველია. ეთნოსები სამყაროს განსაკუთრებულად, თავისებურად აღიქვამენ, რაც კარგად ჩანს მათ მიერ შექმნილ მითებში, ლეგენდებში, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებსა და ღირებულებით ფასეულობებში.

მრავალფეროვანი ეთნიკური კულტურებიდან მეცნიერთა ინტერესს განსაკუთრებით არქაული ტრადიციული კულტურები იქცევს. ასეთ საზოგადოებებში ცვლილებები, ჩვეულებრივ, არ არის ან შეუმჩნევლად ხდება. არქაულ ტრაცდიციულ კულტურებში ცხოვრების განმსაზღვრელი წეს-ჩვეულებები და ტრადიციებია – ისინი თაობიდან თაობას მდგრადი სახით გადაეცემა. არქაული ტრადიციული კულტურების მომცველ საზოგადოებებში ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობა სრულ თანხვედრაშია, შეუთავსებლობა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის, ფაქტობრივად, არ არსებობს. არქაული ტრადიციული კულტურა ბუნებასთანაც ორგანულ კავშირშია, მასთან გამთლიანებულია და ორიენტირებულია თვითმყოფადობის, თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნებაზე. თუმცა ეს თვისება არაარქაულ ტრადიციულ კულტურასაც ახასიათებს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ არქაული ტრადიციული კულტურა დამწერლობის არმქონე და ინდუსტრიამდელია. ასეთ კულტურებში ადამიანთა საქმიანობის ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობაა. ტრადიციული იყო ევროპისა და აზიის ბევრი ხალხის კულტურა, რომელთათვისაც ინდუსტრიულ პერიოდამდე მეურნეობის განვითარებული ფორმები და მაღალგანვითარებული კულტურა, მათ შორის დამწერლობა და მწერლობა, იყო დამახასიათებელი. მსოფლიოში არაერთი არქაული ტრადიციული საზოგადოება არსებობდა, რომელთათვისაც ნადირობისა და შემგროვებლობის ფორმები იყო დამახასიათებელი და რომელთაგან ბევრმა დღემდე მოაღწია. დღესდღეობით ადამიანურ ურთიერთობათა არეალურ კარტოთეკაში 600-ზე მეტი არქაული ტრადიციული კულტურაა დაფიქსირებული.

ეთნოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა არქაული ტრადიცული კულტურებისა და ტრადიციული კულტურების როგორც ისტორიულ რეალობასთან, ისე თანამედროვეობასთან მიმართების საკითხის შესწავლა. აღნიშნულ პრობლემებში სიცხადის შესატანად კი აუცილებელია როგორც არქაული ტრადიციული კულტურების, ისე განვითარებული ტრადიციული კულტურების ძირითადი თავისებურებების გამოვლენა.

ტრადიციული კულტურა სინკრეტული ხასიათისაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ყოფიერების სამი ფორმით – კულტურით, საზოგადოებისა და ადამიანის მთლიანობითა და დაუნაწევრებულობით გამოიხატება. სოციუმის (გვარის, თემის) თითოეული ნევრი მთლიანის ტოლია – ყველას აქვს ერთი სახელი, სხეულის ერთნაირი მოხატულობა, ერთი მორთულობა, მითები, წეს-ჩვეულებები, სიმღერები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მე" მთლიანად „ჩვენშია" გახსნილი, ერთი სოციუმის, ჯგუ-

ფის, საზოგადოების წევრები ერთ მთლიან მონოლითურ ერთობას წარმოადგენენ; პიროვნება, როგორც ცალკე აღებული, ინდივიდუალური ერთეული არ არსებობს. ადამიანი ასევე არ გამოაცალკევებს თავს ბუნებისაგან – ის მის ისეთივე ნაწილად და სულის მქონედ მიიჩნევს თავს, როგორებიცაა მცენარეები, ცხოველები, მთები, მდინარეები და ა. შ. სინკრეტიზმი გამოვლინდება აგრეთვე ჯერ კიდევ ცალკეულ სფეროებად დაუნაწევრებელი ფუნქციის მქონე კულტურის სტრუქტურაში. სინკრეტიზმის ხორცშესხმას კი მითი წარმოადგენს, რომელიც სამყაროს აღიქვამს როგორც ერთ მთლიანობას. მითში მატერიალური სამყარო და ადამიანის მიერ შექმნილი სულიერი ხატება ერთმანეთთანაა გაიგივებული. ეს არც რწმენაა და არც ცოდნა, ის სინამდვილის გრძნობადი განცდაა. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ სამყაროს აღქმის ეს წესი გარე სამყაროში ადამიანის ადგილს განსაზღვრავს. ამ დროს ჩამოყალიბებული დაუნანევრებელ-გამთლიანებული აზროვნება მტკიცედ კრავს და არ უპირისპირებს ერთმანეთს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის სხვადასხვა მხარეს. ამიტომ არის, რომ შემეცნებისა და აზროვნების მოცემულ ეტაპზე მითი ბევრად უფრო ძლიერია და მაღლა დგას ანალიტიკურ აზროვნებაზე.

უდამწერლობო არქაულ კულტურათა არსებითი ნიშანი ტრადიციულობაა. ყოფიერებისა და ყოფის ყველა თავისებურება, მითები და წეს-ჩვეულებები, საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმები და ფასეულობები იყო სტაბილური, მკაცრი, ურყევი; ისინი თაობიდან თაობას გადაეცემოდა დაუწერელი სახით. ამ საზოგადოებებში ძალაუფლება ტრადიციას ჰქონდა; მისი კულტურა მითოლოგიური წარმოდგენებით იყო შეფერილი. მითი ყველაფერზე მაღლა იდგა და ის თითოეული ინდივიდისაგან იდეების სისტემისა და შეგრძნებების უპირობოდ მიღებას და თაობიდან თაობაში ხელშეუხებლად გადაცემას მოითხოვდა.

მაგრამ როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ტრადიციის ძალა, ის მუდმივად ერთი სახით ვერ შენარჩუნდებოდა, ნელ-ნელა და თანდათანობით კულტურაში ნოვაციებიც აღწევდა. ნოვაციები, ახალი ტრადიციები არა არქაულ საზოგადოებებში, არამედ განვითარებულ ტრადიციულ კულტურებში აღწევდნენ. ამ უკანასკნელისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ადამიანების მიერ სამყაროსგან გამოყოფა, საკუთარი „მე“-ს შეცნობა. განვითარებულ ტრადიციულ კულტურებშიც ტრადიციის ძალაა გაბატონებული. მაგრამ აქ ადამიანთა ქცევა ბევრად უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე არქაულ ტრადიციულ საზოგადოებაში. ის მაინც ემორჩილება საზოგადოებაში, სოციუმში გამომუშავებულ ნორმებს. ეს ნორმები ქცევის სტერეოტიპების სახითაა წარმოდგენილი. ისინი, როგორც წესი, წინასწარ ითვალისწინებენ სიტუაციათა დიდ ნაწილს, რომლებიც შეიძლება ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოიშვას. ამგვარი სახის სტერეოტიპების საფუძველს წინაპართა „კანონებზე“, უფრო სწორად, ჩვეულებებზე დაყრდნობა წარმოადგენს. განვითარებულ ტრადიციულ კულტურებში ჩვეულება მოტივაციის ძირითადი საშუალებაც არის. ასეთი საზოგადოებების ადამიანებისათვის მთავარი იყო ის, თუ როგორ და რანაირად იქცეოდნენ მათი წინაპრები. ქცევის ამ სტერეოტიპის საფუძველს წარმოადგენს არა თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წესები, არამედ

ხატებანი და მოდელები. მათდამი ერთგულება და მათი დაცვა კოლექტივის სოციალური ცხოვრების აუცილებელი პირობაა. განვითარებულ ტრადიციულ საზოგადოებში უკვე ცალკე გამოიყოფა იურიდიული, ეთიკური, რელიგიური და სხვა ნორმები, რომლებიც მათში ზოგან ჩანასახის ფორმით, ხოლო ზოგან კი საკმაოდ განვითარებული ფორმითაა წარმოდგენილი.

ქცევის ტრადიციულ სტერეოტიპთა მნიშვნელოვანი თვისებაა მათი ავტომატიზირებულობა. ის ხორციელდება გაუცნობიერებლად, რადგანაც ტრადიციულ კულტურაში ადამიანის ცხოვრება ერთადერთი შესაძლო ხაზით ნინასნარაა განსაზღვრული. მას არა აქვს არჩევანის უფლება, როგორც ეს თანამედროვე საზოგადოების ადამიანს შეუძლია, სადაც აცნობიერებენ, რომ ცხოვრება შეიძლება განვითარების სხვადასხვა, ხშირად ალტერნატიული გზით მიდიოდეს და სადაც ადამიანი გადაწყვეტილებებს თავად იღებს.

ტრადიციულ კულტურაში ძირითადია ცენტრისა და პერიფერიის იდეა. ცენტრი საკრალური ელემენტების, განმსაზღვრელი ღირებულებების ადგილია. არქაული ტრადიციული კულტურისაგან დატოვებული მემკვიდრეობა, მათი სინკრეტიზმი აქაც სამყაროს ერთიანობის პრინციპს წარმოადგენს. განვითარებულ ტრადიციულ კულტურაშიც ყოველდღიური ყოფა სიმბოლიკითაა დატვირთული. სამყაროს მითოლოგიური მოდელი ახალ ვითარებაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თანამედროვე ადამიანის მთელი გარემომცველი სამყარო ორ ნაწილად იყოფა: ნიშნების სამყაროდ და ნივთების სამყაროდ. ადამიანი მუდმივად დაკავებულია მისი გარემომცველი ნივთების სემიოტიკური სტატუსის განსაზღვრით. ეს პროცესი ავტომატიზებულია და ქვეცნობიერის დონეზე მიმდინარეობს. გამოყოფენ ნივთების სამ ჯგუფს: ა) მუდმივად მაღალი სემიოტიკური სტატუსის მქონე ნივთ-ნიშნები. ესენია: ამულეტები, ნიღბები, დროშები, ღერბები. ნივთ-ნიშნებს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ; ბ) დაბალი სემიოტიკური სტატუსის მქონე ნივთები, რომლებიც თანამედროვე კულტურაში გამოიყენება და რომლებსაც მხოლოდ კონკრეტული პრაქტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია; გ) ძირითადი ჯგუფი, რომლებიც შეიძლება ნივთებიც იყოს და ნიშნებიც, ჰქონდეს მატერიალური ღირებულება, აკმაყოფილებდეს პრაქტიკულ მოთხოვნებს და ატარებდეს გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვასაც. სრულფასოვან ნივთებად მხოლოდ ბოლო ჯგუფს მიიჩნევენ. სხვათა შორის, თანამედროვე კულტურაშიც აქვთ უტილიტარული დანიშნულების ნივთებს ესთეტიკური აზრი, ან კიდევ მიუთითებენ მისი მფლობელის გარკვეულ სოციალურ სტატუსზე; მაგალითად, „როლექსი" და „პარკერი" არა მხოლოდ საათი და კალამია, არამედ გარკვეული სოციალური ჯგუფის სიმბოლოც. ამ თვალსაზრისით ნივთების სიმბოლური მნიშვნელობა არანაკლებ რეალურია, ვიდრე მათი უტილიტარული ღირებულება. აქ არ შეიძლება კითხვის დასმა: რა არის პირველადი – საგანი თუ ნიშანი? საგანი კულტურის ფაქტად მხოლოდ მაშინ იქცევა, თუ ის აკმაყოფილებს როგორც პრაქტიკულ, ისე სიმბოლურ მოთხოვნილებებს. ტრადიციულ კულტურაში ნებისმიერი ნივთი შეიძლება ერთდროულად ემსახურებოდეს როგორც უტილიტარულ, ასევე სიმბოლურ მიზნებს. ამიტომ ტრადიციული კულტუ-

რა სემიოტიკურ ობიექტებად არა მხოლოდ ენას, მითს, რიტუალს იყენებს, არამედ საოჯახო ნივთებსაც, ეკონომიკურსა და სოციალურ ინსტიტუტებს, ნათესაურ სისტემებს, საცხოვრებელს, საკვებს, ტანსაცმელს, იარაღს; მაგალითად, მაღალი დონის ჩინურ კულტურაშიც კი ბრინჯაოს ჭურჭელი მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით არ გამოიყენებოდა: მათი მოხატულობა, რელიეფი დიდ ინფორმაციას შეიცავდა სამყაროს მოწყობაზე, მის ღირებულებით ფასეულობებზე და ა. შ. ამრიგად, ტრადიციულ საზოგადოებაში ნივთები (საგნები) ყოველთვის ნიშნების არსია, მაგრამ ნიშნებიც ყოველთვის ნივთებია. აქედან გამომდინარე მეცნიერები ასკვნიან, რომ მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების მატერიალურსა და სულიერ კულტურებზე შეიძლება ვისაუბროთ ცალ-ცალკე, რაც შეეხება ტრადიციულ კულტურას, ამგვარი დაყოფა მხოლოდ პირობითა.

ტრადიციულ საზოგადოებაში ნივთების ფუნქციონირების თავისებურებები მათი დამზადების პროცესში წარმოჩინდება. როგორც არქაულ, ისე ტრადიციულ კოლტურაში ნივთის დამზადებისას ოსტატს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ იმეორებდა იმ ოპერაციებს, რომლებსაც სამყაროს დასაბამიდანვე სამყაროს შემოქმედი ასრულებდა. ამიტომ ნივთების დამზადება ყოველთვის საკრალურ, წმინდა სფეროს განეკუთვნებოდა. ჯერ კიდევ ძალიან შორეულ ეპოქაში მოხდა ხელოსანთა ცალკეული კასტების გამოყოფა და მათი ძალა და სიდიადე დანარჩენი საზოგადოების თვალში ხელოსნობის ჩარჩოებს სცილდებოდა, რაც მას ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებას შორის შუამავლად აქცევდა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ევროპის თანამედროვე საზოგადოებაში შემორჩენილი იყო მჭედლებისა და მენისქვილეების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. ასევე იყო ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. მჭედლების გამორჩეულობის შესახებ საქართველოში ქართული ფოლკლორის ნიმუშებიც შეიძლება გავიხსენოთ. რა თქმა უნდა, ევროპულსა და ქართულ საზოგადოებებს მჭედლებისადმი ასეთი დამოკიდებულება ტრადიციული საზოგადოებებისგან გადმოჰყვათ.

ტრადიციული კულტურის ადამიანს მუდმივი დიალოგი ჰქონდა გარემომცველ ბუნებასთან. ის მიმართული იყო არა ბუნების დაპყრობისაკენ, როგორც ეს დამახასიათებელია თანამედროვე ევროპული კულტურისათვის, არამედ მასთან თანამშრომლობისაკენ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არქაული და ტრადიციული საზოგადოებების (კულტურების) ნივთების დამზადების ყველა საფეხური საკმაოდ დიდ დროსა და ზედმეტ ოპერაციას მოიცავდა (რიტუალები, ცეკვები, ნყევლა), რომლებიც ტექნოლოგიურ ჯაჭვში საჭირო არ იყო. მაგრამ ეს ასე მხოლოდ თანამედროვე ადამიანის თვალთახედვით იყო, რომლისთვისაც სიმბოლური სამყარო არ არსებობდა. აღნიშნავენ, რომ სინამდვილეში სწორედ რიტუალმა შექმნა ტექნოლოგია, და, არა პირიქით, რიტუალური ქმედებები ტექნოლოგიის თანმხლები არ იყო. ამრიგად, ტრადიციულ კულტურაში ნივთი ერთდროულად ორ სამყაროს მიეკუთვნებოდა: პროფანულსა (ყოველდღიური, მატერიალური) და საკრალურს (ნიშნადი, სიმბოლური), რაც შესაძლებელს ხდიდა მათ გამო-

ყენებას ჩვეულებებსა და რიტუალებში და წარმოადგენდა ქცევის უმნიშვნელოვანეს რეგულატორს.

§3. წეს-ჩვეულებები და რიტუალები ტრადიციულ კულტურაში. სხვადასხვა ეთნოსების ტრადიციული კულტურების შესახებ პირველი გამოკვლევების შემდეგ ეთნოლოგები იმ დასკვნებამდე მივიდნენ, რომ მათი არსებობა განუყოფლადაა დაკავშირებული რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებთან. რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების პრაქტიკული მნიშვნელობა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი იყო: ისინი აწესრიგებდნენ ადამიანების ემოციურ მდგომარეობას, აყალიბებდნენ და ხელს უწყობდნენ ერთიანობის გრძნობის შენარჩუნებას არა მხოლოდ ოჯახის, მცირე და დიდი სოციალური ერთეულების, არამედ ეთნოსების დონეზეც. ასე რომ, ცალკეული ინდივიდები რიტუალებითა და წეს-ჩვეულებებით თავიანთ ეთნიკურ იდენტობასაც შეიგრძნობდნენ, ინარჩუნებდნენ ეთნოსის ღირებულებით ფასეულობებს და ა.შ. ამიტომაც ტრადიციული კულტურის ამ მოვლენით არაერთი მეცნიერი დაინტერესდა და სათანადო და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციაც მისცეს მათ. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი რიტუალებს განიხილავს როგორც მოქმედებების სტანდარტულ, მდგრად თანამიმდევრობას, რომლებიც ცერემონიული ხასიათისანი არიან, მეორენი კი რიტუალში ქცევის სტერეოტიპიზებულ ფორმას გულისხმობენ. საერთოდ, მარტივად რომ ვთქვათ, რიტუალი ფორმალური მოვლენაა, ერთგვარი თამაშია, რომლის წესებიც მისი ყველა მონაწილისათვის მისაღებია.

რიტუალების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას შორის ეთნოლოგთათვის ყველაზე საინტერესო ეთოლოგიური ინტერპრეტაციაა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში წარმოიქმნა ახალი სამეცნიერო მიმართულება – ეთოლოგია, რომელშიც შერწყმულია ეთოლოგიის, ეთნოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიღწევები. მისი კვლევის ძირითადი ობიექტია ტრადიციული საზოგადოების შედარება თანამედროვე ინდუსტრიულ კულტურასთან. მისი მნიშვნელოვანი თავისებურება ადამიანისა და კულტურის „ბუნებრივ" მდგომარეობაში შესნავლაა, რომელშიც სოციოკულტურული ადაპტაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რიტუალს.

ეთოლოგიური მიდგომით, ნებისმიერი ეთნიკური გაერთიანების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს თანამშრომლობა, შეკავშირება, მეგობრული კავშირების შექმნის უნარი. ცხოველებში ანალოგიური ქცევა სპეციფიუკური ბიოლოგიური მიზეზებით აიხსნება. ადამიანს კი სოციალურობის დადგომისთანავე ამგვარი რეაქციები უმუხრუჭდება. მას პოზებისა და ჟესტების ისეთი რთული სისტემა არა აქვს, რომელიც ცხოველებში არსებობს. აქ იგი შეცვლილია რიტუალების კულტურული სისტემით, რომელიც აწესრიგებს და აკონტროლებს ადამიანთა სოციალურ ურთიერთქმედებებს, გამოიმუშავებს მათი ქცევის სტერეოტიპებს.

საკუთრივ კულტურა იწყება იქ, სადაც ადამიანის ქცევა დამატებით იზღუდება, რაც მოტივირებული არ არის ფიზიკური და ბიოლოგიური კრიტერიუმებით. მათ შორის ინფორმაციის დაუფლების აუცილებლობაზეც მიუთითებენ; ეს მხოლოდ სნავლის პროცესში ხდება. მისი გადმოცემის ნიშნობრივი სისტემის – ენის წარმოშობა კი ამ გზით

მოხდა. ცხოვრებისათვის აუცილებელი ინფორმაციის შეთვისება ქცევის სტერეოტიპების საშუალებით ხდებოდა, რომლებიც ნიმუშებად და მოდელებად გადაიქცეოდა და რომელთა დაცვაც კოლექტივის სოციალური ცხოვრების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ქცევის ამ პროგრამებს დაუნაწევრებელი და სინკრეტული ხასიათი ჰქონდა. ამის გამო ისინი ერთდროულად სამყაროს ნიმუშსაც წარმოადგენდნენ, რომლის გარეშეც კულტურის ფუნქციონირება შეუძლებელი იყო. ქცევის ამ სტერეოტიპებს საყოველთაობისა და აბსოლუტურობის პრეტენზია ჰქონდა. რაიმე გადახრა ან შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამავე დროს თითოეულ ეთნოსს გარკვეული ჰქონდა, რა იყო მისთვის მნიშვნელოვანი, ნიშანდობლივი და რისი უგულებელყოფა შეეძლო მას. ამიტომ წარმოიქმნა განსხვავება სხვადასხვა ხალხის ნესებსა და ჩვეულებებს შორის. მაგრამ ყველა ეთნოსისათვის ერთი რამ არის საერთო: ისინი მკაცრად აკონტროლებენ იმ სტერეოტიპებს, რომლებიც მათთვის და მათი კულტურისათვის დიდად მნიშვნელოვანია.

ტრადიციული კულტურის მთელი რიგი ელემენტები ჩვეულებებით რეგულირდება, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში განსაზღვრავს ეთნოსის საქციელს, ანესრიგებს ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ინდივიდის ქცევას, მკაცრად მოითხოვს ეთნოსისათვის ტიპური ზნეობრივი თვისებების გამოვლენას. რეგულაციის უფრო მაღალ სფეროს მიეკუთვნება რიტუალები, რომლებიც ფუნქციონირებს კულტურის საკრალურ ცენტრში და მათ სწორ შესრულებაზეა დამოკიდებული ამ კულტურისა და ხალხის არსებობაც კი.

ეთნოლოგთა თვალსაზრისით, რიტუალი გარკვეულ ქმედებათა თანამიმდევრობას წარმოადგენს, რომელიც სინამდვილეზე ზემოქმედების მიზნით ხორციელდება, აქვს სიმბოლური ხასიათი და, როგორც წესი, სანქცირებულია საზოგადოების მიერ. რიტუალები არსებობს არა მხოლოდ ტრადიციულ, არამედ თანამედროვე საზოგადოებებშიც. ამ საზოგადოებაში მხოლოდ რელიგიური რიტუალები არ მოქმედებს. თანამედროვე საზოგადოებისაგან განსხვავებით, ტრადიციულ საზოგადოებასა და კულტურაში რიტუალები უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მიიჩნევენ, რომ მათზეა დამოკიდებული სამყაროს არსებობაც კი. რიტუალის უმნიშვნელოვანეს მიზანს სამყაროს იდეალური მდგომარეობის მიღწევა ნარმოადგენს, რაშიც ადამიანის, კოლექტივისა (ჯგუფის, საზოგადოების) და კოსმოსის ერთ მთლიანობაში შერწყმა იგულისხმება. ჯერ კიდევ ე. ტაილორისა და ჯ. ფრეზერის მიერ დამკვიდრდა ტრადიციული კულტურის კლასიფიკაცია რაციონალურ და ირაციონალურ კულტურებად, სხვაგვარად რომ ვთქვად, ის, რაც ადამიანთა მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა მატერიალური თვალსაზრისითა და სიმბოლური ფასეულობებით. ტრდიციული კულტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ სიმბოლურ ღირებულებებს ჰქონდა. ამის დამადასტურებელია ერთგვარი პარადოქსული მოვლენა: სამეურნეო თვალსაზრისით პრიმიტიულ ტომებს ხშირად რთული სოციალური ორგანიზაცია, ჩვეულებების, რწმენისა და მითების განვითარებული სისტემა ჰქონდათ.

თანამედროვე მოდერნიზებულ საზოგადოებაში ადამიანისა და კოლექტივის ორიენტაცია პრაგმატიკის ერთი სახიდან მეორისკენ შეიცვალა. ტრადიციულ კულტურაში ცხოვრების მიზანსა და აზრს ადამიანი რიტუალში ხედავდა. თანამედროვე კულტურაში ორიენტაციის შეცვლა მოხდა პრაქტიკული ღირებულებებისაკენ. დღევანდელი ადამიანი სიმბოლურ ქმედებას სამეურნეო და ეკონომიკური მოღვაწეობის უბრალო დამატებად განიხილავს. თანამედროვე საზოგადოებაში შეიცვალა რიტუალის როლი, და, რაც ყველაზე მთავარია, მისდამი დამოკიდებულება საზოგადოების წევრთა მხრიდან. ამიტომ თანამედროვე საზოგადოებაში რიტუალების შესწავლა ტრადიციული კულტურების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

მაინც რას წარმოადგენს რიტუალი? ჩვეულებრივ, ეს არის სიმბოლური შინაარსის მოქმედებათა სტანდარტიზებული ერთობლიობა, რომელიც ტრადიციით განსაზღვრულ სიტუაციებში სრულდება. რიტუალის შემადგენელი სიტყვები და მოქმედებები ზუსტადაა დადგენილი; ისინი, პრაქტიკულად, არასდროს იცვლება. ტრადიციულად დადგენილი იყო რიტუალების ჩამტარებელთა ვინაობაც. რიტუალის დასრულებისას მის მონაწილეებს ემოციურად ამაღლებული განწყობილებას ჰქონდათ. ყველა რიტუალი ერთგვარად შრომითი სტიმულის მიმცემიც გახლდათ; კრიზისების პერიოდში ისინი განგაშისა და უიმედობის მდგომარეობასაც ხსნიდნენ.

რიტუალები ორ მთავარ კატეგორიად იყოფა: დადებითად და უარყოფითად. ეს უკანასკნელი აკრძალვების სისტემებისაგან შედგება. ტრადიციული საზოგადოების ადამიანთა რწმენით, აკრძალვის, ანუ ტაბუს დარღვევამ შეიძლება არა მარტო უბედურებანი, არამედ სამყაროს ნგრევაც კი გამოიწვიოს. მაგალითად, არ შეიძლებოდა უწმინდური არსება ხელით შეხებოდა წმინდანს, არ შეიძლებოდა ტოტემური ცხოველის ხორცის ჭამა. განსაზღვრული რიტუალები მხოლოდ სპეციალურ წმინდა ადგილებში უნდა ჩატარებულიყო. ზოგიერთი წეს-ჩვეულების ჩატარებისას აკრძალული იყო საკვების მიღება, ანდა ნებისმიერი სამუშაოს შესრულება. დადებითი რიტუალები და წეს-ჩვეულებები, პირიქით, ორი სამყაროს დასაახლოებლად არის მოწოდებული. ამის ნათელ მაგალითად მიაჩნიათ ღვთაების გულის მოსაგებად და სამყაროს სასურველი ერთიანობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ასეთი რიტუალების ძირითადი ამოცანა საგანთა დარღვეული წესრიგის აღდგენა, სამყაროთა შორის მუდმივი კონტაქტის ქონაა.

რიტუალების ძირითადი კლასიფიკაცია დიურკჰეიმმა შემოგვთავაზა. რიტუალებს ყოფენ მაგიურ და რელიგიურ რიტუალებად. მაგია რელიგიისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ღმერთების რწმენა არ გააჩნია; ის ზებუნებრივი ძალების პერსონიფიკაციას არ ახდენს. მაგიური რიტუალები მხოლოდ უშუალო, უახლოეს მიზნებს ემსახურება, ისინი ცალკეული ადამიანების საქმიანობის სფეროს არ სცდება. რაც შეეხება რელიგიურ რიტუალებს, მას მთელი საზოგადოება ასრულებს.

რიტუალებს ყოფენ ფუნქციების მიხედვითაც. მაგალითად შეიძლება კრიზისული რიტუალები დავასახელოთ, რომლებიც ინდივიდის ან ჯგუფის მიერ სრულდება ცხოვრების კრიტიკულ პერიოდებში. მაგალითად, ხანგრძლივი გვალვისას ე. წ. „წვიმის ცეკვა“ სრულდებო-

და – რიტუალების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეიძლება მთელი თემი ამონყვეტილიყო. არსებობდა და დღესაც არსებობს კალენდარული რიტუალებიც, რომლებიც სრულდებოდა ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის დადგომისას (წელინადის დროების ცვლა, მთვარის ფაზები, მოსავლის შემოსვლა და ა. შ.). საზოგადოების განვითარებასთან ერთად რიტუალები ნაწილობრივ სეკულარიზდება, ნაწილობრივ ქრება. დღეისათვის ზამთრის გაცილების რიტუალი არაერთ ხალხშია შემორჩენილი, რომელიც ჩვეულებრივ დღესასწაულად იქცა. ტრადიციულ კულტურებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ხელოვნური დანათესაევების რიტუალები. იგივე შეიძლება ითქვას ნათლობის რიტუალზეც.

რიტუალები კლასიფიცირებული იყო სქესობრივი თვალთახედვითაც. გამოყოფენ მამაკაცთა, ქალთა და შერეულ რიტუალებს. რიტუალები მასში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვითაც განსხვავდებოდა (სხვადასხვა რიტუალებში მონაწილეობდა როგორც დიდი, ისე მცირე ჯგუფები ან სულაც სულ რამდენიმე ადამიანი. მცირე ჯგუფთა რიტუალების მაგალითად მონადირეთა რიტუალი შეიძლება დავასახელოთ). ტრადიციული კულტურისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის რიტუალები, რაც დაბადებიდან გარდაცვალებამდე სხვადასხვა ეთნოსში შეიძლება რამდენჯერმე ჩატარებულიყო. არქაულსა და ტრადიციულ კულტურებში ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხდებოდა ძველი იდენტურობის დაკარგვა და ახლის შეძენა. რიტუალების ამ ჯგუფში აღსანიშნავია ინიციაციის ჩვეულება, რაც ზრდასრული ადამიანის თემის სრულუფლებიან ნევრად გახდომას გულისხმობდა. სხვადასხვა ხალხში ისინი სხვადასხვაგვარად ტარდება და არ იყო ხანმოკლე აქტი, არამედ რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. ძალიან ხშირად ინიციაციის რიტუალები დაკავშირებული იყო ტკივილთან, შიმშილობასთან. „გადასვლის" რიტუალებს მიეკუთვნება დაბადების, დაქორწინების, სიბერის დადგომის, გარდაცვალების რიტუალები. „გადასვლის" რიტუალები თანამედროვე საზოგადოებებშიც არის შენარჩუნებული, თუმცა საკმაოდ სახეცვლილი ფორმით (დიპლომის გადაცემა, ქორწინების გაფორმება და სხვ.). თანამედროვე რიტუალები უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, სიმბოლიზაციაც ასევე შედარებით ნაკლებად პირდაპირი და უშუალოა.

ტრადიციული საზოგადოების თანამედროვე საზოგადოებისაგან ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი რიტუალების როლის შემცირება და სიმბოლური მოქმედებების მნიშვნელობის შესუსტებაა. თანამედროვე საზოგადოებისაგან განსხვავებით, ტრადიციულ საზოგადოებაში (კულტურაში) რიტუალი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რიტუალი თვით ცხოვრებაა და არა ხელოვნური კონსტრუქცია. ტრადიციულ კულტურაში რიტუალი ყველა ნიშნიერ საშუალებას იყენებს, ესენია: ენა, ჟესტი, მიმიკა, პანტომიმა, ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, ფერი. ის ყოფიერების მაღალ ღირებულებებთან თანამონაწილეობის ეფექტს ახდენდა. მნიშვნელოვანი იყო რიტუალის ემოციური მხარეც, რომელიც ხსნიდა დაძაბულობას, ანეიტრალებდა აგრესიას, აკავშირებდა რიტუალის მონაწილეებს, საშუალებას აძლევდა მათ თავი ერთ მთლიანობად ეგრძნოთ განსაცდელის ნინ. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ

ჯგუფის თითოეული წევრი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში თამაშობდა რიტუალური სცენარით განკუთვნილ როლს, პირად პასუხისმგებლობას გრძნობდა საზოგადოებაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

§4. ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაციის პრობლემა. XX-XXI საუკუნეების მიჯნის სიტუაცია რთული ეთნოკულტურული მდგომარეობით გამოირჩეოდა და გამოირჩევა. თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო აშკარად შეიმჩნევა ტრადიციული და თანამედროვე მოდერნიზებული კულტურების (საზოგადოებების) ურთიერთდაპირისპირება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს საკითხი თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური პრობლემაა. აღნიშნული დაპირისპირების დალი აზის კულტურულ-ისტორიული პროცესების მსვლელობას. „თანამედროვესა" და „ტრადიციულის" დაპირისპირება ჯერ კიდევ კოლონიური სისტემის რღვევისას და პოლიტიკურ რუკაზე ახალი ქვეყნების წარმოქმნისთანავე დაიწყო, რაც ამ უკანასკნელთა თანამედროვე სამყაროსა და ცივილიზაციაში ადაპტირებით იყო გამოწვეული. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ტრადიციული საზოგადოებების ძალადობრივი მოდერნიზაცია ჯერ კიდევ ადრე, კოლონიურ ეპოქაში დაიწყო, როდესაც განათლებული ევროპელები ანადგურებდნენ არა მხოლოდ თვით არქაული და ტრადიციული კულტურების მქონე ეთნოსებს, არამედ ებრძოდნენ და სპობდნენ მათ ტრადიციებს, ეთნიკურ კულტურას, რწმენა-წარმოდგენებს, რადგან მიაჩნდათ, რომ ამ ხალხების პროგრესული განვითარებისათვის ისინი ხელისშემშლელი იყო. მიიჩნევდნენ, რომ არქაული და ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაცია და ამ პროცესის დაჩქარება აუცილებელი იყო და ის თვით ამ ხალხების ინტერესებში შედიოდა. მოდერნიზაცია გარდაუვალი იყო და მისი დაჩქარებით გასავლელი გზა გარედან თავს მოხვეული მოდელებით ტრადიციული ხალხებისათვის შემსუბუქების საშუალება იქნებოდა.

ძალადობრივმა „მოდერნიზაციამ" კი მრავალი კულტურის მოსპობა გამოინვია. მოდერნიზებული საზოგადოებების წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ ეს არ იყო სწორი გზა და შეუდგნენ მოდერნიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიების შექმნას, რასაც შემდეგ პრაქტიკულად განახორციელებდნენ. თუმცა გასული საუკუნის შუა ხანებში ანთროპოლოგთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ უარი უნდა ეთქვათ კულტურის უნივერსალურობის კონცეფციაზე. კერძოდ, ამერიკელ ანთროპოლოგთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც მ. ჰერსკოვიცი მეთაურობდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მოამზადა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა იმას, რომ თითოეული კულტურა სტანდარტებისა და ფასეულობების განსაკუთრებულობით ხასიათდება და ამიტომ თითოეულ ადამიანსა და ადამიანთა ჯგუფებს უფლება აქვთ იცხოვრონ თავისუფლების იმ გაგების შესაბამისად, რომელიც ამ საზოგადოებაშია მიღებული. მაგრამ ტრადიციული საზოგადოებისთვის სამწუხაროდ გაიმარჯვა უნივერსალისტურმა თვალსაზრისმა, რომელიც ევოლუციური მიდგომიდან გამომდინარეობდა. ეს ევოლუციური პარადიგმა დაედო საფუძვლად მოდერნიზაციის იმჟამად წარ-

მოშობილ თეორიებს და დღეს ამ დეკლარაციაში ჩაწერილია, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაოა საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის მათი ტრადიციების სპეციფიკურობის მიუხედავად. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ დეკლარაციაში ჩაწერილი ადამიანის უფლებები წარმოადგენს პოსტულატებს, რომელიც ევროპული კულტურის მიხედვით არის ჩამოყალიბებული. მაშინდელი შეხედულებების თანახმად, ყველა ტრადიციული კულტურის მიმდევარი ხალხი თანამედროვე საზოგადოებაზე უნდა გადასულიყო; ეს კი მხოლოდ მოდერნიზაციის საშუალებით იყო შესაძლებელი. ტერმინი „მოდერნიზაცია" დღეს რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება. ამიტომ საჭიროა მათი დაზუსტება.

უპირველეს ყოვლისა, მოდერნიზაციაში იგულისხმება საზოგადოებაში პროგრესულ ცვლილებათა მთელი კომპლექსი. ის ცნება „თანამედროვეობის" სინონიმია და ითვალისწინებს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ კომპლექსთა ტრანსფორმაციას, რაც დასავლეთში XVI საუკუნიდან მიმდინარეობს და რომელმაც თავის აპოგეას ახლა მიაღწია. მოდერნიზაცია ითვალისწინებს ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, რაციონალიზაციის, ბიუროკრატიზაციის, დემოკრატიზაციის პროცესებს, კაპიტალიზმის დომინირებულ გავლენას, ინდივიდუალიზმისა და წარმატების მოტივაციის გავრცელებას, გონებისა და მეცნიერების განმტკიცებას. მეორე შეხედულებით, მოდერნიზაცია ეს არის ტრადიციული, ტექნოლოგიამდელი საზოგადოებების გადაქცევა მანქანური ტექნოლოგიის, რაციონალური და სეკულარული ურთიერთობების, მაღალ დონეზე დიფერენცირებული სოციალური სტრუქტურების საზოგადოებებად. მესამე თვალსაზრისით, მოდერნიზაციაში იგულისხმება ჩამორჩენილი ან სუსტად განვითარებული ქვეყნების ძალისხმევა, რომელსაც ისინი იჩენენ განვითარებული ქვეყნების დასანევად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად მოდერნიზაციას განიხილავენ როგორც რთულსა და ნინააღმდეგობრივ სოციოკულტურულ პროცესს, რომლის მსვლელობისას ყალიბდება თანამედროვე საზოგადოების ინსტიტუტები და სტრუქტურები.

აღნიშნული პროცესის მეცნიერული გააზრების შედეგად მოდერნიზაციის მთელი რიგი კონცეფციები ჩამოყალიბდა, რომლებიც თავისი შემადგენლობითა და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდება და, ბუნებრივია, ისინი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ყველა კონცეფცია ცდილობს ახსნას ტრადიციული საზოგადოებიდან თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლის მექანიზმი, კანონზომიერება; თუმცა არ კმაყოფილდება თანამედროვეობით და პოსტთანამედროვე ეპოქასაც მიაპყრობს მზერას. ასე წარმოიშვა ინდუსტრიული საზოგადოების თეორია (კ. მარქსი, ო. კონტი, გ. სპენსერი), ფორმალური რაციონალიზმის კონცეფცია (მ. ვებერი), მექანიკური და ორგანული მოდერნიზაციის თეორია (ე. დიურკჰეიმი), საზოგადოების ფორმალური თეორია (გ. ზიმელი), რომლებიც განსხვავდება თავიანთი თეორიული და მეთოდოლოგიური მიზანდასახულობებით, თუმცა მოდერნიზაციის ნეოევოლუციონისტურ შეფასებებში ერთიანია, რომელთა მიხედვითაც:

საზოგადოებაში ცვლილებები ცალსახაა (ერთხაზოვანია) და, შესაბამისად, ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა განვითარებული ქვეყნების გზა უნდა გაიარონ;

1. ეს ცვლილებები შეუქცევადია და მისი ბოლო გარდაუვალ ფინალამდე – მოდერნიზაციამდე მისვლაა;

2. ცვლილებებს აქვს თანდათანობითი, დამაბოლოვებელი და მშვიდობიანი ხასიათი;

3. ამ პროცესის ყველა სტადია უცილობლად გასავლელია;

4. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მოძრაობის შინაგან წყაროებს;

5. მოდერნიზაცია გაუმჯობესებს ამ ქვეყნების ცხოვრებას.

გარდა ამისა, აღიარებულ იქნა, რომ მოდერნიზაციის პროცესები უნდა იწყებოდეს და კონტროლირდებოდეს „ზემოდან" ინტელექტუალური ელიტის მიერ. არსებითად ეს სხვა არაფერია თუ არა დასავლური საზოგადოების შეგნებული კოპირება.

მოდერნიზაციის ყველა თეორიის თანახმად, მოდერნიზაცია სპონტანური პროცესია და თუ ხელის შემშლელ ბარიერებს მაქსიმალურად შევამცირებთ ან საერთოდ მოვსპობთ, ყველაფერი წესისამებრ წარიმართება. იმასაც ვარაუდობდნენ, რომ საკმარისია ტრადიციული საზოგადოებების (კულტურების) მქონე ხალხებს უჩვენონ დასავლური ცივილიზაციის უპირატესობა, თუნდაც ტელევიზიით, რომ მაშინვე ყველას ასეთივე ცხოვრების სურვილი გაუჩნდეს, მაგრამ ეს „მშვენიერი" თეორიები სინამდვილემ უკუაგდო. ბევრი ტრადიციული საზოგადოებისათვის დასავლური ცხოვრების წესი, ანუ მოდერნიზებული საზოგადოება მიუღებელი აღმოჩნდა, თეორიების მშვენიერების მიუხედავად. დასავლური ცხოვრების წესის ახლოს გაცნობამ ტრადიციული საზოგადოებები სრულიადაც არ მოხიბლა და არც ერთი მათგანი არ შეეცადა მისთვის მიებაძა. მათ კი, რომლებმაც ეს გზა აირჩიეს, მალე უარი თქვეს მოდერნიზაციაზე, რადგან მათ ცხოვრებაში თავი იჩინა ისეთმა უარყოფითმა მოვლენებმა, როგორებიცაა:, სიღარიბე, სოციალური დეზორგანიზაცია, სხვადასხვა სახის დანაშაული და ანომია (ეს უკანასკნელი კი იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი და სხვა ნორმები ვეღარ განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას). უკანასკნელი რამდენიმე ათნლეულის მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ტრადიციულ საზოგადოებებში ყველაფერი არცთუ ისე ცუდადაა და ისინი ეთვისებიან სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებს. ტრადიციულობისა და მოდერნიზაციის შეთანაწყობის არსებობის მაგალითებს იძლევა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: იაპონია, სამხრეთ კორეა. დღეისათვის ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზების გზაზე დგას ჩინეთი ისე, რომ ის უარს არ ამბობს ჩინურ ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე, რიტუალებზე. ამრიგად, პრაქტიკით მტკიცდება ტრადიციული კულტურებისა და თანამედროვეობის შეთავსებადობა. ეს პრობლემები აწუხებს დღევანდელ საქართველოსაც. აშკარა საფრთხე ემუქრება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქართულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, მენტალობას, მოკლედ რომ ვთქვათ, ქართულ ეთნიკურ კულტურას. ბევრი სხვა ხალხისაგან განსხვავებით, ქართული საზოგადოება, ფაქტობრივად, მოდერნიზებული იყო ტრადიციულობის შენარჩუნებით.

მიუხედავად საბჭოთა იმპერიაში ხანგრძლივად ყოფნისა ქართველთათვის მთლად უცხო არ იყო ევროპული (დასავლური) ცხოვრების წესი, მენტალობა. ახალი ეპოქისათვის მიუღებელ ზოგიერთ ტრადიციულ მოვლენაზე ქართველმა ხალხმა თავად თქვა უარი, თუმცა კულტურის ძალიან ბევრი ელემენტი მან შეინარჩუნა და შეუთავსა თანამედროვეობას; შექმნა დასავლური სტანდარტების დონის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები, არც მეცნიერული ნარმატებები იყო უცხო. კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე ყველა ხალხი სნორედ ეთნიკური კულტურის თავისებურებით ხასიათდებოდა. ქართული საზოგადოებისათვის ნიველირება, რასაც ახლა გვთავაზობენ, უცხო იყო. რუსეთის საბჭოთა იმპერიას ხანდახან ჰქონდა მცდელობა ქართული სულიერების, კულტურის, მენტალობის გაქრობისა, მაგრამ თავისთავადი ქართული ეთნიკური კულტურის გაქრობა, საბჭოთა სისტემაში რუსულ ყაიდაზე მოდერნიზებისა შეუძლებელი იყო. ქართულ საზოგადოებას ცვლილებები ნამდვილად სჭირდება, მაგრამ არა იმ თვალსაზრისით, როგორც გვთავაზობენ. ქართველები სამოდერნიზაციო ხალხების იმ რიგში შეიყვანეს, რომელშიც უდამწერლობო ეთნოსებია შეყვანილი.

იაპონიის, სამხრეთ კორეის და სხვა სახელმწიფოების მაგალითი გვიჩვენებს, რომ დასავლეთზე მყარი ორიენტაცია კულტურის განვითარების ერთადერთი გზა არ არის. აღნიშნული ქვეყნების ისტორიულმა გამოცდილებამ მსოფლიოს განვითარების ერთხაზოვნება ეჭვქვეშ დააყენა. გაირკვა, რომ ტრადიციული საზოგადოებების (კულტურების) დასავლურ ყაიდაზე მოდერნიზება განვითარების ერთადერთი ქეშმარიტი გზა არ არის. ამის გამო მოდერნიზაციის ახალი თეორიები გაჩნდა, რითაც ეთნოკულტურული პროცესების ანალიზის ცივილიზაციური მიდგომა ააღორძინეს.

ამ პრობლემების შესწავლით არაერთი მეცნიერია დაინტერესებული, რომელთაგანაც, პირველ რიგში, ს. პანტიგტონი შეიძლება დასახელდეს, რომელმაც მოდერნიზაციის ცხრა უმთავრესი მახასიათებელი შემოგვთავაზა:

1. მოდერნიზაცია – რევოლუციური პროცესია, ვინაიდან ის ცვლილებების კარდინალურობას, ყველა ინსტიტუტის, სისტემის, საზოგადოების სტრუქტურებისა და ადამიანის ცხოვრების რადიკალურ ცვლილებებს გულისხმობს;

2. მოდერნიზაცია – კომპლექსური პროცესია, ვინაიდან ის საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ერთ ასპექტამდე კი არ დაიყვანება, არამედ საზოგადოებას მოიცავს მთლიანად;

3. მოდერნიზაცია – სისტემური პროცესია, ვინაიდან ერთი რომელიმე ფაქტორის ან სისტემის ფრაგმენტის ცვლილება ინვევს ცვლილებას სისტემის სხვა ელემენტებშიც, რაც მთლიანობაში ერთიან სისტემურ გადატრიალებას, ცვლილებას ინვევს;

4. მოდერნიზაცია – გლობალური პროცესია, რადგანაც ევროპიდან ფეხადგმულმა მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა, რომლებიც ან უკვე თანამედროვენი (მოდერნიზებულნი) გახდნენ, ან ცვლილებების პროცესში იმყოფებიან;

5. მოდერნიზაცია – ხანგრძლივი პროცესია. ცვლილებათა პროცესი საკმაოდ დიდი პერიოდს მოიცავს, მისი გატარებისათვის რამდენიმე თაობაა საჭირო;

6. მოდერნიზაცია – საფეხურებრივი პროცესია და ყველა საზოგადოებამ ერთი და იგივე სტადიები უნდა გაიაროს;

7. მოდერნიზაცია – ჰომოგენური პროცესია, რადგანაც ყველა ტრადიციული საზოგადოება სხვასასხვაგვარია, თანამედროვენი კი თავიანთი სტრუქტურებითა და გამოვლინებებით ძირითადად ერთგვაროვანია;

8. მოდერნიზაცია – შეუქცევადი პროცესია; პროცესის მსვლელობისას შესაძლებელია შეფერხებები, ნანილობრივი გადახვევები, მაგრამ დაწყებული პროცესი არ შეიძლება ნარუმატებლად დამთავრდეს;

9. მოდერნიზაცია – პროგრესული პროცესია, მაგრამ ამ გზაზე ხალხმა შეიძლება უამრავი უბედურება და ტანჯვა გამოიაროს, საბოლოოდ კი ყველაფერი ანაზღაურდება, რადგან მოდერნიზებულ საზოგადოებაში ადამიანის კულტურული და მატერიალური კეთილდღეობა განუსაზღვრელად მაღალია.

მოდერნიზაცია ცვლილებათა რადენიმე მიმართულებას მოიცავს. ისტორიულ ასპექტში ის ვესტერნიზაციის, ანუ ამერიკანიზაციის სინონიმია, სისტემათა იმ ტიპისაკენ მოძრაობაა, რომელიც დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა. სტრუქტურული ასპექტით ეს არის ახალი ტექნოლოგიების ძიება, ტრადიციული სოფლის მეურნეობიდან კომერციული სოფლის მეურნეობისაკენ მოძრაობა, ცხოველთა და ადამიანთა კუნთების ძალის, როგორც ძირითადი ენერგიის წყაროს შეცვლა თანამედროვე მანქანებითა და მექანიზმებით, ქალაქების მოფენა და სამუშაო ძალის სივრცობრივი კონცენტრაცია. პოლიტიკურ სფეროში – ტომის ბელადის, ნინამძღოლის ავტორიტეტიდან დემოკრატიისაკენ გადასვლა, განათლების სფეროში – უნიგნურობის ლიკვიდაცია და ცოდნის ღირებულებების ზრდა, რელიგიურ სფეროში – ეკლესიის გავლენისაგან გათავისუფლება; ფსიქოლოგიურ ასპექტში – ესაა თანამედროვე პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც ტრადიციული ავტორიტეტებისაგან დამოუკიდებლობასა და გათავისუფლებას გულისხმობს; ის გულისხმობს საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ყურადღებას, ახალი გამოცდილების შეძენის, შეთვისების უნარს, მეცნიერებისა და გონის რწმენას, მომავლისაკენ სწრაფვას, საგანმანათლებლო, კულტურულ და პროფესიულ მიდრეკილებათა მაღალ დონეს.

მოდერნიზაციის კონცეფციის ცალმხრივობა და თეორიული ნაკლოვანებები საკმაოდ მალე შეამჩნიეს. გააკრიტიკეს მისი პრინციპული დებულებები.

აღნიშნული კონცეფციის მოწინააღმდეგეები აღნიშნავდნენ, რომ ცნებები „ტრადიცია“ და „თანამედროვეობა“ ასიმეტრიულია და არ შეიძლება დიქოტომიურნი იყვნენ ერთმანეთის მიმართ. თანამედროვე საზოგადოება იდეალია, ტრადიციული კი წინააღმდეგობრივი რეალობაა; ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებია. ერთგვაროვანი ტრადიციული საზოგადოებები საერთოდ არ არსებობს, მათ შორის ძა-

ლიან დიდი განსხვავებაა, ამიტომაც არ არის და არც შეიძლება არსებობდეს მოდერნიზაციის უნივერსალური რეცეპტები. ამ კონცეფციისა და შეხედულების ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ მცდარი და მიუღებელია ტრადიციული საზოგადოებების აბსოლუტურად სტატიკურ მდგომარეობაში და უმოძრაოდ წარმოდგენა. ეს საზოგადოებებიც ვითარდება და მოდერნიზაციისაკენ მიმართული ძალადობრივი ღონისძიებები ორგანულ და ბუნებრივ განვითარებასთან კონფლიქტში აღმოჩნდება.

ცხადი არ იყო რა შინაარსი იდო ცნება „თანამედროვე საზოგადოებაში". ამ კატეგორიაში უცილობლად ხვდებოდნენ თანამედროვე დასავლეთის ქვეყნები, მაგრამ რა უნდა ექნათ იაპონიისა და სამხრეთ კორეისათვის? ბუნებრივად გაჩნდა კითხვა: შეიძლება თუ არა გვესაუბრა თანამედროვე არადასავლურ ქვეყნებზე და მათ დასავლეთისაგან განსხვავებულობაზე?

კრიტიკის ობიექტად იქცა თეზისი იმის შესახებ, რომ ტრადიცია და თანამედროვეობა გამორიცხავს ერთმანეთს. სინამდვილეში ნებისმიერი საზოგადოება ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების ნაერთს წარმოადგენს და ტრადიციები სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მოდერნიზაციას, გარკვეულწილად ხელსაც კი უწყობს მას. განსხვავებული შეხედულებების ავტორები იმასაც კი აღნიშნავენ, რომ მოდერნიზაციის ყველა შედეგი სიკეთის მომტანი არ არის; ის სისტემატური ხასიათის სრულიადაც არ არის; ეკონომიკური მოდერნიზაცია შეიძლება პოლიტიკის გარეშე განხორციელდეს და მოდერნიზაციული პროცესები შეიძლება წაღმაც იყოს მიმართული.

XX საუკუნის 70-იან წლებში მოდერნიზაციის თეორიის მონინააღმდეეგებმა ახალი, დამატებითი არგუმენტები წამოაყენეს. მათ შორის არსებითი იყო საყვედური ეთნოცენტრიზმის შესახებ. იმის გამო, რომ სანიმუშო და მისაბაძ მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატები ისახებოდა, მოდერნიზაციის თეორიები განიმარტებოდა, როგორც ამერიკის ინტელექტუალური ელიტის მცდელობა გაეაზრებინა (და გაეზიარებინა) ამერიკის შეერთებული შტატების ზესახელმწიფოებრიობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

მოდერნიზაციის ძირითადი თეორიებისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ბუნებრივად გამოიწვია თვით ტერმინ „მოდერნიზაციის" დიფერენციაცია. მკვლევარებმა დაიწყეს ერთმანეთისაგან პირველადი და მეორადი მოდერნიზაციების განსხვავება.

პირველადი მოდერნიზაცია, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც თეორიული კონსტრუქცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვაგვარ სოციოკულტურულ ცვლილებებს. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ცალკეულ ქვეყნებში ის ინდუსტრიალიზაციისა და კაპიტალიზმის წარმოქმნის თანამდევი მოვლენა იყო. პირველად მოდერნიზაციას უკავშირებენ უწინდელი, უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობითი ტრადიციებისა და ცხოვრების ტრადიციული ყაიდის ნგრევას, თანაბარი სამოქალაქო უფლებების გამოცხადებას, დემოკრატიის დამკვიდრებას.

პირველადი მოდერნიზაციის ძირითადი იდეა იმაშია, რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესი და კაპიტალიზმის განვითარება ნინაპირობად და ძირითად, უმთავრეს საფუძვლად ადამიანის ინდივიდუალურ

თავისუფლებასა და ავტონომიას, მისი უფლებების გაფართოებას მიიჩნევს. არსებითად ეს იდეა ემთხვევა ჯერ კიდევ ფრანგი განმანათლებლების მიერ ჩამოყალიბებულ ინდივიდუალიზმის პრინციპს.

მეორადი მოდერნიზაცია განვითარებად ქვეყნებში („მესამე სამყაროს" ქვეყნებში) მიმდინარე სოციოკულტურულ ცვლილებებს მოიცავს, რომლებიც მაღალგანვითარებული ქვეყნების ცივილიზებულ გარემოცვაში იმყოფება და ამდენად მათ მაგალითად სოციალური ორგანიზაციისა და კულტურის უკვე ჩამოყალიბებული ნიმუშები აქვთ.

ბოლო პერიოდში მოდერნიზაციის პროცესის განხილვისას განსაკუთრებულ ინტერესს ინვევს ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და დიქტატურისაგან გათავისუფლებული ქვეყნების მოდერნიზაცია. ამის გამო, ზოგიერთმა მკვლევარმა „მესამეული *მოდერნიზაციის*" ცნებაც კი შემოგვთავაზა. ამ ცნებით აღნიშნავენ ინდუსტრიულად საშუალოდ განვითარებული ქვეყნების თანამედროვეობისაკენ გადასვლას. მიიჩნეევენ, რომ ამ ქვეყნებს შენარჩუნებული აქვთ ძველი პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემების ბევრი ნიშანი, რაც ამუხრუჭებს საზოგადოების გარდაქმნის პროცესს. ამავე დროს განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში დაგროვილმა ცვლილებებმა ახალი თეორიული გააზრება მოითხოვა, რის შედეგადაც წარმოიშვა პოსტინდუსტრიული, სუპერინდუსტრიული, ინფორმაციული, „ტექნოტრონული", „კიბერნეტიკული" საზოგადოებების თეორიები (ო. ტოფლერი, დ. ბელი, რ. დარენდორფი, ი. ჰაბერმასი, ე. გუდენსი და სხვ.). ამ კონცეფციათა ძირითადი დებულებები მეცნიერთა მიერ შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

პოსტინდუსტრიული (ანუ ინფორმაციული) საზოგადოება ცვლის ინდუსტრიულს, რომელშიც გაბატონებულია სამრეწველო (ეკოლოგიური) სფერო. პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი, ნიშანდობლივი თავისებურება სამეცნიერო ცოდნის ზრდაა. მას ახასიათებს აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრის გადანაცვლება ეკონომიკის სფეროდან მეცნიერების სფეროში, პირველ რიგში, სამეცნიერო ორგანიზაციებში (უნივერსიტეტებში). პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში საკვანძო ფაქტორებად არა კაპიტალი და მატერიალური რესურსები, არამედ ინფორმაცია და მონინავე ტექნოლოგიები გვევლინება. საზოგადოების ძველებური, კლასობრივი დაყოფა საკუთრების მფლობელებად და არამფლობელებად, რაც ინდუსტრიული საზოგადოების სოციალური სტრუქტურისათვის იყო დამახასიათებელი, იცვლება სტრატიფიკაციის სხვა ტიპით, სადაც მთავარი მაჩვენებელია საზოგადოების დაყოფა ინფორმაციის მფლობელებად და არამფლობელებად. წარმოიშობა „სიმბოლური კაპიტალისა" (პ. ბურდიე) და კულტურული იდენტობის კონცეფციები, რომლებშიც კლასობრივი სტრუქტურა იცვლება ღირებულებითი ორიენტაციებითა და საგანმანათლებლო ორიენტაციით განპირობებული სტატუსური იერარქიით.

ძველი, ეკონომიკური ელიტის ადგილს იკავებს ახალი, ინტელექტუალური ელიტა – პროფესიონალები, რომლებიც ფლობენ ცოდნას, ტექნოლოგიებს, არიან კომპეტენტურნი. საგანმანათლებლო ცენზი და პროფესიონალიზმი, წარმომავლობისა და მატერიალური მდგომარეო-

ბის ნაცვლად ის ძირითადი კრიტერიუმებია, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ხელისუფლებაში მოსვლა და სოციალური პრივილეგიების მიღება. ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კონფლიქტი – კლასებს შორის დაპირისპირება იცვლება კონფლიქტით პროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობას შორის, ინტელექტუალურ უმცირესობასა (ელიტასა) და არაკომპეტენტურ უმრავლესობას შორის.

ამგვარად, თანამედროვე ეპოქა არის მეცნიერებისა და ტექნიკის, საგანმანათლებლო სისტემებისა და მასობრივი ინფორმაციის ბატონობის ეპოქა. შესაბამისად, ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაციის კონცეფციებში შეიცვალა საკვანძო დებულებები:

1. მოდერნიზაციის პროცესების მამოძრავებელ ძალად განიხილავენ არა პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას, არამედ თვით ფართო მასებს, რომლებიც აქტიურ მოქმედებას ქარიზმატული ლიდერის გამოჩენის შემთხვევაში იწყებენ. ქარიზმატულ ლიდერს შეუძლია მასების აყოლიება;

2. ასეთ შემთხვევაში მოდერნიზაციის საკითხს წყვეტს არა ელიტა, არამედ მოქალაქეთა მასობრივი სწრაფვა. მიიჩნევენ, რომ სწორედ მოქალაქეთა მასობრივი სწრაფვა ცვლის ცხოვრების არსებულ წესს დასავლური სტანდარტებით, რისთვისაც იყენებს მასობრივ კომუნიკაციებსა და პირად კონტაქტებს;

3. დღეისათვის აქცენტი გადატანილია მოდერნიზაციის არა შიდა, არამედ გარე ფაქტორებზე. ესენია: ძალთა მსოფლიო გეოპოლიტიკური განლაგება, საგარეო ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო ბაზრების გახსნილობა, დამარწმუნებელი იდეოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობა;

4. თანამედროვეობის ერთიანი უნივერსალური მოდელის ნაცვლად, რომლის ნიმუშად ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩნევდნენ, გაჩნდა თანამედროვეობის მოძრავი ცენტრებისა და სანიმუშო საზოგადოებების იდეა. ნიმუშად კი არა დასავლეთი, არამედ იაპონია და „აზიური ვეფხვებიც" მიიჩნევა;

5. ახლა უკვე ნათელია, რომ არ შეიძლება არსებობდეს მოდერნიზაციის ერთი, უნივერსალური, უნიფიცირებული პროცესი, მისი რიტმი და შედეგები სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იქნება;

6. მოდერნიზაციის თანამედროვე სურათი ბევრად უფრო ნაკლებად ოპტიმისტურია, ვიდრე უწინდელი – ყველაფერი არ არის მიღწევადი და შესაძლებელი, ყველაფერი არ არის დამოკიდებული უბრალო პოლიტიკურ ნებაზე; უკვე აღიარებულია, რომ მთელი მსოფლიო არასოდეს იცხოვრებს ისე, როგორც ცხოვრობს თანამედროვე დასავლეთი, ამიტომაც თანამედროვე თეორიები დიდ ყურადღებას უთმობს უკან დახევებს, გადახვევებს, ჩავარდნებს;

7. დღეს მოდერნიზაცია ფასდება არა მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე უმთავრესად მიიჩნეოდა, არამედ ფასეულობებით, კულტურული კოდებით;

8. შემოთავაზებულია ადგილობრივი ტრადიციების გამოყენება;

9. დღეს დასავლეთში ძირითადი იდეოლოგიური კლიმატი, ესაა პროგრესის იდეაზე უარის თქმა, რაც ევოლუციონიზმის მთავარი იდეა იყო. გაბატონებულია პოსტმოდერნიზმის იდეა, რის შედეგადაც დაიმსხვრა თვით მოდერნიზაციის თეორიის კონცეპტუალური საფუძველი.

ამრიგად, დღეს მოდერნიზაცია განიხილება, როგორც ისტორიულად შეზღუდული პროცესი, რომელიც აკანონებს თანამედროვეობის ინსტიტუტებსა და ფასეულობებს: დემოკრატიას, ბაზარს, განათლებას, გონივრულ ადმინისტრირებას, თვითდისციპლინას, შრომით ეთიკას.

ტრადიციისა და თანამედროვეობის პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დგას ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. ბუნებრივია, სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა რეჟიმმა და ორსაუკუნოვანმა კოლონიურმა უღელმა თავისი დაღი დაასვა ქართულ საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, ქართული საზოგადოება შეძლებისდაგვარად თითქმის მუდმივად მოდერნიზებული ხდებოდა, ისრუტავდა დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის ელემენტებს – ეს მისწრაფება დასავლეთისაკენ კი ქართულ საზოგადოებას თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ჰქონდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველებმა 326 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს. თუმცა ქართველთა ტრადიციულ ყოფაზე, მენტალობაზე გარკვეულ გავლენას აღმოსავლეთიც ახდენდა, რადგან მუდმივად მის მტრულ გარემოცვაში ვიყავით. პოსტსაბჭოთა პერიოდში ცხოვრებამ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა საქართველოს გათანამედროვეობის საკითხი. მართალია, დღეისათვის დასავლურ მეცნიერებაში მოდერნიზაციის სხვა კონცეფციები იკიდებს ფეხს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში საქართველოში მისი შერეული ვარიანტი ხორციელდება. ზემოთაც აღნიშნული იყო, რომ სრულიად შესაძლებელია მოდერნიზაცია ტრადიციების შენარჩუნებით (სხვათა შორის, ამ ტრადიციებს კომუნისტებიც ებრძოდნენ, რადგან ისინი ქართული მენტალობის ორიგინალობის გამომხატველი იყო). იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა სწორედ იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა შეეხამოს ერთმანეთს ტრადიცია და მოდერნიზაცია, ისინი ერთმანეთის გამომრიცხველი ცნებები არ არის, მათი თანაარსებობა შესაძლებელია. საქართველოს არ სჭირდებოდა განათლების სფეროში უნიგნურობის ლიკვიდაცია, რადგან აქ ასეთი ადამიანები, ფაქტობრივად, არ არსებობდნენ. რევოლუციურ პროცესს, ალბათ, ევოლუციური აჯობებდა, რადგან ქვეყანა ნაკლებ ტკივილსა და ჭრილობას მიიღებდა. შესაძლებელი იყო მოდერნიზაციის თანმდევი ბევრი ნეგატიური მოვლენის თავიდან აცილება – უბრალოდ საჭირო იყო ქვეყნის ამ თვალსაზრისით მეცნიერულად შესწავლა, რეკომენდაციების მიცემა, იმის ხელახლა კეთება, რაც უკვე გაკეთებული იყო, საჭირო აღარ იყო და საზოგადოებაში ზოგიერთ დაპირისპირებასაც ავიცილებდით. ზემოთ ვნახეთ, რომ მოდერნიზაციის ერთ-ერთი კონცეფციის მიხედვით, საზოგადოება ეკლესიისაგან უნდა გათავისუფლდეს. საკითხავია, რა აქვს ქართულ საზოგადოებას ეკლესიისაგან გასათავისუფლებელი? ქრისტიანული ეკლესია ხომ ზნეობრიობას,

ადამიანურობას, სიკეთის თესვას ქადაგებს. პირიქით, კომუნისტური ათეიზმის შემდეგ ხალხის ეკლესიისაკენ მიბრუნებას მხოლოდ და მხოლოდ დადებითი შედეგი ჰქონდა. ალბათ, ამ თეზისის შედეგია, რომ დღეს ზოგიერთი ეკლესიის, მართლმადიდებლობის სანინააღმდეგოს ქადაგებს. ამის შედეგი იყო, როგორც ჩანს, ბათუმში მშენებარე ეკლესიის დანგრევა. ასეთი ღონისძიებები მოდერნიზაციის გზაზე შემდგარ ქართველ ხალხს მხოლოდ უარყოფით დაღს ასვამს, საზოგადოებას აპირისპირებს.

ქართული საზოგადოების დასავლურ სტანდარტებთან მისაახლოებლად საჭიროა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომ მოდერნიზაციის პროცესი რაც შეიძლება უმტკივნეულო იყოს. ამისათვის კი აუცილებელია საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული და თაობიდან თაობაზე გადაცემული ტრადიციების შენარჩუნება. მაგალითად, რატომ უნდა უშლიდეს ხელს მოდერნიზაციას საგვარეულო თავყრილობები სასოფლო სალოცავებში. ამით ხომ ადამიანების გარკვეული ჯგუფი ნათესაურ ურთიერთობებს ინარჩუნებს. ტრადიცია ეთნიკურობის გამომხატველი იყო და არის. ამიტომ ბევრი მათგანის შენარჩუნება ხალხებს ეთნიკურ თავისთავადობას შეუნარჩუნებს. მოდერნიზებული დასავლეთის საზოგადოებათა წარმომადგენლებს ხომ ძალიან მოსწონთ ქართული სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულება. რას მისცემს ამ წეს-ჩვეულების საერთოდ გაქრობა საზოგადოებას? არაფერს. ქართველები ერთმნიშვნელოვან ეთნიკურ ნიშანს დავკარგავთ.

ვფიქრობთ, დაუფიქრებელი მოდერნიზაცია არც ერთი ეთნოსის ინტერესებში არ შედის, მითუმეტეს, მისი ხელოვნურად განხორციელება, ძალით თავს მოხვევა. თანამედროვე მეცნიერული შეხედულებით ხომ მოდერნიზაციის უნივერსალური რეცეპტები არ არსებობს. ცხოვრებაში სწორედ ამ კონცეფციის გატარებაა საჭირო. შეიძლება ვინმემ იკითხოს – სჭირდება კი ქართულ საზოგადოებას მოდერნიზაცია? რა თქმა უნდა, სჭირდება. ჩვენ ხომ ჩვეულებრივი ბუნებრივი განვითარების გზას, გარკვეული მიზეზების გამო, ჩამოვრჩით. უპირველეს ყოვლისა, ქართველ ხალხს სჭირდება სრული დემოკრატია, საბაზრო ურთიერთობები, განათლების მაღალი სტანდარტი (რის დეფიციტსაც არც ადრე განვიცდიდით), მაღალი თვითდისციპლინა, სახელმწიფოებრიობის შეგნება (რაც ორი საუკუნის განმავლობაში ერთგვარად დაიკარგა), კანონმორჩილება და ყოფითი კულტურის ამაღლება.

ვინ უნდა დაეხმაროს პოლიტიკოსებს, ქვეყნის ხელისუფალთ მოდერნიზაციის გზაზე – უცხოელი თუ ქართველი მეცნიერები? უცხოელ მეცნიერთა თეორიებისა და კონცეფციების შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ. ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები კი ყველაზე უკეთ ქართველმა მეცნიერებმა იციან. აწონილ-დაწონილი, მეცნიერულად არგუმენტირებული რეკომენდაციების მიცემა კი ეთნოლოგთა საქმეა. თანამედროვე ეთნოლოგიის პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა ამაშიც მდგომარეობს.

§5. კულტურის ეკოლოგია. ცნება „ეკოლოგია" ნიშნავს მეცნიერებას „გარემოს" შესახებ. როდესაც ეკოლოგიას ახსენებენ, პირველ ყოვლისა, ადამიანები ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოს გულისხმობენ.

თუმცა ადამიანები გარემოცული არიან არა მხოლოდ ფიზიკურ-ბიოლოგიური, არამედ კულტურულ-სოციალური გარემოთიც. ამიტომაც, სრულიად სამართლიანად, ერთმანეთისაგან განარჩევენ ადამიანის ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიასა და კულტურულ-სოციალურ ეკოლოგიას. ეს უკანასკნელი სწავლობს „ეკოლოგიის" ჰუმანიტარულ პრობლემებს. მას „კულტურის ეკოლოგიასაც" უწოდებენ.

„კულტურის ეკოლოგია" შეისწავლის ადამიანის სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს. თანამედროვე კაცობრიობა უფრო დიდ ყურადღებას ფიზიკურ-ბიოლოგიური ეკოლოგიის პრობლემებს აქცევს (რა თქმა უნდა, ეს კაცობრიობის ძალიან დიდი პრობლემაა). არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნული ენებისა და კულტურების გადარჩენის საკითხი, მითუმეტეს, რომ მოდერნიზაცია და გლობალიზაცია ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის საუკუნეების წინ შექმნილ ეთნიკურ კულტურებსაც, განსაკუთრებით საშიშროების წინაშე პატარა ეთნოსები არიან. ტრადიციული ფასეულობების დაკარგვის საფრთხის წინაშე არა მარტო შედარებით პატარა ხალხები, არამედ ის ეთნოსებიც დგანან, რომლებიც რამდენიმე მილიონს ითვლიან. სხვადასხვა ენებისა და ეთნიკური კულტურების დაკარგვა ისეთივე კატასტროფა იქნება კაცობრიობისათვის, როგორც გარემოს დაბინძურება ბიოლოგიური თვალსაზრისით. კაცობრიობამ კულტურული თვალსაზრისით ისედაც მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა საუკუნეების განმავლობაში. კულტურის სფეროში ერთფეროვნების დამყარებით კაცობრიობა გაღარიბდება. ადამიანთა საზოგადოებისათვის მთავარი მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა არ არის. ამიტომაც ყველა კულტურულ მონაპოვარს, რაც კი სხვადასხვა ეთნოსებს შეუქმნიათ, გაფრთხილება სჭირდება. თანამედროვე სამყაროს საერთო-ეროვნული, კულტურულ-ენობრივი ფაქტორი განსაზღვრავს „კულტურის ეკოლოგიის" პრობლემათა კომპლექსს.

ეთნოლოგიის კვლევის სფეროში, ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, კულტურის ეკოლოგიის პრობლემებიც შედის; ის ზრუნავს არა მხოლოდ კულტურის წარმოშობისა და განვითარების საკითხებზე, არამედ მისი გადარჩენის გზების ძიებაზეც.

თემა XXIV

ზოგადსაკაცობრიო მატერიალური კულტურა: წარმოებისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის საკაცობრიო კულტურული მიღწევები

კაცობრიობის პროგრესი, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურ კულტურაზე, წარმოებისა და სიცოცხლისუზრუნველსაყოფად საჭირო საკაცობრიო კულტურულ მიღწევებზე იყო დამოკიდებული. ადამიანთა მიერ შექმნილ მატერიალური კულტურის ნიმუშებს ქვის ხანიდან მოკიდებული დღემდე თუ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ განუსაზღვრელ პროგრესს, ადამიანის დიდ შემოქმედებით უნარს, ბუნებასთან თანაარსებობის შესაძლებლობებს. ეთნოლოგისათვის მატერიალური კულტურის ყველა ნიმუში საგულისხმოა; ეთნოლოგები სწავლობენ და იკვლევენ ყველა ეპოქის ადამიანის მიერ შექმნილ ნივთიერ ისტორიას, რომლებსაც მთელი რიგი ეთნიკური სპეციფიკურობები ახასიათებს. მაგრამ არის მოვლენები, რომლებიც შექმნისთანავე ცდებოდა ეთნიკურ ჩარჩოებს, ვრცელდებოდა ყველა ხალხში და ისინი საერთო-საკაცობრიო კუთვნილებად იქცეოდა. მათ შორის ხშირად ასახელებენ მიწათმოქმედებას თავისი უნიკალური შრომის იარაღებით, მეცხოველეობას, რომელიც ცხოველთა მოშინაურებით დაიწყო, ბორბლის გამოგონებას (სატრანსპორტო საშუალებები), ლითონის გამოდნობას (მელითონეობა), ქაღალდის კეთებას და ა. შ.

ფართო მნიშვნელობით მატერიალური კულტურა ესმით, როგორც ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური საგნების (ნივთების) ერთობლიობა მათ ფუნქციურ ურთიერთკავშირში; ვინრო მნიშვნელობით – ყველა მატერიალური საგანი და მათთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნილებებს. სხვა განმარტებით, მატერიალური კულტურა ესაა უშუალოდ ვიტალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი (ანუ სიცოცხლისუზრუნველსაყოფად საჭირო) კულტურის მატერიალური ფორმები. მატერიალური კულტურა პრაქტიკულად მთლიანად მოიცავს წარმოებისა და სიცოცხლისუზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებს.

მატერიალური კულტურა მჭიდრო კავშირშია როგორც ბუნებრივ პირობებთან, ისე სოციალურ სისტემებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მასში ასახულია როგორც მოცემული ეთნოსის ბინადრობის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ისე მისი საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დონე, პოლიტიკური სტრუქტურა და სხვა კონკრეტული ისტორიული პირობები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მატერიალური კულტურის არაერთ სფეროს, ისევე როგორც სულიერი კულტურისას, საფუძველი

ძველ აღმოსავლეთში ჩაეყარა. ცივილიზაციის ამ კერისათვის ცნობილი იყო სახვნელიც, ბორბალიც, საზიდავი საშუალებაც, სამეთუნეო ჩარხიც, საქსოვი დაზგაც, ბრინჯაოს მეტალურგიაც. მატერიალური კულტურის შემდგომი სრულყოფა, რომელსაც თან ახლდა პროგრესი სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობაში, სამადნო მეურნეობაში, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტში და ა.შ. მიმდინარეობდა როგორც ნინა აზიის რეგიონში, ისე სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში. სამხრეთ ნახევარსფეროს დიდმა ნანილმა იმდროინდელი მატერიალური კულტურის მიღწევების უმეტესობა (მაგალითად, გუთანი) არ მიიღო, რის მიზეზადაც საზოგადოებრივი განვითარების ჩამორჩენილობასა და ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებს ასახელებენ. კოლუმბამდელმა ამერიკამ მატერიალური კულტურის საკუთარი სტანდარტები განავითარა, რაც საკონტინენტთაშორისო კულტურული კონტაქტების არარსებობით იყო განპირობებული. სამყაროს ეს ნანილი არ იცნობდა შესაბამელ (გამნევ) ცხოველებს, გუთანს, ბორბალს, საზიდავს და ა. შ.

ანტიკურ ბერძნულ-რომაულ პერიოდში ხელოსნობის, რეწვის, სამთამადნო საქმის განვითარებას თან ახლდა მატერიალური კულტურის რამდენიმე სფეროში მეცნიერების შეღწევა. შრომითი ჩვევების, ტექნოლოგიებისა და კულტურული ფორმების ზეპირი ტრადიციების გვერდით შეიმჩნევა შესატყვისი ცოდნის წერილობითი ფიქსაცია. ამ პერიოდთანაა დაკავშირებული ცხოვრების საქალაქო წყობის მატერიალურ-ტექნიკური საფუძვლების შემდგომი განვითარება. მატერიალური კულტურის რამდენიმე სფეროში ტრადიციის მონაცვლეობა არაბების ხელში აღმოჩნდა, სხვაგან თავი რომის ევროპულ პროვინციებში მცხოვრებმა ხალხებმა გამოიჩინეს, განსაკუთრებით – კელტურმა ეთნიკურმა არეალმა. ანტიკური პერიოდის ბოლოს განსაკუთრებით დიდ მიღწევებს ჰქონდა ადგილი ჩინეთში, რომელიც მატერიალური კულტურის შედარებით მაღალი დონით გამოირჩეოდა. საკმარისია თუჯის მიღების ტექნოლოგია, ფაიფურის, ქაღალდის გამოგონება დავასახელოთ.

ევროპაში ფეოდალიზმის ეპოქაში (აგრარულ ურთიერთობათა პერიოდში) მიმდინარეობდა მატერიალური კულტურის მემკვიდრეობით მიღებული სხვადასხვაგვარი ტრადიციების სინთეზი. მატერიალური კულტურის ისტორიაში ახალი ეტაპის განვითარება დაკავშირებულია ქალაქების შემდგომ აყვავებასთან, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებასთან. ამ დროს ევროპის კონტინენტზე ნამყვანის როლი ერთი ხალხიდან მეორე ხალხზე გადადიოდა.

კულტურის ადაპტაციას აგრარულ საზოგადოებაში, გარემომცველ ბუნებრივ პირობებთან კულტურის ადაპტაციას მნიშვნელოვანი როლი ეკისრა. მაგალითად, შრომის იარაღების ტიპების გავრცელება ხშირად ნიადაგითა და მცენარეული საფარით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე ეთნიკური მომენტებით, ხალხთა განსახლების არეალებით. საცხოვრებელი სახლების ტიპებიც კლიმატურ პირობებსა და სამშენებლო მასალებზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მცხოერებ სხვადასხვა ეთნოსთა საცხოვრებლის ტიპი არაერთგვაროვანი ეთნიკური ტრადიციებითაც იყო განპირობებული. მაგალითად ასახელებენ უკრაინულ თიხატკეპნილ ხატას

და რუსულ ხის ქოხს აღმოსავლეთ ევროპის სტეპების ზოლში, წინა და ცენტრალური აზიის მომთაბარე ხალხების ქეჩის თეთრ იურტას და ქსოვილის შავ კარავს. აგრეთვე აღსანიშნავია კვება, რომელიც დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე. ერთსა და იმავე პირობებში მცხოვრები ხალხები შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარად იკვებებოდეს. ასეთ შემთხვევაში უფრო დიდი მნიშვნელობა კულინარულ ხელოვნებასა და საზოგადოებრივ ფასეულობებით ორიენტაციას აქვს (ხშირად ადარებენ იაპონურ და ჩინურ კვებით სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავდება).

ევროპაში ხელოსნობის, ვაჭრობისა და საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარების შედეგად მატერიალური კულტურის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელშიც ნამყვანი როლი უფრო მეტად ევროპის სხვადასხვა ხალხებს ჰქონდათ, უფრო გვიან კი – ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს. ამ ეპოქისათვის ნიშანდობლივია ტრადიციული მატერიალური კულტურის ზოგიერთი სფეროს გაქრობის ტენდენცია. ინდუსტრიულმა ეპოქამ მატერიალური კულტურის ბევრი ტრადიციული კომპონენტი ერთგვარად შეცვალა. ცვლილება განსაკუთრებით დაეტყო ტანსაცმელს, შედარებით ნაკლებად – საცხოვრებელს, საჭმელი კი თითქმის ყველგან დღემდე ინარჩუნებს ეთნიკურ სპეციფიკას. ტანსაცმლის ცალკეულმა ელემენტმა და საჭმლის სახეებმა ეთნიკური მარკერის ფუნქციაც შეიძინა, განსაკუთრებით პოლიეთნიკურ გარემოში. მრავალმხრივი სიმბოლიკითაა დატვირთული საცხოვრებლები – მათი სტრუქტურა, გარეგანი გაფორმება, ინტერიერი. მატერიალური კულტურის ლოკალურობა, საერთო ტიპოლოგია. საცხოვრებლის ევოლუციის ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ეთნოლოგიას შეხების წერტილები, გადამკვეთი ხაზები არქეოლოგიასთან აქვს. ამას გარდა, ეთნოლოგიური თვალსაზრისით, მატერიალური კულტურის შესწავლას არანაკლები პრაქტიკული და გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს თანამედროვე არქიტექტურის, დიზაინის, მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში გამართლებულია ტრადიციული მატერიალური კულტურის (ეთნიკური კულტურის) არამხოლოდ ეთნოლოგიური თვალსაზრისით კვლევა, არამედ სხვა მეცნიერებებთან ერთად (კულტურის თეორია და ისტორია, სოციოლოგია) კომპლექსური შესწავლა.

§1. მინათმოქმედება. სამეცნიერო ლიტერატურაში მინათმოქმედებას განმარტავენ, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებელი ღონისძიებების ერთობლიობას. ამ ღონისძიებებში ვიწრო მნიშვნელობით ნიადაგის დასამუშავებლად იარაღის გამოყენება, ფართო მნიშვნელობით კი კომპლექსური სამინათმოქმედო სისტემები, გაპატიება-განოყიერება, მორწყვა და ამოშრობა იგულისხმება.

მსოფლიო მასშტაბით მინათმოქმედება მეურნეობისა და სამეურნეო საქმიანობის ნამყვან ტიპს წარმოადგენს, რომელიც დაფუძნებულია კულტურული მცენარეების მოყვანაზე. მემცენარეობაში აკუმულირებულია ნიადაგის დამუშავების, მცენარეთა სელექციის, ნათესების მოვლის, მოსავლის აღების და სხვ. ისტორიული, ხალხური გამოცდილება. აღიარებულია, რომ მინათმოქმედება წარმოიქმნა ცხო-

ველთა მოშინაურებასთან ერთად მეზოლითსა და ნეოლითში 10-8 ათასი წლის წინ. მეცნიერები გამოყოფენ კულტურული მცენარეების წარმოქმნის შვიდ ძირითად გეოგრაფიულ გენოცენტრს. მინათმოქმედება თავდაპირველად ურწყული იყო; შემდეგ განვითარდა სარწყავი მინათმოქმედება.

თავდაპირველად მემცენარეობა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში განვითარდა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ახალი არეალების ათვისება ძირითადად გაკაფვითი მინათმოქმედების გზით ხდებოდა, რაც საქართველოში ახოს აღების სახელით იყო ცნობილი.

ბუნებრივი პირობების თავისებურებების გამოისობით პლანეტის სხვადასხვა რეგიონში მინათმოქმედების სხვადასხვა ტიპი ჩამოყალიბდა: 1. მდგრადი და ზომიერი სარტყელი საკმარისი ნალექით; 2. გვალვიანი მხარეების სარწყავი (საირიგაციო) მინათმოქმედება; 3. ნალექიანი სუბტროპიკებისა და ტროპიკების საწელინდო (მთელი წლის) მინათმოქმედება წელინადში ორი-სამი მოსავლის მოყვანით.

მინათმოქმედების ფორმები შეიძლება იყოს ექსტენსიური და ინტენსიური. მინათმოქმედების პროგრესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამინათმოქმედო იარაღების განვითარებას, კულტურული მცენარეების ძველი ცენტრებიდან ინტროდუქციას. ძირითადი პურეული კულტურები – ხორბალი და ქერი – ძველი სამყაროს (წინა და შუა აზია, ხმელთაშუაზღვისპირეთი) უძველესი სამინათმოქმედო ცივილიზაციების ერთგვარ ბაზას წარმოადგენდა. მთავარი კულტურა აღმოსავლეთსა და სამხრეთში (სამხრეთ-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი აზია) ბრინჯი იყო, ახალ სამყაროში (მეზოამერიკა და ანდის ქვეყნები) კი მაისი (სიმინდი) და პარკოსნები. გვალვიან მხარეებში ინტენსიური მინათმოქმედების პროგრესი საირიგაციო ტექნიკის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. დაბლობ, ბარ ადგილებში სარწყავი (საირიგაციო) სისტემები არხების დიდ ქსელს ემყარებოდა, მთებსა და მთისწინა ადგილებში – მცირე სარწყავ სისტემებს. საერთოდ, ხელოვნური მორწყვა აგროკულტურის ყველაზე ადრინდელი შემადგენელი ელემენტია; ის საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ადრინდელი მონაპოვარია. ეს მოსაზრება იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ მინათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის ხელსაყრელ და საჭირო ბუნებრივ გარემოდ იგი ვარაუდობს წყაროებისა და ხევის წყლების, ნაადულებისა და აგრეთვე მდინარეების მშრალი კალაპოტის გასწვრივ მდებარე ნაკვეთებს.

მინათმოქმედების ძირითად ტიპებს ეთნოლოგები, უმეტეს შემთხვევაში, შრომის იარაღების მიხედვით გამოყოფენ, სახელდობრ, სახვნელი იარაღების არსებობა-არარსებობით. მინათმოქმედების ყველაზე ადრინდელი ფორმა ნიადაგის სახვნელი იარაღის გარეშე დამუშავებაა (უგუთნო მინათმოქმედება). ეს ტიპი დღეს გავრცელებულია ამერიკის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკულ ზოლებში, საჰარის სამხრეთით და ოკეანეაში. აქ მას გაკაფვით-გადანვითი მინათმოქმედების სახე აქვს. ასეთივე ტიპის მინათმოქმედება იყო განვითარებული რუსეთის ტყიან ზოლში. მინათმოქმედების ამ სისტემაში ტყეს გაკაფავდნენ, აჩეხდნენ. ერთი წლის შემდეგ, როდესაც ტყე გახმებოდა, მას ნვავდნენ და მარცვალს პირდაპირ ნაცარში თესავდნენ.

მინის დამუშავების გარეშე, პირველ წელს ის კარგ მოსავალს იძლეოდა; მეორე წელს საჭირო იყო ხელის იარაღით ნაკვეთის გაფხვიერება. ორი-სამი წლის შემდეგ მინა იფიტებოდა.

თავდაპირველად მიწას ადამიანები ხელის იარაღებით ამუშავებდნენ. მინათმოქმედების განვითარების მაღალ ფორმას კი სახვნელი მინათმოქმედება წარმოადგენს. ის თავდაპირველად დიდი მდინარეების – ნილოსის, ტიგროსის, ევფრატის, ინდის, გვიან – ამუდარიის, სირდარიის, იანცზის, ხუანხეს ხეობების მსუბუქ და ნაყოფიერ ნიადაგებზე წარმოიქმნა. სახვნელი იარაღის სრულყოფის შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი უფრო მძიმე და ნაკლებ ნაყოფიერ ნიადაგებზე გამოყენება. დღევანდელი მეცნიერებისათვის გაურკვეველია სახვნელი იარაღი ძველი სამინათმოქმედო კულტურის ერთ რომელიმე კერაში შექმნეს თუ იგი ერთდროულად სხვადასხვა ხალხებმა გამოიგონეს. არქეოლოგიური, იკონოგრაფიული და ნანილობრივ წერილობითი წყაროებით დადასტურებულია, რომ ხვნისას გამნევ ძალად შინაური ცხოველების გამოყენება ყველაზე ადრე (ძვ. წ.-ის IV ათასწლეულის ბოლო – III ათასწლეულის დასაწყისი) მესოპოტამიასა და ნილოსის დაბლობზე დაიწყეს. ჩინეთში, ხუანხეს აუზში გუთანი მხოლოდ ძვ. წ.-ის II ათასწლეულშია დაფიქსირებული. ევროპელთა კოლონიზაციამდე სახვნელი მინათმოქმედება ამერიკის, ტროპიკული აფრიკისა და ავსტრალიისათვის უცნობი იყო.

ქართველთა განსახლების არეალი უძველესი სამინათმოქმედო კერების სიახლოვეს იყო. საქართველო მინათმოქმედების ჩასახვისა და განვითარების ერთ-ერთ კერად ითვლება. ქართველმა ხალხმა მაღალი სამინათმოქმედო კულტურაც შექმნა. „მეურნეობის ამ დარგის ხანგრძლივმა მიყოლამ საქართველოში მინათმოქმედების რამდენიმე ფორმას დაუდო საფუძველი. პირველყოველისა აღსანიშნავია მისი ორი განსხვავებული სახე: სარწყავი მინათმოქმედება და ურწყავი მინათმოქმედება" (გ. ჩიტაია). საქართველოს სარწყავ მინათმოქმედებას დიდი მრავალფეროვნება ახასიათებდა. ხელოვნური მორწყვა თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული და ის ძირითად თავისებურებებს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით აავლენდა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მორწყვა თუ მინათმოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო და მთისწინეთში ის ინტენსიური მინათმოქმედების საფუძველს წარმოადგენდა, მთაში იგი სათიბ მეურნეობასთან იყო დაკავშირებული. მრავალფეროვანი იყო ნიადაგის ხელით დამუშავებისათვის საჭირო სამუშაო იარაღები და სახვნელი საშუალებები. ივანე ჯავახიშვილის აღნიშვნით, საუკუნეთა განმავლობაში სახვნელი იარაღის თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ ნინამორბედი სახეობა მთლიანად ვერ მოსპო, რადგანაც თითოეული სახის სახვნელ იარაღს გამოყენების საკუთარი არე ჰქონდა. საქართველო სახვნელი იარაღების ერთგვარ მუზეუმს წარმოადგენდა. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალი სახის სახვნელი იარაღის არსებობას მათი უხვი სახელწოდებებიც ადასტურებს: კაენერა, სანერა, აჩაჩა, ოქოქა, ჩუთი, აჯილღა, ჯილღა, ოგაფა, სახვნელი, ღენნუში, ერქვანი, ხარწარაღი, არონა, გუთანი, დიდი გუთანი.

§2. მეცხოველეობა. მეურნეობის დარგს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ყოლასა და მოშენებასთან არის დაკავშირეული მეცხოველეობას უწოდებენ. მეცხოველეობა მოიცავს მესაქონლეობას, მეფრინველეობას, მეთევზეობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, მებოცვრეობას, მეძაღლეობას, მეღორეობას და ა. შ. მეცხოველეობის თითოეული დარგი დროის სხვადასხვა მონაკვეთში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში წარმოიქმნა. პირველად მოხდა ძაღლის მოშენება გვიანპალეოლითში, დაახლოებით 15-10 ათასი წლის წინ ევროპაში, წინა აზიაში, ციმბირსა და აღმოსავლეთ აზიაში. ამერიკაში ძაღლი პალეოინდიელებთან ერთად მოხვდა. ჩრდილოეთ აფრიკაში ძაღლები ნეოლითის ბოლოს, ძვ. წ.-ის VI ათასწლეულის დასაწყისიდან გავრცელდნენ. გარეული ღორის მოშინაურება ძველ სამყაროში (წინა აზია, ევროპა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია) 8 ათასი წლის წინ მოხდა. ძვ. წ.-ის III ათასწლეულში წინა აზიის რიგ რაიონებსა და ეგვიპტეში ღორი ბინძურ ცხოველად მიიჩნიეს და მისი ხორცის საკვებად გამოყენება შეწყვიტეს. მკაცრად კრძალავდა ღორის ხორცს იუდაიზმი. ეს აკრძალვა მისგან ისლამმაც ისესხა. დღეს მას არ მიირთმევენ არა მხოლოდ იუდეველები და მაჰმადიანები, არამედ ლამაისტები, ეთიოპიელი ქრისტიანები (მონოფიზიტები) და სხვ. მეფრინველეობა შედარებით გვიან წარმოიქმნა. ქათამი 8-5 ათასი წლის წინ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოიშინაურეს. ახ. წ.-ის III ათასწლეულში მეფრინველეობა მესოპოტამიაში გავრცელდა, ძვ. წ.-ის XV-XIV საუკუნეებში – ეგვიპტეში, ხოლო II ათასწლეულის ბოლოს ფართოდ იყო ცნობილი ცენტრალურ ევროპაში, სადაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია გერმანელებსა და კელტებში. ბატი მოიშინაურეს ევროპაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკასა და აღმოსავლეთ აზიაში 5-4 ათასი წლის წინ, იხვი – 4-3 ათასი წლის წინ ევროპასა და ჩინეთში, ინდაური – ჩრდილოეთ მექსიკის ტერიტორიაზე 2 ათასი წლის წინ.

ტრადიციულ პირობებში მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში ცხოველების დომესტიკაცია (მოშინაურება) ბოლო დრომდე შეიმჩნეოდა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ახალი გვინეის პაპუასების მიერ ღორის, ხოლო მალაკის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სენოს ხალხის მიერ ქათმის მოშინაურება.

მესაქონლეობის ზოგიერთი დარგის გამოკლებით, ტრადიციულ მეურნეობებში მეცხოველეობის ყველა სახეს დაქვემდებარებული ხასიათი ჰქონდა. ადამიანებს ცხოველები და ფრინველები ჰყავდათ ხორცის, ცხიმის, რძის, კვერცხის, ტყავის, ჯაგრისის, ბეწვის, ბუმბულის, ორგანული სასუქების და სხვ. მისაღებად, ზოგჯერ კი რიტუალური და გასართობი მიზნით. ზოგიერთ პროდუქტს წამლის დასამზადებლადაც იყენებდნენ.

განსაკუთრებული მრავალფროვნებით ძაღლების გამოყენება გამოირჩეოდა. ძაღლებს ჩრდილოეთ ევრაზიის, ციმბირისა და ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილოეთის რაიონების ხალხები ძველთაგანვე აბამდნენ ციგებში. მსოფლიოს იმ რეგიონებში, სადაც ცხოველური საკვების ნაკლებობა იგრძნობოდა (აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, აფრიკის, ოკეანიის და ამერიკის ზოგიერთი რაიონი), ძაღლის ხორცს ჭამდნენ, თანაც საამისოდ აქ სპეციალური ჯიშები ჰყავდათ გა-

მოყვანილი. ძაღლის ხორცის საკვებად რეგულარული მოხმარება ჩრდილოეთ ჩინეთში IV ათასწლეულიდანაა შენიშნული, ოკეანეაში – II-I ათასწლეულებში, მექსიკის ტერიტორიაზე – ძვ. წ.-ის I ათასწლეულში. ოდითგანვე, ნადირობისას, ბევრი ხალხისათვის ძაღლი საიმედო პარტნიორიც იყო. ძაღლის ერთ-ერთი არსებითი ფუნქცია არის აგრეთვე შინაურ ცხოველთა ფარების დაცვა, რისთვისაც, მესაქონლეობის განვითარების პარალელურად, მეცხვარე ძაღლის განსაკუთრებული ჯიშები გამოიყვანეს.

ადამიანები შინაურ ცხოველებს სხვადასხვა პირობებში ინახავდნენ (თავისუფლად გაშვებული, სპეციალურ ბაკებში, სადგომებში, გალიებში). შინაური ცხოველების სპეციალურ სადგომებში მოთავსება განსაკუთრებულად განვითარებული მინათმოქმედი საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. ისინი პატივსა და სკორეს ორგანულ სასუქად გამოიყენებდნენ.

თითქმის ყველგან შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს რიტუალებში, კერძოდ, საკულტო მსხვერპლშეწირვაში იყენებდნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ზოგიერთ ხალხში პოპულარული იყო მამლების ბრძოლა, რასაც ასევე რიტუალური ფუნქცია ჰქონდა. რელიგიურ სიმბოლიკაში საერთოდ ფრინველებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. მაგალითად, მტრედი იყო დასავლეთაზიური სიყვარულის ღვთაების – ასტარტას სიმბოლო. გვიან, ქრისტიანობის გავრცელებისას მტრედი სულინმინდის, ზეციური სიყვარულის ნმინდა სიმბოლოდ იქცა.

§3. მესაქონლეობა. მესაქონლეობაში შინაური ცხოველების ყოლასა და მოშენებას გულისხმობენ. ზოგიერთი სპეციალისტი ტერმინს – „მესაქონლეობა" ტრადიციული ყოფის თვალსაზრისით იყენებს, ხოლო მეცხოველეობას – თანამედროვე სამრეწველო თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, სპეციალისტების უმრავლესობა თვლის, რომ მესაქონლეობა მეცხოველეობის ქვედანაყოფია და მას ცხოველთა ფარის, ჯოგის, შენახვა-მოვლას უკავშირებს. ზოგჯერ მესაქონლეობად მიაჩნიათ მეურნეობის ისეთი ფორმა, რომელიც ცხოვრების მოძრავი ხასიათით, ფარების საძოვრიდან საძოვარზე გადარეკვით არის განპირობებული.

მესაქონლეობის დაწყებას მეზოლით-ნეოლითში ცხოველების მოშინაურებითა და დომესტიკაციით ინყებენ. მისი გენეზისი და ადრეული ეტაპი მობინადრე-მინათმოქმედი მეურნეობის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპთანაა დაკავშირებული. ცხოველთა სხვადასხვა სახეები სხვადასხვა რეგიონში და სხვადასხვა დროს მოაშინაურეს: თხა და ცხვარი – ძვ. წ.-ის VIII-VII ათასწლეულებში ნინა აზიაში, ტური (ჯიხვი) – VII ათასწლეულში ნინა აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (ზოგიერთის მოსაზრებით, V-IV ათასწლეულებში საქარაში), ზებუ – V ათასწლეულში სამხრეთ ირანსა და ბელუჯისტანში. კამეჩის მოშინაურებას ძვ. წ.-ის V-III ათასწლეულებით ათარიღებენ (სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია). ერთკუზიანი აქლემი III ათასწლეულში არაბეთის ნახევარკუნძულზე მოიშინაურეს, ხოლო ორკუზიანი უფრო ადრე, ძვ. წ.-ის V ათასწლეულში – თურქმენეთ-ირანის მოსაზღვრე ტერიტორიაზე. ლამის მოშანაურების ადგილად სამხრეთ ამერიკის პერუ-

ბოლივიის ანდებს ასახელებენ. ჩრდილოეთის ირემი ძვ. წ.-ის II-I ათასწლეულში საიანი-ალტაის რეგიონში მოუშინაურებიათ.

მესაქონლეობა იყო როგორც წამყვანი, ისე დაქვემდებარებული ხასიათისა. შესაბამისად, ერთ ადგილზე თუ მომთაბარე მესაქონლეობა იყო განვითარებული, მეორეზე – ბინადარი მიწათმოქმედება იყო გავრცელებული. ეს უკანასკნელი მცირე რაოდენობით ცხოველების შენახვასა და მოვლას ითვალისწინებს. ამ ორ პოლუსს შორის ბევრი გარდამავალი ტიპი ივარაუდება. ყველა ისინი განსაზღვრავენ ადამიანების ცხოვრების ფორმას, რომლებიც მათი ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმებსაც წარმოადგენს. მესაქონლეობის ძირითად ტიპებად მიჩნეულია სამწყემსო, გადარეკვით (გადაყვანით)-საძოვრული, ნახევრადმომთაბარული და მომთაბარული. თავდაპირველად შინაურ ცხოველებს ძირითადად ხორცის გამო უვლიდნენ. გარდა ამისა, იყენებდნენ ტყავს, ძვალს, რქას, ბეწვს. გვიან დაიწყეს საქონლის წველა, რომელმაც სამეურნეო მნიშვნელობა ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში შეიძინა, როდესაც ძროხისაგან რძის მიღება და მისგან სხვადასხვა პროდუქტის დამზადება ისწავლეს. ამავე პერიოდში ისწავლა ადამიანმა შალის ქსოვილების და თხის ბეწვის ქსოვილის დამზადება. თავდაპირველად ცხოველის ძალას იყენებდნენ მინაში თესლეულის ჩასატკეპნად, თავთავის გასალეწად, საპალნის გადასატანად, ოდნავ მოგვიანებით დაიწყეს მათი ციგასათრიელებში შებმა. ძვ. წ.-ის IV-III ათასწლეულებში კავისა და ბორბლის გამოგონებამ ცხოველთა გამოყენების ეს სფერო კიდევ უფრო გააფართოვა.

დედამიწაზე, ისტორიულად, სხვადასხვა მესაქონლეობითი ტიპი ჩამოყალიბდა, რომლებიც განპირობებულია შინაური ცხოველების სახეობებით, კვების ფორმებით, კლიმატური, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით. შინაურ ცხოველებს ორივე სქესის წარმომადგენლები უვლიდნენ, თუმცა სხვადასხვა საზოგადოებაში მათი მონაწილეობა სხვადასხვაგვარი იყო. უფრო ხშირად მამაკაცები მწყემსავდნენ, ქალები კი დასახლებაში დარჩენილ ცხოველებზე ზრუნავდნენ.

აზიის მრავალ ნახევრადმომთაბარე ხალხში (მთიელი ტაჯიკები, ბრაგუი, ქურთები, იურიუკები და სხვ.) მაღალმთებში არსებულ საძოვრებზე (სადგომებზე) საქონელს ძირითადად ქალების მეთვალყურეობის ქვეშ ტოვებდნენ, მამაკაცები კი აქ იშვიათად გამოჩნდებოდნენ, რათა საქონელი რიგ-რიგობით ემწყემსათ და საზაფხულო სადგომი სურსათ-სანოვაგითა და სანვავით მოემარაგებინათ. ამ დროის განმავლობაში მამაკაცების მთავარ საქმიანობას დაბლობში სახვნელი მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ქალები რძის პროდუქტებს ამზადებდნენ და ცხვარს პარსავდნენ. აზიელ მომთაბარეებში მამაკაცები მთელი წლის განმავლობაში საქონელს აძოვებდნენ, მაგრამ აქაც ბევრ საქმეს ქალები ასრულებდნენ (დასახლების ირგვლივ საქონლის ძოვება, ახალშობილთა მოვლა, საქონლის ღამით დაცვა, რძის პროდუქტების დამზადება). ასევე ქალების საქმე იყო მეხალიჩეობა და ქეჩის დამზადება. საქმიანობის ორივე ეს სფერო აზიელთა მეურნეობაში უაღრესად დიდ როლს თამაშობდა. სამხრეთი და ცენტრალური ევროპის მთებში საქონელს დაქირავებული მწყემსები აძოვებდნენ, რომლებიც

ზოგიერთ ადგილას განსაკუთრებული პროფესიული და ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან შედგებოდა (მაგალითად, ბალკანელი ვლახები).

ფარა თუ რამდენიმე სახის ცხოველისაგან შედგებოდა, მაშინ მსხვილფეხა რქოსან საქონელს, – აქლემებს, ცხენებს – მამაკაცები მწყემსავდნენ, ნვრილფეხა საქონელს კი – ქალები. ასეთი ვითარება გვქონდა სომალიში. აფრიკის ბევრ ქვეყანაში საქონლის ნველა მხოლოდ ქალების საქმე იყო. ზოგიერთ შემთხვევაში კი ცხოველების ერთ ნაწილს მამაკაცები ნველიდნენ, მეორეს კი – ქალები (საქართველოში ძროხას ძირითადად ქალები ნველიდნენ, ცხვარს – მამაკაცები). ძალიან ბევრ ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში საძოვარი საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. საქონლის დიდი რაოდენობით ყოლა მატერიალური შეძლებისა და სოციალური პრესტიჟის მაჩვენებელიც იყო. შინაური ცხოველები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სოციალურ ურთიერთობებშიც, მათი საშუალებით ხდებოდა საქორწინო გამოსასყიდის, შრომის საფასურის, ჯარიმის გადახდა. შინაურ ცხოველთა ხორცი პრესტიჟული საჭმელიც იყო – მას ფართოდ იყენებდნენ ლხინის, ნადიმის დროს, აგრეთვე რიტუალებში, რომლებიც ღვთაებებსა და სულებს ეძღვნებოდა. ამიტომაც ბევრ ხალხში მესაქონლეობა უფრო პრესტიჟულ საქმიანობად მიიჩნეოდა, ვიდრე მინათმოქმედება, იმ ხალხებშიც კი, რომელთათვისაც მიწათმოქმედებას მეურნეობაში დომინირებული მნიშვნელობა ჰქონდა.

§4. ბინადრობა. დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა ტიპის დასახლებაში ცხოვრებას ბინადარ ცხოვრებას (ბინადრობას) უწოდებენ. განასხვავებენ მიწათმოქმედი მოსახლეობის სასოფლო და საქალაქო დასახლებებს. ქალაქს, როგორც წესი, აქვს არა სასოფლო-სამეურნეო, არამედ საწარმოო, საორგანიზაციო-სამეურნეო, მმართველობითი, კულტურულ-საგანათლებლო და სხვა ფუნქციები. დასახლების საწარმოო და მოხმარებით ასპექტებს სწავლობს მოსახლეობის გეოგრაფია. ეთნოლოგია იკვლევს ბინადრობას, ბინადარი ცხოვრების წესს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობასთან, ცალკეული ხალხების ყოფასა და კულტურასთან. ბინადრობისათვის დამახასიათებელია სამეურნეო საქმიანობის სრულიად განსხვავებული ფორმები (მინათმოქმედება, ხელოსნობა და ა.შ.), რომლებიც არ მოითხოვს სეზონური ან მთელი წლის განმავლობაში საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად ადამიანთა მოძრაობას. ბინადრობა თავს იჩენს დასახლების ფორმასა და საცხოვრებელი სახლის ტიპში. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თავდაპირველად უძველესი ადამიანები ერთ ადგილზე არ ბინადრობდნენ, არამედ ისინი ენეოლითში მოხეტიალე და ნახევრადმოხეტიალე ცხოვრებას. მათთვის დამახასიათებელი იყო მონადირეობა და შემგროვებლობა. კაცობრიობის განვითარების გენერალური ხაზი მეურნეობის წარმოქმნასა და განვითარებასთან არის დაკავშირებული. მეურნეობის „მიმთვისებლური" ფორმებიდან „წარმოებით" ფორმებზე, ე. ი. ბინადარ სამინათმოქმედო ყოფაზე გადასვლა ძველი სამყაროს თბილ ზოლში არქეოლოგებს 12-10 ათასი წლის წინ აქვთ დაფიქსირებული. მინათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლა, ერთ ადგილზე ხანგრძლივი დროით ცხოვრების დაწყება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, რასაც ძველი სამყაროს ცალკეულ სამინათმოქმედო კე-

რებში ხანგრძლივი პერიოდი – 2-3 ათასწლეული დასჭირდა. ყველაზე ძველი, სამხრეთ-დასავლეთაზიური ბინადარი მოსახლეობის სამინათ-მოქმედო კერები ძვ. წ.-ის VII-VI ათასწლეულებით თარიღდება. მუდმივი დასახლებების წარმოქმნას თან მოჰყვა მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარება, ლითონის შრომის იარაღების გაჩენა და მათი შემდგომი სრულყოფა, დასახლებულ ოაზისებში მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა, სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება, ქალაქების ჩასახვა და ზრდა, სოციალური დიფერენციაცია, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმოქმნა. საქალაქო ცივილიზაციის არეალის გაფართოვება მჭიდროდ არის დაკავშირებული რკინის გავრცელებასთან. შუა საუკუნეებში ქალაქები გაჩნდა ძველი ცივილიზაციის მეზობლად, აზიისა და აფრიკის დაშორებულ ოლქებშიც.

XX საუკუნეში ქალაქებისა და ბინადარი სასოფლო დასახლებების წილი მკვეთრად გაიზარდა. XX საუკუნის დასაწყისში ქალაქებში მსოფლიოს მოსახლეობის 10%-ზე ოდნავ მეტი ცხოვრობდა, 1950 წელს – 28%, 1980 წელს – 40%. თუ 1900 წელს მსოფლიოში 100 ათას მოსახლეობიანი ქალაქების რაოდენობა 360 იყო, ასეთი ქალაქების რაოდენობამ 1970-იანი წლების შუა ხანებისათვის 2000-ს გადააჭარბა. შეიმჩნევა არაბინადარი, მოძრავი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პროცესი. ამ ტიპის მოსახლეობის რაოდენობა XX საუკუნის II ნახევარში 3-ჯერ შემცირდა.

XX საუკუნის ბოლოს ქვეყნების ერთ ნაწილში (ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში) ურბანიზაციის აქტიური პროცესი გრძელდებოდა – ქალაქებისა და ქალაქების მოსახლეობის ზრდა. ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, გერმანია, ინგლისი) კი უკუპროცესი დაფიქსირდა.

§5. მომთაბარეობა (ნომადიზმი). ექსტენსიური მეურნეობისა და ყოფის ფორმას, რომლის საფუძველსაც საქონლისა და ჯოგის სეზონური გადაადგილება წარმოადგენს, მომთაბარეობას, ანუ ნომადიზმს უწოდებენ. მომთაბარეობის პირობებში ნომადებს მესაქონლეობა უზრუნველყოფს როგორც საკვები პროდუქტებით (ხორცი, რძის ნაწარმი), ისე ტანსაცმლითა და საცხოვრებლის დასამზადებლად საჭირო ნედლეულით. ცნობილია, რომ ნომადები, რომელთა ძირითად საქმიანობას მომთაბარე მესაქონლეობა შეადგენდა, დამატებით მონადირეობასაც, არამობინადრე პრიმიტიულ მიწათმოქმედებას, ხელოსნობასა და რეწვის სხვა სახეებს მისდევდნენ. „წმინდა“ მომთაბარეობა, რომლისთვისაც მესაქონლეობა სამეურნეო საქმიანობის ერთადერთი სფერო იქნებოდა, არასდროს არსებობდა.

მომთაბარეობა ძვ. წ.-ის II-I ათასწლეულებში წარმოიქმნა ევრაზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის არიდულ ზონებში და ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არა მხოლოდ შემორჩა, არამედ სხვაგანაც გავრცელდა (ევრაზიის ჩრდილოეთი. აქ იგი მეირმეობის სახით ცნობილია ტაიგისა და ტუნდრის ბევრი ხალხისათვის). დღემდე მომთაბარეობას მისდევენ აზიისა და აფრიკის 30-ზე მეტ ქვეყანაში (სუდანი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, იემენი, ირანი, ერაყი, სირია, იორდანია, თურქეთი, ავღანეთი, პაკისტანი და სხვ.). მას დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი მისდევს.

მომთაბარეობის ხანგრძლივად შემორჩენილობა სოციალ-ეკონომიკური ფაქტორებისა და ძველი სამყაროს სტეპური და არიდული ზო-

ნების ბუნებრივი ფაქტორებით იყო განპირობებული. აქ მინათმოქმედებას სანარმოო ძალების დაბალი დონის გამო არ შეეძლო საკმარისად განვითარება და მეურნეობის ნამყვან დარგად გადაქცევა.

მომთაბარეობა მოიცავს როგორც საკუთრივ მომთაბარე, ასევე ნახევრადმომთაბარე და ნახევრადმობინადრე (ბინადრობაზე გარდამავალ) ფორმებს. მომთაბარეებს ჰქონდათ გარკვეული მარშრუტები. მუდმივი საცხოვრებელი მათ არასდროს გააჩნდათ; საქონლის გადარეკვის მანძილი ერთი ნლის განმავლობაში რამდენიმე კილომეტრიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით განისაზღვრებოდა. ნახევრადმომთაბარეებად ითვლებიან ისინი, რომლებიც ჩაკეტილ მარშრუტზე მოძრაობენ და რომელთაც გამოსაზამთრებლად მუდმივი საცხოვრებელი აქვთ. ნახევრადმომთაბარეთა მესაქონლე მეურნეობას მხოლოდ ორი გადასაბარგებელი ადგილი აქვს, საზამთრო და საზაფხულო დასახლებებითა და მუდმივი საცხოვრებელი სახლებით.

ზოგიერთი მეცნიერი მომთაბარე მესაქონლეთა ორი სახის სამეურნეო-კულტურულ ტიპს გამოყოფს. პირველ მათგანს მიაკუთვნებენ სტეპებისა და ნახევრად სტეპების მომთაბარე მესაქონლეებს (ძველი დროის სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები და სხვ., მომდევნო პერიოდის – მონღოლები, ბედუინები და სხვ.). მეორე ტიპს მაღალმთიანი პლატოს მომთაბარე მესაქონლეები ქმნიდნენ (ძირითადად ტიბეტელები). მომთაბარეებს შორის რამდენიმე ლოკალურ ვარიანტსაც გამოყოფენ (ცენტრალურაზიური, შუაზიური, წინააზიური, არაბულ-აფრიკული, სამხრეთაფრიკული და სხვ.).

მომთაბარეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მსოფლიო-ისტორიული პროცესების განვითარებაში. აღსანიშნავია მათი ზემოქმედება ევრაზიის ბინადარ მინათმოქმედ ხალხებზე. ეს ურთიერთობა არა მხოლოდ კულტურულ-სამეურნეო სფეროებს მოიცავდა, არამედ ეთნიკური ურთიერთობის სფეროებსაც. ძირითადად ნომადების მოძრაობით იყო გამონვეული ხალხთა დიდი გადასახლებები და სხვა ეთნიკური მიგრაციები, რასაც შედეგად ათეულობით ახალი ეთნიკური ერთობის წარმოქმნა მოჰყვა, როგორც ევრაზიის სივრცეში, ისე ჩრდილოეთ აფრიკაში.

მომთაბარეობის ნარმოშობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. დღეისათვის უფრო გაზიარებულია შეხედულება ბრინჯაოს ხანის დასასრულს მომთაბარეობის ბინადარ მინათმოქმედთა კომპლექსური მეურნეობის ბაზაზე ნარმოქმნის შესახებ. ამის საფუძვლად მთიანი და სტეპების რაიონების გადარეკვითი მეცხოველეობა მიაჩნიათ. სხვა შეხედულებით მომთაბარე მესაქონლეობა ბრინჯაოს ეპოქაში ევრაზიის სტეპებში მოხეტიალე მონადირე ხალხების წიაღში ნარმოიქმნა, რომლებიც ბინადარ მინათმოქმედ-მესაქონლეებს ემეზობლებოდნენ და რომელთაგანაც პირველ რიგში შინაური ცხოველები (თავდაპირველად სატრანსპორტო – სახედარი, ცხენი, აქლემი და შემდეგ კი მსხვილფეხა და ნვრილფეხა საქონელი) ისესხეს.

ეთნოლოგები იკვლევენ მომთაბარეთა ტრადიციული კულტურის საერთო და განსაკუთრებულ ნიშნებს, მათ გენეზისს, მომთაბარეთა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ცალკეული კულტურული კომპონენტების ნარმოშობისა და ფორმირების საკითხებს, ნომადების სამეურ-

ნეო და ყოფით ნყობას, მათ სოციალურ ორგანიზაციას, საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების თავისებურებებს, მეზობელ ხალხებთან ურთიერთობებს, ბინადრობაზე გადასვლის გზებს, მომთაბარეთა ადგილსა და ბედს თანამედროვე მსოფლიოში, ეთნიკურ შემადგენლობასა და მათში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს.

§6. საცხოვრებელი. ადამიანის უამინდობისაგან თავდასაცავ ბუნებრივ და ხელოვნურ თავშესაფარს, რომელიც კლიმატური პირობების გამო სხვადასხვგვარადაა მონყობილი, საცხოვრებელი ეწოდება. საცხოვრებელს გააჩნია აგრეთვე ადამიანთა საერთო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნქცია (ძირითადად საჭმლის დასამზადებელი, მისაღები, დასაძინებელი, დასასვენებელი). სოციალური დიფერენციაციის შემდგომ კი საცხოვრებელმა პრესტიჟული ფუნქციაც შეიძინა.

თავდაპირველად ადამიანებმა მარტივი ტიპის საცხოვრებელი აიშენეს, შემდეგ კი მოხდა უფრო რთული ნაგებობების აშენება – ერთოთახიანი საცხოვრებლების ნაცვლად დაიწყეს ორი და მეტოთახიანი სახლების მშენებლობა. მრავალოთახიან საცხოვრებლებს ძირითადად ჰორიზონტალური სტრუქტურა ჰქონდათ, იშვიათად კი – ვერტიკალური (კოშკური ნაგებობა). ტრადიციული საცხოვრებლის ცენტრი იყო კერა, რომელმაც ღია კერიდან თანდათან მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და ბოლოს საჭმლის დამამზადებელი ქურის ან ღუმელის სახე მიიღო. ზოგან ბუხრის და გამათბობელი ღუმელის სხვადასხვა სახეები მივიღეთ. საცხოვრებლები არსებობდა მიწისქვეშა (მიწური), მიწის ზედაპირზე აშენებული (მიწისზედა ნაგებობა), მიწიდან ზემოთ ამართული (ხიმინჯებიანი ნაგებობა). გარდამავალ ფორმებად ითვლება ნახევრად მიწური და ცოკოლიანი სახლი.

ადამიანთა საცხოვრებლის არქაულ ფორმებად მიიჩნევენ მღვიმეებსა და გამოქვაბულებს, ფარდულებს, ქოხებს. როგორ ნესი, ქოხებს უკედლებოდ აგებდნენ სვეტებისა და ტოტებისაგან. ქოხებიდან განვითარების შედეგად მიაჩნიათ მომთაბარე მესაქონლეების ფარდულები, კარვები და გადასატანი საცხოვრებლების სხვა მსგავსი ფორმები. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ქოხისმაგვარი ნაგებობები ხშირად დროებითი, სეზონური საჭიროებებისათვის გამოიყენება მონადირეებისა და ტურისტების მიერ. ასეთ ქოხებს აქვთ მრგვალი, ოვალური და სწორკუთხოვანი ფორმები.

ქოხები სახლებმა შეცვალა, რაც კაცობრიობის საცხოვრებლების ისტორიაში გარდამტეხი ეტაპი იყო. სახლებს უკვე კედლები ჰქონდა. ეს გარდატეხა ნეოლითის ეპოქაში სანარმოო ძალების განვითარებით იყო განპირობებული; ბევრად განაპირობა იგი ახალი ინსტრუმენტის – ცულის გამოგონებამ, რის შემდეგაც დაიწყეს ხის სახლების აშენება. ამას მოჰყვა საცხოვრებლის ოთახებად დაყოფა.

ადამინის საცხოვრებელს ისტორიული განვითარების თვალსაზრისით 5 ეტაპად ჰყოფენ: 1. ბუნების მიერ ბოძებული ხელოვნური გამოქვაბულები და ხეების ქვეშა თავშესაფრები, რომლებსაც ხშირად ქვის პერანგის შემონაწყობს უკეთებდნენ; 2. პირველი პრიმიტიული საცხოვრებლის გაჩენა ქვემო პალეოლითში – ხელოვნური გამოქვაბულები, ქოხები; 3. პირველი სახლები ნეოლითის ეპოქაში; 4. გლეხური და ქალაქური სახლების ტრადიციული ფორმების განვითარება ანტიკურ

პერიოდსა და ფეოდალიზმის ხანაში; 5. ტრადიციული ფორმების ცვლა თანამედროვე ნაგებობებით სამრეწველო გადატრიალების შემდეგ.

უმეტეს შემთხვევაში გლეხურ საცხოვრებელში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ერთ ჭერქვეშ იყო მოქცეული. XX საუკუნემდე ასეთი საცხოვრებლები ბუნებრივი სამშენებლო მასალებით (ხე, ქვა, თიხა, ჩალა, ნამჯა, ლერწამი) აიგებოდა. თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გლეხურ, ანუ ტრადიციულ საცხოვრებელ სახლებს თეით გლეხები აგებდნენ მეზობლებისა და მთელი სოფლის დახმარებით. სამეურნეო ნაგებობებთან ერთად სახლი კომპლექსში გლეხურ კარმიდამოს ქმნიდა.

ყველა კონტინენტისა და რეგიონის გლეხური სახლები მატერიალური კულტურის სფეროში ხალხური კულტურის მიღნევად მიიჩნევა ნაგებობათა ხარისხის, ესთეტიკური პარამეტრების, ლანდშაფტთან მიმართების თვალსაზრისით. სახლებს, ჩვეულებრივ, ყოფენ კარკასულ და გამზიდი კედლების ფორმების მქონე სახლებად. კარკასული სახლები დამახასიათებელი იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის.

საცხოვრებელი სახლები სოციალური დიფერენციაციის გამომხატველიც იყო. შუა საუკუნეების ევროპაში გლეხის ტრადიციული სახლი ბზენარევი ალიზისაგან ან ხისაგან შენდებოდა; ქვას მხოლოდ სახლის ფუნდამენტად იყენებდნენ. ჩვეულებრივ, ევროპელი გლეხის საცხოვრებელი ერთოთახიანი იყო. მას მხოლოდ კვამლის ერთი გასასვლელი ჰქონდა; კვამლი ჭერში არსებული ნახვრეტის საშუალებით გადიოდა. სახლის უფერულობა ბევრად განაპირობებდა შუა საუკუნეების გლეხის მობილობას. ევროპაში ქალაქებიც უპირატესად ხის სახლების ერთობლიობას წარმოადგენდა. ხის სახლებს კი ცეცხლი ადვილად ნთქავდა. სოციალურად დანინაურებული ფენა გამაგრებულ ციხე-სიმაგრეებში ცხოვრობდა. ისინი არა მხოლოდ თავდაცვისა და სიძლიერის, არამედ პრესტიჟის გამომხატველიც იყო. ევროპაში მინის გამოყენება საცხოვრებელ სახლებში მხოლოდ XIII საუკუნიდან დაიწყეს. ფანჯრებს მინის გამოყენებამდე დარაბებით ფარავდნენ. სახლის გასანათებლად ხშირად კარებს ტოვებდნენ ღიას. ღია კარებში არა მხოლოდ ბავშვები შედიოდნენ და გადიოდნენ თავისუფლად, არამედ შინაური ცხოველები და ფრინველებიც. ზოგჯერ დასაძინებლად იყენებდნენ საწლის ბოლოში არსებულ სათიეეს, სადაც მიდგმული კიბით ადიოდნენ.

შუა საუკუნეების ევროპული სახლების ინტერიერი ავეჯით ძალიან ღარიბი იყო. მაგიდა, ჩვეულებრივ, ასაწყობი ჰქონდათ, ტრაპეზის შემდეგ მას შლიდნენ. მუდმივ ავეჯს წარმოადგენდა სკივრი და კიდობანი, სადაც ტანსაცმელსა და ჭურჭელს ინახავდნენ. ფუფუნების საგანს წარმოადგენდა ხალიჩა. ხალიჩებს ხშირად შირმებად იყენებდნენ.

§7. ტანსაცმელი. ტანსაცმელი ადამიანთა სხეულის ხელოვნური საბურავია. გარდა უტილიტარული დანიშნულებისა (სხეულის გარეგანი მოქმედებისაგან დაცვა), ტანსაცმელს აქვს რიტუალური და სიგნიფიკატიური ფუნქციებიც.

ტანსაცმლის ცნება მოიცავს თავსაბურავსაც და ფეხსაცმელსაც. ტანსაცმლის მასალა შეიძლება იყოს ქსოვილი, ქეჩა, ცხოველის ტყავი,

ქერქი, ბალახი, ფოთლები, თევზის ქერქი, ფრინველის ტყავი, აგრეთვე თანამედროვე ხელოვნური ქსოვილები. ფეხსაცმლისათვის იყენებდნენ ხესაც, კამუსსაც (ირმის, კურდღლის და სხვა ცხოველების ფეხის ტყავი).

ასხვავებენ შეკერილ და შეუკერავ ტანსაცმელს. შეუკერავი ტანსაცმელი მასალის ერთი ნაჭრისაგან მზადდება, რომელსაც სხეულის გარშემო შემოიხვევენ ან ჩამოიფარებენ; მას შესაკრავით ან ქამრით იმაგრებენ (ძველი ბერძნების გიმატა, რომაელების ტოგა, კავკასიელი და ბალკანელი ხალხების ნაბადი, მალაელების სარონგი, ინდოელების სარი, მოსახვევი, ჩალმა და სხვ.). შეკერილ ტანსაცმელში სხვადასხვა ტიპის ნაკერები ერთმანეთზე არის მიმაგრებული – შეკერილი ტანსაცმელი შეუკერავი ტანსაცმლის განვითარების შედეგს წარმოადგენს. შეუკერავი ფეხსაცმლის ტიპს ეკუთვნის სანდალი, რომლის ხის ან ტყავის ლანჩა ზონრის საშუალებით არის დამაგრებული, აგრეთვე საბო, მონნული ქალამანი.

განასხვავებენ ე. წ. მხარის სამოსსა და სარტყლის სამოსს. პირველი მათგანით შეიძლება როგორც კორპუსის ზედა ნაწილის (პიჯაკი, ჟილეტი, ზედატანი), ისე მთლიანად სხეულის დაფარვა (აღორძინების ეპოქის უპლენდი და რობი). „სარტყლის“ ტიპის სამოსით იფარავენ სხეულის ქვედა ნაწილს (ქვედატანი, შარვალი, წინსაფარი). „მხარის“ ტანსაცმელი, თავის მხრივ, კიდევ ორ ტიპად იყოფა. ესენია ე. წ. „ყრუ“, რომელიც თავის ჩაყოფის გზით იცმევა და „ჩახსნილი“, რომელსაც ჩაქი (ჩანაჭერი) წინიდან აქვს (ლაბადა, მოსასხამი, ტყაპუჭი, კამზოილი).

სამოსი სახეს იცვლიდა სხვადასხვა ფაქტორების გავლენით. ეს ფაქტორებია: კლიმატი, გეოგრაფიული გარემო, ტრადიციული დასაქმების სფერო. მაგალითად, ტროპიკულ ზონაში ჩვეულებრივი ტანსაცმელი იყო თეძოზე მოსაკრავი წინსაფარი, მხრების საბურველი (აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ოკეანეა). სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხების ყოფაში იყო შეუკერავი ტანსაცმელი (სამოსი). ეს იყო სხეულის ქვედა ნაწილზე შემოხვეული მამაკაცების დხოტი, მამაკაცებისა და ქალების – სარონგი. ინდოელი ქალები ტანის მთელ კორპუსს ქსოვილის გრძელი ნაჭერით იფარავდნენ. მომთაბარე ხალხებში ტანსაცმლის განსაკუთრებული ტიპი იყო ჩამოყალიბებული, რომელიც ცხენით სვლის დროს იყო მოსახერხებელი (ქალებისა და კაცების ფართო შარვალი და ხალათი. მას დღესაც ატარებენ მონღოლები და ტუველები). აღმოსავლეთ აზიის ყველა ხალხში ე. წ. „მხარის“ ყველანაირი ტანსაცმელი ჩახსნილია (მაგალითად, იაპონური კიმონო). ჩინელებს ჩახსნილი ჰქონდათ როგორც კაცის, ისე ქალის შარვალი.

საკმაოდ მრავალფეროვანი იყო ევროპის ხალხთა ტანსაცმელიც. ის ყოფაში XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა. ქალის კოსტიუმის ძირითად ნაწილს შეადგენდა თეთრი პერანგი, ფართო ქვედატანი, რომელსაც ხშირად რამდენიმე ცალს იცვამდნენ და წინსაფარი. აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო დრომდე შემორჩა არქაული, შეუკერავი ორი წინსაფრისა და ქსოვილის ნაჭრისაგან შედგენილი სასარტყელო ტანსაცმელი, მუქი მაუდის მოკლე ქურთუკი, გრძელი ხიფთანი. თავზე იფარებდნენ მაუდის ან ჭილის ქუდს, ბერეტს, ჩრდილო ნაწილში კი – ნაქსოვ ქუდს. დასავლეთ ევროპაში იცვამდნენ მოკლე შარვალს, აღმო-

სავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში – გრძელს. შოტლანდიასა და უელსში შარვალს ქვედატანი ცვლიდა. საბერძნეთსა და ალბანეთში კოსტიუმის დანამატი იყო თეთრი ქვედატანი. ევროპელები ტყავის ფეხსაცმელს ატარებდნენ. მას ისინი წინდებსა და სახვევებთან (ტოლაღებთან) ერთად იცვამდნენ. პოლანდიასა და საფრანგეთში ფართოდ იყო გავრცელებული ხის ფეხსაცმელი (საბო).

ტანსაცმელი ადამიანთა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის მიმანიშნებელიც იყო. ამა თუ იმ სამოსის ტარება ზოგჯერ ნერილობითი ბრძანებითაც ხდებოდა. მაგალითად, ტოგა მხოლოდ რომის თავისუფალ მოქალაქეებს შეიძლებოდა ეტარებინაო. შუა საუკუნეებში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა ტანსაცმელი.

ტანსაცმელს ეთნიკური განმასხვავებლის, მარკერის ფუნქციაც აქონდა. სხვადასხვა თურქმენული ტომების კოსტიუმის ერთგვაროვნობის მიუხედავად მკვეთრად განსხვავდებოდა მათი თავსაბურავი და სამკაული. მორავიის სლოვაკეთში ტანსაცმლის მიხედეით განასხვავებდნენ ამა თუ იმ სოფლის მკვიდრ ქალებს. განსხვავდებოდა გოგონების, პატარძლებისა და ქვრივი ქალების ტანსაცმელი. ასევე სხადასხვა კონფესიური ჯგუფების წარმომადგენლები ხშირად განსხვავებულ ტანსაცმელს ატარებდნენ. რაც შეეხება რიტუალურ ტანსაცმელს, ის ადამიანთა ისტორიის ყველაზე ადრეულ ეტაპზეა გაჩენილი. რიტუალური ტანსაცმლის ერთ-ერთი სახეა მღვდლის შესამოსელი. რიტუალური ტანსაცმლის ნაირსახეობაა საქორწილო და სამგლოვიარო სამოსი. XX საუკუნეში მსოფლიოს ხალხთა მრავალფეროვანი ტრადიციული ტანსაცმელი თანდათან გამოიდევნა კოსტიუმის საერთო მსოფლიო თანამედროვე ტიპით.

როგორც აღინიშნა, ტანსაცმელი ზუსტად მიუთითებდა მისი მატარებლის სოციალურ მდგომარეობაზე. ადამიანი თუ თავისი სოციალური მდგომარეობის შესაბამის სამოსს არ ატარებდა, ეს მისი დაცემის მანიმნებელი იყო. სამონასტრო წესდებებით საგულდაგულოდ რეგლამენტირებული იყო ბერების სატარებელი კოსტიუმი. ევროპაში XI და XII საუკუნეებში სხვადასხვა რელიგიური ორდენები სხვადასხვა ფერის სამოსს ატარებდნენ, ძირითადად კი – თეთრს. შავი ფერის ტანსაცმლით იმოსებოდნენ ბენედიქტიანელი ბერები. ღატაკი ბერები უფრო შორს წავიდნენ და ისინი მხოლოდ ჯვალოებით (სატომრე ქსოვილით), ხამი ქსოვილებით იმოსებოდნენ და ნაცრისფერ ბერებად იწოდებოდნენ. განსაკუთრებულ ტანსაცმელს ატარებდნენ სხვადასხვა კორპორაციების წარმომადგენლები. მაგალითად, საუნივერსიტეტო კორპორაციები შეიძლება დავასახელოთ.ეს უკანასკნელნი ძირითადად აქსესუარებს აქცევდნენ ყურადღებას – თავსაბურავებსა და ხელთათმანებს. ისინი ზუსტად მიუთითებდნენ ამა თუ იმ ადამიანის რანგს. შუა საუკუნეების ევროპელი დოქტორები ნატის (ზამშის) ხელთათმანებსა და ბერეტებს ატარებდნენ. მხოლოდ რაინდებისათვის შესაფერად ითელებოდა დეზები. თავიანთი განსაკუთრებულობის გამოსახატავად რაინდებმა დაიწყეს მუზარადებზე, აბჯრებზე, ფარებსა და დაშნებზე განმასხვავებელი ნიშნების გამოსახვა. შუა საუკუნეების ევროპაში გაჩნდა პირველად არისტოკრატიული გერბები. ქართველმა არისტოკ-

რატებმა გერბები არ იცოდნენ. მათი დახატვა ევროპისა და რუსეთის ნაბაძვით XIX საუკუნეში დაიწყეს. ევროპელი მდიდრების ტანსაცმლის ფუფუნების გამომხატველი იყო ქსოვილის ხარისხი და რაოდენობა. წარჩინებულები თავიანთ მდგომარეობას ბეწვეულის სამოსის ჩაცმითაც გამოხატავდნენ, რისთვისაც ჰანზელები ძალიან შორს, ნოვგოროდამდე მიდიოდნენ, გენუელები კი – ყირიმამდე. შუა საუკუნეების ევროპელი ქალების ტანსაცმლის სიგრძე ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. XIV საუკუნის ევროპაში ქალის კაბის დამოკლება ეკონომიკური სიდუხჭირით იყო განპირობებული. XIII და XIV საუკუნეებში ჰიგიენის გამო ევროპაში თეთრეულის ხმარება შემოიღეს. თავისთავად ეს სელის კულტურის ფართოდ გავრცელებამაც განაპირობა. ამ დროიდან მოყოლებული საყოველთაო მოსახმარებელი გახდა პერანგი; თანდათანობით გაჩნდა ქვედა საცვლებიც.

§8. საკვები და სასმელები. საკვები ადამიანთა უპირველესი და ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. პირველყოფილი მონადირეობისა და შემგროვებლობის დროს ადამიანის საკვებ რაციონში შედიოდა ყოველგვარი მცენარეული პროდუქტი – საჭმელად ვარგისი ფოთლები, ღეროები, ნაყოფები, ძირ-ძურები, სხვადასხვაგვარი უხერხემლო და ნვრილხერხემლიანი ცხოველები, კვერცხი და ა. შ. სანადრო იარაღების გამოგონებისა და დახვენის შემდეგ, გარეულ მხეცებზე ნადირობამ საკვებ ბალანსში მსხვილხერხემლიანთა ხორცის ხვედრითი წილის ზრდა გამოიწვია. წარმოებითი მეურნეობის – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოქმნის შემდეგ ადამიანთა კვებით სისტემაში გადატრიალება მოხდა. ამიერიდან კალორიის ძირითად წყაროდ მცენარეული სახამებელი იქცა, რა თქმა უნდა, მომთაბარე მესაქონლეთა გამოკლებით. ამავე დროს ევრაზიისა და აფრიკის დიდ სივრცეში რძისა და ფერმენტული რძის პროდუქტების გამოყენება ტრადიციად იქცა. სარძევე მეურნეობა მხოლოდ აფრიკის ტროპიკული ტყეების ზოლში არ გავრცელდა – აქ საქონელი ავადდებოდა და ამის გამო ვერ ცოცხლობდა. უცნობი იყო საქონელი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სუბტროპიკული და ტროპიკული რაიონებისთვისაც. **სახამებლის შემცველ ძირითად კულტურად ევროპასა და დასავლეთ აზიაში ხორბალი და ქერი იქცა, აფრიკაში – ფეტვი, ამერიკაში – სიმინდი, აღმოსავლეთ აზიაში – ბრინჯი, ოკეანეაში – ძირხვენა (ძირნაყოფა).**

ანტიკურობისა და შუა საუკუნეების დროს ცივილიზაციის განვითარებამ ბოსტნეული კულტურების ნაკრების გაფართოვება გამოიწვია. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ევროპელებს აღმოსავლეთის ბევრი საკვები პროდუქტი – ლიმონი, შაქარი, ბრინჯი, სანელებლები გააცნო. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში შორეული ზღვაოსნობის დაწყების ერთ-ერთი სტიმული სანელებლებზე მოთხოვნილება იყო, რასაც შედეგად დიდი გეოგრაფიული აღმოჩენა მოჰყვა. გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგი იყო დედამინის ყველა კონტინენტის მცხოვრებთათვის იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების, შინაური ცხოველების, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის პროდუქტების გაცნობა, რომლებიც ადრე მხოლოდ შედარებით ვიწრო არეალებისათვის იყო ცნობილი. **ამერიკაში, სადაც შინაური ცხოველებიდან იც-**

ნობდნენ მხოლოდ ძაღლს, ლამას, ზღვის ღორსა და ინდაურს, შინაური ცხოველების, ევროპული პურეული კულტურებისა და ბოსტნეულის გამოჩენამ, ხოლო ამერიკიდან ძველ სამყაროში სიმინდის, ბატატის, კარტოფილის, პომიდვრის, ნითელი ნინაკის, მზესუმზირის, თამბაქოსა და ბევრი სხვა მცენარეული კულტურის გავრცელებამ მსოფლიოს დიდი ნაწილის მოსახლეობის კვებითი რაციონი არსებითად შეცვალა.

თანამედროვე დიდი ეთნოსების ყოფაში ტრადიციული ეთნიკური კულტურებიდან კვების სპეციფიკა უფრო მტკიცეულია შემონახული, ვიდრე მატერიალური კულტურის სხვა ფორმებისა (ტანსაცმელი, საცხოვრებელი, დგამ-ჭურჭელი). მიუხედავად ამისა, საკვებშიც თანდათან უფრო მეტად შეიმჩნევა უცხოეთნიკური ნასესხობები. თუმცა ამ ნასესხობებს ყოველი ეთნოსი ძალიან ხშირად თავისებურად გარდაქმნის.

თანამედროვე პირობებში, მეურნეობის ფორმების მიუხედავად, ტრადიციული საკვები პროდუქტების ადგილს უფრო მეტად ინდუსტრიული საკვები პროდუქტები იკავებს, რომლებიც მსოფლიოს ურბანისტულ კულტურაშია შესული (ყავა, ჩაი, ლუდი, უალკოპოლო გაზირებული სასმელები, ბუტერბროდები, ყველი, ძეხვეული, ხორცის, თევზის, ბოსტნეულის, ხილის კონსერვები, მაკარონი და საკონდიტრო ნაწარმი).

სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი ზოგიერთი კერძი ხშირად რეგიონალური ხასიათის უფრო არის. მაგალითად, ნინა აზიაში ბევრი ეთნოსი ამა თუ იმ „ნაციონალურ" კერძს ხოლოდ მისთვის დამახასიათებლად მიიჩნევს, სინამდვილეში კი ისინი საერთო რეგიონალური კერძებია. თავის მხრივ, ეთნოსთა სამზარეულოები შიდა რეგიონალურადაც იყოფა. ეს დაყოფა ხშირად თვალში საცემია.

საკვების თერმული დამუშავებიდან გამოყოფენ წყალში და ორთქლზე ხარშვას, აგრეთვე შენვას, მოშუშვას, ნახშირზე შენვას და ა. შ. ყველა სახის პროდუქტის კონსერვაციის უბრალო და გავრცელებული ხერხია გაშრობა (გახმობა) და მზეზე გამოყვანა, უფრო რთული კი – კვამლში შებოლვა (დაშაშხვა), დამარილება (დამწნილება), მარინადში ჩადება. კონსერვაციის შედარებით უფრო სპეციფიკურ ხერხად ითვლება ცხიმით მოფენა, დაშაქრება და სხვ.

კვების ძირითადი ფუნქცია ადამიანის ორგანიზმის ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა, მაგრამ ნებისმიერ კულტურაში მას განუსაზღვრელი ნიშნური როლიც აქვს. გამოყოფენ **რიტუალური, სადღესასწაულო, სამსხვერპლო, სამგლოვიარო (სულის მოსახსენიებელი), პრესტიჟული, არაპრესტიჟულ კვების სახეებს. არც ერთი რელიგიური სისტემა საკვების, გარკვეული ნესებისა და აკრძალვების გარეშე არ არსებობს.** კვების შესახებ არსებობს მრავალგვარი სიმბოლური წარმოდგენებიც. ამავე დროს შეიცვალა წარმოდგენები კვების შესახებაც. მაგალითად, XVII-XVIII საუკუნეებში საკვების ცხიმიანობა მისი ხარისხობრივი მაჩვენებლის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი იყო. დღეისათვის კი სრულიად საპირისპირო შეხედულებაა – საუკეთესო საკვებად მიიჩნევა ის, რომელიც ვიტამინებით მდიდარია და ღარიბია კალორიებითა და ქოლესტერინით.

ეთნოლოგები კვების სისტემების დიდ რაოდენობას გამოყოფენ; ისინი, ფაქტობრივად, ეთნოსების რაოდენობას უთანაბრდება, ე. ი. რამდენი ეთნოსიცაა, იმდენივე კვების სისტემაა. კვების ეთნიკური სისტემები უფრო დიდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქებში ერთიანდება, რაც სპეციფიკური კერძების ნაკრების, კულინარული ხერხების, ტრაპეზის დაკომპლექტების პრინციპების, სხვადასხვა სანესჩვეულებო, ქცევითი და ნიშან-სიმბოლოებით ხდება.

სასმელებით ადამიანები წყურვილს იკლავენ. ყველა ხალხს, ყველაზე პრიმიტიულებსაც კი (მაგალითად, მონადირე-შემგროვებლები) საკვების განსაკუთრებული ნაკრები ჰქონდათ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ **იყვნენ ეთნოსები, რომლებისთვისაც სასმელებიდან წყლის გარდა არაფერი იყო ცნობილი.** ბევრი შემგროვებელი და მონადირე ხალხი იყენებდა განსაკუთრებულ სასმელებს, როგორებიცაა ნაყოფებისა და კენკრების წვენები, ხეების დასერვის შედეგად მიღებულ წვენები, აგრეთვე ისეთი სასმელები, რომელთაც ნარკოტიკული და ჰალუცინაციური თვისებები ჰქონდა. ამ უკანასკნელთა მოხმარება ყოველთვის რიტუალიზირებული იყო და საკულტო-მაგიურ შეხედულებებთან იყო დაკავშირებული.

ევროპისა და კავკასიის მინათმოქმედი ხალხებისათვის იყო დამახასიათებელი მომჟავო ბურახის ტიპის სასმელი. მომთაბარეთა კულტურაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მჟავე რძის სასმელებს – ცხენის რძისაგან დამზადებულ **კუმისს** და აქლემის რძისაგან მიღებულ **შუბათს.**

მინათმოქმედსა და მესაქონლე ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ალკოჰოლის შემცველი სამელები. **ყურძნისაგან ღვინის მიღება ნინა აზიაში ჯერ კიდევ ნეოლოთის ეპოქაში იყო ცნობილი.** თავდაპირველად ღვინოს ძირითადად გარეული ყურძნისაგან აყენებდნენ. ღვინის ერთ-ერთი სამშობლო საქართველოცაა. ნინა აზიიდან ღვინო ყურძენთან ერთად გავრცელდა ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მინათმოქმედი ხალხები ლუდს სახამებლის შემცველი მცენარეებისაგან ამზადებდნენ (ქერი, ფეტვი, ბრინჯი, სიმინდი...). **ალკოჰოლის მომატების მოთხოვნილებამ ადამიანები გამოხდის მეთოდით არყის მიღებამდე მიიყვანა. გამოხდის ტექნიკის სანყისი ეტაპი გაურკვეველია. არყის სამშობლოდაც ნინა აზიას მიიჩნევენ. ხალხთა უმეტესობაში ის არაბული სიტყვით – „არაყით“ აღინიშნება, რაც ოფლს აღნიშნავს. როგორც ვარაუდობენ, არყის გამოხდის შესაბამისი ცოდნა არაბი ექიმებისაგან XII საუკუნეში გავრცელდა სამხრეთ იტალიაში, აქედან კი სამხრეთ-დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. თავდაპირველად არყის მისაღები ძირითადი ნედლეული იყო ღვინო. შემდგომში გამოხდის მეთოდით ალკოჰოლის მიღება მთელ კონტინენტზე გავრცელდა.**

ალკოჰოლური სამელების დამზადება ხშირ შემთხვევაში რიტუალებთან იყო დაკავშირებული და მას კოლექტიური ხასიათი ჰქონდა. ბევრი ტომობრივი რელიგიისა თუ წმენა-წარმოდგენისათვის რიტუალის შესრულების დროს ალკოჰოლის მიღება აუცილებელი ელემენტი იყო. დღეს კი სამი მსოფლიო რელიგიიდან ორი – ისლამი და ბუდიზმი – ალკოჰოლს კრძალავს.

§9. სატრანსპორტო საშუალებები. საზოგადოების ისტორიაში გადასაზიდ-გადასაყვან, ანუ სატრანსპორტო საშუალებებს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სატრანსპორტო საშუალებანი ადამიანის სამეურნეო საქმიანობისა და ურთიერთობის ერთერთი ძირითადი პირობათაგანი იყო. ამიტომ ტრანსპორტის განვითარებაზე დიდად იყო დამოკიდებული საზოგადოების განვითარება, ამა თუ იმ ხალხისა და ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლა.

ტრანსპორტის ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ მონაცემებს.

უძველესი დროიდან მოყოლებული მრეწველობისა და ინდუსტრიის განვითარებამდე ტრანსპორტის ორი ძირითადი სახე არსებობდა – სახმელეთო და საწყლისნო. სახმელეთო ტრანსპორტში შედიოდა: ადამიანის სხეულით (თავით, ზურგით) ტვირთზიდვა, თრევა-სრიალით (მარხილი და მისდაგვარი მოწყობილობანი), გორვითი მოძრაობით ტვირთზიდვა (ბორბლიანი ტრანსპორტი) და სასაპალნე ტრანსპორტი. წყლის ტრანსპორტში შედიოდა: ტივები, ნავები, ნავტიკები, ხომალდები.

მიჩნეულია, რომ სახმელეთო ტრანსპორტის განვითარება, ზურგით ტვირთზიდვის გარდა, უნდა დაწყებულიყო თრევა-სრიალის პრინციპის გამოყენებიდან. ჯერ უბრალო ჯოხების, კეტების სათრევად ხმარებამ, შემდეგ მარხილის მსგავსი მოწყობილების გაჩენამ მომდევნო ხანაში გორვითი პრინციპის აღმოჩენამდე მიგვიყვანა, რამაც სხადასხვა სახეობისა და დანიშნულების ბორბლიანი ტრანსპორტის განვითარება გამოიწვია.

სახმელეთო საზიდი საშუალებების განვითარებასთან არის დაკავშირებული ბორბლის წარმოშობაც. კულტურის ამ ელემენტის წარმოშობა-განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ტექნიკური პროგრესისათვის. სატრანსპორტო საშუალებათა და მათ შორის ბორბლიანი საზიდის ყველაზე ადრინდელი სახეობის არსებობა დამოწმებულია შუმერებში IV ათასწლეულის დასაწყისში. მაგალითად, ურის უძველეს სამარხში ნაპოვნ ოთხბორბლიან საბრძოლო საზიდის გამოსახულებას სწორკუთხოვანი ფორმის ზედადგარი და მასიური ბორბლები ჰქონდა; ბორბლები ორი ნაწილისაგან შედგებოდა და გარედან განივი ლარტყებით იყო დამაგრებული. ოთხბორბლიან საზიდთან ერთად უძველეს ურში გვხვდება აგრეთვე ორბორბლიანი საზიდიც, რომლის ბორბლებიც სეგმენტოვანი შემადგენლობისაა. III ათასწლეულიდან ფართოდ დასტურდება ბორბლიანი ტრანსპორტის გამოყენება ევროპაში. ამავე პერიოდიდან ხდება ბორბლიანი ტრანსპორტის გაყოფა ტვირთის გადასატან და ადამიანთა გადასაყვან სახეობებად.უკანასკნელი ძირითადად საბრძოლო ეტლებს წარმოადგენდა. ბორბლიანი ტრანსპორტის გავრცელება და ათვისება მკვეთრად დაჩქარდა ძვ. წ.-ის II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც მასში ცხენის შებმა დაიწყეს. ცხენის წევამ ბორბლიანი ეკიპაჟების კონსტრუქციაზე რევოლუციური ქმედება მოახდინა – ამან გადასატანი საშუალებების შემსუბუქება გამოიწვია. თუმცა ამას ხარის გამწევი ძალის გამოყენება უკანა პლანზე არ გადაუწევია. მძიმე გადასატანი

საშუალებანი, რომლებშიც ხარებს (კამეჩებს) აბამდნენ უცველი ფორმით სოფელ ადგილებში დღემდეა შემონახული.

ბორბლიან საზიდებში, აგრეთვე სრიალის პრინციპზე აგებულ ტვირთის გადასატან საშუალებებში, გამწევი ცხოველების კუნთოვანი ძალა გამოიყენებოდა. ბორბლიანი ტრანსპორტის და სრიალის პრინციპზე აგებული საზიდავების გამოყენებამდე, ადამიანები იყენებდნენ ცხოველებს, მხედველობაში გვაქვს ცხოველების ზურგით ტვირთის გადატანა, ანუ ტრანსპორტის გარკვეული სახე – სასაპალნე ტრანსპორტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადასატანი სატრანსპორტო საშუალებანი მხოლოდ ძველ სამყაროში იყო განვითარებული. **ამერიკის კონტინენტი არც ბორბლიან და არც სრიალის პრინციპზე აგებულ სამარხილე საშუალებებს არ იცნობდა** – ცნობილია, რომ, ლამას გარდა, აქ მოშინაურებული სხვა ცხოველი არც ჰყოლიათ. ყველაზე გავრცელებული გამწევი ცხოველები იყო: ხარი, კამეჩი, ცხენი, სახედარი, აქლემი. უკანასკნელ ორ სახეს მხოლოდ ვინრო, რეგიონალური გამოყენება ჰქონდა (ჩრდილოეთი აფრიკა, სამხრეთ-დასავლეთი და ცენტრალური აზია).

ყველაზე ადრინდელი ბორბლიანი საზიდის გვერდით მარხილიც არის ნარმოდგენილი, რომელიც უმთავრესად მძიმე საგნების სატარებლად გამოიყენებოდა. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის მიღებული წესი დიდი სიმძიმეების გადადგილებისა დამყარებული იყო, ერთი მხრივ, მარხილის (ან მსგავსი საყრდენი მოწყობილობის) და, მეორე მხრივ, საგორავისა და ბერკეტის შეერთებულ ხმარებაზე. მეცნიერები ციგების (მარხილების) წარმოშობას მეზოლითის ეპოქას უკავშირებენ. მიჩეულია, რომ მარხილების ძირითადი ტიპები უპირატესად იმ ზონებში განვითარდა, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში თოვლი იდო. ამ გეოგრაფიულ არეალებში მარხილის საკმაოდ ბევრი ნაირსახეობა გვხვდებოდა. მათი წონა და კონსტრუქცია დამოკიდებული იყო ამა თუ იმ შესაბამელ ცხოველზე (ძაღლი, ირემი, ცხენი). რუსეთში კარეტების კონსტრუქციას იმის მიხედვით აწყობდნენ, რომ ზამთარში შესაძლებელი ყოფილიყო მისი დადგმა მარხილზე, ხოლო ზაფხულში კი – თელებზე.

ნინა აზიის ისტორიულ ძეგლებში მრავლად არის წარმოდგენილი საკულტო ეკიპაჟები. მათი უმრავლესობა დაკრძალვის დროს გამოიყენებოდა. მიცვალებულისა და საზიდს ერთად მარხავდნენ, რასაც თავისი რელიგიური ახსნა აქვს და ემყარება უძველეს რწმენა-ნარმოდგენებს. ასეთ საკულტო ეკიპაჟთა რიგს ეკუთვნის ქართული თრიალეთის ცნობილი ოთხობორბლიანი ეტლი. კონსტრუქციული მონაცემებითაც და ფუნქციითაც თრიალეთის ეტლი მსგავსია ურის (შუმერი) ნეკროპოლის ხის ეტლისა.

ნყლის ტრანსპორტის გამოყენებას მეცნიერები უკვე მეზოლითში (დაახლოებით ძვ. ნ.-ის VIII ათასწლეულში) ადასტურებენ. ყველა კლიმატური ზონის წყალსატევებში (ტბებში, მდინარეებში, ზღვის სანაპიროებზე) ადამიანთა და ტვირთების ტრანსპორტირებისათვის სრულიად სხვადასხვა საშუალებები იყო გამოყენებული. მოგვიანებით წყალში გადაადგილების საშუალებებს დროებით ან მუდმივ საცხოვრებლადაც

იყენებდნენ. მოცურავე სოფლები ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთში გვხვდებოდა.

მდინარეზე სამოძრაო ყველაზე ადრინდელ საშუალებად მიიჩნევენ წყალში ჩავარდნილ ცალკეულ მომსხო ღეროზე ჯდომით ან ნოლით ცურვას, ამის შემდეგ უნდა გაეკეთებინათ მსხვილი ღეროებისაგან შეკრული ტივი. შემდგომ წყლის სატრანსპორტო საშუალებათა განვითარებაში უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა ხის დასამუშავებელი იარაღების გაჩენას. ლითონის იარაღმა მნიშვნელოვნად გაადვილა წყლის სატრანსპორტო საშუალებების დამზადება. შესაძლებელი გახდა შესაფერისი დიდი ღეროების მოჭრა და გულის ამოღარვა, ანუ შიგნით გათლა. ტყიან ადგილებში გაჩნდა მთლიანი ხის, ე. ი. ერთ ხეში გამოთლილი ნავები. უფრო გვიან, ხის დამუშავების ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ფიცრებისაგან შეკრულ ნავებზე გადასვლა. ეს პრინციპი დღესაც გამოიყენება გემთმშენებლობაში. ნავი თავდაპირველად მოძრაობდა წყლის მდინარებით კეტისა და ნიჩბების დახმარებით. საზღვაო ნაოსნობაში გაჩნდა აფრაანძებიანი, ხოლო უფრო გვიან კი ორთქლის გემები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტყავისაგან გაკეთებული ნავები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში ორიგინალური საწყლოსნო და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებები შექმნა, რომლებიც შეხამებული იყო ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მთისწინეთის რეგიონის გარდამავალი ტიპის საზიდ საშუალებებზე, რომელსაც დამრეცი ადგილების გათვალისწინებით ერთგვარი სამუხრუჭე სისტემა ჰქონდა გაკეთებული. წყალზე გადასაადგილებელი ორიგინალური საშუალება ჰქონდათ ძველ საქართველოში. მართალია, ჯავახეთში „დოლაბი" მთლიანი ხისაგან გამოჭრილ თვალს ერქვა, მაგრამ, როგორც ირკვევა, აქ „დოლაბი" ტბებზე ცურვისას ერთგვარი დამხმარე საშუალებაც იყო. კერძოდ, თავფარავნელი ქაბუკის ბალადაში მოხსენიებული დოლაბი („ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, // ცალ ხელით ნიავქარობდა") სხვა არაფერია, თუ არა გოგორა-დოლაბის მსგავსი, მრგვალი ხისაგან გამოჭრილი და შუაში გახვრეტილი ფიცარი. ტბაში ცურვისას მოცურავეს დოლაბის ნახვრეტში მკლავი ნიდაყვამდე ჰქონდა ჩაყრილი. ზედ მთელი ტანით მასზე იყო გადაწოლილი და მეორე ხელს წყალს უსვამდა ანუ „ნიავქარობდა". რადგან „დოლაბი" წყალში გადაადგილების საშუალება იყო. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს აქვე იმის აღნიშვნაც, რომ დოლაბი უბრალო გახვრეტილი ფიცარი არ იყო. მას ფისიანი (მკვრივიანი) ხისაგან აკეთებდნენ, რომელსაც ორ ნელინადს ახმობდნენ, შემდეგ უსვამდნენ თხის ცხელ ქონს და თაფლის სანთელს. ასე გაკეთებული ტბებში გადასაადგილებელი საშუალება – დოლაბი არც წყალით იღლინთებოდა და არც მზეზე ხმებოდა. სცოდნიათ ბორბალ-დოლაბის საცურაო დოლაბად გამოყენებაც.

§10. ნისქვილები და ხელსაფქვავები. ნისქვილები და ხელსაფქვავები მარცვლეულის, მინერალებისა და სხვა მასალების საფქვავი (დასაფშვნელი, დასაქუცმაცებელი) მოწყობილობებია. ადამიანების მიერ ხელსაფქვავების გაკეთება განაპირობა მარცვლეული კულტურების დამუშავებაზე გადასვლამ. ისტორიულად ხელსაფქვავის ორი ძირი-

თად ტიპია ცნობილი: 1. მრგვალი და ბრტყელი მოყვანილობის ხელსაფქვავი და 2. მრგვალი და მაღალი კონუსისებური მოყვანილობის მძიმე ხელსაფქვავი. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული პირველი ტიპის ხელსაფქვავი. ის ერთმანეთზე შედგმული თანაბარი დიამეტრისა და თითქმის ტოლი სიმაღლის ორი მრგვალი ბრტყელი ქვისაგან შედგება. ქვედა ქვის ცენტრში ჩამაგრებულ რკინის მოკლე უძრავ ღერძზე ბრუნავს ზედა ქვა, რომელსაც საბრუნებლად ნაპირიდან 3-4 სანტიმეტრის დაშორებით ჩასმული აქვს ხის ტარი.

ნეოლითის დროიდან ხელსაფქვავების დიდი რაოდენობაა ნაპოვნი, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ბინადარ ცხოვრებაზე იყო გადასული და სადაც მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ხელით საფქვავი ჩვეულებრივ მაგარი ქვისაგან კეთდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში რბილი ქვა დაიშლებოდა ან ღერღილი და ფქვილი გაფუჭდებოდა. განვითარებულ კულტურებში წისქვილებსა და ხელსაფქვავებით მუშაობა „მონის სამუშაოდ" ითვლებოდა და, გამოსახულებების მიხედვით, ასეთ სამუშაოებს ქალები ასრულებდნენ.

ხელსაფქვავებმა ნიადაგი მოამზადეს წყლის წისქვილების წარმოებისა და განვითარებისათვის. მბრუნავი ხელსაფქვავი მახლობელ აღმოსავლეთში ძვ. წ.-ის II ათასწლეულიდან იყო ცნობილი. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელსაფქვავები ძვ. წ.-ის I ათასწლეულით თარიღდება. ხელსაფქვავში მიაგნეს წყლით მბრუნავი წისქვილის პრინციპებს: ქვების მრგვალი და ბრტყელი მოყვანილობა, უძრავი ღერძის გარშემო ბრუნვა. ხელსაფქვავი მარცვლეულისა და სხვა ნივთიერებების დასაფშვნელი, დასაქუცმაცებელი ხელით სამუშაო იარაღია, წისქვილი კი ეწოდება მარცვლეულის დასაფქველ საგანგებო მოწყობილობასაც და იმ შენობასაც, რომელშიც ეს მოწყობილობა არის გამართული.

დროთა განმავლობაში წისქვილებმა განვითარება და კონსტრუქციული ცვლილებები განიცადეს. ძვ. წ.-ის დაახლოებით 480 წელს საბერძნეთში მბრუნავი (ტრიალა) წისქვილი მიტრიალ-მოტრიალების წესით მომუშავე წისქვილით შეიცვალა. წისქვილების შემდგომი სრულყოფა ადამიანის შრომის – ცხოველთა ძალის შეცვლით განხორციელდა (ჯორი, სახედარი, იშვიათად ცხენი).

ძვ. წ.-ის I ათასწლეულში ევროპასა და აზიაში წისქვილის ქვების (დოლაბების) დამზადების რამდენიმე ცენტრი არსებობდა, საიდანაც ის საექსპორტოდ გაპქონდათ. **ქარის წისქვილი პირველად ირანში, ახ. წ.-ის I ათასწლეულის ბოლოს გამოიგონეს.** ბიზანტიელებისა და არაბების საშუალებით ასეთი წისქვილი ევროპაშიც (ესპანეთი და საბერძნეთი) გაჩნდა. თანამედროვე ქარის წისქვილები დაახლოებით 1430 წელს გაჩნდა, რომლებიც ქარის ყველა მიმართულებით მუშაობდა.

საქართველოში გავრცელებული ჩვენამდე მოღწეული წისქვილები ძირითადად ორი ტიპის იყო: ჰორიზონტალური ბორბლით მბრუნავი და ვერტიკალური ბორბლით მბრუნავი. უმეტესად პირველი ტიპის წისქვილი იყო გავრცელებული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აზიური წისქვილის სახელით იყო ცნობილი. მთებში ძირითადად პატარა (ბუჭულა) წისქვილები იყო გავრცელებული, ბარში, სადაც უხვი მოსავალი მოდიოდა, დიდი, ანუ დოლაბი წისქვილები გვხვდებოდა ერთმანეთისაგან. კონსტრუქციულად წისქვილის ეს ორი სახეობა, ფაქ-

ტობრივად, არ განსხვავდებოდა. სხვაობას მხოლოდ წყლის მიმწოდებელი აპარატი (ღარი, კოდი, გვიმი), ნისქვილის რუ და საგუბარის მონყობის წესი იძლეოდა. წისქვილი, ჩვეულებრივ, ორი სართულისაგან შედგებოდა. პირველი სართული საღვარეა, სადაც გამართულია ნისქვილის მამოძრავებელი მექანიზმი, მეორე სართულში კი მფქველი ქვები, მარცვლეულის მიმწოდებელი მონყობილობა და ფქვილის ჩასაგროვებელი სათავსია.

§ 11. კერამიკა. თიხისაგან დამზადებულ ნაწარმს კერამიკა ეწოდება. სამეთუნეო ნაკეთობების გარდა, კერმიკულ ნაკეთობებს მიეკუთვნება აგრეთვე ქაშანური, ფაიფური და სამშენებლო კერამიკა (აგური, კრამიტი). კერამიკული ნაწარმი, ეთნოლოგების გარდა, აინტერესებთ არქეოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ტექნიკის ისტორიკოსებს. ეთნოლოგები შეისწავლიან კერამიკის სხვადასხვა სახეებსა და ტიპებს, დამზადებას, ფორმას, ფუნქციებს, ნაკეთობის ესთეტიკურ ხარისხს, ხისა და მეტალის ჭურჭელთან თანაფარდობას, საქონლის გასაღების საკითხებს, მომხმარებლებს, უშუალოდ მწარმოებელთა ცხოვრების პირობებსა და ცხოვრების წესს.

ვარაუდობენ, რომ უკვე ადრეულ პალეოლითში იცოდნენ თიხის პლასტიკური თვისებების შესახებ, აგრეთვე ის, რომ ეს ნედლეული გამონვის შემდეგ მაგრდებოდა და მისთვის მიცემულ ფორმას ინარჩუნებდა. საფრანგეთისა და ჩეხეთის მღვიმეებში ნაპოვნია თიხისაგან გაკეთებული ცხოველთა ფიგურები. არსებული მონაცემებით, კერამიკული ჭურჭელი წინა აზიის ნეოლითურ ფენებშია ნაპოვნი (ძვ. წ.-ის VII ათასწლეული). შემდგომ პერიოდში მისი დამზადების წესი ბალკანეთის ნახევარკუნძულის გზით აფრიკის ზოგიერთ ნაწილსა და ევროპაში გავრცელდა. აღმოსავლეთ აზიაში კერამიკის წარმოების წესს დამოუკიდებლად მიაგნეს. (ეს ქვეყნებია იაპონია და ჩინეთი). კერამიკული ტექნიკის დამოუკიდებლად განვითარება მოხდა ამერიკაში ძვ. წ.-ის IV ათასწლეულიდან. კერამიკის დამზადებისა და მოხმარების შესახებ არაფერი იცოდნენ ავსტრალიაში.

პრიმიტიულ ხალხებში სამეთუნეო ნაკეთობებს ძირითადად ქალები ამზადებდნენ – მისი გამოწვა ღია ღუმელებში 600-800 გრადუსზე ხდებოდა. კერამიკულ ნაწარმს ძირითადად წყლისა და პროდუქტების შესანახად იყენებდნენ, აგრეთვე – საჭმლის დასამზადებლად. ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში წინა აზიაში დაიწყეს სამეთუნეო ჩარხის გამოყენება. სამეთუნეო მორგვის ტრიალი ჭურჭელს სასურველ ფორმას აძლევს. ძველი ამერიკისათვის სამეთუნეო მორგვი უცნობი იყო.

გამომწვარი აგური პირველად მესოპოტამიაში ძვ. წ.-ის IV ათასწლეულის ბოლოს გამოიყენეს. ის ინდოეთის კულტურაში (ძვ. წ.-ის 2800 წლის შემდეგ) ჩვეული სამშენებლო მასალა იყო. ჩინეთში აგურის გამოყენება ძვ. წ.-ის ბოლო ათასწლეულში დაიწყეს. აგურს ფართოდ იყენებდნენ ანტიკური პერიოდის რომის იმპერიის ტერიტორიაზეც. თანამედროვე ფორმა კი მან იტალიაში ლანგობარდი მშენებლებისაგან მიიღო.

კერამიკული ჭურჭელი პირველად შენიშნულია თანამედროვე სირიის ტერიტორიაზე ძვ. წ.-ის IV ათასწლეულში, შემდეგ – ეგვიპტეში, ჩინეთსა და საქართველოში. ევროპაში ეს ტექნიკა ინტენსიურად ადრე

შუა საუკუნეებში არაბი ხელოსნების მიერ გავრცელდა (ესპანეთის გზით). ქაშაურის წარმოება შუა აზიაში, წინა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჩაისახა, ევროპაში კი მისი საყოველთაო წარმოება XVI საუკუნიდან დაიწყეს. სამრეწველო გადატრიალების შემდეგ ფერადი კერამიკის ნარმოების არაერთი სფერო დავიწყებას მიეცა. მიჩნეულია, **რომ მეთუნეობა მეტალურგიის შემდეგ ხელოსნობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი იყო.** საქართველოში კერამიკის წარმოების რამდენიმე კერა არსებობდა, სადაც ამზადებდნენ კერამიკულ ჭურჭელს, ქვევრებს (ჭურებს), თორნეებს, კეცებს, ქოთნებს, ჯამებს, სადღვებლებს და სხვ.

§ 12. ქსოვა. ადამიანები ქსოვენ როგორც ხელით, ისე მექანიკურად (მანქანით). ხელით ქსოვისას მხოლოდ თითებს იყენებდნენ. ამ დროს მქსოველი სამარჯვ მონყობილობებს (ჩხირი, კავი//კაკვი, მაქო და სხვ.) იყენებდა. ქსოვდნენ არა მხოლოდ ქსოვილებს, არამედ სატრანსპორტო და შესანახ მონყობილობებს, სამონადირეო და თევსაჭერ ბადეებს, ღამის სათევ და დასასვენებელ მონყობილობებს (ჰამაკები სამხრეთ ამერიკაში), აგრეთვე საკულტო საგნებს (მაგალითად, ნიღბებს).

ჩხირებით ქსოვა უპირატესად ძველი და ახალი სამყაროების განვითარებულ კულტურებში იყო გავრცელებული. გვაროვნულ საზოგადოებაში ქსოვას ძირითადად ქალები მისდევდნენ, იშვიათად – კაცებიც.

ევროპაში ქსოვის წარმოშობის შესახებ რამდენიმე შეხედულება თუ თეორია არსებობს. ავტორთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქსოვდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ხოლო სხვები ამტკიცებენ, რომ პირველად ის იტალიაში XIII საუკუნეში გაჩნდა. ზოგიერთი მონაცემით ქსოვის პირველი ცენტრი ესპანეთი იყო, საიდანაც ის შოტლანდიასა და ინგლისში გავრცელდა. იკონოგრაფიული მონაცემებით, ევროპაში ქსოვამ ფეხი ფართოდ XIV-XV საუკუნეებში მოიკიდა. ხელით ქსოვის ცენტრები იყო ნიდერლანდებში, შვეიცარიასა და იტალიაში. შუა საუკუნეებში ქსოვა ფართოდ იყო გავცელებული სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, ჩეხეთში, პოლონეთში, ბელგიასა და ავსტრიაში. საქსოვი მასალა იყო აბრეშუმი, მატყლის ძაფი, სხვადასხვა მცენარეული ბოჭკო, თხის ბენვი და სხვა.

საქსოვი დაზგა გამოიგონა ინგლისელმა უილიამ ლიმ, რის შემდეგაც ქსოვა პროფესიულ საქმიანობად იქცა.

ხელით ქსოვის დროს ყველაზე ხშირად ჩხირები გამოიყენება. ჩხირები შეიძლება ყოფილიყო ხის, ლითონის, ძვლის. ქსოვდნენ წინდებს, ხელთათმანებს, ზედა ტანსაცმელს. ჩხირებით ქსოვა ოდითგანვე გავრცელებული იყო ავღანეთში, თურქეთში, სირიაში, მონღოლეთში, კავკასიის ხალხებში. კაკვით//კავით ქსოვდნენ გადასაფარებლებს, სუფრებს, მაქმანს. ქსოვის ეს ხერხი შედარებით ახალი წარმოქმნილია. მაქმანის სამშობლოდ, ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით, მიჩნეულია იტალია.

§ 13. ქაღალდი. ეთნოკულტურული თვალსაზრისით, ქაღალდი უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. ქაღალდის გარეშე კაცობრიობის საერთო განვითარება ძნელი წარმოსადგენია. მისი როლი უბრალო ტექნიკური საშუალებების ფარგლებს ღრმად სცილდება. თანამედროვე ინფორმაციის საშუალებების საუკუნეშიც

კი ქაღალდი თავის პოზიციებს არ თმობს. ქაღალდის ძირითადი დანიშ-ნულება დამწერლობასთან მისი კავშირითაა განსაზღვრული.

ქაღალდის გამოგონებისა და ათვისების სანყისი ეტაპი სამ-ხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანიის იმ ტერიტორიებზე მიმდი-ნარეობდა, სადაც ტროპიკული და სუბტროპიკული თუთისებრი მცენარეები ხარობენ, რომლებიც დამუშავების შემდეგ მოქნილ და გამძლე ლაფანს იძლევა. ასეთი ლაფანისაგან ძალიან დიდი ხნის ნინ ამზადებდნენ საოჯახო ყოფის საგნებს (საბნის, ჭილოფის, ხალიჩის მსგავსს), ტანსაცმელს, ნიღბებს. ოკეანიის ლაფანის ქსოვილს სამეცნიერო ლიტერატურაში „ტაპას" უნოდებენ. მის დამზადებას თან განსაკუთრებული კულტურული კომპლექსი ახლავს. ესენია: სპეციალური ხეების კულტივირება, ლაფნის დალბობა, გამოსათლელი სპეციალური ინსტრუმენტები, ზოლების გადასაბმელი წებოს გამოყენება, განსაკუთრებული ნიშნებისა და ორნამენტების მოხაზვა, „ტაპის" არომატიზაცია, ზეთით გაჟღენთა (იმის გამო, რომ წყალგაუმტარი ყოფილიყო), დაბოლოს, „ტაპის" მფარველის – ღვთაება „ლახუკის" კულტი და ა. შ. მთელი ეს კულტურული კომპლექსი განვითარდა ოკეანიის ხალხებთან, რომლებიც მინათმოქმედნი და მეთევზეები იყვნენ და რომლებიც ენობრივად აუსტრონეზიელებს წარმოადგენენ.

აუსტრონეზიურ ტერმინს „ტაპა" ახ. ნ.-ის I საუკუნის ჩინური წერილობითი წყაროები უკვე იცნობდნენ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ **ძველმა ჩინელებმა დამწერლობის მიზნით ქაღალდისმაგვარი ტა-პას დამზადების ტრადიცია ოკეანიის ხალხებისაგან გადაიღეს.** დიდი ხნის განმავლობაში ცნობილი იყო, რომ ქაღალდი გამოიგონა მეფის კარის წარჩინებულმა ცაი ლუნმა ახ. ნ.-ის 105 წელს. მას ამისათვის დასჭირდა ქვის როდინი, ხის ფილთაქვა და საცერი (სანური). თუთის ხის ტოტს აძრობდნენ ლაფანს, ჭრიდნენ ნვრილ ნაჭრებად, ყრიდნენ წყალში და ამ მასას ურევდნენ და ანჯღრევდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სანამ ფაფის მაგვარ მასას არ მიიღებდნენ. ამ მასას საცერით ამოხაპავდნენ და ულუფებად ასხამდნენ ბრტყელ დაფაზე. რამდენიმე ასეთ დაფას ერთად აწყობდნენ და ათავსებდნენ ტვირთის ქვეშ. გამონურულ ქაღალდის ფურცლებს იღებდნენ და აშრობდნენ. **მიუხედავად იმისა, რომ ჩინელმა ცაი ლუნმა ქაღალდის დამზადე-ბის ტექნოლოგია ოკეანიის ხალხებისაგან ისწავლა, ის კაცობრიობის კულტურის ისტორიაში მაინც დიდი რაციონალიზატორია.** ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ერთი პიროვნებისადმი გამოგონების მინერით ჩინელებმა მითოლოგიური ისტორიის პერსონიფიცირება მოახდინეს, რაც საერთოჩინური ტენდენციის გამოვლინებაც იყო. საგულისყუროა, რომ არცთუ ისე დიდი ხნის ნინ შენსის პროვინციის ბაოციაოს მღვიმეში იპოვეს ქაღალდის უძველესი ნარჩენები, რაც ძვ. ნ.-ის II საუკუნით თარიღდება. ამ მონაცემებიდან და ლინგვისტური მასალებიდან გამომდინარე მეცნიერები ასკვნიან, რომ ჩინეთში ჯერ კიდევ ცაი ლუნის დრომდე იყენებდნენ აბრეშუმის ქაღალდს (აბრეშუმისმაგვარ ქაღალდს) და აგრეთვე ნამდვილ „ტაპას".

ქაღალდის დამზადების ჩინური ტექნიკა კორეელებმა ახ. ნ.-ის II საუკუნეში გადაიღეს, იაპონელებმა – III საუკუნეში. ამ ქვეყნებში ქაღალდის ფართოდ წარმოება ბუდიზმის გავრცელებასთან იყო დაკავ-

შირებული, მხედველობაში გვაქვს საკულტო ლიტერატურის სწრაფად გავრცელება, განსაკუთრებით VII საუკუნიდან. საყურადღებოა, რომ ევროპამდე ძალიან დიდი ხნით ადრე, IX საუკუნეში ჩინეთში გაჩნდა ე. წ. „მფრინავი მონეტები" – ქაღალდის ფული.

დასავლეთის მიმართულებით ქაღალდის წინ წაწევა არაბების სახელთან არის დაკავშირებული. 751 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში არაბებმა ტყვედ ჩაიგდეს ჩინელი ქაღალდის ოსტატი, რომლის დახმარებითაც დაიწყეს ქაღალდის წარმოება ჯერ სამარყანდში და შემდეგ მთელ არაბულ სამყაროში. შედარებით იაფმა ქაღალდმა არაბული სამყაროდან სწრაფად განდევნა პერგამენტი და პაპირუსი. ამანვე განაპირობა არაბული დამწერლობის ფართოდ განვითარება. სამარყანდიდან ქაღალდის წარმოება ბაღდადში გავრცელდა, შემდეგ – დამასკოში, იემენში, ეგვიპტის ქალაქებში. ლაფნის მასალის არარსებობის გამო, არაბები თავდაპირველად ძველმანებს იყენებდნენ, შემდეგ ფართოდ დაიწყეს ბამბის გამოყენება. ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო არა მასის სანაყში შენჯღრევა, არამედ გასრესა. ამ მიზნით დაიწყეს წისქვილის ქვის გამოყენებაც. მრავალი საუკუნის განმავლობაში ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მიმდებარე ქვეყნებში არაბებს ქაღალდის წარმოებაზე მონოპოლია ჰქონდათ.

ევროპის ხალხებში, პერგამენტის სიძვირის მიუხედავად, ქაღალდი ნელა და ძნელად იკაფავდა გზას. ტრადიციულად წიგნებისა და სახელმწიფო დოკუმენტებისათვის ევროპელები ისევ პერგამენტს იყენებდნენ. ევროპელთაგან, ამ მხრივ, პირველობა ისევ იმ ქვეყნებს ერგოთ, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ არაბულ სამყაროსთან: 1150 წელს ქაღალდის წარმოება დაიწყეს ესპანელებმა. სიცილიასთან არაბების კავშირის გამო, იტალიაში მის წარმოებას 1154 წლიდან შუდგნენ. მალევე იტალიაში ქაღალდის წარმოებამ ფართო ხასიათი მიიღო, რადგან აქ სიახლე – მექანიკური მონყობილობა დაინერგა. სხვა ქვეყნები ესპანეთსა და იტალიას მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ. უნგრეთში ქაღალდის წარმოება დაინერგა 1300 წელს, გერმანიაში – 1390 წელს, ინგლისში – 1494 წელს, რუსეთში – 1565 წელს, ჰოლანდიაში – 1586 წელს, შვეიცარიაში – 1698 წელს. ინოვაციას ევროპაში ჯანყის გარეშე არ ჩაუვლია: ქაღალდის წარმოების წყლის წისქვილებში შემოტანას თან ახლდა სახალხო აჯანყებები და წისქვილების დაწვა, როგორც ეს მაგალითად რუსეთში მოხდა 1576 წელს. რუსებმა ეს წისქვილი სატანის ნაგებობად აღიქვეს.

ევროპაში ქაღალდის წარმოება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზებით იყო ნაკარნახევი – კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება და წიგნის ბეჭდვის საქმე ერთდროულად მიმდინარეობდა. ქაღალდის წარმოების მასშტაბებში დიდი ნახტომი გაკეთდა XIX საუკუნის შუა ხანებში, როდესაც ბამბის (ძონძების, ნაჭრების) ნედლეულიდან მერქან-ცელულოზაზე გადავიდნენ. აქამდე ევროპის ქვეყნებში ძონძების, ნაჭრების შემგროვებლის პროფესია ერთ-ერთი გავრცელებული იყო. მიმდინარეობდა ამ ნედლეულით გაცხოველებული საერთაშორისო ვაჭრობა ისე, რომ იატაკქვეშა „შავი ბაზრებიც" კი არსებობდა. „განათლების საუკუნიდან", ანუ XVIII საუკუნიდან ქაღალდზე არა

მხოლოდ წიგნებს ბეჭდავდნენ, არამედ მას იყენებდნენ სასწავლებლად, წერილობითი კორესპონდეციებისათვის; მასზე დაიწყეს ფულის კუპიურების ბეჭდვა. ქაღალდის ეს როლი დღესაც უცვლელია.

სხვა დანიშნულებით ქაღალდის გამოყენება ფრიად დამახასიათებელია შორეული აღმოსავლური კულტურისათვის. ჩინეთსა და იაპონიაში დიდი ხანია ქაღალდს ჰიგიენური მიზნებით იყენებენ (ხელსახოცი, პირსახოცი), აგრეთვე მარაოსათვის, ქოლგებისათვის, ფარნებისათვის, ფანჯრის ჩარჩოების ჩამოსაფარებლად, შირმებისათვის, ტიხრებისათვის და სხვა. ევროპის ქვეყნების ხალხურ კულტურაში XVIII-XIX საუკუნეებში გავრცელდა ქაღალდის გამოყენება დეკორატიული მიზნით.

ქაღალდის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ცოდნის საყოველთაოობა. წიგნის ბეჭდვამ გადატრიალება მოახდინა კულტურაში. კულტუროლოგიაში ხშირად განასხვავებენ ერთმანეთისაგან სამომონასტრო წიგნსა და საუნივერსიტეტო წიგნს. ბუნებრივია, მონასტრებშიც წიგნი კულტურის ინსტრუმენტი იყო, მაგრამ აქ მას ძირითადად საუნჯის, განძის ფუნქცია ჰქონდა. მისგან განსხვავებით საუნივერსიტეტო წიგნს ცოდნისა და შემეცნების ფუნქციები ჰქონდა.

§ 14. მეაბრეშუმეობა. მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის დარგია; ის გულისხმობს აბრეშუმის პარკის მისაღებად პარკხვევიას მოშენებას. აბრეშუმის პარკიდან კი ნატურალური აბრეშუმი მზადდება. აბრეშუმის პარკის უმეტესობა მოშინაურებული თუთის პარკხვევიასაგან მზადდება, მაგრამ აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის რიგ რაიონებში ველურ პარკხვევიასაც გამოიყენებენ. **უძველესი მეაბრეშუმეობა ჰიმალაის მთისნინეთში ჩაისახა.** საერთოდ, მეაბრეშუმეობის სამშობლოდ მიიჩნევენ სამხრეთ ჩინეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჩრდილოეთ რაიონებსა და აღმოსავლეთ ინდოეთის მდინარე ბრახმანპუტის ხეობას. ამ უკანასკნელზე ნაპოვნი აბრეშუმის უძველესი ნიმუში ძვ. წ.-ის III-II ათასწლეულებით თარიღდება. ეარაუდობენ, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში კუნძულ კოსზე, სადაც პარკხვევიას განსაკუთრებული სახე ბინადრობს, მეაბრეშუმეობა ძვ. წ.-ის I ათასწლეულში დამოუკიდებლად წარმოიქმნა. თუმცა მას მსოფლიოს მეაბრეშუმეობის განვითარებაში რაიმე განსაკუთრებული როლი არ უთამაშია. ჩინეთიდან მეაბრეშუმეობა ძვ. წ.-ის II ათასწლეულის მეორე ნახევარში კორეაში გავრცელდა, აქედან კი ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე – იაპონიაში. **ძვ. წ.-ის II ათასწლეულიდან აბრეშუმის იმპორტირება ხდებოდა დასავლეთში საქარავნო ვაჭრობის საშუალებით (ე. წ. დიდი აბრეშუმის გზა). ის გაივლიდა შუა აზიას, წინა აზიას და ბოლოს მთავრდებოდა აღმოსავლეთ ევროპაში. მეაბრეშუმეობა შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ახ. წ.-ის V-VI საუკუნეებში განვითარდა.** ბიზანტიაშიც ამავე პერიოდიდან გავრცელდა. ახ. წ.-ის I-II ათასწლეულების მიჯნაზე ევროპაში მეაბრეშუმეობის ცენტრად ვენეციის რესპუბლიკა იქცა, შემდეგში კი მეაბრეშუმეობას ევროპის ბევრი ხალხი ეზიარა.

მეაბრეშუმეობა შემდეგ წარმოებით პროცესებს მოცავს: თუთის ხის გაზრდა, აბრეშუმის ჭიის კვერცხის (გრენის), ე. ი. პარკხვევიას კვერცხის წარმოება, აბრეშუმის ჭიის კვერცხის (გრენის) გაცხოველე-

ბა (ინკუბაცია), მუხლუხას გამოკვება, პარკის პირველადი დამუშავება. ბევრ ქვეყანაში მეაბრეშუმეობა ერთი ტიპისაა. მაგრამ ბუნებრივი და ეთნიკური ფაქტორებიდან გამომდინარე ზოგიერთ რეგიონებს თაიესებურებებიც ახასიათებს. მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში გრენს (აბრეშუმის ჭიის კვერცხს) სითბოში (მატყლში, ნაგავში, ნაკელში) გააცხოველებდნენ, ჭიას კი ან პირდაპირ იატაკზე კვებავდნენ ან დამხმარე ნაგებობებში (საცხოვრებელი ოთახი, სხვენი, დერეფანი, ფარეხი ბოსელი, მარანი, მღვიმე).

მეაბრეშუმეობას ძირითადად ქალები და ბავშვები მისდევდნენ, თანაც ზოგან მხოლოდ გასათხოვარი ქალები (მაგალითად, სომხეთში). ძველად აბრეშუმის ტანსაცმელი დიდებულთა ატრიბუტს წარმოადგენდა, ზოგან არისტოკრატიაც არ თაკილობდა თვით ყოფილიყო მეაბრეშუმეობაში დასაქმებული. მაგალითად შეიძლება ჩინეთის იმპერატორთა ცოლები დავასახელოთ; ისინი ამით თავიანთ ქვეშევრდომებს მაგალითს აძლევდნენ. მეაბრეშუმეობასთან არაერთი რიტუალი და აკრძალვა იყო დაკავშირებული, რითაც ცდილობდნენ აბრეშუმის ხარისხის გაუმჯობესებას.

§ 15. განათება და გათბობა. ადამიანები სანათ საშუალებად, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, პალეოლითის დროიდან ძირითადად კოცონსა და ცეცხლმოკიდებულ ტოტებს იყენებდნენ, გვიან კი – კერას. ადამიანებისათვის სიბნელეში გაგნების საშუალება კვარიც იყო, რომელსაც, ჩვეულებრივ, დიდი სისქის ხეების დაპობის შემდეგ იღებდნენ. ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანებში არქეოლოგები პოულობენ ე. წ. კერამიკულ სასაკმეველეებს. ვარაუდობენ, რომ საკულტო დანიშნულების გარდა, ისინი ადამიანებს გასანათებლადაც შეეძლოთ გამოეყენებინათ. ლამპრებად, სანათებად გამოიყენებდნენ ჭურჭლის (დოქის, ქოთნის) ნამტვრევებსაც, რომლებშიც პატარა ცეცხლი ენთოთ. ბევრი ხალხის საცხოვრებლებში დღის შუქი შედიოდა სარკმლებიდან, კარებიდან, ბოლის გასასვლელიდან. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში სახლი ნათდებოდა ჭერსა და კარებზე დატანებული ნახვრეტებიდან. შუა საუკუნეების ქალაქურ სახლებში კი ქარსიანი ფანჯრები ჰქონდათ.

ფანჯრის მინების ფართოდ გამოყენება მხოლოდ XVIII საუკუნეში დაიწყეს. აღმოსავლეთ აზიაში ფანჯრის ჩარჩოებს გაქონილ (გაპოხილ) ქაღალდებს ჰკიდებდნენ.

საბერძნეთის ისტორიის კლასიკურ პერიოდში ანათებდნენ ჩირაღდნების საშუალებითაც, რასაც ნნელისაგან ამზადებდნენ – ის ფისით, კუპრით ან ცვილით ჰქონდათ გაჟღენთილი. მათ მეტალის სადგამებზე დგამდნენ. ხშირად ჩირაღდნებს თასის ფორმის ჭურჭლებშიც ათავსებდნენ. უკვე ბერძნულ-რომაულ ეპოქაში გავრცელდა თიხის სანათებლები, რომლებშიც ზეთი ჰქონდათ ჩასხმული. ასეთ სანათებლებში მცენარეული ან ქსოვილის პატრუქი ინვოდა. ანტიკურ ეპოქაში გამოიყენებდნენ ქონის, ცვილისა და ფისის სანთლებს. ევრაზიისა და ამერიკის უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხებში გავრცელებული იყო ხის ლამფა, რომლის პატრუქიც ცხიმს ნვავდა და რომელიც მხოლოდ მკრთალ, კვამლიან სინათლეს იძლეოდა. ჩრდილოეთის ხალხებს გასანათებელი კვარი და ჩირაღდანი საიმედო სადგარზე ანდა ნყლის რეზერვუარში

ჰქონდათ ჩადგმული, რათა გადავარდნილ ნაპერწკალს ცეცხლი არ გაეჩინა. დღემდე ჰინდიყუშისა და ყარაყორუმის ხალხებში გავრცელებულია ბამბის პატრუქიანი თიხის სანათები (ლამპრები), რომლებიც შეკვსებული აქვთ მცენარეული ზეთით. საერთოდ, გლეხურ სოფლის ყოფაში განათების სფეროს ინდუსტრიული პროდუქცია (ასანთი, სანთელი, ნავთის ლამპა), ჩვეულებრივ, ადრე შეიჭრა. XIX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა გაზის სანათები, რომლებიც მხოლოდ დიდი ქალაქებისათვის იყო ხელმისაწვდომი, XIX საუკუნის ბოლოდან კი – ელექტრონული განათების საშუალებანი, რომლებიც სწრაფად გავრცელდა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სოფლების ყოფაში.

გასათბობად ცეცხლს ადამიანები უძველესი დროიდან იყენებენ. კოცონი და კერა ყოველთვის იყო საცხოვრებლის ცენტრალური ნანილი. პრიმიტიულ კოცონზე არა მხოლოდ საჭმელს ამზადებდნენ, არამედ მის ირგვლივ თბებოდნენ კიდეც. გასათბობად იყენებდნენ შეშას. ის უძველესი გასათბობი საშუალებაა. დადასტურებულია ნეოლითის ეპოქაში ტორფის, მერქნის (ხე-ტყის), ხოლო ნახშირითა და მცენარეულით ღარიბ რეგიონებში კი ცხენის, ძროხის, თხის გამომშრალი ნაკელის (ნივის) გამოყენება. არქტიკულ და სუბარქტიკულ რაიონებში წვავდნენ ქონგადასხმულ ძვალს.

მინერალური სათბობი – ქვანახშირი და ნავთობი სათბობად პირველად შუა აზიის ურბანისტულ კულტურებში გამოიყენეს.

მახლობელ აღმოსავლეთში თორნის მსგავს პურის საცხობს გასათბობად ნეოლითის ეპოქიდან იყენებდნენ. თბებოდნენ აგრეთვე ღია კერაზე, სადაც საჭმელებსაც ამზადებდნენ. ადრევე დაუნყიათ თიხის პატარა ღუმელების დამზადება. საყურადღებოა, რომ კერა თითქმის ყველა ხალხში საცხოვრებლის საკრალური ცენტრიც იყო. ის ოჯახის სულების სამკვიდრებლადაც იყო მიჩნეული. ბრინჯაოს ეპოქაში ინდოეთში, მესოპოტამიაში, საბერძნეთსა და რომში გასათბობად იყენებდნენ მაყალს, რომელსაც ხის ნახშირით ავსებდნენ – ის კვამლს არ უშვებდა. ცენტრალური გათბობის სისტემა ძვ. წ.-ის I საუკუნეში ძველ რომში გამოიგონეს. მას გიპოკაუსტის სისტემას უნოდებენ. ის იყო იატაკქვეშა კვამლსადენი. სისტემას თავდაპირველად საზოგადოებრივ აბანოებში იყენებდნენ, შემდეგ კი – ქალაქის სახლების გასათბობად. გამთბარი და გაცხელებული ჰაერი ანეული იატაკის ქვეშ და კედლებში დატოვებულ სიცარიელეში გადიოდა. აღმოსავლეთ აზიის ხალხებში ცნობილი იყო კედლებში მონყობილი კვამლსადენი, რომლებშიც ცხელი კვამლი კედლებში არსებული საცეცხლეებიდან შედიოდა. მათზე მონყობილი იყო ფართო სანოლები. ამ სისტემას აღმოსავლეთის ხალხები „კანს“ უნოდებდნენ. „კანის“ ქვეშ გამავალი თბილი ჰაერი და ბოლი ათბობდა საცხოვრებელსაც და უშუალოდ სანოლსაც. ასეთი ტიპის გამათბობლები ჰქონდათ კორეელებს, იაპონელებს. გარდა ამისა, იაპონელებს ჰქონდათ განსაკუთრებული მაყალი (ჰიბატი), რომელსაც აკეთებდნენ როგორც ლითონისაგან, ისე თიხისა და ფაიფურისაგან. მას ნახშირით ავსებდნენ. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხები გასათბობად იყენებდნენ ბუხრებს.

§ 16. ვარცხნილობა. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ვარცხნილობა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. მეცნიერებს დაუკ-

ნილი აქვთ, რომ ვარცხნილობის ტიპები განისაზღვრებოდა ეთნიკურობით, სქესით, ასაკით, სოციალური სტატუსით, კლიმატით და ა.შ. შემჩნეულია აგრეთვე ვარცხნილობის დამოკიდებულება ტანსაცმლის ტიპებზე. მაგალითად, სადღესასწაულო კაბას, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ვარცხნილობაც შეესაბამება. ვარცხნილობაზე გავლენას ახდენს რელიგიური განანესიც (მუსლიმი ხალხების მამაკაცების უმეტესობა თავს მთლიანად იპარსავს; ასევე იქცევიან ბუდისტი ბერები. ინდოელ სიქხებს კი, პირიქით, რელიგია თმების შეკრეჭის უფლებას არ აძლევს).

ნეოლითური სადგომების არქეოლოგიური მონაპოვრები (ძვლის სავარცხლები, სარჭები, თმის ჩხირები, თმის სამაგრები) მეცნიერებს ავარაუდებინებს, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ადამიანები ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ გარეგნობასა და ვარცხნილობას. ძველი ეგვიპტელების აკლდამების მოხატულობა და სკულპტურული პორტრეტები წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი მამაკაცებისა და ქალების ვარცხნილობის სხადასხვა სახეების შესახებ. მაშინ ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის პარიკებსაც. დახვეწილობით გამოირჩეოდა ძველბერძენ და ძველრომაელ ქალთა ვარცხნილობა. ასევე რთული და მრავალფეროვანი იყო ვარცხნილობა ძველ და შუა საუკუნეების ინდოეთში, ეს განსაკუთრებით ქალების ნაწნავების შესახებ ითქმის.

ისევე როგორც ტანსაცმელში, ვარცხნილობაშიც ასახული იყო შესაბამისი ეპოქის საზოგადოების ესთეტიკური შეხედულებები. ევროპულ ფერნერულ პორტრეტებში ძირითადად ბაროკოს სტილის ქალებისა და მამაკაცების ვარცხნილობებია აღბეჭდილი. ესაა მედიდურად დამშვენებული ფუმფულა დალალები, კულულები, შინიონები, პარიკები. კლასიციზმის პერიოდის ვარცხლობა კი ხაზების სიმკაცრითა და დახვეწილობით გამოირჩეოდა.

მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში არსებობდა და დღემდე არსებობს თმებთან დაკავშირებული ბევრი ცრურწმენითი თქმულება. ბევრი მათგანის მიხედვით, თვით ცხოვრება თმებს ემყარება ან კიდევ ის ღმერთებისა და სულების სამკვიდრებელს წარმოადგენს, ამიტომაც თმებს გულმოდგინედ უნდა მოვუაროთ და ყველაფრით მოვრთოთ. ფრანკ მეფეებს ბავშვობიდან თმების შეჭრის უფლებას არ აძლევდნენ – თმების შეჭრა, თუგინდ კულულების შეკვერცხლა სამეფო ტახტზე უარის თქმას ნიშნავდა. ასევე არ იკრეჭდნენ თმას რისამე აღთქმის მიმცემი ადამიანები მანამ, სანამ დანაპირებს არ შეასრულებდნენ. მარკიზის კუნძულების მცხოვრებნი, ახლო ნათესავის მკლელობის შემთხვევაში, აღთქმას დებდნენ და გადაპარსული თავის კინკრიხოზე თმის კულულს იტოვებდნენ და მას სისხლის აღებამდე ატარებდნენ. ძველად ბევრი ხალხი თმების შეჭრის დროს რიტუალებს ატარებდა, რომელთაგან არაერთი დღესაც შემორჩენილია.

შუა საუკუნეების ევროპაში მიიჩნევდნენ, რომ კუდიანებისა და ჯადოქრების ძალა მათ თმებში იყო შენახული. ამიტომ კუდიანობასა და ჯადოქრობაში დადანაშაულებულ ადამიანებს თმებს ჭრიდნენ.

უძველესი დროიდან, ვარცხნილობით გარკვეული ასაკობრივი კატეგორიისადმი მიკუთვნებულობასაც არკვევდნენ. ძალიან ბევრ ხალ-

ხში წესად იყო მწუხარე ქალების მიერ თმების გაშლა. ასევე არსებობდა თმების შემჭრელთა და ვარცხნილობის გამკეთებელთა პროფესიები. ინდოეთში დალაქთა მთელი კასტაც კი არსებობდა. მათი სამუშაოს შესრულება სხვას არავის შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პიროვნება თავის კასტობრივ მიკუთვნებულობას დაკარგავდა. დღეისათვის ბევრ ქვეყანაში ვარცხნილობამ ეთნიკური სპეციფიკა დაკარგა, ეს განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებზე ითქმის.

§ 17. სხეულის (ტანის) მოვლა. სხეულის მოვლა მთელ რიგ პიგიენურ წესებს მოიცავს, მაგრამ ბევრად უფრო მეტს, ვიდრე პიგიენისა და კოსმეტიკის თანამედროვე კომპლექსებია. სხეულის მოვლა მხოლოდ მისი ანატომიური საზღვრებით არ შემოიფარგლება; მას ეთნიკური კულტურის თვალსაზრისითაც განიხილავენ. სხეულის მოვლაში ჩანდა და ჩანს ეთნიკურობა, გვარტომობრიობა, სოციალური მდგომარეობა, ასაკობრივი სტატუსი. აღსანიშნავია მასთან დაკავშირებულ რიტუალებში მონანილეობა.

არაევროპელთა ტრადიციულ კულტურებში გარეგნობასა და სხეულის ფიზიკურ სრულფასოვნებას, მასთან დაკავშირებულ რიტუალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ინდუიზმში ფიზიკური არასრულყოფილება დასჯად ითვლებოდა. ძალიან ფასობდა ფიზიკური სილამაზე ძველ საბერძნეთში. ძველ რომში ვესტალები (ქურუში ქალები) მხოლოდ ფიზიკურად უნაკლო გოგონები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში ძალიან ხშირად უარყოფითი პერსონაჟები ფიზიკურად არასრულყოფილი ადამიანები არიან. თუმცა ეს ხშირად ხთონურ სიძლიერესთან, განსაკუთრებულ წარმოდგენასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, **ძველად რუსეთში მიაჩნდათ, რომ სამეფო ოჯახის წევრებს სხეულზე განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდათ გამოსახული. ასეთივე წარმოდგენა ჰქონდათ ბაგრატიონების შესახებ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთში).** ისინი ღვთაების რჩეულებად მიიჩნეოდნენ და ღვთაების ნიშნით იყვნენ აღბეჭდილნი. ხევსურთა წარმოდგენით „ნანილიანი" ყოფილა თორღვა – ბაგრატიონთა ნაბიჭვარი, რომელსაც ბეჭებზე მზისა და მთვარის ბეჭედი აჯდა, ხოლო მათ შუა ჯვარი ჰქონდა გამოხატული. „ნანილიანები" გამოირჩეოდნენ რაიმე განსაკუთრებული ნიჭით (გონიერებით, სიმამაცით, ჰურადობით, სრულყოფილად ფლობდნენ იარაღს და ა.შ.). ისეთი ფიზიკური ნიშანი კი, როგორიცაა სიბრმავე, შეიძლება რჩეულობისა და სიბრძნის ნიშანი გამხდარიყო. ამ თვალსაზრისით, ჰომეროსის მაგალითის დასახელებაც საკმარისია – გადმოცემით ის უსინათლო იყო.

ფიზიკური სილამაზისა და სრულყოფილების წარმოდგენაზე დიდ გავლენას ადგილობრივი იდეალები და გემოვნება ახდენდა. ოკეანიის ზოგიერთი ხალხის ბელადი ძალიან სრული (მსუქანი) უნდა ყოფილიყო; მათ სპეციალურად კვებავდნენ. თანატომელებისაგან ისინი სითეთრითაც გამორჩეულნი უნდა ყოფილიყვნენ. წინა აზიისა და აფრიკის ზოგიერთი ხალხის წარმოდგენით სისრულე და სიმსუქნე სილამაზის ნიშანი იყო. ხოლო უფრო განვითარებულ საზოგადოებებში ქალის გარეგ-

ნულ ჰარმონიულობაში ფიზიკური სილამაზის გარდა გულისხმობდნენ სათანადო მორთულობას, სამკაულებსა და კოსმეტიკურ საშუალებებს.

ადამიანის სხეული ერთგვარი სოციალური ნიშანიც იყო, რომელიც ეთნოლოგიური კვლევის ერთ-ერთი ასპექტიც გახლდათ. მორთულობა, ტატუირება, ვარცხნილობა, ტანსაცმლის ფორმები გვარტომობრივი განსხვავებულობის საშუალებები იყო. ძველად, განვითარებულ კულტურებში გვაროვნული განსხვავება ტანსაცმელსა და მორთულობაში ძირითადად ქალებს შორის იყო შემორჩენილი: ძველ რომში ცინცინატების გვარის ქალები გრძელ თმებს ატარებდნენ, ტორკვატების გვარისანი – ოქროს ძენკვს, ხოლო ატილიელთა გვარისანი საერთოდ არ ატარებდნენ ტილოს ტანსაცმელს. სიცოცხლის ციკლის ორი ისეთი წესჩვეულება, როგორებიცაა ინიციაცია და ქორწინება განსაკუთრებით სხეულსა და გარეგნობას ეხებოდა (თმების შეჭრა, წინადაცვეთა, განსაკუთრებული ვარცხნილობა, ნელსაცხებლების ნასმა. ზოგიერთ ადგილას, მაგალითად იაპონიაში, კბილების გამავება და ქორწინების დროს ქალებისათვის წარბების ამონინკნა). ბევრგან მამაკაცები ძველად (და ახლაც) გლოვის ნიშნად თმებსა და წვერს უშვებდნენ ან იჭრიდნენ. ესა თუ ის გარეგნული ნიშანი სოციალურ მდგომარეობასაც აღნიშნავდა. დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს არ შეეძლოთ გრძელი თმების ტარება. ამ თვალსაზრისით, ძველი ბერძნების, ბრიტანელებისა და თურქთა მონების დასახელებაც საკმარისია. ოკეანიის ხალხებში ქალების მოკლე ვარცხნილობა და კაცების გრძელი თმა დაბალი სოციალური სტატუსის მაჩვენებელი იყო.

სხეულის მოვლის სპეციფიკურ ფორმას მისი დეფორმაცია წარმოადგენდა – საკბეჩი კბილების ამოღება, თითების (უფრო ხშირად ნეკი თითის) მოჭრა, ჩვილობის ასაკში თავის ქალის ფორმის შეცვლა. თავის ქალის დეფორმაცია ფართოდ იყო გავრცელებული ნეოლითსა და ბრინჯაოს ეპოქაში და აქა-იქ ის XIX საუკუნემდე შემორჩა (აფრიკაში, თურქმენებში, ბრეტანსა და ნორმანდიაში).

სხეულის მოვლის განსაკუთრებულ ვარიანტად ითვლება კანზე ნაიარევის აღნიშვნა, რაც ყველაზე მეტად მუქი კანის ხალხებში იყო გავრცელებული (აფრიკელებში, ავსტრალიელებში, ანდამანელებში). სამკაულების გასაკეთებლად გავრცელებული წესი იყო ყურების, ნესტოების, ტუჩების გახვრეტა. აღნიშნული ორგანოების გახვრეტა ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებით ის ქალებში შემორჩა. ტატუირება უფრო ფერადკანიან ხალხებში იყო გავრცელებული. როგორც ბუნებრივი სხეულის შეცვლას, ტატუირებასაც ორი ფუნქცია ჰქონდა – პირველი გვარტომობრივი ნიშანი, მეორე – ასაკობრივი ინიციაციის გავლის მაჩვენებელი. თუმცა ტატუირებას თავის დაცვის რწმენის ფუნქციაც ჰქონდა. კანის შელებვა ეთნოლოგიურ ლიტერატურაში მორთულობის უძველეს ფორმად მიიჩნევა. ავსტრალიელებისათვის საყვარელი ფერი იყო ნითელი (ღამით ჩასატარებელი წეს-ჩვეულებების დროს სხეულზე თეთრ ზოლებს იკეთებდნენ, რასაც მკვლევარები ჩონჩხის გამოხატულებად მიიჩნევენ), ანდამანელებში ყვითელი ფერი იყო გავრცელებული, ძველ ბრიტებში – მწვანე. საერთოდ, ხალხების უმეტესობა უპირატესობას ძირითადად წითელ ფერს ანიჭებდა. ძველი ცივილიზაციის ხალხები (წინა აზია, ეგ-

ვიპტე) ფეხების, ხელისგულებისა და თმების შესაღებად ინას იყენებდნენ. რუსი ქალები ლოყებს ჭარხლის ნვენით იწითლებდნენ. შეღებვას და ტატუირებას ბევრი რამ ჰქონდა საერთო, მაგრამ პირველ მათგანს უფრო მეტად ცხოვრებისეული ძალის, ნაყოფიერებისა და ეროტიკის სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.

სხეულის შეღებვას ბევრი ხალხი ჰიგიენურ მნიშვნელობას ანიჭებდა. როგორც ჩანს, ეს ასეცაა; რადგან, როგორც წესი, საღებავებს ცხიმების საფუძველზე ამზადებდნენ. ჩრდილოეთ აფრიკისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებში თვალების ცისფერი და შავი საღებავებით შეღებვა არა მხოლოდ მორთულობად, არამედ მხედველობის სიმახვილის ერთგვარ საშუალებადაც ითვლება. როგორც გაირკვა, აღნიშნული საღებავები, მართლაც, ტრაქომეას პროფილაქტიკის საშუალებებიცაა.

სხეულის მოვლის მნიშვნელოვანი ნაწილია ჰიგიენური საშუალებები. ტანის ნელსაცხებლები არა მხოლოდ სხეულის სისუფთავის შენარჩუნების საშუალება იყო, არამედ – შინაგან ორგანოებზე მოქმედებისაც. ანტიკურ პერიოდში ასეთად მიიჩნეოდა გულის დასამშვიდებელი მალამო. სხეულიდან მომდინარე კეთილსურნელებას განსაკუთრებული არომატული კოდიც ახლდა. მაგალითად, ძველ საბერძნეთში სასიამოვნო სურნელება თავისუფალი ადამიანებისთვის იყო ნიშანდობლივი. საბერძნეთშივე ვაქხის საპატივცემულო დღესასწაულის მონაწილენი სახეს მურითა და ღვინის თხლით ითხუპნიდნენ.

წყლით დაბანა ყველა ხალხისთვის არ იყო დამახასიათებელი. უფრო მეტად ის ტროპიკებში მცხოვრებ ხალხებს ახასიათებდათ. ევროპაში წყლით დაბანა ანტიკურ პერიოდში გავრცელდა; ის აქ რომაელთა საშუალებით გავრცელდა, ხოლო თვით ანტიკურ სამყაროში ეგვიპტური და კრეტა-მიკენური სამყაროს გავლენის შედეგი იყო. ძალიან ბევრ ხალხში სტუმრის დაბანის ტრადიცია არსებობდა. ინდოევროპელებში მას რიტუალური ხასიათი ჰქონდა. საპნის კულტურა მოგვიანებით გავრცელდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საპნის მოხმარება რომაელებმა გერმანელებისაგან ისწავლეს.

ევროპული ჰიგიენისა და კოსმეტიკის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯვაროსანთა აღმოსავლურ ლაშქრობებსა და ბიზანტიელთა სავაჭრო საქმიანობას. ევროპაში სუნამო აღმოსავლეთიდან გავრცელდა. სპირტის სუნამო მათთვის ცნობილი მხოლოდ XVI საუკუნეში გახდა. თავდაპირველად მას „უნგრულ წყალს" უწოდებდნენ. სუნამოს წარმოებაში პრიორიტეტი იტალიელებს ჰქონდათ, მაგრამ მალევე პირველობა ამ სფეროში მათ ფრანგებმა ჩამოართვეს.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობა აქვს ჰიგიენის დაცვას ისლამის მიმდევარ ხალხებში – ყველა შესასრულებელი წესი აქ მუჰამედის ანდერძად ითვლება. ყველა ეთნოსისათვის დამახასიათებელი ჰიგიენური წესი მდგრადობით გამოირჩევა და მათ ეთნიკურ თვითშეგნებაში განსაკუთრებული როლი აქვთ დაკისრებული. ჰიგიენასთან ბევრი ტრადიციული რწმენაც არის დაკავშირებული: გაზაფხულზე სისხლი ფუჭდება და მისი გამოშვება აუცილებელია; გაცვენილი და მოჭრილი თმები არ უნდა გადაიყაროს; ბავშვი ცაცია რომ არ გამოვიდეს, მას რძე ჯერ მარჯვენა ძუძუთი უნდა მიეცეს და ა. შ.

თემა XXV

სულიერი კულტურა

§1. მსოფლიოს ხალხთა სულიერი კულტურის მრავალფეროვნება. ცნობილია, სულიერი კულტურა გულისხმობს ადამიანის (ეთნოსის) სულიერი მოღვაწეობის ყველა სფეროს: ენას, რელიგიას, მეცნიერებას, ხელოვნებას და ა. შ. ეთნოლოგია სნავლობს მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ სულიერ კულტურას. აღიარებულია, რომ ეთნოლოგია, როგორც მეცნიერება, მოიცავს ყველა ეთნოსის, განურჩევლად მათი განვითარების დონისა, სულიერ კულტურას განვითარების ყველა ეტაპზე, იგი ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ კულტურების ეთნიკური სპეციფიკურობისა და მახასიათებლების შესწავლასა და გამოკვეთას. სულიერ კულტურაში უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩინდება ამა თუ იმ ეთნოსის თვითმყოფადი, განსხვავებული ნიშნები, მათი ტრადიციული ცხოვრების წესის ლოკალური მახასიათებლები. პარალელურად კი იკვეთება ბევრი საერთო ნიშან-თვისებაც, რაც უნივერსალურია მრავალი ეთნოსისათვის. უდიდესი მრავალფეროვნების მიუხედავად, ზოგადსაკაცობრიო კულტურა მაინც ერთიანია, კულტურის ყოველი ელემენტი განსხვავებული ფორმის მიუხედავად თავის იჩენს დედამინის ერთმანეთისაგან ყველაზე დაშორებულ წერტილებსა და ეთნოსებში.

ეთნიკურ კულტურაზე საუბარი შეიძლება დაინყოს უძველესი კულტურების ანალიზით. ცნობილია, რომ ძველ შუმერსა და ეგვიპტეში დასაბამი დაედო ისტორიის იმ ეტაპს, როდესაც უკვე იკვეთება კონკრეტული ეთნიკური ენა და ეთნიკური კულტურა, ანუ უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული ხალხი და სახელმნიფო კონკრეტული, სპეციფიკური სულიერი კულტურით. უკვე ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში ყალიბდება დიდი ცივილიზაციები ახლო აღმოსავლეთსა და ეგეოსის ზღვის აუზში. მკვლევართა შეთანხმებით, კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებაში სამი უმთავრესი მოდელი იკვეთება, რომელთა რეალიზაციას წარმოადგენს ყველა ძველი კულტურა. ეს მოდელებია: შუმერულ-აქადური, ანუ მესოპოტამიური, ეგვიპტური და ეგეოსურ-ელინისტური (რ. გორდეზიანი). ამ ძველ კულტურათა შორისაა ანტიკური სამყაროს კულტურები: ანტიკური ხანის ბერძნების, რომაელების, ეტრუსკების, ქართველებისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხთა ცივილიზაციები, ინდური, ჩინური, სპარსული ცივილიზაციები და სხვ. მკვლევართა დაკვირვებით, შუმერულ-აქადურ, ანუ მესოპოტამიურ (შუმერულ, აქადურ, ბაბილონურ, ხეთურ, ასირიულ და წინააზიის სხვა კულტურებში) კულტურაში უკვე იკვეთება სულიერი კულტურის უმთავრესი მონაპოვარი – დამწერლობა, დამწერლობის ლურსმული, მარცვლოვანი სისტემა, ასევე მითოლოგიური სახეები და სიუჟეტების

დიდი ნაწილი, შემდგომში მთელ მსოფლიოში გავრცელებული და სხვადასხვა ხალხში ინვარიანტული თავისებურებებით ნარმოდგენილი. შედარებით ნაკლები უნივერსალურობით ხასიათდება ეგვიპტური მოდელი – იგი მხოლოდ ეროვნული, ანუ ეთნიკური თვითმყოფადობის ნიშნით არის გამორჩეული. ეგვიპტური სულიერი კულტურა გამოვლენილია ეგვიპტურ იეროგლიფებში, მითოლოგიასა და რელიგიაში. ეგეოსურ-ბერძნული მოდელი კი გამორჩეულია, განსხვავებულია მესოპოტამიური და ეგვიპტური მოდელებისაგან, მსოფლაღქმებისაგან, აქ მითებს მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების უმნიშვნელოვანესი ელემენტებიც ერწყმის (რ. გორდეზიანი). მოდელი ცნობილია უმნიშვნელოვანესი მონაპოვრებით სულიერი კულტურის სფეროში (ბერძნული ეპოსი, დამწერლობა, ხელოვნება...). ქართული ეთნოსიც მსოფლიოს უძველეს ხალხთა შორისაა. ქართულ დამწერლობაზე (ქართული ენა), ქართულ ერთიან იდენტობასა (ქართველი) და ქართულ სახელმწიფოზე (საქართველო) საუბარი დაახლოებით 25 საუკუნოვან პერიოდს მოითვლის. ამიტომ ქართული ეთნოლოგიის სულიერი კულტურის მკვლევარს კვლევის უსაზღვროდ ვრცელი და ხანგრძლივი არეალი აქვს. ცხადია, ეთნოლოგიის კვლევის არეალში შემოდის ყველა სხვა ეთნოსის სულიერი კულტურაც.

ეთნიკური სულიერი კულტურის თვითმყოფადობა განსაკუთრებული სიცხადით ეთნოსის ენაშია გამოხატული. ხშირად ერთ ენაზე რამდენიმე ეთნოსი ლაპარაკობს, მაგრამ ეთნიკური განსხვავებულობა თავის დაღს ასვამს ამ ერთ ენას და იგი აისახება ენის ლექსიკურ ფონდზე, ფონეტიკაზე, გრამატიკულ წყობაზე. მაგალითად, ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ასეთი ხასიათის განსხვავებები შეინიშნება ინგლისურენოვან ინგლისელებსა და ავსტრალიელებს, ესპანურენოვან ესპანელებს, მექსიკელებსა და კუბელებს, არაბულენოვან ალჟირელებსა და ეგვიპტელებს და ა. შ. შორის. ამიტომ ეთნიკური ენა, დამწერლობა, მხატვრული ლიტერატურა არის მეტად სპეციფიკური და ეროვნული //ეთნიკური სულიერი კულტურის გამომხატველი.

ეთნიკური სულიერი სპეციფიკა იკვეთება რელიგიაშიც. მაგალითად, ქართველებმა, რომლებიც უკვე მოციქულთა ხანიდან ეზიარნენ ქრისტიანულ რელიგიას, ამ რელიგიას საკმაოდ სპეციფიკური, ეთნიკური ქართული შეფერილობა მიანიჭეს. თუნდაც მთავარმონამე წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ორი დღეობა განვიხილოთ. ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავდა, რომ ამ წმინდანს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართველთა სულიერ გრძნობებში და რომ ბერძნებისაგან განსხვავებით, ქართველები ერთგულად აღნიშნავენ მთავარმონამისადმი მიძღვნილ ორ დღესასნაულს (საბერძნეთში მხოლოდ ერთი აღინიშნება). ქართულ მართლმადიდებლურ ტრადიციაში დიდი ადგილი უკავია წმ. ნინოს და იგი ერთგვარად ეროვნულ წმინდანად არის აღქმული (მიუხედავად წმ. ნინოს კაბადოკიური წარმომავლობისა) და ა.შ.

ეთნოლოგიური მეცნიერება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დიდი მონოთეისტური, რელიგიამდელი რწმენა-ნარმოდგენების გამოვლენასა და შესწავლას. ამ დროს მკვლევარი ეყრდნობა არქეოლოგიურ მონაპოვარს (ეთნოარქეოლოგია), მითოლოგიას, წერი-

ლობით წყاროებსა და სხვ. დადგენილია, რომ უძველესი რწმენა-წარმოდგენები ვლინდება აგრარულ დღესასწაულებში, რომლებიც ყველა მინათმოქმედი ხალხის ტრადიციულ ყოფაში ფიქსირდება. ამ კუთხით, წლიურ კალენდარულ ჩვეულებათა და რიტუალთა, დღეობათა და რწმენა-წარმოდგენათა შორის გამოიყოფა მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების ციკლი (მაგ., ძველაღმოსავლური ოსირისა, ბერძნული ადონისი....). იგი მომდინარეობს უძველეს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული კულტებისგან, რომლებიც სიმბოლურად გასახიერებენ მცენარის (მაგალითად, ხორბლის ყანის) ზრდის პროცესს (ჯ. ფრეზერი). ცალკე გამოკვეთილია სხვა აგრარული კულტები, მაგალითად, ნაყოფიერებისა და სხვა. ხოლო რუსი მეცნიერი ვ. პროპი, რომელმაც შეისწავლა რუსული აგრარული დღესასწაულები, აგრარული კულტურების დასაბამს მიცვალებულებისა და წინაპრების კულტში ხედავდა. ასევე მსოფლიოს მრავალ ხალხში არსებობდა „სულთა მობრძანებისა და მათდამი გამასპინძლების წესი“ (თუნდაც კელტებში), ამ უძველესი რწმენა-წარმოდენის გამოძახილი უნდა იყოს ქართველებში (სვანეთში) არსებული ე. წ. ლიფანალის ციკლი... ანუ ეთნიკური სპეციფიკისა და უნივერსალური წეს-ჩვეულებების გადაკვეთის ყველაზე რეალური ნერტილი ხალხური დღესასწაულებია. ეთნიკური მახასიათებლები და ზოგადი ნიშნები სწორედ დღეობა-დღესასწაულთა ანალიზისას იკვეთება. მსოფლიოს ხალხთა რწმენა-წარმოდგენების კლასიფიკაცია გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის სადღესასწაულო ციკლების შესაბამისად. დღესასწაულთა არქაული ფორმები, ცხადია, ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი განვითარებისა და მონოთეისტური რელიგიების მქონე ქვეყნებში თანდათანობით გაქრა, მაგრამ გარკვეული რწმენა-წარმოდგენები, ბუნებრივია, ტრანსფორმირებული და მოდიფიცირებული სახით, თვით დღევანდელ ევროპულ ეთნოსებშიცაა შემონახული. შენიშნულია, რომ ზაფხულისა და შემოდგომის აგრარული დღესასწაულები (მთელ ევროპაში) ნაკლებად არის დაკავშირებული საეკლესიო (ქრისტიანულ) კალენდართან, ამიტომ ამ დღეობებში შემონახულია წინარექრისტიანული კულტებისა და რწმენა-წარმოდგენების ტრანსფორმირებული სახეები და ფორმები. ცხადია, ეს დღესასწაულები სხვადასხვა ეთნიკურ კულტურაში მეტ-ნაკლები სახესხვაობით ვლინდება, მაგრამ არსი ევროპის ყველა ეთნოსში თითქმის ერთნაირია, ყველგან მეორდება რიტუალებისა და რწმენა-წარმოდგენების ძირითადი ელემენტები. მაგალითად, მთელ ევროპაში აღინიშნება საზაფხულო დღესასწაული, რომელიც ქრისტიანული კალენდრით იოანე ნათლისმცემელს უკავშირდება. ეთნოლოგები ამ დღეობის ნაირსახეობაში ბევრ არქაულ ელემენტს აფიქსირებენ და მის გენეზისს უკავშირებენ ზაფხულის მზის დადეგობას. ამ დღეობას ევროპის ყველა ქვეყანაში აღნიშნავენ და მისი ძირითადი სარიტუალო ელემენტები – რიტუალური კოცონი, ანთებული ძირითადად მთებსა და მაღლობებზე, წყლისათვის მინიჭებული დიდი ძალა – წყლის მაცოცხლებელი ძალის ხაზგასმა, ფართოდ გამოყენება მცენარეებისა, ძირითადად ყვავილებისა; ხალხური მედიცინის მცოდნენი სწორედ ამ დღეს აგროვებენ სამკურნალო მცენარეებსა და სხვა. ეს ტრადიცია უნივერსალურია მთელი ევროპისათვის.

ეთნიკური სულიერი კულტურების სპეციფიკური და უნივერსალური ნიშნები მოჩანს სულიერი კულტურის ყველა სფეროში, თუნდაც ფოლკლორში. აქვე უნდა ითქვას, რომ ფოლკლორს განსაკუთრებული ადგილი უკავია პიროვნების ადრეული სოციალიზაციის პერიოდში, როდესაც ბავშვი შეიმეცნებს ეთნიკური სულიერი კულტურის ელემენტებს. ბავშვი ამ დროს ძირითადად ოჯახშია, ხალხური ზღაპარი, სიმღერა თუ ცეკვა მოსმენილი და შესწავლილი ბავშვობაში, ამ ეტაპზევე აზიარებს მას თვითმყოფად ეთნიკურ კულტურასთან. ფოლკლორი, რელიგიური რიტუალი და სხვ. ადრიდანვე აბამს ბავშვს ტრადიციული ცხოვრების მდინარებაში და, ბუნებრივად, თავისთავად უყალიბებს მას ეთნიკურ ცნობიერებასა და ტრადიციული ცხოვრების წესისადმი პატივისცემასა და თანაზიარების გრძნობას.

ფოლკლორის ძირითადი ელემენტები (ლეგენდა, გადმოცემა, ეპოსი, ზღაპარი, სიმღერა, ცეკვა...) დიდი სპეციფიკურობით ხასიათდება, მაგრამ არის უნივერსალური ფაბულები და სიუჟეტები, რომლებიც გამოვლენილია ერთმანეთისაგან დიდი გეოგრაფიული და კულტურული მიჯნებით დაცილებულ ხალხებში.

ეთნიკური კულტურის სხვადასხვა ელემენტი – ეროვნული ხასიათი, მენტალობა, ტემპერამენტი – განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ეროვნულ ცეკვებსა და სიმღერებში. ტრადიციული ცეკვები და სიმღერები ჟანრობრივადაც მრავალფეროვანია: საწესო-რიტუალური, საისტორიო (საგმირო ეპოსი, ბალადები...), სახუმარო-იუმორისტული და სხვა. მნიშვნელოვანია ცეკვების ექსპრესიულობა, რითაც მნახველს გარკვეული წარმოდგენა ექმნება ამ ცეკვების შემქმნელი ეთნოსის ეთნიკურ ხასიათსა და ტემპერამენტზე. მაგალითად, განსაკუთრებული ექსპრესიით სრულდება ესპანური და ქართული ცეკვები, რაც განსხვავდება შვეიცარული და გერმანული ხალხური ცეკვებისაგან და ა. შ. ბუნებრივია, ეთნიკური სულიერი კულტურის სპეციფიკურობა ჩანს მუსიკაშიც. მაგალითად, თუ მსოფლიოს ხალხთა ევროპული ნაწილი შვიდ მუსიკალურ ნოტს იყენებს, ოკეანის ხალხები და აზიის მოსახლეობის ნაწილი – მხოლოდ ხუთ ნოტს იცნობს. მკვეთრი ეთნიკური ხასიათით გამოირჩევა ხალხური სიმღერებიც. მსოფლიოს ეთნიკური მრავალფეროვნება ამ შემთხვევაში თითქმის ამოუწურავია. ხალხური სიმღერები ერთმანეთისაგან განსხვავდება ხმიანობით, შესრულების მანერით, დანიშნულებით და ა. შ. ზოგიერთი ეთნიკური კულტურა იცნობს უამრავ ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტს, ზოგიც – ცოტას. ზოგიერთი ეთნოსისათვის დომინანტურია სასულე და სიმებიანი საკრავები, ზოგი უპირატესობას დასარტყამ ინსტრუმენტებს ანიჭებს.

ეთნიკური ხელოვნების მრავალფეროვნება და მკვეთრი სპეციფიკურობა ხშირად ინვევს საშიშროებას, რომ მოუმზადებელმა მსმენელმა//მაყურებელმა იგი სათანადოდ ვერ აღიქვას. გარკვეული წინასწარი ცოდნის დაგროვების გარეშე, შესაძლოა, ევროპელმა მაყურებელმა ვერ გაიგოს და გაიაზროს, ვთქვათ, იაპონური თეატრის „ნო"-ს წარმოდგენები. ამ დროს საჭიროა ცოდნა იაპონური ენის, იაპონური ეთნოგრაფიის, იაპონელის ყოველდღიური ქცევის წესების, მისი ჟესტების მნიშვნელობისა და დანიშნულებისა. ცხადია, აქ ეთნიკური კულ-

ტურის პირობითი ენაა მთავარი და სწორედ ამ კუთხითაცაა ეთნოლოგია მეცნიერების უაღრესად პერსპექტიული დარგი.

ეთნიკური სულიერი კულტურის განსხვავებულობა იკვეთება თვით სილამაზის აღქმაშიც. ამ მხრივ, ევროპის ხალხთა შორის ნაკლები განსხვავება შეინიშნება. მაგრამ მკვეთრი სპეციფიკურობით გამორჩევა სხვა კონტინენტებზე მცხოვრები ეთნოსები. მაგალითად, ცნობილია, რომ სამხრეთ ამერიკაში არსებული ინკური ცივილიზაცია თავისებურ ფორმებს აძლევდა ახალშობილის თავის ქალებს: ახალშობილს სპეციალური სახვევით უხვევდნენ თავს და მას თანდათანობით განსაკუთრებულ ფორმას უყალიბებდნენ. ამავე მიზნისათვის მექსიკელი ინდიელები ორ პატარა ფიცარს იყენებდნენ. ზოგიერთი ხალხის ეთნიკური კულტურა მიმზიდველად თვლიდა ფართო ცხვირს, ფერად კბილებს და სხვა. მაგალითად, აფრიკის ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი კბილებს შავად ან წითლად იღებავდა, ზოგან ხელოვნურად ზრდიდნენ კისრის სიგრძეს, გოგონებს სპეციალურ რგოლებს ჩამოაცმევდნენ, ამ რგოლების რაოდენობას ყოველწლიურად ზრდიდნენ, საბოლოოდ კი ქალის კისრის სიგრძე გასაოცარ ზომებს აღწევდა. ცნობილია, აგრეთვე, ჩინური ჩვეულება – იქ ხელოვნურად აფერხებდნენ გოგონების ფეხის (ტერფის) სიგრძის ზრდას. ტერფი უნდა ყოფილიყო არაუმეტეს მ-10 სანტიმეტრისა. ოკეანიის ხალხები სილამაზისათვის კბილებს იმტვრევდნენ ბავშვობაში ან სრულწლოვანების დადგომისას და ა. შ.

ეთნიკური სულიერი კულტურის განსხვავებულობა გამოვლენილია ეთნოსთა სულიერი ყოფის ყველა სფეროში. განსაკუთრებულია ქორწინებისა და დაკრძალვის წესები, საოჯახო და ნათესაური ურთიერთობები, აღზრდის წესები და სხვა, ანუ სულიერი ყოფის ყველა სფერო, რომელიც ეთნიკურ სულიერ კულტურას გამოხატავს, ეთნოლოგიური მეცნიერების შესწავლის სფეროა. კულტურული განსხვავებულობის დაძლევის, კულტურათაშორისი დიალოგის გამართვისა და წარმართვის თვალსაზრისით ამ მეცნიერებას ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია.

§2. დიდი რელიგიები, როგორც სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი გამოხატულება. რელიგიებმა არა მხოლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ხალხთა ეთნიკურ განვითარებაში, არამედ განსაზღვრეს ეთნიკური კულტურის ხასიათიც; ბევრი ეთნოსის ყოფა, ტრადიციები, ნეს-ჩვეულებები სწორედ რელიგიებითაა განპირობებული. დიდი რელიგიების წარმოქმნამდე თუ ყველა ეთნოსს თავისთვის დამახასიათებელი ორიგინალური რწმენ-წარმოდგენები ჰქონდა, შემდეგ სულიერი კულტურის ამ სფეროში ვითარება რადიკალურად იცვლება, განსაკუთრებით ეს შეიძლება მსოფლიო მონოთეისტური რელიგიების – ქრისტიანობის, ბუდიზმის, ისლამის – საყოველთაო გავრცელების შემდეგ ითქვას. აშკარაა, რომ აღნიშნული რელიგიების სხვადასხვა ეთნოსებში გავრცელებამ ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში სულიერი კულტურის საერთოობა შექმნა. მეცნიერები ხშირად ცივილიზაციებს ამ ნიშნებითაც კი ყოფენ ერთმანეთისაგან. მაგალითად, ხშირად საუბრობენ ქრისტიანულ, მუსლიმურ ცივილიზაციებზე, უფრო მეტი – ამ ცივილიზაციებს კონფესიების მიხედვითაც კი ყოფენ – დასავლეთ-ევროპული ცივილიზაცია კათოლიციზმთან და პროტესტან-

ტიზმთან ასოცირდება, აღმოსავლეთ-ევროპული ცივილიზაცია კი – მართლმადიდებლობასთან.

ა. ზოროასტრიზმი. ზოროასტრიზმი ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა. იგი წინასწარმეტყველ ზარათუშტრას (ზოროასტრის) სახელს უკავშირდება (ზარათუშტრა რეალურ პიროვნებად მიიჩნევა). ამ რელიგიის გაჩენის თარიღად ძვ. წ.-ის II ათასწლეულის ბოლო მიიჩნევა. ზოროასტრიზმი ირანის მთიანეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა და გავრცელდა წინა აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, ასევე სამხრეთ კავკასიაში. ძვ. წ.-ის IV საუკუნიდან ახ. წ.-ის VII საუკუნემდე (ისლამის გავრცელებამდე) ზოროასტრიზმი იყო ძველი სპარსეთის იმპერიების ძირითადი რელიგია. ზოროასტრიზმში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება, სამართლიანობა, ერთგულება, სიმამაცე, სიკეთე, წესიერება და კეთილგონიერება, ასევე სიტყვის ერთგულება. ზოროასტრიზმისთვის დამახასიათებელია ბუნებასა და ცხოველთა სამყაროზე ზრუნვა და განსაკუთრებული დამოკიდებულება ოთხი სტიქიის: ცეცხლის, წყლის, მიწისა და ჰაერისადმი. ცეცხლს თაყვანს სცემენ, როგორც განმწმენდ ძალას. გარდაცვლილებს მარხავენ განსაკუთრებულ „მდუმარების კოშკებში", მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება სხეულის არც მიწაში დამარხვა, არც დაწვა. სნამთ სულის უკვდავება, იმქვეყნიური ცხოვრება და სამყაროს აღსასრული. ზოროასტრიზმის წმინდა წიგნია ავესტა, რომელიც რამდენიმე ნანილისაგან შედგება (იასნები, იაშტები, ვისპრედი, ვიდევდატი და ჰორდა ავესტა).

ზოროასტრიზმი მკვეთრად გამოხატული დუალისტური რელიგიაა. უზენაესი ღვთაებაა აჰურა-მაზდა (ორმუზდი). მისი სახელის მიხედვით ზოროასტრიზმს მაზდეანობასაც უწოდებენ. ზარათუშტრა ნინასწარმეტყველია, რომელსაც გამოეცხადნენ ღმერთები და როგორც აპურა-მაზდას შუამავალმა იქადაგა ახალი რელიგია. აპურა-მაზდა – „სიბრძნის მპყრობელი", „ღმერთი ყოვლადბრძენი", შემოქმედი ღმერთია. მას უკავშირდება ღვთაებრივი სამართლიანობა და ნესრიგი (აშა), კეთილი სიტყვა და კეთილი საქმე. აპურა-მაზდა ქურუმის სახით გამოიხატებოდა. იგი ქმნის სამყაროს ფიქრის ძალით და ითხოვს სულიერ თაყვანისცემას, ლოცვებს „წმინდა ცეცხლის" პირას. მსვერპლშენირვის ხერხებიდან გამოიყენებოდა ხაომისა და რძის შერევით მიღებული სითხის შენირვა.

ზოროასტრიზმის მიხედვით, მსოფლიო განვითარება ორი საწყისის – სიკეთისა და ბოროტებას შორის ბრძოლის პროცესია. აპურა-მაზდას, სიკეთისა და სინათლის მეუფეს უპირისპირდება ანგრა-მანიუ (აპრიმანი) – ბოროტებისა და წყდიადის მეუფე. მას ახლავს ბოროტი სულები – დევები. აპურამაზდამ სპენტა-მანიუს (წმინდა სულის) დახმარებით შექმნა ექვსი „უკვდავი წმინდანი": ვოჰუ-მანა (კეთილი აზრი, საქონლის მფარველი); აშა-ვახიშტა (ჭეშმარიტება, ცეცხლის მფარველი); ჰშატრა-ვაირია (ძალაუფლება, ლითონის მფარველი); სპენტა არმაიტი (კეთილგონიერება, დედამინის მფარველი) ჰაურვატატი (ჯანმრთელობა, წყლის მფარველი); ამერტატი (უკვდავება, მცენარეთა მფარველი). მათ გარდა აჰურა-მაზდას მხლებლები არიან მითრა, აპამნაპატი (წყლების შვილიშვილი), სრაოში (მორჩილება, ყურადღება და დისციპლინა) და აში (ბედისწერის ქალღმერთი). ამ ორ საწყისს შორის

ბრძოლა ოთხი მსოფლიო ციკლის მანძილზე წარიმართება და დასრულდება აპრიმანის დამარცხებით, სამყაროს განწმენდითა და ნეტარების ერის დადგომით. აპურამაზდა განსჯის საშინელ სამსჯავროზე. მისი ნება აბსოლუტურად თავისუფალია. იგი იმარჯვებს ბოროტ ძალებზე. ყოველი ცოცხალი პასუხისმგებელია აპურამაზდას წინაშე. მისი გამოელინებაა ცეცხლი. იგი არის ქურუმთა ფენის იდეალური პროტოტიპი. იგი ყოვლისშემძლეა. აპურა-მაზდამ შექმნა სიცოცხლე, სითბო და სინათლე, ანგრა-მანიუმ კი – სიკვდილი, სიცივე და წყვდიადი, ასევე მავნე მწერები და ცხოველები.

ზოროასტრიზმში ნეს-ჩვეულებებისა და წარმოდგენების საკმაოდ რთული სისტემაა შემუშავებული, რაც ადამიანის ცხოვრების სრულ რეგლამენტირებას ახდენდა. ამ სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზეიმო ცერემონიებს, რაც დაკავშირებული იყო ახალი წლის (ნოვრუზი) აღნიშვნასთან, წინაპართა კულტთან, ლოცვებთან, განწმენდის რიტუალებთან. ლოცვები (აპურა-მაზდასადმი აღვლენილი) ყოველდღიური რიტუალია. ისინი სრულდებოდა დილით და ძილის წინ, სახლში შესვლისას და გამოსვლისას, განწმენდის რიტუალის შესრულებისას და ა.შ. ლოცვა შეიძლებოდა ტაძარში, სახლში სპეციალურ საკურთხეველთან, ბუნებაში. საავალდებულო ნესი იყო ლოცვისას პირით სამხრეთისკენ შებრუნება (ფარსები ჩრდილოეთით ბრუნდებიან).

მნიშვნელოვანია განწმენდის რიტუალი. ზოროასტრიზმის მთავარი მოთხოვნაა სიწმინდის დაცვა, არ უნდა მიკარებოდნენ „უწმინდურ" საგნებს (მათ შორის ზოგიერთ მცენარეს, მწერებს (მაგ. ჭიანჭველას, ქვენარმავლებს და სხვ.). წმინდად ითვლება ადამიანი, ძაღლი, ძროხა, ცხვარი, ზღარბი, ხეები, ბაღებისა და ბოსტნების მცენარეული. „უწმინდურთან" შეხება ცოდვად მიიჩნევა.

ზოროასტრიზმი ასევე ფარსიზმისა (ინდოეთში) და გებრიზმის (ირანში) სახელითაა ცნობილი. დღეს იგი სახეშეცვლილია – გაძლიერებულია მონოთეისტური ტენდენციები.

ბ. ინდუიზმი. ინდუიზმი ინდოეთის უძველესი ეროვნული რელიგიაა. ტერმინი „ინდუიზმი", როგორც სამეცნიერო ტერმინი, ევროპელების მიერ იქნა დამკვიდრებული XIX საუკუნეში. ჩვეულებრივ, ინდუიზმი (ინდურად ჰინდუმატა, ინდუსამაია) აღნიშნავს რელიგიური, ფილოსოფიური, სამართლებრივი და ეთიკური შეხედულებების ერთობლიობას, რომლებიც ფორმალურად ყველაზე ხშირად დაკავშირებულია ძირითადი ინდუისტური ღვთაებების – შივასა და ვიშნუს კულტებთან. ისტორიულად ინდუიზმი აღნიშნავს რწმენა-წარმოდგენებს, რომლებიც ინდოეთში უძველეს წარსულში ჩაისახა და ზოგიერთი სახეცვლილებით შემონახულ იქნა ჩვენს დრომდე. დღემდე საკამათოა, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად ამ ტერმინის ქვეშ და რა მიეკუთვნება ინდუიზმს. ინდუიზმი, როგორც რელიგიური ფენომენი უკიდურესად რთული, წინააღმდეგობრივი და ამორფულია. მისი გენეზისი პროტოინდურ ცივილიზაციასთან და არიელებამდელი კულტურის რელიქტებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არიელების მოსვლამდე განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იდგნენ. პროტოინდური ცივილიზაცია ძვ.წ.-ის IV-III ათასწლეულების ადრესამინათმოქმედო კულტურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. იგი დრავიდულენოვანი

მოსახლეობის მიერაა შექმნილი და საქალაქო ტიპის მაღალგანვითარებული ცივილიზაცია (მოჰენჯო-დარო, ჰარაპი) იყო, რთული რელიგიურ-მითოლოგიური სისტემით. მათი მიღწევების სიაშია ბამბის დამუშავება, მაღალგანვითარებული მეთუნეობა და საიუველირო საქმე. მათ ქალაქებს ჰქონდათ წყალმომარაგების სისტემები და კანალიზაცია. აღმოჩენილია საზოგადოებრივი აბანოების ნაშთები, შეკრებათა დარბაზი და სხვ. მაგრამ მათი სულიერი ცხოვრება გარკვეულწილად ბურუსითაა მოცული (დამწერლობა არაა გაშიფრული). მეორე ეტაპი ინყება ჰარაპის კულტის დაცემითა და არიელების შემოჭრით ინდოეთის ნახევარკუნძულზე, ამ ეტაპს ვედური ენოდება, ვედების სახელის მიხედვით. ინდის ცივილიზაციის დასასრულის მიზეზები ბოლომდე დადგენილი არაა. მხოლოდ არიელების შემოსვლა არ უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, თუმცა არიელებმა მოიტანეს რიგი რასობრივი და პოლიტიკური პრობლემები, რისი შედეგიცაა კასტური სისტემის განვითარება, რამაც დიდი გაკვლენა იქონია ინდური კულტურის განვითარებაზე. ვედურ პერიოდში ჩამოყალიბდა ინდური სულიერი კულტურის პრინციპები, რომლის ამოსავალი ნერტილი იყო მსოფლიო ნესრიგის გაღმერთება. ვედები არიელთა შემოქმედების ნაყოფია, დანერილია არიელთა ენაზე — ვედურ სანსკრიტზე. ეს არის ოთხნანილიანი კრებული (რიგვედა (ჰიმნების კრებული, ყველაზე ძველი ნანილი), სამავედა (სიმღერების კრებული), ათპარვავედა (შელოცვებისა და მაგიური ფორმულების) და იაჯურვედა (ლოცვების). ვედებია ლიტერატურული ეპიკური ეპოსების — მაჰაბჰარატასა და რამაიანას საფუძველი (არსებობდა ძვ. ნ.-ის IV ს.-დან, ჩაინერა ძვ. ნ.-ის I ს-ში. მათი გმირები კრიშნა და რამა გაღმერთებული არიან და ღმერთ ვიშნუს განსხეულებად მოიაზრებიან). ინდური კულტურის აყვავების ხანაა ძვ.ნ.-ის IV– ახ. ნ.-ის VIII საუკუნეები, როცა შეიქმნა თვლის ათობითი სისტემა და ციფრების თანამედროვე მოხაზულობა (მოგვიანებით არაბულად ნოდებული). განვითარდა ასტრონომია (12 თვე, 30 დღიანი, წელინადის ექვს სეზონად დაყოფა, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ამატებდნენ მე-13-ე თვეს, ჰქონდათ წარმოდგენა დედამინის სფერულობის შესახებ, ასევე ვარაუდობდნენ მის ღერძის გარშემო ტრიალს).

ინდუიზმი ინდოეთის რელიგიური აზრის ხუთიათასნლიანი განვითარების შედეგია. მას არა ჰყავს დამაარსებლები, ნინასწარმეტყველები, არა აქვს სასულიერო იერარქია და არც ერთიანი კანონები. ეს უფრო ცხოვრების ნესი ან კულტურაა, ვიდრე მონესრიგებული რელიგიური ტრადიცია. ინდუიზმი არის სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობებისა და ჯგუფების კონგლომერატი, რომელიც ერთიან ისტორიულ-კულტურულ სუბსტრატზე აღმოცენდა. იგი მოიცავს სანტანა დჰარმას (ხელთუქმნელი ნესრიგი), ციკლურ აზროვნებას, კასტების არსებობას, კარმას (მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კანონი), სანსარას, მოქშას, და ვედების ნმინდა ნიგნად აღიარებას. იგი ნინააღმდეგობრივია. ინდუიზმში არ არის სამყაროს დუალისტური აღქმა. ჭეშმარიტება ინდუისტისათვის პატარ-პატარა ჭეშმარიტებების იერარქიულ სისტემას ნარმოადგენს, ამასთან ამ იერარქიაში სიცრუისთვის ადგილი არაა, რადგანაც მცდარი ნარმოდგენაც ჭეშმარიტებაა, მაგრამ დაბალი ხარისხის ჭეშმარიტება. უმთავრესი ცნებაა დჰარმა (კანონი, მოვალეობა) – ადა-

მიანის კასტური კუთვნილებით განპირობებული რელიგიური და საზოგადოებრივი მოვალეობების ერთიანობა, ე.ი. ყოველ კასტას თავისი ჭეშმარიტება აქვს. სოციალური სტატუსი კარმის ობიექტურ შედეგად ითვლება და მისი შეცვლა უაზრობად მიიჩნევა. დჰარმის შესატყვისი ქცევები კარგ კარმას განაპირობებს.

ინდუიზმი პოლითეისტური რელიგიაა. პირველი ღმერთები ბუნების ძალების პერსონიფიცირებული არსებები იყვნენ: ინდრა (მეხთამტყორცნელი), რუდრა (დამანგრეველი ძალების განსახიერება), მარუტა (ქარიშხლის ღმერთი), უშასი (განთიადის ქალღმერთი), სურია (მზის ღმერთი), აგნი (ცეცხლის ღმერთი), ვარუნა (წყლის ღმერთი) და სხვ. ბუნების გაღმერთება ინდუიზმში დღესაც მნიშვნელოვანია. გავრცელებულია შეხედულებები წმინდა ცხოველებზე, ხეებისა და მცენარეების კულტი, წმინდა მდინარეები, ქვების კულტი, მთების კულტი.

ვედურ პერიოდში შეიქმნა ვედები (სამხიტა) – ოთხნაწილიანი კრებული. ამ პერიოდში არ იცნობდნენ სატაძრო კულტს და მთავარი რიტუალი მსხვერპლშეწირვა იყო (ცეცხლით). შესაწირი იყო: კარაქი, რძე, საქონელი და სომა. მოგვიანებით ჩამოყალიბდა ბრაჰმანიზმი (ტრიმურტი, ვედანტა, ჯივა-სული, ანანდა-ნეტარება). ბრაჰმანიზმში მოხდა რელიგიური შეხედულებების ხელახალი გააზრება, მაგალითად, მსხვერპლშეწირვა რიტუალად კი არ იქნა აღქმული, არამედ მსოფლიო პროცესის საფუძვლად, გაიზარდა ბრაჰმანთა მნიშვნელობა. რიტუალი ღმერთების ქმედების აღდგენა-გამეორებად აღიქმებოდა და ნესების მკაცრ დაცვას საჭიროებდა. IV-VI საუკუნეებში ბრაჰმანიზმმა ტრანსფორმაცია განიცადა (ბუდიზმისა და ჯაინიზმის გავლენით). პუჯა გახდა მთავარი რიტუალი. ამ დროს შეიქმნა პურანები – ეპიკურ-მიოლოგიური ხასიათის ნაწარმოებები: მაჰაბჰარატა, რამაიანა. გაჩნდა შეხედულება ავატარების (გასხეულებების) შესახებ. ამ მოძღვრებამ საშუალება მისცა ინდუიზმს შეეთვისებინა ადგილობრივი კულტები. ამავე პერიოდისაა ახიმსის (დაუშავებლობის, ზიანის მიუყენებლობის) მოძღვრება, ბჰაქტის (ღვთაებრივი სიყვარულის) მოძღვრება.

ინდუიზმის მთავარი ღვთაებებია სამი ღმერთი (ტრიმურტი) – ბრაჰმა-შემოქმედი, ვიშნუ-მფარველი, შივა-დამანგრეველი და იმავდროულად შემოქმედი. ინდუიზმის მოძღვრების საფუძველია სანსარა (გადასახლება), კარმა (მისაგებელი). ინდუიზმი ძირითად რელიგიად იქცა IV-VI საუკუნეებში). V-VII საუკუნეებში ინდუიზმში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა შივაიზმი და ვიშნუიზმი. შივაიზმში განვითარდა შაქტიზმი (ქალური შემოქმედებითი ენერგიის – შაქტის თაყვანისცემა). ღვთისადმი თაყვანისცემის ფორმებს შორის გამოიყოდა ბჰაქტიზმი –ღმერთისადმი ემოციური ერთგულება.

ინდუისტური იდეოლოგიის არსებითი ფაქტორი იყო ტანტრიზმი, რომელიც დაკავშირებულია უძველეს დიდი დედა ღვთაების კულტთან. ოფიციალურ პანთეონში ქალღმერთი შევიდა შივას მეუღლის სახით. მასთან ერთად კულტს შეენივთა წარმოდგენები შაქტიზე, როგორც ღვთის ენერგიასა და მისი ძლიერების ჭეშმარიტ საფუძველზე. შივასა და ვიშნუს მსგავსად ქალღმერთსაც ჰყავს თაყვანისმცემლები, რომლებიც მას სხვადასხვა სახელით სცემენ თაყვანს და იყენებენ განსაკუთრებულ რიტუალურ ტექნიკას სულიერი სრულყოფისათვის.

ინდუისტური რიტუალის (სატაძრო და პირადისაც) ცენტრში რჩება პუჯა – ღვთის თაყვანისცემა: ღმერთს თაყვანს ცემენ მისი გამოსახულების ან მისი სიმბოლოს სახით. პუჯამ ჩაანაცვლა ვედურ-ბრაჰმანული ძირითადი რიტუალი – მსხვერპლშეწირვა (იაჯნა). ინდუისტური სადღესასწაულო რიტუალების რიცხვის დადგენა შეუძლებელია. ყველა ოჯახს, გვარს, კასტას დ ა.შ. თავისი დღესასწაულები აქვს. არის სამი ძირითადი დღესასწაული, რომელსაც მთელ ინდოეთში აღნიშნავენ: დასერა, დივალი და ჰოლი.

ინდუიზმის არსი მისი რელიგიურ-იდეოლოგიური შინაარსით არ შეოიფარგლება. მისი ორგანული ნანილია სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები, სამართლებრივი ნორმები, კულტურული ფენომენები. ინდუიზმის პოლიმორფიზმი კარგად ჩანს მის პანთეონში. იგი რამდენიმე ათას ღვთაებას, ნახევრად ღვთაებასა და დემონურ პერსონაჟს მოითველის, განსხვავებული და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებით. მათ შორის ზოგადინდური ღვთაებების გვერდით არის ბევრი ლოკალური, ჰიბრიდული ღვთაება, რომელთაგან ზოგიერთი ერთმანეთს იმეორებს. ასეთივე რთული, ჭრელი და წინააღმდეგობრივია ინდუიზმის სხვა შემადგენელი ნანილები, კონცეფციები და დოქტრინები. ინდუიზმი მოიცავს მისი მიმდევარის მთელ ყოფას, ამ მხრივ, იგი რელიგიაზე მეტად ცხოვრებისა და ქცევის ნესს ნიშნავს, რომელსაც სპეციფიკური სულიერი პრაქტიკა გააჩნია. ინდუიზმი აღიარებს ღმერთის ყოვლისმცოდნეობას, ყოვლისშემძლეობასა და ამავე დროს მის ყოველმომცველობას. ღმერთია ის, „რომელმაც არ იცის ნამი" და „რომელიც ყოველი არსების გულში ცხოვრობს", ამიტომაც მისკენ მიმავალი გზების რიცხვიც უსასრულოა. ამიტომაც ინდუიზმში თითქმის წარმოუდგენელი შემწყნარებლობაა რწმენისა და რელიგიური პრაქტიკის სხვადასხვა ვარიანტებისადმი. მთავარი ცხოვრების ნესია და არა რწმენა. ინდოელი ფილოსოფოსი რადჰაკრიშნანი ნერდა, რომ ინდუისტური მიდგომა ცხოვრებისადმი სრულ თავისუფლებას იძლევა აზრის სამყაროში და ამავე დროს მკაცრად დადგენილ რიტუალებს ანესებს. ინდუიზმში ადამიანი თავისუფალია რელიგიური პრაქტიკის არჩევანში, მას შეუძლია ღმერთს ჩაწვდეს შრომის (კარმა), მედიტაციის (რაჯა), ცოდნის (ჯნანა) ან უბრალოდ თაყვანისცემის (ბჰაქტი) გზით და ყველა გზა ერთნაირად საპატიოდ მიიჩნევა.

ინდუიზმი არ არის ერთიანი კონფესიური სისტემა. ის განსხვავებული იდეების, მიმდინარეობების, სექტების, მიმართულებების კონგლომერატია, ამასთან ისინი თანაარსებობენ ერთიანი მთელის შიგნით და არ ეწინააღმდეგებიან ძირითად მსოფლმხედველობრივ ბირთვს. ინდუიზმში არ არის და არც შეიძლება იყოს ერეტიკული მიმდინარეობები (ამ სიტყვის ქრისტიანული გაგებით), რომლებიც ეწინააღმდეგება ქეშმარიტ ორთოდოქსურ რწმენას. ინდუიზმში არც დოქტრინალური ერესი არაა, რადგანაც მკაფიოდ ფიქსირებულია ერთიანი, ცენტრალური დოქტრინა. ყოველი ფორმა და კულტი ეროვნულ ღირებულებას ნარმოადგენს. ამდენად ინდუიზმს ახასიათებს პლურალიზმი, რაც ვლინდება როგორც სულიერ დიფერენციაციებში, ასევე სოციალურსა (კასტურში) და სივრცით-დროებითში (ლოკალური, ასაკობრივი რიტუალები). ინდუიზმს არა აქვს ასევე ცენტრალიზირებული ორგანიზაცია.

ბრაჰმანებისა თუ სხვა კასტის წარმომადგენლები, რომლებიც სასულიერო პირების ფუნქციას ასრულებენ, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ იმ შემთხვევების გარდა, როცა რაიმე განსაკუთრებული აღთქმა აქვთ დადებული. ინდუისტის ცხოვრებაში 4 ეტაპი გამოიყოფა: ბრაჰმაჩარია – მონაფეობა, გრიჰასთჰა – სახლში დაბრუნება, ვანაპრასთჰა – სამოქალაქო მოვალეობის აღსრულება, სანიასინი – მიწიერისგან განდგომა. არსებობს ასკეტიზმის პრაქტიკა (ტაპას). ბრაჰმანები თავიანთ მოვალეობებს „ორგზისდაბადებულთა", ე.ი. კასტური კუთვნილების უფლებით ასრულებენ და არ სჭირდებათ სპეციალური რიტუალები განდობისათვის. სამხრეთ ინდოეთში, დრავიდულენოვან მოსახლეობაში ასეთი ფუნქციები სხვა კასტის წარმომადგენელსაც შეუძლია იტვირთოს, ასეთ როლში გამოდიან აჩარიები და გურუები (მასნავლებლები, აღმზრდელები), მაგრამ ისინი ორგანიზაციულად არ არიან დაკავშირებულნი. ინდუიზმში ტაძრები ავტონომიურად არსებობენ, თემები, სექტები ან სხვა გაერთიანებები კი დამოუკიდებლად მოქმედებენ. ინდუიზმში უმთავრესი იყო და არის რიტუალურ-ქცევითი ნორმების დაცვა, რომლებიც სანქცირებულია მითებითა და განმტკიცებულია ავტორიტეტული ტექსტებით. სრულიად გამორიცხულია პროზელიტიზმიც, ინდუისტი ვერ გახდები, ინდუისტად უნდა დიბადო.

ინდუზმის განვითარების თანამედროვე ეტაპი იწყება XVIII-XIX საუკუნეებში, როცა დაიწყო მისი აღორძინება რეფორმატორული და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ, პირველ რიგში, „ბრაჰმა სამაჯის" და „არია სამაჯის" მიერ. ეს მოძრაობა ევროპელი კოლონიზატორების დიდი გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა და გამონვეული იყო ტრადიციული ინდური კულტურისა და დასავლეთ ევროპული ცივილიზაციის შეჯახებით. ინდუიზმი, როგორც მოქნილი სისტემა, ამჯერადაც შეეგუა შეცვლილ პირობებს. რამმოჰან რაი, კეშობჩანდრო სენი, დაიანდა სარასვატი, რამაკრიშნა, ვივეკანანდა, აურობინდო გჰოში და სხვ. გამოჩენილი განმანათლებლები და მოღვაწეები არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ინდუიზმის კონცეპტუალური საფუძვლების გადასინჯვით, არამედ შეეცადნენ მის მოდერნიზაციას ეროვნულ იდეასთან მისი დაკავშირებით.

ინდუიზმი დღესაც ინარჩუნებს მყარ პოზიციებს, რიტუალისა და საკულტო პრაქტიკის შესამჩნევი გამარტივების, ბრაჰმანთა კასტის როლისა და სტატუსის ცვლილებისა და რელიგიური ცხოვრების ზოგიერთი ტრადიციული ღირებულების დამსხვრევის მიუხედავად. XX საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაძლიერდა რელიგიური ტალღა. შენდებოდა ტაძრები, იმართებოდა მასობრივი პილიგრიმობა და ა.შ. ინდუიზმში პოპულარულნი არიან ახალი გურუები, რომლებიც თავს რომელიმე ღვთაების განსხეულებად აცხადებენ. ისევე ყღერს რელიგიისა და ინდუისტური მესიანიზმის ერთობის იდეა. ინდუიზმმა წარმატებით მოახერხა თანამედროვე პირობებთან ადაპტაცია. გაიზარდა ინდუიზმის „ექსპორტი" დასავლეთის ქვეყნებში. თანამედროვე ინდუიზმში რამდენიმე ტენდენციაა: ნეოინდუისტები, ლოზუნგი: „უკან ვედებისაკენ", ცდილობენ რელიგიური პრაქტიკის გამარტივებასა და მის ძველ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ისინი კასტური სისტემისა და მრავალღმერთიანობის წინააღმდეგნი არიან; ორთოდოქსები რელიგიური ნორმების დაკონსერვებას ცდილობენ. ინდუიზმი დინამიურად იზრდება, მისი ადეპტების რიცხვი დაახლოებით მილიარდს ითვლის, მათი 90% სამხრეთ აზიაში ცხოვრობს.

გ. ბუდიზმი. ბუდიზმი ეწოდება ბუდას მოძღვრებასა და მისგან მომდინარე სკოლებსა და განშტოებებს. ბუდიზმი მსოფლიო რელიგიებს მიეკუთვნება. ბუდიზმი ძვ. წ.-ის VI-V საუკუნეებში გაჩნდა. სიდ-ჰარტჰა გაუტამა, საკიას ტომიდან, 29 წლისა წავიდა ასკეტად. ხანგრძლივი ძიების შედეგად იგი გახდა ბუდა, ე.ი. მიაღწია ნირვანის მდგომარეობას – გამოვიდა კარმიდან და სანსარიდან. დაინყო ახალი რელიგიის ქადაგება, 40 წლისამ ჩამოაყალიბა სანგჰები (თემები). იგი დაახლოებით 80 წლისა გარდაიცვალა.

ბუდიზმში, ინდუიზმისაგან განსხვავებით, უარყოფილია სულის უკედავება და ამდენად არ სნამთ სულთა გადასახლება. მათი აზრით, სამყაროში ყველაფერი დჰარმების (არამატერიალური ნაწილაკების) შესატყვისობაა, მათი დაშლის შემდეგ დგება სიკვდილი, მაგრამ დჰარმები არ ქრებიან, ისინი კარმის კანონის შესაბამისად ახალ კომბინაციებს ქმნიან და დასაბამს აძლევენ ახალ სიცოცხლეს. ამრიგად, სანსარის ბორბალი მუდმივად ტრიალებს. ბუდისტის მიზანია, განყვიტოს ხელახალი დაბადებების ეს დინება.

მოძღვრების საფუძველია რეალობის არსის გადასინჯვა: წარმავალობის აღიარება, ყოფიერების ტანჯვად აღქმა და „მედ" არყოფნისკენ მისწრაფება. ბუდიზმის ოთხი ჭეშმარიტება შემდეგნაირად ყალიბდება: 1. ყველაფერი ტანჯვაა; 2. ტანჯვას ინვევს არსებობის „წყურვილი"; 3. წყურვილის მოსპობა ტანჯვის საფუძველს სპობს; 4. წყურვილის მოსპობის გზა არის რვა ნესის შესრულება; ესენია: 1. ჭეშმარიტი ხედვა, 2. ჭეშმარიტი დასკვნების გამოტანა, 3. ჭეშმარიტი საუბარი, 4. ჭეშმარიტი ქმედება, 5. ჭეშმარიტი ცხოვრების ნესი (სხვების დაუშავებლობა), 6. ჭეშმარიტი ძალისხმევა, 7. ჭეშმარიტი სიფხიზლე და 8. ჭეშმარიტი შეკრება (კონცენტრაცია). ბუდისტისათვის სურვილების დამარცხებით გაქრება ტანჯვა და დადგება შინაგანი თავისუფლება – ნირვანა და სანსარისგან გათავისუფლება. ბუდიზმის ძირითადი პრინციპის მიხედვით ბოროტებას ძალადობით არ უპირისპირდებიან, რადგან ნებისმიერი წინააღმდეგობა უსამართლობის მიმართ აზრსაა მოკლებული, რადგან წინააღმდეგობა ბადებს ვნებებს, რაც ტანჯვას ინვევს.

ბუდა მოუწოდებს თავის მიმდევრებს აღმოფხვრან სურვილები, ამით შინაგან თავისუფლებას მიაღწიონ. მხოლოდ ნირვანა ათავისუფლებს სანსარის ბორბლისგან. სურვილების აღმოფხვრა ვნებების დაცხრომით, მართლმორწმუნეობით, კეთილმოსურნეობითაა შესაძლებელი, ადამიანმა ასევე არ უნდა მიაყენოს ცოცხალ არსებებს ვნება, მონაწილეობა მიიღოს რიტუალებში და დაეხმაროს ბერებს.

ბუდისტური ნეს-ჩვეულებები ინდუისტურის მსგავსია. ტაძრები და სტუპები მითიური მთის – მერუს სიმბოლოებია და სამყაროს ცენტრს განასახიერებს.

ბუდიზმში, გაუტამა ბუდას გარდა, ათასობით ბუდა, წმინდანი ბოდჰისატვა და ამავე დროს მრავალი ინდუისტური ღმერთი და დემონია. ღმერთები იყოფიან ბოროტ და კეთილ ღმერთებად. მათი გამოსახულებები კი თაყვანისცემის ობიექტებია.

ბუდისტური რწმენის წყაროა – ტრიპიტაკა (სამი კალათა) – წმინდა წიგნების კრებული, რომელიც, გადმოცემით, ბუდას სიტყვების მიხედვითაა ჩაწერილი. მისი მთავარი ნაწილია პალიური კანონი, სადაც ბუდიზმის არსია გადმოცემული.

ბუდიზმში ორი ძირითადი მიმართულებაა დიდი ეტლი (მაჰაიანა) და პატარა ეტლი (თჰერავადა, ჰინაიანა).

ჰინაიანა ადრეული ბუდიზმის პრინციპებს იცავს, ბუდას ისტორიულ პიროვნებად თვლის და მიიჩნევს, რომ ნირვანას მარტო ბერები მიაღწევენ. კანონიკურად მიიჩნევა პალი-კანონი, ხსნის გზად ინდუისტური რვასაფეხურიანი ბილიკი მიიჩნევა, რომელიც ადამიანმა მასნავლებლის მეშვეობით უნდა დაძლიოს. ჰინაიანაში რიტუალები მარტივია. ჰინაიანას დღეს ბუდისტების მესამედი მისდევს.

მაჰაიანის ადეპტების აზრით, ერისკაცების მიერ ნირვანის მიღწევის შესაძლებლობა არსებობს,, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ბოდჰისატვები – გასხივოსნებულნი ეხმარებიან. ბოდჰისატვებად მიიჩნევიან ის არსებები, რომლებმაც მიაღწიეს ნირვანას, მაგრამ დარჩნენ სანსარაში, რათა დაეხმარონ არაგასხივოსნებულებს. მაჰაიანას განვითარებული კულტი აქვს რთული რიტუალური სისტემით, ბუდას გაღმერთებით. მაჰაიანის სახესხვაობა, **ლამაიზმის** სახელით ცნობილი, ჩამოყალიბდა ტიბეტში. ლამაიზმში კიდევ უფრო დიდი დატვირთვა აქვს წეს-ჩვეულებებს, მაგიას და მიიჩნევა, რომ ამით მიიღწევა ნირვანა. ლამაიზმისთვის დამახასიათებელია ლამების (სულიერი მასნავლებლების, რომლებიც ცნობილი წმინდანების, ბოდჰისატვების ან ბუდების რეინკარნაციებად მიიჩნევიან) თაყვანისცემა. ლამაიზმს ახასიათებს აგრეთვე მკაცრი საეკლესიო იერარქია, დალაი-ლამას მეთაურობით, რომელიც ბოდჰისატვა ავალოკიტეშვარას განსხეულებად ითვლება. მაჰაიანისტები ბუდისტების ორ-მესამედს შეადგენენ.

ჰინაიანაც და მაჰაიანაც მოიცავს სხვადასხვა სკოლებს, რომლებიც ერთმანეთისგან მოძღვრებითაც განსხვავდება და კულტმსახურებითაც. მათ წიაღში 30-მდე სკოლა ჩამოყალიბდა. მაჰაიანას სკოლებიდან ყველაზე ცნობილია იაპონური ძენ-ბუდიზმი, ჩინური ჩენ-ბუდიზმი.

ბუდისტური ეთიკა ემყარება დებულებებს: არაფერი დაუშავო ცოცხალს, აიღე, რაც მოგეცემა, არ მოიტყუო, არ გაამპარტავანდე და დაიმორჩილე სურვილები.

ბუდიზმი სწრაფად გავრცელდა აზიის ქვეყნებში და შეეთვისა ადგილობრივ კულტურას. ყველა რეგიონში განვითარდა საკუთარი ბუდისტური სიმბოლიკა და რიტუალები, კალენდარული დღესასწაულები და სასიცოცხლო ციკლის წეს-ჩვეულებები. ბუდიზმმა შეცვალა ამ ქვეყნების ადგილობრივი ტრადიციები, მაგრამ თვითონაც განიცადა ცვლილებები.

დ. იუდაიზმი. იუდაიზმი მომდინარეობს ისრაელის ერთ-ერთი ტომის – იუდას სახელიდან, რომელიც ძვ. წ.-ის VI საუკუნემდე

იერუსალიმ-ბეთლემ-ჰებრონის სამკუთხედში ცხოვრობდა. იუდეველებსა და იუდაიზმზე საუბარი შეიძლება იმ დროიდან, როცა იუდას ტომის წარმომადგენლებმა ბაბილონური ლტოლვილობიდან (ძვ. წ.-ის 586-538 წწ.) იერუსალიმში ტაძრის აღსადგენად დაბრუნების ნებართვა მიიღეს და აღმოჩნდა, რომ ის ერთადერთი გადარჩენილი თემი იყო, რომელსაც შეეძლო ისრაელის რელიგიური და სოციალური მემკვიდრეობა მიეღო და ტრადიცია გაეგრძელებინა. იუდეველად ითვლება ის, ვისაც დედა ჰყავს იუდეველი ან იუდაიზმზეა მოქცეული და ისრაელისადმი მტრულ იდეოლოგიასა და ცხოვრების წესს არ მისდევს.

ადრეიუდაისტურ ხანაში (ძვ. წ.-ის VI – ახ.წ.-ის I საუკუნეები) ებრაელთა მთავარი პრობლემა იყო, თუ როგორ ეცხოვრათ მეზობელ ხალხებთან ერთად იდენტურობის დაკარგვის გარეშე. ამ საკითხის გადაჭრის გზად მათ მეზობლებისგან განზე დგომა მიიჩნიეს. აქედან მომდინარეობდა მთელი რიგი აკრძალვები: არ შეიძლებოდა იუდეველების სხვა თემის წარმომადგენლებთან ერთად კულტმსახურების აღვლენა, ქორწინება, ტრაპეზი და სხვ. ამ აკრძალვებზე თავისებურ რეაქციას წარმოადგენდა პაგანური ანტიიუდაიზმი.

მეორე ტაძრის აშენების დროისათვის იუდეველები თავიანთ თავს ტაძრის, უმაღლესი მღვდელთმთავრებისა და კულტის გარშემო გაერთიანებულ სხვადასხვა შტოებისა და ჯგუფების ერთიან ორგანიზმად მოიაზრებდნენ, მაგრამ ნორმატიული ან ერთგვაროვანი იუდაიზმი ამ დროს არ აღმოცენებულა. არსებობდა მთელი წყება კულტურულ-რელიგიური თავისებურებების მქონე ჯგუფები. რომაელების მიერ 70 წელს ტაძრის დანგრევის შემდეგ რაბინისტულმა იუდაიზმმა ექსტრემისტული იდეოლოგიის რეფორმირება მოახდინა და იუდაიზმი ჰალახას მიერ წარმართულ თემად ჩამოაყალიბა.

შუა საუკუნეებში იუდაიზმი დიდ სულიერ-რელიგიურ ტრადიციად ჩამოყალიბდა. შუა საუკუნეების იუდაიზმის ძირითადი მიმდინარეობანი იყო: რელიგიური ფილოსოფია, რაბინისტული ტრადიცია და კაბალა (მისტიკურ-ეზოთერული მიმართულება).

იუდეველთა წმინდა წიგნებია თორა დ თალმუდი. თორა (კანონი) შედგება მოსეს 5 წიგნისგან: დაბადება, გამოსვლა, ლევიტელთა, რიცხვნი და სიტყვანი. თალმუდი (მოძღვრება) წარმოადგენს თორას კომენტარებს. იგი ექვსნაწილიანია.

იუდაიზმის ძირითად დოგმებს ეკუთვნის რწმენა ერთიანი ღმერთი იაჰვესი, მესიის მოსვლისა, სულის უკვდავებისა და იმქვეყნიური სამეფოს არსებობის შესახებ. იუდაიზმის ძირითადი იდეა რჩეულობის იდეაა, რომლის მიხედვითაც ღმერთმა შექმნა რჩეული ხალხი იუდეველების სახით. მათ უნდა შეასრულონ განსაკუთრებული, ღვთისაგან დაკისრებული მისია. ღვთის რჩეული გახდა არამეელი აბრამი, რომელიც ღვთის სურვილით იქცა აბრაამად და მისგან ჩაეყარა საფუძველი ისრაელიანებს. ღმერთმა კავშირი დადო აბრაამთან. აბრაამიდან იწყება იუდეველთა რელიგია. ისრაელიანთა, როგორც ერის, ისტორია კი იაკობიდან, აბრაამის შვილიშვილიდან და მისი 12 ვაჟიდან (თორმეტი ტომი) იღებს სათავეს. მოსეს მეშვეობით კი ღმერთმა თავის ხალხთან დადო კავშირი ათი მცნების დადგენით.

იუდეველთა ღმერთი ერთიანი, შეუზღუდავი სულია, იგია შემოქმედი. მისი სახელებია: ელოხიმ (ღმერთი), ჰა-შემ (ეს სახელი), იაჰვე (ღმერთი), ადონაი, საბაოთ (ჯართა/მეომართა ღმერთი). ღმერთის სახელი იაჰვე (ტეტრაგრამატონი - ოთხასოიანი) და სიტყვა ებრაელი (იეჰუდა) ერთმანეთისაგან ერთი ასოთი (მარცვლით) – დალეტით განსხვავდება, დალეტი ამავე დროს კარებს ნიშნავს, ე.ი. ებრაელი ერია ის კარი, რომლითაც ღმერთი შემოვა კაცობრიობაში. ეს არის კიდეც მათი მისია.

იუდაიზმის მიხედვით ადამიანს ორი სული აქვს: ერთი სასიცოცხლო და მეორე ღვთაებრივი. პირველი დაკავშირებულია სხეულებრივ არსებობასთან, მის გაგრძელებას წარმოადგენს და მიწისკენ (რისგანაცაა შექმნილი) მიისწრაფვის. მეორე, ღვთაებრივი, სული ღმერთისკენაა მიპყრობილი. თითოეული ადამიანის ცნობიერი თუ არაცნობიერი პრობლემა სწორედ ამ სულების მიმართების საკითხია. არჩევანში, თუ რომელი სული იქნება ნარმმართველი, ადამიანი თავისუფალია; მის ნებაზეა დამოკიდებული მართლმორწმუნე იქნება, თუ ცოდვილი (ღვთისგან განდგომილი). არჩევანის ამ თავისუფლების გამო ადამიანი სრულად არის პასუხისმგებელი თავის საქციელზე ღვთის წინაშე. ამასთანავე, ადამიანს ყოველთვის აქვს მონანიების შესაძლებლობა. მონანიება ნიშნავს ცოდვის გაცნობიერებას, მისი გამოსწორების შესახებ გადაწყვეტილების მიღებასა და ცოდვის საწინააღმდეგო ქმედებების შესრულებას. მაგრამ ეს არაა საკმარისი, რადგან თუ ადამიანმა სულიერი მდგომარეობა არ შეიცვალა, ცოდვა ისევ განმეორდება, ამიტომ სულიერი მდგომარეობისა და ამის შედეგად ქცევისა და ცხოვრების წესის შეცვლა არის სრული მონანიება.

სიკვდილი იუდაიზმში აღქმულია ადამიანის მთლიანობის დარღვევად: მისი ბუნებრივი ნანილი – სხეული მიწას უბრუნდება, უკვდავი ღვთაებრივი სული კი არამატერიალურია და უბრუნდება იმას, საიდანაც იღებს სათავეს – ღმერთს. მკაფიო ნარმოდგენა იმქვეყნიური ყოფის შესახებ იუდაიზმში არ არის.

იუდეველთა ცნობიერებაში ტაძარი ერთია და მსხვერპლშენირვაც მხოლოდ ტაძარში სრულდებოდა. პირველი ტაძარი სოლომონ მეფის დროს აშენდა და დაინგრა ძვ. წ.-ის 586 წელს ნაბუქოდონოსორის მიერ. პირველი ტაძრის ადგილას ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულმა იუდეველებმა ძვ. წ.-ის 515 წელს ააშენეს მეორე ტაძარი, რომელიც რომაელებმა დაანგრიეს 70 წელს, შემორჩა მხოლოდ დასავლეთის კედელი (ე.წ. გოდების კედელი). 1976 წლამდე (ექვსდღიან ომამდე) ეს კედელი იორდანიის ტერიტორიაზე იყო მოქცეული. იუდაისტური შეხედულებით მესამე ტაძარი ამავე ადგილას აშენდება მესიის მოსვლის დროს.

მსხვერპლშენირვა არის საზოგადოებრივი (ხალხის სახელით) და პირადი. მსხვერპლშენირვა აუცილებელია მორჩილების დასადასტურებლად და ცოდვების მოსანანიებლად. მსხვერპლად ნირავდნენ შინაურ ცხოველებსა და მტრედებს. უსისხლო მსხვერპლი იყო ფქვილი, ზეთი, საკმეველი, ღვინო. მსხვერპლშენირვის რიტუალი მკაცრად არის დადგენილი. ნარმოითქმის ლოცვა, აუცილებელია მთელი გულით შენირვა, ამასთან მსხვერპლი რომ მიღებულ იქნას, აუცილებელია

მლოცველი მართლმორწმუნე ცხოვრების წესს იცავდეს, ნინააღმდეგ შემთხვევაში ლოცვასა და მსხვერპლშენირვას ძალა არ ექნება. მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ მსხვერპლი არ შეინირება.

ტაძარში იყო წმინდათაწმინდა – ღვთაებრივი ყოფიერება (შხინა). პირველი ტაძრის წმინდათაწმინდაში იდგა კავშირის კიდობანი, რომელიც ტაძრის დანგრევის შემდეგ გაქრა. მეორე ტაძარში წმინდათანმინდაში წელინადში მხოლოდ ერთხელ, მონანიების დღეს (იომ-კიპურის დღესასწაულზე) შედიოდა მღვდელმთავარი და ღმერთის სახელს წარმოთქვამდა, რითაც სიმბოლურად ხდებოდა ღმერთთან კავშირის ერთგულების დემონსტრირება. ტაძრის გარდა, იუდეველებს აქვთ სალოცავი სახლები – სინაგოგები (ბეით ქნესეთი).

იუდეველები უქმობენ ყოველ შაბათს. რელიგიური დღესასწაულებია: როშ-ჰაშანა (ახალი წელი), იომ-კიპური (მონანიების დღე, წლის ბოლო დღე, როცა ხდება ღვთის მიერ მომავალი წლისთვის ადამიანთა ბედის განსაზღვრა), სუკოტი (მოსავლის აღების დღესასწაული), სიმხატ-თორა (თორის კითხვის წლიური ციკლის დასარულის აღსანიშნავი დღესასწაული), ფესახი (ეგვიპტიდან გამოსვლის დღე), შავუოთი (სინას მთაზე მოსესთვის ათი მცნების გადაცემის დღე), ხანუკა (ტაძრის ხელახლა კურთხევის დღე), პურიმი (ღვთაებრივი გადარჩენის აღსანიშნავი დღე).

თანამედროვე იუდაისტური ჯგუფებია: ორთოდოქსური, ლიბერალური, კონსერვატული, სიონისტური და ქრისტიანიზირებული ჯგუფები.

ე. ისლამი. ისლამი ჩაისახა არაბეთის ნახევარკუნძულზე, ხიჯაზას რაიონში, რომლის ცენტრიც იყო მექა. აქ სახლობდა ყურეიშიდთა ტომი. მექაში იყო ქახალიის (ურწმუნოების) დროის მთავარი სალოცავი – ქაბა (კუბი). აქ იდგა ყურეიშიდთა სატომო ღვთაების – ჰუბალას კერპი (ადამიანი ოქროს ხელით, ზეცის გამგებელი, წვიმისა და მეხის ღმერთი) და სხვა კერპებიც ქვების სახით.

ისლამის საფუძველია წინასწარმეტყველ მუჰამედის ღვთაებრივი გამოცხადება დაახლოებით 610 წელს მექასთან ახლოს, მთაზე. წინასწარმეტყველმა მუჰამედმა გამოცხადების შედეგად დაინყო ქადაგება ალაჰის სახელით. ალაჰი ღვთის აღმნიშვნელი ერთ-ერთი სახელია, საკუთარი სახელი დაფარულია. ისლამი მონოთეისტური რელიგიაა. ისლამის მიხედვით, ღმერთი ერთია. სხვა ღმერთები არ არსებობენ. ალაჰი იგივე ღმერთია, რაც სწამთ იუდეველებსა და ქრისტიანებს, უბრალოდ მათ არაბებზე ადრე მიიღეს გამოცხადება და მოასწრეს კიდეც დაეევიწყებინათ ან დაემახინჯებინათ იგი.

მუსლიმანური ერა ჰიჯრით – 622 წელს მუსლიმანთა იასრიბში გადასახლებით ინყება. იასრიბში მუჰამედმა დააარსა უმა (მუსლიმანური თემი), იასრიბს კი უწოდა მადინატ ან-ნაბი ან უბრალოდ მედინა (წინასწარმეტყველის ქალაქი).

ისლამი წიგნიერი რელიგიაა. მუსლიმთა წმინდა წიგნი არის ყურანი, რომელიც 114 სურას შეიცავს. პირველი სურის (ალ-ფატიხა) ცოდნა სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის. ყურანი ისლამის საფუძველია. მის მიერაა დადგენილი მუსლიმური წეს-ჩვეულებები და ქცევის ნესი. ყურანის გარდა, საზოგადოებრივსა და პირად ცხოვ-

რებაში სახელმძღვანელოს წარმოადგენს სუნა – ისლამის წმინდა გადმოცემა. სუნა არის ტექსტების კრებული, სადაც აღწერილია მუჰამედის ცხოვრება და საქმენი. სუნის შესწავლა მუსლიმური აღზრდისა და განათლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ხადისები არის წინასწარმეტყველის ახლობლების მოგონებები, ჩანერილი და კომენტირებული მუხადისების მიერ. ხადისებს ძალა მათი სანდოობის აღიარების შემთხვევაში ჰქონდათ, რაც გარანტირებული იყო იმის ზუსტი მითითებით, თუ ვის მიერ იყო გადმოცემული და ამ პიროვნებას ჰქონდა თუ არა შეხება წინასწარმეტყველთან. ამრიგად, ჰადისები შედგება საკუთრივ ტექსტისა და სახელთა ჩამონათვალისაგან. ჭეშმარიტი ჰადისების რიცხვის შესახებ აზრი მკვეთრად განსხვავებულია.

მუსლიმური რწმენის სიმბოლო – შაჰადა არის სიტყვიერი დადასტურება: „არ არის ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი". იგი წარმოიქმნა როგორც ლოცვა და შეიცავს ისლამის ორ უმნიშვნელოვანეს დოგმატს: 1. თავჰიდს – ერთღმერთიანობა და 2. ნურუბას – მუჰამედის წინასწარმეტყველური მისიის აღიარება.

ყველა მუსლიმისათვის სავალდებულოა ლოცვები, საუმი, ზაქათი და ჰაჯი. კანონიკური ლოცვის – სალათის შესრულებისას მლოცველს აუცილებელია სახე მექისკენ ჰქონდეს მიბრუნებული. ლოცვა პატარა სპეციალურ ხალიჩაზე განბანვის რიტუალის შესრულების შემდეგ სრულდება; ჩვეულებრივ, იკითხება ფატიჰა (ყურანის პირველი სურა). საუმი არის აუცილებელი მარხვა ყველა სრულწლოვანი მუსლიმისთვის ერთი თვის მანძილზე, რაც გამოიხატება დღე-ღამის ნათელ პერიოდში ყველანაირ საკვებზე, სასმელსა და სიამოვნებაზე უარის თქმაში. ზაქათი არის მოწყალების გაღება, რაც აუცილებელია სულის განწმენდისათვის, ვინც მოწყალებას გაიღებს, იღებს მორალურ უფლებას ისარგებლოს სიმდიდრით. ჰაჯი არის მომლოცველობა მექაში, მუსლიმთა წმინდა ქალაქში, სადაც არის ქააბას სალოცავი. მომლოცველობა სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა შეასრულოს ყველა მუსლიმანმა. სალოცავი ადგილი მუსლიმისათვის არის მეჩეთი. მათ სავალდებულო ლოცვის წინ მოუხმობს მუეძინი, რომელიც ასრულებს აზანს.

ისლამი მორწმუნისაგან ითხოვს რწმენასა და შესატყვის ქმედებებს, ე.ი. მუსლიმისათვის ალაჰი უნდა იყოს ერთადერთი ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო და რომელიც მისი აღსასრულის დროს ყველა ადამიანს განიკითხავს მათი საქციელისა და დანატოვარი კვალის მიხედვით. მუსლიმი აღიარებს ღვთაებრივ გამოცხადებასა და სხვა მორწმუნეებთან ერთად ერთიანდება მუჰამედის მიერ ალაჰის წესების მიხედვით მოწყობილ თემში (უმა). უმა ძველადაც და დღესაც ერთადერთი თემია მორწმუნეთათვის მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანასა თუ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი.

მუსლიმური დღესასწაულებია: ყურბან-ბაირამი (მსხვერპლშენირვა), ურაზა-ბაირამი (მარხვის დასასრული), ლაილათ ალ-კადრი (ბეჭდისწერის განსაზღვრის დღე), ლაილათ ალ-ბარა (შექმნის ღამის დღესასწაული), აშურა (იმამ ჰუსეინის დაბადების დღე), ნოერუზი (ახალი წელი).

ისლამის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობაა **სუნიზმი.** იგი მიიჩნევა ორთოდოქსურ მიმდინარეობად. სუნიტები თავს მუჰამედის საქმის გამგრძელებლებად მიიჩნევენ. სუნიტად ითვლება ის, ვინც აღიარებს პირველ ოთხ ხალიფას (აბუ ბაქარს, ომარს, ოსმანსა და ალის). აღიარებენ კანონიკურ ტექსტებს - ხადისებს. სუნიზმი უმაღლეს სასულიერო და საერო მმართველად აღიარებს ხალიფას, როგორც წინასწარმეტყველ მუჰამედის მემკვიდრეს. უკვე X საუკუნიდან ხალიფამ დაკარგა პოლიტიკური წინამძღოლის ფუნქცია. ყურანისა და სუნის საფუძველზე ჩამოყალიბდა მუსლიმური სამართლის კოდექსი – შარიათი (VIII-IX საუკუნეები). სუნიტები იყოფიან ოთხ მართლმორწმუნე მაზჰაბად (სკოლად) – ჰანაფიტები, მალიკიტები, შაფიიტები და ჰანბალიტები.. ამ მაზჰაბების ფუძემდებლები ურყევ აუტორიტეტებად მიიჩნევიან, რომელთა შემდეგაც იჯტიჰადის (რელიგიური სამართლის დამოუკიდებელი ახსნის) კარი დაიკეტა.

სუნიზმში დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიურ დღესასწაულებსა და წეს-ჩვეულებებს. ყველაზე მნიშვნელოვან დღესასწაულად მიიჩნევა მავლიდი (მუჰამედის დაბადებისა და გარდაცვალების დღე), მირაჯი (წინასწარმეტყველის ზეცად ღვთაებრივი ამაღლების ღამე). სუნიზმი (განსაკუთრებით ჰანაფიტების მაზჰაბი) შემწყნარებლურად უყურებს ადგილობრივ ტრადიციებს (ადათს), რამაც განაპირობა მისი სწრაფი გავრცელება.

რიცხოვნობითა და მნიშვნელობით მეორე მიმდინარეობა ისლამში არის **შიიზმი.** იგი VII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა ერაყში, ალი იბნ აბუ თალიბის (მუჰამედის ბიძაშვილისა და სიძის) მომხრე არაბ ტომებს შორის. ალის მომხრეები აღიარებდნენ მისი მემკვიდრეების განსაკუთრებულ უფლებებს იმამატზე სულიერ და პოლიტიკურ მმართველობაში. შიიზმის ცენტრია ქალაქი კუფა. მოგვიანებით შიიზმი გავრცელდა ირანში, სადაც განიცადა მითოლოგიური, საკულტო, სანესჩვეულებო ცვლილებები ზოროასტრიზმის, მითრაიზმის და სხვა. გავლენით. XVI საუკუნეში შიიზმი გახდა ირანის სახელმწიფო რელიგია. შიიტები აღიარებენ ყურანს ღვთაებრივ გამოცხადებად, ამასთან მიიჩნევენ, რომ ყურანში მიზანმიმართულად არ ჩართეს ერთი სურა („ორი მნათობი"), სადაც ალის შთამომავლების განსაკუთრებულ უფლებებზეა საუბარი. შიიტები აღიარებენ სუნებს, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ალისა და მისი შთამომავლობიდან მოდის. მათი თეოლოგიური შეხედულებები ემყარება განსაკუთრებულ წმინდა გადმოცემას – ხაბარს. ალის მომხრეები პირველ სამ ხალიფას (აბუ ბაქარს, ომარსა და ოსმანს), ომეიდ და აბასიდ ხალიფებს უზურპატორებად მიიჩნევენ. მათი აზრით, იმამი მხოლოდ ალიდი უნდა იყოს, იგი ღვთაებრივი ნათელის მატარებელია. იმამების რიცხვისა და მემკვიდრეობით მმართველობის გადაცემის საკითხების ირგვლივ არსებული სხვადასხვა შეხედულების შესაბამისად, შიიზმი დაიყო ზეიდიტებად (ზომიერ იმამატებად) და ისმაილიტებად, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო მცირე ჯგუფებად და სექტებად დაიყო. სანესჩვეულებო ყოფა შიიზმში, მცირედი განსხვავებების გარდა, ზოგადმუსლიმურია. შიიზმისათვის დამახასიათებელია მონამეთა კულტი. მონამედ მიიჩნევა ყველა იმამი. დიდმონამედ მიიჩნევა იმამი ჰუსეინი, ხალიფა

ალის უმცროსი ვაჟი. მისი დაღუპვის დღე (აშურა – შაჰსეი-ვაჰსეი) საყოველთაო გლოვის დღედაა გამოცხადებული. აღნიშნავენ სხვა სამგლოვიარო დღეებსაც: მუჰამედის გარდაცვალების დღეს, ალის დაჭრის დღეს, ალის გარდაცვლების დღეს, მეექვსე იმამის ჯაფარ ასსადიკის გარდაცვალების დღეს, ფატიმის გარდაცვალების დღეს და სხვ. აღნიშნავენ ნოვრუზს (ახალ წელს).

რელიგიურ-მისტიკური წარმოდგენების რთული სისტემა – სუფიზმი ჯერ კიდევ მუსლიმანთა პირველი თაობის დროს ჩამოყალიბდა, მოძღვრების საფუძველია რწმენის საიდუმლოებათა ნვდომისაკენ სწრაფვა.

3. ქრისტიანობა. ქრისტიანობა ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიაა, რომელიც I საუკუნეში ჩაისახა მახლობელ აღმოსავლეთში, რომელიც მაშინ რომის იმპერიაში შედიოდა. კაცობრიობის ისტორიაში მის როლზე იმითაც შიძლება ვიმსჯელოთ, რომ ახალი ერის ათვლა ქრისტეს შობიდან დაიწყო. ქრისტიანობა წარმოიქმნა ებრაულ მოსახლეობაში და ის გენეტიკურად დაკავშირებულია იუდაიზმთან. ქრისტიანები ცნობენ იუდაიზმის ღმერთს (მათთვის ის მამა-ღმერთია), თანახის (ბიბლიის) ავტორიტეტს, სწამთ სულის უკვდავების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის. ამით მსგავსება ამოინურება. ებრაელები თუ ჯერ კიდევ მესიის გამოჩენას (მოსვლას) ელოდებიან, ქრისტიანები მიიჩნევენ, რომ ის უკვე მოვიდა: ის იყო იესო ქრისტე, ღმერთის შვილი (ძე ღმრთისა). ქრისტიანთა ღმერთი ერთია და სამსახოვანი: მამა ღმერთი, ძე ღმერთი (იესო ქრისტე) და სული წმიდა. ქრისტიანთა უმეტესობა იესო ქრისტეს ეთაყვანება, როგორც ღმერთს, რომელიც განკაცდა; მასში შერწყმულია ორი ბუნება (არსი): ღვთაებრივი და ადამიანური. ისინი აღიარებენ ქალწულ მარიამში წმიდა სულისაგან უმანკო ჩასახვას.

IV საუკუნისათვის ქრისტიანობა დევნილი „იუდეური სექტიდან" სახელმწიფო რელიგიად იქცა. იგი სწრაფად გავრცელდა რომის იმპერიისა და მეზობელ ხალხებში მისი მისიონერული საქმიანობის, უნივერსალური ზნეობრივი პრინციპებისა და ფენობრივ-ეთნიკური განსხვავებების ნიველირების წყალობით.

ქრისტიანობის საფუძველი ქრისტეს მოძღვრებაა, რომელიც განკაცდა, ევნო და აღესრულა კაცობრიობის პირველცოდვის გამოსასყიდად, აღდგა და ზეცად ამაღლდა. ქრისტიანული რწმენის მიხედვით, ქრისტე მეორედ მოვა უკანასკნელი სამსჯავროსათვის.

ქრისტიანობის მოძღვრებაზე გავლენა მოახდინა აღმოსავლურმა კულტებმა, მესიანურმა იუდეურმა სექტებმა (ესენელები), ბერძნულმა ფილოსოფიამ (ფილონ ალექსანდრიელის მოძღვრება ლოგოსზე), გვიანდელმა სტოიციზმმა.

ქრისტიანული თეოლოგიის ცენტრალური დოგმატია სამების დოგმატი. წარმოდგენა სამების შესახებ მოგვიანებით ჩამოყალიბდა, II საუკუნეში, ერთიანი ეპისკოპალური ეკლესიის ფორმირებასთან ერთად. ამ დოგმატის მიხედვით ღმერთი მამის, ძის და სულიწმინდის – სახითაა წარმოდგენილი. სამების ქრისტიანული დოგმატი ორიგინალური მოძღვრებაა, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ეკლესიისათვის. სამების წევრთა ერთარსობა და ჰიპოსტასურობა

ხსნის გამოცხადების – ძველი აღთქმის, ახალი აღქმისა და წმინდა ნერილის ერთიანობასა და თანაბარ მნიშვნელობას.

ქრისტიანობაში საიდუმლოებები ეწოდება სანესჩვეულებო ქმედებებს, რომლითაც მორწმუნეებზე ღვთის უხილავი მადლი გადმოდის. IV საუკუნემდე საიდუმლოებებად ითვლებოდა ყველა საკულტო ქმედება, რომლებიც მორწმუნეებში სინმინდის განცდას ინვევდა. საიდუმლოებების რიცხვი საბოლოოდ XV საუკუნეში დადგინდა. საიდუმლოებებია: ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ქორწინება, მღვდლობა, ზეთის კურთხევა და ზიარება (ევქარისტია). ქრისტიანული ეთიკის საფუძველია დეკალოგი (ათი მცნება).

ქრისტიანული დოგმატიკის ჩამოყალიბებას წლები დასჭირდა. ნიკეისა და კონსტანტინეპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებებმა მიიღეს რწმენის სიმბოლო, რომელიც შემდგომში კიდევ განიცდიდა ცვლილებებს. რწმენის სიმბოლო მოძღვრების საფუძველის შემადგენელი დოგმატების კრებულია. რწმენის სიმბოლოს მიღება რწმენით, მტკიცებულებების გარეშე ხდება. ზოგადქრისტიანული რწმენის სიმბოლო 12 ნანილისაგან შედგება. პირველ რვაში საუბარია ღმერთის სამწევრობაზე, ღვთის განკაცებაზე, ცოდვების გამოსყიდვაზე, ბოლო ოთხი კი ეძღვნება ეკლესიას, ნათლობასა და სამუდამო სიცოცხლეს. რწმენის სიმბოლო იკითხება ლოცვის მსგავსად. დოგმების შესახებ მიმდინარეობდა მუდმივი დავა-კამათი. ორგანიზაციული თვალსაზრისითაც არ იყო ქრისტიანობა ერთიანი. მოგვიანებით იგი სამ მიმდინარეობად დაიყო: მართლმადიდებლობად, კათოლიციზმად და პროტესტანტიზმად. შემდეგ მათშიც ჩამოყალიბდა სხვადასხვა ჯგუფი და მიმართულება. დღეს პროცესი ორი მიმართულებით მიდის: ერთი მხრივ, ესაა დიფერენციაციის გაღრმავება ქრისტიანულ ეკლესიათა შორის და მათ შიგნითაც და, მეორე მხრივ, ინტეგრაციული პროცესები, ეკუმენისტური მოძრაობა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საქმიანობა.

მართლმადიდებლური რწმენის საფუძველს ქმნიან წმინდა ნერილი (ბიბლია) და წმინდა გადმოცემები (პირველი შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებები და II-VIII საუკუნეების წმინდა მამათა შრომები). მართლმადიდებლობის ძირითადი პრინციპები გადმოცემულია რწმენის სიმბოლოს 12 პუნქტში, რომლებიც პირველ ორ მსოფლიო საეკლესიო კრებაზეა მიღებული.

მართლმადიდებლობისათვის დამახასიათებელია რთული, დეტალურად დამუშავებული კულტი. ღვთისმსახურება ხანგრძლივია და მრავალ რიტუალს მოიცავს. მთავარი ღვთისმსახურება – ლიტურგიაა (ევქარისტიის შესრულება). დიდი მნიშვნელობა აქვს დღესასწაულებს (მათ შორის ცენტრალურია აღდგომა).

საეკლესიო წოდება იყოფა თეთრ და შავ სამღვდელოებად. ეპისკოპოსი მარტო ბერს შეუძლია გახდეს. უმაღლესი წოდებაა პატრიარქი (საქართველოსა და აგრეთვე მონოფიზიტურ სომხეთში – კათოლიკოს-პატრიარქი). მართლმადიდებელ ეკლესიათა უმეტესობა კალენდრის ახალი სტილით სარგებლობს, თუმცა აღდგომა ძველი სტილით იანგარიშება.

თითოეულ მართლმადიდებელ ეკლესიას, ავტოკეფალურსაც და ავტონომიურსაც, ახასიათებს სპეციფიკური კონფესიური და ეთნიკური ნიშნები. სულ 16 ავტოკეფალური და 4 ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიაა. ავტოკეფალურია: კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, საქართველოს, რუსეთის, სერბეთის, მაკედონიის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, ალბანეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის და ამერიკის ეკლესიები; ავტონომიურია: ფინეთის, კრეტისა და იაპონიის ეკლესიები.

განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს სინაის ეკლესიას.

მართლმადიდებელ ეკლესიაში ძალზე მნიშვნელოვანია ლიტურგია, ასევე მნიშვნელოვანია კურთხევა და საიდუმლოებათა შესრულება. დიდი ადგილი ეთმობა წმინდანთა კულტს, ჯვრის თაყვანისცემას, ხატების თაყვანისცემას, მნიშვნელოვანია დღესასწაულები (ბზობა, აღდგომა ამაღლება, სულთმოფენობა, შობა, ნათლისღება, მირქმა, ხარება, ფერისცვალება, ღვთისმშობლის მიძინება, ღვთისმშობლის შობა, ჯვართამაღლება, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება) და მარხვები. ღვთისმსახურებას ასრულებენ ღვთისმსახურნი, რომელთა ქმედებაც დადგენილია საეკლესიო კანონებით.

მონოფიზიტობა ქრისტიანობის მიმდინარეობიდან ერთ-ერთია. თვითონ მონოფიზიტები თავს მართლმადიდებლებს ან სამოციქულო ეკლესიის მიმდევრებს უწოდებენ. მონოფიზიტები ერთიან ქრისტიანულ ეკლესიას ოფიციალურად 451 წელს გამოეყვნენ მას შემდეგ, რაც ქალკედონის მსოფლიო კრებაზე მიღებულ იქნა დიოფიზიტური დოქტრინა (იესო ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ). დამაარსებელი იყო კონსტანტინეპოლის ერთ-ერთი მონასტრის ილუმენი არქიმანდრიტი ევტიხი, მისი შეხედულებით, თავდაპირველად ქრისტეს ორი ბუნება ჰქონდა, მაგრამ მოგვიანებით მათი შერწყმა მოხდა. მონოფიზიტები ან საერთოდ უარყოფდნენ ქრისტეს ადამიანურ ბუნებას ან აცხადებდნენ, რომ ღვთაებრივმა ბუნებამ სრულიად შთანთქა ადამიანური, ან მათი გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ორივე ბუნებისაგან სრულიად განსხვავებული ბუნება. არსებობს მოსაზრება, რომ მართლმადიდებლობასა და მონოფიზიტობას შორის დოგმატურზე უფრო მეტად ეთნიკური, კულტურული, ან პოლიტიკური ხასიათის განსხვავება იყო მიზეზი მათი გაყოფისა. მონოფიზიტები ამით დაუპირისპირდნენ ბიზანტიური გავლენის ზრდას. მონოფიზიტები მსოფლიო კრებებიდან მხოლოდ პირველ სამს აღიარებენ (ნიკეის 325 წ., კონსტანტინეპოლისა 381 წ. და ეფესის 431 წ.). მონოფიზიტურია კოპტური მართლმადიდებელი ეკლესია, სირიული მართლმადიდებელი (იაკობიტური) ეკლესია და სომხური სამოციქულო ეკლესია. კულტმსახურება, მართალია, განსხვავებულია, მაგრამ, საერთო ჯამში, მართლმადიდებლური კულტის მსგავსია.

დიდი სქიზმის შედეგად 1054 წელს ქრისტიანული ეკლესია გაიყო, რამაც დასაბამი მისცა ახალი მიმდინარეობის **კათოლიციზმის** ჩამოყალიბებას. კათოლიციზმი განსხვავებულია მოძღვრებით, კულტითა და სტრუქტურული ორგანიზაციით. კათოლიკური ეკლესია მკაცრად ცენტრალიზებულია და აქვს ერთი მსოფლიო ცენტრი (ვატიკანი), ერთი მეთაურით (რომის პაპი). პაპი დედამინაზე ქრისტეს ნაცვლად

ითვლება და, ამდენად, რწმენისა და ზნეობის საკითხებში უცოდველად მიიჩნევენ. მისი ძალაუფლება მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მაღლა დგას.

მოძღვრების წყაროდ კათოლიკეები წმინდა წერილთან ერთად წმინდა გადმოცემებსაც (ეს განასხვავებთ პროტესტანტებისაგან) აღიარებენ, მაგრამ წმინდა გადმოცემებად ისინი (მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით) მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებსა და პაპის ქადაგებებს მიიჩნევენ.

კათოლიციზმის არსი ნიკეა-კონსტანტინეპოლის რწმენის სიმბოლოთია გადმოცემული და, პირველი შვიდი მსოფლიო კრების გარდა, პაპის ინიციატივით მოწვეულ მსოფლიო კრებებშიც იხსნება. მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით კათოლიციზმი აღიარებს ფილიოკვეს. ნიკეის (325 წ.) და კონსტანტინეპოლის (381 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებებზე დაადგინეს, რომ სულიწმინდა მამა ღმერთისაგან გამოდის, მაგრამ ღვთისმეტყველთა ნანილი აცხადებდა, რომ სულიწმინდა ძისგანაც გამოდის (ფილიოკვე (ლათ. და ძისგანაც). ეს ფორმულა ტოლედოს (589 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გაფორმდა და დიდი სქიზმის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. კათოლიციზმი აღიარებს სალხინებლის არსებობას (დოგმატია XV საუკუნიდან) და ღვთისმშობლის უბინო ჩასახვას. კათოლიკური რწმენის სიმბოლოებია სამოციქულო რწმენის სიმბოლო, ნიკეა-კონსტანტინეპოლისა და ათანასეს რწმენის სიმბოლოები.

სასულიერო წოდება ცელიბატის აღთქმას დებს. კათოლიციზმის თავისებურებაა აგრეთვე ღვთისმშობლის განსაკუთრებული თაყვანისცემა. ღვთისმშობლის თაყვანისცემა IV საუკუნიდან იღებს სათავეს. 431 წელს ეფესის მსოფლიო სეკლესიო კრებაზე იგი ოფიციალურად აღიარეს ღვთისმშობლად და ზეციურ დედოფლად. კათოლიციზმში განსაკუთრებით პოპულარულია მადონას კულტი და რამდენიმე დოგმატია მიღებული, რომლებსაც ძველი ეკლესია არ ცნობდა. XII საუკუნიდან გავრცელდა ლეგენდა წმ. მარიამის უბინოდ ჩასახვის შესახებ, ეს ვერსია 1854 წლიდან ოფიციალურ დოგმატად ითვლება. 1950 წელს მიიღეს დოგმატი ღვთისმშობლის სხეულებრივად ზეცად ამაღლების შესახებ, 1964 წელს კი პაპმა პავლე VI-მ ღვთისმშობელი „ეკლესიის დედად" გამოაცხადა.

კათოლიკეებს ახასიათებთ მდიდრული, თეატრალიზებული კულტი, სხვადასხვა მრავალრიცხოვანი რელიკვიის თაყვანისცემა, წმენებულთა კულტი, წმინდანთა და ნეტართა კულტი.

საუკუნეების მანძილზე ღვთისმსახურება ლათინურად აღესრულებოდა. ვატიკანის მეორე კრებიდან მოყოლებული დაშვებულია ეროვნულ ენებზე ღვთისმსახურება. თანამედროვე კათოლიკური ეკლესია ფლობს სამღვდელოების, სამონასტრო ორდენებისა, მისიონერული, საქველმოქმედო და სხვა რელიგიური ორგანიზაციების და დანესებულებების ფართო ქსელს. კათოლიკურ ეკლესიას მხარს უჭერს აგრეთვე საერო მასობრივი ორგანიზაციები.

კათოლიკური კულტის ცენტრი ტაძარია, რომელიც მდიდრულადაა მორთული ფერწერული, სკულპტურული ნამუშევრებით რელიგიურ თემებზე, ანთებენ ლამპრებსა და სანთლებს. ტაძარში რამ-

დენიმე საკურთხეველია. აქ სრულდება მესა და სხვა სახის ღვთისმსახურება, კურთხევა და საიდუმლოებები. ღვთისმსახურების დროს მორწმუნენი სხედან. ღვთისმსახურებას სასულიერო პირები ატარებენ, ზოგჯერ დაიშვებიან სპეციალურად განსწავლული საეროებიც. კათოლიკური კულტი დიდ ადგილს იკავებს მორწმუნის ცხოვრებაში. მორწმუნე ვალდებულია რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა ღვთისმსახურებაში, განსაკუთრებით დღესასწაულებისა და მარხვის დროს.

პროტესტანტიზმი სათავეს XVI საუკუნის რეფორმაციიდან იღებს, რომელიც კათოლიციზმის საწინააღმდეგოდ ჩაისახა. პროტესტანტული რეფორმაციის მიზანი ადრეული ქრისტიანობის იდეალებთან და პრაქტიკასთან დაბრუნება იყო. პროტესტანტები იზიარებენ საერთო ქრისტიანულ წარმოდგენებს ღმერთის, სამების, სულის უკვდავების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის (უარყოფენ კათოლიკურ სალხინებელს) და ა.შ. შესახებ. ამასთან ერთად აქვთ სამი ახალი პრინციპი: ხსნა პირადი რწმენით, ყველა მორწმუნის კურთხეულობა და ბიბლიის განსაკუთრებული ავტორიტეტი. პროტესტანტიზმის მიხედვით, პირველცოდვის გამო შეიცვალა ადამიანის ბუნება და მას მხოლოდ პირადი რწმენით შეუძლია მიაღწიოს ხსნას და არა კეთილი საქმეებით, საიდუმლოებებით, ასკეტიზმითა და ა. შ. თითოეული ქრისტიანი გამორჩეულია და ნათლობით იღებს ღმერთთან ურთიერთობის უფლებას, აქედანვე ეძლევა მას ქადაგებისა და ღვთისმსახურების შუამავლების გარეშე შესრულების უფლება. პროტესტანტებში ნაშლილია საერო და სასულიერო პირებს შორის დოგმატური სხვაობა. საეკლესიო იერარქიას მხოლოდ ფუნქციონალური დატვირთვა აქვს. სასულიერო იერარქია გამარტივებულია, მღვდელს არა აქვს მიტევების უფლება. არ მოქმედებს ცელიბატის კანონი. საიდუმლოებებიდან ცნობენ მხოლოდ ნათლობასა და ზიარებას. უარყოფილია ლოცვა გარდაცვლილთათვის, წმინდანთა თაყვანისცემა, მათი სახელობის დღესასწაულები, წმინდა ნაწილებისა და ხატების თაყვანისცემა. პროტესტანტიზმი არ ცნობს სამონასტრო ცხოვრებასა და ბერობას. ღვთისმსახურება გამარტივებულია და ქადაგებას, ლოცვასა და ფსალმუნთა და ჰიმნების მშშობლიურ ენაზე სიმღერას გულისხმობს. ბიბლია აღიარებულია მოძღვრების ერთადერთ წყაროდ. პროტესტანტები არ ცნობენ წმინდა გადმოცემებს (ე.ი. არაბიბლიურ ტრადიციას.). ზოგიერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ სიკვდილის შემდგომი ხვედრი ღვთის მიერაა განსაზღვრული (განსაზღვრულობის დოგმატი).

თავდაპირველი პროტესტანტული მიმდინარეობებია: ლუთერანობა, ცვინგლიანელობა, კალვინიზმი, უნიტარიანელობა, ანაბაპტიზმი, მენონიტობა, ანგლიკანობა. გვიანდელი პროტესტანტიზმია: ბაპტიზმი, მეთოდიზმი, კვაკერები, ადვენტისტები, იეღოვას მოწმეები, მორმონები, ხსნის არმია, ქრისტიანული მეცნიერება, ორმოცდაათიანელები და ა.შ. გვიანდელი პროტესტანტიზმის ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატებია.

თემა XVI

სოციონორმატიული კულტურა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრადიციული კულტურები რამდენიმე ქვესისტემად იყოფა. წინარე თავში წარმოებით და სიცოცხლისუზრუნველყოფის კულტურის ძირითად მოვლენებზე ვისაუბრეთ. ამას გარდა, ეთნოლოგები და ანთროპოლოგები, სრულიად სამართლიანად, ცალკე გამოყოფენ სოცონორმატიულ კულტურას. სოციონორმატიულ კულტურაში, ანუ ნორმატიულ ეთნოლოგიაში, ჩვეულებრივ, ესმით სოციალური ნორმების ეთნიკური თავისებურებები. მეცნიერები სოციონორმატიულ კულტურას ისტორიულ ჭრილშიც განიხილავენ. სოციონორმატიული კულტურა მოიცავს ისეთ პრობლემებს როგორებიცაა სამართალი (იმის დანესება, რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა), ეთიკა (წარმოდგენა იმის შესახებ როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ არ უნდა მოვიქცეთ), ესთეტიკა (წარმოდგენა ლამაზსა და მახინჯზე). სოციონორმატიული კულტურა განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას, უფრო სწორად მის საზღვრებს.

ცალკე გამოყოფენ ჰუმანიტარულ კულტურას, რომელშიც გულისხმობენ ყველაფერს, რომლებიც სტიმულს აძლევენ ადამიანთა მოქმედებას. ესენია სამყაროს შეცნობის რაციონალური და ემოციური საშუალებანი – მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია. საჭიროა აღინიშნოს, რომ კულტურის ყველა ფორმა არსებობს არა განცალკეეებულად, არამედ ისინი ერთმანეთს გადაკვეთს. მაგალითად, კულტურის ისეთი ელემენტი, როგორიცაა პური, წარმოების პროცესში (მარცვლეულის მოყვანა, დაფქვა) მიეკუთვნება წარმოებით კულტურას, მოხმარებისას – სიცოცხლისუზრუნველყოფის კულტურას, ხოლო პურთან დაკავშირებული ნეს-ჩვეულებები – პურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ოჯახსა და საზოგადოებაში მისი განანილების ნორმები, პურის მარაგის დაცვა ჩვეულებითი სამართლის ნორმებით, პურზე დაფიცება და ა. შ. მიეკუთვნება სოციონორმატიულ კულტურას. ისეთი რთული მოვლენა, როგორიცაა რელიგია, სხვადასხვა ასპექტით კულტურის სხვადასხვა ქვესისტემაში შედის. რელიგიის კომპონენტები – თეოლოგია, რელიგიური ფილოსოფია, სატაძრო ხელოვნება ჰუმანიტარულ სფეროს მიეკუთვნება, რელიგიური სამართალი, ეთიკური განნყობილებები – საზოგადოებრივ ნორმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის ჰუმანიტარული და სოციონორმატიული სფეროები უფრო ცხოვრების სულიერ მხარეებთანაა დაკავშირებული, ხოლო წარმოებითი და სიცოცხლისუზრუნველყოფისა – მატერიალურთან, მაგრამ ერთიც და მეორეც მუდმივად ასახავენ ერთმანეთს და მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. არ შეიძლება არ ითქვას, რომ კულტურის ქვესისტემების დახმარებით რეა-

ლიზდება ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობა, მათი ერთობა ან განსხვავება ერთ შემთხვევაში თამაშობს მაინტეგრირებელ როლს, მეორე შემთხვევაში – მადიფერენცირებელ როლს.

მთელი XIX საუკუნე და XX საუკუნის პირველი სამი ათეული წელი ეთნოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში სოციონორმატიული კულტურის ინტენსიური შესწავლის პერიოდი იყო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩვეულებითი სამართლის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესწავლას. ამ გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის გაგებაში, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათ ასახვა ჰპოვეს კანონმდებლობაშიც.

სოციონორმატიული კულტურა, როგორც აღინიშნა, მეცნიერთა მიერ ორ ძირითად კატეგორიად არის დაყოფილი. ესენია: სამართალი და მორალი (ზნეობრიობა, ეთიკა), რომელიც რელიგიის ზნეობრივ ნორმოდგენებსაც მოიცავდა. არსებობს აგრეთვე მეორეხარისხოვანი ხასიათის ნორმები, რომელთა შორისაც შეიძლება დავასახელოთ ზრდილობის წესები, ეტიკეტი, გარკვეული ასოციაციისადმი მიკუთვნებულობასთან დაკავშირებული წესები.

სამართალს სწავლობენ სამართალმცოდნეები, ანუ იურისტები, მორალს – ეთიკის სპეციალისტები. ამიტომაც ხშირად სვამენ კითხვას: შედის თუ არა სამართალი და მორალი ეთნოლოგიის (ანთროპოლოგიის) საგნობრივ არეში და არის თუ არა საჭიროება განსაკუთრებული ტერმინების შემოღებისა, როგორებიცაა იურიდიული და ეთიკური ეთნოგრაფია? როგორც ერთ, ისე მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არაა. სამართალიცა და მორალიც კულტურის კომპონენტებს მიეკუთვნება. რაც შეეხება ტრადიციული საზოგადოებების სამართალსა და მორალს, ამის შესახებ ეთნოლოგიას თავისი თვალთახედვა აქვს – მათში ასახულია ეთნიკური ტრადიცია. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ ნორმატიული ეთნოლოგიის მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ეთნოლოგიური დისციპლინების, განსაკუთრებით კი ეთნოსის თეორიის განვითარებაში.

§1. სამართალი. ჩვეულებითი სამართალი. სამართლის, მათ შორის, ჩვეულებითი სამართლის კვლევა ეთნოლოგიის სფეროში შემოდის. ამ საკითხს იკვლევს იურიდიული ანთროპოლოგია, სამართლის ეთნოლოგია, ნორმატიული ეთნოლოგია. ეთნოლოგები (ანთროპოლოგები) სწავლობენ ამა თუ იმ ეთნოსის სოციალურ ნორმებს ისტორიული განვითარების დინამიკაში, წარმოაჩენენ სპეციფიკურ ეთნიკურ სამართლებრივ ნორმებსა და ზოგად მახასიათებლებს.

ცნობილია, რომ სოციალური ნორმები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: ერთია უშუალოდ სამართლებრივი, ხოლო მეორე მორალური (რელიგიური, ეთიკური) ნორმები. როდესაც საუბარია ჩვეულებით სამართალზე, სოციალური ნორმების ორივე ფორმა ურთიერთგადაჯაჭვულია და ერთიან სივრცეშია მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ ნორმებს სამართალდამცველები შეისწავლიან, ხოლო მორალურ ნორმებს სწავლობს მეცნიერების დარგი ეთიკა, ეს საკითხები აქტუალურია ეთნოლოგიისთვისაც, ვინაიდან ეთნოლოგია იკვლევს და აანალიზებს ეთნიკურ სამართალსაც, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ

იკვეთება ეთნიკური სამართლებრივი, ზნეობრივი და რელიგიური ნორმების სახესხვაობანი.

ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთი ნორმა უმეტეს შემთხვევაში ამ ეთნოსის რელიგიური და მორალური ნორმებიდან გამომდინარეობს. მაკონტროლებელ ინსტიტუტს კი ნარმოადგენს სახელმნიფო, სოციუმი, თემი, ზოგადად კი საზოგადოებრივი აზრიც. მაკონტროლებელი მექანიზმის ამოქმედებით ყოველი სოციუმი არეგულირებს თავის ყოფა-ცხოვრებას. სოციუმს დასჯის ორგვარი მექანიზმი გააჩნია: პირველი უშუალოდ სამართლებრივი სასჯელია, ხოლო მეორე – საზოგადოებრივი გაკიცხვის ჩვეულება. აქედან გამომდინარე, ეთნოლოგს განსაკუთრებით სამართლის ის ნაწილი აინტერესებს, რომელსაც ჩვეულებით სამართალს ვუწოდებთ, რადგან სწორედ მასშია თავმოყრილი ეთნოსის სულიერი და სოციალური კულტურის ყველა ძირითადი მახასიათებელი.

ჩვეულებითი სამართალი, თუკი მას ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, განვითარების რამდენიმე შრის მატარებელია. ყველაზე ძველი ფენა ადათობრივი სამართალია. ადათობრივი სამართალი კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე დასტურდება. მარქსისტული თვალსაზრისით, ადათობრივი სამართალი გვაროვნული საზოგადოების პროდუქტია. ადათობრივ სამართალში ასახულია ეთნიკური ადათები, ჩვეულებები, რელიგიური, ზნეობრივ-ეთიკური და ქცევის ნორმები.

ეთნიკური კულტურის განვითარებასთან ერთად, სახელმნიფოს ჩამოყალიბების პარალელურად ან შემდეგ ჩნდება სახელმნიფო სამართალი. სახელმნიფო სამართალი ეყრდნობა თავის ეთნიკურ, ტრადიციულ სამართლებრივ ნორმებს და ბევრი ადათი, ჩვეულება აისახება სახელმნიფო კანონმდებლობაშიც, ანუ ბევრი ნორმა, მომდინარე ადათობრივი სამართლიდან არსებობას აგრძელებს სახელმნიფოს მიერ მიღებულ კანონებშიც.

განსაკუთრებით საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალაა დაცული მონოეთნიკურ სამართლებრივ სისტემებში (ძველი აღმოსავლეთის, ძველი ბერძნული, ძველი ეგვიპტური, რომაული სამართლი და ამ.) ეთნოლოგები ხშირად მსჯელობენ მაგალითად „ხამურაბის კანონებზე" ან „დრაკონულ კანონებზე" და მათში საინტერესო ეთნოგრაფიულ ინფორმაციას პოულობენ. ამ მხრივ, საყურადღებოა აგრეთვე სალიკური სამართალი, ვანდალთა სამართალი და სხვა.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, როდესაც დღის ნესრიგში დადგა ცენტრალიზებული ევროპული სახელმნიფოების ნარმოქმნის საკითხი, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და თვით ქვეყნების შიგნითაც მრავალი ადათობრივი სამართალი მოქმედებდა, ამიტომ დაინყეს პარტიკულარული ხასიათის ადათობრივი სამართლის შეზღუდვა და XII-XIII საუკუნეების ევროპაში ძველი რომაული კანონების რეცეპცია მოხდა. პარალელურად კი დიდი გავლენა პქონდა კათოლიკურ ეკლესიას, „ცოდვის" აღქმისა და გაგების რელიგიური თვალსაზრისი აისახა ევროპულ კანონმდებლობაზეც. მართმადიდებელი ქრისტიანობის აღმსარებელ ქვეყნებში ასეთივე როლი შეასრულა მართმადიდებელი ქრისტიანობის სახელმიერო, კანონიკურმა სამართალმა. დროთა გან-

მავლობაში, ევროპული აბსოლუტური მონარქიების ჩამოყალიბების ხანაში ხდება ფორმირება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სამართლისა.

დღეისათვის მეცნიერები ევროპის, ევროპის ყოფილი კოლონიებისა და დომინიონების, აშშ-სა და სხვა ქვეყნების სამართალზე საუბრისას განასხვავებენ სამართალნარმოების ორ ფორმას. ერთი მათგანი აქტობრივი კანონმდებლობის სახელითაა ცნობილი. იგი ძირითადად ევროპის კონტინენტს მოიცავს, მეორეს კი საერთო სამართალს უწოდებენ. ეს სამართლი გავრცელებულია ინგლისში, დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებსა და დომინიონებში, აგრეთვე აშშ-ში. სამართლის ამ ფორმებში ასახულია და არსებობას აგრძელებს ბევრი ძველი სამართლებრივი ნორმა, ადათი და ტრადიცია. იგი ეფუძნება ე.წ. პრეცედენტების ტრადიციას და აქ გადამწყვეტია სასამართლო. პირველ შემთხვევაში კი უმნიშვნელოვანესია თვით კანონი, ესა თუ ის საკანონმდებლო აქტი.

აღმოსავლეთის ქვეყნებში სამართლებრივი კულტურა ძირითადად რელიგიურ სისტემებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მათ ტრადიციულ-რელიგიურ სამართლებრივ სისტემებს უწოდებენ. აქ სამართალი შერწყმულია შარიათთან, ინდუისტურსა და კონფუციანისტურ სამართლებრივ//მორალურ//რელიგიურ ნორმებთან.

XIX საუკუნიდან იწყება ეთნიკური სამართლის ნიველირება, სამართლებრივი ნორმების კოდიფიკაცია და ეთნიკური მახასიათებლები ევროპის, ამერიკისა და სხვა ქვეყნებში თანდათანობით იზღუდება. ეს პროცესი დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. თუმცა ამ შემთხვევაში მრავალი პრობლემა იჩენს თავს. გაუაზრებელი, დაუსაბუთებელი შეცვლა ტრადიციული და სრულიად უცხო, თავსმოხვეული სამართლისა ხშირად იწვევს ეთნოსთა უკმაყოფილებას. მაგალითად, XX საუკუნის 20-იან წლებში თურქეთმა თავის ქვეყანაში მოხდინა შვეიცარიის სამართლის რეცეპცია. მოსახლეობა კი კვლავაც დიდი ხნის მანძილზე ძველ, მამაპაპის სამართალს იყენებდა ცხოვრებაში, ანუ ხშირად ოფიციალური კანონმდებლობა, თუკი იგი მკვეთრად განსხვავდება ადგილობრივი სამართლისაგან, გარკვეულწილად დეკლარირების დონეზე რჩება. ასეთ მდგომარეობას ბიურიდიზმს უწოდებენ. ბიურიდიზმი ჩნდება იმის გამო, რომ არ შეიძლება ქვეყნისა და ეთნოსისათვის უცხო კანონების მექანიკურად მიღება და ამ კანონებით ქვეყნის ცხოვრების მონესრიგება. კანონის მიღებისას გათვალიწინებულ უნდა იქნას ადგილობრივი სამართლებრივი კულტურის მონაცემები. მხოლოდ ეთნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით შემოღებული სამართალი შეიძლება მიიღოს და გაითვალისწინოს ეთნოსმა. ბიურიდიზმის მდგომარეობაში მყოფი ეთნოსები განსაკუთრებით საინტერესოა ეთნოლოგიური მეცნიერებისათვის, სამართლის ისტორიით დაინტრესებული მკვლევარებისათვის. ასეთ შემთხვევაში თვალსაჩინოდ იკვეთება ეთნიკური სამართლის სპეციფიკური ნიშნები, ეთნიკური ღირებულებები და ფასეულობები, ორიენტაცია, რომელთა სწრაფი აღმოფხვრა და ახლით შეცვლა თითქმის წარმოუდგენელი და ამავე დროს, ჩვენი აზრით, არაეთიკურიც არის, ვინაიდან ყოველი კულტურა თვითმყოფადობით არის ღირებული და ფასეული ზოგადსაკაცობრიო კულტურისათვის.

ბიურიდიზმი დამახასიათებელია აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ჩვეულებითი სამართლის მოდერნიზებას. მათი ერთი ნაწილი ეტაპობრივად ახდენს ამ ცვლილებებს, რაც განსაკუთრებით შედეგიანი და ნაკლებ მტკივნეულია ადგილობრივი ეთნოსებისათვის. ბიურიდიზმი ახასიათებდა რუსეთის მიერ დაპყრობილ ჩრდილო კავკასიის მთიელთა უმეტესობას. ცარისტული რუსეთი ითვალისწინებდა ადგილობრივ ადათებს, რელიგიას და, სახელმწიფო კანონების პარალელურად, გარკვეული პრობლემები გვარდებოდა ადგილობრივი ადათობრივი სამართლითა და შარიათით.

თანამედროვე მსოფლიოშიც ფედერაციული ტიპის სახელმწიფოები ითვალისწინებენ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ადათებსა და ტრადიციებს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა შტატებში ბევრი ერთმანეთისაგან განსხვავებული კანონი მოქმედებს.

ჩვეულებითი სამართალი, როგორც უკვე ითქვა, მოქმედებდა სახელმწიფო კანონმდებლობის პარალელურადაც გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, საქართველოში, რუსეთში და სხვაგან. ამ დროს იგი სათემო ცხოვრების შიდა პრობლემებს აწესრიგებდა. ცხადია, ჩვეულებითი სამართალი ყოველ ეთნოსს ერთმანეთისაგან განსხვავებული ჰქონდა, მაგრამ თითქმის ყველა ეთნიკურ ჯგუფში არსებობდა ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი ორი ელემენტი: სისხლის აღების წესი და სოციუმიდან (საზოგადოებიდან, თემიდან, გვარიდან და ა. შ.) მოკვეთის წესი.

ბევრ ტრადიციულ საზოგადოებაში სისხლის აღების წესი არსებობდა. შურისძიება მკვლელობისათვის, მკვლელობითვე პასუხის გაცემა ზოგან აუცილებელ მოვალეობადაც მიაჩნდათ და ასეთ შემთხვევაში სისხლის აუღებლობა საზოგადოებრივ სტატუსს მკვეთრად სცემდა. მაგალითად, ავსტრალიელ აბორიგენთა შორის არსებული ჩვეულებით, თუკი მამაკაცი უარს იტყოდა შურისძიებაზე, მას ტოვებდა ცოლი, უფრო გვიან კი მას მოიკვეთდა თემი და ართმევდა მემკვიდრეობის მიღების უფლებას. სხვადასხვა ეთნოსში შურისმაძიებელთა ნრე განსხვავებული იყო. ზოგან იგი ოჯახის წევრი მამაკაცებით შემოიფარგლებოდა, ზოგან კი სისხლის ამღებად მთელი გვარი და დედის საგვარეულოც კი ითვლებოდა, სისხლის ამღებთა ნრე ხანდახან მთელ პატრონიმიას (კლანს, ლინიჯს) მოიცავდა. ზოგიერთ საზოგადოებაში ითვალისწინებდნენ მოკლულის საზოგადოებრივ მდგომარეობას და რაც უფრო მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი ჰქონდა მოკლულს, მით უფრო მკაცრად უნდა დასჯილიყო მკვლელი. თანდათანობით, ეთნოსთა შემდგომ განვითარებასთან ერთად გამომუშავდა ე. წ. კომპოზიციის სისტემები, რაც შერიგების, მორიგების, მესისხლეობის აღკვეთისაკენ მიმართულ წეს-ჩვეულებებსა და ფორმებს გულიხმობს (სისხლის ნაცვლად მატერიალური ნაცვალგება).

სისხლის აღების წესი ბოლო დრომდე შემორჩა იტალიაში, იაპონიაში, კორსიკაში (საფრანგეთი), ალბანეთში, სერბეთში, აგრეთვე საქართველოს მთიანეთში და სხვაგან.

ქართველ მთიელებში ბოლო დრომდე მოქმედი ჩვეულებითი სამართალი, ცხადია, მკვეთრად განსხვავებულია ე. წ. პრიმიტიული სა-

ზოგადოებების ადათობრივი სამართლისაგან. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის სვანეთის – ჩვეულებით, სამართალში შემონახულია სახელმწიფო (ქართული ფეოდალური სახელმწიფო) კანონებისა და კანონიკური სამართლის უმთავრესი პოსტულატები. სწორედ ამიტომ არის იგი სისხლხორცეული ქართველი მთიელისათვის. ქართველი მთიელები (სვანები, ხევსურები) აქტიურად ებრძოდნენ სისხლის აღების ჩვეულებას – ეკლესიის, „ჯვრისა" და „ხატის" მეშვეობით ცდილობდნენ მშვიდობის შენარჩუნებას. ხევსურეთში მთელი თემი სთხოვდა მოკლულის ჭირისუფალს – „ჯვარსაც აპატიე და ჩვენც გვაპატიე" – ამ მიზნით არსებობდა ე. წ. „ჯვარში შამოჯდომის" წესი: მკვლელი და მისი სანათესაო „ჯვარს", „ხატს" შეეხიზნებოდნენ, შესაბამის რიტუალს ჩაატარებდნენ. შემდეგ კი ხუცესი და თემი მიდიოდა ჭირისუფალთან და ხევსურული „რჯულით" სამართალწარმოების დაწყებას სთხოვდა. ჭირისუფალი დროთა განმავლობაში თანხმდებოდა ამ სამართლის დაწყებას – „გარჯულვას" და „რჯულით" გამოტანილი განაჩენის აღსრულებით პრობლემის ერთი, სამართლებრივი მხარე ამოინურებოდა. სვანეთშიც ჩვეულებითი სამართლით განისჯებოდა მკვლელი. სვანეთის საზოგადოება მკვეთრად უზღუდავდა ყოველ მკვლელს სოციალურ სტატუსს – მას უკრძალავდნენ ეკლესიებში მისვლას, ნათესაველის ჭირისა და ლხინის გაზიარებასა და ა. შ. მკვლელობის შემთხვევაში თემი იწყებდა ზრუნვას მესისხლეთა შორის სამართალწარმოების დაწყების უფლების მოპოვებისათვის. ცხადია, ჭირისუფალს უჭირდა დაყაბულებოდა შერიგების თხოვნას, მაგრამ დროთა განმავლობაში მთელი თემი, ორივე მხარის სანათესაო, ხშირად კი მთელი ხევის (თემის) გამორჩეული, პატივცემული ადამიანები დაითანხმებდნენ ჭირისუფალს და ამის შემდეგ საქმეს ჩვეულებითი სამართლით განიხილავდნენ. სამედიატორო სამართალწარმოება ხანგრძლივი პროცესი იყო. მისჯილ საზღაურს („წორ") ბრალდებული მხარე იხდიდა. შემდეგ კი შერიგების ფიცი იდებოდა. ქართულ ჩვეულებით სამართალში დიდი ადგილი ეკავა რელიგიის ფაქტორს, სწორედ ჯვარ-ხატებისა და ეკლესიების ავტორიტეტი, თემის (საზოგადოების) მოთხოვნასთან ერთად აწესრიგებდა პრობლემას; მაგრამ თუკი მესისხლეობა გაგრძელდებოდა, ასეთ შემთხვევაში იგი შეწყდებოდა მაშინ, როდესაც მოკლულთა რაოდენობა ორივე მხარეს გათანაბრდებოდა.

ჩვეულებითი სამართალი იცნობს გაძევების, „მოკვეთის" წესსაც. გაძევება, „მოკვეთა" გულისხმობს თემის ნევრის განდევნას, „მოკვეთას" ამ თემიდან. განდევნა შეიძლებოდა ყოფილიყო დროებითი ან სამუდამო (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში). „მოკვეთა" აუცილებლად გულიხმობს ყოველგვარი (ნათესაური, მეზობლური, მეგობრული) ურთიერთობების გაწყვეტას „მოკვეთილთან", ასევე მის აუცილებლად გახიზვნას სხვაგან, თემის ტერიტორიის გარეთ „გასვლას". „მოკვეთის" წესი შეიძლებოდა განხორციელებულიყო ორი გზით – პირდაპირი გაძევებითა და ბოიკოტის გამოცხადებით, დამნაშავის კანონგარეშე დაყენებით.

ყველა ეთნიკურ ჩვეულებით სამართალში გაძევება-მოკვეთის ნინაპირობა სხვადასხვა სახის დანაშაული იყო. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მოკვეთის მიზეზი მძიმე დანაშაული იყო, უმთავარესად რელიგი-

ური და მორალური ხასიათისა, რაც გულისხმობდა – თემის, ხატის ღალატს, ნათესავთან შეცოდებას და სხვა. ამგვარი დანაშაული საფრთხეს უქმნიდა სოციუმის შემდგომ მმვიდობიან არსებობას, ინვეედა ქაოსსა და არეულობას, საფრთხეს უქმნიდა ტრადიციულ რელიგიურსა და ზნეობრივ ნორმებს. ხშირად, მოკვეთის გარეშე, თავისთავად განერიდებოდნენ და უკაცურ ადგილებში იხიზნებოდნენ მძიმე, გადამდები სნეულებით დაავადებულები (კეთრის, შავი ჭირის ეპიდემიისას).

დამნაშავის მოკვეთის გადაწყვეტილებას მთელი სოციუმი იღებდა. ჩვეულებრივ, ასეთ დროს იკრიბებოდა მთელი თემი (საქართველოში). აღმოსავლეთ საქართველოს მთაში არსებობდა „სამრისხველო სამანის" ჩასმის წესი: დამნაშავეს, თუკი სასჯელად თემიდან მოკვეთას დაუდგენდნენ, მოკვეთის სამანსაც ჩაუსვამდნენ – მთელი თემის თანდასწრებით მინაში ქვას ჩაფლავდნენ და დაწყევლიდნენ, ქვას მიწას ყველა მიაყრიდა. თუკი დამნაშავე ან მისი შთამომავლები ოდესმე თემისაგან შენდობას მიიღებდნენ, ასეთ შემთხვევაში „რისხვის სამანს" მოიძიებდნენ და შესაბამისი რიტუალის ჩატარებით ამოიღებდნენ.

სვანეთშიც არსებობდა დამნაშავის „მოკვეთის" წესი, რაც შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში, ხევის ერთპირობის „სამაგრობელ" დოკუმენტებშია დაფიქსირებული: „შევიყარენით ხევი ხეობით და გავაჩინეთ ეკლესიისა საქმე ასრე: უშგულსა და ლალვერს შუა მყოლმან... რომლისა ქუეყანისა იყოს, იმ ქუეყანასა რა ეკლესიისა მართებდეს, აგრე არ გაიღონ, იგი ქუეყანაი სეტის მთავარმონამისაგან და მისისა შესაულისაგან გამოსრულ იყოს და საუკუნოს ღმრთისაგან გამოსრულ იყოს... რჯულისა და ყოველთა ებისსკოპოსთაგან გამოსრულ იყოს..."

§2. მორალი. ეთიკა. მორალი, ეთიკა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა, რომლის არსიც სოციალურ რეგულაციაში მდგომარეობს. ის სამართლისაგან ძირითადად საზოგადოებრივი აზრით განსხვავდებოდა. ეს საზოგადოებრივი აზრი ტრადიციულ საზოგადოებებში ძირითადად ერთიანია. სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებებში ეს ერთიანობა სხვადასხვა ფენებისათვის განსხვავებულია. მორალის, ეთიკის წარმოქმნის დროისა და მექანიზმების შესახებ მეცნიერებაში ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. ზოგიერთი ასეთ ეპოქად პირველყოფილი საზოგადოების საწყის სტადიას მიიჩნევს, ზოგიერთი მას პირველყოფილი საზოგადოების დაშლის პერიოდს უკავშირებს. ამ დროს მოხდა თავდაპირველი გაბმული (შერწყმული), ინდივიდუალური სოციალური ნორმების, ანუ ნეს-ჩვეულებების მკვეთრად გამიჯვნა სავალდებულოდ და არასავალდებულოდ, რელიგიურად და არარელიგიურად. როგორც უნდა გავიაზროთ უძველესი სოციალური ნორმების ხასიათი, უდავოა, რომ პირველყოფილი საზოგადოების დაშლისას უკვე არსებობდა მორალის ნორმები როგორც მოსახლეობის ფართო ფენებისათვის, ისე ზედაფენებისათვის. მაგალითად, როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის დამახასიათებელია ცხოვრების სხვადასხვა წესი (მაგალითად, მშვიდობიანი შრომა და ლაშქრული გმირობა), მემკვიდრეობის სხადასხვა წესი, სხვადასხვაგვარი საქორწინო-მარეგულირებელი წესი (ენდოგამიური და ეკზოგამიური), საქორწინო გამოსასყიდის არაერთგვაროვანი სიდიდე და ა. შ. ტრადიციულ აგრარულ საზოგადოებაში, ინდუსტრიულ საზოგადოებაშიც ყველა ფენას მისთვის დამახასიათე-

ბელი მორალი გააჩნდა. შეიძლება ვილაპარაკოთ აგრეთვე პროფესიული ჯგუფების, კონფესიური თემების მორალზე. მაგალითად, ფეოდალური ღირსების კოდექსი, ბურჟუაზიული „საბაზრო ორიენტაციის" და სხვა. კერძოდ, შუა საუკუნეების ნებისმიერ საზოგადოებაში ფეოდალების ძირითად ღირებულებებად მიიჩნეოდა ვაჟკაცობა, გამბედაობა, სამხედრო ხელოვნება, სიუზერენისადმი ერთგულება, ვასალთა უფლებებისადმი პატივისცემა, გულუხვობა, ხოლო ფეოდალებზე დამოკიდებული გლეხობისათვის – შრომისმოყვარეობა, მორჩილება, ბატონისადმი ერთგულება, მომჭირნეობა.

მორალი ნორმების ერთობლიობაა და ის შემოღებულია არა სახელმწიფოს მიერ, არამედ საზოგადოების მიერ და უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით. მეცნიერებაში ხანგრძლივი ისტორია აქვს მორალისა და სამართლის ურთიერთმიმართებას და სამართალს, ჩვეულებრივ, განმარტავენ როგორც მორალის განსაკუთრებულად რეგულირებად ნაწილს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სამართლებრივი რეგულირება, როგორც ნესი, მნიშვნელოვნად მკაცრია, ვიდრე მორალური. თუ არ გავითვალისწინებთ ჩვეულებით სამართალს, სამართლებრივი სანქცია ფიქსირებულია (ამა თუ იმ სამართალდარღვევისათვის სათანადო სასჯელი იგულისხმება), მორალური სანქცია კი საერთოდ არსადაა ფიქსირებული (ამორალური საქციელი შეიძლება ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ფორმით გაიკიცხოს). რა თქმა უნდა, ეს კრიტერიუმები აბსოლიტური არაა: სასამართლო შეიძლება გაკიცხვით შემოიფარგლოს, საზოგადოებრივმა აზრმა კი მოკვეთით დასაჯოს. ცნობილი მეცნიერი ლ. უაიტი ნორმების ორ კატეგორიას გამოყოფდა, რომელთაგანაც პირველს „ეთიკას" უწოდებდა და მეორეს – „ეტიკეტს". სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ეთიკა, რომელიც ქცევის ნორმებია, საერთოა მთელი საზოგადოებისათვის, ეტიკეტი კი ნორმების ისეთ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობებს, მაგალითად, მამაკაცებისა და ქალების, დიდებისა და პატარების, სხვადასხვა სოციალური სტატუსის ინდივიდების და ა.შ.

მორალის ეთნიურობა უფროა დაკავშირებული რელიგიასთან, ვიდრე სამართლის ეთნიურობა. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მონოეთნიკური რელიგიებისათვის – იუდაიზმისათვის, კონფუციანობისათვის, სინტოიზმისათვის და ა. შ. მაგრამ მსოფლიოს რელიგიების თვალსაზრისით, საკითხი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გადაწყდეს. ერთი მხრივ, ისინი განაპირობებდნენ მორალის დეეთნიზაციას. მაგრამ, მეორე მხრივ, მსოფლიო რელიგიები მონოლითური არ არის; ისინი უამრავ მიმართულებებად, სექტებად იყოფა და ბევრი მათგანი ამა თუ იმ თვალსაზრისით დაკავშირებული არიან ეთნორეგიონალურ, ზოგჯერ კი ნმინდა ეთნიკური მიკუთვნებულობით. კონფესიური და სექტანტური მრავალფეროვნება აისახება სამართალშიც, მაგრამ უფრო მეტად კი – მორალში.

§3. ეტიკეტი და სტუმართმოყვარეობა. ეტიკეტს ორი მნიშვნელობა აქვს – ვიწრო მნიშვნელობით ის სამეფო კარსა და დიპლომატიურ წრეში ქცევის წესების ერთობლიობაა, ფართო მნიშვნელობით კი ის

საზოგადოებასა და მის რომელიმე ნაწილში (სქეს-ასაკობრივი, კასტური, წოდებრივი, პროფესიული და ა. შ.) მიღებული ქცევის, თავაზიანობის, ზრდილობის წესების ერთობლიობას წარმოადგენს. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეტიკეტი ადამიანებს შორის ურთიერთობას არეგულირებს. ეტიკეტის წესები ძირითადად საეალდებულოა. ეტიკეტის წესები სოციალური ნორმებია, ისინი ზნე-ჩვეულებების სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ მათ ისეთი არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ, როგორც მორალის ნორმებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეტიკეტი სოციალური ნორმების გარეგანი გამოხატულებაა. ეტიკეტი ჩანს როგორც თავისი, ისე საწინააღმდეგო სქესის პირებისადმი დამოკიდებულებაში, თანატოლ ან ასაკით განსხვავებულ ადამიანებთან მიმართებით, თანაბარ სოციალური სტატუსისა და განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე პიროვნებების ურთიერთობაში და ა. შ. ეტიკეტი ითვალისწინებს ისეთ ნორმებს, როგორიცაა, მაგალითად, მისალმების დანანესი ან პოზიცია. ლ. უაიტი ერთმანეთისაგან არჩევდა, ერთის მხრივ, სხვადასხვა სქესის, ასაკისა და სოციალური ჯგუფის ნევრების ეტიკეტსა და მორალს, როგორც მისი წევრების ქცევის რეგულაციის საშუალებას და, მეორე მხრივ, მთელი საზოგადოებისას. მისივე დასკვნით, ეტიკეტი სოციალურ ინტეგრაციას ემსახურება უფრო მკაცრად, ვიდრე მორალი. სინამდვილეში მორალიც ასევე საზოგადოების ინტეგრაციას ემსახურება, რომელიც ბევრი მორალური ნორმის სანქციონირებას ახდენს არა ნაკლებ მკაცრად, ვიდრე ეტიკეტის წესები. ეტიკეტის საჭიროება, როგორც ვინრო, ასევე ფართო მნიშვნელობით განპირობებულია სოციალურ-ისტორიული მიზეზებით და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ინდივიდის ქცევა ტრადიციებთან. სხვადასხვა ეთნოსებისათვის დამახასიათებელი ქცევის ეთნიკური ნორმები გამოკვეთილად კაპიტალიზმამდელი საზოგადოებებისათვის უფროა დამახასიათებელი; თანამედროვე საზოგადოებებში ეტიკეტის მიხედვით ქცევა თანდათან დავინყებას მიეცა.. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ეთნოსი ტრადიციულ ეტიკეტს დღესაც იცავს. მაგალითად მოდერნიზებული იაპონური და სამხრეთ კორეული საზოგადოებები შეიძლება დავასახელოთ.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისათვის დამახასიათებელი იყო **განრიდებისა და უმძრახობის ტრადიცია**. ტერმინი **განრიდება** პირველად ე. ტაილორმა შემოიტანა, რომლითაც აღინიშნება გარკვეული აკრძალვები ნათესავებსა და მოყვრებს შორის ურთიერთობებში. განრიდებაც და უმძრახობაც ეტიკეტის გარკვეული ფორმებია. განრიდება ძირითადად სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის დისტანციას გულისხმობს, **უმძრახობა** ერთი სოციალური წრის წარმომადგენლებისათვის იყო დამახასიათებელი, უფრო მეტიც, ის ერთი ოჯახის ნევრებს შორის ურთიერთობის გარკვეული ფორმა იყო. განრიდებასთან დაკავშირებული აკრძალვები შეიძლება გავრცელდეს როგორც აქტიურ ქცევებზე (მიმართვის ფორმა, შეხედვა, შეხება, მიკარება, სახელის ხსენება და ა. შ.), ისე პასიურ ქცევებზე (სხვა პირების ან მისი სიახლოვის თანდასწრებით). უმძრახობა ერთ ოჯახში ან ერთ სანათესაო ნრეში განრიდებასაც ითვალისწინებს. უმძრახობის გზით საუკუნეების განმავლობაში ადამიანები ინარჩუნებდნენ საოჯახო-საზოგადოებრივ

ურთიერთობებს, თავიდან იცილებდნენ კონფლიქტებს (ა. რ. რედ-კლიფ-ბრაუნი). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადრე-პირველყოფილ საზოგადოებაში თავიდან იცილებდნენ აკრძალულ სქესობრივ ურთიერთობებს, შემდეგ კი – თემის ფარგლებში ინდივიდებს შორის მისი საშუალებით უკონფლიქტო ინტეგრაცია ხდებოდა, აგრეთვე მისი საშუალებით ინარჩუნებდნენ ცალკეული პირებისა და სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიის ავტორიტეტსა და გაბატონებულ მდგომარეობას. განრიდება და უმძრახობა ფართოდ იყო გავრცელებული აგრარულ (ფეოდალურ) ტრადიციულ საზოგადოებებში. ბევრ ადგილას გარკვეული ფორმით ის ინდუსტრიული საზოგადოების სანყის ეტაპზეც იყო შენარჩუნებული. საბჭოთა ეთნოლოგიაში უმძრახობასა და, საერთოდ, საქორწინო-საოჯახო აკრძალვებს ფორმაციულობასთან აკავშირებდნენ და კავკასიის ხალხებში საბჭოთა წყობილების დროს მას წარსულის გადმონაშთად მიიჩნევდნენ. ვფიქრობთ, რომ ტრადიციული საზოგადოებისათვის საოჯახო აკრძალვები და, მათ შორის, უმძრახობა სრულიადაც არ იყო უარყოფითი მოვლენა. პირიქით, როგორც სოციალური ნორმა ის საზოგადოებისათვის მისაღები იყო და აკმაყოფილებდა ადამიანთა გარკვეულ მოთხოვნებს. ზოგიერთი მეცნიერი აკრძალვებსა და უმძრახობას საქორწინო ურთიერთობის ხასიათით, ადამიანის ხასიათით, სირცხვილის, მორიდებისა და თავდაჭერილობის ბუნებრივი გრძნობებით ხსნიდა.

კავკასიისა და ცენტრალური აზიის ხალხებში უმძრახობას პატრიარქალური, საოჯახო-საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების ფუნქცია ჰქონდა. უმძრახობა არც ქართველთათვის იყო უცხო. მაგალითად, ოჯახში შემოსულ რძალს რამდენიმე წლის განმავლობაში გარკვეული დისტანცია ჰქოდა როგორც დედამთილის, ისე მამამთილისა და უფროსი მაზლების მიმართ. დედამთილთან თუ ეს პერიოდი დიდხანს არ გრძელდებოდა, მამამთილთან ის ხანგრძლივად, ზოგან მეორე ბავშვის გაჩენამდე გასტანდა ხოლმე, თუმცა გარკვეული დისტანცია და მოკრძალებული დამოკიდებულება მუდმივად არსებობდა. გარკვეული საოჯახო ეტიკეტი არსებობდა ცოლ-ქმრის ურთიერთობაში. ისინი ერთმანეთს ხმამაღლა არ ელაპარაკებოდნენ, არ მიმართავდნენ სახელით. მგზავრობის დროს კაცი წინ მიდიოდა, ქალი კი უკან მისდევდა. მშობლები შვილების მიმართ ერთგვარად თავშეკავებულნი იყვნენ, არ ეალერსებოდნენ სხვების თანდასწრებით. თავის მხრივ, შვილები მშობლების მიმართ მორიდებულნი და მოკრძალებულნი იყვნენ. განსაკუთრებული აკრძალვები გვქონდა საქართველოში ქალისა და ქმრის ნათესავების ურთიერთობაში, რაც უმძრახობის სახელით არის ცნობილი. უნდა ითქვას, რომ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში უმძრახობა მხოლოდ ფრაგმენტულად იყო შემორჩენილი და მისი ცალკეული ელემენტები, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სრულიადაც არ შეიძლება მივიჩნიოთ უფროსების მიერ უმცროსების ან მამაკაცების მიერ ქალის დაქვემდებარების ნიშნად.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, განრიდება და უმძრახობა ზოგიერთ ხალხში დღესაცაა შემორჩენილი, რომელსაც

მორალური ან რელიგიური მოტივაცია აქვს და, ჩვეულებრივ, პატივისცემის გამოხატულებად აღიქმება.

სტუმართმოყვარეობა უნივერსალური საზოგადოებრივი ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს სტუმრის მიღებასა და მასზე მზრუნველობას. სტუმართმოყვარეობა ეთნოლოგთათვის ცნობილ ყველა პირველყოფილი ტომისათვის იყო დამახასიათებელი. ამდენად, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს ინსტიტუტი კლასობრიობამდელ საზოგადოებაში ნარმოიქმნა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მიერ გამოთქმული შეხედულების გაზიარება, რომ სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ქართველ ხალხში ჯერ თავადაზნაურობაში ჩაისახა და შემდეგ კი გლეხებში გავრცელდა. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების შედეგია. ამ შეხედულების გამომრიცხველი ისიცაა, რომ კავკასიის არაქრისტიან ხალხებში ის ძალიან იყო გავრცელებული. ეთნოლოგთა საერთო აზრით, სტუმართმოყვარეობის ტრადიციები უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა. სტუმართმოყვარეობის წეს-ჩვეულებები განსაკუთრებით სოციალური დიფერენციაციისა და სახელმნიფოებრივი ნარმონაქმნების ეპოქაში განვითარდა – ტომთაშორისი კოტაქტებისა და კონფლიქტების პირობებში ადამიანებს შორის ურთიერთობები ყველა საფრთხისაგან დაცული უნდა ყოფილიყო. სტუმართმოყვარეობა მნიშვნელოვანი იყო ტომთა ვაჭრობის პირობებში, რისი დამადასტურებელი ის გარემოებაცაა, რომ ძველ რუსულ ენაში სიტყვა „გოსტ" (სტუმარი) „ვაჭარსაც" აღნიშნავდა. ბევრ მესაქონლე და მთიელ ხალხს სტუმართმოყვარეობის საერთო სამართლებრივი კოდექსი და ეტიკეტი ჰქონდა შემუშავებული. ამ თვალსაზრისით შეიძლება საერთოკავკასიური სტუმართმოყვარეობის ტრადიციებზე ვილაპარაკოთ. აქ სტუმართმოყვარეობის ტრადიცია იერარქიულად სისხლის აღების ტრადიციაზე მაღლა იდგა. მასპინძლები ვალდებულნი იყვნენ ნებისმიერი სტუმრისათვის თავშესაფარი მიეცათ, უზრუნველვყოთ ის საჭმლით, ეზრუნათ მასზე და შეესრულებინათ მისი ყველა თხოვნა, დაეცვათ მისი ქონება, მისი შეურაცხყოფა პირად შეურაცხყოფად მიეღოთ. მაგალითად, არაბ მომთაბარეებთან ყველა, ვინც კარავს შეეხებოდა, სტუმრად ითვლებოდა და მათთან სამი დღე-ღამის განმავლობაში რჩებოდა, რის შემდეგაც სტუმრის უფლებები ერთმეოდა და თუ არ მოეწყობოდა სხვა მასპინძელთან, შეიძლებოდა გაეძარცვათ და მოეკლათ. ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში ფეოდალებზე დამოკიდებული გლეხები კვებავდნენ და ემსახურებოდნენ თავიანთი ფეოდალების შინაყმა სტუმრებს, თვით ფეოდალები კი დიდხანს სტუმრობდნენ ვასალებთან. თანამედროვე ეპოქაში სტუმართმოყვარეობას არა აქვს სამართლებრივი რეგლამენტაცია და მისდამი მიდგომა ხშირად არსებითად განსხვავებულია. ცნობილია, რომ ბევრი ხალხის სოფლის მკვიდრნი ხალისით იღებენ მოულოდნელ სტუმრებს, მაშინ როდესაც ქალაქის მკვიდრნი – მხოლოდ დაპატიჟებულ სტუმრებს მასპინძლობდნენ და ისიც განსაზღვრული დროით. საერთოდ, სტუმარზე ზრუნვა ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, თუმცა ის სხვადასხვანაირადაა გამოხატული. ეს ტრადიცია ყოველდღიური ყოფითი კულტუ-

რის მნიშვნელოვან და ძვირფას ტრადიციათა რიგს განეკუთვნება. კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში სტუმარმასპინძლობასთან ერთად გამოყოფენ აგრეთვე ყონაღობის ინსტიტუტს. განსხვავება სტუმარ-თმოყვარეობასა და ყონაღობას შორის ისაა, რომ პირველ შემთხვევაში თუ მასპინძლობას უწევენ ნებისმიერ ადამიანს, მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაცნობის, ძმადნაფიცის ხშირ სტუმრობასა და გამასპინ-ძლებასთან.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ მსოფ-ლიოს ბევრი ხალხის სტუმარმასპინძლობის კულტურაში გავრცელე-ბული იყო სექსუალური მომსახურება. ჩუკჩების სტუმარს, ჩვეულებ-რივ, შეეძლო ღამე ოჯახის უფროსის ცოლთან, დასთან ან ქალიშვილ-თან გაეტარებინა.

თემა XXVII

საკუთარ სახელთა სისტემები

საკუთარი სახელები, ანთროპონიმიული მოდელები ეთნოლოგიური მეცნიერების კვლევის სფეროში შედის. თუმცა საკუთარ სახელთა სისტემებითა და ანთროპონიმიური მოდელებით ისტორია და ლინგვისტიკაცაა დაინტერესებული. ამ სფეროში შეიძლება იდეალურად ჩაითვალოს ნაშრომები, რომლებიც სამივე მეცნიერების ერთობლიობით არის შესწავლილი. ეთნოლოგიას აღნიშნული პრობლემა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ აინტერესებს, რომ საკუთარ სახელებში გამოკვეთილად და ნათლად ჩანს ეთნიკური სპეციფიკა – ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი საკუთარი სახელები გააჩნდა, შექმნილი ჰქონდათ თავისთვის დამახასიათებელი ანთროპონიმიული მოდელი. ამავე დროს საკუთარ სახელებში კარგად ჩანს ამა თუ იმ ხალხის სულიერი კულტურის თავისებურებანი, სოციალურ ურთიერთობათა სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხალხს მისთვის დამახასიათებელი საკუთარ სახელთა სისტემა და ანთროპონიმიული მოდელი ჰქონდა, მაინც ხერხდება მათი კლასიფიკაცია კულტურისა და ცივილიზაციების მიხედვით.

ადამიანთა საკუთარი სახელები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და ინვევს. საკუთარი სახელია არა მხოლოდ პირადი, ინდივიდუალური სახელი, არამედ მამის სახელი, მეტსახელი და გვარსახელი. მსოფლიოს ხალხების საკუთარ სახელებს თავისებურებების გარდა, საერთოც ბევრი რამ გააჩნია. ამა თუ იმ ეთნოსის საკუთარ სახელთა სისტემა და ანთროპონიმიული მოდელი განპირობებულია ენობრივი თავისებურებებით, განვლილი ისტორიული გზით, სოციალური განვითარების თავისებურებებით, რელიგიით. ისევე როგორც ეთნიკური კულტურის სხვადასხვა ელემენტი, საკუთარი სახელებიც ამა თუ იმ ხალხში წარმოიქმნებოდა და შემდეგ ფართოდ ვრცელდებოდა როგორც ახლო, ისე შორს მცხოვრებ ეთნოსებში. ეთნოსთა ერთი ჯგუფისათვის თუ საკუთარ სახელთა რთული სისტემებია დამახასიათებელი, მეორე ჯგუფს ბოლო დრომდე მხოლოდ პირადი სახელები ჰქონდა და მათთვის შემკვიდრეობითი სახელი უცნობი იყო. ეთნოსთა დიდმა ნაწილმა მემკვიდრეობითი სახელი, ანუ გვარსახელი მხოლოდ გვიან დაიმკვიდრა. ევროპაში დღესაც კი არის ხალხი, რომლსაც გვარსახელი არა აქვს – ესენი ისლანდიელები არიან. ამ ხალხის ანთროპონიმიული მოდელი მხოლოდ პირადი სახელისა და მამის სახელისაგან შედგება. ოკეანიის ზოგიერთი ხალხისათვის კი მამის სახელიც უცნობია – მათთვის მხოლოდ პირადი სახელები იყო დამახასიათებელი. რაღა შორს ნავიდეთ, დღესაც კი საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ნაწილს გვარსახელი არ გააჩნია. ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებ-

ში მხოლოდ სახელი და მამის სახელი უწერიათ, არადა კანონმდებლობით საქართველოს ყველა მოქალაქე გვარსახელს უნდა ატარებდეს.

ამრიგად, შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ ისტორიულად მსოფლიოში სახელთა სხვადასხვა სისტემა ჩამოყალიბდა. საკუთარ სახელთა პირველი კლასიფიკაცია პოლონელმა მეცნიერმა თადეუშ მილევსკიმ მოგვცა. ანთროპონიმიული მოდელების კლასიფიკაცია მან მისი შემადგენელი წევრების რაოდენობის მიხედვით მოახდინა: ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ. თუმცა გარკვევით უნდა ითქვას, რომ ასეთი კლასიფიკაცია მხოლოდ გარეგნულია და არა შინაარსობრივი. ამ სისტემის მიხედვით, ერთ – სამწევრიან მოდელში ხვდება დასავლეთევროპული, რომელიც ორი პირადი სახელისა და გვარსახელისაგან შედგება და რუსული და ბერძნული, რომელშიც სახელი მამის სახელი და გვარსახელია გაერთიანებული. სინამდვილეში ზემოთ აღნიშნული სამწევრიანი მოდელები შინაარსობრივად ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავებულია. დასავლეთევროპული ანთროპონიმიული მოდელი უფრო ახლოსაა აღმოსავლეთევროპულ ანთროპონიმიულ მოდელთან, რომელიც მხოლოდ სახელისა და გვარსახელისაგან შედგება. მაგალითად, **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, იოჰან სებასტიან ბახი** – დასავლეთევროპულ მოდელში ორ სახელსა და გვარსახელს აერთიანებს, **ადამ მიცკევიჩი** და **კარლ ჩაპეკი** აღმოსავლეთსლავურში – მხოლოდ ერთ პირად სახელსა და გვარსახელს. რუსულ ანთროპონიმიულ მოდელში (აგრეთვე ბერძნულსა და სულ ცოტა ხნის წინანდელ ქართულში) სამწევრიანი მოდელი პირად სახელს, მამის სახელსა და გვარსახელს აერთიანებს. ამდენად, რაოდენობის მიხედვით, ანთროპონიმიული მოდელების კლასიფიკაცია მთლად გამართლებული არაა, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლებელია მსოფლიოს ხალხთა საკუთარი სახელების სისტემებისა და ანთროპონიმიული მოდელების ზუსტი და ამომწურავი კლასიფიცირება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვარსახელს ხშირად ოჯახის სახელად მიიჩნევენ, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ გვარსახელი არის არა ერთი და ორი ოჯახის აღმნიშვნელი სახელი, არამედ ის შეიძლება 100-200-400 ოჯახსაც მოიცავდეს. შეიძლება მარტივად ითქვას, **რომ გვარსახელი არის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სამი თაობის განმავლობაში მაინც გადადის მემკვიდრეობით.**

სახელთა სისტემები მუდმივი არ არის; ისინი ისტორიულად ყალიბდებოდა და ხანდახან ცვლილებებს განიცდიდა. მაგალითად, სამწევრიანი ანთროპონიმიული მოდელი, რომელიც ინდივიდუალური სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობისაგან შედგებოდა და რომელიც ქართველებმა დამოუკიდებლად შეიმუშავეს და არავისგან არ გადაუღიათ, სულ ცოტა ხნის წინ, ხელისუფალთა დაუფიქრებელი ქმედების გამო, გაუქმებულ იქნა, რადგან მისგან მამის სახელი ამოიღეს (გაუთვითცნობიერებელი ადამიანების აზრით, თითქოსდა რუსების მიერ ქართველთათვის ძალით თავს მოხვეული). მეორე მაგალითი: დღეს სომხებისათვის დამახასიათებელია ისეთივე სამწევრიანი ანთროპონიმიული მოდელი, როგორიც რუსებს აქვთ – პირადი სახელი+მამის სახელი+გვარსახელი. ეს მოდელი მათ მხოლოდ გვიან პერიოდში,

საბჭოთა კავშირის დროს ჩამოუყალიბდათ, როდესაც რუსული სისტემა ყველა საბჭოთა მოქალაქეზე გავრცელდა. აღნიშნული სისტემა სომხებისათვის დამახასიათებელი ვერ იქნებოდა, რადგან ისტორიის სიღრმეშიც და ახალ ისტორიაშიც, ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე და ხშირად XX საუკუნის დასაწყისამდე სომხებს გვარსახელები არ ჰქონდათ. გაუთვითცნობიერებელმა ადამიანმა შეიძლება იკითხოს – აბა, რა არის **მოვსეს კალანკატვაცში** მეორე კომპონენტი? პასუხი მარტივია – იმ სოფლის სახელი, სადაც ის დაიბადა.

საბჭოთა პერიოდში ზოგიერთი მეცნიერი საკუთარი სახელების, გვარსახელების ცვლას საზოგადოების განვითარებას, სოციალ-ეკონომიკური წყობის შეცვლას უკავშირებდა. შეიძლება მარტივად ითქვას, რომ ეს იყო ხარკის გადახდა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის. ქართულ ენაში პირველყოფილი საზოგადოების სანათესაო გაერთიანება, რომლის წევრებსაც ერთი მითური ან რეალური ნინაპარი გყავთ, ერთი ტერმინით – **გვარით** აღინიშნება. ამავე სიტყვით აღინიშნება უკვე სრულიად განსხვავებული სოციალური უჯრედი, მემკვიდრეობითი სახელიც, რომელიც სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში გაჩნდა და რომელიც ბევრ ცივილიზებულ ხალხს ბოლო დრომდე არც ჰქონდა. რუსული ენა (და სხვა ევროპული ენები) პირველყოფილი საზოგადოების გვარებსა და სახელმწიფოებრივ სისტემებში ნარმოქმნილ გვარებს, ანუ მემკვიდრეობით სახელებს ერთმანეთისაგან მიჯნავს. პირველის აღმნიშვნელად „როდ" გამოიყენება, მეორისა – „ფამილია" (ეს უკანასკნელი სიტყვა ბევრ ენაში ლათინური ენიდანაა შესული). რატომ არ ასხვავებს ქართული ენა მათ ერთმანეთისაგან? ქართული ენა ღარიბია და შესაბამის სიტყვას ვერ იპოვიდა? რა თქმა უნდა, არა. ეს მოვლენა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. საქართველოში მოხდა პირველყოფილი გვარის კლასობრივი საზოგადოების გვარში (რომლებიც სოციალურად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა) გადაზრდა, ტრანსფორმაცია. ამ თვალსაზრისით ქართველ ხალხში ტრადიციის განყვეტა არ მომხდარა, თუმცა პირველყოფილი საზოგადოების გვარი და სახელმწიფოების დროინდელი გვარი თავისი შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ამავე დროს იმის გამო, რომ ტრადიციის წყვეტა არ მოხდა, სახელმწიფოების დროინდელმა გვარმა (გვარსახელმა, მემკვიდრეობითმა სახელმა) ბევრი ის ნიშან-თვისებაც გადმოიყოლა, რომლებიც კლასობრიობამდელი გვარისათვის იყო დამახასიათებელი. საილუსტრაციო მაგალითად გვარის ეკზოგამიურობაც გამოდგება. აღნიშნული თვალსაზრისით ქართველები გამონაკლისები არ იყვნენ. ანალოგიური სიტუაცია გექონდა კელტური მოდგმის ხალხებშიც (შოტლანდიელები, ირლანდიელები) და ჩინელებშიც. კელტებში „კლანი" ინდუსტრიულ საზოგადოებაშიც დიდხანს ცოცხლობდა. გვარსახელს (ფამილიას) იმიტომაც ვერ მივიჩნევთ ოჯახის სახელად, რომ ევროპის ბევრ ხალხში ის საკმაოდ გვიან ნარმოიქმნა, ვიდრე საზოგადოების პირველადი სამეურნეო და სამართლებრივი უჯრედი – ოჯახი.

საგულისხმოა, რომ ანთროპონიმიული სისტემები ხშირად ერთი ხალხიდან მეორეში სესხების გზითაც ვრცელდებოდა. მაგალითად, ბოლო 60-70 ნლის განმავლობაში თურქეთში, ტუნისში, ეგვიპტესა და

სხვა ქვეყნებში მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) არსებობა საერთოდ არ იცოდნენ. ეს ინსტიტუტი ამ ქვეყნებში დეკრეტებით დაკანონდა. იგივე შეიძლება ითქვას ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ბევრ ხალხზე, რომელთა შორის შეიძლება აზერბაიჯანელები, თურქმენები, ყაზახები და ყირგიზებიც დავასახელოთ. ამ ეთნოსებს არა მარტო გვარსახელი, არამედ რუსული ანთროპონიმიული სისტემაც დაუკანონდათ. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილ ხალხებს არცთუ ისე დიდი ხნის წინ შეეცვალათ ანთროპონიმიული მოდელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ევროპის ქვეყნებში გვარსახელების წარმოქმნა მიმდინარეობდა თანმიმდევრობით, სოციალური კიბის საფეხურების მიხედვით: აქ გვარები თავდაპირველად, შუა საუკუნეებში, ფეოდალებს გაუჩნდათ, შემდეგ კი – თანმიმდევრობით ვაჭრებს, მოქალაქეებსა და გლეხებს, მაგრამ ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში გვარის გარეშეც ბევრი იყო. ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ რეალურ მოვლენას საქართველოზე ვერ გავავრცელებთ, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩვენში გვარსახელები სხვაგვარ სიტუაციაში წარმოიქმნა. და ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარ სახელთა სისტემები, მდგრადობის მიუხედავად, თანდათანობით განვითარებასა და სრულყოფას განიცდიდა. თანამედროვეთათვის ეს ცვლილებები თითქმის შეუმჩნეველი იყო; ცვლილებები მხოლოდ დროის გადასახედიდან არის შესამჩნევი.

თანამედროვე სისტემები იურიდიული თვალსაზრისითაც მისაღებია; ის ხომ რთული სისტემების ეპოქის მოთხოვნილებებსაც აკმყოფილებს. საკუთარი სახელების (ანთროპონიმების) შესწავლას, თეორიული მნიშვნელობის გარდა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ზემოთ აღინიშნა, რომ ანთროპონიმების კვლევით ეთნოლოგია, ისტორია, ენათმეცნიერებაა დაინტერესებული. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის კვლევით სამართალი, ფსიქოლოგია და ესთეტიკაცაა დაინტერესებული. შუა საუკუნეების საქართველოში გვარები, ანუ მემკვიდრეობითი სახელები მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთი საშუალებაც იყო. მემკვიდრეობითი სახელითაც ჰყავდათ ფეოდალებს ყმა-გლეხები მიმაგრებული – XVIII საუკუნის რამდენიმე საბუთის მიხედვით ჩანს, რომ თავადები ქართლიდან კახეთში გაქცეულ გლეხებს პირადი სახელითა და გვარით ეძებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი სახელები, როგორც ანთროპონიმები, ისე ტოპონიმები მნიშვნელოვანი წყაროა ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესასწავლადაც. საკუთარი სახელები მეცნიერებს ხშირად ეხმარება სხვადასხვა კულტურების ერთმანეთში შეღწევის კვლევის საქმეშიც. სხვათა შორის, ბევრი ძველი და ან გამქრალი ეთნოსის ლექსიკური ერთეულები მხოლოდ ძველი დამწერლობის მქონე ხალხების წერილობით ძეგლებშია დადასტურებული და სწორედ ეს მონაცემები აძლევს მეცნიერებს იმის საშუალებას, რომ გაარკვიონ მათი ეთნიკურ-ენობრივი კუთვნილება.

ფრიად მნიშვნელოვანია საკუთარი სახელების ისტორიულ დინამიკაში შესწავლა. მაგალითად, თუ ჩავიხედავთ „ქართლის ცხოვრების" პირველ ტომში, აღმოვაჩენთ, რომ ადრე შუა საუკუნეების საქართველოში ძალიან იყო გავრცელებული სპარსული წარმომავლობის სახე-

ლები, რაც მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. სხვა საკითხებს რომ თავი დავანებოთ, ამით აშკარად ჩანს პოლიტიკური ორიენტაცია, სპარსული კულტურის არეალში ყოფნა. საკუთარი სახელებით ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა XVI საუკუნის ბოლოს ეთნიკურად ქართული იყო – „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში" აღწერილი მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა ქართულ-ქრისტიანულ სახელებს ატარებდა. ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – აჭარის მოსახლეობა გვიან შუა საუკუნეებში ისლამის სარწმუნოების მიმდევარი გახდა და ბუნებრივია, ისინი მაჰმადიანურ სახელებს ატარებდნენ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარაში მაჰმადიანური სახელები ქართულ-ქრისტიანულ სახელებს უთმობს ადგილს.

ისტორიულად ანთროპონიმებს გარკვეული სოციალური ფუნქციაც ჰქონდა. ცნობილია, რომ საკუთარი სახელების ერთი ნაწილი მხოლოდ ზედა ფენებში იყო გავრცელებული, მეორე ნაწილი – დაბალ ფენებში. ამდენად, სახელების მიხედვით არკვევდნენ ინდივიდს სოციალურ სტრუქტურაში (სოციუმში) რა ადგილი ეკავა. ერთი ხალხის მიერ სხვა ხალხზე კულტურული და პოლიტიკური გავლენა საკუთარ სახელებზე სწრაფად აისახებოდა. უცხო სახელების მატარებელნი უპირატესად ზედაფენების წარმომადგენლები იყვნენ. სახელებს სხვა ფუნქციებიც გააჩნია. ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია ინდივიდების ერთმანეთისაგან განსხვავება, იდენტიფიკაციაა. ანთროპონიმებში ჩანს ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან, მოდასთან, გემოვნებასთან დამოკიდებულება. საკუთარი სახელების ერთ-ერთი ფუნქცია რწმენა-წარმოდგენებთან დამოკიდებულების ასახვაა. პირველყოფილ ადამიანებს სწამდათ, რომ სახელებს ზებუნებრივ ძალებთან ჰქონდათ კავშირი, რომ ისინი იცავდნენ ავი სულებისაგან, კეთილი სულები კი – ღვთაებები, წმინდანები მფარველობდნენ. ასეთი ფუნქცია სახელებს განსაკუთრებით პრიმიტიული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების დროს ჰქონდათ. თუმცა მათ ფუნქციონირება განვითარებული, მონოთეისტური რელიგიების პირობებშიც არ შეუწყვეტიათ. აქ ქრისტიანი წმინდანების სახელების დარქმევა შეიძლება გავიხსენოთ, რომლებიც შესაბამისად ამა თუ იმ პიროვნების მფარველნი არიან. სახელების ამ ფუნქციას მეცნიერები რიტუალურ-ქარიზმატულ ფუნქციას უწოდებენ.

მონოთეისტური რელიგიების წარმოქმნისა და გავრცელების შემდეგ სახელების დარქმევა რელიგიების პრეროგატივად იქცა. ამ სფეროში რელიგია მონოპოლიური უფლებით სარგებლობდა. ქრისტიანულ სამყაროში სახელის დარქმევა ნათლობის დროს ხდებოდა, სახელის დარქმევას თან გარკვეული რიტუალი ახლდა. სახელიდან ჩანდა ესა თუ ის პიროვნება რომელი რელიგიის ან კონფესიის მიმდევარი იყო. სახელების დარქმევისას ზოგიერთი რელიგია, კონფესია ერთგვარ კომპრომისზეც მიდიოდა. მაგალითად შეიძლება ისლამი და პროტესტანტიზმი დავასახელოთ. ისინი სახელის შერჩევისას ზოგჯერ თავისუფლებას იძლეოდნენ. რაც შეეხება კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას, მათ სიები ჰქონდათ შედგენილი; ყველა სხვა სახელი კატეგორიულად იყო აკრძალული. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მონოთეის-

ტური რელიგიების გავრცელების საწყისსა და შემდეგ ეტაპზეც საეკ-ლესიო და არასაეკლესიო სახელებს შორის ერთგვარი დაპირისპირება დიდხანს გრძელდებოდა. მაგალითად, რუსეთში მხოლოდ ხელისუფ-ლების მკაცრი ღონისძიებების შედეგად აიკრძალა ის სახელები, რომ-ლებიც ეკლესიის სიებში არ იყო შეტანილი. საქართველოში ქრისტია-ნობის გავრცელების შემდეგ ძველი ქართული სახელები მეორე, ანუ ზედმეტ სახელებად იქცა. ხოლო საქართველოს მთიანეთში გამჭვირ-ვალე ქართული სახელები ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი.

თურქული მოდგმის ხალხების რწმენით სახელებს ღვთაებრივი ძა-ლა ჰქონდა, ისინი მაგიურ გავლენას ახდენდნენ ადამიანების შემდგომ ბედზე. ბევრ ხალხს ჰქონდა რწმენა ნამდვილი სახელის დაფარვისა, რადგან სწამდათ, რომ ავი ადამიანები და ავი სულები მის მატარებელ-ზე ცუდ გავლენას მოახდენდნენ, მათ შეიძლება სახელის მატარებლის სიცოცხლეც კი ხელეყოთ. ამიტომ დასტურდება მსოფლიოს სხვადას-ხვა ხალხებში ორსახელიანობის, სამსახელიანობისა და ოთხსახელია-ნობის შემთხვევები. საინტერესოა, რომ გვხვდება ხალხები, რომლებიც ასაკის მიხედვით იცვლიდნენ სახელებს (ჩინელები, აფრიკის რამდენი-მე ეთნოსი). სახელები სამუდამო არ იყო, არამედ ასაკისა და მდგომა-რეობის მიხედვით იცვლებოდა. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლი-ტერატურაში ხშირად ისინი სახელდებულნი არიან: „ბავშვის სახელე-ბად“, „სასკოლო სახელებად“, „სამხედრო სახელებად“. სახელის შეც-ვლის ტრადიცია ქრისტიან ხალხებშიც არსებობდა – ბერად შედგომის შემთხვევაში.

ავი სულების მოტყუების მიზნით, ბავშვებს საგანგებოდ შექმნილ სახელებსაც არქმევდნენ. ასეთი სახელები აღნიშნავდნენ „სულელს“, „უვარგისს“, „მყრალს“, „ძაღლის კუდს“, „მეძავის შვილს“, „ხვალ მოკ-ვდების“ და სხვა. ასეთი რწმენის შედეგი უნდა იყოს ისეთი უძველესი ქართული სახელები, როგორებიცაა: თხუნია, მძულია, ძაღლია, პირქუ-ში. ამ მიზნით უნდა ყოფილიყო განპირობებული უცხო სახელების გავ-რცელება, რომლებსაც მსესხებელთათვის, ბუნებრივია, გამჭვირვალე ეტიმოლოგია არ ჰქონდათ. პლანეტის სხვადასხვა წერტილებში სა-ხელს ბავშვებს ავადმყოფობის დროსაც უცვლიდნენ (უდმურტები, სა-ამები). ესკიმოსების წარმოდგენით, ადამიანი სხეულის, სულისა და სა-ხელის შენაერთია, რომელთაგანაც მხოლოდ სახელს შეეძლო სიკვდი-ლის თავიდან აცილება. სახელები გარკვეულ სურვილებსაც გამოხა-ტავდნენ. მაგალითად, ისეთები, რომლებიც აღნიშნავდნენ ჭკვიანს, მდიდარს, ლამაზს, ბედნიერს. ადამიანთა რწმენით, ამგვარი სახელები ახალშობილს ბედს უკანონებდნენ. ტაჯიკებში ტრადიციული იყო სახე-ლები „სანგი“ [აქედან უნდა იყოს მიღებული ხევსურეთში ისტორიუ-ლად გავრცელებული მამაკაცის სახელი „სანაგი“, რომელიც სისაურ-თა გვარის საფუძველჩამყრელად ითვლება; ის ხევსურეთში ქისტეთი-დან იყო მიგრირებული] და „თაბარი“. პირველი ქვას აღნიშნავდა, მეო-რე – ცულს. მათი რწმენით, ამ სახელის მატარებელნი ისევე მუდმივად იქნებოდნენ, როგორც ქვა და ისეთივე მტკიცენი იქნებოდნენ, როგო-რიც ცული. ქრისტიანობამ წარმოდგენები სახელთა შესახებ შეცვალა. ქრისტიანი ადამიანი ამა თუ იმ წმინდანის სახელის ქვეშ დაცულად გრძნობდა თავს. ბევრ ხალხში სახელის გადაცემის გარკვეული ესტა-

ფეტაც არსებობდა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო გარდაცვლილი წინაპრის სახელის დარქმევა. თავდაპირველად წინაპრის სახელის დარქმევა იყო არა უბრალოდ ხსოვნა გარდაცვლილი წინაპრისა, არამედ სახელის მატარებელზე წინაპრის სულის გადატანის რწმენა. წინაპართა სახელების დარქმევის ტრადიცია ქართველ ხალხსაც ჰქონდა; მაგრამ მამის სახელს არ არქმევდნენ, პაპის სახელსაც იმ შემთხვევაში არქმევდნენ, თუ ის გარდაცვლილი ან მომაკვდავი იყო. ქართული საისტორიო საბუთებით დასტურდება, რომ ქართველ თავადაზნაურობაში მხოლოდ ამა თუ იმ გვარისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სახელები იყო გავრცელებული.

ქრისტიანულ ქვეყნებში სახელების დღეს საზეიმოდ აღნიშნავდნენ (გიორგობა, ივანობა, თევდორობა, ნიკოლოზობა, ბარბარობა, მარიამობა, ნინოობა, დავითობა და ა. შ.). პირველ საუკუნეებში ქრისტიანობამ ხუთ ეპარქიაში გაიმარჯვა: იერუსალიმის, ანტიოქიის (სირია), ალექსანდრიის, ბიზანტიისა და რომის. ამ ეპარქიების ტერიტორიებზე მცხოვრებთა სახელები ქრისტიანულ ონომასტიკაში შევიდა და ქრისტიანული იდეებისათვის თავდადებული ადამიანები წმინდანთა გუნდს მიეკუთვნენ. 400 წელს იოანე ოქროპირი წერდა, რომ სასურველია წმინდანთა სახელები არ დავივიწყოთ და ისინი უნდა დავარქვათ ბავშვებს, რათა ისინი ახლოს მივიყვანოთ რელიგიასთან. მათ ეცოდინებათ ვის პატივსაცემად ეწოდათ ესა თუ ის სახელი და მაგალითს აიღებენ თავიანთი ზეციური ქომაგებისაგან. რთული იდეოლოგიური შინაარსის ეს სისტემა ზნეობრივი აღზრდის საშუალებაც იყო. თავდაპირველად ქრისტიანული სახელების წრე მეტ-ნაკლებად ფართო იყო ხუთივე ეპარქიაში, რადგანაც ხდებოდა კულტურული გაცვლა, სახელების სესხება. ბიზანტიის ტერიტორიაზე, ქრისტიანულ ონომასტიკაში უპირატესად ბერძნული სახელები იყო გავრცელებული, რომაულ პროვინციებში უპირატესობა ლათინურ სახელებს ჰქონდა. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ძირითადად სირიულ, ებრაულ, არამეულ სახელებს ჰქონდა პრიორიტეტი. კათოლიკურ და პროტესტანტულ სამყაროში ოფიციალურად დაკანონებულია ორ- და სამსახელიანობა, რასაც საფუძველი რომის პაპის 761 წლის ბრძანებამ ჩაუყარა, რადგან საეკლესიო სახელს მოსახლეობის უმეტესობა ადგილობრივ, ეთნიკურ სახელებს ამჯობინებდა. ამიტომ იყო, რომ მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ევროპელ კათოლიკეთა ანთროპონიმიულ მოდელში ორი სახელიდან ერთი ადგილობრივი, ეთნიკური სახელი, მეორე კი – კათოლიკური კანონიზებული სახელი იყო (მაგალითად, **იოჰან ვოლფგანგ გოეთე**). ამ თვალსაზრისით ერთგვაარად განზე იდგა პროტესტანტიზმი. ცნობილია, რომ პროტესტანტები წმინდანებს არ ცნობდნენ და არც სახელის დღეს დღესასწაულობდნენ. სამაგიეროდ პროტესტანტებმა დაიწყეს დაბადების დღეების აღნიშვნა.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მუსლიმური სახელების შესახებაც. არაბული კლასიკური ანთროპონიმიული მოდელი არა მარტო არაბულ, არამედ თითქმის ყველა მუსლიმურ ქვეყანაში გავრცელდა. არაბულ-მუსლიმური სახელების გავრცელებამ აზიისა და აფრიკის ბევრი ხალხის ანთროპონიმიული სისტემების ძირეული შეცვლა გამოიწვია. არაბები მთელი ცხოვრების მანძილზე რამდენიმე სახელს ატარებდნენ. სა-

ხელებს თან ერთვოდა მამის სახელი, იმ ადგილის სახელი, სადაც დაიბადა, რელიგიური სექტის სახელი და სხვა. არაბებსა და საერთოდ მუსლიმებს გვარსახელები ბოლო დრომდე არ ჰქონდათ. არაბული ანთროპონიმები ძირითადად სემიტურია, იშვიათად ჰქონდათ ნასესხები სახელები. სახელდების რთული სისტემა არაბულ-მუსლიმურ სამყაროში თითქმის აღარ არსებობს. მაგალითად, თანამამედროვე ეგვიპტური მოდელი მხოლოდ პირადი სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობისაგან შედგება. ეგვიპტეში ერთგვარი თავისებურება ახასიათებს კოპტების საკუთარ სახელთა სისტემას. ეს ბუნებრივიცაა, ისინი ქრისტიანები არიან.

განსხვავებულია აღმოსავლეთ აზიის ხალხების საკუთარ სახელთა სისტემები. ჩინეთში მემკვიდრეობითი სახელი ძვ. წ.-ის VI საუკუნიდან დასტურდება. ჩინელებს ორი მემკვიდრეობითი სახელი ჰქონდათ. ისევე როგორც საქართველოში, გვარი ჩინეთში საქორწინო ურთიერთობებს აწესრიგებდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვე ჩინური გვარები გვაროვნული სახელწოდებებისგან მომდინარეობს. ტრადიციული სისტემის ტრანსფორმირება მოხდა თანამედროვე სისტემად, ე. ი. გვაროვნული გვარები გვარსახელში გადაიზარდა (ანალოგიურ ვითარებასთან გვქონდა საქმე ქართველებში, კელტებში). ჩინურ ანთროპონიმიულ მოდელში პირველ ადგილზე დგას გვარსახელი, შემდეგ კი – ინდივიდუალური სახელი. კიდევ ერთი თავისებურების შესახებ: ჩინურ სისტემაში ინდივიდუალური სახელების რაოდენობა პრაქტიკულად შეუზღუდავია, რაც შეეხება მემკვიდრეობით სახელებს (გვარსახელებს), მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულს არ აჭარბებს.

მსოფლიოს ხალხების საკუთარ სახელთა კლსიფიკაცია მოახდინა ი. ბესტუჟევ-ლადამ. ის საკუთარი სახელების ორ ძირითად ფუნქციას გამოყოფდა. ესენია სოციალურ-განმასხვავებელი და რიტუალურ-ქარიზმატული ფუნქციები. ინდივიდუალურ სახელებს თუ ორივე ფუნქცია გააჩნია, მემკვიდრეობითი სახელები მხოლოდ სოციალურ-განმასხვავებლის ფუნქციის მატარებელია. ი. ბესტუჟევ-ლადამ ანთროპონიმიული მოდელები გეოგრაფიული პრინციპით რამდენიმე ჯგუფად დაყო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაყოფა მაინც პირობითია:

1. ჩრდილო-დასავლეთი (ჩრდილოეთ ამერიკა და ჩრდილო-დასავლეთ გერმანულენოვანი ევროპა). ამ ზონაში შედის ინგლისის ყოფილი დომინიონები: სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და ახალი ზელანდია. რელიგიური თვალსაზრისით ეს ძირითადად პროტესტანტული სამყაროა. ამ სისტემაში აუცილებელია გვარსახელი და ზოგჯერ რამდენიმე, ძირითადად ორი სახელი. დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში ქრისტიანულ სახელებთან ერთად ფართოდ არის გავრცელებული ძველი გერმანული სახელებიც (მაგალითად: იოჰან ვოლფგანგ გოეთე. პირველი ინდივიდუალური სახელი ქრისტიანულია, მეორე – გერმანული); ერთგვარად **ცალკე დგას ნიდერლანდები**, სადაც **ანთროპონიმიულ მოდელში მამის სახელიც ფიგურირებს**. რაც შეეხება ისლანდიას, მას საერთოდ განკერძოებული ადგილი უკავია, აქ დღესაც კი კანონმდებლობით მხოლოდ სახელი და მამის სახელი გამოიყენება, მემკვიდრეობითი სახელი (გვარსახელი) აკრძალულია.

2. სამხრეთ-დასავლეთი (ლათინური ამერიკა და სამხრეთ-დასავლეთი რომანიზებული ევროპა). პროცესები მიმდინარეობდა კათოლიკური ეკლესიის გავლენით. არქმევენ კანონიზებულ ქრისტიანულ კათოლიკურ სახელებს. ხშირად არქმევენ ორ სახელს. უფრო მისაღებია ამავე სისტემაში კათოლიკური ირლანდიისა და კეებეკის შეყვანა;

3. „დასავლეთი" (ცენტრალური ევროპის ქვეყნები ფინეთიდან მოყოლებული ვიდრე საბერძნეთამდე). ამჟღავნებს მსგავსებას სხვადასხვა ზონებთან. ფართოდაა გავრცელებული ქრისტიანული სახელები. ანთროპონიმიული მოდელი ძირითადად ორნევრიანია და ის ინდივიდუალური სახელისა და გვარსახელისაგან შედგება. საბერძნეთის ამ ჯგუფში შეყვანა მიზანშეწონილი არ იყო თუნდაც იმიტომ, რომ აქ სამნევრიანი ანთროპონიმიული მოდელია გაბატონებული, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტიც მამის სახელია;

4. „ჩრდილოეთი" (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები, სადაც დანერგილი იყო სამნევრიანი რუსული ანთროპონიმიული მოდელი, რომელიც საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა). სამნევრიანი ანთროპონიმიული მოდელი პირადი სახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობით მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენით ჩამოყალიბდა;

5. „ცენტრალური" (მუსლიმური სამყაროს ქვეყნები მაღრიბიდან ინდონეზიამდე). სისტემა მოიცავს ერთ ან რამდენიმე პირად სახელს. გვარსახელს შეიძლება მამის სახელი ან საგვარეულო მეტსახელიც ჩაენაცვლოს;

6. „სამხრეთი" (აფრიკის ქვეყნები საქარის სამხრეთით). ეს ზონა გამოირჩევა გარდამავალი ეტაპით. მიმდინარეობს თანამედროვე სისტემების ჩამოყალიბება;

7. „სამხრეთ-აღმოსავლეთი" (ინდოეთი, ნეპალი, ტაილანდი, ლაოსი, კამბოჯა). დამახასიათებელია გარდამავალი ეტაპი და თანამედროვე სისტემების ჩამოყალიბება;

8. „ჩრდილო-აღმოსავლეთი" (იაპონია). იაპონიაში თანამედროვე სისტემა, რომელიც ინდივიდუალური სახელისა და გვარსახელისაგან შედგება, დიდი ხნის წარმოქმნილია;

9. „აღმოსავლური" (ჩინეთი, კორეა, ვიეტნამი). ტრადიციული სისტემების ნიადაგზე მიმდინარეობს თანამედროვე სისტემების შექმნა;

ამრიგად, ასეთია მსოფლიოს ხალხების საკუთარ სახელთა სისტემები და ანთროპონიმიული მოდელები ზოგადად. დაწერილებით მისი განხილვა მხოლოდ ცალკე სალექციო კურსშია შესაძლებელი.

ეთნოლოგიის ყურადღების სფეროში ექცევა აგრეთვე სახელების ისეთი კატეგორია, რომლებიც მეცნიერებაში ტოპონიმების სახელით არის ცნობილი. ტოპონიმებს, როგორც ოიკონიმებს, ისე ჰიდრონიმებს, ლინგვისტიკაც სწავლობს. ეთნოლოგიასა და ისტორიას დასახლებული პუნქტებისა და მდინარეების სახელების მიმართ თავისი დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, ზოგიერთი ოიკონიმიდან ჩანს ამა თუ იმ სოფლის დასახლების ფორმა. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ქართული სოფლის სახელწოდება: ხაბელაშვილები, ინნკირვეთი, გელაძეები, გორგაძეები, დეკანაშვილები, ლესაჯაიე, ლესი-

ჭინე, ლექობალე და ა. შ. სოფლის ეს სახელები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ სოფლები თავდაპირველად ერთი გვარის ხალხით იყო დასახლებული. ამავე დროს ზოგიერთ სოფელში აღნიშნული გვარის ხალხი უკვე აღარ მოსახლეობს და სოფლის თავდაპირველი მკვიდრნი აქედან მიგრირებულნი არიან. ამ თვალსაზრისით შესანიშნავი საილუსტრაციო მაგალითია ოიკონიმი ინნკირვეთი. ეს სოფელი აჭარაშია, თუმცა ამ გვარისანი აქ აღარ მოსახლეობენ და ისინი გურიის მკვიდრნი არიან. ტოპონიმი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ინნკირველები გურიაში აჭარიდან არიან მიგრირებულნი. ტოპონიმების საშუალებით შესაძლებელია ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხების კვლევაც, რელიგიური, მატერიალური კულტურის საკითხების გარკვევა.

ბოლოთქმა

წინამდებარე სახელმძღვანელო თეორიული ეთნოლოგიის კურსის შექმნის პირველი ცდაა. მან მოიცვა ეთნოლოგიური მეცნიერების ფართო სპექტრი. ვფიქრობთ, როგორც სტუდენტებისათვის, ისევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად მრავალმხრივია ეთნოლოგიური კვლევა-ძიება. მეცნიერების ამ დარგს როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში დიდი პერსპექტივები გააჩნია. კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეთნოლოგია ერთადერთი მეცნიერებაა, რომელსაც აინტერესებს როგორც წარსული, ისე თანამედროეობა და მომავალი. ეთნოლოგიის პერსპექტიულობას ისიც განაპირობებს, რომ მას მეცნიერების რამდენიმე დარგთან აქვს გადაკვეთის წერტილი. ამავე დროს ცნობილი ეთნოლოგები არც იმას გამორიცხავენ, რომ მეცნიერების ამ დარგს მომავალში შეიძლება კვლევა-ძიების ახალი ასპექტებიც გაუჩნდეს. ეთნოლოგიის პრესტიჟი ისიცაა, რომ მას რამდენიმე ფუნქცია გააჩნია: თეორიულ-შემეცნებითი, პრაქტიკულ-გამოყენებითი, აღმზრდელობითი და პროგნოსტიკული. ეთნოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, მნიშვნელობა იმ თვალსაზრისითაცაა დიდი, რომ თითოეული ხალხის ეთნიკური ცნობიერების, იდენტობის, მენტალობის შენარჩუნება ეთნოლოგიის ფართოდ შესნავლას უკავშირდება არა მხოლოდ უმაღლეს სასნავლებლებში, არამედ სკოლებშიც. არადა გლობალიზაციისა და საზოგადოებათა მოდერნიზაციის პირობებში ეს აუცილებელია; არც ერთ ეთნოსს არ უნდა თავისთავადობის დაკარგვა. კაცობრიობას სჭირდება არა მხოლოდ ბუნების ეკოლოგია, არამედ კულტურის ეკოლოგიაც. ადამიანთა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ისედაც ბევრი ეთნოსი და ეთნიკური კულტურა გაქრა. ჩვენამდე მოღწეულ ყველა კულტურას გაფრთხილება, გადარჩენა უნდა, თითოეული მათგანი კაცობრიობის მონაპოვარია. კულტურათა შენარჩუნება კი ეთნოლოგიური ცოდნის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ბოლოთქმაში ამის აღნიშვნა იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ ეთნოლოგიის მნიშვნელობა გაიცნობიერონ არა მხოლოდ სტუდენტებმა, ვინც ამ დარგის სხვადასხვა დისციპლინებით არიან დაინტერესებულნი, არამედ ფართო საზოგადოებამ და, რაც მთავარია, ხელისუფლებამ, რომელმაც იქნებ მიბაძოს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, რომლებშიც ის სხვადასხვა ფაკულტეტების შესასწავლ საგანთა შორის სავადებულო დისციპლინად არის მიჩნეული.

იმის გამო, რომ თეორიული ეთნოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნის პირველ ცდასთან გვაქვს საქმე, წიგნი ცალკეული უზუსტობებისაგან შეიძლება დაზღვეული არ იყოს. ავტორები მასზე მუშაობას მომავალშიც გააგრძელებენ, დახვენენ და უფრო სრულყოფილი სახით შესთავაზებენ სტუდენტებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას.

ეთნოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონი

აბორიგენი – რომელიმე ქვეყნის ან რომელიმე ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა; გამოიყენება გვიან მოსულთაგან განსასხვავებლად. ტერმინი „აბორიგენი", ჩვეულებრივ, გამოიყენება აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიის, ე. ი. იმ ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის აღსანიშნავად, რომლებიც ევროპელებმა აღმოაჩინეს. იგივე მნიშვნელობა აქვს ტერმინ „ავტოქტონს". ძალიან ხშირად ზოგიერთი ქართველი ინტელექტუალი ამ ტერმინს იყენებს ქართველებთან მიმართებით, მათი აზრით ქართველები აფხაზეთისა და შიდა ქართლის აბორიგენი მოსახლეობაა, რაც ელემენტარული უცოდინრობის შედეგია. „აბორიგენი" მხოლოდ და მხოლოდ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადგილობრივი ტომების აღმნიშვნელი ტერმინია.

აგნატები – ნათესავები მამაკაცის ხაზით, რომელთაც ერთი წინაპარი ჰყავდათ. ძველ რომში აგნატებად მიიჩნეოდნენ ოჯახში ქორწინების შემდეგად შესული და ნაშვილები ადამიანები.

ავტონომიზმი – ეთნიკური ჯგუფებისა და რეგიონების მოძრაობა თვითგამორკვევისთვის ავტონომიის ბაზაზე, რაც კონსტიტუციით ან სხვა სამართლებრივი ნორმებით სახელმწიფოს რომელიმე ნაწილის დამოუკიდებელი მმართველობის განსაზღვრულ უფლებას გულისხმობს. ავტონომიზმი ხშირად სეპარატიზმის წინაპირობაა.

ავტოსტერეოტიპები – რომელიმე ეთნოსის ნარმომადგენელთა მყარი აზრები, დასკვნები მოცემული ეთნიკური ერთობის ყველაზე არსებითი მახასიათებელი თვისებების შესახებ.

ავტოქტონები – რომელიმე ქვეყნისა და ადგილის თავდაპირველი, ძველისძველი მოსახლეობა. ტერმინი „ავტოქტონი", ჩვეულებრივ, ადგილობრივ მცირერიცხოვან ხალხებთან მიმართებით გამოიყენება, რომელთაც ცხოვრების ტრადიციული ნიშნები ახასიათებთ. „ავტოქტონი" „აბორიგენის" სინონიმური ცნებაა. თანამედროვე მნიშვნელობით ტერმინს იყენებენ აგრეთვე იმ ხალხების აღსანიშნავად, რომლებიც სახელმწიფო საზღვრებით არიან გაყოფილი, მაგრამ თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე შენარჩუნებული აქვთ თვითმყოფადობა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე – ჭოროხის აუზში მკვიდრი ქართველები ამ ტერიტორიის ავტოქტონი მოსახლეობაა. იგივე ტერმინი გამოიყენება რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მკვიდრი მცირერიცხოვანი ხალხების აღსანიშნავად. აქ ასეთი 26 ხალხი ბინადრობს. საერთოდ, რუსეთში 60-ზე მეტი ავტოქტონი ხალხი ცხოვრობს.

ადაპტაცია (ეთნიკური) – რომელიმე ეთნიკური ჯგუფის (ერთობის) ახალ ეთნიკურ, ბუნებრივ და სოციალ-კულტურულ გარემოსთან შეგუების პროცესი. ფიზიკური ადაპტაციის პროცესში ადამიანი ეგუე-

ბა სხვაგვარ კლიმატს, ხოლო სოციალური ადაპტაციისას ის ეგუება სხვა კულტურის მოთხოვნებს. ეთნიკური ადაპტაციის ძირითად ნესს წარმოადგენს ბინადრობის გარემოში ახალი ნორმებისა და ფასეულობების მიღება, რომლებიც ეთნოსთაშორის ურთიერთქმედების ფორმით ყალიბდება. ჩვეულებრივ, ეთნიკურ ადაპტაციას ხანგრძლივი დრო სჭირდება, რამდენადაც ადამიანი თანდათანობით ეგუება სხვა ხალხის ნეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ცხოვრების წესს. ეთნიკური ადაპტაციის პროცესებს სწავლობს ეთნიკური ეკოლოგია (ეთნოეკოლოგია). ადაპტაციის საკითხები კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ქართველ მთიელებს, რომლებიც დაბლობში გადმოსახლდებოდნენ. მთიელი ბარში არასდროს გადასახლდებოდა, რადგან მთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოდან, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო ბარის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში გადასახლება; მთიელს კლიმატის გამო ადაპტაცია უჭირდა. მიგრირებული მთიელი უფრო კარგად მთისნინეთში გადასახლებისას გრძნობდა თავს, ადვილად ეგუებოდა ახალ გარემო პირობებს.

ადათი – არაბულად „ადათი" ნეს-ჩვეულებას ნიშნავს. ადათი მუსლიმურ ქვეყნებში ჩვეულებითი (დაუწერელი) სამართალია. აქ მას განასხვავებენ ოფიციალური სამართლისაგან, ანუ შარიათისაგან. ბევრ მუსლიმურ ხალხში ადათი ნეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების საფუძველია. ადათის ეთნოკულტურული როლი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ის ხელს უნყობს მთელი რიგი პატრიარქალური, ტომობრივი ურთიერთობების შენარჩუნებას. ყველა მუსლიმურ ხალხში ადათს გარკვეული თავისებურება გააჩნდა. ადათებით ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები. აქ ის ადამიანთა და საზოგადოებათა ურთიერთობას ანესრიგებდა.

აკმატური ფაზა – ლ. გუმილიოვის მიხედვით, ეთნოგენეზის მეორე ფაზა, რომელშიც პასიონარული დაძაბულობა მაქსიმუმს აღწევს, სამოქალაქო ომის პერიოდი.

აკომოდაცია (ადაპტაცია, შეგუება) - ეს არის ადამიანთა შეგუება ახალ ეთნიკურ გარემოსთან.

აკულტურაცია – სხვადასხვა ეთნოსთა კულტურების ურთიერთგავლენის, ურთიერთშეღნევის პროცესი; რომელიმე კულტურის მიერ სხვა კულტურის აღქმა, რის შედეგადაც მიმდინარეობს შეცვლის პროცესი. აკულტურაციას ხშირად ეთნიკური ასიმილაციის ნინა საფეხურადაც განიხილავენ. აკულტურაციის დროს ხდება ნაკლებ განვითარებული კულტურის მქონე ეთნოსის მიერ უფრო განვითარებული კულტურის სრული ან ნანილობრივი მიღება. ტერმინი **აკულტურაცია** პირველად ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაში გამოიყენეს XIX საუკუნის ბოლოს. ეთნოლოგიაში აკულტურაციის ორ ძირითად ტიპს გამოყოფენ: იძულებითსა და ძალმომრეობითს. აკულტურაციული პროცესები დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისათვისაა დამახასიათებელი.

ათალიკობა – ტერმინს საფუძვლად უდევს თურქული სიტყვა „ათალიყი", რაც მამის შემცვლელს აღნიშნავს. ათალიკობა ნეს-ჩვეულებაა, რომელიც არსებობდა თურქული მოდგმის ხალხებში, კელტებში, არაბებსა და კავკასიის ზოგიერთ ხალხში, რომლის დროსაც ზედა-

ფენის წარმომადგენლები გარკვეული დროით აღსაზრდელად შვილებს ვასალებს გადასცემდნენ. საქართველოში იგივე ჩეულება გაძიძავების სახელით იყო ცნობილი. ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის ნეს-ჩვეულება სხვა ოჯახებთან ხელოვნური დანათესავების ერთ-ერთი სახე იყო. ამავე დროს დაბალი ფენის წარმომადგენელი ათალიკები (ძიძები) ზედაფენაში ერთგვარ მფარველსაც იძენდნენ.

ამალგამაცია – განსხვავებული რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების ბიოლოგიური შერევის პროცესი (შერეული ქორნინების გზით).

ანთროპოგენეზი – მოაზროვნე ადამიანის („ჰომო საპიენსის") ფორმირების ისტორიულ-ევოლუციური პროცესი, რომელიც ყალიბდებოდა საზოგადოების წარმოქმნის – სოციოგენეზის პროცესში. ანთროპოგენეზის ძირითად ბიოლოგიურ ფაქტორად მიჩნეულია ბუნებრივი შერჩევა.

ანთროპოლოგია – ძველბერძნულად „ანთროპოს" ადამიანია, ხოლო „ლოგოს"–მოძღვრება, ე. ი. ანთროპოლოგია არის მოძღვრება, ანუ მეცნიერება ადამიანის შესახებ. ანთროპოლოგიურ მეცნიერებას კვლევის მრავალი სფერო აქვს. ფაქტობრივად რამდენიმე სხვადასხვა მეცნიერება არსებობს ანთროპოლოგიის სახელწოდებით. ესენია: ფიზიკური ანთროპოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია და სოციალური ანთროპოლოგია. ფიზიკური ანთროპოლოგია არის მეცნიერება ადამიანისა და ადამიანთა რასების წარმოშობის, ევოლუციისა და ფიზიკური აღნაგობის შესახებ. ფიზიკური ანთროპოლოგიის შემადგენელი ნაწილებია: ანთროპოგენეზი, ადამიანის მორფოლოგია და ეთნიკური ანთროპოლოგია (რასათმცოდნეობა). ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ანთროპოლოგია უფრო ფართო მნიშვნელობით ესმით და მასში ფიზიკური ანთროპოლოგიის გარდა სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიაც შეაქვთ. ფიზიკურ ანთროპოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ეთნოლოგიურ კვლევებში, კერძოდ, ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის შესწავლაში.

ანიმიზმი – **„ანიმა"** ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სულს", ხოლო ანიმიზმი არის რწმენა სულების არსებობის, ყველა საგნის გასულიერების, ადამიანებში, ცხოველებში, მცენარეებსა და საგნებში დამოუკიდებელი სულების არსებობის შესახებ. ე. ტეილორი სხეულიდან გამოცალკევებული სულების რწმენას უძველეს რელიგიად თვლიდა, რომელიც „ველური-ფილოსოფოსის" მიერ იყო შექმნილი სიზმრების, სიკვდილის და ა. შ. მიზეზებზე ფიქრის შედეგად.

ანომია – (ფრ. ანომიე) საზოგადოების დეზორიენტაცია, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ მოქალაქეთა უმეტესობა არ მიიჩნევს სავალდებულოდ არსებული ნორმების დაცვას. ხდება ღირებულებათა და ნორმატიული ნესების შესუსტება, რაც იზოლირებულობის, მარტოობისა და უმნიშვნელობის გრძნობებს უკავშირდება.

ანტისემიტიზმი – ნაციონალური შოვინიზმის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა, რომელიც გამოიხატება ებრაელებისადმი მტრულ დამოკიდებულებაში.

არქეტიპი – ყველა ადამიანისათვის საერთო გაუთვითცნობიერებელი წარმოდგენების ძირითადი სქემა, ეთნიკური მიკუთვნებულობის, ენისა და კულტურული ტრადიციების მიუხედავად.

ასიმილაცია – ეთნიკური პროცესი, რომლის დროსაც ეთნოსები ან მათგან გამოცალკევებული ჯგუფები აღმოჩნდებიან რა უცხოეთნიკურ გარემოში, იღებენ სხვა ეთნოსის ენასა და კულტურას, თანდათან შეერწყმიან მას და იცვლიან ეთნიკურ თვითშეგნებას. ეთნიკური ცნობიერების შეცვლა ასიმილაციის პროცესის ბოლო ეტაპია. ეთნოლოგიაში განასხვავებენ ბუნებრივ და ძალადობრივ ასიმილაციას. საბჭოთა ეთნოლოგიაში ბუნებრივი ასიმილაცია პროგრესულ მოვლენად იყო მიჩნეული. ეს შეხედულება დღესაც უცვლელადაა გაზიარებული თანამედროვე რუსულ ეთნოლოგიაში.

ბელადი – ტომსა და ტომთა კავშირში არჩევითი უმაღლესი პირი. ტომში ბელადის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა, გვარებს შორის საკამათო საკითხების გადაწყვეტა, სხვა ტომებთან ურთიერთობისას ტომის ინტერესების დაცვა, ტომის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა. ბელადობის ინსტიტუტი სოციალ-ეკონომიკური ორგანიზაციისა და ხელისუფლების ორგანიზაციის ფორმა იყო საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის ეპოქაში. ხშირად ამ ტერმინით მხოლოდ აღნიშნული დროის საზოგადოების წინაპოლიტიკურ (პოტესტარულ) ორგანიზაციას აღნიშნავენ.

ბიგმენი – ინგლისურად დიდ ადამიანს ნიშნავს. მსოფლიოს ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინი აღნიშნავს მამაკაცს, რომელიც დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა თავის თემში და ფაქტობრივი წინამძღოლი იყო.

ბიკულტურალიზმი – კულტურული დუალიზმი. ერთდროულად ორი და მეტი კულტურის სრულყოფილად ფლობა. ბიკულტურალიზმი შეიძლება იყოს როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური.

ბილინგვიზმი – ორენოვნება, რომელიც ადამიანის მიერ ორი ან მეტი ენის ფლობასა და გამოყენებას აღნიშნავს. ბილინგვები თითქმის ყველა ხალხში არსებობენ. ხშირად მთელი რიგი ხალხები მშობლიურ ენასთან ერთად მეორე ენასაც იყენებენ. ბილინგვიზმი განსაკუთრებით მცირერიცხოვან ხალხებს ახასიათებთ. მაგალითად, შეიძლება პამირისპირეთის ხალხები დასახელდეს, რომლებიც ფართოდ იყენებენ ტაჯიკურ ენასაც. ბილინგვიზმი დამახასიათებელია იმ ეთნოსებისთვისაც, რომლებიც ასიმილაციას განიცდიან, აგრეთვე პოლიეთნიკურ სახელმწიფოთა მოსახლეობისათვის, რომლებშიც ეთნიკური უმცირესობები იძულებულნი არიან შეისწავლონ სახელმწიფო, ოფიციალური ენა. ბილინგვიზმი ახასიათებს აგრეთვე სასაზღვრო ზოლის მოსახლეობას. თანამედროვე პირობებში ბილინგვიზმი დამახასიათებელი ხდება მოსახლეობის დიდი ნანილისათვის – მშობლიურ ენასთან ერთად ისინი ფლობენ ინგლისურ ენას.

ბრახიკეფალები – ადამიანები, რომელთა თავის სიგანე სიგრძესთან შედარებით პროცენტულად 80-ზე მეტია.

ბუდიზმი – ინდუიზმზე ახალგაზრდა და გენეტიკურად მასთან დაკავშირებული რელიგია. წარმოიქმნა ძვ. წ.-ის VI-V საუკუნეებში, როგორც პროტესტი კასტური ნორმების, ბრაჰმანული რიტუალებისა და ქურუმთა ძალმომრეობის წინააღმდეგ. ბუდიზმის სწავლების თანახმად, სამყაროში ადამიანის ცხოვრება გარდაქმნის უსასრულო ნაკადია, რომელიც განისაზღვრება არამატერიალური ნანილაკების **(დხარმი) შეხამებით (შეერთებით). დრახმები განსაზღვრავენ ამ სამყაროში ყოფიერებას: ღმერთების, ადამიანების, ცხოველების, მცენარეების და ქვებისასაც კი. ბუდისტებს არ სწამთ სულის უკვდავებისა.

გენდერი – „სოციალური სქესი“. ჯ. სმიტის მიხედვით, გენდერი კულტურაში „მამაკაცებისა“ და „ქალების“ სიმბოლოებისა და გამოსახულებების კომპლექსი, აგრეთვე სქესებთან მიმართებით რელიგიური, სამეცნიერო, სამართლებრივი ნორმების კომპლექსიც. გენდერი აყალიბებს სოციალურ ინსტიტუტებს – ოჯახს, ნათესაობისა და მოყვრობის სისტემას, სამუშაო ძალის ბაზარს, განათლების სისტემასა და სახელმწიფო მოწყობას. გენდერი თვითგამოხატვასთან, სუბიექტურ აღქმასთან, სქესობრივ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემებია. ბევრ ცხოვრებისეულ ღირებულებას მკაფიო გენდერული ელფერი აქვს. მაგალითად, „ღირსების“ კონცეფციას ქალებისათვის მთლიანად გენდერული აზრი აქვს, მამაკაცებისათვის კი – სოციალური სტატუსის, საზოგადოებრივი სტატუსისა და ნარმატებულობისა. ამასთანავე საზოგადოების დაუსაქმებელ ფენებში სქესი ხშირად მამაკაცებისათვის სოციალური თვითდამკვიდრების იარაღიც ხდება. გენდერი ესაა მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა შორის სოციალური და კულტურული განსხვავება. გენდერის საპირისპიროა სქესი, რომელიც ასახავს ბიოლოგიურ და, ამდენად, აუცილებელ განსხვავებას მამაკაცებსა და ქალებს შორის. გენდერმა, როგორც კულტურულად რელატიურმა ტერმინმა, ახალი განზომილება მისცა „სქესს“, როგორც ბიოლოგიურ თვისებას. ბუნებრივი სხვაობა გარკვეულ სხვაობებს ინვევს შესაძლებლობებში და, შესაბამისად, საქმიანობაშიც. კულტურული სხვაობა ქალებისა და მამაკაცების სოციალურ როლებს შორის ხშირად იმდენად დიდი და დამაჯერებელია, რომ ეს ბიოლოგიური სხვაობით შეიძლება აიხსნას. გენდერული იდენტურობა კულტურის მიერაა განსაზღვრული. ის რაც „მამაკაცურია“ ერთ კულტურაში, შეიძლება „ქალურად“ აღიქმებოდეს მეორეში. ამავე დროს, საზოგადოებას შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს სოციალური სხვაობა სქესთა შორის. გენდერული როლი სოციალური ინტეგრაციის სახედ აღიქმება. კულტურების შესაბამისად გენდერიც ვარიაბელურია.

გენსი – ძველ რომაელებში პატრილინეური სანათესაო ჯგუფი; გვარი. რომაული გვარი დანაყოფებისაგან – „კოგნომენებისაგან“ შედგებოდა.

გეტო – შუა საუკუნეების დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ქალაქის ნანილი, რომელიც ებრაელთა განცალკევებით საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. დღეისათვის ტერმინი „გეტო“ ხშირად გამოიყენება ქალაქის იმ რაიონის აღსანიშნავად, სადაც დისკრიმინირებული ეთნიკური უმცირესობანი მოსახლეობენ.

გვარი – სისხლით მონათესავეთა ჯგუფი, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას საერთო წინაპარს უკავშირებენ. თავისი სახელწოდება გვარმა საერთო წინაპრის სახელისაგან მიიღო. გვარისათვის დამახასიათებელი იყო ეკზოგამიურობა. გვარს არ შეეძლო იზოლირებულად არსებობა, ის ტომში იყო გაერთიანებული. გვარისათვის დამახასიათებელი იყო მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, კოლექტიური ურთიერთობები, ნათესავები კი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, ისინი ერთმანეთს ეხმარებოდნენ და იცავდნენ. საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე – სოციალური დიფერენციაციისას გვარები დაიშალნენ, ან დარჩნენ და მთელი რიგი ფუნქციები დაკარგეს, ისინი ე. წ. გვიანდელ გვარებად იქცა, გვიანდელი გვარები კი გვარსახელებში (ფამილიებში) გადაიზარდა. ამგვარად მოხდა თავდაპირველი გვარების გვარსახელებში გადაზრდა საქართველოში, ჩინეთსა და კელტური მოდგმის ხალხებში.

გლობალიზაცია (კულტურის) – მსოფლიო სისტემაში სხვადასხვა ხალხების კულტურათა ინტეგრაციის პროცესი. კულტურის გლობალიზაცია დაკავშირებულია თანამედროვე სატრანსპორტო სისტემების, ეკონომიკური კავშირების, მსოფლიო ბაზრისა და მასობრივი კომუნიკაციების განვითარებასთან. ტერმინი „გლობალიზაცია" 1980-იანი ნლების დასაწყისში გაჩნდა ხალხთა შორის კულტურული კონტაქტების გაფართოებასა და ნაციების დაახლოებასთან ერთად. აღნიშნავენ, რომ გლობალიზაციას ორი მხარე აქვს – პოზიტიური და ნეგატიური. განსაკუთრებით ნეგატიური ის შეიძლება მცირე ეთნოსებისათვის აღმოჩნდეს.

დეეთნიზაცია – ხალხის ან ხალხის ცალკეულ წარმომადგენელთა მიერ თავიანთი ეთნიკური ნიშნების დაკარგვის პროცესი. იწყება მშობლიური ენის, შემდეგ – ეთნიკური თვითშეგნებისა და ეთნიკური იდენტიფიკაციის დაკარგვით. დეეთნიზაცია ყველა ეპოქისა და ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

დევიანტური ქცევა (ლათ. „დევიატიონ" – გადახრა) – ქცევები და ქმედებები, რომლებიც არ შეესატყვისება საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებს.

დემოგრაფიული აფეთქება – მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი მატება. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო XX საუკუნის მეორე ნახევრისათვის. ამ დროს მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი მატება მიმდინარეობდა სიკვდილიანობის შემცირების ხარჯზე. დემოგრაფიულ აფეთქებებს დემოგრაფიული სტაბილიზაციის პერიოდები ენაცვლება. დემოგრაფიული აფეთქებების შედეგად მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ XX საუკუნის შუა ხანებში დაახლოებით 10 მილიარდს მიაღწია, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ცალკეული ქვეყნების და რეგიონების მოსახლეობის წილი, ეთნიკური და რასობრივი შემადგენლობა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ დემოგრაფიული აფეთქებების შედეგი იყო ძველ ისტორიაში ხალხთა გადასახლებები, ხშირი ომები, თუმცა ასეთი მოვლენების მიზეზი ხშირად კლიმატის შეცვლა და ადამიანთა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში უხეში ჩარევაც იყო.

დეპოპულაცია – მოსახლეობის რაოდენობის შემცირება ამა თუ იმ ქვეყანაში, ძირითადად სიკვდილიანობის სიჭარბის პირობებში. წარსულში დეპოპულაციის ძირითადი მიზეზები იყო ეპიდემიები, ომები, მოუსავლიანობა, სტიქიური უბედურებები და ა. შ. დღეისათვის დეპოპულაციის ძირითადი მიზეზი მცირეშვილიანობაა (1-2 ბავშვი), რაც არასაკმარისია თაობის შესაცვლელად. დეპოპულაციის პროცესი მიმდინარეობს XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში, რისი მიზეზიც შობადობის კატასტროფულ შემცირებასთან ერთად არის ფერტილური ასაკის მოსახლეობის საზღვარგარეთ მიგრაცია.

დიალექტი – ენის სახესხვაობაა. ქართულ ენაში მისი შესატყვისია კილო. გამოყოფენ ტერიტორიულ და სოციალურ დიალექტებს. თანამედროვე ტერიტორიულ დიალექტებს, ჩვეულებრივ, ენის მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად მიიჩნევენ. დიალექტების შემონახულობას ხანგრძლივად შეუწყო ხელი ერთი ენობრივი კოლექტივის განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრებამ. დიალექტები, თავის მხრივ, იყოფა კილოკავებად და თქმებად. მეცნიერებაში ენისა და დიალექტის გამმიჯვნელი ერთიანი კრიტერიუმი არ არსებობს. ასეთ კრიტერიუმად, უმეტეს შემთხვევაში, გაგებინებას მიიჩნევენ, მაგრამ გაგებინების პრინციპი საყოველთაო არ არის. ხშირად ამა თუ იმ ჯგუფის ადამიანები ერთმანეთს ვერ უგებენ, მაგრამ მათი მეტყველება არა ენად, არამედ დიალექტად არის მიჩნეული. დიალექტების ნიველირების პროცესი ინდუსტრიულ ეპოქაში დაიწყო. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სალიტერატურო ენების საყოველთაოდ გავრცელებას, სასკოლო და უმაღლესი განათლების ფართოდ დანერგვას.

დიასპორა – ერთი ეთნიკური წარმოშობის ადამიანთა მტკიცე ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს თავისი ისტორიული სამშობლოს გარეთ, უცხო ეთნიკურ გარემოში. თავდაპირველად დიასპორა ჩამოყალიბდა ძალადობრივი გასახლების ან გენოციდის საშიშროების გამო. ისტორიაში პირველად ასეთი დიასპორები გაჩნდა ძვ. წ.-ის VI საუკუნეში პალესტინიდან ებრაელთა განდევნის შემდეგ. დიასპორების სიმრავლით გამოირჩევიან სომხები. თანამედროვე პირობებში ბევრი დიასპორა გაჩნდა სოციალური და ეკონომიკურ პირობების გამო.

დიგლოსია – კოლექტივის მიერ სალიტერატურო ენისა და დიალექტის პარალელური გამოყენება.

დიოფიზიტობა – ქრისტიანული რელიგიის მიმართულება, რომლის ნარმომადგენლები აღიარებენ ქრისტეს ორ ბუნებას – ადამიანურსა და ღვთიურს (საპირისპირო – მონოფიზიტობა).

დისკურსი (ლათ discursus - განსჯა) – კომუნიკაციის სახე, რომელიც ორიენტირებულია განსჯაზე, დასაბუთებასა და აზრის ჩამოყალიბებაზე.

დისლოკალურობა – საქორწინო დასახლების ფორმა, რომლის დროსაც ახალგაზრდები ერთად არ ცხოვრობენ, არამედ განაგრძობენ ცხოვრებას ცალ-ცალკე და ერთმანეთს მხოლოდ დროდადრო ხვდებიან.

დოლიხოკეფალები – ადამიანები, რომელთა თავის სიგანე სიგრძესთან შედარებით პროცენტულად 75,9-ზე ნაკლებია.

ევრაზიელობა – იდეურ-პოლიტიკური და ისტორიულ-კულტურული კონცეფცია, რომელიც იცავს რუსეთის თვითმყოფადობის იდეას, როგორც განსაკუთრებული სამყაროსი, რომელიც ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს და არ მიეკუთვნება სამყაროს არც ერთ და არც მეორე ნაწილს. ევრაზიელობის ძირითადი იდეების ფორმულირება მოხდა 1920-იან წლებში, განსაკუთრებულ აყვავებას კი XX საუკუნის პირველ მესამედში მიაღწია. თავისი სახელწოდებით ეს კონცეფცია დავალებულია ვ. ლამანსკისაგან, რომელმაც პირველმა წამოაყენა ჰიპოთეზა ევროპასა და ამერიკასთან ერთად განსაკუთრებული მატერიკის, მათი გამაერთიანებლის – კონტინენტალური ევრაზიის შესახებ, რომელიც ეკუთვნის რუსეთს. ევრაზიელებს უწოდებდა თავის თავს რუსი ინტელექტუალების პატარა ჯგუფი, რომლებიც 1917 წლის შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდნენ. ევროპაში ისინი აქეეყნებდნენ სხვადასხვა თეორიული და საისტორიო ხასიათის ნაშრომებს. მოძრაობის ორგანიზატორები და მისი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ კულტუროლოგი და ლინგვისტი ნ. ტრუბეცკოი, გეოგრაფი და პოლიტოლოგი პ. სავიცკი, ისტორიკოსი მ. შახმატოვი, ღვთისმეტყველი პ. ფლორენსკი, ფილოსოფოსი ლ. კარსავინი. გამოდიოდნენ რა პოლიტიკური და კულტურული ევროპოცენტრიზმის ნინააღმდეგ, კონცეფციის ავტორებმა რუსეთის პროდასავლური განვითარების გზაზე უარი თქვეს, აღნიშნავდნენ რუსული ნაციის თვითერთიანობაზე, მის განუმეორებელ იერსა და თვითმყოფად ბედზე. უარყოფდნენ რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა უკიდურესობას, სახელდობრ, პირველთა დესპოტიზმსა და მეორეთა ინდივიდუალიზმს, ევრაზიელები მიიჩნევდნენ, რომ რუსეთი მსოფლიო-ისტორიულ პროცესში მესამე ძალად გვევლინება. რუსეთის მისიად ის მიაჩნდათ, რომ მის ტერიტორიაზე განსახლებული სხვადასხვა ხალხების კულტურული და აზიური კულტურის საუკეთესო მიღწევები შეეწოვათ და ჩასდგომოდნენ დასავლური კულტურის ნიააღმდეგ მოძრაობას. მთელი კონცეფციის ამოსავალი პუნქტი იმის მტკიცებაა, რომ რუსეთი ნარმოადგენს უნიკალურ გეოპოლიტიკურ ნარმონაქმნს – ევრაზიას, რომელიც განუმეორებელ გეოგრაფიულსა და კულტურულ თავისებურებებს ფლობს. ევრაზიელთა აზრით, მომავალი რუსულ კულტურას ეკუთვნის, რადგან ევროპულმა კულტურამ თავისი განვითარების მნეერვალს უკვე მიაღწია; რუსეთი მონოდებულია კულტურის მაინტეგრირებელი როლი შეასრულოს ორ ცივილიზაციას შორის; ევრაზიელები თავის კონცეფციას ბოლშევიზმის იდეას უპირისპირებდნენ, რადგან ისინი მართლმადიდებლობას უარყოფდნენ; ევრაზიელობის თვითმყოფადობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ჩამოყალიბდა სლავების თურანულ აღმოსავლეთთან, უგრო-ფინელებთან და ვოლგელი თათარი ხალხების ინტეგრაციის საფუძველზე. ევრაზიული კონცეფციის მნიშვნელოვან მხარედ მიაჩნიათ მისი ეთნოლოგიური ხასიათი. ევრაზიელობის საფუძველჩამყრელებმა თავიანთი კონცეფციის საფუძვლად რუსეთის ეთნიკური თავისთავადობა აქციეს. ევრაზიელობამ, როგორც პოლიტიკურმა სის-

ტემამ, დიდხანს არ იარსება; 1920-იან წლებში მოძრაობის შიგნით განხეთქილება მოხდა, თუმცა მას შემდეგაც ჰყავდა მიმდევრები. ბოლო პერიოდის ყველაზე გამოკვეთილი ფიგურები იყვნენ ნ. რერიხი და ლ. გუმილოვი. ევრაზიელობის იდეები საბჭოთა კავშირის დაშლამდე და უფრო მეტად მისი დაშლის შემდეგ გამოცოცხლდა. ფორმირებადი საბჭოთა კავშირისათვის ევრაზიული სახელმწიფოს დარქმევას აპირებდნენ, რომელშიც თავისი ადგილი ორიგინალური და თავისებური კულტურების ისეთ ხალხებსაც უნდა მოენახათ, როგორებიც ქართველები, ბალტიისპირელები და სხვები არიან. დღესაც რუსეთის სახელმწიფოს დაპირისპირება დასავლურ სამყაროსთან უპირატესად ევრაზიელობის იდეებს ეყრდნობა; ფაქტობრივად, პუტინის პოლიტიკა ევრაზიელობის იდეებითაა განპირობებული – იქნებ არც გაემტყუნებათ, ვესტერნიზაციამ შესაძლოა რუსეთსა და რუსულ კულტურას თავისთავადობა დააკარგვინოს.

ევროპოცენტრიზმი – იდეოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც თანამედროვე ცივილიზაციისა და კულტურის განვითარებაში წამყვანი როლი ევროპამ ითამაშა.

ეთნიკური ასიმილაცია – იხ. ასიმილაცია.

ეთნიკური კონფლიქტი – სამოქალაქო, პოლიტიკური ან შეიარაღებული წინააღმდეგობის ფორმა, რომელშიც მხარეები ან ერთი მხარე მობილიზდება და მოქმედებს.

ეთნიკური კულტურა – კულტურის ელემენტებისა და სტრუქტურების ერთობლიობა, რომელთაც ნათლად გამოხატული განმასხვავებელი ეთნიკური ნიშნები ახასიათებთ. ეს ელემენტები და სტრუქტურები ეთნომადიფერენცირებელ ფუნქციებს ასრულებს. ეთნიკური კულტურა საერთო წარმომავლობითა და სამეურნეო საქმიანობით ერთმანეთთან დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფებს აერთიანებს. ეთნიკურ კულტურაში შედის შრომის იარაღები, წეს-ჩვეულებები, ჩვეულებითი სამართლის ნორმები, ღირებულებები, ნაგებობები, ტანსაცმელი, საკვები, გადაადგილების საშუალებანი, საცხოვრებლები, ცოდნა, რწმენა-წარმოდგენები, ხალხური შემოქმედების ყველა სახე. ის ყოველთვის ლოკალიზებულია გეოგრაფიულ სივრცეში და თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურით ერთგვაროვანია. ეთნიკური კულტურა ეთნოსის კულტურის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ეთნოსის კულტურაში, გარდა ეთნიკური კულტურისა, შედის უცხოეთნიკური და ინტერეთნიკური კულტურების ელემენტებიც.

ეთნიკური ტემპერამენტი – ნაციონალური ხასიათის გარეგანი გამოხატულება (მეტყველების ტემპი, მოძრაობა, ჟესტები, დისტანცია და ა. შ.).

ეთნიკური ჯგუფი – ეთნოსის ნაწილი, რომელიც საკუთარი ეთნოსის ძირითადი განსახლების არეალის გარეთ ცხოვრობს. მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ეთნიკური ჯგუფები ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენს. ეთიკური ჯგუფი შეიძლება იყოს როგორც კომპაქტურ, ისე დისპერსიულ მდგომარეობაში. ჩვეულებრივ, ეთნიკურ ჯგუფებს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები არ გააჩნიათ. ეთნიკური ჯგუფები

მიგრაციის, დეპორტაციის, ან საზღვრების შეცვლის გამო წარმოიქმნება. ეთნიკურ ჯგუფებს ქმნიან (და არა ეროვნულ უმცირესობებს) საქართველოში მცხოვრები სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, ქურთები, უდიები.

ეთნიკურობა – სპეციფიკური კულტურული ნიშნების ერთობლიობა, რითაც ერთი ეთნიკური ჯგუფი განსხვავდება მეორისაგან. ეთნიკურობა ეთნოლოგიის, სოციოლოგიის, სოციალური (კულტურული) ანთროპოლოგიის, პოლიტოლოგიის ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა და ამიტომ მას სხვადასხვა ინტერპრეტაცია და მნიშვნელობა გააჩნია. ყველაზე გავრცელებულია სამი მნიშვნელობა: I. ჯგუფთაშორისი ურთიერთქმედების ფორმა, რომლის დროსაც რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლები თავიანთ თავს გამოაცალკევებენ („ჩვენ") სხვა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან, როგორც კულტურულად განსხვავებულები; II. ჯგუფების ნიშან-თვისებების ერთობლიობა, ან ატრიბუტები, რომლებითაც ეთნიკური ჯგუფები არიან გაერთიანებული; III. ეთნიკური იდენტობა, ე.ი. იდენტიფიკაციის სპეციფიური ფორმა იმ ჯგუფთან, რომელსაც ინდივიდი თავის თავს მიაკუთვნებს. ამ მნიშვნელობით ეთნიკურობა დაკავშირებულია ეთნოსის ცნებასთან, როგორც ადამიანთა ისეთ ერთობასთან, რომლის იდენტურობაც გაიგივებულია ხალხთან, რომელიც სხვათაგან განსხვავდება თვითშეგნებით, ენით, ცხოვრების წესითა და კულტურულ-ისტორიული თავისებურებების სხვა კომპონენტებით.

ეთნოგენეზი – ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნისა და განვითარების პროცესი პრიმიტიული მდგომარეობიდან თვითშეგნების ჩამოყალიბებამდე. ეთნოგენეზის დროს ყალიბდება აგრეთვე კულტურა და ენა. პრაქტიკულად ყველა არსებულმა ეთნოსმა ჩამოყალიბების რთული გზა გაიარა, სხვადასხვაგვარი ნაწილისაგან, რომლებიც შედეგ ბოლო სტადიაზე თავს გაიცნობიერებენ ერთ ერთობად. ეთნოგენეზის ორიგინალური თეორიის ავტორია ლევ გუმილიოვი. მისი აზრით, ეთნოსები იბადებიან, ცხოვრობენ (ვითარდებიან) და კვდებიან არა იმდენად სოციალური, რამდენადაც ბუნებრივი კანონებით. მრავალრიცხოვანი საისტორიო მასალის საფუძველზე მან დაასკვნა, რომ ეთნოგენეზის მთელი პროცესი მიმდინარეობს ერთგვაროვნად, ე. ი. საერთო მკაფიო კანონზომიერების შესაბამისად. ლ. გუმილიოვის აზრით, ეთნოგენეზის მამოძრავებელი ძალა ბუნებრივი, ბიოსფერული ფაქტორებია. ეს ფაქტორები კი უშუალოდ განაპირობებენ ცხოვრების სოციალურ ფორმებს, რომელთაც სხვადასხვა ეთნოსები ქმნიან. გამოყოფენ ეთნოგენეზის სამ ძირითად ისტორიულ ტიპს: ა) პალეოეთნოგენეზი; ბ) მეზოეთნოგენეზი და გ) ნეოგენეზი. პალეოეთნოგენეზის დროს ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეთნიკური ერთობები ხანგრძლივი კულტურული ურთიერთქმედებისა და პოლიტიკური კავშირების შედეგად. ამ ტიპში გამოყოფენ ეთნოენობრივ, ეთნოკულტურულ და ეთნოპოლიტიკურ ფორმებს. მეზოეთნოგენეზი თანამედროვე ხალხების წარმოქმნის ეპოქაა. ნეოგენეზის დროს ახალი ისტორიის მონაკვეთში ევროპის გარეთ ახალი ეთნოსები ჩამოყალიბდა..

ეთნოგეოგრაფია – სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც სწავლობს ბუნებრივი გარემოს გავლენას ეთნოსებსა და მის კომპონენტებ-

ზე, ეთნიკური საზღვრების ფორმირების პროცესებს, ეთნოსების სივრცობრივ ურთიერთქმედებას ეთნიკური კონტაქტების შედეგად.

ეთნოგრაფიული ჯგუფი – ეთნოსის ტერიტორიული ნაწილი, რომელიც გამოირჩევა ენის, კულტურისა და ყოფის ლოკალური თავისებურებებით (განსაკუთრებული მეტყველება და კილო-კავი, თავისებური მატერიალური და სულიერი კულტურა, ზოგჯერ რელიგიური და კონფესიური განსხვავება და ა. შ.). ეთნოგრაფიულ ჯგუფებს აქვთ გარკვეული სახელწოდებებიც, თუმცა ეს სახელწოდებანი ეთნონიმები არ არის. ეთნოგრაფიულ ჯგუფებს ყოფის, კულტურის, მეტყველების სპეციფიკა ძირითადად განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრებამ ჩამოუყალიბა. ზოგიერთი ხალხის ეთნოგრაფიული ჯგუფი სხვა ხალხების, ან მათი ნაწილის ასიმილაციის შედეგად ჩამოყალიბდა. ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფები მხოლოდ საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს შედეგად ჩამოყალიბდა. ლევ გუმილიოვი შენიშნავს, რომ **მრავალფეროვან გარემოში მცხოვრები ეთნოსი უფრო მეტი შემჭიდროებულობით გამოირჩევა, ვიდრე ერთნაირ გარემოში მცხოვრები.** ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით ეთნოგრაფიულ ჯგუფებს რაიმე განსაკუთრებული თვითშეგნება არ გააჩნიათ.

ეთნოლინგვისტიკა – მეცნიერების ეს დარგი სწავლობს ენობრივ ქცევასა და მის გავლენას ეთნოსებზე, მათ კლასიფიკაციას. ეთნოლინგვისტიკა ლინგვისტთა კვლევის სფეროს არ წარმოადგენს; ის სოციალური მეცნიერებაა, თუმცა ეთნოლინგვისტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ლინგვისტური ცოდნა.

ეთნოლოგია – მსოფლიოს ხალხების მსგავსებებისა და განსხვავებების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა. ის სწავლობს ეთნიკურ პროცესებს ეთნოსთა ცხოველქმედების სხვადასხვა ასპექტებსა და ეთნოსებში მიმდინარე ცვლილებებს კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში, უძველესი დროიდან დღემდე. ერთი ყველაზე მოსწრებული გამოთქმით, რომლის ავტორია ს. ლურიე, „ეთნოლოგია სწავლობს ეთნოსის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას“.

ეთნონიმი – ნებისმიერი ეთნოსის სახელწოდება, რომელიც გამოხატულია მის თვითშეგნებაში. ეთნონიმის წარმოქმნა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ისტორიასთან და ამიტომ ეთნონიმის შესწავლა გვეხმარება ხალხის წარმოშობისა და ეთნიკური კავშირების გარკვევაში. მეცნიერები ეთნონიმებს ორ ნაწილად ყოფენ: ენდოეთნონიმებად და ეგზოეთნონიმებად. ენდოეთნონიმი იგივე თვითსახელწოდებაა, ხოლო ეგზოეთნონიმი გარესახელწოდება, ანუ სხვა ხალხების მიერ შერქმეული სახელია. უმეტეს შემთხვევაში ენდოეთნონიმი და ეგზოეთნონიმი ერთმანეთს არ ემთხვევა. გერმანელთა ენდოეთნონიმია „დოიჩ“, ეგზოეთნონიმი კი მათ ბევრი გააჩნიათ: რუსები უწოდებენ „ნემეცს“, ფრანგები – „ალემანს“, ინგლისელები – „ჯიომენს“, იტალიელები – „ტედესკოს“, ფინელები – „საქსალაინენს“, სერბები – „შვაბებს“ და ა. შ. ისტორიაში ცნობილია ფაქტები ერთი ეთნონიმით სხვადასხვა ხალხების სახელდებისა, მაგალითად „იბერები“ კავკასიასა (აღმოსავლეთ ქართველები) და პირინეის ნახევარკუნძულზე, „ალბანელები“ – კავკა-

სიასა და ბალკანეთში, „ავარები" – ძველი თურქულენოვანი ხალხი – ევრაზიის სივრცეში და თანამედროვე დაღესტნელი ავარები, რომელთა აღმნიშვნელი ქართული ეთნონიმია „ხუნძი".

ეთნოფორი – ეთნიკური ცნობიერების მატარებელი ინდივიდი.

ეთნოციდი – რომელიმე ეთნოსის, მისი კულტურულ-ისტორიული ღირებულებებისა და ეთნოკულტურული თავისებურებების მიზანმიმართული ფიზიკური განადგურება. პოლიტიკოსები და მეცნიერები უფრო ხშირად გამოიყენებენ ტერმინს „გენოციდი".

ეკზოგამია – ქორწინების აკრძალვის წესი განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის (სოციუმის) შიგნით. ეკზოგამიის ისტორიულად ჩამოყალიბებული პირველი ფორმა გვაროვნული იყო, რომელიც პირველყოფილ-თემური ნყობილების დროს ჩამოყალიბდა, ქორწინება იკრძალებოდა დედისეული ან მამისეული ხაზის პირდაპირ ნათესავებს შორის. ეთნოლოგიაში ეკზოგამიის წარმოქმნის სამი ძირითადი პიპოთეზა არსებობს: 1. სისხლნათესაური ქორწინებების ნეგატიური შედეგებისაგან თავდაღწევა; 2. სხვა ჯგუფებსა და საზოგადოებებთან სოციალური კონტაქტის გაღრმავებისაკენ მისწრაფება და განმტკიცება; 3. გვარსა და ტომში სოციალური მშვიდობის დამყარებისაკენ მისწრაფება, ისე რომ ეკზოგამიისას სექსუალური ურთიერთობები და მისი თანმხლები კონფლიქტები გამოდის გვაროვნულ-ტომობრივი ურთიერთობების ფარგლებს გარეთ. ეკზოგამიის წეს-ჩვეულება ერთთგვარად შეცვლილი სახით დღესაც ბევრ ხალხში გვხვდება. მაგალითად, ერთი გვარის ქალები და კაცები ჩინეთში ერთმანეთზე არ ქორწინდებიან, რაც პატრილინეური ნათესაობის ნიშნად ითვლება. დღესაც ეკზოგამიურია გვარი საქართველოში.

ეკზოეთნონიმი – იხ. ეთნონიმი.

ემიგრაცია – ადამიანთა მიგრაციის ერთ-ერთი ფორმა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ემიგრაცია ნებაყოფლობითი ან იძულებითი ნასვლაა ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად. ემიგრაციის მოტივები სხვადასხვაა: პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური, საოჯახო-ყოფითი. ზოგიერთი სახელმნიფოს (აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა) მოსახლეობა ძირითადად ემიგრანტებისა და ემიგრანტთა შთამომავლებისაგან შედგება. შრომითი ემიგრაციები ძირითადად განვითარებადი ქვეყნებიდან დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს. ევროკავშირის ქვეყნებში 1990-იანი წლების შუა ხანებში ემიგრანტთა რაოდენობა დაახლოებით 20 მილიონს შეადგენდა.

ენა – ნიშანთა სისტემა, რომელიც ორგანიზებულია გარკვეული წესით. ენა არის აზროვნების, ურთიერთობის, გაგებინების საშუალება. ენა წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის სპეციფიკურ სოციალურ საშუალებას, აგრეთვე ადამიანური ქცევის მართვის საშუალებას. ენის საშუალებით ხორციელდება სოციალური გამოცდილების, კულტურული ნორმებისა და ტრადიციების გადაცემა, რეალიზდება სხვადასხვა თაობას შორის ისტორიულ ეპოქაში მემკვიდრეობითობა. ენა საზოგადოებასთან ერთად წარმოიქმნება. მსოფლიოში ენათა მრავალ-

ფეროვნება განპირობებულია ადამიანთა ძველი კოლექტივების ერთმანეთს შორის სუსტი კავშირებით. მსოფლიოს ენები განსხვავდება აგებულებით, ლექსიკური შემადგენლობითა და სხვა ნიშნებით. საკომუნიკაციო ფუნქციის გარდა, ენა ასრულებს აგრეთვე ეთნოსოციალურ ფუნქციასაც. ენა ეთნიკური მიკუთვნებულობის სიმბოლოცაა. ენათმეცნიერებაში განასხვავებენ ზეპირ (სალაპარაკო) ენასა და სალიტერატურო (დამწერლობით) ენას. ბევრი ეთნოსის სალაპარაკო ენა დიალექტებად იყოფა. ზოგიერთი ენის დიალექტები ერთამანეთისაგან ძლიერ განსხვავდება, რაც არსებითად ართულებს ადამიანთა შორის გაგებინებასა და კავშირებს. ამასთან დაკავშირებით განსხვავება სხვადასხვა ენებს შორის და ერთი ენის სხვადასხვა დიალექტებს შორის ხშირად ფრიად პირობითია.

ენდოგამია – ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება ხდება გარკვეული საზოგადოებრივი ერთეულის, სოციუმის ან ეთნიკური ჯგუფის (ტომის, კასტის, რელიგიური თემის, ნაციის) შიგნით, შესაბამისი ჯგუფის წევრებს შორის. ეთნიკური ენდოგამია პირველყოფილ ტომებში წარმოიქმნა, სადაც იკრძალებოდა ქორწინება უცხო ტომელებზე. ეთნოლოგიაში განასხვავებენ ნორმატიულ ენდოგამიასა და ფაქტიურ ენდოგამიას. პირველი განპირობებულია წეს-ჩვეულებით, მეორე კი სტიქიურად წარმოიქმნება რომელიმე ერთ გარემოში ერთგვაროვანი ქორწინებების სიჭარბის გამო. ენდოგამიის ყველაზე მკაცრი ფორმა რელიგიური (კონფესიური) ენდოგამიაა, რომელსაც თავისი მნიშვნელობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დღემდე აქვს შენარჩუნებული. ეთნიკური ენდოგამია ეთნოსის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობაა, მისი მნიშვნელოვნად დარღვევა, ე. ი. ეთნოსთა შორის ქორწინებების დიდი ხვედრითი წილი, ინვევს მეტისაციასა და ასიმილაციას. ენდოგამიის დარღვევის მნიშვნელოვანი მიზეზი არის ეთნიკური კონტაქტები და მიგრაციები, განსაკუთრებით გადმოსახლებულებს შორის სქესობრივი და ასაკობრივი დისპროპორციისას. ეთნიკური ენდოგამია სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. საკუთარი ეთნიკური გარემოს გარეთ დაქორწინებას ხალისით არ ხვდებოდნენ კავკასიის ხალხები. საქართველოში ისტორიულად უფრო მკაცრად იცავდნენ რელიგიურ (კონფესიურ) ენდოგამიას.

ენდოეთნონიმი – იხ. ეთნონიმი.

ეთნიკური ისტორია – ეთნოგენეზის შედეგად უკვე ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობის პროცესის გაგრძელება და განვითარება. ეთნიკური ისტორია მოიცავს ეთნოსთა ურთიერთქმედებას, მისი ცალკეული ჯგუფების ასიმილაციას, რიგი ეთნოსების ახალ ერთობებში გაერთიანებას (ინტეგრაცია, კონსოლიდაცია), აგრეთვე ეთნოსის განვითარების შიდა პროცესებს (ურბანიზაცია, მიგრაცია და ა. შ.).

ეთნიკური პროცესი – ეთნიკური პროცესების დროს მიმდინარეობს ეთნოსის სხვადასხვა კომპონენტების: მატერიალური და სულიერი კულტურის ცალკეული ელემენტების, ენის, სოციალური სტრუქტურის, თვითშეგნების ცვლილება. ეთნიკური პროცესების შედეგად მუდმივად იცვლებოდა არა მარტო ქვეყნებისა და რეგიონების, არამედ მთელი პლანეტის ეთნიკური შემადგენლობა. ჯერ კიდევ ცამეტი საუკუნის

წინ ჩრდილოეთი აფრიკა სხვადასხვა ბერბერული ნარმომავლობის ხალხებით იყო დასახლებული, დღეს კი ყველა ჩრდილოეთ აფრიკულ ქვეყანაში არაბები სჭარბობენ სხვებს. თითქმის მთლიანად შეიცვალა ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტების ეთნიკური შემადგენლობა.

ეთნიკური სუბსტრატი – ეთნოსების ერთობლიობა, რომლებიც ახალი ეთნოსის ჩამოყალიბების საწყის მასალას ნარმოადგენს. ადამიანები, რომელთა ნინაპრებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ხშირად ძალიან დაშორებულ ეთნოსებში შედიოდნენ, ერთმანეთში შერევის, ანუ როგორც ლ. გუმილიოვი უწოდებდა, პასიონარული ბიძგის შედეგად, ქმნიან ახალ ეთნიკურ მთლიანობას, რომელიც ყველა არსებული ეთნოსისაგან მკაფიოდ გამიჯვნას ინყებს და რომელიც ქცევის ორიგინალურ სტერეოტიპს გამოიმუშავებს. ახალი ერთობა ქმნის ეთნიკურ დომინანტს, რომლითაც ეთნიკური სუბსტრატის ეთნოსებში გაბატონებული ზნე-ჩვეულებებისა და შეხედულებებისაგან მკვეთრადაა დაპირისპირებული. ამავე დროს ეთნიკური სუბსტრატის ტრადიციები ახალ ეთნოსს თავის დაღს ასვამს. ეთნოსები, რომლებიც ოდესღაც ეთნიკურ სუბსტრატს შეადგენდნენ, ახალი ერთობის შემადგენლობაში შედიან. ისტორიაში ცნობილი თითქმის ყველა ეთნოსი ნარმოქმნილია არაერთგვაროვანი ეთნიკური სუბსტრატისაგან. მაგალითად, ინგლისელები ჩამოყალიბდნენ ანგლებისაგან, საქსებისაგან, კელტებისაგან, დანიელებისაგან, ნორვეგიელებისაგან და დასავლეთ ფრანგებისაგან. ესპანელები ჩამოყალიბდნენ იბერებისაგან, კელტებისაგან, გერმანული ტომების სვევებისა და ვესტგუთებისაგან, რომაელი კოლონისტებისა და არაბი დამპყრობლების შთამომავლებისაგან, და აგრეთვე მთელი რიგი სხვა ეთნოსებისაგან. ფრიად განსხვავებული კომპონენტებისაგან (ესპანელები, ინდიელები, ზანგები) ჩამოყალიბდა თანამედროვე სამხრეთ ამერიკული ეთნოსები. ეთნიკური სუბსტრატის თაეისებურებები ტრადიციების სახით ხშირადაა შემორჩენილი ეთნოსის დანაყოფებში.

ეთნიკური ტრადიცია – ხალხის, ეთნოსის ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე მტკიცე, სპეციფიკური, ნორმატიული ფორმები, ასახული კულტურაში, ენაში, ყოფაში, ხელოვნებაში, ქცევებსა და ურთიერთობებში, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და შემოინახება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეთნიკური ტრადიციები ცხოველქმედების ნებისმიერ სფეროში არსებობს. მისი ძირითადი ფუნქცია ეთნოსის კულტურისა და ისტორიის შემკვიდრეობითობის შენარჩუნებაში მდგომარეობს. ამიტომ ის იმეორებს ეთნიკური ერთობის ისტორიულ გამოცდილებას. ეთნიკური ტრადიციები ყალიბდება შესაბამის ისტორიულ ეპოქებში და განპირობებულია ყოველი ხალხის სოციალ-ეკონომიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული მოვლენებით. ეთნიკური ტრადიციების მეშვეობით განისაზღვრება ყოველი ეთნოსის თავისებურება, მისი ადგილი სხვა ეთნოსთა შორის. ეთნიკური ტრადიციები ზოგჯერ ეთნოსთა გაქრობის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, რადგან მისი ბევრი ელემენტი შეიძლება შეითვისოს სხვა, ახალნარმოქმნილმა ეთნოსებმა, რომლებიც ძველი, ადრინდელი ეთნოსების ბაზაზე ნარმოიქმნენ. ახალნარმოქმნილი ეთნოსები კი აქტიურად ითვისებენ და გადაამუშავებენ წინამორბედთა ეთნიკურ ტრადიციებს. მაგალითად, ელი-

ნიზმის ეპოქის კანონები ანტიკური ცივილიზაციის დაღუპვის შემდეგ გადაეცა ბევრ ახალ ეთნოსს და ისინი დღემდე ცოცხლობს. ბიზანტიის ტერიტორიაზე დასახლებულმა თურქებმა არაერთი ეთნიკური ტრადიცია გაითავისა წინამორბედი ეთნოსისა, განსაკუთრებით მატერიალური კულტურის სფეროში. კავკასიის მთებში დასახლებულმა ალანოსებმა, ეთნოლოგიური თვალსაზრისით, ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადეს – შეერწყნენ რა კავკასიელ მთიელებს, მათ ადგილობრივთა ეთნიკური კულტურა გაითავისეს. ადგილობრივი კავკასიელი მთიელები კი მოსულმა ირანულენოვანმა ეთნოსმა ჩაყლაპა. ტრადიციებს დღესაც არ დაუკარგავთ დადებითი მნიშვნელობა, ამიტომ თანამედროვე ცხოვრებაში მის შენარჩუნებას განსაკუთრბული მნიშვნელობა აქვს. შესაძლებელია ზოგიერთი ძველი ეთნიკური ტრადიციული ელემენტის ახალ სოციალურ-ისტორიულ პირობებთან შეთანაწყობა.

ეთნოსი – ეთნოსის საყოველთაოდ მისაღები განმარტება არ არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებულია შემდეგი განმარტება: ეთნოსი წარმომავლობით, საერთო ბედით, ენით, კულტურით, ტრადიციებით, მენტალობით, საერთო ეთნიკური თვითშეგნებითა და ეთნონიმით, აგრეთვე ტერიტორიითა და სამეურნეო ცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებული ადამიანთა ერთობლიობაა. ამ განმარტებით ეთნოსი როგორც ანთროპო-ბიოგენეტიკური, ისე სოციოკულტურული და ტერიტორიულ-ეკონომიკური რეალიაა. ზოგიერთი მეცნიერი ეთნოსის ცნებიდან ტერიტორიასა და სამეურნეო ცხოვრებას გამორიცხავს. ეთნოსისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ მემკვიდრეობითობა და განვითარების უწყვეტი ციკლი, არამედ დროში ცვალებადობაც – ეთნიკური პროცესი. ამრიგად, ეთნოსი არის კომპაქტურად ან დისპერსიულად განსახლებული და ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანების სიმრავლე (ჯგუფი), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. მისთვის დამახასიათებელია საერთო ენა, კულტურა, ქცევის გარკვეული ტრადიციები და ცხოვრების წესი, რომლებიც წარსულში ჩამოყალიბდა.

ეთნოსის განვითარების ადგილი (სამშობლო) – ლანდშაფტების განუმეორებელი შეხამება, სადაც მოცემული ეთნოსი ჩამოყალიბდა როგორც სისტემა. ამ ადგილების (ლანდშაფტების) ბუნება ღრმა გავლენას ახდენს ეთნოსის იერსახეზე, განსაზღვრავს მის ადაპტაციას გარემოში. მაგალითად, სტეპის ლანდშაფტები განსაზღვრავენ მომთაბარე ხალხის ცხოვრების წესს, ხოლო ხუანხესა და იანცზის ხეობები – ჩინელების მელიორატიულ ჩვევებს. ლ. გუმილიოვი განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ ახალი ეთნოსები ყოველთვის წარმოიქმნებოდნენ ორი და მეტი ლანდშაფტის შერწყმის ზონაში, ხოლო მონოტონური ლანდშაფტები, ჩვეულებრივ, ეთნოსების შექმნის ადგილს არ წარმოადგენენ.

ეთნოსფერო – ყველა ეთნოსისა და მათი ეთნოცენოზების ერთობლიობა. წლების განმავლობაში ეთნოსფეროს განვითარების ბიოლოგიურ თეორიას გვთავაზობდა ლევ გუმილიოვი. ეთნოსი გეოგრაფიული დისციპლინის ჩარჩოებში ბუნებრივ (ბიოლოგიურ) მოვლენად განიმარტებოდა (ეთნოლოგია-ეთნოგრაფიას გეოგრაფიულ დისციპლინად მიიჩნევდა). მიუხედავად ამისა, ეთნოსის მიერ შექმნილი კულტურა სო-

ციალურ მოვლენად განიხილება. ლ. გუმილიოვი კაცობრიობის ისტორიას მრავალრიცხოვანი ეთნოგენეზების ჯაჭვად განიხილავდა. ლ. გუმილიოვისათვის ეთნოსი „ბიოსოციალური ორგანიზმია".

ეტატონიმი – სახელმწიფოს სახელწოდება. მაგალითად, **საქართველო** და **საფრანგეთი** ეტატონიმებია. უმეტეს შემთხვევაში ეტატონიმი სახელმწიფოში მცხოვრები ძირითადი ეთნოსის სახელწოდებიდან (ეთნონიმიდან) მომდინარეობს. ზოგიერთ შემთხვევაში კი – პირიქით, სახელმწიფოს, ქვეყნის სახელწოდებიდან მომდინარეობს ხალხის სახელწოდება (ეთნონიმი). მაგალითად, დადგენილია, რომ „ქართველი" „ქართლიდან" არის მიღებული.

ვესტერნიზაცია – სოციოლოგიური დოქტრინა, რომლის მიზანია დაარწმუნოს განვითარებადი ქვეყნების ხალხები დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების უპირატესობაში და ჩამოუყალიბოს დადებითი აღქმა დასავლეთის სამყაროს კულტურული ღირებულებების მიმართ. მიმართულია განვითარებადი ქვეყნების დასავლური გავლენის სფეროებში ჩასართველად როგორც საგარეო პოლიტიკაში, ისე სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. პრაქტიკულად ვესტერნიზაცია ნიშნავს უპირველეს ყოვლისა ამ ქვეყნებში ამერიკული ცხოვრების წესის გავრცელებას. განვითარებადი ქვეყნების ვესტერნიზაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სპეციალისტების მომზადებას, რომლის დროსაც პროფესიულ ცოდნასთან ერთად დასავლური კულტურის ეთიკურ ნორმებსა და ღირებულებით ორიენტაციებსაც უკანონებენ.

ზოროასტრიზმი – ზოროასტრიზმი დუალისტური რელიგიაა. მის საფუძველს წარმოადგენს წარმოდგენა სამყაროში კეთილი და ბოროტი სანყისების ურთიერთბრძოლის შესახებ. ზოროასტრულ კულტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცეცხლისადმი თაყვანისცემა, რომელსაც მიენერება განმწმენდი ძალა.

თემი – ადამიანთა სოციალურ-ტერიტორიული ორგანიზაციის პირველი ისტორიული ფორმა, რომელიც ნათესაური ურთიერთობების ბაზაზე ვითარდებოდა. გვარისაგან განსხვავებით, თემი ეკზოგამიური არ იყო. ის უფრო მეტად ენდოგამიური და, როგორც წესი, ჰეტეროგენური (მრავალგვაროვანი) იყო. თემს წარმოებითი, საოჯახო-ყოფითი და კულტურული ფუნქციები ჰქონდა. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში თემი სოფლის მოსახლეობის ძირითად ორგანიზაციად იქცა, სოციალური სტრუქტურის ახალი უჯრედის – სოფლის თვითმმართველობით ორგანიზაციად გარდაიქმნა. ინდუსტრიული საზოგადოებების ჩამოყალიბებამდე ისინი ძირითადად ტერიტორიული, სასოფლო და სამეზობლო თემების სახით არსებობდა. ტერმინი ბიზანტიურია. ის იმპერიის სამხედრო-ადმინისტრაციული ოკრუგის აღმნიშვნელი იყო. ბიზანტიაში თემები გვიანრომაული პროვინციული სისტემების დაშლის შემდეგ, VII საუკუნის პირველ ნახევარში მცირე აზიაში წარმოიშვა. თავდაპირველად თემი დიდ ოკრუგს წარმოადგენდა, რომელშიც განლაგებული იყო არმიის დიდი დანაყოფები. სნორედ ამ დანაყოფებს ენოდებოდათ თემები, შემდეგ კი ეს სახელწოდება ოკრუგზე გავრცელდა.

იდენტობა – ადამიანის მიერ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თვისებებისა და კონკრეტული სოციალური, კულტურული, ეთნიკური გარემოს თავისებურებების საკუთარ თავთან გაიგივების ფსიქოლოგიური პროცესი. პრაქტიკაში ეს პროცესი ინდივიდის გარკვეულ კულტურულ გარემოსთან, სოციალურ სიმბოლოებთან, ტერიტორიასთან, სტატუსთან, ფასეულობებთან, შესრულებულ როლთან და ა. შ. გაიგივებაში გამოიხატება. ამის საფუძველზე იდენტობის შესაბამის ტიპებს გამოყოფენ. იდენტობის საშუალებით ადამიანი გაიცნობიერებს იმ თავისებურებებს, რომლებიც ის სხვა ადამიანებისაგან განხვავდება.

იზოლიატი – ლანდშაფტური გარემო-პირობების გამო სხვა ეთნოსებისაგან გამიჯნული პატარა ეთნოსი, რომელიც დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვებთან ეთნიკურ კონტაკტებს არ ამყარებს. ეთნოსი-იზოლიატები არსებობდნენ დაღესტანში; დღეს არსებობენ პამირში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ტიბეტში.

იმიგრაცია – ადამიანთა მიერ საცხოვრისის შეცვლის პროცესი, დროებით ან მუდმივ სახოვრებლად სხვა ქვეყანაში გამგზავრება. იმიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნოსთა შორის კონფლიქტი, საოჯახო-ყოფითი. ქვეყნისათვის იმიგრაციას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე ნეგატიური შედეგები. ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაზე, ინვევს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების შერევას, რის შედეგადაც ახალი ეთნოსები ყალიბდება. ასიმილაციის ტემპები დამოკიდებულია იმიგრანტებისა და მკვიდრი მოსახლეობის კულტურულ და ენობრივ სიახლოვეზე, განსახლების ხასიათზე, მიმღები ქვეყნის ხელისუფლების მათთან ურთიერთობაზე და ა. შ. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში დადგენილია სპეციალური იმიგრანტული კვოტები, რომლის ფარგლებშიც რეგულირდება უცხოელ მოქალაქეთა ყოველნლიური ნაკადი.

ინდეანიზმი – ლათინური ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის იდეოლოგიური მიმართულება, რომელიც უარყოფს ევროპული ცივილიზაციის ნორმებსა და ღირებულებებს და ამტკიცებს, რომ ინდიელთა რასა ყველაზე საუკეთესო და უმაღლესია. ინდეანიზმის მიხედვით, მხოლოდ სუფთა სისხლის ინდიელებს აქვთ უფლება იცხოვრონ ინდიელთა მინებზე.

ინდუიზმი – მრავალღმერთიანი რელიგია. მას არა ჰყავს დამფუძნებელი ან წინასწარმეტყველი, არა აქვს სასულიერო იერარქია და ერთიანი კანონები. ინდუიზმი უფრო ცხოვრების წესი ან კულტურაა, ვიდრე მოწესრიგებული რელიგიური ტრადიცია.

ინიციაცია – კურთხევითი (ხელთდასხმითი) წესების სისტემა, რომელთანაც დაკავშირებულია ვაჟისა და გოგონას მამაკაცებისა და ქალების კატეგორიაში გადაყვანა. ინიციაციის მიზანი იყო მოემზადებინა ახალგაზრდობა თანამეტომელთა საწარმოო, საზოგადოებრივ, საქორწინო და სულიერ ცხოვრებაში ჩასართავად. როგორც წესი, ინიციაციას თან ახლდა სხვადასხვა მტანჯველი გამოცდა და ოპერაცია (წინადაცვეთა, კბილების ამოგლეჯა, ჭრილობის შეხორცება, ტატუირება), რომლებიც დაკავშირებული იყო გვარისა და ტომის საიდუმლოებებსა და მითებთან.

ინკულტურაცია – ადამიანის ზიარება გარკვეულ ეთნიკურ კულტურასთან ბავშვობის ასაკიდან, მის მიერ ცხოვრებისათვის აუცილებელი კულტურული ჩვევების შეძენის პროცესი. ინკულტურაციის პროცესში ინდივიდი ითვისებს აზროვნებისა და მოქმედების ტრადიციულ წესებს, რომელიც იმ კულტურისათვის არის დამახასიათებელი, რომელსაც მიეკუთვნება. სამეცნიერო მიმოქცევაში ინკულტურაციის ცნება მ. მიდმა იმ მიზნით შემოიტანა, რომ მისგან უფრო ფართო ცნება – „პიროვნების სოციალიზაცია" გაემიჯნა. ფართო მნიშვნელობით ინკულტურაცია პროცესია, რომელიც არ შემოიფარგლება ადრეული ბავშვობის პერიოდით. უკანასკნელ პერიოდში აღნიშნულ ტერმინს იყენებენ იმიგრანტების მიმართ, რომლებიც ახალ კულტურულ პირობებთან ადაპტირდებიან. ინკულტურაციის ცნებას ყველაზე უფრო მეტად ამერიკულ კულტურულ ანთროპოლოგიაში იყენებენ.

ინოვაცია (კულტურული) – ეთნიკური კულტურის ახალი მოვლენა, რომელიც ეთნოსის განვითარების ნინა სტადიაზე არ არსებობდა, მაგრამ გაჩნდა შემდეგ და მისი ორგანული ნანილი გახდა. კულტურული ინოვაცია შეიძლება ორი გზით გაჩნდეს: კულტურის შინაგანი განვითარებითა და გარეგანი ზემოქმედებით. კულტურული ინოვაციის ყველაზე გავრცელებული სახეა სესხება, რომელიც სტიმულს აძლევს კულტურის ტრანსფორმაციას. ინოვაცია გარკვეული ხნის შემდეგ ტრადიციად გარდაიქმნება.

ინტეგრაცია კულტურული – ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთკავშირთა ჩამოყალიბების პროცესი; რაიმე ელემენტთა (ნანილთა) ერთ მთელში გაერთიანება.

ინცესტი – საქორწინო-სქესობრივი ურთიერთობა სისხლით ნათესავებს შორის. ინცესტი, ფაქტობრივად, სისხლის აღრევაა. სისხლის ნათესავთა ქორწინება ეთნოლოგიაში უფრო ენდოგამიის სახელით არის ცნობილი. როგორც აღნიშნავენ, ინცესტი დამახასიათებელი იყო პირველყოფილი საზოგადოების ადრეული პერიოდისათვის, მაგრამ რამდენად საყოველთაო იყო სისხლის აღრევა ამის დამადასტურებელი მონაცემები არ არსებობს. მიაჩნიათ, რომ ინცესტი გვარ-ტომობრივი ურთიერთობის დროს ეკზოგამიის წესებმა განდევნა. ინცესტი შთამომავლობის დასუსტებისა და გადაგვარების მიზეზია, ამიტომ მისმა აკრძალვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანთა კულტურის ჩამოყალიბებაში. ინცესტის აკრძალვა პირველი სოციოკულტურული ნორმა იყო. სისხლაღრევითი ქორწინებები კანონით აკრძალულია მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში.

ისლამი (მაჰმადიანობა) – წარმოიქმნა VII საუკუნეში არაბებში. განიცადა იუდაიზმის ძლიერი გავლენა. მისი საფუძვლის ჩამყრელი იყო მუჰამედი, რომელსაც მიმდევრები ეთაყვანებოდნენ როგორც ნინასწარმეტყველსა და ღმერთის წარმოგზავნილს. მუჰამედი არაბთა შორის ერთღმერთიანობის იდეას ქადაგებდა. ქრისტიანობამ თუ თავისი ისტორია დაიწყო როგორც იუდაიზმის სექტამ, ისლამი მაშინვე ჩამოყალიბდა, როგორც რელიგია. მის მიმდევართა შორის ებრაელები არ იყვნენ. მუჰამედი არ მიიჩნევდა, რომ ის ახალ რელიგიას ქადაგებდა. ის ფიქრობდა, რომ აღადგენდა თავდაპირველ, წმინდა რელიგიას აბრაა-

მისას (იბრაჰიმისას), დაუდისას (დავითისას), იაკუბისას (იაკობისას), მუსასას (მოსესას), ისასას (იესოსას) და სხვა წინასწარმეტყველების, რომლებიც იუდეველებმა და ქრისტიანებმა შერყვნეს. ისლამი იზიარებს იუდაიზმისა და ქრისტიანობის ძირითად წარმოდგენას ღმერთის – შემოქმედის შესახებ.

იუდაიზმი – კაცობრიობის ისტორიაში პირველი მონოთეისტური რელიგია, რომელიც წარმოიქმნა მახლობელ აღმოსავლეთში ძვ. წ.-ის II ათასწლეულში. იუდაიზმი ებრაელთა ეროვნული სარწმუნოებაა.

კათოლიკობა – ქრისტიანთა შორის პირველმა დიდმა განხეთქილებამ 1054 წელს ორი დიდი მიმართულების – მართლმადიდებლობისა და კათოლიკობის წარმოქმნა გამოიწვია. ქრისტიანობის ეს ორი მიმართულება ერთმანეთისაგან სარწმუნოებრივი მოძღვრების, კულტისა და ორგანიზაციის თავისებურებებით განსხვავდება. კათოლიკეები ორგანიზაციულად ერთიანნი, მთლიანნი არიან. მათი ეკლესიის მეთაურია რომის პაპი. დოგმატების გარდა კათოლიკობა და მართლმადიდებლობა ერთმანეთისაგან კალენდარულ საკითხშიც განსხვავდება. კათოლიკურ ეკლესიაში მთელი სამღვდელოება ცელიბატურია (დაუქორწინებელია). კათოლიკური ღვთისმსახურება, მართლმადიდებლურთან შედარებით, მოკლეა და ნაკლებბრწყინვალე. კათოლიკეებმა შეინარჩუნეს ძველქრისტიანული კულტი, მაგრამ დოგმატიკა მოდერნიზებული აქვთ.

კარნავალი – სახალხო სეირნობა, მასობრივი მსვლელობა, თეატრალიზებული თამაშობები და სხვა. ეწყობოდა ღია ცის ქვეშ. ჩაისახა წარმართულ დღესასწაულებში. ევროპაში კარნავალების გამართვა ყველიერის დღესასწაულს ემთხვეოდა. XVIII საუკუნეში განსაკუთრებით პოპულარული იყო იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. კარნავალები დღეს ძალიან პოპულარულია ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც ნეგროიდთა ტრადიციული კულტურის არაერთი ელემენტი შეიტანეს.

კასტა – ადამიანთა ჩაკეტილი ჯგუფი, რომლებიც ერთამანეთთან დაკავშირებული არიან პროფესიული მემკვიდრეობით, სპეციფიკური ტრადიციებით, ნორმებით, ცხოვრების სტილითა და ყოფაქცევით. სამართალი, მოვალეობა და პროფესია კასტაში მემკვიდრეობით გადაეცემა; ქორწინება, როგორც წესი, მხოლოდ ამ ჯგუფის შიგნით ხდება. კასტობრივი სისტემა წარმოადგენს სოციალური სტრატიფიკაციის ფორმას, სადაც მოქმედებს იერარქიის პრინციპი და სხვადასხვა იერარქიული რიგი ერთმანეთისაგან გამოყოფილია რიტუალური წესებით.

კაცობრიობა – ყველა რასისა და ეთნოსის ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც დედამიწაზე ცხოვრობენ; პლანეტის მთელი მოსახლეობა.

კლანი – ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას სავარაუდო საერთო წინაპარს უკავშირებენ, მაგრამ მასთან გენეალოგიური კავშირი არავის ახსოვს. კლანის წევრები საერთო წინაპრის სახელს ატარებენ. კლანი, ფაქტობრივად, იგივე გვარია.

კომპლიმენტარობა – სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის ურთიერთსიმპატიის (ანტიპატიის) ქვეცნობიერი გრძნობა, რომელიც სხვა ეთნოსთა წარმომადგელებს „თავისებად" და „სხვისებად" ყოფს.

კონკუბინატი – ძველი რომაული სამართლით მამაკაცისა და გაუთხოვარი ქალის ნებადართული ხანგრძლივი ცხოვრება ქორწინების გარეშე. ხანგრძლივი ფაქტობრივი ქორწინების ფორმა, რომლის იურიდიულ გაფორმებას ხელს უშლიდა საქორწინო პარტნიორთა კლასობრივი, ეკონომიკური ან წოდებრივი უთანაბრობა. კონკუბინატისას ქალი (კონკუბინა) ვერავითარ წოდებრივ პრივილეგიას ვერ იღებდა, რომლებითაც მისი საქორწინო პარტნიორი სარგებლობდა. ეს ეხებოდა კონკუბინატში დაბადებულ ბავშვებსაც, რომელთაც მამის პრივილეგიები ნართმეული ჰქონდათ.

კონსორცია – ერთი ისტორიული ბედით გაერთიანებულ ადაშიანთა ჯგუფი, რომლებიც ან იშლებიან, ან კონვიქსიას განიცდიან. ინგლისელთა კონსორციამ ამერიკაში შექმნა პირველი კოლონიები; ბაპტისტები დასახლდნენ მასაჩუსეტში, კვაკერები – პენსილვანიაში, კათოლიკეები– მერილენდში, პურიტანები – ახალ ინგლისში. თანდათანობით ისინი გადავიდნენ კონვიქსიაში, რომლებმაც დასაბამი მისცეს ეთნიკურ ჯგუფებს და შექმნეს ამერიკული ეთნოსი.

კონფესია – სარწმუნოება, რჯული, ეკლესია. ჩვეულებრივ, ამ ტერმინით დიდი, მონოთეისტური რელიგიების დანაყოფებს, შტო-რელიგიებს აღნიშნავენ. მაგალითად, ქრისტიანობის კონფესიებია: კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა, პროტესტანტიზმი. ისლამის კონფესიებია: სუნიზმი, შიიზმი, ხარიჯიზმი.

კორპორატიული ჯგუფი – 1. სისხლით ნათესავთა ჯგუფი, მაგალითად ლინიჯი, პატრონიმია, რომელსაც გააჩნია ერთობის ძლიერ განვითარებული შეგნება და გრძნობა; 2. ჯგუფი, რომელიც ნარმოადგენს ერთიან „იურიდიულ სახეს", მაგალითად, ლინიჯი, რომელსაც ზოგჯერ აქვს საერთო საკუთრებაც.

კოსმოპოლიტიზმი – ბერძნული სიტყვა „კოსმოპოლიტეს" „მსოფლიო მოქალაქეს" ნიშნავს. კოსმოპოლიტიზმი უარყოფს „ნაციონალური ნიადაგის", ნაციონალური კულტურის, პატრიოტიზმის იდეებს, პოლიტიკის სფეროში კი ქადაგებს სახელმნიფოებრივსა და ნაციონალურ სუვერენიტეტზე, ნაციონალურ ინტერესებსა და ტრადიციებზე უარის თქმას. კოსმოპოლიტიზმი ჯერ კიდევ ანტიკურობის პერიოდში ნარმოიქმნა, ეს იდეოლოგია კი განსაკუთრებით XX საუკუნეში გავრცელდა. მის საფუძველს ნარმოადგენს მსოფლიო სახელმნიფოს ან სახელმნიფოთა მსოფლიო ფედერაციის შექმნის იდეა, რისთვისაც აუცილებლად უარი უნდა ითქვას სახელმნიფო სუვერენიტეტზე, ეთნიკურსა და ნაციონალურ მიკუთვნებულობაზე, კულტურასა და ტრადიციებზე. თანამედროვე კოსმოპოლიტიზმი ქადაგებს ნაციონალური კულტურების დინამიურ, ინდუსტრიულ პროგრესში სრულ გათქვეფას. კოსმოპოლიტიზმი ინტერნაციონალიზმის სინონიმური ცნება არ არის, რომელიც არ უარყოფს პატრიოტიზმს, ნაციონალურ გრძნობებს. მსოფლიო ისტორიაში კოსმოპოლიტიზმი ხშირად დიდი ნაციების შოვინიზმის საფარველს ნარმოადგენდა, რომლებიც მსოფლიო ბატონობისკენ სახელმნიფოებრივი და ეთნიკური საზღვრების მსხვრევით მიისწრაფოდნენ.

კრანიოლოგია – ანთროპოლოგიის ნანილი, რომელიც სნავლობს ადამიანის თავის ქალებს.

ქსენოფობია – მტრული დამოკიდებულება უცხოელებისა და უცხოურისადმი – ენისადმი, ცხოვრების ყაიდისადმი, აზროვნების სტილისადმი და ა. შ.

კულტი – ზებუნებრივის რწმენასთან დაკავშირებული მოქმედებების, წეს-ჩვეულებების, რიტუალების ერთობლიობა. კულტი ნებისმიერი რელიგიის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, რაც გამოიხატება განსაკუთრებულ მაგიურ წესებში, მღვდელთმსახურთა და მორწმუნეთა მოქმედებაში ზებუნებრივ ძალებზე სასურველი მოქმედების მოსახდენად. სხვა მნიშვნელობით კულტი წარმოადგენს რაიმე საგნის, სიმბოლოს, ნიშნის, ბუნების ძალის თაყვანისცემასა და პატივისცემას.

კულტურა – კულტურის საყოველთაოდ მისაღები განმარტება არ არსებობს. კულტურა ბუნების საპირისპირო მოვლენაა. კულტურის ქვეშ იგულისხმება ყველაფერი, რაც კი კაცობრიობის ფიზიკური და გონებრივი მოღვაწეობის შედეგადაა შექმნილი, მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კულტურული ანთროპოლოგია – ეთნოლოგიის ამერიკული ნაირსახეობა, რომლის შესწავლის საგანს სხვადასხვა ხალხის კულტურა წარმოადგენს. ის ძირითადად ემყარება არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ფსიქოლოგიური შედარებითი („კომპარატივისტული") კვლევის შედეგებს. კულტურული ანთროპოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, XX საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა და მას საფუძველი ჩაუყარა ამერიკელმა ეთნოლოგმა და ანთროპოლოგმა ბოასმა. კულტურული ანთროპოლოგიისათვის დამახასიათებელია კულტურის სულიერი ღირებულებებისათვის პრიორიტეტის მინიჭება, მატერიალური არტეფაქტების ნაკლებ მნიშვნელოვანია. მეთოდოლოგიურად კულტურული ანთროპოლოგია აქცენტს აღწერაზე და არა ანალიზურ მეთოდიკაზე ამახვილებს. ის წინა პლანზე ნამოსწევს კულტურის განვითარების დინამიკას, თაობიდან თაობაზე მისი გადაცემის მექანიზმს.

კულტურული ეკოლოგია – თეორიული პარადიგმა, რომელიც იკვლევს მიმართებას კულტურასა და ფიზიკურ გარემოს შორის.

კულტურული რელატივიზმი – კულტურის შეფასების პრაქტიკა მისივე სტანდარტებით.

კულტურული სესხება – ერთი ეთნოსის მიერ სხვა ეთნოსისთვის დამახასიათებელი ამა თუ იმ კულტურული ელემენტის ათვისება. ეთნოლოგიაში ამ პროცესს აკულტურაციას უწოდებენ. მისდამი მიდრეკილია ყველა ინდივიდი, ეთნიკური ჯგუფი, ნაცია და ქვეყანა. ის შეიძლება ატარებდეს პირდაპირ ან ირიბ ხასიათს.

კულტურული ტრანსმისია – პროცესი, რომლის დროსაც კულტურა მომავალ თაობებს გადაეცემა.

კულტურული შოკი – პიროვნული დეზორიენტაცია, რაც გამოწვეულია უცხო ცხოვრების წესთან შეხებით.

ლევირატი – საქორწინო წეს-ჩვეულება, რომლის თანახმად ქვრივი ვალდებული იყო (ან უფლება ჰქონდა) გათხოვილიყო თავისი ქმრის ძმაზე, ძმა უნდა დაქორწინებულიყო (უფლება ჰქონდა) თავისი ძმის

ქვრივზე. ლევირატი გავრცელებული იყო პატრიარქალურ-გვაროვნულ საზოგადოებებში, სადაც ის ქვრივსა და მის შვილებს უზრუნველყოფდა არსებობის უფლებითა და საშუალებით. ლევირატი საყოველთაოდ გავრცელებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში.

მაგია – ლათინური სიტყვა „მაგეია“ გრძნეულობას, ჯადოქრობას ნიშნავს. მაგია არის სხვადასხვა ნეს-ჩვეულებების ერთობლიობა, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უნარს, რწმენას, რომ ზებუნებრივი გზით ზემოქმედება მოახდინოს ბუნებაზე, ადამიანებზე, ცხოველებზე, ღმერთებზე, სულებზე. ამიტომ ეთნოლოგიაში გამოყოფენ მაგიის შემდეგ სახეებს: 1. სამეურნეოს (წვიმის გამოწვევა; ნადირობისას ნარმატება და ა. შ.); 2. სამკურნალოს („თეთრი“ მაგია); 3. ვნების მომტანს („შავი“ – „ჯადოს“ გაკეთება); 4. დამცველს; 5. სასიყვარულოსა და სხვა. მაგიურ რწმენაში თავის დამცავი საშუალება იყო ამულეტი, ანუ რაიმე საგანი, რომლებსაც ადამიანები ხშირად სხეულით ატარებდნენ. მაგია გულისხმობს საგნებისა და არსებებისადმი განსაკუთრებული ძალების მიწერასა და მათ გამოყენებას გარკვეული მოქმედებების, რიტუალების, შელოცვების ან რაიმე განსაკუთრებული პრაქტიკის მეშვეობით. გამოიყოფა მაგიური ქმედებების ოთხი ტიპი: 1. ობიექტური მაგია (ეყრდნობა ნაწილისა და მთელის ერთიანობის იდეას, ე.ი. ნაწილს შეუძლია გავლენა მოახდინოს მთელზე); 2. შეხებითი მაგია (ანუ კონტაქტური, ემყარება იდეას, რომ მაგიური ეფექტის მიღწევა შეიძლება მაგიური ძალის მქონე საგნებთან შეხებით), 3. იმიტაციური (ანუ ანალოგიური, ჰომეოპათიური, ემყარება იდეას – მსგავსი შობს მსგავსს) და გნოსეოლოგიური მაგია (ანუ პასიური, როცა მნიშვნელობა ენიჭება მაგიური რიტუალების შესრულების ცოდნას).

მარგინალობა – ადამიანის მიკუთვნება ორი ეთნიკური კულტურისადმი ერთდროულად, რომელიც გაორებულ ეთნიკურ თვითშეგნებას წარმოშობს. მარგინალურ, ანუ შუალედურ მდგომარეობაში ადამიანი განიცდის ღრმა დისკომფორტსა და დაუკმაყოფილებლობას. ეთნიკურ მარგინალობას, ჩვეულებრივ, თან ახლავს აკულტურაციისა და ასიმილაციის პროცესები; ის დამახასიათებელია ეთნიკურად შერეული ქორწინების შედეგად დაბადებული ადამიანებისათვის, აგრეთვე ეთნიკური უმრავლესობისათვის. მარგინალები არიან ადამიანები, რომლებიც მოწყვეტილნი არიან მშობლიურ კულტურასა და სოციალურ გარემოს სხვა, უცხო კულტურა კი სრულყოფილად არ აუთვისებიათ. როგორც წესი, ადამიანები მარგინალები ხდებიან მოწიფულობის ასაკში. მარგინალები ხშირად არიან ემიგრანტები, სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად წასულები და სხვა.

მართლმადიდებლობა – ქრისტიანთა შორის პირველმა დიდმა განხეთქილებამ 1054 წელს ორი დიდი მიმართულების – მართლმადიდებლობისა და კათოლიკობის წარმოქმნა გამოიწვია. ქრისტიანობის ეს ორი მიმართულება ერთმანეთისაგან სარწმუნოებრივი მოძღვრების, დოგმატებისა და ორგანიზაციის თავისებურებებით განსხვავდება. კათოლიკობისაგან განსხვავებით მართლმადიდებლობა დაყოფილია 15 ავტოკეფალურ (დამოუკიდებელ) ეკლესიად. დოგმატების გარდა, კათოლიკობა და მართლმადიდებლობა ერთმანეთისაგან კალენდარულ

საკითხშიც განსხვავდება. თუმცა ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესია XX საუკუნეში ახალ სტილზე გადავიდა. დღეს მხოლოდ ქართული, იერუსალიმური, სერბული და რუსული ეკლესიები ინარჩუნებენ ერთგულებას ძველი სტილის მიმართ. კათოლიკურ ეკლესიაში მთელი სამღვდელოება ცელიბატურია, მართლმადიდებელ ეკლესიაში ცელიბატს (უცოლობას) მხოლოდ ბერები იცავენ. მართლმადიდებლური ღვთისმსახურება, კათოლიკურთან შედარებით, უფრო ხანგრძლივი და ბრწყინვალეა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა საეკლესიო კალენდარი და საეკლესიო მსახურების ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ ხელუხლებლად შენარჩუნდა დოგმატიკა.

მატრიარქატი – პირველყოფილი ისტორიის სავარაუდო პერიოდი, როდესაც საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ქალს დომინირებული მდგომარეობა ეკავა. თანამედროვე ეთნოლოგიაში მატრიარქატი დედისეული გვარის მმართველობას გულისხმობს.

მენტალობა – ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის ფსიქოლოგიური, ქცევითი განწყობილებების ერთობლიობა, რაც გამოიხატება მათ მსოფლაღქმაში, აზროვნებისა და ცხოვრების წესში და ა. შ. სხვადასხვა მეცნიერებაში ტერმინი „მენტალობა“ გამოიყენება ხალხთა ნაციონალური თავისებურებებისა და მათი კულტურების დახასიათებისათვის. მენტალობა გამოვლინდება იდეის იერარქიული სისტემის, შეხედულებების, სამყაროს შესახებ წარმოდგენების, შეფასებების, გემოვნების, კულტურული კანონების, აზრების გამოხატვის საშუალებებით, რომლებიც ეთნიკური ტრადიციების არსებით ნაწილს წარმოადგენს. მენტალობა ფორმირდება ეთნოგენეზის პროცესში ტრადიციების გავლენით, ცხოვრებისა და ეთნიკური კონტაქტების დროს.

მითი – თქმულება, გადმოცემა, რომელშიც გადმოცემულია ძველი ხალხების წარმოდგენები სამყაროს, ბუნების მოვლენების, ღვთაებებისა (ღმერთების) და ლეგენდარული გმირების შესახებ; შექმნა ყველა ხალხმა განვითარების ადრეულ სტადიაში ბუნების მოვლენების ახსნის მიზნით.

მეტისაცია – სხვადასხვა პოპულაციების ფიზიკური შერევა, რომლებიც მიეკუთვნებიან როგორც ერთ, ისე სხვა ეთნოსებსა და რასებს. მეტისაცია ძირითადად მიმდინარეობს პოპულაციების საქორწინო წრის გაფართოების გზით. უფრო ხშირად ტერმინი „მეტისაცია“ გამოიყენება სხვადასხვა რასებისა და ანთროპოლოგიური ტიპების წარმომადგენლებთან მიმართებით. რასათა შორის ქორწინებების შემდეგ დაბადებულნი და მათი შთამომავლები მეტისებად იწოდებიან. ანთროპოლოგიურად ისინი ზოგჯერ ახლოს არიან ერთ ანთროპოლოგიურ ტიპთან, ზოგჯერ კი ორივე რასის ნიშნებს შეიცავენ.

მიგრაცია – ლათინური სიტყვა „მიგრაცია“ გადასახლებას ნიშნავს. ადამიანთა გადაადგილება ამა თუ იმ ქვეყნის ტერტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ. თუ მიგრაციულ პროცესში ერთი ეთნოსის წევრები მონაწილეობენ, მაშინ ასეთი მიგრაცია ეთნიკურ მიგრაციად იწოდება. გარდა ამისა, ერთი ეთნიკური ტერიტორიის, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გადასახლება შიდა მიგრაციად იწოდება, ხოლო ერთი ეთნიკური ტერიტორიიდან, ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასახ-

ლება კი გარე მიგრაციად. ამასთანავე მიგრაციები არის როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური სახის. ეთნიკური მიგრაციები საზოგადოების თანმხლები მოვლენაა მთელი მისი ისტორიის მანძილზე. პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული ისინი გამოწვეული იყო სასიცოცხლო მოთხოვნილებებით, ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისებითა და კატასტროფებით, ხშირი ომიანობით. მიგრაციული პროცესები განსაკუთრებით ინდუსტრიულ ეპოქაში გახშირდა, როდესაც მათ საკონტინენტთაშორისო ხასიათი მიიღეს.

მოდერნიზაცია – ცვლილებები თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად, გათანამედროვეობა, სრულყოფა. მოდერნისტული (თანამედროვე) საზოგადოებისთვის დამახასიათებელია მოქნილი სოციალური სტრუქტურა, რომელიც ადამიანთა მოთხოვნილებების ცვლილების შესაბამისად მოდიფიცირების საშუალებას იძლევა. მას ახასიათებს სოციალური მობილურობა, კომუნიკაციის განვითარებული სისტემა, საზოგადოების ღრმად დიფერენცირებული ინსტიტუციონალური და პოლიტიკური სისტემა. სოციოკულტურული რეგულაცია ეფუძნება ინდივიდის თავისუფლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრინციპებს; მოქნილია და ექვემდებარება ცვლილებებს.

მონოგამია – ქორწინებისა და ოჯახის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმა, რომლის დროსაც მამაკაცი ქორწინდება მხოლოდ ერთ ქალზე, და ქალიც – მხოლოდ ერთ მამაკაცზე. საზოგადოების მიერ სანქცირებული ასეთი საქორწინო კავშირი, როგორც წესი, დიდხანს გრძელდება. ქორწინების მონოგამიური ფორმა იყო და დღესაც რჩება ქორწინების გაბატონებულ ფორმად.

მონოფელობა – კომპრომისული მიმდინარეობა ორთოდოქსობასა და მონოფიზიტობას შორის. ეს ქრისტიანული მოძღვრება წარმოიშვა VII საუკუნეში. 680-681 წლებში მსოფლიოს საეკლესიო კრებამ დაგმო, როგორც ქრისტიანული ერესი.

მონოფიზიტობა – ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი მიმართულება, რომელიც 451 წელს წარმოიქმნა ბიზანტიაში. მისი საფუძვლის ჩამყრელი იყო კონსტანტინოპოლის არქიმანდრიტი ევტიხი. ეკლესიის თვალსაზრისით, ეს იყო ქრისტოლოგიური ერესი. ევტიხის მომხრეებმა 449 წლის ეფესის მსოფლიოს საეკლესიო კრებაზე გაიმარჯვეს, მაგრამ მალე 451 წელს ქალკედონის კრებაზე მონოფიზიტობა დაგმეს როგორც ერესი. სარწმუნოებრივი მოძღვრებითა და ნეს-ჩვეულებით ახლოსაა მართლმადიდებლობასთან. მონოფიზიტობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მისი **მიმდევრები ცნობენ მხოლოდ იესო ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას.** მონოფიზიტურია სომხური (სომხურ-გრიგორიანული), კოპტური (ეგვიპტური), სირიული, ეთიოპიური, მალაბარიული ეკლესიები. მონოფიზიტების საერთო რაოდენობა დაახლოებით 50 მილიონია. მონოფიზიტების ნაწილი რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიაშია შესული.

მსოფლიო რელიგიები – მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული სამი მონოთეისტური რელიგია: ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. მართალია, იუდაიზმი მონოთეისტური რელიგიაა, მაგრამ ის მსოფლიო რელიგიებში არ შედის, რადგან მხოლოდ ერთი ხალხის – ებ-

რაელების ნაციონალური რელიგიაა. ერთადერთი არაებრაელი ხალხი, რომელიც იუდაიზმს აღიარებდა, თურქულენოვანი ხაზარები იყვნენ. ქრისტიანობა, ბუდიზმი და ისლამი მსოფლიო რელიგიებად მიიჩნევა, რადგან სულიერი უნივერსალიზმი ხელს უწყობდა მათ ფართო გავრცელებას.

მულატები – ევროპეიდთა და ნეგროიდთა შერეული ქორნინების შთამომავალნი.

ნატურალიზაცია – ფრანგული სიტყვა „ნატურალიზაციონ" ქვეშევრდომობის მიღებას ნიშნავს. ესაა იმიგრანტთა ადაპტაცია ახალ, უცხოენოვან და უცხოეთნიკურ გარემოსთან, მათ მიერ ურთიერთობის ახალი ფორმების, კულტურის, ქცევის წესების, ახალი ენის ათვისება. ნატურალიზაცია, ჩვეულებრივ, ხორციელდება განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, რომლებსაც მიმღები ქვეყნის სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ნაციონალიზმი – ორი მნიშვნელობა აქვს. საყოველთაოდ მიღებული განმარტებით, ნაციონალიზმი პატრიოტიზმის სინონიმური ცნებაა, ხოლო საბჭოთა (და ახლაც – რუსული) გაგებით ეს არის სოციალურ-პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც დაფუძნებულია ერთი ნაციის მეორესთან შედარებით უპირატესობის იდეოლოგიასა და განსაკუთრებულობის დოქტრინაზე.

ნაცია – ნაციის აღმნიშვნელი ქართული ტერმინია „ერი". ძველ ქართულში ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა „ნათესავი". ერის (ნაციის) ორი გაგება არსებობს: ა. სახელმწიფო-ნაციისა და ბ. ეთნიკური ნაციისა. ერი (ნაცია) სოციალურ-ეთნიკური ერთობაა, რომელშიც სოციალურს აქვს ნაციონალური საფუძველი. ნაციის ბევრი განმარტება არსებობს. ჩვენი აზრით ნაციები ის ეთნოსებია, რომელთაც სახელმწიფოებრიობა აქვთ, ან ჰქონდათ შექმნილი. ერისათვის აუცილებელი ატრიბუტებია აგრეთვე სახელმწიფო ენა, საღვთისმეტყველო ენა, სალიტერატურო ენა.

ნაციონალური თვითმყოფადობა – რომელიმე ეთნიკური ერთობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურ ნიშანთა ერთობლიობა, რომლითაც ის სხვა, მსგავსი ერთობებისაგან განსხვავდება.

ნესტორიანელობა – ქრისტიანობის შედარებით მცირერიცხოვანი მიმართულება, რომელიც 431 წელს წარმოიქმნა. მას საფუძველი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნესტორმა († 450 წელს) ჩაუყარა. სარწმუნოებრივი მოძღვრებითა და წეს-ჩვეულებით ახლოსაა მართლმადიდებლობასთან. ნესტორიანელობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ **მისი მიმდევრები ცნობენ მხოლოდ იესო ქრისტეს ადამიანურ ბუნებას (ამიტომ ქალწულ მარიამს არ მიიჩნევენ ღვთისმშობლად)**. ნესტორიანელობა დაგმეს 431 წლის ეფესის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ბიზანტიაში ნესტორიანელების დევნამ ბევრი მათგანი აიძულა ემიგრირებულიყო მეზობელ ირანში. ნესტორიანობა შემორჩენილი იყო ბიზანტიის აღმოსავლეთში. ნესტორიანელები არიან აღმოსავლეთის ასირიული ეკლესიის მიმდევრები. მათი რაოდენობა 300 ათასზე ნაკლებია. ნესტორიანელთა ნაწილი რომის კათოლი-

კურ ეკლესიასთან უნიაშია შესული. ზოგიერთი მონაცემით, ნესტორიანელობას მონღოლთა ზოგიერთი ნაწილიც აღიარებდა, იმ დროს, როდესაც ისინი აზიასა და ევროპას იპყრობდნენ.

ნოსტალგია – ნეგატიური ფსიქიკური მდგომარეობის კომპლექსი, რომელიც გამონვეულია ადამიანის ეთნოლანდშაფტური გარემოდან მოწყვეტით.

ნუკლეარული ოჯახი – ცოლ-ქმრული წყვილისაგან შედგენილი ოჯახი, შვილებითა და შვილების გარეშე. სხვანაირად პატარა და მარტივ ოჯახსაც უწოდებენ. ორი ან რამდენიმე ცოლქმრული ოჯახის გაერთიანებას კი დიდი ან რთული ოჯახი ეწოდება.

ობსკურაცია – ლ. გუმილიოვის მიხედვით, ეთნოგენეზის ფაზა – ეთნოსის სიბერე, რომელიც მისი არსებობიდან 1100 წლის შემდეგ დგება.

ოიკუმენა – ადამიანთა მიერ დასახლებული დედამინის სფეროს, რეგიონებისა და მხარეების ერთობლიობა.

ონომასტიკა – მეცნიერება, რომელიც სწავლობს საკუთარ სახელებს. ონომასტიკით დაინტერესებული არიან ლინგვისტები, ეთნოლოგები და ისტორიკოსები. სამიეე მეცნიერებას ონომასტიკა მდიდარ მასალას აძლევს. ონომასტიკა იყოფა ანთროპონიმიკად და ტოპონიმიკად. პირველი მათგანი სწავლობს ადამიანთა საკუთარ სახელებს, მეორე – გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებს.

ოჯახი – ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნათესაური ან საქორწინო ურთიერთობით და რომელთაც ყოფაში ერთობლივი მეურნეობა აქვთ. ოჯახი ნებისმიერი საზოგადოების სოციალური ერთეულია. ოჯახში ხდება ბავშვების პირველადი სოციალიზაცია და აღზრდა. ოჯახის საფუძველს წარმოადგენს ქალსა და კაცს შორის საქორწინო კავშირი, აგრეთვე რამდენიმე თაობის სისხლით ნათესავთა კავშირი. ოჯახის ძირითადი ფუნქციებია: ბავშვების დაბადება და აღზრდა, გვარის გაგრძელება, ბუნებრივი კვლავწარმოება და ახალგაზრდა თაობის თავდაპირველი სოციალიზაცია. ქორწინების ფორმიდან გამომდინარე, გამოყოფენ საოჯახო ორგანიზაციის მონოგამიურსა და პოლიგამიურ ტიპებს. ნათესაური კავშირების სტრუქტურებიდან გამომდინარე გამოყოფენ ოჯახის ნუკლეარულსა და რთულ ფორმებს. გარდა ამისა, ეთნოლოგიაში არსებობს „პატრიარქალური ოჯახის" ცნება, რომელშიც მამა ოჯახის უფროსია და ახორციელებს გარკვეულ ხელისუფლებას.

პანისლამიზმი – რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის საფუძველია წარმოგენა „ერთიანი", მთლიანი მუსლიმური სამყაროს შესახებ და შეკავშირება ერთიან მუსლიმურ სახელმწიფოში.

პასიონარობა – მოქმედებისაკენ გაძლიერებული მისწრაფება. პასიონარული ბიძგი შესაძლებელია ეთნოგენეზის სასხლეტი მექანიზმი გახდეს.

პატრიარქატი – ოჯახში, საოჯახო მეურნეობასა და საზოგადოებაში მამაკაცის დომინირებული მდგომარეობა. წარმოიქმნა პირველყოფილ-თემური საზოგადოების დასკვნით ეტაპზე. უკავშირებენ სამე-

ურნეო საქმიანობის ამაღლებასა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლას. პატრიარქატის დროს ნათესაობის ათვლა მამისეული ხაზით ხდება.

პოლიანდრია – მრავალქმრიანობა, რომლის დროსაც ქალს ერთდროულად საქორწინო კავშირი აქვს რამდენიმე მამაკაცთან. მაგალითად, ქალს ქმრებად შეიძლება ჰყავდეს მამაკაცები, რომლებიც ერთმანეთს ძმებად ერგებიან (მაგალითად, ტიბეტში), ან საერთოდ არ იყვნენ ერთმანეთის ნათესავები (მაგალითად, სამხრეთ ინდოეთში). XIX საუკუნეში პოლიანდრია ყოფაში იყო ალეუტებსა და ესკიმოსთა რამდენიმე ჯგუფში.

პოლიგინია – მრავალცოლიანობა, ანუ ქორწინების ისტორიული ფორმა, რომლის დროსაც მამაკაცი ერთდროულად საქორწინო კავშირშია რამდენიმე ქალთან. დღეისათვის პოლიგინია შემორჩენილია რამდენიმე მუსლიმურ ქვეყანაში, სადაც, ყურანის თანახმად, მამაკაცს შეიძლება ოთხი კანონიერი ცოლი ჰყავდეს.

პოტესტარული ორგანიზაცია – საზოგადოებრივი ხელისუფლების ფორმა კლასობრიობამდელ და ჩიფდომის ტიპის გაერთიანებებში, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. პოტესტარობის ყველაზე ადეკვატური გამომხატველი ჩვეულებითი სამართალი იყო. პოტესტარულობა ხორციელდებოდა გვაროვნულ-ტომობრივი და სათემო ხელისუფლების, უხუცესთა საბჭოს მეშვეობით. პოტესტარული ორგანიზაციის ფორმები სხვადასხვაგვარი იყო: სამხედრო დემოკრატია (ევროპა), საიდუმლო კავშირები (აფრიკა), „დიდი ადამიანების" ხელისუფლება (ოკეანეა). პოტესტარულობის სინონიმია „წინასახელმწიფო", „პროტოსახელმწიფო". პოტესტარული ურთიერთობების ნაკვალევს პოულობენ ე. წ. განვითარებად საზოგადოებებში, იზოლირებულ რეგიონებში, ჯგუფურ, კლანურ და სხვა არაფორმალურ ორგანიზაციებთა სტრქტურებში.

პროზელიტიზმი – საკუთარ სარწმუნოებაზე სხვების მოქცევისკენ მისწრაფება; ახლად მიღებული რწმენის მხურვალე ერთგულება.

პროტესტანტიზმი – ქრისტიანობის მიმართულება, რომელიც კათოლიციზმის ნიაღში XVI საუკუნის ევროპაში წარმოიქმნა. პროტესტანტული რეფორმის მიზანი იყო ადრეული ქრისტიანობის იდეალებისა და პრაქტიკისაკენ დაბრუნება. პროტესტანტიზმში კულტი უკიდურესად გამარტივებულია, მასში არ არის ღვთისმშობლისა და წმინდანების თაყვანისცემა. არ ეთაყვანებიან წმიდა ნაწილებსა და ხატებს. ღვთისმსახურებაში ნინა პლანზეა წამონეული სახარების თემაზე ქადაგებანი. პროტესტანტიზმი დაყოფილია სხვადასხვა მიმდინარეობებად.

პრომისკუიტეტი – მოუნესრიგებელი სქესობრივი ურთიერთობა ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებაში (ქორწინებისა და ოჯახის გარეშე). მეცნიერთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ პრომისკუიტეტი რეალურად არ არსებობდა.

რასა – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოირჩევიან მემკვიდრეობით გადაცემული ფიზიკური თავისებურებებით: კანის ფერით, თმებით, თვალის, ცხვირის, ტუჩების, პირის ფორმით, სხეულის პროპორციებით და სხვა,

აგრეთვე ზოგიერთი „ფარული" ნიშნით (სისხლის ჯგუფით, გემოს შეგრძნების თავისებურებებით, ფიზიოლოგიური ვარიაციებით და ა. შ.). ეთნოლოგიაში მიღებულია ოთხი რასის გამოყოფა; ესენია: ნეგროიდული, ავსტრალოიდური, ევროპეიდული და მონგოლოიდური რასები. დიდი რასები იყოფა მცირე რასებად. გარდა ამისა, გამოყოფენ გარდამავალ ანთროპოლოგიურ ფორმებს, შერეულ მეტისურ ჯგუფებს. თავისი ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით რასებს შორის მსგავსება უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება.

რასიზმი — იდეოლოგიის, ფსიქოლოგიისა და პოლიტიკის ტიპი, კონცეფციის ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა ბუნებრივი, ანუ ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ წარმოდგენებს ეშყარება. რასიზმის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ რასობრივმა განსხვავებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საზოგადოებათა ისტორიასა და კულტურაში, რომ ადამიანები იყოფიან უმაღლეს და უმდაბლეს რასებად. უმაღლესი რასები ცივილიზაციის ერთადერთი შემქმნელებია, რომლებიც მოწოდებული არიან საბატონოდ, მეორენი კი უძლურნი არიან მაღალი კულტურის ასათვისებლად და განწირული არიან ექსპლუატაციისათვის.

რეგიონალიზმი — დეზინტეგრაციული პროცესის განვითარების ყველაზე ადრეული სტადია, რომლის ფარგლებშიც საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილო ეთნიკური და რეგიონალური ჯგუფები, არსებული სახელნიფოებრივი მონყობის ჩარჩოებში, რეფორმების გატარების მოწოდებით გამოდიან, ცდილობენ რაიონის კულტურული თვითმყოფადობის აღიარებასა და დიდი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღნევას.

რელიგია — ყველაზე გავრცელებული განმარტებით რელიგია არის რწმენა ზებუნებრივ ძალთა შესახებ. თუმცა ეს ამომწურავი განმარტება არ არის. რელიგიის ძირითადი ფუნქცია ადამიანისა უზენაესთან, მუდმივთან და წმიდათაწმიდასთან, ანუ ღმერთთან დაკავშირებაა.

რელიგია (ლათ. რელიგარე - დაკავშირება) არის რწმენა იმისა, რომ ყოფიერების მთლიანობა მოიცავს ნარმოსახვით ან მნიშვნელოვან ობიექტურ გარემოს. ტერმინი რელიგია ევროპაში თავდაპირველად ეთიკური მნიშვნელობით გამოიყენებოდა, იგი ურთიერთობის, ქცევის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ზოგადი გაგებით კი რელიგია ორგანიზაციულ-სისტემური ტერმინია, რომელიც ღმერთისაგან (ზებუნებრივისაგან) მომდინარე ქმედებებსა და მის საზოგადოებრივ ჩარჩოებს გულისხმობს. რელიგიაზე შეიძლება საუბარი, როცა: ა) გარკვევით ან დასკვნის სახით საუბარია ღმერთისგან მომდინარე ურთიერთობებზე; ბ) ადამიანი თავის თავს ხელშეუხებელ, ღია და, ამდენად, „ტრანსცენდენტალურ" არსებად მიიჩვევს; გ) ადამიანმა იცის, რომ მის ნარმომავლობას, მის ბოლოს ეხება ეს ყველაფერი. ამ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დებულებებზე დაყრდნობით, ყოველი ცალკე დისციპლინა სხვადასხვანაირ განმარტებას იძლევა იმაზე, თუ რა არის რელიგია. რელიგია ანთროპოლოგიური თვალსაზრისით კულტურული ფენომენია, რომელიც კულტურული კონტექსტის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანის გონების მდგომარეობას ასახავს. იგი არის ზებუნებრივის რწმენასთან დაკავშირებული გარკვეული შეხედულებების (რწმენების), მოქმედება-

თა (კულტების) და გრძნობათა ერთობლიობა. რელიგია მის სისტემაში გარკვეული ელემენტების არსებობას გულისხმობს. ეს ელემენტებია: რწმენა-წარმოდგენები და შეხედულებები, რომლებიც მარტივ საფეხურზე მოცემული რელიგიის მითოლოგიას ქმნიან, უფრო მაღალ საფეხურზე კი დოგმატთა სისტემას.

რიტუალი – სარწმუნეობრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა. ის მკაცრად დადგენილი წესების მოქმედებათა სისტემაა, რომელიც სიმბოლურ ფორმაში ასახავს ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, საზოგადოებების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს. გამოყოფენ კალენდარული და ცხოვრებისეული ციკლის რიტუალებს. ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელდა სამოქალაქო რიტუალები.

საზოგადოება – 1. ადამიანთა ერთობლივი მოქმედების შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციოკულტურული სისტემა; 2. ადამიანთა დიდი ჯგუფი მტკიცე სოციალური საზღვრებით, რომელთაც აერთიანებთ საერთო მიზანი. ტერმინი „საზოგადოება“ მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება. ეთნიკური ერთობებისა და ეთნორასობრივი ჯგუფების მიმართ ტერმინ „საზოგადოებას“, ჩვეულებრივ, არ გამოიყენებენ.

საკრალური – წმინდა, რომელიც რელიგიურ კულტსა და რიტუალს მიემართება.

სიგნიფიკატური – ნიშნური, ნიშნადი.

სეგრეგაცია – რასობრივი და ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის რომელიმე ჯგუფის იძულებითი გამოყოფა, რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა. სეგრეგაციის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს აპარტეიდი.

სეპარატიზმი – არაერთგვაროვან სახელმწიფოში წარმოქმნილი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მიმართულია ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობიდან თავისი ტერიტორიის რომელიმე ნაწილის გამოყოფისაკენ, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით. სეპარატიზმი დეზინტეგრაციული პროცესების უმაღლესი სტადიაა. დეზინტეგრაციის წინა სტადიას რეგიონალიზმსა და ავტონომიზმს უწოდებენ.

სეპარატიზმი – პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ჩნდება ტერიტორიულად არაერთგვაროვან (ეთნიკურად, კონფესიურად, ეკონომიკურად) სახელმწიფოში და მიმართულია ამ სახელმწიფოს ტერიტორიის რომელიმე ნაწილის მისგან გამოყოფისკენ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მიზნით (რასაც სეცესია ეწოდება), ან სხვა სახელმწიფოსთან შეერთების მიზნით (რასაც ირიდენტიზმი ეწოდება). სეპარატიზმი დეზინტეგრაციული პროცესების უმაღლესი სტადიაა.

სეცესია – სახელმწიფოსაგან რომელიმე ნაწილის მშვიდობიანი ან ბრძოლის გზით გამოყოფა. თეორიულად სახელმწიფოსგან რომელიმე ნაწილის გამოყოფა შესაძლებელია ფედერაციულ სახელმწიფოში. თუმცა თანამედროვე ფედერაციების არც კონსტიტუციები, არც სხვა სამართლებრივი აქტები ასეთ პროცედურებს არ ითვალისწინებს. გარდა ამისა, ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ მშვიდობიანი, კა-

ნონმდებლობის გზით სახელმწიფოდან მისი რომელიმე ნაწილის გასვლა ან ერთი სახელმწიფოს რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლა ძალიან იშვიათად ხდება. მაგალითებად შეიძლება ნორვეგიის შვედეთისგან (1905 წელი) და პაკისტანის ინდოეთისგან (1947) გამოყოფა დასახელდეს. მშვიდობიანი სეცესიის ფაქტია აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ჩეხეთად და სლოვაკიად დაშლა (1993 წელი).

სიმბოლო – განზოგადებული ნიშანი, ანუ გამოსახულება, რომელიც რაიმე საგნის, მოვლენის ან ურთიერთობის გამომხატველია. სიმბოლო შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მატერიალურ საგანს, ისე არამატერიალურ მოვლენას, რომელთა შინაარსი იმდენად რთულია, რომ შეიძლება გამოიხატოს, გამოისახოს მხოლოდ გამარტივებული და შეკუმშული ფორმით. თავის საფუძველში სიმბოლოს გადატანითი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით ბევრი სიმბოლო გვხვდება რელიგიაში, სადაც ბევრია ისეთი მოვლენა, რომლებიც შეუძლებელია რეალურად წარმოვიდგინოთ და მხოლოდ პირობითად, ე. ი. სიმბოლურად შეიძლება გამოიხატოს. სიმბოლიკა გააჩნიათ სახელმწიფოებს (სახელმწიფო დროშა, ღერბი), რელიგიებს (ქრისტიანების სიმბოლოა ჯვარი, იუდეველებისა – „დავითის ჯვარი"), პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ა. შ. ეთნოსთა ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება ისეთი სიმბოლიკა, რომლებიც დაკავშირებულია ფოლკლორთან. ფართოდაა გავრცელებული ფერითი სიმბოლიკა (მწუხარება ევროპელებში შავი ფერით გამოიხატება).

სინკრეტიზმი – შერწყმულობა, დაუნაწევრებლობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია თავდაპირველი, განუვითარებელი მდგომარეობა (მაგალითად, პირველყოფილი კულტურები). ქართულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სარწმუნოება სინკრეტული, ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოგენებისა და ქრისტიანობის ნაჯვარი იყო.

სიქჰიზმი – ჩამოყალიბდა ინდოეთში, XV საუკუნეში, ინდუიზმის მიმდევართა შორის, რაც ქვეყანაში ისლამის გავრცელებით იყო განპირობებული. სიქჰიზმის ჩამომყალიბებელს მიზნად ახალი რელიგიის ფორმირება არ ჰქონია. მისი მიზანი მხოლოდ ინდუიზმის განმენდა იყო გვიანდელი გავლენებისაგან. მის საფუძვლად მკაცრი ერთღმერთიანობა, კასტური სისტემის საკრალური (და არა რეალური) უარყოფა, კულტის უბრალოება და საკუთარი საღვთო წერილი იქცა. სხვა მახასიათებლებს შორის აღსანიშნავია ანტიასკეტიზმი. სიქჰები ინდოეთში ეთნორელიგიურ ერთობად ჩამოყალიბდნენ.

სორორატი – ერთი მამაკაცის ორ ან რამდენიმე ალალ დასთან ან ბიძაშვილ ქალთან ქორწინება ერთდროულად (სორორატული პოლიგინია), აგრეთვე ვალდებულება ან შესაძლებლობა გარდაცვლილი ცოლის დაზე დაქორწინებისა. სორორატული პოლიგინია მსოფლიოს არაერთ ხალხში იყო გავრცელებული, მათ შორის ციმბირში (ჩრდილოეთის ხალხები, თათრები, ხანტი და მანსი და სხვა), კაკასიაში (არა საქართველოში), შუა აზიაში. სორორატი მოტივირებულია ბავშვების აღზრდაზე ზრუნვით.

სოციალიზაცია – ადამიანის მიერ ბავშვობის ასაკიდან აუცილებელი ცოდნის, კულტურული ფასეულობების, ქცევის ნორმებისა და ჩვევების აღქმის, ათვისების პროცესი, რაც საშუალებას აძლევს მას გახდეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის სრულფასოვანი წევრი, თავისუფალი ურთიერთობა დაამყაროს თავის კულტურულ წრესთან. სოციალიზაცია ნიშნავს ადამიანის გადაქცევას სოციალურ ინდივიდად, რომლის შედეგიც მისი პიროვნების ფორმირებაა. სოციალიზაციის პროცესი ითვალისწინებს მიზანმიმართულ მოქმედებას (აღზრდას) უფროსი თაობის მხრივ, ასევე ყოფით ურთიერთობებში ზემოქმედების მოხდენას. ბევრ ხალხში სოციალიზაციის პროცესის დასრულებასთან სპეციალური ნეს-ჩვეულებაა დაკავშირებული.

სოციალური ანთროპოლოგია – ეთნოლოგიის დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულება, რომლის შესწავლის ობიექტს უპირატესად პრიმიტიული და ტრადიციული საზოგადოებრივი სისტემები წარმოადგენს. სოციალური ანთროპოლოგია, როგორც განსაკუთრებული თეორიული დისციპლინა, თავისი საგნითა და მეთოდოლოგიით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ინგლისში, ევოლუციონიზმთან ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა. ტერმინი სოციალური ანთროპოლოგია პირველად ჯ. ფრეზერმა გამოიყენა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სოციალური ანთროპოლოგიის კვლევის ძირითად ობიექტი „პრიმიტიული" საზოგადოება იყო. დღეისათვის სოციალური ანთროპოლოგიის ძირითად საგანს წარმოადგენს აგრეთვე ადამიანთა საზოგადოებისა და კულტურის ჩამოყალიბების პროცესი. ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიისაგან განსხვავებით, სოციალური ანთროპოლოგია თავის კვლევებში ლინგვისტიკასა და არქეოლოგიას არ ითვალისწინებს. XX საუკუნის მეორე ნახევარში ამ მიმართულების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ა. კრებერი.

სოციუმი – ადამიანთა მდგრადი, დიდი სოციალური ერთობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცხოველქმედების პირობების ერთიანობა და კულტურის ერთობა. სოციუმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს საზოგადოება, როგორც მთლიანი სოციალური სისტემა. სოციუმის სხვა სახესხვაობაა გვაროვნული და საოჯახო-ნათესაური, სოციალურ-კლასობრივი, ნაციონალურ-ეთნიკური, ტერიტორიული ერთობები. ნებისმიერი სოციუმი წარმოადგენს მთლიანობას და ერთგვარ ავტონომიურ წარმონაქმნს, რომელიც დაკავშირებულია სხვა სოციალურ ერთობებთან. სოციუმის შინაგანი ცხოველქმედება, ჩვეულებრივ, რეგულირდება სოციალური და მორალური ნორმებით, ტრადიციებით, ნეს-ჩვეულებებითა და კანონებით, სოციუმის ეთნონაციონალურ ფორმებს მიეკუთვნება: გვარი, ტომი, ხალხი, ნაცია. უმაღლეს სოციალურ-ეთნიკურ ერთობას წარმოადგენს ნაცია.

სუნიზმი – ისლამის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა.

ტაბუ – პირველყოფილ ხალხებში მკაცრი, კატეგორიული აკრძალვა გარკვეული საგნის, მოქმედების, საქციელისა, მღვდელთმსახურებისა და ხელისუფლების მიერ დაწესებულ ტრადიციებზე, რომელთა დარღვევა გარდაუვლად მკაცრად ისჯება ზებუნებრივ ძალთა ან მოცემული კოლექტივის წევრთა მიერ, თვით ურჩმაც კი შეიძლება მკაცრად

დასავლოს საკუთარი თავი. ტაბუ რეგლამენტს უქვემდებარებდა ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვან მხარეებს: უზრუნველყოფდა საქორწინო ნორმების დაცვას, იცავდა საშიშროებისაგან, რომელიც, კერძოდ, დაკავშირებული იყო გვამის შეხებასთან. ის გვიან კულტურული და რელიგიური ნორმების წარმოქმნის საფუძველი გახდა. თანამედროვე საზოგადოებაში ტაბუირებულია სისხლის აღრევა, კანიბალიზმი, საფლავების შებღალვა და პატრიოტრიზმის გრძნობის შეურაცხყოფა. ესაა ადამიანთა საზოგადოებაში არსებულ სოციალურ აკრძალვათაგან ყველაზე ძალუმი სახე, რომელთა დარღვევა განსაკუთრებით მკაცრად ისჯება. აკრძალვების ეს ტიპი სხვებისაგან იმით განსხვავდება, რომ ის არაფრითაა მოტივირებული და არც არაფერს ეყრდნობა.

ტომი – კაცობრიობის ისტორიაში პირველი ეთნიკური ერთობა, რომელიც წარმოიქმნა სისხლნათესაური კავშირების საფუძველზე. ტომის წევრებს ჰქონდათ საერთო წარმოშობის, კულტურის, ენისა და ისტორიული ბედის საერთო შეგნება. განვითარების ადრეულ ეტაპზე ტომი წარმოადგენდა გვარების გაერთიანებას, რომლებიც ერთმანეთთან კულტურის საერთო ნიშნებითა და საერთო წარმოშობის შეგნებით იყვნენ დაკავშირებულნი. ტომი ხასიათდება თავისი ტერიტორიის, საზღვრების არსებობით, რომელსაც მტკიცედ იცავდნენ, აგრეთვე ენის (დიალექტის), კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების ერთობით, საერთო სატომო ხელისუფლებით (ბელადი ან სატომო საბჭო), თვითშეგნებითა და თვითსახელწოდებით. როგორც წესი, ტომი წევრთა დიდი რაოდენობით არ გამოირჩეოდა, ტომობრივი თვითშეგნება კი, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდა ყველა ტომელის მითიური წინაპრისაგან წარმომავლობას. დღეისათვის ტომი კლასიკური სახით ძალიან იშვიათად გვხვდება.

ტოტემიზმი – რელიგიის პირველადი (ადრინდელი) ფორმა, რომელიც გვარსა და ტომს აიგივებდა ცხოველებთან ან მცენარეებთან; ხალხის ტოტემისგან წარმოშობის რწმენა. სოციალური ჯგუფის ბუნებრივ ობიექტთან (ცხოველი, მცენარე, საგანი) ნათესაური კავშირის რწმენა.

ტოპონიმიკა – ონომასტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიულ სახელწოდებებს: მათ წარმოშობას, ფუნქციონირებას, გავრცელების არეალს, სტრუქტურასა და დროში ცვლილებას. ტოპონიმებს შორის გამოყოფენ ჰიდრონიმებს (წყლის ობიექტების სახელები), ოიკონიმებს (დასახლებული პუნქტების სახელები), ორონიმებს (რელიეფის ობიექტების სახელები), კოსმონიმებს (ციური ობიექტების სახელები). სიდიდის მიხედვით ტოპონიმებს ყოფენ მაკროტოპონიმებად (დიდი ობიექტების სახელწოდებები: მთები, ქედები, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გაერთიანებები და ა. შ.) და მიკროტოპონიმებად (ტყეები, ადგილები, მინდვრები და ა. შ.).

ტრადიცია – „ტრადიციო“ ლათინური სიტყვაა და გადაცემას ნიშნავს. ტრადიცია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის მტკიცე წესები, შეხედულებები, გემოვნება, წეს-ჩვეულებები, რომელიმე ეთნოსის ზნე, ჩვეულება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი კულტურის მემკვიდრეობითობასა და ერთობის დაცვას უზრუნ-

ველყოფს. ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში კულტურის ბევრი მოვლენა ტრადიციის გზით გადაეცემოდა, ამიტომაც ინოდება ის ტრადიციულ საზოგადოებად. ტრადიცია ასრულებს მთელ რიგ კულტურულ ფუნქციებს: ამყარებს კულტურის მემკვიდრეობითობას; წარმოადგენს ინფორმაციისა და კულტურული ფასეულობების შენახვისა და გადაცემის ფორმას თაობიდან თაობაზე; წარმოადგენს ადამიანთა სოციალიზაციისა და ინკულტურაციის საშუალებას.

ტრადიციული საზოგადოება – საზოგადოება, რომელშიც ადამიანს თავი ვერ წარმოუდგენია ბუნების გარეთ და რომელშიც მთლიანად ბატონობს საუკუნოვანი ტრადიციები (წეს-ჩვეულებები, აღკვეთები). ასეთი საზოგადოება არაა მიდრეკილი ნოვაციის შეთვისებისაკენ. ტრადიციულია საზოგადოება, რომელსაც ნაკლებად ცვალებადი სოციალური სტრუქტურა ახასიათებს და რომელიც სოციოკულტურული რეგულაციის ტრადიციულ ხერხებს ეფუძნება. მისთვის დამახასიათებელია წარმოების განვითარების დაბალი ტემპი, ინერციულობა; ინდივიდთა ქცევა სტერეოტიპებს ექვემდებარება, რეგლამენტირებულია წეს-ჩვეულებებითა და მკაცრად კონტროლირდება სოციო-კულტურული გარემოს მიერ. ტრადიციულ საზოგადოებას სოციალური მობილურობა პრაქტიკულად არ ახასიათებს და ნაკლებადაა მიდრეკილი ცვლილებებისკენ.

ტრაიბალიზმი – 1. სოციალური სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების არქაული ხასიათი, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ ურთიერთობებს ემყარება; 2. სხვადასხვა ტომთა ინტერესების შეუთავსებლობით წარმოქმნილი ეთნოსთაშორის კონფლიქტების სპეციფიკური ფორმა. ტრაიბალიზმი უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, აქვს ზეეთნიკური ფაქტორების განმსაზღვრელი გავლენა, რომელიც ერთ ეთნიკურ ჯგუფს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, მეორეს კი, შესაბამისად, დისკრიმინირებულ მდგომარეობაში. ამიტომ ტრაიბალიზმი ვლინდება თანატომელთა მფარველობით სახელმწიფო აპარატში, კლანურობაში, ნათლიმამობაში, შინაურულობაში. ტრაიბალიზმი დამახასიათებელია იმ საზოგადოებებისათვის, რომლებშიც ჯერ კიდევ არსებობს გვაროვნულ-ტომობრივი დაყოფის გადმონაშთები. ტრაიბალიზმი ეთნოლოგიაში განიხილება როგორც ეთნოსის პოლიტიკური და კულტურული განვითარების უარყოფითი ფორმა, რამდენადაც ის ხელს უშლის ეთნოგამაერთიანებელ პროცესებსა და ნაციონალური ერთობის განმტკიცებას. თანამედროვე ისტორიაში ტრაიბალიზმის საფუძველზე ეთნოსთაშორის ტომობრივი კონფლიქტები არსებობს სომალიში, ჩადში, უგანდაში, რუანდაში და სხვაგან.

უნია – ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოება, რომლებმაც რომის პაპი მეთაურად ცნეს, მაგრამ უცვლელად შეინარჩუნეს კულტი. ასეთ ეკლესიებს უნიატურს ან გრეკო-კათოლიკურს უნოდებენ.

ფენოტიპი – ორგანიზმის ყველა ნიშან-თვისების ერთობლიობა, რომელიც ფორმირებულია ინდივიდუალური განვითარების პროცესში.

ფოლკლორი – ხალხური მხატვრული შემოქმედებისა და ხალხური ხელოვნების ნანარმოებთა სხვადასხვა სახე, რომლებიც ამ შემოქმედებით პროცესში შეიქმნა. ფოლკლორულ ნანარმოებებს მიეკუთვნება ზეპირი პოეტური შემოქმედების ყველა ჟანრი, ხალხური ცეკვები, სიმღერები, მუსიკა, ფერნერა, გრაფიკა, ორნამენტი, სკულპტურა, ხელოსნობა. ფოლკლორში თავდაპირველად ხალხური კულტურის მთელი ერთობლიობა იგულისხმებოდა. ის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი ნანილია, რამდენადაც მასში კონდენსირებულია ეთნოსთა მხატვრული აზროვნება, მჟღავნდება მათი ტალანტი და თავმოყრილია ზნეობრივი ნორმები და ფასეულობები. ფოლკლორში გადმოცემულია ხალხური კულტურის პირველი პლასტი – მისი ისტორიული წარსული.

ფრატრია – ადამიანთა საზოგადოების სოციალურ დიფერენციამდე ტომში შემავალი ორი ან რამდენიმე გვარის გაერთიანება. შეიძლებოდა ფრატრიაში შემავალ ზოგიერთ გვარს საერთო ნარმომავლობაც ჰქონოდა.

ქალის გატაცება – ქორწინება საცოლის მოტაცების გზით. ასხვავებენ ამ წეს-ჩვეულების სამ სახეს: 1. ძალადობრივი გატაცება, ე. ი. ქალისა და მისი ახლობლების ნების წინააღმდეგ. ამ ხერხს იშვიათად მიმართავდნენ, რადგან გვართაშორის შეჯახებასა და სისხლის აღებას იწვევდა; 2. მოტაცება ქალის თანხმობით თავისი ნათესავების ნების წინააღმდეგ; 3. ფიქტიური გატაცება, რაც ხდებოდა საქმროსა და საცოლის წინასწარი მოლაპარაკებით. ამ გზით ისინი ამცირებდნენ საქორწილო ხარჯებს.

ქორწინება – ჩვეულებითი სამართლითა და კანონით მამაკაცისა და ქალის ერთობლივი ცხოვრებისათვის გაფორმებული კავშირი, რომელიც წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და ვალდებულებებს ერთმანეთისა და შთამომავლობის მიმართ. ეთნოლოგიაში არსებობს სყიდვითი ქორწინების ცნება. გამოსასყიდს აძლევდნენ საცოლის ოჯახს ან გვარს. გამოსყიდვა ხდებოდა როგორც ფულით, ისე სასაქონლო ფორმით. ეთნოლოგიურად დადასტურებულია სისხლნათესაობითი ქორწინება. როგორც დედის ხაზით, ისე მამის ხაზით სისხლნათესაობითი ქორწინება დღეს შემორჩენილია შედარებით მცირე პოპულაციებში. **კროსკუზენური ქორწინება** ჰქვია ქორწინებას ბიძაშვილებს შორის, რომლებიც ერთ გვარს მიეკუთვნებიან. მამისეული ხაზით როგორც ალალი, ისე გარე ბიძაშვილების ქორწინება **ორტოკუზენური ქორწინების** სახელითაც არის ცნობილი.

ქრისტიანობა – წარმოიქმნა ახალი ნელთაღრიცხვის I საუკუნის დასაწყიში ებრაელთა წიაღში; ის გენეტიკურად დაკავშირებულია იუდაიზმთან. ქრისტიანები აღიარებენ იუდაიზმის ღმერთს (მათთვის ის მამა-ღმერთია), ტანახის ავტორიტეტს (ძველ აღთქმას), სწამთ სულის უკვდავების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის. ამით მსგავსება მთავრდება. ებრაელები თუ ჯერ კიდევ ელიან მესიის მოსვლას, ქრისტიანები მიიჩნევენ, რომ ის უკვე მოვიდა: ის იყო იესო ქრისტე, ძე-ღმერთი. ქრისტიანთათვის ღმერთი სამსახოვანია: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი (იესო ქრისტე) და სული წმიდა. ქრისტიანობა თავისუფალია იუდაური ეთნო-

ცენტრიზმისაგან, მასში არ არის ხალხის ღვთისრჩეულობის იდეა – ქრისტე მთელი კაცობრიობის მხსნელია.

შამანიზმი – ჩრდილოეთ და შუა აზიის, ამერიკისა და აფრიკის ზოგიერთ ხალხში რელიგიის გარკვეული ფორმა, ავი და კეთილი სულების კულტი. შამანი, უპირველეს ყოვლისა, არის „სულის სპეციალისტი". ტრადიციულ შამანურ კულტურებში არის წარმოდგენა ადამიანის რამდენიმე სულის შესახებ. შამანის ძირითადი ამოცანაა დაკარგული „სულის" დაბრუნება. შამანიზმი ეყრდნობა რწმენას ცალკეული ადამიანების (შამანების) ზებუნებრივი შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც, ჩვეულებრივ, გვევლინებიან ბუნებასა და ადამიანებს შორის შუამავლებად და უზრუნველყოფენ წარმატებას ნადირობაში, რეწვაში. ისინი თავიდან იცილებენ აგრეთვე უბედურებას, ასრულებენ სხვადასხვა წესებს.

შარიათი – მუსლიმური სამართლის კანონთა და ქცევის წესების კრებული, რომელიც შეიმუშავეს ყურანისა და სუნის საფუძველზე და გამოცხადებულია ისლამის მიერ „უმაღლეს და უცვლელ" საღვთო დადგენილებად. შარიათი მოიცავს სახელმწიფო, სისხლის, საოჯახო-საქორწინო სამართლის ნორმებს, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესის შესახებ განანესებს. აღნიშნულთან ერთად შარიათში გადმოცემულია ლოცვისა და დაბანის, მარხვის, მომლოცველობის (ჰაჯა), წმინდა ომის (ჯიჰადის) და სხვა წესები.

შიიზმი – ისლამის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა.

შოვინიზმი – ნაციონალიზმის უკიდურესი და ყველაზე აგრესიული ფორმა, რომელიც ნაციონალურ განსაკუთრებულობას ქადაგებს. მიმართულია ნაციონალური მტრობისა და სიძულვილის გასაღვივებლად. შოვინიზმის იდეოლოგიას პრაქტიკული რეალიზაციის ფართო სპექტრი აქვს. მისი უკიდურესი ფორმა ფაშიზმსა და რასიზმს უახლოვდება. ინგლისურენოვან ქვეყნებში შოვინიზმის სინონიმია „ჯინგოიზმი".

ჩვეულებითი სამართალი – ისტორულად ჩამოყალიბებული მართლწესრიგი, რომელიც წესებსა და ჩვეულებებს ეფუძნება; ჩვეულებითი სამართალი რომელიმე ეთნოსსა და ეთნოსის დანაყოფში (ეთნოგრაფიულ ჯგუფში) ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას არეგულირებს. ჩვეულებითი სამართალი საზოგადოებაში მისი წარმოქმნისთანავე ყალიბდება, სტიქიურად ვითარდება. სახელმწიფოებრიობის ეტაპამდე ისტორიული განვითარება სხვადასხვა კოდექსების სახით დასტურდება. ადრეულ სახელმწიფოებში ჩვეულებითი სამართალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძირითადი სოციალური რეგულატორი იყო. ევროპის ხალხთაგან ჩვეულებითი სამართალი დიდხანს შემორჩათ კორსიკელებსა და სარდინიელებს – საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ხალხებში სისხლის აღების ტრადიცია, ანუ „ვენდეტა" არსებობდა.

წარმართობა – კერპთმსახურება, „უშჯულოებით მავალნი". ამ ტერმინით ქართულში აღინიშნებოდა ის სარწმუნოებანი, რომლებთანაც მოუხდა ბრძოლა ქრისტიანობას. წარმართობა ზოგადად აღნიშ-

ნავს როგორც ქრისტიანობის წინარე, ისე მის თანადროულ, მაგრამ არაქრისტიანულ სარწმუნოებებს. მაგალითად, ისლამი ქრისტიანობის პოზიციიდან წარმართობაა, მაგრამ ტერმინი წარმართობა ისლამის მიმართ იშვიათად იხმარება, წარმართობა კრებითად გამოხატავს ქრისტიანობისაგან განსხვავებულ რელიგიურ და ეთიკურ სამყაროს, მაგრამ არ ხსნის სამყაროს რაიმე ნაშან-თვისებას. ამიტომ ეს ტერმინი თავის თავში აერთიანებს განსხვავებულ, არაქრისტიანულ სარწმუნოებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებული არიან როგორც დროით, ისე მსოფლმხედველობის პრინციპებით. მაგალითად, ქართველთა წინარექრისტიანული, ანუ წარმართული შეხედულებები არსებობდა და სახეს იცვლიდა მთელი ისტორიის მანძილზე, მოიცაედა რელიგიის უძველეს ფორმებს, ნაყოფიერების კულტებს, ჩვენში შემოტანილ რელიგიურ მოძღვრებებს (არმაზის კულტს, ცეცხლთაყვანისმცემლობას, ანტიკურ კულტებს და ა. შ.). თითოეული მათგანი გარკვეული ისტორიული და კულტურულ-სოციალური ვითარების შედეგია და მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისგან, მაგრამ ქრისტიანობის თვალსაზრისით ყველა ერთი ტერმინით „წარმართობით" აღინიშნება.

წესი, წეს-ჩვეულება – სიმბოლური, სტერეოტიპული კოლექტიური მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც დადგენილია ადათ-წესებითა და განასახიერებს იმ სოციალურ იდეებს, წარმოდგენებს, ნორმებს, ფასეულობებს, რომლებიც გარკვეულ კოლექტიურ გრძნობებს ინვევს. წესი, წეს-ჩვეულება მოწოდებულია გავლენა მოახდინოს ცხოვრების ობიექტურ მსელელობაზე ისე, რომ მას სასურველი მიმართულება მისცეს. დაბადებასთან, ქორწილთან, სიკვდილთან დაკავშირებულ წესებს, წეს-ჩვეულებებს საოჯახოს უწოდებენ. არსებობს კალენდარული წესები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული. ბევრი წესი არქაულ საზოგადოებაში წარმოიქმნა, რომლებიც დროთა განმავლობაში საზოგადოებს გადაეცა და დღემდე მოაღწიეს. მაგალითად, განწმენდითი წესი (წეს-ჩვეულება), რომელიც დაკავშირებულია წყალში ჩაფვლასთან (ჩაყვინთვასთან), არსებობდა პირველყოფილ საზოგადოებებში და დღემდე მოაღწია. არანაკლებ ძველი მოვლენაა მსხვერპლშენირვა, რომელსაც მიაკუთვნებენ შეწყალებისა და გულის მოლბობის მოქმედებათა რიგს.

ცესია – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის, შეთანხმების შედეგად, ტერიტორიის ნაწილის გადაცემა. ცესია, ჩვეულებრივ, ვარაუდობს კომპენსაციას, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ფორმისა იყოს.

ცივილიზაცია – ადამიანთა ლოკალური სოციო-კულტურული ერთობა, რომელმაც თავისი განვითარებისას მატერიალური და სულიერი კულტურის მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. ცივილიზაციის ნიშნებად მიაჩნიათ: სახელმწიფო, ქალაქები, მონეტა, ვაჭრობა, დამწერლობა და სხვა. ფართო მნიშვნელობით ცივილიზაცია მოიცავს ხალხთა ჯგუფებს, აგრეთვე ვრცელ გეოგრაფიულ სივრცეებს ან მთელ კონტინენტებს და ვარაუდობს ისეთი ცივილიზაციების არსებობას, როგორე-

ბიცაა ევროპული, აზიური, არაბული და ა. შ. საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონეზე მეცნიერები კაცობრიობას რამდენიმე ცივილიზაციად ყოფენ (მათი რაოდენობა ოთხიდან რვამდე მერყეობს). მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ისეთი ცივილიზაციები, როგორებიცაა დასავლური, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული, კონფუციური, იაპონური, ისლამური, ინდუისტური და აფრიკული, რომლებიც ხალხთა ნაციონალურ-რელიგიურ თავისებურებებს ეყრდნობა. რუსები ცალკე გამოყოფენ რუსულ ცივილიზაციას, მას სხვანაირად ევრაზიულ ციილიზაციასაც უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ მასში ორი საწყისია შერწყმული. თითოეული ცივილიზაციისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ისტორიული პირობების, ნაციონალური, კულტურული, ფსიქოლოგიური ნიშნების ერთობა, რომელშიც სხვადასხვა ეთნოსები გლობალურ ერთობებად არიან გაერთიანებულნი.

ხალხის ისტორიული მახსოვრობა – ეთნოსის სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ეთნიკური ევოლუციისა და ეთნოსის კულტურის უწყვეტობას განამტკიცებს და გადასცემს მომდევნო თაობებს.

ხარიჯიზმი – ისლამის ერთ-ერთი თავდაპირველი განშტოება სუნიზმსა და შიიზმთან ერთად. თავიდანვე ნაკლებგავრცელებული.

ჯიჰადი – არაბულად სიტყვასიტყვით „გულმოდგინებას", „მონდომებას" ნიშნავს. ომი სარწმუნოებისათვის, „საღვთო ომი". მუსლიმის ერთ-ერთი რელიგიური მოვალეობა. ჯიჰადის ჩანასახი ჩანს ყურანში, მედინურ სურებში. არაბთა დაპყრობითი ომები „საღვთო ომის" სახელით მიმდინარეობდა. ჯიჰადის შესახებ მოძღვრების მიხედვით, რომელიც შეიმუშავა მუსლიმურმა სამართალმა, მთელი ქვეყანა იყოფა „ისლამის მიწად" და „საომარ მიწად" – ქვეყნებად, რომლებიც დასახლებულია არამუსლიმებით, „ურწმუნოებით", რომელთა წინააღმდეგ „საღვთო ომი" ყველა ბრძოლისუნარიანი მუსლიმის მოვალეობაა. ჯიჰადს უწოდებენ აგრეთვე ჰაზავათს. ამჟამად მუსლიმურ ქვეყნებში ჯიჰადი სამშობლოსათვის ბრძოლაა.

ჰეტეროგენულობა – შემადგენლობითი არაერთგვაროვნება.

ჰომეოსტაზი (ეთნიკური) – ეთნოსის უცვლელი მდგომარეობა, რომლის დროსაც სასიცოცხლო ციკლი თაობიდან თაობამდე მეორდება არსებითი ცვლილებების გარეშე, რომელიც წონასწორობას იცავს ბუნებასთან და სხვა ეთნოსებთან მიმართებით.

ჰომოგენურობა – შემადგენლობითი ერთგვაროვნება.

სარეკომენდაციო ლიტერატურა

ბერკი პ., სოციალური თეორია. თბ., 2000.

გაბუნია ს., ტიპოლოგიის საკითხები ეთნოლოგიაში. პარიზი-თბილისი, 2003.

გეგეშიძე მ., ეთნიკური კულტურა და ტრადიციები. თბ., 1978.

გეგეშიძე მ., ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში. 1981.

დიურკჰეიმი ე., სოციოლოგიის მეთოდის წესები. თბ., 2001.

თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები. წიგნი I. თბ., 2005.

ნადირაძე ე., მსოფლიო რელიგიები. მესამე გამოცემა. თბ., 2008.

რენანი ე., რა არის ერი? „ლაშარი", 1, 1991.

რობაქიძე ალ., „ეთნოგრაფიული ჯგუფის" მნიშვნელობისათვის. – „მაცნე", ისტორიის სერია, თბ., 4, 1980.

სმითი ე., ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია. ინგლისურიდან თარგმნა მ. ჩხარტიშვილმა. თბ., 2004.

სმითი ე., ნაციონალური იდენტობა. თარგმნა ლ. პატარიძემ. თბ., 2008.

წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი). თბ., 1990.

ჭანტურიშვილი ს., ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია. თბ., 1989.

ჭანტურიშვილი ს., ეთნოლოგია. თბ., 1993.

Арутюнов С.А., Народы и культуры. М., 1989.

Арутюнов С.А., Рыжакова С.И. Культурная антропология. М., 2004.

Бромлей Ю.В., Очерки теории этноса. М., 1983.

Бромлей Ю.В., Этнос и этнография. М., 1973.

Бромлей Ю.В., Подольный Р. Человечество – это нанароды. М., 1990.

Вера. Этнос. Нация. Религиозный компонент етнического сознания, отв. ред. М. П. Мчедлов. М., 2007.

Геллнер Э. М., Нации и национализм. М., 1992.

Гумилев Л.Н., Этногенез и биосфера земли. М., 2004.

Гумилев Л.Н., Этносфера: история людей и история природы. С-П., М., 2002.

Данн О., Нации и национализм в Германии 1770-1990. С-П., 2003.

Исаев М.И., Словарь этнолингвистических понятий и терминов. М., 2003.

Итс Р.Ф., Введение в этнографию. М., 1991.

Константинова С.С., Этнология: учебное пособие. М., 2005.

Кравченко А.И., Социальная антропология. М., 2003.

Леви-Строс К., Структурная антропология. М., 1983.

Лобжанидзе А.А., Горохов С.А., Заяц Д.В. Этногеография и география религий. М., 2005.

Лурье С., В., Историческая этнология, М., 2004.

Минюшев Ф.И., Социальная антропология. М., 2004.

Мнацаканян М.О., Нации и национализм. М., 2004.

Нации и национализм. М., 2002.
Орлова Э. А., Культурная (социальная) антропология: Учебное пособие для вузов. М., 2004.
Преображенский П.Ф. Курс этнологии. – М., 2005.
Садохин А.П., Этнология. М., 2000.
Садохин А. П., Этнология: учебный словарь. М., 2002.
Садохин А.П., Грушевицкая Т.Г. Этнология. М., 2003.
Свод этнографических понятий и терминов: Материальная культура. – М., 1989.
Свод этнографических понятий и терминов: этнические и этносоциальные категории. М., 1996.
Сервье Жан., Этнология. М., 2004.
Тавадов Г. Т., Этнология: учебник для высшего образования. М., 2002.
Тавадов Г. Т., Этнология: Словарь-справочник. М., 1998.
Тишков В. А., Реквием по этносу: Исследование по социально-культурной антропологии. М.. 2003.
Чебоксаров Н.Н., Чебоксарова И.А., Народы, расы, культуры. М., 1985.
Чеснов Я.В., Лекции по исторической этнологии. М., 1998.
Этническая история народов мира. Культура. Быт. Традиции: Элективный курс. Волгоград, 2005.
Этнические процессы в современном мире. М., 1987.
Этнография и смежные дисциплины. М., 1994.
Этнологический словарь. М., 1996.
Этнология. Под ред. Е.В. Миськовой, Н.Л. Мехедова, В.В. Пименова. М.,2005.
Richly H., Crapo, Cultural anthropology, understanding ourselves & others, 3rd edition, Utah State University, Copyright © 1993.
Hendry J., An Introduction to social Anthropology. Other People's Worlds, MaCmillan Press Ltd. 1999.
Eriksen T.H., Ethnicity and Nationalism. Anthropological Perspectives. London-Boulder-Colorado, 1993.
Gellner E., Anthropology and politics, Blakwell. Oxford/Cambridge 1995.
Gellner E., Nations and Nationalism, Oxford, Bleck Well 1983.
Duranti A., Linguistic anthropology, Backwell 2001.
Marcus G., Fischer M. Anthropology as cultural critique: An experimental moment in the human sciences, Chicago-London, 1986.
Geertz C., The interpretation of cultures: Selected essays, New York, 1973.
Ardener E., The voice of prophecy and other essays, Oxford, 1989.
Evans-Pritchard E.E., Esseys in social anthropology, London, 1962.
Malinowski B., Magic, science and religion and other essays, New York, 1954.
Tishkov V., Ethnicity, nationalism and conflict in and after the Soviet Union, London/New Dehli, 1997.
Goldenberg S., Pride of small nations, London/New Jersey, 1994.
Mauss M., Soziologie und Anthropologie , Frankfurt am Main,1989.

დანართი 1

მსოფლიოს ყველაზე დიდი ხალხები, რომელთა რაოდენობა 25 მილიონზე მეტია

ხალხები	რაოდენობა (მლნ.კაცი)	ქვეყანა	% ქვეყანაში
ჩინელები	1125,0	ჩინეთი	97,2
ჰინდუსტანელები	244,0	ინდოეთი	99,6
აშშ ამერიკელები	194,2	აშშ	99,4
ბენგალიელები	189,7	ბანგლადეში, ინ- დოეთი	57,7 42,2
ბრაზილიელები	149,4	ბრაზილია	93,0
რუსები	147,2	რუსეთი	81,5
იაპონელები	125,6	იაპონია	98,5
პენჯაბელები	100,0	პაკისტანი, ინდოეთი	75,0 24,0
ბიჰარელები	97,6	ინდოეთი	94,8
მექსიკელები	91,1	მექსიკა	85,7
იავანელები	89,6	ინდონეზია	99,3
გერმანელები	86,0	გერმანია	86,7
ტელეგუ	74,5	ინდოეთი	99,9
კორეელები	70,2	სამხ.კორეა ჩრდ.კორეა	62,7 32,1
იტალიელები	66,5	იტალია	81,7
მარათჰი	66,5	ინდოეთი	99,9
თამილები	64,1	ინდოეთი, შრი-ლანკა	95,2 4,7
ვიეტნამელები	62,2	ვიეტნამი	98,1
ეგვიპტელები	54,6	ეგვიპტე	99,1
თურქები	53,3	თურქეთი	93,8
ფრანგები	49,4	საფრანგეთი	95,5
პოლონელები	49,0	პოლონეთი	78,3
ინგლისელები	48,5	დიდი ბრიტანეთი	92,2
გუჯარათელები	47,0	ინდოეთი	97,9
უკრაინელები	46,0	უკრაინა	81,3
ჯანარა	35,0	ინდოეთი	99,9
მალაიალი	35,0	ინდოეთი	99,9
კოლუმბიელები	34,5	კოლუმბია	94,2
ბირმელები(მიანმა)	33,4	მიანმა	98,9
ორია	32,3	ინდოეთი	99,8
ჰაუასა	30,8	ნიგერია	84,4
აეღანელები (პუშტუნები)	30,6	პაკისტანი, აეღა- ნეთი	63,8 32,7
ესპანელები	30,0	ესპანეთი	92,0
სიამები (ქხონტაი)	29,7	ტაილანდი	99,3
სპარსელები	28,8	ირანი	97,4
არგენტინელები	28,3	არგენტინა	98,3
ვისაია (ბისაია)	26,8	ფილიპინები	99.9
იორუბა	26,2	ნიგერია	97,3

დანართი 2

მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა

1. **ავსტრალია** – პროტესტანტი-ანგლიკანები 26,1%, კათოლიკეები 26%, დანარჩენი ქრისტიანები 24,3%, ბუდისტები, მუსლიმები 11%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 12,6%.
2. **ავსტრია** – კათოლიკეები 78%, პროტესტანტები 5%, მუსლიმები და სხვა დანარჩენი 17%.
3. **ავღანეთი** – მუსლიმი-სუნიტები 84%, მუსლიმი-შიიტები 15%, სხვა დანარჩენი 1%.
4. **აზერბაიჯანი** – მუსლიმები 80% (შიიტები 70%, სუნიტები 30%), მართლმადიდებლები 2,5%, სხვა სარწმუნოების მიმდევრები და ათეისტები 17,5%.
5. **ალბანეთი** – მუსლიმები 70%, მართლმადიდებლები 20%, კათოლიკეები 10%.
6. **ალჟირი** – მუსლიმი-სუნიტები (სახელმწიფო რელიგია) 99%.
7. **ამერიკის შეერთებული შტატები** – პროტესტანტები 56%, კათოლიკეები 28%, იუდეველები 2%, სხვა დანარჩენი 4%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 10%.
8. **ანგოლა** – ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-ნარმოდგენების მიმდევრები 47%, კათოლიკეები 38%, პროტესტანტები 15%.
9. **ანდორა** – კათოლიკეები 87%.
10. **ანტიგუა და ბარბუდა** – ანგლიკანები 43%, სხვადასხვა 42%, კათოლიკეები 15%.
11. **ანტილიის კუნძულები** – კათოლიკეები, პროტესტანტები, იუდეველები 82%.
12. **ომენი (მაკაო)** – ბუდისტები 59%, კათოლიკეები 15%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 35%.
13. **არაბთა გაერთიანებული ემირატები** – მუსლიმები 96% (აქედან შიიტები 16%), ქრისტიანები, ინდუისტები და სხვა დანარჩენი 4%.
14. **არგენტინა** – კათოლიკეები 92% (კათოლიკურ ტრადიციებს რეალურად იცავს 20%), პროტესტანტები 2%, სხვა დანარჩენი 4%.
15. **არუბა** – კათოლიკეები 82%, პროტესტანტები 8%. არიან ინდუისტები, მუსლიმები და კონფუციანელებიც.
16. **აღმოსავლეთის სამოა** – კონგრეგაციონალისტები (კალვინიზმის ფორმით) 50%, კათოლიკეები 20%, სხვა პროტესტანტები და სხვა დანარჩენი 30%.
17. **აღმოსავლეთი ტიმორი** – კათოლიკეები 90%, მუსლიმები 4%, პროტესტანტები 3%, ინდუისტები 0,5%.
18. **ახალი ზელანდია** – ანგლიკანები 24%, პრესვიტერიანელები 18%, კათოლიკეები 15%, მეთოდისტები 5%, ბაპტისტები 2%, სხვა პროტესტანტები 3%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 33%.

19. **ახალი კალედონია** – კათოლიკეები 60%, პროტესტანტები 30%, სხვა სარწმუნოებისანი 10%.

20. **ბაჰამის კუნძულები** – ბაპტისტები 32%, ანგლიკანები 20%, კათოლიკეები 19%, მეთოდისტები 6%, ღმერთის ეკლესიის მიმდევრები 6%, სხვა პროტესტანტები 12%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 5%.

21. **ბანგლადეში** – მუსლიმები 83%, ინდუისტები 16%, სხვა დანარჩენი 1%.

22. **ბარბადოსი** – პროტესტანტები 67%, (ანგლიკანები 40%, ორმოცდაათიანელები 8%, მეთოდისტები 7%, სხვა დანარჩენი 12%), კათოლიკეები 4%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 29%.

23. **ბაჰრეინი** – მუსლიმი-შიიტები 70%, მუსლიმი სუნიტები 30%.

24. **ბელიზი** – კათოლიკეები 49,6%, პროტესტანტები 27% (ანგლიკანები, მეთოდისტები, მენონიტები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, ორმოცდაათიანელები, იეღოვას მოწმეები), გაურკვეველი აღმსარებლობისა 23,4%.

25. **ბელორუსია** – მართლმადიდებლები 74%, კათოლიკეები 22%.

26. **ბელგია** – კათოლიკეები 75%, პროტესტანტები და სხვა დანარჩენი 25%.

27. **ბენინი** – ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 50%, ქრისტიანები 30%, მუსლიმები 20%.

28. **ბერმუდის კუნძულები** – ანგლიკანები 30%, მეთოდისტები 7%, კათოლიკეები 15%, დანარჩენი 48%.

29. **ბოლივია** – კათოლიკეები 95%, პროტესტანტები.

30. **ბოსნია და ჰერცოგოვინა** – მუსლიმები 40%, მართლმადიდებლები 31%, კათოლიკეები 17%, პროტესტანტები 4%, სხვა დანარჩენი 8%.

31. **ბოტსვანა** – ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წაროდგენების მიმდევრები 38%, ქრისტიანები 62%.

32. **ბრაზილია** – კათოლიკეები 70%, პროტესტანტები 22%.

33. **ბრუნეი** – მუსლიმები (ოფიციალური რელიგია) 67%, ბუდისტები 13%, ქრისტიანები 10%, ადგილობრივი ტრადიციული რელიგიების მიმდევრები და სხვა დანარჩენი 10%.

34. **ბულგარეთი** – მართლმადიდებლები 83,3%, კათოლიკეები 1,7%, იუდეველები 0,8%, პროტესტანტები, სომეხ-გრიგორიანები და სხვა დანარჩენი 1,6%.

35. **ბურკინა-ფასო** – ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 40%, მუსლიმები 50%, ქრისტიანები (ძირითადად კათოლიკეები) 10%.

36. **ბურუნდი** – ქრისტიანები 67% (კათოლიკეები 62%, პროტესტანტები 5%), ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 23%, მუსლიმები 10%.

37. **ბუტანი** – ლამაიური შტოს ბუდისტები 75%, ინდუსები 25%.

38. **გაბონი** – ქრისტიანები 55-57%, მუსლიმები 1%-ზე ნაკლები, დანარჩენი ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები.

39. **გაიანა** – ქრისტიანები 50% (ანგლიკანები 28%, კათოლიკეები 18%), ინდუისტები 35%, მუსლიმები 10%, სხვა დანარჩენი 5%.

40. **გამბია** – მუსლიმები 90%, ქრისტიანები 9%, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 1%.

41. **განა** – ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 21%, მუსლიმები 16%, ქრისტიანები 63%.

42. **გვადელუპა** – კათოლიკეები 95%, ინდუისტები და აფრო-ამერიკული ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 4%, პროტესტანტები 1%.

43. **გვატემალა** – კათოლიკეები 71%, პროტესტანტები 24%, დანარჩენი –ადგილობრივი სექტების მიმდევრები.

44. **გვიანა** – კათოლიკეები 93%.

45. **გვინეა** – მუსლიმები 85%, ქრისტიანები 8%, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 7%.

46. **გვინეა-ბისაუ** – ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 50%, მუსლიმები 45%, ქრისტიანები 5%.

47. **გერმანია** – პროტესტანტები 37% (ლუთერანები 35%), კათოლიკეები 36%, მუსლიმები 3,7%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 28,3%.

48. **გრენადა** – კათოლიკეები 53%, ანგლიკანები 13,8%, დანარჩენი სარწმუნოებისანი 33,2%.

49. **გრელანდია** – ლუთერანები 95%.

50. **გუამი** – კათოლიკეები 85%, სხვა დანარჩენი 15%.

51. **დანია** – ლუთერანები 89%, კათოლიკეები 3%, მუსლიმები 2%.

52. **დასავლეთი საქართა** – მუსლიმები 99%.

53. **დიდი ბრიტანეთი** – ანგლიკანები 42%, კათოლიკეები 10%, პრესვიტერიანელები 1,2%, მუსლიმები 2%, მეთოდისტები 0,5%, ინდუისტები 0,5%, სიქჰები 0,5%, იუდეველები 0,4%.

54. **დომინიკა** – კათოლიკეები 77%, პროტესტანტები 15% (მეთოდისტები 5%, ორმოცდაათიანელები 3%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 3%, ბაპტისტები 2%, სხვა დანარჩენი პროტესტანტები 2%), სხვა დანარჩენები 8%.

55. **დომინიკის რესპუბლიკა** – კათოლიკეები 91%.

56. **ეგვიპტე** – მუსლიმები (ძირითადად სუნიტები) 94%, ქრისტიანი-კოპტები 6%.

57. **ეთიოპია** – მუსლიმები 40-45%, ქრისტიანი-მონოფიზიტები 40-45%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 5-10%, სხვა დანარჩენი 3-8%.

58. **ეკვადორი** – კათოლიკეები 95%.

59. **ეკვატორიალური გვინეა** – ნომინალურად ქრისტიანები (კათოლიკეები 80%), მაგრამ ბევრი რჩება ადგილობრივ ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრად.

60. **ერაყი** – მუსლიმები 96% (შიიტები 60%, სუნიტები 36%), ქრისტიანები 3%, სხვა დანარჩენი 1%.

61. **ერიტრეა** – მუსლიმები 48%, ქრისტიანი-კოპტები 50%, კათოლიკეები, პროტესტანტები.

62. **ესპანეთი** – კათოლიკეები 94%, სხვა დანარჩენი 6%.

63. **ესტონეთი** – ლუთერანები 48%, მართლმადიდებლები 23%, კათოლიკეები 4%.

64. **ვანუატუ** – პრესვიტერიანელები 38,7%, ანგლიკანები 15%, კათოლიკეები 15%, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 7,6%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 6,2%, ქრისტეს ეკლესიის მიმდევრები 3,8%, სხვა დანარჩენი 15, 7%.

65. **ვატიკანი** – კათოლიკეები 100%.

66. **ვენესუელა** – ნომინალურად კათოლიკეები 96%, პროტესტანტები 2%, სხვა დანარჩენი 2%.

67. **ვირჯინიის კუნძულები (ბრიტან.)** – პროტესტანტები 86%, (მეთოდისტები 33%, ანგლიკანები 17%, ღმერთის ეკლესიის მიმდევრები 9%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 6%, ბაპტისტები 4%, იეღოვას მოწმეები 2%, დანარჩენი პროტესტანტები 2%), კათოლიკეები 10%, გაურკვეველი რწმენისანი 2%, სხვა დანარჩენი 2%.

68. **ვირჯინიის კუნძულები (აშშ)** – ბაპტისტები 42%, კათოლიკეები 34%, ანგლიკანები 17%, სხვა დანარჩენი 7%.

69. **ვიეტნამი** – ბუდისტები 52%, კაოდაი (სინკრეტული სექტა) 50%, ქრისტიანები 10% (ძირითადად კათოლიკეები), მუსლიმები 2%.

70. **ზამბია** – ქრისტიანები 75% (კათოლიკეები 33%), მუსლიმები 3%, ინდუისტები 2%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 8%.

71. **ზანზიბარი** – მუსლიმი 99%.

72. **ზიმბაბვე** – ქრისტიანები 36% (პროტესტანტები 15%, აფრო-ქრისტიანები 11%, კლათოლიკეები 10%), ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 63%, მუსლიმები და სხვა დანარჩენი 1%.

73. **თურქმენეთი** – მუსლიმები 89%, მართლმადიდებლები 9%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 2%.

74. **თურქეთი** – მუსლიმები 99,8% (ძირითადად სუნიტები), დანარჩენები (ძირითადად ქრისტიანები და იუდეველები) 0,2%.

75. **იამაიკა** – პროტესტანტები 61,3% (მათ შორის ღმერთის ეკლესიისანი 21,2%, ბაპტისტები 8,8%, ანგლიკანები 5,5%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 9%, ორმოცდაათიანელები 7,6%, მეთოდისტები 2,7%), კათოლიკეები 4%, აფრო-ამერიკული სინკრეტული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 34,7%.

76. **იაპონია** – სინტოისტები და ბუდისტები ერთად 84%, სხვა დანარჩენი 16% (მათ შორის ქრისტიანები 0,7%).

77. **იემენი** – მუსლიმები 99% (სუნიტები 61% და შიიტი-ზეიდიტები 38%), იუდეველების, ქრისტიანებისა და ინდუისტების მცირე თემები.

78. **ინდოეთი** – ინდუისტები 81,3%, მუსლიმები 12%, ქრისტიანები 2,3 %, სიქჰები 1,9%, ბუდისტები 0,8%, სხვა დანარჩენი 1%.

79. **ინდონეზია** – მუსლიმები 88%, პროტესტანტები 5%, კათოლიკეები 3%, ინდუისტები 2%, ბუდისტები 1%, სხვა დანარჩენი 1%.

80. **იორდანია** – მუსლიმი-სუნიტები 92%, ქრისტიანები 7% (მართლმადიდებლები, კათოლიკეები, კოპტები, სომეხ-გრიგორიანები).

81. **ირანი** – მუსლიმი-შიიტები 89%, მუსლიმი-სუნიტები 10%, ზოროასტრიელები, იუდეველები, ქრისტიანები და ბაპაიტები 1%.

82. **ირლანდია** – კათოლიკეები 91,6%, პროტესტანტები 6%.

83. **ისლანდია** – ლუთერანები 93%.

84. **ისრაელი** – იუდეველები 80,1%, მუსლიმები 14,6%, ქრისტიანები 2,1%, სხვა დანარჩენი 3,2%.

85. **იტალია** – კათოლიკეები 78%, პროტესტანტები 5%.

86. **კაბო-ვერდე** – კათოლიკეები 95% (ხშირად კათოლიკური სარწმუნოება შერწყმულია ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებთან), პროტესტანტები 5%.

87. **კაიმანის კუნძულები** – პროტესტანტები 95%.

88. **კამბოჯა** – ბუდისტები 87%.

89. **კამერუნი** – ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 13%, ქრისტიანები 63% (კათოლიკეები 40%), მუსლიმები 24%.

90. **კანადა** – კათოლიკეები 46%, პროტესტანტები 36%, სხვა დანარჩენი 18%.

91. **კატარი** – მუსლიმები 95%.

92. **კენია** – პროტესტანტები 35%, კათოლიკეები 33%, მართლმადიდებლები 10%, მუსლიმები 10%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 10%, სხვა დანარჩენი 2%.

93. **კვიპროსი** – მართლმადიდებლები 78%, მუსლიმები 18%, მარონიტები, სომეხ-გრიგორიანები და სხვა დანარჩენი.

94. **კირიბატი** – კათოლიკეები 52%, პროტესტანტები (კონგრეგაციონალისტები) 40%.

95. **კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა** – შამანისტები, ბუდისტები, კონფუციანელები 23%, ცოტა ქრისტიანები და ჩპონდოგეს სინკრეტული სწავლების მიმდევრები.

96. **კორეა (სამხრეთი)** – პროტესტანტები 43% (პრესვიტერიანელები 21%, მეთოდისტები 7%), კათოლიკეები 6%, ბუდისტები 47%, კონფუციანელები 3%, შამანისტები და სხვა 1%.

97. **კოლუმბია** – კათოლიკეები 90%.

98. **კომორის კუნძულები** – მუსლიმი-სუნიტები 98%, კათოლიკები 2%.

99. **კონგო (ბრაზავილი)** – კათოლიკეები 50%, პროტესტანტები 35%, მუსლიმები 2%.

100. **კონგო (კინშასა)** – კათოლიკეები 50%, პროტესტანტები 20%, კიმ-ბაგნისტები (პროტესტანტული სექტა ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებით) 10%, სხვა სინკრეტული სექტები და ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 10%.

101. **კოსტა-რიკა** – კათოლიკეები 76,3%, ევანგელისტები 13,7%, იეღოვას მოწმეები 1,3%, სხვა დანარჩენი 4,8%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 3,2%.

102. **კოტ-დივუარი** – ქრისტიანები 30% (კათოლიკეები 22%), მუსლიმები 35-40%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევრები 30-35%.

103. **კუბა** – ნომინალური კათოლიკეები 85%, პროტესტანტები 10%, აფრო-ამერიკული სინკრეტული სექტების მიმდევრები.

104. **კუკის კუნძულები** – კონგრეგაციონალისტები 75%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 13%, კათოლიკეები 10%.

105. **ლაოსი** – ბუდისტები 59%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევრები 40%, ქრისტიანები 1,5%.

106. **ლატვია** – პროტესტანტი-ლუთერანელები 18%, კათოლიკეები 20%, მართლმადიდებლები 17%.

107. **ლესოტო** – ქრისტიანები 80% (ძირითადად კათოლიკეები), ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 20%.

108. **ლიბანი** – მუსლიმები 60% (შიიტები 40%, სუნიტები 11%, დრუზები 6%, ისმაილიტები, ალავიტები), ქრისტიანები 40% (მართლმადიდებლები 10%, კათოლიკე-უნიატები 24%, სომეხ-გრიგორიანები 5%, პროტესტანტები).

109. **ლიბერია** – ქრისტიანები 40%, მუსლიმები 20%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 40%.

110. **ლივია** – მუსლიმი-სუნიტები 97%.

111. **ლიტვა** – კათოლიკეები 80%, მართლმადიდებლები 10%, პროტესტანტები 3%.

112. **ლიხშტენშტეინი** –კათოლიკეები 60%, პროტესტანტები 7%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 33%.

113. **ლუქსემბურგი** – კათოლიკეები 80%, აგრეთვე: პროტესტანტები, იუდაველები, მუსლიმები.

114. **მავრიკია** – ინდუისტები 52%, ქრისტიანები 28,3% (კათოლიკეები 26%, პროტესტანტები 2,3%), მუსლიმები 16,6%, სხვა დანარჩენი 3,1%.

115. **მავრიტანია** – მუსლიმები 100%.

116. **მადაგასკარი** – ქრისტიანები 52% (კათოლიკეები 26%, პროტესტანტები 26%), მუსლიმები 7%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი 40%.

117. **მაიოტა (საფრ.)** – მუსლიმები 97%, ქრისტიანები (ძირითადად კათოლიკეები).

118. **მაკედონია** – მართლმადიდებლები 67%, მუსლიმები 30%, სხვა დანარჩენი 3%.

119. **მალავი** – პროტესტანტები 55%, კათოლიკეები 20%, მუსლიმები 20%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი და სხვები 5%.

120. **მალაიზია** – მუსლიმები 55%, ბუდისტი-დაოსისტი-კონფუციანელები 30%, ინდუისტები 5%, ქრისტიანები 6%, სიქჰები და შამანისტები.

121. **მალი** – მუსლიმები 90%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი 9%, ქრისტიანები 1%.

122. **მალდივი**– მუსლიმი-სუნიტები 99%.

123. **მალტა** – კათოლიკეები 91%.

124. **მაროკო** – მუსლიმები 98,7%, ქრისტიანები 1,1%, იუდეველები 0,2%.

125. **მარტინიკა (საფრ.)** – კათოლიკეები 95%, ინდუისტები და აფრო-ამერიკული სინკრეტული კულტების მიმდევრები 5%.

126. **მარშალის კუნძულები** – ქრისტიანები 99% (ძირითადად პროტესტანტები).

127. **მექსიკა** – კათოლიკეები 89%, პროტესტანტები 6%, სხვა დანარჩენი 5%.

128. **მიკრონეზია** – კათოლიკეები 50%, პროტესტანტები 47%.

129. **მოზამბიკი** – ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი 50%, ქრისტიანები 30% (23% კათოლიკეები)

130. **მოლდოვა** – მართლმადიდებლები 98,5%. იუდეველები 1,5%, პროტესტანტი-ბაპტისტები (მათი თემი დაახლოებით 1000 კაცისაგან შედგება).

131. **მონაკო** – კათოლიკეები 90%.

132. **მონღოლეთი** – ბუდისტი-ლამაიტები 96%, მუსლიმები, შამანისტები, ქრისტიანები 4%.

133. **მონტსერატი (ბრიტან.)** – ანგლიკანები 70%, მეთოდისტები, კათოლიკეები, ორმოცდაათიანელები, მეშვიდე დღის ადვენტისტები.

134. **მიანმა** – ბუდისტები 89%, ქრისტიანები 4% (ბაპტისტები 3%, კათოლიკეები 1%), მუსლიმები 4%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 1%, სხვა დანარჩენები 2%.

135. **ნამიბია** – ქრისტიანები 80-90% (ლუთერანები 51%), ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევრები 10-20%.

136. **ნაურუ** – ქრისტიანები 2/3 ქრისტიანი, 1/3 კათოლიკე.

137. **ნეპალი** – ინდუისტები 86,2%, ბუდისტები 7,8%, მუსლიმები 3,8%, სხვა დანარჩენი 2,2%.

138. **ნიგერი** – მუსლიმები 80%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 20%.

139. **ნიგერია** – მუსლიმები 50%, ქრისტიანები 40% (პროტესტანტები 27%, კათოლიკეები 13%), ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევარნი 10%.

140. **ნიდერლანდები** – კათოლიკეები 31%, პროტესტანტები 21%, მუსლიმები 4,4%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 40%.

141. **ნიკარაგუა** – კათოლიკეები 85%, პროტესტანტები.

142. **ნიუე** – პროტესტანტები 75%, კათოლიკეები 25%.

143. **ნორვეგია** – ლუთერანები 86% (სახელმწიფო ეკლესია), სხვა პროტესტანტები და კათოლიკეები 3%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 10%.

144. **ნორფოლკი** – ანგლიკანები 37,4%, პროტესტანტები – ავსტრალიის გაერთიანებული ეკლესიის მიმდევრები 14,5%, კათოლიკეები 11,5%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 3,1% გაურკვეველი აღმსარებლობისა –29, 6%, სხვა დანარჩენი 3,9%.

145. **ომანი** – მუსლიმი-იბადიტები 75%, მუსლიმი-სუნიტები, მუსლიმი-შიიტები, ინდუისტები.

146. **პაკისტანი** – მუსლიმები 97% (სუნიტები 77%, შიიტები 20%), ქრისტიანები, ინდუისტები და სხვები 3%.

147. **პალაუ** – ქრისტიანები (კათოლიკეები 49%, პროტესტანტები 20% – მეშვიდე დღის ადვენტისტები, იეღოვას მოწმეები და სხვა; სინკრეტული რწმენების მიმდევრები).

148. **პალესტინა (მდ. იორდანის დასავლეთი ნაწილი)** – მუსლიმები (ძირითადად სუნიტები) 75%, იუდეველები 17%, ქრისტიანები 8%.

149. **პანამა** – კათოლიკეები 85%, პროტესტანტები 15%.

150. **პაპუა-ახალი გვინეა** – კათოლიკეები 22%, ლუთერანები 16%, პრესვიტერიანელები და მეთოდისტები 8%, ანგლიკანები 8%, ევანგელისტები 4%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 1%, სხვა პროტესტანტები 10%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევრები 34%.

151. **პარაგვაი** – კათოლიკეები 90%.

152. **პერუ** – კათოლიკეები 90%.

153. **პიტკრენი** – მეშვიდე დღის ადვენტისტები 100%.

154. **პოლინეზია (საფრ.)** – პროტესტანტები 54%, კათოლიკეები 30%, სხვა დანარჩენი 16%.

155. **პოლონეთი** – კათოლიკეები 95%, მართლმადიდებლები, პროტესტანტები და სხვები 5%.

156. **პორტუგალია** – კათოლიკეები 94%, პროტესტანტები.

157. **პუერტო-რიკო** – კათოლიკეები 85%, პროტესტანტები და სხვა დანარჩენი 15%.

158. **რეიუნიონი** – კათოლიკეები 86%, ინდუისტები, მუსლიმები, ბუდისტები.

159. **რუსეთი** – მართლმადიდებლები 40-50 %, მუსლიმები 9%, ბუდისტი-ლამაიტები, იუდეველები, სხვა დანარჩენები. მორწმუნეთა შორის 75% მართლმადიდებელია და დაახლოებით 20% – მუსლიმი. მართლმადიდებლებს შორის რუსების რაოდენობა 88.8%-ია. მართლმადიდებლები მუსლიმური კულტურის ხალხები 1%-ის ფარგლებში არიან. შესაბამისად მუსლიმურ ჯგუფში რუსების რაოდენობა 2%-ია.

160. **რუანდა** – კათოლიკეები 56,5%, პროტესტანტები 26%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 11%, მუსლიმები 4,6%.

161. **რუმინეთი** – მართლმადიდებლები 70%, კათოლიკეები 6%, პროტესტანტები 6%, გრეკო-კათოლიკეები 6%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 12%.

162. **საბერძნეთი** – მართლმადიდებლები 98%, მუსლიმები 1,3%, სხვა დანარჩენი 0,7%.

163. **სალვადორი** – კათოლიკეები 83%.

164. **სამოა** – ქრისტიანები (პროტესტანტები) 99,7%.

165. **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა** – ქრისტიანები 68%, მუსლიმები 2%, ინდუისტები 1,5%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-ნარმოდგენების მიმდევრები 28,5%.

166. **სან-მარინო** – კათოლიკეები 98%.

167. **სან-ტომე და პრინსიპი** – ქრისტიანები 80% (კათოლიკეები 70%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 6%), მუსლიმები.

168. **საუდის არაბეთი** – მუსლიმები 100%.

169. **საფრანგეთი** – კათოლიკეები 83-88%, პროტესტანტები 2%, იუდეველები 1%, მუსლიმები 5-10%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 4%.

170. **საქართველო** – მართლმადიდებლები 83,9%, მუსლიმები 9,9%, სომეხ-გრიგორიანები 3,9%, ბაპტისტები, იეღოვას მონმეები და სხვები 2,3%.

171. **სერბეთი** – მართლმადიდებლები 65%, მუსლიმები 19%, კათოლიკეები 4%, პროტესტანტები 1%, სხვა დანარჩენი 11%.

172. **სვაზილენდი** – სიონის ეკლესიის მიმდევრები (სინკრეტული კულტი, რომელშიც ქრისტიანული ელემენტები შერწყმულია ადგილობრივ ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებთან) 40%, კათოლიკეები 20%, მუსლიმები 10%, ანგლიკანები, ბაჰაიტები, მეთოდისტები, მორმონები, იუდეველები და სხვები 30%.

173. **სეიშელის კუნძულები** – კათოლიკეები 86,6%, ანგლიკანები 6,8%, დანარჩენი ქრისტიანები 2,5%, სხვა დანარჩენი 4,1%.

174. **სენეგალი** – მუსლიმები 94%, ქრისტიანები (ძირითადად კათოლიკეები) 5%, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი 1%.

175. **სენ-პიერი და მიკელონი** – კათოლიკეები 99%.

176. **სენტ-ვინსენტი და გრენადინი** – ანგლიკანები 47%, მეთოდისტები 28%, კათოლიკეები 13%, ინდუისტები.

177. **სენტ-კისი და ნევისი** – ანგლიკანები 60%, სხვა პროტესტანტები, კათოლიკეები.

178. **სენტ-ლიუსია** – კათოლიკეები 90%, პროტესტანტები 7%, ანგლიკანები 3%.

179. **სინგაპური** – ბუდისტები 60%, მუსლიმები 7%, ანგლიკანები 3%.

180. **სირია** – სუნიტები 74%, შიიტები (ალავიტები, დრუზები და სხვ.) 18%, ქრისტიანები (მართლმადიდებლები, უნიატები, მონოფიზიტები) 10%.

181. **სლოვაკია** – კათოლიკეები 60,3%, პროტესტანტები 8,4%, მართლმადიდებლები 4,1%, სხვა დანარჩენი 17,5%, ათეისტები 9,7%.

182. **სლოვენია** – კათოლიკეები 70,2% (მათ შორის უნიატები 2%), ლუთერანები 1%, მუსლიმები 1%, სხვა დანარჩენი 22,9%, ათეისტები 4,3%.

183. **სოლომონის კუნძულები** – ანგლიკანები 45%, კათოლიკეები 18%, მეთოდისტები და პრესვიტერიანელები 12%, ბაპტისტები 9%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 7%, სხვა პროტესტანტები 5%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი 4%.

184. **სომალი** – მუსლიმი-სუნიტები 99%.

185. **სომხეთი** – სომხურ-გრიგორიანული (მონოფიზიტობა) – 94%, სხვა ქრისტიანები 4%, იეზიდები (ზოროასტრიზმი სხვა კულტის ელემენტებით) 2%.

186. **სუგანი** – მუსლიმი-სუნიტები 70%, კათოლიკეები 12%, პროტესტანტები 8%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევარნი 5%.

187. **სურინამი** – ინდუსები 27,4%, მუსლიმები 19,6%, კათოლიკეები 22,8%, პროტესტანტები 25,2%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარნი 5%.

188. **სიერა-ლეონე** – მუსლიმები 60%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები 30%, ქრისტიანები 10%.

189. **ტაჯიკეთი** – მუსლიმი-სუნიტები 85%, მუსლიმი-შიიტები.

190. **ტაილანდი** – ბუდისტები 95%, მუსლიმები 3,8%, ქრისტიანები 0,5%, ინდუსები 0,1%, დანარჩენი 0,6%.

191. **ტაივანი** – ბუდისტები-კონფუციანელები-დაოსისტები 93%, ქრისტიანები 4,5%, სხვა დანარჩენი 2,5%.

192. **ტანზანია** – ქრისტიანები 30% (კათოლიკეები 23%), მუსლიმები 35%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-ნარმოდგენების მიმდევრები 35%.

193. **ტორკსი და კაიკოსი (ბრიტან.)** – ბაპტისტები 40%. მეთოდისტები 16%, ანგლიკანები 18%, პროტესტანტები – ღმერთის ეკლესიის მიმდევარნი 12%, სხვა დანარჩენი 14%.

194. **ტოგო** – ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-ნარმოდგენების მიმდევარნი 51%, ქრისტიანები 29%, მუსლიმები 20%.

195. **ტოკელაუ** – კონგრეგაციონალისტები 70%, კათოლიკეები 28%, სხვა დანარჩენი 2%.

196. **ტონგა** – პროტესტანტები – 90%.

197. **ტრინიდადი და ტობაგო** – კათოლიკეები 29,4%, ინდუსები 23,8%, ანგლიკანები 10,9%, მუსლიმები 5,8%, პრესვიტერიანელები 3,4%, სხვა დანარჩენი 26,7%.

198. **ტუვალუ** – პროტესტანტი-კონგრეგაციონალისტები 97%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 1,4%, ბაჰაიტები 1%, სხვა დანარჩენი 0,6%.

199. **ტუნისი** – მუსლიმები 98%, ქრისტიანები 1%, იუდეველები და სხვა დანარჩენი 1%.

200. **უგანდა** – კათოლიკეები 53%, პროტესტანტები 33%, მუსლიმები 10%, ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევარნი.

201. **უზბეკეთი** – მუსლიმები 88% (ძირითადად სუნიტები), მართლმადიდებლები 9%, სხვა დანარჩენი 3%.

202. **უკრაინა** – სხვადასხვა იურისდიქციის მართლმადიდებლები (მოსკოვის პატრიარქატის, კიევის პატრიარქატის, უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის) 65%, უნიატები 15%, პროტესტანტები 5%, იუდეველები.

203. **უნგრეთი** – კათოლიკეები 67,5%, კალვინისტები 20%, ლუთერანები 5%, ათეისტები და სხვა დანარჩენი 7,5%.

204. **უოლისი და ფუტუნა** – (**ფრგ.**) – კათოლიკეები 100%.

205. **ურუგვაი** – კათოლიკეები 66%,, პროტესტანტები 2%, იუდეველები 1%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 31%.

206. **ფარერი (დან.)** – ლუთერანები 99%.

207. **ფიჯი** – ქრისტიანები (მეთოდისტები 37%, კათოლიკეები 9%), ინდუისტები 38%, მუსლიმები 8%, სხვები 2%.

208. **ფილიპინები** – კათოლიკეები 83%, პროტესტანტები 9%, მუსლიმები 5%, ბუდისტები და სხვა დანარჩენი 3%.

209. **ფინეთი** – ლუთერანები 89%, მართლმადიდებლები 1%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 10%.

210. **ფოლკლენდის კუნძულები (ბრიტ.)** – ანგლიკანები 80%, კათოლიკეები.

211. **ქოქოსის კუნძულები** – მუსლიმი-სუნიტები 80%, სხვა დანარჩენი 20%.

212. **ქუვეითი** – მუსლიმები 85% (სუნიტები 60%, შიიტები 25%), ქრისტიანები, ინდუისტები, ფარსები და სხვა დანარჩენი 15%.

213. **ყაზახეთი** – მუსლიმები 47%, მართლმადიდებლები 44%, პროტესტანტები 2%, სხვა დანარჩენი 7%.
214. **ყირგიზეთი** – მუსლიმები 75%, მართლმადიდებლები 20%, სხვა დანარჩენი 5%.
215. **შვეიცარია** – კათოლიკეები 46,1%, პროტესტანტები 40%, სხვა დანარჩენი 5%, გაურკვეველი აღმსარებლობისა 8,9%.
216. **შვედეთი** – ლუთერანები 87%, კათოლიკეები, მართლმადიდებლები, ბაპტისტები, მუსლიმები, იუდაისტები, ბუდისტები.
217. **შობის კუნძული** – ბუდისტები 36%, მუსლიმები 25%, ქრისტიანები 18%, სხვა დანარჩენი 21%.
218. **შრი-ლანკა** – ბუდისტები 70%, ინდუისტები 15%, ქრისტიანები 8%, მუსლიმები 7%.
219. **ჩადი** – მუსლიმები 51%, კათოლიკეები 35%, ტრადიციული რწმენების მიმდევარნი 7%, სხვა დანარჩენი 7%.
220. **ჩერნოგორია** – მართლმადიდებლები.
221. **ჩეხეთი** – კათოლიკეები 39,2%, პროტესტანტები 4,6%, მართლმადიდებლები 3%, სხვები 13,4%, ათეისტები 39, 8%.
222. **ჩილე** – კათოლიკეები 89%, პროტესტანტები 11%, იუდეველები 1%.
223. **ჩინეთი** – კონფუციანელები-დაოსისტები-ბუდისტები 25-75%, მუსლიმები 1-2%, ქრისტიანები (ძირითადად კათოლიკეები) 3-4%.
224. **ჩრდილოეთ მარიანის კუნძულები (აშშ)** – კათოლიკეები 80%.
225. **წმინდა ელენეს კუნძული (ბრიტ.)** – ანგლიკანები 70%, ბაპტისტები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, კათოლიკეები.
226. **ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა** – ადგილობრივი ტრადიციული რწმენების მიმდევრები 35%, პროტესტანტები 25%, კათოლიკეები 25%, მუსლიმები 15%.
227. **ხორვატია** – კათოლიკეები 76,5%, მართლმადიდებლები 11,1%, მუსლიმები 1,2%, პროტესტანტები 0,4%, სხვა დანარჩენნი 10,8%.
228. **ჯიბუტი** – მუსლმები 94%, ქრისტიანები 6%.
229. **ჰაიტი** – კათოლიკეები 80%, პროტესტანტები 16% (ბაპტისტები 10%, ორმოცდაათიანელები 4%, მეშვიდე დღის ადვენტისტები 1%), გაურკვეველი და სხვა სარწმუნოებისანი 4%.
230. **ჰიბრალტარი** – კათოლიკეები 76,9%, ანგლიკანები 6,9%, მუსლიმები 6,9%, გაურკვეველნი 7%.
231. **ჰონდურასი** – კათოლიკეები 87%, პროტესტანტები 12%.

დანართი 3

ძირითადი ქრისტიანული მიმართულებები



დანართი 4

რასათა გადანაწილება მსოფლიოსა და კონტინენტებზე

რასათა გადანაწილება მსოფლიოში



რასათა გადანაწილება ავსტრალიასა და ოკეანიაში



რასათა გადანაწილება აფრიკაში



რასათა გადანაწილება ევროპაში



რასათა გადანაწილება აზიაში



რასათა გადანაწილება ამერიკაში



გამომცემლობის რედაქტორი	მაია ეჯიბია
გარეკანი	თინათინ ჩირინაშვილი
დაკაბადონება	ნათია დვალი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.

www.press.tsu.ge (25-14-32)